საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ალ. ჭინჭარაული

ხევსურულის თავისებურებანი

ფონეტიკითა და ინდექსით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი—1960

რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა

შინაარსი

რედაქტორის წინასიტყვაობა VII
ავტორისაგან IX
შემოკლებანი XII

ნაწილი პირველი

ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი

თავი პირველი. ფონეტიკა 1

I. ხევსურული დიალექტის ბგერითი შედგენილობა 1
II. ასიმილაცია 2
III. დისიმილაცია 9
IV. ბგერათგადასმა (მეტათეზისი) 11
V. ბგერათშენაცვლება (სუბსტიტუცია) 14
VI. კომპლექსთა მონაცვლეობა 17
VII. აფრიკატიზაცია 23
VIII. დეზაფრიკატიზაცია 24
IX. ბგერათა განვითარება 25
X. ბგერათა დაკარგვა 34
XI. რედუქცია 45

თავი მეორე. მორფოლოგია 48

I. სახელი. სახელთა ბრუნება 48
II. ნაცვალსახელი 59
III. ნაწილაკები 63
IV. მაერთებელი „და“ კავშირი ხევსურულში 68
V. სიტყვაწარმოება 70
VI. მიმღეობა 84
VII. ზმნა 93
1. ზმნისწინი 93
2. პირის ნიშნები ხევსურულში 96
3. ზმნის ნაკვთთა წარმოება 103
მეორე სერია 103
მესამე სერია 120
4. კაუზატივის წარმოება 145
5. ვნებითი გვარის წარმოების ზოგი თავისებურება 149
6. თემის ნიშანთა მონაცვლეობა. თავისებური ზმნები 149

თავი მესამე. სინტაქსი 181
1. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში 181
2. მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში 184
3. სიტყვათა რიგი წინადადებაში 185
4. კითხვითი ნაწილაკი „ა" ხევსურულში 185
5. გამოთქმის ზოგი თავისებურებისა და ინტონაციის შესახებ ხევსურულში 188

ნაწილი მეორე

ხევსურული დარგობლივი ლექსიკა

წინასწარი განმარტებები 193
თავი პირველი. პურეულის ლექსიკა 195
თავი მეორე. თიბვის ლექსიკა 222
თავი მესამე. მესაქონლეობის ლექსიკა 228
თავი მეოთხე. მშენებლობის ლექსიკა 273
თავი მეხუთე. ხბჯრის ლექსიკა 303

Особенности хевсурского диалекта грузинского языка (Резюме) 312

ხევსურული ტექსტებისათვის 324
I. ამბავები (ზღაპრები) 326
II. მკვდრის რიგი 331
III. სხვადასხვა ამბები 336
IV. საგმირო-ისტორიული ამბები, ლექსები და სხვ. 343
V. ნარევი 416
VI. ჭმით-ნატირლები 420
VII. ანდაზები, აფორიზმები 436

ხევსურულ დარგობლივ ლექსიკაში აღნიშნულ ტერმინთა (და გამონათქვამთა) საძიებელი 441
მთხრობლები 482
ავტორები 483
დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა 484

რედაქტორის წინასიტყვაობა

ალექსი ჭინჭარაულის წინამდებარე შრომა წარმოადგენს ხევსურული დიალექტის შედარებით სრულ დახასიათებას. შრომაში აღნუსხულია ხევსურულში დადასტურებული ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი და მოცემულია მათი ენათმეცნიერული ანალიზი: ნაჩვენებია, რა ახსნასაც პოვებს ესა თუ ის მოვლენა ქართული ენის ისტორიული განვითარების ფონზე და, რიგ შემთხვევაში, რასაც იძლევა ხევსურულის ეს თავისებურებები ქართული ენის ისტორიის ამა თუ იმ მოვლენის განვითარებისათვის.

თავისებურებათა ახსნისას ავტორის ყველა მოსაზრება თანაბრად დამაჯერებელი შეიძლება არ ეჩვენოს მკითხველს [1], მაგრამ მთლიანად გამოკვლევის ეს ნაწილი, ჩვენის აზრით, ჯეროვან მეცნიერულ დონეზე დგას.

შრომაში საკმაო ადგილი ეთმობა ხევსურულ ლექსიკას. ლექსიკური მასალა მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა დარგს ეხება. მთავარი ისაა, რომ სიტყვები სათანადო ფაქტებისა თუ პროცესის აღწერისას აქვს გამოვლენილი ავტორს: ხვნა-თესვა თუ თიბვა, მესაქონლეობა თუ სადგომის აგება აღწერილია დაწვრილებით, თანამიმდევრულად და, რაც აღსანიშნავია, სათანადო რეალიების საფუძვლიანი ცოდნით, მასთან ნიჭიერად. ამ მხრივ ალექსი ჭინჭარაულის შრომა, გადაუჭარბებლივ შეიძლება ითქვას, ხანიმუშოა.

ხევსურულ დარგობლივ ლექსიკაზე მუშაობა ალ. ჭინჭარაულმა დაიწყო ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტმა სამეცნიერო წრეში; მუშაობა გააგრძელა ასპირანტურაში ყოფნისას. შედეგად

---

[1] და ზოგჯერ—რედაქტორსაც; მაგრამ რადგანაც ეს გამოკვლევა საკვალიფიკაციო შრომად ივარაუდება, რედაქტორი, ცხადია, სადავო მოსაზრებათა სწორებას ერიდებოდა და საჭიროდ იმასღა თვლიდა, ავტორის ყურადღება გაემახვილებინა იმ საკითხებზე, რაც დამატებითს საბუთიანობას მოითხოვდა.

ქართულ ლექსიკოგრაფიას შეეძინა დიდძალი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც ზედმიწევნით არის გარკვეული. ცხადია, რა მნიშვნელობაც ენიჭება ამ ლექსიკურ მასალას ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც (კერძოდ, ქართული ენის ისტორიისათვის) და საყოფაცხოვრებო კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

შრომაში ხევსურული ტექსტებიც შევიდა. ტექსტები მეტწილად ავტორის ჩაწერილია და ხევსურული დიალექტური მეტყველების მართალ ნიმუშებს გვაწვდის (ლიტერატურული ენის ყაიდაზე გამართვის ცდა, რაც არაიშვიათად შეიმჩნევა მთის ქართული კილოების მასალის ჩაწერისას, აქ არ იგრძნობა).

უკანასკნელ ნაწილად შრომაში ხევსურულის ლექსიკონიც უნდა შესულიყო, მაგრამ ლექსიკონმა დიდი ადგილი მოითხოვა. ხევსურულ ლექსიკონს ავტორი ცალკე შრომად ამზადებს. წიგნს დართული აქვს სრული ინდექსი, თუ დარგების აღწერისას სად რა სიტყვა გვხვდება. რაკი დარგების აღწერისას სიტყვები, როგორც წესი, ახსნილიც არის, მკითხველი ულექსიკონოდაც, ეფიქრობთ, შეიძლებს გაუგებარი სიტყვის მნიშვნელობა გაარკვიოს. სრული ხევსურული დიალექტური ლექსიკონის საკითხი ამით არ იხსნება (ასეთი ლექსიკონი გამოიცემა ქართლურ, კახურ, ფშაურ, თუშურ დიალექტურ ლექსიკონთა სერიაში).

რედაქტორი—არნ. ჩიქობავა

21 მაისი, 1960 წ.

ავტორისაგან

ხევსურული დიალექტი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების (ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, მოხეური, თუშური) ჯგუფს ეკუთვნის. ქართული ენის სხვა დიალექტებს შორის ხევსურულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს: იგი, კერძოდ, არქაული ფორმების სიუხვით გამოირჩევა. რამდენადმე ამითაც არის შეპირობებული სპეციალისტების დიდი ინტერესი ხევსურული დიალექტის შესწავლისადმი.

ხევსურულ დიალექტში ორი კილოკავი გამოიყოფა—პ ი რ ა ქ ე თ ულ-ა რ ხ ო ტ ული და შ ა ტ ი ლ ურ-მ ი ღ მ ა ხ ე ური. ამ კილოკავთა შორის მცირე, მაგრამ მკვეთრად გამოსახული სხვაობაა: ზმნა „ვარ“ პირაქეთულ-არხოტულში „ორ“ ფორმით იხმარება, შატილურ-მიღმახეურში კი—„ვარ“ (‖ „ვარი“) ფორმით; შემასმენელი, რომელიც სახელს მოსდევს, პირაქეთულ-არხოტულში ენკლიტიკად ეკვრის ამ სახელს და ხმის აწევა ხდება სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანზე („კაცი-ორ“, „ქორწილი-ქნეს“...). შატილურ-მიღმახეურში კი სახელი და შემასმენელი ცალ-ცალკე დგანან, თანაც სახელს სახელობითი ბრუნვის ნიშანი, როგორც წესი, მოკვეცილი აქვს („კაც ვარი“, „ქორწილ ქნეს“...).

ხევსური მოსახლეობის დიდი წილი ახლა გაფანტულია დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ახმეტის, მცხეთის, თელავის, საგარეჯოს, წითელწყაროს, თბილისის სამგორისა და ზოგ სხვა რაიონში. მოსახლეობის ერთი წილი ისევ ხევსურეთში ცხოვრობს. სწავლა-განათლების განვითარებისა, ხევსური მოსახლეობის სხვა მოსახლეობასთან შერევისა, პრესისა და რადიოს გავლენისა და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი ცვლილებების გამო, ხევსურული დიალექტი (ისევე, როგორც მეტ-ნაკლებად ყველა სხვა ქართული დიალექტი) ძალიან ინტენსიურად იცვლება: მოსახლეობის მეტყველებაში ლიტერატურული ენა იკიდებს ფეხს, დავიწყებას ეძლევა ლექსიკა. ამიტომაც საშურო საქმეა დიალექტების ენობრივ თავისებურებათა შესწავლა.

ხევსურული დიალექტის (და, საერთოდ, ქართული დიალექტოლოგიის) შესწავლას პროფ. ა. შანიძემ ჩაუყარა საფუძველი. 1913 წელს გამოქვეყნდა მისი საანგარიშო ხასიათის წერილი: „Отчёт о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изученія грузинских говоров“. 1915 წ. თბილისში გამოიცა „კრებული“ ივ. ჯავახიშ-

ვილის რედაქტორობით, რომელშიაც გამოქვეყნდა ა. შანიძის წერილი „ქართული კილოები მთაში“. წერილში მოკლედ არის ჩამოთვლილი ხევსურულისა და მთის სხვა დიალექტების ძირითადი ენობრივი თავისებურებები, მოყვანილია ზოგი ზმნის უღლების ნიმუშები.

1920 წელს გამოქვეყნდა პროფ. ა. შანიძის მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. გამოკვლევაში ნათლად არის გარკვეული S_3 და O_3 პირის ნიშნების ხმარების საკითხი ხევსურულშიც.

1925 წელს პროფ. ა. შანიძემ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების ორგანოში („წელიწდეული“) გამოაქვეყნა ბეს. გაბუურის „ხევსურული მასალები“. ტექსტებს პროფ. ა. შანიძემ დაურთო ხევსურული ლექსიკონი. ტექსტებს ბოლოს ერთვის შენიშვნები ხევსურულის ენობრივ თავისებურებათა შესახებ.

1931 წ. პროფ. ა. შანიძემ გამოსცა ხევსურული ლექსები („ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული“). ეს ლექსები ისევე, როგორც ბეს. გაბუურის „ხევსურული მასალები“, ენობრივი თვალსაზრისით სანიმუშოდ ითვლება. ლექსებს ერთვის ვარიანტები და შენიშვნები, სადაც მრავალი საინტერესო კომენტარია გაკეთებული.

მითითებები ხევსურული დიალექტის ცალკეულ თავისებურებათა შესახებ გვხვდება პროფ. ა. შანიძის სხვა შრომებშიაც (მაგ. „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ და სხვ.).

ხოლმეობითის საკითხს ფშაურ-ხევსურულ დიალექტებში ვრცლად განიხილავს პროფ. არნ. ჩიქობავა წიგნში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I“ (1948 წ.).

ხევსურულ დიალექტოლოგიურ მასალას იყენებენ აგრეთვე ავტორები: ნ. ანდღულაძე, პროფ. გ. ახვლედიანი, დოც. რ. გაგუა, ნ. ნათაძე, პროფ. ს. ჟღენტი, დოც. ივ. ქავთარაძე, დოც. შ. ძიძიგური დოც. ქ. ძოწენიძე და სხვები.

წინამდებარე შრომა არის ცდა ხევსურული დიალექტის მონოგრაფიულად შესწავლისა. ხევსურულის პარალელურად ხშირად ფშაურის ენობრივი თავისებურებებიც არის განხილული. აქა-იქ გათვალისწინებულია აგრეთვე საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ფაქტები თუშურისა, ინგილოურისა და ზოგი სხვა დიალექტის შესახებ.

ხევსურული დიალექტის თავისებურებათა ამომწურავად შესწავლის პრეტენზია ჩვენ არ გვქონდა. გვინდოდა მხოლოდ, სათანადო ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა ხევსურულის ძირითადი თავისებურებანი. არც იმას ვფიქრობთ, რომ ყველა განხილული ენობრივი მოვლენის ჩვენეული ინტერპრეტაცია უდავო იყოს. ბევრი რამ ალბათ მომავალი კვლევა-ძიებით დაზუსტდება. რაც შეეხება საილუსტრაციო მასალასა და ტექსტებს, ისინი ჩვენ სანდოდ მიგვაჩნია. უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ფშაურ ტექსტებში ხშირად **ხ** იყო დაბეჭდილი ნაცვლად მოსალოდნელი **ჴ**-ისა; **შა**- პრეფიქსის ნაცვლად **შე**- პრეფიქსია ნახმარი და მისთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ შესწორებები არ შეგვქონდა, მაგრამ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ თ ვ ი თ ო ნ გ ა ა ნ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ფ ა ქ ტ ი დიალექტურია და ენობრივად სანდოა.

გამოკვლევის წერისას ცნობილი არ იყო, მოხერხდებოდა თუ არა ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების დაბეჭდვა. ამიტომ მათი ანალიზისა თუ საილუსტრაციოდ გამოყენებისაგან თავს ვიკავებდით და, მეტი საბუთიანობისათვის, გამოქვეყნებულ ტექსტებს ვეყრდნობოდით. აქა-იქ საკუთარი დიალექტური მასალაც გვაქვს მოშველიებული.

შემოკლებანი

გაბ.—ბეს. გაბუური, „ხევსურული მასალები", ა. შანიძის რედაქტორობით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული I—II 1923—1924 (გამოიცა 1925 წ.).

დიალ. ქრესტ.—შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956.

ეთნ. I—მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. I, 1938.

ეთნ. III ან ეთნ. მას.—მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, თბილისი, 1940.

მივლ. მას.—ჩვენ ბიერ საზაფხულო მივლინებებზე მოპოვებული მასალები.

რაზიკ.—ხალხური სიტყვიერება, III, პირველი სერია, II, ხალხური ლექსები თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი, 1953.

უთურგ. დისერტ.—თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1953, საკანდიდატო დისერტაცია.

ხევს. პოეზ.—ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბილისი, 1931.

ნაწილი პირველი

ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი

თავი პირველი

ფონეტიკა

I. ხევსურული დიალექტის ბგერითი შედგენილობა

ხევსურულის ფონეტიკური შედგენილობა თითქმის ისეთივეა, როგორიცაა სალიტერატურო ქართულისა. ბეტია ჴ ბგერა. ჴ ხევსურულში მკვეთრად და მკაფიოდ გამოითქმის და იხმარება ყველა იმ სიტყვაში, რომლებშიც ძველ ქართულში იხმარებოდა: **ჴმა, ჴმელი, ჴელი, ჴანჯა, ჴარი, ჴორჯი, ჴევი, ჴმალი, ჴბო, ჴმარება, ჴველჳ** (=ხველა)... ამ ბგერის ხმარების წესი ხევსურულში მტკიცედაა გატარებული და რაიმე აღრევას ან გამონაკლისს იქ ადგილი არა აქვს.

იშვიათ შემთხვევაში წარმოითქმის აგრეთვე ც ბგერა, რომელიც თუშურში ფართოდ გავრცელებულ ც-ს ჰგავს. ეს ბგერა წარმოითქმის მაგარი შემართვის დროს შორისდებულთა წინ: **ცაჰი! ცაჰა! ცეჰე!** გვხვდება აგრეთვე დადას-ტურებისა, თუ უარყოფის გამომხატველი შორისდებულებისა, ნაწილაკებისა და ზოგჯერ ზმნის ბოლოსაც: **ჰოც! არაც! ჰაც!** —„ეესრ არ აჯობნებსა ამის გაკეთება?“ —„**ჰოც, ჰოც!** აჯობნებს!“ —„**არაც!** ეგრ არ ევარგების!“ —„**ჰაც**, კა იქნების!“ არის მიგებითი ნაწილაკი **ჰაცა!** (=დიახ!): —„გიგია მავიდა შინ გუშინწუხრ?“ —„**ჰაცა!** მავიდ“. —„მამა წავიდა თუ არ სათიბზე?“ —„**წავიდაც!**“ (=დიახ, წავიდა! წავიდა, მაშ?!).

ბავშვის ენაზე ცუდს **ბაცა** ან **ცაცა** ჰქვია, ლოგინს—**ცეცია**, მარცვალს—**ცუცუნა**. აკვანში ბავშვს უმღერიან ხოლმე: „**ცეცე**-ნანო ქალასაო (‖ ვაჟასაო) სამკალთ გაჩენილასაო...“.

შესაძლებელია ვისიმე წარმოთქმაში კაცმა ჲ-ც გაიგონოს (კერძოდ, დამავალ დიფთონგში), მაგრამ, ჩვენი აზრით, ჲ-ს ხმარება ხევსურულისათვის ნიშანდობლივი არ უნდა იყოს. იქაც, სადაც თითქოს ჲ ისმის, ფაქტობრივად ი უნდა გვქონდეს. ი ი-ს დავიწროებით მიიღება სიტყვის ბოლოს. ჩვეულებრივ სუსტდება სახელობითი ბრუნვის **ი**, სუსტდება **ი**, რომელიც ნ. უსრულს ახლავს ხოლმე და ა. შ.

II. ასიმილაცია

ა) ხმოვანთა ასიმილაცია

ასიმილაციას ხევსურულში მხოლოდ ა ხმოვანი განიცდის: ა+ე→ეე, ა+ო→ოო. დანარჩენი ხმოვნები ასიმილაციას არ განიცდიან. ასიმილაციას განიცდის ზმნისწინისა და შორისდებულის ა, როცა მას ფუძისეული ან ვნებითისეული ე მოსდევს:

აე→ეე: ...ხეები უნდა **მეემზადა** სახლისად (გაბ., 176, 28); ←მა-ემზადა); ... **მეეგება** ალუდაურს ხალხი (გაბ., 179, 11; ←მა-ეგება); ...პირაღმე **შამეეტია** (ხევს. პოეზ., 167, 29; ←შამა-ეტია); ...**შამეეხვივნეს** ზურაბსა (ხევს, პოეზ., 18, 14; ←შამა-ეხვივნეს); ... ამოდ **მეექეც**, ზურაბო (ხევს. პოეზ., 18, 21; ←მა-ექეც); **დეეცა, ჩეეცვა, შეეკრა, მეეკრა, დეეკრა** (ხევს. პოეზ., 18, 23—24,... 28—29, ...31); ...**მასეეს** არ იგებდიან (ხევს. პოეზ., 108,4); „...შინ **წეედ**, აპარეკაო“... (ხევს. პოეზ., 249, 16); ...სადც ომში **შეეტანება**, მარჯვენა მარჯვედ ჰრისაო (ხევს. პოეზ., 26, 2); ...**შამეეწია** ლაშქარსა (ხევს. პოეზ., 30,9); ...**შამეეგებნეს** დედანი (ხევს. პოეზ., 43, 14); „... აქ **ჩამეედი** ბარადა!“ (ხევს. პოეზ., 45, 1); ...მინდერად **ჩეედით**, ჴევსურნო (ხევს. პოეზ., 48, 18); ...ტყვია ვერ **მეერეოდა** სულხანაურის გმირსაო (ხევს. პოეზ., 108, 25); ...ზედ დაშჩის ალუდაური, **დეელნებას** ღგავ ცისასა (გაბ., 178, 6); ...ნაქნარ ეეგეთა უნდა, ჴევსურებმ რო დაკლეს ფური (ხევს. პოეზ., 222,8; **ეეგეთა←აეგეთა**); ... **ეეგრე** ჩამაამტვრიეს, ზვავმა რო წვერი ტყისაო (ხევს. პოეზ., 54,9; **ეეგრე←აეგრე**); ... **ეეწინდელებს** ახლებსა ძველები ჯობდეს ცდითაო [(ხევს. პოეზ., 512,2); **ეეწინდელი ←აეწინდელი; ეწ←აე აწ**, შდრ.: „... **ეწ** გადავლაჴნათ მთანიო (ხევს. პოეზ., 41,3)]; ...ამბობდა გუდანის ჯვარი: „დიდი ორ, როგორც **ყეენი** (ხევს. პოეზ., 178,1).

აე→ეე, როცა ა-ხმოვანფუძიან სახელს ერთვის მრავლობითობის -ებ სუფიქსი: ... ძლივ მეელით გაზაფხულსა, **ჭალეებზე** დენასაო (ხევს. პოეზ., 352,5); ...მაგისხამს **ქოჩორეებსა** (ხევს. პოეზ., 427,2); ...სისხმა ვადათით ნადენმა სამკლავე სამკან დაღარა. აიქით ჩამონადენმა **ჯაჭვის კალთეებ** დაყარა (ხევს. პოეზ., 10,8).

აო→ოო: ...სრუ **მუშოობა** რაიღა, სრუ **მუშოობა**!? (მიულ. მას.); ... ამაგ მძღვრის **თოობა** ბაბღიათ ყანაი (მიულ. მას.,←**თაობა←თავობა**); ...მავიდ ლაგაზაიც **აიმოობაჩი** (←ა იმაობაჩი); ...ისიც იმ **გზოობასავ** იყვ იქავ (←გზაობასავ).

აე→ეე და **აო→ოო** რეგრესული კონტაქტური ასიმილაციაა და იგი გავრცელებულია ხევსურულში, მაგრამ ეს ფონეტიკური

პროცესი ბოლომდე როდია გატარებული: ერთსა და იმავე ტექსტში შეგხვდებათ ასიმილირებული და უასიმილაციო ფორმები. ლექსებში, რომლებიდანაც ზემომოყვანილი მაგალითები ამოვიწერეთ, გვხვდება შემთხვევები, სადაც მოსალოდნელი იყო **აე→ეე** პროცესი, მაგრამ არა გვაქვს: ...**წამაეგებნეს** ზურაბსა (ხევს. პოეზ., 20,7); ...გორ-შეღმ **წამაე**, ზურაბო (ხევს. პოეზ., 13,4); ...ზენ-უბნით **ჩამაემართნეს** ქიჩბარაულნი ძმანია (ხევს. პოეზ., 13,4); ...გაანა შახყარე ლა'შქარი, ბახტრიონს **დაეც** ღამითა (ხევს. პოეზ., 27, 6). ხევსურულმა და ფშაურმა არ იცის თუშურისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ასიმილაცია: **აუ → უ**: **დუწახლოვდ**; **აი→ი**: **ჭიჭვენ** (აიხვენ—აიღე ისინი); **ოუ→უ**: **მუწამბობ** (←მოუამბობ); **ოა→ა**: **მაწყვდენს**; **ეა→ა**: **შაწგდო** (უთურგ. გვ. 14).

ბ) თანხმოვანთა ასიმილაცია

თანხმოვანთა ნაწილობრივი კონტაქტურ-რეგრესული ასიმილაციის ნიმუშები იქნება, კერძოდ, ის შემთხვევები, როცა S_2 და O_3 პირის ნიშანი (ჰ) იძლევა სხვადასხვა რეფლექსებს, იმის მიხედვით, თუ რა ბგერა მოსდევს მას. ასეთი ასიმილაცია სხვა შემთხვევებშიაც დასტურდება. **სჩ→შჩ**: ...ჭელს რო **გაშჩუჩვენ** ეს მენადირეები (გაბ., 171,1); ...იმაად ვიყავ, ბიძაისაო, **გავშჩივდა** ფარიკაობასაო (ეთნ., III, 11,11); ...ულალვენ კაცსა **მამაშჩემსაო** (ეთნ., III, 8,17); ...მთიბლად გაქებენ **ბიძაშჩემსაო** (ეთნ., III, 22, 23). **სჯ→შჯ ‖ ზჯ** (→**ჟჯ**): ...აიღებს ერთს ქვას და **შაშჯენჯავს** ცულის ყუით ყორე'ში (გაბ., 149,7); ...ახლა **მივზჯარდით** ღელესა (გაბ., 217,18); ...ბერიძიშვილს კი ვერ **ჟჯობიხარო** (ეთნ., III, 28,4).

არც ეს პროცესია ბოლომდე გატარებული. შდრ. **სჯდომიხარ** (გაბ., 185,17); წასელაი-**სჯობის** (გაბ., 165, 7); წასელაი-**სჯობ** (გაბ., 165, 10); შდრ. არა ეს გზაი-**ჯობავ**, არა ეს გზაივ (გაბ., 165, 13).

სძ→ზძ: **აბაიზძე** (გაბ., 172,3; 173,3; 173,15), მაგრამ იქვე: **აბაისძე** (გაბ., 171,37; 172,31; 173,9, 18); საყურადღებოა, რომ **აბაისძე** (‖ **აბაიზძე**) ამ მასალის ჩამწერის, ბეს. გაბუურის მეორე სახელია: იგი თავის საკუთარ სახელს ხან ერთნაირად წერს, ხან მეორენაირად.

...სალდათსა **მაზძლოლივა** წინაო (ეთნ., III, 2,12); ...ახურათ **სანათიზძიასაო**, შვილნიმც ხყონ შენის დაელათისნიო (ეთნ., III, 5,12—13); ...**შაზძახნებს** კიდევ ღმერთს (გაბ. 121,9), მაგრამ იქვე: **შასძახნებს** (გაბ., 121,5).

სჰ→შჰ: ...სოფლის თავ მით (=უეკველად,—ალ. ჯ.) რაში **დაშ-ჰირდების** (გაბ., 130,3); ...ქალო ხორაო, **შჰამე** ლოდიო (ეთნ., III, 24,8); ...ყვავრს კი არ **შაშჰამს** მტრისასა (გაბ., 216,10); ...დისშკილს ბიძაი **შამაშჰრიაო** (ეთნ., III, 11,9), მაგრამ: **გასჰრის** (გაბ., 121,8); **გავსჰრით** (გაბ., 165,3); ...რაიც რო შასვით, **შაშ-ჰამეთ**, ცეცხლად მაგიქცევთ ყველასა (ხევს. პოეზ., 545,24). აქ სრული ასიმილაცია დისტანციური არ უნდა იყოს (**შ-ს→შ-შ**), შდრ. **შჰამე** (აქვე, ზემოთ).

სდ→ზდ: ...ბერდიათ გაგამ... **შახკაზმ** თავის ლურჯა და **გა-მაზდეზ** (გაბ., 168,24); ...**დაზდგმენ** ზედ ლუდიან თასებს (გაბ., 122,10); ...**დაზდებს** პირს თასს (გაბ., 126,20); ...ჭელს არ გაუმარ-თავს, გინდა ხედავდას, რო გაჰირებით სულ **ამაზდიოდას** (გაბ., 130,8); [შდრ. ფშ.: ...სატირელზედამც **დაზდებენ** საპირისწამლე მასრასა (რაზიკ., 166,173); ...კარგი დასვედრა **ზდომნია** მტერს ჩვენი ხელმწიფისასა (რაზიკ., 231,197)].

ხალის-ის მაგიერ ხევსურულში გვაქვს **ხალაზ**-ი. ეს სუბსტი-ტუცია არ უნდა იყოს. **ს**-ს **ზ** ვნებითის **დ**-სთან შეხვედრისას უნდა მოეცა პირველად (გაბალისდა → გახალიზდა), შემდეგ კი სხვა ფორმებშიაც **ზ** დამკვიდრდებოდა. მაგალითები: ...აბლები **ჩაახალიზენ** (ხევს. პოეზ., 190,2); ...ჴევსურებ, არხოტივნებსა **ხა-ლიზს** რად ულევთ ცდისასა? (ხევს. პოეზ., 236,1); ...ქოო ეგრე კი ვერ გაქნევთ, **დახალიზულნო** სხვაზედა (ხევს. პოეზ., 136,39); ...ნუ **დახალიზდით**, ვაჟებო (ხევს. პოეზ., 136,3).

სგ→ზგ: ...ისრ გაჯავრებულ იყვ, რო **გულიზგნივ** გმინს აგ-დებდ.

ღთ→ხთ: საკუთარი სახელი **ხთისო, ხთისია, ხთისიკა** (**ხთის←ღთის←ღვთის←ღმთის←ღმრთის←ღმერთის**); ...ვინ იცის, კიცვო რემაო, შენის თექალთოს კეცება? აეგრევ, ჯვარო **ხთიშვილო**, მემრ შენის გულის კერძება? (ხევს.. პოეზ., 550).

კს→ქს: ძვ. ქართ. **კსინავს, მკსინვარე** („**კსინავს**—ავად აშლი-ლივით ჰაერი"—საბა; „**მკსინვარე**—მაწყინრად აშლილი"—საბა) და ხევს. **ქსინი** (დღე), რაც ქარიანს, უსიამოვნო ამინდს ნიშნავს: ...ქსინი, ქარიან დღე გათენდ (ბივლ. მას.).

ჰგ→ღგ: ...ბიჭურო, სად-რა **ღგვრინაო?** (ხევს. პოეზ., 338,4); ...ღამის მთეველ **მაღგვრიხ** წინავ მამზადებულს საკლავს (გაბ., 122,4); ...ჩუჩაყეური **ღგავის** ქარსაო (ეთნ., III, 4,5); ...ჩარგალ ცას **შაღგავ** ღურბლიანსაო (ეთნ., III, 14,47); **ღგვანდი** (ეთნ., III, 23,79,11).

ჰგ უშუალოდ არ უნდა იძლეოდეს ღგ-ს, უნდა გვქონოდა გარდამავალი საფეხური ხგ. ეს გარდამავალი ბგერა (ხ) ახლა მკვეთრების წინ დასტურდება (იხ. ქვემოთ ხკ, ხყ...). ჰ რომ უკანაენისმიერი ხშულების წინ ხ-დ იქცევა, ეს არის რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია ბგერის წარმოების ადგილის მიხედვით: ჰ არის ლარინგალური სპირანტი, რომელიც უკანაენისმიერ ხშულებთან შედარებით უფრო უკან იწარმოება. უკანაენისმიერნი მას წინა წარმოებისად აქცევენ, ოღონდ უნარჩუნებენ (ვერ უკარგავენ) სპირანტობას: ჰ→ხ: **ხკ, ხქ, ხყ, ხჯ**; უკანაენისმიერი მჟღერი **გ** მას რაგვაროობის მიხედვითაც იმსგავსებს—ამჟღერებს და **ხგ→ღგ**; გარდამავალი საფეხური სვესურულში აკა-იქ შეიოგვენახა: ...მეორეს დღეზე მოხპარეს, ილოს **მისგვარიან** შინა (ხევს. პოეზ., 401,23); ...რო მაეზიდას, ვერ **ახგლეჯს** სასულას ჯიკვ-მაზვრისასა (ხევს. პოეზ., 280,3); ...აბეჩან ნიკოს წვრილაო! გაელდა, **ხგვიხარ** ცასაო (ხევს. პოეზ., 308,1); ...ჩაბატებას **ხგავ** ციასაა ...დაელნებას **ხგავ** ციასაა (ხევს. პოეზ., 104, 1,4).

სმოვნებმა, სონორებმა და ბაგისმიერმა მჟღერებმა მოახდინეს ჰ-ს ნაწილობრივი ასიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით და სრული ასიმილაცია რაგვაროობის მიხედვით: ჰ აქციეს უფრო წინა წარმოების მჟღერ ღ-დ: **ღმ-, ღნ-, ღრ-, ღლ-, ღვ-, ღბ-, ღო-** (**ღოფლიანდები**), **ღა-** (**ღავადობ**), **ღე-** (**გა-ღეშმაკდები**)...

აფრიკატების წინ ჰ უშუალოდ იძლეოდა ს-ს, რომელმაც შემდეგ მოგვცა შ, ზ, ჟ რეფლექსები[1].

ჰქ→ხქ: ...დეევებს **ხქონია** ქორწილი (ხევს. პოეზ., 542, 9); ...ნაშინ რა **ხქენი**, და გენაცვლაო... (ეთნ. III, 5,ა); ...თათარო **ჯალაბაურო**, შეილს ყამარისძე **ხქვიანა** (მივლ. მას.); **ხქონდაო** (ეთნ. III, 22,31); **ხქონდას** (ხევს. პოეზ., 352,8).

ჰკ→ხკ: ...**დახკაზმავს** ჯართ (გაბ., 121,3); ...მედროშაე იხუცებს, **დახკლავს** საკლავს (გაბ., 122,6); ...ზეიადი შენ მაჩართვი შინაო, სამტყუს **მახკრიფე** ბეწვითურაო (ეთნ., III, 6, 6—7); ...ნუცრას ერთს **ხკითხავ** მამიდათაო, ჰეტყოველს **ხკითხე** მარნაულსაო (ეთნ., III, 8,20); ...ტყავსა ქემხითა **ხკერავღეო**? (ეთნ., III, 1,10).

ჰყ→ხყ: ...ჯარის ყვირილი გავიგონეო, აფხუშოს ძირით **შამახყვირნაო**, **შახყვირნე**, შენმა ოჯრობამაო,—თივათ დაგიყრი ქოჩისათაო (ეთნ., III, 14,39—42); ...**დახყაბულდა** ხალხი (გაბ., 165, 6—7); .. თაოდაც **გამახყვების** თან (გაბ., 121,17); ...ერთს ალაგ-

---

[1] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920, გვ. 146.

ში **დახუუდებს** დროშას (გაბ., 122,1); ...ვეფხვო, **დახყარე** იარაღიო (ეთნ., III, 9,8).

ჰჯ→ხჯ: ...ჯვარ გაუწყრების, ან **მახკლავს**, ან **დახჯელთავს** (გაბ., 133,31); ...ეს კანონი ძველი ას, მაგრამ ძალიან ძვირად **ხჯდების** აეხლად (გაბ., 133,32); ...მემრ გარშაიღებს სტუმარ არაყიანს ქინთს, **მახჯსნის** პირს... (გაბ., 129,4); ...გრძელია გორ-კეკელის გორიო, ფიცხელაურო, ვერ **შახჯდებიო**... (ეთნ., III, 108, 1—2, იქვე: **შახჯე** 108.3, **გახჯდები**, 108,4, **გახჯე** 108,5); ...ყაშკაცსა ბევრიღ **გადახჯდებიხო** (ეთნ., III, 11.14).

ჰბ→ღბ: ...მუბრან ქვე ვინაღ **გალბეგრევდაო**, მინდორსა სისხლით შაღებულსაო (ეთნ., III, 8,29); ...ჰონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი (მიელ. მას.); ...ნასახელარი **ამაღბრუნდიო** (ეთნ., III, 20,6); ...ნუ **დაღბრუნდები**, არა გინდაო (ეთნ., III, 41,5); გარდამავალი საფეხური: ...იქ **გახბჯობენ** სალაშქრო საქმეს (გაბ., 164, 26).

ჰფ→ხფ: ...მეორე დღეს, ყანას რო **დახფარვენ**, იტყვის (გაბ., 121,18); ...**შახფარავს** გიორგ-წმინდასა თუშთა ელვარე ფარია (ხევს. პოეზ., 30,1); ...თქვენებს საფლაეებს, ვაქებო, მზის შუქი სად-რა **ხფენაო**! (ხევს. პოეზ., 477,34); ფ-ს წინ ერთგან ღ-ც დასტურდება: ...**გაღფრინდი** გაუფრინდომსა (გაბ., 178,11).

ჰპ→ხპ: ...მტირალსა ტირილს ნუ **ხპატიჯებთო** (ეთნ., III, 35,1); ...ჰირსამც **მავხპარავ** ზეზვასა (ხევს. პოეზ., 26,1); ...ე საქონ ვისაი? მაუედით **მახპატრონდით**; ...როსაც მიცემა არ შაგიძლავ ცელისა, ტყუილა რაად **ხპირდებ**ი? (მიელ. მას.).

ჰმ→ ღმ ‖ ხმ: ...**გამაღმშვიდობებივა** თავის ქვეყანას სამუდმოდ (გაბ., 186,6); ...მასაც **გამაღმშვიდობებივა** (გაბ., 186,10); ...ვა შენს მამუკას, რად **ღმალე** (გაბ., 207,4); ...მდევართ ქვე რად **მიღმეტდებოდიო** (ეთნ., III, 21,5); ...გივმა **გალმართა** მაჟარი (ხევს. პოეზ., 256,2); ...გზის თავში **ხმკიდი** ყანასა, გეტანა მამაშენია (ხევს. პოეზ., 329,7).

ჰვ→ღვ: ...ჯიქვო, საწოლთით **გადმაღვარდიო** (ეთნ., III, 9,10); ...**გალვარდი** ნამჯრევთ ბოლოჩიაო (მიელ. მას.); ...**აღვედრე** სამუკაობაიო (ეთნ., III, 6,5); ...გაჯავრებული **ღვედრიდიდიო** (ეთნ., III, 42,7); ...ლაშ-მრუდი ბურციკაისშვილიო **ღვედრიდა** ბაწარაულასაო (ეთნ., III, 2,19); ...თავს ვუთხარ, დავღმე, **დავღვედრე**: „შენც არ გაგწირას ფერმაო!“ (ხევს. პოეზ., 451,7); ...ჩამოდიოდა **ღვედრაი**: „ქიბიშაურ ორ გვარია“ (ხევს. პოეზ., 205,18).

ღვედრა, ღვედრავს „ვედრება“-ზმნიდან მოდის, მაგრამ მას ახლა ქადილის მნიშვნელობა აქვს მიღებული: **ღვედრავს**—იქადის,

დაღვედრა – დაიქადა... S_3 პირის ნიშანი ღ(←ჰ) ამ ზმნას შეხორცებია. არის საკუთარი სახელი **ღვედრია** (შდრ. ბერდია, მინდია...): ...**ღვედრიას** გუდამაყრელსა ცხვარან ხყვან გორის პირსაო (მივლ. მას.); („**ღვედრავს**" ზმნის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ, მეორე თავში).

ჰლ→ღლ: ...**წავღლალავ** კაცსა აკუშოსაო (ეთნ., III, 2,24); ...ფასიორათამც **დაღლევს** ღმერთიო (ეთნ., III, 5,1); **წაღლალავს** (გაბ., 121,25); ...ცხვარჩი ყოფა ადვილ არა, იქ ბევრა გაჭირება **მაღლამს** კაცს; ...ყმაწვილებო, ჭკვიანა იყვნით, მანდ არა **დაღლიათ** თორე... (დაღლიათ = გააფუჭოთ).

ჰრ→ღრ: ...ამით (= ამიტომ ალ. ჭ.) ზოგ **ღრიდებს** მასაყვანად (გაბ., 136,30); ...ცასა, ღურბელო, **გადაღრიდეო** (ეთნ., III, 73,2); ...ჩოხელათ, გუდამაყრელთა, **ღრისსევდას** ღმერთი მაღალი (ხევს. პოეზ., 229,12); ...თოფსა **შაღრევდა** ფეხონსა, ელვას ხკრავს ჯირიმისასა (ხევს. პოეზ., 236,6); ...გირწყილებმა ქორწილი ქნეს, ჩალა-ბურდო **აღრიესო** (ხევს. პოეზ., 664,1).

ჰნ→ღნ: ...ყანათ გადამკილთ **ღნახავდ** (გაბ., 156,16); ...არცად **ღნახენაეო** (ეთნ., III, 14,3); „...ამბავ ჩამამიტანიდი! ვერ **ღნახავა** ლალესაო" (ხევს. პოეზ., 334,4); ...**ხაქოსა** ქუშანათასა ირემს **დაღნაყნეს** რქანიო (ხევს. პოეზ., 101,9).

ბტ→მტ: ...გაზდილო დიდის კაისადაო, **მტყელ-მტყელის** მამულებისადაო (ეთნ., III, 72,3); მჟღერ ხშულს მოსდევს ყრუ ხშული (მას მერე, რაც **რ** დაიკარგა) და **ბ**-ს ენაცვლება **მ**: **ბრტყელი→ბტყელი→მტყელი**.

ზოგი ქართული დიალექტი (გურული, იმერული...) უფრო შორს მიდის: მჟღერ-ხშული **მ** მაასიმილირებელ მკვეთრს მკვეთრობამდე დაჰყავს: **პტყელი** (მაგალითები ხევსურულისათვის იხ. კიდევ ქვემოთ).

გც→ქც: ...ბარაქა **მაქცას** სულმაც, მკვდარმაც (გაბ., 148,1).

თანხმოვნის სრული რეგრესულ-კონტაქტური ასიმილაციის მაგალითები ხევსურულში ვერ დავადასტურეთ.

სრული დისტანციური რეგრესული ასიმილაციის მაგალითი იქნება გეოგრაფიული სახელი პირიქით ხევსურეთში **ჯოჯიდი** (← **ქო-ჯიდი←ქვა-ჯიდი**; [შდრ. ფშ.: ...**ქვა-ჯიდის** ჭალას ამბობენ დაქცევას სალის კლდისასა (რაზიკ., 59,112)].

არასრული პროგრესული კონტაქტური ასიმილაცია:

თბ→თფ: ...ან მამცენი შენნი ციხე-ქალაქნი **თფილისისანი** (გაბ., 161,29).

ჯდ→ჯთ: ...მას იქითაც ბევრჯელ მაუჯდ (დედანში წერებულა „მაუჯთ“, მაგრამ რედაქტორს გაუსწორებია,—აღ. ჯ.) არხოტიონთ და ქისტებს ერთუცის დაძგერება (გაბ., 170,7); შდრ. გურ. მოხთა.

ნბ→ნმ: **გაწმილებული←გაწბილებული** (=შერცხვენილი): ...აქ ნიადე ვეღარ მავ, თავ მაეკრ, ყველასთან **გაწმილებულრ** (მივლ. მას.).

სრული პროგრესული დისტანციური ასიმილაცია

შ-ს→შ-შ: „...თითო გაბურთ ეშმაის **შაშანდობარ** შაესოთავ“ (გაბ., 155,26); ...დაველიოთ **შაშანდობარი**, ვინც იქ დაგვჩების მკვდარია (ხევს. პოეზ., 466,48); ...დავასხა **შაშანდობარი**, სწორებს დავ(ს)ყუდა პირსაო (ხევს. პოეზ., 209, 37); ...შაგწირეს ალუდაურსა. ყოფილხარ **შაშადარიო** (ხევს. პოეზ., 129, 12); ...ერთიც აჩუქეს თემლაკი ჭმლის ვადის **შაშაბელია** (ხევს. პოეზ., 541, 31).

სრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია

ც-ს→ს-ს. **სისკარი←ცისკარი** : ... ტირილით ამამჭდარიყვა **სისკარი** თენებისაო (ხევს. პოეზ., 209,4); ...ლელასა დაგიყენებ წინაო ...**სისკარსა** გადაბძანებულსაო (ეთნ., III, 49,17); ...ჯიქნი საწოლთკე წასვლასა იგებენ **სისკრის** შუქითა (ხევს. პოეზ., 514,5); ...ბაცეს **სასისკროდ** ატირდა აქეს ჩაბაკის ქალიო (ხევს. პოეზ., 2,9); [შდრ. ფშ.: ...ფშავით მომწერეთ წერილი, გადმააყოლეთ **სისკარსა** (რაზიკ., 230,197)].

ს-შ→შ-შ: ...თუ **შეშუალა** თითს [დააკლა ნაჭრევმ], სამ **ძროხაი**-ას (გაბ., 142,17).

არასრული რეგრესული დისტანციური ასიმილაცია

ს-ჯ→შ-ჯ: ...იაროლ კაად **დაშინჯი**, ან შუბ არ იყვას გასალესავი (გაბ., 183,29).

ფშაურსა და ხევსურულში გვაქვს ასიმილაციური დაყრუების შემთავევები. პროგრესული ასიმილაციური დაყრუების მაგალითი იქნებოდა: **ვკმეჭ(←ვკბეჭ)**: **კბ→კმ**: ...პური თუ მაგშივდებოდა, ბორტეს **მახკმიჭიდი** კბილითა (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...ამაგის მოლექსებელი დარბაზში **ჩავკმეჭ** ხინკალსა (რაზიკ., 29,20); ...მე სამჯერა **ვკმეჭ** მიწასა (რაზიკ., 163,155)]. **მეკობარი (←მეკობარი)** **კ-ბ→კ-პ**: ...ლაშქარში **მეკობარშია** არ იყავ საწუნარია (ხევს. პოეზ., 519,31); ...ლაშქარში **მეკობარშია** უკენ არ დამატრიალო (ხევს. პოეზ., 618,3); ...ერთხან ვერ ვნახე გასული მე თქვენი მე-

კოპარია (ხევს. პოეზ., 244,2); ...ათენგენასა დილასა სად მიდის **მეკოპარიო** (სევს. პოეზ., 129,6); [ფშ.: ...ჩარგალში მტერი მოვიდა ახალი **მეკოპარია** (რაზიკ., 69,139)]. **ტყუბი** (←**ტყუბი**); **ტყუბი** ძველ ქართულში დასტურდება. ხევსურულში **ტყუბარჭიკი** ეწოდება ერთმანეთზე მიკრულ ორ ნაყოფს (თხილისას, ტყემლისას...).

რეგრესული ასიმილაციური დაყრუების მაგალითები: **ბყ→პყ**: **პყარი** (←**მყარი**) ...**პყარ** მიწაი, განა ნაძრავი, მაგას ნიჩბით რა ამასთხრის? საკუთარი სახელი **აპარეკა** (←**აბრეკა**): ...აცა, ვერ წახოლ გუროელოო, **აპარეკაი** გამაგიდგაო (ეთნ., III, 5,17); ...იძახის **აპარეკაი**: „საგძალი გინდათ კვირისა!“ (ვაჟა, „სტუმარ-მასპინძელი“), **აპარეკა**-დან გაკეთებულია სახელი **აპარეკული**: ...იმას ვერ იტყვი, ბკურავ, **აპარეკული** არ აქი... იმ შენს საიღს, **აპარეკულო**, მითხარ, რითა სჯობ ქალაქი (ხევს. პოეზ., 519 1...4); ...მაიკარ, **აპარეკულო!** (ხევს. პოეზ., 631,14).

რეგრესულ-ასიმილაციური გამჟღერების მაგალითი იქნება **მზუბუქი** ‖ **ზუბუქი**(←**სუბუქი**): ...ზოგნი ქურდებს სცემენ სამასაარაოდ, **ზუბუქად** (გაბ., 146,16); ...თუ **მზუბუქად** დაიჭრა თავში (გაბ., 141,30); |ფშ.: ...თავი თუ გემზუბუქება, ძმიმეს დაგკიდებ ლაგამსა (რაზიკ., 69,136)]. **მამადგნ** (←**მამათგნ**←**მამათგან**): ...სახელი **მამადგნ** მაგიდისთ, ჯოცა არ გიკვირსთ მტრისაო (ხევს. პოეზ., 174,20).

პროგრესული ასიმილაციური გამჟღერების მაგალითი იქნება **ზგელი** (←**ზქელი**←**ზრქელი**): ...მაბძანდების ფაიტვნითა მაიორი **კისერ-ზგელი** (ხევს. პოეზ., 566,8).

III. დისიმილაცია

ხევსურულში დისიმილაცია გავრცელებული ფონეტიკური პროცესი არ არის. დისიმილაციას განიცდიან ძირითადად სონორი თანხმოვნები, კერძოდ **რ-რ→რ-ლ**: ...დაუჯოციან **ორ-ოლნი**, როგორ დაჰკრიტნა ტყვიამა? (ხევს. პოეზ., 206,9); ...**ორჯელ** მიუვე სათხოვრადა' მაინც არ გამიკეთ! ...ბაშინ სიმთვრალით ხალხს **ბევრჯელ** მაუვას შუღლი... (გაბ., 124,27); **სიპრიელა** (←**სიპრიერა**←**სიპნიერა** „თხელი ქვის ფირფიტა, სიპის მონატეხი“): ...ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო, **სიპრიელათა** იღობებდაო (ეთნ., 13,3--4);[2] ...**თავრიელა** (←**თავრიერა**←**თავნიერა**; „თავნიერა“-ფორმა დაცულია ფშაურში): ერთხელ ანდაქელ (სოფელია პირიქით ხევსურეთ-

[2] ამას ნიშნავს: „ნატყვიარ ძმას წავადექი თავზე, ნატყვიარზე სიპის ფირფიტას იფარებდა“-ო (რომ ბევრი სისხლი არ დაეკარგა).

ში) ჯოყოლა კიკოს-ძე ზვიადაურს ეშარებოდა ერთი მთვრალი ხევსური. ჯოყოლამ ხანჯალზე ხელი წაივლო და უთხრა: „შენ თავის **თავგრიელაჩიით** იადაფორმაის სულ თუკლაღ არ ჩამაგდენი, ჩამაგადენ კი, მე ჯოყოლას მეძახიან!“-ო. ეს ნიშნავდა: შენ ჯერ თავში ჭრილობა არა გქონია, როგორც ჩანს, და, თუ ჭკვიანად არ იქნები, ახლავე დაგჭრიო.

მიწრიელი (←**მიწრიერი**←**მიწნიერი**): ...**მიწრიელ** შენ აულაგმე, შენ გააცილე ზღვასაო (გაბ., 210,8); **ქვეცრიელი** (←**ქვეცრიერი**←**ქვეცნიერი**): ...ვანა კაცთფერი ეგჳ, ეშმაკ, **ქვეცრიელი**... ასეთივე პროცესი უნდა მომხდარიყო **გემნიერ** (=**გემრიელი**) და **ფუშვნიერ** („გადამუშავებული საკვები, რაც ფაშვშია მოთავსებული“) სიტყვებში, მაგრამ იქ ამის საფუძველი არ აღმოჩნდა, რადგან **ნ** ვერ შეცვალა **რ**-მ, რაც შეეხება **სიპრიელა, თავრიელა, მიწრიელ, ქვეცრიელ**—სიტყვებს, იქ დისიმილაცია მოხდა მაშინ, როცა ერთი ფონეტიკური პროცესი (ბგერათჩანაცვლება) უკვე მომხდარი იყო: **სიპნიერ→სიპრიერ→სიპრიელ** (ამ სიტყვების **ნ** ბგერის შესახებ იხ. ქვემოთ).

პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს მაგალითები დამატებით: ...სისხლ **ბევრჯელ** უსვამ მტრისაო (ხევს. პოეზ., 95,3); ...**ბევრჯელ** დაღბრუნდი, ქალაო... (ხევს. პოეზ., 338,8); ...**ოროლ** ივანეს შასწირეს (ხევს. პოეზ., 95,16).

რ ე გ რ ე ს უ ლ ი დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს მაგალითები იქნება: **წურულო** (←**წყლულო**): ...ტირილით **წურულებს** უხვევდა ვეფხვის დაჭრილსა კლანჭითა (ხევს. პოეზ., 519,23); **ლიშანი** (←**ნიშანი**): ...**ლიშან** თუ გელი**შნებოდა**, რო გამავიდეს მზენიო, სოფლის თავ გადმოვიარე, ჯელში მეჭირა ცხენიო (ხევს. პოეზ., 344,8); ...აიმ **ლიშნობით** ვიამბე... (ხევს. პოეზ., 327,1); **დარალა** ‖ **დარალია** (←**დალალა, დალალი**, „უთავშლო, თმაგაწეწილი“. ზოგჯერ პირდაპირი მნიშვნელობითაც იხმარება): ...ცხენ აქის ჩამაავლიე თაქალთო-უნაგრიანი, ზედ ქალი გადმაგიჯდები **დარალა**, ყვითელთმიანი (ხევს. პოეზ., 373,12); ...თმებს იგლეჯს გამწარებული, მოსწყდა **დარალის** კავია (ხევს. პოეზ., 42, 04, 40).

შეინიშნება რეგრესული დისიმილაციური გამეღერების შემთხვევები: **გირკო** (←**კრკო**): ...დუნიის **გირკო** ასხავ წელს...; **გირკალი** (←**კრკალი**): ...**ჯარჯ-გირკლიანებმ** მიბარეს: „თავ დაანებე კალამსა“ (ხევს. პოეზ., 563,3); **პატარა→ბატარა** (თუ **ბატარა** არქაული არაა): ...მე **ბატარა** ძმისწული ქალი მყავ (გაბ., 202,20); ...უშერავ სისხლით გასერილი თავის **ბატარა** ხანჯარი (გაბ. 221,9);

...მაინც იტირებს **ბატარასაო** (ეთნ., 35,2); ...აქვის **ბატარა** ხანჯარი (ხევს. პოეზ., 225,41). [შდრ. ფშ.: ...**ბატარა** ბატარძალი ვარ... (რაზიკ., 217,138)[3]; ...**ბატარძალო ბატარაო**, წყალს მაიტან რად არაო (რაზიკ., 218,139); ...ვაჰმე, რა **ბატარაი** ვარ... (რაზიკ., 243,255); ...**ბატარა** ვიყავ (რაზიკ., 119,93)].

ბეს. გაბუურის ტექსტებში ერთგან გვხვდება „**სიმშილით**“-ფორმა: ...საქონ მეღუპების **სიმშილით** (გაბ., 129,21). იმდენად, რამდენადაც ხევსურულში (და საერთოდ ქართულში) ასიმილაციური **შიმშილ**-ფორმაა გაბატონებული, გაბუურთან დადასტურებული „**სიმშილით**“-ფორმა არქაული კი არ უნდა იყოს, არამედ რეგრესული დისტანციური დისიმილაციის საფუძველზე მიღებული: **შიმშილი→სიმშილი**. ასეთი ფონეტიკური პროცესები ენას არ ეუცხოება (შდრ. **თავნიერა→თავრიერა→თავრიელა** და მისთ.).

IV. ბგერათგადასმა (მეტათეზისი)

ხევსურულ დიალექტში ხშირია როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური ბგერათგადასმის (მეტათეზისის) შემთხვევები. კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი:

რუ→ურ: **ღრუბელი→ღურბელი**: ...ზედ დაშჩის ალუდაური შავი **ღურბელი** ცისაო (გაბ., 179,24); „...აქვან ცა-**ღურბელთ** ეომებიანავ“ (გაბ., 183,14); „...საკარის მთაზე **ღურბელი** ხო არ ას?“ (გაბ., 193,8); ...ცოტა **ღურბელ** გაჩინდა (გაბ., 193,21); ...გაბუურთ ალუდაურსა, შავსა **ღურბელსა** ცისასა (გაბ., 243,21). [**ღურბელი** გვაქვს ფშაურშიც: ...აის **ღურბელნი** მიყვარან (რაზიკ., 138,5)][4].

ბმ→მბ: ...ამათ **შამბელ** კაც არ ყოფილ (გაბ., 182,10); ...იქნების სამ დღეს **გამბივ** სმა (გაბ., 133,1); ...წვერზედ ხჩონია **მამბული** ცხრა-კეცად შიბი გძელია (ხევს. პოეზ., 541,8); [ფშ.: ...დილას ადრიან **შამამბენ** (რაზიკ., 83,2); ...ხემწიფეთ **შამბულთ** ამბობენ (რაზიკ., 40,52)].

რმ→მრ: **მერმე→მემრე** || **მემრ**: ...ჩვენავ გაგვივ ჯერ ეს ჯურუმი **მემრ** სარბევი... **მემრ** მაქნეულს იარაღს ის არ დაებარების, რო „კაცს ნუ მახკლავავ“ (გაბ., 124, 10, 11); ...**მემრ** იქავ მუკლით

---

[3] „ამ შემთხვევაში ბ-ს მაგივრად ბ-სა ხმარობენ“-ო, შენიშნავს თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

[4] „ღურბელნი—ღრუბელნი. ფშავლები ხმარობენ ღურბელნი“-ო, განმარტავს თ. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

ჩამაჯდების (გაბ., 126,27); ...**ვემრ** შინ წაელენ მეკელენი (გაბ., 142,23); ...**მემრ** ბეორე, **მემრ** მესამე... (გაბ., 147,32); ...თუშებ **მემრ** მავიდიანო (ხევს. პოეზ., 24,14). ხევსურულმა „**მერმე**" ფორმა არ იცის [შდრ. ფშ.: ...ჯერ უძმოობა ძნელია, **მემრ** სიმარტოვე თავისა, **მემრ** ქვრივი ცოხობლებშია, ტირილით ჩაელა კარისა (რაზიკ. 125,132)].

საგანგებოა, რომ ხევსურულში არქაული ვითარება გვქონდეს შენარჩუნებული (ვეორე→ვევრე→ვემრე), ვანაიდან ქართულში ოდითგანვე კაბატონდა გადასმული „**მერმე**" - ფორმა (ოთხთავში მხოლოდ „**მერწე**" გვხვდება); ამდენად ფშაურ-ხევსურულ **მემრე**-ში მეორეულერ უნდა იყოს მომხდარი მეტათეზისი (ვეორე→მევრე→მვრე→მერმე→მემრე).

რვ→ვრ; ლვ→ვლ; ნვ→ვნ: ხევსურულში **ლ, რ, ნ** სონორებზე დაბოლოებული **-ვ**-თემისნიშნიანი ზმნების თემისნიშნისეული **-ვ**, როცა იგი, მისი წინამავალი ა-ს ჩავარდნისას, სონორის შემდეგ მოხვდება, ყოველთვის გადაინაცვლებს ამ სონორის წინ: ...**დაგვიკვრენ** თოფსა ლომაკანიო (ეთნ., III, 2,27); ...მესისხლენ **დაგკვრენ** თოფსაო (ეთნ., III, 43,13); ...**დააკვრენ** ზედ სანთლებს (გაბ., 122,10); ...დაიწყებს **ჯენას** (გაბ., 121,5) და მისთ.

ეს ფონეტიკური პროცესი ცნობილია სხვა დიალექტებისა და სალიტერატურო ქართულისთვისაც, მაგრამ ფშაური დიალექტი არ ემორჩილება მას, იქ ყოველთვის თავის ადგილზე ზის თემისნიშნისეული **-ვ**. ამით ფშაური უპირისპირდება ხევსურულ დიალექტს. მაგ.: ...**დააბაძს** თავის პატრონი, **დააკაწრვინებს** მიწასა (რაზიკ., 242,250); ...ეცადე წინ-წინ **დაკრვახა** (რაზიკ., 112,43); **ავეკრვი** (რაზიკ., 248,277); **დააკრვენ** (რაზიკ., 132,21); ...ლეკებს **უხიბლვენ** გზასაო (რაზიკ., 60,115); ...ვაჰმე, **მამიკლვენ** ჯაბანსა (რაზიკ., 78,167); ...დისწულს არ **მაჰკლვენ** დედისძმანი, **მაჰკლვენ**, თავადაც იტირებენ (რაზიკ., 89,33); შდრ. ხევს.: ...დისწულს არ **მახკელენ** დედისძმანიო, თუ მაკლეს, იქავ იტირებენო (ეთნ., III, 11,15)].

დისტანციური ბგერათგადასმის შემთხვევები:

ჩქ ‖ ჭიჩ: სხვა დიალექტებში **ჩიქილა** გვაქვს, ხევსურულში **ჭიჩილა**: ...მამიტანივნა **ჭიჩილანიო** (ეთნ., III, 12,9); ...**ჭიჩილა** გადაიხურა, გადააყენნა ზღვანია (ხევს. პოეზ., 542,37); [შდრ. ფშ.: ...**ჩიქილა** გადაიქნია, გადააქანნა ზღვანია (რაზიკ., 14,22); ...გხურავის თეთრი **ჩიქილა**, როგორც რუსების ლაგირი (რაზიკ., 248, 278); ...ან **საჩიქილეს** მოგვიტანს (რაზიკ., 191,10)].

ხევსურულში საქსოვი დაზგის ერთ იარაღს ჭიჩი ეწოდება. გუდამაყრელები ამ იარაღს ჩიქ-ს ეძახიან. თუ ჭიჩილა←ჩიქილა, მაშინ ჭიჩი←ჩიქი.

ლ-რ→რ-ლ: თორპილი←თოლ-პირი←თვალ-პირი (თორპილი-—პირისახე): ...ყელ-ყურზე, ქურზე, **თორპილზე**, ხან აკოცებენ შუბლზედა (გაბ , 208,11): ...ლამაზად ვერ ამიჩინდი, **თორპილს** გაბემდი ლიშანსა (ხევს. პოეზ., 130,17).

მადრიელი: ...ბადიას დაემადრივლიდიო (ეთნ., III, 43,3. შეცდომით დაბეჭდილია „დაემადრიელიდიო“—ალ. ჭ.); **ძრიელი:** ...გიყვარდა ომი **ძრიელი**, ჯელშიგ შიშველი ჴმალია (ხევს. პოეზ., 224,13); ...ომი მოგვიჭდა **ძრიელი** (ხევს. პოეზ., 133,5); შდრ. ძვ. ქართ.: ...ეშინის ...**ძრიელთა უძრულისა** მის^გან (ოქროპირი, 229 r). **სურიელი (←სულიერი, „ქვეწარმავალი“):** ...შამაგეჩვევის **სურიელიო** (ეთნ., III, 35,7); [ფშ.: ...სხვას ყველას გაეძლებოდა, **სურიელს** ეჭნა ძალია (რაზიკ., 19,5)].

რ-ლ→ლ-რ: მალახვრიანი←მარახვლიანი („ჭირხლიანი“, „თრთვილიანი“): ...გონიოს ცხენმა ფეჭ-თეთრსა გზა ბერტყა **მალახვრიანი** (ხევს. პოეზ., 140,7); შდრ.: ...მთას **მარახული** მოაკრა, წყემსო, ახყარე ცხვარია (ხევს. პოეზ., 424,1).

ც-ცვ→ცვ-ც: ძარცუ→ცარცვა→ცეარც: ...ამ იოსებას სრუ ყველა **უცვარცავ** (გაბ., 179,30); ...ამხანიგებ რო მიცვარცეთ... (ხევს. პოეზ., 219,15). **ცვერცი←ცერცვი (ცერცუი):** ...შენ თუ გაქე მაღაზიები, ორ კოდ მეც მიდგა **ცვერცია** (ხევს. პოეზ., 675,9).

ძ-ღვ→ძვ-ღ: ძეღუ→ძველ (შდრ. სვ. ლიფველუ): ...გაგვიძველ, ნეფე ერეკლევ, წავდგათ კრწანისის გზაზედა (გაბ., 163,10); ...გაუძველ, ბექურისშვილო, თუშნ ლურჯას ვიქებდიანო (ხევს. პოეზ., 24,3); ...გაგვიძველ, ბერო მინდიავ, მუკლი შაიბი მგლისაო (ხევს. პოეზ., 190,1). ქართულში დასტურდება **კ-ცვ→კვ-ც** პროცესი: **კიცუი→კვიცი**; ხევსურული დიალექტი ძველ ვითარებას ადასტურებს: ...ვინ იცის, **კიცვო** რემაო შენის თექალთოს კეცება? (გაბ., 122,16).

ეჭვ→ვეჭ: ...ვაჟს თუ **ვეჭი** აქვ... გამააცხადებს რჯულში (გაბ., 135,17); ...თუ ვინ ჩემზე **ვეჭ** მაიღა,—მასმა მგულავ ატკაზისა (ხევს. პოეზ., 470,47); ...ჭალაჩი **დაგივეჭებდი**, მთისას მოვძებდი გზასაო (ხევს. პოეზ., გვ. 526, ზემ. 3). [ასეა თუშურშიაც (უ თ ურ გ ა ი ძ ე თ., თუშური კილო, დისერტ. გვ. 133)].

ეჟვ→ვეჟ: ეჟუანი→ეჟვანი→ხევს. ვეჟანი: ...მაიცადეთა-ღ, **ვეჟნის** ჩქამ მადის, ჯვარიონნ ხო არ გამაემართნეს? (მიელ. მას.).

ჟინ-ნიჟ: დაჟინება→**დანიჟება**: ...**გაინიჟ** რაადამ გუშინ-წუხრ: „შინ უნდა წავიდავ!“ ...ვსთხოვეთ კი „წამეედი“-ო' **განიჟებითოოდ** ქვე ვერა **გაუნიჟეთ** (მიქლ. მას).

V. ბგერათშენაცვლება (სუბსტიტუცია)

ხევსურულში სუბსტიტუციის მოვლენებიც შეინიშნება.

ხმოვანთა სუბსტიტუცია:

ა: ე: **ნიადაგ→ნიადეგ** ‖ **ნიადე**: „...ჯვარის ძალით რო არ დაელიშნ, **ნიადე** ვინ მისცემდ ქალს?“ (გაბ., 133,26); ...მშაველა ჯინჭარაული **ნიადე** ნუ დადგებაო (ხევს. პოეზ., 18,6).

ე: ა: **ჯებირი→ჯაბირი**: ...წყალზე **ჯაბირად** ჩაიდვა ქისტის შვილების მკვდარია (გაბ., 232,19); **ქაიფი** ‖ **ქაიბი** (←**ქეიფი**): ...ჯერ ხო ლამაზად **მაქაიფდებიან**.ა (გაბ., 132,6). ...**საქაიბოდ** მიზდითა, ვაჟებო? (მიქლ. მას.).

ე: ი: **გუბი**(←**გუბე**): ...ჭმლითა სცეს ჭევსურთ შვილებმა, სისხლის **გუბ-გუბი** დგებისა (ხევს. პოეზ., 11,13). **გუბე**—ფორმა ხევსურულმა არ იცის. **მანდელი** (←**მანდილი**): ...თუ ქალმ მიასწვრ, **მანდელ** გადაუქნივ შუაში, მაშინ მაშუღლარნ ნაშივ თავს გაანებებენ ერთუცს (გაბ., 125,10); ...ქალმა ისრივნა **მანდელნი**, არხვატ ჩაყარნა ჭმანია (გაბ., 180,25). **დაბიზღება** (←**დაბეზღება**): ...ეეგ ლექს ლეგას უუბნავ, ყმაწვილებმ **დააბიზღესა** (მიქლ. მას.).

თანხმოვანთა სუბსტიტუცია:

ვ: მ: **მასკვლავი** (←**მარსკვლავი**←**ვარსკვლავი**): ...აის მასკვლავა ჩემია, მარტო რო დავა ცაზედა (ხევს. პოეზ., 370,1); ...**მასკვლავნივ** ბრწყინვენ ცაზედა (ხევს. პოეზ., 136,11); ...მზემა გაიგა, იწყინა, **მასკვლავი** ჩამადისაო (ხევს. პოეზ., 103,4); [ფშ.: ...**მასკვლავთ** არ ედო ფერია (რაზიკ,. 13,16); ...ანთებულს სანთელს გამსგავსე, **მასკვლავსა** მთოვიარესა (რაზიკ., 138,3); თუშურში გვაქვს **მარსკვლავრ** (უთურგ., გვ. 32)].

მ: ნ: **მარიანობა** (←**მარიამობა**): ...**მარიანობა** დღესაო ქარი არ დასძრავს ტყესაო; ...**მარიანობას** წამახვიდიო (ეთნ., 8,13); **იმტკნარებს** (←**იმტკმარებს**?); ლაშთ **იმტკნარებს** („პირს აღებს და კუმავს“, შდრ. ამთქნარებს); ეს იგივე ძირი უნდა იყოს, **უმტკმიედ** („გაღებული აქვს“) ზმნაში რომ გვქონდა ძველ ქართულში: ...და რაჟამს დაიძინის კორკოდინოს ხეთქმან, პირი ზე **უმტკმიედ** (სახისა სიტყუაჲ, გვ. 36, 28,8). თუ ეს ზმნები ერთი წარმომავლობისაა, **იმტკნარებს** ←**იმტკმარებს**. **აბრაშუნი** (←**აბრეშუმი**): ...ჩავარდა

ხაბრაშუნეიო (ეთნ., III, 77,6); ...კმარავ, დაგეწვნეს ქალობანიო... სათმენი **აბრაშუნისანიო** (ეთნ., III, 47,12);

უნცროსი (←**უმცროსი**): ... დაიწყებს **უნცროსი** მღერას ფანდურზე (გაბ., 127,10); „...**უნცროსებ** მზას გყვანდისაო“ (ხევს. პოეზ., 107,20); ...ჩემი **უნცროსიმც** ხარიო (ხევს. პოეზ., 154,7); არის საკუთარი სახელი **უნცრუა**: ...მაშინ მოხვიდი, ზურაბო, ერტყას **უნცრუას** ჴმალია (ხევს. პოეზ., 13,2); **ნეფე** (←**მეფე**): ...გადაურჩენავ თავის **ნეფე** (გაბ., 163,22); ...აღარ გყავთ **ნეფე** ერეკლე (ხევს. პოეზ., 56,2); ...შაახვეწებს ...**ნეფ-დედუფალთ** (გაბ., 132,12); ...დაამწყალობნებს ...**ნეფ-დედუფალთ** (გაბ., 132,14); ...თქვენ მოძმე ბაგრატიონი, ე ჩვენი **ნანეფარია** (ხევს. პოეზ., 540,28); [ფშ.: ...გიორგის ცოლი ატირდა, იმერელთ **ნეფის** ქალია (რაზიკ., 15,26)].

მინინო (←**მიმინო**): ...საძელე გადაიარა **მინინომ** კივილითაო (ხევს. პოეზ., 223,3); ...დასატიებლად მტრისადა **მინინოია** მთისაო (მივლ. მას.); ...დაგეტევებათ **მინინო**, შამოგანარცხებსთ ქვათაო (ხევს. პოეზ., 686,2); ...ბლოჩი გაზდილა **მინინო**, ქორი ზარებულ მკიანი (ხევს. პოეზ., 177,1); **ნანდვილი** (←**ნამდვილი**): ...**ნანდვილი** მამუკაი ხარ, მამკლაი სალდათისაო (ხევს. პოეზ., 225,36); „**ნანდვილ**“ და „**მინინო**“—სიტყვებში სუბსტიტუციის საფუძველი შეიძლება ასიმილაცია იყოს. **უკნიახი** (←**უკმიახი**←**უკმეხი**): ...ქალი ...**ხაუკნიახო** შადგება (ხევს. პოეზ., 340,2); [შდრ. ფშ.: ...არც ახლა დამწაწლდებაა, ე ქალ რო **უკმიახიაა**?! (რაზიკ. 182,274)].

ალანდულია (←**ალამდუნია**, „აუარებელი, ბევრი“): ...შამხვიესა და ვერ შამკრეს, სისხლი მდის **ალანდულია** (ხევს. პოეზ., 469,52); შდრ.: ...ერთ მარტუკუა დაედიორ **ალამდუნიას** ხალხჩია (მივლ. მას.); **ანბობს** (←**ამბობს**): ...აღარ **გიანბობ** ლექსებსა, სრუ მაონებებ თავსაო (ხევს. პოეზ., 390, 13); ...არვინ **უანბა** ფეტვასა ე ლექსი ჩემ ნათქმელიო (ხევს. პოეზ., 397, 14); „**ალანდულია**“ და „**ანბობს**“ ხშირად არ გვხვდება. „**ანბობს**“-ში დისიმილაცია უნდა იყოს სუბსტიტუციის საფუძველი: ბაგისმიერი ბაგისმიერს განიმსგავსებს.

ნ: **ლ**: **მელანქრიანი** (←**მინანქრიანი**): ...მემრ ჴმალი ამაამღერა ვადათით **მელანქრიანი** (ხევს. პოეზ., 177,9); **ლიღარი** (←**ნიღარი**, „სურვილი, ნდომა“): ხევსურულში ჩვეულებრივია **ნიღარი**, მაგრამ აქა-იქ **ლიღარი**-ც გვხვდება: ...ახმეტა მოგაგონდება, **ლიღარი** მოგკლავს ღვინისა (ხევს. პოეზ., 710, ბ, 2) [ფშ.: ...ლექსის **ლიღარმ** მამიარა, საჴნავსა ვარ, საფარავსა (რაზიკ., 249,282)]. **ლაქარდიანი** (←**ნაქარდიანი**) **ქარდვა** ხევსურულში „ქარგვას“ ნიშნავს, **ნაქარდა** ერთგვარი ნაძერწია (აკეთებენ კიდობნებზე, ტაგრუ-

ცებზე და მისთ.). **ლაქარდიანი ენა**— ტკბილი, მომაჯადოებელი ე. ი. ჰრელი, ხატოვანი, მოქარგული ენა: ...სად წახვალ, თან წამიყვანე, ენა მაქვ ლაქარდიანი (ხევს. პოეზ., 543,21). [ფშ.: ...მივიდა მოყურიადე **ლაქარდიანის** ენითა (ვაჟა, რჩ. ნაწ., 1931, გვ. 281)].

ლიშანი (←**ნიშანი**): აქ სუბსტიტუციის საფუძველი დისიმილაციაა (იხ. ზემოთ): ...იყანე იჩოს გაზდილი გულით გახედავს **ლიშანსა** (ხევს. პოეზ., 130,14); ...აი, ხალხო, ეგ ქალ მე **დავლიშნე** (გაბ., 133,22); ...**დალიშნული** გეყავ (გაბ., 131,12); ...პატრონი **დაულიშნავს** ხანს (გაბ., 131,14); [შდრ. ფშ.: ...ჩავტეხენ საყურ-ბეჭედნი, იმით **ჩავლიშნენ** გზანიო (რაზიკ., 67,133); ასეა თუშურშიაც (უთურგ., გვ. 32)].

შავგვრემალი (←**შავგვრემანი**): საბა „აღიეღ"-თან წერს: „რამეთუ რომელსა თვალნი არცა აქვს შავნი და ცხოვართა ფერი აქვს, ეწოდების გრემანი". **„შავგვრემან"**-ში მეორე **ვ** განვითარებულია. ხევსურულში გვაქვს **შავგვრემალი**: ...**შავგვრემალა** ქალაი, კაის დახვდულობისა, ინდოიანი; [შდრ. ფშ.: ...გული გამოკლა, დედაო, **შავნა** ბეჭედმა რქისამა. შაეთით გამოგზავნილმა **შავგვრემალის** ყმისამა (რაზიკ., 134,184); ...დამიტიროს თეთრმა ქალმა, **შავგვრემალმა** დამმარხოსა (რაზიკ., 152,86)]. **კანოლი** (←**კანონი**): ...ბევრ ქალ ქვეც აღარ ასრულებს ამ **კანოლს** (გაბ., 134,4); აქ სუბსტიტუციის საფუძველი დისიმილაციაა ჩანს. მოვლენები, სადაც სუბსტიტუციას სხვა ფონეტიკური პროცესი განსაზღვრავს, იშვიათი არაა (იხ. ზემოთ, გვ. 15).

ნ: მ: ულომც (←**ულონც**←**ულონდც**←**ოლონდაც**): ...ორნივ წამაოლთ დედ-მამანიო... **ულომც** ბერდია დამიბრუნეო (ეთნ., III, 43,24); **ზურმა** (←**ზურნა**): ...დაფას და **ზურმას** დახკარი, ლხინი გალმართე გძელია (ხევს. პოეზ., 62,14).

ფ:ბ: ქაიბი (←**ქაიფი**←**ქეიფი**): ...კარგა ვიმგზავრეთ, სრუ **ქაიბით** ვიდინეთ (მივლ. მას.); ...**საქაიბო** აღარა გქონდათა? (მივლ. მას.); **ქობაქი** (←**ქოფაქი**←**ქოფაკი**): ...აყეფდებოდას **ქობაქი**, სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა (ხევს. პოეზ., 268,3).

წ: ჭ: დაჭვრეთა (←**დაწვრეთა** „დაპრა, ნაჭრილობევის დაჩნევა"): ...სააზნაურო თორღვაი ცვილივით **დაეჭვრითაო** (ხევს. პოეზ., 46,4); ...ჩვენ ძირა, ჯიდო ნადებო, გაქნილო ქარაგნისაო, ზედ ჩემო გამონავალო, **ნაჭვრეთო** წრიპისაო (ხევს. პოეზ., 656,4).

ჭ: ჯ: ჯორწილი (←**ქორწილი**): ...**ჯორწილი** ვიცით ისრ, რომ... (გაბ., 131,12); ...ვაჟის პატრონი მაამზადებს **საჯორწილოდ**, რაც საჭიროა ას (გაბ., 131, 15—16); ...მემრ დაუდგების მასპინძელი,

ეჯორწილე წინ (გაბ., 132,1); ...მასპინძელ გაუჯავრდების, ჯორწილ უხარის ყველასა (ხევს. პოეზ., 545,9); ...აღარც იცის დღეობაი, აღარც ლხინი, ჯორწილია (ხევს. პოეზ., 368,3). ჯორწილფორმა მარტო არხოტულს ახასიათებს და მოხეურიდან შეთვისებული ჩანს.

ქ: ხ: ჰეხს (←ჰექს): ...ტერღის წვერს გაიგონიან ჰეხა ბისნის კარს ცისაო (ხევს. პოეზ., 108,10); ...თრუსოს ჩავიდეს ჯევსურნი, ჰეხა ჩაიღეს ცისაო (ხევს. პოეზ., 52,1); ...ჰეხა მაიღა ცისაო (ხევს. პოეზ., 63,12); ...ჰეხით მიართვეს სალამი (ხევს. პოეზ., 49, 15). ხოყანა (←ქოყანა←ქვეყანა, ხოყანა=მთელი ხალხი): ...ზურაბმ აიფრა ხოყანა, ბევრ ვაჟს უტირა დედაო (ხევს. პოეზ., 18,1); [შდრ. ფშ.: ...რაღა ჩვენდ არი ცუდი გზა, სუ აქეთ დადის ხოყანა (მიელ. მას.)].

VI. კომპლექსთა მონაცვლეობა

ხევსურულში აღგილი აქვს კომპლექსთა მონაცვლეობას. კომპლექსთა მონაცვლეობა გულისხმობს, რომ: თანხმოვანი+ხმოვანი ან პირიქით: ხმოვანი+თანხმოვანი→ხმოვანს (ვ+ა→ო); ან თანხმოვანი+თანხმოვანი→თანხმოვანს (ხ+ძ→ზ) ან ხმოვანი→ თანხმოვანსა და ხმოვანს (ო→ვა)... ხევსურულში უფრო ხშირია ხმოვნიან კომპლექსთა მონაცვლეობა:

ვა→ო: -ავ თეძისნიშნიან ზმნათა -ვ და მომდევნო სუფიქსი სეული-ა ქმნიან -ვა კომპლექსს, რომელიც ო-ს იძლევა: ხყონ- (← ხყვან(←ხ-ყ-ავ-ან): ...ხყონივ მემრ ეს ეშმა (გაბ., 157,6); ხყონავას (გაბ., 157,6); ხყონ (გაბ., 170,15); მავიყონავ (გაბ., 133,28); მაიყონს (გაბ., 124,19); მაიყონთ (გაბ., 123,24); ვიყონიოთავ (გაბ., 171,20). გონ←გვან (←მ-გ-ავ-ან): ...ბერის ჯიქვის რქას გიგონ წვერნიო (ეთნ., III, 3,2); ...ეს გლეხსა არა გონიღა, აზნაურ თუა მთისაო (ხევს. პოეზ., 223,29). ამ რიგის ზმნებში -ვა→ო პროცესი აწმყოს ფორმებსა და აწმყოდან ნაწარმოები მესამე სერიის ნაკვეთა ფორმებში დასტურდება. წყვეტილსა და კავშირებით მეორეში (იყო, იყოს...) ეს პროცესი ხევსურულმა არ იცის, იქ გვაქვს იყვა, იყვას ფორმები. იყოს, იყოვ, გიყოს გაბუურთან დასტურდება, მაგრამ ეს ინდივიდუალური ფორმებია: გაბუური წერაკითხვის მცოდნე კაცია და სალიტერატურო ენის გავლენით აკეთებს ასეთ ფორმებს.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანს (ვ-) მოსდევს ე. წ. მახმნაველი -ა და -ვა→ო: ...აგებ ოთქმიოთ, რაი ას მაგის თავს

(გაბ., 206,3); ...თაე ხიზანს ვერ **დაონებე** (ხევს. პოეზ., 17,10); **მაონებებ** (ხევს. პოეზ., 390,13); **დაონახევრებ** (გაბ., 168,27); ღაობარე (ხევს. პოეზ., 358,2).

S_1 პირის ნიშან ვ-ს მოსდევს ფუძისეული -ა და -ვა→ო: **ორთ←ვართ**: ...მადლობელნი **ორთ** (გაბ., 123,11); ...ქალის ველში **ორავ**, ქალს **უჭერიორავ** (გაბ., 125, 4-5); ...შინა **ორთ** ბიძა-ძმისწულნი, სამნი გვტანიან სხვანიო (ხევს. პოეზ., 2,6).

ვ-ზე გათავებულ სახელს მოსდევს ვითარებითის -ად სუფიქსი და ვა→ო: **თაოდ←თავ-ად**: ...თაოდაც გამახყვების თან (გაბ., 121,17); „...აბა, ხალხნო, თაოდ იფიქრეთ“... (გაბ., 123,27); ...ჭალაით ქვათა ბროლისათაო აღმა და აღმა აზიდვიებსო, ციხისა **მასაწვერაოდაო** (←**მასაწვერავადაო**, ეთნ., III, 11,26).

-ივ სუფიქსიან თურმეობითს მოსდევს „არის“-მეშველზმნისეული ა და ვა→ო: ...ჴევსურთ **სწყენიოს** ეს სიტყვა (←**სწყენ-ივ-ას**, გაბ., 163,1); **გახჴდიოს←გახჴდ-ივ-ას**: ...ერთუცში საუბარ **გახჴდიოს** (გაბ., 162,24); **გასძლოლიოს←გასძლოლ-ივ-ას**: ...ქალუნდაურს შუქ **გასძლოლიოს** წინ (გაბ., 159,17); **შასტანებიო←შასტანებივა**: ...ციხის კარ **შასტანებიო**, მკვდარ დარჩა სისხლ-ტიგრიანი (ხევს. პოეზ., 51,10).

კაუზატივის -ივ სუფიქსს მოსდევს კავშირებითისეული -ა და -ვა→ო: დაღრევს (მოჰრევს, აჯობებს)—**დაღრივა→დაღრივას→დაღრიოს**: ...იქნება ეს მეორე... უფრო მგელი იყოს... და ამანაე **დაღრიოს** (გაბ., 136,5); **შაასმევენ—შაასმივან→შაასმიონ**: ...უნდა ძალად **შაასმიონ** (გაბ., 131,29); **გეთქმევის—გეთქმივა→გეთქმივას→გეთქმიოს**: ...ის არავისთან **გეთქმიოს**: „ე ქალ ძალიან მიყვარსო“ (ხევს. პოეზ., 384, ბ, 5).

ზმნა, რომელსაც ნ. ძირით.-ში -ევ სუფიქსი აქვს ხოლმე, პირველ თურმეობითში დაირთავს -ავ სუფიქსს და -ვა→ო: **ჩაიდვა—ჩაუდვავ←ჩაუდოვ**: ...ჩაუდოვ ჯიბაში (გაბ., 176,5).

ასეთსავე ზმნებს მოსდევს კავშირებითის -ა და ვა→ო: **დაგდვა—დაგდვას→დაგდოს**: ...ქრისტემ **დაგდოს** ბეჭედი (გაბ., 150, 9). სალიტერატურო ქართულის „დაგდოს“ ფორმაში ო კავშირებითის ნიშნად არის მიჩნეული და აქ კომპლექსთმონაცვლეობაზე აღარაეინ ლაპარაკობს, ხევსურულში „დაგდოს“ ნორმიდან გადახრაა, აქ -ვა→ო პროცესი ჩვენ თვალწინ ხდება. ხევსურული ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ მივიღეთ სალიტერატურო ქართულის კავშირებითის ნიშანი ო.

ასევე, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სხვათა სიტყვის ო ნიღებულია -ვა→ო პროცესის შედეგად: **გასწირაო←გასწირაოვ←გასწირავ-ავ**: ...ნუ **გასწირაო** დამაბარავ (გაბ., 129,9); **შამოგვაკლაო ←შამოგვაკლაოვ←შამოგვაკლ-ავ-ავ**: „...მამუკავო, ნუ მახოლავ, თაეს ნუ **შამოგვაკლაო**, გვენანებივ, კა მეომარი ხარავ“ (გაბ., 160, 33,161,1).

-ვა→ო სიტყვის ფუძეში: **ჩამაღორდნივ** (←**ჩამა-ჰ ვარ⊆ნ-ვ**): ...საუბარ-საუბარში **ჩამაღორდნივ** საუბარი (გაბ., 182,12); **ერთ-ირაოდ←ერთ-ირავად**: ...**ერთი-რაოდ** (უნდა: „**ერთ-ირაოდ**“—ალ. ჯ.) გაღორდნიყვ [თოფი] და მახვედრიყვ ტყვია ფეჯჩი ამხანიგს გიგიას (გაბ., 198,1); **ოჟი←ვაჟი**: ...აიჩან, **ოჟიაშვილო**, კაცი აღარ გყავ ბადალი (ხევს. პოეზ., 226,8); „...**ოჟავ**, რას დაიარები, ქალების პირობაზედა?“ (გაბ., 204,22); „...თავის ძმებზე როგორ უნდა იქმარას იარაღი **ო**შკაცმა?“ (გაბ., 168,26); **იონა←ივანა**; **იონეური ←ივანეური**: ...**იონამ** ჯვართ ჯორკი შაუკრა (გაბ., 167,10); ...ამ **იონასაც** ჭშირად უვლავ, ცნობილ ქისტებს (გაბ., 175,12); **იონა** (გაბ., 170, 12—13); ...თეთრაულთ **იონეურმა** გულს დარდი აიშალაო (გაბ., 168.10); ...დისწულ ორ **იონეურთა** (გაბ., 181,13); **იონეურმ** (გაბ., 168, 13—14).

განხილულ შემთხვევებში -ვა→ო პროცესი ახასიათებს პირაქეთულ-არხოტულ კილოკავს. შატილურ-მიღმაჭეურისთვის ზემოთგანხილული პროცესი უცხოა. მხოლოდ ორად ორ ზმნაში („ვარ“ და „ვალ“ ზმნებში) შატილურ-მიღმაჭეური კილოკავის წარმომადგენელთა სამ სოფელში: ლებაისკარსა, კისტანსა და გურო-გიორწმიდაში -ვა→ო: **წავალ → წაოლ → წოოლ, მავალ→მაოლ→მოოლ, ვარ→ორ**. გეოგრაფიული სახელები **არხოტი** და **აჩხოტი** არხოტელთა მეტყველებაში ხშირად გვხვდება **არხვატ, აჩხვატ** ფორმით: **არხოტ** (გაბ., 165,3); **არხოტის** (გაბ., 125,20); **არხოტში** (გაბ., 127,35); **არხოტულ** (გაბ., 133,4); **არხოტივნები** (გაბ., 133,5), მაგრამ იქვე: **არხვატა** (გაბ., 212,4; 215,21); **არხვატში** (გაბ., 125,6); **არხვატ** (გაბ., 121,21); **არხვატივნების** (211,5)...

შატილელ-მიღმაჭველები ყოველთვის **არხოტ**-ს ამბობენ. ამოსავალი ეს ფორმა უნდა იყოს: **არხვატ**-ფორმა რომ ყოფილიყო ამოსავალი, შატილელ-მიღმაჭველების მეტყველებაში შემოგვენახებოდა იგი: -ვა -ო-ს არ მოგვცემდა მათს მეტყველებაში. როგორც ჩანს არხოტელთა მეტყველებაში -ო დაიშალა და მიეიღეთ საწინააღმდეგო პროცესი -ო→ვა.

შატილურ-მიღმაჭეურ კილოკავში -ვა→ო პროცესი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა -ვ მოდის -უ-საგან. საერთოდ -უა→-ო პრო-

ცესი უფრო ბუნებრივი და ბოლომდე გატარებულია ხევსურულში: **სიტყო** ←**სიტყუა**: ...**სიტყო** ამოზდის ცდისაო (ხევს. პოეზ., 104, 10); ...არც ვინ მყავ ძმა-სახლისკაცი, რო კა ვინ მითხრას **სიტყვოი** (ხევს. პოეზ., 630,5); **სხო** (←**სხუა**): ...**სხო** საქმე რა მიკეთდების... **სხოდ** კი კარგია რუსეთა... (ხევს. პოეზ., 451,2...4); ...ბევრკან **სხოკან** ქნეს ზიანი (ხევს. პოეზ., 181,11); ...ქალუნდაური ...**სხონაირად** გაჰდებოდ (გაბ., 158,24)[ბ]. **სომს**←**სუამს**: ...დანას მაუსომს თავზე (გაბ., 131,1); გაუსვ-**გამოუსომს** (გაბ., 123—8); **ჩავსომთ** (გაბ., 130,26); ...დაზდებს პირს თასს, ცოტას **შასომს** და იტყვის... (გაბ., 126,21); [შდრ. ფშ.: ...დღეში წყალსა **ვსომთ** ერთხელა (რაზიკ., 231,197); ...კიმილსა **სომდი**—ტკბილ იყო, პაპიროზ რადღა გინდოდა? (რაზიკ., 108,13)].

სცოვ (←**ს-ცუ-ავ**): ...შაეი ას რკინასავითა, შაეი **ჩაუცომ** ტანზედა (გაბ., 204,7); ...ქალებს ჰრელებ კაბები **სცოვ**, ბუბულაით ნაყიდები (ხევს. პოეზ., 403,1).

ართომს (←**ა-რთუ-ამ-ს**): „...ფასს არეის **გამაგართომ** და რა გინდათ სხვაიე?“ (გაბ., 188, 18—19); ...**ჩამაართომს** ჭელს (გაბ., 138,13); ...ნასპინძელ **გამაართომს** არაყიანს ქინთს (გაბ., 128,20); [შდრ. ფშ.: .. თორო წაგართომ ძალითა... (რაზიკ., 164,159); ...მართომდა, არ იჯერებდა... (რაზიკ., 70,142); ...ვერც ვინ წაართომს დიაცსა, ვერც ვინ შინ წაბაუხდება (რაზიკ., 119,91)].

უთქომ (←**უთქუამ**): ...**უთქომ**: „აბა, აის ჭმალი ამააგი, ხო არ დაიჯანგავ“ (გაბ., 157,11); ...ორ სიტყვა **უთქომ** ნათულას, გასცილებივას წამზედა... (გაბ., 104,21); [შდრ. ფშ.: ...ბევრია გამოსადეგი, ვაჟიკავ, შენი **ნათქომი** (რაზიკ., 189,6)].

საინტერესოა ფორმები: **გვოქ** (←**გუაქუ**): ...ჭმლის მეტ რაი-**გვოქ** თქვენდ მასაცემი? (გაბ., 146,23); ...ის ეხლადაც იქავ **გვოქვ**, ვინახაეთ (გაბ., 157,27); ...ვისაიც ჯავრი-**გვოქვ** ...მიეალთ იმათ ახლოს (გაბ., 157, 33-34); ...თათრების მოლოდინი **გვოქვ**, განთ ვსხეეართ ლუდის სმაზედა? (გაბ., 163,9).

უთქვომ (←**უთქომ**←**უთქუამ**): ...მაშინ ერთჴმად **უთქვომ** ხალხს (გაბ., 163,3); ...ამ იოსებას ახლა **უთქვომ**... (გაბ., 180,9).

ამ ფორმებში **ვ** გვიანაა გაჩენილი, გაჩენილია მას მერე, რაც **-ვა**→**ო** პროცესი უკვე მომხდარი იყო.

[ბ] შდრ. მოხეური **ცხო** („სხვა“) და **უცხო** (←***უცხვა**←***უ-სხუა**?); **სხ**—**ცხ** პროცესისათვის შდრ. ქართ. **მხალი**, ჰან. **ცხული**, სვ. **ოცხ**. ასევე **ცხედარი** უნდა მოდიოდეს ***სხედარი**-დან. ამოსავალში შეიძლება პრეფიქსიანი ***ხა-სხედარ**-ფორმაც გვქონოდა (შდრ. **ხაცხოვარი**—**ცხოვარი**); მნიშვნელობის ცვლა ასე წარმოიდგინება: ***(ხა)სხედარი**, ე. ი. **ხკამი**—**ხკამ-ლოგინი**→**ლოგინი**, **ტანტი**...

-უა→ო ფშაურისთვისაც არის დამახასიათებელი და ნათიულურ-გუდამაყრულ-მოხეურისთვისაც. საინტერესოა, რომ არის ერთი წყება სიტყვებისა, რომლებშიაც -უა→ო პროცესი დასახელებულ დიალექტებში ხორციელდება, ხევსურულში კი—არა. აი, ზოგი მათგანი: **ზოვი** (←**ზუავი**): ...**ზოვი** გაგისქდა მთისაო (რაზიკ., 41, 57); **ზოვს** (რაზიკ., 104,99); **ზოვმა** (რაზიკ., 88,26); **ზოვო** (რაზიკ., 42,57). **ქობი** || **ქობა** (კნინ.) (←**ქუაბი**): ...**ქობა** ცეცხზე ჰკიდიაო (რაზიკ., 233, 204); **ყოილი** (←**ყოვილი**←**ყუავილი**←**ყუავილი**): ...ანა მქნა ვარდი **ყოილი**, რო პირზე დაგეყრებოდი (რაზიკ., 150,76); **საკომი** (←**საკუამი**): ...ბევრ ბოსლის კარა გააღე, ბევრგან ახადე **საკომი** (რაზიკ., 189,6); შდრ. სალიტერატურო ქართულის **კომლი** („ოჯახი, მოსახლე") და ხევს. **კვამლი** (იმავე მნიშვნელობით და ბოლის მნიშვნელობით). **ხოვი**←**ხუავი**: ...მოვიდა **ხოვი**, ყორანი, სომდენ და არა შრებოდა (რაზიკ., 251,288). **ჯორობა** (←**ჯუარობა**): ...წამოხვალ **ჯორობაშია**, ბიჭებსა ჰნახავ ბევრსაო (რაზიკ., 164,164). ჩამოთვლილი სიტყვებით აღნიშნული დიალექტები უპირისპირდებიან ხევსურულს, მაგრამ არის რამდენიმე სიტყვა, რომლებითაც მთიულურ-გუდამაყრულ-მოხეური უპირისპირდებიან ხევსურულსაც და ფშაურსაც: ამ ორ უკანასკნელ დიალექტში არასოდეს არ შეგხვდებათ **თოლი** (←**თუალი**), **ცხორი** (←***ცხუარი**←**ცხოვარი**), **კოლი** (←**კუალი**), **ღორი** (←**ღუარი**)... სიტყვები. ეს სიტყვები ფშაურ-ხევსურულში ახლა მუდამ **თვალი**, **კვალი**, **ცხვარი**, **ღვარი**-ფორმით გვხვდება. როგორც ჩანს, ზოგ ამ სიტყვათაგანში -უა→ო პროცესი ხევსურულსაც არ ეუცხოვებოდა: „**თოლი**" არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს **თორპილი** (←**თოლ პირი**←**თუალ-პირი**), „**ღორი**" არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს **ხალორე** (←**ხალუარე** „წისქვილის ქვედა სართული", შდრ. მთიულური სოფლის სახელი **ნალორევი**←**ნალუარევი**), „**კოლი**" არ დასტურდება მაგრამ დასტურდება **კლოვ** (←***კლუავ**←**კუალავ**←***კუალავ**) და **კლოოდ** (←***კლუავად**←**კუალავად**←***კუალავად**).

ვე : ო: ქოოდ (←**ქუეოდ**←**ქუე-ოდე**, „მთლად, სრულიად"): ...იქნებ **ქოოდ** ბეჩავ ვაჟზე მზის ფერ ქალ დალიშნან (გაბ., 133, 32); ...თუ ჰირის პატრონ **ქოოდ** ბეჩავ არ ას, მაუკლავს არ გაუშობს (გაბ., 136,24). **გაუშობს** (←**გაუშვებს**): ხევსურულში მხოლოდ **გაუშობს**, **გასაშობი**, **გაშობილი**... ფორმები გვხვდება. **ქოყანა**: ...არც ქოოდ მარტუაი ორ მავალი **ქოყანაზედა** (ხევს. პოეზ., 520, 37); **ხოყანა** (←**ქოყანა** „ხალხი, მასა"): ...მაგას **ხოყანას** ვინ ხკითხავს, მე თაო არ ვიცი? [შდრ. ფშ.: ...რაღა ჩვენდ არი ცუდი გზა სუ აქეთ დადის **ხოყანა** (მივლ. მას.)].

ო→ვე: **ვერაგული** (←**ორაგული**): „...წავალ, წავალ!“—თევზი იძახს, „არ გაგიშობ!“—**ვერაგული** (მიცვლ. მას.).

ვი→უ: ბეს. გაბუურის ტექსტებში სამჯერ გვხვდება **სურუ-ლი**-ფორმა **სურვილ**-ფორმის ნაცვლად: ...ვინ იცის, გამახელასა თუ **სურული** კლავს ქალზედა! (გაბ., 204, 18); „...გასაოკრები **სუ-რული**, რამ გააჩინა ქალია?“ (გაბ., 206, 31); **სურული** (გაბ., 248, 13); ასეთი ფორმა ჩვენ სხვაგან არ შეგვხვედრია. ეს ან ინდივი-დუალური მოცდენაა, ანდა -**ვი→უ** პროცესი ხევსურულში ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური პროცესი არ არის.

თანხმოვნიანი კომპლექსების მონაცვლეობიდან ხევსურულში უნდა აღვნიშნოთ:

სძ→ზ: **ზისვარი** (←**სძის ცვარი** „რძე“): ...ქოროც დაძღებოდეს, ერთ **ზისვრიან** ქვაბ ამახვრიტეს; ...მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო დუმას **ზისცვარში** ხარშავდაეო? (ეთნ., III, 1,4); ...საჭიროს არა გეგონას კოხტა ყენება თმისაო, **ზისცვრით** ველ-პირის ბანაი, თეთრება თორ-პილისაო (ხევს. პოეზ., 365, 16); ...როსაც **ზისც-ვართ** დღეებდ, ეს ეშმა თუ წავიდოდ წყალზე (გაბ., 156, 16—17); **ზაზეური** (←**სასძეური**, „ნაღების ჭურჭელი“): ...**ზაზეურ** ამევს, ზისვარნ მჭონ დასადღებნ; **ზალი** (←**სძალი**): ...მამიდო, დაგი-ლეგდა **ზლებოო** (ეთნ., III, 50,1); ...ღმერთმ გიყოსთ თავის გუ-ლისა თავის ქალსთანა, **ზალსთანა**! (ხევს. პოეზ., 593, 10); ...ეტყო-დიან ქალასაო—ასმენდიან **ზალასაო** (ანდაზა); ...**ახალ-ზალ** მაუყვა-ნავის, აქორწილებდეს ბერასა (ხევს. პოეზ., 545, 3).

თს→ც: **ერცხვა** (←**ერთ+სხვა**): „ერთმანეთ“-ის გვერდზე ხევ-სურულში გვხვდება **ერცხვა**: ...არიქათ, უშველეთ, **ერცხვას** კო-ცენ! ...**ერცხვას** რას ემდურით, რა გაქვთ **ერცხვისად** სამდურავი? ...**ერცხვის** ჯავრ შვირს; დაბეჭდილ ტექსტებში „ერთ-სხვა“ გვხვდე-ბა ეს „სწორად“ ჩაწერის გამო ამოტივტივებული ფორმებია, თო-რემ ხევსურისთვის ჩვეულებრივია „**ერცხვა**“. **ერთმანეც** (←**ერთმა-ნერთს**): ...დასჭრიან **ერთმანეც** (გაბ., 140, 3); მიცემით ბრუნვაში **ც** ფუძისეულადაა ხოლმე გაგებული და განმეორებით აქვს მიც. ბრ. ნიშანი დართული: ...ბევრ ქვეც კლავს **ერთმანეცს** (გაბ., 124, 28); ...ჭოცენ **ერთმანეცს** (გაბ., 188, 32); ...გაბურთ **ერთმანეცს** უთხრეს (გაბ., 170, 25).

ერთუც (←**ერთურთს**): **თს→ც**, მაგრამ შემდეგ **ც** ფუძისეულად არის გაგებული და განმეორებით ხდება ბრუნება: **ერთუცი**, **ერ-თუცს**, **ერთუცისა**, **ერთუცისად** (მიცემით-სახელობით-ნათესაობით-ვითარებითი!): ...ქისტებ ეტყოდეს **ერთუც** (გაბ., 175, 7); ...ხალხ **ერთუცაც** აღარ აცლის სრევას (გაბ., 148, 15—16); ...მაშ სოფელ-

თუ ერთუც არ შაეწიენით, რაად უსახლიორთ ერთუც (გაბ., 129, 29—30); ...ძალიანაც რო უყვარდას ერთუცი (გაბ., 157, 34—35); ...ერთუცში სასაუბროდ გახჭდიოს (გაბ., 162, 24); ...ხჭონივ ესრ ერთუცსთან გაცნობა (გაბ., 175, 10); ...ერთუცს დაერევით (გაბ., 123, 29); „...ბევრ აეს დრო მაგგვარასთ ერთუცის სიცოცხლისა (გაბ., 126, 18); ...დგას ...ერთუცის კოცნა, ხვევა (გაბ., 145, 10); ...ერთუცის თავსა გვანატრებენო (ეთნ., III, 8, 12).

დს→(→ˀთს)→ც გვერც(←გვერდს): ...გვერც უდგას არაბუ-ლისძე, ვენაცვლე გულსა ყმისასა (ხევს. პოეზ., 267, 3).

სტ→შტ: მუჯლის **კვიშტავი(←მუჯლის კვირისტავი←მუჯლის კვერისთავი)**: ...მუჯლის **კვიშტავ** მიეგალ ქვათა' ქოო სულ გა-მიწყდ, აისრ მეტკივნ! **სტ→შტ** რუსული წარმომავლობის სიტყ-ვებში: **შტოლი** (стол): ...შტოლზე დავწერა ქაღალდი (ხევს. პოეზ., 347, 4); **პრიშტავი** (ბოქაული, пристав): ...ჯარი შაუყრავ **პრიშ-ტავსა** (ხევს. პოეზ., 537, 2); ...აფშინა დაუბარებდა: „ა დედას მტრისას **პრიშტავსა**! გუროს ჩამეედ, **პრიშტავო**, ძროხათ რადა ხჭოც სხვისათა?“ (ხევს. პოეზ., 537, 4, 5); ...რად იარები, **პრიშ-ტაო**, კვირაისთაო, დღისთაო (მიელ. მას.).

რს→რც: **არცა(←არცად←არ სად)** ...შენ იმას არ ხარ შამს-წვრალი სახლში ფურ **არცა** გზვებია (ხევს. პოეზ., 675, 15); „არ-ცა“ აქ ნიშნავს „არასოდეს“, შდრ.: „...ჩუენ ნათესავნი აბრაჰამის-ნი ვართ და **არასადა** ვის ვჰმონებდით!“ (ინ., 8, 33); [ფშ.: ...იმათ ნათიბი **არცადა** ჩან (რაზიკ., 88, 24); **აღარცად(←აღარ სად)**: ...წი-თელ ცხენ **აღარცად** არი (რაზიკ., 179, 256)]. ხევს.: **აღარცად** (გაბ., 255, 34); **აღარცაით (←აღარ საით←აღარ სადით**, გაბ., 217, 33); **ვერცად (←ვერ-სად)**, **ვეღარცად (←ვეღარ სად)** და ა. შ.

VII. აფრიკატიზაცია

ხევსურულში შეინიშნება ზოგიერთი ბგერის აფრიკატიზაცია:

ზ→ძ: **საგძალი (←საგზალი)**: ...დილა მალედ, ღამიანად ჩაი-დევს **საგძალი** (გაბ., 176, 30); ...ადგეს, ჩაიდევს **საგძალი**, ძალი აქსენეს ღთისაო (ხევს. პოეზ., 174,8); ...ადგა, ჩაიდვა **საგძალი**, მაზვერვა სწადის მთისაო (ხევს. პოეზ., 677, 2); ...ცოლი დაუც-ხობს **საგძალთა** (ხევს. პოეზ., 263,4); ...ცოლო, დაუცხვენ **საგძალნი** (ხევს. პოეზ., 234, 4); [ფშ. ...თქვენ ჩამიდევით **საგძალი** (რაზიკ., 63, 129)].

ხამძღვარი (←სამზღვარი „საზღვარი“): ...იაპონიის **ხამძღვარი** საყარაულო ჩვენია (ხევს. პოეზ., 455, 5); **მჯარძე (←მჯარზე)**, **წელ-ძე (←წელზე)**: ...**მჯარძე** თოფ გადაიკიდა, **წელძე** გახყვება ხანჯა-

რი (ხევს. პოეზ., 201, 6); **ბერძიმ** (←**ბენძიმი**←**ბენზიმი**←**ბენზინი**, რუს. бензин): ...**ბერძიმის** სულს ვერ იტანს; რას ამბობ, განა **ბერძიმი**, რო ეგრ ჩქარა მეეკიდას ცეცხლს; **გიძი** (←**გილძი**←**გილზი** (რუს. გზით: гильза): ...ახლა მოგონობს გზაზედა: „**გიძი** მაქვ დასათვლელია“ (ხევს. პოეზ., 216, 23).

ჟ:ჯ: პატიჯი (←**პატიჟი**): ...მტირალსა ტირილს ნუ **ხპატიჯებთო** (ეთნ., III, 35, 1); [ფშ.: ...სწორები **მაიპატიჯა**, ქადას უპირობს ჰამასა (რაზიკ., 81, 117)]. **ბაჯი** (←**ბაჟი**): ...შამაეყარა თათარი, **ბაჯი** მასთხოვა ცხვრისაო, „მე **ბაჯს** ვერ მოგცემ, თათარო, ცხვარი მბარავის სხვისაო (მივლ. მას.); **ჯანგი** (←**ჟანგი**): ...კარგა მიყურე, ხანჯარსა **ჯანგებოდა** წვერია (ხევს. პოეზ., 455, 25); **ჯანდარი** (←**ჟანდარი**←**ჟანდარმი**, რუს. жандарм): ...ხალხ დააზრებით მაშინებს, როგორც ტუსაღებს **ჯანდარი** (ხევს. პოეზ., 226, 14)[6].

კ:წ: ხევსურულში ისევე, როგორც საერთოდ ქართველურ ენებში, შეინიშნება უკანაენისმიერთა აფრიკატიზაციის კვალი. ერთმანეთის გვერდით იხმარება ხოლმე ჩვეულებრივი და გააფრიკატებული ფუძეები:

წიწიმო←**კიკიმო**:

...მაგოდენ ტილებ ასხია, ყანას რო სთესავ თესლიო,

წიწიმოებში ჰახები, ზამთრის საქონს რო ყელჩიო (ხევს. პოეზ., 399, 7—8);

შდრ.: ...ჩემის ლექსობის კვალადა გირჩევ იბანდა თავსაო.

კიკიმოშიგით იყრევდა, ქალ, ქიქილაის ჯარსაო (ხევს. პოეზ., 600, 3—4).

წეწა←**კეკა**: ...რაის **გაწეწილი** ე ჩალა? შდრ.: ...ჩამაგიშილა მიწამა! **გადაგკეკია** ცხვირ-პირი (ხევს. პოეზ., 369, 7); ...კალოთანელთ მუშანი-ხყეან, დადგა მატყლის **კეკაიო**... (მივლ. მას.).

ტ:წ: **სა-წვირთო** (ერთი ბარგი თივა აგებული)←**სა-ტვირთო** (შდრ. გურ. **ჭვირთი**): ...დღეს კარგა ვიმუშეეთ, ოცდაათ **საწვირთო** ავაგით (მივლ. მას.).

VIII. დეზაფრიკატიზაცია

დეზაფრიკატიზაციის შემთხვევები ხევსურულში ხშირი არაა. **ძ**→**ზ** სონორ თანხმოვანთა და **ლ**-ს მეზობლად. როგორც ჩანს, დეზაფრიკატიზაცია მაშინ ხდება, როცა აფრიკატი მჟღერის მე-

---

[6] შდრ. ა. შანიძე ამ სიტყვის შესახებ, ხევს. პოეზ., გვ. 474.

ზობლად მოხვედება: **ზღვენი** (←**ძღვენი**): ...უღელნ-ჯარნ წამაიყარნა, ხატში მიუდის **ზღვნებია** (ხევს. პოეზ., 673, 8); **ანდრეზი** (←**ანდერზი**←**ანდერძი**): ...ნაქნარი ალუდაურის **ანდრეზად** არ ითქმისაო (ხევს. პოეზ., 103 16); **მზორი** (←**მძორი**): ...ძაღლებ მირგელივე ეხვეოდეს, **მზორი** ედვა გამახრული (ხევს. პოეზ., 222,9). **მზევალი** (←**მძევალი**←**მძე**+**ვალი**, თუ **მ-ძევ-ალ-ი** „მძებნელი“, თუ **მ-ძევალ-ი** „რაც ძევს, რაც დევს“?): ...ბაისერს წიგნ მაუპარავ კურდღელს წერებცანცარასა, დუშმანიმც დაუმძახლდების ეგეგთას კანტალასა; თუ კიდეე აქ შამაჩინდა, გადაუდებ შაშხანასა, მემრ კი ბეწვთაც არ ავიწვდი—**მზევლად** ვიქერ ბაჭყალასა (მივლ. მას.). **მზევალა** (←**მძევალა**←**მ-ძევ-ალ-ა** „ჰია-მაია“): ხევსური ბავშვები ჰია-მაიას დაისვამენ ხელზე და უმღერიან: „იქ გაფრინდი, **მზევალაო**, სადაც ჩემი ცოლიაო (‖ ქმარიაო)“... ე. ი. ამ მწერს საბედოს **აძებნინებენ**, ამიტომ მისი სახელი **მზევალა** ნამიღებარი სახელი (**მძევალ-ა** „მძებნელი“, ხევს. „მძეველი“) უნდა იყოს (შდრ. **მძევალი** ხევს. **მზევალი**).

IX. ბგერათა განვითარება

ხევსურულში საკმაოდ ხშირია ბგერათა განვითარების შემთხვევები.

ვ: **ბუღვა** (←**ბუღა**): ...ჴეჯი ძის იოსებაი, **ბუღვა** ბუბუნებს ჯარია (გაბ., 180, 5); **ბურთვი** (←**ბურთი** შდრ. ლიტერატურული **ბირთვი**): ...შენად სამთავროდ, შენად გასამარჯვოდ, ციხეთ-გორ **მაბურთვალო** ანგელოზო (მივლ. მას.); ...ოქროს **ბურთვითი** ვაჟა ხყვანდ სანდუას (მივლ. მას.); [ფშ.: ...ანა მქნა ოქროს **ბურთვაი**, კალთაში ჩაგეშლებოდი (რაზიკ., 150, 76)].

უბოძვიდით: ...ის წყალობა **უბოძვიდით** (ეთნ., I, 12); **ჩოჯვის-ძველნი**: ...ეეწ დამალულმ ჩაიცვნას დიაცის **ჩოჯვის-ძველნია** (სევს. პოეზ., 678, 14); ...მადიან, მოეჩრებიან დოსმასნი **ჩოჯვის-ძვლიანნი** (ხევს. პოეზ., 650, 7); **შასწვრობა** („შესწრება“), **მასწვრობა** („მოსწრება“): ...თუ ამ არხოტივნებმ ციხე-სიმაგრეებში **შაგვასწვრეს**, მაშინ ჩვენ გამარჯვება გაჭირდების (გაბ., 165, 36). არის ამ ზმნიდან გაკეთებული საკუთარი სახელი **მამესწვერა** ‖ **მამასწვერა**: ...დადგა ქალების წკმუტუნი: „ვერ ვიქერთ **მამასწვერასა**“ (ხევს. პოეზ., 545, 25); [ფშ.: ...ბევრსამ აღდგომას **დაგასწვრათ**, წელწადს და ქრისტე-შობასა (რაზიკ., 205, 61)]. **ნაბუდვარი**: ...ისევ იზრდების მგლის ლეკვი არწივთა **ნაბუდვარშია** (გაბ., 173 5).

ვ ჩნდება **ო**-ს წინ და ხმოვანთგამყარის როლს ასრულებს: **უსაკადრევოდ**: ...ნუ სთოფავთავ, **უსაკადრევოდ** ნუ გახჴდითავ!

უსაკადრევო გაჯდილ არ მინდავ ძმის უნცროსადავ (გაბ., 179, 6). **უდროვოდ**: ...არხოტიონთ ბევრა ქისტ ჩააძმარეს **უდროვოდ** (გაბ., 170, 9).

უ-ზე დაბოლოებულ ერთმარცვლიან სახელებს ბოლოში **ვ** მიერთვის: **ბუვი**: ...**ბუვის** ბუთუნ საითამ მადის; **ყრუვი**: ...**ყრუვ** ხო არ ხარ, რო გეუბნებ, არ მაგდისა? **ძუვი**: ...ე ლეკვა **ძუვია** თუ ხვადი? და ასე: **ცრუვი** („წყლული, ჭრილობა"), **ყუვი** („ყუა", „გზის მოსაბრუნი") და სხვ. [შდრ. ფშ.: ...ქალ-ვაჟთა მდომიარეთა ხალხი ბრმა-**ყრუვი** ჰგონია (რაზიკ., 122, 128); ...რა გაჰჭრის კუ**ვის** ბაკანსა დედალი მისრულის ჭეტი? (რაზიკ., 125, 130); ...შენ საშაირებ არა ვარ, შენისთანაის **ცრუვისა** (რაზიკ., 215, 127); ...რა **ღრძუვი** გული გქონია, ენა გდებია ორ-პირი (რაზიკ., 166, 175)].

მ: **სამდღეგძელო**: ...დავლიე **სამდღეგძელოი** (ხევს. პოეზ., 338, 4); **სამდღეგძელოი** (ხევს. პოეზ., 215; 15); **მემცხვარე**: ...იმ**ღერენ მემცხვარეები**, ვითამ დღეობის პირია (ხევს. პოეზ., 469,6); ...უნდოდა დაებალითნეს, **მემცხვრისად** დაერიალა (ხევს. პოეზ., 206, 7; შეიძლება აქ იყო: „მემრ ცხვრისად"); [შდრ. ფშ.: **მტავრო**←**ტავრო** (←ბაცბ. **ტარრ** ხელის გული, მუჭი): ...**მტავროთ** დაგაყრის წამალსა (რაზიკ., 105, 100)].

ტუმბო („მორევი, გუბე"): ეს იგივე **ტბა**(←***ტაბან**) სიტყვაა, შდრ. სვანური (ბალსზემოური) **ტომბ** („ტბა"). აქაც და იქაც **მ** განვითარებულია. შესაძლებელია ამავე სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობა იყოს ძვ. ქართული **წუმბე** („მყრალი ლაფი ფინთი"—საბა) **ტ** და **წ** ბგერათა მონაცვლეობისათვის შდრ. **ტვირთი**(←**ტირთუნი**) და ხევს. **საწვირთო** („ერთი ბარგი თივა აგებული"), გურ. **ჭვირთი**.

ნ: **ჰანდარი**: ...ტბით გამოვარდა ვეშაპი, როგორც **ჰანდარი** ტყისაო (ხევს. პოეზ., 93, 12); **ონჩხარა, ონჩხარი**: როგორც გ. მაჭავარიანმა მიგვითითა, ეს სიტყვა სომხურის გზით მოდის: სმხ. *ոչխար* („ცხვარი"); სომხურში იგი ზანურიდან უნდა გადასულიყო: ზანური **ოჩხარ** ქართული **საცხოვარ**-ის კანონზომიერი შესატყვისი იქნებოდა. ასეა თუ ისე, **ნ** ამ სიტყვაშიაც გაჩენილია: ...ბაბუკიმ შამაიარა **ონჩხარაითა** ქვეყანა (მივლ. მას.); ...გაჭირებულ კაც იქამს **ონჩხარს** (გაბ., 129, 18); [შდრ. ფშ. **დახლინდარი** ...შიგ ოროლ **დახლინდარი** ჰყავ, წკაპა-წკუპი დგა ჩოთქისა (რაზიკ., 189, 7)].

რ: **ხიფართი**: ...ეს დროშა ბევრს **ხიფართს** აშორებს ხალხს (გაბ., 124, 20); ...ჩემსამც მაუვა დამწუევსა **ხიფართი** ეშმაკისაო (ხევს. პოეზ., 517, 10); **კირცხვა**: ...მაგას **გვეკორცხვენ** სხვანია,

(ხევს. პოეზ., 224, 42); **აფთრიაქი**: ...აფთრიაქჩი წავიდეს წამლებსთან; [შდრ. ფშ. **რორცა**: ...შენს სახელს **რორცა** მეტყვიან, მე სამჯერა ვკმეჭ მიწასა (რაზიკ., 163, 155); ...მოვკლათ ბუკუურათ ბერაი, **რორცა** მოვალის ცხელი დღე (რაზიკ., 86, 14)].

ხ მ ო ვ ნ ე ბ ი დ ა ნ ყ ვ ე ლ ა ზ ე ხშირად ვიწრო ხმოვანი **ი** ვითარდება. **ი** ვითარდება ორ თანხმოვანს შორის მოქცეული **რ**-ს წინ. თუ ამ თანხმოვანთაგან რომელიმე ბაგისმიერია, **ი→უ**. **ი**-ს ნაცვლად **უ** გვხვდება მაშინაც, როცა სიტყვას **უ**-ს შემცველი რომელიმე სუფიქსი მოსდევს (**-ულ, -უჯ...**). ასეთ ფუძეებში აქა-იქ **ო**-ც გვხვდება ხოლმე. **ო** ჩვეულებრივ ისეთ ფუძეებში გვხვდება, რომლებიც რედუპლიცირებული ძირები ჩანან წარმომავლობით (**გორგოლ-ა←გორგორ-ა...**). ამდენად **ო** შეიძლება ოდინდელი, ფუძისეულიც იყოს. შესაძლებელია იგი ზოგჯერ **-ოლ** სუფიქსის ასიმილაციითაც არის გაჩენილი სიტყვის ფუძეში. რაც შეეხება **ი** ხმოვანს, იგი ყოველთვის გვიან განვითარებული ჩანს **რ**-ს სონორობის ხარჯზე. ქვემოთ **ი** და **უ** ხმოვნების განვითარება ერთად იქნება განხილული, ვინაიდან ეს ხმოვნები ერთსა და იმავე სიტყვებში გვხვდებიან ხოლმე და ხშირად **უ** **ი**-დან მიღებული ჩანს.

ხშირია **ი**-ს (resp. **უ**-ს) განვითარება უკანაენისმიერ თანხმოვნებს შორის მოქცეული **რ**-ს წინ:

გირგოლი←გრგოლი[7] („ილეკრო მოგრგუალებული"—საბა): სალიტერატურო ქართულში გვაქვს **რგოლ-ი**. **რგოლ**-ში პირველი **გ** რეგრესული დისიმილაციითაა დაკარგული[7].

...ფარის **გირგოლი** გააწყვეტინა, შაჯან, გაგიწითდა ბჭარიო (ხევს. პოეზ., 110, 11); შდრ. ქიზიყური: „**გრიგვალი**—გრგოლი, რგოლი"; „**გურგალი, მგურგალი**—მრგვალი" „მრგვალი იზმირი, **მგურგალი** იზმირი—დურგლის იარაღი..."[8] შდრ. ზემოიმერული: „**გორგოლა**—მრგვალი პური, შუაში მრგვლად ამოჭრილი"; **გრიგალი** 1. ჰილობის ნაწიბური. 2. წნული სასიმინდის ერთგვარი სახეა: როდესაც სასიმინდე უკვე მოწნულია, ზევიდან გადაავლებენ წნელს, რომელიც ერთგვარ ხვეულ ტეხილ ხაზსა ქმნის"[9] (ბ. წერ.).

შდრ. საბა: „**გრიგალი**—დახვეული"; „**გორგალი**—ნასთი დახვეული"; შდრ. ფშ.: „**გურგულა** პურის გული" (ჟყ.); შდრ. გურ-

[7] გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 345.

[8] ქიზიყური მასალა დამოწმებულია დოც. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს „ქიზიყური ლექსიკონი"-დან.

[9] ხ.-იმ. მასალას ვიმოწმებთ ბ ე რ ე თ ლ ი ს „ზემო-იმერული ლექსიკონის" მიხედვით.

გუში/აი—კურკუშელა, დაგუნდავებული რამ, მაგ. „თავსაბანი მიწის გუნდა“ (გ. შარაშ.); ხევს. **გურგუსელა**—აგორებული, წაგრაგნილი რამ (მაგ. თივა და მისთ.); შდრ. სვ. **„გირგითოლას ხაგხ“ = „ორომტრიალი უდგათ“**.

ფშ.: **სიგრიგელა**—ორომტრიალი, ჩხუბი (ჟყ.); ხევს. **სიგირგელა || სიგირგალა**—ორომტრიალი, კოტრიალი: ...სამაია ჩაგამბიეს იქნა **სიგირგალაიო**“ (ხევს. პოეზ., 583, 10); აქედან ხევს. საკუთარი სახელი **სიგირგალი**: ...ნეტაე სიგირგალ მანახვივაო... (ეთნ., III, 59, 6); ხევს. **ღურღუჭელა** (შდრ. **გურგუსელა**, სვ. **გირგითოლა**)—მრგვალად დაგუნდავებული ცომი, რომელსაც წყალში ხარშავენ და ჭამენ. შდრ. აგრეთვე **გვირგვინი**, რაც შეიძლება ამავე ძირის ლაბიალიზებული ვარიანტი იყოს[10].

ჩამოთვლილი ძირები: **გრგ-ოლ-, რგ-ოლ-, გირგ-ოლ-, გრიგ-ოლ-, გრიგ-ალ-, გირგ-ით-ოლ-, სი-გრიგ-ელ-, სი-გირგ-ალ-... გურგ-ულ-, გურგ-უს-ელ- || გურგ-უშ- || კურკ-უშ-ელ || ღურღ-უჭ-ელ... გვირგვინ-...**, ერთი და იმავე ძირის ფონეტიკური სახესხვაობები ჩანს. ისინი განსხვავდებიან სუფიქსითა და **რ**-ს წინ ან მიმყოლ გაჩენილი ხმოვნით (-ი-, -უ-,); წარმომავლობით ეს სიტყვა ორფუძიანი უნდა იყოს (**გორ-გორ?**), მაგრამ შემდეგ პირველ ფუძეში ჩავარდნილა ხმოვანი და შექმნილა თანხმოვანთა კომპლექსი **გრგ**. შემდეგ **რ**-ს სონორობის ხარჯზე ჩნდება **ი**, აქა-იქ დასტურდება უ-ც.

გირკ-ალ-ი←გრკალი←კრკალი „მობოკლვილი ხე და რჭა მოდრეკით გარდაბმული“—საბა); რეგრესული დისიმილაციური კარგვით სალიტერატურო ქართულში **გრკალი→რკალი** (შდრ. **გრგოლ→რგოლ-**); ხევსურულსა და ფშაურში გვაქვს **გირკალ-ი**; ხევსურულად „გირკალი“ რკალიც არის და მსხვილფეხის დასაბმელი ერთგვარი „მობოკლვილი ხეც“:... იშლების ცეცხლის **გირკალი**, ვითა ელვაი, გელდება (ხევს. პოეზ., 137, 10); ...მაგრიდეს ნისლის კოტორთა, ცეცხლის **გირკალი** მაგება (ხევს. პოეზ., 507, 4); ჯარჯ-**გირკლიანებმ** მიბარეს: „თავ დაანებე კალამსა“ (ხევს. პოეზ., 563, 3);

შდრ. ქიზიყ.: **„კრიკალი**—საცრის, ცხრილისა და ცხავის ხის რკალი“; ბერ.[11]: **კირკალი**, ჯანაშვ.[12]: **კირკალ**; ქიზიყური **„კრიკალ“**-ში

[10] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. 1942, გვ. 48.

[11] ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის-კონა იმერულ-რაჭულ თქმათა, С.-Петербург, 1912 (Материалы по яфетическому языкознанию, VI).

[12] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, III, ლექსიკონი, ძველი საქართველო ტ. II, თბილისი, 1913.

ი რ-ს მოსდევს, სხვა დიალექტებში იგი რ-ს წინ განვითარებულა. ეს სიტყვაც პირველად ორფუძიანი უნდა ყოფილიყო (*კარ-კარ→*კარ-კალ ←კრკალ?).

კირკალი←კრკილი („ჴმელთ ჴორცთ განწრყუნელი ჲუა"—საბა); მნიშვნელობა ხევსურულშიაც იგივეა. გურულში დასტურდება ამ ფორმიდან რეგრესული დისიმილაციის გზით მიღებული რკილ-ი: „დარკილული—რკილისგან დახრული ფიცარი" (შარ.[13]); (იხ. აგრეთვე „ჩრჩილი").

გურგუალ-ი—გრგვინვა [„ჴნაჲ რაჲმე საზარელი მიწის ძრვისა (მიწის ძრვასა სდევს B) და მისთანანი"—საბა]; „კრკინვა—გრგვინვა (გრკინვა B)"[14]—საბა; შდრ. გურ. გურგულაი (შარ.); ინგილ. გურგური; სვ. გურგვნი („გრგვინავს"); ჰან. გურგულამს („ქუხს"); რ-ს წინ -უ ჩანს გაჩენილი.

კინკოლ←კრკოლ-ა („მოგონებული თრთოლა ტყუილი"—საბა); სიშავის გახსენებისას ან გასინჯვისას რომ გააჟრჟოლებს ხევსურს, მაშინ იტყვის „გამაკინკოლა"-ო. კრკოლ→კირკოლ→კინკოლ; სიტყვა ორფუძიანი ჩანს წარმომავლობით (*კან-კან→კან-კალ→კარ-კალ→კრ-კოლ→კირ-კოლ→კინკოლ?); შდრ. სვ. ლი-რკ-უნ-ე ←*ლი-კრკ-უნ-ე („თრთოლა, შეციებულის ცახცახი"); „ლი-რკუნე"-ში წინა კ (ლი-კრკუნე) რეგრესული დისიმილაციით დაკარგული ჩანს. შდრ. აგრეთვე გურ. მაკვარკვალებს—კბილს კბილზე მაცემინებს, მაცახცახებს.

გირკო←გრკო←კრკო (←ლათ. Quercus)[15]; სალიტერატურო ქართულში პირველი კ რეგრესული დისიმილაციით დაკარგულა: რკო←გრკო. ხევსურულში რ-ს წინ ი განვითარდა. თუშურსა და ფშაურში გვაქვს კურკო. აქ უ შეიძლება უძველესი, ფუძისეული იყოს, თუმცა არც მისი განვითარებაა დაუჯერებელი (კრკო→კურკო); თუ კრკო-ს ლათინური Quercus-იდან მომდინარეობა გასაზიარებელი მოსაზრებაა (ჩვენ კი მასში ეჭვის შეტანის საფუძველს ვერ ვხედავთ), მაშინ ეს სიტყვა თვალსაჩინო მაგალითი იქნებოდა იმისა, თუ როგორ შეიძლება ხმოვნიანი ფუძე უხმოვნო გახდეს.

---

[13] გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, 1938, (ენიმკ-ის გამოცემა).

[14] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 347.

[15] ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, I, რკო და მუხა, თსუ სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავისათვის, 1947 29/X—3/XI; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 19.

(Quercus→კრკო), ხოლო შემდეგ მასში გაჩნდეს ვიწრო ხმოვანი ი ან უ: Quercus→კრკო→გრკო→ხევს. გირკო, თუშ.-ფშ. კურკო.

ღირძება←ღრძობა („ჯელთა და ფერჭთა მოქენტა"—საბა): ...ე შავ ჭარ ფენს ველარ იჭირებს, არ ეი, ნაღირძებიოდ აქვა? ეგეეე ბგერათკომპლექსი გვაქვს დაღრძობა (=დახრჩობა) ზნნაში, რომელშიაც ხევსურული რ-ს ხან კარგავს („ყმაწვილ ტირილით იღძვების") ხან კი ინარჩუნებს: ერთიდაიმავე ფონეტიკური შედგენილობისა და სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებში სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესი ტარდება...

ღირძილი←ღრძილი („კბილთ საპყრობი კორცი"—საბა; „გრძილი ღრძილი"—საბა); ...კბილნ რაადამ ამტკივდეს, ღირძილებ მისივდების. შდრ. ჭან. ჯირჯ-ილ-ი, მგრ. ჯირგ-ილ-ი; მგრ. იღინჯგინანს (=იღრიჯება) [16].

კირთ-უნ-ი←კრთ-ომ-ა („მცირე შეხლტომა"—საბა; შდრ. კრთოლა: „მკრთოლვარე ცეცხლივით ელვარება"—საბა); სხეულის რომელიმე კუნთის ან ძარღვის თრთოლას ეძახიან ხევსურები კირთუნ-ს; დაკლული საქონლის ხორციც „კირთუნობს" ხოლმე, ვიდრე გაცივდება.

კირჩხნიალი←კრჩხიალი || კრჩხიალება („დიაცთ კივილი"—საბა); „ღაღადება"-სთან საბა წერს: „დიაცთა კივილსა ეწოდების კრჩხიალი"; ხევსურულში „დიაცთა" გამწივანი, არასასიამოვნო ხმით კივილს „ენოდების" კირჩხნიალი. დაახლოებით ამავე მნიშვნელობისა ჩანს სვ. ლგკგრჩხნე („კრჩხიალი, წივილ-კივილი");

სვანურსა და ხევსურულში ნ განვითარებულია, ხევსურულში რ-ს წინ ი არის გაჩენილი, სვანურში—გ.

კირცხილა←კრცხილა; ძველ ქართულში რეგრესულ-დისიმილაციური დაყრუებით ჭრცხილა მიიღეთ („თეთრჭრცხილა უკეთილფურცლო"—საბა); სალიტერატურო ქართულში წინამავალი კ (resp. ჭ) დაიკარგა, ხევსურულში რ-ს წინ ი გაჩნდა: ...კირცხილაჩი და თხილჩია წნელი ჯობის აკაკისა (ხევს. პოეზ., 445, 1); ფშ.: შავკდოდი კირცხილაზედა, დაჰჭროლნის, დავიჭიბოდი (მიელ. მას.); ...ემაგ ლექსაის მოთქომი კირცხილის წვერში გაევი (რაზიკ., 38, 49).

გირწყილი←გრწყილი←კრწყილი („რწყილი"): ...გირწყილებმა ქორწილი ქნეს (ხევს. პოეზ., 664, 1); ...დარდისაგან დამეხვია ტილები და გირწყილები (მიელ. მას.).

[16] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 55.

კირჩხა←კრჩხა („კაჩალოსაეით“—საბა; „კაჩალო ჯორცის საკიდარი კაპებიანი“—საბა). კირჩხა იგივეა, რაც გრჯღა („დიდთა ხეთა რა სხჳლნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გ რ ჯ ღ ა“—საბა). ხევსურულსა და ფშაურში კირჩხა იგივე „კაჩალოა“. კირჩხა-დ ხშირად იყენებენ ნადირის რქებს: ...მოიტან, ბოძზე მიაკრავ ქორ-ბუდიანის კირჩხასა (რაზიკ., 193, 16); ...ტყავ-ხორცს დუქანში გაჰყიდის, ბოძზედ მიაკრავს კირჩხასა (რაზიკ., 191, 10); ...ბევრის კალათა შავხკიდე კირჩხაზე ჩხირ-წინდიანი (ხევს. პოეზ., 523, 12).

ხევსურულში გვაქვს სიტყვა ჯღრე, რაც დატოტვილს, კაპებიანს ნიშნავს: ...საგათერებოდ შამაქდა ჯღრეი ნადირის რქისაო (ხევს. პოეზ., 513, 15); ...ჯღუნამ ჩაჭოცა ჯიქვები, ჯღრე მაიტანა რქებისა (მივლ. მას.). ჯღრე←*რჯღე←*გრჯღე (შდრ. თბე←თფე ←თრფე←ფრთე). შდრ. კახ. რჩხა, გურ. ჯღა („კაპებიანი ტოტი ხისა“).

ქირჭო←გრჭო („წუნული ლატანი“—საბა). ქირჭო დანიშნულებით და ფორმით იგივე კირჩხაა: ...დაკალულებო ქვაბებო, ქირჭოზე შაშვენებულო (ხევს. პოეზ., 615, 3); ...ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ჰერში რო ხკიდავ · ქირჭოი (ხევს. პოეზ., 630, 3). აქაც ი განვითარებულია.

ღირმა←ღრმა („ძნელი ჩასაწდომი“—საბა): ...დაღმარხეს წვეროს ძირჩია, ზე ქარაფს დასცემდიანა, კეირობდა ელიმორძაი: „რა ღირმად ჩაუყრიანა?!“ (ხევს., პოეზ., 206, 77). შდრ. ფშ. ღრიმე: ...მე, შვილო, ღრიმე ფშაურით გელაპარაკები. ინგილ. ღრუმ: ...ემი თავ ღრუმ ღელეში გადააგდით: მოკდჱს აჲქ (ქართ., დიალექტ. ქრესტ., 85, 40). შდრ. ჰან. ღორმა („ფართო ხერელი“)[17]. ი(→უ) ხმოვანი აქაც გაჩენილია.

ხევსურულში გვაქვს სიტყვა წირტა („წვეთი“). ამ ფორმის მიღება ასე წარმოგვიდგება: წრედ-ძირს უნდა მიმატებოდა კნინობითობის (მასუბსტანტივებელი) -ა, რაც -ედ სუფიქსისეული ე-ს სინკოპეს გამოიწვევდა: წრ-ედ+ა→წრდა (პროგრესული დისტანციური ასიმილაციით *წრტა). ხევსურულმა რ-ს წინ ი განავითარა შდრ. მეგრ. წირ-იდ („წრეტა, შეშრობა“)[18].

თირთოლი←თრთოლა. ხევსურულში თირთოლი ცახცახს, სისუსტით კანკალს ნიშნავს. ...დავიღალ, გათირთოლებულ რაიმ ორ ქოოდ (მივლ. მას.); ...ქოო გამაციებსა, არ ვი, მათირთოლებს

[17] Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, 1910, ლექსიკონი.

[18] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჰან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკ., გვ. 402—403.

რასამ (მიელ. მას.). **თირთოლ-ის** ჰანური შესატყვისია **თირთინი** („კანკალი, თრთოლა") და მეგრული **თირთოლი** [„(ჩქარი) უთავ-(ბოლო ფაცა-ფუცი"] [19]. აქაც **ი** ჩანს განვითარებული.

ჩირჩილი←ჩრჩილი („ბეწვის გამრყუნელი ჰუა"—საბა). შდრ. ქიზიყ. **ჩრიჩილი** („ჩრჩილი") და სვან. **ჩიმჩ** („მატლი, ნამწერავი"). **ჩირჩილი** უნდა მოდიოდეს **კირკილი**-დან [20] („კრკილი ჴმელთ ჴორცთ განმრყუნელი ჰუა"—საბა). ხევსურეთში **კირკილი** და **ჩირჩილი** ერთიდაიგივე მწერია, რომელიც მატყლს, მატყლის ნაწარჩს, ტყავს და მისთ. აფუჭებს. „ჴმელთ ჴორცთ განმრყუნელ ჰუა"-ს ხევსურები **ოჩოჩა**-ს ეძახიან. **კირკილ**-ში (resp. **ჩირჩილ**-ში) **ი** განვითარებულია.

ნა-ჩირჩენა←ჩრჩნა („ფრინველთაგან ნიკარტით ფხანა"—საბა.) **ნაჩირჩენა** ტყავის ნამუსრევს, ნაფცქვენს და მისთ. ეწოდება. გვაქვს აგრეთვე ზმნა **გამოჩინჩვლა**, რაც გამოქექას, წვრილმანზე გამოდავებას ნიშნავს. **გამოჩინჩვლა←გამოჩირჩვლა←გამოჩირჩვნა←გამოჩირჩნა**; ჩვენი აზრით, **ჩრჩნა←კრტნა** [„ჩიჩქნასავით, (ჩრჩნასავით)'— საბა]. შდრ. **კორტნა—ნიკარტი. კრკ-ილი—კრტ-ნ-ა, ჩრჩ-ილ-ი—ჩრჩ-ნ-ა**... აქაც **ი** არის განვითარებული.

ჩირდილი←ჩრდილი. ჩირდილი ხევსურეთში სოფლის სახელია: **...ჩირდილით** ბაჯან წამავლენ, იმედ აქვ ძმასა ძმისაო (ხევს. პოეზ., 161, 3). შდრ. გარეკახური: ...დაუქნია ფრთები და **ჩირდილო** დააყენა იმ ფაშკუნძმა (არილი, 87, 19). **ჩირდილ-ი** ქართლ-შიაც გვხვდება.

თირგუნი←თრგუნვა („ფერჴით დასრესა"—საბა). კაცს რომ ფეხი ჩაუცდება სადმე და კინაღამ იღრძობს, მაშინ იტყვის: „ფეჴ **დამითირგუნდა**"-ო. ეს იგივე **თრგუნ** ძირი უნდა იყოს. **ი** ხმოვანი გაჩენილი ჩანს მას შემდეგ, რაც იქ ფუძისეული ხმოვანი ჩავარდა და შეიქმნა **თრგ-** კომპლექსი [21].

ბურმა←*ბირმა←ბრმა: ...**ბურმის** ქვეყანაჩიავ ცინთვალსავ ორ-თვალად ხედავდიანავ (ანდაზა). **ბურმა** ნიშნავს აგრეთვე არაბრჭყვიალა, მიბნედილ ფერს. შდრ. ინგილ. **ბრიმა ‖ ბრუმა** („ბრმა"), ქიზიყ. **ბრიმა** სოლი, **ბრმა** სოლი („პატარა სოლი"—მენთ.). ხევსურული **ბურმა←ბირმა**: **ბ**-ს მეზობლად **ი** **უ**-დ ქცეულა.

---

[19] არნ. ჩიქობავა, ჰან.-მგრ.-ქართ. ლექსიკონი, გვ. 281.

[20] შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 348.

[21] შდრ. ეგვ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, უდურ-ქართული ლექსიკური შეხვედრები, I, თრგუნვა-თრევა სიტყვათა ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1953, გვ. 371.

ბირწკვნა←ბრწკენა, ბირწკილი←ბრწკალი. ხევსურულად **ბირწკილი** ადამიანის ბრწკალი ანუ ბრჭყალია: ...შინში ხყაეის ძილუაი, არ მასწვდების ჰაპანია, კაცი **ბირწკილთ** ვერ მააბომს,—ქვა რო ეგეთ მაგარია (მივლ. მას.). **ბირწკვნა** და **ბირწკილ**—სიტყვებში **ი** გაჩენილია.

ფირჩხილი←ფრჩხილი: ...არ ებადების მახვილი **ფირჩხილის** მასაკვეთია (ხევს. პოეზ., 335, 6); ...დასჭრ **ფირჩხილები** ჯელზე და ჩაყარა ჭმლის ქარქაშჩი (გაბ., 156, 6); **ფირჩხილები** (გაბ., 157, 15—16). **ფრჩხილ-ს** ჰანურში შეესატყვისება **ბუ-ცხ-ა**, მეგრულში **ბი-რცხ-ა**, რომელსაც პროფ. არნ. ჩიქობავა **ბუ-ცხა-დან** მომდინარედ მიიჩნევს[22]. **ფირჩხილ-**ში **ი** განვითარებულა.

მირგვალი←მრგვალი←მგრგუალი; ფშ. **მურგვალი**; სვ. **მურგვალ**. ...**მირგვლივ** აბრუნდა მორეჩიაო (ეთნ., III, 88,5); ...შამაეხვიენეს **მირგვლივა** (ხევს. პოეზ., 128, 13); **მირგვალს** (ხევს. პოეზ., 65, 3); **სიმირგვლივ** (ხევს. პოეზ., 448, 16). ფშ.: ...ვენაცვალე ჩემსა ძმასა, **მურგვლივ** შამოგვირბინაო (რაზიკ., 61, 117); ...**მურგვლივ** გალავან მაავლო (რაზიკ., 196, 27). **ი** (→**უ**) აქაც განვითარებულია.

მირღვა←მრღვიე („ილეკრო გაუწმედელი, გინა გამოუც; დელი, რომელ არს რიოში"—საბა). ფშ. **მურღვა**. ...წყალ **მირღვა** მადის, მთაჩი ავდარ სადამ-ა (მივლ. მას.). ეს იგივე ძირია, **რღვევა**-ში რომ გვაქვს[23]. **მ—ე** აფიქსები მიმღეობისაა: **მ-რღვი(ვ)-ე**, ე. ი. ის, რაც არღვეულია. შდრ.: ...რაჟამს წყალი ესე **აღირღუეს**... (ი. 5, 7); შდრ. სვან. **ნარღვედ** („მღვრიე").

მრღვიე-ში ძველ ქართულშივე მოხდა მეტათეზისი და მივიღეთ **მღვრიე**. სალიტერატურო ქართულში ეს ფორმა დამკვიდრდა. მეორე შემთხვევაში **რ** დაკარგულია: **მღვიე** („მღურიე"—საბა). ხევსურულში **მღვივე** ცვლილი მნიშვნელობით დასტურდება: ეს სიტყვა მღვრიე, ჩირქოვანი სითხის აღსანიშნავად იხმარება: ...გაფუჭვებულ ნაჭრეე ხქონიყვ, სრუ **მღვივე** ზალა-წყალა მადიოდ შიგით (მივლ. მას.). ხევსურულში და ფშაურში **რ**-ს წინ **ი** (→**უ**) ხმოვნები გაჩნდა: **მირღვა, მურღვა**.

ბირკვლ ←ბრკოლ: ხევსურულში მშობიარე ქალის მარცხს **დაბირკვლება**-ს ეძახიან: ქალი რომ უდროოდ და მარცხიანად იმშობიარებს, იტყვიან „დაბირკვლდა"-ო. აქაც **ი** განვითარებულა.

---

[22] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭან. -მეგრ. -ქართ. ლექსიკ., გვ. 61—62.

[23] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 62.

გვაქვს **ლ, ნ** სონორთა წინ **ი**-ს განვითარების შემთხვევებიც: **კინთა←კნტი** („ციცას შვილი"—საბა): **კნტ+ა→კნტა** და აქედან პროგრესული დისტანციური დისიმილაციით→**კნთა→კინთა** („კნუტი"). გვაქვს აგრეთვე **კინთურა, კინთურუა**...

კილდე←კლდე. აქარ. **კილდე**, სვ. **კჷლდე**. ...დაგხვდება ბაჭაის შვილა ცირცლოვან **კილდის** პირსაო (ხევს. პოეზ., 134, 7); ...შამაჴდეს **კილდის** თავზედა ხორონი ჯიჯვებისანი (ხევს. პოეზ., 519, 3); **კილდიური** (ხევს. პოეზ., 546, 33); **კილდის** (ხევს. პოეზ., 134, 36). **კილდე**-შიაც **ი** განვითარებულია.

X. ბგერათა დაკარგვა

ხევსურულში ხშირია ბგერათა დაკარგვის მოვლენები. იკარგება როგორც ხმოვნები, ისე თანხმოვნები, როგორც ერთი ბგერა, ისე მთელი მარცვალი ან რამდენიმე ბგერა ერთად.

თანხმოვან ბგერათა დაკარგვა:

ბ: **ბ** იკარგება **მ**-ს მეზობლად: **თამაქო←თამბაქო**: ...**თამაქო**-**საგით** მწარე იყვ, არ იყვ პირჩი შასაყენებრ... **ზოგემ←ზოგებმ**: ...**ზოგემ** მთა შაუკრა (გაბ., 167, 9); **ქისტემ←ქისტებმ**: ...დაიბარეს ერთუცი ყველკნით **ქისტემ**... (გაბ., 164. 26—27); ...მემრ მაუტანეს **ქისტემ** საჴსარი... (გაბ., 170, 2); ...**ქისტემ** სთხოვეს: „ბოგველით მკვდრებიე"... (გაბ., 170, 4); **არხოტივნემ**: ...**არხოტივნემაც** მისცეს ნება... (გაბ., 170, 4—5).

გ: როცა S_2-ის ნიშანი **გ** და ფუძისეული **გ** ერთმანეთს ხვდებიან, ერთ-ერთი იკარგვის: „...საკლავით **მაგვრითავ** შინავ"... (გაბ., 138, 10—11); **მაგვრითავ←მა-გ-გვრითავ**; შდრ. ...ბევრ აეს დრო **მოგვარასთ** მშვიდობისა... (გაბ., 126, 18); **გონავ←გგონავ**: ...**ისი-გონავა** რო შამარჩენსავ? (გაბ., 138, 3); **გულავ←გგულავ** (ფიქრობ, აპირებ): ...რა **გულავ**? (გაბ., 138, 4).

გ იკარგვის სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში: **მა(←მაგ)**: ...ვამზადებ თინიბექაურთაო[24] **მა** წყალსიქითლის საქმარედაო (ეთნ., III, 4, 14—15); **ამა (←ამაგ)**: ...**ამა** ქართულის მათქომი, ბლოში ბიტურა ზისაო (ხევს. პოეზ., 48, 42); [ფშ.: ...ესრის და გამააგორებს ბელადს **მა** მგელიკასაო (რაზიკ. 60, 115)]; **ნიადე (←ნიადეგ)**: „...ჯვარის ძალით რო არ დაელიშნ, **ნიადე** ვინ მისცემდ ქალს?" (გაბ., 133, 25—26); ...ეგ **ნიადე** გადასული ას ჯვართაც და ღმერთსაც... (გაბ., 139, 2); **ზეთი←ზეთიგ**: ...მაშინ მტერ რასაღ დამაკლებს, მე რახა ვიყვა **ზეთია**? (ხევს. პოეზ., 335, 15; **ზეთიგ**-

[24] შეცდომით დაბეჭდილია „თინი ბექაურთაო" (ალ. ჭ.).

ზევით, ზემოდან); **მადეით** (←**მადეგით**): ...თუნდა საჭმლედაც **მადეით**, ამაშიც გამავდგებია (ხევს. პოეზ., 673, 4); **გ** იკარგვის **უ**-ს გვერდზე: **საკარ-უმოდ** (←საკარგ-უმოდ): ...საკარ-უმოდ შამიკრიფიდით ლაღის არწივის მჭარიო (ხევს. პოეზ., 44, 11).

დ: **დ** იკარგვის სიტყვის ბოლოში და შუაში, იკარგვის ფუძისეულიც და ფორმანტისეულიც: **ოლონც←ოლონდც←ოლონდაც**: ...ჭელთაც გიწითებთ ხვალ დილას, **ოლონც** მაგშორდას ზიანი (გაბ., 205, 9).

იკარგვის ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული **დ**: **თაო←თაოდ←თავად**: ...არ ხყვანდას ჯარი ან **თაო** არ ხქონდას წამლის მტვერია (ხევს. პოეზ., 62, 8); **შორა←შორად**: ...**შორა** გავიდა ამბავი, ზიანი ფალავნისაო (ხევს. პოეზ., 223, 24); **ადვილა←ადვილად**: ...მოვიდეს გალაღებულნი: „**ადვილა** საშოვარია“ (ხევს პოეზ; 211, ი); **ყინჩა←ყინჩად** (=კარგად,ტკბილად): ...თოფსა ეხვევის მარტია, **ყინჩა** დახპარავს ჭირთაო (ხევს. პოეზ., 193, 16); **სულ-წუხა←სულ-წუსად** (შეწინებით, შეშფოთებით, აჩქარებით): ...ჭაუხით მადის კივილი **სულ-წუსა** წყენსებისაო (ხევს. პოეზ., 173, 4); **ჩემა←ჩემად**: ...დედ-მაძათ **ჩემა** ძალად დაიჭირესავ ლიშანივ... (გაბ., 135, 14—15); **შუღლა←შუღლად**: ...წინ-წინ **შუღლა** გამჯდელს დაგაკვლევთ კურეტს... (გაბ., 123, 21-22); [შდრ. ფშ.: ...**ყინჩა** ამბობენ ტირილსა ქალისასა და რძლისასა (რაზიკ., 40, 32); შდრ. იქვე: ...ვინაც შამიბამს წელზედა, ბიჭურ, შენფერად **ყინჩადა**... (რაზიკ., 40, 52); **ლამაზა**: ...**ლამაზა** დაგიბვდებიო... (რაზიკ., 139, 10); **კარგა**: ...თუ ვეძებ, **კარგა** ავარჩევ... (რაზიკ., 172, 214)].

იკარგვის ფუძისეული **დ**-ც: **ოჯე**: ...ვინ **ოჯე** ღორღლოვანასა? გაგიწყრ კარატის ჯვარიო (ხევს. პოეზ., 2, 16); [ფშ.: ...სკამს **ოჯე** ერისთვისასა... (რაზიკ., 10, 4); ...შინ რად არ **ოჯე**, ცუდაო... (რაზიკ., 62, 126)].

დასხეით←დასხედით: ...შინ **დასხეით** ჭკვიანადა, თავის მამის კერასაო (ხევს. პოეზ., 352, 3); **წამაე←წამაედ**: ...ადეგ და არხოტ **წამაე**, საჩუქრით აივსებია (ხევს. პოეზ., 335, 8); **მავე←მაველ**: ...გონთ **მავე** გაცინებული, ამადიოდეს მზენია (ხევს. პოეზ., 343,2); **მოგვიხვე←მოგვიხვედ**: „...მოგვიხვე მშვიდობით! წყალობა ჩვენის ჯვარისა... (გაბ., 125, 27); [შდრ. ფშ.: ...სულო, **გაგიხე** მტერადა... (რაზიკ., 114, 56); ...დიდმარხვაში ავად **გავჭე**... (რაზიკ., 269, 42); ...ადე და ჩემთან **გადმოხე**... (რაზიკ., 192, 11)].

სა←სად: (=სადმე): ...არა გინდა რა, ჩოთეშო, კიდეე **სა** გავიგერშები (ხევს. პოეზ., 670, 10); **საისკედ←სადისკედ**: ...ქალაქის ეუბეინატორი **საისკედ** იგდებს ჭმასაო? (ხევს. პოეზ., 221, 1); „...სად ვის რა უჭირსავ, **საისკედ** მინდავ წასულაივ?“ (გაბ., 158, 28); **საისას←სადისას**: ...**საისას** წახოლთ, ხო ამაზე შამახჯდებით? (გაბ., 167, 5); **მახკვე←მახკვედ**: ...თაოდ თუ **მახკვე**, ვაქკაცო, სახელ სამზეოს არია (ხევს. პოეზ., 224, 38).

ვ: **ვ** იკარგვის სონორთა და ბაგისმიერთა მეზობლად, ხმოვანთა შორის და სხვა პოზიციაშიც. **თოლი←თოვლი**: ...თოლს თუ თოვს **თოლის**-გულასა, **თოლის**-გულა ხო წყალია? (მიქელ. მას.); ...**თოლია** მოსული არხოტში, მთა-წვერი სრუ **თოლის** შაკრული ას (გაბ., 192, 29—30). **საძრომნი** (ადგილის სახელია) **←საძვრომნი**: ...ჩაუვლავ არხოტის ჭალაი, ჩასულას **საძრომთ** (გაბ., 184, 19).

ფშაურში ხევს. „ესრევს“ და სალიტერატურო „ესვრის“ ფორმათა ნაცვლად გვაქვს **ესრის**-ფორმა: ...**ესრის** და გამააგორებს (რაზიკ., 00, 115); ...თოფს **ისრის** ინდოურაი[25], ხელ-მუხზე ჩამუჯდომარი (რაზიკ., 101, 80); **სროლა** (←*სრვალა←*სრევალა←*სარ-ევ-ალ-ა) სარ-ს უკავშირდება: **სარ-ი—*ი-სარ-ი-ს**, აქედან **ისარი**. ამდენად ფშაურ „**ისრის**“-ში რომ **ვ** არაა გვაქვს, ეს შეიძლება ძველი ვითარების გადმონაშთიც იყოს. შდრ. ერთი მხრივ ფშ.: **სარი→*ი-სარ-ი-ს→ისრის**, მეორე მხრივ, ხევს.: **სარი→*ი-სარ-ევ-ს →ისრევს** და ლიტ.: **სარი→ი-სარ-ევ-ი-ს→*ი-სარ-ვ-ი-ს→ი-სრ-ვ-ი-ს →ი-სვრ-ი-ს**, ე. ი. ამ სიტყვაში სამი სხვადასხვა დიალექტური ფენა ჩანს (თუ ფშაურში **ვ**-ს დაკარგვა მეორეული არაა).

ვ იკარგვის ორ ხმოვანს შორის: **მახთხოეს**: ...რო დაკლეს საკარგყმოები, მადლი **მახთხოეს** ჯვარსაო (გაბ., 220, 6); „...თათრის შვილები ეგრ მუქარას **მთხოენ**!“ (გაბ., 162, 2); **მამწაული** (←**მამწავული**): ...ველარ ჩავიცომ ტანზედა ორზე **მამწაულს** ტყავსაო (ხევს. პოეზ., 332, 11); **სთხოეს**: ...მამუკას **სთხოეს** ბილეთი (ხევს. პოეზ., 227, 7); **მაუიდას**: ...ყველას **მაუიდახ** ეგრე (ხევს. პოეზ., 356, 19); ...რაც გინდა **მაუიდას** (გაბ., 135, 30); ...თუ შაწირულს ჭელ **გაუიდ** ...მაუკლავს არ გაუშობს (გაბ., 138, 19); ...სხვას ვისაც უნდ **წაუიდას** (გაბ., 135, 20); **ხალვერაო** (←**ხალვე-**

[25] უნდა: „ისრის სინდოურაი“, შდრ. ხევს. პოეზ., № 671-ით დაბეჭდ. ლექსი „სინდიურისძე“. თ. რაზიკაშვილის განმარტება „ინდოურა ფშავლის სახელია“-ო შეცდომაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ გამოთქმაში „ისრის სინდოურაი“ მეორე სიტყვის დასაწყისი ს აღარ ისმის. ხევსურები „შილდიურისძე“-საც ამბობენ.

რავო): „...ნიავის **საღვერაო**, უჯიშოო!“ (გაბ., 137, 12). [შდრ. ფშ.: ...ადვილად აღარ მაჰრჩება აფხუშოს ლუხუმთ **ნაჭრეო** (რაზიკ., 11. 7); ...სად მიხვალ, **შაო** ყორანო, სად მიიხულავ მბარსაო? (რაზიკ., 102,91)].

ვალ-ვედ ზმნაში ხევსურულში იშვიათად, ხოლო თუშურ-ფშაურ კილოებში სისტემატურად იკარგვის ფუძისეული **ვ**: ...სიკვდილ**ც** თქვა სატიალემა: „**შავილი** ჰალაისასა“ (ხევს. პოეზ., 525, 1); ფშ.: ...**მოალთ** და ცოლსაც ვასარებთ (რაზიკ., 97, 68); ...აღარ **მოალის** ფშავშია (რაზიკ., 98, 70); ...ფულისად სხვაკან რად **ვილი**? (რაზიკ., 34, 38); ...**მოიდა** ცუდი ამბავი (რაზიკ., 98, 70). თუშ.: **წამოედით** (←**წამოვედით**, ჯუურგ. 79, 16); **ჩამოიდ** (იქვე, გვ. 80, 12): **მოალივ** (იქვე, 93, 18). **ვ**-ს დაკარგვის მიზეზი ერთ შემთხვევაში **მო**-ზმნისწინისეული **ო** ჩანს, მეორე შემთხვევაში S_1 პირის ნიშანი **ვ**. -**ვ**- იკარგება, როცა იგი -**ო**-ს წინ მოადგება: **უჭკო** (←**უჭკვო**←**უჭკუო**): ...ორნივე ყოფილან **უჭკონი**, ერთმ მაინც რადარ დასთმაო (ხევს. პოეზ., 126, 7); ...ვჭოცილვართ **სიუჭკოგითა**. ისივ ადგომამც იყვაო (ხევს. პოეზ., 23, 3); [შდრ. ფშ.: ...**ბალევ** გირჩიე, კურდღელო, **უჭკო** ვიყავ თუ ჭკვიანი (რაზიკ., 119, 89). **ბრიყო**←**ბრიყვო**: ...ბიპო, **ბრიყო**, ხელს ნუ მახლებ, თორო დედა გაჯავრდება (რაზიკ., 144, 42)].

-**ვ**-ს დაკარგვის სხვა შემთხვევები: **ჯიჯ მაზვერი**(←**ჯიჯვ-მაზვერი**): ...გადმასჩენიყვ კიდევ **ჯიჯ-მაზვერი** იქით მჭაროზეით ...გარმაებრუნ თოფი ამ **ჯიჯ-მაზვრისად** (გაბ., 197, 29—30); **ჯიჯ-შუნი**: ...რა თქმა უნდა, რომ **ჯიჯ-შუნი** ძალიან სანიაზოი ას მასაკლავად (გაბ., 197, 7). აქ „**ჯიჯვ**“-სიტყვის ბოლო ბგერა (**ვ**) და „**მაზვერ**“-სიტყვის პირველი ბგერა (**მ**) შეხვდნენ ერთმანეთს და **ვ** დაიკარგა. ანალოგიით **ჯიჯვ-შუნი**→**ჯიჯ-შუნი**.

უკვირ-ს ზმნიდან ხევსურულში გვაქვს **საკვირელი** (და არა საკვირველი, შდრ. გაიკვირვა). „**საკვირელი**“ კანონზომიერი წარმოებაა: სალიტერატურო ქართულში -**ვ**- სხვა (-**ავ** თემისნიშნიან ზმნათა) მიმღეობის ანალოგიით გაჩენილი ჩანს: ...ის უფრო იყვა **საკვირელიო**... (ეთნ., III, 2, 32); ...ბევრ რაიმ **საკვირელ** საქმე ჩაუდენავ ამ ეშმას... (გაბ., 156, 11); ...**საკვირელ** სისხლის ღვრაი ას, ომი ას შასაზარიი (გაბ., 215, 10); [შდრ. ფშ.: ...**ხაკვირველ** ხალხნი ყოფილან... (რაზიკ., 21, 9); ...ჩემი **მაკვირვებს** სირეგვნე... (რაზიკ., 115, 62); ...ძალიან **საკვირველია**... (რაზიკ., 113, 45)].

ასევე **უჭირს**-ზმნიდან გვაქვს **გაჭირება, გაჭირებული**: „...აბა, მეტ **გაჭირება** რაიღ იქნებისავ?“ (გაბ., 159, 2); ...მაშინ ეს **გაჭირებულ** კაც იქამს ონჩხარს... (გაბ., 129, 18).

ძველი ვითარების ამსახველია **„მღდელი“**, **„იწრო“**-სიტყვები: ...ჩემი სიტყვის მავსენებით, **მღდლის** წესით, ღთის წესით (გაბ., 148. 2); ...ორი მთა გადაიარეს, მემრ **იწროს** ჭალას ჩახყვესა (ხევს. პოეზ., 264, 14); .. **იწრო** ჭალაი შაუკრავ გოშტიკაურთა მზირსაო (ხევს. პოეზ., 108, 6).

ვ იკარგვის **„კიდევ“**-სიტყვაში: ...ნათულა ეუბნებოდა **კიდე**[26]: **„ტკბილი ხარ სულზედა“** (გაბ., 208, 13); ...**კიდე** ღმერთს უძახებს თესლის დათესვაში (გაბ., 121, 17); ...**კიდე** წყალობას ეტყვის... (გაბ., 122, 6).

თ: იკარგება მოქმ. ბრუნვისეული **თ**:

...მას იჭი აღარ მოსულა ჯარი... (ხევს. პოეზ., გვ. 305, 10 ქვემოდან); ...დაგაკვლევთ ... ცალე **ჭელით** (დედანში წერებულა **„ჭელი“**, **თ** რედაქტორს მიუმატებია,—ალ. ჭ.) მცემელს ცხვარს... (გაბ., 123, 22—23); ...**ღამი** კარტოხას იპარავ, **დღისი** გამახოლ, ხფიცაო (ხევს. პოეზ., 573, 2); ...**ჭვენ-უბნი** გერგეტელაი ზენ-უბან შამამჭდარასა (ხევს. პოეზ., 402, 11); ...დავბრუნდი დაღონებული, **ცრემლი** დავრეცხენ გზანიო (ხევს. პოეზ., 367,10); ... ცხენ უნდა გუვანდას, **ბმობილო**, იორღა, **გულთი-მჯრიანი** (ხევს პოეზ., 347, 10, **გულთი-მჯრიანი**←**გულთით-მჯრიანი**); ...დადგა **ღრიფი** ღიღინი, **შაშვივი** აღებს პირსაო (ხევს. პოეზ., 228, 31); ...ესროლის ალდამიშვილსა, **ოთხი** გაწირის ჩდილსაო (ხევს. პოეზ., 82. 9)[27]; ...შენ კაც **არცაი** მოგჩების, გინდა გავიდას ზღვაზედა (ხევს. პოეზ, 520, 12).

თ იკარგვის კომპოზიტში, როცა იგი კომპოზიტის პირველი შემადგენლის ბოლოს დგას, ხოლო მეორე შემადგენელი რომელიმე წინაენისმიერით იწყება: **ფეჯ-ძირ**←**ფეჯთ-ძირ**: ...ჯმლითა სცა ყარტიულისძეს **ფეჯ-ძირ** გაიგებს მკვდარსაო (გაბ., 187, 4); **შიბ-წვერი**←**შიბთ-წვერი**: ...**შიბ-წვერო** გასახედაო, მაგლილო ჯიქვებისაო (გაბ., 198, 16).

თ კომპოზიტში სხვა პოზიციაშიაც იკარგვის: **იჭი-აჭათ** (→ **იჭით-აჭათ**): ...ზოგი სხვა მთას **იჭი-აჭათელ** ხალხ შაიყრების ერთად... (გაბ., 124, 26).

იკარგება სუბიექტის მრავლობითობის **თ** სიტყვის ბოლოში: **დამეცნა** (←**დამეცნათ**), **მომიხარა** (←**მომიხარათ**): ...არცა **დამეცნა** ბევრანი, არ **მომიხარა** ყელია (ხევს. პოეზ., 597, 19).

---

[26] უნდა: ...ეუბნებოდა: „კიდე ტკბილი ხარ“... „კიდე“ აქ=უფრო (ალ. ჭ).

[27] „ოთხით გაწირის ჩდილსაო“=დაჭრილი დატოვა, ხელებით და ფეხებით (ოთხითავე) ბობღავდა, ისე დატოვაო.

როცა ორი თ ხვდება ერთმანეთს, ერთ-ერთი იკარგვის: **დედ-მამათან** (←**დედ-მამათთან**): ...ვერ ვიტყვი **დედ-მამათანა**, რაიც მიწუხებს თავსაო (გაბ., 206, 20).

ლ: -**ლ**- იკარგვის -**მ**-ს მეზობლად: **მხვალი** (←**მლხვალი**←**მლხვარი**): ...კალოზე არ შახყარათ საქონი, **მხვალ** მიწაი, დაიჯლიკნებიან! (მივლ. მას.); [ფშ.: ...ზეით **მხვალ**, ძირში ყინული, ნადირთ ვერ ჩაეპარები (რაზიკ., 62, 126)]. **გრდემი** (←**გრდემლი**): ...განა ვერ გაგკვრეტს ტყვიაი, განა ხარ რკინის **გრდემია**? (ხევს. პოეზ., 455, 56). **ჴემწიფე** (←**ჴელმწიფე**): ...უთხარით **ჴემწიფიანთა** (ხევს. პოეზ., 455, 56); ...სრულება მინდა, მოყმეო, **ჴემწიფის** ბრძანებასაო (ხევს. პოეზ., 221, 16); ...**ჴემწიფის** კარზე მივიდა, ეტლი თან მიხყვა ხთისაო (ხევს. პოეზ., 63, 5).

ლ იკარგვის სიტყვის ბოლოში: **რაჴე**←**რაჴელ** („როგორ“): ...მე კი **რაჴე** გადამიწყდა ჴევსურაის ლოდინია (ხევს. პოეზ., 368, 2); ...**რა-ჴე** გადიდებულ დაოს, ზოგიერთა ადის გული (ხევს. პოეზ., 222, 5).

ლ იკარგვის **ხ**-ს მეზობლად „**ვალს**“-ზმნაში: ...წავას ყანაზე (გაბ., 121, 4); ...სიმთვრალით ხალხს ბევრჯერ **მაუვას** შუღლი (გაბ., 124, 27). როცა ორი **ლ** ხვდება ერთმანეთს, ერთ-ერთი იკარგება: **ნალ-უსმარი**←**ნალ-ლუსმარი**: ...შაწუხებულმა ლურჯამა ჩალეწა **ნალ-უსმარია** (გაბ., 214, 27). იკარგება **ფ**-ს მეზობლად: **დაფეთა**←**დაფლეთა** (თუ აქ **ლ** გაჩენილი არ არის): ...ი შენი ჯაჭვის კალთები, ოკერმა როგორ **დაფითა** (ხევს. პოეზ., 519, 25).

შენიშვნა: არის ერთი წყება სიტყვებისა, სადაც ფშაურში, როგორც წესი, **ლ** ბგერა ყოველთვის იკარგვის, ხევსურულში კი არასოდეს: **კომი**←**კომლი** (ხევს. კვაშლი): ...**საკომოს** ნუღარასა მთხოვს (რაზიკ., 200, 37); **კომზე** (რაზიკ., 75, 159).

ძაღნი (←**ძაღლნი**), **ძაღსა** (←**ძაღლსა**): ...**ძაღნო**, რა ონა გიჭნავისთ, ლაშარის ჯვარის ყმაზედა? (რაზიკ., 65, 131); **ძაღნო** (რაზიკ., 49, 84); „...არ გავკვლევე, როგორც **ძაღსაო**“ (რაზიკ., 161, 143); **ძაღსა** (რაზიკ., 63, 129).

მადსა (←**მადღსა**), **მადმა** (←**მადღმა**): ...სწორებს რო ჩხუბად გაუჴდეს, გააშველოდით ღთისმადსა (რაზიკ., 123, 116); ღთის **მადსა** (რაზიკ., 39, 52; 162, 155); ...არ მინდოდა, ღმერთის **მადმა**, წელწადს მაგათ ხინკალია (რაზიკ., 215, 125).

მუხზე (←**მუხლზე**), **მუხში** (←**მუხლში**): ...თოფს ისრის ინდოურაი ხელ-**მუხზე** (ასეა!) ჩამუჯდომარი (რაზიკ., 101, 82); ...**მუხში** შაუშვეს ქარია (რაზიკ., 69, 139). **ცეცხ** (←**ცეცხლ**): ...ნეტავინ მამცა პრიჩკაი, შენთვინ **ცეცხ** შამამეყარა (რაზიკ., 236, 219); ნაცარ-**ცეცხთ** (რაზიკ., 201, 42).

სისხს (←**სისხლს**): ...**სისხს** ეძებს თავის ძმისასა (რაზიკ., 59, 112). **სახ** (←**სახლ**), **სახს** (←**სახლს**): ...**სახ** მიდგა საგონებრისა (რაზიკ., 136, 195); ...ავისგორ **სახს** აშენებენ დევები ცხრანი ძმანია (რაზიკ., 19, 7); **სახწინა** (რაზიკ., 185, 291); **სახშია** (რაზიკ., 58, 109).

აღნიშნული ფორმები ხევსურულში არასოდეს შეგვხვდება. ეს ფორმები ფშაურისა და ხევსურულის გასარჩევად გამოდგება.

მ: **მ** იკარგვის სიტყვის თავში: **ცხეთა**: ...**ცხეთას** დგას დიდი საყდარი (ხევს. პოეზ., 58, 4); ...ჩემსამც მტერს დაუღამდება ავჭალასა და **ცხეთასა** (მიველ. მას.). **კვრივი**←**მკვრივი** (←**მკრივი**←***მ-კრ-ავ-ივ-ი**←***მ-კარ-ავ-ივ-ი**): ...რაჭელ ხიფხოლაი (მცენარეა,— ალ. ჭ.), **კვრივია**, თუ დაჩუტებული? **კვრივი** ეწოდება აგრეთვე საღვთისმსახურო ნაგებობათა ახლომდებარე ტერიტორიას, სადაც არახვთისმსახურს, ქალებს, ბავშვებს („ერისგანთ") აკრძალული აქვთ გავლა.

ყინვარი←**მყინვარი**: ...**ყინვარს** სცემენ სამასხარაოდ (გაბ., 146, 13); ...ხკრა წიხლი და შააგდა **ყინვარზე** (გაბ., 171, 8); ...ეგონა თუ ეს ქისტი თავოდ დასხლტა **ყინვრიან** გზაზედ (გაბ., 171, 10); ...დავითვერ, ნისლმა დამათვრა აბანოთ ამამდინარმა, არცარა ნისლმა დამათვრა, დარდმა და გულის **ყინვარმა** (მიველ. მას.).

ნ: იშვიათად იკარგვის მრავლობითობის **ნ**, როცა იგი ფუძისეულ **ნ**-ს ხვდება: **წამაიყვანეს**←**წამაიყვან-ნ-ეს**: ...**წამაიყვანეს** ორნი ქალნი ტყვედ (გაბ. 166, 21); **დავლათიან**←**დავლათიან-ნ**: ...ბედიან **დავლათიან** მაგაკდინნასთ (გაბ., 132, 24).

ნ იკარგება სიტყვის ბოლოში: **მაში**←**მაშინ**: ...**მაშინ** მაშუღლარნ **მაშივ** თავს გაანებებენ ერთუცს (გაბ., 125, 10—11). აქ ორჯერ არის „**მაშინ**" ნახმარი. პირველად **ნ** ადგილზეა. მეორეჯერ **ნ** და **ვ** შეხვდნენ ერთმანეთს და დაიკარგა **ნ**: **მაშინვე**→**მაშინვ**→**მაშივ**; როგორც ზემოთ ვნახეთ, **ვ** თვითონაც ხშირად იკარგვის. როგორც ჩანს, აქ **ვ** გრამატიკულმა ფუნქციამ გადაარჩინა (ნაწილაკია!) და დაიკარგა მნიშვნელობით ნაკლებდატვირთული **ნ**. **ნ**-ს დაკარგვისთვის აუცილებელი არაა მისი **ვ**-ს მეზობლად მოხვედრა, იგი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოშიაც იკარგება.

რ: ხევსურულში ყველაზე ხშირად სონორი **რ** იკარგვის. **რ** იკარგვის თანხმოვნებს შორის. **რ**-ს დაკარგვა ასეთ პოზიციაში სხვა დიალექტებიდანაც არის ცნობილი და ამიტომ აქ მხოლოდ სათანადო მაგალითებით დავკმაყოფილდებით: **გძელი**, **გძალვა**

←კრძალვა), ჯჩოლი (←ყრჩოლი „მცირედ შეკუმშულია“—საბა. ხევსურულში ჯჩოლი დიდი კვამლია), ჯდალი (←ჯრდალი), სქელი ‖ ზგელი (←ზრქელი), ჩდილი, გაზდა, ცწკინვა (←ბწკინვა←ბრწკინვა←ბრწყინვა), მთხილი (←ფთხილი←ფრთხილი) ‖ გაიმთხობს, მთხვების, ხამთხული:.., ბჟე (←ბრჟე), ბძენი ‖ ბზენი (←ბრძენი), ბძანება ‖ ბზანება (←ბრძანება) ‖ დაბძანება ‖ დაბზანება..., ბძოლა, მტყელი [←პტყელი←პრტყელი←ტყრპელი(?)], თბე (←თფე←ფთე←ფრთე) ‖ ფთა (←ფრთა), მთელი (←მრთელი). რ იკარგვის ზმნებში პირის ნიშანსა და ფუძისეულ თანხმოვანს შორის: მცხვენის, გცხვენის, სცხვენის (←ჰრცხვენის); დაჩჩა, დაგჩა, დაჭჩა (←დასჩა←დაჰჩა←და-ჰ-რჩა) ‖ ღამჩალი (←ღამრჩალი „დარჩენილი“)... და მისთ.

რ-ს დაკარგვის სხვა შემთხვევებიდან ყველაზე ხშირია შემთხვევა, როცა ორი რ ხვდება ერთმანეთს და ერთ-ერთი იკარგება: ვერა←ვერ-რა („რაიმე ვერ..., ვერაფერი“): ...ბიტურამ ვერა იცოდა. აბამ უამბო ცდისაო (ხევს. პოეზ., 49, 43); აღარა←აღარ-რა („რაიმე აღარ..., აღარაფერი“): ... ეუბნებოდა ბელადი: „ეხლა აღარა ჭირსაო“ (გაბ., 217, 16); ვეღარაით←ვეღარ-რაით („რაიმეთი ვეღარ..., ვეღარაფრით“): ...მაშინ ქურდ თავს ვეღარაით გაიმართლებს (გაბ., 139, 19); ვერაკლად←ვერ-რაკლად („როგორმე ვერ..., ვეროგორ, ვერანაირად ვერ“): ...ზოგთა თქვეს: „ვერაკლად მივსცემთ, მეილისა დიდი ოალია“ (ხევს. პოეზ., 65 დ, 7); აროს←არ-როს („როდესმე არ..., არასოდეს“) ...კვირობდეს გუდამაყრელნი: „ჩვენში ეს აროს ქნილაო“ (ხევს. პოეზ., 198, 12).

რ იკარგება სიტყვის წინ: ჩული (←რჩული): ...თოფი ჩულჩიგით გამასწვადეო (ეთნ., III, 6, 4); რ ხშირად იკარგება „არიხ“ ზმნაში. არხოტულ-პირაქეთულში უფრო ხშირია ამ ზმნაში რ-ს დაკარგვა, შატილურ-მიღმაჭეურში—შედარებით იშვიათი. არის→არს→ას(→ა): „...თითო მოშ თიეაიც რო მისცათ, ისიც კაი ას, გაჭირებულ კაცი ას“ (გაბ., 129, 26—27); ...ეს კანონ ძველი ას (გაბ., 133, 31); ...მკედრის ცოლი ას ის, რო ქალს ქმარ მაუკვდების (გაბ., 136, 12).

რ იკარგვის სიტყვის ბოლოს: რაგო (←რაგორ←რა-გვარ): ...მოწყენით რაგო არ ვიყვა? ძაღლებმ წამისხეს ცხვარია (ხევს. პოეზ., 211, 15).

ს: ხ იკარგება ც-ს შეზობლად: ჯორც (←ჯორცს): ...ჯიკვის ჯორც მაუტანს პრიშტავ-ნაჩალიკებს (გაბ., 189, 18); ...დაუწყ ჯორც დუღილი (გაბ., 195, 13); არცრუ (←არც-სრულ): ...ჩამოჯდა ფეჯდო-

ლაბაი, **არცრუ** არ აგვატეხია (ხევს. პოეზ., 546, 24). (მიცემითის **ს**-ს შესახებ **-თან** თანდებულის წინ იხ. ქვემოთ გვ. 52).

ტ: ტ იკარგვის წარმოების ადგილის მიხედვით ახლო მდგომ ბგერასთან შეხვედრისას: **თერთმე-თორმეტი, ცამე-თოთხმეტი** და მისთ.

ღ: იკარგება **-ღა** ნაწილაკის **ღ** (მას შემდეგ, რაც **-ა** უკვე დაკარგულია): **გახენეთა←გახენეთა-ღ(ა):** „...**გახენეთა**, სანგალს ეხვევიან“ (გაბ., 163, 29); **უყურეთა←უყურეთა-ღ(ა):** „...**უყურეთა**, ერთ კაც გვეუბნების: „მთელ აქვათ ლაშქართ გაგიოლთაე!“ (გაბ., 182, 27); **კარშია ←კარშია-ღ(ა):** „...**კარშია** გამაედ“ (გაბ., 128, 18); **მითხარი ←მითხარი-ღ(ა):** ...**მითხარი**, აღარაი გტკივა (ეთნ., III, 7, ზემ. 13); **იყურე ←იყურე-ღ(ა):** ...მასპინძელო, აი **იყურე**, მემრ... (გაბ., 130, 15).

როცა **-ღა** ნაწილაკი დაკარგულია, მისი წინამავალი ხმოვანი მაღალი ინტონაციით, ხმის აწევით წარმოითქმის: **მითხარ, გახენთა, კარშიმ, იყურე...**

ც: ზუსტად ასევე იკარგება **-ცა** ნაწილაკის **-ც** (მას მერე, რაც **-ა** უკვე დაკარგულია): თათრის **შვილები** (←**თათრის შვილებიც**): „...უყურეთაღ მაგ წუნკალაებსავ, **თათრიხ შვილები** ეგრ მუქარას მთხოვენ!“ (გაბ., 162, 1); ...**რასა** (←**რასაც**): ...**რასა** მჯარზედა გულზე გეძახდან... იმაზე გაუგონიდი, **რასა** წყალობას გთხოვდან— იმ წყალობით შაინახნიდი (ეთნ., I, გვ. 13); ხმის ინტონაცია აქაც ამაღლებულია.

იკარგება **-მცა** ნაწილაკის **-ცა:** ...სუ შენგან პირ-დამწვარია, **ნუმ** ჩამოსჯდები სკამზედა (ხევს. პოეზ., 520, 14); **-ც** იკარგება **მომეც, გაიქეც, ვიცი...** სიტყვებში: ...**მომე** ნებაი საუბრისიო (ეთნ., III, 30, 2); ...მე რა ვი, მაელენა თუ არ? ასეთი ფორმები ქართული ენის სხვა დიალექტებშიც დასტურდება და აქედან ზოგჯერ სალიტერატურო ენაშიაც იჩენს თავს, შდრ.: ...**რა ვი**, ღრუბლებზე ვფიქრობდი და არა გამიგია რა! (ანა კალანდაძე).

მარცვლის დაკარგვა

ხევსურულში მარცვალი ხშირად ეკვეცება სიტყვას. ზოგჯერ სიტყვა ისეა შეკვეცილი და გაცვეთილ-გადასხვაფერებული, რომ მისი გამოცნობა ჭირს. სიტყვას, ჩვეულებრივ, ბოლო მარცვალი ეკვეცება: **კა** (←**კაი**←**კარგი**): ...ღმერთო, შენ მოიყვანე **კა** ყანა (გაბ., 121, 6); ...ოჰ, **კა** ლუდ არ მოგვდომივათა! (გაბ., 126, 21); ...არ მაქვ შენზე **კა** გულიო (ხევს. პოეზ., 358, 8); ...მონა ჯაცივ,

კა კაც არ იქნებავ, თორე მონა დარ კიავ მალე კა დარ იქნებავ (მივლ. მას.); ეს შეკვეცილი ფორმა ჩვეულებრივ იბრუნვის: **კამ, კას, კაის, კაით, კაად**: ...უფერს **კამ** ერთით მაინც გაამეტა (გაბ. 144, 30); ...გახუა ჯეთეშაური ჯევსურთ **კას** ეუბნებაო (ხევს. პოეზ., 18, 15); ...თქვენ **კაით** მაგიგონნასთ (გაბ., 127, 9); ...როსაც **კაად** ხართ, სვით (გაბ., 127, 23); ...ჩემიმც კვალ **კაზე** დაგიჯდებისთ (გაბ., 144, 21). უ ‖ **უნ** (←**უნდა**): ...**უნ** წავიდა თიანეთა ქალ ოფურად მართულიო, **უნ** შავიღა საჩივარი, გამამიეა პრაკულიო (ხევს. პოეზ., 358, 9—10); ...ჯარჯოს **უნ** შაეხჯოციყუენით (ხევს. პოეზ., 3, 1); **მა** (←**მანდა**): ...აბეჟორიტესა მახჯელავს, **მა** დაგაზული მგლისაო (ხევს. პოეზ., 103, 12); **გვი** (←**გვინდა**), **გი** (←**გინდა**), **უ**(←**უნდა**): ...წასვლა **გვი**, არ გვეშველების, არ წასვლა არ იქნებისა (ხევს. პოეზ., 49, 10); ...არა **გი**, ნუ გეშინიან, არ გადმოვჭდები მთასაო (ხევს. პოეზ., 325, 8); ...ეგ **უ**, ახი მაგისად! ...გაწირეთ, არა **უ**, იყვას მანდ; **მალ** (←**მალედ**): ...**მალ** მიიყვანა მჭედარი, სადაც ჯუთლების ჯარია (ხევს. პოეზ., 215, 9); **ხარი** (←**ხარიქა**): ...მგელსავ არიარეობა დაეთქვისაო-დ' „**ხარი, ხარი!**"-ავ ეძახდიანავ (ანდაზა); ასევე: **მაიტა** (←**მაიტანე**), **მარი** (←**მარიდე, „მომერიდე"**) [შდრ. ფშ.: ...გაბრუნდი იქით, ნუ მოხვალ, თავ დამანებე, მარიო (რაზიკ., 230, 196)].

კომპოზიტის პირველ კომპონენტს ეკვეცება ბოლო ბგერები, მარცვალი (ან მარცვლები): **არ-გარეულები** (←**არეულ-გარეულები**): ...ვაქებო **არგარეულებო** (ეთნ., III, 72, 1); **ტო-ტოხვთ** (←**ტოხვ-ტოხვთ**): ...იქავ **ტოტოხვთა** სდგომიყო (ხევს. პოეზ., 640, 2); სწორად ეკვეცება ზმნას კაუზატივისეული **ვ** და ნამყო სრულის **ე**: ...ერთ სიტყვაიც ვერ **გათქმი** (ეთნ., III, 7, 11).

ხმოვანთა დაკარგვა

იკარგება S_3 პირის ნიშანი **ა**: **უნდ**: ...მაშინ წამავლენ, ვისაც შაწევა **უნდ** (გაბ., 129, 28); ...მააწევს ...ვინაც **უნდ** (გაბ., 122,13); და ასე: **ხყვანდ, ხქონდ, ჰკეთებდ, შუღლობდ, მაკლ, დაჭრ**...

იკარგება პირველი და მეორე კავშირებითის **ა** პირველ-მეორე პირში: ...ეგ რო **გავაკეთ**, მემრ რალა მიჭირს? ...ააქ რო დაა**წყვ** ე შეშა, ისივ აჯობნებს; **იყვ** (←**იყვა-**): ...აქ რო **იყვ**, ის არ გირჩევა? ...მიაც მინდოდ, კახეთ რო **ვცხოვრობდ**[28]; ...რა ჩემ ბრალი, შენ რო მირგვალთ **დახვიდოდ**? და მისთ. ასევე იკარგება

[28] ხევსურულში კავშირებითის ნიშანი ყოველთვის **ა** არის.

ნ3 პირის ა თურმეობით მეორეში: **მეეკლ, გეეძლ, გაეკეთ, აეშენ** და მისთ. (შდრ. თუშ., უთურგ. 28).

იკარგება მოთხრობითი ბრუნვის **-მა** ფორმანტისეული **-ა**: ...მიუვლენ ანდარუყოსა: „**დიჩიმმ** გაგვართვენ გზანია“ (ხევს. პოეზ., 205, 5) ...**დიჩინებმ** მითხოველებმა გაჭსნეს დურბინის თვალია (ხევს. პოეზ., 218, 7): ...ყველამ ეგრე ქნას ვაჟკაცმა! **ომმ** რაღა იცის გძელმაო? (ხევს. პოეზ., 92, 2); „...გაგიმარჯვას **ღმერთმ**!“ (გაბ., 128. 19); „...გადღეგძელას **ღმერთმ**“! (გაბ., 128, 24).

იკარგება **-ღა** ნაწილაკისეული **-ა**: ...გამოგვიცვალეს თოფები, ჭირიმს **ვინა-ღ** სცნობს ჭმაზედა? **ვინა-ღ** ჩახედავს ფრანგულსა, **ვინა-ღ** დაშინჯავს ჟხაზედა? სამკლავეთ **ვინა-ღ** დაიკრავს, ჯაჭვს ვინ ჩაიცვამს ტანზედა (ხევს. პოეზ., 520, 56—58); ...**დაღეგი-ღ**, ჭორცო, შამფურზე! შენ **რასა-ღ** ცეცხლში ღვარდები? (ხევს. პოეზ., 508, 4).

იკარგება „**და**“ კავშირის **ა**: ...ღილღველთა-დ' არხოტიონთა ლექსებს ვინ ეუბნებისა? (ხევს. პოეზ., 265, 5) (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზემოთ); იკარგება **-და** თანდებულის (resp. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის) **-ა**: ...უნახავ ხალხს, **ერთუცისად** უთქომ (გაბ., 180, 27); ...მაუქნევავ ჭმალი **ბალახურისძისად**, მაგრამ ბალახურისძეს **ფარისად** აუტანიებავ იოსებას ჭმალი (გაბ., 181, 22—23);

როგორც ზემოთ ვნახეთ, სიტყვის ბოლოში ხევსურულისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა მარცვლის მოკვეცა და **-ა** ხმოვანიც ხშირად ეკვეცება ფუძეს: ...პასუხი მომწერე, ესენი ყველა მიიღეთ, თუ არ (გაბ., 256, 28).

ე: იკარგება ნამყო სრულის **ე** მხოლოობითი რიცხვის პირველ-მეორე პირში, თუ არ დაიკარგა, ვიწროვდება და გვაძლევს **ი**-ს ან **ი**-ს. **დაემუქარ** (←**დაემუქარე**): ...თუ **დაემუქარ**, ქვეც უნდა გააცხად (გაბ., 183, 28); **შავატყვი** (←**შავატყვე**): ...მე იმათ რო საუბარ დაიწყეს, მაშიავ **შავატყვი** (გაბ., 183, 22); **დაშინჯი** (←**დაშინჯე**): „...იარაღ კაად **დაშინჯი**, ან შუბ არ იყვას გასალესავი“ (გაბ. 183, 29); **გააკეთი** (**გააკეთე**): ...არა გი, კაცო, შენ რაიც გწაის, აის **გააკეთი**; **აავსი** (**აავსე**): ...ცალე ვედრა ნუ მაგაქვ, **აავსი**; (შდრ. თუშ. უთურგ. 28).

იკარგება **-ვე** ნაწილაკისეული **ე**: ...ჯვარის მესტუმრე დაემზადების **წინავ** (გაბ., 121, 22); ...ჯვარიონთ ...**წინავ** გააგებიებს (გაბ., 121, 23); ...მაღგვრის **წინავ** მამზადებულს საკლავს (გაბ., 122, 4—5); ...დააკვრენ **ისრავ** ზედ სანთლებს (გაბ., 122, 29); ...**იქავ** ტოტოხეთა სდგომიყო, ტყრაშნ იქნეს ხაფანგისანი (ხევს.

პოეზ., 640, 2); [ფშ.: ...მე წინავ გითხარ, ძმობილო, გზაში ნუ მოხნავ ტრუპკასა (მიელ. მას.)].

ი: იკარგება სახელობითი ბრუნვის -ი: ...მაჯნავ ადგების დილას (გაბ., 121, 1); ...ეს მაჯნავ ამ ჭადას აიღებს (გაბ., 121, 8); ...ეს მაწევარ მივას ჯვარში (გაბ., 121, 25—26); ...ჯვარიონნ მაემზადებიან (გაბ. 121, 26).

XI. რედუქცია

ხევსურულ'ში ადგილი აქვს ხმოვანთა რედუქციას:

ო→ვ: როცა ონნ(←ონ-ან, იხ. ქვემოთ) სუფიქსს რომელიმე ხმოვნით დაწყებული სუფიქსი მოსდევს, ო ვიწროვდება და -ვ-ს გვაძლევს: ...ჯმალი სჭრის ბაგრატივნისა, ნეფისა ერეკლისაო (ხევს. პოეზ., 63, 1); ბაგრატივნისა←ბაგრატიონისა.

არხოტივნები←არხოტიონები: ...დილას არხოტივნებიც მაუვლენ... (გაბ. 166, 3); ...არხოტივნებმ აისხეს თოფ-იარაღი... (გაბ., 167, 8); ...მაგროვდეს ყველა არხოტივნები... (გაბ., 168, 23); და ასე: შატილიონი→შატილივნები, როშკიონი→როშკივნები, ამღიონი←ამღივნები და მისთ.

ფაიტონი →ფაიტვნით: ...მაბრძანდების ფაიტვნითა მაიორი კისერ-ზგელი (ხევს. პოეზ., 566, 8); ბაცალიგო →ბაცალიგველი: ...ჩაფერნეს ბაცალიგველთა ბუყარაჩოში ჯმალნია (ხევს. პოეზ., 101, 7).

ოა→უა: ო-ს დავიწროებით მიღებულია უ შემდეგ მაგალითებში: ბეწიკუა←ბეწიკო-ა: ...მგელიკათა დათვიაი, ბეწიკუა შტერაიო (ხევს. პოეზ., 583, 8); ...ბეწიკუა ხარ, შაგენაცვლეო (ეთნ., III, 35, 5): უნცრუა←უმცრუა←უ-მ-ცრ-ო-ა (შდრ. მო-მ-ცრ-ო← მო-მ-ცირ-ო): ...მეც კარგი კი მყავ უნცრუაიო (ეთნ., III, 72, 4); ...მაშინ მოხვიდი, ზურაბო, ერტყას უნცრუას ჯმალია (ხევს. პოეზ., 13, 2); მარტუა←მარტო-ა (←მარტო←*მარტვა←*მარტ-ივ-ა, შდრ. ტყუპი და მარტივი): ...მარტუა არა ყოფილა,—ორნი ეტანნეს სხვანია (ხევს. პოეზ., 120, 5); ლეგუა←ლეგო-ა: ...ეეგ ლექს დაუბარებავ ლეგუას, სვილის ფერასა (ხევს. პოეზ., 350, 11); კარგუა←კარგო-ა: ...ახლა მეც გამიძმობილდი, ახ რა კარგუა გექნები (ხევს. პოეზ., 336, 5); [შდრ. ფშ.: ...კარგი ყმა ჯმალსა ჩაჰხედავს: გამიჭრისუა, თუ არა? ცუდაი---ქალსა ლამაზსა: შამიხვევსუა, თუ არა? (ხევს. პოეზ., 286, გ)].

ეა→ია: ცალია←ცალეა: ...გიშველა დილის ნიავმა, ახლა ცალია ვბრუნავო (ხევს. პოეზ., 514, 18); უარია←უარეა: ...კარგაის

მძეიარეი **უარიაზე** დამრჩალა (მიელ. მას.); **თავ-ქვია←თავ-ქვეა**: ...წამაიქცევის **თავ-ქვია**, სისხლი სდის, როგორც წყალია (ხევს. პოეზ., 227, 16); **დღიარი←დღე არი**: ...მაცალეთ, ხახონაურნო, განა სრუ თქვენი **დღიარი** (ხევს. პოეზ., 584, 5).

ხევსურულში ხშირად ხდება ხმოვნის ამოღება (სინკოპე). ამოიღება ზმნისწინისეული **-ა**, როცა ზმნისწინს მოსდევს სასხვისო ქცევის **უ**: **შამუარ** (←**შამაუარა**): ...შიოლას ბლოელ ბერდიამ **შამუარ** მარჯვენაზედა (ხევს. პოეზ., 46,6); **ჩამუდგამ** (←**ჩამაუდგამ**), **ჩამურიგებ** (←**ჩამაურიგებ**): ...წინითი ჩხუტსა **ჩამუდგამ**, კოშს **ჩამურიგებ** რვლისასა (ხევს. პოეზ., 524, 20); [შდრ. ფშ.: ...არვინ **გამუცხობს** საგძალსა (რაზიკ., 40, 52); ...**გადვიდა** გალავანშია (რაზიკ., 1ძ, 13); ...**შამულის** ყარსის ქალაქსა (რაზიკ., 40. 42)].

ამოიღება **-ავ, -ამ** თემისნიშნიან ზმნათა **-ა**, როცა ამ ზმნებს ერთვის სუბიექტის მრავლობითობის **-ენ** სუფიქსი: ...სოფელში გააწევენ მყოლთ და იქ **სმენ** (გაბ., 133, 3); ...**ამახკვრენ** თასს (გაბ., 126, 35); ...აღგებიან ფეკზე და **დაილოცვენ** (გაბ., 126, 13); ...სტუმარს **ჯითხვენ** სრუ ყველა ჯალაფნ მშვიდობა-ამბავს (გაბ., 128, 27); ...ყანას რო **დახფარვენ**, იტყვის (გაბ., 121, 18).

რიგ შემთხვევაში სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელია კუმშვა ან კვეცა, მაგრამ ხევსურულში უკუმშველ-უკვეცელი ფორმები გვხვდება: ...ჭმალ შამაუკრავ თათრის ჯარის **კარავის** ბოძისად (გაბ., 164., 2); ...ნადირაის ჭმლის ნამტვრევნი **კარავის** ბოძსთან ხყრიანო (გაბ., 164, 2); ...დიდი ტუმბო ბრუნავს **წყალისა** (გაბ., 177, 14); ...შამაუვლის მირგვლივ **დროშაით** (გაბ., 153, 11); ...იხუცებს **მედროშაე**... მემრ **მედროშაე დროშაის** ტარით სამჯერ ბანს ჯვარად გაუსვ-გამაუსომს (გაბ., 123, 6—7); ...**მტერობა** არ გვაქვავ (გაბ., 182, 16); ...**გერმანიაის** ჯარზედა ქართველთ ზე მისვლა თქმულია (ხევს. პოეზ., 471,1); ...**ჭალაით** ქვათა ხოხისათაო აღმა და აღმა აზიდვიებსო (ეთნ., III, 12, 24); ...**ზენაით** მოდის ამბავი (ხევს. პოეზ., 223, 1); [შდრ.: ფშ. ...რად ჩამომართვი კაწრითა **სირმაით** შაკრულ საყელო? (ხევს. პოეზ., 385, 5; ლექსი ფშაური წარმოშობისაა ალ.—ჭ.)].

ა ხმოვანზე გათავებულ სახელებს მრავლობითობის **-ებ** სუფიქსის დართვისას იშვიათი გამონაკლისის გარდა **-ა** არ ეკვეცებათ: ...ბევრ ლექს-**სიმღერაები** ას ნათქვამი არხოტში ჯირჩლაისად (გაბ., 189, 6); ...იმღერენ ჯვარიონთ საქებ **სიმღერეებს** (გაბ., 122, 15); ...უდგას ღრიალი **სიმღერეებისა** (გაბ., 127, 34); ...ვეხვე-

წები აბ მუშაებს (გაბ., 191, 24); ...ნიგზურაებს ...მაუდებს ცეცხლს, გამაიღებს ამ ნიგზურაებს... (გაბ., 150, 19—20);

არასოდეს არ იკუმშება არაყ-სიტყვა: ჩვეულებრივია მხოლოდ არაყის, არაყით, არაყად, არაყები, არაყიანი...-ფორმები: ...დაამზადებს არაყებს, ადუღებს წინა დღით ხავიწს (გაბ., 131, 18); ...სოფელში აქვ კიდე მყოლთად დამზადებული არაყები (გაბ., 133, 2).

-ა-ს ვერც -იან სუფიქსი კვეცავს ხოლმე. ჩვეულებრივია ფორმები: დუმაიანი, შიბაიანი („შიბა" ნაქარგის სახეა), მხვევრაიანი („მხვევრა" სარეველა ბალახია) და მისთ: [შდრ. ფშ.: ...ბალკონზე მიდგებ-მოდგება სირმაიანის ჩოხითა (რაზიკ., 190, 7)].

უკუმშველობის სხვა მაგალითები: ...გორგიო შენ და შაგენაცვლაო მუკლთა მაშვრალთა, დაღალულთაო (ეთნ., III, 10, 4); ...დავამუქარებ ვაშკაცებსაო (ეთნ., III, 2,7); დაემუქარ (გაბ., 183, 28); [შდრ. ფშ.: ...თოფით რო მემუქარები, ან კი იცია ხმარება? (რაზიკ., 188, 5)]; აკავანი: ...ქალს ბევრ აკავანშიაც ლიშნავს (გაბ., 134, 19); ...დაგვჩა ყმაწვილი აკავანთაო (ეთნ., III, 111, 8). [შდრ. ფშ.: ...ზურგთ აკავანი მკიდია, ბახალა მიწევს ქორისა (რაზიკ., 71, 145); ...მინან კი არას ნაუღლობს ორის აკავნეხ რწევასა (რაზიკ., 223, 168)].

თავი მეორე

მორფოლოგია

1. სახელი. სახელთა ბრუნება

ბოლოხმოვნიან სახელებს სახელობითის ი ნიშანი შეიძლება დაერთოს, შეიძლება—არა: ...**რაი** გაქვ ეგეთ **საქმეი**? ვაი შენს მაწუკასაო (გაბ., 205, 25).

თანხმოვანფუძიან სახელებში სახელობითის ნიშანი (ი) სწირად იკარგება: „...ეს **ზაფხულ** მშვიდობისა დაგდგომივაო...“ (გაბ., 121, 20); ...ნაოფლარს **ჯვარ** დაგვიწერი (გაბ., 121, 13); ...აქვალ აღარ გვაქვ (გაბ., 123, 3), (იხ. ზემოთ, გვ. 45); ამ ფორმანტის დაკარგვა-შენარჩუნებაში რაიმე კანონზომიერება თითქოს არ დასტურდება. ეს კია: პირაქეთულსა და არაორტულში სახელობითის ი შერჩება სახელს, რომელსაც უშუალოდ მოსდევს ზმნა-შემასმენელი (იხ. ქვემოთ).

ზოგ საკუთარ სახელში (აკაკი, გივი...) ფუძისეული ი სახელობითის ფორმანტადაა გააზებული და ბრუნების დროს იკვეცება ხოლმე: ...რა მოგიწერავ, **აკაკო**? (გაბ., 225, 23); ...**გივმა** გაღმართა მაჟარი (ხევს. პოეზ., 256, 2).

უ-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელები ბოლოში ვ-ს დაირთავენ და ბოლოთანხმოვნიანი ხდებიან (იხ. ზემოთ).

მოთხრობითის ფორმანტი -მა ჩვეულებრივ ხმოვანმოკვეცილი იხმარება ხოლმე თანხმოვანფუძიან სახელებშიაც: ...**დალოცვილმ** ნუ შაგანანაა (გაბ., 123, 9); ...გიშველას **გამარჯვებულმ** (გაბ., 122, 3); ...**ღმერთმ** ნურა მიაღინის (გაბ., 123, 11); ...**კაცმ** სასმელს ლაშნ არ უნდა აურთხნას (გაბ., 123, 31); ...**როსტომმ** თქვა (გაბ., 134, 33); **ჭალებმ** (გაბ., 125, 6).

უთანდებულო მიცემითი ხშირად თანდებულიანის როლს ასრულებს და ამა თუ იმ გარემოებას გამოხატავს. უთანდებულო მიცემითი დროის გარემოების გამოსახატავად: ...მაჭნავ ადგების **დილას** (გაბ., 121, 3); ...**მარიანობას** წამახვიდიო (ეთნ., III, 8, 13); ...მაგიოლ **გიორგობასაო** (ეთნ., III, 7, 3). უთანდებულო მიცემითი ადგილის აღსანიშნავად: ...ჴევსურთ გაეგა **ჴევსურეთსა** (ეთნ., III, 51, 2); ...ჩამაჯდების შინ **ჰერხოს** (გაბ., 122, 9); ...საათავეს გადააჯდენენ სოფლელნი (გაბ., 126, 9); ...ქალმა დავცვითენ ჯღან-წინდანიო **სასიპის** ღელეს სიარულსაო (ეთნ., III, 8, 2).

ხშირია ხევსურულში ადგილის გამოსახატავად ნათესაობითარი მიცემითის გამოყენების შემთხვევები: ...მასულ ალუდაურ-და **იონაიხას** (გაბ., 175, 22); ...**ახიელიხას**

იარიდიო (ეთნ., III, 44, 5); ...ჯუთისას შამაიარა (გაბ., 214, 27); ...კარწეულთისას იარიდიო (ეთნ., III, 3, 22,); [შდრ. ფშ.: ...ნეტავი, ჩემო ბაბალე, აქისას ჩამოგატარა (რაზიკ., 174, 226)].

ჩვეულებრივია მრავლობითიანი ნანათესაობითარი მიცემითის გამოყენება ადგილის აღსანიშნავად: ...ქმართას ნამყოფ ქალს ახალგაზრდა ვაშკაც აღარ წაიყვანს (გაბ., 134, 16); [შდრ. თუშ.: ...კლდეებში, ტყეში, ციცქებს დამალულიყვნეს (უთურგ., 121, 12—13); ხევსურულში გვექნებოდა: იქეებთას || იქაებთას].

ხევსურულში უთანდებულო მიცემითი გამოყენებულია ვითარების გარემოებად. ძველი ქართული ენის ძეგლებში ამის მაგალითები ჩვენ ვერ დავადასტურეთ. ხევსურული უფრო არქაულ ვითარებას უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, ქართულში ვითარების გამოსახატავად ვითარებითი ბრუნვა იხმარება. ხევსურული უნდა ასახავდეს იმ ვითარებას, როცა მიცემით-ვითარებითი და ნათესაობით-მოქმედებითი ერთმანეთისგან გამიჯნული არ იყო და ეს ოთხი ბრუნვა, ალბათ, სიტყვაწარმოების ფორმებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე ბრუნვებს[29]. საილუსტრაციო მასალა:

„...ამ დღისად მზას იყვენით“ (გაბ., 2, 24): ...ყველას სახლში მზას დგას ორი კაცი (გაბ., 144, 15—16); ...მიჰმიეთ ღალმასტიურსა თავის საჭმელი პურიო, იქავ მაუვა პატრონი, მზას იყოს შაკაზმულიო (ხევს. პოეზ., 458, 8); ...ცოტას სვე აკლავ (გაბ., 126, 21); ...შირაქში ბალიაური კამანდრობს ღორის როტასა, ნაუბარს არ უგონებენ, დაუთამამდენ ცოტასა (მივლ. მას., ლექსი ფშაური წარმოშობისაა,—ალ. ჭ.); ...მაღრიგდებიან და ისევ (sic!) ძმურას დაიწყებენ სმა და მღერას (გაბ., 146, 33—34); ...ფანდურის დაკვრა ვინ იცი, ფანდურს ორთავ თითთ ცვლა უნდა, აეგრევ ჯალაფობასა ფანდურებულას რთვა უნდა (გაბ., 150, 21); ...ცხენი ველში დაიჭირას და ისე ნებას გაიარას (გაბ., 141, 2); „...სუ, ნებას!“ (გაბ., 207, 20); ...ნები-ნებას მკვდართ არ შასწირვენ (გაბ., 138, 18); ...დავხყვები ნება-ნებასა (ხევს. პოეზ., 579, 3);

...ვნახე და არას მამეწონაო გოგა ქალების საკვეხურიო (ეთნ., III, 22, 29—30);

...მაგაად რას მეტანებოდით, არც კი გაქვთ მაგის მეტ ნამუსი... (გაბ., 191, 32—192, 1);

[29] არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიმკ-ის მოამბე, 1936, ტ. I, გვ. 9—30.

...ყანაზე მიდის ნათრაშნი ქალების ჭუჩას (=ჭუჩად) ნადენი (ხევს. პოეზ., 375, 1);

...აბალ ტალავარ ჩაიცვი, მაირთე ჩაფრულასაო (ხევს. პოეზ., 325, 7);

...აისხამ იარაღებსა, მაიროვი ჩაფრულასაო... (ხევს. პოეზ., 325ბ, 3);

...თოფს სროლენ, აღარ სწყალობენ, ანტლას დაყარეს მკედარიო... (ხევს. პოეზ., 543, 6);

...გაბურმ კი ფენები დაივსნა, დახტა ეშმაი კვეცასა... (ხევს. პოეზ., 547, 6);

...იქიდამ[30] რუსთ ჯენწიფესა მიდის, მიუდის ჯარია,
მიდის სუ უწყვეტელასა, როგორც ზაფხულის ცხვარია... (ხევს. პოეზ., 465ბ, 7—8).

„ხევსურულ პოეზიაში“ ერთ-ერთი ლექსის ყველა სარითმო სიტყვა ვითარების გარემოებად გამოყენებულ უთანდებულო მიცემითს წარმოადგენს:

ლაღნო, სად მიზდით, ჯვისურნო. სად მიხვრით ქარებულასა?
წინ გიდგასთ გუდანის ჯვარი, ყვიროდა ჯარებულასა;
მოგყვებისთ ჯვმატის ჯვარი, ტიროდა ქალებურასა;
ცხვარი აგიღავთ უხათით, მაგიდისთ ფარებულასა.
მაგყვებისთ მაგის პატრონი, ტიროდა დიაცურასა,
ბევრი გესრიათ ამაგან, ვერც ერთი თქვენებურასა (ხევს. პოეზ., 171).

მიცემითს ერთვის -ში, -ვით, -თან, -ზე თანდებულები. -ში თანდებული ხევსურულში გვხვდება -შიგ || -ჩიგ || -ჩი ფორმითაც. ამოსავალია -ში-გან || -ჩი-გან ფორმა: ...ძმას ძმა ჩამუჯდა საყუჩჩიგაო (ეთნ., 2, 34); ...დაიკრ ფირჩხილები ველზე და ჩაყარ ჭმლის ქარქაშჩი (გაბ., 156, 7). შატილურ-მიღმაჭეურში ყოველთვის -ჩი თანდებული გვაქვს, სხვაგან კი -ში-ც შეგვხვდება და -ჩი-ც. [-ჩი თანდებული აქა-იქ ფშაურშიაც დასტურდება: ...ჩემო სტვირო, ჭამანჩაო, ბევრჯელ ჩამსვი ქალჩიაო, ბევრჯელ მიყავ ავი საქმე, გამამრეხვეს კარჩიაო (რაზიკ,. 203, 54)].

ხევსურულში გვაქვს ორთანდებულიანი ლოკატივები[31]: ...ნახევარშიამდი ამაწეულ უნახავ ჭმალი (გაბ., 158, 27);

[30] „იქიდამ“ ფორმა გვხვდება ფშაურად გამართულ ლექსში, რაც მოულოდნელია: ფშაურმა „იქიდამ“ ფორმა არ იცის. ალბათ იყო „იქით ამ“ (=იქიდან ამ...).

[31] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 73—76.

...გაბყეების მასპინძელ სტუმრებს **სოფლის პირშიაღდი** (გაბ., 131, 8); ...**ციხეებშიით** ძალიან ძალს გვიზნენ (გაბ,. 165, 36; 166, 1); ...სანამდი ეს **ჯვარშიგით** მეკვლენი არ მივლენ, არც ერთ **სახლშიით** კარზე გაჩასვლის ნება არ აქვ (გაბ., 144, 6—7); **ქარქაშჩიგით** (გაბ., 157, 8); **ჭელშიგით** (გაბ., 125, 1); [შდრ. ფშ.: ...**პოლიცაშიით** წამუელ (რაზიკ., 245, 265); ...**ვერანაშიით** გადმოდის ლეშით დამძღარი ყორნები (რაზიკ., 38, 49); ...**სამარეშიით** ადგება (რაზიკ., 61, 118)].

-**ში** თანდებული ერთვის მიცემითის თანიანი მრავლობითის ფორმებს: **მყოლ-თა-ში** (=**მყოლებში**, მაყრებში): ...**სიძე** უნდა მიიყვანან ამ **მყოლთაში** (გაბ., 139, 10); ...ერთ კაც ამ **მგზავრთაში** კოჭლა თუ მაიდ (გაბ., 156, 29); ...ამ **ჯუთელთაში** ძალიან მეომარი ას თოთელი (გაბ., 167, 1).

-**ში** თანდებულიან ფორმებს -**ურ** (‖ -**ულ**) სუფიქსიც შეიძლება დაერთოს: ...**მთაჩიგურ** ქერ არ გამამადგ (მიელ. მას.); ...**სახლჩიგურს** ვერას ვერ მიხვედავს კისტან-დასტური (მიელ. მას).

-**ვით** თანდებული ერთვის -**თა** სუფიქსიან მიცემითს: ...არაყის **ბოჯოლთა** დაიძოწვანო, გიგაის წვერთა ჰაღრიანთაო, ჯიქვის რქათავით დაგრეხილთაო (ეთნ., III, 11, 30); ...თორელის მზემა დაგანაჯღნებო ჯაბურის ცხენის **ნალთავითაო** (ეთნ., III, 22, 22).

-**ზე** თანდებული სრული (-**ზედ**) ფორმითაც ბშირად გვხვდება ხოლმე: ...ჭართ **უღელზედ** გასჭრის (გაბ., 121, 8); ...მივლენ ღამის მთევლის **ბანზედ** (გაბ., 121, 30).

-**ზე** თანდებულიანი ფორმებიც აწარმოებენ ლოკატივებს. ...**მჯარზეით** თოფსა ნუ მამჯდი,—ჰიუხში ჯიქვთა მტერია; წელ**ზეით** ჭვალსა ნუ შამჭსნი,—ჯევსურთად კაის მჭნელია; **ტანზეით** ჯაქვსა ნუ წამყრი,—ქერიგოს ქვიშათ ფერია (ცევს. პოეზ., 30, 15—18); [შდრ. ფშ.: ...ბოსლის **კარზეით** ამოდის, ქალბნელო, შენი ლხინია (რაზიკ., 174, 223); ...**ფეჯზეით** ჩითათ წაიყრის (რაზიკ., 28, 17); ...**ნხარზეით** თოფსა ჩამაჰბსნის, მიჟარსა შიამიანსაო, წელზეით ხმალსა შამაჰბსნის, ფრანგულს სამღარიანსაო (რაზ., 60, 115); ...გამოუქადლა **კლდეზეით** მაჟარი სპილოს ძვლიანი (რაზიკ., 103, 94)].

-**თა** სუფიქსიან მიცემითს ზოგჯერ -**ზე** ‖ -**ზედ** თანდებულიც ერთვის: ...მადის **ტალავართაზედ** მატირალი (გაბ., 136, 19); „...აეხლადაც აისრავ გავიმარჯვებავ, რაჭელც ზურაბის ლაშქარ**თაზე** გავიმარჯვევ“ (გაბ., 160, 27).

-**ზე** თანდებული ზოგჯერ -**ში**, -**თვის**, -**გამო** თანდებულთა ნაცვლად იხმარება: ...წავას **ყანაზე** („**ყანაში**“, გაბ., 121, 4); ...კა-

ცი მაკვდების ცოლზედა, მამულზე საკუთარზედა („ცოლისთვის, საკუთარი მამულის გამო", მიელ. მას.).

-თან თანდებულის დართვისას ხევსურულში თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოობითში მიცემითის ნიშანი არასოდეს არ იკარგება: ...ნადირაის ჴმლის ნამტვრევნი კარავის ბოძთან სყრიანო (ხევს. პოეზ., 164, 2); „...მაგ ქალთან ერთ კვირაესაც რო ვიყვ ცოცხალი, მეტ რად მინდავ?" (გაბ., 135, 30); -ს არც ებიანი მრავლობითის მიცემითში იკარგება: „...გვიჴსნიდი ომობის დროსა ქისტებთან თავის ყმათაო" (გაბ., 220, 5); და ასე: ციხეებთან, მთებთან, კაცებთან... [შდრ. -თა სუფიქსიანი მრავლობითი: ...კაცთან დავდგარხარ კაცურადაო (ეთნ., III, 81, 6) მხოლოობითში აუცილებლად: კაცთან...].

-თან თანდებულიანი ლოკატივიც ჩვეულებრივია ხევსურულში: ...ავს დღესთანით უშველიდი, ლაღს მტერთანით (ეთნ., I, გვ. 13).

-თანა თანდებულს ზოგჯერ „ზიარის", „საზიაროს" გადმოცემა აქვს დაკისრებული: ...აბასთანა ქინთ გვაქვ („აბასთან საზიარო ტიკი გვაქვს", მიელ. მას.); ...გორგისთანამ ჯორმ წიხლ იცოდ (მიელ. მას.). ასეთ შემთხვევაში -თან თანდებულს ბოლოში მასუბსტანტივებელი ა ემატება და სიტყვა სრულიად ახალ შინაარსს იძენს: აბასთან („იქ, სადაც აბა არის")—აბასთანა („აბასთან საზიარო"); [შდრ. ფშ.: ...ახლა სხვას დააზიარე, ქალო, ჩემთანა ლოგინი (რაზიკ., 184, 284)] [33].

ნათესაობითი ბრუნვის უთანდებულო ფორმა ზოგჯერ დროის გამოსახატავად არის გამოყენებული: ...მიდის სუ უწყვეტელასა, როგორც ზაფხულის ცხვარია (ხევს. პოეზ., 4658, 8); ...ან გაუთავდას კაცის სარჩო, საქონის თივა ზამთრის (გაბ., 129, 17).

ხმოვანფუძიან სახელებში ნათესაობითის -ის ფორმანტი ზოგჯერ ფუძისეულ ხმოვანს ვერ კვეცავს: ...უქმრუაის ქალის გული მინდორთ გახჭრის ქარივითა (ხევს. პოეზ., 437, 1); ...აიღეს თოფიარაღი და გაემართნეს ჰალაისკე (გაბ., 176, 30); ...დროშაის ტარით... (გაბ., 123, 6); [შდრ. ფშ.: ...ემაგ ლექსაის მოთქომი კირცხილის წვერში გაევი (რაზიკ., 38, 49); ...გოგოჭურაის გიორგივ, მაღლა შაგიკრეს მხარნია (რაზიკ., 69,ჴ139)].

---

[33] თითქოს ამ რიგისა უნდა იყოს ეს ადგილი სახარებაში: ...შვილნო, მცირედ ჟამ თჳუენ თანი ვარ (ინ. 13, 33).

ხევსურულში ნათესაობითის ფორმა, როგორც წესი, ემფატიკური -ი ხმოვნით გავრცობილი არ არის ხოლმე, მაგრამ ასეთი ფორმები გვხვდება ხმითნატირლებსა, მთიბლურებსა და იშვიათად ლექს-სიმღერებში: ...გორგი შენ ხარა თველქათიო, მთაჩი მჭოცელი ჯიქვებისაო, ჭალას მითხოველთ ვაჟებისიო (ეთნ., III, 9, 1—3); ...იმაად ვიყავ, ბიძაისიო, გავშჩვიეა ფარიკაობასაო (ეთნ., III, 11, 10); ...თეე დადგა მარიანობისიო (ეთნ., III, 14, 38); ...მამე ნებაი საუბრისიო (ეთნ., III, 32, 2); ...გორგი შენ ხარა უთურგათიო? (ეთნ., III, 3, 5); ...მაღალი წვერი არიშკისიო აღარცად მაიარიაეო (ეთნ., III, 19, 3); ...ნურას წამახოლ, ბიძაისიო (ეთნ., III, 22, 25); ...ჯირიმი უშიშაისი ნელ-ნელად გამადისაო (სევს. პოეზ., 107, 10). ეს ფორმები, როგორც ჩანს, გამოყენებულია, როგორც ერთგვარი სტილისტური საშუალება, ეს არის სტილისათვის შემონახული არქაული ფორმები.

როცა ა-ემფატიკურით გავრცობილ ნათესაობითს ერთვის მრაელობითობის -ნ ან -თა, ხოლო მას სახელობითის ი ემატება, ემფატიკური ხმოვანი, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია: ცხვრისანი, კაცისანი, მთისანი... ცხვრისათაი, კაცისათაი, მთისათაი... მთიბლურ-სმითნატირლებსა და ლექს-სიმღერებში ეს წესიც დარღვეულია: იქ ემფატიკური ხმოვანი მოკვეცილია ხოლმე: ...ჭალ-ზლისნი დაენატრნეს ცრემლნიო (ეთნ., III, 2, 17); ...შვილნიმც ხყონ შენის დავლათისნიო (ეთნ., III, 5, 13); ...ქალნი დაჭოცნა თავისნი, სულეთი წაიქდინაო (ხევს. პოეზ., 77, 4); ...დროშათ ქვე ვინაც აგვიბემდაო ჭმალას წითლისთა ატლასისთაო? ლაშქართ ქვე ვინაც შაგვიყრიდაო გიგაურ-სამხარაულისთაო? (ეთნ., III, 8, 26...28). ასეთი ფორმებიც სტილისტური საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული.

[თუშურსა და ფშაურ დიალექტებში ჩვეულებრივია ი ემფატიკურიანი ნათესაობითი: თუშ.: ...ძალა ვიჭადეთ ღვთისია (უთურგ., 37); [ფშ.: ...დედამც იმისი ცხონდება (რაზიკ., 13, 17); ...გამოჩნდა სიხბლისი ალაზანია (რაზიკ., 115, 61); ...არ ვიცი მხალა-მხულათი (რაზიკ., 252, 291); ...ლუხუმთი ვინ ხართ შინაო? (რაზიკ., 9, 3); ...ქართველთი ვერა გავიგე (რაზიკ., 13, 20); ...ცელო, ნალევთი ნალევი ხარ (რაზიკ., 89, 30)].

ხევსურულში -თვის ‖ თვინ თანდებული არა გვაქვს. არის ერთადერთი სიტყვა თავისთვინა („თავ-ნება“, „თავის-ნათქვამა“, „ჯიუტი“), რომელშიაც -თვინ თანდებული შემოგვენახა. ამ თანდებულთა მაგივრობას ნანათესაობითარი ვითარებითი ასრულებს:

...ირმის გულისად დაჰკიცლნო (ეთნ., III, 14, 13); ...ჯავრისად მაგიგონებ ჯავრსაო (ეთნ., III, 29, 9): ...ვაშკაცო ხიზანაისშვილო, გაზდილო დიდის კაისადაო, მტყელ-მტყელის მაწყლებისადაო, ნარჩევის იარაღისადაო (ეთნ., III, 78); ...კლდის თბისად მატოლებულო, ნიავ გაწუხებს მთისაო (ხევს. პოეზ., 513, 14); ...ამ დღისად მზას იყვენით (გაბ., 121, 24); ...შენ ჩვენდ ამბობ (გაბ., 124, 9); ...შენდ მაკვდა შენი ელენაიო (ეთნ., III, 26, 1).

[ფშაურში ჩვეულებრივია -თვინ ‖ -თვი თანდებულის ხმარება: ...ახლა კიბისთვინ სად ვილი? (რაზიკ., 190, 9); ...უნდა გეთქვა ჩემთვინაო (მივლ. მას.)].

-გან თანდებული ზოგჯერ შეკუმშულია და ბოლომოკვეცილი:

...აქებენ ბაბაიაურებს, ცდა მამაღგ მაუდისაო (ხევს. პოეზ., 155, 5);

...სახელი მამადგნ მაგიდისთ, ჯოცა არ გიკვირსთ მტრისაო (ხევს. პოეზ., 179, 20).

-გან-თანდებულიან ფორმას შეიძლება -ივ სუფიქსი დაერთოს: „გულისგნივ გაბოროტვილი“, „მტრისგნივ დაჩაგრული“... „...ჩემგნივ რაც ჯსენება გაკლავ, შენ მაუმატე ყმათაო!“ (გაბ., 210, 16).

-გან თანდებული მხოლოდ ნათესაობითის ფორმას ერთვის, სიტყვის ფუძეს ყოველთვის -კან თანდებული ერთვის ხოლმე: ...ეს მეჯალაფენ ბევრკან იცის (გაბ., 151, 22); ...ბევრკან დააგდა ღილღველი დაჭრილი, პირსისხლიანი (გაბ., 189, 11); ...ბევრკან კი ხყრიან შიბუსა, ჯირიმო, შენნი ტყვიანი (გაბ., 197, 24); ...ჩემივით არვინ იქნების, ბევრკან ბევრია თითოი (გაბ., 228, 27); ...დაბინავდეს ერთკან ბნელობის ხანს (გაბ., 165, 34); ...ზოკან ჭაკები გამოსქდების (გაბ., 190, 19); ...კაბანო ხავერდისანო შვიდკან საყრელნო ღილითა (გაბ., 246, 13); ...ყველკანამც გაგიმარჯვდებისთ (გაბ. 143, 14); ...დაუვლავ ქაიხოსროს ყველკან ცხენით (გაბ., 162, 20); ...ყველკნით ზარბაზნებს ისრევენ (გაბ., 224, 15); ...სუყველკნით გზები შაგვიკრეს (გაბ., 221, 33); ...სუყველკნით თვალ-საჩინ იყე (გაბ., 192, 20); ...ძმათა დავღნატრი ბევრათა,— მზე ცხრაკნით ამუქდებისა (გაბ., 246,16); [შდრ. ფშ.: ...ფულისად ხხვაკან რად ვილი? (რაზიკ., 187, 1); ...ხიწვათ ბერა გულზე შასვა შენგან ნაქსოვ წინდამაო, ზოკან მძივმა ნატანებმა, ზოკან ყაჩის შიბამაო (რაზიკ., 181, 270); ...ბევრკან ახადე საკომი (რაზიკ., 189, 6); წუხელ ხხვაკანა ჰყოფილხარ (რაზიკ., 172, 213); ...დაც აქ მოვიდეს ხხვაკნითა (რაზიკ., 21, 8); ...ნუ გაიღებენ ხხვა-

კანა ნარტყამსა ბიჭურისასა (რაზიკ., 40, 52)]. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა ის სიტყვა, რომელსაც -კან თანდებული ერთვის, თავისი მნიშვნელობით რაოდენობას, რიცხვს უკავშირდება: **ერთ-კან, შვიდ-კან, ცხრა-კან**... და ასე ყველა რაოდენობით თუ რიგობით რიცხვით სახელთან; **ბევრ-კან; ზოგ-კან**; (←ზოგ-კან, შდრ. ძვ. ქართ. ზოგი); **ყველ-კან**; **სხვა-კან**(?) (შდრ. **ერთი-ნეორე, ერთმანეთი**←**ერთმან**+**ერთი** და ხევს. **ერცხვა**←**ერთ**+**სხვა**).

ლოკატივებს -კან თანდებულიანი ფორმაც ქმნის: **ერთკან—ერთკნით, სხვაკან—სხვაკნით, სხვაკნური, სხვაკნურმა, სხვაკნურს**...

კიდეგან (←**კიდე**+**გან**) ფორმის ნაცვლად ხევსურულში გვაქვს -კიდეკ, ოღონდ ძველი ქართულისაგან განსხვავებით -კიდეკ სიტყვას მართავს სახელობით ბრუნვაში: ...**ეგ კიდეკ** ვინ იქმოდ? (მიქლ. მას.); ...ერთ დღე **კიდეკ** გამიცდება? (მიქლ. მას.).

-კენ თანდებულის ნაცვლად ხევსურულში გვაქვს -კე ‖ -კედ ‖ კეს-: ...ცხენს ხაზმებს ითადანური, **საისკე** მიმავალია? (სევს. პოეზ., 65, 10); ...გაემართებიან თავ-თავის **სახლებისკე**... (გაბ., 127, 26); ...გამაუშობს ჯართ **შინისკე**... (გაბ., 121, 17); ...არ გამაუშობს არხოტა, **სხვაკე** აურევს გზასაო (გაბ., 165, 29); **მტრისკე** (გაბ., 125, 2); **ჭალაისკე** (გაბ., 176, 30); **ჩვენსკე** (გაბ., 167, 19); ...**ჩვენმ კესავ** წამასულიყვნეს, გზა აღრევიყვ (მიქლ. მას.).

...**ჯიქვო, წაედი საწოლთკედაო** (ეთნ., III, 30, 6); ...**ხან ერთკე ერწების, ხან სხვაკედ** (გაბ., 202, 10); ...**იკლიეი**—სოფელია **ბარისკედ** (გაბ., ლექსიკონი); **ეხისკედ** (გაბ., 195, 8); **ჭიმღისკედ** (გაბ., 108, 23); **მტრისაკედ** (გაბ., 168, 7); [შდრ. ფშ.: ...**ეთკნისაკ წახვალ**—ხმელია, **მეორეკნისაკ**—ზღვა არი (რაზიკ., 110, 32); ...**წაოხველ ხევსურეთისაკ**, გზა დაგხვდა საყელიანი (რაზიკ., 23, 4); ...**ფიცხლავ ჩვენკ გამაიქცევა**, არ წავა სხვა და სხვისასა (რაზიკ., 191, 10)].

კიდე-გან→კიდე-კ, ხევსურეთისაკენ→ხევსურეთისა-კ... ფორმები კარგი მაგალითია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ შეიძლებოდა ფორმა ეცვალათ თანდებულებს და მრავალმარცვლიანი დამხმარე სიტყვისგან მიგვეღო ერთბგერიანი თანდებული.

დროისა, ვითარებისა და ადგილის აღსანიშნავად ზოგჯერ ვითარებითის **-ით** სუფიქსი დართული აქვს ნართანიანი მრავლობითის ფორმებს და უპასუხებს სათანადო კითხვაზე: როდის?—**წინთავთით** („იმთავითვე"): ...**წინთავთითავ** უნდა იცოდას კაცმ, რაჩი წაუვ საქმე (მიქლ. მას.); როგორ?—**ოთხთით** („ოთხივე ფეხით"): ...ლურჯამა **ოთხთით** ნაჭედმა თავი ლაშქართკე დახარა

(ხევს. პოეზ., 10, 2); საიდან?—ქარქაშთით: ...ანაბრივე ჴმალმაც საუბედუროდ ამაიწივ **ქარქაშთით** (გაბ., 160, 27); ...**ჭალათით** გამაქცეულმა მთაზე ვჭამიდი სადილი (ხევს. პოეზ., 66, 4); ...**ბადურიკათით** მადის გმინიო (ეთნ., III, 21, 1); ...ჯიქვო, **საწოლთით** გადმაღვარდიო (ეთნ., III, 9, 10); ...ჴელი გკრა საყელოშიგა **მკლავთით** ას[33] იმედიანი (ხევს. პოეზ., 43, 7).

შატილური კილოკავის მიღმაჴეურ თქმაში გამოსვლითის მნიშვნელობით ნასმარ მოქმედებითს ემატება ხოლმე ა: ...მაშინ **ქისტეთითა** მამავალ ყოფილაყვ იმედა (მიქლ. მას.); ...არცრუ არ გამახენილ **შინითა** (მიქლ. მას.); ...დაუკრავ თოფ **საკვანჩიითა** (მიქლ. მას.). ასეთი ფორმები თუშურისთვის არის დამახასიათებელი: ...წინითა რუსის ჯარ დახვედრი, **უკენითა** თუშნი (უთურგ., 90, 10—11); ...**ომალითა** წასულიყო (უთურგ. 97, 16); თუშურში ასეთ ფორმას ზოგჯერ ჲ-ც ემატება: ...**სარკელშიითაჲ** მარილის ქვებ ესრია-დ' ეჭოც დიდოებიო (უთურგ. 90,6); ...წუდაქაცისძე ყოფილიყო იჩოჲ, **ილიჭურთითაჲ** (უთურგ. 104, 2). მიღმაჴევი თუშეთს ესაზღვრება და „ქიატეთითა", „საკვამჩიითა"-ს ტიპის ფორმები თუშურის გავლენით უნდა აიხსნას.

ა, ე ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს **-ით** სუფიქსის დართვისას, როცა მოქმედებითი გამოსვლითის ფუნქციით არის ნასმარი, ხმოვანი, როგორც წესი, ეკვეცება: **ამღა-ამღით** („ამღიდან"), **ატაბე-ატაბით** („ატაბედან"), **როშკა-როშკით** („როშკიდან"), **სადუცე-სადუცით** („სადუცედან") და ა. შ. ჩვეულებრივ მოქმედებითში კი (კითხვაზე: რით?) მოქმედებითის **-ით** სუფიქსმა შეიძლება ვერც მოაკვეცოს სახელს ფუძისეული ა ხმოვანი: **დროშა—დროშაით, ურსა** („დანა") **—ურსაით**... ე ხმოვანი, როგორც წესი, აქაც ეკვეცება: **უპე—უპით, კინჭლე** („პატარა კასრი")**—კინჭლით, სახინკლე—სახინკლით** და ა. შ.

ზოგ **სა—ე** აფიქსებით ნაწარმოებ სახელს ჯერ **-ში, -ზე** თანდებულები უნდა მიერთოს და მერეღა შეიძლება მათგან გამოსვლითის წარძოება: **საცხვრე—საცხვრეშიით, საკაცე—საკაცეზეით**... („საცხვრით", „საკაცით"... ჩვეულებრივი მოქმედებითი იქნებოდა და არა ლოკატივი).

ო, უ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებს **-ით** სუფიქსის დართვისას ხმოვანი არ ეკვეცება, პირიქით: იკარგება **-ით** სუფიქსისეული **ი: მითხო—მითხოთ**: ...**მითხოთ** გამადის გორგის თოფიო

[33] შეცდომით დაბეჭდილია „მკლავ-თითას" (ალ. ჯ.).

(ეთნ., III, 10, 1); **ახლო—ახლოთ**: ...საითაცაღ **ახლოთ** ქისტური ლაპარაკი მადის (გაბ., 170, 17); და ასე: **თერეთევოთ, ზეიხტეჩოთ, ჯორუთ, მიზუთ**... [შდრ. ფშ.: ...დამესხენ, აღაის ქალო, **გემოთ** მაჭმიე სადილი (რაზიკ., 92, 47)].

ზოგჯერ ნამოქმედებითარი სახელობითი ჩვეულებრივ, ბრუნვებად სუბსტანტივად გვევლინება: **თავი—თავით+ი—თავითი** („ბალიშო"): ...ზედ დასახურიც მზად იყო, **თავითიც** დადებულია (ხევს. პოეზ., 469, 58); ...**თავითად** რაღა დაგიდვათ, აღარცრა ბადებულ (მივლ. მას.); მოქმედებითის ფორმას ზოგჯერ ერთვის **-გან** თანდებულის ნაშთი **-გ**: ...იქითიგ, ჭევსურის ქალო, არ ორ შენთანა ზიარი (ხევს. პოეზ., 650, 8). ეს **-გ** ზოგჯერ იკარგება: ...ომ იქნა გორის ბოლოსა, სისხლსა წვიმს, **ზეთი** დარიო (ხევს. პოეზ., 48, 17); ...მკვდარს **თავითი** აქე თულუხი, ზედ ეკრა სანთლის ფეჯია (ხევს. პოეზ., 546, 19). აქ ნამდვილად **-გ** არის დაკარგული და არა მოქმედებითის **-თ**. მოქმედებითის **-თ**, როგორც წესი, გამოსვლითობის შინაარსს ანიჭებს, აქ კი ასეთი რამ არა გვაქვს (შდრ. **-შინ** || **-ში** და **-შიგ←ში+გან**).

-გ ზოგჯერ უბრუნველ ფორმასაც ერთვის ხოლმე: ...ამ ფიცის დროს ჭელ-მამკიდეიც ჯვარის კარში ქურდს **გვერდით** (წერებულა „გვერდიგ", რაც ჩვეულებრივი ხევსურული ფორმაა, მაგრამ რედაქტორს გაუსწორებია,—ალ. ჭ.) უდგას (გაბ., 139, 11—12); შდრ.: ...წაგიყვან საიქიოსა, ჩამაგსომ იმის **გვერდია** (ხევს. პოეზ., 267, 8); აქაც **გვერდია←გვერდიგა**.

მოქმედებით ბრუნვასთან იხმარება **-ურთ** თანდებულის ნაშთი **-ურ**: ...ზვიადი შენ მამართვი შინაო, სამტყუს მახკრიფე **ბეწვითურაო** (ეთნ., III, 6, 7).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმა შეიძლება დაისვას მიცემით ბრუნვაში და ლოკატივი გაკეთდეს: ...**გაჭეითას** მჯარეზე შაიარეს (მივლ. მას.); ...**ქვეთას** გზაზე შალალეს ცხვარი (მივლ. მას.). [შდრ. ფშ.: ...**გალმითას** მეიდანზედა დათვი ბრუნავდა ლამზედა (რაზიკ., 147, 59)].

მოქმედებითი ბრუნვის ფორმას ერთვის **-გე, -გეს** თანდებული და იგი ფუნქციით **-გან** თანდებულის კორელატია: ...კოპალა გაგიგონავა, **ადრითგე** თუშეთს მავალი? (ხევს. პოეზ., 160, 2); ...არწივნო ხარხელაურნო, **წინითგე** მოზდით ცდაზედა (ხევს. პოეზ., 256, 1); ...სოფელ **დალამებიდგეს** აღარ დასხდების ჯვარში (გაბ., 127, 24—25); ...სამი **წლიდგეს** ამ ალუდაურს თავ

გაუნებებავ ყარაულობისად (გაბ., 175, 13); წლიდეეს←წლითგეს (კონტაქტურ-ასიმილაციური გამეღერება).

ხევსურულში გვაქვს **-ივ** სუფიქსიანი მოქმედებითი, რომელიც ვითარების გარემოების როლში გამოდის: **საკუთრივ**: ...ახლა **საკუთრივ** მედროშაეს უმღერენ ამ სიმღერებს (გაბ., 122, 24); ...ჭმალ ეკიდ ბჭარ-იდლივ: ...**სიმტყივ** ეცვით ხანჯარ; ...**არგონებლივა** მაუცა (ხევს. პოეზ., 95, 14); [ფშ.: ...გამუალ, ამბავს ვიკითხავ **იდუმლივ** მეზობელზედა (რაზიკ., 48, 78)].

ვითარებითი ბრუნვის ნიშანი ყოველთვის -(ა)დ არის: დ-ს დაყრუება (-(ა)თ) ხევსურულში არასოდეს არ ხდება. -დ ზოგჯერ იკარგება (ამის შესახებ იხ. გვ.35).

ვითარებითი ჩვეულებრივ გამოიყენება ვითარების გარემოებად: ...სამჯერ ბანს **ჯვარად** გაუსვ-გამაუსომს (გაბ., 123, 7—8); ...გწყალობდასთ ყველას სოფელს **სოფლეულად** (გაბ., 126, 17); ...რაიც მაპარული აქვ, **შვიდეულად** უნდა ჩაბარას პატრონს (გაბ., 139, 21); ვითარებითს ზოგჯერ მიცემითი ცელის ვითარების გარემოების როლში (იხ. გვ. 49—50).

ვითარებითი გამოყენებულია ადგილის გარემოებად, ცელის **-ზე**, **-ში** თანდებულიან ფორმებს: ...ძლივ ჩამაგიგდეს **ჭელად**, ნაზარდო დაღისტნისაო (მივლ. მას.); ...ეგ გაჭირება დღეს ერთის **კარად** ას, ხვალ სხვას მიუდგების (გაბ., 129, 29); ...წვერად მაუსხამ ყურძენი (გაბ., 122, 19).

ზოგჯერ მიცემითის **-ში**-თანდებულიანი ფორმა დასმულია ვითარებით ბრუნვაში, ხოლო მას **-მდე** || **-მდი** || **-მდის** თანდებული ერთვის: ...**ნახევარშიამდე** ამაწეულ უნახავ ჭმალი (გაბ., 158, 26—27); ...რა ამბავიავ, რომავ ჭმალი ასავ **ნახევარშიამდი** ამაგებულივ? (გაბ., 158, 31); ...მთის **ძირჩიამდე** შავჭეით, აიქით დავბრუნდით (მივლ. მას.).

-მდე || **-მდი** || **-მდეს** || **-მდის** თანდებულთა გვერდზე გეხვდება **-მდენ** || **-მდინ** თანდებულები: ...**მანამდინ** კი არ შაიძლების მთაზე სიარული (გაბ., 189, 30); ...**სადილობამდენ** აყვირებენო (ეთნ., III 18, 13); ...**სადილობამდენ** დათვიამაო ნამჯრევნი ორნი აიტანნაო (ეთნ., III, 116, 1); ...**მანამდენ** საჭსოვარია, **მანამდენ** წყალი დისაო (ხევს. პოეზ., 103, 15); ...იდუათ ხოშაქისძესა **შინამდინ** მოხყვა ჯავრიო (ხევს. პოეზ., 186, 11); შდრ.: **შასმამდი** (გაბ. 130, 14); **გაზაფხულამდი** (გაბ., 130, 20); [ფშ.: ...დაიმეხოს ჩემი ქმარი, **შინაამდი** ირბინაო (რაზიკ., 61, 117)].

ვითარებით ბრუნვაში დასმული **სა—თ** აფიქსებიანი სახელი **-კენ** თანდებულიანი ფორმის მნიშვნელობით იხმარება: ...**სამთასი-**

ჭითოდ წამახვიდიო (ეთნ., III, 26, 4); ...თუ **საშინაოდ** წამოხვედიო, ახიელისას იარიდიო (ეთნ., III, 43, 4); ...**საოჯერჯეოდ** წამოვედ, დავბუეები ნება-ნებასა (სევს. პოეზ., 579, 3).

-ობ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნის მასდარი ვითარებით ბრუნვაშია დასმული და მყოფადის მიზეობის როლში გამოდის: ...**შეშობად** მიოლ (=შეშის გასაკეთებლად მივდივარ); ...**ნადირობად** ყოფილიყუნეს (=სანადიროდ ყოფილიყუნენ): ...**ჯალაფთ წყემსობად** წამლალეს, გორ-გურთ ვაძოვებ ცხვარსაო (შივლ. მას.). ამ ფუნქციით ზოგჯერ წმინდა ფუძეც ჩანს გამოყენებული: ...თვალ-ჭრელო ჩვენო აბულეთაო, **ნადირობ** არ იყვიაო? (ეთნ., III, 19, 2). შესაძლებელია აქ ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც იყოს დაკარგული, [შდრ. ფშ.: ...**ჯერ** არ წავსულვარ **პურობა** (რაზიკ., 193, 15); ...სინიკო იყო-დ იობა, წამოსულიყუნენ **თიობა** (რაზიკ., 242, 250). ეს ფორმები ერთნაირ შინაარსს გადმოსცემენ].

-ებრ თანდებული დასტურდება -**ებურ** ‖ -**ებულ** ფორმით: ...ლაშქრისკე გამაემართა, **ჭორებულ** მჯრები შალაო (გაბ., 168, 11); ...ვისაც შამცოდეს მაიგდებს, **ნაბდებურ** განასთელევდა (გაბ., 122, 23).

ი'შვიათად ვითარებითი მოქმედებითის ადგილასაც იხმარება: ...სამამფიცროი და ჭურდად გასამჯდელო ხუთ ძროხაი ას **რჯულად** (გაბ. 131, 15; **რჯულად**=რჯულით, წესით).

როგორც თანხმოვანზე, ისე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს მიმართვის ფორმაში შეიძლება ჰქონდეს -**ო** ან მისი დავიწროებული სახესხვაობა -**ვ**: ...**ფანდურვ**, ვიძახათ მე და შენაო (ეთნ., III, 28, 1); „...**დედაჲ**, მიშველე!“—იძახდისაო, „**ლელაჲ** მიშველე!“—ვიძახდიდიო... (ეთნ., III, 67, 8—9); .. **გორგიო**, დედა შაგენაცვლაო (ეთნ., 10, 3)

სევსურული ხშირად იყენებს ნართანიან მრავლობითს. კრებითობის -**ობ** ‖ -**ოჲ** სუფიქსი ზოგჯერ მრავლობითობას გამოხატავს: ...ეძახდა **მეზობლობასა**: „ჯორცია ტყავზე დებასა“! (მივლ. მას.) ...კარწეულთისას წამახვიდიო, **სოფლობაი** გოქვ არეულიო (ეთნ., III, 2, 23).

რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი: ასის ზევით თვლა ოცობითია: **ხუთოცი, ექვსოცი, ათოცი... ხუთოცდაათი, რვაოცდაათი... „თხუთმეტი“-ს** მაგიერ გვაქვს **ხუთმეტი, ჩვიდმეტ**-ის მაგიერ—**შვიდმეტი**.

II. ნაცვალსახელი

პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი:

მესამე პირის ნაცვალსახელი (იგივე ჩვენებითი) გვხვდება: **იხი, აისი, იმას, აიმას, აიმახ, აიმაად... სახითა ...ეტყვის აისი-და-აის.**

კაც მამგვარევ... (გაბ., 128, 4—5), ...მემრ **იმახ** ნუ იტყვით... (გაბ., 123, 26); „**მახ**“, „**მის**“ ფორმით ნაცვალსახელი მხოლოდ სხვა სიტყვასთან ერთად იხმარება დროის გარემოების გამოსახატავად: ...**მას იქით** შვიდ მამამდი სრუ თითოზე მაედენილორთ. ეხლა **მას იქით** მეცამეტე მამაზე გადამცდარნი ვართ... (გაბ., 157, 22—24); „**უმისოდ**, სხვა ამბავ ხო არა გაიგონების? (მივლ. მას.).

„**მით**“ ფორმა გვხვდება ვითარების გარემოების როლში (=უეჭველად, აუცილებლად): ...სოფლის თავ **მით** რაში დაშვირდების... (გაბ., 130, 2—3).

გვხვდება **ესე, ეგე, ეს, ეგ**... ფორმები: **ეგე**: ...მე **ეგე** არ მამგონდებოდაო (ეთნ., III, 6, 10); ...წინავაც **ეგე** უნდა ექნაო... (ეთნ., III, 53, 16); **ეგი**: ...სიბერემ დამიახლოვა, დამიხვავდა საგონია, ახლა სიშავე მაწუხებს, **ეგიც** ჩემი საგონია (ხევს. პოეზ., 371, 3—4); **ეს**: „...**ეს** თას რაგორც ჩემ ჯელთ ას, ისრამც სულსამც იმისას მაეჭმარების!“ (გაბ., 127, 5).

მეძრ გაბურმ მაიგონ **ესი** (გაბ., 155, 17); ...**ემა-და-ემ** ალაგში უფერ შახყრივასაე გზაშიაე (გაბ.. 153, 5); ...**ემა-და-ემ** დღეს მექნების ღამის თევა, ამ დღისად მზას იყვენით (გაბ., 121, 24).

ისინი-ს ნაცვლად ყოველთვის **ისენი** გვაქვს: ...გიორგიი და ხოლიგა სადა-ღ წავიდეს, **ისენ** რაადა-ღ არ მადიან? (მივლ. მას.).

იგი ნაცვალსახელი სრულიად უცნობია ხევსურულისათვის. გაბატონებულია **ის(ი)** ნაცვალსახელი.

ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან ხევსურულში გვხვდება: **აგე(რ) აგერაი** (←**აგერა აი**?), **ასე** ‖ **ასერ, ასერ-ასე** და სხვა.

კითხვითი ნაცვალსახელები ზოგჯერ უნაწილაკოდ იხმარებიან და ნაწილაკიანი ფორმების როლს ასრულებენ: **რა** (=რაიმე): ...საქმე რომ **რა** ხქონდას... (გაბ., 140, 30); ...რომენსაც დაკარგული აქვ **რაი**... (გაბ.. 138, 25). სხვა ფუნქციით **რა**-ს გამოყენების შემთხვევები: **სად-რა** ხარ, ჩემო ძმობილო, თვალჩრელო, ყვითელთმიანო (მივლ, მას.) „...ნეტარ **სადი-რა** მოკვდების, **სად-რა** შაშჭამენ ჭიანი?“ (ხევს. პოეზ., 679, 5).

ვის-რა (ნეტა ვის?); ...**აი** ჩდილის სათიბე **ვის-რა** მიერგ, არ იცი? (მივლ. მას.); „...**რაად-რა** მავიდესავ აქავ, **ვის-რა** იძევენავ? (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...**ვის-რა** ჰკლავს ნეტარ სურვილი, **ვის-რა** აღვიძებს მძინარსა, **ვინ-რა** ჰლევს მუდამ ტანჯვაში სიცოცხლეს მოსაწყინარსა? (რაზიკ., 132, 172); **ვის-რა-რა** ჩაუგორდები, **ვის-რა-რა** შაჰყვარდებიან? (რაზიკ., 140, 14)]. **რას** (=რასმე): ...ღმერთსამც ნუ ეთქვა,—გაზდილიყვაო ბაჭუათ ახალაის შვილიო,

სწორთ მეტობას **რას** დაიწყებდაო, სწორებს **რას** დააჩალაებდაო (ეთნ., III, 40). **რაში**(=რაშიმე): ...სოფლის თავ მით **რაში** დაშპირდების (გაბ., 130, 2—3); **რა**(=რაღა): ...**რა** ჩვენ წევა გინდოდ, განა ხამნი ორთ შენს სახლში სმისანი? (გაბ., 129, 11); **რაით**(=რითაც): ...არ წამავ, მაგრამ **რაით** ვინ შაეწევის, ის კაც კიდე მეტს მისცემს (გაბ., 130, 5—6); **რაიც** (=როგორც): ...აისრემც უპირისწყლებს ღმერთიო, **რაიც** თორელსა უნახიანო (ეთნ., III, 22, 15—16); **რაიც** (=**რადგან**): ...ნაზირ-ვეზირნიმც დაგიჯოცნაო, ბაცესა-დ' ბისოს მამიდანიო, **რაიც** ერთადა არ შაგვყრიანო, ერთუცის თავსა გვანატრებენო (ეთნ., III, 8, 9—12); **რა**(=რამდენი): ...ოო, **რა** წყალ შამასულ შიგათი(გ) (მიელ. მას.).

რა ნაცვალსახელს ა არასოდეს ეკვეცება: ...**რაის** ნაქმედი ას? (გაბ., 124, 2); ...**რაით** ვინ შაეწევის... (გაბ., 130, 56); ვითარებითში ხშირად ფუძისეული ა-ც შენახულია და -ად ფორმანტისეულიც: ...შვილი ხკითხევდა დედასა: „**რაად** ორთ გასაჭირშია? ან მამ-ბიძაებ სად მყავის, მარტო **რაად** ვარ ხალხშია? (გაბ., 173, 7—8); „...აწოდენ **რაად** მაიპარეთავ?“ (გაბ., 146, 4); [შდრ. ფშ.: ...მე უთხარ **არაად** (←არ რაად,—აღ. ჯ.) გინდა, საფერ არ არი მთიაო (რაზიკ., 241, 248); ...**რაად** რა ვესარბებოდი იმ სატიალე ცხვარსაო?.. (რაზიკ., 274, 53); ...მე **რაად** მეპირებოდი? (რაზიკ., 147, 59)].

როცა **რა** ნაცვალსახელს კითხვითი ნაწილაკი ა უნდა დაერთოს, მას ჯერ სახელობითის ი გაუჩნდება ხოლმე: ...ეგ ბრალ **რაია** ჩვენია? (გაბ., 255, 25); ...გვითხარი-ღ, შვილო, **რაია**, იქნებ ხარ მიზეზიანი... (გაბ., 205, 5).

რომელის ნაცვლად **რომენი** გვაქვს, **როგორი**-ს ნაცვლად **რაგორი** || **რაჴელი**, რამდენის ნაცვლად **ვითა**, **როდინდელი**-ს ნაცვლად **როსინდელი**, **სადაური**-ს ნაცვლად **სადიური**...

...**რომენსაც** ქალ ჭელს გააბომს მაშუღლარს, ის კაც ჩუჩუნს ველარ იქს... (გაბ., 124, 31—32); ...**რომენსაც** დაკარგული აქვ რაი, ეტყვის... (გაბ., 138, 25); ...**რომენ** სათოფეზედაც ბევრ-ხყენავ, მეთოფე წინ-წინ იმას ესრევს... (გაბ., 147, 23—24); ...**რომენი** ხარ? რომთამც გახოლ... (გაბ., 152, 13).

...ეს ხალხნ **რაჴელ** ხალხნიავ... (გაბ. 162, 25); ...**რო** ეეხლა ველარცრა ქვე უყოსავ, მაშინ **რაჴელ** იქნებისავ? (გაბ., 136, 1—2); „...იმასთან **რაჴლად** უნდა იქნას?“ (გაბ., 134, 1); ...ამით გამაიყვანენ გაჭირებულს, **რაჴელც** თივით, ისრევ, თუ პურ გაუთაედ, პურათ... (გაბ., 130, 20—21).

...ვითაიც ხან გავას, იმთვენაც მაიმატებს... (გაბ., 153, 3); „...ნადირ ბევრა იყვა, ან ვითა მასკალით?“ (გაბ., 192, 15); ...ვითასაც არაყ მაეკიდ, გამაბელავ იმთვენიც მარჯვედ სმა დაუწყ (გაბ., 206, 10).

ვინ კითხვითი ნაცვალსახელიც ვინშე-ს ფუნქციით იხმარება სოლმე: ...აეხლად ძვირად ვინ იქს სმას (გაბ., 125, 12—13); ...არც ვიხ უნდ მაგით შაწევა (გაბ., 130, 11); ...როსაც ჭევსურეთ ვის საქნარ ან ჯორწილ-აქვ... (გაბ., 128, 2); [შდრ. ფშ.: ...არც ვინ ჩამიდვა აღვირი, არც ვინ მაქმია ქერია, არც ვინ მიყიდა ლაგამი, ავწარა მიძე ძველია, ვერც ვინ ზედ შამჯდა მჭედარი, მთიბელავ, შენი ფერია (რაზიკ., 68, 138)].

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მისი, მათი გვხვდება ემისა, იმათა || იმეებისა ფორმით, კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ვისი? რისი?—ვისა? რაისა? ფორმით.

მიმართებითი ნაცვალსახელებიდან დასტურდება: ვინაც (შდრ. ვინც), რაიც (შდრ. რაც), რომენიც (=რომელიც), რაგორიც (=როგორიც), რაჭელიც (=როგორიც), რაჭლადაც (=როგორც), როსინდელიც (=როდინდელიც), რამთვენიც (=რამდენიც), ვისაიც (=ვისიც), რაისაიც (რისიც), სადიურიც (=სადაურიც).

ურთიერთობითი ნაცვალსახელები: ერთუცი (=ერთურთი), ერცხვა←ერთ+სხვა (=ერთმანეთი).

განსაზღვრებით ნაცვალსახელებში თვით, თვითონ-ის ნაცვლად გვაქვს თავად || თოდ, თვითან.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიდან: ზოგ-ზოგი, ზოგ-რიგა (=ერთნაირი, ერთი ჯურა), ერთ-რიგი (=ერთნაირი, ერთი ჯურა...), აბე (=როჭელიღაც... შდრ. კახ. ისემე).

უარყოფითი ნაცვალსახელები: არა(←არ-რა, =„რაიმე არ“): ...წავიდათ, ჯვარს არა წავაწყინათ... (გაბ., 130, 1—2); არაისად (←არ-რაისად=არაფრისთვის): ...ჭევსურთ არაისად ჭელ არ მაუკიდებავ... (გაბ., 164, 14—15); ნუვინ (=ნურავინ): ...ერთუცს ნუვინ გააჯავრებთ... (გაბ., 127, 22); ვერვინ (გაბ., 133, 20, შდრ. ვერავინ), ვერვიხ (გაბ., 157, 4, შდრ. ვერავის); აღარა (←აღარ-რა=აღარაფერი): ...შენ ისი-გგონავა, როჲ სოფლისგან აღარა მამინდებისავ? (გაბ., 130, 11—12); აღარცრა (=არც რაიმე); ვეღარცრა (=ვერც რაიმე): „...რო ეეხლა ვეღარცრა ქვე უყოსავ, მაშინ რაჭელ იქნებისავ?“ (გაბ., 136, 12); ნურა (=ნურაფერი): „...ღმერთმა ნურა მიადინას“ (გაბ., 123, 12); [შდრ. ფშ.: ...თუ

ქალი თავად არ ვარგა, დარაიაც არაია (რაზიკ., 210, 25); არც არა (=არც რაიმე): ...არც არა ბევრი ტანთ ეცვა, არც არა მკლავთა ებურა (რაზიკ., 12, 13): არა (←არ-რა „რაიმე არ...“): ...მე იმან არა მიშველა, რაც არა მაზიანაო (რაზიკ., 22, 13)].

III. ნაწილაკები

ნაწილაკებიდან ხევსურულში იხმარება:

-ღა: ამ ნაწილაკს ხშირად -ა აქვს მოკვეცილი. რადა-ღ (=რატომღა): ...ცეცხლო, თუ დამწვავ, წესიას; შენ რადა-ღ, ნედლო შეშაო? ქალო, თუ დამწყევ, წესი ას; შენ რადა-ღ, ქალის დედაო? ჯმალო, თუ გამჭრი, წესი აა; შენ რადა-ღ, კაცთა ენაო? (ხევს. პოეზ., 701); [შდრ. ფშ.: ...ცეცხლო, შენ დამწოვ, წესია, შენ რადღა, ნედლო შეშაო? ხმალო, შენ გამჭრი, წესია, შენ რადღა, დუშმნის ენაო? ქალო, შენ დამწყევ, წესია, შენ რადღა, ქალის დედაო? (რაზიკ., 124, 121)].

კინაღ (←კნინღა): ...ჩვენი ბიძია ვაჟაი დათეს კინაღ შაეჭამაო (ხევს. პოეზ., 651, 8); ...კინაღ ჯავრისგან სქლებიან (გაბ., 209, 3); [შდრ. ფშ.: ...კინაღ დამლიეს კლდეზედა, ქვანი მკრეს სარეტეშია (რაზიკ., 186, 295)]. რაიღ (=რაღა): ...თავს იქებთ, არხოტიენებო, ეგ რაიღ სამართალია? (ხევს. პოეზ., 78, 1); რაითაღ (=რითღა): „...მაკეთე რაითაღ გავიგათ?“ (გაბ., 124, 5); არიქაღ (არიქაღა): ...არიქაღ, კარადაში ჰურჰლის ძირში არაყი ას ძოღანდელი, აგებ დავათერათ (გაბ., 206, 1); -ღა სრულადაც არის ხოლმე წარმოდგენილი: დიაღა (=ძალიან): ...დიაღა ნუ ასჩქარდები, მე ველი თავის კილოსა (ხევს. პოეზ., 714, 2); ...გაქვთაღა ერცხვის ცნობაი, ხართალა ერცხვის ძმანია? (მივლ. მას.).

-ღა ნაწილაკი ზოგჯერ სულ იკარგება, ხოლო მის წინ მდგომ ხმოვანზე ეცემა მახვილი, რაც იმას ამჟღავნებს, რომ ამ სიტყვასთან -ღა იყო ნახმარი: ...აბა ისრ მითხარა, როს მახვე შინით? (მივლ. მას.); ისრ←ისიღა, მითხარ←მითხარიღა. (-ღა ნაწილაკის დაკარგვის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 42).

არის შემთხვევები, როცა ერთ სიტყვას ორი ან სამი ნაწილაკი ერთვის. ასეთ დროს სალიტერატურო ქართულში -ღა უსწრებს ხოლმე -ცა-ს, ხევსურულში კი -ცა უსწრებს -ღა-ს: ...რაჰელცა-ღ (=როგორ-ღა-ც): ...რაჰელცაღ იჭნების, დააბრუნებენ ამ... ჯევსურებს (გაბ., 140, 10); გვაქვს რაცაღამ (←რა-ცა-ღა-მე „რაღაცა“), ვინცაღამ (←ვინ-ცა-ღა-მე), სადაც სამი ნაწილაკი ერთვის სიტყვას (შდრ. დასავლური დიალექტების რაცხა, ვინცხა← რაცღა, ვინცღა...).

-ლე: იშვიათად გვხვდება -ლე ნაწილაკი. იგი მიმართვის ფორმებში გამოიყენება ხოლმე: **აჰალე** (←**აჰა-ლე-ღა**): „...**აჰალელ**, ჩამაეტანი, **აჰალე**[24], ყელ ამაგშრებოდ მღერაში“ (გაბ., 127, 16); „...კაცოლევ, ისივ ჩემ სურათიავ, რაად გაიღავ ლელამავ?“ (მივლ. მას.); **აბალე**)←**აბალელა** „მოიტა“): ...**აბალე**, მამეცრ, ვღნახავ, რაველი? (მივლ. მას.).

-რე: ეს ნაწილაკი უმოქმედოა ხევსურულში, შემოგვრჩა მხოლოდ სიტყვასთან შეხორცებული სახით: **უფროლია** (←**უფრორია**←**უფრო-რე-ა** „ცოტა უფრო...“): ...ეეს ჯამა **უფროლია** დიდა მეჩვენების ამაგაზე (მივლ. მას.); **ქვე-ქვერ** (←**ქვე-ქვე+რე** „ცოტა უფრო ქვემოთ“): ...ქვე-ქვერ ჩაავლი ე ცხენი, ყანას არ მასწვდას (მივლ. მას.); **ზე-ზერ** (←**ზე-ზე+რე** „ცოტა ზემოთ“): ...ზე-ზერ შაჴვეით, ზე-ზერ! (მივლ. მას.); **ზერა-ქვერაობა** (←**ზე-რე-ქვე-რე-ობა**, „ხან ასე და ხან ისე ქცევა ან საუბარი“): ...რას **ზერა-ქვერაობს**, ერთს რადარ დაეჯერდების? (მივლ. მას.).

ღე: -მე ნაწილაკი, როგორც წესი, ე-მოკვეცილი იხმარება ხოლმე: „...ვანა შენ **რაიმ** წაგერთმის?“ (გაბ., 124, 10); ...ეს თოლის თაეზე გადაშლა ხალხს დიდად **რაადმ** აჩნავ (გაბ., 143, 27); [შდრ. ფშ.: **სამ**←**სამე**←**სადმე**: ...აქამც **სამ** მააგორაო (რაზიკ., 93, 53); ...თუ სამ ხმა გატყდა, იძახონ (რაზიკ. 21, 8); ...ერთხელ **სამ** ვიყავ ჩარგალსა (რაზიკ., 244, 260); **ვინამ** (=ვინმე): ...თუ კიდევ **ვინამ** გადაგრჩეს... (რაზიკ., 18, 3); **ვისამ** (←**ვისამე**, „ვილაცას“): ...ჩვენს **ვისამ** წამეეყვანა... (რაზიკ., 171, 27); **რაიმ** (აქ: „ვილაცა“): ...კარზე **რაიმ** გამოვიდა,—მამეწონა, ყინჩ ქალია (რაზიკ., 215, 125)].

-ცა: ასევე უხმოვნოდ იხმარება ხოლმე -ცა ნაწილაკი: ...**ნუც** მთელი ას ჩემობაზედ, **ნუც** მკვდარი... (გაბ., 135, 21).

-ვე: **-ვე** ნაწილაკიც ხმოვანმოკვეცილია ხოლმე. ხმოვანი ეკვეცება და **-ვ**-სა და ძირეულ ხმოვანს შორის ჩნდება ხოლმე **-ა** ხმოვანი: ...**ჩვენავ** გაგვივ ჯერ ეს ჯურუმი, მემრ... (გაბ., 124, 10); ...ჯვარის მესტუმრე დაამზადებს **წინავ**: ადუღებს ლუდს... (გაბ., 121, 22).

-ვე ნაწილაკის ხმარების სხვა მაგალითები: „...რას უცდივ, **შენივ** ჯერიავ, მესამედაც დამკარივ!“ (გაბ., 181, 27); ...ახალ წულ შამაიყვანეს, **მაშიავ** ხინკლებ უქნესა... (ხევს. პოეზ., 639, 3); **მაშიავ** (გაბ., 140, 13; 155, 14—15); „...**ჯვარმავ** მამკლას...“ (გაბ.

---

[24] შეცდომით დაბეჭდილია „საჯალე“ (ალ. ჯ.).

134, 5); აქა-იქ -ვე (resp. ვ) ნაწილაკის ერთ სიტყვაში ორჯერ ხმარების შემთხვევებიც გვაქვს: ...**იქავაც** თავი ვანებე, განავიქნიე ჭელია (ხევს. პოეზ., 329, 9) იქავაც←იქა-ვე+ვე (=ისევ).

-ვე ნაწილაკის **-ე** ხმოვანი მაშინაც არ აღდგება, როცა ეს მოსალოდნელია: ...**მაშინაცა** უთხრეს... (შდრ. **მაშინვეც** უთხრეს); შდრ. **კიდევ(ე)** და: **კიდევაც** დაიზრდებიან ალგეთს ლეკები მგლისანი...

-ვე ნაწილაკის სრული სახით ხმარება ხევსურულში ზოგჯერ თითქოს ლექსის საჭიროებითაა ნაკარნახევი:

...ადუღებს ბედიანაი ქერსა და სვესა, **ორსავე**.

აჭსენებს ბედიანაი ჯვარსა და ღმერთსა, **ორსავე**;

აწვედა ბედიანაი მტერსა, მაკეთეს, **ორსავე** (გაბ., 131, 32—34);

[შდრ. ფშ.: ...მეზობლის **შაძულებასა ისივ** დათმობა ვირჩიე (რაზიკ., 120, 99); ...ერეკლე **ისივ** მთელია... (რაზიკ., 13, 16); ...ბევრისა კარი დაჯარა, ბევრისა **ისივ** მღე არი (რაზიკ., 16, 27); ...წყალი მიდგება, მოდგება, **ისივ** ნადგომში ჩადგება (რაზიკ., 124, 124); ...ჩემი და შენი წაწლობა **ორისავ** იყო წადილი... (რაზიკ., 92. 47); ...**ორთავ** მოჯამაგირე ვარ, დამელია საცოდარი (რაზიკ., 93, 51); ...**ორთავ** მოჯმაგირე ვარ იქ იმათი, აქ ამათი (რაზიკ., 93, 52); ...**შვიდთავ** უყიდა ფარები, **შვიდთავ** აჰკიდა მხარზედა (რაზიკ., 64, 131)].

-მცა: **-მცა** ნაწილაკი, რომელიც აგრეთვე ხშირად ხმოვანმოკვეცილია, იხმარება თხრობითი კილოს ფორმებთან და ანიჭებს მათ კავშირებითის ფუნქციას: „...**იქნებიმც** უშიშაისად! **მზიდავიმც** ხარი წყლისაო!“ (ხევს. პოეზ., 108, 17); ...**თოფსაჰმც** ჯარასა ვენაცვლებიო, ჩამღას გაგაის გატენილსაო (ეთნ., III, 25, 9 — 10); „...**ღმერთიმც** აგაშენებს“ (გაბ., 128, 24, შდრ. „აგაშენოს ღმერთმა!“); „...აი **ქვემც** გწყალობსთ ნაჯსენებ ანგელოზი!“ (გაბ., 126, 23); „...**მტერსამც** ჩამახყრით იარაღს...“ (გაბ., 126, 25); „...**სულსაჰმც** იმისას მაეჯმარებს!“ (გაბ., 127, 5);

[შდრ. ფშ.: ...**სიყვარულაიმც** კრულია მეზობელშია ქალისა (რაზიკ., 160, 138); ...შენთა კბილთა და ბაგეთა **კიმც** საით გამაზიარა (რაზიკ., 175, 221); ...**ლაღნიმც** ურჯულონ დასჭრიან, **სიხხლიმც** მაიგდებს პერადა, **საყვავ-ყორნედამც** გახდება, **ნუმც** მივა ჯალაფთ ხელადა... (რაზიკ., 131, 166); ...**ვინაც** ჩემდ იტყვის: „რა უჭირს?“ **ისიმც** იქნება ჩემ ფერი! **შვილებიმც** წვრილებ ექნება, **ქმარიმც** ექნება ბებერი (რაზიკ., 131, 169); ...**ანამც** კი დაწვა ჩაბანო, **ანამც** წყალს წააღებინა... (რაზიკ., 142, 26)].

-ო: სხვათა სიტყვის ო გვხვდება როგორც სრული (ო) სახით, ისე დავიწროებული (ვ) სახით. ო პირველად ხმოვნის მიმყოლ უკან დავიწროებულიყო: **აო→ავ, ეო→ევ...: მავიდაო←მავიდავ, მავჯელეო→მავჯელევ...** ახლა თანხმოვნის მიმყოლაც გვხვდება ხოლმე ვ. როცა სხვათა ნათქვამის გადმოცემაა საჭირო, სხვათა სიტყვის ო ხევსურულში თითქმის ყოველ საბელს და ზმნას ერთვის ხოლმე:

...არ წამავალავ, არ მინდავ არაყივ, თივას ქვე **მივსცემავ...** (გაბ., 130, 4); ვალ- ზმნასთან პირაქეთულსა და არსოტულში სხვათა სიტყვის ო-ს წინ ა გვაქვს, შატილურში უთუოდ ი და არა ა: **...არ წამავალივ...;**

...უთხრიდივ, ნუ **დადგებისავ,** აი შენთან ქუდიც **გამამატანავ...** (გაბ., 128, 6); „...ჩვენ **მეფემავ** ეს რაად **გვითხრავ,** რო „ფულს **ნაგცემთავ?“** ჩვენ განა ფულის გულისად **ვომობთავ?“** (გაბ., 163, 1—2);

[შდრ. თშ.: **...არავ,** დედო, არ **მწადისავ...** (უთურგ., 113, 19); **...კარ გაბრღითავ** ციხისივ... (უთურგ., 90, 4); ...ნუ დამიშლი, დაშლაიცაწ **მონაიავ, გამამშადევ...** (უთურგ., 113, 28)].

სხვათა სიტყვის ო ხევსურულში დაუვიწროებლად გვხვდება სალექსო სტრიქონის ბოლოს, ხმითნატირალ-მთიბლურებში, „და“ კავშირის წინ, წინადადების შიგნით და ზოგ სხვა შემთხვევაშიაც (მაჯალითად, კითხვიან სიტყვის ბოლოს: **რაიო? მავიდაო?...**):

...ამბობენ, თადიაურნო, ჭირზე ვერ გონობთ **ჭირსაო.**

ხიტალეს გაგვიძახიდით, კან ხყვან გახუას **შვილთაო...** (ხევს. პოეზ., 161, 1—2).

სალექსო სტრიქონის ბოლოს იმდენად ჩვეულებრივი გახდა სხვათა სიტყვის ო-ს ხმარება, რომ ასლა იგი ემფატიკურ ხმოვნად იქცა და იხმარება ყველგან (ა-ს პარალელურად), სადაც საჭიროა და არაა საჭირო. სხვათა სიტყვის ო სალექსო სტრიქონის ბოლოს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მელექსე უფრო ხშირად თვითონ გამოგონილ ამბავს კი არ ლექსავს, არამედ მომხდარს და მისთვის **სხვისგან მოთხრობილს...**

ფაქტობრივად ემფატიკურ ხმოვნადაა ხოლმე ქცეული სხვათა სიტყვის ო მთიბლურ-ხმითნატირლებშიაც: **...ტანიეს ამბავ გავიგონეო** (ეთნ., III, 34, 1); **...მტირალსა ტირილს** ნუ **ბპატიჟებთო...** (ეთნ., III, 35, 1); **...ფარს ქვეთა მუსრი შამამახწვერო...** (ეთნ., III, 11, 12).

„და“ კავშირის წინ: **...მავიდავ ის ეშმაკიო’** თქვაევ... (მივლ. მას.); **...გიორგიიო** და აბულეთ მავიდესავ... (მივლ. მას.).

-ა: ხევსურულში (და სხვა მთის დიალექტებშიაც) შემონახულია კითხვითი -ა-ნაწილაკი, რომელიც ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი: ...გორგი შენ **ხარა** თველექათიო? (ეთნ., III, 9, 1); „...ისი-**გგონავა**?..“ (გაბ., 130, 11); „...ცოდვა არ **ასა**?“ (გაბ., 133, 33): „...ვერც აეხლად **ბაგიჴერჴია**?“ (გაბ., 155, 22); „...ის არ გი-**რჩევა**, რო მახკვდ?“ (გაბ., 137, 16); „...არ **წამიყვანსავე**?“ (გაბ., 128, 17); ...თვალჭრელო ჩვენო აბულეთაო, ნადირობ არ იყ გიცეო? მაღალი წვერი არიშკისიო აღარცად **მაიარიაეო**? ჭანთეთ არ ჩინდა ტერელოიო, თოფის ჴმა არ **მადიოდაეო**?.. (ეთნ., III, 19, 1—6).

ჭვე: ხევსურულში გვაქვს **ჭვე** ნაწილაკი, რომელიც კი, **კიდეც** ნაწილაკებს უდრის დაახლოებით: ...ბევრ **ჭვეც** კლავს ერთმანეთს... (გაბ., 124, 28); „...თქვენ ჯერ **ჭვე** არა გყავთ, იისიც რომ მგელთ დაგიჴოცანთ, რაიც დაგჩებისთ?“ (გაბ., 249, 3—4); ...თიეას **ჭვე** მივსცემავ... (გაბ., 130, 4); ...**ჭვე** მიგვიხოლა, გიჟაო, **ჭვე** გვანებება თავსაო, **ჭვე** გასწირავა დიაცსა, ლამაზს ბერდიშვილთ ქალსაო? (მიქლ. მას.); „**ჭვე არ**“ ხოგჯერ უდრის **აკი**-ს: **ჭვე არ** გითხარი, მახვიდივ? „**ჭვე თუ**“ უდრის **ალბათ**-ს: ...**ჭვე თუ** წაიყვანეს, აღარცად მავიდ... იგივე **ჭვე თუ** ისით კონტექსტში იხმარება, სადაც აუცილებლობაა გამოხატული: ...ზოგებმ თქვეს **ჭვე თუ** მივსცემთა, ცოდოი ცოლ-შვილთ ბრალია...

[შდრ. ფშ.: ...ანამც მაქცია ვაჟადა, მამცა თოფი და ჴმალიო, **კი** საით მამაკლეინა ი ლეკი—შენი ქმარიო (რაზიკ., 45, 67); ...ჴეც კარჩი გამოვიდოდი, განა **კი** დავიმალები (რაზიკ., 184, 283); ...თოფით რო მემუქარები, ან **კი** იცია ხმარება? (რაზიკ., 189, 5); ...ზოგნი რო წვიბდენ ღურბელნი, ზოგნი **კი** გადიდარებენ, ზოგნი რო გცემდენ ვაჟკაცსა, ზოგნი **კი** დაგიფარებენ (რაზიკ., 115, 65); ...აქ **კი** მოსულა ბალახი, სივაგან **კი** დაკვეთილაო (რაზიკ., 95, 64); ...ხელნ საჭითით საესენი ჰქონ, ყელზე უძე სამკაული; ჰრელა წინდა **კი** ვერ იცის, დაეწვი მაგის სასწაული (რაზიკ., 214, 119); ...ნეტარ **კი** წაგიყვანენა ეგ უნამუსონ ციცანი? (რაზიკ., 146, 54)].

ხევსურულის **ჭვე**-ს შესატყვისი ფშაური **კი**-ნაწილაკი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი **კი**-საგან („მე **კი** მეგონა, რომ წენ მოხვიდოდი“), რომ იგი პროკლიტიკად უძღვის მის მომდევნო სიტყვას (ჩვეულებრივ ზმნას) და უფრო სწორი იქნება, წერის დროს ეს ორი ერთეული დეფისით დავუკავშიროთ ერთმანეთს: „**კი-საით მამაკლეინა**“, „**განა კი-დავიმალები**, „**ან კი-იცია**“, „**ზოგნი კი-დაგიფარებენ**“, „**ზოგნი კი-გადიდარებენ**“, „**აქ კი-მოსულა ბალახი**“ და ა. შ.

IV. მაერთებელი „და“ კავშირი ხევსურულში

ხევსურულში ზოგჯერ „და“ კავშირი წინამავალ სიტყვას ეკვრის ბოლმე ენკლიტიკად. ხშირად იკარგება „და“ კავშირისეული ა. პროფ. ა. შანიძე ასეთ შემთხვევაში წინამავალ სიტყვისათვის ბიკრულ დ-ს დეფისით გამოყოფს, ხოლო დაკარგული ა-ს ნაცვლად დ-ს ზემოთ, მარჯვნივ, აპოსტროფს წერს: ...**მამუკაი-დ'** გამაალა (გაბ., 206, 25) [შდრ. ფშ.: ...**თავადი-დ** აზნაურები ყველა გამიადა მტერია (რაზიკ., 15, 25)].

პროფ. ა. შანიძეს ბეს. გაბუურის მასალებში დაბეჭდილი აქვს სტრიქონი: ...იქერს ღილღველთა. ჴევსურთა, ცუდს კაცს არ უშობს გზაზედა (გაბ., 175, 2); პატივცემული მკვლევარი სქოლიოში შენიშნავს: „ვარ.: „ჴევსურთა-დ' ღილღველთა“ (თუმცა უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ჯერ დაუწერია „ჴევსურთად ღილღველთა“, მაგრამ შემდეგ წაუშლია დონი“)-ო [35]. ეს საგულისხმო ცნობაა: ხევსურულს შეუძლია ან წარმოადგინოს ეს ან-დაკარგული დონი, ანდა ისიც დაკარგოს და ხმის სათანადო ინტონაციით გადმოსცეს ეს კავშირი.

იმ ადგილებში, სადაც „და“ კავშირი სულ გამოტოვებულია, პროფ. ა. შანიძეს უბრალოდ მძიმე დაუსვამს და ეს წინადადებები თუ წინადადების წევრები უკავშირო შეერთების შთაბეჭდილებას ახდენენ. საჭირო კია, რომ ეს ინტონაცია ჩავარდნილი კავშირის ადგილას რამენაირად აღინიშნოს, რათა გაირჩეს ერთმანეთისაგან კავშირიანი და უკავშირო შეერთება, ჩამოთვლა და სხვ. „და“ კავშირის ჩავარდნის ადგილას ერთგვარი სულის წყვეტა ხდება და ისმის ც-ს მაგვარი ბგერა. ჩვენ ჩავარდნილი „და“ კავშირის აგიერ, ამ კავშირის წინამავალი სიტყვის ზემოთ, აპოსტროფს ვწერთ.

„ხევსურულ პოეზიაში“ ერთ-ერთი ტექსტი ასეა ჩაწერილი: ...უსრევავ ციხეშიით (დ)ა აი სანაპირონიც გადაუტეხიან (დ)ა კაცსაც მახვედრივ, მამკვდარ (ხევს. პოეზ., გვ. 440); აქ შემჩნეულია „და“ კავშირის ჩავარდნა, მაგრამ იქვე ვკითხულობთ: ...ერთ დიაც ყოფილა, სრუ ზურგით გადმაუცილებიან თითოობით გადმასაფარებშიამდი ჴევსურები (ხევს. პოეზ., 440); „**ყოფილა**“-ს მიმყოლ აქაც „და“ კავშირია ჩავარდნილი.

ჩვენ ბეს. გაბუურის მასალებიდან მოვიყვანთ მაგალითებს და ჩავარდნილი „და“ კავშირის ნაცვლად აპოსტროფს (') დავსვამთ. სადაც ჩვენ აპოსტროფს ვწერთ, ნაბეჭდ ტექსტში იქ მძიმე წერია.

---

[35] „წელიწდეული“, გვ. 175.

მაგალითები სხვა წყაროებიდანაც იქნება დამოწმებული: ...მასპინძელო, სრუ ბუდამ **ლხინი' ჯორწილიმც** ნუ მაგემლებისავ (გაბ., 132 2—3); ...ახალწლის გამაცვლისად ბედნიერი **წელი' კვალიმც** გამაგეცვლებისთ (გაბ., 143, 2); ...თქვენ იყოს **მწყალობელი' თქვენის** თავისა (გაბ., 127, 31); ...როსაც ლუდ გაუთავდების, მაუმატებენ **დასტურები' სმენ** დაღამებამდი (გაბ., 127, 19); ...მიბრუნდების **ჯელოსანი' დაუსხმს** ლუდს სოფელს (გაბ., 124, 19); ...ჩვენავ გაგვიე ჯერ ეს **ჯურუმი' მემრ**... (გაბ., 124, 10); ...ორ კვირაე არ გასულას ზურაბის ლაშქრის **ჯოცისაი' მამუკა** ქალუნდაურ ყოფილ სათიბზე გუროს მთა'ში (გაბ., 160, 22—23); ...წაიყარ თოთელმ თავის **პერანგი' გადაუგდ** ქალს (გაბ., 167, 34); ...ღმერთო დალოცილო, **ჯარისა' კაცის** გამჩენო, შენ გეხვეწები (გაბ., 121, 9—10); ...**სთველი' ზაფხულ** მშვიდობისა ჩამოგვიყენი (გაბ., 121, 12); ...**ჯარისა' მჯრის** ნაოფლარს ჯვარ დაგვიწერი, **ნივთი' ბარაქა** დაგვიდევნი (გაბ., 121, 12—13); ...მივას **მაწევარი' უძახებს** ყველა სახლებში (გაბ., 129, 7); ...**ქალისა' ვაჟის** პატრონნო და ნეფ-დედუფალნო (გაბ., 132, 22); ...გამარჯვება ნაქსენებ **ანგელოზთა' იმის** წყალობა გქონდასთ (გაბ., 145, 15, ტექსტში ჩავარდნილი კავშირის ადგილას ძახილის ნიშანი წერია).

ზოგჯერ ჭირს გარჩევა, კავშირიანი ფორმაა თუ უკავშირო: ...მაუნთებს სანთელს სახლში მყოფი (ან ძმა, ან შვილი, ან **ცოლი**)' **დაუდგების** წინ სტუმარს მასპინძელი (გაბ., 128, 22—23); **„დაუდგების“**-სიტყვის წინ შეიძლება მძიმეც დაიწეროს,—საქმე ი არის, როგორი ინტონაციით ამბობს ამ სიტყვებს მთხრობელი.

სხვა მაგალითები: ...თავობით **პურსა' წულს მაუმატიდი' კაცსა' კაცრიელობას** (ეთნ., I, გვ. 13); ...ნურას **ბალინჯსა' კავატს** დაუდევნებ სამსახურზე საქსენებ ანგელოზს (ეთნ., I, გვ. 13); ...დღეს სრუაც შენ **დაგბრუნავა' ერთ** სიტყვაიც ვერ გათქმი (ეთნ., III, გვ. 7); ...ჭართ მაგცემსთ სამახარობლოდაო, ჩემსა **ღილასა' ჯორელასაო** (ეთნ., III, 18, 10); ...**აქვათა' არხოტიონთა** შენ აუშალე ზავიო (ხევს. პოეზ., 102, 2); **„აქვათა' არხოტიონთა“, „ღილასა' ჯორელასაო“** კავშირით შეერთებული სიტყვებია, ოღონდ აქ **„და“** კავშირი კი არ არის ჩავარდნილი (მაშინ მარცვალთა-რაოდენობა დაირღვეოდა), არამედ **„და“** კავშირის შემცვლელი ინტონაციაა კავშირად გამოყენებული, ე. ი. მეტყველის ცნობიერებაში ინტონაცია უკვე კავშირად არის გაგებული და მას გარკვეული ფუნქცია ეკისრება.

...მე გაჭირებაჩი ნაქნარ **სიკეთეცა' სიავეიც** ქოო ძალთ დამეწერების (მივლ. მას.); ...**კაცი' საქონ** ხო ყველა მშვიდობით

ხართ? (მივლ. მას); ...მაგის ფას სამ ჩარექ ერბოი, **მივა' მიიძახს**, მაგას სხვათა(დ) კითხვა რაად გი? (მივლ. მას.).

ჩავარდნილი „და“ კავშირის წინამავალი სიტყვა ყოველთვის ხმოვნით თავდება: ეს ხმოვანი ხან სახელობითისაა, ხან მოთხრობითის -ნა ფორმანტისა, ხან -ცა ნაწილაკისა, ხან ემფატიკური ანია და ა. შ. სხვა შემთხვევაში რომ ხევსურულისთვის ამ ხმოვნის ხმარება საჭირო არც იყოს (ხევსურულში ბოლო პოზიციაში ხმოვნები ხშირად იკარგვის, იხ. გვ. 43—45), ჩავარდნილი „და“ კავშირის წინ იგი აუცილებლად იქნება.

V. სიტყვაწარმოება

ხევსურულში სიტყვაწარმოების მრავალგვარი ხერხებია გამოყენებული. გვაქვს იგივე პრეფიქსები და სუფიქსები, რაც სალიტერატურო ქართულში. ოღონდ ზოგჯერ მოულოდნელი შინაარსის გადმოსაცემად არის ხოლმე გამოყენებული ესა თუ ის აფიქსი, ანდა წარმოება ნორმალურია, ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობა კი—თავისებური.

სა—ე: **სადიაცე** (=მშიშარა, შდრ. **სადიაცო** „ქალის ჯუბა“): ...**სადიაცეო**, დედროვნის ჯარზე საჯდომო (გაბ., 137, 13); **სათათრე** (შდრ. **სათათრეთი**): ...მაშინ **სათათრეშიაც** აღარ დავაყენებთ (გაბ., 164, 19); **საუნამუსოე**: ...ტანისაცმელთ თუ იქდის და იქით აბჟევს აქიმი, მაშინ **საუნამუსოეს** ეძახან და ცხრა ცხვარია (გაბ., 142, 12).

სა—ო: **სამთელ-მკვდრო** („განსაკუთრებით მძიმე ჭრილობის საზღაური“): ...ვაშინ **სამთელ-მკვდროს** აიღებს ხუთ ძროხას (გაბ., 142, 6); **სალეკო** (შდრ. **სათათრე**): ...**სალეკოს** დაიფანტება ნათოსი ჩემი ძვლებისა (მივლ. მას.). **სასილო** (=სასილოსე): ...ეექ სიმინდ დავათესევ ამა კაცს: „**სასილო** მაინც იქნებავ“ (მივლ. მას.); როგორც ჩანს ეს ფორმა **სა—ე** და **სა—ო** აფიქსების აღრევით არის მიღებული, ფუძედ გაგებულია **სილ-**: **სა-სილ-ო**... **საურჯულოო** (=ქისტეთი ან ლეკეთი): ...ჭმა გატყდა **საურჯულოოს**, დაიძრა მთა და ბარიო (ხევს. პოეზია., 129, 13).

სა—ო აფიქსებით ნაწარმოები სახელი ვითარებით ბრუნვაში დაისმის და **-კენ**, **-თვის** თანდებულიან ფორმებს ცვლის (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 58—59): ...დაღბრუნდი **საშინაოდა**, ქისტო, შენ' წასვლა ჭირსაო (ხევს. პოეზ., 111, 9); **საჯვრობოდ** (←**საჯვარობოდ**, ჯვარისკენ): ...**საჯვრობოდ** წამავედი ნანა ჯინჭარაულთ ქალი (ხევს. პოეზ., 406, 1); ...**სამეთვეურობოდ** (=მთელი თვის განმავლობაში საყარაულოდ): ...**სამეთვეურობოდ** ჩავდგებით, არ გამაგიშობთ წყალზედა (ხევს. პოეზ., 136, 38).

სა—ურ: **სათავითური** („ბალიში"): ...ტოტით ნათხარო ლოგინო, **სათავითურო** ქვიშაო (ხევს. პოეზ., 512, ზ, 9); **სა-მზე-ურ-ნ-ი** („სააქაოს, მზეზე და არა საიქიოში მცხოვრებნი", შდრ. **სამზეური** „მზვარე, მზიანი ადგილი"): ...სულეთის ღმერთო მადლიანო, მამე ნებაი საუბრისიო; გამამაცხადე სამზეოსაო, შენ ამაძრახე **სამზეურთაო** (ეთნ., III, 30, 4). [შდრ. ფშ.: **საყანური** („ყანა, მამული"): ...გაგვრეკნეს **საყანურებში**, სიცივემ დაგვაჯერაო (რაზიკ., 259, 22)].

სი—ე: **სი-მთელ-ე** (=მრთელობა, ჯანმრთელობა): „...კარგია, **სიმთელეი** ას საკითხაეი" (გაბ., 129, 1); **სი-ფუდულ-ე** (=ფუდუ-ლობა, პრანჭიობა): ...არ იცის **სიფუდულე**, არც საჭელთ იყრის მჭარბედა (ხევს. პოეზ., 187, 4); **სი-სხორიგე-ე** (=სხვარიგობა, სხვანაირობა): ...შაუტყვა **სიხხორიგეი**, დედაი ბკითხავს შვილსაო (ხევს. პოეზ., 677, 14); **სი-დიდურ-ე** (=დიდურობა, ამაყობა): ...არ მამწონს **სიდიდურეი** (ხევს. პოეზ., 364, 11); **სი-უჭკოვ-ე** (=უჭკუოობა): ...ვჴოცილვართ **სიუჭკოვითა**, ისიე ადგომამც იყვაო! (ხევს. პოეზ., 23, 2).

უ—ე: **უ-კეთ-ე** (შდრ. **კეთილ-ი**, **უ-კეთ-ეს-ი**, **უ-კეთ-ურ-ი**): ...ჯიქვის თაე კლოვ **უკეთე** მოგცასთ ღმერთმა (გაბ., 195, 28); **უ-ხან-ო** (=უდროო): ...დასცნიან **უხანოს** ხანთა ქმოსტში, როშკაში ცანია (ხევს. პოეზ., 162, 2). **უ-საფერ-ო** (=უღირსი, შეუსაბამო): ...**უსაფეროსგან** მამკვდარა, ას ვაშკაცისად ბრალია (ხევს. პოეზ., 676, 4).

მე—ე: **მე—ე**, **მო—ე**, **მა—ე** აფიქსები ერთმანეთს ცვლიან ხოლმე: **მე-სისხლ-ე** (=მოსისხლე): ...დედო, ნუ წახოლ აკუშოსაო, თორემ თოფს დაგკერენ **მესისხლენიო** (ეთნ., III, 43, 12); **მე-ჭელ-ე** („მკვლელობის უშუალო მონაწილე" შდრ. **მოხელე**): ...თუ პატივი არ მისცა, მაშინ **მეჭელეს** დასჭრის ხანჯრით (გაბ., 140, 20); **მე-პირდაპირ-ე** (შდრ. **მოპირდაპირე**): ...ის კაც ჩუჩუნს ველარ იქს, გინდა ძალიანაც სირცხვილ-დადებულ იყვას **მეპირდაპირისგან** (გაბ., 125, 1), შდრ.: ...გამავლენ თოფ-იარაღით მართულნი **მაპირდაპირის** საომრად (გაბ., 146, 19); **მე-ნადირ-ე**: ...გზას გიზის **მენადირეი**, სიცივისაგან ჴერდება (გაბ., 507, 2).

მა—ურ: **მა-განძ-ურ-ი** („განძის მფლობელი"): ...შაყრილებს **მაგანძურებსა** შენ ხყვანდი კამანდარია (ხევს. პოეზ., 257, 15); ...ამაგის მალექსებელი სანების **მაგანძურია** (ხევს. პოეზ., 471, 29); [შდრ. ფშ.: **მე-კაც-ურ-ი** („კაცის მტერი"): ...ან ჩაეყოლა ბაყაყი, ან **მეკაცური** გველია (რაზიკ., 209, 88)].

ნა—ალ: **ნა-სამ-ალ-ი** („ხორბლისა და მისთ. საწყაო", შდრ. **ნასამ-ედ-ი**, **მე-სამ-ედ-ი**...): ...მეფიცებოდა: „შაჰამეს ორთ სამის

ნასამლისაო“ (ხევს. პოეზ., 607, 11); **ნაოთხალი** („ცირე ზომის ვარცლი“) და სხვ.

ნა—ავ: ნა-მეტნ-ავ-ი: ...ჭევსურს კახის ქალ რას არგებს, **ნა-მეტნავ** დედის-ერთასა? (მივლ. მას.); აქედან: **სანამეტნაო**: ...ჭევსურთა **სანამეტნაოდ** ქმალ მაიქნია ფხიანი (მივლ. მას.); **ნა-ცხენ-ავ-ი** (ვეოგრ. საბელია სოფ. შატილში): ...ვაკე. **ნაცხენავრ**, სამძივანაის გორწ,—სრუ შიმილის ლაშქრით ყოფილ სავსე (მივლ. მას.).

-ობ-ა: ეს სუფიქსი ზოგჯერ მრავლობითობის როლს ასრულებს (იხ. ზემოთ); იგი ზოგჯერ **-ებ-ა** სუფიქსის ნაცვლადაც იხმარება: ...მონა **დროობა** დაგვიდგა (ხევს. პოეზ., 465, 1); ...თუ რა შაგცოდეს, შაგაწყინეს უცოდრობით, **უმეცრობით**... (ეთნ., I, 13).

-ობ-ა სუფიქსის ხმარების სხვა შემთხვევები: ...მადის ჭშირად **მამკლავ-მამკვდრობა** (გაბ., 136, 6); **კაცთობა** („ადამიანთა მოდგმის არსებობის მთელი დრო“): ...ეგ **კაცთობას** არ გაკეთდებ, თუ გულ არვინ დაიღონ, თუ ყურ არვინ უგდ (მივლ. მას.).

-ობ-ა სუფიქსიან სიტყვას ერთვის ხოლმე მრავლობითის **-ნ** სუფიქსი: **ქალი—ქალობა—ქალობა-ნ-ი**: ...კმარავ, დაგეწვნეს **ქალობანიო** (ეთნ., III, 47, 10); **სიძობა-ნ-ი, ცოლისდაობა-ნ-ი**: ...დამეწვნეს შენნი **სიძობანიო**, მემრ ჩემნი **ცოლისდაობანიო** (ეთნ., III, 7, 9—10); **თანგულა** (კაცის სახელია)—**თანგულაობანი**: ...ციხემ ჩარდახნი ჩამაყარნაო, წავიდეს **თანგულაობანიო** (ეთნ., III, 12, 21) შდრ. **ნახვა—ნახვანი**: ...ეგ კარჩი აღარ გამაჩინდაო, აღარ იკადრა ჩემ **ნახვანიო** (ეთნ., III, 33, 6).

-ურ: **-ურ** სუფიქსი ნაირ-ნაირ შინაარსს ანიჭებს სიტყვას: **კომლი—კომლ-ე(ვ)-ურ-ად** („კომლზე“): ...სამ-სამი ცხვარი მოუთხოვიათ **კომლეურად** (ხევს. პოეზ., გვ. 493, ზემ. 17); **მამისა—მამისა-ურ-ად** („წინაპართებურად“): ...**მამისაურად** ვაქებსა თესლი აქვ არწივისაო (ხევს. პოეზ., 155, 4); **კიდ-ურ-ი** („კიდე, ნაპირი“ შდრ. **კიდ-ელ-ი** „ტატნობი“): ...**კიდურზე** ნუ მიზდგებით, არ გადაიყარნათ! (მივლ. მას.); **კუჭი** („კინკრიხო“)→**კუჭ-ურ-ა**→**კუჭ-ულ-ა**: ...თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა, მეორე—**კუჭულაშია**, უკენისკენაც ხენასა (ხევს. პოეზ., 545, 12); შდრ. მეგრ. **კუჭული** („თავი“): თიშ **კუჭული** ვა (გ)იძირუდას! (წყევლა: „იმისი კუჭული (თავი) არ გენახოს!“). **მთა—მთური**: „...საჯარის **მთურმა** ქარმა არ მაგვასწვრას“ (გაბ., 193, 14);

-ურ სუფიქსი ზოგჯერ **-ელ**-ს ცვლის და ადამიანთა წარმომავლობაზე მიუთითებს: **კარი—კარ-ულ-ი**: ...შინ ჯალაფთ მავსძულებიორ, **კარულთ** უნდიორ აღარა (ხევს. პოეზ., 692, 2); [შდრ. ფშ.:

...სხვაკნიურსა ვაჟეებსა თეალი ჰრჩება თქვენზედაო (რაზიკ., 210. 95);

...ნუმც გვიტირებენ დედანი, **ფშავის ხეურნი** ქალნიო (რაზიკ., 13, 18);

...მაგის ცოლი **კავკაული** (←**კავკაური**, რაზიკ., 225, 177)].

გვაქვს შემთხვევა, როცა **-ურ** სუფიქსი ერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას: **ფერჯისა→ფერჯის-ურ-ი→ფერჯისული** („ფერხული“): ...ამაგის მალექსებელი **ფერჯისულაზე** ვთვალავო (ხევს. პოეზ. დამატ., 785, 19) [36].

-ურ სუფიქსი სახელ-გვარებს აწარმოებს: **ჩალხი—ჩალხური, ბუჩუკი—ბუჩუკური, არაბა—არაბული(←არაბ-ურ-ი), ჯინჭარა—ჯინჭარაული(←ჯინჭარაური), ხომიზი—ხომიზური** და მისთ.

-ელ: ზოგჯერ მონაცვლეობენ **-ელ** და **-ულ** სუფიქსები: **ღარადელა ‖ ღარადულა** („ხილისა და მისთ. ასხმულა“): ...ერთი ერთს იტყვის, სავა—სხვასა, აასხმენ **ღარადელასა** (ხევს. პოეზ., 347, (026), 5).

ი-ელ: **-ი-ელ** სუფიქსი **ივ-ერ**-იდან უნდა მოდიოდეს (შდრ. **ივ-არ→ი-არ**: **უდიარი, ძრიალი←ძლიარი** და **ივ-ან→ი-ონ**: **შატალიონი, არხოტიონი**...). ახლა **-იელ** მთლიან, განუყოფელ სუფიქსად გვევლინება და საკმაოდ შეზღუდული გამოყენებისაა. **-იერ ‖ -იელ** სუფიქსიანი სიტყვებია: **ფუშვნიერი, გემნიერი, ღონიერი, გონიერი, შორიელი (←შორიერი), ნათრიელი (←ნათლიერი), კაცრიელი (←კაცნიერი), მიწრიელი (←მიწნიერი), ქვეცრიელი (←ქვეცნიერი)** და სხვ. ... ასეულ **მიწრიელ** დაულაგმიდი (ეთნ., I, 13); [შდრ. ფშ.: ...სტუმარო **შორიელაო**, ლოგინსა სწევხარ ხმელასა (რაზიკ., 159, 133)].

-ედ: **-ედ** სუფიქსი მქონებლობას აღნიშნავს და **-იან** სუფიქსის კორელატია. ეს სუფიქსი ახლა უმოქმედოა და მხოლოდ სიტყვას შეხორცებული გვაქვს შემონახული: **კუდ-ედ-ა** („კუდიანი ჰია, რომელიც ნაკელ-ტალახში ჩნდება“): ...ეგენ ქვე ვისაღ რას გაუცინებენ, **კუდედასავით** ნეხვ-ტალახჩი ირჩევიანო! (მივლ. მას.). **კარ-ეტ-ი** (←**კარ-ედ-ი**?): რაიმე საგანი რომ კარგად ვერ მიეწყობა მეორეს, ვერ ჩაჯდება ბუდეში, „კარეტად დგას“-ო იტყვიან. კა-

---

[36] თითქოს ანალოგიური წარმოებით უნდა იყოს მიღებული სიტყვა **ჭევსური** (←*ჭევ-იხ-ურ-ი, ე. ი. „ჭევის მცხოვრები“? შდრ. მე-ჭევ-ე, სადაც იგივე ძირი სხვაგვარად ჩანს გაფორმებული, და **მთიული←მთი-ურ-ი—მთ-ივ-ურ-ი**, ე. ი. „მთის მცხოვრები“).

რეტად შეიძლება იდგეს ფანჯარა, კარი, ფიცარი მეორე ფიცრის მიმართ და ა. შ. ესეც თითქოს კარის მქონეს, ღიაობის მქონეს ბიუთითებს (შდრ. გამოთქმა: **ცა აკარიანდა** = ცა მოიწმინდა, ცას ღრუბელი გადაეყარა, ე. ი. კარი გაკეთდა, სინათლე გამოჩნდა...). შდრ. აგრეთვე **კრეტ-საბმელი** („ფარდა"), რაც **კარ-ედ-ს** უკავშირდება.

სიპი—სიპერდა („სიპით, ქვის ბრტყელი ფირფიტებით გადახურული სახლი"): ...გასწირენ შვიდის წლისამა თავის სამშობლოს კლდენია, ციხენი **სიპერდიანნი**, არხვატის სიმაგრენია (ხევს. პოეზ., 678, 4); თუ ეს სიტყვა კომპოზიტი არ არის (**სიპი+ერდო→სიპერდო→სიპერდა?**), იგი **სიპ-ედ-იდან** უნდა მოდიოდეს, რ კი გაჩენილი უნდა იყოს.

-ონ(←(ვ)-ან?): **-ონ** სუფიქსი ცვლის **მო—ო** აფიქსს. იგი ძირითადად ფერების აღსანიშნავად იხმარება: **შავონა** (მოშაო), **თეთრონა** (მოთეთრო), **წითლონა** (მოწითალო), **ყვითლონა** (მოყვითალო), **სისვონა** (მომწვანო; **სის(ვ)ონა** ერთ ბწვანე ფერის ფრინველსაც ჰქვიან), **ლურჯონა** (მოლურჯო), **ლეგონა** (მოლეგო) და ა. შ. [შდრ. ფშ.: ...წაქერონ-წაშვინდონაი გარელ-გარელა დგებოდა, შავგვრემან სვილის ფერაი ტოტ და ტოტ მეომებოდა (რაზიკ., 251, 268)].

-ონ: ეს სუფიქსი სადაურობას აღნიშნავს და რამდენიმე გეოგრაფიულ სახელთან იხმარება: **შატილი—შატილიონი, არხოტი—არხოტიონი, ამღა—ამღიონი, ჯიმღა—ჯიმღიონი, როშკა—როშკიონი, ჩხუბა—ჩხუბიონი, აყნელი—აყნელიონი, ხიტალე—ხიტალიონი, მისახი—მისახიონი, ჯორმეშავი—ჯორმეშიონი, აჭეხა—აჭეხიონი, აჭე—აჭიონი, ატაბე—ატაბიონი, აცეხი—აცეხიონი, ჯვარეგა—ჯვარეგიონი, კარატე—კარატიონი, საბერწე—საბერწიონი, ღელე—ღელიონი, ღელისვაკე—ღელისვაკიონი, იჯე—იჯიონი...**

ეს სუფიქსი ამა თუ იმ საქმიანობასაც აღნიშნავს: **ჯვარი—ჯვარიონი** („ხატის მსახური") || **ხატი—ხატიონი, დროშა—დროშიონი**(„დროშის მფლობელი, მედროშე"), **ციხე—ციხიონი** („ციხის მცველი"), **ნეფე—ნეფიონი** („ნეფის სუფრის გეინახე ქორწილში"). აქა-იქ სალიტერატურო ქართულშიაც შეინიშნება მისი გამოყენება: **მაყარი—მაყრიონი, ბაგრატი—ბაგრატიონი...** (სუფიქსის თავდაპირველი ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ იხ. ქვემოთ).

ხევსურულში **ამპარტავანი**-ს ნაცვლად გვაქვს **ამპარტიონი**: ...დიჩინთა, **ამპარტიონთა** ვინ ამაასხამს ჭკვაზედა? (ხევს. პოეზ., 520, 29); ...არ იცით **ამპარტივნობა**, ძველს იცომთ ტალავარსაო (ხევს. პოეზ., 493, 3); ...არ მინდა **ამპარტივნობა**, კვეხა არ მამ-

წონს ქალზედა (ხევს. პოეზ., 520, 67). აქ, როგორც ჩანს, -ავან თუ -ოვან ბგერათკომპლექსი გვიან გააზრიანდა -იონ სუფიქსად სხვა -იონ-სუფიქსიან სახელთა ანალოგიით.

ა) კომპოზიტები

ხევსურულში მრავალგვარი კომპოზიტები გეხვდება. ერთი წყება კომპოზიტებისა ისეთი კომპოზიტებია, როცა პირველი კომპონენტი ფუძით არის წარმოდგენილი, მეორე კი — სახელობითი ბრუნვის ფორმით: **ცულ-აფთარი**: ...გამაუარდა **ცულ-აფთრით** (ხევს. პოეზ., 42, 04, 42); **კოჭა-ღარადული**: ...ძუნძულთაი ბიძურაი **კოჭა-ღარადულაია** (ხევს. პოეზ., დამატ. 784, 23); **ლოკნა-ერაწუნა**: ...ბერდედიათ უშიშაი **ლოკნა-ერაწუნაია** (ხევს. პოეზ., 784, 30); **ბათხა-ბატატურა**: ...ჰრელა აბაბუჯნელაი **ბათხა-ბატატურაია** (ხევს. პოეზ., 784, 18); **წულ-ყმა**: ...**წულ-ყმას** გახვეწებდას,—უხიანოდ გაუზარდიდი (ეთნ., I, 13); **უთმო-უძმო**: ...ან დებს რას უზამ... **უთმო-უძმოჩი** ჩამამსხდრებს? (ეთნ., III, გვ. 7,15—16); **დასტურ-ჯელოსნები**: ...**დასტურ-ჯელოსნებს** წინავ გააგებიებს (გაბ., 121, 23); **სახელ-სირცხვილი**: ...შავ-შუაღამეთ მდინრებო, არ იცით **სახელ-სირცხვილი** (ხევს. პოეზ., 372, 4); **შამდინარ-გამამდინარი**: ...**შამდინარ-გამამდინარმა** სწორებმ დაუგან თვალიო (ხევს. პოეზ., 73, 3); **ქალბან-ბანდული**: ...წაიყრის **ქალბან-ბანდულსა** (ხევს. პოეზ., 184, 6); **მთა-ველი**: ...მითხოს გადავლა მეწადა, რა გამავიდას **მთა-ველი** (ხევს. პოეზ., 178, 2); **დღე-წერა, ყვერფ-კერა**: ...დღე-წერა მჭარს თუ არა მჭერს, ვერ მიოლ **ყვერფ-კერაზედა** (ხევს. პოეზ., 520, 36); **თავ-თავი**: ...**თავ-თავ** ურჯულო წყინულობს (ხევს. პოეზ., 136, 6); **ხე-ჭერი**: ...ზედ გააჯარეს **ხე-ჭერი** (ხევს. პოეზ., 78, 4); **კარ-კედი**: ...დალეწა ციხის **კარ-კედი** (ხევს. პოეზ., 539, 34); **ხასწორ-ჩარექი**: ...გარმოდგეს **ხასწორ-ჩარექი**: „კვირავ დაუგი თვალია“ (ხევს. პოეზ., 542, 2); **ოთხ-რქა-ოთხ-ყურა**: ...ეძებნეს ჩემთა მოყმეთა **ოთხ-რქა-ოთხ-ყურა** ცხვარია (ხევს. პოეზ., 542, 21); **ცუდ-აღარცრა**: ...გირჩევსთ თავ დაანებათ **ცუდ-აღარცრაის** თვალვასა (ხევს. პოეზ., 563, 20); **კაც-შუა-კაცი**: ...წაგვლალნეს **კაც-შუა-კაცი** (ხევს. პოეზ., 546, 15), **მამკლავ-მამკვდარი**: ...რიგს აგებ დაიყენებენ, **მამკლავ-მამკვდრისა** წესია (ხევს. პოეზ., 546, 16); **კიდელ-კიდელი**: ...დიდი ას თქვენი ხთიშვილი, ცის **კიდელ-კიდელთ** დადგება (ხევს. პოეზ., 552, 2); **სამან-სამძღვარი**: ...**სამან-სამძღვრისა** ამრევსა ზურგზე მახკიდნეს კლდენია (ხევს. პოეზ., 560, 14); **ჩარმა-სიათა**: ...კისტნის ჭალაზე ჩააწყვეს **ჩარმა-სია-**

თის ჯარია (ხევს. პოეზ., 167დ, 4); **ალღუმ-ალღუმი**: ...ცხვარი წაგისხეს, ღადუმო, მითხოს თავს შაძაბიანა... შატილში გადმოსულიყვნენ, **ალღუმ-ალღუმად** ჰყრიანა (ხევს. პოეზ., 179, ბ, 10); **თხა-წალი**: ...თხა-წალებურა ბტებოდი (ხევს. პოეზ., 377 გ, 5); **ფოცხ-მაკრატელი**: ...ნასროლი **ფოცხ-მაკრატელი**, ზურაბო, შენდამც დეეკრა (ხევს. პოეზ., 18 ია, 24); **ჯალ-ერბო**: ...ამაუჭამეს ხთისოსა **ჯალ-ერბოიან** ჯამია (ხევს. პოეზ., 608, 2); **ნემს-ნაჭერი**: ...შაყრაში არ უნდა ჭევსურულ **ნემს-ნაჭერია** (ხევს. პოეზ., 727, 31); **მძივ-ძვალისღილა**: ...უჭდების ...**მძივ-ძვალისღილა** (ხევს. პოეზ., 520, 64); **ჩალა-ბურდო**: ...ჩალა-ბურდო აღრიესო (ხევს. პოეზ., 620, 10); **წვერ-ყბა**: ...**წვერ-ყბა** გაქვ გამაშობილი (ხევს. პოეზ., 633,4); **ძმა-სახლისკაცი**: ...არცვინ ბყავ **ძმა-სახლისკაცი** (ხევს. პოეზ., 630, 5); **თვალ-გული**: ...სწორად **თვალ-გულის** მძლეველო, თავისისა და სხვისაო (ხევს. პოეზ., 539, 7); **შავ-გვრემალი**: ...ლექსს მოგაჭესენებთ, ოქებო, **შავ-გვრემლის** ჭევსურისასა (ხევს. პოეზ., 537, 1); **ნაცარ-თვალი**: ...ნეტარ, არ გათეთრდებოდა, რო **ნაცარ-თვალში** ვბანათა? (ხევს. პოეზ., 563, 10); **ნიორ-მარილი**: ...შენ ჩემს თავს, უჯკოს, უჯერე, თორ სად ხვრეტ **ნიორ-მარილსა** (ხევს. პოეზ., 564, 18); **სწორ-ფერი**: ...წინავ **სწორ-ფერჩი** უდგომო, აღარ გიჭდების არაო (ხევს. პოეზ., 785, 12); **შუნ-ჯიჭვი**: ...რო მაკლას, ტყავსა ვერ გახჭდის **შუნ-ჯიჭვსა** ბოტობისასა (ხევს. პოეზ., 280, 2); **ნალ-უსმარი**: ...ჩანაყეს **ნალ-უსმარები** (ხევს. პოეზ., 274, 10); **სოფელ-კარი**: ...ქალი არ ვარგა ქურდ-ბოზვი, ვაჟი **სოფელ-კართ** მჭეხარი (ხევს. პოეზ., 999, 1); **ვაც-ვერძი** ...**ვაც-ვერძ** შაგიფთხვა თხიანი (ხევს. პოეზ., 118, 3); **ჟამ-კარი**: „...არ ამირივათ **ჟამ-კარი**!“ (ხევს. პოეზ., 229, 15); **დილა-წუხრა**: ...თან-თან გაწვრილდა კისერი, სრუ **დილა-წუხრი** ვზომაო (ხევს. პოეზ., 333, 7); **სანთელ-სამარხი**: ...ჩემსა **სანთელ-სამარხჩიგა** სტუნრად მოხოლ ჩვენსაო (ხევს. პოეზ., 356, 11); **გაჭრელებულ-გასირმული**: ...ვთქვი, რო მაგას გაუკეთა **გაჭრელებულ-გასირმული** (ხევს. პოეზ., 348, 4); **დაცილებულ-გაწირული**: ...აღარც ჯალაფთ მამიგონეს **დაცილებულ-გაწირული** (ხევს. პოეზ., 348, 2); **თოფ-ჩახმახი**: ...**თოფ-ჩახმახს** გააქვ წკრიალი (ხევს. პოეზ., 213, 6); **ბალთა-ყაწიმი**: ...გიორგის **ბალთა-ყაწიმსა** სისხლმ შაუცვალა ფერიო (ხევს. პოეზ. 211, 36); **თემ-წყალი**: ...ვაჟკაცს არ ხჭდების, ვაჟებოთ, **თემ-წყალში** თავის ჩენაო (ხევს., პოეზ., 477, 42).

რიგ შემთხვევაში ამ კომპოზიტის მეორე კომპონენტი მრ. რიცხვში დგას: **გულ-ნაწლევნი**: ...მე **გულ-ნაწლევნ** მერევიან

(ხევს. პოეზ., 452, 9); **ტარ-ნამტენანი**: ...ჭელთ გქონდან **ტარ-ნამტენანი** (ხევს. პოეზ., 223 48); **თავ-რჭანი**: ...მამქონდეს ჯიქვის **თავ-რჭანი** (ხევს. პოეზ., 80,21).

პირველი კომპონენტი ნათ. ბრუნვაში დგას, ბეორე კი სახელობითშია და კნინობითის ა სუფიქსითაა გავრცობილი: **მზის-პირა**: ...ეს ლექსი დაუბარებავ **მზის-პირას**, ზინზილიანსო (ხევს. პოეზ., 724, 10); **ნისლის-ფერა**: ...**ნისლის-ფერაიც** იქ ხვანდა (ხევს. პოეზ., 543, 9).

პირველი კომპონენტი წინდა ფუძეა, თუმცა ნათესაობითის შინაარსი აქვს, მეორეკი სახ. ბრუნვის ფორმაა: **ძილ.პირი**: ...ძმობილსაკენ წამოვლენ, რახან მოვიდას **ძილ-პირი** (ხევს., პოეზ., 369, 3); **დღე-შუ**: ...დაჯდება იეანეური, **დღე-შუ** გაღლესავს ჭმალსაო (ხევს. პოეზ., 184, 3); **წელ-შუ**: ...არხოტ **წელ-შუ** ...იციან ხალხმ ჯვარის დროშაის შინ სტუმრება (გაბ., 133, 10).

პირველი კომპონენტი მოქმედებითშია, ბეორე—ვითარებითში: **შავით-შავად**: ...სრუ **შავით-შავად** ვერ მივდით... (ხევს. პოეზ., 78 დ, 6).

პირველი კომპონენტი ჩვეულებრივ ფუძეა და მსაზღვრელია, მეორე—საზღვრული:

ორ-წყე: ...**ორ-წყეს** დაგაყრი წამალსა (ხევს. პოეზ., 188, 5); **ცალ-ბანა**: ...ქავს გარედ გაუმართებავ ეგრ, რო **ცალ-ბანა** ქვისაო (ხევს. პოეზ., 172, 9); **ცხრა-კეცი**: ...ალგეთობასა **ცხრა-კეცე** რაზმი ჩახიაო (ხევს. პოეზ., 56, 2); **ცალა-რჭა**: „...ჯიქვ დავჭერ—ხელდამყვირის,—იყო **ცალა-რჭა** ტიალი“ (ხევს. პოეზ., 679, 3); ...სულეთ ჭარი ჭნავს **ცალა-რჭა** (ხევს. პოეზ., 560, 2); **ქვე-ხოყანა**, ...ერთი წიხლი მიაც დამცეს, **ქვე-ხოყანას** ჩამრიესო (ხევს. პოეზ. 664, 2); **ხე-ტარი**: ...ჭელებ გაქვთ ჭმლის **ხე-ტარზედა** (ხევს. პოეზ., 121, 7); **შავ-შუალამენი**: ...**შავ-შუალამეთ** მდინრებო, არ იცით სახელ-სირცხვილი (ხევს. პოეზ., 372, 4); **თვალ-შუალამე**: ...ბევრჯერ კი გადმაგიარე **თვალ-შუალამის** ხანსაო (ხევს. პოეზ., 121, 20); **ახალ-ზალი**: ...**ახალ-ზალ** მაუყვანავის (ხევს. პოეზ., 545, 3).

პირველი კომპონენტი საზღვრულია, მეორე—მსაზღვრელი: **ყურ-თეთრი**: ...შახკაზმა მამის **ყურ-თეთრი** (ხევს. პოეზ., 65 ბ, 10); **თქვენ-კვალა**: ...სიცოცხლე **თქვენ-კვალაისა**, სიკვდილი წესიმც არ იყვა (ხევს. პოეზ., 484, 3); **თავ-ჭელ-მარტოკა**: ...**თავ-ჭელ-მარტოკა** კაცი ვარ (ხევს. პოეზ., 670, 13); **თავ-კა**: ...**თავ-კან** ცხენებზე გადასხდეს (ხევს. პოეზ., 609, 12); **ცხენ-კა**: ...სადილობიდგეს **ცხენ-კათა** ხვად(თ) სნოი მოგალიანო (ხევს. პოეზ., 170, 14); **კილო-წითელი**: ...ისარმა **კილო-წითელმა** იღლია გამაგიარა (ხევს. პოეზ., 506, 4); **ქოჩორ-ყვითელი**: ...ქალი ორ **ქოჩორ-ყვითელი** (ხევს.

პოეზ., 332, 1); **გოზა-წითელი**: ...მუქუში მშვილდი აქეხდა **გოზა-წითელი**, რქიანი (ხევს. პოეზ., 141, 13); **ფეჯ-თეთრი**: ...გადაჯდა თავის **ფეჯ-თეთრსა** (ხევს. პოეზ., 64, 9); **სულ-ფონი**: ...ჯიქვებ **სულ-ფონა** წევსაო (ხევს. პოეზ., 473, 9); **პირ-შიშველა**: ...ომობენ ხახიკაურნი **პირ-შიშველანი** ყმანია (ხევს. პოეზ., 159, 2).

ამ ტიპის კომპოზიტში მეორე კომპონენტი ან უარყოფითი მიმღეობაა ან ნამყოს მიმღეობაა ვნებითი გვარისა:

თავ-უცნაური: ...**თავ-უცნაურს** ვაჟისა ყინვარზე შამგდებელია (ხევს. პოეზ., 597, 13); **ჭელ-გაუჯნელი**: ...სრუ მუდამ **ჭელ-გაუჯნელი**, არც ერთსან განათლულია (ხევს. პოეზ., 732, 19); **ჭელ-დაუცდელი**: ...თხლიანან მაინც ჩაგვისხენ, ზოგ **ჭელ-დაუცდელ** დამჩალა (ხევს. პოეზ., 667, 12); **სულ-უქცევარი**: ...გადავსვამ **სულ-უქცევრადა** (ხევს. პოეზ., 471, 31); **ჭელ-უყრო**: ...ბევრმ გაიძღოლა უწყროსი, ბევრა **ჭელ-უყროდ** მკვდარია (ხევს. პოეზ., 467, 47); **თავ-უჩინარი**: ...გადმოდის საძელზედა **თავ-უჩინარი** ჯარიო (ხევს. პოეზ., 12, 12); **ჭელ-გამაუტანი**: ...დევებს წკმუტუნი დაუდგა: „**ჭელ-გამაუტან შჩებია**“ (ხევს. პოეზ., 546, 12); **სულ-ღებული**: ...ყმა სოფელს **სულ-ღებული** ჯობ, ომის კარს მაღლა მჭეარი (ხევს. პოეზ., 320, 2); **ყელ-შაჭრილი**: ...უძილობისგან ბეჩავი რა მაოჭედ **ყელ-შაჭრილია** (ხევს. პოეზ., 450, 8); **წილ-ნაყარი**: „...ნაგას ვერ მავხკლავთ, ხატებსთან **წილ-ნაყარია**“ (ხევს. პოეზ., 218, 20); **კუდ-შანასკული**: ...ლურჯა **კუდ-შანასკულია** (ხევს. პოეზ., 217, 10); **ლაშ-დართხმული**: ...ცხენნ **ლაშ-დართხმულნი** ტიალნი (ხევს. პოეზ., 143, 10); **ხალიზ-ნაჭაში**: ...გადმოეშალნეს ლეკები, **ხალიზ-ნაჭშევი** სხვაზედა (ხევს. პოეზ., 256, 10).

მეორე კომპონენტი **-იან** სუფიქსითაა ნაწარმოები: **ხამ-ძალიანი**: ...მიყვარდის **ხამ-ძალიანი** (ხევს. პოეზ., 543, 2); **ჩამადან მძივიანებო**... (ხევს. პოეზ., 559, 2); **ქორ-ბუდიანი**[37]: ...გარბის, გამორბის გარაი, მანძილა **ქორ-ბუდიანი** (ხევს. პოეზ., 148, 6); **პირ-კვამლიანი**: ...ჯირიმი **პირ-კვამლიანი** (ხევს. პოეზ., 180, 8); **ფხა-სისხლიანი**: ...ფრანგული **ფხა-სისხლიანი** (ხევს. პოეზ., 180, 9); **გულ-ღრღიანი**: ...ვაჟიც ბევრია მშავშია ჯავრისგან **გულ-ღრღიანი** (ხევს. პოეზ., 180, 10).

ორივე კომპონენტი **-იან** სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავია, ოღონდ კომპოზიტის პირველ კომპონენტში მოკვეცილია ეს სუფიქსი: **სისხლ-ტიგრიანი**: ...დაგაგდა **სისხლ-ტიგრიანი** (ხევს. პოეზ.,

---

[37] **ქორბუდიანი**—*ქარ-ბუდიანი—*ქრა-ბუდიანი?

439); **სამკლავე-სათითიანი**: ...ბევრის ნამგალი დავაგდე **სამკლავე-სათითიანი** (ხევს. პოეზ., 523, 11); **ჯარჯ-გირკლიანი**: ...**ჯარჯ-გირკლიანებმ** მიბარეს... (ხევს. პოეზ., 563,3); **ფათალა-მხვევრაიანი**: ...შიგ საჭარგელიმც გაჰრია **ფათალა-მხვევრაიანი** (ხევს. პოეზ., 419ბ, 2); **აშურმა-ყაწიმიანი**: ...ბევრის იარაღ შავხკიდე **აშურმა-ყაწიმიანი** (ხევზ. პოეზ., 523, 13).

ტოლად შერწყმული კომპოზიტი სა—ე აფიქსით არის ნაწარმოები და ორივე კომპონენტს ერთი აფიქსი აქვს: **ხაყვავ-ძერაე**: ...**ხაყვავ-ძერაედ** გაჰდილო (ხევს. პოეზ., 365, 18); **სატალ-ბდე**: ...**სატალ-ბდეენ** აღარ მქონ (ხევს. პოეზ., 648, 3).

პირველი კომპ. მრ. რიცხვშია და მოქმ. ბრუნვაშია დასმული, მეორე კი **-იან** სუფიქსითაა ნაწარმოები: **გულთი-მჯრიანი** (←**გულთით მჯრიანი** ე. ი. გულიდან ფრთიანი): ...ცხენ უნდა გყვანდას, ძმობილო, იორღა, **გულთი-მჯრიანი** (ხევს. პოეზ., 347, 10); ...ცხენო, მიყვარდი ტიალო, მალეო, **გულთი-მჯრიანო** (ხევს. პოეზ., 447, 2).

პირველ კომპონენტს ბოლო მოკვეცილი აქვს: **ცო-ცოტაობით**: ...**ცო-ცოტაობით** გამახელა კიდეც დაითვრ (გაბ., 206, 11); **მეორ-მესამედ**: ...**მეორ-მესამედ** კიდევ მაუქდ ქურდობა (გაბ., 139, 29—30); **მექარ-მელალატე**: ...ნაოფლარს **მექარ-მელალატე** მაურიდიდი (ეთნ., I, 14); **ელდ-ელდად**: ...**ელდ-ელდად** ჩაეტანების, ჭმალს გაუწითებს ფხასაო (ხევს. პოეზ., 218, 24).

კომპოზიტების ერთი რიგი ფუძის რედუპლიკაციითაა მიღებული: **ჭიც-ჭიც**: ...მეჭვევე ვერ მამეწევის, რომ **ჭიც-ჭიც** გაიყარასა (ხევს. პოეზ., 563, 14); **თან-თან**: ...გაბნელდა, ბესარიონო, **თან-თან** სურვილი შენია (ხევს. პოეზ., 324, 1); ...**თან-თან** გაწვრილდა კისერი, სრუ დილა-წუხრი ვზომაო (ხევს. პოეზ., 333, 7); **ტყუპ-ტყუპა**: ...ტყვრების **ტყუპ-ტყუპა** თოფები: ჩაჩნელთ თქვეს: „რუსის ჯარია“ (ხევს. პოეზ., 676, 17); **მალულ-მალული**: ...ჩაგისხამ **მალულ-მალულსა**, არ დაგიჩქამებ ქვიშასა (ხევს. პოეზ., 134, 17); **ჩუფ-ჩუფი**: ...თოფ დაგკრათ საკვამჩიგითა **ჩუფ-ჩუფზე**, საუბარზედა (ხევს. პოეზ., 136, 22).

რედუპლიცირებული ძირის **ა -ხმოვანი** მეორე კომპონენტში **უ-ხმოვნით** არის შეცვლილი: **ძგარა-ძგურა**: ...დგას თოფის **ძგარა-ძგურაი**, ელვენ სიწმიდის ცანიო (ხევს. პოეზ., 165, 11); **ტყლაპ-ტყლუპი**: ...ზე შემოაყრით **ტყლაპ-ტყლუპსა** ძმობილის მაგიერსაო (ხევს. პოეზ., 399, 5); **ყმაწვილ-ყმუწვილი**: ...გამიცინებენ ლაღნი კაცნი, **ყმაწვილ-ყმუწვილნი** უმეცარნი (ეთნ., III, 32, 1—2); **ძახილ-**

ძუხილი: ...**ძახილ-ძუხილ** რაიმ მადის, ჩვენ ხომ არას ვინ გვეძახს? (მივლ. მას.) [შდრ. ფშაური: **ნამკალი-ნუმკალი**: ...ყანა **ნამკალი-ნუმკალი**, ძნა უკონავი რჩებაო (რაზიკ., 123, 113); **მხალა-მხულა**: ...არ ვიცი **მხალა-მხულათი**, არა სჯამს ჩემი გვარიო (რაზიკ., 252, 291); **კარი-კური**: ...**კარი-კურ** ხილით სავსე მაქვს: ვაშლითა, ჭელის სხლითაო (რაზიკ., 194, 18)].

რედუპლიცირებული ფუძის მეორე კომპონენტში **ე** შეცვლილია **უ**-დ: **ბერ-ბური**: ...ქმართას ნამყოფ ქალს ახალგაზდა ვაშკაც აღარ წაიყვანს, თუ **ბერ-ბურ** ვინ წაიყვანს... (გაბ., 134, 16—17); **ლეგ-ლუგა**: ...**ლეგ-ლუგას** ჩოჭას ჩავიცომ, ლეგაის მითხოვლისასა (ხევს. პოეზ., 384, 3); **ბექ-ბუქი**: ...ეტოლებოდა **ბექ-ბუქთა**, თავზე გაყრიდას ქვიშათა (ხევს. პოეზ., 537, 11); **ჯევ-ჯუვი**: ...ქალი ორ საწყემსოჩია, **ჯევ-ჯუვთ** ვაძოებ ცხვარსაო (ხევს. პოეზ., 325 გ, 1). ...ჭალავ შე **ჯევ-ჯუვიანო** ძლივ ჩასადენო წყლისაო (ხევს. პოეზ., 512, დ, 5).

მეორე კომპონენტში შეცვლილია ზმნისწინისეული ხმოვანი, ან მთლიანად ზმნისწინი:

ჩაგვირილა-მაგვირილა: ...მეტი არაფერი უნდა, არც **ჩაგვირილა** და არც **მაგვირილა** (გაბ., 155, 16); **დაგონ-მაგონება**: ...სუ წმიდად **დაღგონ-მაღგონდა**, სადაც რო დაუძინია (ხევს. პოეზ., 450, 11); **ავ-ჩაოს**: ...ბევრა ჯევსურა **ავ-ჩაოს** ახლა კორშაში დამთვრალი (ხევს. პოეზ., 468, 17).

ერთი წყება კომპოზიტებისა **წელიწად** (←**წელითი-წლად**)[38] ტიპისა ჩანს, თუმცა პირველ კომპონენტში მოქმედებითისეული **თ** მოკვეცილია[39]. **ველი-ველად**: ...მამჩალან **ველი-ველადა**, ეხვერ უპოვნავ კლდისაო (ხევს. პოეზ., 517, 19); **გული-გულში**: ...მაშინ ვთქვი **გული-გულშია**: რად არ შავიბამ ჭმალსაო? (ხევს. პოეზ., 722, 3); [შდრ. ფშ.: **მალი-მალა**: ...შამოჩნდება **მალი-მალა** ჩვენი სოფლის სარბევლადა (რაზიკ., 236, 218)].

კომპოზიტების ერთი წყება აგრეთვე რედუპლიკაციით არის მიღებული, ოღონდ შემაერთებლად „**და**“ კავშირია გამოყენებული: **თავ-და-თავ**: ...კაის ყმის ცხენი, აბჯარი **თავ-და-თავ** ცუდის ფასია (ხევს. პოეზ., 277, 2).

---

[38] ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწდეული“. ნგ. 1.

[39] თუ ეს კომპოზიტებიც **ფართი-ფართ**, **მიწი-მიწ**... (იხ. აქვე, ქვემოთ) ტიპისანი არ არიან.

ასეთ კომპოზიტში ზოგჯერ „და“ კავშირის ნაცვლად „დი“ გვაქვს, სადაც ი „და“ კავშირის ა-ს დავიწროებული სახესხვაობა უნდა იყოს: **ცხენ-დი-ცხენ**: ...ჯერე იომა **ცხენ-დი-ცხენ**, მწვილდი აყეფა რქიანი (ხევს. პოეზ., 177, 18); **გორ-დი-გორ**: ...გორ-დი-გორ ჩამოდიოდა, მობუბუნებდა ჯარია (ხევს. პოეზ.. 30, 4).

ზოგჯერ „და“, „დი“-ს ნაცვლად თითქოს მარტო ი ჩანა შემაერთებლად გამოყენებული:

ფართი-ფართ: ...წვერით ხკრა ბაჭიჭაურსა, ფართი-ფართ გააგდებია (ხევს. პოეზ., 546, 10); **ზედი-ზე(დ)**: ...ზედი-ზე შადგა თათრები (ხევს. პოეზ., 28, 5); **მიწი-მიწ**: ...მიწი-მიწ ხქონდა დარაჟნი (ხევს. პოეზ., 541, 6); **შიგი-ში(გ)**: ...შიგი-ში გადართულია რუსი გერმანის ჯარია (ხევს. პოეზ., 467, 60); შდრ. **სადი-რა**: ...ნეტარ **სადი-რა** მოკვდების, სად-რა შაშვამენ ჭიანი? (ხევს. პოეზ., 679, 5).

ამას გარდა არის რიგი კომპოზიტები, რომლებიც ვერც ერთ ჯგუფში ვერ გაერთიანდებიან: **არი-არე**: ...**არი-არეზე** მავალსა, თავის ჭკვისაგან სჯირსაო (ხევს. პოეზ., 534, 7); **ჟამ-უჟამო**: ...გაღვიძებსთ **ჟამ-უჟამოთა** ჩემის ლურჯაის ჭვიჭვინი (ხევს. პოეზ., 372, 6); **ცუდ-მარიელი**: ...ნიადე აეგეთასა სრუ **ცუდ-მარიელ** თელავსა (ხევს. პოეზ., 350, 4); **ღონ-კარი**: ...შენს გულის სიმამაცესა მჭარს აღარ გჭერდა **ღონ-კარი** (ხევს. პოეზ., 229, 21); **გულ-ტყუად**: ...**გულ-ტყუად** ნუ დაეთრევით (ხევს. პოეზ., 256, ბ, 6); **თვალ-წამიეთი**: ...ჩქარად გაული კარები, **თვალ-წამიეთიხ** ხანსაო (ხევს. პოეზ., 722, 9); **თავ-შალმ, თავ-გალმ**: ...მე **თავ-შალმისკენ** მიმიდის, შენ **თავ-გალმისკენ** ეძებდი (ხევს. პოეზ., 670, 8); **წგერ-წალმ**: ...წვერ-წალმ იქმარა ხანჯარი (ხევს. პოეზ., 201, 16); **წელწად-შამაე**: ...წელწად-შამაეს წუხრასა ლექსი უნდა ვთქვა ახალი (ხევს. პოეზ., 468, 1).

ბ) კნინობითობის სუფიქსები ხევსურულში

ხევსურულში კნინობითობის რამდენიმე სუფიქსი დასტურდება. ამჟამად ყველაზე უფრო პროდუქტიულია ა სუფიქსი: იგი ისეთ სახელებსაც დაერთვის ხოლმე, რომელთაც კნინობითობის სხვა სუფიქსი აქვთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა სუფიქსებს დამოუკიდებლად ახლა კნინობითობის გამოხატვა აღარ შეუძლიათ. ზოგ სახელში რამდენიმე სუფიქსი დასტურდება ხოლმე: **ბეწ-ინ-იკ-ა, ბეწ-იკ-ურ-ი**... თითოეული მათგანი წარმომაელობით კნინობითობის სუფიქსია, მაგრამ მათ კნინობითობის ელფერი დაუკარ-

გავთ და საქარო გაჰხდარა სახელის ხელახლა გაფორმება სხვა სუფიქსით.

კნინობითობის სუფიქსებით, ჩვეულებრივ, გაფორმებულია ისეთი ფუძეები, რომელთაც თვითონ სიმცირის, სიპატარავის შინაარსი აქვთ: **ცოტ-ა—ცოტ-ინ-ა—ცოტ-ინ-იკ-ა**...

ა: ...**თითუა შასმული** კარგათ **არაყათა** დილას **კარგას გულას** უქამს კაცს (მიქელ. მას.); ...დედა გენაცვლას **ბაჟუურაო**, დედის **ფერაო**, **ტუნტულაო**, **უენარაო**, **უთავგზუაო** (ეთნ., III, 49, 1—3). **ა** სუფიქსი ობირად ერთვის ადამიანის საკუთარი სახელის წოდებითი ბრუნვის ფორმას: **ბაბუა** (←**ბაბო-ა**): ...მამივა **ბაბუაის** შვილიო (ეთნ., III, 2, 25); **იდუა** (←**იდო-ა**): ...უფრო მამწონდის **იდუაიო** (ეთნ., III, 56, 11) და ასე: **ძილო→ძილუა, ნანო→ნანუა, ადაო→ადაოა→ადაუა, ადო→ადუა** და სხვ. **ა** ერთვის მიმღეობას და აწარმოებს საკუთარ სახელს: **უ-მცრ-ო→უმცროა→უმცრუა→უნცრუა.**

ზოგჯერ კნინობითობის ამ სუფიქსს დაკარგული აქვს მისი ფუნქცია: ...**უგონთაო** და **ღვარძლაო**, თქვენ ხო მიუდით მაინცა (ხევს. პოეზ., 449, 3); **უკეთია←უკეთეა** (=უკეთესი): ...ეხლა სხვა მამწონებივა შენს **უკეთია** ჭმიანი (ხევს. პოეზ., 321, 2); ...**თეთრჩოჯა** რაიმ გადაჭდა, მასრან უცემენ თვალსაო (ხევს. პოეზ., 325, 4); [შდრ. ფშ.: ...გადმოხე კულუხის წინა, საპირისწამლე **ჰრელაო** (რაზიკ. 147, 58); ...**მზისთანდარას** ჩამაუვლავ, მაგ **ბეჩავას ქალასაო**, აბრუნებს და ვერ აავსებს **ერთას** კვირტის **ტარასაო** (რაზიკ., 241, 247); ...ადე და ჩემთან გადმოჭე, შინლიანო, **ტიტველაო** (რაზიკ., 192, 11); ...ლურჯ-**ცხენა** ყმაწვილ მობძანდა... (რაზიკ., 14, 22)].

-იკ-ა: ...კლდეზე რო წყალი გადმოდის, გადმახყრის **სამსალიკასა**, მე სრუ არაად ჩავხედავ შენ-ფერას **ჩანჩალიკახა** (ხევს. პოეზ., 408); **აბა—აბიკა**: ...მარჭვედ გვაშინებს **აბიკაიო** (ეთნ., III, 2, 26); **ლომა—ლომიკა**: ...დაგვიკვრენ თოფსა **ლომიკანიო** (ეთნ., III, 2, 27); **მინდია—მინდ-იკ-ა** (პირიანი ზმნიდან: **მ-ი-ნ-დ-ი-ა**, სადაც **ა** კნინობითისაა): ...დიდ გამეზარდა **მინდიკაიო** (ეთნ., III, 27, 12) და ასე: **ძაღლიკა, მგელიკა, ვაჟიკა, ბაყალიკა** (←**ბაჭალიკა** ჯვირის ჩოჩორი) და მისთ.

-იკ-ელ: **ბიძურა** (←**ბიძა-ურ-ა**, კაცის სახელია)—**ბიძურაიკელო** (ნოველებითი მიმართვაა): ...მამშორდი, არი, ჩემო **ბიძურაიკელო**, არ მაქვ შენ თავ-გულზ (მიქელ. მას.); [შდრ. ფშ. **ქალიკა**—

ქალიკელი (ქალის საკუთარი სახელებია): ...ქალიკელის ქალთა-თაო[40], შაგავლიეს მთა და მთაო (რაზიკ., 215, 128)].

-იტ: შემორჩენილია კნინობით, მოფერებით სახელებში: გოგ-იტ-ა, გიგ-იტ-ა, ბეჟ-იტ-ა...: ...ნუ გეშინის, გიგიტაო, არას დაგ-კრავ საჭიროსა (ჩივლ. მას.).

-ან: შემონახულია ტალიკ-ან-ა-სიტყვაში (=შიშველი, ტიტ-ველი, შდრ. ტალიკ-ტალიკი, ტიტლ-იკ-ან-ა): ...ტალიკანა ნუ დახვ, ბიჭო, გაგყინავს!

-უკ: დასტურდება საკუთარ სახელებში: იდუკა, (შდრ. საკ. სახელი იდუა, იდია): ...მაშივდა პური იდუკასაო (ეთნ., III, 56, 6); მამუკა (←მამა-უკ-ა, შდრ. მამია): ...მამუკავ, ვაჟიას შვილო, შენ დაცილება ძნელია (ხევს. პოეზ., 224, 6); ძილუკა (←ძილა-უკ-ა, ქალის სახელია); ბაბუკი (←ბაბო-უკ-ი, კაცის სახელია); მარტუკუა (←მარტუკოა←მარტო-უკ-ო-ა): ...არა ვარ მარტუ-კუაი,—ანგელოზები მტანაო (ხევს. პოეზ., 785, გვ. 670).

-უტ: ბაბუტა (←ბაბო-უტ-ა, ბაბო, ბაბუა, ბაბუტა კაცის სა-ხელებია); ნიუტა (←ნია-უტ-ა, ნია, ნიუტა კაცის სახელია).

-ურ: ერაწა←ერაწუნა (ჰერწრ ბაცბ. „ქვაბი“, ერაწა ხევს. „პატარა ქვაბი“): ...ბერდედიათ უწიშაი ლოკნა-ერაწუნაია (ხევს. პოეზ., 784, 30); ხასუნა ‖ ხასუკა („პატარა გუდა“): ...ყველას ზურგზე ხასუნაი ხარატულად გამაკრული (ხევს. პოეზ., 222, 6—7); კატ-უნ-ი („გარეული კატა“) და სხვ.; [ფშ.: ...პატარუნა ქალაი ვარ, ყანასა ვმკი ღულითაო (რაზიკ., 214, 124); თუშ.: ...ცუტუ-ნაჲ ძმამ უთხრ (უთურგ. 92, 14)].

-უნ-ელ: კარგ-უნ-ელ-უ-ა („კარგი, კოხტა“): ...კარგუნელუა ვაჟა ხყვანდ, თვალჯრელა, მამის-ფერა; [შდრ. ფშ.: ...კარგუნელა ქალაია, მიწჲი გასამტეერებელი, კარგუნელა პირაი აქვ ვაჟის ჩა-სატოლებელი, კარგუნელან საყელონი ხელიი ჩასაყოლებელი! (რაზიკ., 125. 88)].

-ურ—(→ ‖ -ულ): ყუნჭ-ურ-ა („კუნძი“): ...მთის ჯერის ტყეში არ გაუშო ყუნჭურაებ თუ რაია (ხევს. პოეზ., 784, გვ. 669); ქიტ-ურ-ა („ქიტი“): ...შიგა ზდგომიყვა ქიტურაიო (ეთნ., 52, 11); ბაჭუი, ბაჭყია (კაცის სახელია →ბაჭყ-ურ-ა: ...დეღა გენაცვლას ბაჭყურაო (ეთნ., III, 49, 1); ნიგზ-ურ-ა (←ნიგუზ-ურ-ა „ნიგუზა-ლი“): ...რადარ მიართვა დედამა ნიგზურა გასკივებული? (მივლ. მას.) და—დიკური: შდრ. ბაჩანა: ...ეს ლექსი, ჩემო დიკურო, უთ-

[40] შეცდომით დაბეჭდილია „ქალ თათაო“, ქალთათავი ქალის საკუთარი სახელია (ალ. ჯ).

ქვამ ღლიღველის ქალსაო (თხზულ., გვ. 303); **ძმა→ძმიკური→ძიკურა** || **ძიკურა** (კაცის სახელია), **ბიძა—ბიძურა** (კაცის სახელია); [შდრ. ფშ.: ...შუაფხოსა ჭალაშია ქალი ქსოვდა **გუდულახა** (რაზიკ., 216, 129)].

-ინ: ცოტა—ცოტ-ინ-ა: ...თუ **ცოტინა** ყმაწვილები დარჩა... (გაბ., 143, 25); ...**ცოტინაი** ას სნოს წყალი (ხევს. პოეზ., 49, 2); ...**ცოტინას** ხომიზურასა ჩაასწავლნიდით გზანია (ხევს. პოეზ., 230, 4); ...ჩემო ჩარგალო **ცოტინაო** (ეთნ., III, 14, 45); **ცოტ-ინ-იკ-ა:** ...ვიყვენით **ცოტინიკანი**, ადგილ გვეჭირა ჭმლითაო (ხევს. პოეზ., 23, 1). შდრ. საკუთარი სახელი **ცოტნე** (←**ცოტინეძ**←**ცოტინაძ**?); **ბეწ—ბეწინა** || **ბეწინიკა** (კაცის საკ. სახელებია): ...ვიცი, გადმოვსთხრი ჯუთის გორსაო, საფლავთა **ბეწინაისათაო** (ეთნ., III, 58, 2); ...ხვადი მყავ **ბეწინიკაი**, არ გამეზარდა ტიალი (ხევს. პოეზ., 51, 12, „**ბეწინიკა**“ აქ პატარას ნიშნავს); შდრ. **ბეწო**←**ბეწვა**...

-ილ: ხევსურები „დედილო“, „მამილო“-ს არ ამბობენ, მაგრამ დაფიცების დროს იტყვიან: **დედილამ, მამილამ, ქალილამ:** ...**დედილამ**, დედო, არ გატყუებ; [შდრ. ფშ.: ...ვინ არი, მანანავ' ეგა, **მამილა** მოგიყიდა?] ...ბერო ნუ სტირი, **მამილასაო**... (ეთნ. III, 112, 1); ...სულავ, ამადეგ, **მამილასა**... (ხევს. პოეზ., 748, 7).

-ეშ: ხევსურულში არის რამდენიმე **-ეშ**-ზე დაბოლოებული სიტყვა, რომელთაც კნინობითობის **-ა** დაერთვის ხოლმე: **ქუ...** („ლოყა“)—**ქურ-ეშ-ა** [„ლოყებ გაბერილი, მსუქანი (ბავშვი)“]: **ქერ—ქე—ქერქ-ეშ-ა** („ღრუვიანი რამ, ქერქი რომ აკრავს და შიგნით სიცარიელეა“) და სხვ. **-ეშ** სუფიქსი შეიძლება ქისტურიდან შეთვისებული იყოს. ახლა მას კნინობითობის იერი აქვს.

VI. მ ი მ ღ ე ო ბ ა

ხევსურულში მიმღეობის მრავალგვარი წარმოება გვაქვს. ზოგჯერ სალიტერატურო ქართულის ნორმებისგან განსხვავებული ფორმებიც შეინიშნება. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას წარმოების აფიქსების მიხედვით:

მ—ელ: იხოიშნებს („შეიწყნარებს, შეივრდომებს“) ზმნიდან უნდა გექონოდა **მხოიშნებელი**, მაგრამ გვაქვს **მ-ხოიშნ-ელ-ი:** ...მლხენელი, **მხოიშნელი**, მეშველი, მწყალობელ იყავ, ძალო ხთისაო (ეთნ., I, გვ. 13).

მ—ე: ათენებს—მ-თენ-ე: ...ველზე **მთენეო** ღამეთაო, მლაჯაო. მთა-ლემადეთაო (ეთნ., III, 44, 6; შდრ. **მთეველი, მთენებელი**);

ბჭობს—მბჭობელი, მაგრამ **მ-ბჭ-ე**: ...ბევრაის მტრისა გამრიგესაო ენასა **მბჭეჩი** ხიდავღაეო? (ეთნ., III, 1, 12); ...აბეჩავ ჯუნჩალაურაო, **მბჭე-ჯევის-ბერჩი** მაარულაო (ეთნ., III, 2, 4); **არიგებს – გა-მ-რიგებ-ელ-ი**, მაგრამ **გა-მ-რიგ-ე**: ...ბევრაის მტრისა გამრიგესაო, ენასა მბჭეჩი ხიდავღაეო? (ეთნ., III, 1, 12); **აჯავრებს—გა-მ-ჯავრ-ე, აგორებს—გა-მ-გორ-ე**: ...ბევრაის ჯიქვის გამგორესაო თოფსა ჭირიმსა ხიდავღაეო, მტრისა ბევრაის **გამჯავრესაო** წელზე ფრანგულსა იბამღაეო (ეთნ., III, 1, 5—8); **სდებს—მ-დ-ე**: ...ყველას მაუიდას ეგრა შენის გულის **მდეესაო** (ხევს. პოეზ., 356, 19, მეორე ე მარცვალთრაოდენობისთვისაა მიმატებული); **აშინებს—მ-შინ-ე**: ...ალიათ ბაბღის მავხკლევდი, **მშინეს** ბევრაის მტრისასა (ხევს. პოეზ., 524, 13); **იტაცებს—გა-მ-ტაც-ე**: ...ნათულას ძმანი ორნიჟა **გამტაცეს** ემუჭრებიან (გაბ., 209. 4); **ჰკიდებს—მ-კიდ-ე**: ...თუ ჭელის **მამკიდეებმ** იციან... (გაბ., 139, 15); ...კიდევ შაუთელის ჭელის **მამკიდეს** (გაბ., 138, 32); **სცოდებს** (=სცოდავს)—**შა-მცოდ-ე**: ...ვისაც შამცოდეს მაიგდებს, ნაბდებურ გამასთელევდა (გაბ., 122, 23); **აღებს—გამღებელი**, მაგრამ ხევსურულში გვაქვს **მ-ღ-ე**, რაც ღია-ს ნიშნავს: ...ბევრისა კარი დავჯარე, ბევრისა ისივ მღე ქრი (ხევს. პოეზ., 123, 17); და ასე: **უგებს—მა-მ-გ-ე, ასესხებს—მ-სესხ-ე, ასვენებს—მა-მ-სვენ-ე, ასწავლებს—მ-სწავლ-ე, მიიღებს—მი-მ-ღ-ე, აშენებს—ა-მ-შენ-ე, სძლევს—მ-ძლ-ე, ეძახის—მ-ძახ-ე, აკლებს—მ-კლ-ე** [ხევსურულად **მკლე** ის არის, ვისაც რამე აკლია ფიზიკურად: ჭელით მკლე, თვალით მკლე... (შდრ. მეგრ. ხე-კულე, „ხელით ხეიბარი")]; [შდრ. ფშ.: ...წყალს კიდევ დაეძინება,—მე არა შენსა მგონესა (რაზიკ., 155, 109); ...ავაჰჰე შენსა მდომესა (რაზიკ., 175, 232); ...თავად წდუღეა ლუდისა, თავად დააყრის სვესაო (რაზიკ., 238, 232)].

ეს არის ოდენპრეფიქსული წარმოება. ბოლო **-ე -ებ** თემისნიშნისეული უნდა იყოს. ამას შემდეგი ფორმები ადასტურებენ: **აჩუმებს—და-მ-ჩუმ-ებ-ი**: ...სიკვდილო, ღმერთიმც დაგიმადლებსო ...ამ მეზობლობის **დამჩუმებო** (ეთნ., III, 53, 4); შდრ. იქვე: **მო-მ-სვენ-ე-ოო** (მოსალოდნელი იყო **მო-მ-სვენ-ებ-ოო**); **ატყობიებს—შა-მ-ტყობი-ებ-ი**: ...ეტყვიან იმ **შამტყობიებს** (გაბ., 129, 28), შდრ.: ...მაშინ ეს **შამატყობიე** ეტყვის... (გაბ., 130, 10); [შდრ. ფშ.: ...წყევა მოჯკლავს, მერცხალაო, არვინა გყავს დამტირებ» (რაზიკ., 195, 22,)].

სხვა თემისნიშნიან ზმნათაგან ოდენპრეფიქსული წარმოება აგრეთვე ჩვეულებრივ ხდება: **ეწევის—შამწევი**: ...მაშინ ეს **შამწევ**

ხალხ მოვას (გაბ., 130, 12); **დგას ან დგებიხ—მდეგი**: ...წინავ მამზადებულ-ხყავ ბიჭები, **ზედამდეგები** (გაბ., 132, 5); **წინამდეგი** (=წინ მდგომი, შდრ. წინააღმდეგი): ...კილდიურ თვალსაცერაი ცხენთა ხყავ **წინამდეგეო** (ხევს. პოეზ., 546, 33); **ჰყვებიხ—მყოლი**: ...აწეკს ყველა სახლშიით... **მყოლებს** (გაბ., 131, 23—24); ...ჰოდიან თოფ-იარაღით მორთულნი **მყოლნი** (გაბ., 131, 25); **უჭცევს—შამჭცევი**: ...ჯირჩლა ბაბურაული და ხოშურაული ყოფილან ზურაბისა და იმის ლაშქართ ჯელის **შამჭცევნი** (გაბ., 158, 17); **კრეფს—დამკრეფი**: ...ღამკრეფიც დაენატრა კაცი (ეთნ., III, 2, 27).

ზოგჯერ მიმღეობა ნამყო სრულის ფუძიდან ჩანს ნაწარმოებში: **უმზერს—უმზირა—მზირი** (←მ-მზირ-ი): ...შაუყრავ **მზირი** აჲდოლას (გაბ., 176, 23); ...უთხრეს **მზირთა** ერთუცს (გაბ., 177, 3—4); ...რა იციან თუ იქ **მზირია** (გაბ., 177, 9); **მზირი** ახლა სუბსტანტივია, თუმცა „ფუძეში“ რომ გვაქვს, არც ის **მ** უნდა იყოს ფუძისეული, ისიც პრეფიქსია, მაგრამ ფუძეს შეხორცებული. ასეთივე ნამიმღეობარი სუბსტანტივია **მკალია** (**მ-კალ-ი-ა←მ-მკალ-ი**, ე. ი. ის, რაც მკის?): ...ჰანჭახის **მკალიაებო**, რაჯლებს ტრაბახებს ისრევთა (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...**მკალიას** მაინც ვერევი, რას მიშლის დაბალაობა? (რაზიკ., 232, 200)].

· (მა)მკლავი (=**მკვლელი**): ...ძმის **მამკლავ** იცნა აჴოსთაეაო (ეთნ., III, 5, 4); **ფასავს—დამფასავი**: ...შენ შენფერნ გინდან ჩატირალნიო, შენის ვაჟობის **დამფასავნიო** (ეთნ., III, 9, 5); **დაჰკრავს—დამკრავი** (შდრ. დამკვრელი): ...წინ-წინ შუღლა გამჴდელს დაგაკვლევთ კურეტს, ხანჯრის **დამკრავს** კურეტს (გაბ., 123, 23): [ფშ. **ოფიცავს—მ-ფიც-ავ-ი**: ...მტყუან კაცს მეტადა ვშურობ, ნამეტნავ უფრო **მფიცავსა** (რაზიკ., 191, 10)]. **ასწრობს—მა-მ-სწრ-ო**: ...ამის **მამსწრო** ხალხისგან ას ანდრეზად დამრჩალი (გაბ., 155, 3); **თმობს—და-მ-თმ-ო**: ...შენ ბეჯით არა გეგონას, **დამთმო** ველარა ჩემია (ხევს. პოეზ., 342, 6); **გაუძღვება—გა-მ-ძღ-ო**: ...დიდის ხთიშვილის **გამძღონ** ხართ (გაბ., 122, 21); **დარჩების—და-მ-რჩ-ო**: „.. **ზედამრჩოების** სიმთელით, კარგა ყოფით ეეს თას ...სულსამც იმისას მაეჴმარების!“ (გაბ., 127, 5); (**ზედამრჩო←ზედ-დამრჩომი**, ვინც ზედ დარჩა, ვინც „ქვე“ ე. ი. მიწაში არ წავიდა).

მე-: **ესხმის—მე-სხ-ი, მე-სხ-ნ-ი**: ...**მესხნი** გაებნეს მთვარესა ნაპირის ადგილისასა (ხევს. პოეზ., 164, 26); **მესხნი**—გასუბსტანტივებული მიმღეობაა.

მე—ე: **ძალავს—მე-ძალ-ე**: ...მადის ლიქოკა **მეძალეიო** (ეთნ., III., 2, 5); **სმინაობს — მე-სმინა-ე**: ...**მესმინაერ**-ხქვიან იმას

(გაბ., 151, 6); ...უკენობას იმათ საბელსაც იძახებენ, ვინაც **მეს-მინაედ** სხენ (გაბ., 151, 16); **ისტუმრებს—მესტუმრე**: ...ჯვარის **მესტუმრე** დაამზადებს ...ლუდს (121, 22); **ეხვეწებოს—მეხვეწე**: ...თქვენ უშველეთ თქვენს **მეხვეწეთ** (ეთნ., I, 12); **ემიჯნების—მეჯიჯნე**: ...მემრ წაედ გიგას დაეკითხეო, აჭოს სანაგის **მემიჯნესაო** (ეთნ., 8, 22).

მა-: ...**მაჭნავ** ადგების დილას (გაბ., 121, 3).

მა—ე: **აცნობებს—მაცნე**: ...**მაცნე** მოვიდა შატილსა: „ჯარ მოდის დაღისტნისაო“ (ხევს. პოეზ., 82,2); შდრ. ვაჟა: ...**მაცნე** მოიდა შატილსა:—ქისტებმა მოგვცეს ზიანი („ალუდა ქეთელაური“).

მა—ურ: **იცნობს—მაცნაური** (შდრ. **აცნობებს—მაცნე**): ...დედანო, ჩემსა **მაცნაურსაო** სხვანიმც კი ნუ მაგიკვლენთ შვილსაო (ეთნ., III. 36, 1); ...მე არ ორ შენი **მაცნაურიო** (ეთნ. III, 45, 4); **იარებოს—მაარული** (←**მა-არ-ურ-ი**): ...აბეჩავ, ჭუნჩალაურაო, მბუე-ჭვეის-ბერჩი **მაარულაო** (ეთნ., III, 2, 4); **იძახს—მაძახურა**: ...გარმაგიტანე ფანდურო, დაგიკარ, **მაძახურაო** (ხევს. პოეზ., 395, 1); ...ეს **მაძახურა** დაივლის სოფელს (გაბ., 152, 5); **მაძახურა** გასუბსტანტივებული მიმღეობაა, ა მასუბსტანტივებელი სუფიქსია. პირველ მაგალითში „**მაძახურა**“ ფანდურის ეპითეტია და კარგ ფანდურს ნიშნავს, მეორე შემთხვევაში „**ვაძახურა**“ ავი სულია, ეშმაკია.

იცდის—მაცადური: ...სიცივისაგან გავჭერდი, ჯიქების **მაცადურია** (ხევს. პოეზ., 514, 14).

მე—ურ: **ეხვეწების—მეხვეწური** (შდრ. **მეხვეწე**): ...შენს **მეხვეწურს** ...სცეედი (ეთნ., I, 13); ...თქვენს **მეხვეწურს** ნუ ვაიწყენთ ნუ მაიძულებთ (ეთნ., I, 11); ...შენ **მეხვეწურთ** შენ დავლათ დაახმარე (ეთნ., I, 12).

მო—ე: **და, დობს—მოდე** (შდრ. **ძობს—მოძე**): ...გიორგის **მოდე**-მომჭრენო (ეთნ., I, 12); (შდრ. **ემჯრობის**, ან **მჯრობს** და **მომჭრე**, აქვე).

მო—ურ: **ინატრის—მონატური**: .. ბევრა კარგ ყმა მინდვრად დარჩა, გაჭდა **მონატური** წყლისა (ხევს. პოეზ., 470, 41); [შდრ. ფშ.: ...ვინ იცის იმის გულისა, რა ისრა (sic!) **მოცადურია**? (ოაზიკ., 213, 112, უნდა: „რაის-რა“, —აღ. ჭ.)].

მ—ურ: **მდგური** (შდრ. **მდეგი**): ...დღისთავად სწურავს არაყსა, სახლჩი დაუდის მდგურია (მივლ. მას.).

მ—ინ: **სჯობის—მ-ჯობ-ინ-ი**: ...შენზე სიკეთი **მჯობინი** ეს ქვეყანაზე ბევრია (ხევს. პოეზ., 342, 7); ...კაი ყმა ლაშქარ მაკვდების

სწორების მჯობინობასა (ხევს. პოეზ., 284, 1); -ინ სუფიქსი აქ მასდარისეული უნდა იყოს.

მა---ალ: მამღერალი: ...ეტყვის **მამღერალი** (გაბ., 126,34); **ბურთაობს--მაბურთალი:** ...დიდება შენდა, გიორგივ რჯულიან-ურჯულოთ სალოცავო, ნაღვარში **მაბურთალო** (ეთნ., I, 12, შდრ. იქვე: **მებურთალო**).

მ—არ: მგებრი (←**მგებარი**, ის ვინც ეგებება): ...მამუკას მგებრნი ნოვიდეს მა თაეის დედის ძმისაო (ხევს. პოეზ., 228, 40); **მწყევარი:** ...წყევა—**მწყევართაც**, ლოცვა ზიარიავ (ანდაზა); და ასე: **ბძინარი. ბღვიძარი, ბწუნობარი, ბღეღარი, მჯურვალი** (←**მჯურვარი**), **მთხოვარი, მთხოვარა** (= მათხოვარი), **მწოვარი...** (შდრ.: ...მრავალნი **მწოვარნი** მოსრნა მათ გამო, „სკარური მანუსკრიპტი", 86, 2).

ზოგი მიმღეობა მოქმედებითი გვარის მიმღეობის აფიქსებით იწარმოება, შინაარსი კი ვნებითისა აქვს: **დამსწვრალი** (←**და-მ-სწვრ-არ-ი** „**ბესწრებული**"): ...სუყველა საქმეს **დამსწვრალ** ვარ, წყალიც დადგების მდინარი (ხევს. პოეზ., 341, 2); **დამრჩალი** (←**და-მ-რჩ-არ-ი** „**დარჩენილი**"): ...მეწყალი, მენადირეო, **დამრჩალო** წვერის ძირსაო (ხევს. პოეზ., 512, 15).

მა -არ: ორიგ თავისებურ მიმღეობას აწარმოებს **მა—არ** აფიქსი: **მაწევარი:** ...**მაწევარ** მივას ჯვარში (გაბ., 121, 26); **მასმინარი:** ...დიდება ანგელოზთა ...ლოკვა-წირვის **მასმინართა** (ეთნ., I, 15, შდრ. **მესმინე**); **მაცოდარი:** ...არბეტ გზის **მაცოდარია** (გაბ., 211, 13).

მე—ელ || მ—ი-ელ: მყოფელი: ...შენ მოგარგინეს ახალ სახლიო, ცეცხლ დაუნთები, **უმყოფლავიო** (ეთნ., III, 32, 7; **უ-მ-ყოფ-ელ-ავ-ი**); **მწყურიელი:** ...ცხენებ სმენ დაქცეულები, მჭედრები **მწყურიდლებია** (ხევს. პოეზ., 560, 17).

მა—ედ: მაქმედი: „...ჩვენდ იყავ კაის **მაქმედი**, აბლა შენც მაგიშვდინაო" (ხევს. პოეზ., 198, 9).

მ—ი-არ-ე || მ—ი-ალ-ე: მწუხიარე: ...ამბობენ **მწუხიარესა**, ნაჭრევებისგან ჰოელია (ხევს. პოეზ., 357, 2); ...ვაშკაცის გერინი გავიგონეო **მწუხიარემა** ლოგინჩიგაო (ეთნ. III, 15, 2); ...ლექას ვიტყვი **მწუხიარი** (ხევს. პოეზ., 458, 2); **მგორიალე:** ...ბტრისაკე დასატიებლადაო **მგორიალესა** ღგვანდი ქვასაო (ეთნ., III, 66, 4); ...დასატიებლად მტრისადა ქვაა ღგვიხართ **მგორიალესა** (ხევს. პოეზ., 485, 2); [შდრ. ფშ.: ...ქალ-ვაჟთა **მღომიარეთა** ხალიი ბრჭა-ყრუევი ჰგონია (რაზიკ., 122, 108)].

-ულ: იღლება—დაღალული: ...გორგიო, შენ და შავენაცვლაო მუჯლთა მაშვრალთა, დაღალულთაო (ეთნ., III, 10, 4); **გამაქანდება—გამაქანული:** ...მთაშიით გამაქანული ეს ჯიშები ერთ წამს სრუ ჰალას გამაიყარა (გაბ., 194, 28); **იღებება—შალებული:** ...მეშვრან ქვე ვინაღ გაღბეგრევდაო მინდორსა სისალით შალებულსაო (ეთნ., III, 8, 30); **ფქავს—დაფქული:** ...ცალი ერთ კვირაეს ბევრჯელ დარეების დაუფქვულო (გაბ., 190, 23); ფქავს, იფქვება ზმნიდან კანონზომიერი წარმოებაა **ფქვილი**, რაც გვაქვს კიდეცაც, როგორც სუბსტანტივი. **ჯენჯავს—შაჯენჯული** (გაბ., 142, 9); **ატანებს — გამატანებული:** ...მე თქვენ გამატანებულ წერილ მივიღი დღეს დილით (გაბ., 258, 2).

-ულ სუფიქსი უნდა მოდიოდეს **-ვილ** (**-ავ-ილ**) ფორმიდან. იგი **-ავ, -ევ** თემისნიშნიან ზმნებთან უნდა გვქონოდა პირველად.

-ილ: ამაბრუნდებას—ამაბრუნვილი (შდრ. **ბრუნავს**): ...ამანდით ამაბრუნვილმა სამანნ ჩახუდნა ქვისანი (ხევს. პოეზ., 8, 10); **იხურავს—დახურვილი:** ...ნაჭადსამც ნუვინ იქდის ჩემსაო დიაცი მანდელ **დახურვილიო** (ეთნ., III, 52, 2); **ტუსავს—გატუსვილი:** ...ხიბ მიოლ გატუსვილათასაო (ეთნ., III, 55, 6); ...შენაც აიქავ ჩაღგორევდიო, **პირმატუსვილო** სვილის კვერო (ეთნ., III, 18, 2); [შდრ. ფშ.: ...ეხლა არ შაკამუდნებენ, როგორც **გატუსვილ** ციცასა (რაზიკ., 191, 10); ...გაგორვას ნუ ითაკილებ, **გაგორვილ** მალე ადგება (რაზიკ., 124, 124)].

-ილ სუფიქსი ზოგჯერ წმინდა ფუძეს ერთვის: **ავარაყებს—დავარაყილი:** ...დავარაყილსა მოგცემ თოფსაო (ეთნ., III, 43, 17). ასევე წმინდა ფუძეს ერთვის ზოგჯერ **-ულ** სუფიქსი: **ახიჩავებს—დახიჩაული:** ...შენ მაეალ **დახიჩაული** (ხევ. პოეზ., 779, 59); **აშავებს—დაშაული:** ...მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი უდროოდ **დაშაულაო** (გაბ., 122, 20); **ანათებს—განათული, აბოროტებს—გაბოროტვილი:** ...კვალს იძევს **გაბოროტვილი**, საიქაო აქვ **განათულია** (ხევს. პოეზ., 217, 12); **აკრიახებს—დაკრიახული:** ...შავხედავ მყინვართ ბოლოსა **დაკრიახულთა** მთათაო (ხევს. პოეზ., 225, 13); ...აღარ ემბიან წრიაპნი **დაკრიახულებს** გორებსა (ძიელ. მაა.); **ათაგებს—გათაული:** ...რჯულის კაცებ თავის **გათაულს**, გარჯულვილს გამაარონენ (გაბ., 135, 24—25); ...ხუთი-ექვს **გათაულ** ჯიჯვ ეტან (გაბ., 192, 16); **ართომს—წართმული** (შდრ. **ართმევს—წართმეული**): ...ცოლწართმულო, აიქ გეჭირებიო (გაბ., 137, 13); [შდრ. ფშ.: ...შენ ფლასი აქე **გათაული** (რაზიკ., 225, 177); ...შეიდი ფური ჰყავ **დაწყეულსა** (რაზიკ., 89, 30)].

ნა—ელ: ამ აფიქსებით ნამყო სრულიდან იწარმოება ვნებითი გვარის მიმღეობა და უდრის სალიტერატურო ქართულის **ნა—არ** აფიქსებით ნაწარმოებ მიმღეობას: **იმუშავა—ნამუშაელი**: ...ლუდ თქვენ ოფლი ას, თქვენ ჯელ-მჯართ **ნამუშაელი** (გაბ., 127, 24); ...წამოვას მიწის ზვავები, **ნამუშაელს** სრუ დაღლევს (გაბ., 190, 19).

ნა—არ ‖ ნა—ალ: **ნაგონარი**: ...დღეს ვერას გეტყვი. მამუკაე, აძ ჩემსა **ნაგონარსაო** (გაბ., 205, 31); ...რას იქამს **ნაგონარია** (გაბ., 212, 25); „ჩადის“ ზმნიდან **ნაჩადინარი**-ს ნაცვლად გვაქვს **ჩანადენი, ჩანადინარი**: ...ესი ას გაბურთ ეშმაის **ჩანადინარი** და ამბავი (გაბ. 157, 36); **ნაშვრალ-ნამუშევარი**: ...მაგის **ნაშვრალ-ნამუშევრისაი** მწყალობელმც იყავ (ეთნ., I, 13); შდრ. **ნამაშვრალი**: ...მამეც წილ-**ნამაშვრალი**, დედო (ეთნ., III, გვ. 7, 36); **შანაწყენ-შანაცოდვარი**: ...შანაწყენ-**შანაცოდვარ** შაუნდვიდით (ეთნ., I, 11); [შდრ. ფშ.: ...რა მქონდა **შანაცოდარი**? (რაზიკ., 52, 89); ...ნუ გინდა ქალი ლამაზი, ბევრის ყმის **ნახელარია** (რაზიკ., 116, 66); ...ერეკლე ბატონიშვილი **ნაურვალ** ცხენზე მჯდარიყო (რაზიკ., 9, 2)].

ნა-: ოდენ **ნა**-პრეფიქსიანი წარმოებაც გვაქვს: **ნარჩომი** (ნარჩენი): ...**ნარჩომნ** ორთ შენის ჯმლისანი (ხევს. პოეზ., 8, 5); **ნარცხი** (ნარეცხი): ...ციხით **ნარცხან** გადმოვლვარენ (ხევს. პოეზ., 416, 1); [შდრ. ფშ.: ...ამ ზაფხულ **ნანახ** კარაქი ჭია-ღუდამც ექცევა (რაზიკ., 222, 163); ...მა რვის წისქვილის **ნამინდი** ჯალაფთ არ გიწმენდს პირსაო (რაზიკ., 197, 28); ...კაცისა მათრახ მაშინებს, დედაკაცისა **ნახეჩი** (რაზიკ., 257, 14)].

ნი-: იშვიათი ხმარების პრეფიქსია: **ნიგუზი ‖ ნიგზურა** („მუგუზალი“ ე. ი. ის, რაც აგზია ან ეგზო. შდრ. **ნა-გზ-ებ-ი**): ...რადარ მიართვა დედამა **ნიგზურა** გასკივებული? (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...**ნიგზურებს** ატრიალებდნენ, ერთ-ურთს კარშია ლალავდენ (რაზიკ., 107, 11).

სა—ელ: ამ აფიქსებით ნაწარმოები ზოგი თავისებური მიმღეობა გვაქვს ხევსურულში: **სატირელი**: ...ჩამღელი იტირიდით იქაო სად გედვასთ ჩამღლის **სატირელიო** (ეთნ., III, 25, 8); **საქნელი** (შდრ. **საქნარი** „მიცვალებულის ხარჯი“): ...**საქნელ** ქვე აღარა იყვავ (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...მე ლექსობას არ მოვიშლი, გავხდი სათქმელ-**საქნელადა** (რაზიკ., 236, 218)].

სა-: ზოგჯერ ოდენ **სა-** პრეფიქსიანი წარმოებაც გვხვდება (**საჭერი, ხაკლავი, საცნობი**...), მაგრამ ამ ფორმების ბრუნებისას ვითარებითი ბრუნვის ნიშნის წინ გამოვლინდება ხოლმე **ლ**. რაც იმაზე მიუთითებს, რომ **საცნობ-ი, საჭერ-ი... სა- — -ელ** აფიქსიანი

მიმღეობის შემოკლებული, ბოლომოკვეცილი ვარიანტია: ...შენ შვილს მიქებდეს სამეფოდაო, წაჰოვედ იმის **საცნობლადაო** (ეთნ., III, 33, 4); ...ქალს **დასაჭერლად** გამაუღეგივ (გაბ., 182, 2); ...მაუდის ლაშქარი არხოტის **დასაცემლად** (გაბ., 165, 21).

სა---ი ელ: საკვნიელი (←**სა-კვნ-ივ-ელ-ი**): ...**საკვნიელს** ველარ ერევის (ეთნ., III. გვ. 7, 29); **სასტუმრიელო**: ...**სახტუმრიელო** მზეს ღვეიხართ, სამასპინძლოდა მოვარესა (ხევს. პოეზ., 485, 1); **დასაწყოელი**: ...**დასაწყიელსხა** ეშმასა ორივე დაუდგას თვალია (ხევს. პოეზ., 536. 8).

სა—არ || სა—ალ: საბალითარი: ...ლუდი ადუღეს თუშებმა **საბალითარად** სვიანი (ხევს. პოეზ., 85, 1); **სახუცარ**: ...ჩააგდებს **სახუცარ** კოპობში (გაბ., 133, 18); **საქურდალი**: ...ველარ მავიდოდეს ვერც **საქურდლად**... (გაბ., 190, 35); [შდრ. ფშ.: ...**საგონებრისა** სახლ მიდგა (რაზიკ., 133, 180); ...რა გაქვის **საგონებარი**? (რაზიკ., 136, 196); ...გუშინ დავგზავნენ **სათიბრადა** ...მთაში **სათიბრად** სულაი სჯობ (რაზიკ., 84, 24)].

სა—ო: გა-სამარჯო: ...თქვენდა **გასამარჯოდ** იყვას (ეთნ., I, 11); **საშიშო**: ...ძალიან **საშიშოი** ას გზაში შაყრილ ეშმაკ (გაბ., 152 28); **საგათენებო**: ...საგათენებოდ შამაკდა თხორუს თავ წვერის ძირსაო (ხევს. პოეზ., 513, 2); **საგმირო** (=საგმერი): ...**საგმირო** წამავიმაღლე. კლდეს მააფარა ტანია (ხევს. პოეზ., 542, 16); ...მუშტს კი ეგრე მავიბრუნებ, რო კოპალა **საგმიროსა** (მივლ. მას.); **სახუცო**: ...კილავის ჭმლისა ხრინკანი გუდან **სახუცოს** ხკრიანო (ხევს. პოეზ., 263, 2); **გასაგოდ** (უფრო სწორი იქნებოდა ***საგაგოდ**, შდრ. **გაგება**): ...ამის **გასაგოდ** სხდებიან მესმინაედ (გაბ., 151, 18); **საკლოსაზიანო**: ...სენი, სასჯელი, **საკლო-საზიანო** საქმე ...გადააშორიდი (ეთნ., I, 14); **გასათაო** (=***საგათაო**, შდრ. **გათავება**): ...მკვდრის პატრონ წელ **გასათაოს** იქამს (გაბ., 136, 17); [შდრ. ფშ.: ...რა მოგცე **სანაწეოდა**, ავიესე სომხის ვალითა (რაზიკ., 206, 67)]. ჩამოთვლილ მიმღეობათაგან ბევრი უკვე გასუბსტანტივებულია, ცაგრამ მათი მიმღეობური წარმომაელობა ეჭვს არ იწვევს.

სა—ოლ: საგდოლა („კარის საკეტი ხე", შდრ. ძვ. **სათხროლი**): ...**საგდოლა** ძიუგდ კართ, ქარ აღებს (მივლ. მას.).

[**სა—ევ**: ფშ.: **საწამლევი**: ...დადიან მეზობლებშია, იკითხვენ **საწამლევსაო, საწამლევ** ველარ უშველის... (რაზიკ., 270, 42)].

სა—ურ: სანდაური: ...ნეტარ ვეღარ ვიცნობაე **სანდაურსა** ჩეემსაო (ხევს. პოეზ., 355, 16); **საკვეხური:** ...ვნახე და არას მამეწონაო გიგა ქალების **საკეხურით** (ეთნ., III, 22, 30); **სანატური:** ...სწავლა და კარგის გავება ბრიყვთათვის **სანატურია** (ხევს. პოეზ., 732, 5); **საცნაურა** (გაჟოცანა): ...**საცნაურაით** საუბარ ნუ იცით, გარჩევით სთქვიდით; (შდრ.: ...ე**საცნაურ** იყავნ ყოველთა რ~ესე წ~ჲ ოთხთავი ადლად გვითარგმნია... (!) გიორგი ძთაწმიდელის ანდეოძიდან, იხ. სახ. ფუძ. უძვ. აგებ. გვ. 75).

სა-: საღონი: ...გულს შაეყარა **საღონი**, დარდი მკლავს, ჯავრი ბევრდება (ალეს. პოეზ., 137, 1); **საჩინი:** ...ჯერ ხო თვალ**საჩინ** იყვ, რო მივდიოდით (გაბ., 192, 19); **სასვარი:** ...ამბობდა: „უნდა დაგიდგათ, ქისტებო, ძაღლის **სასვარი**“ (გაბ., 169, 16); **საგონი:** ...დავჯდები, **დავსაგონდები**, ხანია ლექსის ბეჭდვისა (ხევს. პოეზ., 265, 1).

სა—ავ: სახათრავი: ...შენ არაი გაქვ **სახათრავიო** (ეთნ., III, 63, 18);

მოქმედებითი გვარის მიმღეობიდან ზოგჯერ ხელახლად არის ნაწარმოები მყოფადის მიმღეობა: **სა-მყოფ-ო** (შდრ. **მყოფი**): ...მინდა ქვიტკირი **სამყოფოდაო** (ეთნ., III, 55, 12); **სამანფიცრო** (შდრ. **მ-ფიც-არ-ი || მ-ფიც-ავ-ი**): ...გამართლდების ქურდი და კიდევ **სამანფიცროსაც** გადააქდევს (გაბ., 139, 13); **სამთევლო** (შდრ. **მ-თევ-ელ-ი**): ...ღამის მთეველ მოიტანს ღამის **სამთევლოს** ქადებს (გაბ., 122, 10); **სამრისხალო** (შდრ. **მ-რისხ-ალ- || მ-რისხ-ან-**): ...დროშა კარში იქნების იმის **სამრისხალოდ** (გაბ., 123, 25); **სამეშვლო** (შდრ. **ნე-შველ-ი**): ...ქალები მივლენ შუღლში **სამეშვლოდ** (გაბ., 125, 29); ...ბაღლ გვყავ ავად, **სამეშვლო** უნდა დავაკვლიათ; **გასამჭდელო** (ძოსალოდნელი იყო: **სა-გამჭდელო**, შდრ. **გა-მჭდელი**): ...ქურდი ქურდად **გასამჭდელოს** ხუთ ძროხას გამაართოებს (გაბ., 138, 28).

უ—ო: და-უჯერო: ...ეგ გინდა, კიდევ უარეიო, **დაუჯეროსა** დედისასაო (ეთნ., III, 11, 24); **უჯერო:** ...მამა გემდურის, მინდიავ, შვილო, **უჯეროდ** ხარია (გაბ., 183, 16); **ურჩო:** ...გულს **ურჩო** უჭირს ნატყვიარიო (ეთნ., III, 21, 3); შდრ. საკუთარი სახელი (ნამიღლობარი) **უშიშა:** ...შარშ ჩვენს **უშიშა** შეღლიასძეს იმღერ თავის პირით ეს ლექსი (გაბ., 155, 24).

VII. ზმნა

1. ზმნისწინი

ა ზმნისწინი ზოგჯერ გა-ს ცვლის: ...ზოგს ააჩინე ბნედაი, ზოგს წაჰასთხარე თვალია (ხევს. პოეზ., 257, 11); ...ჰია-ღუაი ასჩენიყვაო (ეთნ., III, 52, 9).

ამო-ს ნაცვლად ამა- გვაქვს: ...ამაგით დამათვერითა, „ამავაცდინათ მთვრალსაო?“ (გაბ., 205, 18); ...ჩვენის ხთიშვილის კარზედა ხე ალკა ამასულაო (გაბ., 122, 13); [შდრ. ფშ.: ...ვაჟკაცს გულს ამაარიდებთ, ჩაჭაირიგებთ ჯარზედა (რაზიკ., 42, 59); ფშაურში მოსალოდნელი ა ზმნისწინიანი ფორმის ნაცვლად უზმნისწინო ფორმაც გვაქვს: ...თუ თქვენ ქალ წაგაყვანინოთ, წვერიმც ნუ მსხავის ყბაზედა (რაზიკ., 63, 131); მსხავის←მ-ა-სხავის].

გა- ზმნისწინი ზოგჯერ და-ს ადგილზე იხმარება: ...ბევრი დასწირავს ობლებსა, ბევრ გაქვრივდების ქალია (გაბ., 227, 32); [შდრ. ფშ.: ...სადაც კი გაგვეწევიან, დღე იყოს,—დაგვიღაბებენ, სადაც არ გაგვეწევიან, მუქარას დაგვიბარებენ (რაზიკ., 122, 106); ფშაურში გა- ზმნისწინიანი ფორმის ნაცვლადაც დასტურდება უზმნისწინო ფორმა: ...შენთვინ მაინც არ ვიქნები, ჩვენკე რო ჰხმე სარიეითა (რაზიკ., 159, 128)].

გამო-ს ნაცვლად განა- გიაქვს სოლმე: ...გამავა ყველა ერთობით (გაბ., 127, 25); გამახყენების (გაბ., 121, 17); როცა ამ ზმნისწინს უ ხმოვანი (სასხვისო ქცევის ნიშანი) მოსდევს, ზმნისწინისეული ა ჩავარდება: ...გამუდე დასაჭერლადა, ვეღარ ვოვხიდე თვალიო (ხევს. პოეზ., 44, 19, იხ. აქვე, ქვემოთ, გვ. 94).

ხევსურულში გან-, აღ- ზმნისწინები აღარ შეგოგვენახა[41], გარდა-, გარდმა-(←გარდამა-, გარდაწო-). ზმნისწინები კი გვაქვს: ...ზემო თავში გარდაჯდინეს, ჯელში მისცეს არგანია (ხევს. პოეზ., 522, 5); „...გარდმავიდეხ მოთამაშე!“ აარჩიეს სამ-სამნია (ხევს. პოეზ., 522, 6); ამ ზმნისწინში ზოგჯერ დ იკარგება: ...ქვე თუკლაღ გარმაგაცდინე, თბეს ეფარიდი კლდისასა (ხევს. პოეზ., 130, 16); ...თაოდ გარმაჯდების (გაბ., 126, 5); ...უნდა გარმოჯდას ცხენზეით (გაბ., 141, 1); ...მემრ გარმაიღებს სტუმარ არაყიანს ქინთს (გაბ., 129, 4); ...გარმახყუდებს დროშას (გაბ., 123, 19).

---

[41] აღ- ზმნისწინიანმა აღვხება-მ ხევსურულში აკვხება (sic!) მოგვცა: ...აკვსებისა შაბათსაო, მკვდარნი ჩავლენ ანდაფსაო... (მიელ. მას); აღ- ზმნისწინად აღარ შეიცნობა.

წამო-ს ნაცვლად გვაქვს წამა-: ...წინ მაწევარს დაიყენებენ წამავლენ (გაბ., 121, 28); მო-ს ნაცვლად მა- გვაქვს მაშინაც, რო ცა მა- რომელიმე რთულ შამა-, გარდმა- (‖ გარმა)-, წაწა.. ზმნისწინში კი არ შედის, არამედ ცალკე ერთეის ზმნას: ...მირგველივ მაუსხამთ (გაბ., 130, 25); მაათბოვს (გაბ., 123, 12); მაიგდებს (გაბ., 122, 231; ...დიდია ბთიშვილის გამძღონ ხართ, ჰკვაც დიდი მაგეჯელებათ (გაბ., 122, 21); ...მაიჭდის ქუდს (გაბ., 121, 5); მაემზადებიან (გაბ., 121, 26); ...ყურთ მაგვდიოდა სუყველასაო (ეთნ., III, 2, 40); მოურავი-ს ნაცვლად მაურავი გვაქვს: ...შე მაურავის ქალიშვილო (ეთნ., III, 41, 4).

ბეს. გაბუური იმავე ტექსტებში მო- ზმნისწინსაც ხმარობს: „...მოგვიხვე მშვიდობით!“ (გაბ., 125, 27); „...ოჰ, კა ლუდ არ მოგჯდომივათა!“ (გაბ., 126, 21); ...მოგლენ ღამის მთევლის ბანზედ (გაბ., 121, 30); მოგვგვარე, მოიყვანე (გაბ., 121, 6); მოულოცა (გაბ., 145, 1); მოკვდების (გაბ., 140, 3); მოუდის (გაბ., 133, 3). საერთოდ პირაქეთულ-არხოტულში მო- და მა- ზმნისწინები პარალელურად იხმარება, შატილურ-მიღმაჭეურმა მო- ზმნისწინი არ იცის, იქ მუდამ მა- ზმნისწინი იხმარება.

ასევე: შატილურ-მიღმაჭეურში ჩამა- ზმნისწინი იხმარება, პირაქეთულ-არხოტულში კი ჩამა-ც შეგვხვდება და ჩამო-ც. ჩამა- ზმნისწინისეული ბოლო ა სასხვისო ქცევის უ-ს წინ მოხვედრისას ჩავარდება ოლმე: ჩამუდგამ (←ჩამაუდგამ←ჩამავუდგამ), ჩამუ რიგებ (←ჩამაურიგებ←ჩამავურიგებ): ...სიკვდილმ თქვა: „სულეთ ჯარა დავსხამ ნარჩევის ვაჟებიასა. წინითი ჩხუტსა ჩამუდგამ, კოშს ჩამურიგებ რელისასა (ხევს. პოეზ., 524, 20).

მა- ზმნისწინი ზოგჯერ გამოყენებულია მოქმედების სიხშირისა თუ სიმრავლის გამომხატველი და-ს მსგავსად: მაიქცენით (შდრ. დაიქცენით=გაიქეცით თქვენ ყველანი): ...ოჩოპინტე ეტყვის ჯიქვთ: „აბა, მაიქცენით!“ (გაბ., 135, 30); ...ერთ დღეს ვერ გასძლებენ, მაშიაე მაიქცევიან (გაბ., 190, 31); ...ახლა ეს ხალხიც მამექცა (გაბ., 191, 22); [შდრ. ფშ.: ...მაიზდებიან ობლები, მამულზე დაჯგებიანო (რაზიკ., 124, 125); ...გადმოგიცვივდენ, ვაშკაცო, მაინადგურენ წიხლითა! (რაზიკ., 53, 93)]. ზოგჯერ მაზმნისწინი მოულოდნელ ადგილზე გვხვდება: ...იქით იძათ მასცეს ქმაი (გაბ., 195, 27); ...ეეხლა რასაც მაიქონიებთ, ის შაგჩებისთ სიბერეჩი (მივლ. მას.).

ხევსურულმა შე- ზმნისწინი არ იცის, გვაქვს მხოლოდ შა-: „...შავსვი თქვენის გამარჯვებისა“ (გაბ., 126, 23); ...შასძახნებს

ლმერთს (გაბ., 121, 5); **შაატყობიებს** (გაბ., 121, 6); ...**შამჩა** ხორაი მაჩივარიო (ეთნ., III, 24, 6); ...ლელაო, დედა **შაგენაცვლაო** (ეთნ., III, 39, 1); ...და **შაგენაცვლას** გიორგისაო (ეთნ., III, 64, 5); [შდრ. ფშ.: ...სამჯერ იმე **შაჰაკრთუნა**, ფეიქვეშ მეძრენ მიწანია (რაზიკ., 215, 125); ...ქალიკელის ქალთათაო, **შაგავლიეს** მთა და მთაო (რაზიკ., 215, 128)].

ჩა- ზმნისწინიც გვხვდება ზოგჯერ მოულოდნელ ადგილზე: ...მიუვლენ აპარეკასა: „ნაპირ **ჩავძიათ** წყლისაო“ (ხევს. პოეზ. 128, 4); ხევსურები **ჩერქეზი**-ს მაგიერ **ჩარქეზ**-ს ამბობენ: ...შემოკდა **ჩარქეზთ** ქალები, ცრემლით იბანენ პირსაო (ხევს. პოეზ., 223 27); ...საბელნ მაგვყუდნა **ჩარქეზამაო** (ეთნ., 53, 13; **ჩარქეზა**—თიკუნია კაცისა), აქ **ჩა-** ზმნისწინის ანალოგიით ჩანს ცვლილი **ჩე-** (შდრ. შე,- შა-, მოსკოვი და ხევს. მასკო).

და- ზმნისწინი ზოგჯერ **შე-**ს ადგილზე იხმარება: ...ნაშინ ქუდს ვერ **დაღლაჯავს**, ეტყვის (გაბ., 128, 10); ...მემრ **დაგეკითხებით**, წაკღლალავთ კაცებს (გაბ., 131, 13); **დაეკითხებიან** (გაბ., 131, 14).

და- ზოგჯერ **მო-** ზმნისწინის ნაცვლადაც არის გამოყენებული: ...მეზობლებიც, რა თქმა უნდა, არაყს არ **დალრიდებენ** (გაბ., 129, 9).

და- ზმნისწინი იხმარება მოქმედების ინტენსივობისა და სიმრავლისა თუ სიხშირის გადმოსაცემად: ...**დაგზავნეს** ყარაულები: „ჩეთმას **დაავლით** თვალიო (მიულ. მას.); ...**დასთხოვს** თავის გულში მუქარას (გაბ., 134, 27); ...**დახტეს** სოფლისკე, დაეცნეს ჯუთას (გაბ., 166, 5); ...ქალი **დაივლის** თავის სოფელს (გაბ., 131, 21); [შდრ. ფშ.: ...ძროხაშიამც **დამირია** ემაგ ჯიშის ფურ-ხბუები (რაზიკ., 208, 82); ...**დამექცა** ამხანივები (რაზიკ., 50, 84); ...გუშინ **დავგზავნენ** სათიბრადა (რაზიკ., 88, 24): ...**დაიქცევიან** მანდითა (რაზიკ., 9, 1)].

ზმნისწინიანი ფორმების ნაცვლად ზოგჯერ უზმნისწინო ფორმები იხმარება: ...ღამის მთეველი **ისტუმრებს** დროშას (გაბ., 133, 12); ...თოთელ [42] ჩოჯაზედ **ისარტყლა**, მტრისაკედ მკრები შალაო (გაბ., 168, 7); [შდრ. ფშ.: ...აბა თუ ეგრე გიყვარვარ, ბოსელაში **მისტუმრია** (რაზიკ.. 184, 285); ...თუ არა ჰჭამს, ჰირი

---

[42] დედანში „თოთელ“ წერებულა. რედაქტორს „თოთელმ“ დაუბეჭდავს. გასწორება არაა საჭირო: „თოთელ ისარტყლა“ = „თოთელი შემოისარტყლა“ (ალ ჯ.).

მჭამოს (რაზიკ., 148, 63); ...კოშკებში მოსვლა მეღირსა, ღმერთსა ვეც სალამ-თაყვანი (რაზიკ., 187, 7)].

2. პირის ნიშნები ხევსურულში

პირის ნიშნის ხმარების საკითხი საერთოდ ქართულში და, კერძოდ, ხევსურულში დაწვრილებით განიხილა პროფ. ა. შანიძემ თავის მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920 წ.). იქ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ S_2 და O_3 პირის ნიშანი ჰ ხევსურულში, სათანადო ფონეტიკურ გარემოში იღლევა რეფლექსებს: **ს, შ, ზ, ჟ, ხ, ღ, 0.** ამ რეფლექსების წარმოქმნის მიზეზებზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ მხოლოდ საილუსტრაციო მასალის მოყვანით დავკმაყოფილდებით.

ა) მესამე ობიექტური პირის ნიშანი (O_3)

ჰბ→ხბ ‖ ღბ: ...იარდაში შაიყრებიან და იქ გახბჭობენ სალაშქრო საქმეს (გაბ., 164, 26); ...ჰონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი, ჰიკუს ხვრენ საკიდლისასა (მიქლ. მას.).

ჰვ→ღვ: ...დახკივლეს ქისტის შვილებმა, ყველამ დალვედრა გვარია (ხევს. პოეზ., 135, 20); ...თავს ვუთხარ, დაეღგმე, დაღვედრე: „შენც არ გაგწირას ფერმაო“ (ხევს. პოეზ., 451, 7); ...ლაშმრუდი ბურციკაისშვილიო ღვედრიდა ბაწარაულასაო (ეთნ., III, 2, 19).

ჰფ→ხფ ‖ ღფ: ...მეორეს დღეს, ყანას რო დახფარვენ, იტყვის... (გაბ., 121, 18); ...გაღფრინდი გაუფრინდომსა ჯარაის წყაროს სევისა'ია! (გაბ., 178, 11).

ჰმ→ხმ ‖ ღმ: ...გზის თავში ხმკიდი ყანასა, გეტანა მამა შენია (ხევს. პოეზ., 329, 7); ...ეს არც ასუქებს, არც ღონეს ღმატებს (გაბ., 132, 30); ...გამაღმშვიდობებივა თავის ქვეყანას სამუდმოდ ...როშკას მამიდასთან მისულა, იმასაც გამაღმშვიდობებივა (გაბ., 186, 6, 10).

ჰპ→ხპ: ...მახპარვენ წიწილაშვილსა ორსაოდ ფუტკრის ძირსაო (ხევს. პოეზ., 210, 5); ...ჰირსამც მოვხპარავ ზეზვასა გაფრინდაულის შვილსაო! (ხევს. პოეზ., 26, 1).

ჰგ→ხგ ‖ ღგ: ...მეორეს დღეზე მოხპარეს, ილოს მიხგვარიან შინა (ხევს. პოეზ., 401, 23): ...ჰევსურეთობა ღგულავიხ, არაგვზე შამადგებისა (ხევს. პოეზ., 7, 2); ...მზესა ღგავ ჩემი ძმობილი

(ხევს. პოეზ., 389, 6); ...მემრ ღამის მთეველ **მალგვრის** წინავ მამზადებულს საკლავს (გაბ., 122, 4).

ჰქ→ხქ: ...თათარო ჯალაბაურო, შვილს ყამარისძე **ხქვიანა** (მივლ. მას.); ...სამნია კალოთანელნი, სამნივ ქორებრიე **ხქრიანა** (ხევს. პოეზ., 206, 1).

ჰკ→ხკ: ...**დახკაზმავს** ჯართ (გაბ., 121, 3); ...**დახკარით**, ახიელელნო, ბაიაისად ახია (მივლ. მას.); **დახკლავს** (გაბ., 122, 6).

ჰყ→ხყ: ...ჯარის ყვირილი გავიგონეო, აფხუშოს ძირით შა**მახყვირნაო. შახყვირნე**, შენმა ოჯრობამაო, თივათ დაგიყრი ქოჩისათაო (ეთნ., III, 14, 40—41); ...**დახყაბულდა** ხალხი (გაბ., 165, 6); **გახყვების** (გაბ., 121, 17); **დახყუდებს** (გაბ., 122, 1).

ჰჳ→ხჳ: ...ეს კანონ ძველი ას, მაგრამ ძალიან ძვირად **ხჳდებ**ის აეხლად (გაბ., 133, 32); ...ჯვარ გაუწყრების, ან მახკლავს, ან **დახჳელთავს** (გაბ., 133, 31); ...მემრ გარმაიღებს სტუმარ არაყიანს ქინთს, **მახჳსნის** პირს (გაბ., 129, 4).

ჰლ→ღლ: ...იმ დღეს **წაღლალავს** მაწევარს (გაბ., 121, 25).

ჰნ→ღნ: ...გაბური ყანათ გადამკილთ **ღნახევდ**, ფაფიან ჯამებს ამაჭმულებს (გაბ., 156, 15); ...**ხალხიც ღნახავს** (გაბ., 129, 18).

ჰრ→ღრ: ...ამით ზოგ **ღრიდებს** მასაყვანად (გაბ., 136, 30); ...ჩოხელათ გუდამაყრელთა ღმერთი **ღრიხხევდას** მაღალი (ხევს. პოეზ., 229, 12); გაბუურის მასალებში დასტურდება **„სრტყავ“** ფორმა: ...სრუ მუდამ არხვატის ჯვარსა წელთ **სრტყავ** სისხლიან ჭმალია (გაბ., 212, 27); (**„ღრტყავ“** უნდა გვქონოდა!).

ხევსურულში **მასჩება** || **მაშჩება** გვაქვს, ე. ი. **ჰრჩ** კომპლექსიდან (**მა-ჰ-რჩ-ებ-ა**) ჯერ **რ** დაიკარგა და მერეღა **ჰჩ-მ** მოგვცა **სჩ** || **შჩ**, თორემ **მა-ღ-რჩ-ებ-ა** (→**მა-ღ-ჩ-ებ-ა**) უნდა გვქონოდა. ასე, რომ **ჰრჩ** კომპლექსის გამარტივება (**რ**-ს დაკარგვა ამ კომპლექსში) უფრო ძველი ფონეტიკური პროცესია ამ შემთხვევაში, ვიდრე **ჰჩ→სჩ** || **შჩ** ფონეტიკური პროცესი.

ჰდ→სდ || **→ზდ**: ...შახკაზმ თავის ლურჯა და **გამაზდეზ** იქისკე (გაბ., 168. 24); **დაზდგმენ** (გაბ., 122, 10); **დაზდებს** (გაბ., 126, 20); **ამაზდიოდას** (გაბ., 130, 8).

ჰთ→სთ: ...დასტურთ ლუდ **გასთაგებია**, გამაგვირიეს თხლიანი (მივლ. მას.).

ჰტ→სტ: ...შიგ **სტანავ** ცუცქიაური, ბუღა ბოლბიჯავს რქიანი (ხევს. პოეზ., 43, 4); ...ხალიაისძეთ მიქელა ლეკთა შინ **შასტანებივა** (ხევს. პოეზ., 242, 1).

ჰც→სც: ...ჭმლითა **სცა** თუშთ მოურავმა: „დახკარით, კახპის შვილსაო!“ (ხევს. პოეზ., 20, 12); ...**დასცილდა** მეჭობაურსა ამოსაჴედი მზისაო (მივლ. მას.).

ჰწ→სწ: ...ეეს რაჴელი-ღ ჩასჴლუის წიგნს! ნეტა არ **მასწყინდებისა** სრუ ქალალდის კითხვა? (მივლ. მას.); ...სცემენ კი არა, წელს **მასწჴვეტენ** (მივლ. მას.).

ჰძ→სძ ‖ **→ზძ**: ...**შასძახნებს** ღმერთს (გაბ., 121, 5), მაგრამ: ...**შაზძახნებს** კიდევ ღმერთს (გაბ., 121, 9); **აბაისძე** (გაბ., 171, 37 172, 31; 173, 9, 18), მაგრამ: **აბაიზძე** (გაბ., 172, 3; 173, 3; 173, 15); საყურადღებოა, რომ **აბაისძე** ბეს. გაბუურსაც ჰქვიან და თავის სახელს იგი ხან ერთნაირად წერს, ხან მეორენაირად. შდრ. **სანათიზძე** (←სანათისძე): ...ახურათ **სანათიზძიასაო** შვილნიმც ხყონ შენის დავლათისნიო (ეთნ., III, 5, 12); ...სალდათსა **მაზძ**ღოლივა წინაო (ეთნ., III, 2, 12).

ჰჳ→ სჳ (‖ **→შჳ**) ‖ **ზჳ** (‖ **→ჟჳ**):

სჳ: ...ჴდის თავისას წასვლაჰ-**სჳობის** (გაბ., 165, 9); **შჳ**: ...აიღებს ერთ ქვას და **შაშჳენჳავს** ცულის ყუით ყორეში (გაბ., 149, 7, აქ შეიძლება პროგრესული ასიმილაციაც მონაწილეობდეს); ..სცეს, სცეს, რო ქოდ სასიკვდილოდ **გაშჳარეს** (მივლ. მას.); **ზჳ**: ...ახლა **მივზჳარდით** ღელესა (გაბ., 217, 18); **ჟჳ**: ...მაგათ ის ურჩევ, რო რჯულის ნათქვამს **დაჟჳერდან**, თორე მე ვიც რასაც მიიღებენ! (მივლ. მას.).

ჰჩ→ სჩ ‖ **→შჩ**: ...ომს **მასჩეს**, შაქდეს ვაჟები არხვატის ჯვარის კარსაო (გაბ., 220, 2); ...ჴელს რო **გაშჩუჩვენ** ეს მენადირეები, ქისტები მაშიავ თოფებს დააშლიან (გაბ., 171, 1); შდრ.: ...ულალვენ კაცსა **მამაშჩემსაო** (ეთნ., III, 8, 17); [შდრ. ფშ. სადაც საწინააღმდეგო პროცესი ხდება: **ს→ჰ**: ...შენ **მამაჰჩემო** თორღვაო, წელთამც ნუ გრტყია ხმალიო (რაზიკ., 66, 133)].

ჰჯ→სჯ ‖ **→შჯ**: ...ქადას აიღებს და ჯართ უღელზე **გასჯრის** (გაბ., 121, 8); ...სრუ მძინარებს თავებს **გავსჯრით** (გაბ., 165, 3), მაგრამ: ...გაბრაზებულა თოთელი, ჯავრს კი არ **შაშჯამს** მტრისასა (გაბ., 216, 10)[13]; ...გინდა ძალიან მდიდარიც იყოს, სოფლის თავ მით რაში **დაშჯირდების** (გაბ., 130, 3).

ბ) მეორე სუბიექტური პირის ნიშანი (S_2)

ზუსტად ზემოთგანხილულის მსგავსი ფონეტიკური პროცესები ხდება S_2 პირის ნიშნის ხმარებისას, ამიტომ აქ ორიოდე მაგალითის მოყვანით დაეკმაყოფილდებით: ... ქალო ხორაო, **შჯამე**

[13] აქ შეიძლება ასიმილაციის შედეგიც იყოს **ს→ შ**.

ლოდიო (ეთნ., III, 24, 8); ...ბერიძიშვილს კი ვერ **უჯობიხარო** (ეთნ., III, 28, 4, პირის ნიშანი აქ შეიძლება O_3-პირსაც ეკუთვნოდეს); ...ვა შენს მამუკას! რად **ღმალე**, ქვე რად არ მითხარ წინაო? (გაბ., 207, 4).

ერთია თავისებური ხევსურულში: S_2 პირის ნიშნისა და O_3 პირის ნიშნის რეფლექსი გამოყენებულია ხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან: ...**შალომებიან** მაშინ ისენ ერთუცს (მიელ. მას.); ...**გალეშმაკებ**ი აი ბალღა, ვეღარ ატყუებდეს (მიელ. მას.); ...უმისოდ, თქვენ ხო კარგა ხართ, ხო არას ვინ **ღავალობთ**-ღბეჩაობთ? (მიელ. მას.); ...ვიძი ეემ დღეთ, ვიყვიდ დაღონებულ: „სად-რა **ღოჯრდებიჳ** ნეტარაე?“ (მიელ. მას.); ...აი ცხენიც **გალოფლიანებიყვ**, ქოო შავ იყუ ოფლისგან (მიელ. მას.); „...საკალავის გარდაით აღარას აკეთება, აღარ **ღოჭრომჭედლობა**, მამადავ?“ (მიელ. მას.).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჰ ღ-ს იძლევა მჟღერი ბგერების წინ; ხმოვნებიც მჟღერი ბგერებია და ბუნებრივია ხევსურულში მათ წინ ჰ→ღ პროცესი. საყურადღებოა ერთი გარემოება: ჰ ღ-ს მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის წინ იძლევა. რაიმე გრამატიკული ფუნქციის მატარებელი ხმოვნის წინ ჰ ღ-ს არ მოგეცემს, მაგალითად, არ შეიძლება: *ღ-ი-კეთებ, *ღ-უ-კეთებ, *ღ-ა-კეთებ, *ღ-ე-მალები და მისთ. რატომ? ხომ არა აქვს ამ ფონეტიკურ მოვლენას რაიმე კავშირი გამოთქმულ მოსაზრებასთან (იხ. აქვე ქვ.), რომ ჰა-, ჰე-, ჰი-... (**ჰა-კეთებს, ჰი-კეთებს, ჰე-მალებ**ა...) პრეფიქსი განუყოფელი უნდა ყოფილიყო? ე. ი.: ასეთ შემთხვევებში ა, ე, ი, უ ხმოვნები ჰ-ს ვერ ამჟღერებენ იმიტომ, რომ მისგან ცალკე მდგომად არ აღიქმებიან: რომელიმე ჰა- მთლიანი, განუყოფელი აფიქსია და ამიტომ არ ხდება მისი გამჟღერება?.. რა მიმართებაში არიან ამ ფაქტთან ძვ. ქართულის ხანმეტი ფორმები, სვანური ენის S_2O_3-ის ხ-პრეფიქსი? ამ რიგის საკითხები სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

პირის ნიშანთა ხმარების თვალსაზრისით კიდევ ერთი გარემოებაა საყურადღებო ხევსურულში: დასტურდება ფორმები, სადაც სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ობიექტური პირის ნიშანს უნდა მოსდევდეს ესა თუ ის ქცევის ნიშანი, მაგრამ ხევსურულში ასეთი ნიშანი არა ჩანს და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქცევაც ობიექტური პირის ნიშნით იყოს გადმოცემული[44]. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

[44] ამ საკითხზე პროფ. არნ. ჩიქობავამ წაიკითხა მოხსენება: „ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ხმნებში“, ენათმეცნიერების

...შა-ს-ძახნებს (შე-უ-ძახებს←შე-ჰ-უ-ძახებს): ...შასძახნებს ღმერთს (გაბ., 121, 5); ...შაზძახნებს კიდეე ღმერთს (გაბ., 121, 19); ხ-კვირიბენ (უ-კვირს←ჰ-უ-კვირს): ...ხკვირობენ აზნაურები: „ჯევსური როგორ ცდისაო“ (ხევს. პოეზ., 52, 6); ...გახკვირდა სომხის შვილები: „სად მიდის ჯევსურთ ჯარიო?“ (ხევს. პოეზ., 48, 14); ...დროება გამოიცვალა, კაცი სრუ ყველა ხკვირსაო (ხევს. პოეზ., 479, 1). ეს სუბიექტური წყობაა: ხ-კვირს (იგი მას); სალიტერატურო ქართულში მის ნაცვლად ობიექტური წყობა გვექნება: მ-ი-კვირს, გ-ი-კვირს, უ-კვირს (←ჰ-უ-კვირს)... ხჯდება (უჯდება→ჰ-უ-ჯ-დება): ...ისრ ხჯდება იარაღები, როგორც მანძილას რქანია (ხევს. პოეზ., 167, 32); ...არ ხჯდების გასაოკრები,— ეშმაის გრილოს ღგავისა (ხევს. პოეზ., 457, 3); ...შა-გ-ჯდებოდ (=შა-გ-ი-ჯდებოდ „მოგიხდებოდა, დაგშვენდებოდა“): ...შაგჯდებოდ აპელატრები, იმასთან მჯრები მტყელია (ხევს. პოეზ., 455, 47); ...გაჯალათასა გაგასა რა კარგა ხჯდების წვერია! (ხევს. პოეზ., 455, 45).

ს-ცანით (ი-ცანით←ჰ-ი-ცანით): ...ჯელთა-ღ მამეცით ხანჯარი, გულ სცანით დაეითისაო! (ხევს. პოეზ., 539, 26); ...გათენდა, გასცნეს თუშები, შორ-ახლოდ უყვეს ძალია (ხევს. პოეზ., 211, 27); ...თათარ გულდაგულ წავიდა, გულ კი ვერ გასცნა ყმისაო (მიელ. მას.); ღ-რიდე (ე-რიდე←ჰ-ე-რიდე): ...მე ბევრჯერ გითხარ, სურხანავ: „ღრიდე სისხლიანს გზასაო“ (ხევს. პოეზ., 208, 7); და-ღ-ბერნებს, (და-უ-ბერავს←და-ჰ-უ-ბერავს): ...ჩაყრილა ვარდის ფურცელი, დაღბერნებს. დასძრავს ქარია (ხევს. პოეზ., 64, 3); ...ქარი ქრის საქარავნოსა, ღურბელსა ღბერევდიანა (ხევს. პოეზ., 85, 1); [შდრ. ფშ.: ჰ-ყურობ (უ-ყურებ←ჰ-უ-ყურებ): ...ქალს ჯვარობ-ში ნუ ჰყურობ, ტანთ ნათხოვარი აცვია (რაზიკ., 211, 100); გა-ჰ-ხმა(sic!) (გა-უ-ხმა←გა-ჰ-უ-ხმა): ...ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა? ვის გაჰხმა ენის ტარია? (რაზიკ., 15, 26); [შდრ. ხევს.: ...ვინა თქვა (ენამც გახვმება!): „ჩეთმას დგას თუშის ცხვარია?“ (მიელ. მას.)].

ასეთი ფორმები ხევსურულსა და მთის სხვა დიალექტებში საკმაოდ ხშირია. ასეთი ფორმები დასტურდება ძველი ქართული ენის ძეგლებში [45]. ეს ფორმები ხევსურულში ძველი ვითარების

ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, 1958, 31 მაისი—2 ივნისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახლანდელ პირისუნიშნებს ხმოვნითი ელემენტი უნდა ჰქონოდათ... იხ. „იბერიულ-კავკასური ენათმეცნიერება“, 1959, ტ. XI, გვ. 151.

[45] სათანადო მასალა მდიდრად იყო წარმოდგენილი პროფ. არნ. ჩიქობავას დასახელებულ მოხსენებაში.

გადმონაშთი უნდა იყოს. მათ, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა მიუთითებდა ამაზე, კარგი მასალის მოცემა შეუძლიათ ქცევის კატეგორიის ჩამოყალიბებისა და ქცევის ნიშანთა გენეზისის შესწავლისათვის. ეს საკითხი სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშანთა ხმარებაში ხევსურული რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ გვიჩვენებს.

ზოგ თავისებურებას ამჟღავნებს ხევსურული მრავლობითი რიცხვის პირის აღნიშვნაში. რიგ შემთხვევაში ძველი ქართული ენის ნორმებია დაცული. სუბიექტის მრავლობითობის აღნიშვნაში თავისებური ისაა, რომ ყველა გარდაუვალ ზმნას ნამყო ძირითადში და ყველა სხვა ზმნას ნამყო უსრულში სალიტერატურო ქართულის **-ენ** სუფიქსის ნაცვლად მოუდის **-ეს** სუფიქსი:[46] ...ბაცეს სუმბატას **მიუდგეს**: „სუმბატავ, შინა ხარიო?“ (ხევს. პოეზ., 2, 5); ...საკამატვილოს **წამადგეს** ცხრანი ძიბლანი ძმანიო (ხევს. პოეზ., 2, 12); ...აკუშოს ღელეს **შამაჯდეს**, ჯართ უღელ დაედებისა (ხევს. პოეზ., 5, 4); ...ფხიტუთ **მოვიდეს** წერონი მაშვრალნი, შორის გზისანი (ხევს. პოეზ., 8, 1); ...როშკას **აწიწდეს** ციხენი, ბლოს ბანნი ქვიტკირისანი (ხევს. პოეზ., 8, 3); ...თან **მახყვეს** ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი (ხევს. პოეზ., 8, 8); ...ვაკის ძირ **გარმაიარეს** (ხევს. პოეზ., 11, 11); ...**დასხდეს**, **დარიგდეს** ჯევსურნი, ზურაბ მეღვინედ დგებაო (ხევს. პოეზ., 18, 19).

დანარჩენ ზმნათა ნამყო უსრული: ...თავ ხიზანს ვერ დაონებე, თვალით **მიჩინდეს** გზანიო (ხევს. პოეზ., 16, 10); ...ზურაბ, თან **გახლდეს** მსახურნი... (ხევს. პოეზ., 20, 1); „...დახკარით, ნუღარ გაუშობთ,—**იძახდეს**,—კახპის შვილსაო“ (ხევს. პოეზ., 22, 4); ...თითოს კი დაგიკანჭევდეს ფარს ქვეშ ნაწურთნი ყმანია! (ხევს. პოეზ., 19ა, 6).

ხევსურულში, ისგაყსად ძველი ქართულისა, ზმნაში 6-იან სახელობითში დასმული ობიექტი აღინიშნება: ...დაგუბებულსა ლაშქარსა შენ **გაასწავლენ გზანიო** (ხევს. პოეზ., 2, 17); ...რბოლით **დაკრიფნა** ზურაბმა გძელნი არაგვის **გზანიო** (ხევს. პოეზ., 2, 23); ...შენ **დააბრუნენ ჯევსურნი**, **დართულნი**, **ფარ-აბჯრიანნი** (ხევს. პოეზ., 4, 3); ...თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი, **ბეგენგორ ჩამოეწივა**, **ჯარნ ჩაჰრნა ზურაბისანი**, ამანდით აქაბრუნვილმა **ხამანნ ჩახყუდნა ქვისანი**, რომენიც გარდააქცევდა, **ცოდვან მახკიდნა ჯმლისანი** (ხევს. პოეზ., 8, 9—11); ...ვაკისას არ **გარმაუ-**

[46] ა. შანიძე, „ქართული კილოები მთაში“, წიგნში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1957, გვ. 16.

შენა: „ჩემს როშკას არ მიჯდებისა“ (ხევს. პოეზ., 11, 10); ...არ გადმაუშვეს ვაკისას, წვერისას **დასხნეს გზანიო** (ხევს. პოეზ., 12, 7); ...გორ-შელმ წამაე, ზურაბო, **ნახენ ქერაულნ ყმანია** (ხევს. პოეზ., 13, 1); ...ზურაბ როშკის გორ ჩამოჯდა, თანა ხყავ თავის ჯარიო, ახიელ ციხეს მიხქადის, კუთხს არ **მოხგლიჯნას ქვანიო** არ გამორეკნას შიგითა **ჯურჯიაულნი ყმანიო**... ორდანათ ხომიზურასა **არ დაგვიტეხნას რქანიო**! ...შარუმამ მათურლიშვილმა ვეფხვმა **დაშალნა მწკალნიო**... (ხევს. პოეზ., 17, 1—7); ...შენ **დაგვიჯოცენ** ღალატით ნარჩევ ჴევსურთა **ყმანია**. რად არ **გაუშვენ** ველადა **ჴევსურნი-დ' შენნი ყმანია**? (ხევზ. პოეზ., 19, 2—3); ...თრუსოს **აწიენ ჴევსურნი**, ჴელით **არჩიენ ყმანია**... თრუსოს **მაასხენ მაშვრალნი**, დანდობით გასჭერ თავია, რად არ სწორ-და-სწორ **გააწყვენ ჴევსურნი-დ' შენნი ყმანია**? (ხევს. პოეზ., 19ა, 2, 4—5).

საერთოდ, ხევსურულმა არ იცის სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობით რიცხვში ზმნასთან შეუთანხმებლობა...

თ ობიექტის მრავლობითობას აღნიშნავს ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ...თუ სიმთვრალე არ **ჩაგადენსთ**, რად არ აეხლა ფხიზლები შეღლობთ? (გაბ., 123, 28); ...აი, ხალხნო, ეს **გეცოდინებოდასთ** ყველას... (გაბ., 123, 21); ...ჯვარ **გეწერასთ** უღელ-მაშვრალთ (გაბ., 121, 15); „...გამარჯვება ჩვენს ჯვარსა და იმის წყალობა **გჭონდასთ**... დასტურს დასტურობა ნუ **შაგანანასთ** ...ნუ **შაგანანასთ** კეთილის კაზმვა, უღლის დება, **გწყალობდასთ** ყველას... ბევრ აეს დრო **მაგგვარასთ** მშვიდობისა ...თასიანებს ჴელთა **გაამასთ**, მემუშკლე(ე)ბს მუშკლებ **შაგარჩინასთ**...“ (გაბ., 126, 14—19); [შდრ. ფშ.: ...ღმერთმა **დაგწეროსთ** ჯვარიო (რაზიკ., 75, 158); ...გულიც ხო **გერჯიხთ** ცდაზედა (რაზიკ., 56, 104); **დაგტაცებსთ** (რაზიკ., 41, 54); **გამოვალვიძებსთ** (რაზიკ.,41, 55); **გამოგიქროლებსთ, მიგინარცხებსთ** (რაზიკ., 111, 37)].

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით აქ სხვაობა ის არის, რომ S_3 პირის ნიშანი -ს (მხოლობითში) და -ენ (მრავლობითში) ყოველთვის დაცულია (მიგინარცხებ-ს-თ—მიგინარცხებ-ენ-თ...).

ხშირია ზმნის მრავლობითობის -თ სუფიქსის ხმარება არსებით სახელთან და მეტყველების სხვა ნაწილებთან: ...ეესიც უგონთ გასულ მავიდ, **ვაჟებოთა**! (მივლ. მას.); ...**არიქეთ**, უშველეთ, დაამეშველენით, **არიქეთ**! (მივლ. მას.); ...**აჰალეთა(ლ)**, დიაცებო, ლუდ წაიღით, თქვენ კერძ ლუდი (მივლ. მას.); ერთგან ასეთი ფორმაც გვხვდება: ...**მადით** წამეე ჩემთანა, მსწავლე გეკნები გზისაო (ხევსპოეზ., 228, 18).

ხევსურულში კარგად არის გამოხატული ე. წ. შესაძლებლობითი ფორმები. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ...არ **მიგვევალის** თუშეთსა, ჩვენი კაცობა რ'არია? **დაგვეკვეთებოს** სამძახი, არ **მოგვეცემოს** ქალია, არ **დაგვესხდომის** ჯარზედა, დასხდას ალუდის ჯარია (ხევს. პოეზ., 216, 16—18).

3. ზმნის ნაკვთთა წარმოება

ხევსურული რიგ თავისებურებებს გვიჩვენებს ზმნის ნაკვთთა წარმოებაში. ზოგ რაშიმე იგი ძველი ქართულის ნორმებს იცავს, ზოგში ახალ სალიტერატურო ქართულს მიყვება. აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც.

მეორე სერია

ა) **ნამყო ძირითადი**. ნამყო ძირითადის მთავარი მაწარმოებელი როგორც ყველა სხვა ქართულ დიალექტსა და სალიტერატურო ქართულში, **ე**- ხმოვანია: „...დალოცვილო... შენ გაიგონი: თუ მე ქურდ ვიყვ, ჩემობა გაათავე, **მამდიე** შვილიშვილამდე და, თუ ალალ-ორ ვინაც მე შამამაგდ ამ ჯვარის კარში, იმას **მიზდიე**, გაუწყერ შვილიშვილამდე!“ (გაბ., 139, 7-11); „...ღმერთო დალოცვილო, ბევრ საქნავად გაე **მოგვგვარე** მშვიდობისა, შენ **მოიყვანე** კა ყანა!“ (გაბ. 121, 5—6).

ნამყო ძირითადის (resp. წართქმითი ბრძანებითის) ეს მაწარმოებელი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ვერ ძლებს და ხშირად **ი**-ს ან **ი**-ს იძლევა, ზოგჯერ კი სულაც იკარგვის:

„...წყალობა **გაგიწირი**, ღამის მთეველო“... (გაბ., 123, 3); [შდრ. იქვე: „...მასპინძელო, წყალობა **გაგიწირეთ**“... (გაბ., 123, 8)]; „...ღამის მთეველო, წყალობა **მაგიტანი**... (გაბ., 122, 2); „...ღმერთო, რაც მე დავაკალ ამ ყანას, შენ **მაუმატი**, შენ **მაიყვანი** კა ყანა!“ (გაბ., 121, 18—19); ...ჯარისა მჭრის ნაოფლარს ჯვარ **დაგვიწერი**, ნივთი ბარაქა **დაგვიდევნი**... (გაბ., 121, 12—13); ...სთველი ზაფხულ მშვიდობისა **ჩამოგვიყენი**... (გაბ., 121, 12); „...ღმერთმა გაამას, **ჩამაიყარი**!“ (გაბ., 126, 24); ...**მივეგები** გზის პირში... (გაბ., 191, 15); „...**აარი**, გადაქე“ (გაბ., 128, 25); „...აჰალეღ, **ჩამაეტანი**...“ (გაბ., 127, 16); ...ეს გეცოდინებოდასთ ყველას, დროშა **გარმავხყუდი**... (გაბ., 123, 21); ...შენ **მოგვგვარი** ბევრა საქნავ გაე დრო მშვიდობისა... (გაბ., 121, 10—11); ...რაად **დამეწერი**, დედო (ეთნ., III, 7, 13); ...მე **ჩამაბარი** მამისახლს, დედო... (ეთნ. III, 7, 36, 37).

ყველა ჩამოთვლილ (ხაზგასმულ) ზმნაში დავიწროებულია ნამყო ძირითადის **ე** და ყველგან აღდგება **ი**, როცა ეს **ე** ბოლო პოზიციას დაკარგავს. როცა მას რაიმე მაწარმოებელი (მრავლობითობის ფორმანტი ან რომელიმე ნაწილაკი) მიერთვის; გვექნება: **გაგიწირეთ, მაგიტანეთ, მაუმატეთ, მაიყვანეთ, დაგვიწერეთ, დაგვიდევნეთ, ჩამოგვიყენეთ, ჩამაიყარეთ, მივეგებეც, იარეთ, იარელ. ჩამაეტანეც, ჩამაეტანელ** და ა. შ.

ი, რომელსაც ბესარიონ გაბუური წერს, მოკლე **ი**-ა (ჲ) და ჯობია, თუ ყოველთვის ასე დავწერთ. ზოგჯერ აღარც ეს ჲ ისმის და აღარც იწერება: ...შენ გეხვეწები, შენ **მოიყვან** კა ყანა (გაბ., 121, 20), შდრ. იქვე 121, 6: ...შენ **მოიყვანე** კა ყანა... და 121, 19: **მაუმატი. მაიყვანი.** როგორც ვხედავთ, ბესარიონ გაბუურს სამნაირი ფორმა აქვს ნახმარი. სურათი გაწვრთნილი ჩამწერის ხელშიაც არსებითად იგივე იქნებოდა, ოღონდ მოკლე **ი**-ს (ჲ) უფრო ხშირად იხმარდა იგი.

ე ხმოვანი თითქმის ყოველთვის სრულად არის წარმოდგენილი „და“ კავშირის წინ და კითხვითს ფორმებში (მაიყვანე? მაუმატე?...).

ზმნებს, რომელთაც ნამყო ძირითადი უნიშნო აქვთ, ახალ ქართულში **ი** უჩნდებათ: მოვკალ ‖ მოვკალ-ი, მოვხან ‖ მოვხან-ი, წავედ ‖ წავედ-ი, ვუთხარ ‖ ვუთხარ-ი და მისთ. ხევსურულში ეს ზმნები უპირატესად უნიშნოდ იხმარება.

წართქმით ბრძანებითში და საერთოდ ნამყო ძირითადში ზოგ ზმნას მთელი ბოლო მარცვალი ეკვეცება: **მაიყვა, მაიცა ‖ აცა, მაიჯა**(=მაიჯადე), **მამაწვა** (=მამაწვადე)..., მაგრამ საკმარისია ნამყო ძირითადის **ე**-ს დაეკარგოს ბოლო პოზიცია, რომ ზმნებმა ნორმალური წარმოება აღიდგინონ: **მაიყვანელ, მაიტანელ, მაიცადელ, მაიჯადელ, მამაწვადელ**...

სამაგიეროდ ასეთ ფორმებში ხშირად იკარგვის თვით ნაწილაკი ან მრავლობითობის სუფიქსი, ოღონდ: ამათ დაკარგვის შემთხვევაში ნამყო ძირითადის **ე** უთუოდ შემონახულია ხოლმე; ამიტომ ფორმებში, სადაც ნამყო ძირითადის **ე** შემონახულია, ხშირად საკარაუდოა რომელიმე ნაწილაკი ან სხვა ფორმანტი. ასეთი ფორმები გაბუურთანაც დასტურდება: „...აბა პირ-ჩაღმ **დახარე** (=დახარელ,—ალ. ჭ.) ქარქაშჩი ხო არა ჩაიყარავ?“ (გაბ., 157, 13—14).

ფორმები, სადაც **ე**-ს დავიწროების შედეგად მიღებული **ი** გვაქვს, ეხმთხვევა ხევსურული ხოლმეობითის პირველი და მეორე

პირის ფორმებს, რომლებშიაც უწყვეტლისეული -დ(ი) ჩვეულებრივ ეკვეცება ხოლმე; წინადადება: „შენ მოგვგვარი ბევრა საკნავ გაე დრო მშვიდობისა“ (გაბ., 121, 10—11), შეიძლება კაცმა ორნაირად გაიგოს: ან მოგვგვარი=მოგვგვარე და წართქმითბრძანებითია, ანდა მოგვგვარი=მოგვგვარიდ(ი) და—თხოვნით-წაქეზებითი. ტექსტი რომ ზუსტად ჩაიწეროს, ხოლმეობითის ი სრული იქნება (იგი მკვეთრად გამოითქმის), ხოლო ნამყო ძირითადის ფორმაში ი მოკლე იქნება (ე). ამიტომაც საჭიროა ხევსურული ტექსტების ჩაწერის დროს ი-ს ხმარება.

ხევსურულში არის რიგი ზმნები, რომელთაც ნამყო ძირითადში (resp. წართქმით ბრძანებითში) ი აქვთ მაწარმოებლად. ამ ზმნათა მაწარმოებელი ნამყო ძირითადში ძველსა და ახალ ქართულში ე-ა. ხევსურულში ამ ზმნებში ი ე-ს დავიწროებით მიღებული არა ჩანს, იგი ბოლო პოზიციის დაკარგვის შემთხვევაშიაც ი-დ რჩება: ...თქვენ გამატანებულ წერილ მივიღი დღეს დილით (გაბ., 258, 2), შდრ. ...წყალობა წაიღით ჩვენის ჯყარისა... (გაბ., 127, 28—29); გაიგი: ...ეს გაიგით ყველამ!“ (გაბ., 123, 25); „...მაშინ რაიღ მეშველების, თუ ჯელად ვერ ჩაგიგდი?“ (გაბ., 205, 37—206, 1); (მრავლობითში „ჩაგიგდით“ იქნება); „...გადაუგდი და მემრ ქისტები გაზდიან მაგ ყმაწვილს“... (გაბ., 172, 11); (მრავლობითში „გადაუგდით“ იქნება); „...აბა ის ჭმალი ამააგი (←ამააგიღ,—ალ. ჰ), ხო არ დაიჯანგავ“ (გაბ., 757, 12); ასევე გააშჭვი—გააშჭვით, გაალი—გაალით, დავლგმი—დავლგმით, შაირთი—შაირთით, დაიწყი—დაიწყით...

ამ ზმნებს სალიტერატურო ქართულში ნამყო ძირითადის შესამე სუბიექტური პირის ნიშნად ო აქვთ: ავაგ-ე, ააგ-ე, ააგ-ო; დავაგდ-ე, დააგდ-ე, დაავდ-ო; დავაწყ-ე, დააწყ-ე, დააწყ-ო... მათ ნამყო ძირითადში -ევ სუფიქსი უნდა ჰქონოდათ. მესამე სუბიექტური პირის -ა ნიშნის დართვის შემდეგ -ევ სუფიქსის ე ჩავარდებოდა, ხოლო -ვა კომპლექსი ო-ს მოგვცემდა: დად-ევ,ა→დად-ვ-ა→დად-ო; *ააგ-ევ-ა→*ააგ-ვ-ა→ააგ-ო; *აიღ-ევ-ა→*აიღ-ვ-ა→აიღ-ო...

ამ ზმნებს ისევე, როგორც სხვა ზმნებსაც, ხევსურულში ნამყო ძირითადის მესამე პირის ნიშნად ყოველთვის ა აქვს: გაიგ-ა, აიღ-ა, დააგდ-ა, შაირტყ-ა და ა. შ. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხევსური იმ ენობრივი კოლექტივის წევრი არ უნდა ყოფილიყო სადაც აიღ-ევ, ააგ-ევ, დააგდ-ევ...წარმოება გვქონდა. ეს ზმნები ხევსურულში უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვე-

ვაში იღებს, აგებს, აგდებს და მისთ ზმნების ნამყო ძირითადის პირველ-მეორე პირებში (მრავლობით რიცხვში მაინც!) ე უნდა გამოჩენილიყო, ხოლო მესამე პირში, თუ -ვა ო-ს არ მოგვცემდა, *აიღვა, *ააგვა, *დააგდვა... ფორმები უნდა შემოგვრჩენოდა (შდრ. დადვა, იყვა...). რაც შეეხება ი-ს, რომელიც ამ ზმნებსაც აქვთ ორსავე რიცხვში (აიღი-აიღით, დააგდი-დააგდით...), იგი იმავე ოდენობად უნდა ჩაითვალოს რაც სხვა უმწკრივისნიშნო ზმნებში დადასტურებული ი-ა: მოკალი—მოკალით, მოჰკანი—მოჰკანით, გაჰერი—გაჰერით და მისთ.

ბ) **ხოლმეობითის წარმოება.** წერილში „ქართული კილოები მთაში“ ა. შანიძე წერდა: „მთაში შენახულია დღევანდლამდე ერთი დრო, რომელიც გამოხატავს მრავალგზით მოქმედებას და რომელიც ნამყო სრულის თემისგან წარმოებს“.[47] შემდეგ, 1920 წელს, ა. შანიძე წერდა: „ნამყო მრავალგზითში თუშურს (და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯევსურულსაც) პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში ნამყო სრულის თემისთვის დართული აქვს ნამყო უსრულის სუფიქსი -ოდ“[48].

იქვე მოყვანილია ზმნათა სათანადო პარადიგმები. ა. შანიძე წერდა: „არქაიზმი მრავალგზით ნამყოს სახით ფშაურსაც აქვს შერჩენილი, მაგრამ მისი ფორმების საწარმოებლად ნამყო სრულის წმინდა თემა აღებული აქვს მხოლოდ მესამე სუბიექტური პირისათვის, ხოლო დანარჩენ სუბიექტურ პირებში ამ თემისათვის მას დაურთავს ნამყო უსრულის სუფიქსი -ოდ. ამგვარად ნაწარმოები მრავალგზითი ნამყოს მეორე სუბიექტური პირის ფორმებში მას უსესხებია მეორე ბრძანებითის გამოსახატავად, რომელიც პირველი ბრძანებითისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი ბრძანება ერთგზისი ბუნებისაა, მეორე კი—მრავალგზითისა, როგორც ძველს ქართულში; ეს ერთი, და მეორეც ისა, რომ პირველი ბრძანება კატეგორიული ხასიათისაა, მაშინ როდესაც მეორეს თხოვნისა და ხვეწნის ელფერი გადაჰკრავს ხოლმე“[49]-ო. იქვე ფშაურის გვერდზე ხევსურული და თუშური ხოლმეობითის პარადიგმებიც არის მოყვანილი.

---

[47] იხ. „კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის“ გამოცემა, 1915, გვ. 187—202, ტფილისი.

[48] ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 158.

[49] ა. შანიძე, იქვე, გვ. 154—155.

ამ სამს კილოში ხოლმეობითის წარმოების თვალსაზრისით ის სხვაობაა, რომ თუშურსა და ხევსურულს პირველ-მეორე პირში ფშაურის -ოდ სუფიქსის ნაცვლად ნამყო უსრულის -დ სუფიქსი აწარმოებს. სამსავე კილოში ხოლმეობითი (მეორე ხოლმეობითი) ნაწარმოებია ძველი ქართულიდან ცნობილი მეორე ხოლმეობითისაგან და იგი არის ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითის ბადალი.

აღნიშნულ კილოებში ხოლმეობითის წარმოებისა, წარმოშობისა და ფუნქციების საკითხი დაწვრილებით აქვს განხილული პროფ. არნ. ჩიქობავას[50]. ამ კილოებში ხოლმეობითი ძველი ქართულის ხოლმეობითს მხოლოდ მესამე პირში ემთხვევა, პირველ-მეორე პირში კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფშაურის ხოლმეობითი გაერცობილია ნამყო უსრულის -ოდ სუფიქსით, თუშურ-ხევსურულისა კი -დ სუფიქსით:

ძველი ქართული		თუშურ-ხევსური		ფშაური	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
ვ-ა-ღ-ი	ვ-ა-ღ-ი-თ	ვ-ა-ღ-ი-დ-(ი)	ვ-ა-ღ-ი-დ-ი-თ	ვ-ა-ღ-ოდ-ი	-ოდ-ი-თ
ა-ღ-ი	ა-ღ-ი-თ	ა-ღ-ი-დ-(ი)	ა-ღ-ი-დ-ი-თ	ა-ღ-ოდ-ი	-ოდ-ი-თ
ა-ღ-ი-ს	ა-ღ-ი-ან	ა-ღ-ი-ს	ა-ღ-ი-ან	ა-ღ-ი-ს	-ი-ან

ხევსურულ-თუშური მეორე ხოლმეობითის ნიმუშები:

პირველი პირი: ხევს.: ...სატუსაღოჩი **შავიდიდიო**, ცახის კარები **დავაღიდიო** (ეთნ., 72, 6—7); ...**მავკლიდით** სამ-სამ-ოთხ-ოთხი, მკვდარ თვალით ვერ ნახიანო (გაბ., 242, 15); ...მე ფარაგის ღილ **გავიჯსნიდიო**, ფეჯნი უბეჩი **დაუთბნიდიო** (ეთნ., III, 36, 8—9); ...აის დრო არ გვერჩიყვისაეო, შატილ **ვისხდიდით** ციხისკარაო, ად-ჩადიოდის ხოყანაიო, არც-კი ვის **გადავხენიდითაო** (ეთნ., III, 7, 16, 18).

თუშ.: ...ბალღებიც ხანდახანაც **ვაბანაციდით** (დიალექტ. ქრესტ., 161, 8); ...ტანისამოსიც ცოცქ **დავრეცხიდით** (დიალექტ. ქრესტ., 161, 11); ...მემრ ტოლიკაც **ჩავაცვიდით** (დიალექ. ქრესტ., 161, 13); ...ცეცგრ **ვქნიდით** (დიალექტ. ქრესტ., 161, 12); ...დაგრეხილ ბაწრისა **ვაკეთიდით** (დიალექტ. ქრესტ., 161, 22); ...მანდილ კუპურაცზედ თავსაკრავით **ვიმაგრიდით** (დიალექტ. ქრესტ., 161, 24); ...კიკინო-კოწოლ განა ახალსავით უკვენ **წავიხულაციდით**

[50] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 80--90.

(დიალექტ. ქრესტ., 161, 26); ...საქმის კეთებას ყურ მოვიხვიდით მანდილზე ზედისკითაჲ (დიალექტ. ქრესტ., 161, 27).

მეორე პირი: ხევს.: '...რა სათამაშოდ **გადმა(ხ)ვდიდიო**, მაშივ ღილღურად **დახკივლიდიო** (ეთნ., III, 71, 6—7); ...სკლატის ცმა არა **იცოდიდიო**, ლეგა ჩოჯაი **ჩაიცვიდიო**, გვერდზედა ქუდი **გაიგდიდიო** (ეთნ., III, 23, 4—6); ზუსტად ასეთია თუშურის მეორე პირის ფორმებიც.

მესამე პირი: მესამე პირი ხევსურულ-თუშურ კილოებში არ იძლევა რაიმე ახალს. ...უფრო **მამწონდის** იდუაიო, უფრო ლამაზი **ედგის** ტანიო (ეთნ., III, 56, 11—12); ...აის დრო არ **გერჩიყვისაეო** (ეთნ., III, 7, 15); ...ძველი დრო არ **გერჩიყვისაეო** (ეთნ., III, 71, 2); ...**ად-ჩადიოდის** ხოყანაიო (ეთნ., III, 7, 17); ...ძმებ **აატირის** ვაშკაცებიო (ეთნ., III, 36, 7).

თუშ.: ...ჩოჯის ქვეშ არაიც არ **გვეცვის** (დიალექტ. ქრესტ., 161, 16); ...ზოგს, ვისაც **ხქონდის**, ფართლის უსაკლოაც პერანგ **ეცვის** ჩოჯის ქვეშ (დიალექტ. ქრესტ., 161, 17).

ფშაური მეორე ხოლმეობითის ნიმუშები:

პირველი პირი: ...საკმისას ჩამოშვებულნი შუკნი **ვნახოდი** მზისანი (ფშ. მილექს., გვ. 39); ...ჩემსა პატარძლობაშია შვინდსა შვიდჯერ **მოვკმიჯოდი**, როცა თვალი **ვიცდინოდი**, მსხალსა ყუნწი **წავწუვიტოდი** (რაზიკ., 218, 142); ...მეფის ერეკლეს დროშია შორს **გავრეკნოდი** ძროხანი, **წავწოდი**, **წავიძინოდი**, **წავიხურნოდი** ჩოხანი (რაზიკ., 12, 15);

...გვიყვარდა, **შავეხუმროდით**, უწოვდით ტყავსა კალთაზე.
ან **გავთხიფოდით** ლაფითა, მაგრამ არ გაწყრის ამაზე.
ძლივ მაშინ გამოიცვალის, ძლივ მაშინ **გავაცინოდით**,
როცა მუგუზლით ვდაღავდით, ან ლაფში **ჩავაწვინოდით**,
მაშინ ძლივ **ვათქმეინოდით** სიტყვა საამო პირითა (ვაჟა, თხზ. III, 1930, გვ. 294);

...ჩვენც **დავიწყოდით** ღრეობა, მწკრივად **დავხხდოდით** ყველანი (ვაჟა, III, 1930, გვ. 292)[51].

მეორე პირი: ...**დამიტოლოდი** გულზედა, აღარ **მითხროდი**: „გათენდა“ (რაზიკ., 183, 281); ... ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები **დამისახოდი** (ვაჟა, IV, 1932 წ. გვ. 38); „**დამიტოლოდი**“ = დამიტოლებდი („ჩამიხუტებდი“) ხოლმე, „**მითხროდი**“ = მეუბნებოდი

---

[51] ეს მაგალითები მოჰყავს პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს შრომაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა“..., გვ. 81.

ხოლმე, „დამისახოდი“ = მისახავდი ხოლმე... ეს არის ჩვეულებრივი ხოლმეობითი. საერთოდ მეორე პირში ხოლმეობითი ისევე ჩვეულებრივია, როგორც პირველსა და მესამეში, მაგრამ სათანადო მაგალითები წერილობით ძეგლებში იშვიათაა. ამის მიზეზი ის არის, რომ მეორე პირი მისამართი პირია, მიმართვა კი უფრო ხშირად თხოვნას ან ბრძანებას გულისხმობა. ამიტომ მეორე პირის ხოლმეობითი უფრო ხშირად თხოვნით-ბრძანებითი შინაარსისაა (იხ. აქვე ქვემოთ).

მესამე პირი: როგორც აღვნიშნეთ, მესამე პირი ზოლიანად ძველი ქართულის მესამე პირს ემთხვევა და ახალს არაფერს იძლევა: ...**მაჰგვარის** ლაშარელასა, სამანზე **დააბისაო** (რაზიკ., 57, 108); ...თავად ჯაგთ ძირში **იწვისა** (ფშ. მილექს., გვ. 11); ....ძლივ მაშინ **გამოიცვალის** (ვაჟა, III, გვ. 294); ...მაგრამ არ **გაწყრის** ამაზე (ვაჟა, III, გვ. 294); ...ბეჩავან ტყავან **გეცვნიან**, მეგონე ჭერის საფთხული (ფშ. მილექს., გვ. 19).

ფშაურ-ხევსურულ-თუშური ხოლმეობითი გამოყენებულია მყოფადის ბრძანებითის, ე. წ. თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითის გადმოსაცემად. ფშაურში ეს ბრძანებითი ორგვარი დაბოლოებით გვევლინება: მეორე ხოლმეობითს ემატება **-ოდ-ი** ან **-ოდ-ე** სუფიქსი. ასეთი ფორმებით წართქმითი, კატეგორიული ხასიათის ბრძანებაც შეიძლება გადმოიცეს და თხოვნით-წაქეზებითი ხასიათისაც. თხოვნისა თუ კატეგორიულობის თვალსაზრისით **-ოდ-ი**, **-ოდ-ე** სუფიქსიან ხოლმეობითებს შორის რაიმე სხვაობა არ არის: ორივე ფორმა შეიძლება იქნეს გამოყენებული როგორც ერთი, ისე მეორე შინაარსის გადმოსაცემად. ერთადერთი სხვაობა, რასაც მოპოვებული მასალა გვაძლევს, ის არის, რომ **-ოდ-ე** სუფიქსიანი ფორმა პირველ პირშიაც იმარება და, ამდენად, იგი ბრძანებითის ფუნქციებიდან გამოდის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კავშირებით-ხოლმეობითის შინაარსი აქვს (იხ. აქვე ქვემოთ).

-იდ-ი სუფიქსიანი ხევსურულ-თუშური ხოლმეობით-ბრძანებითი: ...სულის ღმერთს **გამაეთხოვიდიო**, წამამგვარიდი ბეწვიკურიო (ეთნ., III, 63, 20—21); „...**გაიცინიდივ**, თუ გაგეცინებისავ“ (გაბ., 156, 25); ...მტერს მიზდევდან,—**მისწვივნიდით**, მასდევდას ვინ—**გამა(ა)ხვეწნიდით** (ეთნ., I, გვ. 11); ...თუ საშინაოდ წამახვედიო, ახიელისას **იარიდიო**, ბერდიას **დაემადრიველიდიო**, მადლობა **გადაუჯადიდიო** (ეთნ., III, 43, 3—7); „...საჩქაროდ **დაგვიბარიდი**“ (გაბ., 156, 19); ...წაედი, დედას **უამბიდიო**: „ბიძა გავწირე

სისხლიანიო“ (ეთნ., III, 11, 17); ...ბიძაისაო, ნუ **გასტყდიდიო** (ეთნ., 11, 13); ...მამას ბინდიას **მითქვიდი**: „ნუ შაექცევი თავსაო“ (გაბ., 187, 25); ...რასა მჭარზე და გულზე გეძახდან, გეხვეწებოდან,—იმაზე **გაუგონიდი** (ეთნ., I, გვ. 13), და ასე: **შაუნდვიდით, დაუხვდიდი(თ), გახყვიდით, გადაუგდიდით, უბოძვიდით, დაუთხოიდით, მაუმატიდით, უშველიდით, გაუსწავლიდით, დააჭმარიდით, გაუმარჯვიდით, მიაგანნიდით, დაუფარიდით, ამუყენიდით, მიხკრიფნიდით, დაუტანიდით, დაუწერიდით, გაუგონიდით, ულხინიდით, აპატივიდი(თ), გადააშორიდი(თ), მაუქციდი(თ), იხვეწნიდი(თ), იხვივნიდი(თ), გაატანივიდი(თ), უშუიდი(თ), მაუმართიდი(თ), მაუჯდინიდი(თ), ახჯადიდი(თ)**, და სხვ. (იხ. ეთნ., I, გვ. 13—14).

შდრ. თუშ.: ...ცრცს რაშ დრცჭირიდივ, ცრცმ საკმაზით შეხკმაზიდივ, ცრცს მათრაკ დრცჭირიდივ, მემრევ თავად წაგიყვანსაე ის რაშივ (ქართ. დიალექტ. კრესტ., 163, 4—5); ...კაცითაც უზონოთ (sic!) **შეიწირიდი**, გაჭირვებულს **უშველიდი**, სანეფეს **ულხენიდი** (sic!), შენ ნაძათრახალზე შუაკაცად **დასდგიდი**, სამსახურ **გაიტანიდი** (ეთნ., I, გვ. 22), და ასე: **დაიცნიდი, დაუხვდიდი, დაიფარიდი, წაღგვარიდით, მააშორიდით, მაუმატიდით, აჭმიიდით, შასწირიდი, შეიწირიდი** და სხვ. (ეთნ., I, გვ. 22).

-ოდ-ი სუფიქსიანი ფშაური ხოლმეობით-ბრძანებითი:

...**უთხროდი** ჩემსა მამისცოლსა, მთიბელი ველარ მოგიეაო (რაზიკ., 89, 32); ...დედას არ დაუბარებავ ნათათრალაის ქალსაო: **„აიყაროდი აბჯარი, გადუყაროდი სხვასაო“** (რაზიკ., 31, 26); ...შატილს **უთხროდით** ბოიობსა:—**დაებჯინოდი** ქვაზედა! (რაზიკ., 66, 131); ...ხიდნო, ნუ ჩაუცვივდებით, **გაახდინოდით** წყალსაო! (რაზიკ., 59, 114); ...ლოცვა-წირვაზე **დადგოდენ** ჩემნი პირქუშნი ყმანიო! ...ავისგორს **შამიკიდოდით** ჩემი პატარა ზარიო... (რაზიკ. 20, 7); ...ძმასა **ჰკითხოდი** ჩოთეშას, რარიგ წონა გვაქვს მტრისაო (რაზიკ., 57, 108); ...ბერდიას რამდენ შეშა აქვ, როგორს ცეცხლს ანთებს, **ჰნახოდი**! (ვაჟა, თხზ., VI, 1932, გვ. 38); ...მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე **დაიწეროდი**! ბარო, წარბნი და წამწამნი იმ სიტყვით **დაიკეროდი**!... (ვაჟა, თხზ., I, 1928, გვ. 119); ...მაღლისა მთისა წვერზედა საფლავი **გამითხაროდი**, ჩემი სამშობლოს ქვეშანი ხშირ-ხშირად **მომაყაროდი**... (ვაჟა, თხზ., I, 1928, გვ. 5)[52]; ...**გაუცინოდი**, ლამაზო, ახარე გული ბიჭისა (ვაჟა, თხზ.,

[52] ეს მაგალითები დამოწმებული აქვს პროფ. არნ. ჩიქობავას ზემოთ აღნიშნულ შრომაში.

I, 1928, გვ. 75); ...ფშაელებო, **გამიგონოდით**, დიდს არას მოგცემთ ზიანსა (ვაჟა, თხზ., I, 1928, გვ. 21); ...**მომიგონოდით**, სწორებო, **დამიტიროდი**, დედაო!... (მიელ. მას.) ...**მამიგონოდით**, სწორებო, შანდობა **სთქოდით** ჩემია (ფშ. მილექს., გვ. 46).

-ოდ-ე სუფიქსიანი ფშაური ხოლმეობით-ბრძანებითი:

...მერიდე, იქით **იყოდე**, ცუდი მჭირს ხასიათია (ფშ. მილექს., გვ. 25); ...თუ კიდევ ვინამ გადაგრჩეს **ამოაგოდე** პირითა (რაზიკ., 18, 3); ...ჩემი ნათიბი ნიკორასა მარილად მაინც **აჭმიოდეთ** (რაზიკ., 89, 32); ...გიბარებ, ძმაო, ჩემს ცხენსა ჯერ **აჭმიოდე** ბაკნითა (რაზიკ.. 21, 8); ...ქალი რო შამოგეყაროს, **აარიდოდე** თვალიო (რაზიკ., 213, 14); ...**დაჰდვოდეთ** სატირელზედა, შუქს დააყენებს მზისასა (რაზ., 40, 52);

შდრ. მოხეური: ...ბატარა ვიყაუ მაშიაო, დედამ გამგზავნა ცხორჩიაო, მჭადის გუდუნაი ჩამიდვა: **ჩაიჯალოდე** დოჩიაო! (ო. ჭაჭაია, მოხეური კილო, გვ. 189).

-ოდ-ე სუფიქსიანი „ხოლმეობით-კავშირებითი“ (თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითი) პირველ პირში: ...თვალით როგორღა **ვსინჯოდე** აღაის დედა-დანიო? (რაზიკ., 75, 158); ...ერთურთის პირდაპირ დავდგეთ, **ვიმსახურნოდეთ** ყმანია! (რაზიკ., 14, 22); ...ნუ იტყვი ჩემსა სახელსა, **ვიყნოდეთ** და-ძმობაზედა (რაზიკ., 65. 131); ...ზოგთა თქვეს თუშთა: „**მივცოდეთ**, მტერიძ დაგვატანა ძალია!“ ზოგთა თქვეს: „მოდი ნუ მივცემთ, ჩვენც **გავლესოდეთ** ხმალია!“ (რაზიკ., 43, 61).

რას წარმოადგენს ეს -ოდ-ე სუფიქსიანი ხოლმეობით-კავშირებითი? ეს აირის მეორე ხოლმეობითიდან ნაწარმოებ ნამყო უსრულზე (ფშაურ მეორე ხოლმეობითზე, ე. წ. არქაულ ნამყო უსრულზე) დაყრდნობით გაკეთებული კავშირებითი, რომელიც ბრძანებითის როლშიაც გამოდის[53]. მეორე სერიაში (ფშაურისთვის) კავშირებითის წარმოების ორი გზა არსებობს: 1. ნამყო ძირითადიდან: **მოვკალ—*მოვკალ-ა→მოვკლ-ა; ვაკეთ-ე←*ვაკეთ-ევ—*ვაკეთ-ევ-ა→*ვაკეთ-ვ-ა→ვაკეთ-ო**; 2. მეორე ხოლმეობითიდან: **ვაკეთ-ი—*ვაკეთ-ი-ოდ-(ი)→ვაკეთ-ოდ-(ი)→ვაკეთ-ოდ-ე; მოვკლ-ი—*მოვკლ-ი-ოდ-ი→მოვკლ-ოდ-(ი)→მოვკლ-ოდ-ე**. ეს მეორე წარმოება მეორე სერიაში იმავე ოდენობისაა, რაც მყოფადის კავშირე-

[53] შდრ. აწმყოზე დაყრდნობით მიღებული ნამყო უსრული და აქედან ნაწარმოები პირველი კავშირებითი: **ვაკეთებ—ვაკეთებ-დ—ვაკეთებდ-ე**.

ბითი პირველ სერიაში, სხვაობა ისაა, რომ: პირველ სერიაში ერთი აწმყო და მასზე დაყრდნობით (ნამყო უსრულის გზით) მიღებული ერთი კავშირებითი (აწმყოს კავშირებითი) გვაქვს, რომელსაც ე აწარმოებს: ვ-ა-კეთ-ებ→ვ-ა-კეთ-ებ-დ(ი)→ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე; შეორენაირი კავშირებითისათვის, ე. წ. მყოფადის კავშირებითისათვის ენა პრეფიქსიან ფორმას იყენებს (ისევე, როგორც საერთოდ მყოფადისათვის): გა-ვაკეთებ→ გა-ვ-აკეთ-ებ-დ-(ი)→ გა-ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე.

მეორე სერიაში კი ორი ტოლფასი ფუძე გვაქვს: ნამყო ძირითადისა და მეორე ხოლმეობითისა. ფშაური თითოეული მათგანიდან აწარმოებს სათანადო კავშირებითებს: ვ-ა-კეთ-ე→ვ-ა-კეთ-ო (წყვეტილი ასპექტის დროა); ვ-ა-კეთ-ი→ვ-ა-კეთ-ოდ-ე (დიურატიული ასპექტის დროა).

საბოლოოდ ნაკვთთა ჩამოყალიბება ფშაურ-ხევსურულ-თუშურში ასე წარმოგვიდგება:

ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი: ვ-ა-კეთ-ე→კ ა ვ შ. მ ე ო რ ე: ვ-ა-კეთ-ა|ო

ა წ მ ყ ო: ვ-ა-კეთ-ებ→ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი: ვ-ა-კეთ-ებ-დ-(ი)→ კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი პ ი რ ვ ე ლ ი: ვ-ა-კეთ-ებ-დ-ა-|ე|ი ‖ გა-ვ-ა-კეთ-ებ-დ-ა|ე|ი.

აწმყოდანვე გაკეთდა ა წ მ ყ ო ს ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი: ხევს.-თუშ: ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი-დ(ი), [ა-კეთ-ებ-დ-ი-დ-(ი), ა-კეთ-ებ-დ-ი-ხ], ფშ.: ვ-ა-კეთ-ებ-დ-ოდ-(ი), [ა-კეთ-ებ-დ-ოდ-(ი), ა-კეთ-ებ-დ-ი-ს, შდრ. აწმყოს მ ე სამე პირი: ა-კეთ-ებ-დ-ა].

მეორე ხოლმეობითზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული ნაკვთები: ვ-ა-კეთ-ი→ხევს.-თუშ. ვ-ა-კეთ-ი-დ(ი), [ა-კეთ-ი-დ-(ი), ა-კეთ-ი-ხ], ფშ.: *ვ-ა-კეთ-ი-ოდ-(ი)→ვ-ა-კეთ-ოდ-ი, (ა-კეთ-ოდ-ი, აკეთ-ი-ს). ეს არის ხოლმეობითზე დაყრდნობით მიღებული ნამყო უსრული, ე. წ. არქაული ნამყო უსრული, ოომელმაც თუშურსა, ფშაურსა და ხევსურულში ჩვეულებრივი ხოლმეობითი გამოდეენა. ფშაურში ამ არქაულ ნამყო უსრულზე დაყრდნობით იწარმოება ნაკვთი, რომელსაც ხოლმეობითის გაგებაც აქვს და კავშირებითისაც, და რომელსაც ჩვენ პირობითად „ხოლმეობით-კავშირებითი“ ვუწოდეთ: ვ-ა-კეთ-ი— *ვ-ა-კეთ-ი-ოდ→ვ-ა-კეთ-ოდ—ვ-ა-კეთ-ოდ-ე.

ნაკვთთა წარმოების ეს მეორე გზა ქართულში ნაყოფიერი არ არის (ძველ სალიტერატურო ქართულში უფრო ღარიბად არის ივი წარმოდგენილი). მის განვითარებას ალბათ ხელი შეუშალა აწმყოს ჯგუფის ჩამოყალიბებამ და სრული და უსრული ასპექტების მკვეთრად გამიჯვნამ.

ფშაურ-ხევსურულ-თუშური პირველი ხოლმეობითი აწმყოს ფუძიდან იწარმოება ნამყო უსრულის მეშვეობით: ხევსურულსა და თუშურში ნამყო უსრულის ფუძეს ერთვის -ი-დ სუფიქსი, ფშაურში კი—-ოდ სუფიქსი. მესამე პირი აქაც ძველი ქართულისას ემთხვევა: ხევს.-თუშ.: ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი-დ(ი), ა-კეთ-ებ-დ--ი-დ-(ი), ა-კეთ-ებ-დ-ი-ს... ფშ.: ვ-ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი, ა-კეთ-ებ-დ--ოდ-(ი), ა-კეთ-ებ-დ-ი-ს...

ხევსურულის საილუსტრაციო მასალა:

...აის დრო არ გერჩიყვისაე, ტანზე იარაღს ისხემდიდი? „მადე!“—მტერს **ეუბნებოდიდი**, „ბერდიაი ორ“,—**იძახდიდი**... (ხევს. პოეზ., 739, 1—4); ...აის დრო არ გერჩიყვისაეე, საჯარის მაღალ რო **ომობდიდიოოო**? (ხევს. პოეზ., 740, 5—6); ...სკლატის ცმა არა **იცოდიდიო**, ლეგა ჩოჯაი ჩაიცვიდიო... (ეთნ., III, 23, 4—6); ...გაჯავრებული ღვედრიდიდიო: მოვედ ხიზანათ ულაყაიო... (ეთნ., III, 42, 7—8); ...ბექის ძირში **ვეკრიდიდი**, ტომრის ძველა მეკრისაო... (ხევს. პოეზ., 731, 3) [ეს მოულოდნელი ფორმაა. უნდა ყოფილიყო: **ვეკვროდიდი** (**ვეკვრი—ვეკვროდი**). „**ვეკრიდიდი**“ მეორე ხოლმეობითიდან გაკეთებული პირველი ხოლმეობითია, მისი ფშაური პარალელი იქნებოდა: *ვეკროდოდი...].

„...დედავ, მიშველე!“—იძახდისაო, „ლელავ, მიშველე!“—**ვიძახდიდიო**, მშველელი არვინ იყვის ჩვენიო... (ეთნ., III, 67, 8—10); ...ქისტსა ბუსკას რო **ხანჯრევდიდითო**, **აჭსენებდიდით**, ბოსელასაო... (ეთნ., III, 17, 7—8); ...რა ძალიან **სწუხდიდ**, დედაო, დედოო... (ეთნ., III, 7, 11—12).

მესამე პირის ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, ახალს არაფერს იძლევა.

ფუნქციის თვალსაზრისით პირველსა და მეორე ხოლმეობითს შორის (არქაულ ნამყო უსრულს შორის), ის სხვაობაა, რომ პირველი ხოლმეობითი კავშირებითისა და ბრძანებითის ფუნქციით არ გამოიყენება, იგი მხოლოდ ხოლმეობითობის, ნამყოს ხოლმეობითობის გადმოსაცემად იხმარება.

როგორც პირველი, ისე მეორე ხოლმეობითის ფორმების წარმოება ფშაურსა და თუშურ-ხევსურულში საკმაოდ პროდუქტიულია; ერთ ფშაურ ლექსში სულ 27 ზმნაა ნახმარი და აქედან 22 ხოლმეობითის ფორმითაა:

წაგიდი ლაშარ-ღელესა, ორ ქალთ შუაში ვიჯდოდი,
პირში პაპიროზ მეჭირის, რატიშვილივით ვიყოდი;

საცა ბუზიკა აჩქამდის, წინ-წინ მე გადავფრინდოდი,
შამაქის გულის ნადობმა, მე მჯარჩი შავიჩიკოდი.
თუ საშმელ გათავდებოდა, იმას აღარა ვფიქრობდი.
ჩემ კვირისაი ყვიროდის, მე რო საბძელსა ვჰჯდიდოდი,
თავია ნაკეთებ საქმესა ისივ თავადავ ვშლიდოდი...
ღილა ჩამიწყვის კვალშია, სირცხვილით ჩავიკრიფოდი,
ჯერ კი საკრეებ დავჰკროდი, მემრე კუდ აუწიოდი...
შავჯოდი კირკხილაზედა, დაჰკრიოლნის, შავიშმიხოდი.
დამჭკიმის ნაკრის კონამა, მალიმალ შავიჩიკოდი.
„—რა ექენ ამ ღვთისგან წყეულმა, რადარ ღამითაც ვთიბდოდი?
თუ კიდევ ლამარს წავიდე, გამიწყრას!“—დავფიცოდი.
(მიელ. მას.).

ალბათ, ამიტომაა, რომ ხევსურულსა და ფშაურში „ხოლმე“ ნაწილაკი არ არსებობს და მისი ხმარება ისევე საჩოთიროა, როგორიც სალიტერატურო ქართულში ახლა ხოლმეობითის ფორმების ხმარება იქნებოდა.

შენიშვნა: ხევსურულში თითქმის ყველა სიტყვასთან იხმარება ხოლმე სხვათა სიტყვის ო/ვ (როცა სხვათა ნათქვამია გადმოსაცემი), ამიტომ ხევსურულში არც „მეთქი“ და „თქო“ ნაწილაკები გვაქვს. ერთი კახეთში ჩამოსახლებული ხევსური მისტირის ხევსურეთს და აუგად იხსენიებს „ბარელებს“, რომელთაც თურმე, სხვა „უბედურებებთან“ ერთად ისიც სჭირთ, რომ წამდაუწუმ ხმარობენ „ხოლმე“-ს და „მეთქი“-ს:

...მე კი ჩამავე კახეთა, კლდეთ მაგიერა ხენია.
აქ სახელ-სირცხვილს რა უნდა? წანიდგე კახის ძენია.

„ხოლმე“ და „მეთქი“ სიტყვანი სათქმელად საკვირველნია... (ხევს. პოეზ., 678, 9—11). („ხევსურული პოეზიის“ რედაქტორს პროფ. ა. შანიძეს ამ ლექსისთვის შესაფერისი სათაური მიუცია „ხოლმე და მეთქი“).

ფშაურ-ხევსურულ-თუშური ხოლმეობითის წარმოების შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს[54]. თუშურ-ხევსურული ხოლმეობითი

---

[54] ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის“ გამოცემა, თბ., 1915, გვ. 187—202. მისივე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ტფილისი, 1920. გვ. გვ. 158; 154—155; არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV(1), თბილისი, 1943; მისივე, ერგატიული კონსტრუქ-

თითქოს უფრო მარტივი აგებულებისაა: ხოლმეობითის ი-ს ემატება ნამყო უსრულის -დ, რომელსაც შეიძლება კიდევ მიერთოს უფუნქციო -ი [ეს ი-ც მრავლობითში ფუნქციის მქონე, თანხმოვანთგასაყარი ხდება: ვ-ა-კეთ-ი-დ-(ი)→ვ-ა-კეთ-ი-დ-ი-თ; ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი-დ-(ი)→ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი-დ-ი-თ...].

ფშაურის -ოდ სუფიქსი (ვ-ა-კეთ-ოდ-ი, ვ-ა-კეთ-ებ-დ-ოდ-ი...), ჩვენი აზრით, ამჟამად განუყოფელია და ის იგივე სუფიქსია, გარდაუვალ ზმნებს რომ ერთვის ნამყო უსრულში: ვ-კვდ-ებ-ოდ-ი, ვ-ტირ-ოდ-ი, (მი)-ვ-რბ-ოდ-ი... (ამ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ იხ. ქვემოთ). ფშაურში ამ სუფიქსის დართვას უნდა მოეკვეცა ხოლმეობითის ი: *ვ-ა-კეთ-ი-ოდ-ი ←ვ-ა-კეთ-ოდ-ი...

რატომ ემატება ხოლმეობითის ფორმას ნამყო უსრულის სუფიქსი (-დ. -ოდ) და რატომ ემატება იგი მხოლოდ პირველ-მეორე პირებს, რატომაა განსხვავებული პირველ-მეორე პირთა წარმოება ერთი მხრივ, ხოლო მესამე პირის წარმოება, მეორე მხრივ? რატომ ერთვის ხევსურულ-თუშურში -დ სუფიქსი, ხოლო ფშაურში -ოდ?

-ამ თემისნიშნიან ზმნათა ნამყო ძირითადისა და მეორე ხოლმეობითის პირველ-მეორე პირთა ფორმები ერთმანეთს ემთხვევა ძველ სალიტერატურო ქართულშიაც და დიალექტებშიაც:

აბამს: (შე)ვაბი, (შე)აბი, (შე)ვაბით, (შე)აბით; **აცვამს**: (ჩა)ვაცვი, (ჩა)აცვი, (ჩა)ვაცვით, (ჩა)აცვით; **ასხამს**: (ჩა)ვასხი, (ჩა)ასხი, (ჩა)ვასხით, (ჩა)ასხით; **ართვამს**: ვართვი, ართვი, ვართვით, ართვით; **არტყამს**: ვარტყი, არტყი, ვარტყით, არტყით; **ადგამს**: ვადგი, ადგი, ვადგით ადგით; **თქვამს**: ვთქვი, სთქვი, ვთქვით, სთქვით; **თქამს**: ვთქი, სთქი, ვთქით, სთქით; **ართხაწს**: ვართხი, ართხი, ვართხით, ართხით; **არქვამს**: ვარქვი, არქვი, ვარქვით, არქვით; **სვამს**: ვსვი, სვი, ვსვით, სვით; (და)სვამს: (და)ვსვი, (და)სვი, (და)ვსვით, (და)სვით; **უსვაწს**: ვუსვი, უსვი, ვუსვით, უსვით; **აღიქვამს**: აღვიქვი, აღიქვი, აღვიქვით, აღიქვით... ეს ფორმები ნამყო ძირთადისაცაა და ხოლმეობითისაც, დამთხვევა სრულია.

ციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. 1918; რ. გაგუა. ნამყო უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის წარმოება ძველს ქართულში, თსუ სტუდენტთა შრომები. ტ. I. 1941; ლ. კიკნაძე. პირველი სერიის ძწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ შრ., XXX—XXXIII, 1947.

ხევსურულში ერთმანეთს ემთხვევა -ობ თემისნიშნიან ზმნათა ნამყო ძირითადისა და მეორე ხოლმეობითის I—II პირები. თუ მხოლოობითში ნამყო ძირითადისთვის დართული ი ყოველთვის არ ისმის, ან ისმის, როგორც მოკლე ი (ი̆), მრავლობითში დამთხვევა სრულია, გარჩევა აღარ ხერხდება:

აცხობს: ვაცხვი, აცხვი, ვაცხვით, აცხვით; **აჭობს:** ვაჭმი, აჭმი, ვაჭმით, აჭმით; **აწყობს:** ვაწყვი, აწყვი, ვაწყვით, აწყვით; **თმობს:** (და)ვთმი, (და)სთმი, (და)ვთმით, (და)სთმით; **სპობს:** (მა)ვსპი, (მა)სპი, (მა)ვსპით, (მა)სპით; **გლობს:** (და)ვღგმი, (და)ღგმი, (და)ვღგმით, (და)ღგმით; **ალბობს:** ვალბი, ალბი, ვალბით, ალბით; **ალპობს:** ვალპი, ალპი, ვალპით ალპით; **ალხობს:** ვალხვი, ალხვი, ვალხვით, ალხვით; **აჯობს:** ვაჯვი, აჯვი, ვაჯვით, აჯვით; **ართობს:** ვართი, ართი, ვართით, ართით; **არჩობს:** ვარჩვი, არჩვი, ვარჩვით, არჩვით; **ასპობს:** ვასპვი, ასპვი, ვასპვით, ასპვით... დამთხვევა ხდება აგრეთვე მთელ რიგ სხვა ზმნებში: **ვაგით, ვალით, ვანთით, მავშჩით, ვაგდით, ვასთით...**

რაც შეეხება პირველ ხოლმეობითს, იქ ყოველგვარი ზმნის ნამყო უსრული და ხოლმეობითი ემთხვევა ერთმანეთს პირველმეორე პირებში:

თბებოდა: ვთბებოდი, სთბებოდი, ვთბებოდით, სთბებოდით; **ჭრიდა:** ვჭრიდი, სჭრიდი, ვჭრიდით, სჭრიდით; **ასთავდა:** ვასთავდი, ასთავდი, ვასთავდით, ასთავდით; **აგზებდა:** ვაგზებდი; აგზებდი, ვაგზებდით აგზებდით; **სვემდა:** ვსვემდი, სვემდი, ვსვემდით, სვემდით; **კლევდა:** ვკლევდი, ხკლევდი, ვკლევდით, ხკლევდით; **აჭმობდა:** ვაჭმობდი, აჭმობდი, ვაჭმობდით, აჭმობდით და ა. შ.

ჩვენი აზრით, ნამყო უსრულისეული სუფიქსები პირველ-მეორე პირში ზემოთმოყვანილი ფორმების გასათიშავად უნდა დართოდა: პირველად—მეორე ხოლმეობითში ზოგიერთი ზმნის ფორმას, პირველში კი ყოველგვარ ზმნას. შემდეგ მეორე ხოლმეობითშიაც უნიფიკაციისკენ მიდრეკილების გამო ეს წესი საყოველთაოდ უნდა გატარებულიყო.

რატომ აქვს განსხვავებული სუფიქსები ხევსურულ-თუშურს, ერთი მხრით, ხოლო ფშაურს, მეორე მხრით? რისამე გადაჭრით თქმა ძნელია. ესაა, ალბათ, დიალექტური ნორმა: ერთში ერთგვარი ენობრივი პროცესია გატარებული, მეორეში მეორეგვარი.

[შდრ. ოურმეობითის წარმოება სალიტერატურო ქართულში, ერთი მხრით, და ხევსურულში, მეორე მხრით: პირველში -ი-ა სუფიქსი ბატონობს, მეორეში -ივ ან -ავ...].

გ) კავშირებითის წარმოება:

მეორე კავშირებითის წარმოება ხევსურულში გაერთფეროვნებულია: ყველგან ა ხმოვანია მაწარმოებელი:

...ბრალია, მგელა არ მამიკვდასო, რო დასწვა მიწის ლოგინზედაო... (ეთნ., III, 9, 6—7); „...ღმერთმა გაამას, ჩამაიყარი“! (გაბ. 126, 24); „...გაგიმარჯვას ღმერთმ!“ (გაბ., 128, 19); ...მარცვალი უნდა დაეწყვას... (გაბ., 141, 23); „...იქნება ჩვენ მასპინძელს ერთ კვირაესაც არ მავსწყინდათ, არ გაუთავდას სასმელი... (გაბ., 123, 1); „...ვისაც ესრ მოელა არ მიზდიოდას, ღმერთმ ნურა მიჰდინას!“ (გაბ., 123, 11). [კავშირებითის წარმოებაში ფშაური სალიტერატურო ნორმებს მისდევს ძირითადად:

...ღმერთმა ქნას, სვეტმა ცხოველმა მცხეთას აშენდეს ქალაქი,
გამართოს დუქან-ბაზარი, თავბოლოს იჯდეს დალაქი,
შუაზე ამაიყვანონ ოქროს საქედელ ზარაფი (რაზიკ.. 258, 20);
...გენანებოდეს მამუკა... (რაზიკ., 13,16).

ზოგჯერ ფშაურშიაც შეინიშნება კავშირებითის წარმოება ა სუფიქსით მოსალოდნელი ე სუფიქსის ნაცვლად; ზოგჯერ ო-ს ხაცვლად გვაქვს მისი ამოსავალი -ვა კომპლექსი (ე. ი. ისევ ა ჩანს მაწარმოებლად):

...რა მოგცა სანაწეოდა, ავივსე სომხის ვალითა... (რაზიკ., 206, 67) [55] ...უკვენა ფშაველ არა ვარ, რო თვალში თითი წავიცა... არცა ვარ წითელაური, საცა თელა დგა—გავჭცა... არცა ვარ ჭისტაურ კაცი, ვირის ყვირილზე გავიქცა... (რაზიკ., 258, 21); თ. რაზიკაშვილი შენიშნავს: „გავიქცა—გავიქცე“-ო. მართალია „გავიქცა“ ფორმა რითმის საჭიროებით ნაკარნახევია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ასეთი წარმოება ფშაურშიაც შესაძლებელი ყოფილა.

...არცა ვარ აჭადელ კაცი, ერთი დავლიო, დავითვრა... არცა ვარ გაბიდოური, ბზუკივით დოში ჩავიხრჩვა... (რაზიკ.. 258, 21); „დავითვრა“, „ჩავიხრჩვა“ ფორმებს თ. რაზიკაშვილი აღარ განმარტავს, როგორც ჩანს, ეს ფორმები არც თუ უჩვეულოა ფშაურისათვის].

---

[55] თ. რაზიკაშვილი სქოლიოში შენიშნავს: „რა მოგცა—რა მოგცე“-ო.

პროფ. ა. შანიძე წერდა: „მესამე პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი დაბოლოება, აწმყოსა და მყოფადს გარდა, არის ყველგან და ყოველთვის -ეს“ [56]. სუბიექტის მრავლობითობას მესამე პირში ხევსურულში -ეს აღნიშნავს და ამით უპირისპირდება იგი ფშაურ და ზოგ სხვა დიალექტს.

...ფხიტუთ მოვიდეს წერონი, მაშვრალნი, შორის გზისანი... როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბაննი ქვიტკირისანი... (ხევს. პოეზ., 8, 1...4); ...ჩაგუბებულსა ლაშქარსა შენ ჩაასწავლენ გზანიო, თორ კიდევ ჩაწითდებოდეს კეოს-ძირულნი წყალნიო (ხევს. პოეზ., გვ. 300, 2 დ, 19—20); [შდრ. ფშ.: ...ერთ ქალად დაფასდებოდენ ლამაზნი შენნი თმანიო (რაზიკ., 45, 67)].

როგორც აღვნიშნეთ, ხევსურულში აისახება ნ-იან სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა:

...დაგუბებულსა ლაშქარსა შენ გაასწავლენ გზანიო... (ხევს. პოეზ., 2, 17); ...შენ დააბრუნენ ჯევსურნი, დართულნი, ფარ-აბჯრიანნი (ხევს. პოეზ., 4,3); .. ჯმან ჩაგიყარნეს აჯესა, დადგ აჯელების გრიალი... ჩაგიღეს აკუშოს ძირა, ლოგინნ ჩაგიდგნეს წყლიანნი (ხევს. პოეზ., 4, 5...7); ...ქალნი დარანში ჩავყარენ: შუქო, თამარო დანიო, არ გამამისხნათ შიგითა, არ მაუკელათ კარიო (ხევს. პოეზ., გვ. 301, 2 ე, 16—18); ...მადაქვილოს გორ ციხესა კუთხს არ დაღგლიჯნათ ქვანიო (ხევს. პოეზ., გვ. 301, 2 ე, 16); [შდრ. ფშაური: ...დედისერთაი მამკვდარა, უნდა დავთხარნე თვალნია... (რაზიკ., 55, 101); ...ღთიშვილთ კოპალა მაუკლათ, თავში დაუცნეთ ქვანია... (რაზიკ., 19, 7); ...კარიმც გაგელო, შავეთო, მხარნიმც მენახნენ ძმისანი... (რაზიკ., 46, 70); ...ცხვარანი ერთად წავასხნეთ, ვიაროთ მხარდამხარაო... (რაზიკ., 141, 19)].

ი- და ე- თავსართიან ვნებითებს მეორე სერიაში მრ. რიცხვის -თ, -ეს სუფიქსებს გარდა მის წინ -ენ(→ ‖ ნ) სუფიქსი აქვს ხევსურულსა და ფშაურში:

...ჯარჯოს უნ შავხჯოციყვენით, გვაშაირებენ ქალნიო (ხევს. პოეზ., 3, 1); ...ჩამოგეწივნეს, ზურაბო, დღე დაგიღამეს მზიანი... (ხევს. პოეზ., 4, 6).

ამ სუფიქსის რაობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული [57]. ჩვენ იგი ობიექტის მრავლობითობის სუფიქსი გვგონია.

---

[56] ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 16, წერილში: „ქართული კილოები მთაში“.

[57] ა. შანიძე. პრეფიქსები, 1920, გვ. 12, შენიშვ. 1; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 458—459; ვ. თოფურია, ენის განვითარების ში-

ხევსურულში პირველი კავშირებითის მხოლობითი რიცხვის პირველ-მეორე პირთა ფორმები ნამყო უსრულის პირველ-მეორე პირებს ემთხვევა:

ნ. უსრ.	კავშ. I	ნ. უსრ.	კავშ. I
მხ. რ.	მხ. რ.	შდრ. მრ. რ.	შდრ. მრ. რ.
ავდგებოდ-რ	ავდგებოდ-რ	ავდგებოდ-ი-თ	ავდგებოდ-ა-თ
აზდგებოდ-ირ	აზდგებოდ-რ	აზდგებოდ-ი-თ	აზდგებოდ-ა-თ
ადგებოდ-(ა)	ადგებოდ-(ა-ს)	ადგებოდ-ეს	ადგებოდ-ან

დამთხვევა იმითაა გამოწვეული, რომ ნ. უსრულის უფუნქციო (გვიან გაჩენილი) ი ხევსურულში ვიწროვდება. კავშირებით პირველში კავშირებითის ა აბსოლუტურ ბოლოში იკარგება, მაგრამ სიტყვის ბოლოს მაინც ისმის ვიწრო ი(ი); მრავლობითში პირვანდელი სურათი აღდგება.

ხევსურულში იშვიათად ნ. უსრულიც არის გამოყენებული თხოვნით-წაქეზებითი ბრძანებითისათვის:

...შენს მეხვეწურს, ჩოქის მამხრელს, სამსახურის მამჭვნენეს **სცევდი, ხფარევდი, შველდი, სწყალობდი**... (ეთნ., I, გვ. 13); ... შენ ჯაბუშანურთად კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად მშველელი, მლხენელი, მხოიშნელი, წაღმა-მდეგიმც ხარ, **შველდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარებდი** (უნდა: „ხფარევდი“,— ალ. ჭ.), გამარჯვებას შენსა, შენის გამჩენის ხთისას... (ეთნ., I, გვ. 17).

„სცევდი“, „ხფარევდი“, „შველდი“, „სწყალობდი“ (=სცავდე, ჰფარავდე, შეელდე, სწყალობდე), ბაგრამ შინაარსი თხოვნით-წაქეზებითი აქვს და შინაარსით **„სცევდი“=დაიცვიდი. „ხფარევდი“=დაიფარიდი, „შველდი“=უშველიდი, „სწყალობდი“=მაიწყალიდი**, წყალობა მისციდი... (ფშაურად: **დაიცვოდი, დაიფაროდი, უშველოდი, შეიწყალოდი**...).

ნაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენ ათმეცნიერება, ტ, V, გვ. 524; ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, გ რ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქახური დიალექტი, 1956, გვ. 95.

ა) თურმეობითი პირველის წარმოება

სალიტერატურო ქართულში თურმეობითი პირველი ორგვარად იწარმოება: -ავ, -ამ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნებთან თურმეობითის ნიშანი არა ჩანს:

აწმყო: მარხავს იგი მას	თურმ. I: (და)უმარხავს მას იგი
კერავს იგი მას	(და)უკერავს მას იგი
კლავს იგი მას	(მო)უკლავს მას იგი

სხვა რიგის ზმნებთან გვაქვს ი-ა დაბოლოება:

აწმყო: აწერებს იგი მას	თურმ. I: უწერებია მას იგი
გრეხს იგი მას	უგრეხია მას იგი
წერს იგი მას	უწერია მას იგი
ყრის იგი მას	უყრია მას იგი
ალბობს იგი მას	ულბია მას იგი

ძველ ქართულში -ი-ა დაბოლოების ნაცვლად გვჭონდა -ი-ე დაბოლოება. თურმეობითი პირველის დაბოლოების შესახებ პროფ. ა. შანიძე წერს: „...თემის ნიშნადვე უნდა ვიცნოთ ია(ან ი) რომელმაც შეცვალა ძველი იე სტატიკური ზმნების აწმყოში და მოქმედებითი და დინამიკური ვნებითის ზმნების I თურმეობითში (უკანასკნელში მხოლოდ მაშინ, თუ ზმნა ორ-პირიანია)“ [58].

სევსურულში ასეთი გარჩევა არ არის, იქ ფორმათა გაერთფეროვნებაა მომხდარი და ყველა სუბიექტური წყობის ზმნასთან -ავ(ი) მაწარმოებელი გვაქვს. ბოლო ი და მის შემდგომ მყოფი მესამე სუბიექტური პირის ნიშანი -ს ხშირად მოკვეცილია.

ბ) ე. წ. უთემისნიშნო ზმნები:

ჩაიყვანს ჩაუყვან-ავ-ი-ს („ჩაუყვანია“): ...ქალაქში **ჩაუყვანავის** გუბერნატორის კარსაო (ხევს. პოეზ., 221, 27); **მაუყვანავის** („მოუყვანია“): ...ივანე **მაუყვანავის**, არწივ ჯვარის კარ ზისაო (ხევს. პოეზ., 95, 24); **დაიჭერს — დაუჭერ-ავ(-ი-ს)** („დაუჭერია“): ...სრუ **დაუჭერავ** სოფელი, შაკრეს სიმაგრის კარია (ხევს. პოეზ., 135, 18); **ჩამოიგლის — ჩამოუვლ-ავ-ი-ს** („ჩამოუვლია“): ...უშიშრად **ჩამოუვლავის** იწრო არხოტის წყალია (ხევს. პოეზ., 235, 4); ...ტერ-

[58] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 509.

ღაი ჩამოუვლავის (ხევს. პოეზ., 249, 5); ...შილდა-საბუე გაგივლავთ, ჯელებ გაქვთ ჯმლის ხე-ტარზედა (ხევს. პოეზ., 121, 7); ჯოცს—უჯოც-ავ-ი-ს („უხოცია“): ...ნუმც გიჯოცავის ლეკები, ნუმც გიზიდავის ჯელიო (ხევს. პოეზ., 163, 3); ...იმათ უჯოცავ ჯმლითაო (ხევს. პოეზ., 478, 42); ...უჯოცავ აზნაურები დაბლა აკუშოს წყალზედა (ხევს. პოეზ., 6, 4); გიჯოცავ (ხევს. პოეზ., 510, 2; 511, 2). სწერს—უწერ-ავ-ი-ს („უწერია“): ...გზაზე უწერავ წერილი ნაცადი კაის ყმისაო (ხევს. პოეზ.,534, 13); ...მაუწერავის სტრაენიკსა წიგნი, წერილი ჩემთანა (ხევს. პოეზ., 554, 1); ამაიყრიბ—ამაუყრ-ავ-(ი-ს) („ამოუყრია“): ...მავიდეს ველს წასულები, ჯავრ ამაუყრავ მტრისაო (ხევს. პოეზ., 95, 23); ჭამს—უჭამ-ავ(-ი-ს) („უჭამია“): ...ძაგნაკორნაზე შამოჯდა, თუთა უჭამავ, ბალიო (ხევს. პოეზ., 44, 6); [შდრ. ფშ.: ...ქათმის ჯორცი არ გიჭამავ (რაზიკ., 199, 36); ...ერთხელ წმინდის პურ არ მიჭამავ (რაზიკ., 90, 38)]. შამაუთვლის—შამაუთვლ-ავ-ი-ს („შემოუთელია“): ...ნამდვილა შამაუთვლავის დაჭერა ყაჩაღებისა (ხევს. პოეზ., 220, 12); წვიმს—დაუწვიმ-ავ-ი-ს („დაუწვიმია“): ...დაუწვიმავის ღურბელთა, დამდვარა ნაგუბარები (ხევს. პოეზ., 313, 2).

ს) -ავ, -ამ, -ემ თემისნიშნიანი ზმნები:

-ავ: წამოიხურავს—წამოუხურ-ავ-(ი-ს) („წამოუსურია“): ...წამოგიხურავ მაშთაგურიო, ძმათ უარიას, ბეჩავასაო (ეთნ., III., 81, 9); ნახავს—უნახ-ავ-(ი-ს) („უნახია“): ...მანგიას სიზმარ უნახავ აპარეკაის ცდისაო (ხევს. პოეზ., 197, 1); ...სიზმარ უნახავ ცდისაო (ხევს. პოეზ., 193, 11); ...ბერდიას ჯმალსა მოკლესა ბევრკან უნახავ მთა-ველი (ხევს. პოეზ., 33, 1); ...კვირობდა ჩვენ ჯელმწიფეი: „ბევრა გვინახავ სხვებიცა, ეგეთ არავინ გვინახავ, ანდრეზად არ იქნებისა“ (ხევს. პოეზ., 220, 8); კლავს—(მა)უკლ-ავ-(ი-ს): ...სუიკას ჯირჩლა მაუკლავ, არწივ ბზორს ეთელებოდა (ხევს. პოეზ., 38, 9); ...შვიდი ბაუკლავ ორათა, ხუთ წავიდ თორმეტისაო (ხევს. პოეზ., 138, 8) [შდრ. ფშ.: ...შენ კაცმა რაღა გეუბნას, ქათამ არ დაგიკლავისა (რაზიკ., 199, 36)].

ბედავს— გაუბედ-ავ-ი-ს („გაუბედია“): ...ველობა გაუბედავის ულაკაურის შვილთაო (ხევს. პოეზ., 249, 2); ...ველობა გაუბედავის სულხანაურის შვილსაო (ხევს. პოეზ., 108, 1); წვავს—დაუწვ-ავ-(ი-ს) („დაუწვია“): ...თორმეტ პატრონა დაუწვავ, ას კიდევ ხქონდა სრულია (ხევს. პოეზ., 216, 24); [შდრ. ფშ.: ...ქათმის ჯორცი არ გიჭამავ, კვერცხი არ შაგიწვავისა (რაზიკ., 199, 36)]. შაუკრავს —შაუკრ-ავ-(ი-ს) („შეუკრია“): ...იწრო ჯალაი შაუკრავ გოშ-

ტიკაურთა მზირსაო (ხევს. პოეზ., 103, 6); [შდრ. ფშ.: ...მომეტებულის სიხარბით ფიტი ვერ მოგიკრავისა (რაზიკ., 199, 36)]. **მაიკითხავს—მაუკითხ-ავ-(ი-ს)** („მოუკითხია"): ...რა ხანი, არ მაუკითხავ არბაჩხნელ ჩარგალელსაო (ხევს. პოეზ., 472, 15); **მახვნავს—მაუხვ-ავ-(ი-ს)**: ...ეირში ყანა მოგიხვნავ, აღარსად დაგიგვალავსო (ხევს. პოეზ., 388, 2).

-ამ: აისხამსა—უსხ-ამ-(ი-ს) („აუსხია"): ...იარაღები აუსხამ, ბაბლიას გადამჯდარაო (ხევს., პოეზ., 49, 5); **ჩაიცვამს—ჩაუცვ-ამ-(ი-ს)** („ჩაუცვია"): ...ჩოჭა ჩაგიცვამ სკლატისაიო (ეთნ., III, 81, 7); **შაიბამს—შაუბ-ამ-(ი-ს)** („შეუბია"): ...შენ მამა ჩემო თორღვაო ნუმც შეგიბამის ჯმალიო (ხევს. პოეზ., 163, 2); **სვამს—უსვ-ამ-(ი-ს)** („უსვია"): ...აბულეთს გავაგებინათ, სისხლ ბევრჯელ უსვამ მტრისაო (ხევს. პოეზ., 95, 3); **თქვამს—უთქვ-ამ-ი-ს** („უთქვია"): ...უთქვამის: „უნდა დავლაჯა მთა-ბარი დაღისტნისაო" (ხევს., პოეზ., 223, 5); [შდრ. ფშ.: ...მე რო დამცინი, არჯალავ, შენ რაღა გითქომ თავისა? (რაზიკ., 199, 36)]. აქ, როგორც ვხედავთ, თურმეობითის ნიშანი (-ავ) არა ჩანს. აწმყოს იემის ნიშანი -ამ გადაყვება თურმეობითშიაც. წყობაა მარტო შეცვლილი. ეს მასალა პირაქეთულ-არხოტულის კუთვნილებაა. შატილურ-მიღმაჯეურში ამ ზმნებსაც -ავ სუფიქსი ერთვის და გვაქვს ფორმები: **აუსხ-მ-ავ, ჩაუც-მ-ავ, შაუმბ-ავ** (←**შაუ-ბ-მ-ავ**), **უსმ-ავ, უთქმ-ავ**, შდრ.: **ი-ქ--ამ—გ-ი-ქ-ნ-ავ** (←**გ-ი-ქ-მ-ნ-ავ**←***გ-ი-ქ-ამ-ენ-ავ**: ...გეტყობის საუბარზედა, თორღვავ, სამ გიქნავ რიალი (ხევს. პოეზ., 43, 17); [შდრ. თუშ. **უთქვამავ** (უთურგ., 91, 15)].

ასევე **-ემ** სუფიქსიან ზმნებს, ან ნამყო ძირითადიდან ეწარმოებათ ფუძე [შდრ. ფშ.: ...პატივ არ გიცავ ღვთისადა (რაზიკ., 199, 36)] ანდა აწმყოდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში **-ემ** სუფიქსიც წარმოდგენილი იქნება და **-ავ** სუფიქსიც: **ს-ც-ემ—გი-ც-ემ-ავ || გ-ი-ც-ავ; მი-ს-ც-ემ—მი-გ-ი-ც-ემ-ავ || მი-გ-ი-ც-ავ**...

c) -ებ თემისნიშნიანი ზმნები:

-ებ თემისნიშნიან გარდამავალ ზმნათა თურმეობითი პირველი, ჩვეულებრივ, პირველი სერიის ფუძიდან, აწმყოს ფუძიდან არის გაკეთებული და აგრეთვე **-ავ** სუფიქსით იწარმოება: **გამაიყოლებს—გამაუყოლ-ებ-ავ-(ი-ს)** („გამოუყოლებია"): ...ბაღათერ გამოუყოლებავ, ფერ-შაუცველი რკინაო (ხევს. პოეზ., 198, 16); **გაამაგრებს—გაუმაგრ-ებ-ავ-(ი-ს)** („გაუმაგრებია"): ...ქავს გარეთ გაუმაგრებავ, ეგრ, რო ცალ-ბანა ქვისაო (ხევს. პოეზ., 172, 9);

აშინებს—უშინ-ებ-ავ-ი-ს („უშინებია“): ...უშინებავის ქისტები, ბევრ რო შაყარეს ჯარია (ხევს. პოეზ., 135, 43); დაუქაღლებს—დაუქაღლ-ებ-ავ-(ი-ს) („დაუქაღლებია“, „დაეშიზნებია“): ...ფსიტისად დაუქაღლებავ მარიაიწმიდის ძირსაო (ხევს. პოეზ., 94, 2); გაარიგებს—გაურიგ-ებ-ავ-(ი-ს) („გაურიგებია“): ...სხვაც ბევრი გაგვირიგებავ სანეს ნასხდომებს სკამზედა (ხევს. პოეზ., 32, 8); დააბარებს—დაუბარ-ებ-ავ-(-ი-ს): ...იოფას დაუბარებავ: „ჩემი ნუღარ გაქვთ ლოდინი“ (ხევს. პოეზ., 7, 13); დაჰკიდებს—დაუკიდ-ებ-ავ-(ი-ს) („დაუკიდებია“): ...ზე კარტი დაუკიდებავ, სახეა ყაჩაღისაო (ხევს. პოეზ., 225, 56); დაიფხავებს—დაუფხავ-ებ-ავ-(ი-ს) („დაუფხავებია“, „გაულესია“): ...დაგიფხაებავ ფრანგული თიბაში ცელივითაო (ხევს. პოეზ., 231, 2); [შდრ. ფშ.: დაიჯერებს—დაუჯერ-ებ-ავ-(ი-ს) („დაუჯერებია“): ...შენ ეგ არ დაგიჯერებავ, არც არა მოგისმენია (რაზიკ., 10, 5); ამაგრებს—გაუმაგრ-ებ-ავ-(ი-ს) („გაუმაგრებია“): ...მარტუას გაგიმაგრებავ ხაშრული ქოხის კარიო (რაზიკ., 30, 23); არჯულებს—გაურჯულ-ებ-ავ-(ი-ს) („გაურჯულებია“): ...ურჯულო გაგირჯულებავთ, გზისად შაგიბამთ კარია (რაზიკ., 71, 145); აყენებს—დაუყენ-ებ-ავ-(ი-ს) („დაუყენებია“): ...აქიმად დაუყენებავ დიაცი დუსურბნისაო (რაზიკ., 61, 119); აკეთებს—გაუკეთ-ებ-ავ-(ი-ს) („გაუკეთებია“); ...ტაბლა არ გაგიკეთებავ, საბელ არ შაგიდვავისა (რაზიკ., 199, 36)].

არის ერთი წყება -ებ თემისნიშნიან ზმნათა, რომელთაც თურმეობითი პირველი მეორე სერიის ფუძიდან ეწარმოებათ. ეს ის ზმნებია, რომელთაც სალიტერატურო ქართულში ნამყო ძირითადის მესამე პირში სუბიექტის ნიშნად. იშვიათი გამონაკლისის გარდა, -ო მოუდის. ნაწყო ძირითადის პირველ-მეორე პირებში ამ ზმნებს -ე აქვთ, მაგრამ იგი -ევ სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს: ა-ვს-ებ-ს—ა-ვს-ო (←ა-ვს-ვ-ა ←*ა-ვს-ევ-ა), ე. ი. უნდა გვქონოდა: *ა-ვ-ა-ვს-ევ, *აა-ვს-ევ, *ა-ა-ვს-ევ-ა (→ა-ა-ვს-ვ-ა→ ა-ა-ვს-ო). ხევსურულში ზოგჯერ შემონახულია გარდამავალი საფეხური: აავსვა, დააწყვა, მაასწვრა (←მაასწრვა) და სხვ. (იხ. აგრეთვე გვ. 105). აი, ამ ზმნებს ნამყო ძირითადიდან ეწარმოებათ თურმეობითი პირველი:

ა-ი-ღ-ებ-ს—ა-ი-ღ-ა—ა-უ-ღ-ავ („აუღია“) ...ცხვარი აგიღავთ უხათით, მაგიდისთ ფარებულასა (ხევს. პოეზ., 171, 4); ...მე რომ მოგწერე წერილი, არ მიგიღავა, ეთერო? (ხევს. პოეზ., 330, 1); ...აქამდის არვის წაუღავ არხეატით ჭარავანია (ხევს. პოეზ., 248, 14); ...მიუღავ აფიცრობაი მაგ შაბურაიშვილსაო (ხევს. პოეზ.,

228, 6); გა-ი-გ-ებ-ს—გა-ი-გ-ა—გა-უ-გ-ავ-(ი-ს) („გაუგია“): ...ჰაბრილოს თუშიშვილებსა ვერა გაუგავ გზისაო (ხევს. პოეზ., 93, 4); [შდრ. ფშ.: წა-ი-ღ-ებ-ს—წა-ი-ღ-ო—წა-უ-ღ-ავ-ი-ს („წაუღია“):...რაც ქათამ-კვერცხი გქონია, სუ ქალაქს წაგილავისა (რაზიკ., 199, 36); გა-უ-შვ-ებ-ს—გა-უ-შ-ო (←გა-უ-შვ-ა)—გა-უ-შვ-ავ (-ი-ს) („გაუშვია“): ...ბევრ შენისთანა ვაჟაი გამიშვავ კარიელაო (რაზიკ , 144, 43); შა-ს-დ-ებ-ს—შა-სდ-ო(←შა-ს-დვ-ა)—შა-უ-დვ-ავ-ი-ს („შაუდვია“): ...ტაბლა არ გაგიკეთებაც, სახელ არ შაგიდვავისა (რაზიკ., 199, 36); ა-ა-ნთ-ებ-ს—ა-ა-ნთ-ო—ა-უ-ნთ-ავ-ი-ს („აუნთია“): ...პატივ არ გიცავ ღვთისადა, სანთელ არ აგინთავისა (რაზიკ., 199, 36)].

ამ ტიპის ზმნებს პირველი სერიის ფუძიდანაც ეწარმოებათ თურმეობითი პირველი, მაგრამ უფრო ბუნებრივი და ჩვეულებრივია მეორე სერიის ფუძიდან ნაწარმოები თურმეობითი პირველი. ამ ზმნათა პირველი სერიის ფუძიდან ნაწარმოები თურმეობითი გვიანდელი უნდა იყოს ისევე, როგორც გვიანდელია მათი პირველი სერიის თემის ნიშნით, -ებ თემის ნიშნით აღჭურვა: წარმოშობით ისინი -ავ, -ევ სუფიქსიანნი უნდა იყვნენ.

საინტერესოა, რომ ძველ ქართულში ამ ზმნებს თურმეობითი პირველი აწმყოს ფუძიდან ეწარმოებოდათ:

შე-უ-ნდ-ო—შეუნდ-ობ-ს—შეუნდ-ობ-იეს—ხევს. შაუნდვ-ავ (სალიტ. შე-უ-ნდვ-ია),

მი-ი-ღ-ო — მი-ი-ღ-ებ-ს—მი-უ-ღ-ებ-იეს—ხევს. მიულ-ავ (სალიტ. მი-უ-ლ-ია),

ი-ცნ-ო — ი-ცნ-ობ-ს — უ-ცნ-ობ-იეს — ხევს. უ-ცნ-ავ (სალიტ. უ-ცვნ-ია),

ს-დვ-ა ‖ ს-დ-ო—ს-დ-ებ-ს—უ-დ-ებ-იეს—ხევს. უ-დვ-ავ (სალიტ. უ-დვ-ია),

ყ-ო(←ყ-ავ-ა)—ყ-ოფ-ს—უ-ყ-ოფ-იეს—ხევს. უ-ყვ-ავ (სალიტ. უ-ყვ-ია),

ა-გ-ო — ა-გ-ებ-ს—უ-გ-ებ-იეს—ხევს. უ-გ-ავ (სალიტ. უ-გ-ია).

გამოდის, რომ ახალ სალიტერატურო ქართულში უფრო არქაული ფორმები გვაქვს შერჩენილი, ვიდრე ძველ ქართულში...

განხილული ტიპის ზმნების პირველი სერიის ფუძიდან ნაწარმოები პირველი თურმეობითის მაგალითები: აგებს—აუგ-ავ-(ი-ს) ‖ აუგ-ებ-ავ-ი-ს („აუგია“): ...ზე კოშკი აუგებავის არ ჩამტეველი წყლისაო (ხევს. პოეზ., 225, 55); გალმართებს—გაუმართ-ავ-(ი-ს) ‖ გაუმართ-ებ-ავ-(ი-ს) („გაუმართია“): ...გესრევდის, არ

გაგაცდენდის, გაუმართებავ ტიალი (ხევს. პოეზ., 38, 8); მაიგონებს—მაუგონ-ავ-(ი-ს) ‖ მაუგონ-ებ-ავ-(ი-ს) („მოუგონებია"): ...ის აღარ მაუგონებავ, მზას გვაქვ ნაკუდა ქმალიო (ხევს. პოეზ., 132, 5); შდრ.: ...გაუგონებავ ყველასა, ჩაბეედინა ჩქამია (ხევს. პოეზ., 536, 15); შაიგდებს—შაუგდ-ავ-(ი-ს) ‖ შაუგდ-ებ-ავ-(ი-ს): ...იმედავ წოწკურაულო, შენ შაგიგდებავ თავზედა (ხევს. პოეზ., 239, 2).

(I) -ობ თემისნიშნიანი ზმნები

ზოგი -ობ თემისნიშნიანი ზმნაც მეორე სერიის ფუძეს იყენებს თურმეობითი პირველის საწარმოებლად:

სწავლ-ობ-ს—უსწავლ-ავ-(ი-ს) („უსწავლია"): ...ქმოსტელთ უსწაელავ რუსული ოსიმდისიატ პიატი... (ხევს. პოეზ., 576, 1); უბნობს—უუბნ-ავ-(ი-ს) („უუბნია", „უთქვამს"): .. ლექსებ გიუბნავ გიგიავ, ზოგ ქებით ცაში შამჭდარა, ვერც-რა გიუბნავ სწორადა, შენ საიქიო წამჭდარი (ხევს. პოეზ., 593, 1—2); ...ჩემდ რო უუბნავ ქალებსა (ვაჲ დედას ქალაისასა!) (ხევს. პოეზ., 355, 1); ...მაგის მეტკი არ მიუბნავ, გინდა ხკითხე ბაბუასა (ხევს. პოეზ., 601, 9); უშობ-ს—გაუშვ-ავ-(ი-ს) („გაუშვია"): ...გაუშოვ(←გაუშვ-ავ,—ალ. ჭ.) ხამფია ისრევ ცოცხალი (გაბ., 176, 19), და ასე: აჭმობს—უჭმავ, აშრობს—უშრავ, აშჭობს—უშჭვავ, იცნობს—უცნავ, აცხობს—უცხვავ... [შდრ. ფშ.: ...ხინკალ არ მოგიხარშაეის, ჭმიად არ ჩაგიცხვავისა (რაზიკ., 199, 36)].

ამ ზმნებსაც შეუძლიათ გამოიყენონ პირველი სერიის ფუძე თურმეობითი პირველის საწარმოებლად:

უკადრო-ობ-ს—უუკადრო-ებ-ავ-(ი-ს) („უუკადრისებია"): ...ეს ამ იონეურს ძალიან უუკადროებავ (გაბ., 186, 1); ნადირ-ობ-ს—უნა-დირ-ებ-ავ-(ი-ს) („უნადირნია"): ...ამ ალუდაურს დღისით უნადირებავ (გაბ., 174, 18); ომ-ობ-ს—უომ-ებ-ავ-(ი-ს) („უომია, უბრძოლია") ...ამ ლაშქრის მოსვლის დროს უომებავ ძალიან გუროელს მამუკა ქალუნდაურს (გაბ., 158, 18); უამბ-ობ-ს—უამბ-ობ-ავ-(ი-ს) („უამბია"): ...მინდიას რო ყველა უამბობავ, უთქომ: „ბარაქალა, შვილო" (გაბ., 185, 14). -ობ სუფიქსიანი ზმნებიც ძირითადად ისეთი ზმნებია, რომელთაც ნამყო ძირითადში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ო მოუდის, ე. ი. ამათაც ნამყო ძირითადში -ევ სუფიქსი უნდა ჰქონოდათ. თვითონ -ობ სუფიქსიც მეორეული წარმოშობისა ჩანს: მასში -ევ ‖ -ავ და -ებ სუფიქსები უნდა შედიოდეს. ამაზე მიუთითებს ზოგი ზმნა: შ-ევ, შ-ევ-ებ→შვებ (შვება, დაშვება, გაშვება...), მაგრამ: შობა (დღესასწაული),

წარმოშობა და მისთ. შევუნდ-ევ, შეუნდ-ევ, შეუნდ-ო (←შეუნდ-ევ-ა) და შეუნდ-ობ-ს (და არა: შეუნდვ-ებ-ს), ამისი თურმეობითი ხევსურულში იქნება: შაუნდვ-ავ-(ი-ს)...

განხილულ ზმნებს, როგორც ზემოთაც დავინახეთ, სალიტერატურო ქართულშიაც მეორე სერიის ფუძიდან ეწარმოებათ თურმეობითი [59]. პროფ. არნ. ჩიქობავა ვარაუდობს, რომ ასეთი ზმნები თურმეობითი პირველის წარმოებისას ეყრდნობიან ხოლმეობითი მეორის ფუძეს, რომ: „გარდამავალი ზმნების უღვლილებაში ძველად ხოლმეობითს ეკავა ის ადგილი, რაც შემდგომ აწმყოს განეკუთვნა, ხოლმეობითისგან იწარმოებოდა ის, რაც შემდგომში ამოსავლად აწმყოს ფუძეს იყენებდა [60].

e) -ევ თემისნიშნიანი ზმნები

-ევ თემისნიშნიან ზმნებში აწმყოს ფუძე ჩანს ამოსავალი პირველი თურმეობითისათვის: ხევს—უხევავ, ლევს („აფუჭებს“)—ულევავ, უფევს—უფევავ და სხვ. აწმყოს ფუძეა ამოსავალი იმ ზმნებთანაც, სადაც -ევ სუფიქსი კაუზატივის მაწარმოებელია:

ასმ-ევ-ს – უსმ-ევ-ავ-(ი-ს) („უსმევინებია, ულევინებია“): ...მაგასაც სხვისად უსმევავ ჩემთვი შანახულ მინაო (ხევს. პოეზ., 345, 13); მოაკვლ-ევ-ს—მოუკვლ-ევ-ავ-ი-ს („მოუკვლევინებია“): ...ღალატით მოგიკვლევავის, ვერ მოქცეულხარ ჭკვითაო (ხევს. პოეზ., 223, 45); დაღლ-ევ-ს —დაულ-ევ-ავ-(ი-ს) („დაულევია, გაუწყვეტია, დაუხოცია“): ...ლიქოკელთ დაულევავა ბუნოთ მამდინარ მგზავრიო (ხევს. პოეზ., 101, 3); აძლ-ევ-ს—უძლ-ევ-ავ-(ი-ს) („უძლევია, მიუცია“): ...უძლევავ თითო მანათი (ხევს. პოეზ., 431, 3).

f) -ოვ თემისნიშნიანი ზმნები

-ოვ თემისნიშნიან ზმნებში პირველი სერიის ფუძეა გამოყენებული თურმეობითი პირველის საწარმოებლად:

წ-ოვ-ხ—უწ-ოვ-ავ-(ი-ხ) („უწოვია“): ...უწოვავ ქრისტის დედაი, განთ კორციელისა? —ძიანი (ხევს. პოეზ., 177, 2); ...უწოვავ ქრისტის დედაი, არ თუ კორციელთ ქალია (ხევს. პოეზ., 235, 2); და ასე; სთხოვს—უთხოვავ, თოვს—უთოვავ, ქსოვს—უქსოვავ...

---

[59] არნ. ჩიქობავა, თურმეობითი I-ის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების სისტემის ისტორიასთან დაკავშირებით ქართულში, ლიტ. ძიებანი II. 1944, მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 91—98.

[60] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა...; გვ. 95.

-ოვ სუფიქსი იშვიათად იხმარება და, რაც არის, ისიც მეორეული წარმოშობისა უნდა იყოს: წ-ოვ←*წვ-ავ←*წუ-ავ- (შდრ. წვ-ელ-ა←წუ-ელ-ა); ქს-ოვ←ქსუ-ავ-←გუს-ავ (შდრ. საბა: „საგუსალი—საგსვალი", „საგსვალი—საქსეალი"; იხ. ვ. თოფურია, ფონეტ. დაკვირვ. I, გვ. 198—219); თხ-ოვ←თხვ-ავ←თხუ-ავ (შდრ. მეგრ. მათხუალი „მათხოვარი"). ასე, რომ ეს ზმნები წარმოშობით -ავ სუფიქსიანები არიან და ამიტომაც მიყვებიან მათს წარმოებას.

g) -ივ სუფიქსიანი პირველი თურმეობითი ხევსურულში

სალიტერატურო ქართულში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები თურმეობით პირველში ერთნაირი სუფიქსით იწარმოება: **ვტეხ** მე მას—**მომიტეხ-ი-ა** მე იგი, **მტყდება** მე იგი—**მომტეხ-ი-ა** მე იგი და ასე: **ვგლეჯ**—**დამიგლეჯ-ი-ა**, **მეგლიჯება**—**დამგლეჯ-ი-ა**; **ვაკეთებ**—**გამიკეთებ-ი-ა**, **მიკეთდება**—**გამკეთებ-ი-ა**...

მხოლოდ -ავ, -ამ თემისნიშნიანი ზმნები არ მიყვებიან ამ წარმოებას: **ვხნავ**—**მომიხნ-ავ-ს**, **მეხვნება**—**მომხვნ-ი-ა**, **ვიცვამ**—**ჩამიცვ-ამ-ს**, **მეცმება**—**ჩამცმ-ი-ა** (ახლა სალიტერატურო ქართულში გვაქვს მეორეული: **მეცმევა**). ამ ზმნებშიაც შეინიშნება გაერთფეროვნების ტენდენცია: **ვიცვამ** — **ჩამიცვია**, **მეცმება**—**ჩამცმია**; **ვხნავ**—**მომიხნ-ი-ა**, **მეხვნება**—**მომხვნ-ი-ა**...

ხევსურული ყოველთვის განარჩევს გაოდამავალი და გარდაუვალი ზმნებიდან თურმეობითის წარმოებას, უფრო სწორად: სუბიექტური წყობის გარდამავალი ზმნიდან თურმეობითი პირველი ერთნაირად იწარმოება [ავ-(ი) სუფიქსით], ამაეე ზმნების ინვერსიული, გარდაუვალი ფორმები—მეორენაირად [-ივ(-ა) სუფიქსით].

შაატანებს—**შაუტანებავ**—**შასტანებ-ივ** („შევარდნია, მიხდომია"); **მააჩვენებს**—**მაუჩვენებ-ავ-(ი-ს)**—**მასჩვენებ-ივ** („მოსჩვენებია"): ...ხალიაისძეთ მიქელა ლეკთა შინ **შასტანებივა**, ვერა გაუგავ ლეკებსა, ეშმაკად **მაშჩვენებივა** (ხევს. პოეზ., 242, 1—2); **უდებს**—**უდებ-ავ-(ი-ს)**—**სდებ-ივ**: ...ქისტო, გიცბონდას გამზდელი! გული გდებივა მაგარი (ხევს. პოეზ., 229, 19); **დააძინებს**—**დაუძინებ-ავ**—**დაზძინებ-ივ** („დასძინებია"): ...წვერის ძირ **დაზძინებივა** ჭირჩლათ ჭირჩლაის შვილსაო (ხევს. პოეზ., 193, 10); ***არჩომებს**—***დაურჩომებ-ავ-(ი-ს)**—**დაშჩომ-ივ** („დარჩენია"); ...**დაშჩომივ** ბერაიშვილი, გაფხაევებული რკინაო (ხევს. პოეზ., 198, 15); ...ოს რო **მაშჩომივან**, ერეკლეს... გაუქცევაე ცხენი (გაბ., 164, 7); **აადიდებს**—**აუდიდებ-ავ-(ი-ს)**—**ასდიდებ-ივ** („ასდიდებია"): ...ჯევსურეთობა ეგულა, **ასდიდებივა** წყალია (ხევს. პოეზ., 120, 6); **გაათენებს**—

გაუთენებ-ავ-(ი-ს)—გასთენებ-ივ („გასთენებია"): ...ალაქოს გასთენებივა, ალაგს ეძევენ ჩდილსაო (ხევს. პოეზ., 95,8); **ხჯოცს—უჯოც-ავ-(ი-ს)—ხჯოც-ივ** („ჰხოცია"): ...შაუქუჩებიან თაივის ყმან, ბევრნ ხჯოციჳან (გაბ., 164, 11);

ქვემოთ მხოლოდ მაგალითებს მოვიყვანთ: ...ჩემს შვილს გზად ვეფხვი **შახურიოს** (←**შახურ-ივ-ას**,—ალ. ჯ.) გაჯავრებული ტიალი (ხევს. პოეზ., 519, 19); ...**გცოდნივათ** კაი ნამუსი, ხალხი აიმით მთვრალაო (ხევს. პოეზ., 498, 3); ...უფერ **შახურივასავ** გზა-შიაე (გაბ.. 153, 6); ...ყანან **ხქონივან** ...დასამკალნი (გაბ., 156, 12); ...ღმერთს **შასწვდომივ** იმთვენ ხალხის ცოდვაი (გაბ., 159, 30); ...ზურაბ კი **გახცევივ** (გაბ., 159, 25); ...ბეკენთ გორის ძირში წყალში **ჩასწევივას** (გაბ., 159, 25); ...**სცემივან** თათრის ჯარს (გაბ., 163, 15); ...**შახვეწნივან** ერეკლეს (გაბ., 163. 12); ...ერეკლე წინ **დაზდგომივ** თაივის ყმათ (გაბ., 163, 14); ...ერთხან საჯარის ჩდილში ვეფხვს **შაღვარდნივ** ზედ (გაბ., 174, 19); ...**შამაღმბივ** ეს ვეფხვი ალუდაურს (გაბ., 174, 20).

-ივ სუფიქსის **ვ** იკარგება ხოლმე, როცა მას S_3 პირის ნიშანი **-ა** ემატება და ორ ხმოვანს შორის ექცევა. ვლებულობთ სალიტერატურო ქართულის მსგავს **-ი-ა** დაბოლოებიან თურმეობითს: **დაადებს—დაუდებ-ავ-(ი-ს)—დახდებ-ი-ა, დააძინებს—დაუძინებავ-(ი-ს) – დასძინებ-ი-ა:** ...სად იყავ, ფადიაურო? ნაბადზე ნამი **გდებია**.—„მშავს ვიყავ, შური ვიძებნე, მაშვრალსა **დამძინებია**" (ხევს. პოეზ., 232); **მიადენს—მიუდენ-ავ-(ი-ს)—მიზდენ-ი-ა:** ...ჴმალას რო მდგარან ციხენი, ცას **მიზდენია** წვერია (ხევს. პოეზ., 541, 3); ***ააჴდომებს—*აუჴდომებ-ავ-(ი-ს)—ახჴდომ-ი-ა:** ...ფერ **ახჴდომია**, სულხანავ, შენსა სახლსა და კარსაო (ხევს. პოეზ., 208, 30); ***აქონებს—*უქონებ-ავ-(ი-ს)—ხქონ-ი-ა** (შდრ. ჰქონებია): ...დეევებს **ხქონია** ქორწილი, უჩქეფავ სიმურ წყალია (ხევს. პოეზ., 542, 9); **შამააჭრის—შამაუჭრ-ავ-(ი-ს)—შამახჭრ-ი-ა:** ...დისშვილს ბიძაი **შამაშჭრიაო** (ეთნ., III, 11, 9); **მაწყუენს—მაუწყუენ-ავ-(ი-ს)—მასწყუენ-ი-ა:** ...აღარ ჭრის ამანათის ცელიო; ამანათობა **მასწყუენიაო**. აისრევ ამანათის ცოლსაო—დედათ ფერობა **მასწყუენიაო** (ეთნ. III, 90, 2,4).

-ივ სუფიქსისეული **ვ** მაშინაც იკარგება ხოლმე, როცა მას მრაელობითობის **-ან** სუფიქსი მოსდევს: **აშიშებს—აუშიშებ-ავ-(ი-ს)—აშიშებ-ივ—აშიშებ-ი-ან:** ...**აშიშებიან** ჭალანი, დგებიან ხაშმის წყალზედა (ხევს. პოეზ., 121, 2); **დახდგამს—დაუდგმ-ავ-(ი-ს)—დაზდგომ-ივ—დაზდგომ-ი-ან:** ...ღთის კარზედ საკვეხურადა

ზდგომიან ალვის ხენია (ხევს. პოეზ., 541, 8); **გააცერებს**—**გაუცერებ-ავ-(ი-ს)**—**გასცერებ-ივ**—**გასცერებ-ი-ან**: ...შენაც გაგტეხეს, ციხეო, **გაგცერებიან** თბენია (ხევს. პოეზ., 541, 37).

გარდამავალ ზმნებთან თურმეობითის უ-ვინ-ო, მარტო ი სუფიქსი, მხოლოდ ხმითნატირლებსა და მრავლობით რიცხვში გვაქვს. მრავლობით რიცხვში უ-ვინ-ო ი სუფიქსი სისტემატურად დასტურდება:

მილაჯ-ავ—**მილაჯ-ი-ან**: ...შვიდს წელს ტყვედ ვიყავ, დედაო, არ **მილაჯიან** ქვეშანი (ხევს. პოეზ., 255, 1): **უკმარებ-ავ**—**უკმარებ-ი-ან**: ...სამკლავენ **უკმარებიან**, დანა ხქონია ვმალადა (ხევს. პოეზ., 45, 6); და ასე: **უკრავ**—**უკრიან**, **უკნავ**—**უკნიან**, **უმკავ**—**უმკიან**, **უშენებავ**—**უშენებიან**...

მრავლობით რიცხვში, როგორც ვხედავთ, ირღვევა ხევსურულის საერთო წესი: უნდა გექონოდა *მილაჯავან, *უკმარებავან, *უკრავან, *უმკავან, *უშენებავან და მისთ., მაგრამ გაბატონდა -ივ სუფიქსიანი თურმეობითის ტიპის წარმოება: შდრ.: **ლაჯავს**—**ულაჯავ**—**ღლაკვ-ივ**—**ღლაკვ-ი(ვ)-ან** და **ლაჯავს**—**ულაჯავ**—**ულაჯ-ი(ვ)-ან**...

ხმითნატირლებში (resp. მთიბლურებში) სპორადულად ჩნდება ხოლმე გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში (მხოლობით რიცხვშიც) ი სუფიქსი: **უჯოცია**, **უნადირებია**: ...ბუჩუკურუკენაკვოლებსაო ვაჟებს ერთმანეთ **უჯოციაო**, წინწინ დისწულსა დედიძმანიო ერთმანეთ **უნადირებიაო** (ეთნ., III. 11, 6, 8); **უჩიგია**: ...აკვოლებს, უკენაკვოლებსაო, ვაჟებს ერთუცი **უჩიგიაო** (ეთნ., III, 97, 4); **მინახია**: ...მე ეგეთ არვინ **მინახიაო**, ენახე გიგაი გიგაურიო (ეთნ., III, 93, 1); **მითიბია**: ...შვიდი დღე-ღამე **მითიბიაო** ობოლსა დუმაცხოველის(ს)აო (ეთნ., III, 103, 5); **შამიტანებია**: ...სატან არ **შამიტანებიაო**, ერბო თვალითამც არ მენახაო (ეთნ., III, 103, 9); **უკვეხია**: ...გუშინ-წუხრ სადამ **უკვეხიაო** მუქარაებსა მთიბლებჩიაო (ეთნ., III, 22, 11). როგორც აღვნიშნეთ, ეს წარმოება ხევსურულისათვის უცხოა. ასეთი ფორმები მხოლოდ ხმითნატირლებში გვხვდება (შდრ. ზოგიერთი სხვა ენობრივი მოვლენა, რაც მხოლოდ ხმითნატირლებში დასტურდება, იხ. ზემოთ).

[თუშურში გარდამავალ ზმნათა პირველ თურმეობითში -ავ სუფიქსიც დასტურდება და ი სუფიქსიც: **უამბი**(←**უამბია**), **გუწკეთებავ**, **დუწკერავ** (იხ. უთურგ., 57); ასევე არეულია თურმეობითის წარმოება ფშაურში: ერთსა და იმავე ტექსტში ორნაირი წარმოება დასტურდება: **გიკსენებია**, **მოგიკდავისა**: ...ღმერ-

თი არ გიჯსენებია, ქუდი არ მოგიკდავისა (რაზიკ., 199, 36); ...ბევრ რაიმ გამიგონია არიელ-გარიელაო, ბევრ შენისთანა ვაჟაი გამიშვავ ცარიელაო (რაზიკ., 144, 43)].

h) ორპირიანი სტატიკური ზმნები

წარმოებისა და შინაარსის მიხედვით პირველ თურმეობითთან ახლოს დგანან სტატიკური ზმნები. ამიტომ აქვე განვიხილავთ მათ თავისებურებებს ხევსურულში.

სალიტერატურო ქართულში ორპირიან სტატიკურ ზმნებს -ი-ა დაბოლოება აქვს, მსგავსად პირველი თურმეობითისა, ხოლო ამ ზმნათა თურმეობითიც ისევ -ი-ა სუფიქსით ბოლოვდება, მსგავსად ხსენებული თურმეობითის შესაბამისი გარდაუვალი ორპირიანი ზმნის თურმეობითისა: შდრ.: **არტყ-ი-ა—რტყმ-ი-ა, მოურტყ-ი-ა—მორტყმ-ი-ა** და სხვ.

ხევსურულში ორპირიან სტატიკურ ზმნებს -ავ სუფიქსი აქვს, მსგავსად ხევსურულისავე პირველი თურმეობითისა, ხოლო ამ სტატიკურ ზმნათა თურმეობითი -ივ სუფიქსით იწარმოება, ისევე, როგორც გარდამავალ ზმნათა შესაბამისი გარდაუვალი ორპირიანი ზმნის თურმეობითი. შდრ.:

გარდამ. ზმნის I თურმ.: გამიკეთებ-ავ-(ი-ს) (გამიკეთებ-ი-ა)
შესაბამისი გრდუვ. ზმნის I თურმ.: გამკეთებ-ივ (გამკეთებ-ი-ა);
ორპირიანი სტატიკური ზმნა: მრტყ-ავ-(ი-ს) (მარტყ-ი-ა);
მისი თუომეობითი: (მა)მრტყმ-ივ [(მო)მრტყმ-ი-ა].

მოვიყვანთ ორპირიანი სტატიკური ზმნის ფორმებს და მათ შესაბამის თურმეობითებსაც აღვუნიშნავთ:

სრტყ-ავ-(ი-ს)—სრტყმ-ივ („არტყია—რტყმია“): ...წელზე ჭმალი **სრტყავ** ფოლადი, თოფს ტყვია მაუკდებისა (ხევს. პოეზ., 11, 9); ...წელზე **გრტყავ** ლეკის ნაქედი, გამჭრელი, სპილოს ტრიანი (ხევს. პოეზ., 347.7) [შდრ. ფშ.: ...წელთ გორდა ხმალი **რტყავისა** (ფშ. მილექს., გვ. 21), მაგრამ: ...თუ ცხვარი წაგასხმეინოთ, წელთამც ნუ **გვრტყია** ხმალიო (რაზიკ., 13, 18)]. **ღბ-ავ-(ი-ს)—ღმბივ** („აბ-ი-ა — ჰბმ-ი-ა“): ...ერთ რაიმ რქიან მავიდა, კუდი **ღბავ**, როგორც ცელასა (ხევს. პოეზ., 545, 10); ...სული დგას ტყვია-წამლისა, თოფს ცეცხლისი **ღბავ** ალიო (ხევს. პოეზ., 465, 11); ...გაეყოლ, რას დაულევდი? წელზე ჭმალი **მბავ** ფხიანი (ხევს. პოეზ., 181, 14); [შდრ. ფშ.: ...ერთმაც მოგვტაცა ქალაი, ახლაც თელავსა **ჰბავსა** (ფშ. მილექს., გვ. 21); ...აიქ და აიქ მიხვიდი, ბანი რო **აბავ** ბანსაო (რაზიკ., 154, 96)]. **სცვ-ავ-(ი-ს)—სცმ-ივ** („აცვ-ი-ა

—სცმ-ი-ა"): ...აბაშას ტანზე ჯაქე სცვავა სუ მუდამ წაუყრელადა (ხევს. პოეზ., 67, 2); ...ქისტურად ტალავარი სცვავ, სერი აქვ ჭევსურისაო (ხევს. პოეზ., 209, 17); ...ქალებს პრელებ კაბები სცოვ ბუბულაით ნაყიდები (ხევს. პოეზ., 403, 1); ...შენს დას სცვავ ოქრო-ქსოვილი, წელთ ვერცხლის ქამარ-მოკრული (ხევს. პოეზ., 598, 8); [შდრ. ფშ.: ...ტანთა მცვავ სიასამური, წუღა-ქოშებზე ვდგევარო (რაზიკ., 14, 21); ...თუ ჩემ სულ გესაგონებათ, ტანზე ნუ გცვავის შავიო (რაზიკ., 21, 9); ...თუ რაი აბადავ, ტანთა სცვავ, შინ სახლი ცარიელია (რაზიკ.. 122, 111)].

ასხ-ავ-(ი-ს) || **უსხ-ავ-(ი-ს)** || **სხ-ავ-(ი-ს)—სსმ-ივ** („ასხ-ი-ა || უსხ-ი-ა || *სიმ-ი-ა"): ...ეგეთ გასხავ წვერ-ულვაში, როგორც ღორის ჯაგარიო (ხევს. პოეზ., 407, 2); ...დაბღრაჯნილ გასხავ წვერია (იევს. პოეზ., 514, 43); ...ყელზე ვერცხლის შიბებ უსხავ, ბოლო-ბოლო საკინძები (ხევს. პოეზ., 403, 2); ...მჭარზე გძელებ ჯოხებ უსხავ, შუბები აქე ჩამაცმული (ხევს. პოეზ., 222, 6); ...შიგ უსხავ ნეთოფეები, ბერდენკაები ტყვრებისა (ხევს. პოეზ., 255, 25); ...ყველას გსხავთ ჯაქე-იარაღი, არვინ ბართ ხალათიანი (ხევს. პოეზ., 169, 7); ...მჭარზე სხავ ბერდენკაები, ჯარ უწყოვ გილდებისაო (ხევს. პოეზ., 403, 2); **ღრევ-ავ-(ი-ს)** || **ურევ-ავ-(ი-ს)—ღ-რევ-ივ**: („ჰრევ-ი-ა || ურევ-ი-ა—ჰრევ-ი-ა"): ...ვერ გითხარ შენი საფერი, ჰაღარ მირევავ ყბაზედა (ხევს. პოეზ., 219, 26); **სთეს-ავ-(ი-ს)—სთესვ-ივ** („სთეს-ი-ა—სთესვ-ი-ა"): ...ნაგოდენ ტილებ ასხია (sic!) ყანას რო სთესავ თესლიო (ხევს. პოეზ., 399, 7); **უხურ-ავ-(ი-ს)** || **ხურ-ავ-(ი-ს)—ხურვ-ივ** („უხურ-ი-ა—ხურვ-ი-ა"): ...სხვამ უთხრა: „არას მეწყალის, ნაბად მიხურავ კრავლისა (ხევს. პოეზ., 436, 2); **ხკრ-ავ-(ი-ს)** || **უკრ-ავ-(ი-ს)—ხკვრ-ივ←ხკრვ-ივ** („აკრ-ი-ა || უკრ-ი-ა —ჰკვრ-ი-ა"): ...ცეტნი სართ, არხოტიონნო, არცა-რაი გკრავთ ჰკვისაო (ხევს. პოეზ., 193, 1); ...კოიკას მიკრავ დოსკაი, ზედ გვარ აწერავ ჩემია (ხევს. პოეზ., 455, 10); **ხკიდ-ავ-(ი-ს)** || **უკიდ-ავ (ი-ხ)—ხკიდებ-ივ** („ჰკიდ-ი-ა || უკიდ-ი-ა—ჰკიდებ-ი-ა"): ...ახლოს ხკიდავის ქუდ-ნისლა, საძახებელა ტიალი (ხევს. პოეზ., 4, 4): ...ყველას გვაქე არშავიანი, ზოგ სასლში ხკიდავ სამია (ხევს. პოეზ., 218, 33); ...ბევრაის სახლში ხკიდავის, პატრონს მაელის აბჯარი (ხევს. პოეზ., 468, 11); ...ტახტის თავითი მიკიდავ აბჯარი ასასხმელია (ხევს. პოეზ., 258, 8); ...—ვალი მიკიდავ (=მიმართებს,—ალ. ჭ.), ვალსა ვსთხოვ. რას მკითხავ, ქრისტეს დედაო? (ხევს. პოეზ., 548, 6); **სტან-ავ-(ი-ს)** || **უტან-ავ-(ი-ს)—სტანებ-ივ** („სტან-ი-ა || უტან-ი-ა—სტანებია" „ახლავს, ურევია"): ...არხოტის ჯვარი

თან სტანავ ფხასაც აჩვენებს ჭმლისასა (ხევს. პოეზ., 164, 34); ...ბრალ არ გიტანავ, დავითო, ჯაერი გვაქვ სხვა-და-სხვისაო (ხევს. პოეზ., 539, 17); სძინ-ავ-(ი-ს)—სძინებ-ივ („სძინ-ავ-ს—სძინებ-ი-ა“): ...შვილო, არ ბახკვდი, შენ გძინავ, დაღალული ხარ ჯაფითა (ხევს. პოეზ., 519, 24); [შდრ. ფშ.: ...დღეს სძინავ ბნელსა საფლავსა, კუბოს ასვენავ ხისასა (რაზიკ. 97, 68)]. (ა)ხვევ-ავ-(ი-ს) ‖ უხვევ-ავ (ი-ს)—ხვევ-ივ („ახვევ-ი-ა ‖ უხვევ-ი-ა—ხვევ-ი-ა“): ...ველს რაად გხვევავ, ხო არა გჭირს? (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...დღე და ღამ ტანზე გვახვევ-ავ, წვიმას გვაშორებს ცისასა (რაზიკ., 97, 68); აკლ-ავ-(ი-ს) ‖ უკლ-ავ-(ი-ს)—ხკლებ-ივ („აკლ-ი-ა ‖ უკლ-ი-ა—ჰკლებ-ი-ა“): ...ცოტას სვე აკლავ და გრილად ნაფუარიც ას (გაბ., 126, 22); ...პური საჭმელად არ აკლავთ (sic!) (ხევს. პოეზ., 491, 3); ...არ გვაკლავ ბოთლის არაყი (ხევს. პოეზ., 337, 2); —რად არ იმღერებ, შავ ლუდო, სვე გაკლავა თუ ქერია? —არცა სვე მაკლავ, არც ქერი, მასპინძელი მყავ ჭერია (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: —რად არ იმღერი, შაელუდო, სვე გაკლია თუ ქერია? —არც სვე მაკლია, არც ქერი, ნადულარი ვარ თხელია (რაზიკ., 229, 235); ღბარ-ავ-(ი-ს) ‖ უბარ-ავ-(ი-ს)—ღბარებ-ივ („ჰბარ-ი-ა ‖ უბარ-ი ა—ჰბარებ-ი-ა“): ...თათუკას დუჭან გიბარავ, ჩოთქის ჲძივთ უდგა წკაპუნი (ხევს. პოეზ., 598, 10); ხყუდ-ავ-(ი-ს) ‖ უყუდ-ავ-(ი-ს)—ხყუდებ-ივ („აყუდ-ი-ა ‖ უყუდ-ი-ა—ჰყუდებ-ი-ა“): ...თავითი ალმებ უყუდავ სამგლოვიარო მკვდრისაო (ხევს. პოეზ., 604, 16); [შდრ. ფშ.: ...თავით საფოცხველ მიყუდავ, ხელ მოსაკრავად მზა არი (რაზიკ., 22, 10)]. უჭერ-ავ-(ი-ს)—სჭერ-ივ („უჭირ-ავ-ს—სჭერ-ი-ა“). ..როშკის გორს ღილღველ თამაშობს, ჭელში უჭერავ ჭმალიო (ხევს. პოეზ., 110, 1); ...ჭელში გიჭერავ ჭირიმი, თავით ბოლომდე ჭრელიო (ხევს. პოეზ., 511, 4); ...შიგ დაგვიწერეს: „გვიჭერავ მიჯნაი გერმანისაო“ (ხევს. პოეზ., 478, 5); ...ჭელში უჭერავ კალამი, საწერზე გადასმულია (ხევს. პოეზ., 469, 57); ...ჭელში უჭერავ თოფები, ფხა-აღმ შამბული ჭმალია (ხევს. პოეზ., 466, 25); [შდრ. ფშ.: ...ჭელში უჭერავ შიშელებ ჭმლები (რაზიკ., 87, 23); ...ჩვენ ახალ სიძე ამოჩნდა, ხელში საღვინე უჭერავ, თუ მართლა ქისტაურია, მაგას გაქცევაც უწერავ (რაზიკ., 180, 262); ...მოქრიახესა, მგორავსა ხავსი არ აკრავ ქვასაო (რაზიკ., 118. 84); ...მძებნელი მაჩნავ ძმისაო (რაზიკ., 79, 170); ...არად გამაჩნავ ცხვარბეერი (რაზიკ., 91, 41)]. ღგონ-ავ-(ი-ს)—ღგონებ-ივ („ჰგონ-ი-ა—ჰგონებ-ი-ა): ...ჯაის მენდობე ღგონავის, გული(თ) შინისკე აწევსა (ხევს. პოეზ., 366, 6); „...ვაშკაცები ორთ, აჭ მადით, ქალ თუ გგონავიხთ თმიანი?“ (ხევს. პოეზ., 214, 10); ...დადგების გაკვირებული, თან

ღგონავ საოცარია (ხევს. პოეზ., 135, 23). ღგულ-ავ-(ი-ს)—ღგულებ-ივ („ჰგულ-ი-ა—ჰგულებ-ი-ა“ „აპირებს, უპირებია“ შდრ. ძვ. ქართ. გეგულების): ...საქვესურეთოდ ღგულავის, არაგვზედ შამადგებისა (ხევს. პოეზ., 7, 2); ...ბევრის მაღება ღგულავის ზარბაზნისა და თოფისა (ხევს. პოეზ., 266, 4); ...ჯარის გაგზავნა ბგულავის, ნარჩევის ყაზაღებისა (ხევს. პოეზ., 220, 13); ...ჩვენა(ც) წაგვისხეს ჯარები, გადაელა ღგულავ მთისაო (ხევს. პოეზ., 479, 20); ...აღლა ნშვიდობით წამიხვე; ჯიკვო, კლო რაღა გგულაო? (ხევს. პოეზ., 514, 17); ...რა გგულავ?—სიავ-სიკეთე ადვილად გასაცვლელია (ხევს. პოეზ., 342, 5); ...რო შაგხვდას დედის გაზდილი, ამაში(ნ) რაღა გგულავო? (ხევს. პოეზ., 395, 5); ...სამგზაურობა მგულავის, რა გაოთავებ ჭენაოაო (ხევს. პოეზ., 308, 4); ...თუ ვინ ჩემზე ვეკ მაიღა, მასმა მგულავ ატკაზისა (ხევს. პოეზ., 470, 47); [შდრ. ფშ.: ...ელიან გათენებასა, გადაელა ჰგულავ მთისაო (რაზიკ., 91, 42)]. სჳარბ-ავ-(ი-ს) || უჳარბ-ავ-(ი-ს)—სჳარბებ-ივ („სჳარბ-ი-ა || უჳარბ-ი-ა—სჳარბებ-ი-ა“ „მოჭარბებული აქვს, მოჭარბებული, მომეტებული ჰქონია“): ...ეგრ უნდ, არ სჳარბავ ცხენის მჭამლებს (გაბ., 170, 9); ...ჯოცან, თუ საჯოც გჳარბავთ კაციო (ეთნ., III, 2, 30); ხყ-ავ-(ი-ს)—ხყვან-ივ („ჰყავს—ჰყვან-ი-ა“): ...აღარ ხყავ აშაჯანაი, წინაძღვარს ღონდებიანო (ხევს. პოეზ., 24,2); ...თანა ხყავ თავის ჯარიო (ხევს. პოეზ., 17, 1); ...წინა-უკენ ხყავ ქისტები... (ხევს. პოეზ., 219, 13); ...ბატონო, ანდარეხაი ნუ გყავის პატიჱარია (ხევს. პოეზ., 65, 20); ...მხიდავიმც გყავის წყლისაო (ხევს. პოეზ., 108, 20); ...ცხენო, ხიზანას ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ ილეთიანი (ხევს. პოეზ., 108, 1); „...ნუღარ მიგყავისთ ცხენია“! (ხევს. პოეზ., 216, 14); ...ან მამ-ბიძაებ სად მყავის, მარტო რაად ვართ სახლშიაʔ (ხევს. პოეზ., 252, 6); ...ხუთნი მყოვ შვილ-ძმისწულები (ხევს. პოეზ., 537, 7); ...ურჯულო არ გვყოვ ძალზედა (ხევს. პოეზ., 130, 2); ღგ-ავ-(ი ს) || უგ-ავ-(ი-ს)—ღგებ-ივ („აგ-ი-ა || უგ-ი-ა—ჰგებ-ი-ა“ „ჰფენია, დაგებული ჰქონია“): ...ძირჩი რა გიგავ, ქალო, აბალე?—ბეჩავ, აქაც არა გგებივ, გვერდნიც ამაგტყვრებიან! (მიელ. მას.); [შდრ. ფშ.: ...შინ უგავ თბილი ლოგინი, თავად ჭიუხში სტოლია (რაზიკ., 99, 71; სტოლია=მოფარებულია, ხევსურულში იქნებოდა: სტოლ-ავ-(ი-ს)—სტოლებ-ივ)]. სწყვ-ავ-(ი-ს) || უწყვ-ავ-(ი-ს)—სწყობ-ივ („აწყვ-ი-ა || უწყვ-ი-ა—სწყობ-ი-ა“): „...სკამზე გვიწყვავის ისარი, გამავა ჯორის ცალიო“ (ხევს. პოეზ., 2, 7); ...იმით აშინებს უშიშა, ჯარ უწყოვ მასრაისაო (ხევს. პოეზ., 107, 8); ...ჯარ უწყოვ მასრაისაო (ხევს. პოეზ., 103, 8); ხფენ-ავ-(ი-ს) ||

უფენ-ავ-(ი-ს) — ხფენ-იგ („აფენ-ი-ა“ ‖ უფენ-ი-ა — ჰფენ - ი-ა“): ...თქვენებს საფლავებს, ვაჟებო, მზის შუქი სად-რა **ხფენაო**! (ხევს. პოეზ., 477, 34); ...დედას მატყლ სად **უფენავ**, არ იცი? (მივლ. მას.); **სწერ-ავ-(ი-ს)** ‖ **უწერ-ავ-(ი-ს)—სწერ-იგ** („აწერ-ი-ა ‖ უწერ-ი-ა —სწერებ-ი-ა“): ...შენ სიმამაცე, გრანჯაო, სათათრის ფრონტზე **სწერაო** (ხევს. პოეზ., 477, 33); ...ბევრკან კი **სწერავ** სალ კლდესა ჯირიმის ნატყვიარია (ხევს. პოეზ., 515, 21); ...რა **გიწერავ**, ბიჭო, მა ქაღალდჩი?—წაგვიკითხე-ღ! (ძიელ. მას.); **უწერ-ავ-(ი-ს)—სწერებ-იგ** („უწერ-ი-ა —სწერებ-ი-ა“ „ჩვევად აქვს“, „მოელის, მისი წერაა“): ...სიუფრე რაად **უწერავ** ქალას დაბალას, სქელასა? (ხევს. პოეზ., 350, 2); „...არ, ბეჩავ, არ, მაგას სიცოცხლე აღარ **უწერავ**“ (მივლ. მას.); **ხყრ-ავ-(ი-ს)** ‖ **უყრ-ავ-(ი-ს)—ხყრ-იგ** („ყრ-ი-ა ‖ უყრ-ი-ა—ჰყრ-ი-ა“): ...ბევრკან კი **ხყრაეის**, კაგაო, შენის ჯირიმის ტყვიანი (ხევს. პოეზ., 207, 9); ...დილისად, გათენებისად ხოშარ-დაღოს **ხყრავ** მკვდარია (ხევს. პოეზ., 245, 5): **ღგ-ავ-(ი-ხ)** ‖ **უგ-ავ-(ი-ს)—ღგვანებ-იგ** („ჰგ-ავ-ს ‖ უგ-ავ-ს—ჰგვანებ-ი-ა“): ...ჩუჩაყეური **ღგავის** ქარსაო (ეთნ., III, 4, 5); ...ჩარგალ ცას **შაღგავ** ღურბლიან-საო (მივლ. მას); ...ანჯარ, დასტურთა მაურავ, აროწივს **ღგავ** მაღლის მთისასა (ხევს. პოეზ., 70, 1); ...მზესა **ღგავ** ჩემი ძმობილი (ხევს. პოეზ., 389, 6); ...ჩამატეხას **ღგავ** ცისასა (ხევს. პოეზ., 130, 1); ...მოზდევენ ღუდუშაურნი, განოისხებას **ღგონ** ხთისასა (ხევს. პოეზ., 42, 14); ...ჩამატეას **ხგავ** ცისასა (ხევს. პოეზ., 104, 1); ...დაელნებას **ხგავ** ცისასა (ხევს. პოეზ. 104, 3); ...შენი ჰირიმე შენიო! აბრაშუმს **გიგავ** წვერიო (ხევს. პოეზ., 511, 1); ...ბერის ჯიკვის რქათ **გიგონ** წვერნიო (ეთნ., III, 3, 2); ამ ზმნას ნამყოში სტატიკურისეული **ვ**-ც გადაყვება და **-ან** სუფიქსიც ჩაერთვის: ...ეგ უთურის ჭმლის გაჭრილი კვალს **ღგვანდა** ყამირისაო (ხევს. პოეზ., 133, 9); ...ტყე-კლდეზე გადადიოდა, მჭედარს არ **ღგვანდა** სხვისასა (ხევს. პოეზ., 131, 3); **ღგვანებივ** ფორმის გარდა ეს ზმნა თურმეობითში გვხვდება **გვანილ** ‖ **გვანებულ** ფორმით: ...მა-მას **გვანილ** ე ვაჟა, თვალნიც მამისან უსხენ, შიგ მაჭლეჩილ მამაჩ (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...შენმა მზემ, შენი სურვილი არა **გვა-ნილა** სხვისასა, დანთებულ ცეცხლსა **გვანილა**, დაშეხნებასა ცისასა (რაზიკ,, 165, 171)].

- **-იგ** სუფიქსიანი თურმეობითი აქვთ სტატიკურ ზმნებს, რო-მელთაც ხევსურულში ძველი ქართულისებური წარმოება შემოუნა-ხავთ აწმყოში: **უხარ-ი-ს, სწყურ-ი-ს, სწად-ი-ს, სცალ-ი-ს**... სალი-ტერატურო ქართულში მათ **ი-ა** დაბოლოება აქვთ აწმყოშიაც და თურმეობითშიაც:

უხარ-ი-ხ—გახარდმ-ივ („უხარ-ი-ა—გახარებ-ი-ა“): ...ოროლ პირ მასრა აისხეს, თოფებს **უხარის** მჯარზედა (ხევს. პოეზ., 139, 13); ...მეელის გათენებასა, მასვლა **უხარის** მზისაო (ხევს. პოეზ., 193, 12); ...**გიხარისთ** ჯვარის წერაი, დაბურვა გვირგვინისაო (ხევს. პოეზ., 365, 18); **სწად-ი-ხ—სწადინებ-ივ** („სწად-ი-ა—სწადინებ-ი-ა“): ...წილს ხყრიან სანადიროთა, მაზვერვა **სწადის** მთისაო (ხევს. პოეზ., 193, 9); ...აებლად წასვლა არ **მწადის**, გაწირვა ამ ქალაქისა (ხევს. პოეზ., 483, 2); [შდრ. ფშ.: ...**სწადიან**—დაატყევებენ, **სწადიან**—დაიჭსნიანო (რაზიკ., 25, 8)]; **სცალ-ი-ხ—სცალებ-ივ** („სცალ-ი-ა—*სცალებ-ი-ა“): ...არ **სცალის** ბერსა ბერდიას, თოფს ეხეოდა თბეზედა (ხევს. პოეზ., 60, 12); ...პურის საქმელად დავსხდებით, არ **გვცალის**, ვერ დავძღებითა (ხევს. პოეზ., 460, 13); [შდრ. ფშ.:...ალიანსა, ჩალიანსა, მოსანთლიანთ მარიამსა, ბუთურთ ჭრელას ბევრ საქმე აქვ, თქვენთვინ არა **სცალიანსა** (რაზიკ , 130, 161)]; **ეწყალ-ი-ხ—სწყალებ-ივ** („ეწყალება—სწყალებ-ი-ა“): ...**მეწყალი**, მენადირეო, დამრჩალო წვერის ძირსაო (ხევს. პოეზ., 512, 15); ...**მეწყალი**, ჭირის პატრონო! ჭირის გონობა ძნელია (ხევს. პოეზ., 528, 1); ...ქალმა თქო: „ქმარი **მეწყალის**, ბორბალ გამთენე ღამისა“. სხვამ უთხრა: „არას **მეწყალის**,—ნაბად მიხურავ კრაველისა“ (ხევს. პოეზ., 436); **ეშინ-ი-ხ—შინებ-ივ** („ეშინ-ი-ა—შინებ-ი-ა“): ...აღარ **ეშინის** ვეშაკსა, უკრძალავად დის მგზავრიო (ხევს. პოეზ., 112, 2); ...თუ არ **გეშინის**, ოვერო, პირდაპირ მიდი გზაზედა (ხევს. პოეზ., 520, 15); ...**გვეშინის**, დაგვეცემიან ნაზლობნი საძელისანი (ხევს. პოეზ., 8, 4); ...არა გი, ნუ **გეშინიან**, არ გადმოვჭდები მთასაო (ხევს. პოეზ., 325, 8); ...შუღლში კი არ **გვეშინიან**, წავიდას სისხლის წყალია (ხევს. პოეზ., 218, 37); **აქვ ‖ აქვ-ი-ხ—ჰქონ-ივ** („აქვს—ჰქონ-ი-ა“): ...იოფას დაუბარებავ: „ჩემი ნუღარ **აქვ** ლოდინი“ (ხევს. პოეზ., 7, 13); ...ქალებს რაი **აქვ** გულშია, ნეტაინამც ქნა გაგება (ხევს. პოეზ., 340, 1); ...არხოტში ნუვინა გაგვცემთ, ენა **გაქვთ** ცლანგიანიო (ხევს. პოეზ., 102, 6); ...არც შენ **გაქვ** თოფ-იარაღი... (ხევს. პოეზ., 130, 8); ...ჯვარი **აქვ** ქვიტკირ ისაო (ხევს. პოეზ., 52, 4); ...თესლი **აქვ** არწივისაო (ხევს. პოეზ., 52, 9); ...გულში **აქვ** ჯიქვებისაო (ხევს. პოეზ., 108, 2); ...იმედ **აქვ** ერთუცისაო (ხევს. პოეზ., 111, 2); ...სოფლობაი **გოქვ** არეულიო (ეთნ., III, 2, 23); ...ველარ ვხედავდი ღამესა, აღარც ანდე **მაქვ** გზისაო (ხევს. პოზ., 128, 26); ...იდუასა და ხოშლიგას ძმათ **აქვის** საუბარიო (ხევს. პოეზ., 129, 2); ...ცხენებს **ააქვის** გრიალი (ხევს. პოეზ., 214, 8); ...შამოხჭდებოდით სხალთ

გორზე, თვალ **გაქვისთ** თებელთ ცხვარზედა (ხევს. პოეზ., 121, 10); ...იარაღ არხოტიონს სრუ მუდამ წელზე **აქვის** (გაბ., 124, 29); ...რკინათ **გააქვის** ჟღერაო (ხევს. პოეზ., 477, 6); ...ქისტო, რამ გავაგულდიდა? **ყამ** არ **გჭონივა** ჴტრისაო (ხევს. პოეზ., 174, 10).

ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, **მაქუს, გაქუს, აქუს** ფორმები დასტურდება. აქა-იქ **მაქჳს, გაქჳს, აქჳს** ფორმებიც გვხვდება: ...**მაქჳს** მაგისთჳს თქუმული (ქრესტ., 50, 19, 53, 3); ...მიეცით მას, რომელსა **აქჳს** (მთ., 25, 28 DE); ძველ ქართულში ასეთი ფორმები, შესაძლებელია, **უ→ვი** პროცესის შედეგად იყოს მიღებული. ასეთი პროცესის შედეგად მიღებული ფორმის დამკვიდრებას დიალექტებში ხელს შეუწყობდა ამ ზმნის წარმოების ანალოგია სხვა სტატიკური ზმნებისა წარმოებასთან. [შდრ. ფშ.: ...იმის მერდინის პერანგი პერად **მააქვი** წყალსაო (რაზიკ., 222, 162); ...რა **მაქვი** შენთან ზიარი, ან ჩემთან რანე არიო? (რაზიკ., 230, 196)].

აი ერთი ხევსურული ლექსი, რომელშიაც ყოველი სარითმო სიტყვა ან თურმეობითია, ან სტატიკურ-ინვერსიული ზმნა:

რუსეთში არხოტიონსა რუსულ ქუჭუნაკ **სცვავისა**,
რუსულა ქუდა დამხურეს, შუბლში ლიშანიც **ხკრავისა**,
არ ხვლების გასაოჯრები,—ეშმაის გრილოს ღგავისა.
რუსეთ ბევრა კი გავიგი, ჯერ ხო არ **მამიცლავისა**?!
ბევრა კი **გამიჯავრებავ**, ბევრისად **გამიცვლავისა**...
იქნება იქავ გამავრჩა, მეყვა, რაც **შამიძლავისა**.
ამაგის მალექსებელი სრუ გოსპიტელში ღგდავისა,
არცა-რა მარტუაი ორ, სხო ხალხიც ბევრი-ღ **ხყრავისა**
(ხევს. პოეზ., 457).

ჭრთპირიანი ზმნების თურმეობითი თითქმის არაფრით განირჩევა სალიტერატურო ქართულის თურმეობითისგან: იქაც მიმღეობას ერთვის „არის“ მეშველი ზმნა: ...ნუმც **წამავხულვართ** შინითა (ხევს. პოეზ., 72, 8); ...ეეხლა **გადიჩინებულხართ**, კაცთან **დამდგარხარ** კაცურადაო (ეთნ., III, 86, 5—6). მესამე პირში ზოგჯერ შემონახულია მეშველი ზმნა „არის“ ანდა მისი ნაშთი „ას“: ...**მამკვდარას** ოჩიაური, მგელი მჭამელი ცხვრისაო (ხევს. პოეზ., 237, 2); ზოგჯერ მოკვეცილი აქვს მეშველზმნისეული **ა** და მარტო მიმღეობით არის გადმოცემული თურმეობითი: ...უთქომ... „მშვიდობით, ჴელ მაგიმართასთ!... და **ამაბრუნვილ** (გაბ., 159, 37).

თურმეობითი პირველის სათანადო ფორმების მოყვანის შემდეგ უნდა გაირკვეს მისი მაწარმოებლების წარმომავლობა, მისი მიმართება დანარჩენი სერიების ფორმებთან და სხვ.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თურმეობითი პირველის წარმოებას ხევსურულში რიგი თავისებურება ახასიათებს[1]:

1· გარდამავალი დინამიკური ზმნების პირველ თურმეობითში წარმოება უნიფიცირებულია: ყველა ზმნას -ავ სუფიქსი აწარმოებს. სალიტერატურო ქართულმა ასეთი რამ არ იცის, იქ -ავ, -ამ თემისნიშნიან ზმნათა გარდა, ყველგან -ი-ა დაბოლოება გვაქვს. -ავ, -ამ-იან ზმნებში რაიმე სპეციალური მაწარმოებელი პირველი თურმეობითისათვის არა ჩანს: იქ წყობაა შებრუნებული და წინ სათანადო წყობის პირის ნიშანი აქვს დართული, შდრ.: ვ-კლ-ავ (მე მას)—(მო) მ-ი-კლ ავ-ს (მე იგი). ამ ზმნებთან ხევსურულსაც ასეთი წარმოება აქვს.

ამ ზმნათა ჩვენება ძალიან საყურადღებოა: თურმეობითი შებრუნებული წყობაა და მას თითქოს სპეციალური მაწარმოებელი არც სჭირდება. მაგრამ ასე არ უნდა იყოს: თურმეობითის მაწარმოებელი სწორედ -ავ ‖ -ივ სუფიქსი უნდა იყოს, მაგრამ, რაკი ნამყო ძირითადში რიგ უთემისნიშნო ზმნას აწმყო -ავ სუფიქსით აქვს ნაწარმოები [(მო)კლა—(მო)კლ-ავ-ს], ამ აწმყოზე დამყარებული თურმეობითი კვლავ -ავ სუფიქსით უნდა გაფორმებულიყო, რაც სუფიქსთა ტავტოლოგია გამოვიდოდა (კლ-ავ-ს—*მოუკლ-ავ-ავ-ს), ამიტომ აწმყოს ფუძისეული -ავ თურმეობითის ფუნქციითაც დატვირთულა. ასევე უნდა გადაწყდეს -ამ თემისნიშნიანთა საკითხიც. ეს ზმნები შეიძლება დიალექტური წარმომავლობისა იყვნენ: მათი რიცხვი საერთოდ ცოტაა და -ამ, -ავ თემისნიშანთა მონაცვლეობაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში... წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება: რატომ დარჩა ზმნათა ერთი წყება თურმეობითში უნიშნოდ (კლ-ავ-ს—მოუკლ-ავ-ს, დგ-ამ-ს—დაუდგ-ამ-ს), როცა ყველა სხვა ზძნას აქვს თურმეობითის მაწარმოებელი? (რატომ არა გვაქვს: *მოუკლავია, *დაუდგამია...?). სხვა ზმნათა ანალოგიით ახლა ზოგჯერ გვხვდება მოუკლია, დაუდგია, უთქვია... ტიპის წარმოება, მაგრამ ეს მეორეული, გვიანდელი მოვლენაა...

---

[1] ხევსურული თურმეობითის ზოგი თავისებურების შესახებ იხ. ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955.

2. ხევსურულში -ავ სუფიქსი ორპირიან სტატიკურ ზმნებსაც წარმოებს: ღ-ბ-ავ, ღ-გდ-ავ, ს-წყვ-ავ... სალიტერატურო ქართულში კი სტატიკურ ზმნებსაც -ი-ა დაბოლოება აქვთ: ა-ბ-ი-ა, ა-გდ-ი-ა, ა-წყვ-ი-ა... შესაბამისობა კანონზომიერია იმ აზრით, რომ ფორმათა უნიფიკაცია ორგანვე ჩანს: ხევსურულში თურმეობითშიაც და სტატიკურ ზმნებშიაც -ავ სუფიქსია, სალიტერატურო აქართულში—ორგანვე -ი-ა სუფიქსი.

3. სალიტერატურო ქართულში და ხევსურულშიაც გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმებს აქვს „საობიექტო ქცევა; გამიკეთებ-ი-ა (ხევს. გამიკეთებ-ავ)—გამკეთებ-ი-ა (ხევს. გამკეთებ-ივ); ამ მეორე ფორმაში მოქმედების უნახაობასთან ერთად მთხრობელის (რეალური სუბიექტის) პასივობაც ჩანს, რაღაც უხილავი გარეგანი ძალის მიერ შესრულებულ მოქმედებაზეა ლაპარაკი. სალიტერატურო ქართულში ორგანვე -ი-ა სუფიქსი გვაქვს, ხევსურულში კი შინაარსობლივად განსხვავებული ფორმები სუფიქსებითაც განირჩევა.

4. ხევსურულში სტატიკურ ზმნათა თურმეობითის ფორმებშიაც -ივ სუფიქსი გვაქვს: ღ-ბ-ავ—ღ-მბ-ივ (←ღ-ბმ-ივ), ა-სხ-ავ —ს-ხმ-ივ... აქ შემდეგი უნდა აღინიშნოს: სტატიკური ზმნები უძველესი ფორმაციის ზმნებია და მარტივი ფუძე აქვთ, რომელსაც უშუალოდ მიერთვის სტატიკურობის (resp. თურმეობითობის) -ავ (სალიტერატურო ქართულში -ი-ა) სუფიქსი. სადაც წესია, მათ თურმეობითი უნდა ეწარმოებინათ მარტივი ფუძიდან (ხევსურულში უნდა გვქონოდა ღ-ბ-ავ—*ღ-ბ-ივ), მაგრამ სტატიკური ზმნები იმ ზმნებს მიეკედლნენ, თურმეობით პირველს პირველი სერიის ფუძიდან რომ იკეთებენ და ახლა სტატიკურთა თურმეობითში პირველი სერიის თემისნიშნის ნაშთი ჩანს: ღ-ბ-ავ—ღ-მბ-ივ (←ღ-ბ-მ-ივ) (შდრ. ი-ბ-ამ-ს—შე-უ-ბ-ამ-ს).

ხევსურულში უთემისნიშნო სტატიკურ ზმნებსაც -ივ სუფიქსი აქვთ თურმეობითის მაწარმოებლად: ეს ზმნებიც პირველი სერიის თემის ნიშნით ირთულებენ ფუძეს და ასე აწარმოებენ თურმეობითს: მ-წყურ-ი-ხ — მ-წყურ-ებ-ივ, მ-შივ-ი-ს—მ-შივ-ებ-ივ, მ-ტკივ-ი-ს—მ-ტკივ-ებ-ივ და ა. შ.

5. ერთპირიან ზმნებს თურმეობითი ხევსურულშიაც აღწერითად ეწარმოებათ, ოღონდ ხევსურულში მეშველი ზმნა მესამე პირშიაც სრული სახით არის ხოლმე გამოყენებული: მაგსულ-ვარ, მასულ-ხარ, მასულ-არის (ან: მახულ-ას←მახულ-არს). „არის“ მეშველი ზმნის სრულად დართვა ახლა მესამე პირში იშვიათია,

მოხუცთა მეტყველებაში თუ წააწყდება კაცი. ჩვეულებრივია მა-სულ-ას, დამრჩალ-ას, დამდგარ-ას... ფორმები (პირაქეთულ-არ-ხოტულ ხევსურულში) ან მასულ, დამრჩალ, დამდგარ... (პირაქე-თულ-არხოტულშიაც და შატილურ-მიღმაეურშიაც). მეშველი ზმნის ნაშთი -ას (←არს) ერთვის აგრეთვე -ივ სუფიქსიან თურმეობითს (პირაქეთულ-არხოტულში): მასძღოლ-ივ-ას, გახყოლ-ივ-ას, მასველ-ივ-ას... (ვ-ს დაკარგვის შემდეგ: მასძღოლ-ი-ას, გახყოლ-ი-ას, მასვლ-ი-ას...); სალიტერატურო ქართულისებური წარმოება (-მა-ხულ-ა, დამრჩალ-ა, დამდგარ-ა, მასძღოლ-ი-ა, გახყოლ-ი-ა, მასვლ-ი-ა) აგრეთვე ჩვეულებრივია ხევსურულში, მაგრამ -ა ხში-რად იკარგება (მას მერე, რაც -ვ უკვე დაკარგულია) და გვაქვს: მასულ, მასვლ-ი, გასძღოლ-ი... -ა შენახულია ზოგ შემთხვევაში, კერძოდ: ა) როცა ამას ლექსის ზომა მოითხოვს, ბ) როცა თურ-მეობითის ფორმას ნაწილაკი ერთვის („მასულ-ა-ც მეორეს დღეს შინ“, „აქ აღარცად მასულ-აღ ისი“...), გ) როცა ასეთი ფორმა „და“ კავშირის წინ მოექცევა და ერთგვარი დახშული კონსტრუქ-ცია იქმნება („მასულა და უთქმავ“ ან „მასულა' უთქმავ“) და სხვ.

6. ხევსურულის პირველ თურმეობითს (მხოლობით რიცხვში) მესამე სუბიექტური პირის ნიშანი, როგორც წესი, არ ერთვის: გა-მიკეთებავ, გაგიკეთებავ, გაუკეთებავ; მამიკლავ, მაგიკლავ, მაუ-კლავ; მითქმავ, გითქმავ, უთქმავ... ეს ნიშანი არც სტატიკურ ზმნებში ჩანს: ღბავ, ხკრავ, ასხავ, არტყავ, ხფენავ... არავითარ შემთხვევაში არ შეგხვდებათ: მამიკლავს (მე იგი), მაგიკლავს, მაუკლავს ფორმები, რაც სალიტერატურო ქართულისთვის ნორ-მაა. თუ პირველ თურმეობითსა და სტატიკურ ზმნებს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი (ს) დაერთო, მის წინ უეჭველად უნდა გამოჩნდეს ხმოვანი ი: გაუკეთებ-ავ-ი-ს, მაუკლ-ავ-ი-ს, ღბავ-ი-ს, ხკრ-ავ-ი-ს...

როგორც ცნობილია, ერთ წყება ზმნებს სტატიკური ფორ-მები არ ეწარმოებათ, არა გვაქვს: შრია, ღვრია, ცვნია, ქვრია, ლპია, თბია (შდრ. ყრის—ყრია, აგებს—აგია და მისთ.) ასეა ეს ხევსურულშიაც: შრავ, ღვრავ, ცვნავ... ფორმები არც იქ გვაქვს.

ზოგი ზმნის პირველ თურმეობითში სალიტერატურო ქარ-თულსა და ზოგ დიალექტში ნ ჩნდება ხოლმე: უყიდ-ნ-ი-ა, ულეწ-ნ-ი-ა, უხეხ-ნ-ი-ა, უთხოვ-ნ-ი-ა და მისთ. ამ ზმნებთან ხევსურულ-ში ი არ ჩანს[62].

---

[62] ნ. ნ ა თ ა ძ ე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულ-ში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1955, გვ. 89.

აღნიშნული თავისებურებებიდან თურმეობითის წარმოებაში ყველაზე უფრო საინტერესოა -ივ სუფიქსის გამოჩენა ხევსურულში. არც ძველ ქართულში, არც დიალექტებში არაა ასეთი ფორმები და, ძალაუნებურად, ხევსურული გამონაკლისისა და კერძოობითის შთაბეჭდილებას ტოვებს. სპეციალურ ლიტერატურაში **მა-ს-ტეხ-ივ-ას** და ამ რიგის ფორმები **შევხვედრი-ვარ** ტიპის ზმნათა ანალოგიით გაჩენილად არის მიჩნეული. ნ. ნათაძე წერს: „ასეთი წარმოება მიღებული უნდა იყოს I და II პირთა ფორმების გავლენით „მივსწევივარ, მისწევიხარ... მისწევივას“... რაც შეეხება ვ-ს გაჩენას (მისწევივ), ის მიღებული უნდა იყოს ან პირველი პირის ფორმის ანალოგიით, სადაც -ვ მეშველ ზმნაში პირველი პირის ნიშანია (მივსწევი-ვ-არ) ან -ავ თემისნიშნით ნაწარმოები „გაუკეთებავ, დაუკიდებავ“ ტიპის ზმნათა ანალოგიით, სადაც -ვ-ს ქონა თურმეობითი პირველისათვის მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული“ [93].

ასეთი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ მისი განზოგადება მაინც ძნელია. რომელიმე **შავხყრი-ვარ, შახყრიხარ, შახყრი-ვ-ახ** ფორმებში შეიძლება პირველი პირის ვ-ს ანალოგია ვივარაუდოთ, მაგრამ **შამყრ-ივ, შაგყრ-ივ, შახყრ-ივ** და სხვა ფორმებზე ამ ვარაუდის გავრცელება გაჭირდება.

ჩვენი აზრით, საწინააღმდეგო მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე: პირველ-მეორე პირებში **ი -ივ** სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს: **-ვ** პირველ პირში უნდა დაკარგულიყო „არის“ მეშველი ზმნის პირველი პირის **ვ** ნიშანთან შეხვედრისას. უნდა გვქონოდა ფორმები: ***შა-ვ-ხ-ყრივ** (მე მას), ***შა-ხ-ხ-ყრ-ივ** (შენ მას), **შა-ხ-ყრ-ივ** (იგი მას) [შდრ. **მოვუკლავ** მე მას (=მოვუკლავარ...), **მოუკლავ** შენ მას (=მოუკლავხარ...), მოუკლავ-ს ის მას]; ***შავხყრივ** ფორმას რომ „ვარ“ დაემატებოდა, ერთ-ერთი ვ უნდა დაკარგულიყო: **შავხყრივარ**; რახან პირველ პირში მეშველი ზმნა უ-ვინ-ო ფორმას („შავხყრი“) დაერთო, ასე დაერთო იგი მეორე პირშიაც. მესამე პირში ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ვ, რაც არქაიზმის გადმონაშთი უნდა იყოს. მესამე პირში -ივ სუფიქსის ვ, როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში ორ ხმოვანს შორის მოექცეოდა და დაიკარგებოდა: **შახყრივარს←შახყრიარს→შახყრიას→შახყრია; შახყრივან→შახყრიან**; ეს უკანასკნელი ფორმა ახლა ნორმად იქცა: გვაქვს ყველა დიალექტში და ხევსურულ დიალექტშიაც. ხევსურულ

[93] ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ VII, 1955, გვ. 91.

ში შემონახული -ივ სუფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, ბველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს.

რომ ორ თანხმოვანს შორის ვ ნამდვილად იკარგვის, ამის მოწმობად გამოდგებოდა კაუზატივის სუფიქსისეული ვ-ს დაკარგვა ასეთსავე პოზიციაში აჴვნ-ევ-ს—აჴვნ-ივ-ა→აჴვნ-ი-ა; ათქმ-ევ-ს—ათქ-მ-ივ-ა→ათქმ-ი-ა; აქნ-ევ-ს—აქნ-ივ-ა→აქნ-ი-ა... ხევსურულის კაუზატივში, ისევე, როგორც თურმეობითში, -ივ სუფიქსი სრული სახითაც დასტურდება: ...ჯირჩლავ, გიჭურვენ ჴევსურნი: „ლურჯამ აქნივა სახელი“ (ხევს. პოეზ., 36, 5); ...ნეტავინ, კარგავ ქალაო, ყანებიმც მაგვცა ზიარი! შიგ სამარგელა მალრივა, ნაპირიმც მისცა ტყიანი! მემრამც ვის აყურებივა ჩემი და შენი გრიალი! (ხევს. პოეზ., 419).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხოლმეობითისა, სტატიკური ზმნისა და თურმეობითის ი (ჰ-მოს-ი-ს, ჰ-მოს-ი-ე-ს, შე-უ-მოს-ი-ე-ს, ახ. ქართ. შე-უ-მოს-ი-ა) ისტორიულად ერთდაიმავე ოდენობად არის მიჩნეული [64]. ამ ფორმებში ერთიდაიმავე ფორმანტის არსებობა სრულიად კანონზომიერი მოვლენაა: ყველა ეს ფორმა მდგომარეობას, განგრძობით ასპექტს აღნიშნავს. თურმეობითი გვიანდელი წარმონაქმია, მაგრამ ქართული დაწერლობის უძველეს ძეგლებში იგი უკვე სრულად ჩამოყალიბებულია, ისევე, როგორც მრავალი სხვა ზმნური კატეგორია. ამიტომ თურმეობითის მაწარმოებლების გენეზისზე სხვა კატეგორიების ანალიზითღა შეიძლება მსჯელობა. ხევსურული დიალექტის ჩვენება—ორპირიან გარდაუვალ ზმნათა თურმეობითში -ივ სუფიქსის შეჴნებლობა—კარგი საბუთი უნდა იყოს თურმეობითის ჩამოყალიბების ისტორიის გასათვალისწინებლად.

თურმეობითისა და სტატიკური ზმნების ი და ყველა „ი“, როგელიც ისტორიულად ხოლმეობითის მაწარმოებლად არის ცნობილი [65], -ივ სუფიქსიდან უნდა მოდიოდეს, -ვ ხმოვნებს შორის (მესამე სუბიექტური პირის ნიშნების -ა ‖ -ან დართვის შედეგად) უნდა დაკარგულიყო. შემდეგ (ვთქვათ, პირველი თურმეობითის ჩამოყალიბებისას) ხოლმეობითის მაწარმოებლად უკვე გამარტივებული ი-ც უნდა გვქონოდა ნაცვლად -ივ სუფიქსისა, თუმცა ხევსურულში -ივ სუფიქსიც შემოგვენახა.

-ევ, -ივ სუფიქსთან -ედ სუფიქსის შეხვედრისას უნდა მიგვეღო -ოდ სუფიქსი (შდრ. -ობ სუფიქსის მიღება, იხ. ზემოთ);

---

[64] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 91—96.
[65] იქვე.

საეარაუდოა ასეთი გზა: *აღ-ვ-ი-ღ-ივ+ედ→*აღ-ვ-ი-ღ-ვ-ედ→აღ-ვ-ი-ღ-ოდ... ასე უნდა მიგვეღო არქაული ნამყო უსრული. რაც შეეხება ფშაურსა და ხევსურულს (resp. თუშურს), ამ დიალექტების ხოლმეობითი უფრო გვიანდელი ფორმაციისა უნდა იყოს: ამ დიალექტებში გამარტივებული ი სუფიქსით ნაწარმოებ ხოლმეობითს (ა-ვ-ი-ღ ი) უნდა დართვოდა უკვე ჩამოყალიბებული ნამყო უსრულის -დ და -ოდ სუფიქსები შესაბამისად. ფშაურს -ოდ სუფიქსის დართვისას ხოლმეობითისეული ი მოეკვეთებოდა, ხევსურულ-თუშურში კი მისი მოკვეცის საფუძველი არ იყო: -დ სუფიქსი უხმოვნოდ ერთვოდა ხოლმეობითის ფორმას [ასე ერთვის იგი ახლა ხევსურულში ნამყო უსრულიდან ნაწარმოები ხოლმეობითის ფორმას: ვაკეთებდ-ი-დ-ი, შდრ. ფშ. ვაკეთებდ-ოდ-ი (და არა: ვაკეთებდ-ი-ოდ-ი, შდრ. ხევს. ვაკეთ-ი-დ-ი და ფშ. ვაკეთ-ოდ-ი და არა ვაკეთ-ი-ოდ-ი)].

ნამყო ძირითადის -ე სუფიქსის შესახებ ორგვარი ვარაუდი არსებობს: პროფ. გ. როგავას იგი -ევ სუფიქსიდან მომდინარედ მიაჩნია[66], ხოლო პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს აზრით, ე-ს თანხმოვნითი ელემენტი არ უნდა ჰქონოდა[67]. ჩვენ -ე -ევ სუფიქსიდან მომდინარე გვგონია, ისევე, როგორც ი-ს -ივ სუფიქსიდან მომდინარედ მივიჩნევთ: ვ-მკ-ი←*ვ-მკ-ივ. შდრ. ხევს. ვ-მკ-ევ და ლიტერატურული (ით)-ვ-მკ-ე; და-ვ-დ-ევ, და-ს-დ-ევ, და-დ-ო (←და-დ-ევ-ა) ‖ და-ვ-დ-ე, და-ს-დ-ე, და-დ-ო ‖ და-დვ-ა (←და-დ-ევ-ა)...

ბ) თურმეობითი მეორის წარმოება

ორპირიანი ზ̈ნების თურმეობითი მეორე ხევსურულში ძირითადად სალიტერატურო ქართულის მსგავსად იწარმოება:

...**გეკვეხნა** ქალეებშია: „სათითე გამიცვალაო“ (ხევს. პოეზ., 349, 12); ...პირიქითელაე ვაჟაო, შენ რაიღ **დაგებარაო**? (ხევს. პოეზ.. 349, 11); ...მე იმას გამოვეპარე, **ეჯავრა**: „გამაწბილაო“ (ხევს. პოეზ., 345, 7); ...ატაბით ბერაიშვილსა სისხ ბევრჯერ **ესვა** მტრისაო (ხევს. პოეზ., 198, 17); ...უთურგი არ **მოგეკვლივა** მეწყაინაისძე ჯარიო (ხევს. პოეზ., 3, 9); ...დევებს **ეჭიკა** ყელშია, იმედას ხანჯარ ექნია (ხევს. პოეზ., 546, 9); ...ვერ გასაზდელებს

[66] გ. რ ო გ ა ვ ა, აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI. № 8, 1945, გვ. 647—655.

[67] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, გვ. 459.

ჟმაწვილებსაო ქვაბჩია **მოეხარშა** გველიო (ეთნ., III. 111, 4); ...მადლობელი ორ, კნიაზო, მაკითხვა **შამაგეთვალა**, დიდიდებ ჩინებ **მიგველა**, თიანეთ გნახე ერთხანა, თეთრ ქუქუნაკა **ჩაგეცვა** ღილით საყრელი წელთანა (ხევს. პოეზ., 564, 2—4); **გამოგეყარა, ეჭამა, ეჭალა, ეთხარა** (ხევს. პოეზ., 561).

თურმეობითი მეორე ზოგი სხვა ზმნის ობიექტური წყობის ნამყო ძირითადის ფორმებს ემთხვევა ხოლმე. გარჩევა კონტექსტითღა შეიძლება; ასეთი თურმეობითი მეორე კავშირებითად არის გამოყენებული:

...გაგაის ძოძივ, **გერჩიყვავ**, ღილღო გეჭამა ჰკვითაო, ყანა **გევნ**, ჭარი **გელალა**, ჯოხი **მაგეჭრა** ტყითაო (ხევს. პოეზ., 182, 1—2); ...ერთიმც სხვა გყვანდა, გიორგი, შენდ რო **ეჭირა** ჭვარიო (ხევს. პოეზ., 100, 2); ...ღმერთსამც ნუ **ეთქვა**—გაზდილიყვაო ბაჭუათ ახალაის შვილიო (ეთნ., III, 40, 1); ...უნდოდა **დაებაღითნეს**, მემცხვრისად **დაერიალა** (ხევს. პოეზ., 206, 7). ეს ფორმები კითხვის მიხედვით თურმეობითებია („რა ექნა?"), ფორმის მიხედვით ნამყო ძირითადადაც შეიძლება გავიგოთ და მეორე კავშირებითადაც: **მოგეჭრა**: „თავი მოგეჭრა" = ნამყო ძირითადი, ჯოხი (რომ) მოგეჭრა" = თურმ. II და კავშ. II, და მისთ.

ეს კია: ნამყო ძირითადში ობიექტის აქტივობა უფრო მეტია: „თავი მოგეჭრა" ნიშნავს: შენგან დამოუკიდებლად, შენი მოქმედების გარეშე მოგეჭრა თავი; „ჯოხი მოგეჭრა" ნიშნავს: რომ ცდილიყავ და მოგეჭრა შენ იგი, ან: თურმე გიმეცადინია და მოგიჭრია ჯოხი. ამიტომ ზემოთჩამოთვლილ მაგალითებში შინაარსის მიხედვით კავშირებითები გვაქვს: **გეჭამა, გევნა, გელალა, მაგეჭრა, ეჭირა, ეთქვა, დაებალითნეს, დაერიალა**... ყველა კავშირებითია და ყველგან „რომ" კავშირი იგულისხმება. უამკავშიროდ ეს ფორმები თურმეობითის ფორმებია.

ერთპირიანი ზმნები ხევსურულში „იყო" მეშველი ზმნით იწარმოება მსგავსად სალიტერატურო ქართულისა:

...მარჯვნივ მზე **წერებულიყვა**, მარცხნისკე მთვარის ნალიო (ხევს. პოეზ., 44, 5); ...ღმერთსამც ნუ ეთქვა—**გაზდილიყვაო** ბაჭუათ ახალაის შვილიო (ეთნ., III, 40, 1); ...ხიალოს კალოს **ყოფილიყავო** (ხევს. პოეზ., 567, 14); ...ტირილით **ამომჭდარიყვა** სისკარი თენებისაო... საბუდრად **ჩამასულიყო** ყორანი შუღამისაო (ხევს. პოეზ., 209, 4, 6); **შამამდგარიყვა** (ხევს. პოეზ., 211, 9); **ჩამასულიყო** (ხევს. პოეზ., 211, 1) და ა. შ.

ხევსურულმა -ოდ სუფიქსიანი თურმეობითი არ იცის, იქ მუდამ მეშველზმნიანი ფორმებია:

...ორნიეამც **დაგტეხიყვნეს** ფეკნიო (ეთნ., III, 67, 3); ...ჴელი-ზდებიყვა დაწნაზედაო (ეთნ., 13, 7); ...საწოლთ მახჴელეენ გაგასა, ვეფხვს **სძინებიყვა** მკლავზედა (ხევს. პოეზ., 80, 5); ...ბაყრილა ვარდის ფურცელი, დაღბერნებს, დასძრავს ქარია, საკრეფლად **შამასჩვევიყო** ბაგრატიონთა ქალია (ხევს, პოეზ., 64, 4); ...თან რო **ხყვანიყვა** ოდინა, თესლს დაულეედეს მზირთაო (ხევს. პოეზ., 193, 22); ...ღმერთსამც ვინ **გალმარჯვებიყვა**, ჴმალ-დაწნას წეროიმც მეეკრა (ხევს. პოეზ., 18, 29); ...თათარსაც იმედ **ხქონიყვა** ხანჯრისა ორპირისაო (ხევს. პოეზ., 150, 10); ...ჯარეოს უნ **შავხჯოციყვენით**, გვაშაირებენ ქალნიო (ხევს. პოეზ., 3, 1); ...რა კაოგ **გყვანიყვა** ძმობილი, ფარაგ რო გარმაგხურაო (ხევს. პოეზ., 395, ბ); ...ვნახე და ქვეც მამეწონა, დიდ-დიდნ **სხდომიყვნეს** თვალნია (ხევს. პოეზ., 93, 6); [მდრ. ფშ.: ...დედა **ხყოლიყო** ცხრათავი, ცხრის ვაჟის დედა ქალია (რაზიკ., 19, 7); ...ბერიძე მჭედლურიშეილსა გული **ჰქონიყო** ცდაზედა (რაზიკ., 76, 169); ...დაწყებიყო დიდარსა გლეხობის გადანაყარი (რაზიკ., 187, 2); ფშაურში აქა-იქ ოდ სუფიქსიანი წარმოებაც დასტურდება: ...ნეტავი, დაო დედუკავ, მამცნა სამ-სამნი ძმანიო, რო გული **აჰტკივებოდა**, ეკვლია შენი კვალიო! (რაზიკ., 45, 67)].

გ) კავშირებითი მესამეხ წარმოება

ხევსურულში კავშირებითი მესამის ხმარება შეზღუდულია ისევე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულსა და ძველ ქართულშიაც... ხევსურულ ნაბეჭდ ტექსტებში ჩვენ ერთად-ერთი მაგალითი შეგვხვდა: ...არყის ბოჯოლთა დაიმოწმანო, გიგაის წვერთა ჭაღრიანთაო... შენ რაიც **გექნას** ბუჩუკურსაო (ეთნ., III, 11, 31).

კავშირებითი მესამის ნაცვლად აღწერითი ფორმა იხმარება ხოლმე. იმის მაგიერ, რომ თქვას: „ისრ იქცევ, ვითამ მაგას მაეტანას“, ხევსური ამბობს: „ისრ იქცევ, ვითამ მაგის მატანილ იყვას“ და მისთ.

დ) მესამე ხოლმეობითი ხევსურულში.

პროფ. ა. შანიძემ წერილში „მწკრივთა მოძღვრებისათვის, II, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში“ [68] დაადასტურა მესამე ხოლმეობითის არსებობა ძველ ქართულში (XI—XIII საუკუნეთა

[68] მოხსენებათა კრებული, № 1, თსუ გამომცემლობა, 1947, გვ. 114.

ძეგლებში) და მისი ხმარების რამდენიმე შემთხვევა დაიპოვნა. ხევსურულშიაც არსებობს მესამე ხოლმეობითი, ოღონდ იშვიათი ხმარებისაა ისევე, როგორც ძველ ქართულში: ...ეეგ **ეთქვის** ქზე-ქალსთან, ეეხლა ქვე არაობს (მიელ. მას.); ...ამაგაად დადენილი-ყვნეს ერცხვასთან, ეეგ **ეუბნისა' ეჩოლაგის** ერთა ნაყრებს (მიელ. მას.); „...გიორგის ახა შავხვდავ, არ გაუტეევ უჩრელადავ—ეკვე-**ხინის** ქალებჩი, —შამხვდასა, რაჴე საჩრელი გიორგი, მაში გაი-გებს!... (მიელ. მას).

მესამე ხოლმეობითი მეორე თურმეობითზე დაყრდნობით მი-ღებული ნაკვთია: **ეთქვა**—**ეთქვ-ი-ს, ეჭნა**—**ეჭნ-ი-ს**... სხვა რაიმე თავისებურება ამ ნაკვთის წარმოებაში არ შეინიშნება.

4. კაუზატივის წარმოება

სალიტერატურო ქართულში ცნობილია კაუზატივის მაწარ-მოებლები: **-ინ, -ევ** [მეორე სერიის ფორმებში **-ი(ვ)**] და **-ევ-ინ** [69]. სალიტერატურო ქართულში ახლა **-ევ-ინ** რთული სუფიქსი სჭარ-ბობს. ა. შანიძე წერს: „ძველსა და საშუალო ქართულში უფრო გავრ-ცელებული იყო **ევ**-ის ხმარება (და რამდენადმე დღესაც გავრცე-ლებულია ზოგიერთ კილოში, მაგ., ხევსურულში)“ [70].

ხევსურულში გაბატონებულია კაუზატივის **-ევ, -ივ** მაწარმოე-ბელი. თუ სუფიქსი რთულია, ისიც **-ევ-ივ** (→**-ევი**) იქნება და არა **-ევ-ინ**. ჩვეულებრივია მარტივი (**-ევ, -ივ**) სუფიქსით წარმოება: ...კი-დევ სამამფიცროსაც **გადააჴდევს** (გაბ., 139, 13); ...ეს სასმელ ჩადის ყველას უფერს: ქურდობას **აქნევს**... (გაბ., 124, 2); „...ვი-ნაც იშუღლებთ, წინ წინ შუღლა გამჴდელს **დაგაკვლევთ** კურეტს (გაბ., 123, 22); „...სახლ რაად **მახარჯვიეთავ?**“ (გაბ., 134, 22); „...მაგასავ ტყუილს ვერეინ **ათქმევსავ**“ (მიელ. მას.); „...ღამეს გავათენებთაო-და იმ ჴედილას **დავაკვლევთავ**“ (მიელ. მას.); „...ლექსობას **მოგაშლევიებთ**, სიტყვას არ **გათქმევთ**!—მითხრესა (მიელ. მას.); ...მელექსეს თუ რას ხკითხულობთ, გასპარამ წვრილას **ათქმია** (მიელ. მას.); ...ძმა ბუზალაყჩი დავარჩვი, რაჴელ წინ-წვრისა **ვახმიე**! (მიელ. მას.); ...კაცებო, მონას მჴედელსა ნაჴშირ თავისა **გა-წვიე** (მიელ. მას.); ...კვირიკ, დანაკარგს რად შჩივი, ქრთამ რამ-დენ **გადაგაყრიე** (მიელ. მას.); ...ერბო ნუ გაგაქვ, კვირიკავ, გირ-

---

[69] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 369 და შემდგომი.

[70] იქვე, გვ. 370.

ჩევ, ქალ-ზგელას **აჰმიე**; წალალე სალებროანა, დიდიდებ ყანებ **ამ-კიე** (მივლ. მას.); ...მე-დ' ზგელა შავიჰიდენით, სამ სიგირგელა **ვაქნიე**; ჭელ-უკუღმ გადმავიქნიე, თავი ყორეთად **ვაკვრიე** (მივლ. მას.) ...**მააშლევს** უწადინოდა მკლავზე ქალების წვენასა (მივლ. მას.).

განხილულ მაგალითებში ხან **-ევ** სუფიქსი გვაქვს, ხან **-ივ**. სუფიქსის ცვლა სერიის ცვლასთან არის დაკავშირებული. საყურადღებოა, რომ ეს არის ან **-ავ**, **-ამ** სუფიქსიანი ზმნები (**იქამს**—**აქნევს**, **თქუამს**—**ათქმევს**, **კლავს**—**აკვლევს**, **ხარჯავს**—**ახარჯვევს**, **სვაღს**—**ასმევს**, **წვავს**—**აწვევს**, **ჰამს**—**აჰმევს**, **ჰკრავს**—**აკვრევს**...) ანდა **ი** სუფიქსიანი ზმნები: **იჯდის**—**აჯდევს**, **ყრის**—**აყრევს**, **მკის**—**ამკევს**, **შლის**—**აშლევს**, **თლის**—**ათლევს**, **სვრის**—**ასვრევს**, **ცრის**—**აცრევს**, **ჭრის**—**აჭრევს** („არ გაგიშობთ ამღის ტყესა, არ **მაგაჭრევთ** სატარესა", მივლ. მას.), **ღვრის**—**აღვრევს**, **ცვლის**—**აცვლევს** და ა. შ. **-ევ** სუფიქსი სწორედ ამ ტიპის ზმნებში დასტურდება ხევსურულში, დანარჩენ ზმნებში **-ივ** სუფიქსი გვაქვს. რთული (**-ევ-ივ**) სუფიქსიც მარტო ამ ზმნებში დასტურდება: **ათქმევი(ვ)ებს**, **აყრევი(ვ)ებს**, **აწვევი(ვ)ებს**, **აშლევი(ვ)ებს** („ლექსობას **მოგაშლევიებთ**, სიტყვას არ გათქმევთ!"—ჩითხრესა), **აჯდევი(ვ)ებს**, **ართმევს**—**ართმევივებს** [...ნეტავ, ყმაწვილო, აგაძრახაო, ბერდენკა **გამაგართმევივაო** (ეთნ., III, 62, 2)].

პროფ. ა. შანიძე წერს **-ევ-ინ** სუფიქსის შესახებ: „ეს აფიქსი რთულია, წარმოსდგარია **ევ**-ისა და **ინ**-ის შეერთებისაგან (ევ-ინ). **ევ** გარკვეული ტიპის ზმნებს მოუდიოდათ, მაგრამ ის არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად და **ინ** დაერთო: ათლ-ევ-ინ ებს, აჭრ-ევ-ინ-ებს, ათხრ-ევ-ინ-ებს; ახსნ-ევ-ინ-ებს, აკვლ-ევ-ინ-ებს, ათქმ-ევ-ინ-ებს, აქნ-ევ-ინ-ებს და მისთ" [71].

რთული **-ევ-ინ** (ხევს. **-ევ-ივ**) სუფიქსი მხოლოდ იქ იხმარება, სადაც ხევსურულში და ძველ ქართულში მარტივი **-ევ** სუფიქსი იხმარებოდა, დანარჩენ ზმნებში სალიტერატურო ქართულში **-ინ** სუფიქსი გვაქვს, ხევსურულში **-ივ** სუფიქსი: ...სამი დღე **გაგათენებივაო** (ეთნ., III, 43, 9); ...მე რომ მამიკლეს გეჯურაიო, თავ იმან **ჩამომაღებივაო**, ნეტავ, სიგირგალ **მანახვივაო**, ნეტავი კარგად **მაცნობივაო**, მამკლავ ას გეჯურაისაიო (ეთნ., 59, 4—8); ...მემც მამკლა, შენამც აგაყენაო, დედ-მამან **გაგალაღებივნაო** (ეთნ., III, 31, 4); ...ნეტავინ მამც(ნ)ა მშვილდ-ისარნიო, ერთ-ორიმც **დამა-**

[71] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. გრამატ. საფუძვ., გვ. 370.

ზინებივაო, ჩემთა საფქავთა დამქაქავნიო მიწათად **გამაფერებივნაო** (ეთნ., III, 14, 27, 29); ...გუშინაც კაცი მამილალაო თამარიშვილმა თანგულამაო, **მამიტანივნა** ქიჩილანიო (ეთნ., III, 12, 9); „...დედანივც ნუ მიტირებენ, რახან ეგ ქალებ თქვენ ღილღოს **წაგაყვანივათ!**“ (გაბ., 167, 6); ...შუაზე **გააკვრეცივა**, წვერი უშვდინა მიწას (გაბ., 216, 12).

კაუზატივისეული **-ვ** დაკარგულია ორ ხმოვანს შორის (შდრ. თურმ.: **გამკეთებ-ივ-ა→გამკეთებ-ი-ა**): ...ჭელ-პირსამც **აბანიებ**, უნცროსადამც ხყვიხარ! (გაბ., 137, 32); ...**ატყობიებენ**, რო „მოვდითავ“ (გაბ., 11, 26); ...**შაატყობიებს** ჯვარიონთ (გაბ., 121, 26); ...წინავ **გააგებიებს** (გაბ., 121, 23); ...დილის ხან თაოდ **დაეჭერიებიან** (გაბ., 145, 9); ...ან უჩიელებენ მთავრობასთან, **დააჭერიებენ** (გაბ., 139, 31); ...სტუმარს **ასრევიებენ** თოფს (გაბ., 147, 19); ...იმედი მამეშალა თქვენიო, ბებერს შამას რო **ათიბიებთო**... ერთხან დავწვირენ ცელ-სალესნიო, მეორედ **ამატანიენითო** (ეთნ., III, 14, 15, 17); [ცალმაგი კაუზატივი ფშაურშიაც დასტურდება: ...კარგ ყმას თუ ჰყეკხარ, დედაო, ადრე აჭმიე სადილი (რაზიკ., 45, 69); ...ღვინო მთხოვა და **ვასმიე**, ურჩევდი ბადაგისასა (რაზიკ., 70, 142); ...ხირჩლავ, გიძრახვენ ხევსურნი: „ლურჯამ **აქნივა** სახელი“... (რაზიკ., 33, 32); ამ ტიპის ზმნებთან ფშაურში უფრო ბუნებრივია **ევ-ინ** (**ე-ინ**) სუფიქსი. „აქნივა“ ფორმა თ. რაზიკაშვილა ფშაურად არ მიუჩნევია და სქოლიომი განმარტავს: „აქნივა ხევსურულად—აქნეინაო“ [72]. ფშაური **ე-ინ** (←**ევ-ინ**) სუფიქსიანი კაუზატივის ნიმუშები: ...ანამც მაქცია ვაჟადა, მამცა თოფი და ხმალიო, კი საით **მამაკლეინა** ი ლეკი—შენი ქმარიო (რაზიკ. 45, 67); ...გათენებულა, გამიშვი, თავსა ნუ **მამაკვლეინებ**, თოლისა ყაპყა მოსულა, კვალსა ნუ **მააკვლეინებ**, გაჯავრებულსა ჩემ ქმარსა ჩემს თაკს ნუ **მააკვლეინებ** (რაზიკ., 145, 5ი); ...თუ დაიყენებს სხვისშვილსა, **მააკლეინებს** შიმშილსა (რაზიკ., 94, 58); ...თუ ცხვარი **წაგასხმეინოთ**, წელთამც ნუ გვრტყია ხმალიო (რაზიკ., 13, 18); ...**დამალეინებს** ბიძაი არაყით საესე წიწანსა (რაზიკ., 29, 20); ...კბილები **დაგაყრეინა** დილაზე ცივის სმამაო (რაზიკ., 66, 132); ...დოწია მამცა სათიბრადა, ახუნის წვერი **მაცვეინა**... (რაზიკ., 88 25) ...კალთაში ნახვევ წილობანი ისევ კალთაში გაგიხვია, **წაგახმეინა** დედისადა (რაზიკ., 88, 26)].

---

[72] აქნევს—აქნივა ტიპის წარმოების შესახებ იხ. ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 149—150.

საყურადღებოა, რომ ხევსურულში (და ძველ ქართულშიაც) **-ევ** სუფიქსიც გვაქვს და მისი მონაცვლე **-ივ** სუფიქსიც. სალიტერატურო ქართულში **-ევ** სუფიქსი გვაქვს, მაგრამ მისი მონაცვლე **-ივ** სუფიქსი არა ჩანს, სამაგიეროდ გვაქვს **-ინ** სუფიქსი, რომელსაც მონაცვლე **-ენ** სუფიქსიც სისტემატურად უნდა ჰქონოდა. ამაზე მიუთითებენ ზმნები, რომლებსაც ხევსურულში **-ენ**, **-ინ** სუფიქსები აქვთ, მაგრამ კაუზატივი მათში მკრთალად არის გამოხატული: **არგ-ენის—არგ-ინ-ა** (შდრ. ლიტერატურული **არგ-უნ-ა**): ...წილით **არგინეს** თოთიას, იქ არა წამავალიო (ხევს. პოეზ., 465, 17); ...შენ **მოგარგინეს** ახალ სახლიო (ეთნ., III, 32, 6); **აჯდ-ენ-ს—აჯდ-ინ-ა** (შდრ. „ხალხი ააჯანლე, ქაიხოსრო სახლთხუცესზე **მიუხდუნე**“ [73]): ...სათავეს **გადააჯდენენ** სოფლელნი (გაბ., 126, 9); ...სათავეში სკამზე **გადააჯდენს** (გაბ., 128, 26); ...სათავეს **გადააჯდინეს**, ოქროს სკამს უდგმენ გმირსაო (გაბ., 225, 6). **-ენ**, **-ინ** სუფიქსებს აქ **-უნ** სუფიქსი ცვლის, ხოლო ეს უკანასკნელი სვანურში კაუზატივის მაწარმოებელია: ტიხე („აბრუნებს“)—ხ-ა-ტხ-**უნ**-ე („აბრუნებინებს“); [74] [შდრ. აგრეთვე ფშ.: ...სამჯერ ისე შ ა მ ა კ რ თ უ ნ ა, ფეხქვეშ მეძრენ მიწანია (რაზიკ., 215, 125); შ ა მ ა კ რ თ უ ნ ა ნიშნავს, კრთომა დ ა მ ა წ უ ყ ე ბ ი ნ ა].

კაუზატივისა და ფუძედრეკად ზმნთა სუფიქსები (**-ენ**,**-ინ**, **-ევ**,**-ივ**) წაოწომავლობით ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს. ეს სუფიქსები ახლა გარკვეულ ძირებთან იხმარება: რომელიმე **ჰამ**-ძირთან (ზმნასთან) კაუზატივის საწარმოებლად **-ევ** სუფიქსი გვაქვს: **აჰმ-ევ-ს—აჰმ-ივ-ა**; არ შეიძლება: ***აჰმ-ენ-ს—*აჰმ-ინ-ა**. მაინც არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ერთსადაიმავე ძირთან გამოყენებული ყოფილიყო ხან **-ევ** ხან **-ენ** სუფიქსი. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს: **არბ-ევ-ს—არბ-ივ-ა** (→**არბ-ი-ა** შდრ. **დაარბ-ი ა**) ‖ **არბ-ენ-ს—არბ-ინ-ა**; **აჯდ-ენ-ს—აჯდ-ინ-ა** ‖ **აჯდ-ევ-ს—აჯდ-ივ-ა** [ძირი **ჯად**, **ჯედ** ორგანულ ერთია]. **ავლ-ევ-ს—ავლ-ივ-ა**: ...ამ ჭურდს სოფელიც აღარ **გაავლევს** ჯარზე (გაბ., 139, 27); ...თორე მე არ დავბრუნდები, **გავავლევ** სისხლის წყალსაო (გაბ., 207, 21); ...**ჩამაავლივა** გუდანი, პირგაღმ გამახეყეა გზასაო (გაბ., 207. 25); შდრ. **ავლ-ენ-ს—ავლ-ინ-ა** (**მოვლ-ენ-ა**, **მივლ-ინ-ება**,..); გვაქვს **ატკ-ენ-ს — ატკ-ინ-ა** და **მტკ-ივ-ა** ფორმაც გვაქვს. ეს უკანასკნელი გვავარაუდებინებს.

---

[73] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. გრამატ. საფუძვ., გვ. 379.

[74] იქვე.

*მ-ტკ-ევ ფორმას [შდრ. **ამშ-ევ-ს—(მო)ამ-შ-ივ-ა, დამშ-ე-ულ-ი← დამშ-ევ-ული** და **მშ-ივ-ა**]; ასეთი მაგალითები ბევრია. საზოგადოდ სადაც -ივ სუფიქსი დასტურდება, იქ -ევ სუფიქსიც სავარაუდო ჩანს და პირუკუ. სადაც -ინ სუფიქსია, იქ -ენ სუფიქსიანი ფორმაც უნდა გექონოდა და პირუკუ. **-ევ, -ივ** და **-ენ, -ინ** სუფიქსთა ურთიერთ შენაცვლებაც, როგორც ზემოთ ენახეთ, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა.

-ევ, -ივ სუფიქსები მასალობრივად ნამყო ძირითადისა **-ევ** (ვმკ-ევ, დავ-დ-ევ...) და ხოლმეობითში ნავარაუდევ **-ივ** სუფიქსებს უნდა უკავშირდებოდნენ. ეს სუფიქსები იმავე წარმომავლობისა ჩანს, რაც ხევსურულის თურმეობითში დადასტურებული **-ივ (აშენებ-ივ, სხმ-ივ...)**. კაუზატივის გამოხატვის ფუნქცია მათ შეძენილი უჩანთ.

5. ვნებითი გვარის წარმოების ზოგი თავისებურება

ხევსურულში **დონიანი** ვნებითის ნაცვლად ზოგჯერ ენიანი ვნებითი გვხვდება: **ეჭირება** (=სჭირდება): ...შუღლი რად უნდა დიაცსა? ასწავლას, რა **ეჭირება**? (ხევს. პოეზ., 652, 8); ...ჴევსურეთს წიგნებ წალალა: „თავ **მეჭირების**, ყმისაო“ (ხევს. პოეზ., 54, 6); „...აიქ **გეჭირების**, რო თაჯზე ფლასნ დაგხურნეს“... (გაბ., 137, 9); **მებრალების** (=მბრალდება): ...რა **მებრალების**, ბატონო. ორ რუსეთს მიმავალია (ხევს. პოეზ., 428, 25); შდრ. „გთხოვს“ და: ...რასაც წყალობას **გეთხოებოდნენთ**, ის წყალობა უბოძვიდით (ეთნ., I, 11); [შდრ. ფშ.: ...მე რაად **მეპირებოდი**, თუ გული გქონდა სხვაზედა? (რაზიკ., 147, 59); ...როცა კურდღელა ტყეში წავა,—ნადირნი **დეეღონებიან**, როცა სულაი მთაში წავა,—მურონი **დეეჭანებიან** (რაზიკ., 88, 24); ...ვერც დედმანითა მჯობიხარ, ვერც გვარით **გამესწორები** (რაზიკ., 143, 35)]. შდრ. ძველი ქართული: ...და **მოეგონა** მამასა მის ყრმისასა... (ინ. 4, 53 DE); C: ...**მოეგონა** მამასა მისსა ჟამი იგი... ...ყოველივე კეთილად **განემარჯვებოდა** (ხანძთ., ლგ 20; კშ 27); ნთის კილოებში სწორედ ძველი ქართულის ვითარება ჩანს შემონახული.

6. თემის ნიშანთა მონაცვლეობა. თავისებური ზმნები

ხევსურულში თავისებურებები ახასიათებს ზოგ ზმნას თემის ნიშანთა ხმარებაში. შეინიშნება თემის ნიშანთა მონაცვლეობა. **-ებ თემის ნიშნის ნაცვლად გვხვდება -ობ თემის ნიშანი**: ...**გიპირობს** გამაკიდებასაო (ეთნ., III, 8, 18); ...მაუკლავს არ **გაუშობს** (გაბ..

136, 24; 138, 20); ...დაუწყებს **წუნობას** (გაბ., 134, 21); ...იჭერს **დასწრობაზე** მთა-ბარს და ტყე-ველს (გაბ., 137, 2); [შდრ. თუშ.: **აპირობ** (უთურგ. 77, 3); ფშ.: ...ქადას **უპირობს** ჰამასა (რაზიკ., 81, 17.); ...**აპირობს** გადმოძრახვასა (რაზიკ., 131, 164); ...ღმერთი **მიპირობს** შველასა (რაზიკ., 184, 286); ...ჰკვას და გონებას ერჩიე, **რიგობას** სოფლებისასა (რაზიკ., 205, 64); ...ქორწილია და **მზადობა**... (რაზიკ., 205, 64)].

ზოგჯერ **-ობ** თემის ნიშანი ისეთ ზმნასთან ან მასდართან გვხვდება, სადაც არ მოველით: ...ამ დროშაის ძალით ბევრ იშლის **შუღლობას** (გაბ., 124, 20); ...ვაჟები წყალსიქითლები როშკის გორ **გროობდიანო** (ხევს. პოეზ., 170, 4); [შდრ. ფშ.: ...**უჯავრობს** მუახლეებსა (რაზიკ., 197, 27)].

-ობ-თემის ნიშანი გამოყენებულია სახელისგან ზმნის საწარმოებლად: **გონი—გონობა** (=ფიქრი): ...იმის **გონობას** ორ-სამ დღეს ჰაღარი გამამერია (გაბ., 206, 26); [შდრ. ფშ.: ...დავწვე, არ დამეძინება ლამაზის **გონებასაო**: აედგე—მეცემა ჭმანია, დავიწყებ **ღონებასაო** (რაზიკ., 145, 47)].

-ებ-თემისნიშნიანი ფორმის ნაცვლად ზოგჯერ გვაქვს **-ავ**-თემისნიშნიანი ფორმა: ...ავად-ა შენი პატრონი, ხამაზდიანი, **ჯველავსა** (მივლ. მას.); ...ჯერ ისრევ ღამე ბნელია, ზარბაზანთ იწყეს **ჯველვაო** (ხევს. პოეზ., 477; 2); ...შინით ბაჭუჭი ყვიროდა, ფირტვდამპალი და **მჯველვარი** (მივლ. მას.).

გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც: ...გუდან **ხკაზმებენ** დროშათა, სალაშქროდ ლამებდიანო (ხევს. პოეზ., 170, 2); ...ცხენს **ხკაზმებს** ითადანური, საისკე მიმავალია? (მივლ. მას.); ...ცხენს **ხკაზმებს** დამწვარათ ზალი მითხოელთ მუქარაზედა (მივლ. მას.), შდრ.: ...ლურჯასა **შაგიკაზმავ** ცხენსაო (ეთნ., III, 43, 18); ...ნიშასა **შაგიკაზმავ** ცხენსაო (ეთნ., III, 49, 10); ...შავრასა **შაგიკაზმავ** ცხენსაო (ეთნ., III, 47, 5).

უთემისნიშნო და **ი**-თემისნიშნიან ზმნებთან ზოგჯერ **-ავ**, **-ებ** თემის ნიშნები გვხვდება: **მაიკმარებს**, **მასწველავს**...

ზოგ თავისებურებას გვიჩვენებენ **ი**-თემისნიშნიანი ზმნები: **ვშველოდი**-ს ნაცვლად გვაქვს **ვშველდი** || **ვშველიდი**, **ვაწოდებ**-ის მაგიერ გვაქვს **ვაწვდი** (ნამყო ძირითადი: **მივაწვადე**), **ყიდდა**-ს მაგიერ—**ყიდიდა**: ...დღეს გიგიას **ვშველდით** კარტოხაის გარჩევაჩი (მივლ. მას.); ...მე რა უყე, თასს **ვაწვდი**' არ მართომს, ძალი(თ) რაკლა შავაძი(ვა)? (მივლ. მას.); ...თევდორეიც თელავ იყე გუშინ, კომოშტოს **ყიდიდ** (მივლ. მას.).

ათრევდა, დაათრევდა-ს მაგიერ გვაქვს **ითრევდა, დაითრევდა** (**ათრევდა** ხევსურულად ნიშნავს „ათრევინებდა“, **დაათრევდა**—„დაათრევინებდა“...), **მოათრევდა**-ს ნაცვლად გვაქვს **მასთრეოდა** (←***მასთრეოვდა**←**მასთრევავდა**), **მოათრევს**-ის მაგიერ—**მასთრევავ**: ...ეგ რაადაც **მაგთრეოდათ** აქ, ეგ რაისაც გამკეთეი? (მივლ. მას.); ...სად **მიგთრევავ**, ქალავ ე ჯოხი, დააგდ ჩქარა! (მივლ. მას.); **მოათრიეთ**-ის ნაცვლად გვაქვს **მასთარეთ**: ...ეს საითა-ღ ვინ **მასთარეთ**, ჩვენებსავით რო ვერ ასა? (ხევს. პოეზ., 545, 8). შდრ. ვაჟა: ...ჩამოვიდოდა ბაყაყი ტიტველ **მოსთრავდა** ფაშია... (**მოსთრავდა**=მოათრევდა იგი მას? შდრ. ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფ., 1953, გვ. 312).

მინდოდი-ს ნაცვლად გვხვდება **მინდი**: ...იმით **მინდი**, კვირიკაო, კარგი იყავ იმითაო (ხევს. პოეზ., 326, 1); აქედან საკუთარი სახელი **მინდი** (ხოგაის მინდი) შდრ. **მინდია, მინდა** (ქალის სახ.), **მინდოდა**→**მინდოდაური, მინდიკა**→**მინდიკაური**...

ატირებს ზმნის ნაცვლად გვაქვს **ატირილებს**: ...რა გარცხვნის, რა **გატირილებს**? (გაბ., 216, 25).

ხევსურულში გვაქვს **პეროვინ, ცრემლოვინ**... ტიპის წარმოების ზმნები: **გიტრელოიან, გიჭრელოიან**: ...ყმაწვილო ბეწინიკაო, რას თვალნი **გიჭრელოიან**? ჯელი მიგიდის ჭმალზედა, რას ჯარნი **გიტრელოიან**? (ხევს. პოეზ., 310); **დამლალოიან**: ...ესენ კი **დამლალოიან**, როგორც ჩობნებ მსუქნებს ცხვრებსა (ხევს. პოეზ., 452, 6); **მილბაზოის** (=შეჰნატრის): ...აიმით ვაკეთ, რო თავისა ხქონდასავ დღეესწველჩიაე (=დღეობებში), სხვათ ნუ **მილბაზოიანავ** (მივლ. მას); **მიზეზოის** (=მიზეზობს): ...აი ნაჭრეე **უმიზეზოის** იქავ, ვერ რაადამ გამაიკაფ ჯერ (მივლ. მას.); **ჩქაროის**: ...ლეკოს მარჯვენა **ჩქაროის**, ჯელით უჭერავ ჯელია (მივლ. მას.); ...მარჯვენა თვალ რაადამ **მიცრემლოის**, ანაბრივე რაიმ ჩამიეარდ (მივლ. მას.); **ჟღმუთოის** (=მოღრუბლულია და ცრის): ...მონა დარი, ქალო, სრუ რასამ **ჟღმუთოის**, წვიმს, იღურბლების (მივლ. მას.). ასეთივე წარმოებისაა ხოლმე წა- პრეეერბიანი ნასახელარი ზმნები, რომლებიც ფერის ოდნაობაზე მიუთითებენ: **წითელი**—**წასწითოის**: ...მალეგონა-ღვიძლისფერ რაჯელიმ იყე. ზურგზე ქვე **წასწითოდ** ცოტაად (მივლ. მას.); **ყვითელი**—**წახყვითოის**: ...კა ლუდი, მაგრემ დაფერულ ვერ-ა, **წახყვითოის** (მივლ. მას.), [შდრ. ვაჟა: ...მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს, არ **დაგვნათოის** თაზედა (რჩ, ნაწ., 1936, გვ. 46)].

ასეთ ზმნებში თემის ნიშანია **-ოვ**: **ცრემლ-ოვ-ი-ს, მილბაზ-ოვ-ი-ს**... ხმოვანთა შორის **ვ** იკარგება. ასევე იწარმოება ერთმარცვ-

ლიანი უ-ზე ფუძეგათავებული ზმნები. მათში, მსგავსად უ-ზე დაბოლოებული ერთმარცვლიანი სახელებისა (კუ, რუ...), უ-ს შემდგომ ვ ჩნდება, როგელიც ორ ხმოვანს შორის ისევ იკარგვის: ტყუვის→ტყუის, ხყუვის→ხყუის, შა-სუვის→შა-სუის (=შეჰლაციცებს, რაღაცას გამოელის მისგან) და სხვა. ამ- და ცრემლოვის ტიპის ზმნებს ნამყო უსრულში -ოდ სუფიქსი აქვთ (შდრ. ფშ. ხოლმ.: ვაკეთ-ი —ვაკეთ-ოდ-ი): ცრემლოის—ცრემლოოდა, ულმუთოის—ულმუთოოდა, მიზეზოის—მიზეზოოდა, ხყუის—ხყუოდა, ტყუის—ტყუოდა...; ტყუის, შასუის ტიპის ზმნებს -ილ სუფიქსიანი მასდაოი აქვთ: ყუილი, ტყუილი, შასული (შდრ.: ტირ-ი-ს—ტირ-ოდ-ა—ტირ-ილ-ი, ჩივ-ი-ს—ჩი-ოდ-ა—ჩივ-ილ-ი, კივ-ი-ს—კი-ოდ-ა—კივ-ილ-ი და: მ-კ-ი-ს—მკ-ი-დ-ა—მო-მკ-ილ-ი, ცრ-ი-ს—ცრ-ი-დ-ა—გა-ცრ-ილ-ი, თლ-ი-ს—თლ-ი-დ-ა—გა-თლ-ილ-ი, სწყურ-ი-ს—სწყურ-ოდ-ა—წყურ(ვ)-ილ-ი, სტკივ-ი-ს—სტკი-ოდ-ა—ტკივ-ილ-ი და მისთ.).

ჩივის, კივის, ტყუის... ზმნებს დასაელურ კილოებში სხვაგვარი წარმოება აქვთ: ჩივის—ჩივა, ტყუის—ტყუვა, კივის—კივა [შდრ. ლიტერატურული: სტკივის—სტკივა, შივის—ში(ვ)ა...]. ხევსურულში სტკივა, შივა, სცივა და ზოგ სხვა ზმნაში შეინიშნება ლიტერატურულის მსგავსი წარმოება, თუმცა ეს ზმნებიც ძირითადად ძველებურ წარმოებას ინარჩუნებენ მსგავსად ხყუიხ, ტყუის... ზმნებისა.

პირაქეთულ-არხოტულ ხევსურულში -ავ, -ამ თემისნიშნიანი ზმნები ნამყო უსრულში სამსავე პირში -ევ, -ემ სუფიქსს ირთავენ: ვჯნევდი, ხჯნევდი, ჯნევდ(ა); ვსვემდი, სვემდი, სვემდ(ა). შატილურ-მიღმაკეურმა კილოკავმა ასეთი წარმოება არ იცის, იგი სალიტერატურო ქართულს მიჰყვება.

საილუსტრაციო მასალა პირაქეთულ-არხოტული კილო-კავიდან:

ავ—ევ: ...ჭელჩი ეჭარა შიშვლებ ჭმლებიო, ერთმანეთს ყორნება **ულალევდესო** (ეთნ., III, 14, 11); ...**ბრუნევდეს** სიხლის მორევჩიაო (ეთნ., III. 14, 9); ...ძმას მივეყუდე ნატყვიარსაო... თავითი ყორნებ **უგოგევდაო** (ეთნ., III, 13, 5); ...დაგროვდეს შიბუს ჭალაჩი, ჯუთისკე **ლამევდიანო** (ხევს. პოეზ., 175, 3); ...წინავაც ეგე უნდა ექნაო, ამაგას **უჭურევდეს** სხვანიო (ეთნ., III, 53, 17); **გალბეგრევდა** (ეთნ., III, 8, 29); **ზიდევდას** (გაბ., 162, 35); **გამასთელევდა** (გაბ., 122, 23); ასეთი წარმოება ფშაურში აღარ გვაქვს, უნდა გვქონოდა კი; ამაზე თითო-ოროლი შე-

შორჩენილი ფორმა მეტყველებს: „...იმან ის მითხრა: „მამშორდი, თორო ქვას დაგცემ თავზედა!“ მე ივას მალევ შევატყვე, არა ხუმრობდა, **დამკრევდა** (ვ. ხორნაული, ფშაური მილექსებანი, გვ. 19); ...ქალებს უცვავ წითელ კაბა ბულულაით ნაყიდები, ყელზე თეთრებ მიბებ უძე, ყულია ძირში საკინძები. მაგათ უფრო ობაბაც მაძცა, რა მალიმალ **დავშინჯევდი**! (რაზაკ., 248, 270); ზოგ ფშაურ ლექსში დარღვეულია რითმა, აქაც. ჩვენი აზრით, -ევ სუფიქსიანი ფორმები ჩანს გადაკეთებული -ავ სუფიქსიანებად:

...მე ვნახე გოგრისყელაი, მაყალურძასა **ჰხრავდაო** ჩაადენ, ჩავიდენ ბალაშნი, იძახეს: „ქაცი **კვდებაო**“ (რაზაკ., 195, 26); ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო შერითმული: **ჰხრევდაო — კვდებაო**.

...სხლოვანზე ჩამოვიარე. პარასკევაი **ჰხნავდაო**,

შეება ბარულ გუთანი, შიგ ცხრა უღელი **ებაო**...

რა პური ვაგითავდება, ევეთავ გუთნის **დედაო** (რაზაკ. 198, 30); აქაც შერითმული უნდა ყოფილიყო: **ჰხნევდაო — ებაო — დედაო**.

ამ — ემ: ...დროშათ ქვე ვინაღ **აგვიბემდაო** ჭმალას წითლი(ს)თა ატლასისთაო? (ეთნ., III, 8, 25); ...ივანეი და ხოლიკა მუჯლს **მაიბემდეს** მგლისასა (ხევს. პოეზ., 130, 9); ...შენ კი არა სომ არაყსა, ჩემის ხათრით თუ **შახვემდი** (მივლ. მას.); ...ლამაზად ვერ ამიჩინდი, თორპილს **გაბემდი** ლიშანსა (ხევს. პოეზ., 130, 17); ...არაყს **ვსვემდით** (გაბ., 155, 25) ...ამახკრეფდ წყალს, მაიტანდ შინ, **ჩაასხემდ** ზის-ცვართ და სრუ კარაქად იქცეოდ (გაბ., 156, 20).

თავისებურია ხევსურულში ზოგიერთი ზმნის მ ა ს დ ა რ ი ს წარმოება. -ილ სუფიქსს -ინ ცვლის: **ღმინი** (=ღიმილი): ...პირჩი **ღმინი** აქვ დამრჩალი, ჯავრ ჩაიყოლია მტრისაო (ხევს. პოეზ., 539, 30); ...ვისაც ერგებია წასელაი, პირში დაშრების **ღმინია** (ხევს. პოეზ., 450, 13); ...ცოცხალა უშიშას უამბეს. პირს **ღმინი** ექნებისაო (ხევს. პოეზ., 103. 19). **ქადინი** (=ქადილი, დაქადება), **წადინი** (=წადილი, შდრ. **მოწადინება**): ...აბაშამა თქვა: „დავბერდი, მუჯლებს აღარ მაქვ **წადინი**, ნეტავი არ ვამდიოდა მაგ მუხუაურთ **ქადინი** (ხევს. პოეზ., 65, 2); შდრ.: ...ლექსობა **მამაწადინა** მამაწვადენით ხენია (მივლ. მას.); **ძახინი**: ...მე შეველაობით **იძახინაო** (ეთნ., III, 35, 4); **სიცინი** (შდრ. იცინის): ...რაად იციან ქალებმა სამრელოს კარჩი **სიცინი**? (ხევს. პოეზ., 359, 2).

-უნ სუფიქსით იწარმოება ზოგი ისეთი მასდარი და ზმნა, რომელთა მასდარიც სალიტერატურო ქართულში ფუძის გაორკეცებით კეთდება: **ბრაცა-ბრუცი** და ხევს. **ბრაცუნი** („ფეხის ცემა

მიწაზე ვინმეს შესაშინებლად"): ...წამადგა, **ბრაცუნ** დაიწყა, საწყენს სუყველა იწყენსა (ხევს. პოეზ., 577, 21); ...ნაჩალიკ **დამიბრაცუნდა**: „ჰევსურო, რად ხარ მცდარია?" (ხევს. პოეზ., 448, 24). აქედან გაკეთებულია თიკუნი **აბრაცუნა** („ხტუნია, უბრალო რამეზე როჭ ჯავრობს, ფიცხობს") ...იასაულ მიხიელი რაჭელ **აბრაცუნაიო** (ხევს. პოეზ., დამატ. 784, 11). **ღლათ-ღლუთი ‖ ღლათუნი** („გაუგებრად ან გაუგებარ ენაზე ლაპარაკი"): „...ქისტურა **ღლათუნობდეხავ**, ვერა გავიგონევ"... (მივლ. მას.) (შდრ. ლიტერატურული: **ბრაგა-ბრუგი ‖ ბრაგუნი, წკაპა-წკუპი ‖ წკაპუნი** და მისთ.); **წკმუტუნი** („გამუქებული ხვით ტირილი ქალისა ან ბავშვისა"): ...დადგა ქალების **წკმუტუნი**: „ვერ ვიჭერთ მამასწვერასა!" (ხევს. პოეზ., 545, 25).

ხტუნება-ს მაგიერ გვაქვს **ხტოლება**: ...ბევრჯერ **გახტოლე**, ლურჯაო, დღე დაგაყენე მწარეო (ხევს. პოეზ., 461, 13); ...ერთნ ცხენ-მჭედარნ დენიღას ჩამაჩინდეს. ვინ-რა იჯდ ცხენზე, ვერ გავიგით, **მაახტოლებდ** თავქე აი ცხენა (მივლ. მას.); შდრ. გეოგრაფიული სახელი შატილში **სახტოლანი** (წვრილქვიშიანი ადგილია, რომელზედაც ხტომა-ხტომით ეშვებიან თავქვე). **ფრენა**-ს ნაცვლად **ფრინდომა** გვაქვს, **გაფრენა**-ს ნაცვლად **გაფრინდოლება**: ...აკლიან ნისლის ფერასა **გასაფრინდომლა** თბენია (ხევს. პოეზ., 619, 10; გასაფრინდომლა←გა-სა-ფრინდომ-ელ-ად); ...თხილის ოდ-ოდენ ცრემლ **დააფრინდოლ** (მივლ. მას.).

ზოგი თემისნიშნიანი ზმნა ხევსურულში უთემისნიშნოდ იხმარება: **ხჯოცს, ღნაყს, სთიბს** და მისთ. **ძებნა**-ს ნაცვლად გვაქვს **ძევა: ვიძევ, იძევ, იძევს**... (შდრ. სალიტერატურო: **მოიძია, გამოიძია**...).

ხევსურულში რიგი თავისებური ზმნა გვხვდება. თავისებურება ზოგჯერ ძველი ქართულის გადმონაშთია, ზოგჯერ კი ხევსურულ დიალექტურ ნიადაგზე აღმოცენებული.

ზოგი ზმნა მრავლობითში ფუძეს იცვლის:

ძის („ზის") — სხავ-(ი-ს)

...ამაგ სიმღერის მათქვამი შატილ ბოლოზე **ძისაო** (ხევს. პოეზ., 173, 17); ამ სტატიკურ ზმნას **სხ-ავ** სტატიკური ზმნა ცვლის მრავლობითში: ...სათავეს **უსხენ** უფროსნი, აძრახდებიან ჰკვაზედა, ბოლოში უნცროსებ **უსხავ**, ჴელებ მიუდის ჴმალზედა (ხევს. პოეზ., 6, 2—3); ...აეხლად იყვას, ბერდიავ, აქ **ვსხეოთ** ჩემსა სკამზედა (ხევს. პოეზ., 32, 3); ...ქისტებ გზას **უსხენ** უშიშას,

მაშინ შუღლ მაუქდებოდა (ხევს. პოეზ., 109, 12); ...გველრდს არ უსხენა ვაჟები: შალვა, ივანე ძმანიაᲨ (ხევს. პოეზ., 224, 26); დახხეით (გაბ., 126, 3).

ეს ზმნა ძველი ქართულისაგან იმით განსხვავდება, რომ მრავლობითობის სუფიქსად მასში გაგებულია -ენ, რომელიც -ედ სუფიქსის ტოლფარდია. შდრ. ფშ.: ...გზაში სხედს ქისტის შვილები (რაზიკ., 54, 99) და ხევს.: ...ეს უნცროსები სხენ ბოლოში მუქლით (გაბ., 125, 12). მოსალოდნელი იყო სხენ-ან ან სხედ-ან, მაგრამ ხევსურული აღარ ურთავს -ან ფორმანტს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, -ავ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები ხევსურულისა შეეფარდება სალიტერატურო ენის -ი-ა დაბოლოებიან სტატიკურ ზმნებს: ხ-ყრ-ავ —ყრ-ი-ა; ხევსურული სხავ გვავარაუდებინებს სალიტერატურო ქართულში *სხ-ი-ა ფორმას, მაგრამ ასეთი ფორმა არ დასტურდება, გვაქვს ა-სხ-ი-ა (←ჰ-ა-სხ-ი-ა). საერთოდ ხევსურულში ხშირია S_3 და O_3 პირის ნიშნის დართვა უბმოვნოდ: ლ-ბავ (შდრ. ა-ბია←ჰ-ა-ბია), ს-ცხავ (შდრ. ა-ცხია←ჰ-ა-ცხია) და მისთ. (ამის შეაახებ იხ. ზემოთ).

ზის (ხევს. ძის) მესამე პირის ფორმაა, პირველ-მეორე პირებში მეშველზმნიანი ფორმები გვაქვს: ვზივარ, ზიხარ (ხევს. ვძეორ, სძიხარ). ხევსურულში დასტურდება ვძი ფორმაც: ...ჩიტი იძახს: წიიო, კალოს პირჩი ვძიი-ა, მარკვალაებს ვკრეეფო, კუპმეჭაჩი ვყრიიო (მივლ. მას.); ვძი ძველი ქართულის გადმონაშთია.

ზის (‖ ძიხ) პირველ სერიაში გვაქვს, მეორე სერიაში მას ჯედ-ძირი ცვლის. ჯედ- ძირსაც მრავლობითში სხ-ედ ენაცვლება. აქ თავისებური ის არის, რომ: ა) ჯედ- ხევსურულში არასოდეს არ გვაძლევს ჯექ-ს, რაც სალიტერატურო ქართულში დეგ ‖ დექ ზმნასთან ანალოგიით არის აღსნილი და ბ) ჯედ- ძირის მონაცვლე სხედ- ძირი სხენ ფორმით არ გეხვდება. თუ -ენ გამოჩნდა, იგი ობიექტის მრავლობითობისა იქნება: დავჯედ—დავსხედით (→დავსხენით) შდრ. დავსხენით (ჩვენ ისინი): „სტუმარნ დავსხენით სკამზედ“, „წისქვილნ დავსხენით“... (შდრ. ძვ. ქართ. სხ-ენ-ან). ზის (ძის) პირველი სერიის აწმყოს სამიეე პირის მბოლოობითშია მარტო, დანარჩენი ფორმები ნამყო ძირითადისეულ ჯედ-ძირზეა აშენებული: ვჯდები, გჯდებოდი, ვჯდებოდა...

ძეს („ძევს“, „დევს“)—სხავ ‖ ხურავ

ძეს-ზმნაც მხოლოდ აწმყო დროის მბოლოობითი რიცხვის სამსავე პირში იხმარება: ვ-ძე-ორ, ს-ძე-ხარ, ძე-ს; მრავლობითში

მას სხ- ‖ ყრ- ძირი ცვლის. სხ-ძირი მრავლობითი რიცხვის მესამე პირშია ბუნებრივი, I და II პირში იგი არ იხმარება, ალბათ, იმიტომ. რომ ძის და ძეს ზმნათა მრავლობითი ერთმანეთს ემთხვევა. ყრ- ძირი პირველ და მეორე პირშიაც იხმარება: **ეხყრიოთ, ხყრიხართ, ხყრავ ‖ ხყრიან ‖ სხავ ‖ სხენ.** ძეს-ძირში **ვ** დაკარგულია: **ძევს→ძეს:**

...ლაშარს შაუყოის მშავლებსა: „ქმოსტი ძეს საქონიანი“ (ხევს. პოეზ., 180, 2); ...ნისლ ძესა ლებაისკარსა სუ მუდამ აუყრელადა (ხევს. პოეზ., 67, 1); ...შენზე წინ კაც კი ვერ წავა, რკინისა გიძეს გულია (ხევს. პოეზ., 217, 25).

ამ ზმნას მეორე სერია დევ-ს ზმნის ი-ნიანი ვნებითით შენაცვლებული აქვს: და-ვ-ი-დევ („დაევედე“, შდრ. „წიგნი დავიდევ წინ“), და-ი-დევ, და-ი-დვა; მრ.: და-ვ-ე-ყარ-ენ-ი-თ, და-ე-ყარ-ენ-ი-თ, და-ე-ყარ-ნ-ეს ‖ და-ვ-ი-სხ-ენ-ი-თ, და-ი-სხ-ენ-ი-თ, და-ი-სხ-ნ-ეს. „თქვენ რაისადაღ დაისხენით შინ, რადარ თქვენაც წახვეითო?!“ (მიქელ. მას.). დაისხ ენ-ი-თ აქ ერთპირიანი ზმნაა (შდრ. „დაისხენით თავზე ჭელნი“, სადაც ზმნა ორპიროიანია და გარდამავალი, ხოლო -ენ ობიექტის მრავლობითობის სუფიქსია).

მეორე სერიის ფუძიდან (დევ-ფუძიდან) კეთდება აწმყო: და-ვ-ი-დ-ებ-ი, და-ი-დ-ებ-ი, და-ი-დ-ებ-ა ‖ და-ი-დ-ებ-ი-ს. ნამყო ძირითადისეული -ევ სუფიქსი ხევსურულის აწმყოში აღარ ჩანს (დიალექტური დად-ობ-ს ფორმა -ევ სუფიქსის კვალს შეიცავს **და-დ-ევ-ებ-ს→და-დ-ვ-ებ-ს→და-დ-ობ-ს,** შდრ. **აკმობს, აშრობს...**)

ძეს-ზმნას ორპირიანი ფორმა ა პრეფიქსით აქვს ნაწარმოები და აქაც მრავლობითში სხ- ძირი ენაცვლება: **ვ-ა-ძე-ორ, ა-ძე-ხარ, ა-ძე-ს, ვ-ა-სხე-ორთ, ა-სხე-ხართ, ა-სხ-ავ ‖ ა-სხ-ენ;** ობიექტური წყობით: **მ-(ა)-ძე-ს, გ-(ა)-ძე-ს, ა-ძე-ს ‖ ს-ძე-ს; მ-(ა)-სხ-ავ ‖ მ-(ა)-სხ-ენ, გ-(ა)-სხ-ავ ‖ გ-(ა)სხ-ენ, ა-სხ-ავ ‖ სხ-ავ ‖ ა-სხ-ენ ‖ სხ-ენ.** გარდამავლობისათვის **და-დვ-ა, და-სხ-ა, და-ყარ-ა** ფუძეები გვაქვს: **და-ვ-დ-ევ, და-ს-დ-ევ, და-დ-ვ-ა; და-ვ-სხ-ი, და-სხ-ი, და-სხ-(ა) ‖ და-ვ-სხ-ენ, და-სხ-ენ, და-სხ-ნ-ა ‖ და-ვ-ყარ-ი... -ენ, და-ს-ყარ-ი... -ენ, და-ყარ-(ა)...-ნ-(ა).**

დასვა—დასხა

დაჯდა გარდაუვალი ზმნაა, გარდამავლობისთვის **და-სვ-ა** ზმნა გვაქვს. მრავლობითში ამ ძირსაც სხ- ძირი ცვლის: ...აბყარეს იარაღები, ეგენ არ დასხნეს ჭლიანში, ოთხნივე დასხნეს ერთადა, ტაბლა დაუდგეს ზიარი (ხევს. პოეზ., 85, 3—4); ...შორს

დასხნა ამხანიგები, მარტუა მარტომ გაიგდა (ხევს. პოეზ., 114, 6); ...ჩაგისხამ მალულ-მალულსა, არ დაგიჩქამებ ქვიშასა (ხევს. პოეზ., 134, 17).

წაიყვანს—წაასხამს

ხევსურულში წაიყვანნა-ს გვერდზე იხმარება წაასხა || წაასხნა: „...ჭელად წაასხეს“ იძახან ჯარავნისასა, ტყვისასა (ხევს. პოეზ., 130, 4); ...თრუსოს მაჲსხენ მაშვრალნი, დანდობით დასჭერ თავია (ხევს. პოეზ., 19ა, 4); ...ქალაქ მიგვასხმენ ურუმნი, ჴევსურთ იქ მოდის ჯარიო (ხევს. პოეზ., 48, 29); ...არ გამოგვისხნეთ დარნითა შუქო, თამარო დანიო (ხევს. პოეზ., 2, 13).

ძველ ქართულში უპირატესად წარიყვანნა ფორმა გვაქვს, თუმცა გან- ზმნისწინით სხ ძირიც იხმარება: განასხნა, განასხმიდა...

აგებს || აცვამს—ასხამს

...ბეჭებს ასხეს ისარი; ბრალია, ჯაჭვი არ ეცვა! (ხევს. პოეზ., 18, 25); შდრ. „მძივი აცვა ძაფზე“ და „მძივები ასხა ძაფზე“.

დებს—აწყობს || სხამს

ხევსურულში ჩვეულებრივია ამ ზმნათა მონაცვლეობა რიცხვში: ...წაიქცა ქალუნდაური, ირემმა დასხნა რქანია (ხევს. ჰოეზ., 30, 14); ...უფრო კან ესხნეს ტალავარნიო, გადახატულნი ყაწმითაო (ეთნ., III, 87, 3); ...არ გამაუშვეს ვაკისას, წვერისას დასხნეს გზანიო (ხევს. პოეზ., 12, 17); ...ღმერთმა გაცხონას, ბებერო, ხახაბოს ხახის დედაო, დააცხობ კეცეულებსა, დააწყობ ზედი-ზედაო (მივლ. მას.).

იბამს—ისხამს

...ოროლ პირ მასრა აისხეს, თოფებს უხარის მჭარზედა (ხევს. პოეზ., 139, 13); ...ვაჟასა შენისთანასა განა თუ აგრე სმა უნდა? დილას ადგომა აღრიან, გრილსა რკინასა სხმა უნდა (ხევს. პოეზ., 268, 2).

დააგდებს—დახურის, ვარდება—იყრება

„დააგდებს“ ზმნას მრავლობითში „დახურის“ ზმნა ცვლის: ...დედა, ობლების დამყრელი, კაცის მკვლელს ედარებოდა (მივლ. მას.); ...ბადრი, უსიპი, ამირან ობლები მავიყარენით (მივლ. მას.). ასევე „ვარდება“ ზმნას მრავლობითში „იყრება“ ცვლის: „ფურ კლდეთ გადავარდ“—„ფურებ კლდეთ გადაიყარ“, ან „ფურ-ჯბონ

ქლდეთ გადაიყარნეს“. ძველსა და ახალ ქართულში „ვარდება“ ზმნას მრავლობითში „ცვივა“ ცვლის. ხევსურულში „ცვივა“ ზმნა არ დასტურდება. [შდრ. ფშ.: ...დაიჭცევიან მანდითა, დაღისტანს ჩაცვივიანო (რაზიკ., 9, 1);]. ლიტერატურული ცვ-ივ გვავარაუდებინებს *ცვ-ევ ფორმას, მაგრამ ასეთი არ დასტურდება. სამაგიეროდ გვაქვს ა-ცვ-ენ-ს—(და)-ა-ცვ-ინ-ა...

ხევსურულში ზოგი ისეთი ზმნაც დასტურდება, სალიტერატურო ქართულს რომ აღარ შემორჩა ძველი ქართულიდან. მნიშვნელობა ზოგჯერ ცვლილია, ზოგჯერ კი იგივეა, რაც ძველ ქართულში იყო. ზოგი ზმნა მარტო ხევსურულშიღა დასტურდება:

მამლამს („მომელის“)

„მომელის“ ზმნის გვერდზე იხმარება „მამლამს“: ...კაცისა რა გაიგების, ვინ იცის, რაი-რა მამლამს“? ეს იგივე ძირი ჩანს, რაც ძველი ქართულის „ჰლამის“, რომელიც ნ. მარს რუსულად рассчитывает-ით უთარგმნია[75]. შდრ.: ...შეილნი მწვალებელთანი კრებასა ჰლამოდიან (ხანძთ., ოე 33).

ეს ზმნა „ლამავს“ ფორმითაც უნდა გვქონოდა ხევსურულში, ამაზე მიუთითებს ნამყო უსრულის ფორმები: ...დაგროვდეს შიბუს ჭალაჩი, ჯუთისკე ლამევდიანო (ხევს. პოეზ., 175, 3); ...გუდან ხკაზმებენ დროშათა, სალაშქროდ ლამებდიანო[76] (ხევს. პოეზ., 170, 2); ამ ზმნის მასდარია ლამინი და აქედან ახალი ზმნა „ლამინობს“: ...რახან დაჭშირდან მასკვლავნი, ბევრს უბარიან ქალასა, ძმობილისაკე ლამინობს, ძნელად რო დეეშალასა (ხევს. პოეზ., 359, 16).

დაგება (თვალისა) („თვალის ჩაკვრა“, „ყურება“):

„თვალის დაგება“ თვალის ჩაკვრის მნიშვნელობით: ...ცხვარწყემსი მაუვიდოდა, ერთუცს დაუგეს თვალიო (ხევს. პოეზ., 129, 9); ...ქისტურად ხკითხეს ამბავი, ერთ-ურთს დაუგეს თვალიო (ხევს. პოეზ., 204, 7). „თვალის დაგება“ თვალ-ყურის დევნების, ყურების მნიშვნელობით: ...გადმადგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ, დაუგი თვალია (ხევს. პოეზ., 542, 2); ...შამდინარ-გამამდინარმა სწორებმ დაუგან თვალიო (ხევს. პოეზ., 73, 3); ...შაჭანა-დ' ღამ-

[75] ი ვ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის... გვ. 67.

[76] უნდა: „ლამევდიანო“ (ალ. ჯ.).

ბერდა შაიბნეს, ლაშქართ დაუგეს თვალიო (ხევს. პოეზ., 110, 8); შდრ. ძვ. ქართ.: ...ჰგებს და ბოელის მოქცევასა (წარტყუენ., 30 23); ...ვჰგებდი აღსრულებასა ლოცვისა მათისასა (რავახ., 82, 23, 82, 34); [შდრ. ფშ.: ...ერთ მენაჯმირე მევაჭრა, ბე მიკვირს როგორ გაბედა, რა-რიგად შემომევაჭრა, თვალებს რა-რიგად აგებდა? (მიულ. მას.).

ჰერა (თვალით) („ყურება“, „თვალ-ყურის დევნება“):

...მთიბლად გაქებენ ბიძაშჩემაო, წამავალ თვალით საჰერლადაო (ეთნ., III, 22, 24); ...იჰერენ გადმოსაჰედსა, ლეკ როშენს მოოს მთასაო (ხევს. პოეზ., 50, 5); ...მზეს ვერ შავხენებ უშენოდაო, მზეს უშენობით დაჩდილულსაო, შენ ცოლს ვერ ვიჰერ შინ წასულსაო, ქალსა სიკეთით არჩეულსაო, დედას ვერ ვიჰერ გულმტკივანსაო, მამას ტარივით აბრუნვილსაო (ეთნ., III, 64,13, 15)

ქსინი (ამინდი) („ქარიანი, უსიამოვნო ამინდი“)

ძველ ქართულში „ქსინავს“ ზმნა აშლილ ამინდს, აშლილ ჰაერს ნიშნავდა. საბა წერს: „ქსინვა ავად აშლილივით (+ჰაერი A)“, „მქსინვარე—მაწყინრად აშლილი“. ...განთიად სთქჳთ: ზამთარი იყოს, რამეთუ ქსინავს მწუხარედ ცაჲ (მთ., 16, 3). სალიტერატურო ქართულსა და ბევსურულში ეს ზმნა არა ჩანს, მაგრამ ხევსურულში შემოგვრჩა ამ ზმნის მასდარიდან გაკეთებული სუბსტანტივი ქსინი, რაც სწორედ „ავად აშლილივით ჰაერს“ ნიშნავს: ...რა მონა დღე გათენდ, რაჴე ქსინი! ...გუშინაც ეეს ქნა: დილა თბილ იყვა' წუხრისად ქვე აქსინდ (მიულ. მას.).

ქსინი „ქსინავს“ ზმნის მასდარია. ასეთი წარმოება უჩვეულო არ არის: ღრინავს—ღრინი || ღრინვა, გრგვინავს—გრგვინი || გრგვინ-ვა || გურგუალი, გმინავს—გმინი || გმინვა, ხვრინავს—ხვრინი || ხვრინვა; შდრ. სალიტერატურო ქართულის სძინავს—ძილი (მაგრამ: და-ი-ძ-ინ-ა), ყინავს—გაი-ყინ-ა, ყინ-ელ-ი || ყინ-ულ-ი და ჭან. ყინ-ი || ცინ-ი || ინ-ი, მეგრ. ცინ-ი „ყინვა, სიცივე, ცივი“ (არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 190; 355).

ასეთ წარმოებაში საყურადღებო ის არის, რომ მასდარი და შემდეგ სუბსტანტივი, უპირატესად, ნამყო ძირითადის ფუძიდან კეთდება: ა-ჩ-ენ-ს—ა-ჩ-ინ-ა: ჩინი („თვალის ჩინი“); უ-ჰვრ-ეტ-ხ—უ-ჰვრ-ოტ-ა: ჰვრიტი („ჰუპრუტანა“←ჰრუტ-ჰვრ-უტ-ან-ა←ჰვრიტ-ჰვრიტ-ან-ა?) და მრავალი სხვა.

უდბადა („ცუდი", „უსუფთაო", „უპატიოსნო")

ძველ ქართულში **უდები** და **უდებება** ზარმაცს და სიზარმაცეს, მკონარეობას ნიშნავდა, ხოლო **უდებ-ყოფა** უგულებელყოფის, არად ჩაგდების მნიშვნელობით იხმარებოდა. საბა განმარტავს: „**უდები** ესე არს მცონარებით მოქმედი". „**უდბი**—**უდები**". „**უდბება**—**უდებება**".

...უკეთუ იხილნის **უდებნი** და დაჴსნილნი... (ცბაჲ იოანესი, 65, 3); ...ოდეს იხილის ძმათაგანი ვინმე **უდბად** და მოძილად (ცბაჲ იოანესი, 94, 2); ...მათ **უდებ-ყვეს** და წარვიდეს (მთ., 22, 5).

ხევსურულში **უდები**, **უდბი**, **უდბება** და **უდებ-ყოფა** აღარ ჩანს, მაგრამ გვაქვს სიტყვა **უდბადა**, რაც ცუდს, უსუფთაოს ნიშნავს: ...მაგას ვინ მიეხლების?—მზორი, **უდბადაი**! (მივლ. მას.); ...დაიკარგ აქით! სუყველას უფერსა' **უდბადას** შენ იგონებ! (მივლ. მას.).

უდბადა არის **უდბი** სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც პალატალიზებული -ა ნაწილაკი დართვია და სრულიად ახალი სახელი წარმოუქმნია, რომელიც ხელახლა იბრუნვის: **უდბადა**, **უდბადამ**, **უდბადას**, **უდბადის(ა)**, **უდბადით(ა)**, **უდბადად**... ამ ახალ სიტყვაში სიზარმაცისა და უგულებელყოფის გაგება გამქრალია, მაგრამ მნიშვნელობის ცვლა მოულოდნელი არაა: **უდები**—ზარმაცი, უსაქმური, ე. ი. ცუდი; **უდბად**—ზარმაცად, ცუდად; **უდბადა**—ცუდი, უსუფთაო...

ხულე! („სუ!")

საბა წერს: „**სულელვა**—ცხენთ დასამშჳდებელი სტუენა". ეს იგივე სიტყვა უნდა იყოს, „ვეფხის-ტყაოსანში" რომ გვხვდება და „**ხუ**"-ს რომ ნიშნავს (უფრო სწორად: **ხუ**←**სულე**): ...ეტყოდა: **სულე**! რამც გიყავ (233, 1); ...დააგდეს მღერა მუტრიბთა, „**სულეთ-ო**"! თავი ხარიან (485, 1). საბა წერს: „**სულის დაღება** დაჩუმება". ხევსურულში **სულ-ღებული** წყნარს, მშვიდს, თავაზიანს, არა-ამპარტავანს ნიშნავს ...ყმა სოფელს **სულ-ღებული** ჯობ, ომის კარ—მაღლა მჭეხარი (ხევს. პოეზ., 320, 2). ხევსურულში **ხულე**-ც გვხვდება: „**სუ**, ქალო, გაჩუმდი, „**სულევ**" არ მაგდისა, შე სულგასაყრელო, შენ!" (მივლ. მას.); „**სულე**" ნიშნავს: „გაჩუმდი", „ხმას (**ხულს**) ნუ იღებ", „**სული დაიღე**"...

ღგულავ („აპირებს")

ოთხთავში **ეგულებოს** ნიშნავს აპირებს (გულში აქვს, ფიქრობს): ...რომელი **გეგულებოს** საქმედ, ყავ ადრე, (ი., 13, 27);

„რომლის გაკეთებასაც აპირებ. ადრე გააკეთე"); ...ეგულვა მისი შეპყრობაჲ (ი., 7, 30 C); ...რომელი ეგულებოდა იერუსალჱმს (ლ., 9, 31). ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით სალიტერატურო ქართულში აღარ ჩანს, სევსურულში კი შემონახულია იგი: ...ჴევსურეთობა ეგულა, ასდიდებივა წყალია (ხევს. პოეზ., 120, 6): ...თუ გეგულა წამასვლაი, არაყ გჭონდა ნაწურიო, ნეტა, სად-რა წაგივიდა ე სთველი და ზაფხულიო (ხევს. პოეზ., 358, 6); პირიქითობა ეგულა, მაგრად გა(ღ)ბანდავს ჯღანსაო (ხევს. პოეზ., 208, 11); ...თიანეთ ჩამოვიდოდეს, ცხენების პარვა ღგულია (ხევს. პოეზ., 217, 2).

ხევსურულში გვაქვს აგრეთვე „გულში ჭონა", რაც აგრეთვე „ღგულავ"-ს უდრის: „...გულში აქვს ჴევსურეთობა: „ჩავიდეთ ჭარავანზედა" (ხევს. პოეზ., 139, 3); „გულში აქვს ჴევსურეთობა" ნიშნავს: ხევსურეთში წასვლას აპირებენ. „ღგულავ" სტატიკური ზმნაა, როგორც ჩანს გვიანდელი წარმოშობისა, თორემ *ღგულივ ფორმაც უნდა გვქონოდა, შდრ. მ-ე-შინ-ი-ს (შინ, შიგნით მაქვს შიშის განცდა), მ-გონ-ავ მაგრამ: მ-გონ-ი-ა და მისთ.

ლალვა („რეკვა", „გაგზავნა", „გასროლა".)

საბა წერს: „ლალვა—შუღლი", „მ ლალავი—მოშუღარი", „სალალავი—საშუღარი"; „რისხუა"-სთან საბა წერს: „...რ ი ს ხ უ ა უაღრესიათჳს ითქმის, ლ ა ლ ვ ა სწორისათჳს"... ხევსურულში „ლალვა"-ს გაგზავნის, გარეკვისა და გასროლის მნიშვნელობა აქვს მიღებული: ...არ წაგილალავ შინითა გამახელაის ქალსაო (ხევს. პოეზ., 325, 9); ...კაცი ჴევსურეთ წალალა: „თავ დამჭირდება ყმისაო" (ხევს. პოეზ., 49, 6); ...ჴევსურეთს წიგნებ წალალა: „თავ მეჭირების ყმისაო" (ხევს. პოეზ., 49, 6); ...ბულეჯან, გამამილალე, ეკრას ტარს სპილოს ძვალი, ან ჩოჯა გამამილალე, ზედ ეკრას ნატყვიარიო (ხევს. პოეზ., 212, 13—14); ...ულალვენ კაცსა მამაშჩემსაო (ეთნ., III, 8, 17); ...გუშინაც კაცი მამილალაო თამარიშვილმა თანგულამაო (ეთნ., III, 12, 7); ...დაზარდენ ქორის ბაჟალანიო, წალალენ შურის საძებრადაო (ეთნ., III, 34, 7); ...ოსეთი ასუქებულა, ჭარ-ცხენი ამაღლალეო; სოსლომის შვილის ლურჯაი სიმამრსა გაულალეო (ხევს. პოეზ., 20, 3—4); ...ჴელჩი ეჭირა შიშვლებ ჴმლებიო, ერთმანეთს ყორნებს ულალევდესო (ეთნ., III, 14, 11; „ყორნებს ულალევდეს"=ყორნებს უგერიებდნენ, აცილებდნენ ერთმანეთს"); ...ფეჴზე ფოლადის წრიაპი, ნათოს დალალან კლდისაო (ხევს. პოეზ., 513, 13).

გაწირვა („დატოვება“)

გაწირვა დატოვებას ნიშნავს ხევსურულში: ...დროებამ ჩამოიარა, ყველა **გახწირავს** ძველსაო, თქვენაც **გამწირეთ**, ქალებო, ნუცრუ ნუ მიხვევთ ჭელსაო (ხევს. პოეზ., ქ99, 3—4); ...წყემსიც ქვიშაში **გაწირეს**, ტყვიამ დანაყა ძვალია (ხევს. პოეზ., 135, 39); ...ნუ **სწირავთ** თოფ-იარაღსა, ნაპირს ხართ ადგილისასა (ხევს. პოეზ., 130, 27); ...იელოვანზე **გავწირე**, გაცურდა, როგორც წუალიო (ხევს. პოეზ., 44, 18); ...ორი გაწოვის დედამა, არა **გაგწირა** ერთზედა (ხევს, პოეზ., 40, 8); ...აღარც ჯალაბთ მამიგონეს, დაცილებულ-**გაწირული** (ხევს. პოეზ., 348, 2); ...**გაგწირეს** თავის სოფლელებმაო (ეთნ., III, 16, 10); ...შამჩა ხორაი მაჩივარიო, მონებ სიტყუები **დამიწირაო** (ეთნ., III, 24, 7).

„**გაწირვა**“ -ევფხისტყაოსანშიაც“ ასეთი მნიშვნელობით იხმარება: ...რად დაგვყარნა, რად **გაგვწირნა** (826, 3); „დაგვყარნა“ და „გაგვწირნა“ სინონიმებია (შდრ.: ...წითელ-ყვითლითა დაგაგდე... იქვე. 1628, 2).

სალიტერატურო ქართულში შემორჩენილი გვაქვს არქაული ფორმები: **განწირვა** (თავ-**განწირვა**), **განწირული**... ხმარებაში ეს სიტყვა ცოცხალი აღარ არის (არა გვაქვს: **ვწირავ**, **გავწირე** .. -ვტოვებ, დავტოვე“-ს გაგებით, როგორც ეს ხევსურულშია); საბა წერს: „გაწირვა გარდაკუეთა მოყუარეთა“, „**გაწირული**—თავგარდადებული“, „**განწირვა**—ჭელის აღებასაცით“, „**განწირული**—ჭელაღებულსაცით“... ამ სიტყვის საბასეული განმარტება კარგად ეგუება სიტყვას **მწირი**—ამქვეყნიური სიამის დამტოვებელი (გ ა მ წ ი რ ა ვ ი), კაცი, რომელმაც გ ა წ ი რ ა (დატოვა) ნათესავები და ყველაფერი ამქვეყნიური.

ალბათ აქედანვე უნდა იყოს გაკებებული უვარგისი ნიადაგის სახელწოდება **მწირი მიწა**, **მწირი ნიადაგი**, ე. ი. (უვარგისობის გამო) გ ა წ ი რ უ ლ ი, დატოვებული ნიადაგი; ხირხატი ნიადაგი.

საინტერესოა „**წირვა**“, „**შეწირვა**“, „**შესაწირი**“... ფორმები: აქაც ამოსავალი ბნიშვნელობა „დატოვება“ უნდა იყოს: კერპისათვის მსხვერპლის მიტანა და დატოვება (გაწირვა). ეს სიტყვა ქრისტიანული სარწმუნოების სარიტუალო პრაქტიკაშიაც გადმოსულა.

ხევსურულში „**წირვა**“, „**მკვდართად წირვა**“ მიცვალებულთა ლანძღვას ნიშნავს: ...სანგივ, ჩიოდა მზეკალაიო, **წირვას** ჩიოდა, გინებასაო (ეთნ., III, 6, 9); „...მე კი შავს თიკანს არ მივსცემ“,—

ზოგებ მკვდართ იწირებისა (ხევს. პოეზ., 265, 15). ჩხუბში ასეთი ფრაზები („წირვა“) ისმის ხოლმე: „ვირიმც (ძაღლი, ციცა, ცხენი, ჯორი...) იქნების შენის მკვდრისად“-ო, ეძახის ერთი მოჩხუბარი მეორეს. ეს არის მოწინააღმდეგის მიცვალებულისათვის არასაკადრისი „ძღვენის“, არასაკადრისი შესაწირის შეწირვა და მწირავის მიზანია, შეურაცხყოს მასთან მოჩხუბარი, მიცვალებულის პირისუფალი. ეს ფორმულა ფიცადაც არის გამოყენებული: „ვირ იქნას ჩემის მკვდრისად, თუ ვტყუოდა“-ო, „ჩაიწირების მკვდართ“ კაცი და, თუ დაუჯერეს ნათქვამი, იქ მყოფნი ეტყვიან: „მკვდართ რაად იწირებრ, იმათ ვსნილობა ხქონდას, ჯარი' ცხვარ იქნას იმათად“-ო.

ამ ფიცისა და ლანძღვის ფორმულებში, როგორც აღვნიშნეთ, კერპისა თუ მიცვალებულთა სულისათვის ძღვნის შეწირვის, საკერპოზე თუ მიცვალებულის საფლავზე ძღვენის დატოვების, გაწირვის ძველთაეველი ჩვეულება უნდა იყოს შემონახული.

მახჯელავს („იპოვის“)

პოვნა ზმნა ხევსურულში არ დასტურდება, არც ამ სიტყვისაგან გაკეთებული რაიმე სხვა ფორმა ჩანს. პოვნის მნიშვნელობით ხევსურულში მაჯელვა იხმარება: ...ვინძლიე რა მითხრან პირადა, —რაჯელს მამჯელვენ ჭკვიანსო! (ხევს. პოეზ., 724, 9); [შდრ. ფშ.: ...ბალღი არი, გალაღდება, დეგებ ვაშლებ დახელოსა (რაზიკ., 205, 62)]. შდრ. სალიტერატურო ქართულის ხელში ჩაიგდო, დაიხელთა...

იქამს, ქნა, ჩადის

ხევსურულში იქამს, იქს ზმნას აწმყოს გაგება აღარა აქვს: იგი მხოლოდ მყოფადს გადმოსცემს. მას ნამყო უსრული და მეორე სერიის ფორმებიც ეწარმოება: მყოფადი: ...ტანიის ღელით იქამს ჩქამსაო (ეთნ., III, 4, 7); ...ჩემსა ნაქნარსა ვერვინ იქამსო... (ეთნ., III, 29, 3); ...არ ვიქამ შენის გულისასაო (ეთნ., III, 29, 7); ...თუ შუღლი გინდათ, გიქამთ შუღლსაო (ეთნ., III, 27, 4); [შდრ. ფშ.: ...შინ მოვალ, გიქამთ საღმთოსა (რაზიკ., 39, 52)].

ნამყო უსრული: ...შიოლაისას ნაქნარსა ვეღარც ვინ იქმოდ თემზედა (ხევს. პოეზ., 40, 9); გვაქვს იქამდა ფორმაც, [შდრ. ფშ: ...ვაკოცე, მა რას უქმოდი?... (რაზიკ., 160, 137)]; ძვ. ქართ.: ...რაჟამს ქველს იქმოდი... (მთ. 6, 3C)[17]. ნამყო ძირითადი: ...გირ-

[17] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 200—201.

წყილებმა ჭორწილი ქნეს... (ხევს. პოეზ., 664, 1); ...ჩემსა ნაქნარსა ვერვინ იქამსო, ჰე რო **ვქენ** დედამთილობაცო (ეთნ., III, 29, 4);...—ჯირჩლავ, გიჭურვენ ჯევსურნი: „ლურჯამ **აქნივა** სახელი“ (ხევს. პოეზ., 36, 5).

მეორე ხოლმეობითი: ...მუცალის ცოლ ჩამეეგება: „მუცალმა რალა **ქნახაო?**“ (ხევს. პოეზ., 65, 29); ...ბარაქალ, ჯევსურთ შვილებო! წინათაც (=წინაპრებმაც,—ალ. ჭ.) ეგრე **ქნიანო** (ხევს. პოეზ., 170, 20).

იქამს ზმნის მიბეღობებია: **ნაქმედი || მქნელი, საქნარი || საქნელი || ნაქნარი.** ...ჩვენდ იყავ კაის **მაქნედი**, დაწევ და დაიძინეო (მივლ. მას.); ...შაგაგინებენ ისიბი (უნდა: „ისითნი“ ან „ისეთნი“, —ალ. ჭ.), თაოდ ვერაის **მქნელნია** (ხევს. პოეზ., 216, 26); ...არ ხკარგავთ, ბერდიშვილებო, **ნაქნარსა** მამ-პაპისასა (ხევს. პოეზ., 164, 38); ...—ჯირჩლავ, გიჭურვენ ჯევსურნი: „ლურჯამ აქნივა სახელი“. —„ახლა თქვენ მაგცემთ ლურჯასა, თუ ადვილია **საქნელი**“ (ხევს. პოეზ., 36, 6).

ჩინს („ჩანს“)

ხევსურულში **ჩანს** ზმნის ნაცვლად **ჩინს** გვაქვს. **ჩინ** ძირი გარდამავალი **ა-ჩენ-ს** ზმნის მეორე სერიის ფორმაა: **აჩენს—აჩინა** სტატიკურ **ჩანს** ზმნას სალიტერატურო ქართულში **ჩინს** ფორმა არსად ცვლის. ისე კი **ჩინ** ძირი სალიტერატურო ქართულშიაც შემონახულა: თვალის **ჩინი, უჩინ-მაჩინი, ჩინებული, წარჩინებული, განჩინება, თვალსაჩინო** (შდრ. საკუთარი სახელი **საჩინო**) და სხვ.

სალიტერატურო ქართულში **ჩანს** ზმნის ნამყო უსრული **ჩანდა** იქნება, ხოლო დასრულებული მოქმედების გამოსახატავად პრეფიქსიანი ფორმები იბმარება: **დაჩნდა, გამოჩნდა, გაჩნდა...** ამ ფორმებში **ა** იკუმშება: **ჩანდა—გამოჩნდა...** ხევსურულში ყოველთვის ინიანი ფუძე გვაქვს და **ი** არასოდეს არ იკუმშება: **ჩინს, აჩინდა, გაჩინდა,..**

...ცხენნი მოვიდეს ერწოს ყელაო, დედანო, არვის **გიჩინხთაეო, გიჩინანთ,** არ გიკვირანთაეო (ეთნ., III, 70); ...შენ არც ტკბილ გვინდა, არც მწარე, ფიცი გეწამ და ბოლო **ჩინსა** (ხევს. პოეზ., 480, 15); ...თვალით **მიჩინდეს** გზანიო (ხევს. პოეზ., 17, 10); ...ლაბაზად ვერ **ამიჩინდი,** თორპილს გაბემდი ლიშანსა (ხევს. პოეზ., 130, 17); ...ბრიალი ას ერეჯიფისა, ლიშან არ **ჩინდახ** ტიალი, სულეთში ვერ **შაჩინე** ურჯულო დოლბანდიანი (ხევს. პოეზ., 207, 6—7); ...გაბაგრდით, არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისაც

ვინაც მაკვდების დავლმარხათ, სხვა კიდევ **გაჩინდებისა** (ხევს. პოეზ., 265, 30); ...ეს ივანეიც იქ **ჩამამიჩინდ** (გაბ. 196, 10); ...არცად **აჩინდა** ნამჯრევებიო (ეთნ. III, 14, 5); ...ჰანთეთ არ **ჩინდა** ტერელოიო? (ეთნ., 19, 5); ...ეგ კარჩი აღარ **გამაჩინდაო** (ეთნ., III, 33, 5); [ფშაურში **ჩან** ფორმა გვაქვს: ...იმათ ნათიბი არცადა **ჩან** (რაზიკ., 68, 24); ნრავლობითობის სუფიქსი ფშაურში ამ ზმნას ზოგჯერ მეორედ აქვს ხოლმე დართული: ...ბა ჩემის ერთგულისანი საბნი თვალითა **ჩნანანო** (რაზიკ., 155, 107); ასეთ ფორმაში ფუძედ ***ჩნან** ზმნაა გაგებული].

თუ სწორია ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ქართულ ზმნებში სადაც **-ენ** სუფიქსი გვაქვს, იქ **-ინ** სუფიქსიც ურდა გექონდეს და **-ან** სუფიქსიც სავარაუდებელია (შდრ. ზმნური სუფიქსები: **-ავ, -ევ, -ივ**), **ჩან- ჩენ- ჩინ-** ფუძე სწორედ ამ რიგისა იქნებოდა.

შილვა („შლა")

ხევსურულში **შლა** (←***შალა**) ზმნა ნიშნავს: 1. დაბნევას; დანგრევას: მარცვალ **დაიშალ** („მარცვალი დაიბნა"), სახლ **დაიშალ** („სახლი დაინგრა"); 2. შეშლას (ხელის შეშლა), მოშლას, აკრძალვას: **„უშალეთ**, მაგრამ თავისას მაინც არ **იშლიდ**" (შდრ. **შეშლა, შეშლილი** „დაბნეული", აქედან: „გიჟი. გადარეული").

ხევსურულშივე დასტურდება ნამიღეობარი სუბსტანტივი **მ-შლ-ივ-ი**, რაც ადვილად შლადს ნიშნავს. მაგალითად, მჭადი უფრო **„მშლივია"**, ვიდრე პური. სილიან მიწასაც **„მშლივი** მიწა" ეწოდება. **მშლივ-** ფორმა **მკვრივ**-საით ნაწარმოებია: **მკვრივ← მ-კრვ-ივ←მ-კრ-ავ-ივ←მ-კარ-ავ-ივ; მშლივ←მ-შალ-ივ; მშლივ-** ფორმა მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, რომ **მკის, თლის**... ზმნებში **ი←ივ: შლ-ი-ს←*შლ-ივ-ს←*შალ-ივ-ს**...

ხევსურულში გვაქვს აგრეთვე **შილ** ძირი, რაც რაიმეს დაშლას, დაფშვნას ნიშნავს. სიმინდის გაცეხვას ხევსურები „სიმინდის **გაშილვა**"-ს ეძახიან და სხვ. ...**ჩამამეშილა** ჭელ-მუჭლი, დამედვა ოფლის ნამიო (ხევს. პოეზ., 367, 7); **„ჩამამეშილა** ჭელ-მუჭლი" ნიშნავს: იყეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სახსრებიდან დავიშალეო (ლექსის მთქმელმა შეყვარებული ქალიშვილის მოულოდნელი სიკვდილი გაიგო და ამიტომ „ჩამაეშილა ჭელ-მუჭლი"). ...**ჩამაგაშილა** მიწამა! გადაგკეკია ცხვირ-პირი (ხევს. პოეზ., 369, 7, დედა წყევლის ქალიშვილს: „როგორი გაწეწილი დადიხარ, აგრემც მიწა ჩაშოგი'შლის ცხვირ-პირს"-ო), ე. ი. გვაქვს **-ალ** (**შ-ალ**) და **-ილ** (**შ-ილ**) სუფიქსიანი ძირები, **-ელ** სუფიქსი არა ჩანს...

ხქვივნებს („არქმევს“)

ხევსურულში **ჰქვიან (ხქვიან)** ზმნა გვაქვს, მაგრამ **არქმევს** და **დაარქვა** არა ჩანს, მათ ნაცვლად **ხქვივნებს** და **დახქვივნა** იხმარება: ...ყმაწვილიე გაჩენილ არ იყვისაო' აბრამს **ხქვივნებდიანავ** (ანდაზა); ...ვისაც **ექვივნა** თორღვაი ჴემწიფის ნაბიჭვარია? (ხევს. პოეზ., 540, 32); ...ძმათ უბირასა გეძახდიანო, აშაღუაი **გექვივნისაო** (ეთნ., III, 81, 3): ...სადაც ორ-კაპი არყი ღნახეო, საბუჩუკურლო **მამიქვივნეო** (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...ხარსა ირემსა ნაისრალსა ნასადგისარი **მამიქვივნა** (რაზიკ., 87, 22); ...ქალ იქნება,—და მექნება, **მავაქვივნებ** მზექალასა (მივლ. მას.)].

ხქვიან ← ხ-რქუ-ი-ან ← ხ-რქუ-ივ-ან, შდრ. ა-რქუ-მ-ევ-ს; ხევს. **ხქვივნებს←ხ-რქუ-ივ-ან-ებ-ს**... ამ ზმნაში **-ივ** ხოლმეობითობის **-ივ** სუფიქსი ჩანს...

მაილა („მოიტანა“), აიტანე („აიღე“)

აღება და **ატანა** ზმნები თავისებურად იხმარება ხევსურულში: იქ ძველი ქართულის ვითარება ჩანს რამდენადმე დაცული: ..ცოლი ეტყოდა ზურაბსა: „რად არ **მოგიღეს** მკვდარიო? (ხევს. პოეზ., 2, 25); ...ბევრამაც ტყეში **ჩაიღა** ქუჩუმიანი ფარიო (ხევს. პოეზ., 3, 3); ...მოგვივლენ გუდანელები, ხვადებმ **მაიღა** ჩქამიო (ხევს. პოეზ., 12, 10).

სალიტერატურო ქართულში **მოღება** ზმნა მოტანის მნიშვნელობით ჩანს „მოწყალების მოღება“-ში, მაგრამ ესეც არქაული ფორმაა: ...მოწყალებას ვინ **მოიღებს**, მისი ჭირიმე...

აიღებს ზმნის მაგიერ, მის პარალელურად, ხევსურულში ხშირად იხმარება **აიტანს**: ...სიკვდილო, **აიტანე** ქრთამიო (ეთნ., III, 43, 15). ხევსურულში ჩვეულებრივია ამ ზმნის **წა-, წამო-** ზმნისწინით ხმარება: **წაიტანე, წამაიტანე**... სალიტერატურო ქართულში ეს ზმნა **წა-, წამო-** ზმნისწინებს ვერ იგუებს: **გა-იტანა, გადა-იტანა, და-იტანა, ჩა-იტანა**... მაგრამ: **წა-იღო, წამო-იღო**... „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ამ ზმნის **წარ-** ‖ **წა-** ზმნისწინებით ხმარების შემთხვევები: ...თანა **წაგიტან**, წა-ცა-ვალ (1235, 4); ...ყველაკაი მისი თანა **წაიტანა** (472, 4); ...ოქროც რამე **წაიტანეს** (1372, 1).

ხევსურულში **ახლავს** ზმნის ნაცვლად **სტანავ** იხმარება: ...მეგულდიდების ქალები,—თინა თან აღარ **მტანაო** (ხევს. პოეზ., 345, 20); ...შინა ორთ ბიძა-ძმისწულნი სამნი **გვტანიან** სხვანიო (ხევს. პოეზ., 1, 6); ...შამახვდეს მღდელ-დარასტანი, ერთი სტრაჟნიკიც

ეტანა (ხევს. პოეზ., 561, 5); ...ნეტარ, რა გედვა ქალაქში, რაი-რა ძალა **გეტანა**? (ხევს. პოეზ., 599, 3).

„ვეფხის-ტყაოსანში" **წატანა**, ჩვეულებრივ, ცოცხალ არსებებზე, კერძოდ, ადამიანებზე ითქმის და დაახლოებით ისეთი შინაარსი აქვს, როგორიც **სტანავ** („ახლავს") ზმნას: ...ყრმამან უთხრა: „ვერ **წაგიტან**" (782, 4); ...სამასსა ცხენოსანსა **წაიტანდეს** (1389, 3); ...წავე, მონა **წავიტანე** (392, 4); ...ჩემნი სწორნი **წავიტანენ** (369,3) და სხვ. ასეთი მნიშვნელობით ეს ზმნა ზოგ ქართულ დიალექტში (მაგ. გურულში) და იშვიათად სალიტ. ქართულშიაც იხმარება.

ყურობს („ისმენს"), უყურებს („უსმენს")...

ისმენს-ზმნა ხევსურულში არა გვაქვს, მის მაგიერ **ყურობს, უყურებს** იხმარება: ...შამაჴდეს ჴენადირენი **გუყურებ** თოფის ჴმათაო (ხევს. პოეზ., 325, 3); ...სოფლელთ ვერ **აყურებიე** შენის ჴირიმის ჴველეაო (მივლ. მას.); ...კიდევ სად **გაყურებიებთ** ჩემის ჴირიმის ჴმასაო (მივლ. მას.); ...გიამბობს ბღარიკაული, **იყურე**, გული აძლიე (მივლ. მას.).

ერთადერთი სიტყვა, რომელშიაც **ისმენს**-ზმნის ბეორე სერიის ფუძეა შენახული, არის „**სმინაობა**": „კუდიანთ წუხრას" (ჭიაკოკონობას, აღდგომის წინა ოთხშაბათს) ხევსური ახალგაზრდები სადმე სოფლის განაპირას დასხდებოდნენ და „ეშმათ ნაუბარს **ყურობდეს**". ეშმაკები ამ დროს „მრავალ საშინელებას მოაჩვენებენ" მათ (ხან თითქოს ზვავი მოდის მათკენ, ხან წყალი, ხან ლოდები მოგორავს მათკენ და მისთ.). ვისაც უნდა ეშმაკების ნაუბარი გაიგონოს, ამ მოჩვენებებმა არ უნდა შეაშინოს, არ უნდა გაინძრეს. შემდეგ ეშმაკები დასწყევლიან: ვინც ჩვენი ნაუბარი გასცეს, ასე და ასე დაემართოსო. შემდეგ ისინი მრავალ მოსაღლინებელ ამბავს იტყვიან და შეიძლება მსმენელი ახალგაზრდის საბედოს სახელიც თქვან. ამ პროცედურას ეწოდება „**სმინაობა**".

სალიტერატურო ქართულში ეს ზმნა პირდაპირი წყობით არ იხმარება: „**ვუყურებ**" ნიშნავს „**ვუცქერ**". მაგრამ გვაქვს ობიექტური წყობა: **მეყურება, გეყურება, ეყურება** (თუმცა ეს ფორმებიც უფრო დიალექტურია, ვიდრე ლიტერატურული). ხევსურულში პირუკუ: პირდაპირი წყობა გვაქვს, ობიექტური (**მეყურება, გეყურება**...) წყობა კი—არა. **მეყურება** (resp. მესმის) ფორმის ნაცვლად იქ **მამდის** (მაგდის, მიზდის...) ფორმა გვაქვს: ...უდელოს ბოლოთ უთხრა გერინიო, ყურთ **მაგდიოდა** სუყველასაო (ეთნ., III, 2, 40); ...დამიძველდა ბუზიკანტი, არ **მამიდის** ქართულიო (ხევს. პოეზ., 358, 1); ხევსურეთში ცოლ-ქმარი ერთმანეთის სა-

ხელს ვერ ამბობს, ეს სირცხვილად ითვლება. ისინი, ჩვეულებრივ, „მაგდიხა?!“ „არ მაგდიხა?!“ სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს: „-მაგდიხა?!“ „—რა გი?!“ „—ე ავარტიანნ საბელნ გაშამიტანენ, ქირპზე ხკიდიან“... (მივლ. მას.).

უტევს („უშვებს“)

გაშვების (ხევს. გაშობის) ნაცვლად ხევსურულში ხშირად იხმარება **გატევა**: ...აგერ ბეგენ-გორს გახენე,—ფუტკარს ღავე, **გამოუტია**, ქალუნდაურმა ფრანგული ქარქაშითით **ამოუტია** (ხევს. პოეზ., 9, 3—4); ...როშკის გვრ დაჯდა ზურაბი, შუქნ მზისან **ჩამოუტიენა** (ხევს. პოეზ., 9, 1); ...როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ **ჩამუტიენა** მზისანი (ხევს. პოეზ., 8, 2); ასე იხმარებოდა ეს ზმნა ძველ ქართულში: ...თავადმან **განუტევა** იგი (ლ., 8, 38); ...ესე ვითარცა თქუა, **აღმოუტევა** სული (ლკ., 23, 46); ...**განუტევა** ერი იგი (ბ., 14, 23; 15, 39; 18, 27); ...**განუტევა** სული (მ., 27, 50; მრ. 15, 37, 39; ლ., 23 46; ი., 19, 30) და სხვა. სხვაობა ძველ ქართულსა და ხევსურულს შორის ის არის, რომ მეორე სერიაში ხევსურული -ივ (→ი) სუფიქსს იყენებს ძველ ქართულში კი -ევ სუფიქსი გვაქვს: ხევს. **გა-უ-ტ-ივ-ა** || **გა-უ-ტ-ი ა**, ძვ. ქართ. **გან-უ-ტ-ევ-ა**...

ანახვევს („აჩვენებს“)

ხევსურულში „**ვაჩვენებ**“, „**მაჩვენებს**“ და ამ ზმნის სხვა ფორმების ნაცვლად იხმარება **ვანახვევ**, **მანახვევს**...; ...**მანახვიე(ლ)**, რაჭელ პერანგ დაგიკერ დედამ (მივლ. მას.); ...ცოდოიც-ა რადარ **ანახვევენ** ერცხვას? (მივლ. მას.); ...ნეტავ სიგირგალ **მანახვივაო**, ნეტავი კარგად მაცნობივაო (ეთნ., III, 59, 6).

არსებობს ზმნა **დაჩვენება**, რომელსაც ვიწრო მნიშვნელობა აქვს: ერთს რომ მეორის, ვთქვათ, ცხვარი ემართოს და რაიმე მიზეზით ახალ პატრონს იგი ვერ მიჰყავდეს სახლში, ტოვებს პირველსავე პატრონთან, ოღონდ უნდა „**დაიჩვენოს**“—ნახოს, რომელი ცხვარია; მას რომ ეკუთვნის. თუ „**დაჩვენების**“ შემდეგ მოკვდება ცხვარი, მოკვდება, როგორც ახალი პატრონის კუთვნილება...

არის ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვა **გამჩვენობა** || **გამ-ჩვენაობა**. ვინმე რომ ვისმე ეპრანჭება, იტყვიან: ამა და ამის **გამ-ჩვენობას** კოხტაობსო, ე. ი. მის დასანახად, საჩვენებლად იპრანჭებაო...

ძებნა („შურის ძიება"), ძევა („ძებნა")

ძებნის მნიშვნელობით ხევსურულში ძევა იხმარება: ვიძევ, იძევ, იძევს; ვიძიევე, იძიევე, იძიევა...: ...იძევენ ბალიაურნი დილა ნათელას ქალასა (ხევს. პოეზ., 402, 3); ...ვიძიევა თემმა, სიფელმა, ველარ მაგკელა დამაო (ხევს. პოეზ., 349. 10).

ძებნა-ს შურისძიების, სისხლის აღების მნიშვნელობა დაუწკვიდრდა: ...შურის **ხაძებრად** მგლის ლეკვთა საელოდ უდგას ღრეენაო (ხევს. პოეზ., 477, 40); „...მამა ვიძებნეთ წინავა. რასაღ გვიბედვენ სხვანიო?" (ხევს. პოეზ., 129, 3); ...ღირხარ ვამკაცი სატირლადაო, შურის **ხაძებრად** დამავალიო (ეთნ., III. 82, 3); ...პოვიდეს შენნი დედიძმანიო... **მძებნელნი** უშიშაისანიო (ეთნ., III. 71, 11).

სალიტერატურო ქართულში საწინააღმდეგო მოვლენაა: „შური **იძია**" (←იძივა), ამოსავალია „**იძევს**" და „აძსანაგი მოძებნა", ამოსავალია „**ძებნის**".

გახენებს („გახედავს"), გახედნებს („უყურებს ხოლმე")

ხევსურულში შინაარსობლივად განირჩევა **გახედვნა** და **გახენება** ზმნები. ერთხელ შეხედვის გამოსახატავად **ხენ-** ფუძეა გამოყენებული: ...აკუშოს ღელით **გამახენაო**, ძმის ბაძკლავ იცნა აჭოს თავაო (ეთნ., III, 5, 3); ...ბზეო, დადეგ და **ჩამოხენეო** (ეთნ. III, 64, 11); ...ბზეს ვერ **შავხენებ** უშენოდაო (ეთნ., III, 64, 11); ...უშენოდ რაკელაღ ვიქნა, ღულს რაკელ **გამავხენაო** (ხევს. პოეზ., 208, 28).

ხედვნა ნიშნავს ყურებას, ცქერას: ...აეხლა **ხედნე** სკამის ფენთაო ოროლის ტყვიის გაღებულთაო, ეეხლა **ხედნე** ყვერფ-კერათაო, სისხლის მორევთა შიგ ნაბრუნთაო (ეთნ., III, 24, 9, 11); აქ „ხედნე" ნიშნავს შეჰყურე, უცქირე ხოლმე,—განგრძობითი ასპექტია გადმოცემული. **შახედნებს** და **შახენებს** ზმნათა შინაარსობლივი სხვაობა კარგად ჩანს ამ მაგალითში: ...აეხლად **ხედნეთ** გოგიასაო, მამამ რო ცერად **გადმახენაო** (ეთნ., III, 28, 6), ეს ნიშნავს: „ახლა უყურეთ, უცქირეთ გოგიას, რომელსაც მამამ ალმაცერად გადმოხედა". [შდრ. ფშაური, სადაც ასეთი დაპირისპირება არა ჩანს: ...დავიკუნკე, **შაუხედენ**: ნეტარ, კბილებ სად უდგაო? (რაზიკ., 246, 267); ...**გაჰხედენ** მელნისა ტბასა, შიგ იაგუნდი დგებაო (რაზიკ., 147, 61): ...**ჩაჰხედენ** ხაშრის ჭალასა (რაზიკ., 48, 79); ...აიმ მთასა ვერ **გავხედნებ**, ჩემი გული დაკლუ-

ლია (რაზიკ., 137, 198); ...საკმისას **ჩამოვხედნებდი**, თვალს შაგავლებდი ტანზედა (რაზიკ., 158, 123)].

ხევსურული **ხედნებს** სწორედ **ხედენ** ფორმიდან მოდის: გა**ვხედენ**→გა**ვხედ-ნ-ებ** და აქედან ნამყო ძირითადიც: **გავხედნე** („ეუცქირე"). ამ ფორმას „უყურებს", „უცქერს" ზმნათა შინაარსის გადმოცემა ეკისრება, რადგან ხევსურულში „უცქერს" არა გვაქვს, ხოლო „უყურებს" ნიშნავს ყურს უგდებს, უსმენს. ფშაურში „უცქერს" ზმნა გვაქვს და „ხედნებს" ზმნა მარტო ერთ ასპექტს, მომენტობრივ აასპექტს გადმოსცემს.

ვედ- ‖ დი- ‖ ვალ-

ხევსურულში წადი-ს მაგიერ წა-ედ ‖ წა-ე (←წა-ვედ) ფორმები გვაქვს: ...წაედი, დედას უამბიდიო: „ბიძა გავწირე სისხლიანიო" (ეთნ., III, 11, 17); ...ადე, შინ წაედ, ბასილთ ქალოო (ეთნ., III, 53, 10); ...მემრ წაედ, გიგას დაეკითხე (ეთნ., III, 8, 21); ეს: ვ დაკარგული წა-ვედ ფორმაა, ასეთი ფორმები ძველ ქართულშიაც გვხვდება: შემოედ (კიმ., I, 38, 10); ...მოედ და შემომიდეგ (ლკ., 18, 22, C); ეს ფორმები ასე ჩანს მიღებული: პირველ პირში წა-ვვედ ფორმისაგან წა-ვედ მივიღეთ (ორთაგან ერთი ვ დაიკარგა), პირველი პირის თხრობითი წავედ და მეორე პირის წართქმითი ბრძანებითი წავედ აირია ერთმანეთში და მეორე პირის წართქმითი ბრძანებითის ფორმა (წა-ვედ!) არასწორად იქნა მიჩნეული მისი -ვ პირველი სუბიექტური პირის ნიშნად იქნა გაგებული და, როგორც მეორე პირში „უკანონოდ გადაყოლილი", ენამ ჩამოიცილა: წა-ედ; თხრობით ფორმებში აღრევის საშიშროება არ იყო და ვ დარჩა: წავედ, წახვედ... ქართული ენის სხვა დიალექტებში დასტურდება წაველ, წახველ... ფორმები. ხევსურულმა წაველ, წახველ... ფორნები არ იცის [შდრ. ფშ.: ...თვალივის ყელში რომ **მოხველ**, მანდ მოგაგონდა ცხენია (რაზიკ., 10, 5); ...მიველირე და ვერ **მიველ**, პირს დავიწერე ჯვარია (რაზიკ., 20, 7)].

დი-ს ზმნა ცოცხალი არსების მხოლოობითი რიცხვის გადმოსაცემად არასოდეს არ იხმარება: იგი ან ცოცხალ არსებათა მრავლობით რიცხვს გადმოსცემს, ანდა ამა თუ იმ ნივთის, არაცოცხალი საგნის მოძრაობას: ხევსური არ იტყვის „კაცი მოდის" ან „კაცი მოდიოდა"-ო. იგი ამბობს: „კაცი მოვ(ა-ს)" (←მო-ვალ-ს) ან „კაცი მოვიდოდა"-ო: ...ჩვენი ჩამღელი **მოვიდოდაო**, ცხენსა შავრასა მაზდეზევდაო (ეთნ., III, 25, 1).

მაგრამ ჩვეულებრივია გამოთქმები: „ხალხ დის“, „ხალხ მოდის“, „წყალ დის“, „კვამლ ადის“, „თოლ მოდის“, „ჭმა მოდის“ და მისთ.: ...აძღით **ადინა** მატირალიო (ეთნ,. III 43, 10); ...ჭმა **მადის** მასპინძლობისა, ძლივ სამ შაევედით შინაო (ხევს. პოეზ., 482, 1); ...მიხოლ, **მიგიდის** ტყვეები, მიგიდის ჯარავანია (ხევს. პოეზ., 135, 35); ...ვიდინათ, ანდარუყოვო, შენ მოგიმოკლდეს გზანია (ხევს. პოეზ., 204, 12).

ხევსურულისათვის უცხოა აგრეთვე **დვდივარ, დადიხარ, დადის**-ფორმები, იქ ან **დავალ, დახვალ, დავალის** (‖ **დავახ**)-ფორმები გვაქვს, ან: **დავიარები, დაიარები, დაიარების**..

(წა)-ედ ზმნაში ზოგჯერ ბოლოკიდური დ იკარგება და წა-ე (ასიმილაციით წეე) ფორმა გვაქვს. ამ ძირისეულ ე ხმოვანს სხვა ზმნისწინებიც ერთვის და ვიღებთ ფორმებს, რომლებიც მასდარის გაგებას იძლევიან: **მიე** „იქით წასვლა“, **მაე**(‖ **მეე**) „აქეთ სვლა“, **აე**(‖ **ეე**) „აღმა სვლა“, **ჩაე**(‖ **ჩეე**) „ჩაღმა სვლა“, **გადაე** (‖ **გადეე**) „იქით გადასვლა“, **გადმაე** (‖ **გადმეე**) „აქეთ გადმოსვლა“, **მასაე** (‖ **მასეე**) „აქეთ სვლა“, **ასაე** (**ასეე**) „აღმა სვლა“ და ასე: **ჩასაე** (‖ **ჩასეე**), **გადასაე** (**გადასეე**), **გადმასაე** (‖ **გადმასეე**) და მისთ. ამათგან კეთდება კომპოზიტები: **მიე-მეე, აე-ჩაე (ეე-ჩეე), გადაე-გადმაე (გადეე-გადმეე)** და მისთ.

...**მასეეს** არ იგებდიან, უშიშა შახვდა მზირთაო... (ხევს. პოეზ., 108, 4) ...სიკვდილის **სულ-ამაის** დროს უთქომ თუშებისად... (გაბ., 161. 11—12); ...**ამაეს** ამაიყოლა ნავთი და ნაკვერცხალიო... (ხევს. პოეზ., 44, 2); ...**შამოეს** შამავალიათ დიღმის მინდორი გრძელია (ხევს. პოეზ., 62, 20); ...ქავთრის მთას **გადასაესა** უკუღმა ბრუნებს (უნდა: „უკუღმ აბრუნებს“,—აღ. ჭ.) ქარიო (ხევს. პოეზ., 163, 9); ...**ჩაის ჩაივლი**, ჯირჩლაო, **ამაისა** გაქვს კლდიანი (ხევს. პოეზ., 38, 5); **ჩაის←ჩა-ე-ის-(ას)**; **ამაის←ამა-ე-ის(ას)**... ძირისეული **ედ**-ის ნაშთი ე-ც სინკოპირებულია და სიტყვა შედგება ზმნისწინისა და მასზე დართული ბრუნვის ნიშნისაგან (ჩა-ის)...

ხყვან, ხქონ, დგან, სხენ

ჰყვანან, ჰქონან, დგანან, სხენან-ფორმების ნაცვლად გვაქვს **ხყვან, ხქონ, დგან, სხენ**-ფორმები; ასევე იხმარება **ჰგვან** ზმნა (იხ. ქვემოთ): ...ახურათ სანათიზძიასაო შვილნიძც **ხყონ** შენის დავლათისნიო (ეთნ., III, 5, 13); ...სულნი **ხქონ** ყელში მოსულნი მუდამ ნეხვების ხვეტასა (მივლ. მას.); ...მზას დადგეს მითხოელები, გიგაურზე **ხქონ** თვალნია (ხევს. პოეზ., 218, 34); ...ცი-

ზეს კოდნ უდგან პერიანნიო (ეთნ., III, 5, 32); ...ციხენ სად უდგან თანგულასაო თამარიშვილსა ხოხისანიო? (ეთნ., III, 12, 18); ...ვინ იცის, კაცის სულნ რაში დგან? (გაბ., 124, 13); ...პირდაპირ უსხენ მესისხლენიო (ეთნ., III, 103, 18); [შდრ. ფშაური, სადაც ორიენაირი ფორმები დასტურდება: ...ვარცლნი ჰქონ ცარიელანი, შიგ თავეებ მირბი-მორბისა (რაზიკ., 190, 7); ...სელთა ჰქონ ოქროს კოპობნი (რაზიკ., 15, 20); ...ისეთნი მამისაძაანი მყვან, მთას ქორებულად ჰქრიანო (რაზიკ., 25. 8), მაგრამ: ...იაღნიძც ჰქონან გზანია (რაზიკ., 74, 155); ...ნაცრიან ბოლონ დაჰქონან (რაზიკ., 226, 179) და სხვ.].

დარჩომა, მორჩომა...

ხევსურულში დაარჩენს („დატოვებს“) ზმნა იშვიათი ხმარებისაა. არც ბისი მასდარი დასტურდება. გვაქვს მხოლოდ ამ ზმნის ნამყო დროის მიმღეობა დანარჩენი. ამ ზმნას გასწირავს ზმნა ცელის. გასწირავს ზმნას აქვს მიმღეობებიც (გამწირავი, გასაწირავი, გაწირული) და მასდარიც (გაწირვა). გვაქვს გარდაუვალი ზმნა დარჩება, რომლის მასდარია დარჩომა და მიმღეობებია დამრჩო(მი), დასარჩო(მი), დამრჩალი ‖ ნარჩომი: ...დადეგ, დაგვეწსენ ზურაბო, ნარჩომნ ორთ შენის ჭმლისანი (ხევს. პოეზ., 8, 5).

დაარჩენს ნიშნავს „მოუვლის“, „უპატრონებს“, „შეინახავს“: ...რას ქვა-ხეს იქს, დარჩენა არ უნდა თავის ჯალაფობას? (მივლ. მას.); ამ ზმნის მასდარია (და)რჩენა, ხოლო მიმღეობები: მრჩენელი ‖ მარჩენალი, დარჩენილი, დასარჩენი... დარჩება („თავს მოუვლის“, „თავს შეინახავს“) ზმნის მასდარია დარჩომა, ხოლო მიმღეობებია: დამრჩალი, (და)სარჩო, დამრჩო(მი)...

მაარჩენს („განკურნავს“) ზმნის მასდარია მარჩენა, მიმღეობები: მამრჩენი, მარჩენილი, მასარჩენი... მარჩება („განიკურნება“) ზმნის მასდარი (გა)მარჩომა, მიმღეობები: (გა)მამრჩალი, მამრჩო(მი), მასარჩო(მი)...

იგვლევს („გლოვობს“)

იგვლევს ფუძედრეკადი ზმნაა ხევსურულში: იგვლ-ევ-ს—იგვლ-ივ-ა: ...იგვლევენ ქევსურთ ქალები, ბევრ-ბევრ კი ატირდებისა (ხევს. პოეზ., 220, 21); ...ქალო და ზალო, იგვლიეთ, საყურ დაყარეთ, ცვარიო (ხევს. პოეზ., 48, 36); ...იგვლიეთ, ატაბიონნო, ციხე დაგექცათ ქვისაო (ხევს. პოეზ., 521, 9).

ყურადღებას იქცევს გ-ს შემდგომ ვ-ს გამოჩენა ხევსურულში. ძველ ქართულში, კერძოდ, ოთხთავში და „ვეფხისტყაოსანში“ არც გ-ს შემდგომ ვ დასტურდება და არც -ოვ სუფიქსის ნაცვლად -ევ სუფიქსი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხევსურულში მოხდა გ-ს ლაბიალიზაცია, ანდა ვ(←უ) ფუძისეულია. ჩვენ მეორე შესაძლებლობა უფრო მისაღები გვეჩვენება. თუ ვ ფუძისეულია, მაშინ გვლევა-ზმნა შეიძლება გულ-სიტყვას დაუკავშირდეს: ი-გვლ-ევ-ს←ი-გულ-ევ-ს←ი-გულ-ევ-ს, ე. ი. „გულს იწუხებს“, „გულში დარდი აქვს“, „დარდობს“... წარმოების მიხედვით იგვლევს ზმნა იკვლევს და მისთ. ზმნებს ჰგავს: გული—იგვლევს (←იგულევს)—იგვლია, და კვალი—იკვლევს (←იკვალევს)—იკვლია... ხევსურულში გარდაცვალებულთა ეპითეტია გულსატკივარნი, ე. ი. ვინც გულს გვატკივებენ, ხოლო ჰირისუფალს გულმტკივანს ეძახიან (შდრ. აგრეთვე მსურს, მეშინის... იხ. გვ.161).

მინდი („მინდოდი“)

ხევსურულში მინდოდი-ს ნაცვლად გვხვდება მინდი: ...იმით მინდი, კვირიკაო, კარგი იყავ იმითაო (ხევს. პოაზ., 326, 1); [შდრ. ფშ.: ...არ მინდი, არ მენდომები, ძალად ვერ შამენდომები (რაზიკ., 143, 35); ...არ მინდი, ქინძო, ქონდარო, არც ნიაბურო მხალადა, არც მინდი, ნიჯოხის გორო, არც ქისტაურო, ქმარადა (რაზიკ., 257, 12); ...ცხვარო, რად უნდი პატრონსა, თოვლ-ფიფქ რო ჩამოდიოდეს (რაზიკ., 95, 62); ...მე შენ მინდი, შენმა მზემა, მე შენ მემშვენიერები (რაზიკ. 153, 91)].

ეს ფორმები ადასტურებენ, რომ ხევსურულსა და ფშაურში ჩვეულებრივი იყო მინა, გინა, უნა ფორმები; მინდი, უნდი...-ფორმები მინა, უნა... ზმნის ნამყო უსრულია. გვიან მინა (resp. მინდი, უნდი...) აწმყოდ იქნა გაგებული და მასზე დაყრდნობით გაკეთდა ნამყო უსრული: მინდოდა, მინდოდი... ეს ფორმები ნამყო უსრულის ორ ნიშანს შეიცავენ: მ-ი-ნ-დ-ოდ-ა...

ამ ზმნის თავისებურება ისიც არის, რომ აწმყო დროის სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში მას შეიძლება დაერთოს „არის“ მეშველი ზმნა: მინდარის, გინდარის, უნდარის; გვინდარის, გინდარით, უნდარიხ... ...ესაკლავს ყვარიონთად უნდარის მიყვანა (მივლ. მას.); ...წასვლა გვინდარის, მაშ რას ვიქთ? (მივლ. მას.); [შდრ. ფშ: ...კარგი გინდარის სნა-ჰამა (რაზიკ., 123, 117); ...უმთვარიოსა ღამესა ქალთან მინდარის წასვლაო (რაზიკ., 175, 230); ...უნდარის თვალის დავლება მა თავის ქვეყნებისაო (რაზიკ., 91,

42); ...სიყვარულაიმც ძნელია მეზობელშია ქალისა, რო არა გესაქმებოდეს, ჩავლა **გინდარის** კარისა (რაზიკ., 160, 138); ...ხან სმა უნდარის ღვინოსა, ხანდახან შამღერნებაო (რაზიკ., 125, 128); ...კაცი რო იბარჯებოდეს, რადღა **უნდარის** დრეკაო? (რაზიკ., 237, 226); ...რაად **მინდარის**, ვერ მიხმლობს, არ გამოდგება ფარადა (ვაჟა, „ალუდა ქეთელაური“)].

ამ ზმნასთან არის დაკავშირებული რიგი ხევსურული საკუთარი სახელი. კაცისა: **მინდი** (**ხოგაის მინდი**), აქედან კნინობითი **მინდია**, **მინდიკა**, და გვარი: **მინდიკა-ურ-ი**; ქალის საკუთარი სახელები: **მინდა**, **მინდოდა**, აქედან გვარი **მინდოდა-ურ-ი**... **სანდუა** (←**სა-ნდ-ო-ა**) და სხვ. (იხ. აგრეთვე გვ. 151).

ურჩევ(ი-ს) („ურჩევნია“)

ურჩევნია-ს ნაცვლად გვაქვს **ურჩევ(-ი-ს)**: **მირჩევ(-ი-ს)**, **გირჩევ(-ი-ს)**, **ურჩევ(-ი-ს)**: ...**ის ; არ გირჩევა**, რო მახკვდ? (გაბ., 137, 16); ...ქალს სიკვდილ **ურჩევ** (გაბ., 134,2)„...ჯვარმაე მამკლას, ის მირჩევ ცუდის ჭელში ყოფას სრუ დაღონებულს (გაბ., 134, 5). ამ ზმნას მეორე სერიის ფორმები „იყო“ მეშველი ზმნით ეწარმოება (შდრ. სალიტერატურო ქართულის **ერჩივნა**): ...ძველი დრო არ **გერჩიყვისაეო** (ეთნ., III, 71, 2); ...ეშმათ მაუჭერ თელაი, **ერჩიყვა** ყარსის ციხესა (ხევს. პოეზ., 577, 9); ...გაგაის ძოძივ, **გერჩიყვავ**, ღილღო გეჭამა ჯკვითაო (ხევს.პოეზ., 182, 1).

ესრევს („ესვრის“)

ხევსურულ'ში მუდამ **ესრევს** ფორმა გვაქვს. მისი მასდარია **სრევა** (შდრ. **სროლა**)[78]; ეს ზმნა ფუძედრეკადია: **ევ** || **ივ**: **ესრევს** —**ესრივა**: ...ცა გასქდა, მეხი **გაისრივაო** (ეთნ., III, 84, 1); ...თოფი **გესრიე**, გაგება, ტყვია ჩქარია ტიალი (ხევს. პოეზ., 459, 16); ...**ესრევენ**, ჩამააგდებენ ძ'ობილის მაკრატლითაო (მივლ. მას.). ეს სიტყვა **სარ**-ს უკავშირდება: **ესრევს**←**ე-სარ-ევ-ს**, **ესრივა**←**ე-სარ-ივ-ა**; **ისრევს**←**ი-სარ-ევ-ს**, **ისრივა**←**ი-სარ-ივ-ა** (იხ. აგრეთვე გვ. 36).

დავიეც

ეს ზმნა იმითაა ხევსურულში თავისებური, რომ ნამყო ძირითადის პირველ და მეორე პირებშიაც ვნებითისეულ **ე**-ს ინარჩუ-

[78] ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითად კატეგორიათა ისტორიისათვის... გვ. 304.

ნებს: ...ქალო, შენეულ საკინძი იკვლივში ჩამყვა თანაო, ამავიტანე, ჩაიხენე, კინაღ დავიეც დანაო (ხევს. პოეზ., 404); ...ჴმლითა ვეც ვაჟსა შიოლას, ტანი დაუძარ გმირისა (ხევს. პოეზ., 34, 3); ასეთი ფორმა ზოგჯერ კლასიკოსებთანაც გვხვდება: ...თავში ქვა იეც დჳ ისა ქენი (ილია, „კაკო ყაჩაღი“); ...თასი გთხოვეს და შენ არ მიეცი, შვილსა და სარძლოს ორსავ გვიეცი (დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, 1881, გვ. 203).

ვარი, ხარი („ვარ“, „ხარ“)

ხევსურულში დასტურდება ძველი ქართულისებური ვარი, ხარი ფორმები. ძვ. ქართ.: ...მოძღუარი სამე ყრმათაჲ ვარი (კიმ. I, 46, 23); ...ძჳ ღმრთისაჲ ვარი მე (მ., 27, 43; ი., 10, 36); ...კაცი ცოდვილი ვარი მე (ლ., 5, 8); ...ძჳ ღმრთისაჲ ხარი შენ (მ., 14, 33); ...უკეთუ მეუფჱ ხარი შენა (ი., 18, 37). ხევს.: ...გიზაევე-დ, ვერ დაგიზაევე,—ბაგრატიონთა ხარიო (ხევს. პოეზ., 44, 22)[78]; ...მამა გემდურის, მინდიავ, „შვილო, უჯეროდ ხარია“ (გაბ., 183, 17); ...ჩახედნებ გაცინებულნი: „ხარი ვითაის წლისაო?“ (ხევს. პოეზ., 513, 19); ...კახოს უთურგა დასჴეხდა: „ჴევსურნ ვერ ხარით ცდითაო“ (ხევს. პოეზ., 182, 15).

ვხყვივარ, ვლგვივარ...

ვყავარ, ჰყავხარ... ფორმების ნაცვლად ხევსურულში ვხყვივარ, ხყვიხარ... ფორმები გვაქვს: ...ვაშკაც შვილ ხყვიხარ, დედოო (ეთნ., III, გვ. 7, 30); ...მაგას ჴმა არვინ გასცათ, თორე მე აქ ვხყვიორრ! (მივლ. მას.) [შდრ. ფშ., სადაც ვყევარ, ვყევივარ ფორმები გვაქვს: ...ქალი ვარ ბაგრატივნისა, განჯას თათარსა ვყევარო... სირცხვილი თქვენი, ვაჟებო, თორემ მე კარგა ვყევარო (რაზიკ., 14, 21); ...ვყევივარ ყარაულითა, არა მნებდება თავია (რაზიკ., 64, 129)].

ასევე ვგავარ ფორმის ნაცვლად ვლგვივარ: ...სმა-ჭამით ბაჭყის შევლგვივარ, გუგუათ განიერასა (ხევს. პოეზ., 628, 2); ...მიჴერიტა თუ არ გაქვ, წყლიან ჯამჩია(ღ) მაი(ნკ) ჩახენ, რას ღგვიხარ? (მივლ. მას.); [შდრ. ფშ.: ...მოტეხილ ხესა ვგევივარ, გადაგდებულსა წყალშია (რაზიკ., 188, 4)]. მრაელობით რიცხვში ეს ზმნაც

---

[78] შდრ. გ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, „ქართული ხალხური ბალადა“, 1957, გვ. 143, სადაც ამ კონტექსტში „ხარი“ გაგებულია, როგორც ჴარი (ნახ).

მყვან, მჭონ... (იხ. ზემოთ, გვ. 171) ზმნათა ტიპისაა: ...გორგიო, დედა წაგენაცვლაო, ბერის ჯიქვის რქათ **გიგონ** წვერნიო (ეთნ., III, 3, 2).

ხყავ(ი-ს)—ხყვანდა

ჰყავს ზმნას სალიტერატურო ქართულში მეორე სერიაში **-დ** სუფიქსი დაერთვის: **ჰყავდა**. ხევსურულში კი ამ ზმნას **ყვან-ფუძე** აქვს: **მყავი(ი-ს)**, **გყავ-(ი-ს)**, **ხყავ-(ი-ს)**, მაგრამ: **მყვანდა**, **გყვანდა**, **ხყვანდა**...

მესამე სერიაში სალიტერატურო ქართულში **ყვან-ფუძის** ნაცვლად მისი ვარიანტი **ყოლ-ფუძე** დაჩნდება: **მყოლია**, **გყოლია**, **ჰყოლია**; **მყოლოდა**, **გყოლოდა**, **ჰყოლოდა**; **მყოლოდეს**, **გყოლოდეს**, **ჰყოლოდეს**... ხევსურულში მესამე სერიაშიაც **ყვან-ფუძე** გადაყვება: **მყვანივ**, **გყვანივ**, **ხყვანივ**; **მყვანიყვ**, **გყვანიყვ**, **ხყვანიყვ**; **მყვანიყვას**, **გყვანიყვას**, **ხყვანიყვას**; **მყვანიყვის**, **გყვანიყვის**, **ხყვანიყვის**. **ყოლ-ფუძე** ხევსურულში **წაყოლება**, **გაყოლება**... ფორმებში დასტურდება და ნიშნავს „თან წაყვანას“, „თან წაღებას“. ამ ზმნის უღლება ჩვეულებრივია.

დაიძინებს (ძილს)

ამ ზმნას ხევსურულში ობიექტი აქვს: ...ფშაველ-ჴევსურთა ქალ-ზალმა **ძილ დაიძინან** მაგარი (ხევს. პოეზ., 20, 20); ...საფურცლეს ჩაკლეს ზურაბი, **ძილ დააძინეს** მაგარი (ხევს. პოეზ., 20, 18); ...**ძილო**, ნურას **მეძინები**, სანს არ ორი ძილისასა, ამაშინ **დამეძინიდი**, მკლავს რო ვიწვა ვაჟისასა (მივლ. მას.).

იელნებს ‖ ელს („ელავს“)

გვაქვს **ელავს**—ფორმა, მაგრამ ნამყო ძირითადში არის **გაიელნა** და არა **გაიელვა**. ეს ფორმა აწმყოშიაც გვხვდება და უფრო მყოფადის მნიშვნელობა აქვს: **იელნებს**: ...ზოგ-ზოგჯერ ეგრე **გიელნებ**, ცაზე რო ცეცხლის გირკალი (მივლ. მას.); **დაიელნებს** ზმნის მასდარია **დაელნება** (→**დეელნება**): ...ზედ დაშჩის ალუდაური, **დეელნებახ** ღგავ ცისასა (გაბ., 178, 6); ...ჩალხიათ ყარიმანაი **დეელნებას** ღგავ ცისასა (მივლ. მას.); ...**დაიელნის** დახკრისაო, დახკრის, დაანათისაო; **დაიელნის**, დახკრისაო, მე ქვე ვერა მნახისაო... (ხევს. პოეზ., 731, 1—2); შდრ. მეგრ.: ...მჭიმსე, **ევალუნს**, მერეხანს, მეხი ჯასე ფელეკანს... როგორც ჩანს, დაიელნებ-ს-ში **ნ** სუფიქსისეულია.

ზოგჯერ ეს ზმნა უთემისნიშნოდ იხმარება: ...მჯართა მძე ქისტისეული, მზე რა მაიდას, **ელსაო** (ხევს. პოეზ., 473, 13); ...აბეჩან, ნიკოს წვრილაო! **გაელდა**, ხგვიხარ ცასაო (ხევს. პოეზ., 302, 1).

ჯველავს, დაიჯველნებს

გვხვდება **ჯველავს** და **დაიჯველნებს** ფორმები: ...ავად-ა შენი პატრონი, ხამაზდიანი, **ჯველავსა** (მიელ. მას.); გვაქვს ამ ფორმის მასდარი **ჯველვა** და მიმღეობა **მჯველვარი**: ...ჯერ ისევ ღამე ბნელია, ზარბაზანთ იწყეს **ჯველვაო** (ხევს. პოეზ., 477, 2); ...წინით ბაჭუჭი ყვიროდა, ფირტე-დამპალი და **მჯველვარი** (მიელ. მას.).

გვაქვს **მაჯველებს, გაჯველებს, აჯველებს**, მაგრამ შეორე სერიაში დაჩნდება **ნ**: **დამაჯველნა, დაგაჯველნა, დააჯველნა; დავიჯველნე, დაიჯველნე, დაიჯველნა**... ეს **-ნ** ზოგ სხვა ზმნაშიაც ჩნდება: **შახყვირნა, შახყვირნებს**: ...ჯარის ყვირილი გავიგონეო, აფხუშოს ძირით **შამახყვირნაო**... **შახყვირნე**, შენმა ოჯრობამაო, თივათ დაგიყრი ქოჩისათაო (ეთნ., III, 14, 39, 42).—**ვაჯობნე — ვაჯობნებ**: ...—„ვეუბენ, არ დაიჯერა, ქალმა **ვაჯობნე** ჰკვითაო (ხევს. პოეზ., 65, 31) და სხვ.

ვეუბნები — ვეუბენ

სალიტერატურო ქართულში **ვეუბნები, ეუბნები**... ზმნას ეს ფუძე მეორე სერიაში აღარ გადაყვება, აქ მას **ველაპარაკე**-ზმნა ცვლის. ხევსურულში **ვეუბნები** -ზმნა სამივე სერიაში დასტურდება: ...**გეუბენ**, გაუმთხილდი მტერსა (ეთნ., III, 37, 3); ...**ვეუბენ**; არ დამიჯერა, ქალმა ვაჯობნე ჰკვითაო (ხევს. პოეზ., 65, 31), ...**გეუბენ** გაგაიშვილო: „სამუკავ, იყავ ჰკვითაო"... (მიელ. მას.); მესამე სერიაში: **მიუბნავ, გიუბნავ, უუბნავ; მეუბნა, გეუბნა, ეუბნა; მეუბნას, გეუბნას, ეუბნას; მეუბნის, გეუბნის, ეუბნის**. ამ ზმნაში **-ენ** სუფიქსი დაჩნდება პირველ და მერე პირებში. ასევე უნდა გექონოდა: **შავხყვირ-ენ** (→**შავხყვირნე**), **ვაჯობენ** (→**ვაჯობნე**...) (იხ. აქვე, ზემოთ.).

დაკანჭვა („დაჭრა, დაფლეთა; კლანჭის გაკვრა")

ხევსურულში ზმნა **დაკანჭვა** იშვიათად იხმარება. ზურაბს, რომელმაც ღალატით ამოხოცა სამოცამდე უიარაღო ხევსური, ასე მიმართავს მოლექსე: ...რად არ სწორ-და-სწორ გააწყვენ ჯვ-სურნი-დ' შენნი ყმანია? თითოს კი **დაგიკანჭევდეს** ფარს ქვეშ ნა-

წეროვნი ყმანია! (ხევს. პოეზ., 19ა, 5); დაკანჭკა აქ კლანჭის, ბრჭყალის, გახის გაკვრას, კლანჭით დაფლეთას ნიშნავს. დაკანჭვა იგივე დაკლანჭვაა. ამ უკანასკნელში ლ გვიან უნდა იყოს გაჩენილი. თვითონ კანჭი ჰანგი-საგან ჩანს მიღებული მეტათეზისით: ჰანგ—კანჭ: (საბა „ფრჩხილ“-თან წერს: „...ჰანგი არს მჭეცთა ფერჩის ფრჩხილი მოდრეკილი“. აქედან არის მიღებული კანჭი („წვივი“—საბა) და კანჭები („სხეულის კიდურები“). ხევსურულში კანჭი კიდეს (ხევს. კიდურს), ნაპირს ეწოდება: ...ბანის კანჭზე ნუ მიზდგებრ, თორე გადაღვარდები' მე ვეღარას გიშველ (მიველ. მას.).

ხევსურები ოდნავ დამჟავებულ ლუდზე ამბობენ: „სითბოს წაკანჭულია“-ო ან „სითბოს წაკბენილია“-ო: თუ ლუდის დაყენებისას სითბო მეტი მოუვიდათ, ლუდი მჟავდება, სითბო „კანჭს („კლანჭს“) გაჰკრავს“, „უკბენს“ და ლუდიც „წაკანჭული“ ანუ „წაკბენილი“ გაჰხდის. (საბასთან ჰანგი-ც დასტურდება და კანჭი-ც. ჰანგ-თან იგი წერს: „უმეცარნი ღვინოსა მოძმარებულსა რომელნიმე ჰანგსა უწოდენ და რომელნიმე კანჭსა“-ო).

წაყრა („გახდა“)

ხევსურულში გახდის მნიშვნელობით („ტანისამოსის გახდა“) წაყრა იხმარება: ...წაიყრის ქალბან-ბანდულსა, ფეკზე ჩაიცვამს ჯღანსაო (მიველ. მას.); ...აბაშას ტანზე ჯაჭვ სცვავა, სუ მუდამ წაუყრელადა (ხევს. პოეზ., 672, 2). მაგრამ არის გამოთქმა ტყავის გაჯდა ...ჩემებ დედულებ რო შაგხვდან, გაჯდა იციან ტყავისა (მიველ. მას.).

საურაობს („მიიჩნევს“)

ხევსურულში სიტყვა საურავი თითქოს არ დასტურდება (არც ურვა ჩანს), მაგრამ არის ზმნა გასაურავება, რაც საურავ-ს უნდა უკავშირდებოდეს. ხევსურულად „არას საურაობს“ ნიშნავს: არ ნაღვლობს, არას დაგიდევს, არაფრად მიიჩნევს, არაფრად აგდებს: ...მამამთილის სიკვდილ არცრუ გაისაურავ, უნამუსო ღგდავ (მიველ. მას.); ...ის მაინც არას საურაობდ, ვითამ არცრუ რაიავ (მიველ. მას).

სემანტიკური გადახრა მოულოდნელი და შეუძლებელი არა ჩანს: საურავი გადასახადია, ზედმეტი გადასახადი და, ამდენად, სადარდო, შესაწუხებელი. ვინც „არას საურაობს“ ის საწუხარ, სადარდო საქმეს ურვად (საურვავად) არ მიიჩნევს. თუ საურავი←საურვავი, ეს ახსნა თითქოს სწორია...

მიაწვდის, მიაწვადა...

მიაწოდებს-ფორმის მაგიერ ხევსურულში გვაქვს მიაწვდის-ფორმა, მიაწოდა-ს მაგიერ—მიაწვადა. ამოსავალია წვ-ად (←წუ-ად): ვა→ო და ეს ო გვაქვს -ოდ სუფიქსში (-ოდ სუფიქსის შესახებ იხ. გვ. 141—142): ...მიაწვდის თასს და ეტყვის... (გაბ., 126, 24); ...ლექსობა მამაწადინა, მამაწვადენით ხენია (მივლ. მას.); ...გარმამაწვადე ბუჩაი, ჩემს თოფს წასვლია წყალია (მივლ. მას.). წვ-ად (←წუ-ად) ‖ წ-ოდ ძირი მრავალ ზმნაში დასტურდება სალიტერატურო ქართულშიაც და ხევსურულშიაც. სწვდება, მისწვდა: ...ქატა ვერ შესწვდა ძებვსაო: „პარასკევია დღესაო“... ...რასაც ვერ შასწვდებივ, ნუ შაეწვდებივ... აქედანვეა კაუზატიური ფორმა: აწვდენს—მიაწვდინა („ხმას აწვდენს“—„ხმა მიაწვდინა“).

ამავე ძირს უნდა უკავშირდებოდეს ხევსურული მასწვადა („ამოაძრო ძირიანად“): „ბარგილ მასწვად“, „სამყურა მასწვად“. ხევსურულში ამოძრობის მაგიერ მხოლოდ ეს ზმნა იხმარება, ოღონდ ამოგლეჯისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ძირიანად (მოუგლეჯლად) ამოძრობას ნიშნავს...

დაბოლოს, ეს იგივე ძირი უნდა იყოს, რაც მო-წოდ-ებ-ა, წოდ-ებ-ა ზმნაში გვაქვს („მოხმობა, დაძახება“): [შდრ. ...მოუწოდა იესუს და ჰრქუა (ი., 18, 33C); ...კაცმან ვინმე ყო პური დიდი და უწოდა მრავალთა, (ლ., 14, 6)]. შდრ. მიუწოდა („მიიხმო“) და მიაწოდა („მისცა, იქამდე მიაღწია რაღაც ნივთი“). ეს ძირი ზანურშიაც დასტურდება (შდრ. ჭან. უ-წუ „უთხრა“).

ხევსურულში მოწოდება („დაძახება, მოხმობა“) აღარა გვაქვს ე. ი. ამოსავალი მნიშვნელობის მატარებელი ზმნა დაკარგულა. სამაგიეროდ ამ ზმნას სალიტერატურო ქართულში დაკარგული აქვს პირვანდელი ფონეტიკური სახე (წვ-ად←წუ-ად). სალიტერატურო ქართულში არც (ა)მოს-წვად-ა („ამოაძრო“) ზმნა ჩანს: ეს ზმნა ხევსურულ დიალექტში შექმნილია...

ძახება, აძრახდომა

ხევსურულში უძახებს გარდამავალი ზმნაა. სძრახავს („ელაპარაკება“) ‖ ასძრახდება („დაელაპარაკება“)—გარდაუვალი: (ვ)უძახებ, უძახებ, უძახებს; (ვ)უძახე, უძახე, უძახა; ვსძრახავ, სძრახავ, სძრახავს; ვსძრახავდი, სძრახავდი, სძრახავდა; ავსძრახდი, ასძრახდი, ასძრახდა; სძრახავს („ელაპარაკება“) და ასძრახდება („დაელაპარაკება“) ზმნათა მასდარია აძრახდომა.

სალიტერატურო ქართულთან შედარებით სხვაობა იმაშიც არის, რომ პირველ სერიაში მარტო ენიანი ვნებითია: **ვეძახ**; არ შეიძლება **ვუძახი**, რაც ზოგ დიალექტში დასტურდება. ენიანი ფორმა გვაქვს **ვეძახინე**-ში, რაც დიდხანს ძახილს, ბევრჯერ ძახილს ნიშნავს. **ვ-ე-ძახ-ინ**-ფორმა **ვ-ე-ძახ-ენ**-ფორმასაც გვავარაუდებინებს. ფშაურში თითქოს დასტურდება ასეთი ფორმა: ...**გეძახენ**, ვერ გაგაგონე, ქვა მოვაძვრინე ყორესა (რაზიკ., 175, 2); [ფშაურში **ძრახ** ძირიც დასტურდება დალაპარაკების მნიშვნელობით: ...აფხუშოს **ჩამაიძრახნა**: „ლუხუმთი ვინ ხართ შინაო?“ (რაზიკ., 9, 3); ...აპირობს **გადმოძრახვახა**, მე კი არ ვაქცევ პირსაო (რაზიკ., 131, 164)].

თავი მესამე

სინტაქსი

ზოგი რამ თავისებური ხევსურულის სინტაქსშიაც შეინიშნება. აქაც ძველი ქართულის ზოგი გადმონაშთი იჩენს თავს.

1. მხაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება გრუნვაში

პრეპოზიციური წყობისას ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი თითქმის ყოველთვის შენარჩუნებული აქვს: ...**ადუახ მენადირის** ხიფართი შავწყალზე (გაბ., 257, 4—5); ...ვინ იცის, კიცვო რემაო, **შენის თექალთოს კეცება**, აეგრევ ჯვარო-ხთიშვილო, მემრ **შენის გულიხ კერძება**? (გაბ., 122, 21); ...**ჩვენის ჯვარის** მიცემით (გაბ., 127, 1); ...**ჩვენიხ ხთიხშვილის კარზედა** ხე ალვა ამასულაო (გაბ., 122, 18); ...ბარაქა დაგვიდევნი, **შენის სახელიხ მადლმ** (გაბ., 121, 13—14); ...მჭართ **მშვილდსა ჩამახკიდებენ ჯიკვში ნარჩევის რქისასა** (გაბ.. 122, 26); ძალიან იშვიათია ნათესაობითის ნიშანმოკვეცილი მსაზღვრელი: ...წალმ გამაგყვასთ **ჩვენი ჯვარის** დაელათი (გაბ.. 127, 29).

გვაქვს პოსტპოზიციური მსაზღვრელ-საზღვრულიც: ...ბევრ **საჴნავად გაე** მოგვგვარე **მშვიდობისა** (გაბ., 121, 6); ...**ხთველი ზაფხულ მშვიდობისა ჩამოგვიყენი** (გაბ., 121, 12) ...**ხანი ას წასვლისა** (გაბ., 122, 31); ...**წყალობა მაგიტანი მგზავრის ანგელოზისა**, წყალობაი (გაბ., 122, 2—3); ...**წყალობა გაგიწირი**, ღამის მთეველო, **მგზავრის ანგელოზისა**, წყალობა (გაბ., 123, 4).

მსაზღვრელ-საზღვრული ნართანიან მრავლობითში, როგორც წესი, შეთანხმებულია: ...გორგიო შენ და შაგენაცვლაო **მუჯლთა მაშვრალთა დაღალულთაო, მჯართა ნაწყენთა საგძლისათაო**... (ეთნ., III, 10, 4—5); ...**ჯართ** მაგცემთ **ბერდიასათაო** (ეთნ., III, 43, 19).

არის შემთხვევები, როცა მსაზღვრელი ნათესაობითში ივარაუდება, მაგრამ ნიშანი სულ არა აქვს, ხოლო საზღვრული ნაგენეტივარი მიცემითი ან ვითარებითია: ...ზოგი **ხუთ-ექვს წლი-**

სასაც ითხოვს ქალს (=ხუთი-ექვსის წლისასაც. გაბ., 134, 18); ...ადუღებს ლუდს, რამთვენიც შაუძლავ (ან ოც საწყვისას, ან კიდე მეტს) (=ოცის საწყვისას. გაბ., 131, 17); ...ერთ დღისად დაამზადებს (=ერთის დღისად. გაბ., 129, 19); **დანიშნულ დროისად** ვაჟის პატრონი მაამზადებს... (=დანიშნულის დროისად. გაბ., 131. 15) და სხვ.

როგორც წესი, მიცემითში დასმულ მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებული აქვს (ახალ ქართულში უპირატესად მიცემითის ნიშანმოკვეცილი მსაზღვრელი გვხვდება): ...გამარჯვება **ჩვენს ჯვარს** (გაბ., 127, 1); ...თუ ადუღებდეს **სამოც-ოთხმოცს ჩხუტს ლუდს** (გაბ., 125, 14); ...მემრ **მაკნეულს** იარაღს ის არ დაებარების, რო... (გაბ., 124, 11); ...სასმელ **ბევრს ცუდს** ჩადის (გაბ., 124, 2); ...იქნება **ჩვენს მასპინძელს ერთს კვირაესაც** არ მავსწყინდათ (გაბ., 123, 1); ...საწირს ეაიტანს: **ხამს ქადას, ცხრას** ზედ **საკვირაოს** (გაბ., 122, 28); ...ღამის მთელ მაღვერის წინავ **მამზადებულს საკლავს** (გაბ., 128, 5); ...მიუტანენ შინით **ხავიწიანს ქადას** (გაბ., 121, 8).

ზოგჯერ წინამავალ მსაზღვრელს არა აქვს მიცემითის ნიშანი: ...**მეორე დილას** ქალი დაივლის თავის სოფელს (გაბ., 131, 21); ...**წინა დღეს** წაღლალავს ქალის მომყვანთ (გაბ., 131, 19); ...**მეორე დღეს**, ყანას რო დახფარენ, იტყვის... (გაბ., 121, 18); ...გაუშლიდეს სუფრას **მაწეულ ხალხს** (გაბ., 125, 18); ...**ორ ბარგს** მოგცემ თივას (გაბ., 130, 17); ...მაიღებს ერთს **არაყიან ბოთლას** (გაბ., 132, 18—19) ...მაშინ ამ ქურდს სოფელიც აღარ გააელევს ჯარზე, **ერთ წელს** მაინც დააჯსონებენ ქურდს (გაბ., 139, 26—27) და მისთ.

არის შემთხვევები, როცა მსაზღვრელი მიცემით ბრუნვაშია, ხოლო საზღვრული ვითარებითში. ასეთი მაგალითები, ჩვეულებრივ, ლექსის დასაწყისში გვხვდება და ერთგვარი ფორმულის სახე აქვს მიღებული (ამ ფორმულით მელექსე ლექსს „ათარიღებს"), მაგრამ ამ რიგის გამოთქმები სხვაგანაც დასტურდება და ასეთი შეთანხმება საინტერესოა მიცემით-ვითარებით ბრუნვათა ისტორიული ურთიერთობისა და ფუნქციების გარკვევის თვალსაზრისით: ვითარებითი სრულიად თავისუფლად ცვლის მიცემითს: ...**კუმეტს** დაღამებად ხუცესი ღამით წაღლალავს თავის დასტურებს (გაბ., 145, 26—27); ...**კვირაეს გათენებადა** დადგა სიწმიდის დარია (ხევს. პოეზ., 257, 1); ...**სამშაბათს გათენებადა** დიდი დგას ცოდო-ბრალია (ხევს. პოეზ., 135, 1); ...**კვირაეს გათენებადა** დაღბერნე, ქარო მთისაო! (ხევს. პოეზ., 365, 1).

ხშირად მსაზღვრელს მიცემითის ნიშანი დაკარგული აქვს. როგორც ბოლოთანხმოვნიან, ისე ბოლოხმოვნიან სიტყვებთან: ...კვირაე დაღამებადა გადაიკრიფნეს ზნენია (ხევს. პოეზ., 727, 1); ...კვირაე დაღამებადა მზე მთა-წუერთ გადასულია (ხევს. პოეზ., 732, 1); ...კვირაე გათენებადა მთას გადავიდეს ზნენია (ხევს. პოეზ., 541, 1); ...ხუთშაბათ დაღამებადა ლოგინთ დაწოლას ველია (ხევს. პოეზ., 343, 1); ...ხუთშაბათ გათენებადა მაგრა ჩავიცოშ ჯღანსაო (ხევს. პოეზ., 723, 1); ...პარასკევ გათენებადა გარშონ მიჭირავს(!) ჭელსაო (ხევს. პოეზ., 399, 1); ...პარასკევ გათენებადა ვარ ფიქრის დანაშერია (ხევს. პოეზ., 463, 1); ...პარასკევ გათენებადა დილა ას ყინულიანი (ხევს. პოეზ., 347, 1); ...ხუთშაბათ დაღამებადა ძმობილს ვარ შაპირებული (ხევს. პოეზ., 394, 1); ...ხუთშაბათ გათენებადა ღრუბელ დაეცა მთათაო (ხევს. პოეზ., 397, 1); ...ორშაბათ გათენებადა ცრემლმა მაიღა კრიალი (ხევს. პოეზ., 391, 1); ...ორშაბათ გათენებადა ფანდურს ჩაუდევ ლარია (ხევს. პოეზ., 646, 1); ...სამშაბათ გათენებადა თვალზე მდიოდა ცრემლიო (ხევს. პოეზ., 344, 1).

შდრ.: ...ხუთშაბათ გათენებასა ურემ წავიდა მთისაო (ხევს. პოეზ., 513, 1); ...რუსეთში ქრისტეს წუხრასა დავჯე, ლექსები ვთვალეო (ხევს. პოეზ., 461, 1); ...წელწად-შამაეს წუხრასა ლექსი უნდა ვთქვა ახალი (ხევს. პოეზ., 468, 1). აქ საყურადღებო ის არის, რომ ვითარებითი ბრუნვა მიცემითთან ერთად დროის გარემოებას გამოხატავს (შდრ. მიცემითი ბრუნვა ვითარების გარემოებად: მზას, ჩაფრულას, ქალებურას, დიაცურას და მისთ., იხ. ზემოთ).

წინამავალ მსაზღვრელს მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ხშირად ეკვეცება: ...ჩვენი შუღლით განა შენ რაიმ წაგერთმის? (გაბ., 124, 9); ...ადუღებს წინა ღლით ხავიწს (გაბ., 131, 18); ...ჯუთელთ შვილებიც ბევრ წავა წითლი ბადაგით მთვრალია (გაბ., 215, 12). ასეთი წყობისას მსაზღვრელი მოქმედებითის ნაცვლად ზოგჯერ ნათესაობითში ზის ხოლმე: ...ღამეთ ათენებს თეთრადა ცალ-ქერჯის პერანგითაო (შივლ. მას.); ...რაჭელც იქნების, ბევრაის ხვეწნით შაარიგებენ (გაბ., 138, 15—16) [შდრ. ფშ.: ...ბალკონზე მიდგებ-მოდგება სირმაიანის ჩოხითა (რაზიკ., 190, 7); ...დილას დილიან შამამბენ დაუბანელის ხელითა (რაზიკ., 83, 2); ...გავწირე მუჰის ღელესა წითლის არაყით მთვრალიო (რაზიკ., 72, 147); ...ერთი მჯობ ერთის მადლითა (რაზიკ., 21, 8); ...ხატში თასების პარვასა ხვეწა სჯობს ჩემის ფიქრითა (რაზიკ., 227,

181)]. ე. ი. ნათესაობით-მოქმედებითი ისევე თავისუფლად ცვლიან ერთმანეთს, როგორც მიცემით-ვითარებითი...

2. მხაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში

გვაქვს რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევები. შეუთანხმებლობა ხდება, როცა საზღვრული -ებ-იან მრავლობითშია: „...მოიტანს ღამის **სამთევლოს** (უნდა: „სამთევლოებს") **ქადებს** (გაბ., 122, 9—10); ...დაზდგმენ ზედ **ლუდიან თასებს** (გაბ., 122, 10); ...**ლუდიან თასებს** (გაბ., 122. 29; 130, 30; 132, 11); ...ჩამაარიგებენ ისევ **ლუდ-არაყიან თასებს** (გაბ., 132, 16); ...გწყალობდათ **ნაჯსენებ ანგელოზების** მადლი (გაბ., 132, 32, უნდა: „ნაჯსენებების"); ...**ცოცოტა პურის კვერებს** მძიე-ღილით **მორთულს** ჩამაარიგებენ (გაბ., 132, 19—20, უნდა: „მორთულებს"); ...შაგეწიევას **ნაჯსენების ანგელოზების** მადლი (გაბ., 130, 33); ...იმღერებენ ჯვარიონთ **საქებ სიმღერებს** (გაბ. 122, 15); ...დაასხამს მასპინძლის **მოტანილ ყანწებში** (გაბ., 129, 5); აქ საყურადღებო ისიც არის, რომ რიცხვში შეუთანხმებელ მსაზღვრელს, როგორც წესი, ბრუნვის ნიშანი არა აქვს („**ლუდიან თასებს**", „**ნაჯსენებ ანგელოზების**", „**საქებ სიმღერებს**", „**მოტანილ ყანწებში**"...).

ზოგჯერ ადგილი აქვს აზრობრივ შეთანხმებას: ...მაგრამ **სოფელ** დაღამებიდგეს აღარ **დასხდების** ჯვარში (გაბ., 127, 24—25); ...მაგრამ **ხალხმ** თავისა არ **დაიშალეს** (გაბ., 179, 7); ...მაშინ **ხალხმ** ერთჴმად **დაიწყეს** საუბარი (გაბ., 185, 23); შდრ. ...**ხალხი** ძალიან **გაბრაზდა, გამაუდგეს** კვალზე (გაბ., 166, 25—26); ...**ხალხი ადგების** (გაბ., 131, 5).

აქა-იქ შეგვხვდება -ებ-იან მრავლობითში დასმული სუბიექტის შემასმენელთან შეუთანხმებლობის შემთხვევები, როგორც ეს ძველ ქართულში იყო: ...**ირმებმ** სრევალი **დამიშალაო** (ეთნ., III, 14, 15); შემასმენელი ნ-იან სახელობითს ეთანხმება: ...**მტკივიან** გულის **ფიცარნი** (გაბ., 207, 1); ...**ცხენ** სად **უდგან** თანგულასაო თამარიშვილსა **ხოხისანიო** (ეთნ., III, 12, 18—19).

აქა-იქ ობიექტის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევებიც შეინიშნება: ...ეს **მეჯალაფენ** ბევრკან **იცის** (გაბ., 151, 22); ...მარიები და თინაი ტყვედ **წაიყვანეს ქალნია** (გაბ., 214, 3, აქ შეიძლება ნ იკარგებოდეს); ...ნეტავინ **მამცა მშვილდ-ისარნიო** (ეთნ., III, 14, 26); ...**არხოტივნები** ჴელად **მაგიყვანაგთავ** (გაბ., 171, 16).

3. სიტყვათა რიგი წინადადებაში

ხევსურულში, ისევე, როგორც საერთოდ ქართულში, წინადადებაში სიტყვათა რიგი თავისუფალია. შინაარსობლივ ნიუანსებს ხმის ინტონაცია განსაზღვრავს ხოლმე: ...ახალგაზდა ვაშკაც აღარ წაიყვანს, თუ ბერ-ბურ ვინ წაიყვანს (გაბ., 134, 16—17); შეიძლებოდა ეს ასეც თქმულიყო: ...ბერ-ბურ თუ წაიყვანს ვინ... ან: ...ბერ-ბურ თუ ვინ წაიყვანს...; ...ბევრა საჭმავად გაე მოგვგვარე მშვიდობისა (გაბ., 121, 6); შდრ.: ...შენ მოგვგვარი ბევრა საჭმავად გაე დრო მშვიდობისა (გაბ., 121, 10—11).

ხშირად ხდება წინადადებაში სიტყვის განმეორება; განმეორების მიზანია აზრის უფრო მკვეთრად გამოხატვა: „...რა გგულავ, **რაი**“? (გაბ., 138, 6); „...რა გგულავ, სასაცილოვო, **რაი**?“ (გაბ., 137, 1); „...**წყალობა** მაგიტანი მგზავრის ანგელოზისა, **წყალობაი**“ (გაბ., 122, 2—3); „...**წყალობა** გაგიწირ, ღმის მთეველო, მგზავრის ანგელოზისა, **წყალობა**“ (გაბ., 121, 3—4); ...მასპინძელო, **წყალობა** გაგიწირეთ მგზავრის ანგელოზისა, **წყალობაი** (გაბ., 123, 8—9); ...მაგრამ **ლევითაც** ბევრს საქმეს **ლევს** სასმელი (გაბ., 124, 6—7); ...სა წამიხვალ, **სად**? (გაბ., 137, 22—23).

4. კითხვითი ნაწილაკი „ა“ ხევსურულში

როგორც ცნობილია, მთის დიალექტებში შემოგვრჩა ძველი ქართულის ვითარება კითხვითი -ა ნაწილაკის ხმარებაში:[80] ...ამაგით **დამათვერითა**, ამავაცდინათ მთვრალსაო? (გაბ., 206, 17); ...გმირო, სად მიხოლ, კობაო, ბრალ აღარ **გაქვა** ძმისაო? (გაბ., 224, 28); ...არ **გგონდებისა** სულეთში ზოგ-ზოგის ხალხის ჯავრია? ...მარტიას მისურაულსა აღარ **უჭრისა** ჭმალია? ...არ **გგონდებიხა** ალქიმი თუშების წანატანია? ...გეერდს არ **უსხენა** ვაჟები: შალვა, ივანე, ძმანია? არ **ასა** გაჯავრებული: „გასწყდა გოგოჭურთ გვარია?“ (ხევს. პოეზ., 224, 18, 20, 25, 26—27) [შდრ. ფშ.: ...კი **დაიქცაა** ჩარგალი? **გადმოვარდენა** ზღვანია? ნადობ კი **გამითხოვდაა**? კი **დამეცნენა** ცანია? (რაზიკ., 256, 8); ...არ **მოგწონვარა**, ქალაო, არ მოგიდისა სულ-გული? (რაზიკ., 143, 36)].

ხევსურულში დასტურდება ასეთი ფორმები:

პოეტი ხარ, მინდიაო, ლექს რო გეითხარ, **გაქესაე**?

---

[80] ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, წიგნში: „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, I, 1957, გვ. 19.

ენა მაგიგძელებავის, სთელინდელ აღარ გაჯსონსაე?
თხის ტყავან რო შამაგაცვნეს, ჩოჯა დაგანატრესაე?
ჩამაზძახდი დიაცებსა: „ნიფხავნ არვის მაშჩესაე?“
ყაზბეგში რო ჩაბახვედი, დუშეთს ზარებს არ სცეს?აე?
„მთაში თავადს რა უნდოდა?“—სადილ მოგიწვადესაე?

„კაი პურის პამა უნდა!“—ფულებ არ დახარჯესაე? (ხევს. პოეზ., გვ. 416); ...არ მოგწყინდაე მთას ყოფა, არ მოგინდაე ბარია? (ხევს. პოეზ., 424, 2); ...არ გონობსაე სიტყვასა, არ აყოლებსა გვინსაო? (ხევს. პოეზ., 534, 5); ...არვინ გყავაე მემკვრეი, ღნაყათ სულეთის კარია? (ხევს. პოეზ., 224, 19); ...არ იტყვისაე იმასა: „ძმასა-ღ უჭირა მჭარია?“ (ხევს, პოეზ., 224, 21); ...ახუნო არცად ღნახენაეო? (ეთნ., III, 14, 3); ...ბლოელნო, არ გაშინებთაეო? (ეთნ., III, 55, 2); ...ტერელოს არვინ წახოლთაეო? (ეთნ., III, 56, 2); ...თოფის ჭმა არ მადიოდაეო, იდუა არცად ომობდაეო, ხოლიგა არ იცინოდაეო, ყელჭრელი იდუაის თოფიო სულწუხად არ გადიოდაეო? (ეთნ., III, 19, 6—10).

პოეზიაში ეს -ე მარცვალთა რაოდენობის დასაცავად მოშველიებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იგი პროზაულ ტექსტებშიაც ხშირად იხმარება: ...გაუკვირდ: „ქორწილ არ უქნავაევ ჯერავ?!“ (მიელ. მას.); „...ჩემ დედ-მამან არცა(დ) ღნახენითაევ?“—გკითხ ჲი ვაჟგრილამ (მიელ. მას.); ...გამაქცეულ მავიდ: „ცხენნ ქმე წავიდესაევ?!“ (მიელ. მას.).

როგორც ირკვევა:

ა) -ე ჩნდება მხოლოდ კითხვით ფორმებში და კითხვითი ნაწილაკის მიმყოლ;

ბ) ჩნდება პროზაულ და პოეტურ ტექსტებშიაც;

გ) პროზაულ ტექსტებში მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა კითხვით ა ნაწილაკს სხვათა სიტყვის ო ‖ ვ (←ო) უნდა მოყვეს;

დ) რიგ შემთხვევებში, ისეთ მაგალითებში, სადაც ესა თუ ის ზმნის ფორმა ისედაც ა- დაბოლოებიანია (ნამყო ძირითადის მესამე პირის ფორმები: მოგწყინდ-ა, მოგინდ-ა, მადიოდ-ა, ომობდ-ა...), ორი ა არა გვაქვს, გვაქვს მხოლოდ ერთი, რომელიც კითხვითი ნაწილაკია და არა S_3 პირის ნიშანი (შდრ. ფშ. დაიქ-ა-ა, გამითხოვ-დ-ა-ა..., სადაც ბოლოდან პირველი -ა კითხვითი ნაწილაკია, მის წინა კი S_3 პირისა). ხევსურულში ასეთი რამ ალბათ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ S_3 პირის ნიშანი -ა მხოლობით რიცხვში იქ საერთოდ არ არის ხოლმე წარმოდგენილი: მოგწყინდ, მოგინდ, მადიოდ, ომობდ...—ესაა ხევსურულისთვის ნორმა.

რაღას წარმოადგენს კითხვითი -ა-ნაწილაკის მიმყოლ გაჩენილი -ე?

თვითონ -ა-ნაწილაკი, ჩვენი აზრით, უნდა მოდიოდეს ჰა-დან, რომელსაც ჩვენ ახლაც წარმოვთქვამთ შეკითხვისას. ხევსურები ჰა-სთან ერთად ჰე-საც ამბობენ: უფრო შორიდან დაძახების პასუხად ამბობენ ხოლმე: „—ჰაა ბეწინიკააა!“ „—ჰე-ჰეეე!?“ „ჰე-ჰეეე“ კითხვაცაა და დადასტურებაც, დაახლოებით ამას უდრის: „აქ ვარ, რა გინდა?“ როგორც ჩანს, ძველად ჰა-ც უნდა გვქონოდა და ჰე-ც; შდრ. ახალი ქართული ჰო და ძველი ქართ. ჰე(„კი“): ...ჰრქუეს მას: მოძღუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი დრამისაჲ? და მან ჰრქუა მათ: ჰე (მთ., 17, 24—25); ...იყავნ სიტყუაი თქუენი ჰე, ჰე და არა, არა (მთ., 5, 37); შდრ. აგრეთვე სომ. ჰა, რაც უდრის ქართულ ჰო-ს (ძვ. ქართ. ჰე-ს). ¹ესაძლებელია, რომ ე ისევე მოდიოდეს ჰე-დან, როგორც -ა ჰა-დან.

ამ -ე-ს აშკარად კითხვითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს შემდეგს წინადადებაში: ...ყორანო, ჭარის ბოლოსა არ მაავლიე თვალია? (ხევს. პოეზ., 120, 1) (მაავლი←მაავლ-ე, ე. ი. -ი←ნამყო ძირითადის ნიშან ე-დან). შდრ. ფშ.: ...ყორანო, ჭარის ბოლოსა ვერ მაავლია თვალია? (რაზიკ., 62, 123). ასეთი -ე ფშაურში თითქოს არ დასტურდება, მაგრამ ჩაკითხვითს ფორმებში პირის ნიშნის ა-სა და კითხვით ნაწილაკ ა-ს შორის იქ ჩნდება ჲ: „...ბასილ მოსულა ქალაქიდანა!“ „მოსულაჲა?!“ ჲ ჩნდება აგრეთვე სხვა ა-ნით გათავებულ სიტყვებშიაც: თივაჲა? (თივა?) მამაჲა? (მამა?), ოღონდ მაშინ, როცა ვინმე რაიმე ფაქტს აღნიშნავს და მას მოლაპარაკე ჩაეკითხება, რათა უფრო კარგად დარწმუნდეს ნათქვამის სისწორეში. ასეთ ფორმებში ჲ შეიძლება ხევსურულში დადასტურებული ე-ს ბადალი იყოს, ე-დან მოდიოდეს (მოვიდაჲა←მოვიდაია← მოვიდაეა).

ფშაურში სხვათა სიტყვის ო-დართულ ფორმებში ფუძისეულ ხმოვანს ან S_3 პირის ნიშანს ო მოყვება, ხოლო ო-ს კითხვითი ნაწილაკი -ა: ...არ მოგსვდაუა, რჯულ-ძაღლო?... (ვაჟა, „ალუდა ქეთელაური“): მოგხვდაუა←მოგხვდა-ო-ა; შდრ. ხევსურული, სადაც ფუძისეულ თუ S_3 პირის ნიშან ხმოვანს კითხვითი ნაწილაკი ა მიყვება, მას ე, ხოლო ბოლოს სხვათა სიტყვის ვ დგას: არ მაგხვდ-ა-ე-ვ?

თუ გავიზიარებდით აზრს, რომ ე←ჰე და იგი აგრეთვე კითხვითი ნაწილაკია, მაშინ გამოვიდოდა, რომ მოგხვდ-ა-ე-ვ ფორმაში ე-ც კითხვითი ნაწილაკია. ფშაურსა და ხევსურულს შორის

სხვაობა ასეთი ახსნის შემდეგაც დარჩებოდა: ფშაურში კითხვითი ნაწილაკია სულ ბოლოს, ხევსურულში კი — სხვათა სიტყვის ვ(←ო)...

ნ. გამოთქმის ზოგი თავისებურებისა და ინტონაციის შესახებ ხევსურულში

ინტონაციასა და ხმის მოდულაციას ენებში მეტ-ნაკლები გრამატიკული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ზოგ საინტერესო ცნობას იძლევა ხევსურული დიალექტი.

პროფ. ა. შანიძე ბეს. გაბუურის შესახებ წერდა: „თუ რამდენად დაკვირვებულია ბესარიონი და რამდენად სანდოა მისი მასალები საენათმეცნიერო თვალსაზრისით, რამდენადმე იქიდანაც შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა, რომ სახელობითი ბრუნვის მახვილიან ინს მოჰკვეთს ხოლმე თავის ტანს და მომდევნო ენკლიტიკურ სიტყვას მიაკრაეს ხოლმე, რომ ამით წერილობით გამოხატოს გამოთქმის თავისებურობა, მაგალ. „ჰკდე იქენ“, „ჯაჰვ ისცმივ“, „ჯარ იხყავ“, „მესმინაე იხქვიან“, „ნაჯალ იხვდებოდ“ და მისთ. ასეთ შემთხვევებში სახელობითის ინი ყველგან აღდგენილია თავის ალაგას და მახვილიც ნაჩვენებია, ხოლო ენკლიტიკური სიტყვა ხაზით არის მახვილიანთან შეერთებული: „ჰკდე-ქენ“ (205, 14, 16), „ჯაჰვ-სცმივ“ (163, 20), „ჯარ-ხყავ“ (139, 22), „ნაჯალ-ხვდებოდ“ (192, 25) და მისთ. სხვაფრივ ტექსტები დაბეჭდილია უცვლელად ბესარიონის ჭელნაწერების მიხედვით“-ო[81].

ეს „მართლწერა“ გაბუურს ბოლომდე ვერ გაუტარებია: ხშირია შემთხვევები, სადაც მოსალოდნელი იყო ზემოაღნიშნული დაწერილობა, მაგრამ გაბუურს ხელნაწერში არ ჰქონია იგი და დაბეჭდვითაც ისე დაიბეჭდა, როგორც გაბუურს ჰქონდა: ...ქალ რომ **დალიშნული გვყავ**... (გაბ., 131, 12); ...რომენ დღესაც **ჯორწილი ღგულავ**... (გაბ., 131, 18—19); ...მაშინ **ქალები მივლენ** მაშუღლარებში (გაბ., 124, 30); ...**ქალები მივლენ** შუღლში სამეშვლოდ (გაბ., 125, 8); ...ეეხლა ყველა **ფხიზლები ხართ** (გაბ., 123, 26) და მრავალი სხვა. ჩამოთვლილ მაგალითებში ზმნის წინ მდგომი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშანზე მოდის მახვილი და უნდა დაიწეროს: „**დალიშნულ-გვყავ**“, „**ჯორწილ-ღგულავ**“, „**ქალებ-მივლენ**“, „**ფხიზლებ-ხართ**“ და ა. შ.

ასეთ შემთხვევებში სახელი და შემასმენელი ერთი ლოგიკური მახვილის ქვეშ ერთიანდებიან, ორივე, სახელიც და ზმნაც,

---

[81] „წელიწდეული“, გვ. 336.

წარმოითქმის, როგორც ერთი სიტყვა. სახელისა და ზმნის გასაერთიანებლად სახელის ბოლო ხმოვანზე (ზმნის წინ) ხდება ხმის აწევა. მოვიყვანოთ მაგალითები: „არის“ ზმნასთან: ...მაწევარ-ას ის, რომ... (გაბ., 128, 2); ჩვეულებაი-ას (გაბ., 125, 5); ესი-ას (გაბ., 130, 22); მადლობელი-თარ (გაბ., 128, 10); მადლობელნი-ორთ (გაბ., 127, 31; 124, 9); მაგრამ: ...მწარე წყალი ას (გაბ., 123, 30); ...ხიმთელეიას საკითხაი (გაბ., 129, 1); უნდა: „წყალი-ას“, „სიმთელეი-ას“...

ერთპირიან ზმნასთან: ...რად-არ აეხლა ფხიზლები-შეულლობთ? (გაბ., 123, 29); მაგრამ: უნცროსები სხენ (გაბ., 126, 12); ...ყველა მთვრალი მიდის შინისკე (გაბ., 127, 34); უნდა: „უნცროსები-სხენ“, „მთვრალი-მიდის“...

ე. წ. ინვერსიულ ზმნებთან: ნებაი-აქვის (გაბ., 136, 25); ონჩხარი-აქვ (გაბ., 129. 24); ...როსაც ჴევსურეთ ვის საქნარ ან ჯორწილი-აქვ... (გაბ., 128, 3); უცოლოი-ხყავ (გაბ. 133, 21); მამკვდარი-ხყავ (გაბ., 127, 6); ისი-გგონავა (გაბ., 130, 11);

გარდამავალ ზმნასთან, როცა შემასმენელი და პირდაპირი ობიექტი ხვდებიან ერთმანეთს: ისი-თქვა (გაბ., 133, 29); მაგრამ: ...ვისადაც ეს თახი დალოცეს... (გაბ., 127, 8); უნცროსები წალალეთ (გაბ., 126, 28); უნდა: „თახი-დალოცეს“, „უნცროსები-წალალეთ“...

გარდამავალ ზმნასთან, როცა ქვემდებარე და შემასმენელი ხვდებიან ერთმანეთს: სტუმარი-ხკითხავს (გაბ., 129, 2); ხხვაი-სომხ (გაბ., 126, 26); მაგრამ: ...ახლა ისენი შაუქცევენ, სოფლელნი (გაბ., 127, 30); მასპინძელი წაღლალავს (გაბ., 129, 6), უნდა: „ისენი-შაუქცევენ“, „მასპინძელი-წაღლალავს“...

გამოთქმის ეს თავისებურება ახასიათებს პირაქეთულ-არხოტულ კილოკავს, შატილურისათვის ასეთი რამ არ არის დამახასიათებელი. შდრ. პირაქეთში, ბარისახოში, ჩაწერილი ტექსტი: ...მაშინ რაი-ხქენ, მინდიაო, ფეკჩი რო ნიკორმ ჩაიხვიაო? (ეთნ., III, 16,6) და შატილში(პირიქით ხევსურეთში) ჩაწერილი ტექსტი: ...მაშინ რა ხქენი, და გენაცვლაო, ბუჩასეულმ რო ჩამაგხვიელაო? (ეთნ., III, 5, 5). ბარისახოულ ტექსტში „რაი-ხქენ“ უნდა იკითხებოდეს, ასე გამოითქმის...

ძნელი სათქმელია, მახვილია თუ არა ხმის ის ინტონაცია, რომელიც ასეთ შემთხვევაში სახელის ბოლო ხმოვანზე მოდის. ჩვენი აზრით, აქ არა მახვილთან, არამედ ხმის ერთგვარ მოდუ-

ლაციასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, აქ დინამიკური მახვილი არ უნდა იყოს...

ჩვენ ზემოთ შედგენილ შემასმენელზე გვქონდა საუბარი. ხევსურულში, როგორც ვნახეთ, დაცულია გარდამავალი საფუხური: კაცი-ას: შემდგომი. სალიტერატურო ქართულისებური საფუხური (კაცი-ა) ხევსურულში იშვიათადღა დასტურდება, სახელდობრ: თუ შედგენილ შემასმენელს რომელიმე ნაწილაკი ერთვის („წყალი-ა-ვ", „წყალი-ა-ე-ვ?"...), თუ შემასმენელი „და" კავშირის წინ ხვდება („კაცი-ა და გუნება"), თუ შემასმენელი საროსმო სიტყვაა: ...ნუ აცვეთ, სანათიაძეო, უკაცრაობა არია, მაგას ჭმლით ცეცა არ უნდა, არწივის ნაგაზარია (მიელ. მას.).

ხევსურული ამაზე არ ჩერდება: იქ სახელს აღარც ეს „არის" ზმნისეული -ა შემოუნახავს, ოღონდ სახელის ბოლოს, სახელობითი ბრუნვის ნიშანზე ხდება ხმის აწევა. ეს ხმის აწევა ასრულებს „არის" მეშველი ზმნის მაგივრობას: ...ჰო, ეგ მართალ́, მაგრამ... (გაბ., 124, 6); ...თუ უფროს კაცი ას, ბებერი კი, არ დასმენ მუჭლით (გაბ., 126, 6, უნდა: „ბებერ́ კი..."); ...ბევრ დარჩა გრანიცაზედა ვეფხვივით მეომარია, ბევრ ვაჟ́ მძიმედ დაჭრილი, ბევრ უპატრონოდ მკვდარია (ხევს. პოეზ., 467, 41).

ხევსურულში ასეთი შედგენილი შემასმენელი ხშირად იხმარება, შატილურ-მიღმაკეურ კილოკავში უფრო ხშირად, ვიდრე ჩვეულებრივი შედგენილი შემასმენელი. ასე, რომ მეშველი ზმნის მაგივრობას (resp. შემასმენლის მაგივრობას) ხმის ინტონაცია ეწევა; [ასეთი შედგენილი შემასმენელი თუშურსა და ინგილოურსაც ახასიათებს. თუშ.: ...აქ, ალაზანზე, ჯიდ́ გადებული-დ' ზედ ყარაულს დაწყენებდეს (უთურგ., 100, 4—5); ინგილ.: ...ჩემ თავ შინაურთაგანი დასაგდებელ́ (დიალექტ. ქრესტ., 81, 1); ...შინ შადიან, ხედენ, ერ კაცი, ზედ ზოლ ჩოფუზ ჩაუცომ (დიალექტ. ქრესტ., 87, 23—24)[82].

ასეთივე მდგომარეობაა ხევსურულის სტატიკურ ზმნებსა და პირველ თურმეობითში: „არის"-ზმნისეული -ა იქაც იკარგება და მის საკომპენსაციოდ ხმის აწევა ხდება ბოლო -ივ(→ი) მარცვალზე: ...ეს ზაფხულ მშვიდობისა დაგვდგომრ́ვ (გაბ., 121, 12); ...ამას ხქვივნებრ́ვ სმაი (გაბ., 125, 27); ...გუროელ-შატილიონთ რო შუღლ მახვდომ́რ, მაშინ... (მიელ. მას.); ...ლაშქართ იმედა გამას-

[82] მახვილი თუშურ-ინგილოურ და ხევსურულ სიტყვებზე აქაც და ქვემოთაც ჩვენ დაგვისვით (ალ. ჭ.).

ძღოლი (მივლ. მას.) [შდრ. ინგილ.: ...ემ ფაჰჩას თურმენი სცოდნი საკნეტნი წერაჲ (დიალექტ. ქრესტ., 83, 35)].

ინტონაციისა და მახვილის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ფაქტებიც: საუბრისას არსებით სახელს სახელობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ ემატება ა და ამ ა-ზე ხდება ხმის აწევა და შემდეგ თითქოს ჭ-ს მსგავსი ბგერა ისმის: ...განა **მეიჭ'**, ვამბობ მაგას? (მივლ. მას., „**განა მეიჭ'**“=განა მარტო მე?); ...ერთ **ძროხაიჭ'** გაუვიდოდა, იმათ რო მეეთხოე? (მივლ. მას., „**ერთ ძროხაიჭ'**“=განა მარტო ერთი ძროხა?); ...**ორნიჭ'** რად იყვნეს, ბასილიც ქვე არ ეტანა? (მივლ. მას., „**ორნიჭ' რად**“=განა მარტო ორნი? რატომ მარტო ორნი?). აქაც ინტონაცია გარკვეულ ფუნქციას ასრულებს, იგი ნაწილაკის როლში გამოდის.

ბეს. გაბუურის ტექსტებში იკითხება ფრაზა; ...**კარგია**, სიმთელეი ას საკითხავი (გაბ., 129, 1); „**კარგია**“ ამ კონტექსტში განსაკუთრებული ინტონაციით გამოითქმის (აქაც თითქოს ჭ ისმის სიტყვის ბოლოში) და ნიშნავს არა მარტო ამას: „კარგი არის“, არამედ ამასაც: „მადლობა ღმერთს!“, [ანალოგიური ინტონაცია უნდა გვქონდეს თუშურში: ...ცაცსთაც ყოჩაღ კაცმავ რად **თორმეტიაჭ** მოხკალიე? (დიალ. ქრესტ., 119, 12, „**რად თორმეტიაჭ**“= რატომ მარტო თორმეტი? რატომ მხოლოდ თორმეტი?)].

ხევსურები ზმნის მიმყოლ იტყვიან „**კაცო**“-ს ისე, რომ გამოთქმის მიხედვით „**კაცო**“ წინამავალ ზმნას ენკლიტიკად ეკვრის და ისმის „**კჳცო**“ თუ „**კჱცო**“: „...—ჩემო მზექალო, რაჳე შავსწუხდ(!) შენკე, ცოტახან არ დაეჯდები?“ „—**დავჯდებრ-კჱცო**, რაობით არ დავჯდები?“ ასეთი ფრაზა (ზმნას+კაცო) გადმოსცემს: „რა თქმა უნდა, რომ“... „როგორ არა“? „ჰაი-ჰაი, რომ“..., „დიახაც“, „რასაკვირველია, რომ“...

ნაწილი მეორე

ხევსურული დარგობლივი ლექსიკა

წინასწარი განმარტებები

ხევსურული დიალექტი ქართული ენის დიალექტებს შორის ერთ-ერთი საინტერესო და ნაკლებშესწავლილი დიალექტია. არა გვაქვს ამ დიალექტის ლექსიკონი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფ. ა. შანიძის მიერ ბეს. გაბუურის „ხევსურული მასალებისათვის“ დართულ ლექსიკონს[83], რაც, რა თქმა უნდა, ნაკლს ვერ ავსებს. ხევსურული დიალექტი არქაიზმებით მდიდარი დიალექტია. ამ არქაიზმების გამოვლენა საჭიროა ქართული ენათმეცნიერებისათვის.

ჩვენ განვიზრახეთ ხევსურული ლექსიკა შეგვესწავლა დარგობლივად ცალ-ცალკე და შეძლებისდაგვარად სრულად აგვეწერა ხევსურული მეურნეობის ყველა დარგი და გამოგვეკვლია ამ დარგთან დაკავშირებული სიტყვიერი მარაგი. ლექსიკის შესწავლის ამ მეთოდს გარკვეული უპირატესობები აქვს: ა) მეურნეობის ამა თუ იმ დარგის თანმიმდევრულად აღწერა მეტი სისრულით გამოავლენს ლექსიკას, ბ) დარგის აღწერისას ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა უფრო გასაგებია, ვიდრე იგი ცალკე განმარტებისას იქნებოდა და გ) ამგვარი აღწერა არც ეთნოგრაფიის თვალსაზრისით არის ინტერესს მოკლებული.

წარმოდგენილი ლექსიკა შედარებული გვაქვს ძველი ქართული ენის ლექსიკასთან, სხვა დიალექტთა იმ ლექსიკურ მარაგთან, რაც დღემდე გამოცემულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში დასტურდება, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ქართველური და მთის იბერ.-კავკასიური ენების ლექსიკასთან და სხვ. უადგილობის გამო, შედარების შედეგად მიღებული ყველა ცნობის აქ მოტანისაგან თავი შევიკავეთ.

[83] ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეული“, 1923—24 წწ., ხევსურული მასალები, გვ. 159—330.

აქ წარმოდგენილ ლექსიკაში ბევრი ისეთი სიტყვა დასტურდება, რომელიც დღემდე გამოცემულ ლექსიკონებში არ ჩანს, ბევრი სიტყვა ძველია, ხოკი სიტყვა ზანურ და სვანურ ენებთან მიმართებით არის საინტერესო, ზოგიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებით.

აი ორიოდე მაგალითი:

უყურო ან ყურებდაჭრილ ცხვარს ხევსურები ყუჯა-ს ეძახიან (შდრ. ჭან. ყუჯი ‖ ცუჯი ‖ უჯი, მგრ. ცუჯი „ყური“).

ხევსურულად კონწარი ძალიან მჟავეს ნიშნავს („კონწარი დო“ და მისთ.). ამ სიტყვის პირველ ნაწილში შემონახულია მეგრულში დადასტურებული კოლო („მწარე“): კონწარ←კომწარ← კოლმწარ←კოლო+მწარე. (შდრ. გურ. კონწარი—„ავ ენა, უხასიათო ქალი“).

ასევე ჩანს შედგენილი კოწახი („ძლიერ მჟავე“) (შდრ. კოწახური, კვაწარახი←კოწარახი). კოწახ←კოლო+წახ; მწარე← მ-წარ-ე; წარ-ფუძეში -არ დეტერმინანტი სუფიქსი უნდა იყოს, ისევე, როგორც წახ-ფუძეში -ახ სუფიქსი ჩანს. წარ- ფუძეს მ—ე აფიქსები დაერთო. წახ- ფუძესაც აქვს დართული ასეთი აფიქსები. საბა წერს: „ჴჰახე—ღვინო მოძმარებულივით“; „მჟავესთან“ საბა წერს: „...პირველ არა მჟავე რაღცა მოძმარდეს, ეწოდება წ მ ახ ე“... „მჭახი—ისრიმი“ (ისრიმი უჴწიფარი ყურძენია, ე. ი. მჟავე, მჭახე...).

წმახე[83]←მწახე→მჭახე; საბასთან ჭმახე-ც დასტურდება: „ჭმახე (ჭმახი) მოძმარებული“; ყველა ეს ერთი ძირია მ—ე აფიქსებდართული. ეგეთე ფუძე მეგრ. ჭვახე-შია დაცული: ჭვახე ‖ ჭმახე.

როცა მოზვრის მოხმობა უნდათ, ხევსურები „გერი!—გერი!“-ს ეძახიან მას. დედა ძროხა რომ რძეს არ იძლევა, მას აძლევენ მარილს, რომელსაც საგერებს უწოდებენ (სა-გერ-ებ-ი); ეს იგივე ძირი ჩანს, რაც ჭანური გენ-ი ‖ ჯენ-ი ‖ ნ-ჯენ-ი, მეგრ. გენ-ი ‖ გინ-ი და სვანური ღუნ („ხბო“)[84].

შიმშილისაგან დასუსტებულ პირუტყვს ხევსურები დაამლულ-ს (და-ამლ-ულ-ი) ეძახიან; აფხაზურად ამლა შიმშილს ნიშნავს. ფუძე საერთო ჩანს.

ორი წლის დედალ თხას ხევსურები წალ-ს ეძახიან, ხუნძურად წჲ საერთოდ თხას ეწოდება და ა. შ.

ნაშრომში ასეთი შედარებებისა და ეტიმოლოგიებისაგან, როგორც აღვნიშნეთ, თავს ვიკავებთ, თუმცა ხევსურულში დადასტურებული ლექსიკა ამ მხრივ საინტერესო მასალას წარმოადგენს.

---

[83] შდრ.: „არ სასმენისა მოსმენა არს უმჟავესი წმახისა“ („ვეფხის-ტყაოსანი“, 896, 4).

[84] იხ. ჭან.-მეგრ.-ქართ. ლექსიკ., გვ. 84.

პურეულის ლექსიკა

§ 1. **სახნავ-სათესი მიწა.** სახნავ-სათეს მიწას ხევსურეთში სოგადად **მაჟული** ეწოდება. ანდაზაა: „შენ რას იკვეხი, **მამულო**, ყანა ამინდის შვილია“. **მამული „ხამშობლო“-ს** გაგებით არ იხმარება, იგი მიწას ნიშნავს (სიტყვა **მაჟული** იხმარება აგრეთვე ნათესაობის აღსანიშნავად **დედული-ს** საპირისპიროდ: „**დედულ-მამული**“).

სამამულე, საყანე ადგილი ხევსურეთში ცოტაა და ამიტომ ტყის დაწვა-გაჩეხით აკეთებდნენ ხოლმე მამულს. ასეთ მამულს **ახო** ეწოდება. შატილში არის გეოგრაფიული სახელი **ხასუაის ახო.**

უხნავ, ან ნახნავ და მერე გაბალახებულ („**ბალახის პირწმინდულ**“) მიწას **ბორტვი** ეწოდება. ასეთ ნიწას **გაბორტვებულ ყანა-ს** ან **ნაყანობა-საც** ეძახიან. ასეთი ყანის პირველად მოხვნას **დანაყა-ს** ეძახიან („**ბორტვის დანაყა**“, „**ყამირის დანაყა**“).

„ბერდიშვილთ დეეიურა **ბორტვიო**,
მეხ დახკრა დაბალ ბეწინასაო“
(ეთნ. მას., 114).

მიწის „დასანაყად“ იყენებენ ხის **კავს** || **წერა-კავას.** კავით მიწის ზედაპირზე გაავლებენ ხოლმე ხაზებს, რათა ბელტებად შეკრული მიწა დაირღვეს, ხოლო შემდეგ ხის გუთნით ხნავენ. კავით ხვნას **ბორტვის დაწერა-ს** ეძახიან. დანაყილ მიწას ხშირად ტოვებენ მეორე წლისთვის, რათა შემოდგომაზე მოხნულ ყანაში ზამთრის ყინვამ დააზროს სარეველა მცენარეთა ფესვები; მეორე წელს ხელმეორედ ხნავენ და, ასე მოხნულ ყანას **იორეშა-ს** უწოდებენ. საერთოდ ერთ წელს დასვენებულ ყანას **ყამირი** ჰქვია, თუ ის მეორე წელსაც მოუხნავი დარჩა, **ყამირის ყამირი** იქნება.

ყანა შეიძლება იყოს **მთური** ან **ბარული, მიადანი** (ვაკე) ან **გვერდალი** (დამრეცი), **ჩდილისა** (მზე-უხვედრი) ან **მზისპირისა** (მზვარე). კარგი ადგილის ყანას **გულის ყანა-ს** ეძახიან. ყველაზე ძვირად **კარის-პირული მამული,** სახლის ახლო მდებარე მამული ფასობს. კარის-პირულ მამულს **ჯაგირ-საც** ეძახიან.

„გაგატანიებს მამულსა, გედვას **კარის პირ მტყელია**“
(ხევს. პოეზ., 270).
„პური მაუდის ბევრაი **ჯაგირებს კარის პირსაო**“
(მივლ. მას.).

ხატისათვის შეწირულ ყანას **ჯვარის ყანა** ეწოდება. შატილში ერთ-ერთ ასეთ ჯვარის ყანას (და ამ ყანისა და **ხატის** მიდამოებსაც) **ხოდაბური** ეწოდება. **ხოდაბური**, როგორც სიტყვა, სახელი, აღარ იხმარება. როგორც ჩანს, ამ გეოგრაფიულ სახელსღა შემოუნახავს ძველ სალიტერატურო ქართულში გავრცელებული სიტყვა **ხოდაბუნი** || **ხუდაბუნი**. ასეთივე წარმოშობისა ჩანს შატილში ერთი გეოგრაფიული, სახნავ-სათესი ადგილის სახელი— **აჩხატა** (←ნაჩხატი?).

პატარა ყანას ან ყანის მცირე მონაკვეთს **კოტორა** ეწოდება, ვიწრო და გრძელ ყანას—**სრელი**. შატილში არის გეოგრაფიული სახელი **სრელოვანი**.

ცალკეული მარცვლეულისათვის ყანა საგანგებოდაა შერჩეული. არის **საიფქლე**, **საქერე** და **სასვილე** ყანა. წინა წელს ნახნავ ყანას მეორე წელს **ნამბილს** ეძახიან. ყანა შეიძლება **ღორღიანი** ან **უქვო** იყოს. მწირმიწიან ყანას, რომელიც ცუდ მოსავალს იძლევა, **ხირხალი** ეწოდება. ფხვიერ მიწას **მშლიგ მიწა**-ს ეძახიან. კარგი მიწის ეპითეტებია: **ბადლი**, **მდიდარი**, **ტუმნა**, **მასვენებული**, **მსუქანი**, **ნივთიანი**, **პოხიერი** და სხვ. მწირი ნიადაგის ეპითეტებია: **მშიერი**, **გამაღალული**, **უნივთო** და სხვ.

. ორი ყანის მიჯნას **მძღვარი** ეწოდებოდა. მძღვარში ჩასმულია მოზრდილი ქვა, რომელსაც **სამან**-ს ეძახიან. ასეთი სამანი ერთ მძღვარში შეიძლება რამდენიმე იყოს. მძღვრისათვის აცილება ან ჩამოცილება ნახნავისა, ე. ი. თავისი მამულის გაფართოება სხვისი მამულის ხარჯზე, ცოდვად და ღვთისაგან განდგომად ითვლებოდა. „**სამან-სამძღვრის შარევა** არ შაიძლების, ღმერთ იწყენს, კაც თავისას უნდა დასჯერდას“.

[საიქიოში] „**სამან-სამძღვრისა ამრევსა**, ზურგზე მახკიდნეს კლდენია“ (ხევს. პოეზ., 56_{14}).

„თან მახყვეს ქალუნდაურსა მამუკას შუქნი მზისანი,
ბეგენ-გორ ჩამოეწივა ყმან ჩაპრნა ზურაბისანი,
ამანდით ამაბრუნვილმა **სამანნ** ჩახყუდნა ქვისანი,
რომენიც გარდააქცევდა, ცოდვან მახკიდნა ჭმლისანი“
(ხევს. პოეზ., 8_{11}).

მძლავარი ორი ყანის გამმიჯნავი ეიწრო ზოლია; უფრო ფართო ადგილს ყანებს შორის **რუყი** ეწოდება. ზოგჯერ მძლავრიც **გარუყდება**, გაფართოვდება ხოლმე. ზმნა **დარუყება** დამარცხებასაც ნიშნავს.

„ამირან ჩამავიდოდა ცხენ-ოქრის ჩამაგდებული,
წამაეგება დედაი: „საით მახვ **დარუყებული**?“
(მივლ. მას).

გულმოდგინედ დაუმუშავებელი ყანა მძლავარზე და **ნაპირ-ყურთ** (კიდეებზე) „გაბორტვების, **გაბეჭიანდების**“ (**ბეჭი**), ამიტომ „ყანის მძლავრი' ნაპირ-ყურრ **გულდატანთ** (გულდასმით) უნდა მაიჯნას“.

მოხვნამდე ყანა უნდა „**გაიღორლას**“ (ღორღვა). „ჯვნის წინ ყანა უნდა **გაიღორლას**, ღორღ თესლს არჩობს, ჯეჯილს სწოვს“. გაღორღვის შემდეგ **ნეხვი** (ნაკელი) გააქვთ ყანაზე. „თუ უღორღო ყანა იყვის, ზამთრისავაც **შავნეხვიდით**“. ნაკელი **ჯინი-თ** მიაქვთ ყანაში. **ჯინი** წნელისაგან დაწნული, დაბალი, სწორკუთხედი ფორმის გოდორია, რომელიც მარხილზეა დადგმული, არის მეორენაირი, პატარა ჯინიც, რომელიც გოდორივით მრგვალია, ოღონდ ფსკერი სწორი აქვს. ასეთი ჯინით კაცებს მიაქვთ ხოლმე ნაკელი ყანაში. **ყანის შანეხვა** საკმაოდ მძიმე შრომას მოითხოვს, მაგრამ საჭიროა, რადგან **ნანეხვ ყანა** გაცილებით კარგ მოსავალს იძლევა ვიდრე **უნეხვავი**.

ხვნის დაწყება გაზაფხულის ამინდზეა დამოკიდებული, ჩვეულებრივ აპრილ-მაისის თვეებში იწყებენ ხვნას. გუთანში ერთი უღელი ხარი უბიათ. ორი, თითოხარიანი გლეხი ხარებს შეაამხანაგებს და ამას **ჯართ შამონდვება** ეწოდება, თვითონ ხარებს— **მონდვის ჯარნი**, ხოლო ასეთი ხარებით ხვნას —**მონდვით ჯვნა**. ვაჟის მამას მიულოცავენ ხოლმე: „გაგიზარდას, **მონდავ** სხვა მაგცას“-ო, ე. ი. კვლავაც ვაჟი გეყოლოსო.

ხვნას ნაჩვევი ხარი **მანძილა**-ა. **მანძილა**-ს ეძახიან დიდრქებიან ნადირსაც (ჯიხვი, ირემი...) შდრ.:

„ქორთუა ამაუჩინდა, **მანძილაია** ტყისაო“
(მივლ. მას.).

თუ მაჯნავს ორივე ხარი მანძილა ჰყავს, უმეხრეოდ ხნავს, ხოლო თუ ერთ-ერთი მათგანი პირველადაა შებმული („თუ ერთ ჯარ **მეჩვევრ**“), საჭიროა **წინამძღვარი** (მეხრე), რადგან „მეჩვევმ ჯარმ **ჭყინჭყილაობა** იცის, კისერიც ადვილა სტკივდების, ჯშირ-ჯშირად იცის უღლის **მასაქედურება**“ (უღლის გადაგდება, მოძრობა კისრიდან).

§ 2. **ხვნა-თესვის იარაღები.** სახნავ-სათესი იარაღების ერთ კომპლექტს **აკაზმა** ეწოდება. სახნავ-სათეს იარაღებს **ჯარის იარაღ**საც ეძახიან. **აკაზმას**, ანუ **ჯარის იარაღს** შეადგენს:

1. **უღელი** თავის ნაწილებით:

ა) **საქედური**—ის ნაწილი უღლისა, რომელიც ხარს ქედზე ადევს;

ბ) **ტაბიკი**—ოთხი ცალი;

გ) **ძაგრის** (ძუის) **აპაური** || **აპეური**—ორი ცალი.

2. **საკვნიელი** (გუთანი) თავის ნაწილებით:

ა) **ვერქვანი** (ხელნა);

ბ) **ვერქვნის ტოტნი**—ხელნას სახელურები;

გ) **ქურსლი**—გუთნის ის ნაწილი, რომელიც მიწას ღარავს;

დ) **ქურსლის ყურნი**—უკანა ნაწილი ქურსლისა;

ე) **საშვრიე**—ქურსლის წინა ნაწილი;

ვ) **საკნისი**—(საშვრიეზეა იგი წამოცმული);

ზ) **საკვნივლის მკარი**—ბოლომოხრილი ძელი, რომელიც ქურსლშია ჩასმული და რომლითაც ქურსლ-ვერქვანი უღელთანაა მიბმული;

თ) **საკვეთელი**—საკვეთი, იგი საკვნიელის მკარშია ქვემოდან ყრილი და **სოლები**-თაა დამაგრებული;

ი) **საბეწვე**—პატარა ჯოხი, რომელიც საკვნივლის მკრის წინა კიდეშია გაყრილი.

3. **საუღლე**—მსხვილი, სამმაგად დაწნული ღვედი, რომელიც უღლის შუა წელზეა მიბმული. მისი მეორე ნაპირი გადაეხვევა საკვნიელის მკარს იმ ადგილზე, სადაც საბეწვეა გაყრილი და, ამრიგად, აერთებს გამწევ ძალასა და იარაღს. მასვე აქვს **ჩხირი**, რომელიც საუღლეს ამაგრებს საკვნიელის მკარზე.

4. **ფარცხი**, თავისი ნაწილებით:

ა) **ფარცხის გალნი**—სამი ლატანი, ორიოდ მეტრის სიგრძისა თითოეული, რომლებიც წნელითაა ერთმანეთზე დამაგრებული;

ბ) **ფსრე**—ხშირწკეპლიანი ტოტები არყის ხისა;

გ) **სამჩხირავი** (ჩხირი)—სამი ცალი,—რომლებითაც ფსრე ფარცხის გალებზეა ასხმული;

დ) **ჯარჯები**(|| **ჯარჯნი**)—წნელისაგან დაწნული რგოლები;

ე) **ფარცხის საბელნი**—თოკი, რომელიც ერთი პირით უღელზე, ან საუღლეზეა მიბმული, ხოლო მეორე, გაორმაგებული პირით ფარცხის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დამაგრებულ ჯარჯებზე;

3) **კაბდო**—ორკაპი ხე, რომელიც ზოგჯერ ფარცხის საბლის როლს ასრულებს.

§ 3. **ხვნა-თესვა**. ხვნის დაწყებას **საჯნავად გადენას**(‖ **საჯნავად გაე-**ს) ეძახიან; „**საჯნავად გადენის** დროს მაჯნაე ადგების დილას“.... [85] „ღმერთო დალოცვილო, ბევრ საჯნავად **გაე** მოგვგვარე მშვიდობისა...“ [86] ხვნის დაწყებას **გუთნის გამბა**-საც ეძახიან.

„რად არ **გაამბევ გუთანსა**, ცოდო'ში რაზე ზდგებია“?

(ხევს. პოეზ., 673_{16}).

საჯნელის მიერ გაღარულ მიწას **კვალი** ეწოდება. ძველ ქართულში კვალს **ორნატი** რქმევია. ხევსურეთ'ში სიტყვა „**ორნატი**“ აღარ იხმარება. იქ ერთ ჩიტს ეძახიან **ურნატა**-ს. ეს ჩიტი იგივე **მეხანიე** ანუ **საჯნაურა**-ა, იგი კვალზე (ორნატზე) დაეძებს ბოლმე ჭია-ღუას და ამიტომაც მიუღია ეს სახელწოდება. სოფ. შატილ'ში არის ადგილი, რომელსაც **ურნატა**-ს ეძახიან. ეს კლდოვანი ადგილია და ზედ ერთადერთი ბილიკი (კვალი, ორნატი) გადის. აქაც ძველი ქართულის **ორნატი**-ა შემონახული.

პირველად კვალის გატანას **დაკვალვა**-ს ეძახიან: „ჯართ საჯნიელ გამიტეხეს, **დაკვალულ ყანა** დამაგდებიეს“. ხვნის დასაწყისს **ჯართ მამულისად გაკიდება**-საც ეძახიან. „(მაჯნავ) **ჯართ რო მამულს გაუკიდებს**, მაიჯდის ქუდს...“ [87] პირუტყვის გარეკვას საერთოდ, და, კერძოდ, ხარების გარეკვას ხვნის დროს, **დალალვა** ეწოდება. სიტყვა **დალალვა** ყანის საზომი ერთეულიცაა ხევსურეთ'ში: **ერთი დალალვა**-ა მიწის მონაკვეთი, რომელსაც ხვნის დაწყებიდან დასვენებამდე მოხნავს გუთნის დედა. დღეში ოთხჯერ ისვენებს იგი, ე. ი. ერთი დღის ყანა **ოთხი დალალვა** გამოდის.

ხვნის დროს გუთანი საუღლით უღლის შუა წელზეა მიბმული, მაგრამ ხვნის პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს მისი გადაწევა მარჯვნივ ან მარცხნივ. ასეთს საჭიროებას ქმნის ხოლმე: ერთ-ერთი ხარის სისუსტე, მრუდე, გაუმართავი გუთანი, სახნავი მიწის უსწორმასწორო ზედაპირი და სხვ. გუთნის ასე გადაწევას **ცანდის დადება**-ს ეძახიან. ყანა შეიძლება იყოს **ზეზეურად** (ზედაპირულად) ან **ღირმით** (ღრმად) **ნაჯნავი**.

---

[85] ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების „წყლიწდეული“, I—II, 1923—1924 წწ. გვ. 121.

[86] იქვე, გვ. 121.

[87] იქვე, გვ. 121.

ხელით ამოაქვთ ხოლმე თესლი და თესავენ. ერთი ადგილიდან სამ **მჯიღ** (სამ მუჭა) თესლს ისვრის მთესავი: ერთს ქვემოთ, მეორეს პირდაპირ, მესამეს ზემოთ. შემდეგ ორ-სამ ნაბიჯს გადადგამს იგი, კვლავ გადაყრის თესლს და ა. შ. მთესავის მიერ ასე გატანილ ერთ სვეს **ერთი სათესი** ეწოდება. თესვა შეიძლება **თხლად** ან **ჯშირად**, თხლად ნათესს ზოგჯერ დაუმატებს მთესავი, ამას **დაჯშირება**-ს ეძახიან.

ფარავენ (ფარცხავენ) ზემოაღწერილი ფარცხით. რაც დაუფარავი თესლი დარჩება მიწაზე (ან ფარცხის აცდენით ან სხვა მიზეზით), მას ფეხით ძიაყრიან ხოლმე მიწას. ამას **დარუყვა** ეწოდება.

§ 4. **პურეულის მოყვანა.** შატილში[88] ორგვარი ქერი ითესება: **მთური** და **ბარული**. მთური ქერი ბარში არ ხარობს, ბარული—მთაში. თავთავის მიხედვითაც ორგვარია ქერი: **მარტივი** ანუ **ფიცარა** (ორმწკრივი) და **ჩარათი** (ოთხმწკრივი).

„ლუდი აქვ გაუთაოი ჯორულის **ჩარათისაო**“ (მიელ. მას.).

იფქლი (წმინდა) მხოლოდ მაღალ ადგილებში ითესება, იგი „ბარჩი არ გვარობს“. იფქლს **შიშველმარცვალ**-საც ეძახიან.

სვილი-ც (ჰვავი) ორგვარია: **სთვლის სვილი**(|| **ორის წლის სვილი**) და **ბოცორაგი**. სთვლის სვილი **სთველ**-ში (შემოდგომაზე) ითესება, ხოლო ბოცორაგი გაზაფხულზე: ერთიც და მეორეც შეიძლება დაითესოს როგორც ბარში, ისე მთაში, მაგრამ არ შეიძლება ბოცორაგი დაითესოს შემოდგომაზე ან ორის წლის სვილი დაითესოს გაზაფხულზე.

არის კიდევ ერთი კულტურა—**ქერშველი**. ქერშველი თვისებით ქერს გავს, უქერქოობით და ფერით—იფქლს. სახელწოდებითაც ქერთან უნდა იყოს კავშირში: ქერშველი←ქერშიშველი. ქერშველს ცოტას თესავენ, რადგან დიდი გამოყენება არა აქვს. საპურედ არ ვარგა: უგემურია და უძარღვო. მთაში თესავენ. იყენებენ **ფაფისა** და **ბიჯონის** (ბატი-ბუტის) დასამზადებლად. ქერშველის ფაფა კარგი გამოდის.

იშვიათად **შვრივა**-საც თესავენ. შვრიას არხოტელები **ჭიშქენ**-ს ეძახიან. შვრიას იყენებენ **ჯალი**-ს (ქუმელის) დასამზადებლად ან ცხენის საკვებად. „**შვრიას** დაფორებულს, დაცრილს საარაყედაც ვიყენებდით, ჯოლისკალუაელთ ქოო **შვრიაის საარაყე** იცოდიან“.

---

[88] იგულისხმება შატილის თემიც.

მცირე რაოდენობით თესაენ ცვერცსა და ტრუპკა-ს [‖ კრუშა-საც (კრუპას)]. ცვერცს **სადოხნედ** იყენებენ, „ტრუპკაისა კი პურიც ცხვების, ხინკლებსაც ვმუშაობთ“. „ტრუპკაის პური“ გემრიელია, მაგრამ შავი და მშრალი გამოდის.

„შენ თუ გაქვ მაღაზიები, ორ კოდ მეც მიდგა ცვერცია“
(ხევს. პოეზ., 675$_3$).

„სანამ ცხელია ტრუპკაი, რო გაცივდება—დუშმანთა“
(მიელ მას.).

თესლი რომ გაღვივდება, „თესლ დაკიაპდა“-ო იტყვიან. კიაპი გაღვივებული მარცვლის მიერ ამოყრილ უმცირეს მორჩს ეწოდება.

„ქმოსტელთ უსწავლავ რუსული ოსიმდისიატ პიატი,
ღმერთი გაგიწყრათ, ქმოსტელნო, სრუ დაგილიათ კიაპი“
(ხევს. პოეზ., 576).

„მამუკა ჭელად არ მივა, კიაპ არ დარჩას მთლისაო“
(ხევს. პოეზ., 22მ$_3$).

მცირე ამონაზარდს თესლიდან ყივი-ც ეწოდება. „დაყივდავ კარტოხაისად ვიცით უფრო, თესლისად დაკიაპდავ ვიცით; გამაიჭაჭავ, ისიც იციან თესლისად, დაღერდავ, იმასაც ვიტყვით“-ო განმარტა ინფორმატორმა.

ჯეჯილის აღმოცენებას **ჯეჯილის გამასვლა**-ს(‖ **ყანის გამასვლა**-ს) ეძახიან. ნედლ ყანას, უფრო სწორად, ერთ ბღუჯა ნედლ ყანას **ადოში** ეწოდება. **უმწიფარ** ყანას **ლოშნ** ყანას ეძახიან. როცა ყანა თავთავის გაკეთებას იწყებს, „ყანა **სამწვერვალთ მავიდა**“-ო იტყვიან. ბუდეს, რომელშიაც თავთავია მოთავსებული, ჩაჩა ეწოდება. „დაგვღუპნ გვალვამ, ჩაჩაჩი ჩაავმ ყანები“.

ყანა რომ მოწევას მიუახლოვდება, იტყვიან: „წამგლისფერებულია“-ო. ღეროს ფესვიდან თავთავამდე **ყანის ფეჯ**-ს ეძახიან. ყანის ფეჯს ძველ ქართულში წუელი რქმევია. ხევსურულში არის ეს სიტყვა, მაგრამ ასე გამოკვეთილი მნიშვნელობა აღარა აქვს. „დაწველებულ იყავ“—ყანისად თქვიან, ზოგს რო თავ ხქონდის ამაღებულ, ზოგს ქვიარ“-აო განმარტა ინფორმატორმა.

ბუდეს, რომელშიაც მარცვალია მოთავსებული, **კილი** ეწოდება. **კილ**-ის ეტიმოლოგია ივ. ჯავახიშვილს აქვს დადგენილი. იგი კილს აკავშირებს ღილ-კლოსთან, კილტე-კლიტესთან და ასკვნის: „კილის“ ძირითად მნიშვნელობას შემკვრელობის, მოცვის ცნება შეადგენდა“-ო[89]. ამ აზრს თითქოს ხევსურული დიალექტიც

[89] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 281.

უკერს მხარს: „თვალის მაკილვა“—თვალის ჩაკერა, დახუჭვა; „ისრის კილო“—ბუდე, რომელშიაც მშვილდის ბაწარი უნდა ჩაჯდეს და მისთ.

იფქლს და სვილს უჩნდება ერთგვარი ავადმყოფობა: მისი თავთავი წვრილი, წითელი სოკოებით მოიფინება ხოლმე. ამ ავადმყოფობას სვლება-ს ეძახიან. „იფქლს სვლება მაშინ გაშჩინდების, ახა მარცვალს კილჩი წყალ ჩაუდგას“.

თუ ყანა დროზე არ მოიმკო, „გაფიცხდების, თავ დაუწყებს მიდენას“. ასეთი ყანის მომკა შეიძლებ მხოლოდ მაშინ, როცა ნამი ან წვიმა დაალბობს (დაღნამავს), მაახამებს (შდრ. ხამი—ნწვანე ბალახი). „ზოგ ყანა გაკეთდების, გაძლების, ზოგ მასცდების, ცალია დარჩების. ზოგ მამცდარ ყანა (თუნელ ყანა) გაძლების, მაგრემ თავკირკოტაჲ, მოკლ-მოკლიას თავთავას მაისხამს“. „ვინაც მკის მამკალ ხქვიანის“. სხვათა შორის მამკალი[|| მუშა(ნ)ი] ჰქვიან ნადსაც. თუ ნადი ხიბავს კიდეც (ე. ი. თუ ზოგი მკაში ეხმარება ოჯახს, ზოგი კი თიბვაში), მაშინ მთიბელ-მამკალი-ა. ანდაზაა: „აქით მავსცდი მუშათაო, იქით მესადილეთაო“.

საღამოობით, საკუთარი სამუშაოებიდან დაბრუნებული გლეხები წაეხმარებოდნენ ხოლმე რომელიმე მეზობელს კარისპირული ყანის მომკაში. ამ „მუშათ“ წუხრეულანი || (წუხრიელანი) ეწოდება.

„ქერ-იფქლ ჴელით იმკების, სვილ ღულით“ (ნამგლით).

„სვილის სამკალა წაგიყვან, ნამგალს მოგაწვდი ჴელშია“
(ხევს. პოეზ., 675_{12}).

ნამგლით მკას ჴენცთლით მკა-საც ეძახიან. [ჴენცლ←ჴელცელ ჴენცლვა←ჴელ ცელვა, ე. ი. „ჴელის ცელით“ მკა. შდრ. ჴელცულა(|| ჴენცულა), ჴელცოცხა, ჴელკვერი...]. „ძნას ულოთ ვხკონავდით. ერთ ძნა ორს ჴელეულ-ს გამადის. მკაჩი იცოდიან: „ულო, ულო, ჴელეული, ქალ თუ გინდა ჩვენეული“-ვ. სვილის ძნის ულოს ნაკრაულსაც ვეძახდით“.

ძნებიდან სამეულ-ს აკეთებენ: ორ ძნას დადებენ, ზედ მესამეს დაადებენ და ამას სამეული ეწოდება. „წუხრ ძნა შავყარიდით, სამეულებ ერთა მივიღიდით“. ნამგლით მომკილ ყანაში რომ ყანის ძირი რჩება, იმას ნაბჯა-ს(|| ლაბჯა-ს) ეძახიან. როცა უკანასკნელ ყანას მომკიან, ერთი ბღუჯა ყანა მიაქვთ ხოლმე სახლში. ამას სამკლის კუდი ეწოდება. იმ საღამოს სახლში გარკვეული რიტუალი სრულდებოდა. „წუხრ ფაფა ვადუღიდით, ღმერთს უძახიდით...“

მომკილი მოსავალი შემოდგომამდე რჩებოდა ყანაში. ამიტომ საჭიროა მისი გულმოდგინედ შენახვა, რათა თაგვმა და ფრინველ-

მა ნაკლებად დააზარალოს, წვიმამ არ დაალპოს და სხვ. „ქერ წერილა-ად ავაგიდით, სვილ—წერ-ად, იფქლ—სერკვად". წერილაში 7 სამეულია, წერში—30. სერკვი ნებისმიერი სიდიდისაა. როცა ძნა ნედლია ან ჟანტი-ა (სველია), პატარა სერკვს აგებენ ხოლმე. „გამაუვალის ყანისა (უმწიფარი ყანისა) რო დიდ სერკვ აეგას, დალპების".

გარკვეული დროის შემდეგ სერკვს, წერს და წერილას აღგილს გადაუნაცვლებენ. ამას ძნის დაცვლა ეწოდება. წერილაში ოთხ ძნას აჯვარედინებენ ერთმანეთზე თითო ცალობით, ისე, რომ ძნები ერთმანეთის თავთავებს ფარავენ, გარეთ მხოლოდ ძნის ძირები მოჩანს. ასევეა წერშიც, ოღონდ იქ სამ-სამ ძნას აჯვარედინებენ. სვილის ძნაში სამ ცალ ძნას ჯელი ეწოდება (ე. ი. სახელშეცვლილი სამეულია). სერკვსაც ჯელობით აგებენ, ოღონდ იქ ორი ძნაა ჯელი.

სერკვს ქვეშ საგებ-ს (უხეშ ბალახს, ხის ტოტებს და მისთ.) დაუფენენ. სერკვისათვის თავის დაშენებას სერკვის მაწვერვა-ს ეძახიან. „მაწვერულ სერკვს ბალახ დავხურიდით, აიმ ბალახს სათავე-ს ვეძახდით". თუ უშნო, გაბერილი სერკვი გამოვიდა, „გუჯაბ სერკვი"-ა, „გუჯაბად დგას"-ო იტყვიან.

სამკლის მოთავების შემდეგ იწყებოდა გულება—ძნა-თივის მოგროვება, მთიდან ბარში, კალოებთან ჩამოტანა. შატილში, უგზოობის გამო, მუშა პირუტყვს ვერ იყენებენ გულებაში. მთიდან თრევით ჩამოაქვთ ერთმანეთზე გადაბმული ძნა-თივის ტვირთები. ტვირთს ქვეშ უდებენ ხოლმე ორხალა-ს (ორი არყის ხის ტოტი ერთმანეთზე გადაწნული, რომელიც ტვირთს მარხილის მაგიერობას უწევს და ძნას რამდენადმე იცავს დაშლისაგან). ტვირთს ზემოდან თოკს გადაუჭერენ. თოკი ერთის მხრით ორხლის თავ-ებზეა გამობმული, ხოლო მისი მეორე ნაპირი ორხლის მარყუჟშია გამოდებული. ორხალა და თოკი ერთად „შახკონვენ" (შეკრავენ) ძნას. ამ შეკრულ ტვირთსაც ორხალა ჰქვია. ორხალაში ჩვეულებრივ 20—25 ჯელს „აწყობენ" (დებენ). რამდენიმე ტვირთს საბლებით და ჩხირებით გადააბამენ ერთმანეთზე და ამ ტვირთების ჯაჭვს ორხალანი ეწოდება.

პირველ ორხალაზე, „საწინაო საბელ"-ზე ტოვებენ ორმაგი თოკის პირს, რომელსაც საზიდა-ს ეძახიან და რომელსაც მთრელი მოიდებს ხოლმე მხარზე და წინასწარ დამზადებულ შეეულ გზაზე, .რუეზე, ნასათარ-ზე მიუძღვება ორხალათ.

ჭალაში ჩამოტანილ ძნას მიიტანენ საგანგებოდ შემოღობილ ადგილზე, რომელსაც **საგულეები**(‖ **საჩადლი**) ეწოდება. აქ ძნა ისევ იგება სერკვებად, ოღონდ აქაური სერკვი გაცილებით დიდი ზომისაა. როგორც ვთქვით, მარხილს და სხვა საზიდარს უგზოობის გამო ვერ იყენებენ, მაგრამ გულებაში ხარის საქმე მაინც გამოიძებნება: მას ქედზე დაადებენ ცალუღის მაგვარ, მოხრილ უღელს, **მარტუღელ**-ს (←მარტო უღელი თუ მარტივი უღელი?), რომელიც ორხალათ აქვს თავის მხრით გამობმული და ასე ათრევინებენ ძნას (მეტწილად ვაკე ადგილებში).

§ ა. **ძნის გალეწვა, მარცვლის გარჩევა.** შატილში ძნას ლეწავდნენ გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში. ერთ გლეხს ზოგჯერ 7—8 ადგილზე ჰქონდა კალო, იმის მიხედვით, თუ რომელი მთის ფერდობზე ეთესა რამე. ძნა ღია ცისქვეშ (**ცასქვეთ**) ილეწება. კალოდ ან ჩვეულებრივს, მოსუფთავებულ ნიადაგს იყენებენ (**მიწის კალო**) ან სიპებით მოკირწყლულს (**სიპის კალო**). ზამთარში მიწის კალოს ლეწვის წინა საღამოს მორწყავენ („**მასწყვლენ**“), რათა მიწა გაიყინოს და ყინულზე ლეწონ. „**მაუწყლავ კალო, სიპისა კიდეგ არ ვარგის, მიწაი' ჯრილ ამადის ხვაე-ნამკუდჩი**“.

ლეწვას **კალოობა**-ს ეძახიან. იტყვიან „**საკალოეზე მივალო**“ (და არა „სალეწზე მივალო“). **კალო** ეწოდება გარკვეული რაოდენობის ძნასაც: იფქლ-ქერშველ-ქერის **კალო** სამოცი ჯელია (ე. ი. 120 ძნა), ხვილის **კალო**-ც სამოცი ჯელია (ოღონდ 180 ძნა). ძნა **კალო**-თი ითვლება მკის დროსაც. **კალო** გამოყენებულია მიწის ფართობის საზომადაც: „**კალო-ჰამავალ ბარულ ყანა შატილ წინავ ორ ძროხა ღირებულ**“.

ძნას ლეწავენ უკევროდ, ცარიელი ხარებით. უღელში აბამენ ორ ან სამ ხარს და გაშლილ ძნაზე ირგვლივ ატარებენ. კალოში ძნის ჩაყრა-გაშლას **კალოს ჩადება** ეწოდება.

თუ ძნა ნესტიანია და ცუდად ილეწება („მარცვალ თუ არ მიზდის“), მეკალოე ორიენ ხელით ურტყამს ძნას არყის ხის გრძელ, ტოტებიან ჯოხს, რომელსაც **მაყო** ეწოდება. კალოზე ხარებისათვის უღლის დადებას **ჯართ შაყრა**-ს ეძახიან, ერთი ხარის დაუღლვას—**ჯარის შაგდება**-ს. „გაია, ბიჭო, **ჯარნ შაუყარენ**(ი)! ღილა შუაჩი შაუგდი, თორე ყმაწვილებს დაგვიწიხლავს, მწიხლავი“. კალოობისას ხარებს **ჩორბე**-ზე (დრუნჩზე) ამოაცვამენ **ჯარჯ**-ს ან პატარა **ხოკერ**-ს, რომელსაც **საპირე**-ს ეძახიან. „**საპირის ჩადებით**“ ხარებს ძნის ჭამის საშუალება ესპობათ.

როცა კალოზე ზედაპირული ძნა კარგად მოილეწება, კალოს „**გვერდს აუქცევენ**“, ფიწლით აწეწავენ და გადააბრუნებენ ხოლმე

მთელ ძნას. „ჯართ ახა კარგა მაგალან კალო, **გვერდის აქცევა** უ, თორე კალო მაჩალდების“. ზოგ ძნას რამდენჯერმე უნდა გვერდის აქცევა, ვიდრე გაილეწება. „იფქლ მარჯე სალეწავ: კილჩიით ძნელა მიზდის მარცვალი“.

გალეწილი კალოდან ჩალა ფიწლით გადააქვთ. ამას **კალოს მაჯდა**-ს ეძახიან. ჩალა, რომელსაც ფიწალი ვეღარ იპერს, ცოცხით გააქვთ კალოდან. კალოდან ცოცხით გაბერტილ ჩალას მარცვალიც მიჰყვება. ეს მარცვალნარევი ბურდო **ნამკუდი**-ა. ცოცხი, რომლითაც **ხვავ**-ს და **ნამკუდ**-ს აცალკევებენ ერთმანეთისაგან, **სასურაო** (|| **სასურაებ**) ცოცხია, ხოლო ეს საქმიანობა—**კალოს მასურაება** (|| **კალოს დასურაება**-ა).

ნამკუდის შემდეგ კალოზე **ხვავი** რჩება. „**ხვავ** ნიჩბი(თ) შავხვეტიდი(თ), ჩალა დავხურიდითა-დ' შავინახიდით, მანამ ნიავ არ იქნის“. სალეწის მთლიანად დამთავრების შემდეგ, კალოს პატარა ცოცხით, **ჯელცოცხა**-თი მოასუფთავებენ და ეს **კალოს მამარცვლა**-ა.

ჩალას თოკებით (**საბლებით**) შეკრავენ და სპეციალურად დამზადებული ხის კეხით, **ჭოჭი**-თ შეკმაზულ ცხენ-ჯორებით ან ზურგით მიაქვთ ხოლმე სახლში. ჩალის შესაკრავ თოკს ერთ მხარეზე გამობმული აქვს ხის პატარა ნახევარრკალი—**ავარტი. ავარტიანი საბელი** მაგრად კრავს ტვირთს.

ბზისგან მარცვლის გარჩევა **დანიავებაა** (**ხვავის დანიავება, ნამკუდიხ დანიავება**). ნამკუდის დასანიავებლად მრავალტოტა ფიწალს—**სანიაო**-თ ხმარობენ. „ნამკუდისად **სანიაო**ნ გვჭონ, ხვავს **ჯელვარცლით** ვანიავებთ“. **ჯელვარცლი** ხის იარაღია, რომლითაც ხვავს აბერტენ, ასწევენ ხვავიან ჯელვარცლს და ხელის ზომიერი რხევით ძირს უშვებენ ხვავს. ბზე ნიავს გააქვს, მარცვალი და სხვა მინარევები ერთად ცვივა.

ასე დანიავებულ ხვავს **დასწურვენ** (მეორეჯერ დაანიავებენ). დასაწურავად ძალიან **ზომიერი ნიავი, საწურავ ნიავი**-ა საჭირო, რადგან დაწურვისას მსუბუქი მარცვალი (**ნაკლებ მარცვალი**), სარეველა მცენარეთა თესლი (**აჯა, ღორნიკა, ღვარძლი**...) და სხვა მინარევები ოდნავ შორს გადააქვს ხოლმე ნიავს, ამ მინარევებს ერთად **ჭორლი** ეწოდება, ხოლო მათს მოცილებას **დაწურვილი ხვავი**-დან, რასაც მენიავე ან მისი დამხმარე კაცი ასრულებს **ჯელცოცხა**-ს შემწეობით,—**წაჭორლვა** ეწოდება. ჭორლისაგან არაყს ხდიან. „**ჭორლხ** საარაყედ ვჭმარობდით, საპურედ არ ვარგოდ“.

ნიავი შეიძლება იყოს **ძრიელი** ან **სუსტი, ზომიერი** ან **ჩლინგიანი** (ჟამიდან-ჟამზე რომ შემოუბერავს ხოლმე და მარცვალი

ბზეში და ჭორღში გადააქვს), ნისლისა (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მონაბერი) ან ლეშადისა (მოიდან მონაბერი). ნამკუდისათვის საჭიროა ბრიელი ნიავი, ხვავისა და დასაწურავი ნიავი კი ბრიელი არ უნდა იყოს. „**სანამკუდე ნიავ სხვაი. სასვავეი-დ' დასაწურავ**— სხვა, მენიავეს **რაჭელგანდ** (როგორიც გინდა) ნიავ არ არგებს". არც **ბორბოწია** (ქარბორბალა) ვარგა სანიავებლად—ბზე იყევ უკან მოაქვს ხოლმე.

„**ფაცხვერსა ბაჭინცაურსა ნიავ მაუდის საპურე**"
(ხევს. პოეზ., 432$_1$).

ნიავი ყოველთვის არაა და საჭიროა სისტემატურად ყურის გდება, რათა **ნალეწი** (სვავ-ნამკუდი) დაუნიაველი არ დარჩეს. ხევსურული გამოთქმაა: „**მენიავევ** ნუ დაზდგები, სამნი ბზენი თუ გაიქონა", ე. ი. მცირე ნიავიც თუ არის, არ გაჩერდე, ანიავეო.

ბზეც ორგვარია: **ხვავის ბზე** და **ნამკუდის ბზე**. ხვავის ბზე გოდრით (**საბზეე-თი**) ან ტომრით მიაქვთ სახლში, ნამკუდის ბზეს კი ოთხი თოკით შეკრავენ და ასე მიაქვთ (ან ერთსაც და მეორესაც ჩალაში შეახვევენ და ისე მიაქვთ).

გაწურვილ სვავ-ს „აცხავებენ". **ცხავ**ში მარცვალი და წვრილი მინარევი გადის, ხოლო ქვები, მცენარის ღეროს ნატეხები და მისთ. რჩება. ყველაფერს, რაც ცხავში რჩება **მაკატი**(‖ **ნათავძირალი**) ეწოდება. მას **ნათავთურ**-საც ეძახიან. „**მაკატი**... ყანის მუჭლთავთავ დარჩებ გაცხავებაჩი, იმას ხქვიანის, **ნათავთური**-დ' **ნათავძირალიც** იმასავ ხქვიან. ვაგროიდი(თ), ვაგროიდითა-დ' მემრ მაყოებით გავბერტყიდით".

გაცხაებულ ხვავს „**გასცხრინგენ**" (**ცხრილ**ში გაატარებენ). ცხრილში, პირიქით, მინარევები—მიწა, სილა, სარეველა მცენარეთა თესლი და მისთ. გადის, ხოლო მარცვალი რჩება. ცხრილიც და ცხავიც საცრის ფორმის ხელსაწყოა, ოღონდ საცერზე ორივე მოზრდილია და **ბირი ყაპყატო**-თი აქვს გამოწნული. ცხრილიც და ცხავიც შეიძლება იყოს **ფხალა** (შორიშორს რომ დგას ყაპყატო და დიდ ნახვრეტებს ქმნის) ანდა **მტკიცე** (მჭიდროდ მოქსოვილი). ისე კი ცხავი გაცილებით „ფხალაა", ვიდრე ცხრილი. **სასვილ-იფქლე ცხავ-ცხრილი** სხვაა, **საქერე**—სხვა. ცხრილიდან გასულ მცენარეთა თესლს და სილას **ცუცუნა**(‖ **ცურცუმელა**) ეწოდება.

გალეწვის ზემოაღწერილი წესი ეხებოდა **ქერ-იფქლს**. **ბოცორაგი**-ც ისევე იღეწება და ირჩევა, როგორც ქერ-იფქლი. **სთვლის სვილი** (resp. **ორის წლის სვილი**) არ იღეწება, მას „**ბერტყენ**": კალოში დამრეცად დაყუდებულ სიპებზე ურტყამენ სვი-

ლის ძნას თაეთავებით, მანამ, სანამ სულ არ გასცევია მარცვალი. მარცვლისგან დაცლილ სვილის ძნას **ყარტი** ეწოდება, ყარტის ცალკეულ ძნას—**გუჯინი**, ხოლო თვრამეტ გუჯინს ერთად შეკრულს —**ლაბარი**. რამდენიმე ლაბრისაგან **ყარტის ბარგი** კეთდება. ყარტს საბძლის (**სართულა**-ს) გადასახურავად იყენებენ.

ნათავთური სვილის ბერტყის დროსაც რჩება. მას **მაყო**-თი ან **გალა**-ებით(‖ **რიკნა**-ებით) გაბერტყენ. ამ საქმიანობას **ნათავთურის მამაყობა**(‖ **მარიკნაება** ‖ **მაგალაება**) ეწოდება.

სუფთა ხორბალს (**ნალეწ**-ს) ბალნის ტომრებში ჩაყრიან და ქოჭი-თ შეკმაზული ცხენ-ჯორის საპალნით მიაქვთ სახლში. ცხენ-ჯორის ტვირთის ნახევარი—ცალი-ა. საპალნე ორი ცალისაგან შედგება. ჯორის ცალში 35 კილოგრამამდე მარცვალი იყრება. აქედან ცალი მიღებულია საწყაო ერთეულად: **ერთი ცალი პური**—35—40 კგ; **ორი ცალი პური—ერთი ჯორი პური** იქნება (ე. ი. 70 კგ პური). „ცალჩი 5—6 გვერდ ჩადის. **გვერდ** 6—7 **ჩარექ** იქნების. კალო ახა ცალ-ცალზე გამავიდას—კარ, მაგრემ ზოგჯერ კალო ჯორსაც იქს“, ე. ი. ერთი კალოდან 70 კგ პური დადგება, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა. აქვთ სხვა საწყაოებიც: **ჯიმური**—ორი გვერდი, **ნასამალი**—ნახევარი გვერდი, **საწყავი**—ოთხი გვერდი და სხვ.

§ 6. მარცვლის შენახვა, შესანახი ჭურჭელი. სახლში მიტანილ მარცვალს ინახავენ **კიდობან**-ში(‖ **აკო**-ში), **კროჭა**-ში (პატარა ზომის კიდობანია), **გოდორ**-ში, **ტომარა**-ში და სხვ. საპურე ჭურჭელს ზოგადად „**საპურე ბუნაგ ხქვიანის**“. ბუნაგიდან ამოტანილ მარცვალს **საფქავი** ეწოდება, საფქავის გასაშრობად და გასახმობად გაფენას—**საფქავთ გაფენა**.

„ეგ უქმობს ნახევართხანა ბეთან რო **ხფენენ საფქავთა**“
(ხევს. პოეზ., 666_{10}).

პატარა ბავშვს უმღერიან ხოლმე:

„ჩიტი იძახს წიიო,
საფქავთ პირჩი ეძიიო,
მარცვალებს ვკრეფო,
კუმშეჭაჩი ვყრიიო“.

საფქავს და მარცვალს **სრევალი**-ც ეწოდება.

„გადმამეშარნეს მურღვანი, მავფანტენ როგორც **სრევალი**“
(მიულ. მას.).

„ვაიმე ჩემო სიბერეო,
ირემმ **სრევალი** დამიშალაო“
(ეთნ. მას., 14_{21-25}).

მეორე ვარიანტში:

„ვაიმე ჩემო სიბერეოო!
ირემმ **ხაფქავნი** დამიშალნაოო“
(ხევს. პოეზ., 743_1—$_3$).

ბავშვის ენაზე მარცვალს **ცუცუნა** ეწოდება.

გამხმარ საფქავს კიდევ სჭირდება გარჩევა—**დაკეთება**. **საფქავთ დაკეთება** უკვე ქალების საქმეა. „**საფქავთ აკეთებენ**“ **სასაფქვე ჯელვარცლი-თ** (შდრ. **სანიაო ჯელვარცლი**). ჯელვარცლს ისე ხმარობს ქალი, რომ **ქვისნაცეცი**[|| **პიბლი** (ქვა-მიწა)] ჯელვარცლში რჩება, ხოლო მარცვალი **საგებელ**-ზე ცვივა. მეორეჯერ კიდევ დააკეთებენ—„**დაღრიჭვნენ**“, მერე „**დასცხრინვენ**“ და ჩაჰყრიან **თიკრუნ**-ში.

თიკრუნით ან ტომრით საფქავი მიაქვთ წისქვილში, „**წისქვილისად ჩასაყრელა(დ)**“. დასაფქავად გამზადებულ საფქავს **წისქვილის ჯერი**-ც ეწოდება.

„ჩემთან ჩამაიარიდი, მაგცა **წისქვილის ჯერიო**,
წისქვილთ უკენას გიყუდავ ღარის საჩხელეკელ ჭერიო“
(მივლ. მას.).

ჯერი—სურსათსაც ეწოდება: **ძაღლის ჯერი**—ძაღლის სალაფავი, **ჯერისთავი**—კარგი, საგანგებოდ დამზადებული ვახშამი და მისთ.

§ 7. **წისქვილი**. წისქვილს[90] შემდეგი ნაწილები აქვს:

სარუე—წყლის არხი;

სათქამურის თავი—ადგილი ღარის თავში, არხის ბოლოს, საიდანაც წყლის რეგულაცია ხდება;

ღარი—ხის არხი, რომლითაც წყალი შედის წისქვილში;

საღორე (←საღვარე)—ქვედა სართული წისქვილისა;

ბორბალი კოჭი-თ, რომელიც **კოჭის თვალ**-შია ჩასმული, და **თბეები**-თ, რომლებსაც წყალი ხვდება, რაც ბორბლის ტრიალს იწვევს;

ღერძი—ბორბლის ზედა ნაწილზეა მოთავსებული და ზედ **თოჯი** აქვს ჩამოცმული;

თოჯი—თავის მხრით **საზეო წისქვილ**-შია ჩასმული და ატრიალებს მას—„**აბრუნებს წისქვილს**“ (შდრ. **საქვეო წისქვილი**);

---

[90] პირაქეთ ხევსურეთში პატარა წისქვილს **ბუბულა**-საც ეძახიან. ეს სიტყვა შემონახული ჩანს ბოპოლიკა-ში (ბოპოლ-იკ-ა←ბუბულ-იკ-ა), რაც ბევრის მოლაპარაკეს, ენატარტალას ნიშნავს (ე. ი. ის, ვინც ბუბულასავით, წისქვილივით ატრიალებს ენას და როშავს).

გულნი—ხის ნახევარრკალისებრი „სოლები", რომლებითაც ამოვსებულია ქვედა წისქვილში, ღერძის გარშემო დარჩენილი ადგილი, რათა მარცვალი არ ჩაცვივდეს წყალში;

ჯუმბური—ხვიმირა (საფქავი იყრება შიგ);

ნაჭლიკა—ხის პატარა ღარი, რომელიც ჯუმბურს ქვემოდან აქვს აკრული; ჯუმბურიდან ნაჭლიკაზე გავლით მიდის საფქავი წისქვილში;

სარეკელა—ხის პატარა, თავკომბალას ფორმის ჯვედა, რომელიც ერთი ნაპირით (თავით) წისქვილზე დევს, ხოლო მეორეთი ნაჭლიკასთან არის შეერთებული. წისქვილის ტრიალისას ხტუნაობს სარეკელა, არხევს ნაჭლიკას და ეს იწვევს მარცვლის თანაზომიერ, სისტემატურ დენას წისქვილისაკენ;

საკლებ-სამატება—ბაწარი, რომლითაც ნაჭლიკა ჯუმბურზეა მიბმული; საკლებ-სამატებას აწევ-დაწევით ხდება მარცვლის წისქვილისაკენ მოძრაობის მატება ან კლება;

ალატი—ხის ყუთი, რომელშიაც ფქვილი ჩადის;

მანჭანანი—მოწყობილობა (საღორეშია), რომელზედაც დგას ბორბალი (კოპის თვალი **მანჭანათ ხეში** ანუ **ხადბის ხე**-შია ჩასმული) და რომლის საშუალებითაც (მეორე სართულიდან) შეიძლება საზეო წისქვილის აწევ-დაწევა საჭიროებისამებრ, სასურველი ხარისხის ფქვილის მისაღებად;

ქრიჯი—ჩამჩა, რომლითაც ამოაქვთ ფქვილი ალატიდან;

წისქვილის ყელი—ნახვრეტი საზეო წისქვილში, რომელშიაც მარცვალი ჩადის;

სანაგრამოე—ორი ცალი მორკალული ხე, რომლებსაც წისქვილებს გარშემო შემოუწყობენ, რათა ფქვილი არ გადაცვივდეს.

წისქვილს რომ **„საფქავს ჩააყრიან"**, შემდეგ საჭიროა **ზომის დართვა**—საფქავის ზომიერად მოშვება და შემოწმება, საჭირო ხარისხის ფქვილს იძლევა თუ არა წისქვილი. პირველი ფქვილი რომ ჩამოცვივდება ალატში, იტყვიან: **„წისქვილმ პირობა გადმაიტანა"**-ო.

წისქვილს რამდენიმე „ავადმყოფობა" ახასიათებს: ა) **გულთ გაყრა**—როცა ღერძსა და გულთ შორის ადგილი კეთდება და მარცვალი ჩადის საღორეში; ბ) **გულთ ავსება**—როცა ზედა წისქვილი ვეღარ აუდის ნაჭლიკადან ჩასულ მარცვალს, მარცვალი აესებს წისქვილის ყელს და იფანტება; გ) **ყივილი**—როცა მარცვალი შემოელევა და წისქვილი ცარიელი ბრუნავს.

წისქვილი რომ მოცვდება, საჭიროა მისი **მაკოდვა**—ქვედა წისქვილის ზედა და ზედა წისქვილის ქვედა პირის მოკორტნა

რკინის „ჩაქუჩით“ —საკოდელა-თი. ფქვილი შეიძლება იყოს მპილად ან მშრალად დაფქული; მშრალად და ცუდად ფქვის ეპითეტებია: დაროშვა, დახორხნა, დაღერღვა და სხვ.

შატილში თითქმის ყოველ ორ კომლს საკუთარი წისქვილი აქვს. მეწისქვილე არა ჰყავთ და არც მინდს იღებენ. შეიძლება წისქვილის გაქირავება გარკვეული დროით. ამას წისქვილჩი ჩატანება-ს ეძახიან. წისქვილში ერთი წლის ვადით ჩატანებული ერთ ლიტრა (4 კილოგრამ) ერბოს ან ერთ ბერწ ცხვარს აძლევს წისქვილის პატრონს. ქურდობა აღკვეთილია და წისქვილს ღამე უზედამხედველოდ ტოვებენ. პატრონი დაახლოებით იმ დროს მიაკითხავს წისქვილს, როცა საფქავი მოილევა („როსაც საფქავ ჩამავ“). „საფქვის ჩამასვლის“ ვარაუდი საკმაოდ ზუსტად აქვს გამომუშავებული თითოეულ გლეხს თავისი წისქვილის მიმართ.

ხალხურ სიტყვიერებაში მრავალი ლექსი გვხვდება წისქვილის თემაზე. ცნობილი იმპროვიზატორი გუგო გოგოჭური, რომელსაც წისქვილის გამართვისაც ისევე არაფერი გაეგებოდა, როგორც ფანდურისა, თავის თავს დასცინოდა:

„ფანდურის ჭელ ვერ გავიგი, როგორ გაემართებისა,
წისქვილს ეგრე გაგიმართებთ, წალმა-უკუღმ დადგებისა.
სამ ნალ სარეკელას მიკრავ, ჭეხა-ქუსილ დადგებისა.
ჩემ წისქვილჩი ვინაც შავა გაკვირებულ დარჩებისა,
გამასავალს ვერ გაიგებს— სალორიხას გაძვრებისა“-ო.

მეორე მელექსე დასცინის მეზობლებს, რომელთაც ბევრი იშრომეს, მაგრამ წისქვილი მაინც ვერ გამართეს:

„კანათათ წისქვილ „გალმართეს“, სადუცეს მადის გრიალი:
ცოცხალნივ გადმაეყარნეს ყელჩი ჩაყოლილნ ჭიანი“ -ო[91].

§ 8. **პურეული პროდუქტები.** წისქვილიდან ფქვილი თიკრუნით მოაქვთ. ქერის ფქვილს ფხალა საცრით, ყაპყატოს საცრით ცრიან, სვილ-იფქლისას კი ძუის საცრ-ით, რომელიც გაცილებით მტკიცეა, ვიდრე ყაპყატოს საცერი. მტკიცე საცრით გაცრას გამტკიცგა-ს ეძახიან. ფქვილის წმინდა მტვერს (და მიწის წმინდა მტვერსაც) ჭრილი ეწოდება.

„ჩემის გიჟაის ტალავარნო,
ფეჭჩი ჩაყრილნო, ჭრილიანნო“
(ეთნ. მას., 91_{1-2}).

[91] ე. ი. ყელში მარცვალთან ერთად ჭიები ჩაჰყოლოდა, მაგრამ წისქვილს ვერ დაეხოცა, ვერ გაესრისა ჭიები და ისინი ალატში „ცოცხალნივ გადმაეყარნეს“-ო.

შშრალად ნაფქავის ქატოს ანაქვეტს უწოდებენ.

„დალოცვილო ქერის პურო,
ანაქვეტო დიკისაო...“

(მივლ. მას.).

ცომს საპურე ვარცლ-ში „ზელენ“. ცომს ქვეშ უფენენ ხოლმე საფანელ-ს.

„ცოლსა დიდი ცომი უნდა,
ასის რიგის საფანელი“

(მივლ. მას.).

ცომს ზელავენ საფუვრ-ით (ხაშით) ან უსაფუვრ-ოდ. თუ ცომი ხაშში დიდხანს დატოვეს, დასკდება („დაიმშხალების“) და „დამშხალულის ცომისა პურიც დაბღრაჯნილი-დ' (დამსკდარი) მეავე გამადის“. თუ ცომი კარგად არ თხელდება და მრგვალის მაგიერ ოვალურ ფორმას იღებს, ეს ცუდის მომასწავებელია დიასახლისის რწმენით. „ოო, დედო, რაკლა ლულუტდებ[92] ე ცომი, ნეტა ქოო(დ) ვინ მაკვდება?“

პურს აცხობენ სიპის ღომელ-ზე, „ჩუვუნის“ ღომელ-ზე (‖ „ფეჩ“-ზე), კეც-ზე და პირდაპირ ნაცარ-ნაღვერდალშიაც. როცა ნაღვერდალში გამოცხობა უნდათ, ჯერ ზედგან-ზე დადებენ პურს, რათა „მაჰირთდას“ (ოდნავ შემაგრდეს) იგი. ზედგანი საკიდელ-ზე ჩამოსაკიდი იარაღია, რომელზედაც სიპს დებენ. ზედგანს ქვეშ ცეცხლს „უგზებენ“ და ზედ „აჰირთებენ“ ნაღვერდალში გამოსაცხობ პურს. პურს რომ ოდნავ მოეწვება ზედაპირი, „მაიტუსა“-ო იტყვიან.

„მოდი და იქავ ჩაღგორევდაო[93],
პირმატუსვილო სეილის კვეროო“[94]

(ეთნ. მას., 18_{1-2})

თუ პური გამოუცხობი, ცომი დარჩა, „ლისკი-ა“, „პიტალოი“-აო ამბობენ.

პურის გამოცხობაში იხმარება ვარცლის ასტამი, ღომლის ასტამი, ჯეტა (ნიჩბის ფორმის ხის იარაღი) და საჰვრეთა—ნამცხვრებზე სხვადასხვა „სახეების“ გამოსაყვანი, ორნამენტებიანი ხელსაწყო. შდრ.:

[ისარს] „სააზნაურო თორღვაი ცვილივით დეეჰვრითაო“

(ხევს. პოეზ., 46_4).

---

[92] ლულუტი—ოვალური ფორმისა.

[93] ტექსტში შეცდომით წერია: „ჩაღგორებდიო“.

[94] ტექსტში შეცდომით წერია: „სვილის კვერიო“.

გამომცხვარ პურს ბავშვის ენაზე **ბაბა** ეწოდება. ხევსურები სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნამცხვრებს აკეთებენ. მათგან ზოგი გულიანია, ზოგიც უგულოა. უგულო ნამცხვრებიდან ყოველდღიური მოხმარებისათვის აცხობენ **პურისკვერ-ს** ‖ **კვერ-ს**, მრგვალს, შუაში ოდნავ ჩაღრმავებულ პურს; **ჭმიად-ს**—იმავე ფორმის, ოღონდ ცოტა უფრო მცირე ზომის პურს, **საფართხელა-ს** (‖ **შაფართხელა-ს**)—თხელ, მრგვალ პურს.

უგულო ნამცხვრებიდან მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით აცხობენ პატარ-პატარა მრგვალ **კვერებ-ს**, რომბის ფორმის **ლაოშებ-ს**, მრავალტოტა ნამცხვრებს—**ბაჩაყურაებ-ს** და სხვ.

როგორც აქ, ისე ქვემოთ ჩამოთვლილ ნამცხვრებს იყენებენ **სახელსადებებ-ად**: ყველთან, ერბოსთან, ხორცთან და სხვა პროდუქტებთან ერთად მათ დააწყობენ **ტაბლა-ზე** (სუფრაზე) და „**სახელს დაზდებენ**“—მიცვალებულებს „გაუგზავნიან საიქიოში“. სახელის დადების რიტუალს ის ოჯახი სისტემატურად ასრულებს, რომელსაც ახალი მიცვალებული ჰყავს. „სახელს ზდებენ“ როგორც გარკვეულ რელიგიურ დღეს, ისე სხვა დღეებში. არის დღეები, როცა ყველა ოჯახი ვალდებულია „სახელი დაუდვას მკვდართ“.

„**აჴვსებისა შაბათსაო,**
მკვდარნი ჩავლენ ანდაფსაო,
ვინაც **სახელს არ დაუდებს,**
ვაი იმის ჯალაფთაო“
(მიქელ. მას.).

ახალ წელს ყოველი ოჯახი აცხობს **სამეკვლეო-ს**—მრგვალ, მოზრდილ პურს, რომელსაც აქვს **ჰიტი** (ჩაზნექილი მხარე) და **ფერი** (ჩვეულებრივი, გლუვი მხარე). სამეკვლეოს კარებში შეაგებებს დიასახლისი ხატიდან მოსულ **მეკვლე-ს**. მეკვლე სამჯერ შეაგორებს სამეკვლეოს სახლში. ყოველი შეგორებისას მეკვლე ამბობს: „ჩემიმც კვალ კაზე დაგიჯდებისთ, პურიან, წულიან, კაციან, საქონიან! ბევრიმც წელი' კვალ გამაგეცვლებისთ, ერთ ეს, ათას სხვაი“-ო. ერთ ცალ სამეკვლეოს დიასახლისი შეაგორებს **საცხვრე-შიაც**.

ახალ წელს აცხობენ **ბედისკვერაებ-ს**: ან ხავიწის გულიანს ანდა უგულო ჭმიადს, რომლის ჩაღრმავებულ მხარეს გაყინული ერბოთი ამოტენიან, ამოავსებენ. **ბედისკვერაებ-ს** ჩამოურიგებენ ბიძაშვილებს და გაუგზავნიან ახლო ნათესავებს.

მარილში მცირე რაოდენობის ფქვილს შეურევენ და გამოაცხობენ **წერის კვერაებ-ს**, მრგვალ პატარა კვერებს. **კუდიანთ წუხრა-ს**(‖ **დიდ ხუთშაბათ-ს**) სამ ასეთ კვერს შეუმამს გასათხოვარი გოგო ან უცოლო ვაჟი, მთელ დღეს წყალს არ დალევს, არც

პურს ჭამს და საღამოზე (**კუდიანთ წუხრას**) წაია სოფლის განაპირას რომელიმე ხიდთან ან წყლის პირზე სადმე და იქ **სმენაობ**-ს: ხევსურების რწმენით „**კუდოვნები**“ (ეშმაკები) „**მესმენაეხ**“ დაუძახებენ, თუ ვინაა მისი საბედო.

„**ტანიეს სმენაობამა** სრულ გონ-წართ გადაგყარნათა“
(ხევს. პოეზ., 563_{22}).

აცხობენ წვრილ კერებს **აშლებ**-საც (აშალი), რომლებსაც **ენკენია**-ში (ხატობაა შემოდგომაზე) ხატში მისულ ბავშვებს „**მიაშლიან**“ (გადაუყრიან) ხოლმე. ყველა ბავშვი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი აშალი დაიჭიროს.

„თელასთან საკლავებს ჯოცდეს, იქით **აშალსა შლიდესა**“
(ხევს. პოეზ. 577_{13}).

სხვადასხვა რიტუალისათვის აცხობენ **ქადა**-ს—ხავიწის, სატნის ან ხორცის გულიან დიდ ნამცხვარს; **კეცეულ**-ს—ქადაზე უფრო პატარა ნამცხვარს; **მასანთო**-თ—საჭ ან ცხრა ცალ კეცეულს, რომელსაც ხატში „**მაანთებენ**“ (ხატების მიმართ ლოცვას აღავლენენ, მასანთოთ პატრონს „**დაამწყალობნებენ**“); **კუბატ**-ს—ნახევარსფეროს ფორმის ნამცხვარს; **მასაკითხ**-თ—კეცეულებს, რომლებსაც არაყთან ერთად ხატის მსახურებს უგზავნიან ხოლმე სოფლიდან; **სანერბიელო**-ს—ხავიწისგულიან მოზრდილ ქადას, რომელსაც დოღის შემდეგ მისცემენ ყოველ მხედარს; **საჭმითმატირლო**-ს—დიდ ქადას, რომელსაც **ჭმით მატირალ**-ს აძლევენ ხოლმე მიცვალებულის ხარჯში.

ხვნის დასაწყისისათვის აცხობენ **უღელზე გასაკლეჩ**-ს—ხავიწიან ქადას, რომელსაც მავნავი ხუცესს „მაანთებიებს“, ხოლო შემდეგ დაუღლეული ხარების უღელზე „**გახკლეჩს**“ (გატეხს). მავნავი მანთებული უღელზე გასაკლეჩის თითო ლუკმას ხარებს შეაჭმევს და მერე დაიწყებს ხვნას.

ზემოხსენებულ კეცეულს არხოტელები **ქადისკვერ**-ს ეძახიან, შატილელისათვის კი **ქადისკვერი ხინკალ**-ს ნიშნავს. კეცეულებს ერბოთი „**დახპოხენ**“ „**დააჭუნჭუხებენ**“ (**ჭუნჭუხი**—სითხით გაღენთილს ნიშნავს) და დაჭრიან. კეცეულის ნაჭერს **ნაწვრეთი** ეწოდება; **გაწვრეთა**—გაჭრის მნიშვნელობითაც იხმარება. არხოტელები ნაწვრეთ-ს **ქარმიჯ**-ს ეძახიან. „**ქარმიჯ** ნაწვრეთი ერბოჩი **ამათრეული** (ამოვლებული), ჭამა-გათაებიდგე მისცემენ სტუმარს“.

გულიანი ნამცხვრისთვის (ან ხილისთვის) გულის გამოცლას **გამაჩუქვა** ეწოდება (**კეცეულის გამაჩუქვა, თხილის გამაჩუქვა**). პატარა ნამცხვრებს ნაპირებზე დააჭრელებენ ხოლმე და ამას **მაჭრეხა**-ს ეძახიან [**ხინკლიხ მაჭრეხა, სადობილოს(‖ აშალის მაჭრეხა...)**].

მოხალულ ქერს, სიმინდს ან ქერშველს დაფქავენ და ღებულობენ **ჯალ**-ს (ქუმელს). **ჯალი** სახელდახელოა: მეცხვარე ან მონადირე **ქეშლოში** ჩაყრის ჯალს, ჩაასხამს შიგ წყალს და „**მახფშრუკავს**“ (მოზელს). ასე **მაზელილი ჯალი** გამოუცხობად იქმება. ჯალნაჭამს ადრევე მოშივდება პური: ანდაზაა: „**ჯალივ**—ჯაჭამდიავ, ფაფა—კართამდიავ, **ხინკალ**—ცხრა მთამდიავ“. ერთ მუჭა ჯალს რომ შეკრავენ, ამას **ბურკვი** ეწოდება (**ჯალის შაბურკვა, ჯალის ბურკვი**). თუ ქუმელს ბევრი წყალი ან რძე უქნეს და კოვზით საქმელი გააკეთეს, ეს **ჩხრეკილა** იქნება (**ჯალის მაჩხრეკა, ჩხრეკილაის გაკეთება**). ჯალის შეჭამანდს **აშურას** ეძახიან.

„მიცუსჭალას ყმაწვილები, ხვრეტენ **ჯალის აშურასა**“
(მიელ. მას.).

პურის ფქვილს გათქვეფენ რძეში ან წყალში და ამ ხსნარს დაასხამენ დუშათი ან ერბოთი გაპოხილ **ზედგან**-ზე. ასე აცხობენ **მაჭკატ**-ს. სიმინდის, ხორბლის ან ლობიოს მოხარშულ მარცვალს **დოხან**-ს ეძახიან.

„ველარ ადუღებს აჰმადი დამპლის სიმინდის **დოხანსა**“
(მიელ. მას.).

დოხანს **სულთაკრეფაში** (მარტშია), **დოხანჭრელობა**-ში ხარშავენ: სიმინდის, ლობიოსა და პურის მარცვალს ერთად ხარშავენ და ამას **დოხანჭრელ**-ს ეძახიან. „შაბათ დილას დააცხობენ სამარხო პურებს, „**ლაოშებს**“, „**ვაცებს**“ (=ბაჩაყურას); ადუღებენ **დოხანს**“ (ეთნ. გვ. 735). ამზადებენ **ბიჟონ**-საც (ბატი-ბუტს). ბიჟონს ახალ წელს და **მგელთ უქმ**-ში (თებერვლის ბოლო რიცხვებში) „**აჯალებენ**“. სულთაკრეფაში ხარშავენ **კაპარ**-ს. კაპარი მომჟაეო გემოსი, სასიამოვნო სასმელია, ქერის ფქვილით, წყლით და ყინულით ამზადებენ.

ამზადებენ **საჭამად**-საც (შეჭამადი). არხოტში ამზადებენ **ხუტარა**-ს—მსხვილად დაფქული შვრიის ფქვილისაგან საფუარზე დამზადებულ მკვრივ გემოს სამარხვო საკმელს. **ხუტარ**—ქისტური სიტყვაა და ფაფას ნიშნავს. მთიბლების საკმელად ამზადებენ **თეთრა**-ს(|| **თეთრ-ერბო**-ს). **თეთრა**(|| **თეთრ-ერბო**)—ხავიწი და რძეა ერთმანეთში გათქვეფილი. რძეში, **ხარშოში**, (იხ.) **საჭამადში** და მისთ. პურს ჩაიყრიან და ამას **ჩაჩიქულ**-ს ეძახიან. „**ჯამ რაიმ ქვე ხქონდ, საჩაჩიქულე ჯამზე** დიდგვარა იყვა(დ) **საპურსატნე ხომიკა**-ზე ჩამაითა (უფრო პატარა) იყვ“. შდრ.:

„ნაცვალი, მამასახლისი, ორნივ **ჩაჩიქნას** მიწვამა“
(ხევს. პოეზ., 638$_6$).

ცხელ საუმელზე იტყვიან: **მთუთქარი-ა**(‖ **მწვავი-ა** ‖ **კოწლისა-აო**), ციზე—**ყიოში-აო**. კაცს რომ ძალიან მოშივდება, „**დავიყმიდე**“-ო იტყვის (**დაყმედა**, **დაყმედილი**). სწრაფად და ხარბად ჭამას **გაასფითება**-ს ეძახიან. „ერთბაშად **გაიასფითეს**, ლუკმა აღარ გაწირესაღ“. პურის ფშვნას **ფხვრა**-ს ეძახიან, ნამუსრევს—**ნაფხვერ**-ს(‖ **ნახორ**-ს ‖ **ნაღერღალა**-ს), სულ მცირე ნამუსრევს—**მცქვეთ**-ს. კბეჩას **კმეჭა**-ს ეძახიან. ანდაზაა: „ცოტას საგძალსავ **კმეჭით** ჭამა უნდავ“. პურის დაობებას პურის **დამძიმება**-ს ეძახიან (**დამძიმულ პური**), ხოლო თვითონ ობს, რომელიც პურს და სხვა სურსათს ედება ხოლმე—**ბიბკი**(‖ **მირდლი**) ეწოდება.

„ბევრა გადავსვი მინაი პირზე **მირდლ გადამბულია**“
(ხევს. პოეზ., 567_{21}).

§ 9. **ლუდ-არაყის დამზადება**. როგორც ცნობილია, ხევსურები ლუდ-არაყს სახლში ამზადებენ. ხევსურის ისედაც ცოდვა-ჭირით მოყვანილი სულადის თითქმის ნახევარი **ლუდის** დულებასა და **არაყის გამაწურვა**-ს უნდებოდა, მაგრამ იმ მრავალრიცხოვან რელიგიურ რიტუალს, რასაც ხევსურები ყოველწლიურად ასრულებდნენ, თითქოს „უსასმლოდ არც ნაევლების“.

„არაყის გამასაწურავად“ საჭიროა წყალი. წყალს ბავშვის ენაზე **ნწა**, ხოლო ხატის ენაზე **სიმური** ეწოდება. არის მეავე წყალიც **ვეძა** (მინერალური წყალი) და ოდნავ მომჟავო, ცუდი გემოს წყალი—**მუჯა**(‖ **მიტალა**).

„საქონის ჭირ გაასუქეს **ხორნაულთა მუჯაითა**,
გამაგზავნეს **როშკისკენა**, ცხენაითა ლურჯაითა“
(ხევს. პოეზ., 625).

„**საარაყეს**“ სჭირდება ორგვარი ფქვილი: **ფორი** და **ნაყრი**. ფორი ალაოა, დამტკბარი ფქვილია, ნაყრი კი—ჩვეულებრივი, „**მშრალი**“, ოღონდ **საარაყე ფქვილი** საუმელთან შედარებით მდარე ხარისხისაა (ღვარძლიანი და სხვ.). ნაყრს, ჩვეულებრივ, ერთი-ორი დღით ადრე ჩაყრიან წყალში—„**საარაყეს ჩახფორწყვლენ**“ (‖ „**საარაყეს ჩაალბობენ**“) და მეორე-მესამე დღეს „**ამაადულებენ**“. ამ მოხარშულ „შეჭამადს“ გაანელებენ და **კოდ**-ში(‖ **ასილა**-ში) გადაასხამენ. კოდში **საფუარ**-ს (ხამს) და **ფორ**-ს დაუმატებენ და კარგად დახურავენ. ესაა **საარაყის შაყრა**.

სამი დღის განმავლობაში (ან უფრო მეტ ხანს) „**იფუილებს საარაყე**“ და „ფუილის ნდობას რო მახკლავს, დადგების“. „**დამდგარ საარაყე**“-ს ქვაბში, **საარაყე ქვაბ**-ში გადმოასხამენ და ადუღებენ. დუღილისას ურევენ ხოლმე ნიჩბის ფორმის **სარევა**-თი,

რათა ფსკერზე არ მიეწვას, არ „მაიჯაჭვლას საარაყე“, თორემ **არაყი** „**ნამტუსრის სულიანი**“ გამოვა და ძალიან ცუდი სასმელია.

არაყის სახდელი „ქარხანა“ ასეა მოწყობილი: ერთმანეთის გვერდზე ამოშენებულ პატარა **ყორეებ**-ზე დადგმულია რვლის **ყურშატიანი** (სახელურებიანი) **ქვაბი**. ყორეებს შორის, ქვაბს ქვეშ „აგზებენ“ ცეცხლს. ქვაბს აქვს **ქუდა** ანუ **ზარფუში** (ხუფი), რომელიც **ყელი**-თ უკავშირდება **გეჯა**-ში გაყრილ ლულა-ს. გეჯა ხისაა და წყლითაა ხოლმე სავსე. წყალს ხშირ-ხშირად უცვლიან ან ყინულს უმატებენ ხოლმე, რადგან ცივი წყალი აცივებს ლულას, ხელს უწყობს ორთქლის არაყად ქცევას და არაყის ხარისხსაც იცავს გაუარესებისგან.

ადუღებულ საარაყიან ქვაბს ქუდას დახურავენ, წყალში მოზელილი ნაცრით „**პირთ მალგოზენ**“, რათა სული არ გამოიპაროს ქვაბიდან, ლულისა და ქუდას ყელის შესახეედრზედაც „**ცომით მალგოზენ**“ და „**არაყის გამასვლას დაუცდიან**“. პირველად გამოსულ არაყს **წვერის არაყი**(‖ **წინ-წვერი** ‖ **წინწვრის არაყი** ‖ **წინწარაქალი** ←წინ წანაქარი) ეწოდება, ნაბოლოვარს კი—**შამანი**. ბავშვის ენაზე არაყს და (ლუდსაც) უდა ეწოდება. არყით პირამდე სავსე ჭურჭელს (საერთოდ სითხით სავსე ჭურჭელს) **გაცამცმული** (‖ **გაპიმპლული** ‖ **ცამცამი** ‖ **აწყული**) ეწოდება.

„ამაგის მალექსებელსა წინ ბოთლა მიდგას **ცამ-ცამი**“
(ხევს. პოეზ., 468_{14}).

„არაყიან ქინთ გერგების პირამდი **გაცამცმულიო**“
(ხევს. პოეზ., 568_{3}).

მწყურვალ კაცს **მწყურიელ**-ს ეძახიან. მოხათრებით ან უნდომლად სმას **წკმოლვა**-ს ეძახიან, ხარბად სმას კი—**წრუხვა**-ს (‖ **გადაწურვა**-ს ‖ **ტყრუშვა**-ს) და სხვ.

„ვაიმე, ძმაო გიგაო, **მწყურიელაიც** ხარიო“
(მიქელ. მას.).

„საჩქაროდ **გადაიწურეს**, დი-დიდებ ხქონდა თასები“
(ხევს. პოეზ., 661_{7}).

„გადასვი-ღ კაცო, გადასვი, რას **სწკმოლავ** ყმაწვილასავით!“
„მაგას სხვან არ მაღგონდებიან, თოოდამც **წრუხავდას**“.

„გაჯალათ რუსულ უსწავლავ, ერთმანეთს უთხრეს: „**კუშაო**“.
მძიმიამ გაგას მიართვა არაყიანი **შუშაო**,
ერთი გადახკრა გაგამა, ორიც მძიმიამ **სტყრუშაო**“
(მიქელ. მას.).

სითხეს, რომელიც არყის გამოხდის შემდეგ ქვაბში რჩება **ნაწური**(‖ **ბუყი** ‖ **ბუზალაყი**) ეწოდება. არყის გამოხდისას ძალიან ზომიერი ცეცხლია საჭირო, თორემ ბუყი გამოყვება ხოლმე არაყს. ამას **საარაყის გამათხევა**-ს ეძახიან. საარაყის გამათხევა ცუდია, რადგან, ჯერ ერთი, ამღვრევს არაყს (**ამირღვებს არაყს**), მეორეცაა და, გამოთხევის შემდეგ არყის ხარისხი ეცემა, „გამათხევა **ფსას სჯრის არაყს**“. ზოგჯერ ერთხელ გამოხდილ ბუყს **ფორ-ნაყრ**-ს დაუმატებენ და რამდენიმე დღეში ისევ გამოხდიან ხოლმე. ეს მეორედ გამოხდილი არაყი **შაბრუნვილი**(‖ **ჯელშაქცეული**) იქნება. არის **მეორე შაბრუნვილი** და **მესამე შაბრუნვილი**-ც.

შატილში (და რიგ სხვა სოფლებშიაც) ლუდის მოსახარშად სპეციალური სახლია გამოყოფილი. ამ სახლს **ხალუდე**-ს(‖ **საქვაბე**-ს) ეძახიან. საქვაბე მთელი სოფლის კუთვნილებაა და იქ იხარშება როგორც **საჯგვარო**, ისე **საქორწილო** და **მკვდრის რიგი**-ს ლუდი. საქვაბეში რამდენიმე (შატილში, მაგალითად, სამი) **ძირკოჯობი** (ღრმაფსკერიანი) **ქვაბი**-ა ჭერში საკიდლით ჩამოკიდებული. იქვე დგას **ჯვარის საპურე კიდობანი**. ამ კიდობანში ჯვარის **ყანა**-ზე მოსულ ქერს ინახავდნენ. საქვაბეში დგას რამდენმე **კოდი** და **კასრი**.

იქვეა სპილენძისა და ხის სხვადასხვა ზომისა, ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი: **საწდე**—რვლის **აღაჩა**[‖ **აგებულ ქვაბი** (ნაპრებისგან შეკერილი ქვაბი)], რომლითაც საქვაბეში წყალი მოაქვთ ანდა საქვაბიდან ლუდი მიაქვთ. **საწდე** ეწოდება აგრეთვე ყოველგვარ ჭურჭელსაც, რომელშიაც ლუდი (და არა არაყი!) ასხია და რომელიც ხალხის წინ მიაქვთ. არაყიან ჭურჭელზე კი „საწდე“-ო არავინ იტყვის.

სითხის შესანახი ჭურჭლიდან აქ არის ხის პატარა კასრი—**ჩხუტი**. ჩხუტს ერთი პირი ვიწრო აქვს და სითხის გადასასხმელად მოხერხებული ჭურჭელია. ხევსურები ჩხუტის (ან სხვა ჭურჭლის) ამ ვიწრო პირს **ჰაჰუნა**-ს ეძახიან. ჩხუტზე პატარა კასრია **ჯიმუხრი**, რომელსაც **მილმაჯეგში** (არდოტის ხეობა) **საქო**-ს ეძახიან. ვიწრო, მაღალი, ოდნავ მოხრილი კასრია **საზურგე**. „წინავ წყალ **საზურგით** უზიდნავა’ შიგ ჯამ უდგმავ პირქვ, თორე წყალ გადმაიჩქანჩქლებო(დ)“.

საქვაბეში ინახება რამდენიმე ცალი სპილენძისა და ხის **კოში**, **ტარკოშა** (იგივე კოში, ოდნავ მოზრდილი ტარით) და **ტარმოკლია** (კოშია, ოღონდ რვლისაა).

„სულეთა ჯარი ჩამასხა მა თაეის ნაჯოცისაო,
წინითი **ჩხუტი** მაართვა, ჯელში თასები ხისაო“
(ხევს. პოეზ., 228_{43-43}).
„სანამეტნაოდ კვირიკას **კოში** დაუდგით **რვლისაო**“
(ხევს. პოეზ., 215_{14}).

ამათ გარდა საქვაბეში, ჯვაროში და ხევსურის სახლში კაცი იპოვის სასმისებს: **კათხა**-ს, **კონჩხა**-ს (ორივე ხის სასმისია), **თახ**-ს (ვერცხლისაა უპირატესად), **საინ**-ს (სპილენძისაა), **მაღალა**-ს (ვერცხლისაა, საარაყე სასმისია), გრძელტარიან ვერცხლის სასმისს **კოკოშა**-ს(‖ **ჩამა**-ს), **ვერცხლის კოჭობა**-ს (საარაყეა), **ყანწ**-ს, „**კრუშკა**“-ს, **საარაყე ჭურჭელ**-ს [95], **მინა**-ს (ბოთლს), **სურა**-ს, **ნახევლიტ-ჩა**-ს (ხელადას) და სხვ.

ვერცხლის თასები ხატში დახარისხებულია: **უფროს თასი** (‖ **სახუცო თასი**), ის თასია, რომლითაც ხუცესი ღმერთს და **კვირაე**-ს ახსენებს, დანარჩენი თასები **წვრილნ თასნი**-ა. დიდ ყანწს **სანაკვეთო ყანწ**-ს ეძახიან. ვინმე რომ არაყის დალევას აიკრძალავს, „**ხკვეთს**“, დაიფიცავს: ერთი, სამი, ან ხუთი ყანწის მეტს აღარ დავლევო (**არაყის ერთზე გაწირვა, არაყის სამზე გაწირვა, არაყის ხუთზე გაწირვა**). ქეიფის დროს „არაყგაწირულ“ კაცს ყველაზე დიდი ყანწით, **სანაკვეთო ყანწი**-თ ასმევენ ხოლმე.

„ჩამამისხით **კოკოშასა**,
შაირს გეტყვით კოკოსასა“
(მივლ. მას.).
„გორგის ლუდ ჩამააწვადეთ მეჯვარდლიან **კათხაითაო**“.
(ხევს. პოეზ., 80_{6}).

ხევსურულ პოეზიაში ნახსენებია **კოჭობნი**:
„კოპალამ კარატიონმა ქოთანნ რა ჭყენა ქვისანი?
დაოქროვილნი **კოჭობნი**, დავსვილნი ნავთის წყლისანი?“
(ხევს. პოეზ., 540_{23-24}).

ჩვენთვის გაურკვეველია, რის ჭურჭელია ეს **კოჭობნი**, რომელიც ხატს, **კოპალა**-ს ჰქონია, ანდა რა სითხეა „**ნავთის წყალი**?“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ფქვილ-ხორბლის საწყაოდ იყენებენ **ნასამალ**-ს, **გვერდ**-ს და **საწყავ**-ს.

მეფიცებოდა: „შაჰამეს ორთ სამის **ნასამლისაო**“.
(ხევს. პოეზ., 607_{11}).

---

[95] „**ჭურჭელი**“ ხევსურულად ღოქ-ს ნიშნავს, ხოლო ჭურჭელს (посуда) იქ **ბუნაგ**-ს ეძახიან.

ლუდს ასე „ადუღილებენ“: ქვაბებში ხარშავენ ფორს, ვიდრე გამონახარში საკმაოდ ტკბილი არ იქნება. ნახარშს, წვენს, **ტკბილი** ეწოდება. ქვაბების გვერდზე აწყვია ფართე და გრძელი (6—7 მეტრის სიგრძის) გეჯები—**ლათბები** (ლათბა). ლათბის თავზე ჩამოკიდებენ ბალნის ტომარას. ქვაბიდან ჯიმურით ამოაქვთ ტკბილი და „ქერის ნახარში“, მოხარშული ფქვილი. ამ სითხეს ჩხუტში გადმოასხამენ, ჩხუტით კი—ტომრებში. ტომრიდან სუფთა ტკბილი ჩადის ლათბაში, ხოლო მოხარშული ფქვილი—**ჯოტი** ტომრებში რჩება. ჯოტს ძაღლისა და მსხვილფეხის საკვებად იყენებენ.

„დაუდგმენ ძაღლის ბაგასა, შიგ **ჯოტათ ჩაუყრიანო**“
(ხევს. პოეზ., 411$_4$).

ტომარას პირებში ჩხირებს გაუყრიან და ჩხირებს ქვემოთ წნელის პირსაკრავებს, **ჰილჰა-თ** მოაკრავენ. ჯოტში ტკბილი რჩება და საჭიროა ტომრის **„გაწურვა“**, რათა ტკბილი **„გამაიჯურას“** (გამოიწრიტოს) ტომრიდან. ამისათვის ტომარას მოამწყვდევენ ორ, ერთ მხარეზე წნელით გადაბმულ, კეტს შორის. კეტების გადაუბმელ მხარეზე **ჯარჯებ**-ს წაჰოაცყამენ და ასე მოუჭერენ ტომარას. ამ ხერხით კარგად იწურება ტომრები.

ლათბიდან ტკბილს ისევ ქვაბში დააბრუნებენ. ქვაბში ჩასხმულ ტკბილს ჩაზომავენ გრძელი ჯოხით **საზომა-თი**, საზომას **„ჰკლეს უქმენ“** (დააჭდევენ) იმ ადგილზე, სადამდეც ტკბილი სწვდება მას. შემდეგ ნაჭდევიდან ქვემოთ გადაზომავენ **ოთხ-თითს, ერთ ჯიგვიან ჯელ**-ს (ხელის თითები ცერიანად), **ერთ ციდა**-ს ან **ერთ მტკაველ**-ს და აქაც **„ჰკლეს უქმენ“**. შემდეგ ტკბილში ჩაყრიან სვე-ს (სვია) და ხარშავენ, ვიდრე მათ მიერ მეორეჯერ დადებულ ნაჭდევამდე არ დაიდუღებს.

სვესა და ტკბილს ერთად მოხარშულს **სისწვენი** (←სვის წვენი) ეწოდება. გამოცდილი კაცი სისწვენს გემოზე ატყობს, ეყო თუ არა მას ხარშვა, ან ეყო თუ არა სვე. „სვეიც თავ-თავადრ, ზოგ სვე კარგად ჰრის, ზოგ ქვიარ ვარგ“. თუ ხარშვა აკლია, „ლუდის მდუღე“ იტყვის: „ტკბილ-სისწვენნ შიგიში მისულნ ვერ არიან, შიგიში გახვეულნ ვერ არიან, პირჩი წყალივ უპერავ“-ო და კიდევ ხარშავს ერთხანს.

„ადუღებს ბედიანაი **ქერსა და სვესა ორსავე**“
(ხევს. პოეზ., 494$_4$).

ლათბაზე დადგმულია **სანამგვლე**—წნელით ძირგამოწნული ხელსაწყო, რომელშიაც ყარტია ჩაფენილი. სისწვენს სანამგვლეზე დაასხამენ ჩხუტებით. სისწვენი ლათბაში ჩაიწურება, ხოლო გამო-

ხარშული სვის კლერტები და ყვავილი, **ნამგოლი** (←ნაგბოლი) სანამგვლეში რჩება. ვინც „ლუდს ადუღილებს“, **ჩხანჩხ**-ს ეძახიან.

განელებულ სისწვენს ლათბადან კოდებში გადაიტანენ და საფუარს გაუკეთებენ, ცოტა ფორს დაუმატებენ და მჭიდროდ დახურავენ, რათა ლუდ არ „**ამაკრას**“ ან შიგ რამე არ ჩავარდეს ან არ ჩაძვრეს. ქორია გოგოჭურს ცუდად დახურულ ლუდიან კასრში თაგვები ჩახრჩობია:

„ქორიას ძარგანაშვილსა[96], არ აქვის კოდის სახური,
ჩასვლიან **დორიაები**[97], ამუდიოდა **თხლაფუნი**“[98]
(მივლ. მას.).

სისწვენისთვის საფუვრისა და ფორის მიმატებას **სისწვენთ შაყრა**-ს ეძახიან. ლუდი რამდენიმე დღეს „**იფუილებს**“. ფუილისას ლუდი ზედ მოიგდებს ხოლმე ფორნარევ ქაფს, რომელსაც **ჰიჭ**-ს ეძახიან. ჰიჭი ყველაზე კარგი საფუარია როგორც ლუდისა, ისე არყისათვის. ლუდს რომ ჰიჭს მოაცილებენ („**რო მასჰიჭვენ**“), ზემოთ სუფთა ლუდია, ხოლო ფსკერზე—**თხლეა** დალექილი. ლუდის (და სხვა ხსნარის) დაწდობას, დალექვას **დალიკება**-ს(‖ **დაძირწვერება**-ს) ეძახიან. ლუდის (და წყლისასაც) ქაფს **პერი** ეწოდება. ანდაზაა: „წყალსავ **პერ** მახჭადეო' ვალ იქნებავ“.

„ციხის კარ უზის ახალზალიო,
ციხეს კოდნ უდგან **პერიანნიო**“
(ეთნ. მას., 5_{31-32}).

„მამუკას ქალუნდაურსა ლუდჩი **თხლე** ამაღრევია,
ნუ ვინ შაუსომთ, ქალებო, შიგ საყვარებელ ღრეევია“
(მივლ. მას.).

„მე და კუდურათ გაგამა დღე დავალამეთ მზიანი,
დასტურთ ლუდ გამაუთავდა გამაგვირიეს **თხლიანი**“...
(მივლ. მას.).

კარგი ლუდი **შავი, ჯშირი** (სქელი)[99] და **სვიანი** უნდა იყოს, რადგან, **სვიანი ლუდი,** მართალია, მწარეა, მაგრამ მათრობელია.

„**შავს** ლუდსა, წითელს ღვინოსა განა სუყველას სმა უნდა?
პირში მასულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?
(მივლ. მას.).

---

[96] **ძარგანაშვილი**—ზედმეტი სახელია, თიკუნია.

[97] **დორია**—ურქო ცხოველი. თაგვი „დორია“-ა, ურქო რახან არის.

[98] **თხლაფუნი**—წყალში ცოცხალი არსების მოძრაობით გამოწვეული ხმიანობა.

[99] თუ ლუდი ჯშირი (სქელი) არ გამოვიდა, „**ხაჯშო აკლავ, თხელი**“-აო ამბობენ.

შდრ. აგრეთვე ვაჟა:

„შასვი, მინდიავ,—ეტყვიან,
კაი ლუდია, სვიანი“...

(ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბილისი, 1953, გვ. 183).

ცუდი ლუდი „**ყვითელი, ტკბისველასავით** იქნების, **მირღვარ, არდოლაგი**“ (მღვრიეა). ლუდს რომ ოდნავ სიმჟავის გემო გადაჰკრავს, „**წაკანჭულია**“-ო ამბობენ. ლუდის ჭაშნიკის გასინჯვას **ჭელის დაცდა**-საც ეძახიან:

„თხლიანან მაინც ჩაგვისხენ, ზოგ **ჭელ დაუცდელ** დამჩალა“.

(ხევს. პოეზ., 667_{11}).

სანამგვლეში დარჩენილ ნამგოლს ადუღებულ წყალში გაავლებენ. ნამგოლის ნარეცხსა და სისწენის ნარჩენებს იყენებენ სააარაყედ. აქედან მიღებული არაყი ჩვეულებრივზე გაცილებით მაგარი გამოდის ხოლმე და ამ არაყს **ხირხიტოს არაყ**-ს ეძახიან.

ხევსურულ პოეზიაში იხსენება ღვინოც, თუმცა ხევსურს ღვინოზე ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი:

„**ღვინოვ შე ჰაჰანაისძევ**, უცეცხლოდ ამაზდუღდები,
ჰკვიანთაი ხარ სასმელი, უჭკოთად ამაშუღლდები“

(ხევს. პოეზ., 499).

თავი მეოთხე

თიბვის ლექსიკა

§ 10. სათიბი იარაღი, თიბვა, ხვეტა და თივის მოტანა. ხევსურეთის პირობებში თიბვა ძალიან ძნელი, მაგრამ აუცილებელი საქმეა. ხევსურეთში მეცხოველეობა კარგადაა განვითარებული, ხოლო პირობები მისი განვითარებისათვის ძალიან მძიმეა. პირუტყვს ადგილზევე აზამთრებენ—თივით, ჩალით და **ნაკრით** (ნეკერით) კვებავენ. ამიტომ იძულებული არიან ბევრი თივა ამზადონ.

„**თიბად გადიან**“ (თიბვას იწყებენ) **თიბის შამშაბათ-ს**[100].

„თიბა გავიდეს ჩარგალელნი.
ვაიმე ჩემო სიბერეო...“
(ხევს. პოეზ., 734_{1-2}).

„**თიბის შამშაბათსამც** მათიბიეო
იმ ჩემი ბროლიაით ცელითა“
(ხევს. პოეზ., 735).

ცელი ორგვარი აქვთ—**რუსული** და **ქართული**. ქართული ცელი ახლა აღარ იხმარება. მას ჰქონდა **საპირე**(‖ **ჩული**), რომელიც ცელს იცავდა დაბლაგვებისა და მზეზე გახურებისაგან. მზის გულზე არც რუსულ ცელს დატოვებენ, თორემ „**ცელ გამალბების**“ (ცელი სიფოლადეს დაკარგავს). შდრ.:

„რო დაცხა, დალბა დათვიაი
უსაპირეო ცელივითა“
(ხევს. პოეზ., 757_{5-6}).

ახალ ცელს ჯერ ფხას გამოუთხელებენ „**ჴელკვრით**“ (ჩაქუჩით) პატარა **ქურთმულ**-ზე (გრდემლზე). ამას **ცელის გამაწკეპა**-ს ეძახიან. ცელს აქვს **ჩორჩი**—ის ნაწილი, რომლითაც ცელი **ცელის ტარ**-ზეა მიმაგრებული **გირგოლი**-თ და **სოლები**-თ.

„მაგჩეს ოჯრადა, ცოლისდაოო,
წითელ-ყვითელნი ქოქომონიოო!

---

[100] თიბის შამშაბათი—ერთ-ერთი სამშაბათი ივნისის თვეში. თიბვის დაწყება მხოლოდ თიბის შამშაბათს შეეძლოთ ხევსურებს, მანამდე არ შეიძლებოდა

მე შენდა გამასედვნაშიაო
ცელი ჩორჩშიით[101] გავამტვრიეო“
(ხევს. პოეზ., 742).
„ექვსი მტკაველი ცელი ხქონდაო,
თორმეტს ეპარბა ცელისტარიო“
(ეთნ. მას., 22_{30-31}).

ცელს ქასური-თ(‖ „პრიშოკი“-თ) ლესავენ. ცელის გალესვას დაფხაება-საც ეძახიან.

„ცელი ვლესე და ეერ გავლესე,—
გადალესული[102] ყოფილიყვა“.
(ხევს. აოეზ., 737_{1-2}).
„აბავ შე ბაჭალაურო, მალეო ცხენივითაო,
დაგიფხაებავ ფრანგული თიბაში ცელივითაო“
(ხევს. პოეზ., 231_{1-2}).

გაცვეთილ ცელს ცელის ნალევს(‖ ნალევს) ეძახიან.

„კოჭნი არ დამჭრნა საძაგელო,
ნალევი დამაფხაებიეო“
(ხევს. პოეზ., 738_{1-2}).

ცელის ლაპ-ლაპს გელობა-ს ეძაიან ხევსურები.

„აის დრო როსაღ მაგვივა, ილასტებოდას ქერიო,
ბარჩი ჩქამობდას ნამგალი, მთაჩი გელობდას ცელიო“
(მიელ. მას.).
„ჰიშველ მთიბლები არ თიბდაეო,
ცელები არ უგელობდაეო“
(მიელ. მას.).

სათიბე სამგვარი იყო ა) სასოფლო სათიბე, რომელსაც ყოველ წელს კენჭის ყრით (წილის ყრით) ანაწილებდნენ. წილის ყრაში მონაწილეობის მიღებას წილის ჩადება-ს ეძახიან.

„ნეტაენ გაუმარჯვა ღმერთსაო,
ქალი თამარიმც მამცა ვაჟიო,
წილიმც ჩამიდვა უბისთავსაო,
თამარ მთიბლებში ჩამიყენაო“
(ეთნ. მას., 128_{18}).

ბ) საონავრო სათიბე—უპატრონო სათიბე, რომლის თიბვა ყველას შეეძლო, ვინც დაასწრებდა და გ) საკუთარი სათიბე.

---

[101] ტექსტში „ცელი ჩორჩში გავამტვრიეო“ წერია, მაგრამ ეს შეცდომაა, უნდა იყოს „ჩორჩშიით“.

[102] მთიბლის მიერ ცუდად ნალესი, სალესით ფხამოჭრილი, დაბლაგვებული.

სათიბე შეიძლება იყოს: **გლუვი** (სწორი, უქვო ზედაპირით) ან **კუროიანი** (ბორცვებიანი), **ჯინჭველათ გორიანი, ღორღიანი..., თივიანი**(|| **ბალახიანი**) ან **ქაცაბანი** (უბალახო), **გვერდალი** ან **მიადანი**. მთის ფერდობზე რომ სწორი ან ტაფობი ადგილია სათიბი, მას **გალაუგ**-ს ეძახიან.

გაშლილ ველზე და მთაში წმინდა **ბალახი** ცელით ითიბება, ხოლო ქვიან ადგილზე, უხეში, **ჯოყრიანი** (გამხმარ კლერტებიანი) **ბალახი**—ჯენცლით, ღულით (ნამგლით). ცელით ნათიბს **ნაცელავი** ეწოდება, ნამგლით ნათიბს—**ნაჯენცლავი**. ჯენცლით უპირატესად ქალები თიბავენ, ცელით კი მხოლოდ კაცები. სწრაფად და ბევრის თიბვას **გახანებით თიბა**-ს ეძახიან. მთიბელზე რომ იტყვიან, „**ახანებს**“-ო, ეს ნიშნავს, რომ ბევრს თიბავს. ეს ტერმინი სხვა საქმიანობისთვისაც ასეევა გამოყენებული.

„**უბიხთავ** თიბდა ბაჩანაი,
თიბდა და ვერას **ახანებდა**,
ცელის ტარზედა ელღეოდა“ [103]
(ხევს. პოეზ., 750$_{8-7}$).

აქა-იქ რომ გამოთიბავენ ამას **გამაკენჭვა**-ს ეძახიან.

რასაც მთიბელი ერთ გაელაზე გაიტანს, **ტოტი** იქნება. გრძელ და შეუღლად ჩატანილ ტოტს ღვერა-ს ეძახიან. როცა რამდენიმე მთიბელი ერთად თიბავს ხოლმე, იმართება შეჯიბრი. სათიბის ერთ მხარეს ჩამწკრივდებიან და ყოველი მომდევნო მთიბელი ცდილობს, მის წინ მდგომს იმდენად მიუახლოვდეს, რომ იგი იძულებული გახადოს გამოვიდეს მწყობრიდან. მთიბელის ასე მწყობრიდან გამოყვანას **ტოტჩიით გამაგდება**-ს ან **ტოტის მაჭრა**-ს ეძახიან.

„მთიბელთ თავითა გეხვეწები,
დედაშენისა მანდელითა:
ნამჭრევსა ტოტსა ნუ მამიჭრი,
ნუ დამაბრუნებ ტირილითა,
ბალღი ვარ, დამაკლდება გულსა,
შინ ველარ მივალ სირცხვილითა“
(ხევს. პოეზ., 756).

ტოტების წყება **ნამჭრევნი** იქნება. იკანკლურად გატანილ ტოტებზე იტყვიან: „**დაკავკაულნ ნამჭრევნია**“(|| **დაკბილულნ ნამჭრევნია**“-ო).

---

[103] ელღეოდა—ქანაობდა, ირწეოდა.

„ქალი ნამჯრევთა კითხულობდაო:
—ეეგ ნამჯრევნი ვისანიაო,
დაკავკაულნი, კბილიანნიო?“
(ეთნ. მას., 94_{1-3}).

ტოტის გატანისას ზოლად დაიყრება მოთიბული ბალახი. ამ მოთიბული ბალახის ზოლს ქალიწ-ს ეძახიან.

ყველა ბალახი არ ვარგა მოსათიბად. ზოგი ბალახი ჯოყრიანია, ზოგი ავადმყოფობას უჩენს საქონელს (მაგ. წიბა) და სხვ.

„ამ ზამთარ, მიქცის კუდაო, ჯოყარ გამახარ ნარისა“
(ხევს. პოეზ., 141_1).

განსხვავდება ჩდილისა და მზისპირის ბალახიც. ჩდილის ბალახი „მარჯვე (იოლი) სათიბი“, მაგრამ უბარაქოა და არა ნოყიერი, ჩდილის ბალახზე იტყვიან: „ჰყაპორტუან ბალახანია“-ო; „ჰყაპორტუან ბალახან უჯოყორუან ბალახანი, ჩდილჩია' ჰანჭახჩი[104] როა“. მზისპირის ბალახი „მარჯე ხათიბი“, „მონან სამჯრელონი მზისპირის ბალახნ“, მაგრამ ბარაქიანია, ნოყიერია, ღალიანია.

წმინდა, უჯოყორო ბალახს ნემსა ბალახ-ს ეძახიან. ნათიბზე რომ ახალი ბალახი ამოვა (შემოდგომაზე), იმას აქვიტ-ს ეძახიან. ხშირ ბალახზე, მაღალ ბალახზე იტყვიან ბურახი-ა(‖ ბუყაყი-აო). ქუჩს ხევსურები ქოჩ-ს ეძახიან. ქოჩი წმინდა (უპირატესად მზისპირის) ბალახია ბოლქვად ამოსული. ქოჩიანი სათიბე ცუდია. ქოჩი ცელს აფუშებს, მას ცუდი ცელი ვერ პრის. ხევსურულ პოეზიაში გვხვდება ქუჩი-ც.

„სიმშილით დაღონებულმა ქუჩი მოძოვა მთისაო“
(ხევს. პოეზ., 91_9).

„ქოჩნი ჩამამცდეს[105] წკმუტუნითაო,
ქოჩნი ნალევის დატუქსვილნიო“
(ეთნ. მას., 96).

ქოჩსა ჰგავს ქირცა-ც, ოღონდ ქირცა კლდეში იზრდება და, როცა გახმება, გაცილებით რბილია, ვიდრე ქოჩი. ქირცა-ს „ჯღანჩი სადებად“ (ჯღანში ჩასაფენად) იყენებენ. ამათ გარდა თიბავენ ბალახებს: დიყ-ს, შუპყა-ს, ჯბოსასუქა-ს, ბალბა-ს, შალან-ს, დაჯირა-ს, დიშლა-ს, თავსვილა-ს და სხვ.

---

[104] ჭანჭახი—ჭაობი.

[105] ტექსტში შეცდომით წერია „ჩამამცდა“. ფრაგმენტის შინაარსი ასეთია: ცელის ნალევს მოუპრია ქოჩნი, რომელნიც „ტირილით (წკმუტუნით)“ დაგორდნენ თურმე. დატუქსვა (ტექსტში შეცდომით წერია „დატუქვსა“) მოპრის მნიშვნელობითაა ნახმარი, ხატოვანი თქმაა.

მთიბავი ფეხშიშველი თიბავს ხოლმე. ამიტომ ფეხის კანი ხშირად ეწამლებათ, რადგან ზოვი ბალახი „**გველის ნამსუნთი**“-ა, „**სურივლის მაწამლულრ**“.

კარგი **თივა სისვი**-ა (მწვანეა). თივა სისვი მაშინ იქნება, თუ დარზე მოთიბული დარზევე ახვეტეს („**აკრიფეს**“). ასეთ თივას **უწვიმარ** (|| **უწვიმისცვრო**) **თივას** ეძახიან. თივის ახვეტას **თივიხ კრეფა**-ს ეძახიან.

„ჯერ **ვკრიფე** მთიბელთ ნათიბი, მემრ ქვიშათ ედგა წკრიალი“
(ხევს. პოეზ., 679_2).

თივას კრეფენ **საფარცხველი**-თ.

„გაოკრდა ცელი, **საფარცხველიო**
თორმეტის მთიბლის სამყოფინიო“
(ეთნ. მას., 122_{3-4}).

თივას **საწვირთო**-ებად (ბულულებად) აგებენ. თივას (საწვირთოს) დაასობენ ხოლმე გრძელ ჩხირს—**სამჩხირავ**-ს. დიდი ბულული **ჯოლნაბო** იქნება, უფრო დიდი—**ზვინი**. არხოტელები **ჯოლნაბო**-ს ეძახიან ზვინის ასაგებად ერთად შეგროვილ თივას. პირაქეთ ხევსურეთში ასეთ თივას **საფანდრე**-ს ეძახიან. ერთი კაცის ტვირთ თივას (შატილურ **საწვირთო**-ს) არხოტელები **ჯოლ**-ს ეძახიან, უფრო ბოზრდილს კი (ორ ტვირთ თივას)—**საჯარე**-ს.

აგებული თივა რომ დაიტკეპნება, შრეებად დაეწყობა. ასეთ ზრეს **კელფი** ეწოდება. ქალის მიერ მოთიბული („**მოჯენცლულ**“) თივის ზვინს **ქუჩალა** ჰქვია. ქუჩალას (და საქარე ადგილში აგებულ ყოველგვარ ზვინს) გადააკრავენ ხოლმე დაგრეხილი ბალახის „თოკს“. ამ „თოკს“ **ალერდი** ეწოდება. არხოტელები ასეთ თოკს **ხორამ**-ს ეძახიან. სახელწოდება „ალერდი“ მოდის ამავე სახელწოდების მაღალი ბალახიდან, რომელიც მაგარია და კარგად იგრიხება. ანდაზაა: „ვირო, ნუ მახკვდებიო' მაევ **ალერდიცავ**“.

„დაჯდა, დაიხვევს **ალერდსა**, ეშმაც იკონავს ფენჯათა“
(ხევს. პოეზ., 547_8).

თივას ისევე „**იგულებენ**“, როგორც ძნას. საწვირთოს **ორხალათი** კონავენ, ოღონდ აქ ტვირთების ჯაჭვს **თივანი** ეწოდება (და არა **ორხალანი**, როგორც ძნის ტვირთების ჯაჭვს ერქვა). საწვირთოსაც **თივა**-ს ეძახიან ხოლმე: იტყვიან „ათ თივა მამავალ სათიბეი“-ო, ე. ი. სათიბე, რომელზედაც ათი თივა, ათი საწვირთო ითიბება. თივის ჩამოტანას მთიდან ჭალაში **თივიხ თრა**-ს ეძახიან.

„თივათ გთრი ოროლობითა, დასვენებაიც მინდაო“
(ხევს. პოეზ., 512_1).

„დავკონენ თორმეტნ თივანი თხორუს-თავ წვერის ძირსაო,
ჩამაუყენენ თაქვასა, ნაბაკურაის ჩდილხაო“
(მივლ. მას.).

თივის ზვინიდან თივა მოში-თ ააქვთ (მოში—обхват) და აკეთებენ ბარგს. როცა თივა შორიდანა აქვთ მოსატანი, „შახყრიან მუშათ, მებარგეთ“ და ასე მოზიდავენ თივას.

თიბვა ერთადერთი შრომითი პროცესია, როცა ხევსურები შრომის სიმღერას ასრულებენ. მღერით ყოველგვარი სამუშაოს შესრულებისას მღერიან, მაგრამ მღერიან ყოველგვარ, ნებისმიერ ლექსებს. თიბვის დროს მთიბელი ინდივიდუალურად ასრულებს ე. წ. ჯმითნატირალ-ს—ქალების მიერ მიცვალებულზე ნათქვამ საქებ სიტყვებს. მთიბლური შეიძლება არაჯმითნატირალიც იყოს, მაგრამ ზომა და რიტმი ორივეს ერთი აქვს. რითმა სავალდებულო არაა. ამ სიმღერას გვრინი(|| კაფია) ეწოდება.

„მთაში მთიბლები წაგიღებსაო,
ცელის ტარზედა გიქმენ გვრინსაო“
(მივლ. მას.).

„დაგასრევინა კაფიანიო,
ნამწრევნი სისხლით დაგასვრივნაო“.
(ეთნ. მას., 5_8—$_9$).

თავი მესამე

მესაქონლეობის ლექსიკა

მესაქონლეობა ხევსურული მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. საქონელს ადგილზევე ინახავდნენ, გამოსაზამთრებლად სხვაგან არ მიჰყავდათ. ხევსურეთის მკაცრი ზამთრის პირობებში საქონლის გამოკვება მთელი წლის მძიმე შრომას მოითხოვდა. მეზობელ მთიელებს (თუშებს, ფშავლებს, მთიულ-გუდამაყრელებსა და მოხევეებს) ცხვარი უფრო ბევრი ჰყავდათ, ვიდრე ხევსურებს. ისინი (სხვა მთიელები) თავიანთ ფარებს საზამთრო საძოვრებზე (შირაქში, ყიზლარში...) ინახავდნენ. ხევსურებს ბევრი ჰყავთ მსხვილფეხა პირუტყვი.

§ 11. პირუტყვის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ლექსიკა. პირუტყვის ადგილზე გამოზამთრება ბევრ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მთელი ზამთრის განმავლობაში პირუტყვის ბაგაზე კვება შეუძლებელი იყო და მას, შეძლებისდაგვარად, ზამთარშიაც აბალახებდნენ: ბერწ და მოზარდ პირუტყვს აბალახებდნენ პირმზითებსა და ქარისაგან თოვლგადაწმენდილ გორებზე.

ცხვარს, როგორც წესი, მთელი სოფელი ერთ ფარად აგაერთიანებდა და ერთ საზიარო მწყემსს დაიქირავებდა. მწყემსებად ქისტებს ან მოხევეებს, ფშავლებსა და მთიულ-გუდამაყრელებს იყვანდნენ. თვითონ ხევსური იშვიათად თუ დადგებოდა მწყემსად, რადგან მწყემსობა სათაკილო საქმედ ითვლებოდა. **წყემსი**(‖ **წყემსწარახუა**) ყველაზე უფრო ღარიბი და საწყალი კაცის ეპითეტია ხევსურეთში.

დაქირავებულ მწყემსს **ჯამაგირ**-ს უნიშნავდნენ: გარკვეული რაოდენობის წვრილფეხს, პურს ან ყველ-ერბოს აძლევდნენ თანახმად მორიგებისა. მწყემსი ცხვრის პატრონებს შორის იყო გაკვირაული: ერთ კვირას ერთთან იძინებდა, მისგან იღებდა **ხაგძალ**-ს, **ტალაგარ**-ს (ტანსაცმელს), **ბაჭკო**-ს (საწვიმარს) და **ჯღან-ფეჯ**-ს (ფეხსაცმელს), მეორე კვირას—მეორესთან და ა. შ.

მწყემსისათვის შეძლებისდაგვარად პატივი უნდა ეცათ მასპინძლებს; ვინმე გარეშეს რომ დაეჩაგრა მწყემსი, ეს მასპინძლების სირცხვილად ითვლებოდა. „წყემს-მუშათ მონად მაცლა სირცხვილ-სიკვდილ იყვ, უკაცობობა იყვ“, ე. ი. მწყემს-მუშებისთვის ცუდად მოპყრობა დიდი სირცხვილი იყო. დროს, რომლის განმავლობაშიაც მწყემსს ცხვრისთვის უნდა მოევლო, ყავლი ეწოდებოდა. „წყემსს ყავლ რო გაუვიდო, მაში ვაძლევდი ჯამაგირს“ [106].

როცა ცხვრის პატრონებს მწყემსი არა ჰყავდათ, ერთმანეთში „წილს ყრიდენ“ (კენჭს ყრიდნენ) და გაანაწილებდნენ მწყემსობის დღეებს. თითოეულს ოცის თავზე (ოც სულზე) ერთ დღეს უწევდა ერთ მორიგებაში წყემსობა, ან ცხვრობა. „შაბათს მე ვერცაით წამავალ გუროს, წყემსობა მაქვ, ჩვენ ცხვრობაი, სხვა აგებ ვინ წამავიდას“.

ვისაც ოცზე ნაკლები ცხვარი ჰყავდა, ის შადგამ (რიგგამოშვებით) წყემსობდა. ამას ცხვრობის შადგამ ზიდვა-ს, ცხვრობის შადგამ გატანა-ს ეძახოდნენ. „ეემ მაყოლებაჩი მე აღარ გავიღებ ცხვრობას, ათის მეტ არ მყავ“-ო, იტყოდა ათი სული ცხვრის პატრონი. როგორც დაქირავებულ მწყემსს, ისე „წილით ცხვრობა შინამრგალ“ თანასოფლელ მეცხვრე-ს დაკარგული, ველზე დამრჩალი ან ველის ნადირისგან მაკლული ცხვრის გერში [107] უნდა მოეტანა პატრონისათვის, თორემ უგერშ დაკარგული წვრილფეჩი, სათანადო პირობის თანახმად, უნდა აენაზღაურებინა დამკარგავს.

რაც შეეხება ძროხებს, მათ ან თვითონ უელიდა თითოეული (მაგ., ზამთარში) ანდა აწილებდა (კენჭს ყრიდა) სოფელი ან რამდენიმე კომლი და მორიგეობით მწყემსავდნენ. ასე გაწილებულ საქონელს წილის საქონი ერქვა. წილის საქონში საქონობის გაღება-ც ისეთივე წესით ხდებოდა, როგორც ცხვარში. მესაქონე-ს დროზე უნდა მოეძებნა და მოეგროვებინა („მაეთვალყმებივ“) საქონელი, რათა „საქონყურებ-ისად მაესხ შინ“, ე. ი. ისეთი დროისათვის მოერეკა, რომ საქონის მყურე-ს (საქონელის მომვლელს) საქონლის დაბმა-მოწველა არ დაგვიანებოდა.

---

[106] „ყავლი“ სხვა კონტექსტშიაც იხმარება: ავადმყოფი რომ ცოტა გამოკეთდება, ძასხე იტყვიან ხოლმე: „ცოტაად უშეთ (=უშეღავათა) სატკივარმ, ცოტაად ყავლად ექნა“-ო.

[107] გერში—აბა თუ იმ პირის გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ნიშანი. მაგ., მგლისგან შეპმული ცხვრის გერში იქნებოდა სისხლი, ტყავის ნაფლეთი და მისთ. და ამით მეცხვარე თავს იმართლებდა: „მე არც მომიპარავს, არც, გამიყიდია, აი, აქა და აქ მგელმა შეპამა ცხვარი“-ო.

ასევე, **აწილებდეს ჯარავან**“-ს (ხარების ნახირს) და მორიგეობით „**გახჭონდა ჯარავნობა**“ ანდა „**მეჯარავნეს იჭერდეს**“ (ქირაობდნენ). მეჯარავნის ჯამაგირს **საჯარავნო** ერქვა. **საჯარავნო** ერქვა იმ იალაღსაც (**ჯორჯ**-ს), სადაც ჯოგი ბალახობდა ზაფხულში.

თუ ვისმე **საქონის საჭმელი** (პირუტყვის საკვები) საკმარისი არ ჰქონდა ზამთრისათვის მომარაგებული, იგი „**საქონს გააბომდა**“: პირუტყვს სხვას გააკვებინებდა და **სამკვებაო**-ს მისცემდა. ძროხის გამკვებავი ან ხბოს დაიტოვებდა თავისთვის ანდა ერთ ცხვარს გამოართმევდა ძროხის პატრონს. ხარის გაკვება ასე ხდებოდა: თუ ვინმე **მეჩვევ ჯარ**-ს (ხვნაში გაუწაფავ ხარს) გააკვებინებდა სხვას, ამას **ჯარის სათავკვებოდ მიცემა** ერქვა. ხარის გამკვებავი ამ ხარს ხვნაში „**სჩვევდა**“, „**გასწურთნიდა**“ და მეტს ვერც ართმევდა რასმე ხარის პატრონს და არც რასმე აძლევდა. თუ ვინმე გაზაფხულზე ათხოვებდა ვინმეს თავის გაკვებილ ხარს, ხარის პატრონი ორ ცხვარს მიიღებდა **მანძილა** და **შინგაკვებული** ხარის შრომის საფასურად და ამას **ჯარის იჴნივი**(‖ **იჴნივი**) ერქვა.

ცხვარი შეიძლება **სანაშენზიაროდ**-აც გაეცა პატრონს: პატრონი და გამკვებავი ერთი წლის შემდეგ **ნაშენ**-ს (ნამატს) სწორად გაყოფდნენ, ხოლო **თავნი** პატრონისა იყო. **ცხვარ-ხაქონის სამაზიაროდ გაცემაც** შეიძლებოდა. სამაზიაროს სამი ან ექვსი წლით იყვანდნენ.

არსებობდა **ქისტური სამაზიარო** და **ჴევსურული სამაზიარო**. ქისტური სამაზიაროს თანახმად შემნახავი სამი წლის შემდეგ გასაკვებად აყვანილი პირუტყვის ერთ მესამედს დაუმატებდა და ისე დაუბრუნებდა პატრონს: მაგ., წელს სამაზიაროდ აყვანილი 30 სული წვრილფეხის ნაცვლად სამი წლის შემდეგ 40 სულს დაუბრუნებდა. დანარჩენი ზარალი თუ მოგება (ნაწველი, ნაპარსი, ნამატი...) მისი (გამკვებავისა) იყო.

ჴევსურული სამაზიაროს აყვანისას ორი წილი პატრონისა უნდა ყოფილიყო, მესამე წილი კი სამაზიაროდ ამყვანისა. გარკვეული დროის შემდეგ თავნი და ნამატი სწორად ნაწილდებოდა. ზარალიც საზიარო იყო, ოღონდ, თუ რომელიმე მხარე საკლავს გაანაწილებამდე თავისთვის გამოიყენებდა, განაწილების დროს მისი მაგიერი უნდა მიეცა მეორისთვის („იმის ფეჩი სხვა უნდა ჩაეყენ“). მხოლოდ ერთი „შიგით ნარჩევი“ თოხლი ეძლეოდა ზედმეტი გამკვებავს და ამას **სამარილე საკლავი**(‖ **სამარილე**) ერქვა.

§ 12. მსხვილფეხა პირუტყვთან დაკავშირებული ლექსიკა. მსხვილფეხა პირუტყვის საკუთარი სახელები. მსხვილფეხა პირუ-

ტყვის მოხმობისა და გარეკვის დროს გამოყენებული შეძახილები. ხევსურები **სქელფეჯი-ს** (|| **ზგელფეჯი-ს**) (მსხვილფეხა პირუტყვის) მოშენებას უფრო მისდევდნენ. მსხვილფეხა პირუტყვს **საქონ-ს** ეძახიან, მსხვილფეხსა და წვრილფეხს ორივეს ერთად—**ცხვარ-საქონ-ს**. ცხვარ-საქონის ეპითეტად **ჭლიქმბულ-საც** ამბობენ: „ქორწილს რაით იქმენ, ჭლიქმბულ არ ებადების!“

მამალი მსხვილფეხა პირუტყვი **საჯარე** ანუ **ჯარ-საჯარე-ა**, დედალი—**საფურე** ანუ **ფურ-საფურე**. ხარების ჯოგს **ჯარავან-ს** ეძახიან, ძროხების ნახირს—უბრალოდ **საქონ-ს**. **ნახირი** ხევსურულში ახლა სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვად არის ქცეული: „არა **ნახირია**“-ო, რომ იტყვის ხევსური, ეს ნიშნავს: „ცოტაა“-ო.

მამალ ხბოს **საჯარე ჯბო** ეწოდება. „**საჯარე ჯბოს** სასკორეჩი შეეტყობის“-ო, იტყვიან ხოლმე. ადრეული ხბო **ნაზამთრევ ჯბო** იქნება: „**ჯბოს** ღვეხარ **ნაზამთრევასა** ფეკ-დაკეცილას ცხვარასა“ (ხევს. პოეზ., 563, 9). ბავშვის ენაზე ხბოს **ჯუჩუა** ან **ენწუა** ეწოდება. ხბო ორი წლის შემდეგ **ჭოჭყი**(|| **მაზვერი**) გახდება, სამი წლის ზევით, ოთხის ჩათვლით, **ჭოჭყი ჯარ-მაზვერი** გახდება. მოზვერს **ზვარა**-ც უნდა რქმეოდა. ეს სიტყვა აქა-იქღა გვხვდება:

„ეშმაკების **ზვარაო**,
გაძღა, გაიზარაო“
(მივლ. მას.).

ხუთი წლის **ჯარ-საჯარე** უკვე **ჯარი-ა**.

დედალი ხბო **საფურე ჯბო-ა**. საფურე ჯბო წლისა რომ შესრულდება, უკვე **დეკეული-ა** (|| **დაკეული-ა**).

„არდოტის მიადანზედა ყინტრაობს **დეკეულები**“
(მივლ. მას.).

სამი წლის შემდეგ დეკეული **ფური**(|| **ძროხა**) გახდება. უფრო ხშირად „ფურს“ ამბობენ ხევსურები, რადგან „ძროხა“ ღირებულების ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაა ქცეული: ორი ძროხა—ერთი ხარია, ოთხი ცხვარი—ერთი ძროხაა, ერთი ფუთი ერბო—ერთი ძროხაა და ა. შ. ღირებულების ერთეულის აღმნიშვნელი **ძროხა** შეიძლება იყოს **ფეჯითი** ან **ჯელითი: ფეჯითი ძროხა** ცოცხალი საქონელია, **ჯელითი ძროხა**—ცოცხალი ძროხის ღირებულება, რომელიც ნივთებით (რვალი, ვერცხლი, იარაღი...) ან პროდუქტებით (ყველი, ერბო, პური...) უნდა ანაზღაურდეს.

მსხვილფეხა პირუტყვის მაკინტლობას **კეთილობა** ეწოდება. მაკინტლობისას ძროხას **მეკეთილე** (|| **მაჯარობელი** || **ავარდნილი**) ეწოდება. მაკე ძროხას მაკეობის პირველ პერიოდში **ქარშატეულ-ს**

(‖ მჩნევიარე-ს) ეძახიან, ხოლო ბოლოს—**საზვებად** შამდგარ-ს (‖ შამდგარ-ს). მაკე პირუტყვს საერთოდ **საზვები** (‖ **სამზველი**) ეწოდება, ხბონაყოლს—**ნამზველი**. დედალი პირუტყვის ასაკს „ნამზველობით" ზომავენ ხოლმე: „ერთიან ნამზველი ძროხა", „ერთხან ნამზველი თხა" და ა. შ.

შენ იმას არ ხარ მამსწვრალი, სახლში ფურ არცა **გზვებია** (ხევს, პოეზ., 675, 15).

ხბოსმონაყოლს „**ფურის ბუდენი**" ეწოდება, მას **ნამზვებლავ**-საც ეძახიან. „ჯბომ თუ ჯბო გააჩინ" (ხბომ თუ ხბო მოიგო), მომგეს **იჯბორია**-ს ეძახიან. „ქალო, ე წითელ ჯბო იჩნევს, ანაბრივ იჯბორია იქნების". ბერწი პირუტყვი ხევსურულადაც **ბერწ**-ად ითქმის. ასეთი პირუტყვი მეორე წელს **ორი წლის ნაბერწვალი** იქნება. პირუტყვი, რომელსაც იმთავითვე არა აქვს მოგების უნარი—**ურწვანი**-ა. „ე შავ ფურ უნდა გავყიდათ, **ურწვან** გამაგვადგ".

ხევსურები თავისებური შეძახილებით უწყრებიან და ეფერებიან პირუტყვს. „**გეჩი! გეჩი!**"-ო რომ ეტყვიან ხბოს, ეს ნიშნავს: „გაიარე!" „წადი!". „**მაგეჩი!**" ნიშნავს „მოდი!" თუ მოფერებით უნდათ ხბოს მოხმობა „**ენწო-ენწო**"-ს ეძახიან. მოზვერის მოხმობისას ამბობენ: „**ნწა-გერო! გერი-გერი!**" გარეკვისას—„**აგერი!**" „**გერი**"!—სათანადო ინტონაციით. ძროხის მოხმობისას ამბობენ: „**დედო! ნწა-დედო! დედოოჰო! ნწა-დედოოჰო! ნწადეე!**", გარეკვისას: —„**დედე! ადეე!**" „**მადეე!**" (=მოდი!)—სათანადო ინტონაციით. ხარის მოხმობისას „**მამო! ნწე-მამო! ხი-მამო!**"-ს ამბობენ, გარეკვისასაც ასეევე მიმართავენ ხარს.

საქონლის გარეკვას **გალალვა** ეწოდება. საქონლისთვის გაწყრომას **დაგმობა**-ს ეძახიან: „**შაუგმი!**"—ნიშნავს: გაუჯავრდი პირუტყვს, რათა ზემოთ წავიდეს, „**გამაუგმი!**"—ჩვენკენ წამოვიდეს და ა. შ. „ამა(გ) საქონსა(ღ) **დაუგმი**, ყანაჩი არ შაიყარას!" შაგმობა სხვა კონტექსტშიაც იხმარება: „კაცმ გულს უნდა **შაუგმას**, გატეხა რას არგებს"-ო, იტყვიან და ეს ნიშნავს: კაცმა გული უნდა მოიმაგროსო. პირუტყვის მოფერებას **მაგლოთნება**-ს ეძახიან: „**მაღგლოთნ** ჴერემას, თორე ზისვარს არ ჩამაგიდგამს, უდგამი".

ძროხას, რომელიც წველის დროს წიხლებს აქნევს, **მწიხლავი** ეწოდება. ასეთ ძროხას ერთ-ერთ წინა ფეხს ააწევინებენ, მუხლში მოუხრიან, მოხრილ მუხლზე წნელის ჯარჯს წამოაცვამენ, ხოლო შიგნიდან ჯოხს გაუყრიან, რათა ფეხი ვეღარ გაშალოს და აწეული დარჩეს. ძროხა სამ ფეხზე დგას და წიხლსაც ვეღარ აქნევს. ამ მოწყობილობას **საკოტარი** ეწოდება. (**კოტვა**←**ტოკვა**, **საკოტა**-

რი←სატოკარი). შდრ. ფშ.: ...ორთავ მოჯამაგირე ვარ, დამელია საცოდარი, მწიხლავ ქალთან მომიყვანეს, გაუკეთონ საკოტარი (რაზიკ. 93, 51).

მსხვილფეხის ხმამაღალ ხმიანობას ყვირილი ეწოდება, ხმადაბალს—ზრუნი. კერძოდ ხარის ხმიანობას ბუბუნ-ს ეძახიან. ძროხის ხმამაღალ ხმიანობას ზმუილ-ს უწოდებენ: „ფურ ვისაიმ ზმუის, გახენე, ქალავ, საქონ ხო არ მავიდ?“ პირუტყვის სალანძღავი სიტყვებია: უნასი, დოსმასი, სასხოთო (←სასხვათო), დასალახვრავი და მისთ.

ფერების მიხედვით მსხვილფეხი ნაირ-ნაირია: თეთრი, ლურჯი, შავი, წითელი, ლეგა, ჭროღა (მონაცრისფრო), თეთრ-წითლით-, თეთრ-ლეგით-, შავ-თეთრით-, შავ-ლეგით ჭრელი, ცხემლა (ხოლებად რომ გასდევს სხვადასხვა ფერი), ნიშა, ნიკორა, მაცვერცული (სხვადასხვა ფერის წვრილი ლაქებით აჭრელებული) და სხვ.

რქამოტეხილი პირუტყვი ცალა-რქა-ა: ...სულეთს ჯარი ჯნავს ცალა-რქა, ბარაქა მესტუმრეთია (ხევს. პოეზ., 560, 2); შდრ.: „...ჯიქვ დავჭერ“,—ხელა დამყვირის,—იყო ცალა-რქა ტიალი (ხევს. პოეზ., 679, 3). ურქო პირუტყვი დოლა-ა, წინმოხრილრქებიანი რქა-წიწანა-ა, განზე რომ აქვს რქები გაწეული, ის რქა-ფიელი-ა. თვალზე ლიბრგადაკრული პირუტყვი მარღი-ა...

სუსტ, ავადმყოფ საქონელზე იტყვიან სნეული-ა(‖ ხაშმი-ა ‖ ხანშალი-ა ‖ ჯინჩიანი-აო), ხოლო ჯანსაღზე—ფოფხალი-ა(‖ უკავატო-აო). ზოგი საქონელი უჭმა-ა, ცოტა საკვები უნდა, ზოგი კი ავსული-ა, გაუმაძღარი. საქონელს რომ ძალიან მოშივდება, დაიამლა-ო, იტყვიან (დაამლვა, დაამლული შდრ. აფხაზური, აბლა—შიმშილი).

„ეგეთებ ძმობილები გყავთ, რო დაამლული მგელიო“
(ბევს. პოეზ., 397$_8$).

პირუტყვი რომ ჭირნახულში სიარულის ალღოს აიღებს, გამერუყევდა(‖ მერუყეი-აო) იტყვიან.

„შენ ხომ არ ინდობ ქალებსო, მერუყე ფურ თუ ყანასო“
(ხევს. პოეზ., 388$_5$).

პირუტყვის მიერ რომელიმე ადგილის ამოჩემებას საწოლად ან სადგომად ადგილის ათეგრება-ს ეძახიან. „ცოცხლებივ დაეჭელ თხა-თიკნებ, ველის ნადირ არა შახყრიყვ, ერთ ეხ ხქონიყვ ათეგრებული“.

მეწველი საქონელი შეიძლება უდგამი იყოს—რძე ჰქონდეს, შაგრამ არ იძლეოდეს. საქონელი რომ გაშრობას დააპირებს და

ცოტა რძეს რომ იძლევა, „ზისვარ აღარ უდგას, **იწკენტების**“-ო, იტყვიან. კარგ მეწველ ძროხას **ცურთიკრუნა**-ს(|| **ჩხუნია**-ს || **ხაჩხუნავ**-ს) ეძახიან. დაბერებული საქონელი **ნიხრი**-ა. „მაგის ფურს ვინაღ იყიდის, **ნიხრი**, კბილის კაკოლ არ ებადების“.

საქონლის კუნტრუშს **ყინტრაობა** ეწოდება, შდრ.: ...არდოტის მიადანზედა ყინტრაობს დეკეულები (მიელ. მას.). პირუტყვის რქენას **ჩიგვა**-ს ეძახიან, ხოლო მორქენალ პირუტყვს—**მჩიგავ**-ს. „მაშორდ, ბიჭო, ჯარებს, არ დაგჩიგან!“ საქონელი რომ დაფრთხება და პატრონს აღარ ეკარება, „გაველდა“-ო, იტყვიან. საქონლის გაზმორებას გაწვართვა ეწოდება. „ნეტა ავად ხო არა ე ფურ, რაად **იწვართების**?“ პირუტყვის გათვალვას **თვალის შაგდება**-ს ეძახიან. „ფურ მყავ გადალაჯული (=გაგიჟებული), ჭბოს შჩიგავს, ანაბრივ თვალ ვინამ შამიგდ, სალოცვიებლა(დ) წასვლა[108] მგულავ“.

ხარი შეიძლება იყოს **სუსტი** და **ღონკრიანი**, გაკეთებული ან გაუკეთები (=დაკოდილი ან დაუკოდავი). თუ მოზვერი წესიერად არ დაიკოდა, ასეთზე იტყვიან, „**დაჯაყვრდა**“-ო, თვითონ ასეთ მოზვერს **ჯაყვერ**-ს ეძახიან. „ჰოქუ დამიჯაყვრდ, რაი-რა უყვ, აღარ ვიცი“

ზოგჯერ ხბოს, მოზვერს თუ სხვა პირუტყვს პატრონი ამა თუ იმ ხატის სახელზე ზრდის: ხატს აღუთქვამს: „თუ არ მოკლავ, შენ შემოგწირავ“-ო და პირუტყვს **ზანზალიკა**-ს (ზანზალაკს) ჩამოკიდებს ყელზე. ასეთ პირუტყვს **გაშობილი**(|| **გასახელებული**) ეწოდება. „მაგ ჰოქუს ვერ გაეხყიდი(თ), კისტნურისა(დ)[109] **გასახელებულ**ი“. უშობელის ხბოს არც გაასახელებენ და არც „**საჯდელად შაადგებიან**“ (ზრდას არ დაუწყებენ)—სულ ერთია, „დეკეულის ჭბო არ გაიზდების“-ო.

როგორც წესი, ხევსურეთში ყველა მსხვილფეხს საკუთარი სახელი აქვს შერქმეული. სახელის შერქმევის მოტივი სხვადასხვაა: პირუტყვის ფერი და გარეგნობა, პირუტყვის თვისება, პატრონის სურვილი და სხვ. როგორც ცამალ, ისე დედალ პირუტყვს შერქმეული აქვს ფრინველების, მტაცებელი ცხოველებისა და სხვა ნადირის სახელწოდებები, ოღონდ დედალ-მამლის სახელები მკვეთრადაა ერთმანეთისგან გამიჯნული, ისევე, როგორც ადამიანებშია გამიჯნული მამაკაცისა და ქალის საკუთარი სახელები.

---

[108] გათვალული პირუტყვის „მკურნალებად“ მლოცავები (resp. მკითხავები) ითვლებოდნენ. მათთან წასვლას სალოცვიებლად წახვლა-ს ეძახოდნენ.

[109] კისტნური—ხატია პირიქით ხევსურეთში, სოფ. კახტანში.

პრელ ძროხას შეიძლება დაარქვან: **ქათიბა, ცხემლია, ყვავილა, მასკვლია, წარბია, ჰერემა** და მისთ.; შავს—**შავკაბა, შავფურა** და მისთ.; ლეგას—**ლეგნია, ნაცარა** და მისთ.; თეთრს—**მთვარია, ოქრუა, თეთრუა** და მისთ.; წითელს—**ღებილა, წაბლია** და მისთ.; შუბლთეთრს—**პირიმზე, ბეჭედა, ლიშანა** და მისთ.

ფრინველების სახელებიდან ძროხას შეიძლება ერქვას: **მინინო, ჯოჯობა, ყვარანა, კაბარჭა** და მისთ.; ცხოველების სახელებიდან—**თაგვია, შველია** და მისთ. ცხოველისა თუ ფრინველის სახელთან ერთად პირუტყვის ფერიც უნდა შეესაბამებოდეს ცხოველისა და ფრინველის ფერს: არ შეიძლება **ყვარანა** ერქვას ლეგა ძროხას, ხოლო **თაგვია**—შავს, მაგრამ ეს პრინციპი ბოლომდე გატარებული მაინც არ არის...

როგორც ჩანს, ხევსურეთში არსებობდა რწმენა, რომ თუ საქონელს შეარქმევ ხატ-ანგელოზების სახელს, ასეთი საქონელი დიდხანს იცოცხლებს, ან კარგი მეწველი იქნება და სხვ. ასეთი რწმენის საფუძველზე ჩანს ძროხისათვის შერქმეული საკუთარი სახელები: **ანგელოზა, დობილა (დობილნი ‖ დობილ-ჯავალანი** წვრილი, ავადმყოფობის მთესავი ანგელოზები არიან), **ჯავმატა** (სოფ. ჯავმატის ცნობილი ხატის პატივსაცემად) და სხვ.

ავადმყოფობა **ჭუჭუნა** (ჭრიჭინა) ხშირად ხოცავს პირუტყვს. ამ ავადმყოფობის პატივსაცემად, მის მოსამადლიერებლად ძროხას ხშირად არქმევდნენ **ჭუჭუნა**-ს. ამათ გარდა გვხვდება ძროხის სახელები: **მირგვალა, ქოთანა, სამხარა, ზონთქარა, დედუფალა, ფურთუმატე** (←ფურთ+უმატე) და სხვ.

ხარს ფრინველების სახელებიდან შეიძლება შეარქვან: **მერცხალა, შავარდენა, ორბა, ქორა** და მისთ.; ცხოველების სახელებიდან—**ლომა, ვეფხვა, დათვა, კინდოლა** (=ფოცხვერი), **ირემა** და მისთ.; წითელ ხარს შეიძლება ერქვას: **ღვინა, შვინდა, წიქარა** (გამოცანაა: „წიქარაის ნაწოლჩია ბალახნ არ ამადიანა“—ცეცხლი) და მისთ.; შავს—**შარუმი** და მისთ.; ლეგას—**ნისლა, ღურბელა, თითბერა, ჯორელა** და მისთ.; შუბლთეთრს—**ღილა, ნიკორა, ნიშა** და მისთ. ამათ გარდა გვხვდება ხარის სახელები: **კვირისა, ხთიშობელა, ბეღელა, კედელა, მაისტელა, ზურაბი, როსტომი, პირქუშა, კუდა** და სხვ.

„კარგა დავხვეებავ ჯარებსა—**კინდოლას, მაისტელასა**“
(მიქელ. მას.).

„თუ აიტანდი, მოგცემ ქრთამსაო: ჯართ მოგცემ **ქორა-ჯორელათაო**“
(ეთნ. მას., 49_{8-9}).

„ჯართ მოგცემსთ სამახარობლოდაო, ჩემსა ღილახა, ჯო-
რელასაო“

(ეთნ. მას., 18_{9-10}).

§ 13. **წვრილფეხა პირუტყვთან დაკავშირებული ლექსიკა.** ხევსურული დიალექტი წვრილფეხა პირუტყვის სახელებშიაც ავლენს რიგ თავისებურებებს. **საზვები თხა თიკან**-ს გააჩენს. „ერთის წლისას **თიკან ხქვიანის**“. ბავშვს უმღერიან ხოლმე:

„ყვაა, ყვაა, ყვანჩალია.
ყვავსა დედა მახკვდომია,
სამარხაი ვერ უქნია,
თიკანაი დაუკლია,
ისიც თავა(დ) შაუქმია“-ო.

„მეორეს წელჩი რო ჩადგების, სათხეს თიკანს წალ ხქვიანის, სავაცეს—**ვაცუნი**“. თუ თიკანმა თიკანი მოიგო, **გამჩენ**-ს (მომგეს) **თიკნია**-ს ეძახიან. პატარა ტანის კაცს ჩხუბში აყვედრიან ხოლმე: **„აი, შე თიკნიაის თიკანო!“**-ო.

დაუკოდავ ვაცს **ბოტი** ეწოდება, თხა-ვაცის კერშილობას—**ბოტობა**. ანდაზაა: „თხაიე თხის ბაზით (=წაბაძვით) **გაიბოტნავ**“. ზუსტად ეს ტერმინებია გამოყენებული გარეული ნადირისთვის, წმინდა ნადირისთვის, **თხა-ვაცი**-სთვის, რომელიც თვისებებით, ბეწვით, რქებით და სხვა ნიშნებით ისევე უპირისპირდება **შუნჯივ**-ს, როგორც შინაური **თხა-ვაცი** უპირისპირდება **ცხვარ-ვერძ**-ს.

ბუნებით უყურო ან ყურებდაჭრილი თხა-ვაცი **ყუჯა**-ა(|| **ყურულა**-ა), ურქო კი **დოხია**-ა, რქებგადაჯვარედინებული—**რქა-მარწუხა**-ა, ხოლო გაშლილ რქებიანი **რქა-ფიწალა**-ა. იბადება **ოთხ-რქა ოთხ-ყურა** ცხვარიც. ასეთ **თხა-ცხვარ**-ს განსაკუთრებული პატივისცემითა და სიფრთხილით უვლიან, რადგან დანარჩენი ცხვრის იღბალი ამ უცნაურ ცხვართან დაკავშირებული ჰგონიათ. როგორც ხალხური ლეგენდიდან ჩანს, ამ უცნაურ ცხვარს „სასწაულის მოხდენა შესძლებია“ [110].

თხა-ვაცის ხმიანობას **კიკინი** ეწოდება. თხა-ვაცმა **ფხუტუნი**-ც იცის. ციკნის მოსახმობად ხევსურები „**ციგო-ციგო**“-ს ამბობენ, როცა გაწყრომა უნდათ, „**ციგი**“-ო, უყვირიან. თხის მოსახმობად „**თხა-თხა** (|| **თხა-თხა-შენი**“-ო), ამბობენ, ხოლო როცა უწყრებიან,

---

[110] ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, გვ. 223, ლექსი 542.

ჭაი"-ო, უყვირიან. ასევე უწყრებიან ვაცსაც, მოხმობისას კი „**ბოჯი-ბოჯი**"-ს ეძახიან.

ცხვარ-ვერძის კერშილობას **ნერბვა** ეწოდება, მწარმოებელ მამალ ცხვარს—**ნერბი**. „ტარიგ ორის წლისა **ინერბებ**, ზოგჯერ ბატკანიც **გაინერბების**". ცხვარ-ვერძს ზოგადად **მატყიერ**-ს ეძახიან. დვალ-ს (დოლს) **ნაშენ-გამადენა**-საც ეძახიან.

ბატკანი შეიძლება იყოს **სავერძე** ან **სატარიგე**. „ბატკან წელწდამდია(ც)[111] გამადის, წელწდიდგესაც. დვალისა ოცობას გამადის, ოცობა აჴვსებაჩია[112]. დვალისა რო გამადის, ის ბატკანი, ზამთრის რო გამადის, ის **ნაზამთრევი**", ე. ი. განსხვავებულია დვალისა და **ნაზამთრევი ბატკანი**. ერთი წლის ბატკანი უკვე **თოხლი**-ა. „ერთ წელ ახა შაუსრულდას, დედალსაც **თოხლს** ვეძახთა' მამალსაც".

თუ ბატკანმა ბატკანი მოიგო, მომგეს **თოხლია**-ს უწოდებენ. „ბატკანმ ახა ბატკან გააჩინას, „**თოხლია** მეჴნავ", ვიცით, თიკნისად რო **თიკნია** ვიცით, აისრ". ორი წლის თოხლი **ტარიგი**-ა. „მეშრ, გაზაფხულ სატარიგეს **ტარიგს** ვეძახთა' საერძეს—**ვერტარიგს**" (← ვერძ-ტარიგი). „ახა ტარიგმ ბატკან გააჩინას,—**ცხვარ**".

მესამე წელში რომ ჩადგება, ვერტარიგს „**გააკეთებენ**" (დაკოდავენ) და იგი უკვე **ვერძი**-ა. „გაუკეთებ ვერძს ნერბ ხჭვიან, გაკეთებულს—**ვერძი**. **ყოჩ**-ს არას ვეძახთ ჩვენ, არც **ჰედილა**-ს. **ნერბის მატყლ** ვიცით კიდიადა, იმას სხვას არ მივსცემთ, კარგიავ, იციან, შინ ინახვენ". ნერბი თავის ცხვარს „**ანაშენებს**" და მისი ან მისი მატყლის გაყიდვა, ხევსურის რწმენით, „ცხვარ-საქონის იღბალ-დავლათს წაიღებდა".

ჯანსაღ და საყოლად ვარგის წვრილფეხს **სადგამი** ეწოდება, უვარგისსა და სნეულს—**სახარჯი**. სუსტი ბატკნის ეპითეტებია: **ნაკლები, ბეჩავი, დაჴეშჴილი, ჭანისა, ხანშალი, ჯინჩიანი** და სხვ. ბატკანი რომ ბევრი წოვისაგან უზომოდ გაძღება და დასუსტდება, **დაიბობა**-ო (**დაბობვა**), იტყვიან, ასეთ ბატკანს **დაბობვილ**-ს ეძახიან. „რას დასცოცავ **დაბობვილს** ბატკანივით, ბიჭო, ფეჴნ გამაბიჯენ!" უყურო ან **ყურდაკვრეცილ** (ყურებდაჭრილ) მატყიერს **ხულა**-ს (‖ **ყუწია**-ს) ეძახიან. დარეტიანებულ მატყიერზე იტყვიან, **ბროიანია**(‖ **ბრუტიანია**-ო). ხშირმატყლიანი მატყიერის ეპითეტებია: **ბუთუთი, ბუძუნძელი...**

---

[111] **წელწადი**—ახალი წელი.

[112] **აჴვსება** ანუ **ოცობა** აღდგომას ეწოდება.

თუ ბატკნის მოხმობა უნდათ, „გაჯი-გაჯი“-ო, ეძახიან, ცხვრის მოსახმობად „დბრუ-დბრუ“-ს იტყვიან, გასარეკად „ქსაი“-ს. ცხვარ-ვერძის ხმიანობას ბღავილ-ს ეძახიან, გარეგნულად ცხვარ-ვერძის მსგავსი ნადირის, **შუნ-ჯიჯვის** ხმიანობას კი—**ჰიქუნ**-ს. „**შუნ-ჯიჯვმ ჰიქუნ** იცის (არხოტიონნ **ჰყიტინს** ეძახან)“.

[ჯიხვმა] „შაგიტყვა, მენადირეო, **ჰყიტინებს**, უცემს ფეკსაო“
(ხევს. პოეზ., 514_{10}).

შუნ-ჯიჯვის ნაშიერსაც ორ წლამდე **თიკანი** ეწოდება, ორი წლის შემდეგ კი—დედალს—**წალი**, მამალს—**ჯიჯვ-მაზვერი**.

„ცუდი ყმა მოხეს ვერ წავა, ნადირს ვერ მახკლავს კლდისასა,
რო მაკლას, ტყავსა ვერ გახკდის ნადირსა ბოტობისასა[113],
რო მეეზიდას, ვერ მაღგლეჯს სასულას **ჯიჯვ-მაზვრისახა**“
(მიქლ. მას.).

არხოტის თემში ხუთ წლამდე მამალ ჯიხვს **ბითლა**-ს ეძახიან, ხოლო ხუთი წლის შემდეგ—**ბეჯენ**-ს. „ხუთისის ძირ არხოტიონნ **ბითლას** ეძახან, იმის თავ **ბეჯენს** ეძახან“.

„შამამხვდეს კლდისა თაეზედა ხორონი ჯიჯვებისანი,
ჯიჯვსა თოფ დაეხკარ **ბეჯენსა**, ჰალას **ჯაჯნ** იქნეს რქისანი“
(მიქლ. მას.).

როგორც შინაური წვრილფეხის, ისე წმინდა ნადირის—შუნ-ჯიჯვისა და თხა-ვაცის კუნტრუშს **ქიჩაობა**-საც ეძახიან ხევსურები.

§ 14. პირუტყვის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები. თავისებური ტერმინები აქვს ხევსურულს პირუტყვის სხეულის ზოგი ნაწილის გადმოსაცემადაც. მსხვილფეხი და წვრილფეხი პირუტყვის სხეულის ნაწილების სახელწოდებები არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

თავს თავრიელა(‖ **კოხრო** ‖ **კოხრთლია** ‖ **კოთხრო**-ც) ეწოდება. თუ დაკლული ნადირის ან შინაური პირუტყვის თავს რქები ზედ აქვს, **თავ-რქანი** ეწოდება.

„მამქონდეს ჯიჯვის **თავ-რქანი**, მამიხაროდეს გზაზედა“
(ხევს. პოეზ., 80_{11}).

ადგილს რქებს შორის **სარეტებელი**(‖ **კუპულა**) ეწოდება.

შდრ.: „თვალ უზის შუა შუბლშია, საცრის ოდენ კი ვერ ასა,
მეორე—**კუპულაშია**, უკენისკენაც ხენასა“,
(ხევს. პოეზ., 145_{11-12}).

---

[113] „ბოტობაჩი“ (კერშილობისას) შუნ-ჯიჯვი ლუბია (მკლეა) და ტყავი ცუდად ეხდება (ალ. ჭ.).

ხევსურულად **კუჭი**(‖ **კუჭული**) ეწოდება მთის წვერსაც.

„ჯიუხის **კუჭულაზედა** სინდიურისძე წევსაო“

(ხევს. პოეზ., 671_2).

თავის ქალის შესაყარ ადგილებს **საწყობნი** ეწოდება. ტვინზე გადაკრულ აპკს სკა-ს ეძახიან. ადგილს თავზე, სადაც რქები ამოდის, **სარქენი** ეწოდება. **სარქენია** აგრეთვე ორი ცალი გახვრეტილი **კვერი**, პურის ფქვილისაგან გამომცხვარი, რომელთაც დაკვლის წინ რქებზე წამოაცვამენ ხარს. ძვალს, რომელზედაც რქაა წამოცმული, **ნეთხა** ეწოდება.

პირუტყვის ცხვირ-ტუჩს **ჩვინჩვირანი** ეწოდება, ქვედა ტუჩს **ჩირბე**(‖ **ჩორბე**), ნესტოებს—**შუშუტნი**(‖ **ცხვირის ქინტონი**). ცხვირის ხრტილოვან ნაწილს ნესტოების უკან—**ჩხიმნი**. პირისახეს **თორპილი** (←თვალ-პირი) ეწოდება, თვალის ჩინს—**თვალის ცეცხლა**. **თვალი თვალის ბუდე**-შია მოთავსებული.

„ლამაზად ვერ ამიჩინდი, **თორპილს** გაბემდი ლიშანსა“.

(ხევს. პოეზ., 130_{17}).

კბილები **ლაშ-ყბა**-ზეა ასხმული. კბილის ძირს გარს აკრავს **ღირძილი**. ენის უკანა ნაწილი **ენის კუდი**-ა. გრძელი ტვინის დასასრული, ადგილი, რომელზედაც თავს აჭრიან პირუტყვს, **სატვინიხე**-ა. პირის ღრუს გაგრძელებაა **ყელ-ყინჭარე**(‖ **ყელ-ყირანჭა**), რომელიც **გულ-ფირტვ**-თ უერთდება.

„თან ხუცესია დაბალა, ჩახჯოცს თხებსა და თიკნებსა,

დამთერალა წვერით მასჩხვერავს, ვერ ხვლავს **სატვინიხესა**“

(მივლ. მას.).

გულ-ფირტვს **ფაშ-ნაწლევი**-საგან ტიხრავს **გულის-ბადენი** (‖ **დიაფრაგმა**). გული **გულის ტარზე**-ა მობმული და **სტარები**-თ აწვდის სხეულს სისხლს. ღვიძლზეა **ნაულელი**.

ყინჭარეზეა **სახულა**-ც (საყლაპავი მილი), რომელიც „მემრ უერთდების **ფაშს**“. ფაშზეა **არჭინა** (ელენთა). მოუნელებელი საკვები, რომელიც ფაშვშია,—**ფუშვნიერი**-ა. აქვეა **ცხრაფურცელა** (წიგნარა), **წვრილნ ნაწლევნი** და **ყუიან ნაწლევი** (სწორი ნაწლავი), რომელიც **ფუხურა**-თი თავდება. მუცლის ღრუშია აგრეთვე **ქინთელა** (საშარდე ბუშტი).

თავ-კისერ-ს **ქედი** მოსდევს, ქედს—**მჯარმალალნი**. საკლავის აქნისას ბეჭიანად აჭრილი წინა ფეხი საერთოდ **მჯარი**-ა. „**მჯარ** ერთობლივად რო აღვარდებ, ისი“. **ბეჭ**-ზეა **ბეჭის ყელი** და ღილი. „**ღილჩიით** გადასჭერივ **ბეჭივ**, ვიცით“. ღილის ჩაღრმავებულ ადგილს **ყვერფი** ეწოდება. ბეჭზე მკითხაობისას ამ ყვერფში კითხულობდნენ ოჯახის ბედ-იღბალს.

მჭარმაღალს მიჰყვება **ფონ ზურგი**. „მჭარმაღალჩიით **ფონ ზურგჩი გავ**“. ხერხემალს **ზურგის ჰკდე**-ს ეძახიან. მის ბოლო ნაწილს **წელი**-ც ეწოდება. პირუტყვს რომ ხერხემალი გადაუტყდება, **„წელ მაიტეხა**“-ო, იტყვიან. ფონი ზურგის შემდეგ **გავანი**(‖ **ხეცრონი**-ა). ნეკნებს **ფერცხალნი** ეწოდება, ცალკეულ ნეკნს—**ფერცხლის გალი**.

„ბორბალ აგებენ ციხესა, რო მარილაის ქვისასა,
ადეშად **ფერცხალს** აყრიან სამოცის ფხაჭეხლისასა“
(ხევს. პოეზ., 157_{1-3}).

მამალ პირუტყვს დედლისაგან განასხვავებს **წნე**, რომელიც **უპე**-შია მოთავსებული.

მუხლს ქვემოთა ნაწილს **ჭლიკი**(‖ **ჯაჯუში** ‖ **ჩერანი**) ეწოდება, ხოლო ჭლიკის ბოლო, რკოვან ნაწილს—**ქაჩი** ‖ **ქაქაჩი**. ჭლიკის ბოლო ნაწილში მოთავსებულ ძვლის მალებს **კანტალ კაცა**-ები ეწოდება. ქაჩის ზემოთ **მახორიკა**-ა(‖ **საკოჭაენი**-ა). მახორიკას (‖ ქაჩის) გარეთა ძარღვოვან ნაწილს (ფეხის უკანა მხარეს) **კაჩანი** ეწოდება. საკოჭაეშია მოთავსებული **კოჭა**.

წვრილფეხია კოჭებს აგროვებდნენ და მერე სათამაშოდ იყენებდნენ. კოჭებზე მრავალგვარი თამაში შეიძლებოდა. კოჭის თამაშში (**კოჭაობა**-ში) კოჭებს აგებდნენ ან იგებდნენ. კოჭების მოგებას **მაწუყვა**-ს ეძახოდნენ. კოჭას გააჩნია **ფერი** (ამოზნექილი მხარე), **ჰიტი** (ჩაზნექილი მხარე) და **ქიქი** (უკანა, წაგრძელებული მხარე). ზოგ კოჭას გვერდს ჩამოათლიდნენ რათა **ზაქ**-ზე (ალჩუზე) უკეთ დამდგარიყო. ასეთ კოჭას **გათალა** ერქვა. ხბოს კოჭას **გალმეშა**-ს ეძახოდნენ, ხარისას—**დუსხა**-ს, წვრილფეხის მოზრდილ კოჭას—**ჯვლიმა**-ს.

მახორიკადან იწყება **წვივი**(‖ **კიწვი**), რომელსაც თავისი, **წვივის გალო** აქვს. წვივის გალო უერთდება **მუჯლ**-ს.

„მარტიაისა ნასრევი **გალოზედ** აჭკვავდებოდა“
(ხევს. პოეზ., 105_7).

მუხლშია **მუჯლის საჯსარი** და **მუჯლიხ ფარდა**(‖ **მუჯლის კვიშტავი**). მუხლის შიდა მხარეს, რომელზედაც ძარღვები გადის, **კართი** ეწოდება. მუჯლს მოსდევს **შუალა გალო**(‖ **ბარკლის გალო**), რომელიც **ოგი**-თ უერთდება **გაჯვრეტილა ძვალა**-ს.

„გიორგიო, გიორგიო, მაღალ ხეზე ხკიოდიო,
ჩამაღვარდი, მაიტეხე მარცხენაი **ოგიო**“
(მივლ. მას.).

მთლიანად უკანა ფეხს **ბარკალ**-ს ეძახიან, ხოლო ადგილს, სადაც ბარკალი გარედან ეკვრის მუცელს, **ბაყვი**(‖ **დლაყვი**) ეწოდება.

პირუტყვს კლავდნენ როგორც **საჴორცე**-დ, ისე სხვადასხვა რელიგიური რიტუალისათვის—**ჯვართ ზღვნად**[114].

„უღელნ ჯარნ წამაიყარნა, ხატში მიუდის **ზღვნებია**“
(ხევს. პოეზ., 673_8).

მსხვილფეხა პირუტყვის გასატყავებლად და ასაქნელად მეზობლებს მიიწვევდნენ ხოლმე. ამ დამხმარეებს **მეორახეები** ერქვა. საქონლის გატყავება-აქნის დამთავრების შემდეგ მეორახეებს აძლევდნენ ორ-ორ—სამ-სამ **ჩარექ** ხორცს, რომელსაც **საორახო** ერქვა.

პირუტყვის გამოწელვას **გამოშიგნვა** ეწოდება, აქნას კი—**აფელკვა** (|| **აფეშხვა**). გამოწელილ საკლავს რომ ხერხემლის გაყოლებაზე ორად გაჰრიან, ამ ერთ ნახევარს ფელკ-ს ეძახიან. ფელკის ნახევარი **მეოთხე** იქნება (ცხვრის მეოთხე, ჯარის მეოთხე). **გაფეშხვა** (|| **გაფელკვა**) საერთოდ გაჰრის მნიშვნელობითაც იხმარება, ოღონდ ცუდად, მაგრად, შეუბრალებლად გაჰრას ნიშნავს.

უვარგის, ძარღვიან ხორცს **ძარღვ-ბანდ**-ს (||**ჯღანჯღ**-ს || **ზატყ**-ს) ეძახიან, რბილ ხორცს კი—**ჩვიჩვილ**-ს (|| **ჩიჩქ**-ს || **კუთ**-ს || **ლიკვ**-ს). უმარილო ხორცი **აპატინა**-ა. უვარგისი ხორცის ეპითეტია **ლუბლუმწი**-ც. შენახვამდე ხორცს შეუხარბებლად **ხარჯავენ**. ანდაზაა: „ჴორცივ ტყავზედ დებასავ“, ე. ი. ვიდრე ხორცი ტყავიდან არ აუღიათ, დაეშურეო.

„შენ ცხენი, ნეხვათ გიგოო, ქისტას დაეკლა ერთასა,
ეძახდა მეზობლობასა: „**ჴორცია ტყავზე დებასა**“.
(მივლ. მას.).

ძვლის უმცირეს ნამუსრევს ხევსურები **ნაჴოჭ**-ს (შდრ. ნაჴუჭი) ეძახიან, ხოლო სისხლისა (და ყოველგვარი სითხის) მცირე წვეთს—**წირტა**-ს.

„მაარტყეს გერმანელებმაც, **ნაჴოჭ** გაიღა ძვლისაო“
(ხევს. პოეზ., 475_{20}).

„არ არის სისხლის **წირტაი**, არც ქეიშათ უდგას წკრიალი“
(ხევს. პოეზ., 679_4).

---

[114] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჯვართ ენაზე“ (ხატის ენაზე) პირუტყვს სხვა სახელები აქვს. ხარს **ბუღაური** ეწოდება, ვერძს—**რქაჯანგიანი**, თხას—**კიკინ-მაღალი**, ცხვარს—**პირის-საბანი**.

შდრ.: „რაკი ხუცობა არ ვიცი! რა წასვლა მინდა სხვასთანა?
ბუღაურობით ჯარს უნდა, **პირის საბანზე** ცხვარსთანა,
რქა-ჯანგიანზედ ვერძს უნდა, **კიკინ-მაღალზე** თხასთანა“
(ხევს. პოეზ., 667_{6-8}).

რბილ ხორცს ამარილებენ ხოლმე და კასრებში ინახავენ. ასეთ ხორცს **ჩამძმარ ჯორც-ს** (‖**საძმობის ჯორც-ს**) ეძახიან. ნეკნები და სხვა „ძვლები“ ბოლში გამოყავთ. შებოლილ ხორცს ყურადღებით მოვლა უნდა, თორემ ერთგვარი მწერი **ოჩოჩა** უჩნდება, რომელიც ღრღნის ხოლმე ხორცს[115]. ჭერშივე (ბოლში) ახმობენ ქონსა და **ფაშ-შიგაურსა-ც**. ქონს შეახვევენ ფაშვზე გადანაძრობ თხელ ქონში, რომელსაც **ჩობალ-ს** ეძახიან, დაამარილებენ და ისე ჩამოკიდებენ. ქონიც დახარისხებულია: **მშრალათ ქონი, თირკმელათ ქონი** და სხვ.

§ 15. საჯდომი და საბარგე პირუტყვი. ხევსურეთში ფართოდ იყო გამოყენებული საჯდომი (**საფერჯე**) და საბარგე პირუტყვი [ხევსურულად—ულაყები (‖**უსურმაგები**)]: **ცხენი, ჯორი** და **ვირი**. ხევსურულ დიალექტში თავისებური ტერმინები გვხვდება ამ პირუტყვთან დაკავშირებითაც.

ჯორს დიდი გამოყენება ჰქონდა ხევსურეთში: უგზოობის გამო თითქმის ყოველგვარი საზიდარის როლს ის ასრულებდა. კარგად გაწვრთნილი ჯორი მორჩილი და გამგონეა: პატრონს შეუძლია იგი სოფლიდან სამი-ოთხი კილომეტრის მოშორებით დატვირთოს და უგამყოლოდ გაგზავნოს სახლში. ჯორი გზიდან არ გადაუხვევს, პირდაპირ საკუთარ სახლს მიადგება. ალბათ, ამიტომაა, რომ ხევსურული ლექსი ყველა შინაურ პირუტყვზე მეტად ჯორს აქებს:

„**ჯორი** სჯობ საქონელჩია, შინ მივა აკიდებული,
მეძრე **ჯარი** სჯობ ქორაი, გძელთ მამულთ გაკიდებული,
მემრე **ფური** სჯობ პირიმზე, ცურ-ძუძუ დაკიდებული“
(მივლ. მას.).

უწვრთნელი ჯორი ჯიუტია, **ტმუკაანი-ა** (‖**მწიხლავი-ა**), „ბარგთაც მაშიადავ მაიყრევს, დასაჭერადაც ეშმაკისაო“. ჯორი იკმაზება **ჭოჭი-თ** ანდა ხის კეხით, ხის უნაგირით, რომელსაც სამი ან ორი ღეედისა ან თხის ბალნისაგან მოქსოვილი **საჭირობელი** (გარსაკრი) ამაგრებს ჯორის ზურგზე. ჯორს შინდამზადებულ აღვირს, **ჭორაკ-ს** უკეთებენ თავზე.

„ჩემა დაბალა ჯორაი თორმეტი ძროხის გვერდია[116],
შამაუჭირე **ჭორაკი**, შავკაზმე, გადავჯდია“
(ხევს. პოეზ., 623_{1-3}).

---

[115] სხვათა შორის, მატლი ცოცხალ საქონელსაც უჩნდება კანქვეშ. ამ მატლს ხევსურები **მ ა ჟ ა ურ-ს** ეძახიან.

[116] „თორმეტი ძროხის გვერდია“=თორმეტი ძროხის ნახევარია, ე. ი. ექვსი ძროხა ღირსო. ჯორი ცხენზე ძვირად ფასობდა, ჯორის ჩვეულებრივი ფასი 6—8 ძროხა იყო.

ხევსურები უასაკო ჯორს ჯორიკას ეძახიან. ჯორი სხვა შინაური პირუტყვივით „მონათლული“ არაა—მას საკუთარ სახელს რატომღაც არ არქმევენ. თითქმის ყველა ჯორს ლეგა-ს ეძახიან და ეს მაშინაც კი, როცა თვითონ ჯორი შაეია. ჯორის ეპითეტია ცხვირ-თეთრი:

„ჯორო ხიზანას ცხვირ-თეთრო, პატრონ გყავ ილეთიანი“
(ხევს. პოეზ., 180_1).

ცხენს ხევსურები საფერჯე-დ და საბარგე-დ იყენებენ. ხვადი ცხენი შეიძლება იყოს მარბოლი (სადოღე) ან იორღა, ხოლო ჯდალი (ჭაკი) ძირითადად საბარგედაა გამოყენებული. მარბოლი ცხენი შეიძლება იყოს მანძილიანი (რომელსაც დიდ მანძილზე რბენა შეუძლია) და უმანძილო, გამხანე (დიდი ნახტომებით რომ რბის და მანძილს მცირე დროში ფარავს) და გაუხანო, ჰკვიანი (წყნარი) ან სულწუხი (|| გიჟი) და სხვ.

კარგ იორღაზე იტყვიან: გაქანებული იორღაა (|| გასრეული იორღა || წყალივით იორღა-აო). თუ ცხენმა კარგი იორღა არ იცის, გზის იორღა-აო ამბობენ. უვარგის იაბო ცხენს ალაჩა-ს ეძახიან. კარგი ცხენის ეპითეტებია: რემა, ორქაფი(|| ოლქაფი), ტაიჭი, ზერდაგი და სხვ.

„ცხენთ გადასხედით რემათა, ფეკზე ფოლადი ნალია“
(ხევს. პოეზ., 674_{16}).

„გასტეხე დიდი ბაატარი თეთრის რემაის ცხენითა“
(ხევს. პოეზ., 27_7).

„ცხენმ გიღალატა რემამა, მაცილმა აგკრა მჯარიო“
(ხევს. პოეზ., 535_4).

„წყალს გირეობით გავარდა სასლთხუცის ორქაფითაო“
(ხევს. პოეზ., 65_{23}).

„თეთრ ტაიჭოსანს ხედევდეს, მწევარს არხოტის ჯვრისასა“
(ხევს. პოეზ., 131_2).

„საფერჯედ ზერდაგ შახკაზმა, ზედ ქორი შაჯდა მჯრიანი
(ხევს. პოეზ., 177_3).

„თან გაიყოლებთ ზერდაგსა ნაკვებსა თიეა-ქერითა“
(ხევს. პოეზ., 488_2).

გასუქებულ ცხენზე (და საერთოდ უსურმაგზე) იტყვიან: გახვინიკებული-აო. ბავშვის ენაზე ცხენს ხევსურეთშიაც აჩუა (← აჩოა) ეწოდება. ბავშვს დაისვამენ ხოლმე მუხლზე, ახტუნავებენ და უმღერიან:

„აჩო, აჩო, ცხენო,
წყალსა გაგვასხენო,
თუა გაგვასხენო,
ოქროთ გაგლესვენო,
თუ არ გაგვასხენო—
ოქრად დაგარჩენო“.
(მიელ. მას.).

კვიცს კიცვი ეწოდება და, როცა მისი მოხმობა უნდათ, „ქვეროჭვირო“-ო, ეძახიან.

ცხენს უნაგირით კმაზავენ („ხკაზმებენ“); ორგვარი კმაზულობა (უნაგირი) აქვთ—საჯდომი და საბარგე. უნაგირს შემდეგი ნაწილები აქვს: ორი **ტახტა**, ორი **ავჟანტა** (უზანგი), **საძუე** (‖ **ხაკუდური**), **სამკერდული**, **პალტუმი** (საბარგე ცხენს აქვს ხოლმე უკანა ფეხებზე მოდებული საძუის ქვემოთ), ორი-სამი ღვედის **მოსართავი** (‖ **საჭირობელი** ‖ **გარსაკრი**).

მოსართავს რკინის **კარშიკი** აქვს, რომლითაც იგი შეიკერის უნაგირის მეორე მხარეზე; **ჭუნთა** (ბალიში), რომლის ნაოჭთა სიმრავლეც უნაგირის ხარისხიანობის ერთ-ერთი ნიშანია; არის **ექვსნაოჭიანი**, **ცხრანაოჭიანი**, **თორმეტნაოჭიანი**, და **ხუთმეტნაოჭიანი ჭუნთა**. ორივე ტახტაზე უნაგირს გამობმული აქვს **სამწყვეტურები**—მოქნილი ღვედის თასმები. წინა ტახტის სამწყვეტურები ხურჯინისა და მისთანათა დასამაგრებლად იხმარება, უკანა კი—ნაბდის დასაკრავად. ცხენის ზურგზე ჯერ **ხოფლე**-ს აფენენ ხოლმე, მერე **თექალთო**-ს (‖**თოქალთო**-ს) დაადებენ და შემდეგ უნაგირს ადგამენ.

„შავი ვარ, შავი ცხენი მყავს, შავი **თექალთო** მიდგია“
(ხევს. პოეზ., 127_1).

ცხენს **ლაგმით** ატარებენ. ლაგამი ორნაირია: ჩვეულებრივი და **საჭორკე ლაგამი**. ამ უკანასკნელს **ფიცხი** (‖**თავლორი** ‖ **გაუწურთნავი**) ცხენისათვის იყენებენ. ცხენისთვის ლაგმის გაკეთებას **ლაგმიხ ჩადება**-ს ეძახიან, მოხსნას კი—**წამაყრა**-ს (‖ **დაყრა**-ს):

„ცხენებს **დახყარეხ ლაგმები**, გამაანებნეს გზანია“
(ხევს. პოეზ., 211_{23}).

საჯდომი ცხენი, ჩვეულებრივ, **კუდ-შანახკული** (ძუა-გამოკრული) დაჰყავთ.

„მშავის ჭალაზედ შამაჩნდა ლურჯა **კუდ-შანახკულია**“
(ხევს. პოეზ., 217_{10}).

ხევსური **ფეჯშიშველ** (დაუნალავ) ცხენს არ ატარებს. თითქმის ყველა ხევსური ნალბანდია, „ყველამ იცის **ცხენიხ დაჰედაჲ**“-

„სამგზავროს“ წასულ ხევსურს ხურჯინით მიაქვს **ნალ-უსმარი** და **გაზ-კვერი**. „ცხენს სადაც ნალ აღვარდების, იმაჩიავ უნდა დაიქედას“. ნალის დაკვრას **ნალის მიკვრება**-ს (‖**დანალვა**-საც) ეძახიან.

„ოთხთავ[117] აკვერეს ნალები, ლუსმარს უგრიხეს წვერები“
(ხევს. პოეზ., 62_{17}).

„ბაცალიგველთა ახლები ხვადებსა **ნალევდიანო**“
(ხევს. პოეზ., 170_{6}).

ლურსმანს ოსტატურად უნდა გაყრა, რათა „**ცრუგ-ჩი** არ მახვდას“ (ხორცში არ მოხვდეს), თორემ „ცხენ ან დაკოჭლდების ან **კელობა**-ს(‖ **ციკალობა**-ს) დაიწუებს, **ქევ-ქევთ** (ფეხის ატაცებით) დაიწუებს სიარულს“. ცხენის ჭაჩის ქვედა მხარეს **სალი** (‖**სამყვრე**) ეწოდება.

სხვა პირუტყვისაგან განსხვავებით ცხენს ორი თავისებური ავადმყოფობა ემართება ხოლმე: მას ცხვირის ნესტოებში ბუღები ჩამოუვა ხოლმე და ამას **ჩხიმთ ჩამასვლა**-ს ეძახიან. ამ ავადმყოფობის წამალი **ჩხიმთ ამაჭრა**-ა. მეორე **დამალის ჩამასვლა**-ა, რასაც ცის **ჩამასვლა**-ს უწოდებენ.

ცხენის ხმადაბალ ხმიანობას **ფხვრიალ**-ს ეძახიან ხევსურები, ხმამაღალს კი—**ჯვიჯვინ**-ს (‖ **ჭიხვინ**-ს).

„ჯაჯოთ გიორგის ლურჯაი **ფხვრიალებს** და უცემს ცხვირსა“
(ხევს. პოეზ., 133_{1}).

საკუთარი სახელი ცხენსაც აქვს. ცხენის სახელს ძირითადად ფერი განსაზღვრავს. გვხვდება ცხენის სახელები: **ჩალისფერა, შავრა, თეთრა, წითლა, ლურჯა, სალარი, ნიკორი, კინდლა, ნიშა, ქოხტა, თამაშა, მინინო, ყვარანა**. ტელიგრამა და სხვ.

„გოთლაის **ჩალისფერამა** ნაცხვრევზე იწყვა ფხვრიალი“
(ხევს. პოეზ., 84_{6}).

„შაგი შავკაზმე **შავრაი**, შავთ შავაწყვიტე გზათაო“
(ხევს. პოეზ., 722_{13}).

„წინ-წინ მასული წითლაი რაგორ გულდიდად რბისაო“
(ხევს. პოეზ., 215_{5}).

„თუშთ მოურავსა უბოძეთ ზურაბის ცხენი **სალარი**“
(ხევს. პოეზ., 20_{14}).

„ჩავალის, ჩაეუბნების **როშკას** გაზდილი **სალარსა**“
(ხევს. პოეზ., 99_{1}).

---

[117] „ოთხთავ აკვერეს ნალები“—ოთხივე ფეხზე დააკრეს ნალები.

„დამიბერდა **კინდოლაი**, აღარ მყავის ცხენაიო“
(ხევს. პოეზ. 582_3).
„აესლა მადის ზაფხული, აღვირს ჩაუდებ **ნიშასა**“
(ხევს. პოეზ., 721_3).

ვირი მხოლოდ პირიქით ხევსურეთში, უპირატესად არდოტის ხეობაში (**ბილმაჯევში**) იყო გავრცელებული და იგი ქისტეთიდან მოყვანილი ჩანს. ვირი მხოლოდ **ქოჯით** იკაზმება და მხოლოდ საბარგედაა გამოყენებული—მისი **საფერჯედ** გამოყენება სირცხვილია. ვირის ჩოჩორს **ვირის ბაყალწიკა** (|| **ვირის ბაყალიკა** ←ბაჭალიკა) ეწოდება. როცა ვირის მოსმობა უნდათ, „**ჩოჩი-ჩოჩი**“-ო ეუბნებიან, გარეკვისას კი „**თაში**“-ს ეტყვიან.

§ **16. პირუტყვის ტყავი და ტყავის ნაწარმი.** უსურმაგისა არც ხორცი იქმევა და არც ტყავს იყენებენ; დანარჩენი პირუტყვის ტყავი ხევსურისათვის აუცილებელი ნედლეულია ტანსაცმელ-ფეხსაცმლის დასამზადებლად.

მსხვილფეხის **ბატინა**-ს **ტყავ**-ს (ნედლ ტყავს) გაჰფენენ იატაკზე, გაჰიმავენ (**გაიმძვავებენ**) და **ყუვებ**-ში (ნაპირებში) ლურსმნებს ან ჩხირებს დაასობენ. ცოტა რომ შეშრება ტყავი, დაამზადებენ ნედლ ლატნებს, ყველა ლატანს ორივე წვერს წაუმახვავენ (**გაუმწვეტებენ**) და გაუყრიან ტყავს საპირისპირო მხარეებზე. ათიოდე ასეთი ლატანი მომშვილდულად გაყრილი კარგად ჰიმავს ტყავს. ლატნებგაყრილ ტყავს მზეზე ჩამოკიდებენ და გააბრობენ. ამას **ტყავის გართხმა**-ს ეძახიან.

გაუზელი (მოუქნელი) **ტყავი**-საგან „**ქალბნებს ამაასხმენ**“. „ქალბნის ამოსასხმელად“ საჭიროა **ქალბნის კალაპოტი**—ხისაგან დამზადებული, **საჭვრეტა**--ნახვრეტების გასაკეთებლად და **კოპი**—წვრილად დაჭრილი ტყავის თასმა, რომლითაც ქალამანს ნაპირებს ამოუბლანდავენ. ქალამანს ძველად **კოფხაჭ**-ს ეძახოდნენ.

არის მეორენაირი ტყავის ფეხსაცმელი—**ჯღანი** (|| **ჯულჩა**). **ჯღანი** ხევსურული სახელია, **ჯულჩა**—ქისტური ჩანს. **საჯღნე ტყავი** „უნდა გაიზილას“ (მოიქნას). **ტყავს** ასე „**ზელენ**“: გამხმაო ტყავს ბეწვიან მხარეზე დააყრიან ნაცარს. გააკოპიტებენ გამხმარი იფნის, მუხის ან არყის ხის ერთარშინიან, მკლავის სიმსხო ჯოხებს და ამით აფხეკენ ტყავიდან ბეწვს [ნაცარი ხელს უწყობს რომ ეს ჯოხი (**საფხეკა**) არ მოცურდეს ბეწვზე].

გაფხეკილ ტყავს ოდნავ „**მაახამებენ**“ (დაალბობენ) და მერე იწყებენ მის გაზელას. ტყავის მოსაქნელად ხის საგანგებო „დაზგა“ **ჯიმუნი** არსებობს. ჯიმუნის ზედაპირის წინა მხარე ამოღა-

რულია. ამ „ღარჩი“ ჩადებულია თხუთმეტიოდე სანტიმეტრის სისქე ბე—ჯიმუსენა. ჯიმუსენა ბოლოში გახვრეტილია. ღარის უკანა ნაწილში ჯიმუნიც გასვრეტილია. ამ ნახვრეტში გაყრილია არყის ან ურბნის წნელი, რომელიც ჯიმუსენას ჯიმუნზე ამაგრებს. ღარის გარცხენა-მარჯვენა ნაპირებზე ჯიმუნი დაჭედულია. (ნაჭდევები, „კბილები“ აქვს გაკეთებული). ჯიმუსენას ქვედა მხარეც დაჭედულია.

ჯიმუსენას ასწევენ და მის ქვეშ შახვეულ (დაგრაგნილ) ტყავს დადებენ. ჯიმუსენას ტყავის მზელელი სხეულის მთელი სიმაღლით დააწვება და ტყავს ჩაჭეჭყავს ჯიმუნის ღარში. როცა მზელელი ჯიმუსენას ასწევს, მისი დამხმარე—ტყავის ნაბრუნე—ტყავს შეატრიალებს, რათა ჯიმუსენამ ახლა სხვა ადგილზე ჩაჭეჭყოს ტყავი. ტყავის მბრუნე შეიძლება ორიც იყოს—ერთი ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს. მოქნილი ტყავის კარგ ნაწილს ხაჯღნედ იყენებენ, ნაპირ-ყურ-ს (‖ნაკერკატალ-ს) კი საბანდ-ად—ჯღნის ფსკერის გამოსაწნავ-გამოსაბანდავ მასალად.

ჯღანს აქვს ყელი, წვერი, ძირი, ხაალაჯე (ფსკერის შუა ადგილი), ენა და ბაწარნი. ჯღანში ჩალას ან სხვა რბილ ბალახს (ჭირცა-ს) ჩააფენენ და წინდებზე ან (უპირატესად) შიშველ ფეხზე იცვამენ. ჯღნის გაცვეთას ჯღნის გაყრა-ს ეძახიან. გაყრილ ჯღან-ს „აშლიდესა’ ჯელმეორედ გაღბანდავდეს“. ყველაზე კარგი საჯღნე მასალა ხარის გავაზე აძრობილი ტყავია, რადგან სქელია და გამძლე. ამ მასალიდან გაკეთებულ ჯღანს გავაის ჯღანი ეწოდება.

„საგულდაგულოდ გაბანდეს ჯარის გავაის ჯღანიო“
(ხევს. პოეზ., 199_2).

„კვირიკამ ნანაისძემა ციხეში ბანდნა ჯღანნია“
(ხევს. პოეზ., 146_2).

„იწროდ გავბანდე ჯულჩაი, ფეკზე ჩავიცვი ჯღანია“
(ხევს. პოეზ., 257_5).

„ჩუსტები გამამიგზავნე, ბაწართ ვერ ვიხვევ ჯღანზედა“
(ხევს. პოეზ., 219_{27}).

„კლდეთა გიკიდავ პატრონი ფურ-ბერწის საბანდითაო“
(მივლ. მას.).

ხევსურული გამოცანაა: „დამბულნ დიანავ, დაზეზებულნ[118] დგანავ“ (=ჯღანნი).

[118] დაბეზებული—აშვებული.

ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში იხსენიება **მიგრის ტყავი**, თუმცა ამჟამად ხევსურეთში არავინ იცის, რა ცხოველია ეს **მიგრი** (სპარს., იგივეა, რაც ჯიქი)[119]. მიგრის ტყავი მაგარი, გამძლე ნივთის სიმბოლოა, ხოლო თვითონ **მიგრი** სიმამაცის ეპითეტია. გაბრაზებულ-გაბოროტებულ კაცზე იტყვიან „**მიგრივით გავდა**“-ო.

„როშკის გორულთა ციხეთა ჩაიცვეს **მიგრის ტყავი**“-ო
(ხევს. პოეზ., 12$_6$).

მიგრის ტყავი ერთ საბავშვო ლექსშიაც იხსენიება:

—მამალო!
—ყიყრიყი!
—სად ზძიხარ?
—ჯინჭარჩი.
—ქვეც დაგტყრუშავს!
—თათებ მცვავ.
—ქვეც გაგეყრებ!
—მკერვალ მყავ.
—ქვეც მაგიკვდებ!
—სხვას მავიყვან.
—რას დაუგებ?
—ორხაოს.
—რას დახურავ?
—**მიგრის ტყავს**
(მიულ. მას.).

ხბოს ტყავისაგან **თიკრუნ**-ს აკეთებენ: მუცელზე გაუჭრელად გადაძრობილ ტყავს მარილ-წყალში ან **ბუყ**-ში (||**ბუზალაყ**-ში) ჩადებენ მანამ, სანამ ბეწვი არ დაუწყებს ცვენას. ამას **ტყავის დახილაგება** ეწოდება. **დახილაგებულ ტყავ**-ს გაფხეკენ, გაასუფთავებენ, გააშრობენ და ჯიმუნით გაზელენ. ფეხებს და კისერს გაუკერავენ და თიკრუნი მზადაა.

ციკნის ტყავისაგან აკეთებენ **ქინთ**-ს (ტიკს). საქინთე ტყავსაც ასილაგებენ ანდა გაპარსავენ ხოლმე. **საარაყე ქინთ**-ს ბარში აკუპრავინებდნენ, ხოლო თუ **საწყლე ქინთი** უნდოდათ, საქინთე-ს მუხის ქერქის გამონახარშში (**მუხის წვენ**-ში) ჩადებდნენ რამდენიმე დღით. ამას **ქინთის დამუხვა**-ს ეძახიან. **დამუხვილი ქინთი**

---

[119] ამ სიტყვის მნიშვნელობა ახსნა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე მ მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV სამეცნიერო სესიაზე 1959 წლის 18 მაისს. მოხსენება არ გამოქვეყნებულა.

ლიდხანს ძლებს, არ ლპება. ქინთს აქვს **სირა, პირნი** და რამდენიმე **ხარატული**—ნახვრეტებში გამოსაკრავი ხის მრგვალი ხელსაწყო.

ბატკნის ტყავს საქუდედ (**ქუდის საპირე**-დ) იყენებენ. საქუდე ტყავს **მაშთაგი** ეწოდება. ყველაზე ძვირად ფასობს **დაკრაწნილი** (დახუჭუჭებული) **მაშთაგი**. ფერებიდან „ლურჯი“ (მოლურჯო რუხი) ან წითელი ანუ **მჭვარდლისფერი მაშთაგი** ჯობია. „ეემ **მაშთაგისა ბუხრის ქუდივით** ქუდ დაიკერების“-ო იტყოდნენ დაკრაწნილ, ლურჯი ფერის მაშთაგზე. კერავენ სამგვარ ქუდს: **საპირეან**-ს (‖**გალიბანდურ**-ს), **ნაბდისა**-ს (შიბაიანს) და **შიგანგარა**-ს [‖ **ძაბრა**-ს (მეცხვარულ ქუდს)[120]].

მაშთაგს (და საერთოდ წვრილფეხის ტყავს) **გემა**-თი(‖ **გემნა**-თი) **ზელენ**. გემა ორკაპი ხეა, რომლის ერთი ტოტი მოკლედაა წაჭრილი, მეორე კი მეტრნახევარი სიგრძისაა. ამ ტოტების გასაყარს ქვემოთ დატოვებულია **საჯელურა** (ხელის მოსავლები ადგილი). ტოტებს შორის რკინის ფირფიტაა დამაგრებული, ხოლო გრძელ ტოტს ბოლოში მობმული აქვს ფეხის გასაყოფი მარყუჟი—**შატი ან წნელის ჯარჯი**. გემა თავდაყირა შებრუნებული იხმარება: ტყავს თოკით ჩამოკიდებენ ჭერში, გემას **შატში** (‖ **ჯარჯში**) ფეხს გაყოფენ, სახელურზე ხელს წაავლებენ და ხელისა და ფეხის ერთდროული მოძრაობით გემას უსვამენ ტყავს ზემოდან ქვემოთ, ვიდრე „ტყავ არ გაიზილების“.

მოზრდილი ძატყიერის ტყავისაგან **ტყავ**-თ (ქურქს) იკერავენ. ასეთი **ტყავნი** იხმარება როგორც კაცის, ისე ქალის ჩასაცმელად. ეს არის **ცხვრის ტყავნი** (‖ **მაშთაგურნ ტყავნი**). **კაცის ტყავნი** უბრალოა და მოუკაზმავი. ქალის **საბერონ ტყავნი**-ც მოუკაზმავია.

ახალგაზრდა ქალის „ტყავნი“ მორთულ-მოკაზმულია. მოსაკაზმად იყენებენ **სამწაეს**—ჭრელი ხბოს ტყავის შოლტებს, რომლებსაც **ტყავ**-თ კალთებზე და ბოლოებზე აკერებენ. ასე მოქარგულ **ტყავ**-თ **მამწაული ტყავი** (‖ **ჭამწაულნ ტყავნი**) ეწოდება.

„რაი-ღ ვქნა? ვეღარ დაეხკერავ **პერანგის ნაჭრელასაო**.
ვეღარ ჩავიცომ ტანზედა **ორზე მამწაულს ტყავსაო**“
(ხევს. პოეზ. 332_{10-11}).

---

[120] ხევსურულ პოეზიაში იხსენიება ვათაღრის ქუდი-ც:
„ტანი გაიღა ლერწამი, ზედ **ქუდი ვათაღრისაო**“
(ხევს. პოეზ., 65_{31}).
„თუშთ მოურავსა უბოძეთ ზურაბის ცხენი საღარი!
ტყავ-კაბა საგინაშვილსა, **ქუდი ვათაღრის** მაღალი!
(ხევს. პოეზ., 20_{11-13}).

„ტყავთ“ ბავშვის ენაზე ჩოჩუანი ეწოდება. „ტყავთ“ ზურგზე აკერებენ **ტყავ-ზიკა**-ებს და **ნაფთულ**-ებს—მოქარგულ, მძივით აჭრელებულ ტილოს ოთხკუთხ ნაჭრებს. კისერთან აკერებენ **საყელო**-ს—ოთხკუთხ მაშთაგის ნაჭერს, რომელიც თითქმის მთელ ბეჭებს ფარავს. ყველაზე კარგ საყელოდ **ნადირის საყელო** ითვლება: ესაა ჯიხვის ან გარეული ვაცისათვის თავზე გადაძრობილი ტყავი, რომელსაც წვერები და ყურები ზედვე აქვს.

ტყავნი ყველაზე კარგია, როცა იგი თბა-ვაცისა და წმინდა ნადირის ტყავისაგან იკერება. **ნადირის ტყავნი** მაინც ყველას ჯობია.

„მე იმას რაად მატყუებდიო,
მაგიოლ გიორგიობასაო,
მაგიტან ჯიჯვის **სატყავეთაო**“
(ეთნ. მას., 7_{2-4}).

კაცები ტყავთ იცვამენ როგორც **ბეწვშიგათი** (‖**გარენგარ**), ისე **ბეწვგარეთ** (‖ **შიგანგარ**). შეკერვით კი **შიგანგარ მარტო ნადირის ტყავ-თ** კერავენ. ხევსურულ პოეზიაში იხსენიება აგრეთვე **ტყავ-კაბა**[121]. „**ტყავ-კაბა**, წელჩი წახმუწვილ[122] ტყავნ რო იქნებიან, ისი“-აო განმიმარტა ინფორმატორმა.

„ტიალო სიღარიბეო, რა მონა სახელ გქვიანა!
სამსა წელსა და წელწადსა ერთან **თხის ტყავნი** მკრიანა“
(მივლ. მას.).

„ჴევსურაისად დართმულნი **ტყავნი ბეწვგარეთ** მცვიანა,
ძალით დავართვენ ციცასა, ნებით არ მაუციანა“
(მივლ. მას.).

გაუპარსავი ციკნის ტყავისაგან აკეთებენ გუდას, რომელსაც **ხასუჭა**-ს (‖ **ხასუნა**-ს) ეძახიან. ბეწვგაცლილი ციკნის ტყავისაგან თუშური გუდა კეთდება, რომელსაც **ქეშლო**-ს (‖ **ქეშლურა**-ს ‖ **ქეშელა**-ს) ეძახიან. ბეწვგაუცლელი ხბოს ტყავისაგან გაკეთებულ გუდას, რომელიც ჩვეულებრივ ხასუჭაზე მოზრდილია, **ხასაგძლე**-ს ეძახიან.

„მჭარზე გძელებ ჯოხებ უსხავ, შუბები აქვ ჩამაცმული,
ყველას ზურგზე **ხასუნაი ხარატულად** გამაკრული“
(ხევს. პოეზ., 222_{6-7}).

„მახპარვენ წიწილაშვილსა ორსა-ოდ ფუტკრის ძირსაო
აწყობენ **ქეშლურაჩია**, ჯალაფთ წაუტანთ ტკბილსაო“
(ხევს. პოეზ., 210_{5-6}).

---

[121] იხ. ზემოთ, გვ. 249.

[122] წ ა ხ მ უ წ ვ ი ლ ი—ზონარგაყრილი ნაოჭების გაკეთების მიზნით.

„ხელამ ტყუილით გამტენა, როგორც სასაგძლე სხლიანი“
(ხევს. პოეზ., 679_8).

ხასუნას, ქეშლურას და სასაგძლეს აქვს ორ-ორი **სამჯრე**, რომელსაც თხის ბალნისაგან წნავენ. „ბალანი დასაწნავად. **სასაგძლის სამჯრედ** დავსწნავთ, **ჭიჩის ბაკრავაადა**' ცხენ-ულაყის **სასამბურედ** დავსწნავთ“...

ცხვრის ტყავებისაგან **სალამო**-საც (საგებ-საბურს) აკეთებენ: რამდენიმე გაზეზილ ტყავს გადააკერებენ ერთმანეთზე და ამ „საბანს“ ბეწვიანი მხრით იხურავენ. ამ „საბანს“ **დურა** (‖ გუდანური) ეწოდება.

„გაგიწყრათ გუდანის ჯვარი[123], ვინც ხართ ბოთლაით დამთვრალი,
ვინაც ჩუმად სომთ არაყსა, ხართ გუდანურში ჩამძვრალი“
(ხევს. პოეზ., 468_{19-20}).

ტყავს უჩნდება ერთგვარი მწერი **კირკილი**, რომელიც ხრავს მას, **ანაჩირჩნებს** (ბეწვს აყრევინებს) და უვარგისს ხდის. კირკილისაგან ტყავიდან აყრევინებულ ბეწვს **ნაჩირჩენა**-ს ეძახიან.

§ 17. მატყლი. ხევსურები ძირითადად შინნაქსოვ ტანსაცმელს იცმევდნენ და, ამდენად, მატყლს დიდი გამოყენება ჰქონდა ხევსურეთში. მატყლი და ერბო ტოლ-ტოლად ფასობს: ერთი ჩარექი მატყლი=ერთ ჩარექ ერბოს.

ცხვარს პარსავენ **საპარსველი**-თ(‖ **დუქარდი**-თ). „ცხვარ-ბატკან იპარსების **მარიენობა-ქარისუქმთ**“ (=აგვისტო-სექტემბრის თვეებს). ცხვარ-ბატკნის ნაპარსი სხვადასხვა ხარისხისაა წვრილფეხის სხვადასხვა ასაკში და წელიწადის სხვადასხვა დროს. „წინწინ რო გაიპარსავს ბატკანი, იმას ვეძახთ **კრაველ**-ს. **კრაველ** ცხვრისა არ იქნებ, კრაველ მარტო ბატკანს ასხია სთველჩი“. საყურადღებოა, რომ სიტყვა **კრავი** მხოლოდ მატყლის სახელწოდებაში შემორჩენია ხევსურულს.

„მითხოს გადავლა მეწყადა, რა გამავიდას მთა-ველი,
ცხვარი და ვერძი დასუქდას, ბატკანს ზედ ესხას **კრაველი**“
(ხევს. პოეზ., 178_{2-3}).

„ქალმა თქო: „ქმარი მეწყალის ბორბალ გამთენე ღამისა“,
სხვამ უთხრა: „არას მეწყალის,—ნაბად მიხურავ **კრავლისა**“
(ხევს. პოეზ., 436).

---

[123] გ უ დ ა ნ ი ს ჯ ვ ა რ ი—ხევსურეთის მთავარი ხატია ბაცალიგოს თემში (პირაქეთი ხევსურეთი), სოფ. გუდანში.

„მეორედ, ცხვარსთან რო გაიპარსების ბატკან, იმას ეძახთ **ნაქც**-ს. ცხვარ ენკენიაჩი იპარსავს მატყლს (ბატკან მაში ნაქცს იპარსავს).“ „**ნაქც** ისი, ბატკან მეორედ, სთველჩი რო გაიპარსების, ერთხან ხო გაზაფხულ იპარსების ნაზამთრევ ბატკანი“, ე. ი. ნაქცს მხოლოდ ნაზამთრევი ბატკანი „იპარსავს“, გაზაფხულზე გაჩენილი ბატკანი (**დვალის ბატკანი**) შემოდგომაზე კრაველს „გაიპარსავს“.

„გაზაფხულ ცხვარიცა' ბატკანიც **რისვ**-ს იპარსავს“. **რისვი** უხარისხო, „**დანაბდული**“ **მატყლია** და, თუ გაზაფხულზე დროულად არ „**გაირისვა**“ ცხვარ-ბატკანი, „ტყე-მაქაც გააყრევს **რისვს**“, „ბატკანს წელ რო გაუკდების, მესამედ გაიპარსებ: ჯერ კრაველ, მემრ რისვი, მემრ მატყლი; სამჯერ იპარსებ ცხვარ წლითი-წლამდი“. ნაზამთრევი ბატკანი ჯერ კრაველს „იპარსავს“, მერე ნაქცს, შემდეგ კი რისვს. როცა ნაზამთრევი ბატკანი მატყლს „იპარსავს“, იგი ერთ წელზე უფრო დიდი ხნისაა.

ყველაზე კარგი ხარისხის მატყლია კრაველი, ყველაზე უხარისხოა—რისვი. ცუდია **ბაყონი**-ც. „**ბაყონ** ისი ფეკ-ბარკალს რო დაეყრევის, მონა, მოკლე“ (ბაყონ←ბაყუ+ან).

თხას არ პარსავენ, თხას „**ღენჭვენ**“ (**ღენჭვა**). „თხა-ვაც ერთხან **იღენჭების** წელჩი, საათენგენოდ“ (ივლისში). „თხა-ვაცს **ბალან** ასხავ. ბალანს სატომრედა' სახურჯინედ ვიყენებთ. თხას ასხავის კიდევ **ბიზიონი**“ (თივთიკი). ზოგჯერ „ღენჭვენ“ ხოლმე დახეულ ქურქს, გუდანურთ და მისთ. ამ „მატყლ-ბალანს“ **ნაკერკატალ**-ს ეძახიან.

მატყლს და რისვს აქვს სპეციფიკური სუნის მქონე ჭუჭყი და ცხიმი, რომელსაც **წიდა**-ს ეძახიან. „**წიდას** კორცნ იყოლებენ, ცხერის ოფლ, ცხიმ“.

გაპარსვის შემდეგ „წინ-წინ გარეცხა უ მატყლსა(ც), კრაველსა(ც), რისვსაც. გამდინარი წყლი(თ) ვრეცხთ“.

§ 18. მატყლის ჩეჩვა. შემდეგ იწყებენ მატყლის დამუშავებას—**ჩეჩა**-ს. ჩეჩვისათვის ხშირად კოლექტიური შრომაა გამოყენებული: რომელიმე დიასახლისი ერთ საღამოს მოიწვევს მეზობელ (და ზოგჯერ ახლო სოფლის მცხოვრებ) ქალებს, რომლებიც მას ეხმარებიან ჩეჩვაში. ამას **მჩეჩელთ შაყრა** ეწოდება. მატყლს ჩვეულებრივ ზამთარში ამუშავებენ და **მჩეჩელნი** ხშირად ღამის 3—4 საათამდე აგრძელებენ ჩეჩვას. მჩეჩელნი ორჯერ ვახშმობენ. მეორე ვახშამს **საპირბეწვე**-ს ეძახიან.

მჩეჩელნი ხევსური ქალის ერთ-ერთი საკმაოდ მძიმე, მაგრამ მაინც სახალისო შრომაა: შრომის პროცესში ყვებიან ზღაპრებს

ამბავა-ებს), **ანდრეზებ-ს** (ძველ ამბებს), **საცნაურა-ებს** (გამოცანებს) და მისთ. შესვენებებზე იმართება სიმღერა და ცეკვა-თამაში. (მჩეჩლებზე და ჩეჩვაზე მრავალი ლექსი გვხვდება ხევსურულ პოეზიაში. აი ერთი მათგანი:

„კალოთანელთ **მჩეჩელნი**-ხყვან, დადგა მატყლის **კეკაიო**,
შუაღამემ მაატანა, არ გაჩეჩეს **კეჭაიო**...
აიმ ქალამ მე მაკოცას, თმანი რო ხქონ დეკაიო.
ამაგის მალექსებელსა ერთ თამბაქოს წეკვაიო,
მწარე აისეთა იყვას, რო დავიწყა სნეკვაიო“
(მივლ. მას.).

მჩეჩლებთან ერთად არიან ხოლმე ბავშვები და ახალგაზრდა ვაჟებიც: მათი ვალი არის მჩეჩლების სინათლითა და სითბოთი უზრუნველყოფა. ამ ახალგაზრდებს **ცეცხლმგზე**-თ ეძახიან. ბავშვები მატყლს **კეკენ** (წეწენ). ხევსურული ანდაზაა: „ყვავსაცავ თავის **გაკეკილაივ**“ (ყვავსაც თავისი გაწეწილი ბახალა მოსწონსო). „მატყლს უ **გაკეკა**, მემრ **სავარცხალნი**' გაჩეჩა“. **სავარცხალნი**—საჩეჩელია. სავარცხალთ აქვს **ძირის ფიცარი**, **გვერდის ფიცარნი** და **კბილნი**. სამკუთხედს, რომელსაც ფსკერისა და გვერდის ფიცრები ქმნიან, **ჯუნდ**-ს ეძახიან. „სავარცხალთ კბილებ აქვ, ჯუნდიც აქვ. გაკვრეტილ როა, ისი **ჯუნდი**“.

მჩეჩელნი (და ცალკეული მჩეჩელიც) რამდენჯერმე ჩეჩავენ მატყლს. მეორეჯერ გადაჩეჩვას **გაფოლვა**-ს ეძახიან. „გაჩეჩილს **გაფოლვა უ**“. პირველად გაჩეჩილი მატყლის პატარა-პატარა ქულებს **ფოლიკა**-ს ეძახიან. ფოლიკა მოგრძო ფარტენაა; მას **კბილა**-ს (||**ქაბილა**-საც) ეძახიან. „ახა გაჩეჩილ მატყლ იყვას ცოტა, იმას **კბილას** ვეძახთ. დიდ **აკეცილა** იქნებ, ცოტა **კბილა** იქნებ“. აკეცილა გრძელი ფარტენაა და მას აკეცამდეც აკეცილას ეძახიან. სამი ერთად შეკრული აკეცილა ერთი ფოლი-ა.

მესამეჯერ გადაჩეჩვით, რასაც **განამტვნა**-ს ეძახიან, ვღებულობთ **ნამტენა**-ს (ფარტენას), რომელიც დასართავადაა მზადა. გადანამტვნისას ცხიმს ურევდნენ მატყლში. „ნამტენაჩი **საპოხ**-საც გაურევდით“. „**გაფოლვილისა აკეცილეებრ**, მემრ **ფოლ** დადგებ, განამტნულისა—**ნამტენა**“. „გაჩეჩილს **გაფოლვა უ**. მემრ **განამტვნა უ**“. ნამტენა მცირე ზომისაა, ოციოდ სმ-ის სიგრძისა.

მფოლავ-მნამტნავებად, ჩვეულებრივ, გამოცდილ მჩეჩლებს არჩევდნენ, რადგან ყველა ვერ ახერხებდა კარგად გაფოლვა-განამტენას. „მფოლავნ უფრო კან მჩეჩელნ იყვნეს, ისენ კვირტსაც მეო-

რეზე აგდებიებენ, **მატყლს წურვენ**". **მატყლის გაწურვა** მატყლის საბოლოოდ დახარისხებას გულისხმობს.

პირველი ჩეჩვისას საჩეჩლის კბილებში რჩება ხოლმე უხარისხო მატყლი, რომელსაც **ნაგულა**-ს ეძახიან. „წინ-წინ რო გავეშჩეჩთ, **წვერს გავაგდებიებთა**' რაიც სავარცხალს დაზდგების (=რაც საჩეჩლის კბილებში დარჩება), იმას **ნაგულა**-ს ვეძახთ". ნაგულას კიდევ ჩეჩავენ ხოლმე. „რაიც ნაგულაის გაჩეჩიდგე დარჩებ სავარცხალთ კბილჩი, იმას **ჩურჩ**-ს ვეძახთ". გაფოლვილის გადანამტვნისას რაც დარჩება საჩეჩლის კბილებში, ის **კვირტი**-ა. „ჩეჩაჩი ნამტენისად გამანარიდებს **კვირტს** ვეძახთ."

ნამტენებს აწყობენ **ხოკერ**-ში. **ხოკერი** ცაცხვის ქერქისაგან მზადდება, ცხრილსა ჰგავს, ოღონდ უფრო ვიწროა და ღრმა. ფსკერი ან ტყავისა აქვს, ანდა ისევ ცაცხვის ლაფნით აქვს გამოწნული. ხოკერში ჩაწყობილ ნამტენებს ზედ მრგვალ ფიცარს— **სასხიპ**-ს ადებენ, რათა ნამტენები არ აიწეწოს, უფრო დაიწნიხოს, რაც შემდეგ რთვას აადვილებს.

§ 19. მატყლის დართვა-დაგრეხა. ნამტენას შემდეგ **გასთვა** (დართვა) უნდა. „მემრ ნამტენას **ვასთავთ**". რთვისას ზამთრის გრძელ ღამეებს თითქმის უძილოდ ათევდნენ ხევსური ქალები. **სთვა-ჩეჩ**-ის კარგად ცოდნა, საერთო შრომისმოყვარეობასთან ერთად, „კაი ქალობის" ერთ-ერთი ნიშანი იყო ხევსურეთში. ართავდნენ და ღიღინებდნენ:

„**ესთი**, **ესთი**, ნამტენაო, ჩაეხვიე **ტარზედაო**,
ჩემი გულის ნანდაური შაბათს მავა კარზედაო" და მისთ.
(მიქლ. მას.).

ართავენ პატარა თითისტარებით. „მატყლ **ტარზე** გაესთვის **სახრელჩი**. **სახრელ** ტარის ჩასაყუდებ". სახრელი (ზოგჯერ ფშაურიდან ნასესხებ სახელს **საგრეხელა**-საც ეძახიან მას) ოთხკუთხი, შუაში ოდნავ ამოღრმავებული ხელსაწყოა. სახრელი **დანაჭარდაულ-დაჭრელებული**-ა (ორნამენტირებულია) და ვაჟისაგან ქალიშვილისათვის საჩუქრად მისართმევი ერთ-ეთრი ნივთთაგანია.

ქალისათვის **ტარ-სახრელი** ისეთივე აუცილებელი იარაღი იყო, როგორც ვაჟისათვის აბჯარი. ტარი კარგმა ოსტატმა უნდა გააკეთოს. კარგ ტარზე იტყვიან: „**კოკობზინაივით** (ბზრიალასავით) არის"-ო. ყველაზე კარგი სატარე მასალა ცაცხვია, რადგან მსუბუქია და ადვილად მუშავდება.

„სიმირგელივ შამაბრუნდებიხ, როგორც **სახრელჩი ტარია**"
(ხევს. პოეზ., 175_{26}).

„ამ ზამთარ ვეძებზე ვიყავ, **ხაგრეხელეებ** ვაპრელე“
(ხევს. პოეზ., 655_1).

„დამაცადეთ, ჰიმღივნებო, დამაცადეთ, მაცალეთა,
არ გაგიტევთ ამღის ტყესა, არ მაგაპრევთ **ხატარესა**“
(მივლ. მას.).

ნასთით (ნართით) ნახევრამდე ამოყვანილ ტარს **წიპტარა** ეწოდება. „**წიპტარა**—ცოტა ტარი. ორ წიპტარა მივახვიიდითა' ერთ **მიხვეულ ტარ** იქნის“. დართულ ძაფს ღოლი ეწოდება. ღოლი ზოგან მსხვილი გამოვა: კარგად გაუნამტნავ მატყლს შეყვება ხოლმე კვირტი და ჩურჩი, რაც ღოლს ალაგ-ალაგ ამსხვილებს აი, ამ კვირტის ნაშთს, რთვისას რომ გამოჩნდება, ფირჩვლი ეწოდება.

ღოლი ერთკეცი ძაფია. საერთოდ დართულ ძაფს გასთული **ნაჭერი** ეწოდება. ნაჭერს **დაძახა** უნდა. ნართის დასაძახ (დასაგრეხ) „მანქანას“ **ჯარა**(|| **ჯარანი**) ეწოდება. ჯარანი ასე აღიწერა ხევსურმა ქალმა: „პირველი ზღუბლი, წინა ზღუბლი' **უკენა ზღუბლი**. უკენას ზღუბლჩი ჩაიდგმის ფეჯები. გავჯვრიტიდით წინა ზღუბლი' შიგ ჩაუსხიდით დვალები. დვალნ ისენი, ორკაპან რო არიან, ეესთუან [124], ფიწალივით, **ლაგატკაის** [125] **ხეივით**“.

„უკენას ზღუბლსა' წინას ზღუბლს **ისარ** გაეგდების, ისარს ვეძახდით. შახკრავს იმათ, დაიჭერს ორთავ. მემრ **ჯარატარ** ხო იცნ, იმას ორ **ბატ** აქვ, აი, ეესრ, გირგველებ გადახვეულებ [126], შამაცმულებ **კოკობზინაივით** (=ბზრიალასავით). ი ბატთ შუაჩი **ღვედ** დადგებოდ, **ღვედნ გირგოლთაზე** იყვნეს გადახვეულნი, **გირგოლთ საბალავ** ხქონდის გამბულ-გამამბული“.

აქ ჩამოთვლილ ნაწილებს გარდა ჯარათ აქვს **ღერძი**, რომელიც „გირგველების“ ცენტრში გადის. ღერძი **უკენა ზღუბლში** ჩადგმულ მაღალ ფეხებზეა დადებული. ეს ფეხებიც „ლაგატკაის ხეივითაა“. ღერძის ერთ მხარეზეა **ყიჭალა** და **საჭელურა**, რომელთა მეშვეობითაც უკენა ფეჯებზე დადებული ღერძი ტრიალებს, რაც „გირგველების“ (თვლების) ტრიალს იწვევს. გირგველები და ჯარატარი ღვედითაა შეერთებული და გირგველების ტრიალს ჯარატარი მოყავს მოძრაობაში.

---

[124] აქ მთხრობელმა სალოკი და შუა თითი გაშალა და ისე მაჩვენა.

[125] **ლაგატკა**—(რუს. **роratка**), კენჭების სასროლი „იარაღია“, „ყმაწვილებ ჩიტებს ხვოცენ ლაგატკაით“.

[126] მთხრობელმა აქ წრე გააკეთა სალოკით და ცერით.

ტარებიდან ნართს **თხორებად** ახვევენ. **თხორი** ნართის გორგალია. ნართის თხორზე გადატანას **ტარების ამაჯსნა**-ს ეძახიან. ნართს თხორებად ახვევენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტარები უნდათ გაათავისუფლონ. მეორეც—თხორიდან ადვილია ჯარატარზე ჩახვევა დასაძახი (დასაგრეხი) ნართისა, ვიდრე ტარიდან. თხორზე უკვე ორკეცს ნართს ახვევენ, „**ორწვერად ამახჯსნიან ტარს**". გამონაკლისს შეადგენს **სათათე** და **დიაცის ხაბაჟიჟე**, რომელიც **ხამწვერად** ეხვევა. ჯარატარზეც ორწვერად ჩაახვევენ და მერე ორწვერადვე „გამასძახენ".

თხორი სამნაირია: 1. **შიგამამდინარა**—ისეთი თხორია, რომელშიაც ძაფი შიგნიდან ამოდის, ამოხსნა შიგნიდან იწყება 2. **ულოიანი თხორი**—ისეთი თხორია, რომელსაც ძაფი შულო-შულოდ აქვს დახვეული და 3. **შეებურა თხორი**—ჩვეულებრივი თხორია, ძაფი ზედ თანმიმდევრულადაა დახვეული, ისევე, როგორც ტარზე.

თხორიდან ნართი გადადის ჯარატარზე. ამას **თხორის ამაჯსნა** ეწოდება. ჯარატარიდან ნართი „**გამაიძახების**". ეს ნიშნავს, რომ ორწვერად (ორფად) დახვეული ძაფი გადაეგრიხება ერთმანეთს და ორი ღოლიდან მივიღებთ ერთ ღოლს, რომელიც გაცილებით მაგარია, ვიდრე ის ტარზე იყო. „ორს ღოლს, ორს ტარს ერთ ჯარატარზე ჩავახვევდითა' **დავსძახდით**. ჯერ **ჩახვევა** უ, მემრ —დაძახა". ერთ ჯარატარზე რვა ტარი თავსდებოდა. „რვას ტარს გავასთავდით—ჯარატარ იქნის, კიდევ რვას—მეორეი' კიდევ რვას —მესამე ჯარატარი".

ჯარატარიდან ან თხორებად „გამასძახდეს" ანდა „**გამახკიწლავდეს**" (**გამაკიწვლა**, **კიწლი**). გამაკიწვლა ნიშნავს, რომ ჯარატარიდან დაძახილი ძაფი თხორად კი არ ეხვევა, არამედ მიწაზე ცვივა და იკეცება. **კიწლ**-ს—მაგრად დაგრეხილი ძაფი რომ თავისით გადაეწვნის ერთმანეთს და ქმნის მარყუჟს, იმას ეძახიან. „კიწლ იმას ხქვიან, მაქსოის მემრ რო გარას გამავსწვდითა' რაიც აი მაუქსოვ დარჩებ. ჯარატარზე რო ვძახთ, თხორზე თუ არ ვახვევთა' ეეგრ გამავხკიწლავთ, იმასაც კიწლს ვეძახთ. სატომრეს ეეგროდ გამავხკიწლავთ. „წყალნ ჩეეკიწლნესავ", ისიც ვიცით, ახა ყმაწვილმ წყალ ვერ ჩათქას".

გამაძახილ ნახთ-ს ულოიან თხორებად ახვევენ. ეს უკვე **საჭსლე**-დ გამზადებული **ნახთია**.

თუ ფერადი ქსოვილის მოქსოვა უნდათ, ასეთი ქსოვილისათვის განკუთვნილ ნასთს „**მბილად გამახძახენ**", რათა კარგად შეიღებოს. შეღებვის შემდეგ კვლავ ჯარატარზე ჩაახვევენ და ხელ-

მეორედ „გამოსძახენ“. შესაღებად გამზადებული ნასთი ხიფებ-ად (შულოებად) არის დახვეული. შეღებილი ხიფის ხელმეორედ გამოძახვას **გამოცვარვა**-ს ეძახიან.

§ 20. **ქსოვა**. ოცდაოთხი ტარი, ე. ი. სამი ჯარატარი, უკვე ერთი **საქსლეა**. „საქსოვი დაზგა“ შინ მზადდებოდა და მას **ყდა** (=**ყდანი**) ეწოდება. ყდათ ნაწილებია: თვითონ ორი ცალი ყდა—4—5 მეტრი სიგრძისა და ოციოდე სმ დიამეტრის მქონე ორმხრივ გათლილი ხე. ორივე ყდას ერთმანეთის გასწვრივ აქვს 6—7 სწორკუთხედის ფორმის ნახვრეტი—**ფატორი**. „ფატვრები“ ყდას ზემოთ და ქვემოთ ნაწილში აქვს, მათი შუა წელი მთლიანი, **გაკოპიტებული** ხეა.

ორივე ყდას მიაყუდებენ კედელზე ერთმანეთის გვერდით ისე, რომ „ფატვრები“ ერთმანეთს უპირისპირდებოდეს. „ფატვრებში“ გაუყრიან ორ ცალ **ლვილ**-ს—მრგვალ, ნაპირებგათხელებულ ხის „ყდათ იარაღს“. ლვილი ერთი თავშია გაყრილი, მეორე—ბოლოში. ლვილი შეიძლება გადანაცვლებულ იქნეს ერთი ფატორიდან მეორეში, ეს იმის მიხედვით, თუ რა სიგრძის **ტოლი** (ქსოვილი) უნდათ მოქსოვონ. ყდას ბოლოში 2—3 ფატორი აქვს და ლვილი უპირატესად პირველ, ბოლო ფატორშია ხოლმე გაყრილი. ლვილი ფატორში დამაგრებულია **სოლებით**.

თუ ლვილი თავიდან პირველ ფატორშია გაყრილი, **ტოლი წვერთითა** იქნება. ეს ყველაზე გრძელი ქსოვილია და მისგან ტანსაცმლის კომპლექტის რამდენიმე ნაწილი გამოდის. მეორე ფატორზე **წვერთის ძირა ქსელი**-ა, მესამეზე **სამანდლე** იქსოვება, მეოთხეზე კი—**სატომრე, სასადიაცოე** (|| **საჩოჯისძვლე**) და მისთ. ლვილებზეა ხოლმე გადახვეული ნასთი, ძაფი (ძაფს ხევსურულად **ნაჭერი** ეწოდება, **ძაბი**—ამ ნაჭრის ნაგლეჯია მეტ-ნაკლები სიგრძისა).

ნართის ყდაზე გადატანას და მოსაქსოვად გამზადებას **ქსლის დაქსვა**-ს ეძახიან, ხოლო დამზადებულ ქსელს—**დაქსულ ქსელ**-ს.

ქსლის დაქსვა სამნაირად შეიძლება და ტოლიც სამნაირი გამოდის: **ცალპირა ტოლი** (ყველაზე მარტივი და იოლად მოსაქსოვი); **წალმ-უკულმართა** (საშუალო სიძნელისა) და **ორშიანი** (ყველაზე ძნელად დასაქსავ-მოსაქსოვი, მაგრამ ყველაზე კარგი ხარისხის ქსოვილი).

დაქსულ ქსელზე მოთავსებულია მკლავის სიმსხო, მეტრნახევარი სიგრძის ცაცხვის ხის მრგვალი, გლუვი ნაჭერი, რომელსაც ორივე ბოლო წამახვული აქვს. ამ ხელსაწყოს **გარა**-ს ეძახიან. **საცალპირაე** და **საწალმ-უკულმართაე** ქსელს ასეთი გარა ორი

უნდა: ერთი ქსლის ქვემო ნაწილშია გაყრილი, მეორე ცოტა უფრო ზემოთ. პირველი თითქმის უძრავად დგას, მეორეს კი, საჭიროებისამებრ, ეწევიან აღმა და დაღმა.

პირველ გარაზე მოთავსებულია **შე**—საუკეთესო მატყლისაგან დამზადებული მაგარი ძაფი, რომლითაც ქსელში ძაფები საჭიროებისამებრაა განაწილებული. ქსლისთვის შეს გაკეთებას **შის ჩადება**-ს ეძახიან. ამავე გარაზეა მოთავსებული **საშევარი** (|| **სათხორე**)—წვრილი, სწორი ჯოხი. ძირითადად ამ გარასთან და შესაშევართანაა დაკავშირებული ქსელზე ძაფიდან ტოლის მიღების მთელი „საიდუმლოება“.

ამ გარას გასწვრივ, ყდის ზედაპირზე ამოჭრილია **საქიჩურები**, რომლებშიაც **ქიჩები**-ა „ჩაყუდებული“ (თითო ცალი თითო ყდაზე). ქიჩს აქვს **ჭკდეები** (ნაჭდევები). ამ ნაჭდევებში გამობმული აქვს **ქიჩი საკრავა**, ბალნის მსხვილი ბაწარი, რომელიც თავის მხრით გარა-საშევართანაა დაკავშირებული. **ქიჩი საკრავას** ნაჭდევებზე ანაცვლება-ჩამონაცვლებით **ამძგავებენ** (ჭიმავენ) ან **აფონებენ** (მოუშვებენ) **ქსელ**-ს.

ამათ გარდა ქსოვის დროს გამოყენებულია კიდევ ქსლის შემდეგი იარაღები:

ფხინი—ნეცხვარის კომბალივით თავმოკაუჭებული ხელსაწყო, რომელსაც მოხრილი მხარე სოლივით გათხელებულ-გამახვილი აქვს. ფხინთანაა დაკავშირებული ხევსურული გამოთქმა **პირფხინა**: თხელი სახის, გამხდარ კაცზე იტყვიან „პირფხინა კაცია“-ო. ფხინი ზემოთ მოთავსებული გარას ასაწევ-დასაწევად იხმარება.

წიწუ—სოლისებრი, ოღონდ თხელი ხელსაწყოა და ერთმანეთში გადახლართული ძაფის გასაცალკევებლად იხმარება.

ცხემლი—მეტ-ნაკლები (5—10 სმ) სიბრტყის, და დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძის სახაზავივით გათხელებული ხელსაწყო. ცხემლს ორივე მხარეზე აქვს ნახვრეტები, ე. წ. **კილონი**. ამ კილოებში მაგრდება ძაფი—**საზედო**—ზემოდასახელებული **ნაგულა**-ს დართვით მიღებული ძაფი. საზედო ცხემლით შეჰყავთ ქსელში და ეს ძაფი ჰორიზონტალურად ექსოვება ქსელს.

ბეჭი—ბეჭის ფორმის კბილებიანი ხელსაწყო, რომელიც საკმაოდ მძიმეა და, რომლითაც ქსელში გაყრილ საზედოს ბეჭავენ, წნეხენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ორშიანი ტოლის მოსაქსოვად ქსლის ქვემო ნაწილში ორი გარა და ორი საშევარია მოთავსებული, ზემოთ კი—ისევ ერთი. ორშიანი ქსლის გარაებს შუა ჩაყუდებულია პატარ-პატარა ჯოხები (ორი ცალი), რომელთაც **ორშიანთ გალები** ეწოდება.

ქსლის მოქსოვას რომ დაამთავრებენ (მხოლოდ ნახევარი მეტრის სიგრძის ძაფა დატოვებენ მოუქსოვს), ქსელა გამოაცლიან ყოველგვარ იარაღებს და გაჰრიან იძ ადგილზე, სადაც მოუქსოვი დატოვეს. ტოლის იმ მხარეს, რომელზედაც შე იყო მოთავსებული, **კიწლიან გვერდს** || (**კიწლიან პირს**) ეძახიან, მეორეს კი, რომელზედაც გაიჭრა,—**წყრულიან**-ს. შემდეგ ტოლს დაასველებენ და წნელის ლასტზე „**გასთელვენ**“, რათა დარბილდეს. გათელვა მხოლოდ სატანსაცმლე ტოლს უნდა.

§ 21. **მატყლის ნაწარმი.** ზემოდასახელებული კვირტისაგან იქსოვება: **საგებელი**—ძირს გასაშლელი (**დასაგები**) ფარდაგი, ხურჯინი და სხვ. ბალნისაგან ქსოვენ: **სანიაო-თ**—საფქვის. გასაფენ ფარდაგს, ხურჯინს, **საჭირობლებს** და ციხთ. „ნამტენაჩი კვირტ დადგებ. კვირტსაც ყმაწვილის **სახიჩვნედ**[127] ვჴმარობთ, სათათე-და' სასაგებლედ ვიყენებთ. ბალნისაიც[ა]საგებელივით იქსოება' საგებელ კი არ ხქვიან, **სანიაონ** ხქვიან. საფქვის გასაფენლადა გაბსადეგ, სხვად არაადა“.

კვირტისაგანვე ქსოვენ **თოფრა**-ს (შდრ. ტომარა, ტოპრაკი), რომელშიაც ცხენს ქერს უყრიან ხოლმე.

„კარგად დახკვებენ ცხენებსა, **თოფრით** აქმევენ ქერსაო“
(ხევს. პოეზ., 462_2).

ყველაფერს, რის საწვიმრად გამოყენებაც შეიძლება, ხევსურები **ბაქკო**-ს ეძახიან. ერთ-ერთი ასეთი ბაქკოა ცალპირა ტოლისაგან დამზადებული **ყარწიკა**(|| **ყარწიკანი**). ყარწიკა—ოთხკუთხი, ორკეცი, უსახელოო წამოსასხამია, რომელსაც მხოლოდ ერთი ღილ-**ზატი** (ღილ-კილო) აქვს: მას შალივით მოიხვევენ მხრებზე და ნიკაპთან შეიკრავენ. ყარწიკა პირიქით ხევსურეთშია გავრცელებული და ქისტეთიდან მოტანილი ჩანს. ყარწიკა ჩვეულებრივ ლეგა ფერისა ან „**მშვარდლისფერია**“ (ყავისფერია).

მოკლულო უსაფეროთაო,
ღილღველთა **ყარწიკაიანთაო**“
(ხევს. პოეზ., 88_3).

„მავიხურავ **ყარწიკათა**, ლეგა წვაღ ჯარებშია,
საღამოზე გაევრევი გიორწმიდელთ ქალებშია“
(მიქელ. მას.).

---

[127] **ხიჩონი**—აკვანში ჩასაფენი ქსოვილის ნაჭერია. ფშავში **ხოჩინი** ჰქვია იმას, რასაც ხევსურები **ბიჩონ**-ს ეძახიან.

ერთგვარი ბაჭკოა **ფაშლაჯა**-ც (**ყაბალახი**), რომელსაც აგრეთვე ცალპირა ტოლისაგან ამზადებენ.

როგორც აღვნიშნეთ, ხევსურები ტალავარს ძირითადად შინ ამზადებენ. მიუხედავად წარმოების მარტივი ხერხებისა, ხევსური ქალისა თუ კაცის ტანსაცმელი საკმაოდ მრავალფეროვანია. სატალავრე ნართს თუ ქსოვილს ხევსური ქალები შინ ღებავენ. შესაღებ მასალას **საღებულო**-ს ეძახიან. საღებავებად იყენებენ მცენარეებს: **ენდრო**-ს, **წერთხალა**-ს, **თავშავა**-ს, **ჰეკარა**-ს, **მურუნის ქერქ**-ს, **კაწახ**-ს, **ვაშლის** (**ხის**) **ქერქ**-ს და სხვ. ღებვის დროს იყენებენ სიმჟავეებს: **შაბ**-ს, **ძაღა**-ს, **ლებ**-ს (‖ **ბიშინა**-ს), **მწურე**-ს (საქონლის შარდს) და სხვ. ქიმიური საღებავებიდან **ჰიაფერ**-ს და **ლილა**-ს იყენებენ უპირატესად. ლილის ხსნარს **ტუტა**(‖ **ტუტანი**) ეწოდება.

ფერების ჩვეულებრივი სახელწოდებებიდან ხევსურულში გარჩეულია მწვანისა, ღია წითლისა და იისფერის სახელწოდებები. მწვანეს **სისვი** ეწოდება, ღია წითელს **ლაღ წითელი** (‖ **კაპრაშა**), იისფერს—**ტრედისყელა**. მოთეთრო, მოლურჯო, მოწითალო-ს... მაგიერ ამბობენ: **თეთრონა** (**თეთრონა ყვითელი...**), **ლურჯონა**, **შაონა**(‖ **შავნა**) და სხვ. ღია ფერზე ამბობენ **ლაღია-ო** (**ლაღ წითელი, ლაღ ყვითელი...**) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დასამუშავებელი მასალა საკმაოდ უხეშია, ხევსური ქალის ნაკერ-ნაქარგი გასაოცრად სუფთა და ლამაზია. კარგ ნაქარგზე იტყვიან: **დაწიგნული-ა** (‖ **დაკრუშკვილი-ა** ‖ **დაკვართული-ა** ‖ **მართულია-ო**).

„არ იცით ამპარტივნობა, ძველს იცომთ **ტალავარსაო**“
(ხევს. პოეზ., 493$_3$).

„მაიას არას მაეხკლევდი, **მწიგნარხა ტალავრიხასა**“
(ხევს. პოეზ., 525$_4$).

„დაეშზადების ქორები, **გადაიკვართვენ** კალთათა“
(ხევს. პოეზ., 666$_7$).

„მამრიდეღ, ბიპო, შენ რასაღ იპრანჭები-დ' **იკრუშკებ** ქალივით!“

ცუდი ტანსაცმლის ეპითეტებია: **ძონძი**, **ტყლაპი**, **მჩვარი** (ფართალზე იტყვიან) და სხვ.

„ზე შამააყრით **ტყლაპ-ტყლუპსა** ძმობილის მაგიერსაო“
(ხევს. პოეზ., 399$_6$).

„ნაფეტვარაში მცხოვრებმა თავზე წაიკრა **მჩვარია**“
(ხევს. პოეზ., 668$_2$).

უხეიროდ ნაკერს **მიჯმუჯვილ-ს**(‖ **მიჯუნჯვილ-ს**) ეძახიან, დახეულ ტანსაცმელს— **ნაბერძღალ-ს, ნათოს-ს, ქათორ-ს, ქირი-ქირ** (‖ **ქიცი-ქიც**) **გაყრილ-ს, ფხრე-ს** და მისთ. „ეეს რაველიე **ნაბერძღალ** მაეიდ შერიაის სამთხულიეით“.

„მეჰეეე ეერ მომეწეეის, რომ **ქიცქიც** გაიყარასა“

(ხევს. პოეზ., 563_{11}).

დახეულ ტანსაცმლიან კაცზე იტყვიან: **ტორზო** [‖ **ტაბარზენი** ‖ **ტანტარუზი** (←ტარტაროზი?) ‖ **ტაბარუკი-აო**], ხოლო მსუბუქად ჩაცმულს ან შიშველ კაცს **ტალიკანა-ს** ეძახიან. „**ტაბარუკ** ნაგაბარი, ტალავარ რო არ აქვ კაცს, **ტორზოიც** ისივ-ა“.

„გათენებს **ტალიკანაი**, დიდო ღამეო სთელისაო“

(ხევს. პოეზ., 517_{20}).

ტანაცმელ-ფეხსაცმლის გახდას **წაყრა-ს** ეძახიან (**ტალავრის წაყრა, ფეჴისაცმლის წაყრა**).

„**წაიყრის ქალბან-ბანდულსა**, ლამაზს ჩაიცომს ჯღანსაო“

(ხევს. პოეზ., 184_{6}).

კვირტისა, რისვისა და ნაგულასაგან ჩხირებით ქსოვენ **თათ-საფუჯარ-ს** (წინდა-ხელთათმანს). „**რისვისა თათი, საგებელი, საფუჯარი**' ეეგეთურა კეთდების“. „წინ-წინ **სათათესა**' **სასაფუჯრეს** გავასთავეთ საზამთროდ, კაცისად. მენადირეს ეჯირების **თათ-საფუჯარი**, მალე უნდა მაუქსოათ იმას, ჭანამდე დაზამთრდების“. თათი მრავალგვარი იქსოვება: **საქალბნე თათი, ამაკერებულ თათი** (ძირზე ტყავგამოკრული), **კვირტისა, ამაცვლილა, შიბაიან თათი** და სხვ. ახალ მოქსოვილ თათს გარეცხავენ და მსხვილ, მრგვალ, სოლის-მაგვარ ხელსაწყოზე—**საფართ**-ზე წამოაცვამენ, რათა მოიჭიმოს.

ნაგულას იყენებენ **ქალის ბაჭიების** მოსაქსოვადაც. **ქალის ბაჭიჭი** ორგვარია: **ჰრელი** (ახალგაზრდისათვის) და **შავი** (საბერო). კაცის ბაჭიჭი კარგი მატყლისაგან მზადდება და ზეიძლება იყოს შავი, ლეგა ან ჰრელი (მოჭარგული). არის კაცის გრძელი ბაჭიჭებიც. ასეთი ბაჭიჭები ბუხლის ზემოთ ადის და მათ **სამუჯლენ ბაჭიჭნი** ეწოდება. „კრაელისას შავისას **საბაჭიჭეს** ვასთავეთ, თეთრლეგისას **სანიფხვე-საპერანგე-საჩოქეს** ვასთავეთ, დიაცისად **სამანდლეს** ვასთავეთ“.

„გუნებით კი ჭევსური ორ, **ბაჭიჭებ** აღარ მცვაე ჰრელი“

(ხევს. პოეზ., 566_{13}).

ხევსური ქალები ტალავარს მრავალგვარი სახის ნაქარგით ამკობენ. ნაქარგის სახეების აღწერა ძალიან შორს წაგვიყვანდა და, ამიტომ, ჩვენ მხოლოდ სახელწოდებებს ჩამოვთვლით. ზოგადად ნაქარგს **ნაკერი** ეწოდება. კერვის ორგვარი ხერხია—**შიბა** და

ნაჭრელა. როგორც შიბათი, ისე ნაჭრელათი მრავალგვარი „სახეები“ კეთდება.

„რაი-ღ ექნა, ველარ დავხკერავ პერანგის ნაჭრელახაო“
(ხევს. პოეზ., 332_{10}).

„სიტყვა წარა-მარა ვიცი შიბაიანს თათივითა“ [128]
(ხევს. პოეზ., 725_{2}).

ნაქარგის (resp. ნაქსოვის) [129] სახეებია: **მწკეპრა, ტომრის შიბა, მტყელ შიბა, დამხვევრული, დაკბილული, თავგრაგნილი, თავნახარა, დაკაული, დაკავკაული, ცვერცა, ყურისთვალა, ყელგძელა, უნაგირა, ქისტურა, ლიშაბახურა, კვერა, კეხა, შუშუჩაყრილა, მგზავრა, კბილა, ჩითა, პეპელა, ხატიანა, მელიკუდა, ორმაგი, არხოტულა(‖ღერაგძელა), ჯადუურა, კიმხა, აკუშურა, ქემხა** და სხვ.

„სტუმრის ბეერისა მასახურსაო,
ტყავსა ქემხითა ხკერავლაეო“
(ეთნ. მას., 1_{9-10}).

ისეთ ნაქარგს, სადაც მყვირალა (**ლაღი**) ფერები (თეთრი, ყვითელი...) სჭარბობს, ხევსურები **ჰყეტ**-ს ეძახიან, ხოლო ისეთს, სადაც მკრთალი ფერებია და ისინი შეხამებულადაა გამოყვანილი,— **ბურმა**-ს. თითქმის ყოველგვარი ნაქარგი, როგორც აღვნიშნეთ, ქსოვაშიაც გადააქვთ.

წინათ ერთადერთი საქარგავი მასალა მატყლის ძაფი—**ნაჭერი** იყო. შემდეგ მისი ადგილი **აბრაშუნ**-მა დაიჭირა. როგორც ნაჭერს, ისე „აბრაშუნს“ პატარა შულოებად შეკრავენ და ამ შულოს ჭარხინკა-ს ეძახიან. აბრეშუმის ძაფს ახვევენ აგრეთვე საგანგებოდ დამზადებულ ხის მრგვალ ხელსაწყოზე—**საბრაშუნე**-ზე (‖**საბრაშუნია გალა**-ზე), რომელიც ორნამენტირებულია და რამდენიმე დანაყოფი აქვს სხვადასხვა ფერის „აბრაშუნის“ გადასახვევად. ქალის სახელსაქმო იარაღში შედის აგრეთვე **სათითურა** (‖**სათითე**), ურომლისოდაც კერვა შეუძლებელია.

„გალეგდა შენი **საკერავიო**,
ჩავარდა **საბრაშუნეიო**,
გაგორდა შენი **სათითეიო**“
(ეთნ. მას., 77_{6-7}).

---

[128] ტექსტში შეცდომით წერია „შამაიას თათივითა“.

[129] რასაც ქარგავენ ხევსური ქალები, იმას ქსოვენ კიდეც, ნაქარგის გადატანა იციან ხოლმე „საქსოვზე“.

საკერავ-საქარგავ მასალად იყენებენ აგრეთვე ყაჭ-ს (კოპის ძაფს), **კომალა**-ს და სხვ.

„**ჩოჯა** მავართვი **ორშიანიო**,
თათი, ბაჭიჭი—**ყაჭისაიო**“
(ეთნ. მას., 33_{10-11}).

ნაჭრისაგან წნავენ არშიებზე შემოსაკერებელ ზონრებს: **შილიფა**-თ, **კუთხა**-თ და **შიგამადებულა**-თ (‖ **მტყლებურა**-თ). ქარგვაში დიდი გამოყენება აქვს მაუდის ფერად ქსოვილს „**ხკლატ**“-ს, რომლისგანაც **ზიკებ**-ს და **ნაფთულებ**-ს ამზადებენ.

ნაფთული—სხვადასხვა ფორმისა და ფერის ნაკუწებია სკლატისა ან ფერადი ფართლისა, რომელთაც ტალავრის შესამკობად იყენებენ. მიწური ბანიდან გადმოყრილი თოვლის გროვა რომ დადგება, იმასაც **ნაფთულ**-ს ეძახიან.

„ველარ ვნახე მიმავალი, დამეფარა **ნაფთულიო**“
(ხევს. პოეზ., 358_4).

ქარგვისათვის აუცილებელია **შილა**—წითლად შეღებილი ტილოს ქსოვილი, რომლის **დესთებ**-ზე (**დესთნი**), პარალელურად გაწყობილ ძაფებზე, კერავენ „შიბაით“ ან „ნაპრელაით“.

სხვა მოსაქარგი საშუალებებიდან ფართოდაა გამოყენებული ვერცხლის სამკაული: **ფული**, „**აბაზეულის ჯვარჯები**“, **ვერცხლის კუკუმა**, **ხატი**, **მძივ-ძვალისღილა** და სხვ. სამკაულს ბავშვის ენაზე **ღილია** ეწოდება, ხოლო ასეთი სამკაულით მორთულ ტანსაცმელს —**ლულუანი** ‖ **ლულუა**.

„წამადე, თამარისძეო, **ლულუან** გელევიანო“
(ხევს. პოეზ., 176_{13}).

ტანსაცმელის სამკაულისაგან გაძარცვას **გაშილვა**(‖ **გახოშვა**) ეწოდება. **გაშილვას**(‖ **გახოშვას**) ეძახიან აგრეთვე მსხმოიარე ხეხილისათვის ნაყოფის დაყრევინებას, თავთავისა ან ტაროსათვის მარცვლის დაყრევინებას და მისთ.

როგორ ლამაზა უჭდების ვაშკაცის ტალავარზედა,
მძივ-ძვალისღილა ნაკრავი, როგორც რო ქალსა თმაზედა“
(ხევს. პოეზ., 520_{64-64}).

„შინ დედა გაუჯავრდების: „არც სრუ იცია სირცხვილი?
ჩამაგიშალა მიწამა! გადაგკეკია ცხვირ-პირი“
(ხევს. პოეზ., 369_7).

„შენაც-ოოც გაკლავ კბილებ, ბეწვინავ, მია(ც) ქოო(დ) **გახოშვილ** დავრჩი“ (მიქელ. მას.).

აღნიშნულის გარდა, ქალები იყენებენ ვერცხლისა თუ სხვა ლითონის სამკაულს: **სათითე**-ს (‖ **ბეჭედა**-ს), **საყურ**-თ, **ზალტეებ**-ს და სხვ.

„**სათითევ**, შენ ხარ მოწამე შუ-და-შუ **ნასევდიანი**“
(ხევს. პოეზ., 339_{5}).

„ან საქცევ გამამიგზავნე, ან **საყურ ზინზილიანი**“
(ხევს. პოეზ., 346_{3}).

„დავნაყე **საყურ-ბეჭედი**, მამულთ ულიშნენ გზანიო“
(ხევს. პოეზ., 163_{11}).

„ქსელთა ექსოვ მამის ეზოთა, **ზალტეთა** ვაერიალება“
(ხევს. პოეზ., 412_{1}).

ხევსური ქალის თავსახურავებიდან აღსანიშნავია შემდეგი: **მანდელი**—უდაზე მოქსოვილი ცალპირა ტოლისაგან დამზადებული, სწორკუთხედის ფორმის გრძელი თავსაბურავი, რომელსაც **სათაურა**-ზე იხვევენ. **სათაურა**—მოქარგული რგოლი, რომელსაც **ქიჩილაზე** იხურავენ.

სათმენი—ნაწნავებზე შემოკერებული სალტე ქსოვილისა, რომელსაც შუბლზე იხვევდნენ **ნაჭაპნიანი** (ნაწნავიანი) ქალები. ახლა აღარც არავის **ნაჭაპნი** აქვს და აღარც **სათმე**-თ იყენებენ.

ჭანჭიკის ჯელისაჭოცი—ესეც ნაჭაპნიანი ქალების თავსაბურავი იყო მოქარგული და მას სათაურას მაგიერ იყენებდნენ. ახლა აღარ იხმარება.

ქიჩილა ‖ **ქიჩილანი**—თავშალი.

„ქმარავ, დაგეწვნეს ქალობანიო,
ზალტე-სათითენ ვერცხლისანიო,
სათმენი აბრაშუნისანიო“
(ეთნ. მას., 47_{10-12}).

„მამიტანივნა **ქიჩილანიო**
ცხრათ ძმათ საკარგყმოდ ატანილნიო“
(ეთნ. მას., 12_{9-10}).

„**ქიჩილა** მამიტანიდი, გადავიხურო თავზედა“
(ხევს. პოეზ., 187_{13}).

კაცის ტალავარი შემდეგია: **თათნი**, **ქალბანნი**, **ჯღანნი**, **ბაჭიჭნი**, **საწვიენი**, **ტანისაცმელნი** (‖**ნიფხავნი**), **პერანგი**, **ჩოჯა** და „**შილეტკა**“. იცვამენ აგრეთვე ნაყიდ ტანსაცმელს: **პალტო**-ს, **ქუქუნაკა**-ს, **ახალუხ**-ს და სხვ.

„რუსულ ქუქუნაკ ჩამაცვეს, მნახეედი[130], გახკვირდებოდი“
(ხევს. პოეზ., 454_8).

„რუსეთში არხოტიონსა რუსულ ქუქუნაკ სცვავისა“
(ხევს. პოეზ., 457_1).

„შილეტკა“ მართლაც ჟილეტს ჰგავს, ოღონდ იგი მოქარგულია, მაღალი საყელო და მოკლე სახელოები აქვს.

კაცის ჩოხას აქვს შემდეგი ნაწილები:[131] **საჯელნი, კალთანი, საყელო, ზურგნი, წელნი, ბეჭნი, მჯარ-საკლისთავნი, ბოლონი, უბენი, ჯიბანი** (‖ **სამასრაენი**) და **აზლოტნი**. „მატყლისაიც პერანგი, ჩოჯაი' დედროვნის ტალავარ კეთდების“.

„შენ დაგცდეს ლეგან ტალავარნიო,
იმას ჩოჯაი სკლატიანიო“
(ეთნ. მას., 5_{27-28}).

კაცის პერანგს აქვს **საბეჭური** (გულისპირი), რომელიც მოქარგულია „შიბაით“ ან „ნაჭრელაით“. პერანგი გვერდის ნაწიბურზე ბოლომდე არაა ჩამოკერილი და ამით **კალთა** (პერანგის წინა მხარე) ცალკეა გამოყოფილი. ამ ღიად დატოვებულ ადგილს ეწოდება **სამჯედრო** და იგივეა რაც **ჩოჯის, ფაფანაგი-ს, ქოქლო-ს** და **ქათიბი-ს აზლოტი**.

შარვალს ხევსურულად **ნიფხავნი** (‖ **ტანისაცმელნი**) ეწოდება და მას აქვს შემდეგი ნაწილები: **ტოტები** (‖**მუქასარნი**), **საწელე**,— რომელიც კვირტისაგანაა დაწნული და **სასაწელეეშია** გაყრილი, და **ჰაჰი** (‖**ადლი**)—ის ნაწილი შარვლისა, რომელიც სასირცხვო ალაგს ფარავს.

ქალის ტანსაცმელს შეადგენს: **სადიაცო** (‖**ჩოჯა**‖**ჩოჯისძველნი**), **ფაფანაგი, ქოქლო, ქათიბი, თათნი, ჯღან-ქალბაანნი, ბაჭიჭნი, მანდელი, სათაურა** და **ქიჩილა**. ცალკე იქსოვება **სარტყელნი**—მანდლის ფორმის გრძელი შალი, რომელსაც გრძელი და ხშირი **ფევსები** (მოუქსოვად დატოვებული, „კუთხაად დაწნული“ ნაპირები) აქვს. ხევსური ქალი მარტო **სადიაცო-თი** (=მარტო კაბით) ვერ გამოვიდოდა გარეთ, თუ გამოვიდოდა, „**გუდრუხელა** დაითრებისა“-ო, იტყოდნენ; ასე სიარული სირცხვილი იყო. ამიტომ სადიაცოზე ქოქლო, ფაფანაგი, ტყავნი ან ქათიბი უნდა სცმოდა. უკიდურეს შემთხვევაში სარტყელთ მოიხვევდა, წელში გამოისკვნიდა

---

[130] ტექსტში შეცდომით წერია „მნახებდი“.

[131] ასეთივე სახელწოდების ნაწილები აქვს ტალავრის ზოგ სხვა სახესაც, ამიტომ მათი აღწერისას მხოლოდ მათთვის დამახასიათებელსა და სპეციფიკურ ტერმინებს აღვნიშნავთ.

და ფევსებს ჩაუშვებდა. სარტყლით სიარული „გუდრუხელაობად“ აღარ ეთვლებოდა.

ფაფანაგი და ქოქლო ბევრით არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: ფაფანაგი ორშიანი ტოლისაა და მას უფრო ძველად ხმარობდნენ. იგი სკლატის ნაფთულებით იყო აპრელებული. ქოქლო ცალპირა ტოლისა კეთდება, მისი შეკერვა გვიან დაიწყეს და. მას შიბათი ან ნაპრელათი ქარგავენ. ქათიბი ფართლისა კეთდება და გვიან შემოღებული ჩანს.

„შვიდნ ოჯრად მაგჩეს **ფაფანაგნიო**,
ცხრან **ჩოჯან ჩაქორთოშაულნიო**“
(მიველ. მას.).

„ჯალაფთ წყემსობად წამლალეს, **ქათიბ** ჩავიცვი პრელიო“
(ხევს. პოეზ., 397_2).

ქალის **ჩოჯა** (‖**ჩოჯისძველნი** ‖ **სადიაცო**) შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: **ფარაგი**—ის ნაწილი, რომელიც მკერდს ფარავს. ფარაგი მოქარგულია და **ღილ-შატით** იკვრება მარცხენა მხართან. ფარაგს დაკერებული აქვს სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოქსოვილი და მოქარგული მატერიის ნაპრები: **ჯვრელა, უბეთსაკერება** და **სამწყვეტლო**. ფარაგის ქვემოთ მოქსოვილ **სარტყელ**-ს ირტყამენ. ეს სარტყელი ქმნის **სარტყლის უბე**-ს.

სადიაცოს კალთებზე აკერია **სამირგვლია** და **თიკვი**, ბოლოზე კი რამდენიმე (სამიდან შვიდამდე) **ქოქომო**—სხვადასხვა ფერის, ათიოდე სანტიმეტრის სიბრტყის, ყდაზე მოქსოვილი მატერიის ნაპერი. ქოქომოებს ისე აკერებენ, რომ ისინი უკანა მხარეზე ქმნიან სიმეტრიულ ნაოჭებს, რასაც **ნაჩაფნი** ეწოდება. უკან სადიაცოს მოკერებული აქვს ჭრელი, ყდაზე მოქსოვილი **ბოლოთსაკერება**, სახელოებზე კი—**საველთსაკერება**.

ხევსური ქალები ყელზე იკეთებენ ვერცხლის შიბს, რომელზედაც მრავალი ვერცხლის ფული, **ჯვრები**, **კუკუმაები**, **ჩაფურასტი** და მისთანანია აკინძული. ამ ყელსადებს **სამკაული**(‖ **სამკაულნი**) ეწოდება. ფართლისაგან კერავენ და ვერცხლის სამკაულებით რთავენ მეორენაირ ყელსადებს, რომელსაც **ყელსასხამნი** ეწოდება. ყელზე იდებენ აგრეთვე **ქოჭა**-ს—აბრეშუმით მოქარგულ მძივიან სამკაულს, რომელიც ავსებს რა სადიაცოს ოდნავ დაბლა ამოკრილ გულს, ქალს უფარავს ყელს.

„თვალაჯათ ივანეური ომობდა **ჩოჯისძვლიანი**“
(ხევს. პოეზ., 182_{13}).

„კაი ყმა ჭმალსა ჩახედავს: „ნეტარ განიკრის თუ არა?“
ცუდაი ქალის უბესა: „ნეტარ შამიხევს თუ არა?“
(ხევს. პოეზ., 286).

„ზურაბმ ხოყანა აიფრა, ბევრ ვაჟს უტირა დედაო,
ბევრ ქალს გაუჭსნა ფარაგი, უკბინა ძუძუზედაო“
(ხევს. პოეზ., 18_{1-2}).

„ცოლ ლამაზ კვირიკაისა ფარაგთით იხოშებისა“
(ხევს. პოეზ., 516_{6}).

„გოთლასძევ, გამამილალე ყაწმი შენის ჭმლისაო,
ფარაგზე არ დავიკრაედი, მგლოვიარე ვარ ქმრისაო“
(ხევს. პოეზ., 138_{10-11}).

„აეგრავ მია კუჭულანიო
მესხნიან სარტყლის უბეჩიაო“
(ეთნ. მას., 7_{13-14}).

§ 22. **რძე და რძის პროდუქტები.** რძეს ხევსურები **ზისვარ-ს** || **ზისცვარ-ს** (←სძის ცვარი) ეძახიან.

შარმანაულო შავარდენო...
მთიბელნი გიხარიანლაეო,
მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო
დუმას ზისცვარში ხარშაულაეო“
(ეთნ. მას., 1_{1-4}).

საქონელს ხის პატარა კასრში **კინჭლე**-ში(|| **კოფა**-ში) წველავენ. ჰურჭელს, რაშიაც რძეს წველავენ, **საწველელი** ეწოდება. **უდგამ ფურ-ს** ხის პატარა **ჯამით**(|| **წიწნით**) **საგერებ-ს** ალოკვინებენ და ისე გამოსტყუებენ რძეს. **საგერები** ის მარილია, რომელსაც ამ დროს ძროხას აჭმევენ, რითაც აჭმევენ. იმას **სასაგერებე-ს** ეძახიან.

...დედას საქონ გაუსხლიტე, რას მიუდგამს **საწველელსა**?
(მივლ. მას.).

„ხოდედა რასა-ღ მიუდგამს **საგერებიან წიწანსა**?
(ხევს. პოეზ., 721_{6}).

რძეს და რძის პროდუქტებს ზოგადად **ნაწველ-ნადღვებ-ს** ეძახიან. ყველაფერს, რისი ხვრეპით ჭამაც შეიძლება, **შასახვრეტი**, ხოლო ბავშვის ენაზე დუა ეწოდება. რძის შესანახად ხევსურებს სპეციალური ბინა აქვთ, რომელსაც **სენეს** ეძახიან. **სენე** ყველა სახლს არა აქვს; სენეში (ანდა სახლში რძის შესანახად გამოყოფილ ადგილზე) დგას ხის ან სპილენძის მრგვალი **ბაკნები**, რომლებშიაც მოწველილ „ზისვარს **ჩასწურვენ**“ ბუჩქნარი მცენარის, მაქაცისგან, ანდა ბალახის ფესვებისგან დამზადებული **საწურა**-თი და ზედ წნელისგან დაწნულ ბაკნისავე ფორმის საფარს დაახურა-

ვენ. ლასტის საფარი იმითაა კარგი, რომ **„საზისვრე ბაკნებ-ში“** ჰაერი თავისუფლად მოძრაობს. რძის ჩაწურვიდან თორმეტიოდე საათის შემდეგ (დილიდან საღამომდე ან საღამოდან დილამდე) რძე ნაღებს **„მაიგდებს“** (გაიკეთებს) და საჭიროა რძისა და ნაღების გაცალკევება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხევსურები ძროხის რძისაგან მხოლოდ მოხდილ ყველს—**სატან**-ს ამზადებენ. ხევსურები მხოლოდ ცხვრის მოუხდელი რძისაგან დაშზადებულ ყველს ეძახიან **ყველ**-ს, თორემ ყველის ჩვეულებრივი ხევსურული სახელი **სატანი**-ა.

ბაკნებში დაყენებულ რძეს **საკუსე**-ს ეძახიან. თუ საკუსე სიცხეში მოხვდა, მჟავდება და მისგან ამოღებული **კუსი** იწელება, **„იძაბების, ძლაბი, ლუტ-ლუტი“. ლუტ-ლუტი**—შედედებული რძეა, **ძლაბი**—**კუსია**, რომელიც იწელება („იძაბების“).

ყველის ამოსაღებად (**„კუსის ამასაწურავად“**) საჭიროა **კუსიხ წაჯდა**: ნაღებმოდგმულ რძიან ბაკანს აიღებენ და ნაღებს სულის შებერვით და თითების მოშველიებით გადააცლიან, გადაიტანენ მეორე ჭურჭელში (**ბუნაგ**-ში), რომელსაც **საზეური** (←სასძეური) ეწოდება. დარჩენილ რძეს **საკუსე ქვაბ**-ში „ჩასწურვენ“ და ოდნავ შეათბობენ. გამთბარ რძეში **წამალა**-ს (რძის შესადედებ „წამალს“) ამოჰყლეტენ.

წამალა ასე მზადდება: მწოვიარე ხბოს ან თიკან-ბატკანს რომ დაკლავენ, ამოაცლიან კუჭს, დაამარილებენ, შიგ არაყს (და ზოგჯერ კვერცხსაც) შეურევენ და ბოლში გამოიყვანენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ნივთიერებას, რომელიც კუჭში იყო, გადაიტანენ ტილოს პატარა ტოპსიკაში, და ეს უკვე წამალაა.

„წამალა ჩაწურებული საკუსე“ ცოტა ხნის შემდეგ **შაუგდებს** (რძე შედედდება). „ამაწურივილ სატანს“ **კუსი** (‖**კუშუშველა**) ეწოდება. ამ უმარილო ყველიდან ამოგლეჯილ ერთ მუჭა ყველსაც **კუშუშველა** [‖**კუშუშვილა** (←კუსის შვილა)] ეწოდება და ბავშვებს აჭმევენ ხოლმე. **კუსი** ყველის აღმნიშვნელად შემდეგაც იხმარება ხოლმე, მაგრამ სხვა კონტექსტში: **კუსი** ერთ თავ ყველს აღნიშნავს. იტყვიან: „ერთ **კუს** სატანი“, „ორ **კუს** სატანი“ და სხვ. ყველსა და ერბოსაც ერთად გაცხელებულს **კუს-ერბო** ეწოდება (და არა **სატან-ერბო** ან **ყველ-ერბო**).

როცა პატარა ზომის კუსი ამოაქვთ, ამ ყველს **კინჩხ**-ს ეძახიან, ასეთი **„კუსის ამაწურვა“**-ს კი—**კუსის ამაკინჩხვა**-ს. შრატი, რომელიც ყველის ამოღების შემდეგ რჩება ქვაბში—**ტკბისველა**-ა (←ტკბილ სველა) ანუ **სველი**-ა. სატანს ბავშვის ენაზე **ატია** ეწო-

დება. სატანი შეიძლება იყოს **კვიმსი** (მაგარი), **ტუნტული** (რბილი) ან **მჩქვლთარი. გაჩქვლეთა**-ს ეძახიან რაიმე საგნის დაწლას, დალპობას სითხისაგან, მიწისაგან და სხვ. ერთი ქალი ზტირალ ბავშვს ვერ ადუმებდა და მის ბებიას წყეველდა: „სად წაუვიდ აი ბერდედია მაინც, სად შავდების ე **ლოდის გასაჩქვლეთ** ეგი!“-ო.

სატნის, პურისა, მიწისა და სხვ. მცირე ნატეხს **კოჭიჟი** ეწოდება, ხოლო უმცირეს ნამუსრევს—**ნასეტი**. „ერთ **კოჭიჟ** სატან უპუროდ შაჭამ, ქალო, ყმაწვილს ნიადე წყალს მააწყურებდ“. ამოღებული ყველი ერთხანს ტილოს პარკში ან გახვრეტილ ჯამში—**კუსის საწურავა**-ში დევს, რათა ტკბისველასაგან დაიცალოს, ხოლო მერე **სასატნე კასრ**-ში გადაიტანენ. **სასატნე კასრი** ორგვარია: **სათანთანაო**—რომლიდანაც ყველს ყოველდღიურად ხარჯავენ და **უძრავ კასრი**—რომლიდანაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში (ქორწილი, ქელეხი...) ამოაქვთ ყველი.

ყველის წათხს **ძმარი** ეწოდება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძმარი ხევსურულში ნიშნავს მლაშეს. ძალიან მარილიანზე ამბობენ **უიშტი**-ა (|| **დოდაგი**-აო). უმარილო—**ულიგმოტო** იქნება. ყველის წათხს **ზალა ძმარი** (|| **ნწკირტო ძმარი** || **მწკიმარო ძმარი**-ც) ეწოდება. ზალა ძმარში კუსებს რომ ჩააწყობენ, ზემოდან მოზრდილ ქვას დაადებენ, რათა ყველი ძმრიდან არ ამოვიდეს და არ გაშრეს. ამ ქვას **სარქველ**-ს ეძახიან. სხვა კონტექსტში სარქველი თითქოს აღარ გვხვდება.

ზალა ძმრიდან ხევსურები საჭმელ ძმარს ამზადებენ: დიდი ხნის ძმარში—**ძველის ძმარ**-ში შეურევენ რძეს, ხაჭოს, ნაღებს და საჭმელ ძმარს ღებულობენ. **პურ-ძმარი** ღარიბი სუფრის ნიშანია და მას საპატიო სტუმარს არ მიუტანენ. ნათესავთან მოსაკითხით („არაყით“) მისულს, ცნობილ მელექსე გუგო გოგოჭურს მიუტანეს პურ-ძმარი. სტუმარმა ლუკმა ძმარში ამოაწო და დამცინავი ღიმილით ჩაილაპარაკა:

„დალოცვილო **ძმარო**,
მამკითხავი ვარო“...

საზეურში ნაღები რომ კარგა რაოდენობით დაგროვდება, საჭიროა **ზისვართ დადღვება**. „ზისვართ დღვებენ“ **ყუიკა**-ში (|| **სადღვებელ**-ში || **ვარია**-ში).

ყუიკა—ჩვეულებრივი ეიწრო კასრია, რომელშიაც ნაღებს ასხამენ და დღვებავენ **ბირნელა**-თი. **ბირნელა** ჩვეულებრივ ურძნის ხისა კეთდება. ესაა 120—140 სმ-იანი სწორი ჯოხი, რომელსაც ბოლოში წამოცმული აქვს ხის მრგვალი ფირფიტა. ფირფიტას

რამდენიმე ნახვრეტი აქვს. ბირნელას ამოწევა-ჩაწევით ურევენ და დღევბავენ რძეს.

ვარია-ც კასრია, ოღონდ ორმბრივ დახურულია და მხოლოდ შუა წელზე აქვს მცირე ნახვრეტი—**ვარიაის პირნი**, რომლიდანაც კარაქი გამოაქვთ ხოლმე. **ვარიაის პირ**-თ ზედ დააფარებენ გაფხეკილ-გასუფთავებულ საქონლის ფაშვის ნაქერს, რომელსაც **ხერა**-ს ეძახიან. ვარია ჰორიზონტალურადაა ჭერში თოკებით ჩამოკიდებული და მას ხელის კვრით „**აგუსტულაებენ საგუსტულათავით**“ (აქანებენ საქანელასავით). ქანაობისას ვარიაში ნაღები „**იმჩქვალების, იჩქანჩქლების**“ (იდღვიბება), მანამ, სანამ კარაქად არ იქცევა. დღევების დროს ვარიაში (**ყუიკაში**, სადღვებელში) გაჩნდება **კარაქის წილნი** (კარაქის ერთგვარი „მარცვლები“), რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ზისვარნ მალე დაიდღვიბებიან“.

სადღვებელი—იგივე **ყუიკა**-ა, ოღონდ **ყუიკა** ქისტური სახელწოდებაა (**ყუჯ**), სადღვებელი კი—ქართული. ქისტური სახელია **ბირწელაც** (**ბირნ**)[133].

კარაქს ერთხანობას ინახავენ, რათა რამდენიმე ნადღვების კარაქი ერთად გადააღნონ ერბოდ. კარაქს შუაში ჯვარს გაუკეთებენ და ამ ჯვარში ნახშირს ჩაასობენ (ავი სულებისაგან დასაცავად, ბარაქის შესანარჩუნებლად!) და წყალს დაასხამენ. კარაქის დიდხანს მშრალად დატოვება არ შეიძლება, თორემ „**დასულდების, დაბოყვდების**“ (**ბოყვი**—რიის პროდუქტების, კერძოდ ცხიმეულის, ობს ეწოდება).

კარაქიდან ერბოს მიღებას **კარაქთ დაძირება**-ს უწოდებენ. კარაქთ ასე „აძირებენ“: კარაქს გაადნობენ. გამდნარ კარაქს ერთხელ კიდევ გადაწურავენ, რათა შეყოლილი დო მოაცილონ. ასე მიიღებენ **კარაქმდნარ**-ს. კარაქმდნარს აადუღებენ და ზედ ცოტა ფქვილს დააყრიან. ასე ადუღებენ მცირე ხანს. ფქვილი კარაქმდნარს გამოაცლის სიმჟავეს, დოს ნარჩენს და ძირს დაილექება. ძირს დალექილ. „ფაფას“ **ერბოს ფაფა** (‖ **კარაქისძირი**) ეწოდება. კარაქისძირიდან გადაწურავენ სუფთა ერბოს, რომელსაც **საპოხ**-ს (‖ **წურვილ**-საც) ეძახიან. ერბოს ბავშვის ენაზე **აბუა** ეწოდება.

საზეურიდან რომ ნაღებს აღოიღებენ, შიგ ხაჭოიანი რძე—**ძირნი** რჩება, რომელსაც ან უმად ჭამენ, ან აცხელებენ და ისე ჭამენ. თუ ნაღები დიდხანს ინახებოდა, მისგან გამოცლილ „ძირთ“

---

[133] ადიღეელი ამხანაგის მუხტარ მერეტუკოვის ცნობით **ყუიკას** ადიღეელები **ყვაჲა**-ს ხოლო ბირნელას **ყვაეჭ**-ს ეძახიან.

სიმწარე ახასიათებს. ამ სიმწარის აღსანიშნავად **კოწახი**(‖ **კონწარი**) ტერმინები იხმარება. „ამ ძირთ მე კი ვერ შავსვრეტ, ქოო **კონწარნი**“. ეგეთე ტერმინი იხმარება მკვახე ხილის სიმწარის (თუ სიმჟავის) აღსანიშნავადაც: **კოწახ ვაშლი, კონწარ ვაშლი** და სხვ.

კარაქის ამოღების შემდეგ ყუიკაში რჩება **დო**(‖ **დოვი**). დოს უმად ხვრეპავენ; თუ გააცხელეს, ღებულობენ **კალტიან** (ხაპოიან) შრატს, რომელსაც **ხარშო**-ს ეძახიან. დოვი, ხარშო, ძირნი ან ტკბისველი რომ დიდხანს დარჩეს, დაობდება და ამ პროდუქტების ობს **კატაში** ეწოდება.

ძირთ, დოვს და ხარშოს „დასწურვენ“ და **კალტს** გამოაცლიან. კალტს ტკბისველას მოდუღებითაც ღებულობენ. კალტს ამარილებენ, პატარ-პატარა კვერებად—**კალტისკვერა**-ებად „**შახბურკვენ**“ (შეკრავენ), ბოლში ახმობენ და სატნის ნაგიერ ხმარობენ, ანდა კალტს და ერბოს ერთად აცხელებენ და **კალტერბო**-ს (ხაპო-ერბოს) აკეთებენ. კალტს იყენებენ **კეცეულის** (ხაშაპურის) გასაკეთებლად (**კალტიან კეცეული** ბზადდება), **ქადისკვრის** (ხინკლის) გასაკეთებლად და სხვ. „შენ რასაღ სიედებ, ბიპო, **კალტიანს ქადისკვერივით**, ყმაწვილის **სივილ-ტლიკვილ** რაიღ-ა!?“

ხარშოში ან ტკბისველში სველის გადაწურვის შემდეგ წვრილად დაფშვნილი კალტი რომ დარჩება, იმას **თორნი** ეწოდება. ბევრკალტიან ხარშოს **თოთო ხარშოს**-აც ეძახიან. ტკბისველას გამოხარშვის (მისგან კალტის გამოცლის) შემდეგ რომ რჩება შრატი, მას **ნარცხ**-ს ეძახიან. ჰურჩლის ყოველგვარი მონარეცხიც **ნარცხი**-ა.

„ციბით **ნარცხან** გადმოვღვარენ, ძირჩი დარჩეს **თორანიო**,
შენ კი მაინც არ მინდოდი, თუნდა ვიყვნათ ორანიო“
(ხევს. პოეზ., 416_{1-2}).

§ 23. **ხორცი და ხორცის პროდუქტები.** როგორც აღვნიშნეთ, „**აპატინას ჯორც**“-ს, „**გამასჭრიან**“ და **კუთ ჯორც**-ს (‖**ლიკვ ჯორც**-ს) „**ჩაძმობენ**“ (დაამარილებენ) **საჯორცე კასრ**-ში. დამარილებულ ხორცს **საძმობის ჯორცი** ეწოდება. საძმობის ჯორცისაგან აკეთებენ **ჯორცის გულიანებს ქადისკვრებ**-ს (ხორცის ხინკალს), **კეცეულ**-ს, **ყაურმა**-ს და სხვ. ხორცს **მშრალად მაწულ**-საც ჭამენ. ჩამძმარ ჯორცს მარილი არ უნდა აკლდეს, თორემ „დასულდების, **დამძაჯდების**“. ხორცი არც მშრალად უნდა დარჩეს, თორემ ობი (**ჯრომლი**) მოეკიდება. კასრი კარგად უნდა იყოს დახურული, თორემ „ჯორცს მემწერე ბუზე **დახმწერავს**“.

როგორც ვთქვით, ძვლებს ჭერში შებოლავენ და მერე **ადულილებენ** (ხარშავენ). ხორცის მოსახარშად ჩაყრას **ჯორცის ჩადგმა**-ს ეძახიან, ამოღებას კი—**ჯორცის ამაყრა**-ს. ძვლის გულდასმით გამოხერას ძვლის **გამახიზვნა**-ს ეძახიან. წვრილფეხის ფეხებს მოტუსავენ და მათგან აკეთებენ რაღაც ხაშისმაგვარ საჭმელს. წვრილფეხის ფეხებს **ჯაჯუშებს** ეძახიან. სოფ. ჯადუს მცხოვრებლებზეა გამკილავი ლექსი:

„ჯადუელო, **ჯაჯუშ** ჭმელო,
ნიფხავ-ძველო, **საწურ**[133] გძელო“-ო
(ჩივლ. მას.).

სისხლისა და **შიგაურისაგან** (ფაშვ-ნაწლავებისაგან) აკეთებენ ძეხვს, რომელსაც **კიტა**-ს ეძახიან. ხევსურული კიტა ჩვეულებრივ ძეხვივით დიდხანს ვერ ძლებს და მას ადრევე ჭამენ ხოლმე.

როგორც ვხედავთ, ხევსურები ხორცისაგან ბევრს ვერაფერს აკეთებენ და მათი კულინარული ლექსიკაც საკმაოდ ღარიბია.

---

[133] საწური—იგივე საწელია.

თავი მეოთხე

მშენებლობის ლექსიკა

მშენებლობის ხელოვნება ხევსურეთში სუსტად იყო განვითარებული. იშვიათად შეხვდებით იქ ქვისა თუ ხის კარგ ოსტატს. სახლებსა და სხვა ნაგებობას ხევსურები თავის მეზობლებს: მოხევეებს, ქისტებსა და ლეკებს აშენებინებენ. მაისტის ხეობის ქისტები, რომელთაც ბოლო ხანებამდე შემორჩათ ქრისტიანული წეს-რიტუალები და რომელთაც მეზობლებთან (ხევსურებთან, თუშებთან...) კეთილი განწყობილება ჰქონდათ, ქვის სახურავის **სიპერდა**-ს (←**სიპ-ერდო** თუ **სიპ-ედ-ი**?) ცნობილი ოსტატები იყვნენ.

ხევსურული ლექსიკა მაინც მდიდარია სააღმშენებლო ტერმინოლოგიით. საყურადღებოა, რომ ამ ტერმინოლოგიის დიდი წილი ძველი ქართული ენის ლექსიკას თანხვდება.

მრავალგვარი ფორმისა და დანიშნულების ნაგებობა გვხვდება ხევსურეთში. ეს უნდა ასახავდეს ხევსურეთის რთულ მეურნეობას: იქ მესაქონლეობა და მემინდვრეობა ოდითგანვე პარალელურად ვითარდებოდა.

ხევსურული ნაგებობები პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1. **ქვიტკირი**—გარკვეულ დროს თავდაცვის საშუალებაც იყო და საცხოვრებელიც;
2. **ციხე**—წმინდა თავდაცვითი მნიშვნელობისაა;
3. ადათებთან და რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული ნაგებობანი (**ჯვარნი, დარბაზი, საჯარე, კოშკი, საქვაბე, ეკალდამა, სამრეკლო** და სხვ.).
4. ქვიტკირისათვის გვიან მიშენებული ნაგებობანი (**წინგარდა, გარეთა, ახალდაფარებული, ცალბანა** და სხვ.).
5. დროებით საცხოვრებელი საზამთრო ან საზაფხულო ნაგებობანი (**ბოსელი, ჭოხი, ალაჩუყი, სიპერდა** და სხვ.).
6. ყველა სხვა ნაგებობანი (**სოფეხვნო, ქაგი, სანგალი** და სხვ.).

§ 24. **სააღმშენებლო მასალა.** ხევსურეთში ძირითად სააღმშენებლო მასალას ქვა წარმოადგენს. სამასალედ მრავალგვარი ქვაა გამოყენებული.

სიპი—ბრტყელი, თხელი ქვაა. სიპს სახურავისათვის იყენებენ.

გურჩი(|| გურგურელი)—მშენებლობაში მხოლოდ ლამ-კირის მეშვეობით გამოსაყენებელი მრგვალი **რიყის ქვა**-ა. ფილთაქვასაც **გურჩ**-ს ეძახიან ხევსურები.

ლოდი—აქა-იქლა იხმარება დიდი ქვის მნიშვნელობით. ამ ტერმინმა საფლავის ასაშენებლად ან დასახურად გამოყენებული ყოველგვარი ქვის მნიშვნელობა მიიღო. „მიწა შენს დედასა-დ' **ლოდი**“-ო, გაგიგია ხევსური ქალის ტირილში. წყევლაცაა: „შე **სალოდეო**, შე **სალოდისძირეო**“, ეტყვიან ერთმანეთს.

ბასრ ქვა—მაგარი, გამძლე ქვაა (უპირატესად რიყის ქვა).

„ზენ-უბან დაგიჯაბნებდი ნაგებსა **ბასრის ქვისასა**“

(ხევს. პოეზ., $13\frac{4}{18}$).

ზღვი(|| ზღვა || ზღვე)—სიპივით ბრტყელი, ოღონდ უფრო სქელი ქვაა, მას ბოსლის (გომურის) იატაკის მოსაკირწყლავად იყენებენ. ასეთი ქვით მოკირწყლულ ბოსელს **გამაზღულ ბოსელ**-ს ეძახიან.

ჰყირი(|| ჰყერი || ჰყორი)—წვრილი ქვაა, რომელსაც კედლის შენებისას იყენებენ ნახვრეტების დასარჩილავად. აქედან მასდარი **ამაჰყორვა(|| გამაჰყორვა)**, რაც ამოვსებას ნიშნავს (ოღონდ სითხეზე არ ითქმის).

კენჭა—კენჭი.

კლდის ფიცარი—ფიქალი კლდე.

„ჩაგხედავ, ჩემო შატილო, ადგილო ნაპირისაო,

კირით ნაგებნო ქვიტკირნო, მირგვალთ **ფიცარო კლდისაო**“

(მივლ. მას.).

ბროლი—თეთრი კაჟი. ხმარობენ ხატისა და სამარხი კოშკების მოსაპირკეთებლად. იხმარებოდა ციხეების მშენებლობაშიაც, როგორც სამკაული.

გველთსალოკა(|| ბორბოლიჰყი)—ბროლის კრისტალი.

ლიპყი—სიპის ნატეხი, თხელი პატარა ზომის ქვა, რომელსაც სიპის სახურავის გაკეთებისას ისევე იყენებენ, როგორც კედლის მშენებლობისას—**ჰყერ**-ს.

სიპრიელა—აგრეთვე თხელი, პატარა ზომის სიპი.

„მაგიდა, თაგჩი ქვან დამცნა მაჭარმა, ცოლის ბიძამა,
იჩომ მისვნ სიპრიელანი, პატივ არ დამდვა ციცამა“
(მიველ. მას.);

ქვამბილა—რბილი ქვაა, იშლება; მშენებლობისათვის არ უარგა.

ქარაფი—დიდი ლოდია; ქარაფი ციცაბო კლდესაც ნიშნავს.
„დაღმარხეს წვერის ძირშია, ზე ქარაფს დასცემდიანა“
(ხევს. პოეზ., 206_{16}).

კლდე (‖ **კლდენი**)—აგრეთვე დიდი ლოდია. კლდეს ის მნიშვნელობაც შერჩენილი აქვს, რაც სალიტერატურო ქართულშია დაცული. აქა-იქ გვხვდება კილდე-ც. არის გეოგრაფიული სახელები: **წიწ-კილდა, კილდის გორი** და მისთ.

„ჯანშათა ივანეური **კილდის** ვეფხვია მწკლიანი“
(მიველ. მას.).

„**კლდის თბისად** მატოლებულსა ნიავ გაწუხებს მთისაო“
(მიველ. მას.).

ტილაპი—კირქვა. აქედან გეოგრ. სახელი **ტილაპანი**.

ბროლ-მარილა—ლექსში გვხვდება: „ბორბალ აგებენ ციხესა **ბროლ-მარილაის** ქვისასა“-ო (ხევს. პოეზ., $157b_3$); ასეთი სახელწოდების ქვა თითქოს არ არსებობს. „ბროლ-მარილა“ შეიძლება ხევსური მელექსის მიერ დამახინჯებული „მარმარილო“ იყოს.

ხოხი(‖ **ხოხიხ ქვა**)—რიყის ქვაა, გამოიყენება მშენებლობაში და იარაღის (ცული, **ხანჯარი**...) სალესველად.

„ბევრა ვაქია შატილა—გულ უძე **ხოხის ქვისაო**“
(მიველ. მას.).

ტალი—კაჟი (შავია ან ყავისფერი). მშენებლობაში იყენებენ **ტალიან ქვა**-ს. ტალი კვესის ამხანაგია და მასთან ერთად ცეცხლის წარმოქმნის პრიმიტიულ საშუალებას წარმოადგენს. კაჟიან თოფსაც **ტალიან თოფ**-ს ეძახიან ხევსურები.

კოხი—მრგვალი, მაგარი ქვაა. აქედან ზმნა **კოხვა**, რაც ქვის სროლას ნიშნავს. „ე საქონ მიკოხრ, ყანაჩი არ შამაიყარას, ყანა არ დაალევრ“. **კოხი**—უმწიფარსა და ჭაავესაც ნიშნავს: **კოხ სხალი** (მკვახე მსხალი), **კოხ დოვი**—ჭაავე დო (‖ დოვი), გადატანითაც იხმარება ეს სიტყვა: უემურ, უხასიათო კაცზე იტყვიან „კოს კაციაო“-ო.

ქვიშა—კენჭების გროვა. ქვიშა ჩამოქცეულ კლდეზედაც მიუთითებს. აქედან გეოგრაფიული სახელი ქვიშა და ცხემლა **ქვიშანი**.

„ქალებო ფაჩის ნაჭოცებო,
ქვიშასა არ იყვენითაეო“
(ეთნ. მას.).

ღორღი—სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვები, ან ქვების გროვა.

ქვის უმცირეს ნამუსრევს **ნათოსი** ეწოდება, ხოლო შრეს, რომელიც ქვას ან კლდეს ფენებად ყოფს—**შიბი** ეწოდება.

„გაუდგებ ბახალახკესა, **ქარაფიანას** ჩდილსაო,
ფეკზე ფოლადის წრიაპი, **ნათოს** დალალას კლდისაო“
(მივლ. მას.).

„მოყმემა პირ-შიშველამა **შიბნ** გაიარნა კლდისანი“
(ხევს. პოეზ., 519_1).

„კურდღლის ბაცაცა მოვიდა, **შიბ-შიბსა** დახყვა კლდისასა“
(ხევს. პოეზ., 641_1).

„ჯიქვების გადალაჯულო **შიბო** და **შიბო** კლდისაო“
(ხევს. პოეზ., 512_{14}).

ქვის დასამუშავებლად საჭიროა **ქარჩი, ქაჩალი, რკინის კედი, ქვის სამტვრევი კვერი** და სხვა იარაღები.

„ამ ციხის აგებაშია ოცი მაუნდა წელია,
ორმოც მაუნდა **ქაჩალი**, სამოც **ქვის სამტვრევ კვერია**“
(ხევს. პოეზ., 541_{11-12}).

მშენებლობაში გამოსაყენებელი მიწაც მრავალგვარია:

პყარი(←მყარი)—ისეთი ნიადაგია, რომელიც ადამიანს არასოდეს დაუმუშავებია. პყარის საპირისპიროა **ნაძრავ მიწა**.

კიში(‖ **ყიში**)—მაგარი მიწაა, ძნელად სათხრელი.

ბიშინი—ლეგა, მოლურჯო მიწაა აგრეთვე შაგარი. **ბიშინას** ეძახიან აგრეთვე ღებვის დროს გამოსაყენებელ ერთგვარ სიმჟავესაც.

ბადლი—შავი, ადვილად სათხრელი მიწაა, წყალს ვერ აკავებს, კედლის გასალესად უვარგისია.

თიჯა—ორგვარია: ერთია მოლურჯო ფერისა, რომელსაც მიწური ბანის სახურავად იყენებენ, რადგან წყლის ცუდი გამტარია, და მეორეა **თაფორი**—ყვითელი ფერის თიხა; წყალს ატარებს. მას წყალში ხსნიან და კედლების გასათეთრებლად („**გამასათაფრავად**“) იყენებენ. წყალში გახსნილ თაფორს (და სხვა მიწასაც) **ლაფ**-ს ეძახიან.

„აკუშოს ქვიტკირ ავაგი, **ლაფ** გაუსვი კირივითა“
(ხევს. პოეზ., 726_1).

ლამი—სილა. ლამ-კირ-ს იყენებენ სახლებისა და ციხეების შენებლობაში. გადმოცემით თითქოს რძესაც ურევდნენ ლამ-კირში. „ამბობდეს, რო კირისა(დ) ლამის გაზელაში ზისცვარს ურევდეს, აისრ აშენებულ ეს ციხე ქვიტკირისა“ [134].

კედლების „გასაგოზად“ (გასალესად) ნებვ-მიწასაც იყენებენ: ნაკელსა და მიწას „გაზერჯნიან“ (ვათქვეფავენ) ერთმანეთში, შიგ თხის ბალანს, ბურდოს და მიათ. გაურევენ და ამით გოზავენ კედლებს. საზაჰთრო-საზაფხულო, დროებით საცხოვრებელ ნაგებობებს მარტო ნაკელითაც გოზავენ. გასმობის შემდეგ ამ ნაკელს ქურთი ეწოდება და მას საწვავად იყენებენ. კარგი მიწაა საპირე მიწა. წყალს არ ატარებს. მას ბანების მოსაპირკეთებლად ხმარობენ.

მიწის სათხრელი იარაღებია: თოჯი, წერაქვი, ორზაპი (მოზრდილი წერაქვი), ნიჩაფი და სხვ.

ხის სააღმშენებლო მასალად გამოყენებულია მუხა, არყი, ცირცელი, იფნი, ლეკი, დგნალი, ქორაფი, ფიჭვი და სხვ.

ხის მასალიდან სახლის მშენებლობაში ყველაზე მნიშვნელოვანია კეზი (თავხე) და ბოძი. „კეზს შაიძლებ ბოძ ან კულა [135] ხქონდას შაგდებული, შაიძლებ უბოძკულაოდაც იდვას ყორეზე“. მთავარ ბოძს დედა-ბოძ-ს ეძახიან. ბოძი შეიძლება იყოს ლაშ-ყბიანი (ზედა მხარე ორმაგი ჰქონდეს) ანდა ერთობლივი. პატარა ბოძს ბოძკინტ-ს ეძახიან. „ბოწკინტებ ცოტა უსაბიაებს [136] მთავარ ბოძებს“. აქედან უნდა იყოს ნაწარმოები მასდარი შაბოწიწკება. შდრ. ფშაური ლექსი:

„ჩემი ძმობილი პრიგალი,
სადაც ჩხუბია, იქ არი,
ცოტა ხანს შაუბოწიწკებს,
მოვიხედავ და... ძირს არი“
(მიქელ. მას.).

სახლის სახურავისათვის გამოსაყენებელ ხის მასალას საერთოდ ხე-ჰერი ეწოდება. კეზზე დასაწყობ ხეებს კეზიკეზა ხეებ-ს (‖ ჰერებ-ს ‖ ჰერის-გლებ-ს ‖ ხეებ-ს) ეძახიან.

„ბევრა ხეებ ჩამაეყარე ქვიტკირისად ნაჭარია“
(ხევს. პოეზ., 682_2).

---

[134] ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილების ხელნაწერები; ხევსურული მასალები, გვ. 12.

[135] კ უ ლ ა—ქვის ოთხკუთხედი სვეტი.

[136] უ ს ა ბ ი ა ე ბ ს—ეხმარება, შეკავებაში შველის, ღონეს ახმარს.

ხე-ჰერში შედის აგრეთვე:

ლატანი—წვრილი ხე;

გალი—მოკლე ლატანი;

დათვი—მსხვილი მორი, ბუღაური;

რიკი—მკლავის სიმსხო, მოკლედ დაჭრილი გლუვი ხე. რიკი კრებითი სახელია, ერთ ცალს **რიკნა** ეწოდება.

ხვეწილი—მსხვილი რიკი;

ნაჯეჩი—ხის ნახეთქი;

პლახი—გაპობილი მორი;

ნაფხენტალი—ხვეწილის ან გალის ნახეთქი;

ბირკინტი—ჭორი და სხვ.

ყველა აღნიშნული მასალა შეიძლება იყოს **გლუვი** ან· **ჯირკლიანი**(‖ **კოჟრიანი** ‖ **მუჟრიანი**) და სხვ. მასალა შეიძლება იყოს **სუკიანი** ანუ **ზურგანი**-ც—ერთ მხარეზე ამოზნექილი. ხე შეიძლება იყოს **მრუდი**(‖ **მრუდ-მრადი**) ან **მართალი** (სწორი). კანშემოცლილ ხეს გაღვერული(‖ **გაქერქული ხე**) ეწოდება. „ხეს ქერქ გაზაფხულ, ლოპოიანობაჩი[137] ეყრევის კარგად". ხის გაპობას **გახეთქა**(‖ **გაჯეჩა**) ეწოდება. წყეველაა: „ისრამ(გასქდები, ხე რო წვერით"-ო. ფიცარს ჩვეულებრივ უხეშად, ცულით თლიან:

„ჭალას წამავე ფიცრობა, საბაგე **ფიცარ გავთალე**"
(ხევს. პოეზ., 68$_3$).

მშენებლობაში ფართო გამოყენება აქვს **წნელ**-ს. მისგან **სათიკან-ბატკნეებ**-ს, **წნელის ღობეს, კარებ**-ს, ლასტებს და მისთ. წნავენ.

ხის დასამუშავებლად იყენებენ: **ცულ**-ს, **ჯელცულა**-ს(‖ **ჯენცულა**)-ს, **წალდ**-ს(‖ **ცალ-ყუა**-ს), **ჯვედა**-ს, **სურუხ**-ს (დიდი ჯვედაა, ხის დასაპობად იყენებენ), **შალაფ**-ს, **სატეხს** და სხვ. იარაღებს.

§ 26. **ქვიტკირი**. ხევსურეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ტიპიური ნაგებობა **ქვიტკირი**-ა. ამიტომ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ქვიტკირთან და მის შენებასთან დაკავშირებულ ლექსიკას. ის ლექსიკა, რაც ნაგებობათა სხვა ტიპებთანაა დაკავშირებული, და, რაც აქ ვერ შემოვა, ცალკე პარაგრაფში იქნება განხილული.

ეზო-მიდამოს ხევსურები **სახლ-კარ**-ს ეძახიან.

„სრუ გადაშინჯეს **სახლ-კარი**, შაჯდეს ყველაის ბანზედა"
(ხევს. პოეზ., 163 $_{38}$).

---

[137] **ლ ო პ ო**—იმ სითხეს ეწოდება, ხის ქერქსა და თვითონ ხეს შორის რომ ჩადგება ხოლმე გახაფხულზე.

ეზოს ან უბნის მნიშვნელობით უბრალოდ **კარი**-ც იხმარება: **თიაყათ კარი**—უბანი, სადაც თიაყათ მამიშვილობა ცხოვრობს, **ანატორელთ კარი**—უბანი. სადაც ანატორელნი ცხოვრობენ და სხვ. როცა საგვარეულო დაყოფაა კარ-ს იტყვიან, როცა ტერიტორიალური—**უბან**-ს. შდრ.: **ზენა-უბანი, ქვენა-უბანი** და სხვ.

განსხვავებულია ქვიტკირი და ბშრალი ქვით ნაგები სახლი. შატილური ქვიტკირი **ოთხსართულიანი-ა** (‖ **ოთხთვალი** ‖ **ოთხატაჟიანია**). პირველი სართული **ბოსელი-ა**(‖ **საძროხე-ა**), მეორე **საცხვრე-ა**, მესამე—**კვეთას-თვალი-ა**(‖ **სამყოფო-ა**) და მეოთხე—**ზეთას-თვალი-ა** (‖ **საომარი-ა**).

ადგილს, სადაც სახლს აშენებენ, **სასახლე**[138](‖ **სასახლე ალაგი**) ეწოდება. სასახლე ალაგი შეიძლება იყოს: **საზეური, საჭარე, ფერდობა, გვერდალი, მიადანი** ან სხვანაირიც.

სახლის აშენებას **სახლის აგება**-ს ეძახიან. აშენებელს **ამგე** (‖ **ხურო**) ეწოდება, ბევრ მშენებელს ერთად კი—**მესახლენი**. ყოველი მშენებელი ხურო ვერ იქნება: ხუროობა გარკვეულ კვალიფიკაციას მოითხოვს. აშენებულ[139] სახლს **აგებული**(‖ **ნაგები**) ეწოდება.

„შუაღამისას იძახეს: „ჯუთას დაეცნეს ბანთაო“,
ნაგები ქურსიკაისა ცეცხლის მაივლებს ალსაო“
(ხევს. პოეზ., 175_{4-5}).

„სახლნ მიდგან **ხუროს ნაგებნი**, კუთხს არ დაღგლიჯნათ ქვანია“
(ხევს. პოეზ., $2თ_{15}$).

სახლის ფართობის, საძირკვლისა და კედლის საზომი ერთეულებია: **გოჯი, ჯელი, გაშლილ ჯელი, ჯიგვიან ჯელი** (ჯელის თითები ცერიანად), **ციდა, მტკაველი, ადლი** (**გაშლილ ადლი, მამჯუღვილ ადლი**)—ხელის მტევნის სიგრძე ნიდაყვიდან თითის წვერებამდე. **ნაბიჯი, მჯარი**—სიგრძე ერთი ხელის თითის წვერებიდან მეორე ხელის თითის წვერებამდე, როცა ხელები განზე გაქვს გაშლილი, **საბელი** (=ოთხ მჯარს), **ჰაპანი** (=ექვს მჯარს), **არშინი** და სხვ.

სახლის **საძირკვლის** (ფუნდამენტის) ჩასაყრელად „**ლიბუ უნდა გაიჯრას**“(‖ „**ლიბუ უნდა გაითხარას**“). **ლიბუ** შეიძლება იყოს

[138] **სასახლე**—შენობის მნიშვნელობით არ იხმარება ხევსურულში. ლექსში „ბატონო, შენი სასახლე შაღგავ ქალაქის ქუჩასა“—ბარში ნანახ, ბატონის სასახლეზეა ლაპარაკი. ხევსურეთში შენობას დაცინვით თუ უწოდებს ვინმე „სასახლე“-ს.

[139] „**აშენებული**“—ხევსურულში მდიდარს, შეძლებულ ოჯახს ნიშნავს, სახლში შესვლისას სტუმარი ამბობს: „ღმერთიმც აგაშენებსთ“-ო, ე. ი. ღმერთმა გაგამდიდროთო.

ლირმა (ღრმა) ან **ზეზეური, მტყელი**(|| **განიერი**) ან **იწრო** და სხვ. ფართო გაგებით ლიბუ იმ ახლო-მახლო ადგილსაც ეწოდება, რომელზედაც კედელი უშუალოდ არ ეყრდნობა.

„...ციხეს მარჯვენას მივაკრავ შენის უფროსის ძმისასა,
ჩამადიოდას ნაწვეთი, **ლიბუს** ადნობდას ქვისასა“
(ხევს. პოეზ., 384_{1-6}).

ლიბუზე **ყორე**-ს აგებენ. ქვის კედელი **ყორე**-ა, სულ ერთია, შშრალია იგი თუ ლამ-კირით ნაგები. „ქალ სხვათ **ყორის** ქვაი, რაა გამასადეგი“-აო, ამბობენ ხევსურები, როცა ქალსა და ვაჟს უპირისპირებენ ერთმანეთს. თუ ყორე მტკიცედ ნაგები არ არის, ის **დაჯაბნდება**(|| **დამაჯნდება**).

„ზენ-უბან **დაგიჯაბნებდი** ნაგებსა ბასრის ქვისასა“
(ხევს. პოეზ., 134_{18}).

ყოველი სართულის დამთავრებისას ყორეში ტოვებენ **საკეზეებ**-ს. „ყორეს შიგათაზეით დატანებულებ აქვ **საკეზეები**, რომნებშიაც კეზის პირ იდებ“. კედელს რამდენიმე **საკვამი** აქვს.

„აის ქალი ორ, ვაჟაო, გუშინ რო გეხეეწებოდი,
შენსა კარსა და **ხაკვამსა** ქარივით ვეცვითებოდი“
(მიელ. მას.).

„**საკვმისახ** ჩამაშობილნი, შუქნი ენაინდი მზისანი“
(ხევს. პოეზ., 255_{2}).

საკვამს ახლა ორი დანიშნულება აქვს: იქიდან ბოლი ადის და სინათლე შემოდის სახლში. წინათ მას საბრძოლო დანიშნულებაც ჰქონდა, იქიდან მტერს იგერიებდნენ.

ქვიტკირში ორნაირი საკვამია—**საკვამლე** და **სასინათლო**. საკვამლე საკვამი ჭერის ძირშია და სამკუთხედის ფორმისაა, სასინათლო კი იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზეა, იგი თაღიანია. ამ უკანასკნელს აქვს კარი, პირველს—არა.

სპეციალური, საბრძოლო დანიშნულებისაა საკვამი, რომელსაც **სათოფე** ეწოდება. სათოფეს შიგნიდან დიდი ადგილი აქვს დატოვებული, რათა იარაღიანი კაცი თავისუფლად გაიმართოს შიგ. შატილის ქვიტკირებს სათოფეები წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით აქვს გაკეთებული: ერთი ქვიტკირის ერთი კედლის სათოფე უყურებს მეორე ქვიტკირის კარებს, მეორე კედლისა—მეორე ქვიტკირის კარებს და ასე შემდგომ. ეს წესი ყველა ქვიტკირშია გატარებული და ამით უზრუნველყოფილია მეზობლების ურთიერთდაცვა.

მცირე ზომის ნახვრეტს კედელში **ჭგრიტს** ეძახიან. როცა კედელი ცუდადაა ნაგები და შიგ ბევრია მნიშვნელობას მოკლებული საკვმები თუ ჭერიტები, იტყვიან: „**ერვე სახლი**“-ა, „**ერვე ყორეი**“-აო.

ერთგვარი საკვამია **შუკუნი**-ც: „სამყოფოს ყორეში ზოგ-ზოკან მაწირულებრ ალაგები, იმას **შუკუნ**-ხქვიან. შუკუნში ზოგ რა შაისხმისა' ზოგ—რა“. ხევსურეთში შუკუნი სათოფის მნიშვნელობითაც იხმარება. შდრ.:

„აიმ ციხესა გახენე, უწინ რო ხალხი ხვოცია,
პატარა **შუკუნები** აქვ ისრების მასატყორცნია“

(ხევს. პოეზ., გვ. 666, 780_{21-22}).

ყოველ სართულს აქვს თითო კარი. „ყველას თავლს თავთავის **კარნ** ხქონ“. მეორე და შემდგომი სართულის კარებზე ხის კიბე იყო მიდგმული, რომელსაც შიშიანობის დროს სახლში აიტანდნენ ხოლმე. „კართ“ ნაწილებია:

ზღუბლი (‖ **ზღუბლნი**)—სწორკუთხედის ფორმის ქვა, რომელიც **კარის კოჭი**-დან [‖ **კარის ყუნწი**-დან (კარის ქუსლიდან)] ოდნავ წინაა დადებული.

კარის კოჭი(‖ **კარის ყუნწი**)—კარის ქუსლი, რომელიც ზღუბლის უკან დადებულ ხის დირეშია ჩასმული.

კარის საყუნწური—დირეს ის ამოღრმავებული ნაწილი, რომელშიაც **კარის კოჭი**(‖ **კარის ყუნწი**-ა) ჩასმული.

კარასტე (←კარ+ასთე)—ქვისგან გაკეთებული ჩარჩო კარისა. არხოტში **ასთე**-ს ეძახიან კარის ჩარჩოს, შატილში კი მას **კარასტე** (კარ+ასთე, ე. ი. კარ+ჩარჩო) ეწოდება.

კარის-თავი—ზედა, თაღისებრი ნაწილი კარებისა. თაღს ქმნის მოზრდილი ლოდები, რომელთაც თითო მხარე გამოტეიფრული აქვთ. ისინი კარის ზემოთ, საპირისპიროდ არიან დაწყობილნი. ეს ქვები ან ერთმანეთს ებებიან და ასე ქმნიან კარის თავს, ანდა ზედ კიდევ აქვთ დადებული გამაერთიანებელი დიდი ქვა **კარის-თავი**.

„ეზიდებიან ერთ ქვასა,—„უნდ დავდვათ **კარის თავიო**“

(ხევს. პოეზ., 542 $в_{30}$).

თვითონ კარები წარმოადგენს მუხის ან სხვა მასალისაგან გამოთლილ ორს საკმაოდ სქელსა და უხეშ ფიცარს. ორივე კარის უკან, კედელში დატოვებულია ღრმა ხვრელები. ამ ხვრელს **საკედურა** ეწოდება. ერთ-ერთ საკედურაში დევს მსხვილი, მაგარი მასალის, ბოლში გამოყვანილი **კედი** (კეტი). კედს ერთი საკედუ-

რადან გამოსწევენ, კარების შიგნით გაატარებენ და მეორე საკედურას შეუერთებენ. ასე **„იკედებიან კარნი“**. ასე **„დაკედული“** კარების გაღება შეუძლებელია, „თუ კარნ არ დასქდეს ან **საყუნწურჩიით არ გადმაიყარნეს**“.

კედით კარების დაკეტვას **კართად კედის მიგდება**-საც ეძახიან. აქედან **საგდოლა**, რაც აგრეთვე **კედი**-ა ერთგვარი. „ქავის კარ იკედებოდ ქვიტკირის სქელი **კედით**, რომენსაც **საგდოლა** ექვიენ“. უბრალოდ კარის დახურვას **კარის გამაჯრა**-ს(‖ **კარის გადევნება**-ს ‖ **კარის გამაყოლება**-საც) ეძახიან. „ე კარნი-ღ გამაიყოლენ, შინ არა შაგვიძვრას“.

„დიაცმა **კარი მისჯარა, კედას მიუგდებს** ხისასა“
(ხევს. პოეზ., 42ზ, $O4_{29}$, გვ. 341).

„ქვაბ ჩემით გამაიტანეს, **გამოიჯარეს** კარიო“
(ხევს. პოეზ., 465_{30}).

„დალეწა ციხის **კარ-კედი**, ნამტერევებ გადადისაო“
(ხევს. პოეზ., 519_{34}).

„ისრივ დამიღი კარები, როგორაც **დამიჯარეო**“
(ციცილ. მას.).

„არ ვტყუი, არ გამიწყდან ძმანიო,
გაგამ არ **დამიდევნას** კარიო“
(ეთნ. მას. 31_{9-10}).

გარედან კარი იკეტება **რაზა**-თი (კლიტით, ბოქლომით). კარის გარედან დასაკეტად იხმარება **საკერჩხილე**-ც—გრძელი ჯოხი, რომელსაც შუაზე მობმული აქვს თოკი. თოკი საგანგებოდ გახვრეტილ უკანა კარშია დამაგრებული. კარებს გამოხურავენ და ამ ჯოხს გარდი-გარდმო („**მი-და-მოლმ**“) გახიდავენ კარასტეში.

კარების თაკზე, კარების ქვეშ და გვერდებზე რჩება ჭვრიტები. ამ ჭვრიტებს ღამე ბეელმანების ან ჩალის **დუსთი**-თ **„დასჩურთავენ“**[‖ **„დაღგმანვენ“** ‖ **„დაღგულვენ“** (დარჩილავენ)]. ასეთივე **დუსთი** (‖**დუსთურა**) იხმარება ზამთარში საკვების დასარჩილავადაც.

„საკვის სატენი **დუსთურაიო**...
ეეხლა გადიჩინებულხარო“
(ეთნ. მას., 81_{4-5}).

პროფ. გ. ჩიტაიას დადასტურებული აქვს **„სასწორფრო კარნი“** [140]. ასეთი კარების არსებობა ხევსურეთში ჩვენთვის არაა

[140] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის სენე; კრებულში „ანალები“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტია შრომები, I, 1947.

ცნობილი. სარა ბედუკაძე წერს: „ხევსურულ ლექსში კარი სამშობლოს გაგებითაა მოცემული“-ო და იმოწმებს ლექსს:

„— რამ გამაგაქციე, ერეკლევ, რამაღ დაგატანა ბალი?
—რასა მკითხეედით, რუსებო, მტერმა მამტაცისა კარი,
შამავიდა თურექმანი, ქალაქს გაადინა ალი“
(ხევს. პოეზ., 57_{5-7}) [141].

„კარის მატაცება“, „გზის მატაცება“ და მისთ. ნიშნავს ჩაკეტვას, გასასვლელი გზების დაჭერას (შდრ. გამოთქმა „ხელი სტაცა“) და არა მიტაცებას, მოტაცებას. „კარ მასტაცავ, ვიცით, ახა კაც კაცს შინით გამასავალს არ აძლევედას, თოფ-ცეცხლით ეჯდას“ (მივლ. მაზ.). შდრ. აგრეთვე თუშური ლექსი:

„გვკითხე, გიამბობთ, ბატონო, მტერმა მაგვტაცა კარიო“
(მივლ. მას.).

სოფ. შატილს ჩრდილოეთის მხარეზე ჩამოუდის მდინარე შატილის ველი, რომლის კალაპოტიდან 40—60 მეტრის სიმაღლეზე ციცაბო ქარაფებია აზიდული. ზედ ქარაფების თავზეა ჩაყრილი თბუთმეტიოდე ქვიტკირის უკანა კედლის საძირკველი. ამ უკანა კედელში, ბოსლის იატაკიდან გაყვანილია **ჯვრელები(‖ საკვმები)**, რომლებიდანაც საქონლის ნაკელს გადაყრიან ხოლმე. ამ საკვმებს **სანეხვ-მწურეე საკვმები** ეწოდება.

ამავე კედელში, მეოთხე სართულის იატაკიდან (მესამე სართულის სახურავიდან) გარეთ, ორიოდ მეტრის სიგრძეზეა გაწეული კეზები. ამ კეზებზე საპირფარეშოა მოწყობილი და მას **ქარიპან**-ს ეძახიან. ქარიპანში კარები ქვიტკირიდან გადის. მისი სახურავი ან ქვიტკირის სახურავთანაა გაერთიანებული, ანდა ცალკე, ცოტა ქვემოთაა სიპით გადახურული. ქარიპანი ხევსურეთის სხვა კუთხეებში სხვა დანიშნულებისაა: ქარიპანში სხვადასხვა ნივთებს ინახავენ.

უკანასკნელი სართულის კედელზე მოთავსებულია **ჩარდახი**: კედელში დატოვებულია მოზრდილი საკვამი. საკვმის მარჯვნივ და მარცხნივ, კედელში მოთავსებულია სიპები, რომელნიც კედლიდან ნახევარ-ნახევარი მეტრით არიან წინ წამოწეულნი. ამ სიპებზე გვერდებიდან და წინიდან ისევ სიპებია დაყუდებული და თავიც სიპით აქვს გადახურული. იქმნება „ქვის ყუთი“, რომელსაც მხოლოდ ფსკერი აქვს ღია. ჩვეულებრივ, ჩარდახი და ქვიტკირის კა-

---

[141] ს. ბედუკაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით, თბილისი, 1950, გვ. 17—18.

რები ერთ შვეულ ხაზზეა გაკეთებული. ჩარდახიდან მეომარს შეუძლია დაიცვას ქვიტკირის კარები ისე, რომ თვითონაც დაცული იყოს მტრისაგან.

ქვიტკირის კარებთან მისულ მტერს ჩარდახიდან უშენდნენ ქვებს ანდა ასხამდნენ ადუღებულ წყალს. თუ ბრძოლა ღამე წარმოებდა, ჩარდახიდან ძირს ჩაუშვებდნენ ცეცხლმოკიდებულ **სანთბის ყუნჭ-ს[‖ ჩირახის ყუნჭ-ს** (ფიჭვის კუნძს)]. საგანგებოდ შერჩეული ჩირახი კარგად იწვის და კარგი სინათლე აქვს; ასე, რომ ღამე ქვიტკირის **კარი-კური** (კარ-მიდამო) განათებული იყო. ყუნჭს დროგამოშვებით გამდნარ ერბოს ასხამდნენ, რათა წვა არ განელებულიყო.

ჩარდახის წინა მსარეს სიპი რამდენგანმე გახვრეტილია (**„ჰვრიტებ აქვ“**). ეს **ჰვრიტები(‖ სათოფეები)** ჰორიზონტზე გამოჩენილ მტერთან საბრძოლველად იყო გამოყენებული. ჩარდახი ქვიტკირს შეიძლება ორიდან რვამდეც ჰქონოდა.

როგორც აღვნიშნეთ, დამთავრებულ კედელში, ყოველ სართულზე, დატოვებულია **საკეზეები**. საკეზეებზე **„კეზებს სხმენ“** (**კეზის გადგმა ‖ კეზის დადება**). კეზები ერთი მიმართულებით ეწყობა. ქვიტკირში კეზი ერთი კედლიდან მეორე კედელს უნდა სწვდებოდეს, რადგან ზემო სართულებში **კულა-ის აგება ან ბოძის** შაგდება ქვემო სართულებს დაასუსტებდა. „ქვიტკირს **პირიპირ** დამწვდოეს **კეზებ** უნდა ესხას“. **კეზის გატეხა**, ისევე, როგორც **„ლიბუჩი გველის წივილი“, „კარის გამაჯრა“, „ცეცხლზე წყლის დასხმა“** და სავ. დიდი უბედურებაა და ეს გამოთქმები წყეველადაა ქცეული. „გაუტყდა **კეზი**“-ო, რომ იტყვიან, ეს ყველაზე ცუდი დაწყეველაა.

„იწივლა გველმა ლიბუჩიაო,
კეზ გატყდა, მიწას გაერეკაო“
(ეთნ. მას., 48_{3-4}).

კეზებზე **მი-და-მოლმ** (ვარდი-გარდმო) ეწყობა **ხე-ჰერი(‖ ხეები ‖ ჰერები ‖ ჰერის-გლები)**.

„ჰალას მაივლა სანგლადა ღილღველთ ნაჭოცი მკვდარია,
ზედ **გააყარა ხე-ჰერი** თავ-თავის ღილღველის ძვალია“
(ხევს. პოეზ., 78_{3-4}).

ყოველი ხე კეზს უნდა ეყრდნობოდეს, **„კეზზე უნდა იყვას დანდობილი**, თორემ **ზემცრედ, ალღოჯად დადება ხისა** არ ივარგებს“.

ხეებზე დააწყობენ სიპებს, **„ბანს გასიშვენ“**; სიპებს შორის დარჩენილ ჰვრიტებს **„დაღლიპყვენ“** და ზედ მიწას დააყრიან.

უკანასკნელი ბანის, **ზეთას-თვლის ბანის** სახურავად ბადლი მიწა არ ვარგა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „წყალს ვერ იკერს“, მეორეც იმიტომ, რომ „ზედ ბალახ მადის, ბალახიან ბან ქვე არ ვარგ, წყალსაც უშობსა' იე-კერსაც ალპობს“.

სახლისათვის სახურავის გაკეთებას **სახლის დაფარება**(|| **სახლის ჩაფარება**) ეწოდება. როცა ამგეს არ მოსწონს თავისი ნამუშევარი, „**სახლ მივხურხლე**“, „**სახლ მივაუჩინე**“-ო [142] იტყვის.

ზეთასთვლის ბანს **საპირე მიწა**-ს აყრიან, ზედ ცოტა წყალს ასხამენ და **სატკეპნა**-თი ტკეპნიან. სატკეპნა სქელი ფიცრის გადანაკერია ნებისმიერი ფორმისა, რომელსაც ერთი მხარე (ქვედა მხარე) გლუვი აქვს, ხოლო მეორე, ამოზნექილ მხარეზე დასობილი აქვს ტარი. ამ ტარით ასწევენ სატკეპნას და ურტყამენ ბანს.

თვითონ დამთავრებულ კედელზე დააწყობენ მოზრდილ სიპებს—**სანაპიროებ**-ს(|| **ხანაპირო**-თ). სანაპიროები კედლიდან წინაა წაწეული, რათა წყალი დაიცუროს, „თორე ყორეს წყალ წაუვა' **დაამაჯნებს**“. სანაპიროებზე ბლომად აყრიან მიწას, აკეთებენ მიწაყრილს და ამას **ბანის მაკისვრა**-ს ეძახიან. ეს კედლის გაყოლებით გაკეთებული მიწაყრილი წყლის ნაწილს სანაპიროებისაკენ გზავნის, ნაწილს ბანისაკენ. სანაპიროების ჩასწვრივ, ლიბუსთან, ან რომელიმე „**დაბალ ბან**“-ზე, სადაც **ნაწვეთი** (წვეთი) ცვივა, დაწყობილია სიპები—**სანაწვეთონი**(|| **სანაწვეთოები**).

ბანს ოდნავ დამრეცს აკეთებენ, რათა „წყალი ერთკე მიიწურას“. იმ ადგილზე, სადაც წყალი მიიწურება, დებენ ხის პატარა **ღარ**-ს. ადგილს, სადაც ღარში წყალი შედის, **ღარის კუდი** ეწოდება. ბანს გარკვეული დროის შემდეგ **შამიწვა**[|| **მიწის შაურა** [143] (მიწის დამატება ბანისთვის)] უნდა, თორემ ბანს „**ავდარ გაღრეცხსა' შინა(ც) ავდარ** [144] **დაიწყებს ჩამადენას**“.

ბანიდან თოვლის გასახვეტად **არნაგი** ან ხის **ნიჩაფი** იხმარება. „თოლს ზამთრის ხან **არნაგით** ეხვეტთ, ხან **ნიჩბით**, ბანებზეით“.

---

[142] უ ჩ ი ნ ი—ბნელი.

[143] ბანს აფარებენ და „ღმიწვენ“ „მთვარის ახალჩი“ (ახალ მთვარეზე), რადგან „მთვარის ბერჩი შამიწულ ბან წყალს ვერ იკერს“.

[144] **ავდარი**—ხევსურულად წვიმას ნიშნავს. არის სიტყვა წვიმაც, მაგრამ ცუდ ამინდზე „**ავდარი**“-ს მაგიერ, ჩვეულებრივ, ამბობენ „**მონა დარი**“-ო. „**ავდარი**“ მხოლოდ წვიმას ნიშნავს, **მონა დარი** (|| **უფერ დარი**) კი თოვლიანი ამინდიც იქნება. შდრ :

„პინიჯალას მეშეშესა მამივიდა **ავდარია**“
(ხევს. პოეზ., 682$_1$).

ბანი სხვადასხვა სიმაღლისა და სახელწოდებისა შეიძლება იყოს: **ზეთა ბანი, ქვეთა ბანი, მაღალ ბანი, დაბალ ბანი, ზეთას-თვლის ბანი, ქვეთას-თვლის ბანი, ჭარიპნის ბანი, წინგარდაის ბანი** და მისთ.

მოკლედ ასეთია ქვიტკირის გარეგნული სახე. ქვემოთ ჩვენ ახლწერთ ქვიტკირის შიგთავსებს—**ბოსელს, საცხვრეს, სამყოფოს** (|| **შინას**) და იმ ავეჯის ნაწილს, რომელიც მათშია მოთავსებული.

§ 26. **ქვიტკირის „ბოსელი" და „საცხვრე"**. პირველი სართული ქვიტკირისა **ბოსელი-ა** (|| **სძროხე-ა**). ბოსელს აქვს **ყურე** (|| **ყრუნწე** || **ყურწუმი**)—კუთხე. ყურეზე **ქეჩელ ყურე**-საც ამბობენ ხოლმე. ასეთივე ყურეები აქვს საცხვრესა და სამყოფოსაც.

„უნიფხოო, ტანტალაო, შაღმათ ციცამ გაგთარაო,
საცხვრის ყურეს შაგთარაო, აიმაში შაგჭამაო"
(მიველ. მას.).

„ტირილ რად უნდა ჭევსურებსაო [115],
საძროხის ყურეს ნაჭოცებსაო,
ტირილი არხოტივნებს უნდაო—
საჭარის მაღალ მეომრებსაო"
(ხევს. პოეზ., 88_{9-12}).

ბოსელში მხოლოდ მსხვილფეხი უბიათ. ბოსლის ყორეში არის **საკვმები**(|| **შუკუნები**), რომლებშიაც **ჩირახ-ს**(|| **სანთებ-ს**), **პრიჭკა-ს** (ასანთს), **სასაგერებე ჯამ-წიწან-ს** და ცისთ. ინახავენ.

იატაკი სიპით **გამაზღულია**, იმვიათად **პყარი**—მიწისა, **გამაუზღავი**. კედლების გასწვრივ დგას **ბაგები**—რამდენიმე მეტრის სიგრძისა და ნახევარი მეტრის სიმაღლის სქელი, უხეშად გათლილი ფიცრები. ბაგა ნახევარი მეტრითაა კედლიდან დაშორებული. კედელსა და ბაგას შორის **საქონის საჭმელს—ჩალ-თივა**-ს და **ბზე**-ს უყრიან საქონელს. საქონლისათვის საკვების მიწოდებას **საქონისად საჭმლის დადება**-ს ეძახიან (**საქონისად თივის დადება, ჩალის დადება, ბზის დაყრა**).

როცა საქონელი საკვებს შეჭამს, ბაგაში დარჩება ნარჩენები, **ნაგაბარი**(|| **ლაბუჟი**). **ნაგაბარი** სხვა რისამე ნაგლეჯ-ნამუსრევსაც ეწოდება. შდრ.:

„მაგას რო დავხკრა ბუჩაი, **დაუნაგაბრას** ტანიო,
მაგის დედა-დათ რა უყვა-დიაც ხყავ ახალზალიო
(მიველ. მას.).

---

[115] შატილელი და არხოტელი ხევსურები ჭევსურ-ს ჩხოლოდ პირაქეთელ ხევსურს ეძახიან. პირიქითელი ხევსური მათთვის ან **არხოტიონი-ა**, ან **შატილიონი**, ან მიღმაჭეველი (არდოტის ხეობაზე ჩცხოვრები).

ბაგას აქვს **ნაჭვრეტები**(‖ **სასამბურეები**). მათზე **სამბურები-ა** (პირუტყვის დასაბმელი თოკის ნაჭრები) გამობმული. უსურნაგი პირდაპირ სამბურითაა დაბმული, მსხვილფეხის დასაბმელად კი **ჭირკალ**-ს იყენებენ.

„ლერწაი კვირიკაისა **სამბურჩი**[116] აღარ დეებისა“
(ხევს. პოეზ., 516$_5$).

გირკალი მუხისა ან არყის ხისგან გაკეთებული რკალია მეტნაკლები სიდიდისა. გირკალს ერთ მხარეზე პატარა თოკის ნაჭერი—**კვალა** უკეთია. კვალას მეორე მხარეზე **შატი**[‖ **ბაური** აქვს (მარყუჟი აქვს]. გირკალს ყელზე ამოაცვამენ პირუტყვს, **კვალას** კისერზე გადაატარებენ და გირკლის ბეორე პირზე გაკეთებულ **ჰკდე**-ზე (ნაჭდევზე) დაამაგრებენ **შატით**. გირკალს ზოგჯერ საბბურის ნაცვლად დაგრეხილი წნელი, **ჯარჯი** ადია. ბრიყვ კაცზე იტყვიან „**საჯარჯგირკლე** (‖ **ჯარჯ-გირკლიანიაჲ**-ო). შდრ.:

„**ჯარჯ-გირკლიანებმ** მიბარეს: „თაე დაანებე კალამსა“
(ხევს. პოეზ., 563$_3$).

ზოგ ბოსელში (უპირატესად არაქვიტკირის ტიპის ბოსელში) არის **არდაბაგა**—სამყოფო სახლის გაყოლებაზე „გამაფიცრულ-გამაკედლული“ (გატიხრული) ადგილი, რომელშიაც ხბორებსა და თიკან-ბატკნებს ათავსებენ. ასეთ ბოსელში **ხინდახორი**—ცხენის ბაგაცაა და **სახოზდაგეც** (←სახვასტაგე). „**სახოზდაგე** სამყოფოს უკენ ლუბის საქონის სადგომი სითბოსად“, და იგი „შაიძლებ იყვას გამაზღული' შაიძლებ—არ“.

ბოსელში ადგილი განაწილებულია. ყველა პირუტყვს თავთავისი ალაგი აქვს მიჩენილი: **ჯართ ალაგი, ფურთ ალაგი, ცხენჯორთ ალაგი...**

მეორე სართული **საცხვრე**-ა. საცხვრე სხვა სართულებთან შედარებით დაბალია და შიგ ერთადერთი ნივთი **ისარნა**-ა. **ისარნა** გრძელი, საკმაოდ მსხვილი ძელია, რომელიც ამოღარულია და რომელშიაც ცხვარს მარილს აჭმევენ ხოლმე. თუ ისარნა არაა, საცხვრის [ინტრში თოკით ჩამოკიდებულია **მარილის კომბული** [‖ **მარილის კომ-ი** (ქვა-მარილის ნატეხი)] და ცხვარი მას ლოკავს.

საცხვრის ე... უთხეში (ყურე'ში) მოზრდილი საკვამია, რომელიც საცხვრეს ბოსელთან აკავშირებს ხის კიბით. ასეთივე კიბით უერთდება საცხვრე მესამე სართულს, ხოლო მესამე—მეოთხეს. ასე, რომ **ბოსლის კიბე, საცხვრის კიბე** და **ზეთას-თვლის კიბე**

[116] ტექსტში შეცდომით წერია „სამბულჩი“.

აერთებს **ბოსელ**-ს, **საცხვრე**-ს, **სამყოფო**-ს (|| **შინა**-ს || **ქვეთას-თვალ**-ს) და **ზეთას-თვალ**-ს(|| **საომარ**-ს).

§ 27. „**შინა**“-ს **ანუ** „**სამყოფო**“-ს **მოწყობილობა, საოჯახო ინვენტარი.** ყოველგვარ საცხოვრებელ შენობას **სახლი** ეწოდება. აქა-იქ **ოჯახი**-ც იხმარება:

„შენ დალოცვილო **ოჯახო**, სამ ჭერჟად აშენებულო“
(ხევს. პოეზ., 615_1).

ოჯახის სინონიმია **სახლ-ჯალაფობა. სახლ-ჯალაფობა**-ს ხატის მსახურთა ლექსიკაში ცვლის **ყუდრო-ჯალაფობა.** როცა ხუცესი ამა თუ იმ ოჯახის წევრებს ავედრებს ანგელოზებს, ამბობს: „ნურა მახკერძიდით მაგათ **ყუდრო-ჯალაფობას**—ლაღ მტერი, მწარე სიკვდილი, საზიანო საქმეი. ავ საქმე კაზე მაუჭდინიდით, უშველიდით, დავლათ დააჭმარიდით“-ო და სხვ. უფრო ხშირად **შინა** იხმარება.

„წავიდას შატილიონი, მიღბარდას თავის **შინასა**“
(მივლ. მას.).

„**შინ** რად არ წახვალ, სტუმარო, საზაფთრო გორ ხო მშრალია,
თოლს თუ თოვს, თოლის გულასა, თოლის გულა ხო წყალია“
(მივლ. მას.).

„**შინ** წად, ათანდილთ უკლოო, შორ გზა გაქვ, დაგიღამდება,
ცოლი დაგიწყებს წყევასა, დედა გყავ,—გაგიჯავრდება“
(მივლ. მას.).

ქვიტკირის მესამე სართულიც (**ქვეთას-თვალი**) **შინა**-ა(|| **სამყოფო**-ა). ძვ. ქართულში სამყოფოს სინონიმი იყო **სადგომი**(|| **სადგური**). ეს ტერმინები ასეთი გაგებით ხევსურულში არა ჩანს. არის ზმნა **დგომა**, რაც გარკვეულ კონტექსტში, ღამის გათევას ნიშნავს. სტუმრად ნამყოფს ჰკითხავენ: „**ვისას იდეგი**“-ო, ე. ი. ღამე ვის სახლში გაათიეო. არის მიმღეობაც **მდგმური** და იგი ბევრ ხალხზე, ბევრ სტუმრებზე მიუთითებს.

„ისეთის კაცის ჰირიმე, ვისაც ბევრ უძეს პურიო,
მალ-მალე სწურავს არაყსა, სახლში დაუდის **მდგმურიო**“
(მივლ. მას.).

არის გეოგრაფიული სახელიც **მშაველ ნასადგომარი**, რაც ფშაველების ნადგომს, ფშავლების მიერ ცხვრის ბინად გამოყენებულ ადგილს აღნიშნავს. **სადგომი** უფრო გარეული ნადირის თავშესაფარი ადგილია. იტყვიან: „ჯიქებმ სრუ ერთის ადგილის ათეგრება იციან, ღამ-ღამ სრუ ერთს **სადგომჩი** დგებიან“-ო.

სამყოფო-ს ვიწრო მნიშვნელობა აქვს: იგი სახლის იმ ნაწილზე მიუთითებს, სადაც **კერა**-ა და ოჯახი ცხოვრობს. სამყოფოს (ან საერთოდ სახლს), სადაც აღარავინ ცხოვრობს, **ნამყოფლავი** ეწოდება, ხოლო იმ სახლ-სამყოფოს, სადაც ჯერ არავის უცხოვრია — **უმყოფლავი**. სამყოფო შეიძლება იყოს **ნათრიელი** (სინათლიანი) ან **უჩინი** (ბნელი). სამყოფოს იატაკს **ქაზდარი** ეწოდება.

„შენს დას სცვავ ოქრო-ქსოვილი, ზედ ვერცხლის ქამარ მაკრული,
ქაზდარზე მიბრუნ-მაბრუნავს, ქალი არა სჯობ სხვაკნური“
(ხევს. პოეზ., $598_{8..9}$).

ქაზდრის ერთ მხარეზე მოთავსებულია **ყვერფ კერანი**(‖ **ყვერფ-კერა**). **ყვერფ-კერა** ასეა მოწყობილი: ქაზდარი მარცხენა მხარეზე ამოთხრილია და შიგ დევს მეტ-ნაკლები სიდიდის ოთხკუთხედი სიპი. სიპის ოთხივე მხარეზე დაწყობილია სწორკუთხედის ფორმის გრძელი და სქელი ქვები, **კერა**-ები: **უკენა კერა** (კარების მხარეს რომ დევს), **წინა კერა**, **მარჯვენა კერა** და **მარცხენა კერა**. კერაები ქაზდრის დონეზე აწყვია, ან ოდნავ აცილებულია მას. ადგილს კერაებს შორის **ყვერფი** ეწოდება.

„დღე-წერა მჯარს თუ არა მჭერს, ვერ მიოლ **ყვერფ-კერაზედა**“
(ხევს. პოეზ., 520_{36}).

„ეეხლა ხედნე **ყვერფ-კერათაო**,
სისხლის მორევთა შიგ ნაბრუნთაო“
(ეთნ. მას., 24_{11-12}).

წინა კერაზე შეშას დააწყობენ და წინა კერის წინ, ყვერფში ცეცხლს „**დააგზებენ**“ (დაანთებენ).

„ორ-სამკან ცეცხლი **დავაგზით**, ცხვრებიც დავეკოცეთ თხებიცა“[147]
(ხევს. პოეზ., 265_{10}).

ცეცხლმოკიდებულ შეშას, **შეშის გალ**-ს(‖ **ნაფხენტალ**-ს) თუ **ნავეჩ**-ს **ნიგუზი** ეწოდება, პატარა ნიგუზს კი— **ნიგზურა**. ადგილს წინა კერის უკან, სადაც დასაწვავ შეშას აწყობენ, **სანიგუზე**-ს ეძახიან, ჩამქრალ **ნიგუზს**(‖ **ნიგზურას**) კი—**ნამწვარევ**-ს; **ნამწვარევი** გეოგრაფიული სახელიცაა.

„მე რო ბაგათ შუღლს შავესწვერ, მაგათ ფარ-ხმლების ჯღერასა...
ერთ რაიმ **ნიგუზს** იბრუნებს, სხვა ეზიდების **კერასა**“
(ხევს. პოეზ., $546ბ_{22}$).

---

[147] ლაპარაკია გარეთ, ველზე დანთებულ ცეცხლზე.

„რად არ მიართეა დედამა **ნიგზურა გასკივებული**?“ [148]
(მივლ. მას.).

კერაში, ჩვეულებრივ, ბავშვები სხედან **ხოლმე** ან ქალები ხელსაქმობენ. შდრ. საბავშვო ლექსი:

„ფანდურო, ცოლი მამგვარე საყელო-ჯრელი ქალიო,
კერაის თავზე დამისვი, გააბზიალას ტარიო“ [7]
(მივლ. მას.).

„ჯილთ გქონდან **ტარ-ნაჭტენანი**, ჩამასჯდა **კერის პირსაო**“
(ხევს. პოეზ., 223_{13}).

ცეცხლს ბავშვის ენაზე **ფუა** ეწოდება. დიდი ცეცხლის დანთებას ცეცხლის **გამაშხარება**-ს ეძახიან (მაშხარა←მაშხალა). ნაკვერცხალს **ღადარი**(‖ **ქაქეში** ‖ **ქანქარუში**) ეწოდება. ერთ ცალ ცეცხლიან ნახშირს კი—**ღადრუმი**. მრავალ ნაკვერცხლებს ერთად შეგროვებულს **ღუმფელ**-ს ეძახიან, ნაპერწკალს—**სკივ**-ს, მრავალ ნაპერწკლებს ჰაერში გაშლილს კი—**ბურჯღუმ**-ს. ცეცხლის ერთბაშად ააღებას **აპირტყნიალება**-ს ეძახიან. წვის სინონიმია **დუგვა**, მაგრამ მაგარ სიცივეზედაც ამბობენ ხოლმე „**წვა-დუგვაი**“-აო. ბოლის სინონიმია **ჯჩოლი**. ნაცარი ხევსურულადაც ნაცრად ითქმის, ოღონდ ფერფლს **დაკვლი** ეწოდება და „**ნაცრისფერი**“-ს მაგიერ ხშირად „**დაკვლისფერ**“-ს ამბობენ.

„ერთ რამამ საჯნის მაიღა, ჩადვა **ქაქეშჩი**, ღბერავსა“
(ხევს. პოეზ., 545_{26}).

კერაში რომ ქაქეშ-ნაცრის გროვა დადგება, საჭიროა მისი გაშლა, **გამაჩხრეკა**(‖ **გულთ გამარიდება**). ანდაზაა: „ცეცხლთავ გულნ აწუხებენაე, კაცთაე—უგულობაიე“. „სჩხრეკენ“ **ღომლის ასტმით** (**ასტამი**) ან **ბორწკლით** (**ბორწკალი**). არხოტში ბორწკალს (მაშას) **არცისკანა**-საც ეძახიან.

ყველფ-კერას ასწვრივ, სახლის აშენებისას საგანგებოდ დადებულ ორ ხეზე, „**ასაყართაზე**“ (**ასაყარნი**), ჰკიდია **საალე**—მოხრდილი სიპი, რომლის ძირითადი დანიშნულება ჭერისაკენ მიმავალი ალისა და **სკივების** (ნაპერწკლების) შეკავებაა.

საალე დახერეტილია და მასში აყვანილია **ფსიტის**, **შუნის** თუ სხვა ნადირისა და შინაური ცხვრილფეხის მოკაკული რქები. ასეთ რქას (ან ძის კავს) **ჭირჭო**-ს ეძახიან. ჭირჭოზე ჰკიდებენ შესაბოლავ ხორცს, გასაშრობ ნივთებს და მისთ. ჭირჭოები სხვაც მრავლადაა ხევსურულ სახლში. მრავალტოტა ჭირჭოს **კარჩხა**-ს ეძახიან.

[148] გასკივებული—განაპერწკლებული.

„ცას ბეწვით ჩამამბული ორ, ჰერში რო ხაიდავ **ქირჰოი**,
ღმერთმა არ მამცა სხვა შვილი, ერთ მიგდავ ქალის ციცოი“
(ხევს. პოეზ., $_{3-4}$).

„ბევრა კალაოა შავბაიდე **კარჩხაზე** ჩხირ-წინდიანი“
(ხევს. პოეზ., 523_{12}).

საალე შუაში გაბერეტილია და შიგ ჩამოშვებულია ჯაკვი—**საიდელი**, რომელიც აგრეთვე „**ასაყართაზე**“ გარდი-გარდიო დადებულ ხეზეა ჩამობმული. საიდელს ბოლოში აქვს **კავი**, რომელზედაც ქვაბს და **ზედგანს** ჰკიდებენ ხოლმე. საიდლის ცალკე რგოლს (და ყოველგვარი ჯაკვისა და შიბის რგოლსაც) **ჰიკუ** ეწოდება.

„ჰონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი, **ჰიკუს** ხვრენ საიდლისასა,
მალი-მალ შამახმუვლებენ ფარას ღულანტელთ ცხვრისასა“
(მიველ. მას.).

ჩამოსაკიდ ზედგანს გარდა (ზედგანი ←ზედადგარი?), ხევსურები ცეცხლზე დგამენ ნამდვილ **ზედადგარსაც**, ოღონდ მას „**ზედადგარ**“-ს კი არა,—**ოჩაყ**-თ ეძახიან (**ოჩაყნი**). ხევსურულ პოეზიაში გვხდება ტერმინი **ზედადგანი**-ც:

„ზალმა ზალსა გადაღრივნა, **ზედადგანის** ძველანია,
ზალმა თავს გადაიცდინნა, ბებერს გაზდგეს ჯღერანია,
მაიტაცა ბებერამა მარცხნის ფეჯის ჩერანია... [149]
—უკაცრაოდ, დედამთილო, ვერა გნახე,—ბნელანია“
(მიველ. მას.).

ყველფ-კერა-თ მარცხენა მხარეს დგას გრძელი მერხი—**სამამაცო სკამი**. მის საპირისპიროდ **სადიაცო**(‖ **სადედროვნო**) **სკაჲია**. სახლის იმ მხარეს, სადაც სამამაცო სკამი დგას, საერთოდ **სამამაცო**-ს ეძახიან, სადედროვნო სკამის მხარეს კი—**სადედროვნო**-ს (‖ **სადიაცო**-ს). სამამაცო სკამის ზედა მხარე („ყველფ-კერათქედურ მჭარი“)—**საუფროხო**-ა, მისი საპირისპირო („კართქედური მჭარი“) კი—**საუნცროსო**.

სკამს თავში და ბოლოში აქვს ორ-ორი **სკამის ფეჯი**, რომლებშიაც გაყრილია ორი კუთხი ხე—**სკამის ისრები**. სკაჲის ორივე ისარი შიდა მხარეზე „**გამაწარბულია**“ (სატეხითაა გამოკრილი მთელ სიგრძეზე) და შიგ **სკამის ფიცრები**-ა გაყრილი. სკამს უკან აქვს **საზურგე ფიცარი**. სკამს (და ზოგ სხვა საოჯახო ნივთსაც, მაგ., კიდობანს) აქვს სხვადასხვა სახის ნაძერწი: ცერა, ბორბლი-

---

[149] ჩერანი—წვივი.

ხებური, თიკნის-ყურა, ხუთა(‖ნაქარდა) და სხვ. ამ სკამს გარდა ხევსურულ სახლში არის მრავალი პატარა სამფეხა სკამი, რომელსაც **ჩიკა**-ს ეძახიან (←ბაცბ. ჩაკრ).

სამამაცოს ზემოთ, ჭერის ძირში დევს ფიცარი—**ისკორტა**, რომელზედაც მრავალი **ქირჭოა** ჩამოკიდებული. თვითონ ისკორტაზე მამაკაცის ნივთები ალაგია.

წინა კერის იქით, **სანიგუზის** უკან დგას **ყურის სკამი**. სამამაცო და ყურის სკამი კუთხეში ერთდებიან და მათ უკან რჩება ადგილი, რომელსაც **საშეშენი(‖ყურე)** ეწოდება.

„ბანზეით შეშან ჩავიღენ, სახლჩი მიეხყუდენ **ყურესა**"
(მივლ. მას.).

ყურის სკამზე ან მის წინ დგამენ შანდალს, რომელსაც **სახანთბე**-თ ეძახიან. სასანთბენი რკინისაცაა და ხისაც. სასანთბეზე დებენ **სანთებს(‖ჩირახს)**.

ყვერფ-კერა ჩვეულებრივ მარცხენა მხარესაა და **სამამაცო სკამი ყვერფ-კერა**-თ გვერდზეა. სადიაცოსკენ დიდი ადგილი რჩება თავისუფალი და იქ დგას **კიდობანი**. კიდობანზეა მიკრული **სადიაცო სკამი** და **კროჭა** (პატარა ზომის კიდობანი). კიდობანში ხორბალს ინახავენ, კროჭაში კი—ფქვილს.

კიდობანს რამდენიმე **თვალი** (განყოფილება) აქვს. სხვადასხვა თვალი სხვადასხვა პურეული კულტურისთვისაა განკუთვნილი: **ხაქერე თვალი, საიფქლე თვალი, სასვილე თვალი**. კიდობანი საკმაოდ ძვირი ღირდა. „**ერთ თვალ კიდობან** ძროხა ღირებულ წინავ". დიდ კიდობანს არხოტელები **აკო**-ს ეძახიან, ხოლო კროჭას—**კართანულა**-საც (რადგან კარებთან დგას ხოლმე ხშირად).

კიდობნის ნაწილებია: **კიდობნის დირენი**—მთავარი კოჭები, რომლებზედაც ფსკერი და გვერდის კედლები შენდება; **კიდობნის გვერდნი; შასაყარ ფიცრები**, რომლებითაც კიდობანია „შაყრილი"; **კიდობნის თავი** და **საყუდა**—ოთხკუთხედი ფიცარი, რომელსაც ახდილ თაქს შეუდგამენ ხოლმე ქვეშ.

სამყოფოში, ჭერს ქვემოთ დევს **სამჯრე**—კეზი, რომელსაც ჭერი უშუალოდ არ ეყრდნობა. **სამჯრე**-ს **საისრე**-საც ეძახიან. სამჯრეზე მრავალი **ქირჭოა** ჩამოკიდებული. მასზედევია **სასაკლაე**—საკლავის გასატყავებლად ჩამოკიდებული რკინის „ქირჭო".

ზეთას-თვალში კაცის ტანსაცმელი და სხვა საკაცო ნივთებია მოთავსებული და მამაკაცებიც იქ იძინებენ. იქვე დგას ხის ლოგინები—**ლაჳნები (ლაჳანნი ‖ ლანჳანი)**, რომელთაც ზამბარებისმაგიერ ფსკერი **საბლით** (თოკით) აქვთ გამოწნული. ფსკერის გამო-

საწნავ თოკს **საბალავს** ეძახიან (აქედან მასდარი **გაბალვა**). საბალავზე ჩააფენენ ჩალას ან ყარტს, ზედ ფარდაგს ან **ფლას**-ს (ჭრელ ფარდაგს) გაშლიან და **გუდანურ**-ს ან ფარდაგსაევე იხურავენ. ბალიშის მაგიერ ისევ გუდანური ან სხვა რამ **საღამო**-ა დადებული და მას **ხათავითურა**(|| **თავითი**) ეწოდება. ლოგინის ზემო მხარესაც **თავითი** ეწოდება, ქვემო მხარეს კი—**ფეჯითი**. ლაჰანში **ჩაგებულ** (ჩაფენილ) ჩალას **სალოგინე**-ს ეძახიან. ადგილს, სადაც **ლაჰანნი**(|| **ლანჯანი**) დგას, **საწოლი** (|| **საწოლნი**) ეწოდება. რბილ სალოგინეს **გაბუმბულებულ სალოგინე**-ს(|| **ბუმბულ სალოგინე**-ს)[150] ეძახიან.

„ზედ დასახურიც მზად იყო, **თავითიც** დადებულია“
(ხევს. პოეზ., 469_{48}).

„ვაჟ პურის ჭამას არ უცდის, **გააბუმბულებს ჩალასა**“
(ხევს. პოეზ., 359_{18}).

„**საწოლთ** მახჭელვენ გაგასა, ვეფხვს სძინებიყვა მკლავზედა“
(ხევს. პოეზ., 80_{3}).

ლოგინს ბავშვის ენაზე **ცეცია**(|| **ნანო**) ეწოდება. ბავშვს უმღერიან ხოლმე:

„**ცეცე-ნანო**, ქალასაო (|| ვაჟასაო),
საძკალთ გაჩენილასაო,
ბამბის თხორის გულასაო,
ეკლის ფშვინდ-ისარათაო“
(მივლ. მას.).

ქალები ქვეთას-თვალში იძინებენ. მათი საწოლი **ჩაფი**-ა—წნელისგან დაწნული გრძელი **ჯინი**, რომელშიაც ჩალაა ჩაფენილი.

როგორც ზეთას-თვალში, ისე ქვეთას-თვალში ქედლების გაყოლებაზე ჩამოკიდებულია გრძელი ლატნები—**ქანდარა**-ები, რომლებზედაც ტანსაცმელს, ფარდაგებს და სხვა **ტყავ-საღამო**-ს გადაჰკიდებენ ხოლმე.

ბავშვს **აკავან**-ში აძინებენ. აკავანში ჩალაა „**ჩაგებული**“ და ზედ **ხიჩონი**-ა ჩაფენილი. **სათავითურთან** ხის რკალია ჩარჭობილი, რომელსაც **კამალა** ეწოდება. კამალაზე გადააფარებენ ხოლმე **ხიჩონს** ან თაეშალს და მისთ., რათა ბავშვი ბუზებმა არ შეაწუხონ. კამალაზე და „**აკავანთ ღერძზე**“ ჩამოკიდებენ ხოლმე ბავშვის სათამაშოებს—**სათირებებ**-ს(|| **სადუმებებ**-ს), რათა ბავშვი **დაათიროს** და **დაადუმონ** ტირილის დროს. აკვნის „ფეხებს“ **საგოგანი** ჰქვია.

---

[150] ბუმბული თავისი მნიშვნელობით აღარ გვხვდება. ბუმბულს ხევსურები **ნაბუერა**-ს(|| **ნაბურდღვენა**-ს) ეძახიან.

ზემოთ აღნიშნულ **ავაჯიხგან-ს(‖ უნჯ-ნანჯ-ს = ინვენტარს)** გარდა ხევსურულ სახლში შეგვხვდება მრავალი სხვა ნივთი, ბავშვის სათამაშო, იარაღი და მისთ.

მუსიკალური ინსტრუმენტებიდან ხევსურებს აქვთ **ფანდური**, რომელსაც **საშიბის ლარები[‖ საშიბის ძალები** (ლითონის სიმები)] აქვს. ფანდურზე ბოლო ხანებამდე მხოლოდ ნაბაკაცები უკრავდნენ, ქალისათვის ფანდურზე დაკვრა სირცხვილი იყო. ასევე მხოლოდ ქალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ინსტრუმენტი იყო **გარმუნი (‖ ბუზიკა ‖ ბუზიკანტი)**. აქა-იქ გვხვდება **ჭიანური**-ც, რომელზედაც აგრეთვე მხოლოდ კაცები უკრავენ.

„გადმოვიტანე **ფანდური**, ხანია ლექსის თქმისაო,
საშიბის ძალებ ჩავუსხი, გული დავაკარ ხისაო“
(ხევს. პოეზ., 225_{4-5}).

„ბებერო ჩემო **ფანდურო, საშიბის** გიდებ ორღოლსა“
(ხევს. პოეზ., 392_{1}).

„დამიძველდა **ბუზიკანტი**, არ მიმიდის ქართულიო.
ბევრა მაშინ დაობარე, როსაც იყო მართულიო“
(ხევს. პოეზ., 358_{1-2}).

„ნადობს მავართვი **გარმუნი**, მანათ გავიღი სამიო“
(ხევს. პოეზ., 367_{13}).

ბავშვის სათამაშოებიდან ხევსურულ სახლში გვხვდება **ჟოკი(‖ ჟოკონი)** – ყინულზე მათრახით სატრიალებელი სათამაშო, **კოკობზინა**—ბზრიალა, **ტამფა**—პატარა გადანაჭერი ხისა, რომელსაც **ტამფაობ**-ისას დააყუდებენ და გარკვეული მანძილიდან **რიკნა**-ებს (ჯოხებს) ესვრიან, **ტეკია(‖ კეკია)**—ისეთივე ნაჭერი, უფრო პატარა ზომისა, აგრეთვე ტამფაობაში გამოსაყენებელი: **შაგამი**—თევზების სახოცი იარაღი, რომელიც ნიჩაბს წააგავს და სხვ.

ქალების **ხეშატარში-ა საბურნითენი** – ბურნუთის ქისა ან კოლოფი, **სარკე-საორცხალნი**[151] და სხვ.

საბლს **ჭელცოცხა-თი „წმედენ“** (გვიან). გაცვეთილ ჭელცოცხაზე (და ცოცხზე) ამბობენ, **„გაყიჯგებული-აო“(‖ „ყიჯი-აო“)**. კიდობნის ქვეშ ან სკამის ქვეშ ინახავენ **საცეხველ-თ**—როდინს, რომელშიაც მარილს „ნაყენ“ **გურჩი-თ** (მრგვალი ზოგრძო რიყის ქვით). აქვეა **ხის ულლიანი საწონნი(‖ საწონ-ჩარექი ‖ საწონ ჩარექნი)**. წონის ხევსურული ერთეულებია: **სტაღლი**—200 გ, **გირჩნჭა**—400 გ, **ჩარექი**—1000 გ, **ლიტრა**—4 კგ, და **ფუთი**—16 კგ.

[151] მობუცები სარკეს მიჰვრიტა-ს ეძახიან.

„მაიღნეს **საწონ-ჩარექნი**—„კვირაე, დაუგი თვალიო“
(მიქლ. მას.).

„მთვრალაიშვილის ხანჯარი **ორ ჩარექი, სამ სტილია**“
(მიქლ. მას.).

„**ლიტრობით** წმიდა ერბოს ხყიდ, **ფუთობით** გაგაქვ კარაქი“
(სევს. პოეზ., 591$_8$).

§ 25. **ჯამ ჭურჭელი**. იმ **ჯამ-ბუნაგ**-ს (ჯამ-ჭურჭელს) გარდა, რაც ზემოთ სხვადასხვა ადგილას აღვწერეთ თ.უ მოვიხსენიეთ, ხევსურულ ოჯახში გვხვდება სხვადასხვა ფორმისა, მასალისა და დანიშნულების მრავალი ჭურჭელი. ხის **ჯამ-ბუნაგიდან** აღსანიშნავია:

კასრუნა(|| **კასრუნუა**)—პატარა ზომის კასრი, რომელშიაც **წნილ**-ს და მისთ. ინახავენ. წნილად დებენ **შიბუ**-ს, **ღოლო**-ს, **კომოშტო**-ს (კომბოსტოს) და მისთ. შიბუს და ღოლოს **კონიჩა**-ებად (პატარა კონებად) შეკრავენ და ისე „**აძმობენ**“.

ორძირა—ორმხრივ-ფსკერიანი საწყლე კასრი, რომელსაც ერთი ნახვრეტი აქვს წყლის გადმოსასხმელად; ორძირა „ბოჭკა“-ს ჰგავს, ოღონდ „ბოჭკა“ მრავალი ნაჭრისაგან შეყრილია, ორძირა კი ერთობლივია. კასრისა თუ ორძირას „**გამანაწარბს**“ (ჭრილს), რომელშიაც ფსკერის ფიცარია ჩასმული, **სადოფსთე**(|| **დოფსთი**) ეწოდება. კასრს სადოფსთეზე გარედან მოჭერილი აქვს ხის **ყაპ-ყატოს** რგოლი—საკუდე. უვარგისი, გახვრეტილი კასრი (და სხვა ჭურჭელიც), რომელიც სითხეს ვერ იჭერს, **ბეხვი**-ა და მას **სამ-შრალე**-დ (ხორბლის, ფქვილის და მისთ. შესანახად) იყენებენ. ასეთ „ბუნაგს“ **სარაჭელგანდო**-საც ეძახიან. ბზარს, რომელიც გახეთქილ კასრს და სხვა ჭურჭელს აქვს ხოლმე, **მწკერი** ეწოდება. **მწკერ**-ს ეძახიან ანარეკლსაც.

როჩი—სწორკუთხედის ფორმის პურის მოსაზელი გობი.

ვარცლი—იმავე დანიშნულების მრგვალი ან სწორკუთხედი გობი

ბაკანი—სარძეევე ჭურჭელი მრგვალი ვარცლის ფორმისა, ოღონდ უფრო პატარა. ვარცლი და ბაკანი სპილენძისაც შეიძლება იყოს. სპილენძისაა **ლანგარი**-ც.

ნაოთხალი—ბაკანზე უფრო პატარა გობი ხისა.

ხომიკა(|| **ხომა** || **ხონჩა**)—ბოზრდილი ჯამი.

ჯამი—შეიძლება იყოს **იწრო**, **განიერი**(|| **ფიელი**), **კოჭობი** და მისთ.

წიწანი—პატარა ჯამი.

თეფში—ხისავე ჯამი, მხოლოდ და მხოლოდ ტომარა-თიკრუნებიდან ფქვილის ამოსაღებად ხმარობენ.

ქრიჯი—წისქვილის ალატიდან ფქვილის ამოსაღები ჩამჩა.
ქაფქირი(‖ სახინკლენი) – ხინკლის ამოსაღები ჩამჩა.
საფაფენი(‖ სარევანი)—ფაფის მოსარევი ხელსაწყო.
აფიკა—ჩვეულებრივი ფორმის „კოზი“.
ჴვაფ კოზი—ამოღრმავებული კოვზი.
თუშურა(‖ ქიტურა)—ღრმა, წვნიანი საჭმელის სახვრეპი კოზი.
ქიტი —საწვნე.

აქ ჩამოთვლილი წვრილი ჯამ-ჭურჭელი (ხომიკადან დაწყებული და კოზით გათავებული) უწინ ინახებოდა **საჯამე**-ში, ოთხკუთხედძირიან, თაღისებურად თავშეკრულ წნელის გოდორში, რომელსაც კარი ჰქონდა შებმული.

ხისგანვე მზადდება **როჩიკა**—ორ განყოფილებიანი ხის კოლოფი „დედათწესიანი“ („მესამრელოე“) ქალებისათვის საჭმლის მისატანი ჭურჭელი.

ქუბდე—ხის თავსახურიანი, ჭერში ჩამოსაკიდი ჯამი, მარილისა და მისთ. შესანახი.

ტაგრუცი (შდრ. გვადრუცი)—ჩუქურთმიანი, დაჭრელებული სწორკუთხედის ფორმის მაღალი ყუთი, წვრილმანის შესანახი.

მაქალოზი—ჩუქურთმიანი, დაჭრელებული ხის კოლოფი, ტაგრუცზე უფრო პატარა.

კოლოფი(‖ კოლოფანი)—პატარა მაქალოზი.

ცაცხვის დუდურა—ცაცხვის ლატნისათვის გაძრობილი ქერქი, რომელსაც მერე ფსკერი და სარქველი უკეთდება. ცაცხვის დუდურაში ინახავდნენ თოფის წამალს, თამბაქოს თესლს და მისთ. აქვთ აგრეთვე **ზანდუკ**-ები, **სატალავრო ყუთ**-ები და მისთ.

ქვაბი—შეიძლება იყოს **რკინისა** ან **რვლისა**. ნორმალური ზომის, ყოველდღიურად მოსახმარ ქვაბს **ჴელთქვაბ**-ს ეძახიან, ხოლო პატარა ქვაბს—**ერაწ**-ს (←ბაცბ. ჰერწრ). რვლის ქვაბს აქვს **ჴელი**, **ყურ**-**შატი**, რომელშიაც ჴელია დამაგრებული და **რაფი**—ქვაბის ზედა, მოკერებული ნაწილი.

ხუთკილოგრამიან ქვაბს **საცხვარე**-ს(‖ **საცხვარის ქვაბ**-ს) ეძახიან. ქვაბი შეიძლება იყოს **მაკალული** ან **მაუკალავი**. მოუკალავი ქვაბი **მსინავი**-ა (**სინა**—მწვანე ჟანგი, რომელიც სპილენძს ედება). ქვაბი **ახალი**-ა ან **ბეხვი** (resp. **გამდინარი**). ცალ-ცალკე აქვთ **სატკბისვლე**, **სახარშოე**, **სადღე**, **საზისვრე**, **სახინკლე** და **საფაფე** ქვაბები.

თულუხი—ასევე შეიძლება იყოს **ახალი** ან **ბეხვი(‖ გამდინარი)**, **მაკალული** ან **მაუკალავი**, **მსინავი**, **საწყლე**, **საარაყე** და სხვ.

თუნგი—სპილენძისაა ან თუჯისა. პატარა თუნგს **თუნგურა**-ს ეძახიან. თუნგს იყენებენ **სალუდე**-დ, **საარაყე**-დ ან **საწყლე**-დ.

ასეთია ის **ჯამ-ბუნაგი** (ჯამ-ჭურჭელი), რომელიც სევსურულ სახლშია.

§ 29. **სხვა ტიპის ნაგებობანი.** ქვიტკირთან დაკავშირებით ჩვენ ჩამოვთვალეთ და აღვწერეთ ხევსურული საცხოვრებელი ბინის მოწყობილობა და ამ ბინაში ბოთავსებულ ნივთებთან დაკავშირებული ტერმინები. რიგი განსხვავებული ტერმინები გვხვდება სხვა ტიპის ნაგებობებთან დაკავშირებით. ამ პარაგრაფში ჩვენ შევეცდებით, რაც შეიძლება სრულად აღვნუსხოთ ეს ტერმინები.

ხევსურეთში (უპირატესად პირაქეთ ხევსურეთსა და არხოტის თემში) გავრცელებულია **კალოიანი სახლი**. კალოიანი სახლი ორსართულიანია, და მის მეორე სართულს **ჰერხო**-ს ეძახიან. ჰერხოში ინახავენ **ტყავ-სალამო**-ს, **პურ**-ს, **სატან-ერბო**-ს და სხვ. ზამთარში პირველ სართულში, **სამყოფო**-ში ცხოვრობენ, ზაფხულში კი **ჰერხო**-ში. **ჰერხოს ბანი**-ს უკან გაკეთებულია **დაფარებული კალო** (დახურული კალო), რომელსაც ფასადის კედელი არა აქვს, ე. ი. წინიდან ღიაა. დაფარებულ კალოში ზამთარში ლეწავენ ძნას.

„კარზე ნაბადი ლურჯაი ფხვრიალებს, უცემს ცხვირსაო,
ჰერხოთ ჩამადის დგრიალი, ნალ[ა]ის ფრანგულისაო“
(ხევს. პოეზ., 209_{33-34}).

„თოფს ისრევს ბერი ბერდია, მკვდარ უწყოვ **კალოს** კარზე და“
(ხევს. პოეზ., 80_{13}).

პირველ სართულში მოთავსებულია **სამყოფო**, **ბოსელი**, **საცხვრე**, **საკბოე** და **სათიკან-ბატკნე**. აქვეა ჩვენ მიერ ზემოთ ძოხსენებული **სახოზდაგე** და **ხინდახორი**. აქვეა **არდაბაგა**-ც. სამყოფო და საქონლის სადგომი **განაწვლული**-ა[|| **გაფიცრული**-ა || **გამაკედლული**-ა (გატიხრულია)] ან წნელის ღობით ან ფიცრით. გამტიხრავ კედელში გაკეთებულია კარები, რომელთაც **ნაწვლის კარნი** (|| **სამყოფოს კარნი**) ეწოდება. „კედლისა' კულაის შუაში ალაგ იქნების გაწირული, იმაში შაემბიან **ნაწვლის კარნი**... ის კარნი არიან სამყოფოზეით საძროხეზე გადასავედში“. სამყოფოს (rus. ნაწელის) კარნი ხშირ შემთხვევაში **ლასტისა**-ა (წნელისაგანაა დაწნული). ანდაზაა: „რკინის კარ მისვლიავ **ლასტის** კარსაე“ [დამეხმარეო], (ე. ი. კარგ მდგომარეობაში მყოფ კაცს ნუ ჰგონია, რომ სხვისი ხელი არასოდეს დასჭირდებაო).

ახვევა მოწყობილი სახლი **საბოსლო**-ში (საზამთროდ ან საზაფხულოდ დროებით საცხოვრებელი ადგილი), ოღონდ იქ სახლი

ერთსართულიანია. თუ ამ **ბოსელ**-ზე (ასე ეძახიან საბოსლოში აშენებულ სახლს მთლიანად) კიდევ დააშენეს კედლები და დაახურეს ბანი თივა-ჩალის შესანახად, ამ მეორე სართულს, ამ თივა-ჩალის „საწყობს“ ეძახიან **ჰერხო**-ს. ზოგჯერ ბოსელს ყარტის ოფერდა სახურავს უკეთებენ. ასეთ სახურავიან „**ჰერხოს**“ **სართულა**-ს ეძახიან. საბოსლოში მცხოვრებს **მებოსლე** ეწოდება. დროებით საცხოვრებელ სახლს ზოგჯერ **ბინა**-საც ეძახიან. **ბინა**-ა აგრეთვე ოჯახის მთელი ავეჯი და ავლადიდება. გაუქმებულ ბინას (სახლს) **ნაბინავარ**-ს ეძახიან.

„**საბოსლომ** ჩამამაბერა, ნიავნ სცოდნიან მთასაო“
(მივლ. მას.).

„ტანიას **მებოსლიასა** ძალიან მამეწყინაო,
ახლა გადავალ ღორღუსა, ცოტა იქ მიძეს **ბინაო**“
(მივლ. მას.).

საბუოფოსა და სასაქონლე ბინების გატისვრას **გახლათვა**-საც ეძახიან. ჭერხოიან სახლში ან ბოსელში კეზს „**ბოძს შაუდებენ**“ (‖ „**ბოძს მიუდგმენ**“) ან „**კულას აუგებენ**“. „კეზს **მიედგმის ბოძები**, რომნებსაც ძირებ გლუვ ქვებზე ან სიპებზე ექნების დადგმული“.

ქვიტკირს და კალოიან სახლს გვერდზე აქვს ხოლმე მიშენებული პატარ-პატარა ქოხები, ანდა უბრალოდ გადახურული სათავსოები. ასეთი სათავსოები სხვადასხვა დანიშნულებისა და სახელწოდებისაა. შატილში გვხვდება შემდეგი სათავსოები: **გარეთა, წინგარდა, ფიცრული, ასალდაფარებულა, საღომლია, სასაარაყეე, გვერდითა, საქსლე, სამჭედლო, დარიფანი** და სხვ.

„გუშინისა **წინგარდაზე** შუა ბანზე გედგა ჯარა“
(ხევს. პოეზ., 405$_3$).

ყოველგვარი საცხოვრებელი ნაგებობის ნანგრევს **ნაშალ**-ს (‖ **ჯოლ**-ს) ეძახიან. არის გეოგრ. სახელი **ჯოლისკალუანი**.

„ციხის გამათქვი **ნაშალო**, რა დრო გაქვ გამავლილიო“
(ხევს. პოეზ., 540$_1$).

ციხე-ს აქვს **დარანი**(‖ **დარანა**). ესაა ციხის სარდაფი, რომელსაც გარედან კარი არა აქვს. ციხის სარდაფში (დარანში) **ციხიონთა** (მეციხოვნეთა) პროდუქტები ინახებოდა და **დიაც-ყმაწვილი** (ქალები და ბავშვები) ჰყავდათ შეფარებული. დარანში ერთადერთი **საკვამი** ჩადიოდა ციხის პირველი სართულიდან. ამ საკვამს დიდ ლოდს აფარებდნენ ზედ. დარანი ტყვეების დასამწყვდევადაც იყო გამოყენებული. „ომის დროს დარანში ჩახურიდეს **დიაც-ყმაწვილს**“.

„ქვეთა თვალს დარანს ჩაეყარენ შუქო-თამარან დანია,
ლაშქარო ზურაბისაო, არ მაუკელა კარია“
(ხევს. პოეზ., გე. 300_{10-11}).

დარანი გამოყენებული იყო საბნელო-დაც. საბნელო მგლოვიარეთა ბნელი თავშესაფარი იყო. მგლოვიარე გარკვეული დროის განმავლობაში „საბნელოს იჯდა“, მზეს და, საერთოდ, სინათლეს ემალებოდა.

„მამასა ურჯუკაისას მზე უდგას, უბნელდებისა...
დანი საბნელოდ ჩაუსხდეს, ფარაგთით იბოშებისა“
(ხევს. პოეზ., $253_{15, 17}$).

ციხეს ყოველ სართულზე აქვს კონუსისებრი სახურავი, რომელიც სიმაგრის გულისათვის ქვისგანაა გაკეთებული. ასეთ სახურავს ჩირთად შამაყრილ-ს ეძახიან. ამ სახურავს ცა-გამაბრუნვილ-საც ეძახიან. იმის მიხედვით, თუ რამდენი ასეთი სახურავია ციხეში, ციხე იქნება ორჯერ ცა-გამაბრუნვილი, სამჯერ ცა-გამაბრუნვილი და ა. შ. ხალხურ პოეზიაში მოხსენებულია ძარდარი, რომელიც აგრეთვე ციხის რომელიღაც ნაწილი უნდა იყოს. სახელდობრ ციხის რა ნაწილია ძარდარი, ჩვენთვის გაურკვეველია.

„კვირიკამ ნანაისძემა ციხეში ბანდნა ჯღანია,
ძარდარით გამაუფრინდა, ვეფხვმა დახია ჯარია“
(ხევს. პოეზ., 146_{20-21}).

ქავი—მცირე მონაკვეთზე გაკეთებული მაღალი კედელია. თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. ქავი გალავან-ს ჰგავს, ოღონდ გალავანი მთელ სოფელს აქვს შემოვლებული, ხოლო ქავით შემოზღუდულია რამდენიმე ციხე ან ქვიტკირი. ქავს აშენებდნენ ეიწრო გზაშიაც, ისეთ ადგილზე, სადაც შემოვლა შეუძლებელია. ქავს აქვს კარი, რომელსაც შიშიანობის დროს ყარაული იცავდა.

„ქავის კარ ნასხდომთ ახალთა ნუკლებს ჭარ შაუჯდებისა“
(ხევს. პოეზ., 5_2).

„აბეჩავ არხოტივნებო, მაგარს პირზე კი ზდგებითა!
ჰალაზე ქავი გალმართეს, ქორიც ვერ გაფრინდებისა.
შიგ უსხავ მეთოფეები, ბერდენკაები ტყვრებისა“
(ხევს. პოეზ., 265_{23-25}).

სანგალი(‖ სანგარი)—თხრილი ან სხვა სახის საფარია, რომელიც სოფელში კი არა—ველზე კეთდება თავდაცვის მიზნით. ასეთივე დანიშნულების თავშესაფარია საყუჩი-ც. საყუჩად შეიძლება ყოველგვარი ბუნებრივი თავშესაფარი იყოს გამოყენებული.

„დაბლა ჩაგიდგეს **საყუჩი**, სოფელო ქვისჴორჴისაო“
(მიქლ. მას.).

„ცხენზეით გადმაიარა, დახვდეს **საყუჩად** ქვანია“
(მიქლ. მას.).

ხევსურულ პოეზიაში მოხსენებულია **კარავი**-ც:

„აიმ ადგილის ჭირიმე, სადაც თემურაზ ბზანდება,
დაიცემს წითლის **კარავსა**, ზედ ოქროს სეეტი დადგება“
(ქიქლ. მას.).

„სად იყვა თუშიშვილები? ჴევსურებ **კარავს** ჭრიანო.
ნადირაის ჴმლის ნამტვრევნი[152] **კარავის კარში** ხყრიანო“
(ხევს. პოეზ., 24_{13}).

ზოგ სოფელში (მაგ., შატილში) ცალკე ნაგებობაა **საფეხვნო** (‖**ფეხონი**). საფეხვნო დახურულია, ოღონდ წინა კედელი არა აქვს. საფეხვნო გართობის მიზნით თაყვესაყრელი ადგილია. საფეხვნოშივე წნაევენ თოკებს, ამზადებენ ფეხსაცმელს და სხვ. აქ დგას ტყავის მოსაქნელი **ჯიმუნი** და თოფის წამლის „ამასანაყი“ „როდინი“, რომელსაც **დენგნი** ეწოდება. ისეთ სოფელში, სადაც საფეხვნო სპეციალურად არ ჰქონდათ აშენებული, ერთ რომელიმე სახლის ბანს ან კალოს ამოიჩემებდნენ და იქ „**ფეხვნობდეს**“. ფეხონში მხოლოდ კაცები იყრიან თავს. „**დიაცების ფეხონ** ცალკე იყვ, დიაცებ სადგანდ (=სადაც გინდა) გაღმართებდეს ფეხონს“.

ჯვარ-ში (ბატ'ში) არის ერთი მთავარი განყოფილება—**დარბაზი**(‖**დარბასი**), რომელშიაც მხოლოდ ხატის მსახურებს აქვთ შესვლის უფლება.

„**დარბაზს** ვისხეით ჴევსურნი, დიდ გვედგა საუბარიო“
(ხევს. პოეზ., 360 დ., 6).

დარბაზის გვერდზეა: **საჯარე**, სადაც სალოცავად მისული **მეზღვნე**(‖**ჯარი**) იყრის თავს; **ბელელი**—ადგილი, სადაც ჯვარის პურის შესანახი კიდობნები დგას; **საქვაბე**(‖**სალუდე**)—სადაც ლუდ-არაყი ეზადდება და სხვ. სხვადასხვა ხატის ნიშებზე აშენებდნენ **ჯვარის კოშკებ**-ს. ჯვარის კოშკი, ჩვეულებრივ, რომელიმე მთის წვერზეა ხოლმე აშენებული.

აშენებდნენ აგრეთვე პატარა კოშკს—**საწყევარა**-ს. საწყევარას აშენებდა ის პირი, ვინც რამე დაკარგა და ვინმეს ეჭვით აბრალებდა ქურდობას, ან ის, ვისაც ტყუილად დააბრალეს ქურდობა, **ენა-ონა** (ჭორი) თუ სხვა რამ. საწყევარას ამგები საწყევარაზე

---

[152] ტექსტში შეცდომით წერია „ნაბტვრევი“.

ან **უსურაგის** ძეალს დადებდა ან დამხრჩვალ კატას და მისთ. და დაწყევლიდა თავის მოწინააღმდეგეებს და თავის თავსაც. იგი ხმამაღლა დაიძახებდა: „რომენიც ჩვენჩიგით ტყუოდას, იმის მკვდრისად იყვას ეს ციცაი, მართლის ჭკვდართ ჯსნილობა ხქონდასო“. საწყევარას, ჩვეულებრივ, თვალში მოსახვედრ ადგილზე „აგებდეს“, რათა ყველაა დაენახა.

პატარა „საწყევარაა“ **ლიგანა**-ც. **ლიგანა**-ს მთებზე, ბილიკების გასწვრივ აგებდნენ, რათა მგზავრს ნისლში გზა არ დაკარგვოდა. უფრო მოზრდილ კოშკს აგებდნენ საფლავზე (**საფლავის კოშკი**). ხევსურეთში უშენებიათ **ეკალდამაები**-ც (აკლდამები). აკლდამას სიპის ორფერდა სახურავი აქვს. შატილში და მეზობელი ქისტების სოფლებში ახლაც დაცულია აკლდამები, რომლებშიაც ადამიანის საკმაოდ კარგად შემონახული ჩონჩხები ყრია.

ქოხს, სადაც ქალები დედათწესის დროს ცხოვრობდნენ ხოლმე, **სამრელო**-ს (←სამირეულო)[163] ეძახიან. შიგ მცხოვრებ ქალს **მესამრელოე**-ს(‖**კარსნამყოფ**-ს) ეძახიან. შატილში **ქოხი** სამშობიარო ქოხის საკუთარ სახელადაა ქცეული, თუმცა თავისი მნიშვნელობაც არ დაუკარგავს. მშობიარე დედაკაცს **მექოხე**-ს ეძახიან. არხოტში სამშობიარო ქოხს **საჩეხი** ეწოდება. შატილში არის გეოგრაფიული სახელი **საჩეხა გორა**. ამ გორზე მხოლოდ მშობიარობის დროს დაღუპულ ქალებს და ბავშვებს მარხავენ.

„**სამრელოს** კარჩი ჩამავჯე, გამზრალი ორ, გაყინული,
ალარც ჯალაფთ ჭამიგონეს დაცილებულ-გაწირული“
(ხევს. პოეზ., 348_{1-2}).

„მაგის სამყოფოს სახლ-კარსა **საბოსლო ქოხი** სჯობია“
(მივლ. მას.).

„ავდარს არ გაგაწუწვინებ, ჩემს ნაბადს **დაგიქოხებდი**“
(ხევს. პოეზ., 523_3).

ჩვეულებრივი ქოხია აგრეთვე **სიპერდა**. სიპერდას ძირითადად მონადირეები აშენებენ მთაში. **სიპერდა** ქოხსაც ეწოდება და თვითონ სახურავსაც. სახლის (ან სხვა ნაგებობის) სიპით დახურვას **სიპერდაით დაფარება**-ს ეძახიან. „სიპერდაით“ საკულტო ნაგებობებს (**ჯვართ, საქვაბეხ** და მისთ.) ხურავდნენ, რადგან მათი მიწით დახურვა არ შეიძლებოდა: მიწით დახურულ ბანს

---

[163] მირეული—უწმინდური.

ტკეპნა და მოვლა უნდა. დარბაზისა, საქვაბისა და მისთ. ბანზე ასვლა კი არც ოვითონ ხუცესს შეუძლია.

შდრ. ლექსი:„ხოშაქის ტურა ნატრობდა: „სამ დღეიმც მამცა მზიანი,

ან გურო გამატეხია, ან **ქაჩუ სიპერდიანი**“ (მივლ. მას·).

როგორც ამ ლექსიდან ჩანს, შატილელების უწინდელი სოფელი („**შატილიონთა ნამყოფლავი**“) ქაჩუ „სიპერდიანი“, ე. ი. სიპით დახურული ყოფილა.

აბჯრის ლეძსიკა

§ 80. მშვილდ-ისარი, ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღი. ხევსურეთში გვიანობამდე იყო შემონახული ნაირ-ნაირი სისტემისა, ყალიბისა და მარკის ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღი. ხევსური ბავშვობიდანვე სწავლობდა იარაღის მოელასა და ხმარებას. წარმოუდგენლად დიდ ფასს აძლევდნენ ხმალში, ჯირიმ თოფსა და სხვა იარაღში. ხევსურის ასე დიდი მიდრეკილება იარაღისადმი ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება: მტრულად განწყობილი მეზობლებით გარშემორტყმული ხევსური იძულებული იყო იარაღით დაეცვა თავი.

ხევსურულ სახლში, „სამამაცოს“ ახლაც ჰკიდია ნაირ-ნაირი ხმლები, ხანჯლები, ფალიიანი თოფები და მისთ. ოდესმე მათი ადგილი პრიმიტიულ იარაღს **ფშვინდ-ისარ-ს** ეკავა. საომარი **ფშვინდ-ისარი** ამჟამად აღარსად ჩანს.

„**ფშვინდ-ისრობა**“ ხევსური „ჟამთაღმწერელისათვის“ ყველაზე ძველი დროა. რომელიმე ხევსური **მეანდრეზე** (ძველი ამბების მცოდნე) ფშვინდ-ისრობაზე თუ იტყვის რასმე, თორემ იმის იქით რა დრო იყო,—არავინ იცის.

ფშვინდ-ისრობის ჟამიდანაა შემორჩენილი შემდეგი ლეგენდა: მოხადირე ჭარაფზე გადაიჩეხა. სასიკვდილოდ დაიჭრა და **ჯღნის** (ბანდულის) **საბანდით** ჩამოეკიდა უფსკრულის თავზე. მისმა ძაღლმა ყურშამ შეატყობინა ეს ამბავი სოფელს. მივიდნენ, მაგრამ ციცაბო ჭარაფი მიუდგომელი აღმოჩნდა და სასიკვდილოდ დაჭრილი (თუ უკვე მკვდარი) მონადირის ჩამოტანა არ მოხერხდა. მონადირის ძმადნაფიცმა, საუკეთესო მოისარმა, **მაკრატელა ზროიანი ისარი** ესროლა და ბანდულის საბანდი გადაჭრა. მონადირე ჭარაფიდან ძირს დავარდა... ეს ტრაგედია ასე აღწერა მელექსემ:

„გათენდი, (ნუმც გასთენდები!) დიდო ღამეო სთელისაო!
ამაჯე, (ნუმც ამაჯდები!) სისკარო თენებისაო!
ჩაიარე და ჩახყეფნე, ყურშიაე პატრონისაო;
კლდეთა გიკიდავ პატრონი ფურ-ბერწის საბანდითაო,

ღამეთ ათენებს თეთრადა ცალ-ქერქის პერანგითაო.
...ესრეენ, ჩამააგდებენ ძმობილის **მაკრატლითაო**"
(მივლ. მას.).

ამჟამად ფშვინდ-ისრით ბავშვები დასდევენ ჩიტებს. ფშვინდს აქვს **ორი გოზა**—**წინა** და **უკანა. გოზა** ეწოდება ადგილს ფშვინდის **საჭელურა**-დან ფშვინდის წვერამდე. ბაწარს, რომელსაც ეწევიან ისრის სროლისას, **საბამი** ეწოდება. **ფშვინდი** შეიძლება იყოს **კეტი**—ისეთი, რომლის გოზანი ცუდად იღუნება და **ფონი**(||**ფუმფლი**)—რომელიც იოლად იღუნება.

ისარს აქვს **წვერი**, რომელზედაც შუბის მაგვარი მახვილი—**ზრო**-ა წამოცმული; ზრო შეიძლება იყოს ცალმაგი და ორტოტი. ორტოტა ზროს **მაკრატელ**-ს ეძახიან. ასეთი ზროს აღსანიშნავად პოეზიაში ტერმინი **ფოცხ-მაკრატელა**-ც გვხვდება. ადგილს, სადაც ისარს ფრთები—**თბეები** აქვს მიკრული, **ყია**(||**ყიანი**) ეწოდება, ხოლო ადგილს, რომლითაც ისარი საბამს ებჯინება—**კილო**(||**კილონი**). კილო-ს ეძახიან ხევსურები ისეთ დროსაც, რომელიც ამა თუ იმ პირიათვის რაიმე თვალსაზრისით ხელსაყრელია (იგივე დრო შეიძლება სხვისთვის არახელსაყრელი იყოს). **კილოს მისვლა**-ს ეძახიან აგრეთვე უკანასკნელ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნას. ავადმყოფობისაგან გამადარ, დასუსტებულ კაცზე იტყვიან „**კილოს მისულია**"-ო (იხ. აგრეთვე ზემოთ **კილი**).

შდრ.:

„დაიცა, წყლისა მარსიტო, ვერ მიგაყენო **კილოსა**,
დიაღა ნუ ასჩქარდები, მე ველი თავის **კილოსა**"
(ხევს. პოეზ., 714).

ისრის უმიზნოდ, შორ მანძილზე სროლას **გასაგნვა**-ს ეძახიან. ფშვინდ-ისარზე და ფშვინდ-ისრობის დროზე მრავალი ლექსი შემოუნახავს ხევსურულ ზეპირსიტყვიერებას.

„ნეტავინ მამცნა **მშვილდ-ისარნიო**,
ერთ-ორიმც **დამაზინებივაო**" [154]
(ეთნ. მას. 1_{26-27}).

„გულს ეშჩო თბე-შავ **ისარი**, სისხლი **ყიათა** სდიოდა"
(ხევს. პოეზ., 144_{8}).

---

[154] **დაზინება**(||**მაზინება**) ან **დაზიდება**(||**მაზიდება**) ნიშნავს გამოწვევას, მოკიმვას (ამ შემთხვევაში მშვილდის საბმისა). შდრ.:

„დედა ვაცხონე ნჰედლისი!—ზრო ლამაზ გეეჭლიბაო;
მემრე მაგისი მსრეველისი!—ლამაზა მეეზინაო!"
(ხევს. პოეზ., 46_{3-2}).

„მუქუში მშვილდი აქეხდა გოზა-წითელი, რქიანი“
(ხევს. პოეზ., 141_{19}).

„თბე-წვრილს ისროდეს ისარსა, მშვილდის გოზები ჰყიოდა“
(ხევს. პოეზ., 144_{4}).

„ჩამაზდიოდეს ციხესა ნაგლეჯნი მაკრატლისანი“
(ხევს. პოეზ., 540_{14}).

„თუშებმ მესროლეს ისარი ფოცხ-მაკრატელა ფთიანი“
(ხევს. პოეზ., 543_{17}).

სხვა ცივი იარაღიდან ყველაზე ძველია **შუბი**. შუბსა აქვს **ტარი** და **წვერი** (resp. **ზრო**).

„კახეთში ფუნჩათ ჯამრული ათეთრებს შუბის ტარსაო“
(ხევს. პოეზ., 119_{1}).

„ვაუგას, დუსხის ციხეო, თუშნი გარს მაგივლიანა,
აქვათ აუქდა ნანატრი,—მკვდარსა მარჯილით თრიანა,
შუბთა ქუჯაის ნაკრავთა ქისტნ ორნი ვერ დასწვდიანა“
(მივლ. მას.).

ცივ იარაღს ხატის ენაზე **იამანი** ეწოდება. ცივ იარაღს უბრალოდ **მახვილ-საც** ეძახიან. „კაცო, წნელს მე საით მავიტან, ფირჩხილის მასაკვეთ **მახვილ** არ მებადების, ქელით ხო არ დავამტვრევ?!“ ყველაზე პატარა ცივი იარაღია **სათითენი**(|| **ლაჯია**), **ლესული**, **საცერული** და მისთ. ამ იარაღს ცერზე იკეთებენ. ზოგი მათგანი ბლაგვია, ზოგი კბილებიანი, ხოლო ზოგი ფხიანი, გალესილი.

„ვაჲ უნდა იყვას ისეთი, იუდის ნაწინწელიო[155],
არ აშინებდას ხანჯარი, ფოლადის **სათითენიო**“
(ხევს. პოეზ., 351_{7-8}).

პატარა იარაღია **სამართებელი** და ურსა-ც. ურსას ტოლია **ჯაყვა**-ც, ოღონდ ჯაყვა საკეცია, ურსა კი არა. სამართებელი შეიძლება საკეციც იყოს და ურსას ფორმისაც. ჯაყვას მხოლოდ ქალები ატარებენ (სარტყელზე აქვთ ჩამოკიდებული).

„კარგა ჭრის **სამართებელი** თიანელაის თავსაო“
(მივლ. მას.).

არსებობს ტერმინი **დანა**-ც, მაგრამ იგი ფართო ცნების შემცველია: იგი ზოგჯერ ხმალსაც ნიშნავს, ხანჯალსაც და სხვა იარაღსაც. ტერმინი **დანა-სარტყელი** ნიშნავს ქამარ-ხანჯალს. იარაღს ზოგადად **აბჯარი** ეწოდება. ცივი იარაღის ეპითეტებია **ჯავარი** და **მუსრი**-ც.

[155] ტექსტში არ წერია „იუდის ნაწინწელიო“, მის ადგილზე მრავალწერტილია დასმული. ალბათ მთხრობელმა ტექსტი არ იცოდა (ალ. ჭ.).

„ვაჟნო, რად გინდათ ნაქონი ჩასაცმელ-დასახურია?
ან ვერცხლის **დანა-სარტყელი** ან ქუდი ყაზახურია?
(ხევს. პოეზ., 471_{24-25}).

„ვაშკაცსა გული რკინისა, **ბჭკვარნი**—თუნდა ხისანი,
თვალნი—ქორებულ მხედავნი, მუკლები—შავარდნისანი"
(მივლ. მას.).

„კაის ყმის ცხენი, **ბჭკვარი** თავ და თავ ცუდის ფასია"
(ხევს. პოეზ., 277_{2}).

„დანა დავაგი **ჯავარი**, ზედ გიშრის ტარი მიგია"
(ხევს. პოეზ., 127_{5}).

„იმაად ვიყავ, ბიძაისიო,
გავშჩვივა ფარიკაობასაო,
ფარს ქვეთა **მუსრი** შამამასწვერო..."
(ეთნ. მას., 11_{10-12}).

ცალ მხარეს გალესილი შესაბმელი იარაღიდან ყველაზე უფრო პატარაა **ცალყუა** და **დაშნა**.

„ამაგის მალექსებელი ძლივ გადავშჩი ცალყუასა"
(მივლ. მას.).

„ჴრელა **დაშნუა** შაუმბავ, ჴევსურის დისწულს ღვავისა"
(მივლ. მას.).

დაშნაზე უფრო მოზრდილია **ჴმალი**. ჴმალი სხვადასხვა ფორმისა და ღირებულებისაა. კარგი ჴმლის ფასი 20—25 ძროხამდე აღწევდა. ხევსურეთში გვხვდება ჴმლები: **დავითფერული, ფრანგული, დედალ რუსული, რუსული, ჰარული, გორდა** და სხვა. ჴმალი (და სხვა ცივი იარაღიც) **ქარქაშ**-შია „ჩაგებული". ხმლის ამოღებას **ამაგება**-ს (|| **ამალება**-ს || **გაწვდა**-ს || **ჴელის მასმა**-ს || **ჴელის გაკვრა**-ს || **ამამღერება**-ს) და სხვ. ეძახიან.

„ქმოსტელი ყარდანაული **ბასრის ჴმალია** ფხიანი"
(ხევს. პოეზ., 169_{10}).

„დაგვხიენა თურმანაულმა **ჯ**ურჯამა ვეფხვმა მწკლითაო,
ჴირჩლამა ბაბურაულმა **გორდა ფრანგული** ჴმლითაო"
(ხევს. პოეზ., 182_{22-23}).

„**დაფხაებულსა** ღვანდი **ჴმალსაო**,
ფრანგულსა სისხლჩი დაჩვეულსაო"
(ეთნ. მას., 23_{11-12}).

„**ჴელი გავიკარ ფრანგულსა**, ნაჩუქარს ცოლისძმისასა"
(მივლ. მას.).

ხმალს აქვს **ბუნი** და ვადა (‖ **ხეტარი**). ხმალი შეიძლება იყოს **მახვედული** (მოსეევადებული), **მელანქრიანი** (მინანქრით შეღებილი), ვერცხლის ცვრებით ხეტარ-მოჭედილი და სხვ. ხმლის გალესვას **ამაფხაება**-საც ეძახიან. ძალიან გალესილ ხმალზე (და სხვა ცივ იარაღზედაც) იტყვიან: „**აფთივითა**-ა (‖ **სამსალაივითა**-ა ‖ **მეხივითა**-აო)“. ბლაგვ, გაულესავ იარაღს **გადაოგნებულ**-ს (‖ **გადაჯოჯმაჯებულ**-ს) ეძახიან.

„გადმამიქნია, ვერ მამწვდა, **ხეტარს** მაუხვდა ქმლისასა“
(მივლ. მას.).

„ბევრმაც კი სისხლით დაფერა **ვადა-ცვრიანი** ქმალიო“
(ხევს. პოეზ., 3_4).

„მემრ ქმალი **ამაამღერა ვადათით მელანქრიანი**“
(ხევს. პოეზ., 177_9).

ხმალს მრავალი ეპითეტითა და შერქმეული სახელით ამკობენ. ასეთებია: **წვრილა, ჩიქორთაულა, ბაწარაული, ფხა-სისხლიანი** და მრავალი სხვ.

„აბეჩან ნიკოს **წვრილაო**! გაელდა, ხვეიხარ ცასაო“
(ხევს. პოეზ., 308_1).

„ნიშასა შაგიკაზმავ ცხენსაო,
ქმალს მაგცემ „**ჩიქორთაულასაო**“
(ეთნ. მას., 49_{10-11}).

„ლაშმრუდი ბურციკაისშვილიო
ღვედრიდა **ბაწარაულასაო**“
(ეთნ. მას., 2_{18-19}).

„ქმალიც ბევრია მშაეშია, ფრანგული **ფხა-სისხლიანი**“
(ხევს. პოეზ., 180_9).

ხმალს **სამჭარიღლიო**-თი იკიდებენ. სამჭარიღლიო ღვედისაა, თღონდ ვერცხლის სამკაულით — **ყაწიმი**-თაა მორთული. ყაწიმით მოკაზმულ ღვედსაც **ყაწიმ**-ს ეძახიან. ხმლისავე სამკაულია **ბალთანი, აშურმანი, თემლაკი** (რუს. темляк) და სხვ. ხმლის რაღაც სამკაული თუ ნაწილი ჩანს **ხრინკა**(‖ **ხრინკანი**). სახელდობრ რაა ხრინკანი, არ ვიცით. ასევე გაუგებარია, თუ რა იარაღია **კალდიმი**, რომელიც ხევსურულ პოეზიაშია მოხსენებული (შდრ. საბა: „**კალდიმი** ჭრმალია ერთ რიგი“).

„მითხოთ გამადის გორგის თოფიო,
ყაწიმნ ნათობენ სახანოსაო“
(ეთნ. მას., 10_{1-2}).

„გოთლასძევ, გამამილალე **ყაწიმი** შენის ქმლისაო“
(ხევს. პოეზ., 188_{10}).

„გიორგის **ბალთა-ყაწიმსა** სისხლმ შაუცვალა ფერიო“
(ხევს. პოეზ., 211_{36}).

„შენ დაგცდეს ღვედის იარაღნიო,
იმას **ბალთანი, აშურმანიო**“
(ეთნ. მას., 5_{25-26}).

„წელზე აისხამს **აბჯართა**, თემლაკს შეიბამს ჯმალსაო“
(ხევს. პოეზ., 390_{12}).

„ჯმალი აბჯადეს ფრანგული, კალდიმ გადუგდეს სხვისაო“
(ხევს. პოეზ., 91_{5}).

„კილავის ჯმლისა **ხრინკანი** გუდან სახუცოს ხკრიანა“
(ხევს. პოეზ., 263_{2}).

ხანჯარი-ც მრავალგვარია: **ცალღარი, ორღარი, სამღარი, ხუკიანი, ლეკური, წვერამდი დაწერილი, შავხლის ხანჯარი**(‖ **შავხალი**) და სხვ. ხანჯლის ეპითეტებია: **შავტარა, თეთრტარა, ორპირი** და სხვ. ხანჯლის ქარქაშზე გადაკრულ ტყავს **კემუხტ**-ს ეძახიან.

ხევსურებს აქვთ აგრეთვე თავდაცვითი იარაღი—**ფარი, ჯაჰვ-მუზარადი**(‖ **ბეგთარი** ‖ **ბეკთარი**) და სხვ. ფარი რკინის **გირგოლები**-თაა შეკრული და აქვს ღვედის **საბღუჯი** (სახელური). ფარის თავდაცვისათვის მომზადებას **ფარის დახაბღუჯება**-ს ეძახიან. **ფარს** აქვს აგრეთვე სამკაული—**ქუჩუმი** (ფოჩები). აქა-იქ შემორჩენილა აგრეთვე პატარა ზომის ფარი—**უბის ფარი**.

„**ფარიხ გირგოლი** გააწყვეტინა, შაჭან, გაგიწითდა მჯარიო“
(ხევს. პოეზ., 110_{11}).

„ბევრამაც ტყეში ჩაილა **ქუჩუმიანი ფარიო**“
(ხევს. პოეზ., 3_{3}).

ჯაჰვ-მუზარადის ანუ ბეგთარის ნაწილებია: **ჩაჩქანი**—თავსახური ჯაჰვისა, რომელსაც აქვს რკინის ქუდი—**ზარადი** (‖ **მუზარადი**), **ჯაჰვის პერანგი, სამკლავენი, საფუჯარნი** (ხელთათმანები ჯაჰვისა), **საბარკულნი** (ბარკლის დასაცავად) და **ხაჩერნენი** (ჩერნის ანუ წვივის დასაცავად).

„**საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი**“
(ხევს. პოეზ., 169_{11}).

„რად არ ჩავიცომ **ბეგთარსა**, წელზე შავირტყამ ჯმალსაო?“
(ხევს. პოეზ., 383_{2}).

„შენნი იარაღნ მამწონან, მაგ შენის **ჩაჩქნიხ ზარადი**“
(ხევს. პოეზ., 591_{8}).

„ჰელზე **საფუჯრებ** ჩაიცვას, ფეჴზე დაიკრნას რკინანი“
(ხევს. პოეზ., 341_{7}).

შეშორჩენილია ტერმინი **კაპარჭი**-ც: ლაშქრობის, სამეკობროდ ყოფნის შემდეგ ნადაელს გაუოფდნენ და თითოეულის წილხვედრს **კაპარჭის წილი** ერქვა.

სასროლი იარაღიდან ხევსურეთში გვხვდება მრავალგვარი **ტალიანი** (ფალიიანი) თოფი. ესენია: **მაჟარი, ჯირიმი, სტამბოლი** (|| **ისტამული**), **სიათა, ჯარა** და სხვ. გვიანდელი სისტემის თოფებიდან აქ გავრცელდა **ბერდენკა** (რუს. **бердянка**), **ხუთსატენიანი** [|| **ისტონკა** || **ვიტონკა** (რუს. **винтовка**)], **სამსატენიანი**(|| **ფრანცუზული, || ფრანციცული**), **თათრის** თოფი (|| **თურქის** თოფი) და მრავალი სხვა. პატარა იარაღიდან აქ შეხვდებოდით: **თოფანჩა**-ს, **მაუზერ**-ს, **ლიურელ**-ს (←რუს. გზ. **револьвер**), **პარაბელ**-ს (←რუს. გზ. **парабеллум**), **ბრაუნიკ**-ს (←რუს. გზ. **браунинг**) და სხვ. გვხვდება ტერმინები „**ბომბი**“ და „**კაპსული**“-ც.

„მარტიაისა **მაჟარი** ჯირიმებს გასჯარბდებოდა“
(ხევს. პოეზ., 105_{10}).

„მაგას ბილოსძე გამუდგა, **მაჟარს** გახჭონდა პრიალი“
(ხევს. პოეზ., 84_5).

„დატყვრენ, დაჟურდეს **სტამბოლებ**, ტყვია ცვიოდა ფარზედა“
(ხევს. პოეზ., 139_{21}).

„**სიათამ** დედის ერთამა ტყვია გალალა ძალზედა“
(ხევს. პოეზ., 139_3).

„პირგამართულსა ღვანდი თოფსაო,
ჭმა-ძალიანსა **სიათასაო**“
(ეთნ. მას. 23_{9-10}).

„თოფსამც **ჯარასა** ვენაცვლებიო,
ჩამლას გაგაის გატენილსაო“
(ეთნ. მას. 25_{9-10}).

„**ჯირიმ** თოფი გაქვ, ძმობილო, ტყვიას არ ჩაზდებ **ჯარაჩი**“
(ხევს. პოეზ., 591_9).

„**სტიკის ბერდენკა** აჩუქა ნაქონი სალდათისაო“
(ხევს. პოეზ., 210_{12}).

„მიხა არ იქსნის ხანჯარსა, ტარს იძევს ლიურლისასა“
(მიქლ. მას.).

„გიგიტა **პარაბლიანი** დაუდგა ბოსლის კარზედა“
(ხევს. პოეზ., 136_{24}).

„ბაბუტამ **ბომბი** დაიდვა **დაკაპსულილი** სკამზედა“
(ხევს. პოეზ., 136_{25}).

ფალიიან თოფს აქვს **ჩული** [‖ **საცმელა** (სარჩული, ბუდე)].

„კალთან რო გადაიკვართენიო,
თოფი ჩულჩიგით გამასწვადეო“
(უთნ. მას. 6_{3-4}).

„დურბინით ჩამახენებდეს, **საცმელა** იცნეს ძმისაო“
(ხევს. პოეზ., 108_{13}).

ფალიიანი თოფის ეპითეტებია: **ჯირიმის ბარტყი, ბურა, ყელ-ჭრელი, პირ-კვამლიანი, ჯმა-ძალიანი** და სხვ. შაშხანის ეპითეტია **არშავიანი**, რადგან „ვიტონკას არშაღის ტყვია აქვ“.

„ბუჩასეულს ქვე რას გვაკვეხებთაა?
ჯირიმის ბარტყი ჩვენიც ნახეთაოო“
(ხევს. პოეზ., 744_{11-12}).

„ტყვიის სკამები ედგაღაეო?
ბურაი გამადიოდაეო?“
(ხევს. პოეზ., 88_{7-8}).

„ციხით დასჭეხნა **ბურამა**, ყაწიმნი ლამჩი ხყრიანა“
(ხევს. პოეზ., 176_{11}).

„იდუაისა **ყელ-ჭრელმა** რისხვით გაიღნა ჭმანიო“
(ხევს. პოეზ., 129_{10}).

„თოფიც ბევრია მშავჩია, ჯირიმი **პირ-კვამლიანი**“
(ხევს. პოეზ., 180_{8}).

„მჯართა მეკიდა ჯირიმი, ძალიან **ჯმა-ძალიანი**“
(ხევს. პოეზ., 181_{15}).

„დატყვრების **არშავიანი**, ზედიზედ გამოდისაო“
(ხევს. პოეზ., 209_{25}).

თოფს აქვს ნაწილები: **კონდახი** (დუგლუგი), **ჩახმახი** [‖ **ზატორი** (რუს. затвор)], **ლიშანი** და სხვ.

„დაჩეხა თოფის **კონდახი**, შაიკრა არტახითაო“
(ხევს. პოეზ., 91_{8}).

„ველ-კეთილ შემოგეწევათ, **თოფ-ჩახმახს** გააქვ წკრიალი“
(ხევს. პოეზ., 213_{6}).

„გეტყვი: თოფს ნუ დაენდობი,—**ჩახმახ** ეშმაკის ცხენია“
(ხევს. პოეზ., 270_{3}).

„ელოდებიან პრიკაზსა, დადგა **ზატორის** ჩქამია“
(ხევს. პოეზ., 218_{27}).

ფალიიანი თოფის მქონეს უნდა ჰქონოდა **საპირისწამლე**—პატარა, ჩვეულებრივ რქისაგან გაკეთებული სათავსო, რომელშიაც წანალი ინახება. ყოველი გასროლის შემდეგ მსროლელს პი-

რისწამალი უნდა დაეყარა თოფისათვის. თუ საჭირო იყო (მაგ. შორ მანძილზე სროლისას), წამალს (დენთს) ორწყე-ს (ორმაგად) აყრიდნენ. წამალს წინასწარ გადაწყავდნენ მასრაებ-ში და ამათ სასწრაფოები ერქვა. თუ თოფი ადვილად ეერ კლავს ფრინველს ან ნადირს, ასეთი თოფი უპირო თოფი-ა.

„სალექსოდ გამამიტანე საპირისწამლე რქისაო“
(ხევს. პოეზ., 103_{19}).

„ორწყეს დაგაყრი წამალსა, თოფო, შენც გინდა გაძლება“
(ხევს. პოეზ., 188_{6}).

„გადაწყი სასწრაფოები, თორ ღამე მოდის სთვლისაო“
(ხევს. პოეზ., 215_{4}).

თოფის სროლას სრევა (|| ჯლა) ეწოდება, დამიზნებას კი — დალიშნება (|| დაქადლება). თოფის ხმის ეპითეტებია: ჭველვა, ჭუხილი, გუგუნი, ხუილი, ტყრიალი, ლაწნი, ჭეხა და სხვ. თოფების ხმის დასრულებას თოფების გაკრეფა-ს ეძახიან.

„ბევრჯერ ისროვა ჯირიმი მთა და ბარს ედგა გრიალი“
(ხევს. პოეზ., 251_{4}).

„სესელას ჩაკურათასა თოფი აქვ დიდის ხნისაო,
ფსიტისად დაუქადლებავ მარიამ-წმიდის ძირსაო“
(ხევს. პოეზ., 94_{1-2}).

„მავიდეს შენნი დედისძმანიო
მცნობელნი თოფის ჭველვისხანიო“
(ეთნ. მას. 71_{8-9}).

„ვერ გააგონე სოფლელთა შენის ჯირიმის ჭველვაო“
(მიქელ. მას.).

„ჯერ თოფებ არ გაკრეფილა, ბერდია ჭელებს სჭრისაო“
(ხევს. პოეზ., 95, 15).

ОСОБЕННОСТИ ХЕВСУРСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(Резюме)

I.

Среди диалектов грузинского языка хевсурский диалект занимает особое место. В нём больше, чем в других грузинских диалектах сохранилось архаичных явлений. Архаизмы наблюдаются как в фонетике и морфологическом строе, так и в лексике, вследствие чего хевсурский диалект может дать ценные сведения для истории грузинского языка.

Хевсурский диалект принадлежит к горским диалектам Восточной Грузии (каковы: хевсурский, пшавский, мтиульский, мохевский, тушинский). Хевсуретия расположена на территории Душетского района ГССР. Во второй половине XIX столетия хевсуры начали переселяться на равнину, и сейчас больше половины хевсурского населения живёт в разных районах Восточной Грузии.

В настоящее время хевсуры проживают в Душетском, Казбегском, Тианетском, Ахметском, Мцхетском, Гелавском, Сагареджойском, Цителцкаройском и Самгорском районах ГССР. В каждом из указанных выше районов они составляют небольшую часть населения, вследствие чего их языковые особенности постепенно утрачиваются.

В хевсурском диалекте можно выделить два говора: Пиракетско-Архотский и Шатильско-Мигмахевский. Разница между этими говорами незначительна, но вполне закономерна и ярко выражена. Уже по форме I лица вспомогательного глагола „быть" можно определить, с представителем какого из этих говоров имеем мы дело: шатильцы и мигмахевцы всегда говорят ვარ var, а пиракетцы и архотцы—ვარ or „есмь".

Хевсурский диалект мало изучен: исследованы лишь некоторые его особенности. Особенностей хевсурского диалекта в той или иной мере касаются работы проф. А. Г. Шанидзе:

„Грузинские горские диалекты“ (1915 г.)[1], „Субъективный префикс второго лица и объективный префикс третьего лица в грузинских глаголах“ (1920 г.)[1], В. Габуури, „Хевсурские материалы“ под редакцией проф. А. Г. Шанидзе, со словарем, составленным им же (1925 г.)[1], „Основы грузинской грамматики“ проф. А. Г. Шанидзе[1], где указываются некоторые особенности хевсурского диалекта и „Проблема эргативной конструкции в иберийско-кавказских языках“ проф. А. С. Чикобава (1948 г.)[1].

II.

Хевсурскому диалекту присущи фонетические особенности, отличающие его от современного литературного грузинского языка и других грузинских диалектов. В нём пережиточно сохранились некоторые формы и явления древнегрузинского языка.

1. В отличие от литературного языка в хевсурском диалекте имеется фарингальный глухой придыхательный ჴ q, который встречается в тех же словах, что и в древнегрузинском: ჴარი qari „бык“, ჴორცი qorci „мясо“, ჴმალი qmali „сабля“, ჴმარობს qmarobs „употребляет“... Изредка встречаются гортанный смычный ღ(') и звук, для обозначения которого, обычно, пользуются знаком ჲ y (йот грузинских диалектов и древнегрузинского языка), хотя, по нашему мнению, правильнее было бы обозначать его знаком ჳ (краткое и).

2. Ассимиляция:

а) Контактная, регрессивная ассимиляция гласных: ად ae→ეე ee: მაემზადა maemzada→მეემზადა meemzada „он подготовился“; ყაენი qaeni→ყეენი qeeni „хан“; ჯიბაები ǯibaebi→ჯიბეები ǯibeebi „карманы“; აო ao→ოო oo: მუშაობა mušaoba→მუშოობა mušooba „работа“; ცაოლ caol→ცოოლ cool (от ცაველ caval „пойду“)...

в) Контактная регрессивная ассимиляция согласных: სჩ sč→შჩ šč: მასჩა masča→მაშჩა mašča „закончил он то“; სჯ sǯ→შჯ šǯ ‖ ზჯ zǯ ‖ ეჯ ǯǯ: სჯდები sǯdebi→შჯდები šǯdebi ‖ ეჯდები ǯǯdebi „садишься“; ხძ sz→ძძ zz: აბაიხძე abaisze→აბაიძძე abaizze (Абаисдзе, собств. имя мужчины); სჭ sč→შჭ šč: სჭამ sčam→შჭამ ščam „кушаешь“; ხდ sd→ძდ zd: დახდებს dasdebs

[1] На грузинском языке.

→დაზდებს dazdebs „положит“; სგ sg→ზგ zg: გულისგნივ gulisgniv→გულიზგნივ gulizgniv „от сердца“; ღთ γt→ხთ xt: ღთისა γtisa (от ღმრთისა γmrtisa)→ხთისა xtisa „божий“; ჰგ hg→ღგ γg: ჰგონავ hgonav→ღგონავ γgonav „думает“; ჰჴ hk→ხჴ xk: ჰჴვიან hkvian →ხჴვიან xkvian „называется“; ჰკ hk→ხკ xk: ჰკვებავს hḳvebavs→ხკვებავს xḳvebavs „кормит“; ჰყ hq→ხყ xq: გა-ჰ-ყიდის ga-h-qidis →გა-ხ-ყიდის ga-x-qidis „продаст“; ჰჴ hq→ხჴ xq: ჰჴდების hqdebis →ხჴდების xqdebis „случается“; ჰბ hb→ღბ γb: ჰბავ hbav→ღბავ γbav „он привязан“; ჰფ hp→ხფ xp: ჰფარავს hparavs→ხფარავს xparavs „покрывает“; ჰპ hp→ხპ xp: ჰპირდება hpirdeba→ხპირდება xpirdeba „обещает“; ჰმ hm→ხმ xm ‖ ღმ γm: ჰმკი hmḳi→ხმკიxmḳi „живёшь“; ჰმალავ hmalav→ღმალავ γmalav „скрываешь“; ჰვ hv→ღვ γv: ჰვარდები hvardebi→ღვარდები γvardebi „падаешь“; ჰლ hl→ღლ γl: ჰლალავ hlalav→ღლალავ γlalav „гонишь“; ჰრ hr→ღრ γr: ჰრეცხ hrecx→ღრეცხ γrecx „стираешь“; ჰნ hn→ღნ γn: ჰნახავ hnaxav→ღნახავ γnaxav „увидишь“...

c) Дистанционная регрессивная ассимиляция согласных: ც c—ხ s→ხ s—ხ s: ცისკარი ciskari→სისკარი siskari „заря“; შ š—შ š→შ š—შ š: საშუალო sašualo→შაშუალო šašualo „средний“...

3. Диссимиляция:

Диссимиляция в хевсурском диалекте мало распространена. Она в основном касается сонорных согласных и является дистанционной: რ r—რ r→რ r—ლ l ორჯერ orǯer→ორჯელ orǯel „два раза“; ლ l—ლ l→რ r—ლ l: დალალა dalala→დარალა daralaა „локон“... Имеются случаи и регрессивно-диссимилятивного озвончения: კრკო ḳrḳo→გირკო girḳo „желудь“; პატარა paṭara→ბატარა baṭara „маленький“...

4. Метатеза:

Метатеза—распространённый фонетический процесс, который в основном претерпевают сонорные: რუ ru→ურ ur: ღრუბელი γrubeli→ღურბელი γurbeli „туча“; ბმ bm→მბ mb: დაბმა dabma→დამბა damba „привязать“; რვ rv→ვრ vr: დაკრვა daḳrva →დაკვრა daḳvra „ударить“; რმ rm→მრ mr: მერმე merme→მემრე memre „потом“; ლ l—რ r→რ r—ლ r: თოლპირი tolpiri→თორპილი torpili (←თვალპირი tvalpiri, „лицо“; дословно: თვალი tvali „глаз“+პირი piri „рот“); ჩ č—ჭ ḳ→ჭ ḳ—ჩ č: ჩიჭილა čikila→ჭიჩილა kičila „косынка“; ცარცვ- carcv-→ცვარც- cvarc-

ცარცვავს carcvavs→ცვარცავს cvarcavs „грабит“; ძღუ- ʒɛɣw→ძვე- ʒvɛɣ- გაგვიძღუ gagviʒɛɣw→გაგვიძვე gagviʒvɛɣ „веди нас“, „сопровождай“...

5. Субституция:

Наблюдаются случаи субституции как гласных, так и согласных. а) Субституция гласных: ა a: ე e: ნიადაგ niadag „всегда“→в хевсурском ნიადეგ niadeg „безусловно, непременно“... ე e: ა a: ჯებირი ǯebiri→ჯაბირი ǯabiri „дамба“; ე e: ი i: მანდილი mandili→მანდელი mandeli „головной платок женщины“; ვ v: მ m: ვარსკვლავი varskvlavi→მასკვლავი maskvlavi „звезда“; მ m: ნ n: მარიამობა mariamoba→მარიანობა marianoba „праздник в честь Марии“; მეფე mepe→ნეფე nepe „царь“; ნ n: ლ l: ნიშანი nišani→ლიშანი lišani „знак“; ნ n: მ m: ზურნა zurna→ზურმა zurma „зурна“ (муз. инстр.); ქ k: ხ x: ჰექს ɥeks→ჰეხს ɥexs „гремит“; ქვეყანა kveqana→ქოყანა koqana→ხოყანა xoqana „весь мир“, „весь народ“.

6. Изменение комплексов:

Наблюдаются следующие случаи изменения комплексов: ვა va→ო o: ხყვან xqvan→ხყონ xqon „имеет он их“; თავ დავანებე tav davanebe→თავ დაონებე tav daonebe „оставил я его“; ვარ var→ორ or „я есмь“; თავად tavad→თაოდ taod „сам“... ვე ve→ო o: გაუშვებს gaušvebs→გაუშობს gaušobs „отпустит он его“; ხძ sʒ→ზ z: ხძის ცვარი sʒis cvari→ზისვარი zisvari „молоко“; ხძალი sʒali→ზალი zali „невестка“; ხს ts→ც c: ერთხვას ertsxvas→ერცხვას ercxvas „друг другу“; რს rs→რც rc: არსად arsad→არცად arcad „нигде“...

7. Аффрикатизация:

ზ z→ძ ʒ: საგზალი sagzali→საგძალი sagʒali „еда на дорогу“; სამზღვარი samzɣvari→სამძღვარი samʒɣvari „граница“...

8. Дезаффрикатизация:

ძ ʒ→ზ z: ძღვენი ʒɣveni→ზღვენი zɣveni „подношение“, „подарок“; ანდერძი anderʒi→ანდრეზი andrezi „завещание“...

9. Наращение звуков:

Часто наращиваются сонорные звуки მ m, ნ n, რ r: სამდღეგძელო samdɣegʒelo „здравицa; тост“; ჭემცხვარე ɥemcxvare „пастух“; ჭანდარი ɥandari „чинар“; ხიფათი xiparti „опасность“... Из гласных чаще всего наращивается ი i: გრგოლი grgoli→გირგოლი girgoli „кольцо, круг“; გრკალი grkali→გირკალი girkali „обруч, круг“; გრკო grko→გირკო girko „жолудь“ и т. п.

10. Выпадение звуков наиболее распространённый в хевсурском диалекте фонетический процесс. Выпадают как согласные, так и гласные. Выпадение имеет место как в начале и конце, так и в корне слова. Звук чаще всего теряется в конце слова. Иногда выпадает целый слог и слово сильно изменяется.

а) Выпадение согласных: ბ b выпадает в соседстве с губно-губными: თამბაქო tambako→თამაქო tamako „табак"; ზოგებმ zogebm→ზოგემ zogem „некоторые"... При стечении двух გ g, один выпадает: გგულავ ggulav→გულავ gulav „намеревается"; он может отпасть и в конце слова: დადეგ dadeg დადე dade „стой"... დ d выпадает внутри и конце слова: დასხედით dasxedit→დასხეთ dasxeit „садитесь"; ადვილად advilad →ადვილა advila „легко"...

ვ v может выпасть в соседстве с сонорными и с ო o, между гласными и перед უ u, в начале слова, где он является показателем первого субъективного лица: თოვლი tovli→თოლი toli „снег"; მასთხოვეს mastxoves→მასთხოეს mastxoes „попросили они его"; უქკვო uḳkvo→უქკო uḳko „глупый", „неумный"; ვუთხარ vutxar→უთხარ utxar „сказал я ему"... ლ l выпадает в конце и середине слова в соседстве с მ m: გრდემლი grdemli→გრდემი grdemi „наковальня"; რაქელ raqel→რაქე raqe „как"; მ m выпадает в начале слова: მცხეთა mcxeta→ცხეთა cxeta; მკვრივი mḳvrivi→კვრივი ḳvrivi „плотный"... Показатель множественного числа ნ n, встретившись с корневым ნ n, выпадает; он отпадает и в абсолютном конце слова: დავლათიანნი davlatiannі→ დავლათიანი davlatiani „счастливые"; მაშინ mašin→მაში maši „тогда"...

Чаще всего выпадает сонорный რ r; он выпадает между согласными, в соседстве с сонорными и т. п.: გრძელი grʒeli→გძელი gʒeli „длинный"; ბრძანება brʒaneba→ბძანება bʒaneba „приказ"; ბრძოლა brʒola→ბძოლა bʒola „борьба"; არრა arra→არა ara „ничто"; არროს arros→აროს aros „никогда"; რჩული rčuli→ჩული čuli „чехол".

ს s не удерживается после ც c: ქორცს qorcs→ქორც qorc „мясу"; არცსრულ arcsrul→არცრუ arcru „совсем не"...

в) Слог выпадает в конце слова: ქარგი ḳargi→ქა ḳa „хороший"; უნდა unda→უნ un ‖ უ u „надо"...

с) Из гласных отпадает ა a, который является показателем третьего субъективного лица настоящего, прошедшего основного и несовершенного, первого и второго сослагательного...: გამადგება gamadgeba→გამადგებ gamadgeb „пригодиться“; გააკეთა gaaḳeta→გააკეთ gaaḳet „он сделал“; აკეთებდა aḳetebda→აკეთებდ aḳetebd „он делал“; გაეკეთა gaeḳeta→გაეკეთ gaeḳet „чтобы он сделал“. Отпадает ა a, в формантах эргативного (-მა -ma) и направительного (-და -da) падежей, а также частиц -ღა -γa, -ცა -ca... კაცმა ḳacma→კაცმ ḳacm „человек, мужчина“; შენდა šenda→შენდ šend „для тебя“; ვინაღა vinaγa →ვინაღ vinaγ „кто же?“...

Выпадает ე e, который является показателем прошедшего основного времени: ავაგე avage→ავაგ avag „я построил“ გავაკეთე gavaḳete→გავაკეთ gavaḳet „я сделал“... Отпадает ი i показатель именительного падежа: მაქნავი maqnavi→მაქნავ maqnav „пахарь“, „плугарь“.

11. Редукция: ო o→ვ v, когда к слову с суффиксом -ონ ion прибавляется какой-нибудь форма нт с гласным началом: შატილონი šaṭilioni→შატილივნები šaṭilivnebi „шатильцы“; არხოტიონი arxoṭioni→არხოტივნისა arxoṭivnisa „архотца“ и т. п. В конце слова ო oa→უა ua: ბეწიკოა beciḳoa→ბეწიკუა beciḳua „маленький“; ბაბოა baboa→ბაბუა babua „дед“; ე ea→ია ia: ცალეა calea→ცალია calia „пустой“; დღე არი dγe ari→დღიაღრი dγiaγri „день есть“ и т. п.

III.

Из морфологических особенностей можно отметить:

12. В склонении имён: а) Как было отмечено выше, показатель именительного падежа ი i, гласный ა a показателя эргативного падежа -მა -ma, согласный თ t показателя творительного падежа -ით -it (ქელით qelit→ქელი qeli „рукой“) и согласный დ d показателя направительного падежа -ად -ad отпадают.

б) Дательный падеж без послелога используется как обстоятельство места: ქევსურეთს qevsuretს „ в Хевсуретии“; ქალაქს kalaks „в город“... Иногда дательный падеж в значении обстоятельства места теряет и этот формант (формант дательного падежа) и, таким образом, чистая основа выступает в роли обстоятельства места: ქევსურეთ ვიყავ qevsuret viqav „я был в Хевсуретии“; შატილ მოვიდა šaṭil movida „он приехал в Шатили“...

Форма дательного падежа заменяет форму направительного падежа и используется в качестве обстоятельства образа действия, что чуждо другим диалектам грузинского языка. ძმურას ʒmuras (=ძმურად ʒmurad „по братски"), ქალებურას kaleburas (=ქალებურად „по женски")... В этом виден пережиток того состояния, когда современные дательный и направительный падежи представляли собою не падежные, а словообразовательные формы, потому и могли заменять друг-друга (А. С. Чикобава).

Послелог -ში -ši встречается в форме -ჩი -či ‖ -ჩიგ -čig: ჴელჩიგ qelčig „в руке"; თავჩიგ tavčig „в голове"... В хевсурском диалекте обычны локативные формы типа: სახლ-ჩი-ით saxl-či-it „из дому"; თავ-ზე-ით tav-ze-it „с головы"; часто встречаются формы с двумя послелогами: სოფლის პირ-ჩი-ა-მდე soplis pir-či-a-mde „до окраины села" (А. Г. Шанидзе).

Показатель дательного падежа в единственном числе ს s перед послелогом -თან -tan никогда не теряется: ქალ-ს-თან kal-s-tan „к женщине". Форма дательного падежа с послелогом -თან -tan, как и форма с послелогом -ში -ši (‖ -ჩი-ši ‖ -ჩიგ -čig), может принять после этого послелога окончание творительного падежа; такая форма указывает на исходный пункт: კაც-ს-თან-ით kac-s-tan-it „от человека"; ტყე-ს-თან-ით tqe-s-tan-it „от леса" и т. п.

c) Форма родительного падежа в хевсурском и пшавском диалектах используется в качестве обстоятельства места и времени: აქის akis „сюда"; მთებისა mtebisa „на горах"; გუშინის gušinis „вчера"; შარშანის šaršanis „в прошлом году"... После слов, указывающих на какое-нибудь количество, вместо послелога -გან -gan используется послелог -კან -kan: ერთ-კან ert-kan „в одном месте", სამ-კან sam-kan „в трёх местах", ბევრ-კან bevr-kan „во многих местах", ყველ-კან qvel-kan „везде", ზო-კან zo-kan (←ზოგ-კან zog-kan) „в некоторых местах"... Послелог -კენ -ken встречается в форме -კეს -kes ‖ -კედ -ked ‖ -კე -ke: მთების-კეს mtebis-kes „по направлению к горам", შენ-კედ šen-ked „к тебе", დედის-კე dedis-ke „к матери" и т. п.

d) Творительный падеж употребляется в качестве локатива: ქალაქ-ით kalak-it „из города", შინ-ით šin-it „из дому"; сохранились формы творительного падежа с показателем -ივ -iv.

e) Никогда не наблюдается характерное для большинства диалектов грузинского языка оглушение конечного დ d в формате направительного падежа -ად -ad в -ათ -at.

f) Формант так называемого звательного падежа ო o как после гласных, так и после согласных обычно редуцируется, замещаясь через ვ v: სანგი-ვ, sangi-v, ფანდურ-ვ pandur-v...

13. Счёт свыше ста двадцатиричный: ექვსოცი ekvsoci „сто двадцать", ათოცი atoci „двести", შვიდოცი švidoci „сто сорок"...

14. Личное местоимение третьего лица ის is (оно же указательное местоимение) встречается в форме: ისი isi, აისი aisi „он, тот"; указательное местоимение ეს es „этот" встречается в форме ესი esi, ეესი eesi (←ა ესი a esi) и т. п.

15. Частица косвенной речи ო o встречается в форме ვ -v и употребляется почти с каждым словом в предложении: მავიდა-ვ mavida-v (←მავიდა-ო mavida-o „он пришёл"). Сохранилась древнегрузинская вопросительная частица ა a: აკეთებს-ა? aḳetebs-a? „делает ли он", გაქვ-ა? gakv-a? „имеешь ли"...

16. Встречаются междометия ათათა! atata! დადაჰა! dadaha! ევჰუ! evhu! იჰი! ihi и прочие.

17. В соединительном союзе „და" „da" усекается гласный ა a, а согласный -დ d энклитически примыкает к предыдущему слову: მამუკაი-დ' გამახელა mamuḳai-d' gamaxela „Мамука и Гамахела". Часто союз „და" „da" исчезает бесследно, а последний гласный предыдущего слова произносится с компенсаторным повышением тона: ქარი' ცხენი qarí' cxeni „бык и лошадь"...

18. Из уменьшительных суффиксов наиболее продуктивным является суффикс ა a: ვაჟა važa „мальчик", ქალა kala „девочка"... В собственных именах используются также суффиксы уменьшительно-ласкательные: -იტ -iṭ: გოგ-იტ-ა gog-iṭ-a; -უტ -uṭ ბაბ-უტ-ა bab-uṭ-a; иногда несколько суффиксов встречаются вместе: კარგ-უნ-ელ-უ-ა karg-un-el-u-a „хорошенький"...

19. Вместо предлога შე- še- в хевсурском диалекте всегда выступает შა- ša-: შა-იტანა ša-iṭana „он внёс", შა-ვიდა ša-vida „он вошёл"... В Шатильско-Мигмахевском говоре вместо предлога მო-mo- имеем მა- ma-: მა-მცა ma-mca „дал он мне", მა-იტანა maiṭana „он принёс", მა-ვიდა ma-vida „он пришёл"...

20. Субъективный показатель второго лица и объективный показатель третьего лица ჰ h в зависимости от характера последующего согласного звучит, как ს s, შ š, ზ z, ჟ ž, ხ x, ღ γ (А. Г. Шанидзе).

21. Во всех непереходных глаголах прошедшего времени совершенного вида и во всех остальных глаголах прошедшего времени несовершенного вида в хевсурском диалекте показателем множественного числа третьего лица является суффикс -ეს -es (А. Г. Шанидзе).

В переходных глаголах прямой объект (с суффиксом ნ n) во множественном числе всегда выражается в глаголе соответствующим показателем.

22. Вместо глагольных суффиксов -ამ -am, -ავ -av в прошедшем несовершенном времени имеем -ემ -em, -ევ ev: ვქნ-ავ vqn-av „пашу"—ვქნ-ევ-დ-ი vqn-ev-d-i „я пахал", ვსვ-ამ vsv-am „выпиваю"—ვსვ-ემ-დ-ი vsv-em-d-i „я выпивал". Это явление характерно и для древнегрузинского языка, с тем только отличием, что в хевсурском диалекте -ემ, -em, -ევ -ev сохраняются и в третьем лице: срав. хевсурское სვემდა svemda—древнегрузинское სწემიდა swmida „он выпивал", хевс. ქნევდა qnevda—древнегруз. ქნვიდა qnvida „он пахал"...

23. Окончание прошедшего основного времени -ე -e часто отпадает или суживается и даёт ი i ‖ ĭ. Во множественном числе ე е опять восстанавливается: გავაკეთ-ĭ gavaķet-ĭ (←გავაკეთ-ე qavaķet-e „я сделал"), но: გავაკეთ-ე-თ gavaķet-e-t. В хевсурском диалекте имеются глаголы, в которых -ი -i остается и во множественном числе: ავად-ĭ avagĭ—ავად-ი-თ avag-i-t— а не ავად-ე-თ avag-e-t „мы построили", გავალ-ĭ gavaγ-ĭ—გავალ-ი-თ gavaγ-i-t „мы открыли", დავაგდ-ĭ davagd-ĭ—დავაგდ-ი-თ davagd-i-t „мы бросили, оставили" и пр.

Это явление, по-видимому, вторичное. У этих глаголов в литературном грузинском языке показателем третьего лица ед. числа является ო o. По-видимому, раньше было: *ავად-ევ avag-ev „я построил", *აად-ევ aag-ev „ты построил", *აად-ევ-ა aag-ev-a (→აად-ვ-ა aag-v-a→აად-ო aag-o) „он построил". Хевсурский диалект же принадлежал к кругу диалектов, у которых в этих глаголах в прошедшем основном времени не было никакого показателя (на подобие глаголов типа მოქვაბ movqab „я вспахал", გავქერ-

gavčer „я разрезал“ и др.). Поэтому в хевсурском диалекте в третьем лице показателем субъекта является ა a, а не ო o: აag-ა aag-a (а не აag-ო aag-o) „он построил“; ი I в единственном числе (ავag-ი avag-I, აag-ი aag-I „я построил“, „ты построил“) появилось таким же образом, как и в прошедшем несовершенном: ср. ავag-ი avag-I—ვაგებდ-ი vagebd-I „я построил“,—„я строил“.

24. В хевсурском диалекте имеются три формы пермансива: I. ვაქეთებდ-ი-დ-(ი) vaḳetebd-i-d-(i), II. ვაქეთ-ი-დ-(ი) vaḳet-i-d-(i), III. მექეთ-ი-ს meḳet-i-s „я делал“. Суффикс -დ -d пермансива I и II идентичен суффиксу, который мы имеем в прошедшем несовершенном. Показатель пермансива ი i, по нашему мнению, получен из -ივ -iv; ვ v в суффиксе -ივ -iv первоначально выпал в третьем лице в соседстве с ს s (в комплексе ივს ivs): *აქეთ-ივ-ს aḳet-iv-s → აქეთ-ი-ს aḳet-i-s „делал“. В дальнейшем, в результате тенденции к унификации -ვ -v утрачивается и в формах других лиц.

В хевс. диал. на форму с -ი i (ვაქეთ-ი vaḳet-i, აქეთ-ი aḳet-i „я делаю“, „ты делаешь“) наращивается -დ d, так же как в пшавском диалекте -ოდ -od. Пшавский ვაქეთ-ოდ-ი vaḳet-od-i ← ვაქეთ-ი-ოდ-ი vaḳet-i-od-i „я делал“. Суффикс -ოდ od ← (ი)ვ-ედ (i)v-ed: *ვაქეთ-ივ-ედ vaḳet-iv-ed → *ვაქეთ-ვ-ედ vaḳet-v-ed → ვაქეთ-ოდ vaḳet-od (ვე ve → ო o). Но пшавский и хевсурский пермансивы позднего происхождения: к пшавскому пермансиву на ი i в первом и во втором лицах, по-видимому, присоединился уже сложившийся суффикс несовершенного прошедшего -ოდ -od, как и к хевсурскому пермансиву—-დ d (← ედ ed): ср. ვაქეთებ vaḳeteb „делаю“—ვაქეთებ-დ-(ი) vaḳeteb-d-(i) „я делал“ и ვაქეთ-ი vaḳet-i „делаю“—ვაქეთ-ი-დ-(ი) vaḳet-i-d-(i) „я делал“; ვკვდები vkvdebi „умираю“—ვკვდებ-ოდ-(ი) vkvdeb-od-(i) „я умирал“ и მოვკვდ-ი movḳvd-i „я умер“—მოვკვდ-ოდ-(ი) movḳvd-od-(i) „умирал“...

25. Образование сослагательного наклонения в хевс. диал. унифицировано: в роли форманта сослагательного наклонения выступает всегда только ა a: (რომ) ვაქეთ-ა (rom) vaḳeta „чтобы я делал“...

26. Унифицировано образование и результативного первого: показателем всегда является -ავ -av: მიქეთებ-ავ miḳeteb-av „оказывается, я делал“. Инверсивные формы результативно-

го I используют суффикс -ივ -iv, являющийся древним формантом. Окончание результативного I в литературном грузинском языке -ი-ა -i-a, по-видимому, получено из -ივ-ა -iv-a. Суффикс -ივ -iv в хевсурском результативном и предполагаемый нами суффикс -ივ -iv в перманснве, по-видимому, одного происхождения. Этот же суффикс выявляется в результативном I статических глаголов: სცმ-ივ scm-iv „оказывается, он был одет"...

27. Вместо каузатива со сложным суффиксом в литературном грузинском языке, в хевсурском диалекте употребляется каузатив с простым суффиксом: აკვლ-ევ-ს aḳvl-ev-s ср. литер. აკვლ-ევ-ინ-ებ-ს aḳvl-ev-in-eb-s „он заставляет его убить кого-то". Доминирует образование каузатива с показателем -ევ -ev, -ივ -iv; относительно редко встречается каузатив с показателем -ენ -en, -ინ -in.

IV.

В области синтаксиса отмечаются некоторые особенности. Пережиточно сохранилась наблюдаемая и в древнегрузинском языке масдарная конструкция с функцией, близкой к инфинитивной: წავიდა კეთებად cavida ḳetebad „пошел он делать".

28. Падежная флексия сохраняется в определении в дат., родит. и творит. падежах, если определение предшествует определяемому: ლამაზ-ს კაც-ს lamaz-s ḳac-s „красивому человеку", ლამაზ-ის კაც-ის lamaz-is ḳac-is „красивого человека", ლამაზ-ით კაც-ით lamaz-it ḳac-it „красивым человеком"... Изредка наблюдаются случаи, когда определение представлено с усечением (полным или неполным) падежной флексии. Отмечаются случаи, когда определяемое стоит в творительном, а определение—в родительном падеже: მართლის გულით martlis gulit „с чистым сердцем", კარგის ცხენით ḳargis cxenit „хорошей лошадью". Отмечаются случаи несогласования в числе.

29. Когда за именем непосредственно следует глагол—сказуемое, тогда флексия именительного падежа ი і акцентируется и глагол—сказуемое сливается с данным именем в произношении: მადლობელ-ი-არ madlobeli'-ar „благодарен есмь", ფხიზლებ-ი-შურლობთ pxizlebi'-šurlobt „трезвые дерётесь". Здесь наблюдается такое же явление, что и в составном сказуемом: კაცი არის ḳaci aris→კაცი არს ḳaci ars(→хевсур. კაცი-ას ḳaci'-

as)→კაცია kacia „человек есть". Третье лицо вспомогательного глагола, являясь частью составного сказуемого, может целиком отпасть, оставляя след в ударении предшествующего гласного о і, в результате чего вместо формы კაცია kacia имеем форму კაცი́ kací' „человек есть", კარგია kargia→კარგი́ kargí' „хорош есть"... В таких формах ударение компенсирует отсутствие вспомогательного глагола. Это явление характерно и для пшавской диалекта.

V.

30. Изучение словарного состава хевсурского диалекта дано нами по отраслям в связи с описанием соответствующих производственных процессов, каковы: полевые работы, сенокос, постройка жилых помещений и т. д.; кроме того приводится лексика животноводства, даются названия предметов домашнего обихода, описание различных видов оружия (холодного и огнестрельного) и т. п.

31. Земледелие в Хевсуретии было хорошо развито, несмотря на неблагоприятные природные условия. Термины, характеризующие процессы земледелия, выявляют ряд лексических единиц, которые известны лишь из древнегрузинского языка.

32. Самой развитой отраслью хозяйства в Хевсуретии было и является животноводство. К лексике животноводства отнесены нами лексика, связанная с обработкой шерсти, в частности, ткацкого дела, вышивания, вязания шерстяных изделий и т. д.

В этой лексике прослеживаются общие для горских иберийско-кавказских и картвельских языков основы: хевсурское ჭალი çali „двухлетний козёл"—ср. аварское ҫоҏ çoe „козёл"; хевсур. და-ამლ-ვ-ა da-aml-v-a „сильно голодать"—абхаз. ámla „голод"; хевсур. ყუჯა quǯa „овца с маленькими ушами"—занское ყუჯი quǯi ‖ ჯუჯი, 'უǯi ‖ ჯუჯი juǯi ‖ უჯი uǯi „ухо" (закономерное соответствие груз. ყური „ухо") и прочие.

33. Лексика строительного дела содержит много интересных терминов, которые имеют значение для изучения истории строительства в Грузии.

ხევსურული ტექსტებისათვის

ენობრივი თვალსაზრისით სანდო ხევსურული ტექსტები პირველად პროფ. ა. შანიძემ გამოაქვეყნა 1925 წელს[1]. ამ ტექსტების ჩამწერი ბეს. გაბუური წერა-კითხვის მცოდნე (ნადიაკვნარი) კაცია და, ამიტომ, მისი ტექსტები რამდენადმე „დახვეწილი“ ხევსურულით არის დაწერილი. თვით მთხრობელის მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტს ეს ნაკლი, ალბათ, ყოველთვის ახლავს: წერისას მთხრობელი, მიუხედავად მისი წინასწარ გაფრთხილებისა და სათანადო პირობებში ჩაყენებისა, მაინც „ხვეწავს“, „მართავს“ ენას, „ასწორებს შეცდომებს“, მარტივ და გაბართულ წინადადებებს წერს, არ აკლებს ასოებს იქ, სადაც მის ჩვეულებრივ მეტყველებაში აკლია ბგერები და სხვ.

ბეს. გაბუურის ტექსტების მეორე ნაკლად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ მათში მხოლოდ არხოტული მეტყველების ნიმუშებია მოცემული და, ამდენად, მკვლევარს ამ ტექსტების მიხედვით არ შეუძლია მთლიანი წარმოდგენა იქონიოს ხევსურულზე.

1931 წ. პროფესორმა ა. შანიძემ გამოსცა „ხევსურული პოეზია“[2], რომელშიაც ხევსურეთის ყველა კუთხეში ჩაწერილი ლექს-სიმღერები და მთიბლურები შევიდა. ეს წიგნი სამართლიანად ითვლება ხალხური სიტყვიერების მასალების სანიმუშო გამოცემად: იგი სანდოა როგორც ენობრივი, ისე ფოლკლორისტული თვალსაზრისით. გვაქვს ხევსურული ტექსტების სხვა გამოცემებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ტექსტები დამახინჯებულია.

ჩვენს ტექსტებში ხევსურულის ორივე კილოკავია წარმოდგენილი. სჭარბობს პირიქითულ-მიღმაკეური ტექსტები. პროზაულ ტექსტებს პირადად ვიწერდით. ჩვენ მიერ არის ჩაწერილი ლექსებიც თხუთმეტიოდე ლექსის გამოკლებით. სხვათა მიერ ჩაწერილი ლექსებიც ენობრივად შემოწმებულია და, ვფიქრობთ, სანდოც.

---

[1] „ჴევსურული მასალები“ ბ ე ს. გ ა ბ უ უ რ ი ს მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ,. „წელიწდეული“, 1925.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931.

ტექსტებში ვიყენებთ ზოგ პირობით ნიშანს: რ-ს (მოკლე ი): „ჭრთ საწდე ლუდრ“, „ერბოიან ჯამრ“...; აპოსტროფს (’) გამოტოვებული „და“ კავშირის ნაცვლად: „წესი’ მართებულ იყვას“, „პურჭელრ, წყალი’ მასაწევი“... მახვილს (’) სახელი-შემასმენლის ბოლო (ი) მარცვალზე, სადაც მახვილი „არის“ მეშველი ზმნის კომპენსაციას ეწევა: „რაც გამზადულრ სტუმრისა’, „სახელისდება მაგონებისარ“... და სხვ. ხშირად მოკვეცილი მარცვალი, ბგერათკომპლექსი თუ ბგერა, აღდგენილია კავებში.

ტექსტები შვიდ ნაწილად დავყავით. დაყოფას სიზუსტე აკლია: რომელიმე „ნარევი“-დან შეიძლებოდა გამოყოფილიყო სატრფიალო ლექსები, გალექსებები და სხვ. სიზუსტის დაცვა მაინც გაჭირდებოდა: ზოგჯერ ერთ ლექსში რამდენიმე თემაა გადაჯაჭვული...

უადგილობის გამო იძულებული ვიყავით ტექსტებიდან ამოგვეღო მრავალი საინტერესო ლექსი, აქ ან სხვაგან გამოქვეყნებული ლექსის ვარიანტი და სხვ. „ქმითნატირლების“ დიდი ნაწილი ფრაგმენტული ხასიათისაა და ეს გასაგებია: ქმითნატირალთა ერთი წილი მთიბლურ სიმღერად იქცევა ხოლმე და, ხშირი განმეორების წყალობით, შეიძლება სრულად შემოგვენახოს, თუმცა გრძელი ტექსტი, მისი შესრულების პირობების სიძნელის გამო, არც იქ დასტურდება. დანარჩენ ქმითნატირალს არავინ იმეორებს და ავიწყდებათ, ფრაგმენტებიღა ახსოვთ. ჩვენ ეს ფრაგმენტები დავბეჭდეთ იმიტომ, რომ: 1. ეს ჟანრი ძალიან საინტერესო და ნაკლებშესწავლილი ჟანრია 2. რიგი ენობრივი თავისებურებები იჩენს ამ ჟანრში თავს და 3. რომელიმე ფრაგმენტი შეიძლება მისი სრული სახის აღსადგენად გამოდგეს: ჩვენმა მთხრობელმა არ იცოდა მეტი, მაგრამ შეიძლება სხვამ იცოდეს.

ბლოელ ხთისო ალავერდას ძე გიგაურის ჩაწერილი რამდენიმე ლექსი გადმოგვცა პუშკინის ინსტიტუტის ლექტორმა ლია ჭეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. მთხრობელებიდან განსაკუთრებული მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ: ბარისაჯოელი—დედიკა გაგას ასული ალუდაური, ჯაჯმატელი—თევდორე გოთუას ძე ალუდაური, გიორწმიდელი—მუშტარა ჰიელის ასული გოგოჭური, ხახაბოელი—ლეკო ტურას ძე მინდიკაური, შატილიონნი—გიგია საყურას ძე, თათარი ხოლოგას ძე და ნანაისძე[1] თოთიას ძე ჰინჭარაულები და ლებაისკარელი—სუმბატა გიორგის ძე ჰინჭარაული.

ალ. ჰინჭარაული

[1] სახელია.

I. ამბავები (ზღაპრები)

1. შავის ციცაის ამბავანი

იყვ ერთ ბალღ უდედმამოი' ხყვანდ სხვას წყემსად მეცხვარეს. გაიზარდ ობოლ ხაზაინსთან. იყვ. ისეთ გაიზარდ ის, რო არცრაის აღღო არ ხქონდ. არ შეეძლიყვ, რო ტყუილს იტყოდ. დავიდოდ ცხვარში. კვეხდ ის ხაზაინ: „რო ჩემ წყემს ასავ, ეგეთივ არვინ არ იქნებისავ, მაგასავ ტყუილსავ ვერავინ ვერ ათქმევსავ!"

შაიყარ ეს მემცხვარეებ ერთადა' იქ ასტეხეს იმ წყემზე. იქ უთხრ ი კაცმ, რო: „ეგივ ტყუილს არ იტყვისავ". „კარგივ მაშავ— უთხრეს—მიოლთავ ჩვენავ იმის ბინაშიაო-და, რა გირჩევავ შენავ ცხვარშიავ?" უთხრ იმან შავ ჭედილა: „ერთივ შავ ჭედილა ყავაო-და ის მირჩევავ". „კარგივ, ჩვენ მიოლთავ იმის ბინაშიავ, ღამეს გავათენებთაო-და იმ ჭედილას დავაკვლევთავ. შენ ნუ ღნახავავ, მანამდ ჩვენ არ ვღნახავთავ".

წავიდეს-და მივიდეს იმის ბინაში: უნდა ღამე გაათენან იქ. ჰოდა, უთხრეს: „უნდა დაგვიკლავ ჭედილაივ, რომენიც მსუჭანიაო-და კარგივ". უარს ვერ ეუბნების ის დაკვლაზედა-და, რაც ჭედილაებ-ხყვანდ, სრუყველა მაღგვარ იმეებს მსუქნებ, კარგები. იმეებმ ისეებ არ მაიწონეს. აღარ აქვ მეტ გზაი-და მაღგვარ შავ ჭედილაიც, რომენიც იმის პატრონს უყორს (sic!). „ჰოო, ეგ დაგვიკალივ".—უთხრეს.

თუ მაატყუვ იმან იმ ხაზაინა, დიდს რას ჯილდოს გამააართმენ ი სხვები, რო: „მავატყუავ შენ წყემსმავ, „არ ასავ მტყუანივ"— ამბობდივ შენავ".

წავიდ ისეები და ახლა ი წყემს ელოდების ხაზაინს. გაჰვიდ დახყუდ ჯოხი, ზედ ქუდ დაბურ, ზედ ბაჭკო მახურ. წავიდ იქითი(გ), მაბრუნდა და თავის ჯოხს გამარჯვება უთხრ (ვითამ ჯოხ წყენს იყვა-და თავად ხაზაინ იყვ): „გამარჯვება, ჩემო წყემსო! შავ ჭედილა როგორ გყავავ?" „კარგადავ!" სამჯერ გააკეთ ეგრ. მეზრ იფიქრ, იფიქრა-და თქვა: „ტყუილს კი ნუ ვიტყვიო-და რაც გინდა მამივღასავ".

მაეიდ ხაზაინი. „გამარჯვება, ჩემო წყემსო! შავ ჰედილა როგორ გყავაე?“—ხკითხ. „აღარ მყავავ. ეესი-დ' ეეს ხალხნ მამივიდესაო-და დაუკალივ“. რაღა თქმა უნდ, რო ხაზაინს გაუიარდ: „ჯილდოიც ამატანიაო-და არც მამატყუავ“. „ეხლა უნდა წავივდავ შენავ, ცოლიც გინდავ, სახლიცავ. ჩემთანით უნდა წახვიდავ“. უთხრ რო: „შენდავ ბევრს მინდავ მაცემაივ საწყემსოსავ. მაცემულ გირჩევაეე, თუ, სამს სიტყვას გეტყვივ, ის გირჩევავ?“ „სანს დღეს დამაცალეო და გეტყვივ“—იმან უთხრ.

„ეგ ისეთს რას მამცემსავ,—თქვა იმან — რო არ გამითავდასავ, არ შავჭამავ. ბარევალ სიტყვებ დავირჩიავ, რას მეტყვისავ“. უთხრ ხაზაინმ რო: „ჩემთანით რო წახვავ, რომ რას ვინ ვის სთხოვდასავ, შენ რო არას გთხოვდასაე, „მე მაქვავ“ ნუ უთხრიდივ—მაგას გეტყვივ ერთსავ. მეორესავ იმას გეტყვივ, რო: გზანიავ, იწრო გზა იქნებისაეე თუ უფერივ, შასვეულს რომ რას მახვლავავ, ნუ გაშალიდივ, მანამ კას გზაშიავ, მინდორში არ გახვავ. მესამეს იმას გეტყვივ, რო: ცოლს რო მაიყვანავ, ცოლსავ გულისა არ უთხრავ, თორე ინანავ“.

საგძალი(ც) ჩაუდვა, არ ვიცი, და გაისტუმრ. „ამის უკნავ—უთხრ—ჭიავ შენ ვეღარ აგძრახდებიო' მასვლისა კი ნება ვაქვავ, როსაც გინდავ, მახვიდივ“.

წავიდა და: სსავ ხალხ, ქაიბობენ გზაში. პურის დასაჭრელ დანა აღარავის ხქონია-და იმას უთქომ: „აჰათავ, მე მაქვავ დანაივ“. მეეშარნეს, რო: „ეს დანა საი(თ) ნაიღივ, ჩვენიავ, უნდა მაგკლათავ“. ადგა და წამაეიდ: რა მეტ გზაჩ-აქვ, ხაზაინსთან იქავ, მაბრუნდ. ხაზაინს ციცაჩ-ხყავ, შავ ციცაი-და ის იქ ძის ცეცხლთან. უთხრ ხაზაინმ რო: „შაო ციცაო, ხო გითხარივ, რომავ, ახა არას ვინ გთხოვდასავ. შენ ნუ უთხრიდივ, რო „მე მაქვავ“. ეეხლადავ მიხვაო-და გკვლენავ. შენ იძახიდივ: „ღმერთოეე, ალალმართალ კაც ვკვდებივ, ეგ დანაივ ჩემ იყვავ. ეეგრ კი არ დავიკარგებივ უვალოდ მაკლულივ!“ აღარა ვიცივ, შაო ციცაო, შენდ საშველივ, შენ წამალივ. ცოდვაში ჩამაყენენე: საჯამაგირო არ მაგეცივ, სიტყვა გითხარიო-და ეეწიავ დაიცილეე ჩემ ნათქვამ სიტყოივ. იმეებსავ სრუ ყველას ხქონდავ დანაივ, შენ დანა რაში ვის შჭირდებოდავ?“...

რო უთხრ წყემსმ, თქვეს იმეებმ, რომავ: „რაა(დ) ვკლავთავ, არც ასავ ჩვენ დანაივ, რაზე ვეკიდებითაო“-და გაუწვეს. წავიდ.

წავიდა-და მაკელ რაღაცა-მ გზაში გასვეული, ბჭვარში გახვეული. მაღგონდ რო: „ი ხაზაინმ რა მითხრაო“-და არ გაშალ,

ჩაიდვ ჯიბაშია და წავიდ. არ იყვ კა ალაგ იმაში. კაი ალაგში რო გავიდ, გაშალა-და გველის ჩიმ ეხვი(ვა) შიგა და სასახლე ჩამეეგ, რო უფრო ტურფა აღარა იქნებოდ. არა იქნ იმაში უქონ. სახლ იქნ მდიდარი და შავი(დ) კაცი, მაიყვან ცოლი.

დაუწყ სომეხმ სიარული, ვაჭარმ, დაღმეგობრდ, შახყვარდა იმ ცოლს იმისას. ებძვის ეს სომეხ ი ცოლს, რო: „ათქმიევ შენ ქმარსავ: სასახლე რაზე აშენებულ აქვავ? მემრავ მე დავსჯილდოვდებივ შენს თავზედაო-და მიავ შენ წაგიყვანავ".

ებძვის ცოლ ქმარს, რო: „მითხარივ, ხო ერთად ორთავ ეეხლადავ: რაზე აშენებულიავ ეს სასახლეიო"-და არ ეუბნების ქმარი. ათქმივ ამ ცოლმ ბოლოს, რო: „ეესრავ, გველის ჩიმზე აშენებულიავ ჩემ სახლივ"...

მავ სომეხი და მასვლისთაო(დ) ხკითხავს, რო: „რაზე აშენებულიავ შენ სახლივ, რო გავიგეევ მიავ?" „ეერაით გაიგებაო"-და: „თუ გავიგივ, სამს დაგიღირებავ ჯელსაო-და სამს წაგართომავ ე სახლისასავ"—ეუბნებ სომეხი. „ვერ გაიგებავ"—ის ეუბნების. დაჯსჯილდოვდესა-და უთხრ სომეხმ რომ: „გველის ჩიმზე აშენებულიავ". „დამაცალევ"—უთხრ წყემსმა და გამაიქც ხაზაინთან, მემცხვარესთან.

მივიდა და: უთხრ ხაზაინმ შავ ციცას: „შაო ციცაო, ბო გითხარივ, რო გულისას ნუ ეტყვივ ცოლსავ; ეეხლა რაღა გიშველავ? შენ ცოლსავ სომეხ ხყვარობსავ, იმან უთხრაო-და მე რაიღ ვქნაევ ეეხლადავ"?

უთხრ ხაზაინმ: „რო მავავ სომეხივ, შენის სახლის კიბეზედავ სამ კიბის გალზე შაჯედივ, სამივ ბოლოში გაიწირეო და დაჯედივ კიბეზედავ. რო შამაჯდებისავ კიბეზედავ, ჯერ ერთს კიბის გალს წაავლებსავ ჯელსავ, მემრ მეორესავ, მემრ მესამესაო-და მესამის იქით აღარ აუშვავ: „აილევ, სამივ ეგიავ, რასაც შენავ ჯელ დააღირეო და მაბკიდევ"—უთხრიდივ.

თუ გეშველებისავ—ეგივ, შაო ციცაო, თუ არა—მეტ აღარა ვიცივ შენდ საშველივ"...

მორჩ, მემრ აღარა მაჯსონს, იმის უკენ რა ქნეს, აღარ მაჯსონსა-ღ.

სოფ. ბარისაჯო

2. ემცხვარე, მევენაჯე და გუთნისდედა

საენ მთხოვარან თუ არიანა' სხენ რიყეში, შაშჩივიან ერცხვას სიტიტვლე-სიღარიბეს, თავის სიბეჩავეს. „დალოცვილო ღმერთო, —უთქომ ი ერთს—ნეტარ არ მაკმაებაევ ამთვენს გაჭირებასავ,

რადარავ მიაც სხვათავი(თ) მაცხოვრებავ? ნეტავინამცავ ეს რიყეიე ცხვრად აქციაო' მიავ წყემსად გამამიყენავ უკვნავ!" ერთ-ირაოდ ცხვრად კი არ ქცეულა ის რიყეი-და ის კაც წყემსად გამაზდგომი(ვ)!

„გუთნისდედადამც მაქციეაო და ყანაიმც მაკვნიეავ"—უთქომ ი მეორეს. ასრულებიე იმასაც ნატვრაი.

მესამეს მევენაკეობა უნატრავ: „ვენაჯიმც მამცაო' იმისად მამაელიავ!" იმასაც ასრულებიე ნანატრი.

ცხოვრობენ თუ კარგად, კარგებ სახლებ ექნ, კა ცხოვრებაი. გაიჩინეს ცოლ-შვილი...

იმ დროს ღმერთ ჩამოსულ მიწაზედა-და დანაძოძვილს, ფეკვშიშველას დაუწყავ სიარული. უთქვამ ღმერთს: ჩემს გამდიდრებულებს მთხოვარაებსთანა-ღ წავიდავ, რაკლა მამეგებებიანავ ნეტარავ?

წინ-წინ მემცხვარესთან მისულ: „კვირტ-ნაქცივ, ჩურჩიო-დ' ისეთურა არა გექნებოდათაევ, რო თათთ ვის დავაქსოვიებდივ, ფეკთ რას ჩავიცომდივ?"—უთქვამის მემცხვარისად. „გაიარეთაოდა მაუგროეთ რაივ ამ მთხოვარასავ, კვირტ რა მიეცითავ"—უთქომავის მემცხვარეს.

მიუცავ ისი-დ' წასულ ღმერთი. მევენაკესთან მისულ: „მშიერი-ორავ, ვერას მაჭმევთაევ?" „დაუგლიჯეთ რაივ კოხ-მახიო-დ' მიეცითავ, მაიშორეთავ!"—უთქვამის მევენაკეს.

მემრ გუთნისდედასთან მისულ. იმას მიულავ კარგად. „მიაცავ შენსავი(თ) მთხოვარა ვიყავივ, კაცმავ თავის გაჭირება არ უნდა დაიცილასავ"—უთქვამის იმას. დიაცისად უძახებავ: „კარგ ოჭშამ მოგვიმზადევ მე და ჩემ სტუმარსავ!"

დაუმზადებავ კარგ ოჭშამი, დაუკლავ საკლავი. სამნ შვილნ ხყვანიან ი გუთნისდედას, სამთა-ვ უსწავლავ. ი შვილებისად უთქომ მამას: „წეედითავ, ღვინო მოგვიტანეთავ მარანშიითავ". წასულან. აღაროს მოსულან ისენი, დაღგეიანებივ. გასულ დედაი-დ' სამნი-ვ მარანში, ქვევრში ჩამრჩვალნ არ დაუკელიანა! მობრუნვილ შინა-და არცრუ გაუწამებავ შვილების სიკვდილი—„სტუმარსავ გულ დაულონდებავ". „არ მოდიანაევ?"—უკითხავ ქმარს. „მოვლენავ, არა უნდავ"—ცოლს უთქომ.

მემრ სტუმარს (ი ღმერთს) უთქვამის: „გეედითაღავ, ნახენითავ, რაად არ მოდიანავ?" გასულ დედაი-დ' სამნი-ვ ცოცხალნ უნახიან: „ისხდესაო-დ' წიგნებს კითხულობდესავ".—ღმერთს იქავ გაუცოცხლებიან ისენი. მემრ გამაცხადებულ ღმერთი: ის გუთნისდედა ქვე დაულოცავ: „კიდევამც ემატებავ შენ ქონა-ყოლასავ!" ი სხვათად—მევენაკე-მემცხვარეთად—მთელ ცხოვრება წაურთვამის:

ეგ იმით-ა, გულად გასავალი, რო: ღარიბ რო გამდიდრდებავ, არ უნდა აიწიასავ, არ უნდა დაიცილასავ თავის სიბეჩაეიე.

ს ო ფ. ბ ა რ ი ს ა ქ ო

3. მრუდის სამართი

ორნ მამა-შვილნ ყოფილან. შვილისად მამას ცოლ მოუყვანავ. ი ქალს ქსლის ქსოვა დაუწყავ, ქსელ დაუქსავ. იმის უდუმლივ მამამთილს ქსლისად გარა გამოუწვდავა-დ' დაუმალავ, დაუშლავ ქსელი. ი ზალს ქსელ ვეღარ გაუმართავ, სხვან მოუყვანიან, იმათად უთხოვავ, სხვათ ძალით გაუმართავ ქსელი.

იმ დროს ი მამამთილს ხალხ მოსვლივ ცხრა-მთას იქითით: „წამეედივ, ციხე აგვიშენევ". წაუყვანავ შვილს მამაი-დ', ხახევარს გზაში რო მისულან, უთქვამის მამას: ან ზურგთ ამიკიდევ, ან შინა-ვ დაებრუნდათავ, დავიღალევ. არ ორივ მავალივ. „ზურგით როგორ გავლევავ?—შვილს უთქომ—დავბრუნდათავ". წასულან. მამამთილს შვილისად ის ცოლ გაუშობიებავის. მეორე მოუყვანავ. მეორისადაც იქა-ვ ჩაუშლავ ქსელი. ვერც იმას გაუმართებავ. იქავ მოსვლიან იმ ბებერს, წაუყვანავ შვილს, აისრა-ვ გზაშიით დაბრუნვილან. ის ცოლიც გაუშობიებავის მამას.

თაო(დ) წასულ შვილის ცოლობად ი ბებერ კაცი. ერთ სოფელში ერთ სახლში მისულ. იმ სახლში ერთ უქმრო ქალი-ყოფილ, ახალგაზდა ქალი. ი ქალს უკითხავ: „როგორ შამოხვედივ სოფელშიავ, რო სოფლის ყურმ ვერ გაიგავ?" „რაიავ სოფლის ყურივ?" „სოფლის ყურივ ძაღლიავ"—ინას უთქვამის.

ი ქალ ელამი-ყოფილ. „ე სახლივ კარგი-ასავ—უთქომ ი სამამამთილოს—მაგრემავ ერთ კუთხივ ბრუდი-აქვავ" (ვითამ: „ელანი-ხარავ"). „არა უნდავ,—საზლეს უთქვამის—კვანლივ სწორად ადისავ" (ვითამ: „კარგადავე, სწორად ეხედავავ").

ის ქალ მოუყვანავ შვილის ცოლად. იმისადაც ქსელ ჩაუშლავ. იმას თაოდავ გაუკეთებავ ქსელ.

იქა-ვ მოსვლიან ი მამამთილს ცხრა-მთას იქითით: „ციხე აგვიშენევ". წაუყვანავ შვილსა-და აისრა-ვ დაბრუნვილან, როგორც წინავ...

ცოლს უკითხავ: „რაადა-ღ დაბრუნდითავ?" „ზურგთ მაკიდება მამიხედნაო-დ' ზურგით როსნამდი მევლიავ ესივ?"—ი ქმარს უთქომ. „ზურგთ მაკიდება რად უნდოდავ,—ცოლს უთქომ—რადარავ ჯოხ მოუჭერივ, ის მიეციო-დ' ამბავაებ უამბევ, არცრუ გაიგებდავ გზასავ, ისრ მივიდოდავ".

წაუყვანავ მეორედ, როგორც ცოლმ დააკვალ, ისრ მოქცეულა-დ' მიუყვანავ ადგილზე. აუგავ ციხე. რო დაუმთავრებავ, ი ციხის პატრონებს მოუშარებავ: „ციხეიც მრუდიავ, ჯელმეორედ უნდა ააგავ!" „წეედითავ,—უთქვამის იმ ბებერს—ჩემ ზალს აქვავ მრუდის სამართივ, ოღონდ ცხრა უღელ ჯარ წაიყვანეთავ, თორე მძიმეიავ, ვერ წამაიღებთავ". მოუგროებავ ცხრა უღელ ჯარი-დ' წასულან. ზალს ბოსელ გაუღავ: „ბოსელში ძესავ ი მრუდის სამართივ, შიგ შაყარეთავ ე ჯარებივ, შიგით უნდა გამოვიღათავ".

შიგ რო შაუყრავ ჯარები, ი ზალს კარნ გამოუდეენებიანა-დ' კლიტე დაუდვავ: „აი, ეგიავ მრუდის სამართივ"—უთქვამის.

სოფ. ბარისაჯო

II. მკვდრის რიგი

4. ხაჭარხი (საძნარი)

სამარხჩი სამი-ოთხის ლიტრის ხაჭიწს ადუღებენ. დაიდგმის ტაბლაჲ: ხაჭიწი, პური, საკმითმატირლო—ზედ თითო გირონქა ერბო, თითო სატნის კუსი. საკმითმატირლო კმითმატირალსა' ხუცეს ეძლევის, ერთ დედულთ ეძლევის. თითო ხაჭიწდასხმულ პური(ც) ეძლევა სტუმრად, მატირლად მასულებს დიაცებს.

არაყ იქნებ ერთხან, ორჯერ, ან საკჯერ ნაწური. ტაბლაზე ენთებ 18 ფეჯ სანთელი, ილოცებ წყალი, თაბაქო, ყალიონი, საბურნითენი. სახელ ერთნაირად ედებ სამარხჩია(ც), სხვა პირის დღეებჩიაც (სანთელჩი). სტუმარს, ვინც მაიღებს, მაქვ ამ დღეს სასმელი. სოფელჩი თუ ვის ექნებ გამაწურვილ არაყი,—ჭირის პატრონს წაიყვანენ, სტუმარს გააწევენ.

არა ბედენაი, როს რას იქმენ სანთელ-წელთაებას, ოღონდ ტალავარნ წლის-თავზე უნდა აეკიდნან, უნდა აიბერტყნან. ორ(ო)ცი, შვიდი... ეგეთურა არა იციან. ყბა-წვერ გამატეულ ექნებ ძმა-ბიძაშვილებს, მანამ საქნარს არ იქამს ჭირის პატრონჲ (თუ თავზე არ ხქონდ საქნარ-სამარხი), ან სანთლამდე [თუ სანთელნ დაუგვიანდეს ოთხ-ხუთ თვეზე მეტს (თუ უკეთია ვინ-ა მამკვდარ, ნაბინ დიდხანს იციან გვლევა)]. იმას (ჭირის პატრონს ალ. ჭ.) არც ვინ შუღლა გაუჭდის; ხამმ რო ნახას, იცის, რო ის ჭირის პატრონი.

თუ სანთელნ ძალიე(ნ) დაუგვიანდეს, ჭირის პატრონმ საარაყე უნდა გამასწურას, მკვდრისა(დ) საიელ დაზდვასა' წვერ-ყბა მაჰპარსვიას ძმა-სახლისკაცებს, იმეებს უნდა ეხათროდას.

სამარხ ერთ დღეჲ: ან შაბათჲ, ან კვირაე ან შაბშაბათი' ან ხუთშაბათჲ.

სოფ. შატილი

5. სანთელი

ერთ დღეს სანთელთაიც. აისივ დღეებს. მონას დღეს არ შაიძლებ სანთელთ ქნა. ოთხ-ხუთის საწყვის ღუდს ადუღებენ. სანთელჩი ლუდს ქონება-ცხოვრებაზედ-ა, გულის ტკივილზე (უკეთიაი-ა ბერი-ა მკვდარი). მზადდებ პური სამ საწყვით ოთხ საწყვამდე. ცომს ასწყვენ; საწყავ მიაქვ საქვაბეჩიით. არაყიც შაძლებაზედ-ა. სტუმრებსაც მიაქვ. მაკეთე, რომენსაც შაუძლავ, სრუ მიბყვებ, ყველა საქნროაჩი: თავზე, სულთაკრეფაჩი, ხალარჯვებაჩი: ვისაც არ შაუძლავ,—არცრა; ცალიაი(თ) ფეჯით შაიძლებ წავიდას.

სანთელჩი იკვლის: ან ჭარშ, ან ძროხა, ან წვრილფეჯი სამით ხუთამდე. ჭმითმატირლებს ეღარ მიაქვ (ვერც ხუცესს) საჭმითმატირლოებშ, შინ რჩებ.

წინ-წინ კოდი' კოდის-ტაბლა დაილოცებ. კოდის-ტაბლაზე: სამ კეცეულშ (სატნიანი), სამ კუბატ-ქადისკვერშ, ერბოიან ჯამი, ერთ სატნის კუსშ. ეგ შჩების კოდის დამლოცავს, ეკუთვნის, მაგრემ ეხლა არვინ ზიდავს. კოდთან იდგმის ეს ტაბლა, ილოცებ კოდიც, კოდის-ტაბლაიც, ნახევლიტრა არაყიც, ერთ საწდე ლუდიც.

თუ თავზე არ არიან ცხენნ ნარბოლნი, მაშინ კოდის-ტაბლის შემდეგ ცხენ-ტაბლას გაიტანენ, ცხენთ გაუშობენ. იქაც: ერთ ნახევლიტრა არაყშ, ლუდიან საწდე, სამ კეცეულშ, სამ კუბატ-ქადისკვერი. ერთ ლიტრა ქერიც უნდ ცხენთა(დ) გასაშლელად, დაკეთებულშ, უქვო. ქერსაც მააყოლებენ სახელის-დებაჩი: „ცხენიანთანავ ქერიმც ნუ გაგითავდებავ"... სანერბიელოებსა' დოღეს ხუთი(თ) ფეჯი(თ) სანთლით ცხენთ მასვლიდგე, დოღეის ჩაბარების დროს ედებ სახელშ.

მემრ მაბრუნდებ მატირალი' შინ, შინაურს ჭორცის ტაბლას დააგებენა' იმას დეედებ სახელშ: ერთ საწდე ლუდშ, ერთ თულუხ ახალშ, შაუსმელ წყალშ, სახლის არაყშ, მამკითხავის არაყშ, თამბაქო, ყალიონი...

სოფ. შატილი

6. სანთელ-ტაბლის სახელის-დება

ვინც კურთხევან იცნის, ის აგძელებს; რასრა ამბობენ, არ ვიცშ [არც მგონავ თავა(დ) იცოდან], წიგნი(თ) დასწავლილ რაიმ აქვა' აიმას მაუდგებიან, მააყრიან კორკოტასავით. [ინფორმატორი შეჩერდა და თქვა]:

„—უსასმლო-უტაბლოდ სახელ რაკლა დავზდვ, არც სახელისდებან მამგონდებიან, ცალიაზე რაკლა(დ) ვიამბ?"

„—კაცო, მე რა გიყვ, შენ სახლჩი სასმელ-ტაბლას მე კი ვერ-
ცაი(თ) მაგიტან...“—ვუპასუხე მე.

ნანაისძემ (მთხრობელის სახელია, აღ. ჰ.) ცოლს შესძახა სახლში:

„—შენ! არ მაგდისა?“

„—რა გი(ნდა), რას მეძახ?“—უპასუხა ცოლმა.

„—გაიარე(ღ), აი კარადაჩი შამნიან ნახევლიტრა დგას, აისი(ღ) მაგვიტანე' პურ-სატნიან ტაბლაიც მია' წიქას!“ შემდეგ მე მითხრა: „ცოტა შამან რაიმ დგას ნახევლიტრაჩი, ძოღან მია' ხახონს დაგვჩ. ქოო(დ) წყალ იყვ, არაის გემოი-დ' ლიგმოტ ხქონდ, შენ კი არა მგონავ შასვ, გულს რას აგირევს“-ო. როცა დიასახლისმა ტაბლა გაამზადა, ნანაისძემ ყანწში არაყი ჩაისხა და დაიწყო:

„ღმერთო, უშველ ემ მამა-შვილებს, ღმერთო, შენ ნუ მაიწყენ, ღმერთო, ავსა' მარჯვე ნუღარას დააღირებ, სალხინოზე შაუცვალ, სამშვიდობოზე შაუცვალ, ლხინის სტუმარ-სოფლელ უდინ დღესა' მას-აქათა' მშვიდობისაჲ. ღმერთო, შენის დიდებითა, ღმერთო, შენის მიცემითა' ჩემი სიტყვის მაჴსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მადიოდას, წესი' მართებულ იყვას, მკვდართ შანდობა მაგიდიოდასთ, საცა შენ ხარ, თოთიაო, სულ შენ მაიჴსენების, შენამც მაგივ, შენამც მაგეჴმარების დადგმულ ტაბლაი, დავსილ საწდეი, გარიგებულნ თასნი' ყანწნი, დაკრულებ სანთლებჲ, ყანწი, ჭურჭელი, წყალი' მასაწევი, შენიმც სამთავრებ იქნებ, შენიმც საიაღებ იქნებ, შენიმც ცოდვის მჭდელ იქნებ, ცოდვისამც იაღა(დ) მქნელ იქნებ, ცოდოსამც გჴდის, სამძიმარსამც გიზუბუქებს, წინ მაგებებულს, უკენ მაწეულს, სიკეთილის დღეს დამწყვდეულს, ენით ნათქვამს, ჴელით ნაქნარს, თვალით ნანახს, ყურით განაგონარს. ჩემი თქმითა' ხთის წესით სანთლიანიმც გაქე, სარკმლიანიმც გაქე, გაუთაებ-გაუცუდებიმც გექნების, მანდაურის წესითა' მანდაურის რჯულითამც მაიჴმარებ, მე რასაც დაგაკლებ, სულეთის ღმერთიმც ნურას დაგაკლებს. დღეს რაც გამზადულ, სტუმრისა, მასპინძლისა, მაღებულ სასმელ, შენთამც ჴელთ ჩაღბარდებ, რაადაც გინდ, იმაადამც მაიჴმარებ. შაგინდნას, ღმერთმა მაგაჴმარას!“ ‚ხალხ იტყვის: „შაუნდნას, ღმერთმა მააჴმარას. მასპინძელს სხვა აი' მარჯე ნუღარა დააღირას, ლხინის სტუმარ-სოფლელ უდინას დღესა' მას-იქით, მშვიდობისა, ლხინის სასმელ ამზადებიას!“ მასპინძელ იტყვის: „თქვენს ლხინზე მიაც გადამაჴდიას, ავზედა' მარჯეზე ნუღარაზე გაგსაჯნასთა' დაგხარჯნასთ, ჩვენის კითხვისა(დ) ღმერთმა კაი(თ) გიკითხნასთ!“

სახელის-დება მაგონებისარ, თქვენ რო სამდღეგძელო იცი(თ), აისთარ: ზოგმ ბევრის საუბარ იცის, ზოგმ ცოტაისა; ბედენა ქვე არარ, ჴელითოოდ ქვე არვინ მიაწვდის.

დოღვ თავზე არ იქნებ თუ ზამთარი, მანამ ცხენის გზა არ გამავალის. მაგას შენ ჩემდ კითხვა რაა(დ) გი(ნდ), თავადაც კარგა იცი.

სოფ. შატილი

7. წელთაება

წელთაება სანთელთა-ვ მაბყვებ. აისი-ვ ჯორც იქნებ იქაც. ზოგჯერ წელთაება გვიანდებოდ. კლოდ სხვა საკლავ უნდა დეეკლ. მეწელთაებებ ერცხვას ახვევდეს წელთაებებს:—ლუდმ მასართასავ ერთუცსავ. ნათავარს ამა(გ) საქვაბეს ზიდავდეს, ამა(ნდ) ადიდებდეს. ნათავრისა მკვდრის რიგჩიით იციან ამაღება, საჯვაროჩიით არ უ(ნდა) ამაღება, იქ ნიადე(გ) ღმერთისად დიდდებ, დასალოცავ არარ. აი, სახლჩიაც რო ხქონდას კაცს საღმერთოსალოცავებრ, საღმერთო კოდ რო გადიდდებ, მემრ სალოცავებს კოდებჩიით აღარ უ(ნდა) ამაღება ნათავარს.

საწელთაებო ცალკე კოდრ, ტაბლა აისივ-ა, საჭმითმატირლოებ აკლავ მარტო. სტუმარმ თუ ვინ დაიგვიან, იმის არაყ დაილოცებ; მასპინძლისა ცალკე უნდა იდგას არაყიცა' ლუდიც. პურსატან-ჯორციც სახელ-დაუდებ უნდა იყვას.

სოფ. შატილი

8. ტალავართ აღება (აბეჩტჭა)

ტალავართ აღებაჩი საარაყეი' ფაფა იციან; თუ ძალა აქვ, ლუდისაი' ხავიწის დუღებაიც კარგრ, თუ არ შაუძლავ, ქვე არარ სამდურავრ. ტაბლის გარდა მაში(ნ) ტალავარი' იარაღ ილოცებ: ცხენს ეკიდებ ტალავარი' სახელ ედებ ცხენსაცა' ტალავარ-იარაღსაც. სახელნადებ ტალავარ ჭირის პატრონს მკვდრის დედულთას მიაქვის, თან სახლის არაყს მიაყოლებს. კაც თუ-ა, ცოლეულთასაც მიაქვ ტალავარრ.

სოფ. შატილი

9. ხალარჯვება

ორ-სამის საწყვის ლუდს ადუღებენ. უფრო გაზაფხულ ჩადიან, ამაღლებიდგეს. „ხალარჯვების ქვაბ-კიდებასავ" რო იციან,

იმი(თ) იციან, რო ერთ რაი-მ დროი. თუ მაასწვრ კი მაშინა(ც) ჯარ, თუ ვერ მაასწვრ ჭირის პატრონმ, კლოდაც არა უ(ნდა). მაშინაც ხავიწის ტაბლაი' ლუდ-არაყ მზადდების, ულუდოდ არ შაიძლების ხალარჯვება. ხავიწს ორის ლიტრისას, ზოგჯერ მეტი-სასაც ადულილებენ. ერთ დღეი.

სოფ. შატილი.

10. სულთაკრეფა

ორ-სამის საწყვის ლუდ მზადდების. სულთაკრეფაჩი მზადდების: ლუდი, არაყი, პური, მარილი, ბიჭონი, კაპარწ. სამარხო ტაბლაი. მაშინ გააქვ ღაბაჯი: დაზდგ[ენ] ან ცხვარს, ან ტალავარს რას. მემრ ილოცებ ღაბაჯის ტაბლა. ღაბაჯის ამღეი' ჭირის პატრონ ორნივ ამზადებენ ტაბლას. თუ ღაბაჯის ამღე სხვაკუნურ, სხვაკუნურ კაც ტაბლას სახლჩი დაღლოცავსა' არაყს მაიღებს. მაშინ ჭირის პატრონ ამზადებს ტაბლას. თუ აქაურ ღაბაჯის ამღე, მაშინ ის საარაყეს გამასწურავს, ტაბლას დაამზადებსა' ჭირის პატრონსაც უძახებს, მაიყვანს, ღაბაჯად დადგმულ რაიც იყვ, ი(ნ)ასაც მაიტანენა' დაზდებენ სახელს მკვდრისად ქასმელსაცა' ღაბაჯსაც.

ღაბაჯს ხყვებ სასრეველი: ან ჯღანნ იქნებიან, ან თაშბაქოს წეკვა, ან თათნი. სასრეველის გაღების დროს ჭირის პატრონ ერთ მინა არაყს გაიღებს, დაღლოცავსა' მენრ მეთოფეებმ თავად იცი-ან. ამღეს არც რას დამზადება უნდა' არცრას დალოცვარ.

სოფ. შატილი.

11. ცოცხლის სამარხი

სახელის დადება აისივ იყვ: სულეთის ღმერთს აბარებდეს მთელ სამარხს: „როსაც მახკვდებივ, მზასამც გექნებავ, ნუმც გაგიფუჭდებავ, ნუმც დაგიბიბკდებავ, მისულსამც მაგაგებებსავ სულეთის ღმერთივ, სულეთის ღმერთიმც იბარებსავ თქვენს სულსავ, თქვენად გამზადულს ტაბლასაცავ".

ტაბლის ლოცვაჩი ჯოტაი' ნანა (ვინც სიცოცხლეშივე „დაიმარხეს თავი" იმათი სახელებია, ალ. ჭ.) ტაბლის გვერდი(გ) ისხდეს, ჯმის ამაღება კი არ შეეძლიყვ სახელის-დების გათაებამდე. ჯოტაისა(დ) რასაც შანდობა უთხრეს, ჯოტას არ შეეძლიყვ იმის ჭამა, ეგრავ ნანას ნანაისად დალოცვილის ჭამა არ შეეძლიყვ. ერცხვისა(დ) სახელნადების ჭამა შეეძლიყვ მარტო.

ცხენთ ჩამასვლაჩი ცხენ-ტაბლასთან ისხდეს:—ნანას თავშალ ხქო(ნდ) თვალთა(დ) ჩამაფარებულრ, ჯოტას—ყაბალახა; მჯართ ჯმალ ხქო(ნდ) გადაცმულრ. ტაბლა ცალ-ცალკე დაიღოც. თავის ცხენთ ნახვა არ შეეძლიყვ არც წასვლაჩი, არც მასვლაჩი. ერცხვის ცხენთ ხედვა კი შეეძლიყვ.

საწდის დალოცვა აღარაჯლა მასაჯერჯებ იყვ, ქიავდებო(დ) რაჯლადა-მ თასის დალოცვაიც, ყანწისაიც. „სიცოცხლეჩიავ ჯანსაღა(დ) გამყოფნასთავ, იქავ მზას დაგახვედრასთავ"—ვეუბნებოდით. სხვა სხვას ამბობდ, სხვა—სხვას, არას ესხ თავ-ბოლო.

სოფ. შატილი

III. სხვადასხვა ამბები

12. თიბის შამშაბათი

წელგაუთაო ჰირის პატრონ გამასწურავს ერთს საარაყეს. თიბის შამშაბათ დილას სოფელ იმის ბანზე შაიყრების. არაყს იმ ახლის სულისად დაღლოცვენა' სმას დაიწყებენ. არცრა მისვლაში ითქმისა-დ' არცრა წამასვლაში, არც ჰირზედა-დ' არც ლხინზედ. ნაწევებ რო ეეგრ მიელენ მთიბლები. ზოგ ცელსაც თანოდ მიიყოლებს.

ახა სოფელში ბევრა იყვას მეთიბიშამშაბათე, შაიძლებ, რო ერთადაც მაიღან სასმელი: „სოფელსავ მიდი-მოღმ ნუღარ ვადენთავ,—იტყვიან—ერთად გაუძღვათავ". არცრა ტაბლის მიტანა იციან კაცებისად კი; მემრ დედროან ტალავარს გაშლისა-დ', იმეებს თუ რას უდგმენ ტაბლას, არ ვიცრ.

—თიბად რაღა მაინცდამაინც შამშაბათს გადიან, სხვა დღეს ვერ გავლენა?

—აბა რა ვიცრ. თიბად ზოგჯერ ხუთშაბათსაც გადიან. ეეგრ-ა დაწესებულ ერთხანდერთხან, შაიძლება იმითაც იყვას მაგონდლ, რო: შაბათ-კვირაე-ორშაბათ უქმრ, ოთხშაბათ-პარასკევ უფერ დღეს-ას, არც მკვდარ იმარხების ოთხშაბათ-პარასკევს (იესო პარასკევს დაღმარხეს). შამშაბათი და ხუთშაბათრ კარგებ დღეებრ...

—საჴნავადა? საჴნავად როსა-ღ გადიან?

—საჴნავად როსგანდ გავლენ, არა ბედენაბ-ას...

—რაად-რა მაგონილრ ნეტა თიბის შამშაბათი, რაად ჩადის ჰირის პატრონრ თიბის შამშაბათს?

—შასაძლებარრ, რო ჰირის პატრონისად ჴელის ამასაწევადაც იყვას მაგონილი: წინავ ოთხ-ხუთ ახალგაზდა მეთიბიშამშაბა-

თის სათიბზე წავიდის. ვინ იცის, წინავ იქნებ მთელ სოფელი(ც) გაუდიოდ მეთიბიშამშაბათეს... შაიძლება იმითაც იყვას მაგონილ, რო მანამდე ჰირის პატრონს მუშაობა უჰირს, არაის ხალიზი-აქვ, გულით ვერ მუშაობს. თიბის შამშაბათიდგე(ს) ის მკვდარს ვითამ იცილებს, თავის სახლ-ყოფას უბრუნდების, თაოდა(ც) ჴელს იჴსნი- სა-დ' სოფელსაც ჴელს უჴსნის...

სოფ. ჯანმატი

13. „ენების წარმოშობა"

„მანიპოლის ქალაქისადავ გალავან შამაუჴლევაევ: „წარღვნა მავავ, ამ ქალაქშიავ ზღვას ნულარ შამაუშობთავ". აუგავავ მაღალივ. ერთ ხუროსავ მეორისად უთქომავავ: „ქვან მამცენივ". იმას გაუგონავავ: „ქვან გადაყარენივ". მაშინ გათავთავადულავ ენაივ, თორე წინავავ ერთ ენა ყოფილავ".

სოფ. ჯანმატი.

14. ალექსანდრე გატონიშვილი

„თორმეტ ამხანიგ წასულავ სულადის გულისადავ ქისტეთავ. ერთ სოფელჩი მისულანავ, ერთ კაც მაღგებებიავ: „წამეედითავ ჩემთანავ თორმეტნივავ, მე მაგცემთავ თორმეტთავავ პურსავ. არცავ ფას მინდავ თქვენივ, მარტო მზეს ხედენითავ დურბინებითავ: წინ რა უდგასავ, ან უკენ რა მახყვებავ". უხედნავავ მზისადავ ორ დღესავ. მესამეს დღეს უნახავავ: „ყაზახნ მავიდესავ ცხენ-და-ცხენავ სამნივ, წინ მაუძღვესავ მზესავ. იმათავ უკენავ ერთ ქართველ მახყვავ ნაბდიანივ, ქუდ-მაჴდილივ, იმასავ ერთ თათარ მახყვავ დოლბანდიანივ"... იმ ქისტმ თქვაევ: „მანამდიავ ეგ ქართველ არ დაუდგებავ ყაზახთავ წინავ, მიავ საქართველოში არ წამაოლივ. ეგიავ ჩემ იღბალივ".

იმ ქისტმავ სრუ ერთ გოდორშიით ჩაგვიყარავ პურიე თორმეტთავავ, ორმოცამდე კი იყვავ აი გოდრებივ. ის კაციე ალექსანდრე სადამ იყვავ ერეკლეს შვილივ; ვედონოში იყვავ ისიე".

სოფ. ჯანმატი

15. ძალის გამოცდება

კინწა(თ) ჩალხზე ჩამაგვივარდ წეღან საუბარი. ეგ ხათაბალა კაც იყვ ძალიან. ერთ დროჩი დათვისლებ უხედებოდეს ბალხს გველეთის-ძირ ჴიდზე: ზოგს ათამაშებდეს, ზოგს ჴიდის ძირჩი აძერენდეს, ზოგს ჭრიდეს. ბეჩავ ხალხს აღონებდეს, რაღა, ვინაც ჴელს შაუქცევდ, ქვე იშუღლებდეს.

ჩალხ მამაჳალებულ ერთხან მშავით საითა-მ, სადაცაღა-მ იყვ თავის საქმეზე. ეხლა იცის იმან, რო გველეთის-ძირ დათვისლებ დგან, გზა აქვ შაკრულ ჯიდზე. ორ არაყიან გადაესვ ჩალხს ორწყალჩი, შამაეკრ მათრაჯ ცხენისადა' წამასულიყვ. ჯიდის-ყურჩი რო მასულიყვ, „ხაბარდა, ჳევსურიშვილებო!"—დაეყვირნა' შამაეგდ ჯიდზე ცხენი. ვერაფერ ვერ ეთქვ მაშინ დათვისლებს, გამაეშვ. იცოდეს, რო უშულლარა(დ) ის არას ვის მისცემდ; არცრას ვის შუღლჩი ჳისცემდ...

ჩემ ზალს, პასუათ ხთისოს დიაცს, ხო იცნობ, მზექალს. ეგ მასწონდის ხთისოს. მზექალსა(ც) სადა-მ მასწონდის. ერთხან ლებაისკარ ორ თავის საბლჩია' ჩემ საბლისკაც გაიათ ბაბუა ჳამივიდ: „წეღანარიადაევ მზექალს შაუვლავავ, კინწყა(თ) ჩალხ სტანებიავ. არიქავ, აგებ მივეწივნათავ, ეგ ქალ უნდა გამავიტაცათავ ხთისოსადავ". „გამავიტაცათავ"—ბეც უთხარი' წავედით.

ცოტა შიშ გვქონდის გულჩი: ვიცოდიდით, რო ჩალხ ქალს უერთოდ არ გაბაგვაყოლებდის, თან გვეხათრებოდის კიდევაც: კარგებ სტუმარ-მასპინძლებ ვიყვენი(თ) ჩვენა' ჩალხ-ჩალხიშვილებბ. „კაით აგებ დავაყენათავ,—ვთქვით,—აგებ არა გვითხრასავ".

წოვაის წყალთ ძირჩი, აი გამარიყულ ჳევ რო ას, აიმაჩი ამაევწიყნით. ჩალხ ჯორზე იჯდ, მზექალ უკენ მიხყვებოდ. ჳელის მამართვა უთხარით, ამბავ-მშვიდობა ვხკითხეთ. „რაიავ, საისკე მიზდითავ?"—გვკითხ ჩალხმ. „შენი ჰირიმევ, ნუ გვიწყენ კიაო' მზექალ უნდა წავიყვანათავ ეეხლადავ"—უთხარით. „რაიო? ამაგაა(დ) მაითრებოდითაევ აქავ, აგრემც ძაღლ იქნებაე თქვენის ყვალაისადავ!"—დაიყვირნ ამ კაცმ, გადმაიარ ჯორზეითა' მაივლ ხანჯარს ჳელრ. ვეჯალ მიაც მაშია-ვ ხანჯრიან ჳელ შავსტაცრ. ერთ გძელ, თეთრტარა ხანჯარ ღმბიყვ, სისვ აისრ. ბაბუამ მახკრ მზექალს ჳელი' გადმასწრ(ვ) თავ-ჩალმისკე. აღარც ბევრა(დ) გადმასახენებლა(დ) მეცალის, მახყვანდის კი სადა-მ ი ქალ ბაბუას, არა ბევრად გაუძალიანდ. „მე რო უარზე დავდგავ, ესეებ მაი(ნც) არ გაწყრევენავ, ნუ ჩავაჯოციებავ ერცხვასავ"—ანაბრ ფიქრობდის.

საუბარ გძლა(დ) მიდის, მე და ჩალხ ვბორბოწიაობთ ჳევჩი. ჩალხს უ(ნდა) რო ხანჯარ როგორ დამკრას, მე ჳელს უჭერ, ჳელს არ ვანებებ, თან ვეხვეწები: „სუავ, ჩალხო, შენი ჰირიმევ, არცრა საკვირლობაიავ ქალის გატაცებაივ, განა შენ არვინ გამაგიტაცებავავ, ეგიც არაიავ დიდ ამბავივ, აბა! იმას არა მიზდის, იზიდებ, მიწირავს, მლანძღავს.

მაშინ ჩალხ ცოტა წადროვნილებულ იყვის, მე ახალ-კაც ვიყვიდ, თორე იმას რას დავიჭერდ, მიმხეთქდ ერთიანა(დ), გამაფუჭებდ. ვიჭერა' ვეხვეწებ იქავ: „სუავ, დადეგივ, ნურას დამკრავავ, სტუმარ-მასპინძლებიც ორთავ'. „სტუმარ-მასპინძლებ რას მიქვიანავ, ჯელჩიითავ ქალს მტაცებთავ, სირცხვილჩი მაგდებთავ"—ყვირის ჩალხი. მე მაინც ვეხვეწებ, არ უტევ. „მაშ გამიტიევ,—მითხრ, —ერთ დამაკვრიევ, რო მიაც სირცხვილ მამჭდასავ, თორე ბისოჯაჭმატავ ეესეთ რაჭლა ჩავჩინდავ, ხალხ რას იტყვისავ? მძიმედ არ დაკრავავ, ზუბუქად დაკრავავ". „კაცო, დაკვრევით კი დაგაკვრევდივ, ჩემო ჩალხო, ერთ ნაჭრევ რა დიდ ამბავიავ, გინდა მძიმე იყვასავ, გინდა ზუბუქივ, მაგრემავ რა ჭირსავ მაგაადავ, ქვეც მეტკივნებავ, რო დამკრავ, სისხლიც მამედინებავ"—ვეუბნებ მე. „მე რა გიყვავ, თუ სისხლ მაგედინებავ, მე რო სირცხვილს მიყრითაო?" —ჯავრობს ჩალხი.

აიმ ამბავჩი ორთა' მავიდ მექოიც: პასუათ მექო ახალ, შაძლე ქალ იყვის მაშინ (მე[ი]რ ხახონს არ ხყვანდა ისი, კაი დიაცობაიც ქნა, აქოდ მაკვდ, სამგორჩი, ღმერთმა აცხონას!). მექო წამასულიყვ ჩვენს უკენ: „ნეტა რას იქმენავ?" მექომ ჩალხ დაიჭირ, მე ქვე გავსძვერ, როგორც იქნებოდა' გავიქეც, ბაბუას მიუშველ. ვეღარც ჩალხმ დაიწყ ზიდილ დიაცის ჯელჩიით. აი ჩამასაფარჩიით რო აეხენეთ, ჩალხი' მექო იქავ აი ჯევჩი იყვნეს. ეეგრ გადავშჩი(თ) მაშინ ჩალხს, ქალიც გამავიტაცეთ.

სამგორი, სოფ. გამარჯვება

16. გაგა

ერთ ჯევსურ მიმავალ საისკესა-მ, გაგა ხქვივნებრ. გზაჩი რუსის ჯარ შახყრია' ქალალდ მაუთხოვავ. გაგას ქალალდ კი ხქონრ, მაგრემ მთავრობისად დალეულ რაი-მ ხქონრ, იცისა შინებრ: ხო იცრ, ბრალიანს ის ღგონავ, ჩემ დალეულ საქმეიე დუნიამ იცისავ. გაგას უფიქრებავ: აქავ ქალალდს რაზე მამთხოვდესავ, ჩემ ავკაცობა რო არ იცოდანავ.

რუსის ყარაულს ქალალდ უფროსსთან წაულავ. გაგას კა საბუთ ამასჩენია' უფროსს უთქმავ: „გაუშვითავ, კა კაც ჩინსავ." მავ თუ ის ყარაული' ჭმამაღლა ამბობს: „გაგა ხაროში ჩალაეექ, ხაროში!"

„— ვაი შენს დედასავ, გაგაო, ხაროში ჩაგდებასაც გიპირებენავ!"—დაიყვირნავ გაგამაო' სთხმუზავ, სული-კვალი(თ) დაიკარგავ.

გაგას რუსულ არ სცოდნია': „ხაროშიავ, ორმოში ჩაგდებას თუ მიპირობენავ"—ღგონებ!

სოფ. ბარისაჯო

17. მერცხალიკა

ოზდეგა მეუბნებოდის ძოღან (არ ვი, ქვე მატყუებდა): „ჩემ(მ) მამამ თქვისავ: „სთეელჩიავ ერთ მერცხალიკა დარჩავ აქავ. ვაჰმეევდითავ პურსავ, ვკვებავდითავ. გაზაფხულ რო მავიდავ, მავიდესავ მერცხალიკეებივ, მაუსხდესავ მირგვალთავ აქ დამჩალს მერცხალიკასავ: იჩიკჩიკესავ, იჩიკჩიკესავ,—იამბეს რაიმავ. ბოლოსავ აი(მ) აქ დამჩალ მერცხალიკამავ გაიყარნავ ბირწყილნივ ყელჩიაო' მაიკლავ თავივ"...

საით მართალ უნდა იყვას ეგრ?

სოფ. შატილი

18. სუმგატა და თოთია

მია' თოთია ვქაიბობთ, ჩვენს ორთ, ბევრ ხალხ ორთ. ვქაიბობთ, ერთა(დ) ვსხეორთ მია' თოთიაი' მაგრა ვქაიბობთ. ლუდ კი არა გვედგ, არაყ გვედგ. მალ-მალე შამამხენებსა' ვიც ეხლა იმის ხასიათ, რო თქმა რაისაი-მ უნდა' ვერ ამბობს. მემრ, ნელგვარა კარგა დამაჯერ თვალები' თან მთვრალ, მაგრა. მე უთხა(რ), რო: „რა გაღონებსავ, თოთიაო?" ვიც, რო სათქვამ რაიმ აქვა' ვერ ამბობს; „რა გაღონებსავ?"—ესრ უთხა გვერდი ნაჯდომს. „რა მაღონებსავ, კაცო, შენ სამდღეგძელოს მინდავ შასმაიო' შენ სახელ ვერ მავიგონევ, ის მაღონებსავ, სხეა არცრა არ მაღონებსავ", გაიცინ. აღარცრა მაშინ.

სოფ. ლებაისკარი

19. სუმგატა და გაიათ გაბუა

ერთხან ბულვაანჩი ვიყავ. გაით ბაბუანი' გიგოლან ისეებ იქ არ იყვნესა ჩამასულნი? გიგოლან რო ჩაიჯოცნეს, იმ დროს იყვ, ლუდ ედგ თამარას. აიქით გაიათ ბაბუამ შინ წამიყვან. წამიყვანა' მიმიყვან შინ. მუშტარა ექვივნ გაიაის დიაცს, იმან რო მნახ, მთაჩიგურ ამბავ ჴკითხ. ჴუშტარა მკითხავს მთაჩიგურ ამბავს. კა დიაც იყვის ძალიან. ბაბუას მეეძინ, მთვრალ იყვის, მია(ც) მთვრალ ვიყვიდი' საუბარჩი მავიფხიტ კიდევ. მთვრალ ბაბუაი' გადამახენებს მალ-მალე, ისიც, როგორც ი თოთია; მე იმაზე გულ არ მაქვ, მე.

მუშტარას ამბავს უამბობ. ცოტაი-ხნიდგეს ლაწნ კი გამდგეს ე უბაჩი!

შამამკრ ბაბუამა' ძალია მაგრა კი არ შამამკრ, თავ კი გადავიტა(ნე) ეესრ; სკამზე ვსხეორთ. გადავხენ მიაც, გავიცინ: „რა ხქენივ, ბაბუაო?“ მისწყი მუშტარამაც: „მიგჩქვლით მიწამაე, რა ხქენივ?“ მე კი ვიცინ, საშუღლარა(დ) არ გავართვი.

აამტყერ თვალებ, მუშტარამ რო წყევა დაუწყ, გონთ მავიდ: „სუმბატა ხარიაევ? ჩემის სალოცავის მადლმავ, მშაველ მეგონევ. სატირლა გულ მეერივ. მშავლებ ხყვანდიან მეზობლებ, ერთს ბეწინტურა ექვივნის, დი-დიდნ წვერნ ხქონდიან ჩემსაითა' „აიმას გაფერევ“—მითხრის მემრ.

სოფ. ლებაისკარი

20. ხევსურული ფრაზები.

—ძველებ ამბებ რა გეცოდინების, გოთუავ, ვერას მიამბობა?

—აღარა მაქსონსა-ღ, გადაჟამყრუილ კაცრ-ორ, დაბერებული... თვალთა ყოფილ კაცისაჴგონიც...

—ვითაის წლისა იქნებრ ეეხლა?

—ვერ ვიცრ, სამოცდაათისაჴ-ორა, დიდ რაი(თ) ვიქნებ კიდევაც.

—ჯაჯმატელთაზე არა იყვა საქებ, ძველებურ სიმღერე?

—არა მგონდების, სრუყველა დამცილდ... სრუ გადამცილდ ეხლა, არაფერს არ ვგონულობ, არც ფშაურსა და არც ჴევსურულს... ჭოოც იმკების ეხლა ბარში ყანები?

—მაშა! გაილეწ კიდევაც.

—სეტყვა, ისეებ ხო არცად-რა იყვ?

—არ, ჩემ იქ ყოფაჩი კი არცად-რა ყოფილ.

—სად ვხყრიორთ, სად? რას ვაკეთებთ აქ?

სოფ. ჯაჯმატი

—

მთიბლურ ცელის ქნევაჩი არ იმღერების. რო მიბრუნდების ნამჯრევის ტოტჩი, მაში(ნ) იმღერებს მთიბელი... რაც, აი, მთიბლურ სიმღერერ, სრუ ჴმით-ნატირალ ეგეები. იმით იმღერენ, რო უჴდების, ისეთ ჴმაი... მკვდარზე დათვალვა იცოდეს კაცებმ, ჴმიტირილ მარტო მშაველებმ [კაცებმ] იცოდეს...

მკვდარზე სამჯერ დავჴვითინდიდით, ქუდ ავიფარიდით თვალთაზედა' სამჯერ ვიძახიდით: იჰიჰი ოჰოჰო! იჰიჰი ოჰოჰო! იჰიჰი ოჰოჰო!...

სოფ. ჯაჯმატი

—

— ე ყუდიათ ბოსელიკაიც დუყი.
— დუყ რაჴელი-ღ კაცი, აუჩქამდომიაʔ
— ჰო, რო ვერ ამბობს გასარ...

—

ყირაის დედამ იცოდის: „არაად უ(ნდ) მაგლეჯა იმას, ერთს გაჴვრეტილში აი ფირჩლიც გეეტანების“... სისუფთავე ქვე არა იცოდეს, ქვემც ჩეეცო(დ), დაათბობდ...

21. აკია და უცნობი ხევსური

აკია სიახლეჩი ერთ შუღლზე დამდგარ ჴევსურ იყვ, მამაციც იყვ. იმის ნაუბარს ვინა-მ მიამბობდის: ბარისაკოთ წამაეედიო' ვთქვიავ: „ეეხლა ვინც შამხვდებავ ჴევსურიე, სრუყეელას მაუშარავ; ვინც არ დამითმობსავ, ვეშუღლავ“. გზაჩიავ ბევრ ხალხ მეყარავ, ზოგ ნაცნობივ, ზოგ უცნობივ. ბევრას უშარევ: ზოგს რა მაუგონევ, ზოგს რაივ. ზოგმ დამითმავ, ზოგმ შამამიქციაო' იქავ დავშეელდითავ.

ღელის-ვაკის შაღმ სადამავ ერთასავ ბეჩავას ჴევსურას მივეწიევ. წვიმიან-ღუმუთიან დღე იყვავ, ცხენზე ვიჯედივ. ქვეითა მივიდოდავ ის ჴევსურივ, თხის ტყავან ეცვნესავ ბეწვ-გარეთ გამაბრუნებულნივ, ძირ-გამამძვრალნ ჯღანნ ეცვნესავ,—აი ნატყლაპებსავ მიწაზე მისთრიდავ. ერთ ჩალაპორწაკულ იყვავ, წვიმის ჩაშმორებულივ. ყბა-წვერ ხჭონდავ გამატეულიო' აი წვერანივ ჩამალატკულან ხჭონდესავ. ერთა ტარზე-საბანდდახვეულაივ, საშეშუა ხანჯარა ებავ.

მივედივ ცხენდაცხენაო' (არცრა ჴელის მამართვაივ, არცრა სხვაივ) „თამაქო ჩამიყარევ!“—უთხარივ. შამამხენავ წყნარადავ: „ჴელ მაგიმართას, ვაღ!“—მითხრავ,—„ყალიონ-სათამაქოენივ შინ მაშჩესავ, არ მისხავავ თამაქოივ“—მითხრავ. „შენ ყალიონ-სათამაქოეთა არ ვიცივ, თამაქო ჩამიყარევ ეეშსაათჩიავ!“—დავხუვირნევ კიდევ ჴმამაღლადავ. „კაცო, ყურთი-მძიმედ მაგდისაევ,—ჴმამაღლა მითხრავ—ქვეც გეუბნებივ, თამაქო არ მისხავავ“. „მიქარეას თავ დაანებევ, ჩქარა თამაქო ჩამიყარევ!“—დავხუვირნევ კიდევ უფრო ჴმამაღლადავ.

ერთბაშადავ ამ კაცსავ ფერ ახჭდავ, ნაცარ რო აისრ გაჭდავ, აიტკრიცავ, ჩამალატკულნ წვერინივ თავ-აღმ აუბრუნდესავ, დაუბღ-

რუჭდავ აი ბეწვებიო-დ' ცხვირის ქინტოჩი დეეჩარავ, ჭელიე ხანჯრისკე წაუვიდაო' მითხრავ: „გინდაევ თამაქოივ?! თუ გინდავ, ჭელა ჩაგიყრივ მწარის წეკვაის თამაქოსავ!.. დავატყევივ, ერცხვას ჩავჭხოცდითაო': „არ მინდავ, არავ, წეედივ, თუ ღმერთ გწამსავ"—უთხარიო' გავსცილდივ...

ეეგეთარ, კაც რო კაცს თავს დაამეტებს, არაად ჩააგდებს. კაცმ ის არ უნდა იფიქრას, მე ვერას ვინ მიზამსავ, ვერას ვინ გამამჩებავ. ზოგმ სიკვდილის დღე არ იცის. აღროფებულ, გულსგადასულ კაც ჩიტივი(თ) მახკლავს მტერს. შორიელს, სათოფე მტერს, მონის მაქმედს არ უნდა შაარჩინას კაცმ ვალრ. სოფელჩია-და თემ-წყალზე შუღლს არა ხყრავ.

სოფ. შატილი

IV. საბმირო-ისტორიული ამბები, ლექსები და სხვ.

22 ყურშა

გათენდი, (ნუმც გასთენდები!) დიდო ღამეო სთელისაო!
ამაჭედ, (ნუმც ამახჭდები!) სისკარო თენებისაო!
ჩაიარე და ჩახყეფნე, ყურშიავ პატრონისაო,
კლდეთა გიკიდავ პატრონი ფურ-ბერწის საბანდითაო,
ღამეთ ათენებს თეთრადა ცალ-ქერქის პერანგითაო.
...ესრევენ, ჩამააგდებენ ძმობილის მაკრატლითაო.

ჯიკვთად გამამდგარრ მენადირე კლდეთ გადავარდნილ, ასძალებიე ერთ იორწიოთ. მთელ-მკვდარა ქარაფჩი ჩამაკიდებულ ჯღნის საბანდით. აისრ დამჩალ კლდეჩი ორ-სამს ღამეს. ძაღლ ხყვანრ, ყურშია ხქვიენებრ. ი ძაღლს გაუგებიებავ სოფლისად. მისულან სოფლელნი. იმასთან არცაით არ ყოფილ შასაჭდომრ. მემრ ი მენადირის ძმობილს ორტოლ-ზროიან ისარ უსრევავა-დ' აიმით გაუგლეჯავ ჯღნის საბანდი, აისრ ჩამაუგდავ მკვდარ ძმობილ კლდეჩიით. ლექს ისრ-ა ნაუბარ, ვითამ თავად მენადირის ნათქვამრ. ის რასა-ღ იამბობდ? ეეგრ-ა უბრალოდ გამაყვანილრ.

სოფ. შატილი

23. ბაღრი, უსიპი და აჭირანი

ბაღრი ღბავ დევთა ბაგასა, ურსიპი კარში ჭყიოდა;
ჯარას ძახს დევ(თ) დედაბერი, ჯარათ კვიშტავი ხვიოდა;
ამირანს მაგის ხვიევილი ფათელადაც არ მიზდიოდა.

პატარა შვილი მამასა სარკმელთით გადმახკიოდა:
„ისიც მიქადე, მამაო: „ანირანს მაგაკვლევიებავ,
ბადრისა გძელთა გალოთა სადილად დაგახვრევიებავ,
ურსიპის დანა-სარტყელსავ წელზედაც შაგამბევიებავ!“...
შვილი ტუჩში ხკრა მამასა სულისა საგუბარადა,
ხანჯარი—წარბის თავზედა, სისხლისა სადინარადა;
დევებმ დაიწყეს სიცილი ომის დასამშვიდარადა:
„ამირან, ცოლ-დედა ბოზო, ომი ძრიელი იცი რადა?
ყმაწვილის საუბარზედა გაგულისება გინდა რადა?“

ს ო ფ. ბ ლ ო

24. დევთას სასტუმროდ

დევთას სასტუმროდ მიევდით, ამირანს პური შიოდა;
ქადა დობილთა(დ) ნაქნარი ცეცხლშიგ ეცხვა და შხიოდა;
გამაიღეს და გაკვეთეს, შიგ კაცის ჭელ-ფეჭ ცვიოდა;
სასმელად დოი მაგვართევეს,—გველი და მყვარი დიოდა;
უსმელ-უჭმელა(დ) დავძეღით, წინაც ყელთ ამაგვდიოდა;
ამირანს მაგათ ჯავრითა თვალთ სისხლი გარმაზდიოდა.

ს ო ფ. ბ ლ ო

25. ვინ სად სჯობია

დარბას შასავლად ბადრი ჯობ, ეგ უფრო მშვენიერია;
ჭელით საბძოლად—უსიპი, მკლავებში ღონიერია;
საჭმლედ თუ გაქდა—ამირან, ჭმლით ეგ უფრო ხანიერია.

ს ო ფ. ბ ლ ო

26. სამუხრანოს

ჩავხენე სამუხრანოსა, ჯარნი ირემნი რბიანა
დარეჯანისძევ, ჩაუქედ, ქმალნ შენნ კი უფრო ჭრიანა;
ჩავიდა ამირანაი—ირემნი ბუსნას გლიანა.

ს ო ფ. ბ ლ ო

27. ბადრი და ამირანი

ბადრმა თქვა: „დავილიენით, ნაქნარნ ორთ უბედურთანი!“
ამირანმ: „ნუ დავილევით, განა ნაშობნ ორთ ფურთანი?!“

ს ო ფ. ბ ლ ო

28. ობლები

ამირან, ბადრი-დ' ურსიპი ობოლნი მავიყარენითა,
ყველფ არ გვინახავ, კერაი, საჩალეს მავიზარდენითა;
ვინაც კა გვყვანდა ობოლთა, მთიბელჩი დაეეტანენითა,
ვინაც ცუდ გვყვანდა ობოლთა, იმას შინ შაეეტანენითა.

ს ო ფ. ბ ლ ო

29. ვინა ხართ?

ვინა ხართ, ვის გიკადრებავთ სტუმრობა შავთა გველთასა?
დარეჯანიანნ თქვენა ხართ, საქმე თქვენი სჯობ ხელთასა.
ვინა ხართ, ვის გიკადრებავთ მასვლა და ჩვენში დადგომა?
ჩვენ ისრე გაგვხარდომია, ი რო დაჯოცილთ ადგომა.

ს ო ფ. ბ ლ ო

30. ტარიელი და ავთანდილი

ტარიელმ, ავთანდილამა მადეზნეს ცხენნი ძნელადა.
საქმლედ სჯობ ტარიელაი, გაიყვანს მტერსა ველადა,
ჯანით კი ოთანდილა ჯობ,—შაუარდების ჭელადა.

ს ო ფ. ბ ლ ო

31. ზურაბის მოკვლა

მუხრანით მადის ტირილი ქალისა ერისთვისაო:
„არვინ მეგონა მამრევი ჩემის ძმის ზურაბისაო.
ზურაბ საფურცლეს მამიკლეს, წვერ დაძირეკეს ჭმლისაო...
არ მეგონ, გვიღალატებდა, გააქვრიევებდა შვილსაო.

ს ო ფ. ბ ლ ო

32. ზურაბი და სამხარაული

ბევრჯერ ეომა ზურაბი მა ქუდნისლაის გორსაო,
ებძოდა, ვერას შჩებოდა სამხარაულსა ლომსაო;
სამხარაულის ლაშქარი გაჩვეულია ომსაო.

ს ო ფ. ბ ა რ ი ს ა ჯ ო

33. არ კადრობს

არ კადრობს ბაგრატიონი ზურაბის მკლავზე წოლასა,
—მიკადრე, ბაგრატიონო, ზურაბ ვერცხლსა სჯობ წონასა.
შენ რომ არ წამოგიყვანო, შენზე კარგი მყავ ცოლადა.

ს ო ფ. თ ე თ რ წ ყ ლ ე ბ ი

34. თემურაზი

აიმ ადგილის ჰირიმე, სადაც თემურაზ ბზანდება:
დაიცემს წითლის კარავსა, ზედ ოქროს სვეტი დადგება.

სოფ. შატილი

35. ვინა თქვა?

ვინა თქვა მთავრის ქორისად: „ბევენი, გეზელიაო?“
ან: „შვილი კარგის მამისა უჭკო და რეგვენიაო?“

სოფ. შატილი

36. ნუ ზდიდოგ!

ნუ ზდიდობ, ქურაზიშვილო, შვილო, ვერ სჯობხარ მამასა:
შენ თუ ჰარჩი ხქენ სახელი, მამაშენმ—ჰარის ბოლოსა;
შენ თუ ჩახჯოცენ ცხვრის წყემსნი, მამაშენმ—ვეშაგნ მთისანი.

სოფ. შატილი

37. ვინ სჯობია?

ქალი ქისტი სჯობ ჯვესურსა, ვაშკაცად—არხოტიონი,
სამდევროდ—გუდამაყრელი, სათოფედ—შატილიონი,
თავის ბან-კარზედ—სნოელი, ტკბისველის სასმელად—ბლოელი.

სოფ. ამღა

38. მტერნ დამთხვებიან

თავი მთას გიგავთ, ოშკაცნო, მწვანილნიმც ადგებიანა!
შუბლი—ალგეთის მინდორსა, ყანანიმც ესწებიანა!
წარბნ გიგვანთ მშვილდის მალიკსა, მაზინებთ,—მადგებიანა,
თვალნი ბუსლომას მიგიგვანთ, შიგ ქორნი ბუდობდიანა,
კბილნი—მარილის კომბულსა, ჯმელეთნიმც დაძმებიანა!
ყელ გიგავთ ღვინის ჭურჭელსა, ღვინონიმც ჩადგებიანა!
ტანი—ზღვისპირის ლერწამსა,—მტერნ შორით დამთხვებიანა!

სოფ. ბლო

39. გასაჰირში

თქვენი ჰირიმე პირშია, კანი ხართ გასაჰირშია,
ბუდობენ ქორ-შავარდენნი თქვენის თვალ-წარბის ჩდილშია.

სოფ. ბლო

40. ნეტავი

ნეტავი მწუხიარესა ჯმა თქვენიმც მამადინაო,
თქვენთან დამიდგნა ლოგინნი, თქვენს მკლავზე დამაძინაო,
გამაძლა თქვენი ნდობითა,—მემრ მამკლა, მამარჩინაო!

სოფ. ბლო

41. კა ვაჟი

რაჯე კარგია კა ვაჟი, დუშმნიანი და მტრიანი—
ხან გაიგონას ქებაი, ხანდახან—გინებიანი.

სოფ. თეთრწყლები

42. რად?

რად გაგიხარდა, ჟინვანო, ფშავ-ჴევსურეთის ზიანი?—
ერთაზე დაიბადება თორმეტი ვაჟი ჴმლიანი!

სოფ. სეთურთკარი

43. ჰირის პატრონი

მეწყალი, ჰირის პატრონო, ჰირის გონობა ძნელია.
ჰირი უჰიროდ არ წავა, თუ ჰირის დედა მთელია.
ჰირსა გონობა არ უნდა, თუ კაცი გონიერია,
ჰირი ადგება, სხვაკან წავ, სოფელ ხო ღონიერია.

სოფ. შატილი

44. თუში და არდოტლის ძალი

იწროდ გაგბანდავ, ჴულჩაო, გამხანებელო გზისაო,
მოკლ-მოკლედ ჩამაგაბიჯებ, ჰალაო ჴოჭიდისაო,
საგათენებოდ მაგივალ, ქალაო არდოტლისაო.

სოფ. ხახაბო

45. სტუმრებზე

სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცრა უსტუმროდ ლხინია,
უსტუმროდ პური-დ' ღვინოი მწარეი, განა ტკბილია?
მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ, მავიდას, განა თბილია?

(ვარიანტი)

სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცრა უსტუმროდ ლხინია;
უსტუმროდ პური და ღვინო ვისც უამს, ნუმც იამება,
მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ, მავიდას,—ნუმცა დათბება.

სოფ. ბლო

46. აზნაურნი ხართ

თქვენ ვინა-მ დიდებულნი ხართ, არა ხართ ჩვენის გვარისა,
არ გათრობსთ ჩვენი ჩარათი, აზნაურნი ხართ ბარისა.
სოფ. ბლო

47. გლეხნი ორთ

თქვენ დიდნი, დიდებულნი ხართ, დედა-მამით: ხართ ქებულნი,
ჩვენ—გლეხნი, გლეხის შვილნი ორთ, საბრალოდ თავშა-
დებულნი.
სოფ. ბლო

48. ნუ მასმევთ

ახბულახშიგი(თ) წამოვედ, იქა-ვ გავწირე თათრობა.
ნუ მასმევთ, თქვენი ჭირიმეთ! რად გინდათ ჩემი დათრობა?
სოფ. ბლო

49. ჯიკვს

საჯიკვეს გორზე, რქათეთრო, გასწიე, თორე თენდება,
გზას გიძის მენადირეი, სიცივისაგან ვერდება.
სოფ. ამღა

50. ჯოლიკისძე

აკუშოს ღელეს, ირემო, დაბლა ჩამახვე ნისლითა,
შინ არ ას ჯოლიკისძეი, ტანს კი ნუ დაღლევ შიშითა.
სოფ. ბარისაჯო

51. მიწლიკვანა

ჯვეთა—ჯმა, გორთა—ძახილი:—მიწლიკვანაი კვდებაო!
მიწლიკვანაის აბჯარი ბატონიანთა შჩებაო.
სოფ. შატილი

52. აჯესების შაბათი

აჯესებისა შაბათსაო, მკვდარნი ჩავლენ ანდაფსაო;
ვინაც სახელს არ დაუდებს, ვაი იმის ჯალაფთაო.
სოფ. შატილი

53. ადე!

ადე! ადე! აბულაო, თეთრა გათენებულაო,
მთვარეს მაღლა ამაუვლავ, მზე გორთ შაშვენებულაო.
სოფ. შატილი

54. ხუთკურა და მსკალა

ხუთკურამა ხუთგულამა ხუთან შვილან დამიჭოცნა,
დალოცვილმა ესკალამა ერთა იქავე გამიცოცხლა.
სოფ. შატილი

55. ხახის დედა

ღმერთმა გაცხონას, ბებერო, ხახაბოს ხახის დედაო!—
დააცხობ კეცეულებსა, დააწყობ ზედიზედაო.
სოფ. შატილი

56. მიდმორობა

დილავ თენდი, დილავ თენდი, დილავ, რად არ გასთენდები?
მაგდენს მიდმორობაჩია, მგელო, რად არ დაღბერდები?
სოფ. შატილი

57. გაგა ბერდიშვილი

ტერღის წვერ უდგან ლოგინნი გაგასა ბერდიშვილსაო,
ჯიკვნი ხყვან სიმაგრეშია,—არ აძინებენ ძილსაო.
სოფ. თეთრწყლები

58. ფეკდიდს

შინ რად არ იჯე, ფეკდიდო, დედას უმართე ტარები?
ზე(დ) ფიცხი, ძირჩი ყინული—ნადირთ ვერ მიეპარები.
სოფ. შატილი

59. ბერდია და ჯიკვები

ვაი თქვენს ბერდიას, ჯიკვებო, დავბერდი, მაკლებს თვალთაო,
კარგად ვერ ვხედავ ლიშანსა, ვერც გადასავალს გზასაო.
კიდევ სად გაყურებიებთ ჩემის ჯირიმის ქმასაო.
სოფ. შატილი

60. ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲮᲕᲘᲕᲘ

მწადიან, შუა-უბნელო, ლექსები დაგიბარაო:
ჰაუხ ქორები დაგკივის, ჯიკვების წყემსო ქალაო.
ახლოს გყავ მენადირეი, ჯელი არ შაუშალაო.
ქარაფზე წადგა ჯარ-ლაღი, რა კოხტად გაიზარაო,
წამაიგძელა კისერი, რქებ ზურგზე გადიყარაო.
ქვიშაში რქათა ნაგრილი მშვილდივით მაიხარაო.
დაბლიდან მენადირემა ლიშანზე აიყვანაო,
თოფ გატყვრა, ტყვიამ იწივლა, ჯიკვო, წაგართვა ძალაო,
მაღლა წვერებზე გაზდილო, დაბლა გაჩვენა ჭალაო...
შიბშიგით გამაიშალა, კვნესის შურთხების ფარაო;
ფრთა შეკრა მჯარკვერიანმა, რო ელდა, დაეტანაო,
შურთხს დაჰკრა, ჭალას ჩაგზავნა, ქვასავით ჩაეფარაო.
ამას შახენა ვაშკაცმა, შაუქა მკლავის ჯანაო—
უთხრა: „მე და შენ, არწივო, ღმერთმ ეგრე შამაგვთვალაო,
მოდი, წაიღი ნაწილი, მე მეტს არ წავიტანაო“.
შააზრიალა კლდეები მოყმის სიმღერის ჭმამაო...
აჲ ორში ერთი ალღოი ვერც ერთმ ვერ მაიშალაო;
ორივე საქებარია, ქებას მეც იმით ვთვალაო.

სოფ. შატილი

61. ლაშქარი შატილში

შატილ სამჯერ მასულ ლაშქარი. ერთხან რო მასულ, ორ ჯბო დაუგდავ მარტო; „ორ ჯბუან მარჩესავ“, მეტ არ დამჩალ არცრუ. ბაგრატაულთ კაც ყოფილ ჯორუს წამასული, არაყი(თ) წამასულ. უთქმავ, რო: „ამბავ რაი-მ ასავ შატილავ“, წუხრ უთქმავ: „მიავ წაუვალა(დ) არ დავდგებივ!“ უბრუნებავ, არ დაბრუნვილ მაინც. გახყოლიან ჩემ დედულნიც, მაი(ნც) რო არ დამდგარ.

გაჩენილან ფელის-ჭევა': „გაჯეითიავ, ვაკესავ, გაჭედილავ ცეცხლებითავ“. აუვლავ აი(მ) ფელის-ჭევისასა', ღამით, აქათ-აქათაზედ, წოწკილდას მისხდომიან. მისხდომიანა', დილა, რო გათენებულ, ერთ თოფ უსრევავ: აი(ს) ბუჩა ხქონივ ჩემ დედულთ. „ე ზარბაზან ვინ მაიღავ აქავ, საი(თ) მავიდაო“'—აყრილ ჯარიც. აყრილანა' გაზდგონ̆იან შატილიონნიც.

მაუჭერიან ჯარს ჩენ ბათაკაი და შაბურათ გიორგი. ერთ კაც შატილიონთა(ც) დაუჭერავ.

გაზდგომიანა' ანოლ ჩისხდომიან შატილიონნი. ლაშქარს ბათაკაისად უკითხავ, ჩვენ პაპისად: „გზა საისას არსავ?“ იმას სახვევთას უსწავლებავ, აცეხისკე რო სახვევნ ადიან. „ცხენივ, მჭედარივ, გადმადიოდისავ“. თან შატილიონთ მიუყრავ თოფი, „თან სახვევჩი გადმადიოდისავ ცხენიო' მჭედარივ, წყალს მიხქონდისავ“.

„ერთ იყვავ კლდეზე შამჯდარივ ქისტივ, აი(მ) წყალჩი შაგდებულივ კლდეზედავ. დაუწყავ ამხანიგსავ ქისტსავ: „შენი ჭირიმევ, ვერას მიშველაევ, ვერ გამამიყვანაევ წყალჩიითავ?“ აიღნავ ი ქისტ̈ავ ქვანივ, ერთ მირგვალ ქვან დაჭელნავ, გაუტიენავ აი(ს) ქვანიო' შიგავ აი(მ) თავრიელაჩი ხკრნაევ; გადააგდავ წყალჩიავ ამხანიგმავ...“

მაუჭერიანა' წაუყვანიანა' პაპაშჩენ ბათაკა ქვე გამახქცევი. „ერთმ კი მნახავ—იცოდისავ—არ უთხრავ“.

შატილიონთ რო დაუჭერავ. ის ვაჟიათ სახლჩი ხყვანივ. აი(მ) ზეთი(გ) კარნ ხქონდიან ქვიტკირსა' აიმაჩი წამაძჯდრისად ბოციათ ბაბოს თოფ დაუკრავა' მაუკლავ. „ჩვენ კაც თუ მავიდავ,—თქვიანავ—შინ წახვთაო' ჩვენ კაც თუ არ მავიდავ, არ წახვთავ შინავ“.

ჰოდა, ჩვენ პაპა ქვე გამახქცევი (ის ხო დასწერე)' ი გიორგი ქოო(დ) ჯილდაად დაუდგმავ, აისრ მიუყრავ, რო გაიგეს, რო ჩვენ კაც აღარ მავავ.

ეეგ მარჩ ეხლა, ვეღარ ვიცრ მეტი.

სოფ. შატილი

62. მითხოს დალაშქვრა

თუში, მშაველი, ქართველი მითხოელთ დასცემი ერთხან. დასცემიანა' დაუვლავ ქისტებს, როგორცაღა-მ მაუვიდ, დაუვლავ, დაუვლავა' მთელ ჯარ მაუმწყვდევავ, მაუმწყვდევიან.

მაუმწყვდევიანა' გაუთვალავ ჯარს ხალხი' ერთ კაც დახკლები. „მშაველ მავიდავ ერთივ, ამაჩინდავ ნელადავ: „ერთ კი ჩავიხმივ ქვენაო' თოფის ჩულიო' გუდია მამჩესავ, რო ვინ ჩამამყვებოდავ, იმათ ამავიხმობდივ“. თან მამწყვდეულ ხალხი.

„ჯოყოლა იმღერდისავ. ცოტა ხან-გამამავლობაჩიავ ტირილ ამაედინავ საბანოთავ. ჰოდა, ჩვენ პაპას დაუწყავ („ჯოყოლა იმღერდისავ“ ის დასწერე?), ჩვენ პაპას დაუწყავ: „ეგ მღერა კი არ მამწონსავ, ჯოყოლაო, აი(მ) ქვენით რო ამადისავ აის მღერა მამწონსავ“.

დაუწყავ ქისტებს ძახილ, რო: „ნიაის თოფივ (თქვენის პაპისა, ჩვენის პაპისა) და წიქაის თოფ მაგვცენითაო' გაგიშობთავ“.

უთქმავ ი(მ) წიქასა' ნიას (კა ხოყანა ყოფილ), რო: „მივსცათავ თოფებივ, თუ ეს ხალხივ შინ წავავ".

„გორის ანგელოზის წყალობამავ—უთქმავ ჩემ პაპა ბათაკას—ნიაის თოფისასავ,—აი(მ) ყუნწჩი ნემსებ იცოდიან თოფისებ,—აიმას არ შავხვსნივ, მთელ რო გაგათავნათავ, მივსცემ კი არავ". აუღავა' ჩაუდებავ ჯალთაჩი: „ე ნემსს არ შავხვსნივ, ნემსსავ, ნიაის თოფსავ!"

ვერცვინ მაუკლავ ვერცვინა' აი(მ) მშაველს კი მაუკლავ ერთ ქისტრ. წამასულ ჯარ, არც თოფ მიუცავ. ნიას კი უუბნავ (წჩასაც)—„მივსცათავ თოფებივ". მარჩ ეეხლა, მეტ აღარ ვიც მაგისა. წამასულ ჯარ შინ მშეიდობით.

სოფ. შატილი

63. ზვიადი, უავარგა (უანსაგი) და იმედა

ეგენ საწნი-ვ ძმობილნ ყოფილან. დაფიცულ ხქონივ: „ერთუცის მამკლავ მავკლათავ". ზვიად არდოტელ ყოფილ, ლაგაზის შვილი, იმედა თქვენ პაპა ყოფილ—შენების სახლისკაცების ბაბუაის მამა, უავარგა ხყალს-იქითელ, ტებულოელ ქისტ ყოფილ. სამნივაც კაი ვაშკაცნ ყოფილან, მაგრამ ი ქისტ ყველაზე მქისეი და მგელგაზან ყოფილ. „კლდეჩიავ ნადირთავ ფეკდაფეკ ხყვებოდისავ"—იცოდიან.

ქართულ ხაც-ბუცად სცოდნივ უავარგას. ერთხან აქ, ხახაბოს მასულისად უკითხავ იმისად: „რამ გამაგიყვანავ, უავარგაო, ეგეთ მქისეივ, „ნადირთ ხყვებავ ფეკდაფეკავ", იმასაც ამბობენავ, მართალიაევ?" „ყურყანის მადლმავ—თქვაევ უავარგამავ—სადაც ჯიკვ გაფრინდავ კი, ჩემიც გაფრინდავ, სადაც შუნ გაფრინდავ, იქ კი ვეღარც ჩემ გაფრინდავ"![1]

იმათ ერცხვის ვალ არ ურჩენავ მტრისად, ერცხვასაც ხყოლიან ყველკან. „ერთხანავ—იმედამ თქვისავ—მია-და უავარგამავ უავარგაის მესისხლენივ კაც-დიაცნ დავხანჯრენითავ წისქვილჩივ. იმათ ცოდვითავ მბრუნიალე წისქვილ დადგავ.

იმედას გურუელთ თავ ხკიდებივ, სუიკათა. მაკელას თუ ემუქრებოდიანა სუიკან იმედას. უავარგა წასულ გიორწმიდას ადგილის სანახავად: „ძმობილ რო მამიკლანავ, მემრავ გურუელთად

---

[1] ეს ამას ნიშნავს: „ყურანის მადლმა—თქვაო უავარგამო—სადაც ჯიხვი გადახტება, მეც გადავხტები, მაგრამ სადაც შუნი გადახტება, იქ კი მეც ვერ გადავხტებიო" (ალ. ჭ.).

მიყოლა მამინდებაო-და ადგილ მაინც გავიგავ". გურუელთ თქვესავ: „ერთა ბეჩავა ქისტა რაი-მ მავიდავ, დაჯდავ ბანზედაო-და მთა-წვერთ ავლებდისავ თვალსავ. შინისკე ვაწიეთავ პურის საჭმელადაო-და არ წამაგვივიდავ. მემრ ადგაო-და ნიავ რო აისთა ჩამეეფარავ შატილისკესავ. შატილ მასულს უთქომავის იმედაისად: „ნუ გეშინისავ, ბეჩაო, ნუავ! ყურყანის მადლმავ, ერთ დღეს შენ ქორწილს იქმენავ გურუელნიო-დ' მეორეს დღეს კი შენის მამკლავის ქორწილსაც ვაქნევავ!"

მემრ უკითხავ უავარგაისად: „მშიერა რაად წამახვედივ გიორწმიდითავ, პურ მაი(ნც) რადარ შჰამევ?" „იმათ პურ რო მეჭამავ, მემრავ იქნება ძმობილს მიკლავდესავ, მემრ ხო მიაც უნდა ვავკლნავ, პურ-მარილის ცოდო-მადლს რაღა უყვავ, პურ-მარილა რაჯლადაღ გადავიდავ?"—უთქმავ უავარგას. ავკაცობის გამო იმისად უანსაგ[1] დაუქვივნებავ ქისტებს.

წინწინაზედ ზვიად მაუკლავ მტერს. ზვიადი, ბაჯაი და ჯოყოლა ერთად დაუჭოციან. ჯოყოლაიც არდოტელ ყოფილ, ბაჯა მშაველ ყოფილ. ზვიად ჭუჭას მაუკლავ ბუკულიშვილს. ის ბუკულიშვილიც გათქმულ ვაშკაც ყოფილ. სიმღერენიც იყვნიან:

გაითქვი, ბუკულიშვილო, ყველკან გაღვარდი ჭმადაო,
მაისტლებ დაგილევავის, იმით გაქებენ ცდადაო...

მემრადე ჭევსურების ლაშქარ დასცემივ ბუკულიშვილის სოფელს. უავარგაიც ჩვენ ხალხს ტანებულ. ზვიადის ნაკვლის მოკლედავ ყოფილ ეგ ამბავი. ბუკულიშვილის სოფელჩიით ორნ ძმან გამაყრილან ამანათად: თუ არ იჭდენდა სოფელ იმ ძმათ, ძალას თუ ატანდა. ამდგარანა-და იმ ძმათ მშაველ-ჭევსურის ლაშქარ დაუცავ თავის სოფლელთად. თავადაც შიგ სტანებიან ლაშქარჩი. სოფლის ახლოს რო მისულან, შაღნანებივ ი ძმათ: „რა მონას საქმეს ჩაუდითავ სოფლელთავ"... უავარგაისადა-და სხვებისადაც უთქმავ: „ეეხლადავ, თარეშთ რო ჩაუშობთავ, ხალხ გამაგიდგებისთავ, რაღა თქმა უნდაო-და ერთ კაც გამაგიდგებისთავ ყვითელჩოჩაივ, თოფსავ სპილოს ძვალ უკრავავ იმასავ, ისივ ჭუჭაიავ ბუკულიშვილივ. ის არ მაგეშობისთავ, არ დაგანებებსთავ საქონსაოდა თქვენ მაინც ნუ მახკლავთავ, ცოდოიავ, გვენანებავ, კა ვაშკაციავ". იწ ძმათ ჭუჭა მართლა ღნანებივ, გათქმულ ვაშკაც ყოფილა-და, ხო იც, თავის სოფლელი და სისხლ მაინც ძნელ საქჭიროთ მტრისად, მონის მაქმედიც რო იყვას...

[1] უან საგ (ინგუშ.) „ცუდი კაცი" (ალ. ჭ.).

უავარგას ქოო გახარდომივ, გულჩი უთქომავ: „მეც ეგ მინდოდავ!“ „მემრავ უავარგამ თქვისავ: „საქონს რო დავღლალეთავ, ერთ ვაშკაც გამაგვიდგავ კივილითავ, ყვითელ ჩოჯა ეცვავ, თოფის კონდახზედავ სპილოს ძვალ უნათობდავ. მაგვეწიაო-და დაგვთოფნავ. მე დაუჯედივ საყუჩჩიაო-და დაუცადევ, აგებ შამაჭდასავ ახლოსავ. ის ძმანიც ჩემს თავ სადა-მ იყვნიანავ კლდეჩიავ. თან იმათგან მეშინოდისავ: „მე რო მავხკლავავ, ეგენ მე მამკვლენავ, ვერ მაითმენენავ“. ამხანიგებს უთხარივ: „მაგ ძმათ უტაროცეთავ, ჩემდ არა დააკვრიათავ“. თოფ რო დავხკარიო-და ჯმლით მივედივ, თავ გადმამებრუნებიაო-და ორნივ ძმანივ ზედ წამამდგომიყვნესავ: „ეე, ჰუჭა მაგიკლავავ—მითხრესავ—მაგრემ რაღა იქნებავ... მტერმავ ეგრ იცისავ მტრისადავ“—თქვესაო-და მაბრუნდესავ უკენავ“. მაგ თაობაზედ სიმღერენიც არიან:

მარტომა ბუკულიშვილმა ლაშქართ შამაზდვა ზარიო,
ეგრ კი დაფანტა ლაშქარი, მგელმ რო დაფანტას ცხვარიო!
დაბრუნდა ტოშის გაზდილი: „მეც უავარგა ვარიო!“
თოფ დახკრა ბუკულიშვილსა, არწივს მასტეხა მჭარიო:
„განა! მამიკალ ძმობილი არდოტელ მეომარიო!

ზვიადის დას ლელია ხქვიენებივ. „ლელიამ თქვისავ: „ბახაოს წავედივ თიბის შამშაბათსავ, საჯენცლე რაიმ მქონდისავ. „ვერას გამავხჯენცლავაევ ნეტარავ, ზვიადის ცხენიც შიმშილს მამიკვდებავ“. ბახაოს თავავ მთიბლებ შაჯდესაო-და მე ტირილ დავიწყივ: „ჩემ ზვიადიც აღარ სტანავავ მთიბლებჩიავ, რაჯელ თიბან მამივიდესვ, ჩემ ზვიადივ მტრისგან მაკლულიო-და უძებარივ!“.. ფიქვთ-გორავ კაც რაი-მ ჩამაჩინდავ, მჯარზე თოფ ედვავ, ამაკვართულნივ ჩოჯის კალთან ხქონდესავ. ვერ ვიცანივ, გამიკვირდავ: „საითა-ღ ვინ მავავ ნეტარავ? ამ საქმის დღეთავ სანადიროდოოც ქვე არავინ იქნებოდავ?... ჩამეეფარავ. ცოტაის ხნის გასელიდგესავ ბალახის შხარ-შხურ გავიგონეო-და... გადმაჩინდ უავარგაიცავ ჩემს იქითიავ. მშვიდობა უთხარივ „რამა-ღ მაგიყვანავ, უავარგაო, ეეხლადავ?“ „რაად ზძიხარივ—მითხრავ—რაად არ სთიბავ, ნატირალნ თვალნ რაად გქონავ?“ „ვიტირილევ, უავარგაო, შენ ძმობილ ზვიად აღარ ღრევავაე დღესავ მთიბლებჩიავ, იმან მატირავ“. უბეჩიითავ სისხლიან ჯელ გამაიწვადაო-და კალთაჩი გადმამიგდავ: „ეეგ ჯელიავ ჩემის ძმობილის მამკლავისავ, შენის ძმის ზვიადის მამკლავ ჯელივ, მე მაკალივ ზვიადის მამკლავივ, ნულარ სტირივ, ზვიადივ უებარ აღარაევ“...

ის ჯელ გვიანობამდე ეკრის ზვიადის ქვიტკირს არდოტ...

ზვიადსთან ვინაც მაუკლავ, ის მშაველიც ძალიენ კა ვაშკაც ყოფილ, ბაჭა ხქვივნებივ. იმათ დაჭოციდგე აქ, ჩვენჩი ბაქყურა მამკვდარ. იმის ხარჯებ ყოფილარის. იმ საქნროაჩი ერთ მშაველიც შახმწყვდევივ; რაადი-რა მასულ იქნებოდ აქ, ის კი არ ვიცი. მშავლებმ კაცებმ იციან ქმით ტირილრ, როგორც ჩვენთან დედროანმ, ეგრადე. მაშინ იმ მშაველს უტირავ:

შენი ჭირიმე, ბაქყურაო,
ბაჭაის დედამ დამაბარაო:
„არდოტისას თუ ჩაიარაო,
ზვიადის ამბავ იკითხიდიო:
ჩემი ბაჭაი არ ნახაეო?“...

უავარგაზედ ერთ სხვა სიმღერეიც იყვ კიდევ, ეხლა აღარ მაქსონს კარგად:

ტებულოს ტოშის გაზდილი ფრინველთ გრილოებს ხყვებისა:
„მამკლავი ზვიადისაი მზეზე კი არ მამჩებისა!“

მემრე იმედასთან ყოფილ სტუმრად უავარგაი-და შატილით გამავალს თხა-წალ რაი-ძ მაუკლავ ანატორის ჯვარჩი. მანდ ჩადირის ჭოცას ჯვარნ არ იქდენდესა-და არცრავინ ჭოცდ. უავარგას არ უგდავ ყური. ჯარეგიონნიც ილოცავდეს წინავ ანატორის ჯვარს. ჯარეგას რომ მისულ, იქ უთქმავ მასპინძლისად: „თქენს ანატორის ჯვარსავ შიგ შუბლჩი დავხკარიე თოფივ“. „თავის თავისად დაგიკრავავ“—იმას უთქმავ. შინ რო მისულ, დიაცს რაზედა-მ გაუჯავრებავა-და უცავ იმისად უავარგას. ძალიენ მაგრად უცავ, რომა სასიკვდილოდ გაუჯრავ ჭოდ. უავარგას შვილ ხყვანიე წამამდგარ ვაშკაცი, იმას უთქმავ მამისად: „თავ გაანებენ, ნუ მიკლავავ დედასავ“! უავარგას მაინც არ მაუშლავ. ამდგარა-და შვილს თოფანჩა უკრავ შუბლჩი მამისად. ეგრადე ნამკვდარ უავარგაი...

უავარგაის შვილი და სხვენ ქისტებ მამდინარან აქისკესა-და, კეხ რო ჩამამდინარან, თქვენ იმედა, უავარგაის ძმობილ, არ გადაშჩენია გზაჩი! მაუვლავ იმედას თოფანჩაისად ჯელი და შიგ შუბლჩი დაუხლეტავ ძმობილის შვილისად, თავის ძმობილის მამკლავისად. თოფანჩას მაუცდენავ, წამალ ხქონივ დატინული. მანამ მეორეს მაისწრობდ, უავარგაის შვილ გაქცეულ, იმედა ქვე დაუჭერავ ქისტებს. იმედას მემრაც არ ღგულებივ ძმობილიშვილის მაუკლავად გაშობა, მაგრემ ზედაც თავად მამკვდარ... იმედაის სიკვ-

დილჩი დუნიის ქისტებ მასულ ალმებითა. დიდ ტირილი და ვაიუდალალა ყოფილ მაშინ.

სოფ. ხახაბო

64. თიაყათ იმედა

ბეწიკუა ყოფილ ბაბოშჩემ იმედაი და ნიაისად უუბნავ რო: „გამიყოლევ სამზირავ ღამითავ, წამიყვანევ". ბეწიკუა ყოფილ. „გამაედიო(ღა) ღამითავ—უთქმავ ნიას (უჩინ ღამე ყოფილ)—თვალნი(ღ) დაიმწუხენიო(ღა), აი, ეესთაიავ სამზირს წასულაივ. ბეწიკუა ხარივ, ჯერ გაიზარდეო' მემრ წაგიყვანავ".

ის მჭოცელ ყოუილ ქისტებისა, სახელ მშაელებისად უძლევავ. ოდა, ისეთ კაც ყოფილ ნია, რო გუროელთა' შატილიონთ საპირეებ უცმავ ჯორებისად მაჩუს შიშით: „მაჩუ გაგვიგებსავ" (მაჩუ ხქვივნები ი ქისტს). ქვე-თუ ამბობენ შატილიონნ, რო: „ე მაჩუ რაიავ, რაჭელ კაციავ..." „ჯიჭვის ტყავენ ხქონდესავ შამახურვილნიო' იწვავ ნიაივ საფეხვნოჩიავ". „რა მაჩუივ, ვინ მაჩუივ—თქვაევ—თავიმც ნიას მაუკვდებავ, თუ ორ-სამ თოფ კი არ გაუგდავ! ბაჩაიკეს არ ღგდავაევ?" ადგავ".

„რასა(ც) იტყოდავ ისივ, გაუცხადება(დ) არც დადგებოდავ ისივ, ნიაივ, არ დადგებოდავ, მაკვდებოდ კიავ, იმას გააკეთებდავ." წამაუვლავა' ზედა(ც) გურუელთ მაუკლავ ნია. ბაბოშჩემ ყოფილ, ბეწიკუა ყოფილ. სიცოცხლეს უთქმავ[ნიას]: „თუაჭ მე მამკლესავ, შენავ აბა მახკლიდივ, სხვას ნუვის მახკლავავ"—ჩემის პაპისად. აბა ყოფილ კაი კაც; ოდა, „თუ შენ მა(გ)კლესავ, მა(გ) მეცხენჯორეთავ ნარევსავ ნარევზე არ გაუსხლეტავ".

ოდა, გაზდილ ბაბოშჩემი' მიუდევნავა' მიუდევნავ. ვერ მაუგდავ აბა, სხვას კი იგდებს. თავა(დ) აყრილა' ჯორუათოს წასულ. შატილით აყრილ.

„დაიდვიანავ აბათ ქალებმავ (სამ ქალ ხყვანივ) დიყის დიფჩაიო' იტირიანავ: „იმედაო, ასეთ ხარივ, აგეთივ"... ვითამავ: „მკვდარ ხარივ, შენ რას მახკლავავ?" „მია(ც) მამდიოდისავ მისადევრა(დ) ნამყოფსავ"—თქვისავ იმედამავ. თან ერთ ქისტ გაუმხოლაგებავ, უანსაგი: უძმობილებავ, ფიც ხქონივ, რო: „ერცხვის მამკლავ მავკლათავ".

მამა-შვილნ სხდომიან ბათაკაი' იმედა საპარსეელაჩი. ქოო(დ) ეესრ გზა გადის აიმაჩი. კანათა გამაჩენილ აიმაჩი. უთქმავ რო: „მე მითხრავ, მართალიავ, ნიამავ ეგივ—იმედას, შვილს—რო ვერ

შავიგდიო? კაცის გალო არ იზომებავ, ეგი(ც) სუიკათაიავ, დავხკრაო მაგასავ თოფსავ. სამღერალ აღარ მაქვავ, ცხენის გასაქცევ აღარ მაქვავ, კარჩი გასაეალ აღარ მაქვავ".

უშლავ მამას: „ნუავ, ნიაის ნათქვამ უნდა შავასრულათავ, შაასრულავ. და მაი(ნც) რო არ დაუშლავ, არ დაუჯერებავ: „ნუ ამაჩქარებავ"—უთქმავ მამას. ფარ ხკიდებივ კანათასა': „აი(მ) ფარის კუკუმუას წავაღებიებავ მიავ, ნუ ამაჩქარებ კიავ". ოდა, მიუყრავ მამა-შვილთა' დაუცდენავ ორთავე, ჭოო(დ) ეესრ, ეესრ კი-ა.

გამაქცეულ კანათაი' გამაქცეულ ბაბოშჩემიცა' ქვემბოსლისკე შაბრუნვილისად კიდევ მეორე უსრევავ, მიულიშნებავ ზურგჩი. გაუცდენავ ისიც შვილს.

წამასულან. აღარცრა. მემრ ჭარათეს ყოფილ ბაბოშჩემ ერთის კვირაის საგძლი(თ) წასულჯ სამკალად. „აღარ მექნავ დასადგომიო"-და წამასულ წუხრ იქავ შინ: „ეეღარ გავსძალივ". ოდა: „მაეედიო და ჩავიარევ ფეხონჩიაო-და ქისტ მჯდარიყვავ ერთიე ფეხონჩიავ" [სხვა ვინ იქნებო(დ) იქ თიბა-მკაჩი?]. „ვინ გეტანავ'—უთხარიო-და: „აბა მეტანავ"—მითხრავ. ქისტეთი(თ) მამავალ ყოფილ გურუელთ წყემსი. „მე აუკარივ, გადაუკარივ, ვითამ სრუ არ ჩავხვდივ, რო: „ნუღარ გამიგებსავ აბაის ტანებასავ'. ამავიარეო' „აბა ყოფილავ მასულივ—უთხარივ ძმასავ (აბულეთ ხქვინებივ)—წავიდათავ, ხვალ-დილა წავავ ეგივ'. „ნუ გახყვებივ—უთხრავ დედამავ—ცოდვიანიავ, გადასულიავ, მა(გ)კლავსავ, აბულეთო!" (ორნივ შვილნ კი ყოფილან).

„გამაეედიო' საკვამჩი მიუჯედივ: „რას ეტყვისავ კიდევავ დედაივ. თუ სწაისავ ჩემ ძმასავ, ქვე გავიყოლავ, თუ არაო' რად მინდავ ეგივ". კიდევ უთხრავ, რო: „ნუ გახყვებივ". „ოო, თუ გამიყოლებდ კი, გავხყვებოდივ. ნეტაი გამიყოლებდავ!"

წასულანა' ათხირის-ძირ დასხდომიან ძმანი. შამაჩენილან აბაი' ი ქისტიც. „ნიაივ წყალჩი გადამიგდესავ,—უთქმავ იმედას —მია(ც) წყალჩი უნდა გადავაგდავ ეგივ". დაქცეულანა' ნაწულარჩი დასხდომიან ჯიდზე. დასხდომიან. მისულან ისენიცა' მიუყრავ. „ო! ო! ო! ო!"—და'შავ პირჩიაო' გადაიარავ, აი წყალჩი დეეცავ. მე ქვე გამავქცეულიყავივ—თქვისავ იმედამაო'—ჩემ ძმაივ ჯიდზე იდგაო' უთვალავდავ: „უმცროსიმც იქნებივ ნიაისაივ"...

გაქცეულ, ქისტს გაუტეხავ ჯმაი' ბაჩაყაურთ აპარეკა მასულ წინ. აბა ცოცხალივ ყოფილ იქავ. „არიქავ, აპარეკაო, ჯელსა(ღ) ნუ მამახლებავ, მა(გ) უჯიშოთავ მაგათავ ცხრილივითა(ც) გამჭა-

დესავ"—უთქმავ. და მასულ ქალებიც, აბაის ქალები. „ციცურაებო,—უთხრავ აბამავ—ბათაკათ იმედამ არ მამკლავ, თქვენ მამკალითავ, თქვენ პირმავ"—და დაულევავ სული. ღმერთმა აცხონას!

ოდა, მერე (sic!) მაუდევნავ იმედაისა(დ) მასაკლავად, უნდა მაკლან. წასულ აი(ს) ქისტი. წასულა და ბადათ ბანზე მისულ: „რა ადგილიავ, გავიგებავ; მიავ შენ მამკლავსავ ერთ დღეს არ გავავლევავ". ნქისე ყოფილ, გულ-მკრიანი. ჰოდა, „პურ ჭამევ"—დაუწყავა' არ უჭამავ აი(მ) ქისტს. „ჩამააყოლნისავ თვალნივ, ჩამააყოლნისაო' ალერდაჩი ჩამააფარნისავ. აი ჩდილსავ".

მასულა': „წინას წუსრასავ შენ ქორწილს ვიქამთავ,—უთქოშავ იმედაისად—შეორეს წუსრასავ იმათ ქორწილს ვაქნევავ. მანდ რა ყოფილავ? მანდი(თ) ადვილა(დ) გამავიქცევივ".

ექვსნ სხდომიან სუიკან, წითელა-კლდიან რო იყენიან ჭალას, წითელა-კლდიაჩი. შუა-ჭალაით შამაჩენილ მიცუს-ჭალაით მამავალ ცხენით. „მახვ კიაო' ვეღარ წახვ კიავ"—ვთქვითავ. ექვსთაო თვალებს აგვფარებიყვაო' თვალებს რო აგვიჩინდავ, ფეხვნის-ძირ ამააფარავ აი(ს) ცხენივ"...

„ბათაკაივ აი(მ) კოჭის-ყანას ჯნავდავ; სამნ ვესხეითავ აი(მ) ტყის-ძირავ. ქისტმ ამააჩინავ იმედაის ცხვარივ. გავხენიდითოო' ეესრ დაიდვისავ—ჩემებ ხილებ რო-ა—ყარწიკაიანივ". „ნეტა ეესთა ბეჩავ წყემსივ ვინაღ დაიჭიოავ იმედამავ"—ვთქვიდითავ; აი(ს) ბეჩავა აის მაგვეჩვენისავ. ჩაუტიავ სამხრობის დროსავ ცხვარივ, ჩაუტიაო' გადაიყრივნავ აი(ს) ყარწიკანიო' გამეეცვალავ ბათაკასავ. გავხენეთოო' იმედა არ ასაევ! ჯვნა დაიწყავ...

ქისტებს მაუკლავ იმედაის მამიდა. უანსაგი' იმედა გაფიცულნი: „ერცხვის მამკლავ მაეკლათავ". წასულან ის ქისტრ (უანსაგი) და იმედაი-და,—„სამ კაც-დიაცნ ისხდესავ წისქვილჩიავ"—სამთადავ თაებ დაუჭრავ. „დადგავ აი(ს) მბრუნიალე წისქვილივ ქოოდავ, არც ღარჩი რა იყვავ, არც სისხლ მივიდავ წისქვილთანავ".

მეორეზე: „ქამანდებ იყვისავ, ყარაულებივ, იმეებს მიუსხეითავ. ერთს უთხრესავ (თამაშობა გაღმართესავ): „კაის მამიშვილო, შენა(ღ) წამადეგივ!" ადგაო' ქოო(დ) ცივ-ცივ კი მაიარავ! დაწვესაო' შამაიხურავ ნაბადივ, „კაის მამიშვილო", რომენსაც უთხრესავ, აისივ. ნაბად დავისწაელეთავ. ცეცხლნი(ც) მინელდესავ. მივედი(თ), მივედითაო' აი(მ) ნაბადთ მივადგი(თ) თოფის წვერებივ ორთავაო' დავსხლიტეთავ, დავხკარითავ. გამაგვიდგ მდევარივ, აიყარავ ხალხივ. შამავჭეი(თ) წვერზედაო' გადაგვიბრუნნესავ, მაგვიარეს წინავ იქავავ ერთხანავ. მეორეზე შამავჭეითაო' გადაგვიბ-

რუნნესავ იქავავ. „აღარ გაქვავ—მითხრავ აი(მ) ძმობილმავ—გურუელთ ქალაებჩი თამაშობაივითავ: ყურყანის მადლმავ, ვეღარ წახვავ შინავ ცოცხალივ, შავანელთ ყმაწვილებიავ ეესეებივ". [თან სამ კაც-დიაცნ ისენ დაჯოცნეს ერთის მამიდაის გულისად, თან იქი(თ) მასეეს მეოთხე ის მაკლეს!]. მესამე(დ) რო შამამჯდარან, წამასულან შინ მშვიდობით.

„მემრ მითხრესავ კიდევავ, რო: „წყალს-იქითავ ქამანდებ დგასავ კიდევავ". წავედივ კიდევაო' უანსაგივ შინ არ მაქვნელევ. უანსაგის დიაცსავ ერთ საფართხელა მავხპარევ. წავედიო' აყრილიყვავ ხალხივ, ზოკან სა(დ) მივეყუდევ ნაცეცხლარსავ, ზოკან სადავ... მივედივ ყინვრიანივ, ხან წყალჩი ჩავარდივ ღამითოო' უანსაგივ მასულიყვავ შინავ. „სად იყავივ"—მითხრაო': „შუნ მავკალივ ერთივ, წყალჩი ჩამივარდავ, დამეკარგავ — უთხარივ—ნადირობა(დ) ვიყავივ". „არ იყავივ, ყურყანის მადლმავ! ეეგრ მავალსავ ძაღლ რო აისრ სა(დ) მაგკვლენავ, რო არც ყვავმ გაიგასავ, არც ყორანმავ. სად იყავივ, ჩქარა მითხარივ!"..

მემრ მიმდინარან ჩემ ბაბუაი' ქისტი. აცეხის-ძირ-გაღმამჯარ ტყემალაებ რო-ა, იმაჩი თხა უნახავ ერთი. უკერავ ჩემ ბაბუას, რო: „ნუ ესრევავ". მაუკლავ მაინც. მისულ ჯარეგასა' ამასად უთქმავ: „თქვენ ანატორის ჯვარსავ თოფ დავხკარივ შიგ თავრიელაჩიაე". „თავის თავისად დაგიკრივავ"—ამას უთქმავ.

მისულ შინა' უტკეცავ დიაცი (რაზედაცალ ტკიც). წამაუვლავ შვილსა' შიგ აი(მ) თავრიელაჩი დაუკრავ თოფი: „ჩემ დედა სტკიცევ"... ოდა, მიუდევნავ ბაბოსჩემს, უნდა მაკლას ი შვილი. დაფიცულნ ყოფილან [წეღა(ნ) ხო გითხარი]' ვერცა(დ) მაუგდავ. ერთხან შახვედრი ი შვილჯ. მიუბრუნებავ თოფანჩაი' ზე გულზე დაუსხლეტავ. ბევრა ქისტებ სტანებივ ი შვილს. მაუცდენავ. დაუკრავ ქისტებსაც. გაუბრუნებავ ეეგრა' დაუსხლეტავ: ვითამ: „ცალია დაუსხლიტავ" იტყვიანავ. გუნთნ იქნესავ, გავარდავ"...

მაულალავ ქისტებ დედასა(ც), შვილსა(ც). დედას: „ნუ მამიკლავსავ შვილსავ!" შვილსაც: „ნუ მამკლავსავ, რაა(დ) მკლავსავ? მე თუ მავკალივ, თავის მამა მავკალივ"... „კარგივ—უთქმავ ბაბოსჩემს—რო ხვეწნიან (ერთ ჯარ მაუყვანავ, ერთ შაჯაზმულ ცხენი, ერთ ვერძი)—კარგივ—უთქმავ— გზაჩი ნუ შამეყრებავ, ბეთეესავით გზა გამიწირასავ, ნუ მენახვევავ. მე სადა(ც) სოფელჩი ვარივ, იმ სოფელჩი ნუ იქნებავ, თორე მამგონდებავ ძმობილის სიტყვებივ, ჩვენ დაფიცვაიო' მამეკვლევავ იქავავ".

„არ მითქმაო—თქვისავ იმედაის დედამავ—„შვილო, ნეტა სად-რა ხარიე?“ ერთხან გამავედივ გარეთაო' აი(ს) მასკვლავებივ მიდ-მადიოდავ, ერცხვას ეშატებოდავ; ამაში(ნ) ვთქვიავ, რო: „შვილო იმედაო, ნეტა რაი-რა ცა-ღურბელნ ჩამაგხედვენავ?“...

„ჩავედივ შაბოთჩიავ ერთხანაო': „შითურსთან წამიყვანევ“—უთხარივ ერთას ვაშკაცასავ. (ანაბრივ გათქმულ კაც იყვის შითურიც. „იმასთან მივიდავ, ვნახავ“...). „რაა(დ) წაგიყვანავ შითურსთანავ?—მითხრავ—ჩემთან წამეედივ“. „შენ დედაიო' შითურის დედაივ ერთფერა(დ) ნამზველნ არ არიანავ“—უთხარივ აი(მ) ვაშკაცასავ. გასერნავდავ ჩემს წინითიაო': „ყურყანის მაღლმავ, ქრისტიანო—მითხრავ—შითურისაივ დედაივ დედასთან არ მამგონდებაო' მამაივ—მამასთანავ; წაგიყვან კიავ“.

წამიყვანავ, მიმიყვანაო': „შამეედივ“—დაუწყავ შითურმავ. შინ კი არ შამავიდავ, წავიდავ აი(ს) ვაშკაცაივ. შითურს უთხარივ: „ეეს 'უთხარივ აი ვაშკაცასაო' ეესივ აი(მ) ვაშკაცამ მითხრავ“. „რას ამბობავ,—მითხრავ შითურმავ—თუ რა ვიცივ, მიავ მაგის მამისგან ვიცივ, ისეთ დედ-მამა ხყვანდავ მაგასავ. სხვას იქითავ, ისი(ც) კიდევ მითხრისავ' მაგის მამაშავ, რო: „ფრინველ რო მიდიოდასავ, გორზედავ თუ გაიმაღლავ ფრინველმავ, იმ გორს ნუ დაენდვიდივ, იქავ მზირ იქნებავ“...

მექიაის ბედის-კვერა წავართვით ერთხან ორწყალაჩი. ლოგინჩიავ გავჭლიჩიდი(თ) მე და მექიამ აი(ს) ბედის-კვერაი' ჭამა დავიწყიდი(თ) („არ შაიძლებავ ბედის-კვერაის გაჭლეჩაივ“—იცოდიან). მექიას უთხა(რ), რო: [საარაყე ხქონდ უთურგათ ჩვენდ გაკეთებულ, ჭელ-ახალ გეეკეთ. ვაჟიკათ გიორგიი(ც) აიქ იყვის. დილა დადგეს კაც-დიაცთ საარაყე, უთურგამა' ნათულამ. ჩვენ იქავ ვიწვიდით]. ოდა, მექიას უთხა(რ), რო: „არაყ გასწირიდივ შენავ ქინთის ძირჩიავ, („არ შაიძლებავ არაყის დაბრუნებაივ“—იცოდიან), იქავ ბევრა გვიდგასავ არაყიო' ჩვენავ გზაზე შავსომთავ იმ არაყსავ“. „დაგელიასთ მტერივ“, დაკუნკ აი(ს) ქინთი' ჩადვ სასაგძლეჩი; ბევრაი-ვ სადა-მ იდგის ძირჩი არაყი. წამავედი(თ); მარიემის-წყალაზე დავისვენეთ, გიორგიი(ც) ჩვენთან მავიდოდის. ოდა, გიორგიმ უამბ მაშინისა მიხას, რო: „ალუდთას ვიყვენითავ არდოტავ. ხუთმეტ კაც ვიყვენითავ კაცებივ მისულებივ; შვილ მაუკლესავ ალუდსაო' აიმაზედავ. ჭიელიო' იმედაი(ც) იქ იყვნესავ“ (ბაბოშჩემ იმედაი' ჭიელ; ეეხლა შენ დედულ ისი). ჭიელმ უამბავ ნიაის მაკვლაივ, უამბობდისავ ხალხსავ.

„ჩუათ თამარსაო' ნიასავ კარგა აჩნიყვისავ ერთმანეთივ“ (ჩუათ თამარ ყოფილ კა ქალი). „ჩამაიარავ სამრელოს ნამყოფმავ

ჩუათ თამარმაო' წყლის-პირჩიავ ჭელ-პირის ბანა დაიწყაე. ჩამაიარავ ნიამაცავ ფოშტაის უკენითაზედაო' დაიბჭლასტნაე მკლავნივ; დაიწყესავ ჭელ-პირის ბანაივ. „დაიცადევ, აქ შამაიჭლივ, კლო კი ვეღარ დაიბანავ"—ჩვენ გზაჩი ვესხდიდითავ... მივაყარეთოო' გადავარდავ ჭიდზეითავ"...

„იმედაივ ჭმას არ იღებსავ, ყურობსაე. ადგავ იმედაივ (თასებ გვეჭირავ ყველაზავ ჭელჩიავ, ალუდსავ ლუდ ედგაე), გამახყარავ ჭიელსავ აი(ს) თასივ, გადაიწურაო' გაისრიავ აი(მ) კერაჩიავ, ჯღერან იქნესავ. „მე რაჭლადა-ღ მაგექეცითავ—უთხრავ იმედამავ —ხუცობაჩი მკ...ო, მე რაჭლადა-ღ მაგექეციითავ, თავისას რო აბობაო' ჩემს აღარ ამბობავ!" არ გაიღესავ ჭმაივ, არც შუღლ იქნავ.

ნუქვიელ ჯამრული, გამიხარდიი და ვაჟიკა დიშვილებ ყოფილ ნიაისებ. ოდა, უუბნავ ნიას (შინშ ხყვანივ ერთი, ხაძე ხქვივნებივ, მწერელტყვე, ვერ ყოფილ სრულის ჰკვისა): „წეედივ მიცუსავ შენავ, მე გიორწმიდას წავალივ, იქა(ც) ლუდებიავ, იქაცავ". „ოო, მე მიცუელთან შაეხკიდებაევ, ვირებსთანავ, იარაღთავ? არავ, არ წავალივ!" ნია მიცუს წასულა' ხაძე გიორწმიდას. უშუღლავ ქერხოსანათა' სუიკათ შიგიში. გარმავარდნილ მეშვლობაჩი აი(ს) ხაძე, გამაგორვილ დენიღის ჭევჩი, ჩამასულ წყალჩია' მამკვდარ. უგდავ მემრ ქერხოსანათა' სუიკათ ერცხვაზე: „თქვენა-დ' თქვენ გადმააგდითავ, ჩვენ არ გადმაგვიგდავავ"...

„ნიას უთხრესავ მიცუსავ, რო: „შინშ მაგიკლესავ". თას ეჭირავ ჭელჩიავ, წაუვიდავ ჭელჩიითოო' ჯღერან იქნესავ, ჩაუვარდავ". (გულ-საგონთ ალბათ გაუვარდ). „მაგიკვდ თავ, ნიაო! უკაცობო კაცი(ც) ეესეთაიავ"—წამაფრინდავ, ამახკრავ თასიო' დაიჭირავ იქავავ ჭელჩიავ".

სუიკათაზე დამჩალ თავი. წამაუელავა' (სამ ძმან ყოფილან), რო3ენი(ც) კა ძმა იყვ, აიმისა(დ) დაუკრავ თოფ ნიას, ძაღლიკა ხქვივნებივ. „ჩალაჩი ჩაუჯედივ—(ბანზე კალოობა ხო იციან ჩაგათ) —იცოდისავ ნიაჩავ—ჩავცვერივ აი(მ) ჩალაჩიავ. სამ ძმან კალოობდიანავ. წიხლი(თ) გაიარ-გამაიარიანავ ზედავ. გარმაბჯადიანავ აი(ს) კალოიო' ჩემზე აგებდიანავ" (რაჭლად-რა სძლებდის!). ამამძერალა' დაუკრავ აიმისა(დ) თოფ წუხრ. ფენს მახვედრია' მასაკვდავ კი არ ყოფილ მაში(ნ) ძაღლიკაჩ.

ჩვენ ბანიკან რო იყვნიან, აიმაჩი წამაწოლილ ყოფილ ნიაი' კოკოთ ჭირჩლა გამაჩენილ (საკვაძნ არ გამადიანა?), აიმაჩი კოკოთ ჭირჩლა გამაჩენილ („აღარც მაკვლა ეგულავ ნიასავ, პატიება ეგულავ"): „რაჭლადა-ღ ხქენ, ნიავ, რაჭლა(დ), იქავა(ც) მასარჩოს ამ-

ბობენ“—დაუწყავ ჯირჩლას ძახილი. („თუ თქვისავ ნიამავ, თუ ერთხან თქვისავ, გამტყუილება წეს არ იყვავ იმისაივ“). „თუ მარჩავ, ჯირჩლაო, იქავ დავხკრავავ ე ჩემ დიდ თოფსავ ერთხანავ“—უძახავ ნიამავ“. წამაუვლავა' მეორეზე დაუკრავ ნიას თოფი' მაუკლავ აისივ. ოდა, „ჯირჩლამ მააკვლიავ, თორე აღარ ეგულავ მაკვლაივ“.

ბაგრატაულთა ყოფილ ერთი, რო ნიაი(ც) მაუკლავ მაშინ. ჩემ დედულთა' ბაგრატაულთ უშუღლავ. „ვირიმ(ც) მიგიდნებისთავ აი(მ) ნიასავ!“—უძახებავ ჩემ დედულთ. მასულა' უთქმავ ფეხონ: „ეესრ ვიშუღლეთაო' ეეს მიძახესავ“.

ამდგარ ბაბოშჩემი, აუვლავ შინ უჩქუმარს. მაუხურიან ყარწიკან ბნელის-პირსა' ჩამაუვლავ. თოფი(ც) ხქონივ.

„სა(დ) მიხვავ, იმედაო?“—დაუწყავ ფეხონ. „ჩემ დედასავ საქონ მახკარგვიაო' თხორუს მივალივ საქონის საძევლადავ“. წასულა': „თათლის-ძირავ აი(ს) ჯიდნივ ჯელი(თ) ვიძიენივ ქოლდავ, აისეთა უჩინ იყვავ“—თქვისავ მემრავ“. ოთხისადა-ვ სახლისა(დ) ცეცხლ მიუკიდებავ ჯორუს. „რო წამაველდივ შინისკესავ, როგორც დღეივ, ეეგეთაჩი გამავჭედივ თათლის-ძირავ“.

მემრ აუკიდებავ მტერობა ჩემ დედულთ (რას არ ახკიდებდეს სახლების დაწვაზე? მთელ სახლებ დაუწვავ). წუქვიოთ გამამდინარან სამნივ ძმან ჯორუელნი, მამა სტანებივ აფშინა. ოდა, ჯიდ უდებავ, ძმა სტანებივ იმედას. გაჯედას გვერდჩი ძმა ყოფილ, გამაჯედაჩი იმედაი და ბათაკა სტანებივ ანატოლელთა, კაი კაცი(ც) ყოფილ. „დამიჭირეთავ ხეივ, ამანდისაკე გამავჭდებივ—დაუწყავ ძახილი, რო უნახიან გამაჩენილნ ჯორუელნ—ამანდისკე გამავჭდებივ!“ დაუჭერავ ჯიდი და გამჭდარ. ჯერ კი უძახებავ: „რაა(დ) გინდავ?“ გამჭდარა' გაქცეულ იმეებისკე, ბეწიკუა ხანჯარა ხქონივ. ფარ-ხმლიანებ ისეებ ყოფილ. „აფშინამავ, რო მიველდივ, შვილებსავ, ჯოხ აუქნივავ, არგნიან მავიდოდავ. დაივლეს ჯმლებს ჯელიო' მამარტყესავ! „თოფივ!“—თქვაევ აბულეთმავ, თოფსთან გამაიქცაო': „სათოფე არა გვიკიდავავ“—უთხარივ,—იცოდისავ იმედამავ“. „ვერა ქნაევ ბათაკამავ ანატორელთამავ, ვერც მჯარ მიჭირავ; კაი კაც ქვე იყვისავ, ვერა ქნაევ“.

„მავიდავ ჯურულ წიქაივ: „რაჯლა გაგიკდევავთავ სოფლის ფას კაცივ—ცხენისკე გაიქცავ—ნეტა ვეღარ მივეწვეიაევ?!“

ოდა, „წამაველდივ შინავ. „ნეტა ქვე მავკვდებიაევ—ვთქვიავ—რას ვიქავ?“ მიღგებებიან შატილიონნი(ც) (რას არ მიეგებებოდეს): „რა ხქენივ, იმედაო, რა ხქენივ?“ „ჯიჩუს-ჭალასავ მგელთ მგლიჯესავ“—უთხარივ.

აღარ გაუბედენებიან მემრ ჯორუელნი, სუიკანი, ქერხოსანანი. აუყრიან გიორწმიდით, გუროს უმყოფებიან, ხთის-მა(დლ)მ, აი, მარტუას იმედას.

მემრ, რო შარიგებულან, სიმამრსთან მისულ; ქერხოსანათ ქალ ხყვანი. „ახლოსა(ღ) დამიწვინეთავ ე სიძეივ, რო ჯმა მამდიოდასავ"—უთქმავ ი სიმამრს, აფშინა სქვივნებივ. „ოო,—მითხრავ—შენავ რო გუროსავ ძალ დაატანევ,—მითხრავ—შიმილსავ შატილისად არ დაუტანებავავ ეს ძალივ". „მამკლავს რასავ, ე გადასულივ ესივ—ქოო თეთრა გავათენევ ღამეივ—თავს მამჭრისავ"—თქვისავ იმედამავ".

აიმას, ი სიმამრს (კიდევ გიამბობ ეხლა, ცოტა ამბავი) შინშის გულისა(დ) შვილ მაუკლავ. კა ხყვანი ი შინშ, ძალიენზე ძალიენ კა, კა ვაშკაცი. ქვე-თუ დასცინის (ერთ მწერელტყვე ყოფილ ი აფშინაის შვილ, ვერ ყოფილ სრულის ჭკვისა), ქვე-თუ დასცინის. წამაუვლავა' საკვამჩიით თოფ დაუკრავ, მაუკლავ ი აფშინაის შინშ აფშინაის შვილს...

ოდა, უძევავ, უკვლევავა' ვეღარვინ მაუჭელავ იმის მამკლავ. ჩაუდენავ, მაუდენავ... ვერვინ მაუჭელავ.

თიბაზე ყოფილან სამნივ ძმები; მისულ აფშინაი(ც) მამაჲ. „ეემასა(ც) მაუკლავავ"—უთქმავ სხვათ შვილთ [იმას ძმებისა(დ) უთქმავ, რო: „მე მავკალივ"]. წამასულ აფშინაი(ც) შინ. „აბა წინ წამაღლალიდითაო' მე ეხკითხაო—უთქმავ—თქვენ უკენ მაშჩიდითავ". მასულ, შაულავ კარი და ზე გულზე თოფ დაუკრავ მამას. „დამასწვერივ, თორე შენდა(ც) მაგის ქნა კი მეგულავ"—კიდევ თქვაევ ერთხანაო'"—მამკვდარ. [ალბათ ი მამაი(ც) ეუბნებოდის, რო „მწერელტყვე ხარივ"...]. გათავდ ეხლა.

სოფ. შატილი

65. ხოშაქის ტურა

ხოშაქის ტურა ღმერთს ეხვეწ: „ღმერთო, დღე მამე მზიანი,
დამალევიე შატილი,—ქაჩუი სიპერდიანი,
ან გურო გამატეხიე,—ახალ-გორ სიმაგრიანი,
ანაც ტყვე დამაჭერიე,—კისტნელი მანდილიანი.

ეეს სიმღერე ყველაზე ძველ სიმღერე უნდა იყვას, რაიც მე ვიცი. ხოშაქის ტურას ძალიენ ძალ უტანებავ ქაჩუ-შატილისადაც. მაშინ ცოტა ხალხ ყოფილ გურო-შატილ. ქაჩუთ შატილ წინაზე რო ჩამასულან, ხუთ კვამლ ყოფილ. ქაჩუ ულაშქრავ ხოშაქის ტურას.

ხოშაქის ტურა წინავ ცხოვრებულ აი ჯორუს გალმამჯარ რო ეხებიჲ; იქ ხქონი ბინაჲ. გაუგდავ ხალხს იქით: „შენავ თუშის ნათესავ ხარივ, თუშის ნატეშვარ ხარივ“.

მემრ თუშეთჩი წასულ ხოშაქის ტურაი' იქით დაუწყავ თუ- 5 შებისაი' აჩარლების ლაშქრით ლაშქრა გურო-შატილ-ქაჩუსაჲ. აი თხორითაც მაშინ უზიდვიებავ ქაჩუს წყალჲ.

ერთს ლაშქრობაჩი ქაჩუს მაუკლავ ღიჯური—გათქმულ თუში. იქავ იმათ ლაშქარჩიგურს ქისტს ქვე მაუკლავ. ქმითნატირალიც არის თუშებისა:

ჩვენი ღიჯური ქაჩუს დარჩაო,
თქვენის თურქაის იყვა სწორიო.
გასანელებსა აჩარელსაო
ისრის ლიშანჩი ამასვლიყვაო...

სხვან სიმღერენიც არიან:

ხოშაქის ტურა ჩიოდა: „ფას ვერ ვქენ ჭაუხ წყლისაო,
გიორწმიდას კი შავსწირე თავი სამოცის ‹ ყმისაო“.

სოფ. შატილი

66. თორღვა

მანდ, მიცუს წინაზე თავადის შვილ მასულ ბარჩიით გამარიდებული. რად გამავარდნილ იქნებოდ იქითა, ეგ კი არ ვიცი. ის ოჩერედითა უნახავ ხალხს, უვლავ იმასთან. ერთ დიაც ყოფილა და იმას ორნ ქალნ ხყვანიან. როსაც იმის ოჩერედ მასულ, წასულან ქალნი და უთქოვავ იმათად დედას: „ვაგანავ თუ თავ მაგთხოვათავ, თავ არ დაამადლათავ“. თავადს მართლა მასწონებიჲ ერთ ქალი და იმასთან მისულ...

მემრადე მასულან ბარჩიითა და იქავ წაუყვანავ ის თავადი. მთაზე რო შააჯდინესავ, თავის ბრუნება დაიწყავ უკენავ. „რაად იბრუნებავ თაესავ“—უკითხავა და იმას უთქომავის: „მანდავ ძაღლის მუცელჩიავ თესლ დამჩაო-და იმით თავს ვიბრუნებავ“...

ის თავად ვინ ყოფილ, არ ვიცი, ძაგანისძეთა კი ყოფილარის. იმ თავადისგან გასჩენივ მიცუელთ ქალს თორღვა. სიმღერენიც არიან:

ობლობით ამაიზარდა თორღვაი ძაგან-გვარია,
ამაბყვა მაცოქულები, ბეჭჩი უნახეს ჯვარია.

ანდაქზე ჩამადიანა მენადირენი რვანია.
ჩამეეწია თორღვაი, თეთრი მანძილა ჯარია.
„ბეგარს უმატეთ, მშავლებო, კვამლისა თითო ცხვარია,
თითო ნაცრიან ტომარა, თითო ბორაის მჯარია!“
„ეეგ ვინც მაგცას, თორღვაო, მამა წაუწყმდას მკვდარია!“
ამაიწვადა ჩოთამა ისარი სხამიანია,
წყალს გაღმით მშვილდსა მაზინა, გამოღმით იქნეს ჰკვანია.
გადმაიბრუნა თორღვამა ბარკალი დამსივარია.
„ეგ გინდა, მიცუს გაზდილო! ვერ მაგბვდა სატკივარია?
სისუსტით ნუ დაბიწუნებ, შვიდს წელს ვარ ნაცივარია“.
„ჯაქვი რა უყავ, თორღვაო, ძმობილის ნაჩუქარია?“
„იალავანზე გაეწირე, გაქანდა, როგორც წყალია,
გამაუყენენ მსახურნი, ვეღარ მახკიდეს თვალია...

იმას ჯაქვ ხქონივა-და, რო წაუყრავ, უმბავ, სხვად არ მდგარ.
თუშეთით მამავალს წაუყრავა და გაბქანვ, ვეღარ დაუჭერაც.
„ქაჯების ნაჩუქარ ხქონდავ—თქვიან—ქაჯისაივ, ძმობილის ნაჩუქარიე“. წყალჩი ჩაღვარდნივა და დახკარგვივ, თორე ის ვერც ისარს უკვრეტავ. მსახურს ულალატებავ, იმას უთქმავ: „ჯაქვ აღარ სცვავა“-ო და უჯაქვოსად დაუკრავ ისარ. ის საკვირელ ღონიერ ყოფილ; მიცუს, საფეხენოჩი ქვან ისხნიანა-და მიცუელთ იცოდიან: „ეეს ქვანივ აი ჭალაჩიითავ ჯაქვის კალთაით ამაღებულნიავ თორღვაისანივ“.

ციხე რო არის მიცუს, აის ხალხისად აუგებიებავ. აი ციხე ხო იც, როგორ ადგილზე დგას—იმაჩი არც ჯარის მისავალ, არც კაცისა. ხალხ დაუყენებავ, ჭელისად ჭელს მიუწვდავა-და აისრ აუშენებავ აი(ს) ციხე. წყალნ უწონიანა' ამა გაჭეით შუქიაის წყალათ ვეძახთ, ამანდით უზიდვიებავ წყალ. გრილიცა და ზუბუქიც ეგ გამამდინარ[1]. თივა თავის ცხენისად არდოტით უზიდვიებავ. „ბისოს თავს“ ეძახან იმ სათიბეს. კა თივა თუ იცოდისა... ბეგრად ნაცრიან ტომარა უზიდვიებავ კვამლადა და აის უყრევავ თოლიანის მთისად, აიმით უბშრალებიან გზანი.

—ი თორღვაის მამკლავ მშაველ სადაურ იყვ, ლეკოვ, ისეებ მასულებ საით იყვნესა, თუ აქ სადა-მ ცხოვრობდეს?—ვეკითხები მე.

---

[1] „ეგ მეც ვწონე და მართლა ზუბუქ გამადიოდ, სამ-ოთხ წყალ გამაუწონ“—ჩაურთო ლეკოს შვილმა ბაბომ (ალ. ჯ.).

—ისენ სანადიროდ გადმამჭდარნ ყოფილან მშაეიოა და, თუშეთით მამავალს, თორღვას შახყრიან, მაშინ მაუკლავ—მიპასუხებს ლეკო (ალ. ჭ.).

სოფ. ხახაბო.

67. ბატონ თუ იყვა

— ბატონ თუ იყვა თორღვაი, ჩინებ რად არ ხკრავ მჭარზედა?
— ჩინებ რად უნდა თორღვასა, ლურჯ ჯაჭვ ხო სცვავის ტანზედა!

სოფ. ხახაბო.

68. დუსხის ციხე

ვაუგას, დუსხის ციხეო, თუშნი გარს მაგივლიანა.
აქვათ აუჭდა ნანატრი—მკვდარსა მარჯილი(თ) თრიანა.
შუბთა ქუჯაის ნაკრავთა ქისტნ ორნი ვერ დასწვდიანა.
მზეო, დაბზანდი, ტიალო, ჯმალნ დალბეს, აღარ ჭრიანა.

სოფ. შატილი

69. ომალო

ამით ომალოს ვერ ვიქნებ, წყალთა ვერ ვზიდავ ჯერითა.
გადავალ გესელოჩიგა, ქვიტკირთ დავღლესავ კირითა,
შიგ ორთ შაეიყვან ობოლთა ნაზარდთა ცოდო-ჭირითა,
ურჯულოდ არა ვის მისცან, რჯულ რო აღირსან ჭირითა.
თუშურ სიმღერეი. ომალოჩი წყალ თუ აკლავ, იმი(თ) ნათქვამი.

სოფ. შატილი

70. ანთა წიქაროშვილი

ანთაო წიქაროშვილო, თუშო, რად გახყევ სიზმარსა?
ჯერ გულსა რად არ ერჩიე, ბემრ ხკითხე მკითხავ-მისანთა?
ასტოჩი დასჯედ, საზრაედი ფარას ღულანტელთ ცხვრისასა,
კოხიოს წამაღლალავდი, მუკლს შაუთვლიდი მგლისასა.
კოხიო მალე მაგივა, ზავს მაიყოლებს მთისასა:
ჯარსა კოხიო მაიყვანს ლურჯ-ჩოჯა თუშებისასა.
დაეცნეს, არ დაიჯერეს, ფარას ღულანტელთ ცხვრისასა.
ნაფარეულჩი შუღლ იქნა დილას, ამაეს მზისასა.
თუშნი ჭმლით, ლეკნი ხანჯრითა, არწივებ ერცხვას თრიდესა.
ბრალს ზდებენ წიქაროშვილსა: „ადგილს ჩაგვყარენ მტრისასა,
თავ-თავებ ჩაგვიჯოციე, ვინ ჩივის ცუდებისასა“...

მაშინ ძალიენ უზარალებიან ლეკებს თუშები. მონას, კოლიბიანს ადგილჩი მაუმწყედეიან.

სოფ. შატილი.

71. ჰონთიოს ღბიან

ჰონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი, ჰიკუს ხვრენ საკიდლისასა,
მალ-მალე შამახყმუვლებენ ფარას ღულანტელთ ცხვრისასა.
ყამს ერთისასაც არ იყვნეს: მაკეთიასა, მტრისასა.

სოფ. შატილი.

72. ჩიღოს დალაშძვრა ლეკებიხ მიერ

ითირას ღმერთი გაგიწყრა, გზა ვინ გასწავლა მთისაო?
შახყარე მძივე ლა'მქარი, შახვიე ჩიღოს ძირსაო.
შინ არ-ა ჩიღოელები, ციხეებს ეშინისაო.
გიორგის ცოლი ეტყოდა: „ცუდაო, გადი ჯნლითაო,
თორ გაეალ, გამაევრევი ქალ ლურჯის პერანგითაო!“
იწყინა, გამაუფრინდა, გამაერია ჯმლითაო,
სისხლი ვადათით ნადენი მკლავებზე გადასდისაო.
ხთისო ცოლს ეუბნებოდა: „რად მეფერები პირსაო?
თუ ლეკებს წაგაყვანია, ქალ-ზალიმც ნუ მტირისაო,
ტყვია თუ შამამაკლდება, ფარაგთით აგპრი ღილსაო“.
შეთემ თქვა ქუმელაურმა: „დღეს დღე არ მირჩევ ცდისაო;
მიაც ჯმლით გამაევრევი, ჯავრი მჭირს ლეკებისაო;
ხუთამდი თეალეთ სახელი, მემრ ვერ ვიც ჯნლის გაჭრისაო“.
ლეკთა გიორგის ნაჭოცთა თუშთ შვილებ კვირობდისაო...
ამაგეებს რო ვამბობდი, და ვიყავ გიორგისაო.
ცოლადაც წაუვიდოდი, წეს თუ იყვ და-ძმოისაო.
არცარას საქმარეს ვწუნობ წოვიკურაის შვილსაო:
ბევრჯერ შაყარა ლაშქარი, ჩახვია ჩიღოს ძირსაო,
ბევრჯერ ჩატკიცა ლურჯაი დაბლა, საყორნის ძირსაო,
ბევრჯერ ატირნა დედანი ჰანთეთ-ტერელოს პირსაო.

თუშების ლექსებ სრუ ქალების ნაუბარი. „თუშის ქალებმავ ჯერ ლექს თქვიანაო' მემრ სახელ ქნიანავ თუშებმავ“. ერთხან ქალებს სიმღერე უთქმავა-და შაუქავ ერთ თუში. თუშს მასწონებივ: „ნეტავინავ ცდის დღეიმც მამცავ!“—უთქმავ, გაუკრავ ჯმლისად ჯელი და გაფრენილ ბანზეითა. ის თუშ მამკვდარ მაშინა და იმის

შემდეგ მაუშლავაც ქალებს სიმღერეების საუბარი. ბევრა ლექსები ნაუბარი' აღარ მამგონდება, გადაჟამყრუილ კაც ვარი, დაბერებული.

სოფ. ხახაბო

73. გოთლასძე

ერთ-ორს მეც ვიტყვი სიტყვასა, ქალა ომალოს ძისაო.
გეუბენ, არ დაიშალე, ქალამ გაჰარბე ჰკვითაო:
„ცუდავ, ნუ წახვალ სამზირსა, არცად ვინ დაგხვდას ჭმლითაო“.
არ დადგა, არ დაიშალა: „სხვათ არ ვაცინებ მზირთაო,
წინ გარას გავიძღოლებავ, სარდალი თუშებისაო“.
გოთლასძეს გარა გაუძღვა, მსწავლე არ უნდა გზისაო.
შაუკრეს სალეკეთოი, სადაც რო ლეკებ დისაო.
წამავა ლეკი თორმეტი მძეველი თუშებისაო.
„ჩამოდით, წულაიანნო, აქ თუშებ დაგხვდებისთაო!
ჩვენი(თ) სიკვდილით ააქა რა. თუშეთ წაჭდებისაო?
ვაჟა კიდევ ვინ დარჩების გაოს ამამღე ჭმლითაო“...
ჭმლით თუშთა, ლეკთა ხანჯრითა, მკლავთ სისხლი გადაზდისაო!
შვიდ მაკლეს თუშთა ოროლთა, ხუთ მივა თორმეტისაო.
ვერ შაგაქენი(თ), თუშებო, საფერ ვერა ვთქვი ცდისაო.
გოთლასძე (sic!), გამამიტანე ყაწიმი შენის ჭმლისაო,
ფარაგზე არას დავიკრავ, მგლოვიარე ვარ ქმრისაო:
ამ ზამთარ ლეკემ მამიკლეს, ყორნებს გადმააქვ მწკლითაო.

სოფ. ხახაბო

74. ფერჯისა

— შენ სიახლეჩი ფერჯისაის ჩამბა არ იცოდიდითა, ლეკოვ, აღარა გაჭსონსა, რას იმღერდიდით ფერჯისაჩი?

— ფერჯისაჩი უფრო ხვერჭებოდ „ავთანდილმ გაინადირავ“; მეორეს, ანდაჭჩი ხალიაისძე მაუკლავ, იმაზედ იყვნეს სიმღერენი და იმას ვიმღერდიდით:

მიხამა როშაქის შვილმა მძიმე შაყარა ჯარია,
ანდაქ-ბოროლას გადუშვა, მანდ იდგა მშავლის ცხვარია,
ხალიაისძეც მანდ იყვა არწივი მეომარია.
ხუთშაბათ გათენებადა ანდაქს დახურნეს ცანია.
„მახვეით, ცხენის მჭამლებო, თქვენი მეც მჭირდა ჯავრია,
ბევრა მაქვ ტყვია-წამალი, ოსმალის მიძე ტალია!“

ხალიაისძის ჯირიმმა, ქისტო, დაგხვია კვამლია!
მეორე ჩქარად მაისწერა: „ტყვიავე, გამახარ ძვალია!"
თოფ დახკრეს ხალიაისძეს, არწივს მასტეხეს მჭარია.
ქაეთარამ წითელაურჩა ძმობილმ უჭირა მჭარია,
არ ათრევია ქისტებსა ხალიაისძე მკვდარია.
ამაგ სიმღერის მათქვამი მშაველ ვარ ხაიბარია,
კიდევ კი მავაჭერჭებდი, ვერ ვიცი ნაომარია.

ქისტებს უნდა აეკაფ მკვდარჲ, მაგრემ ძმობილს წითელაურს დაუტაცებიან ფენჭ ხალიაისძისადა' თავ-ჩაღმ გადმაუწევავ ქვიშათას. „აი ქვიშაზედავ აბაზ რო აისრ იყრებოდისავ ზედ გაცხებულივ, ქისტების ნაყარ ტყვიაივ"—თქვისავ წითელაურმაე".

სოფ. ხახაბო.

75. ზეზვახ ცხენი

გაგიორგულდა, ზეზვაო გაფრინდაულო, ცხენია.
არმად მაგექცას, ლურჯაო, პატრონის ნაჭმევ ქერია!—
რად ჩამააგდი პატრონი, რად გაულაღე მტერია?
რადა-ღ დაუგდი ალვანი—სამჯერ გაფრენა შენია?

წაქცეულ მაშინ ის ცხენი და მჭედარიც გარმამჯდარ. ალვანისად უნდა შამეეცლა-და ის უნდა დასჩომიყვ თუშებს. ეღარ გაუძლავა და დამჩალ...

ეგ წოვან ღილღოთ მასხმულნი ზეზვაისგან. იმის შემდეგ დამრავლდეს. „ზეზვაის ტყვის შვილებ ვართავ"—ეეხლადაც იმის საუბარ იციან.

სოფ. ხახაბო

76. იძერშლოს დალაშქვრა ჯვისურებისა მიერ

მითხოვლებს დაუბარებავ: „ჯვესურთან არ ვართ ზაეზედა!"
მუქარა დაუბარებავ გუდანის ჯვარის ყმაზედა.
გაიგეს გამძღობარებმა, ალარ წვებიან ტყავზედა.
ხუთ-ხუთკან ჩასხეს მალული ხუთშაბათ თენებაზედა.
სად იყვნეს ჭარსამაულნი ნადგომნი მუქარაზედა,
თეთრ რო გაქანდა ჩაჩქანი იქერშლოს ქაეის კარზედა?
არსაი-დ' თველექიაი დაჯოცნეს წისქვილთ ბანზედა.
ამაიბრუნეს ვაც-ვერძი, ძლივ ეტეოდა გზაზედა.
რას იქდეს ჭარსამაულნი?—დალივნეს დანდობაზედა,
დალივნა თათარიშვილმა იდუკამ დანდობაზედა,

პურ-მარილ გამაუბრუნდას შინისკე წასულს გზაზედა.
იდუკას თათარიშვილსა თვალნი ხქონ მესისხლეზედა.
ზავი-ღ უთხარით, ჴევსურნო, დანდობა ხქონდას გზაზედა...
თოფსა იდუკა ემდურის: „ნულარ ხარ ჩემობაზედა!
მე კი დაგლიშნე, ოჴერო, შენ აღარ შახვდი ტანზედა“.

იდუკა ჴევსურ ვინამ-ა. რომნის სოფლისაი, სინამდვილეჩი ვერ გეტყვი. შვილ მიუცავ მაგას იქერშლოვლებისად: ეგ იქერშლოვლებ დაამაყებულანა' იდუკას ქარაია („მზევალიე“, რო ჩენ ვიცით, ეგენ „ქარაია“-ს ეძახდეს) მიუცავ მაგათად: „დავინდვნაო' მემრ დაელივნავ“.

ამდგარა' შაუყრავ ლაშქარ, დაუცავ იქერშლოვლებისად ბევრ ხალხ დაუჴოცავა' ბევრ დავლაიც წამაუღია. ქარაიაად მიცემულ შვილ, რა თქმა უ(ნდა), იქ დაშჩომივ. ი(ს) იდუკაის შვილი ციხის საკვამჩიით გამაუჩრავ თავრივლით იქერშლოვლებს (შალმა ციხე რო-ა იქერშლოს, აიმ ციხეჩიით), მაუჭრავ თავი' გამაუგორებავ. „იდუკამავ ერთხან გახენავ: „ეგ არაფერივ,—თქვაევ—ბევრს ეგეთს ვაზღვევაც იქერშლოელთავ“...

იმ იდუკას სისხლ ღმართებივ ვისაი-ჲ ჴევსურისა. უკენ რო დაბრუნვილ ლაშქარი, ი(მ) მეთაეს თოფ დაუკრავ იდუკაისადა' მაუკლავ.

სოფ. შატილი

77. იქერშლოს დალაშძვრა ჴევსურების მიერ (ვარიანტი)

მითხოელებს დაუბარებავ: „ჴევსურნ ნუღარ ხართ ზაზედა!“
შაიტყვეს გამძღობარეთა, აბჯარ აისხეს ტანზედა.
შაყარეს მძიმე ლაშქარი მითხოელთ მუქარაზედა.
ჩადიან კისტნის ჭალასა, ხვადებ ჩაგოგვენ ნალზედა.
გაქანდა თეთრი ჩაჩქანი იქერშლოს ქავის კარზედა.
ატირდეს გორის სოფელსა ქალნ ჯოლბექისძეთ კარზედა:
დაგვლიენა თათარიშვილმა იდუკამ დანდობაზედა.
ფიც-ვერცხლიმც გამაუბრუნდებ ჩენ შინ ნაჭამი სკამზედა.
შინამც ნუ მივა ცოცხალი, ტყვიაიმც მახვდებ ტანზედა,
ნუმც ოტირებენ დედანი, ქალნიმც ნუ მიელენ მკვდარზედა!“

ჯარ შაუყრავ ჴევსურსა-და მითხოელნ დაულევიან. აიმაზე ნათქვამი ეეგ სიმღერე.

სოფ. ხახაბო

78. ჯაჯმატის დალაშქვრა

ცხენს ხკაზჰებს გულბათიშვილი ხაძე ტერელოს, კარზედა,
მააკრავს საჰირობელსა ჯაჯმატელთ მუქარაზედა;
შადიან კისტნის ჭალასა, ხვადებ შაგოგვენ ნალზედა.
დაღბერებია ხაძეი, დარჩა ველკეთილ მთაზედა.
ჯაჯმატ ჩაუშვნა თარეშნი მა(გ) ჯოყოლაის ჯავრზედა;
შეთეშიშვილის ლურჯაი ნაღვარს მიფრინდებ ძალზედა.
„რა მაგამალებს, ოჯერო, გიძის მეთოფე გზაზედა!
მჭედრისად დალიშნებულმა, ცხენო, დაგჭერითა ტანზედა“.
ჯოყოლათ ხათუთისძეი გადააჭდინეთ ჯარზედა—
შინ თუ ჯოყოლა არ დახვდა, ბაგლის ლეკე დაუხვდა გზაზედა.

ს ო ფ. შ ა ტ ი ლ ი

79. ხახაბოს დალაშქვრა

აი, ე ჩვენ თალას ქალ რო წაუყვანავ, მაშინ ნათქვამიც-ა ერთ სიმღერა. ხახაბოს ლაშქარ დასცემია-და შინ არავინ ყოფილ. ქალ ყოფილ ერთი და იმას უსრევავ თოფი. ლაშქარს უფიქრებავ: „მეთოფე ვინამ გვიძისაო'-და გაბრუნვილარის. მემრ ვისა-მ უნახავ ლაშქარჩიგურს, რო ჩარდახჩიგით ქალის დარალან ჩამაშლილან. მაშინ შასულან ციხეჩია' ის ქალიც ტყვედ წაუყვანავ.

ხახაბოს, მიცუ-არდოტა ცხენთ დასხნეს შარა-გზანია.
მინდიკათ გორის ციხეო, შამაგეხვია ჯარია.
გამადის სამბარაული, ჩალად ჩაყარა მკვდარია.
ქვენ-უბან, თალას ციხეო, ჩამაგდის საომარია.
შინ კი არ იყვა თალაი, თაბარ ომობდა ქალია.
ჩარდახთით გადმახედულა გადმეეშალნეს თმანია.
მაბრუნდეს, გამაიყვანეს თამარი თალას ქალია.
ქალი ელოდა მამასა, ჯართ მანდლით ასმი(ვ) წყალია.
მემრე დასწყია მამაი: „ნუმც შაუმბავა ჯმალია!“
ოროლთა ზვიადის შვილთა ისარ აქე ჯორის-ცალია.
ბუყიეხ ჩამეეწიენეს, ისარს აუცხეს სხამია.
„გაწირეთ, არ გაგატანთავ, ნუ მიგყავთ თალას ქალია!“
სატრედეს ჩამეელობდა ჩალხურთი ჰრელი ჯმალია.
ბეენა გამაქცეულა, არ მაიბრუნა თავია.
ომჩი შავიდა სიმამრი, სიძევ, დაუგი თვალია...

ჩვენ სიძე ყოფილ ლიქოკელ ბეენა. აქით ის გაქცეულ ჯმა რო გატეხილ, იმაზედ-ა ნათქვამი.

ბუყიეხ რო მიუყვანავ ი თამარი, იმას მანდლითა წყალ უსმევაე ლაშქრისად თითოობით: „აგებ დაეგვიანდათაო-და მამულნ მამივიდანავ". მისწევიანაც მემრადე კი...

სოფ. ხახაბო

80. ბერუაიშვილ გაგა

მშაველ-ჭევსურთ ჯარ წასულ ტერელოს ჯოჯიდ-ტებულოსას. მაშინ ისეთ წეს ხქონიარის, რომა დედისერთა არ უშობაეის თარეშჩი. აქ ჩვენებურ ყოფილ ბერუაიშვილ გაგა. ის დედისერთა ყოფილ. ისიც წასულ, მაგრემა მაშინ წესად ხქონივ: დროშან უყუდებიან ერცხვისადა-და აი(მ) დროშათ ძირზე უშობაე თარეში. აწუნტას რო შამჭდარან, იქ დაუყუდებიან დროშანი და ერთ მშაველ გამძვრალ წინ-წინაზედა და გაქცეულ პირ-თავქვ ქვიშათას. მაშინ თარეშჩი წინ-წინ ჭელ-მუჭლიან ხალხ უშობავ: იმათ ცხვარსაქონ უნდა ამაებრუნა-და მემრ მივიდოდ სხვა ლაშქარიც...

იმას ვამბობდი... „გაიქცავ აი(ს) მშაველივ, მაღნაწინწლდავ აი(მ) ქვიშათაო' ყველამ გაიკვირავ. ბერუაიშვილ გეემზადავ დროშათ ძირჩი გასაძრომადავ—არ გაუშვესავ, კიდევ გეემზადავ—არ გაუშვესავ: „არ შაიძლებავ, შენავ დედისერთა ხარივ". მესამედ რო გეემზადაო' არ გაუშვესავ, ზედ გადახფრინდავ აი(მ) დროშათავ. „აი, მამაძაღლო ბერუაის შვილო,—თქვესავ მშაველებმავ, —გაქებდესაო-და ყოფილხარიცავ": ისივ აი(მ) მშაველზე უფრო ჩქარა გაიქცავ"—იმით მასწონებივ.

მაშინა მაუკლავ ი ბერუაიშვილ. იმაზე სიმღერენიც არიანა-და ჭმითნატირალიც-ა, ცოლის ნატირალ. წინას მატირალს უტირებავ:

ბრალია, შენმა არ სიკვდილმაო...

მემრ ცოლს უტირებავ:

მაკვდა, ქვე რაღა „არ სიკვდილმაო?"
მე გავზდი მამიდაიშვილსაო:
დადგება შენსა ნადგომჩიაო,
აისხამს შენთა იარაღთაო.
დედა ვაცხონე ვაჟისაიო
შენდა ლიშნისა დამდებისიო.
არ-გასამარჯვებს აჩარელსაო
თოფის ლიშანჩი ამასვლიყვაო;
ტყვიასა გასაოკრებელსაო
ყაწიმი ორივ გეეგლიჯაო...

მაგვწყინდა შენი მალოდინიო,—
თოლმ დაიჭირა ხიდოტანიო...

სიმღერენიც არიან ბერუაიშვილის სიკვდილზე ნათქვამნი:

ხახაბოს რა ამბავია? იხეცა მიწა პყარია,
იხოშებიან დედანი, ქალებმ დაიჭრნეს თმანია.
აღარ მაყიდა გაგაი, ჩამღას რო იყვა ჯარია.
გაწირა ბერი ბიძაი, არ ხქონდა ომის ჯანია...
ახლებსა ხახიაებსა რად უნდა საუბარია?
იკიავ, შენა-ვ გაუძველ, შენა-ვ გიხედვენ სხვანია.
შამადის ხიდოტანზედა ქორ-შავარდნების ჯარია,
შამაკდეს აწუნტაზედა, ხთისა აჴსენეს ძალია:—
ჯერა ე(ს) თავის ხთიშვილი, მემრე ლაშარის ჯვარია:
„რაჴელიც გაგვემარჯვება, აისთა მაგვეც დარია“.
დასხდეს, დაგროვდეს მთაზედა, დიდ ხქონდა საუბარია:
ზოგებმ თქვეს: „ჩამღას წავიდათ, აიქ გვიკიდავ ვალია“,
ზოგებმ თქვეს:—„ქაჩუ-ქერიგოს, აიქ უფრო დის მგზავრია“
ადგნესავ, გეემართნესავ, არხუს დაუკრნეს გზანია.
მაუვა საქანისტელი, ირემმ მაიღნა რქანია.
ეუბნებიან ერთურთსა: „ყოფილა შასადარია,
ამაგას ნუღარ გაუტევთ, თორე დაგვ(გ)მობენ სხვანია“...
შილინდ იქნ არხუს ჭალასა, ხვიოდა მთა და ბარია,
ქისტმ სიტყვა შამაუქცია: „ვისა მეკიდა ვალია?“
იკია ეუბნებოდა: „აღარ დავიდვათ ბრალია,
მე ენით ავეკიდები, თქვენა-ღ აართვით მჯარია“.
ბრალია იკურაისად—თოფმ დაუმტვრია ტალია.
ლაგაზმა მანგიათამა ქორმა დაშალნა მჯარნია.
სამუკა შიშნიათაი არწივი მეომარია,
ჭელი გაიკრა ხანჯარსა, არ მიუსწრობენ სხვანია.
მაბრუნდეს ნასახელარნი, ფეჯაქეეთ გაიგეს მკვდარია.
ყომასტოს ყორნებ აძრახდა, დაბლა დაუშენეს მჯარნია,
ჯერ კი ჩაითვრნეს სისხლითა, მემრე ცომა ხრეს ძვალია.
დალოცეს თოფის დამკრავი, მემრ—მზირთა წინაძღვარია.
მადიან საშინაოდა, მაუხარიან გზანიჲ;
მაუყვანავის გაგაი, საფეხვნოს იჯდა ჯარია,
აწიეს თემი, სოფელი, საკარგყმო დაკლეს ცხვარია.

ს ო ფ. ხ ა ხ ა ბ ო.

81. ხახაბოს დალაშქვრა მეორედ

ხახაბოს დასცემიან. ცოტა ჯარ ქვე ყოფილ. ივანეს ღერენათას თოფ უწმედავა' მაშინ გადმაჩენილან ამაგაჩი, ამა(გ) კალოებსთან. უსრევაია და თავზე დაუყუდებავ ერთ ქისტი. მეორე გამაქცეულა და ქვენას სახლსთანით ცხენ აუკსნავა და გაუქცევავ. იმისად გულოთ აპარეკას უსრევაია და მაუკლავ ისიც. მაშინ ვერა წაულავ ხახაბოთ.

ცხენნი მავიდეს სამზედა, ასიას, ცერსა გზაზედა.
ივანე ღერენათაი აბრუნდა ქარიპანზედა:
ცხენმა წინაზე მასულმა მკედარ გახყუდა თავზედა.
გულოთა აპარეკასა არ გეეყარნათ ბანზედა!
ცხენის ლურჯაის წამყვანო, დაგაგდა ბოსლის კარზედა.

სოფ. ხახაბო

82. ივანე დაიაური

(ფრაგმენტი)

კა ყმა შავაქათ, ვაჟებო, ამბავი მადის ცდისაო,
ივანე დაიაური მგელი მჭამელი ცხვრისაო
მშავში გადაკდა, ამბობენ, ჯარ შაყარ მშავლებისაო,
წინ თავად გამაუძღვება, მსწავლე არ უნდა გზისაო.

სოფ. ხახაბო

83. ბოსელათ წიჭაის მაკვლა

ბოსელათ წიქა მაკლეს ქისტებმ, აიმისად იყვ ნათქვამ სიმღერა:

ერთ-ორს მეც ვიტყვი სიტყვასა არდოტ ნარჩევის ყმისასა:
მაისტლებ გამეემართნეს, გადმაკდეს არიშკისასა.
მადიან, მაარიგებენ, წიქავ, შენდ შაკვრას გზისასა.
მიცუზე ჩამაიარეა, საგბალ ჩაუდვეს ჩხინთათა.
თიბაზე წასვლას იკითხვენ სამთ ბოსელაის შვილთასა.
ომია მახკოს ჭალასა დილა, ჩამასვლას მზისასა,
ზედიზედ გადის თოფები, ჩამატეხას ღგავ ცისასა.
პირ-წაღმ კი ვერ დაიწონეს, პირ-უკუღმ დახკრეს წიქასა.
დაივაგლახა წიქამა: „ვა დედას წიქაისასა!"...
ერთი ესრია გუგომა, ამბავს კითხულობს ძმისასა.

არდოტს გახკვირან ტირილსა ქალისასა და ზლისასა.
სახელად ნუვინ დაიდებს ლექსს ნათქვამს მათურლისასა.
მშავლის ნათქვამი, მათურლისა.

სოფ. ხახაბო

84. ბაცალგაის მაკვლა

მიცუს მავიდა ლაშქარი, გადაჴდა არიშკაზედა.
იძახეს საკვირაოთა: „ჩავიდეს ჴარავანზედა!"
დაგვიკრეს ნათელისძესა, არწივ დაკოდეს მჴარზედა.
ჴალაჩი მგელთა შახყუელეს მა(გ) ბაცალგაის მკვდარზედა:
„მაგას რო ჴორცი ხქონია, კბილი არ მიდის ძვალზედა!"
დიაცის ჴელის მამჭრელო, ღმერთმ გიყვა სამართალზედა!

დიაცისად ჴელ მაუჭრავ ბაცალგას. როსაც ის ბაცალგა მაუკლავ მიცუელთ, ჴელ ჯიბაჩი ამასჩენივ დიაცისაჲ.

სოფ. ხახაბო

85. არდოტის დალაშძვრა

არდოტს დასცემივ ლაშქარჲ. ბაისერათ ამირას ამადხანის შვილ ხყვანივ ძმობილი. ის ქისტ ყოფილ ი ამადხანის შვილი. იმას უბარებავ: „არდოტ ილევავ, გამთხილდივ"—ამირას უთხრიდითავ". ხანჯარიც გამაუტანებავ ლიშნად. ამირას არ დაუჯერებავ: „ამადხანის შვილმავ იქავ წაიღასავ თავის ურსაივ, ეეგეთურაივ ამირასავ არაჩი მაღგონდებავ"—უთქმავ ამირას.

სთველჩი ჴარავან სდგომივ არდოტელთ ანდაქის ჴალაჩი. იქ ბაისერათ ამირა ყოფილ ჴარავანჩია' ლაგაზიშვილ სტანებივ ბალღი. მუშა მისულ ბახაოს, მგულე ხალხი. ჯერ იმ მუშას დასცემივ ლაშქარი, ტყვეებ მაუჭერავა' მემრ ჴარავანზე ჩასულან. ამირაის ძმას ლაგაზ ხქვივნებივ, ის მისულ ჴარავანზედა-და აიმ დროს დასცემივ ჯარიც. ლაგაზს შაუვლავ ჴალა ცხენითა, დახეშტისას ამაუვლავა' ვეშნიგაზე გადმამჴდარ. ხახაბოს ჴმა გაუტეხავ: „ჯარ დაგვეცავ!"

ბახაოს ტყვეებ რო მაუჭერავ, იქ ერთ დიაცს თიჲა გადმაუქცევავ ზედა და იმაჩი დამალულ.

ჴარავანს რო დასცემიან, ამირას თავის ჴარების რჩევა დაუწყავ: ჴარავანჩიით თავის ჴარებ უნდა გამეერჩივ, არ უნდა წეესხმივ ჯარისად. იმისად თოფ დაუკრავა-და ქვე მაუკლავ. ბალღ დაშინებულ, გაქცეულა-და წყალჩი შავარდნილ, წყალს დაულევავ.

აუბრუნებავ ლაშქარს აის ჯარავანიც, წაუსხმავ, ტყვეებიც წაუსხმავ. აი(ს) თივაჩი დამალულ დიაცი, ჯარ რო წასულ, არდოტ გამაქცეულა და იქ გაუტეხავ ჭმარ.

მემრე აქითაც წასულ მდევარ, არდოტითაც. აქით გაქცეულ სამუკარ, ამა(გ) აგრებაის ბაბორ. ის საკვირელ მჭისე კაც ყოფილარის. ჭალა-ჭალა გაქცეულა-და ჯონის ჯორჯ არდოტლებს შასწევივ იქ მიმდინრებს. შასცილებივ იმათაც. „დაიცადევ, ერთკან ვიდინათავ!“—უძახებავ არდოტლებს. „ერთკან დენისა კი არ ვიცივ—იმას უძახებავა-და ტიალივ, ცოტა პურივ!“ (ის წუხრ პურნაჭამ წასულარის აქით). აუვლავ იმას, არცრა იმეებისად დაუცდავ. წინ ის შამჭდარ, მემრ არდოტლებიც შამჭდარან.

მეწვერეებ ქისტებსაც ხყვანივ წალალულებ. ქისტებს უფროს დუია ხყვანივ. არდოტელთ მეწვერეებს ძაღლ გახყოლრ თანა-და ის გადმაჩენილ მთაზედ. ის უნახავ დუიასა და უთქმავ: „ჩვენებს მეწვერეებსავ ძაღლ არ ხყვანდავ, წინ შაგვასწვრესავ არდოტლებმავ“. დუიას დაუწყავ ძახილ თავის მეწვერეებისად: „ნუღარ მიზდითავ, წინ შაგასწვრესთავ“. ერთს ქისტს ხედვა დაუწყავ, ყელნვა, თავის წლაპვაჲ: „მართლა შაგვასწვრესაევ?“ იმისად უსრევავ უთურგათ ივანესა-და ლაშყბან დაუმტვრევიებიან.

ამირაისი და იმ ბალღის დაჭოცა ქვე არ გაუგავ მდევარს. ზოგებს წინ მაუვლავ, ზოგებ უკენ მისწევიანა-და მაუმწყვდევავ ქისტებ შუაჩი.

დაუწყავ დუიას ტყვეების დიაცებისად, რო: „უძახეთავ, ზავ ვქნათავ, ერცხვას ნუ დავხოცთავ, თორე თქვენებ ძმებიც დაიჭოცებავ, თქვენებ ქძრებიცავ... ზავ ვქნათავ, მავიდანავ, უძახეთავ“. „გორგით ლაგაზა მავიდასავ ერთივ ჭელადავ“—დაუწყავ ქისტებს ძახილი. „მე ვერ წავალივ—ლაგაზას უთქომავ—ჩემ ძმა წავიდასავ, ცოლ-შვილნიცავ აიქ ხყვანავ“. მემრე გორგით ჯამრულ წასულ ერთი და სხვა ვინა-ღ გახყოლივ, ის აღარ ძაჭსონს.

მემრ გამაურჩევავ აი(ს) ჯარავანი და ტყვე, რაიც წაყვანილ ხყვანივ ქისტებს. ერთ ჯარ იქავ დაუმალავ ქისტებს, ყარწიკან გადაუხვევიან. მემრე ზავ უქნავა' ზავის ქნის უკენ ქვე აღარ შაიძლებოდ შული. ამირაის ნაკვლაი-და ი ბალღის წყლის დალევა ქვე არ გაუგავ აქაურებს, თორე ზავს არ იქდეს.

სიმღერენიც არიან:

არდოტ მავიდა ლაშქარი, გადმაჭდა არიშკისასა.
მალულს ბახაოს ამბობენ, მუშასა არდოტლისასა

ამბობენ აბრუნებასა ჯარავნისასა, ტყვისასა.
ბრალია, მურღვაისძეო, ბეჭნი რო მისცნა ქვეშასა,
არ გესხას იარაღები, არ გახედავდა ლიშანსა.
—ნუ მახკლავთ ლაგაზის შვილსა, ლეკვსა მაგ ბებრის მგლისასა.
დედა ვაცხონე ვაჟისი ხახიათ ყმაწვილისაო:—
ხახაბოთ გამაქცეული დაქუახ შამაჯდისაო.
შაუკრა გადასავალი, ნებას არ აძლევს გზისასა.
ივანე უთურგათაი უტყუარს ხედავს ლიშანსა:
დაგიკრათ ციცქათ ძოძისა, ნათოსს დაისრევს ყბისასა.
შიგ ჩამარეეას ამბობენ გიორგით ჯამრულისასა,
ამბობენ გამარჩეესა ჯარავნისასა, ტყვისასა.

სოფ. ხახაბო.

86. ახვერდი-მაჰმადის მოკვლა

მაშინ სამის ნაიბის ჯარ ყოფილ მასული. ჰანწეთი' აჰმერდი-მაჰმერდ კი ვიც, რო იყვნეს, მესამე ვინ იყე, არ ვიცი. მითხოელნიც იმ ჯარჩი ყოფილან. წინ-წინ შატილ მასვლა, სოფელჩი შამასვლა ღმარკებრ ჯარს, მაშინ ბევრა უჯოცავ საომრებჩიით. „ლაშქროის უკენავ მითხოელთ თქვიანავ: „ღმერთს ვეხვეწებოდიდითავე, წინ-წინ თუ არ მაგვინდებოდავ შასვლაივ". ლეკებს მიღრგებივ. მასვლაჩი ერთიღა მაუკლავ ამა(გ) ანატორელთ სახლების ძირ. წის-ქვილებსთან კი უჯოცავ, შვიდი-რვა კაც მაუკლავ. სოფელჩი ვერ შამასვლიან, ვაკეს დამდგარ ლაშქარი.

ჰანწეთსა' აჰმერდი-მაჰმერდს შუაჩი აზდგომიან ჩვენ მებეგრენ, დიჩინნი: მისულან, აჰმერდი-მაჰმერდისად უთქმავ: „ჰანწეთ გაჲქცავ, შენ რასაღ აკეთებავ, წეედივ შენაცავ, თორე გაზარალებენავ". ჰანწეთისად უთქმავ: „აჰმერდი-მაჰმერდ გაიქცავ, შენაც წეედივ".

ჰანწეთ წასულ თავის ჯარით. მემრ აჰმერდი-მაჰმერდიც გაქცეულ. ამა(გ) გაჯედაზე, ყანათას გამამავლისად თოფ დაუკრავ აჰმერდი-მაჰმერდისადა' ბარკალ მაუტეხიებავ. სიმღერენიც არიან:

. . .

შუღლ იქნა მზე-ჩაის დროსა, დარია, ტყვიას წვიმსაო.
დაადგა ძალი მაგრადა ძმათ წიქიაის შვილთაო.
ბოლოზე ანატორელთა ჯაბირ გაღმართეს მკვდრისაო.
ბევრ ხქონდა ტყვია-წამალი ტრიხას გიორგის შვილსაო.

ცოლი უსხამდა ტყვიათა (იმედ თუ ხქონდა ქმრისაო).
ბატონს ხკითხავდეს ლეკები: „შენ ხო აღარა გჭირსაო?“
„დამამტვრევიეს ბარკალი, ოთხით დამკიდეს ჩდილსაო“...
ომსაც გახკვირან მაგარსა მაგ ნიათ ნიაისაო,
კაცის ომობა წესია,—ქალისა ჩიაისაო!...

მაშინ თქვენ ნიას ლეკ დაუჭერავ ზენაუბან, გალავანჩი გადმაუთრავ. ის ლეკ ღონიერ ყოფილ, ნიას ვერ დაუმორჩილებავა' ჩიაისად, ქალისად უძახებავ: „არიქავ, მიშველევ, რა ღონიერ რაიმ ყოფილავ ეს მკვდარძაღლივ, ვერ ვიმორჩილებავ!“ ჩია მიშველებია' დაუჭერავ.

აჰმერდი-მაჰმერდ აქით ცოცხალივ წაუყვანავა' ჯარეგას შამკვდარ.

სოფ. შატილი

87. შატილზე

ახლებო შატილივნებო, დღე გაგითენდათ ცდისაო.
აქდეს ზეთას-თვლის ბანზედა, ფერჯისას უთხრეს. ლხინსაო.
საღირას თათარიშვილსა ალ უბავ თოფის პირსაო.
ჭალასა ანატორელთა რიყე აავსეს ჭკვდრითაო.
ბევრა ხქონდ ტყვია-წამალი ოთხთ ძმათ გიორგიშვილთაო,
ჭანთეთ წყალმ ჩადგა ბოჯირი მაგათ ნაჯოცის მკვდრისაო.

ვარიანტი:

ბოლოჩი ანატორელთა ჯებირ გაღმართეს მკვდრისაო.
ისტამულ გაუმართებავ ტრიხას გიორგიშვილსაო.
ცოლ ჩამაუსხამს ტყვიათა, იმედი ხქონდა ქმრისაო...
—მე ბარკალ დამამტვრევიეს, ოთხით დამკიდეს ჩდილსაო,
შენი ჭირიმე, ბატონო, შენ ხო აღარა გჭირსაო?

სოფ. ხახაბო

88. ავარდა ერთი ურჯულო, ლეკ იყვა დოლბანდიანი.
მითხოვლებ ეუბნებიან: „შატილ ქონებიანი,
ცხვარ-ძროხა შატილ ბევრია, ქალნი სხენ ოქროს-თმიანნი“...
მავიდეს ქუდ-საჭდელასა ლაშ-ართხმულნ ცხენნი ტიალნი...

სოფ. ხახაბო

89. რად გეშინოდა, შატილო, ყამსა რად იყავ მტრისასა?
თიკანს არ წავაყვანიებ მაგ შენის ქავის-კრისასა.

ოროლთ დაეასხამ ტყვიათა თოფს თეთრაულისძისასა,
ჩამავხვევ მეთოფეებსა მთა-წვერსა ჭაუხისასა,
ქადაგსა მედროშაესა წყალს ვასმევ სიმურისასა...

სოფ. შატილი

90. შაბურათ გიორგი

ეეხლა შატილიონთ სიმღერეებს გიამბობ. თითოს მაინც გეტყვი მამ-მამის ხალხზე.

შაბურათ მამის სიმღერე:

სიკვდილმ თქვა: „არ დავიჯერებ, ნაწესვარს ვიქამ ხთისასა.
მაუკლავ შაბურაულსა ძდიდესა ხთიშვილისასა.
სუ პირს ჩაუშლი სოფელსა, მავღგვრიდი მტრის გულისასა,
ბოლოზე ყამარისძესა, ყარაულს შარა-გზისასა...
ნარჩევ-ნარჩევებს ჩაუჯოც, სულეთ ჯარს დავსხამ სმისასა,
შუაჩი ჩხუტსა ჩამუდგამ, კოშს დაურიგებ რელისასა.
დაუსომ მეფანდურედა შუ-ღილღოს გამტეხს ჭმისასა—
ბაბღიას გოგოთურათას ლაღსა არწივსა მთისასა“.

ეგ შაბურათ გიორგიზე ნათქვამ სიმღერეი. შაბურათ გიორგი ყოფილ თუშეთით მასულ კაცი. იმაზე კა კაც სხვა არ ყოფილ. ის ი(ნ) თქვენ ბათაკასთან დაუჭერავ აჰმერდი-მახმედის ჯარს. მემრ თქვენ ბათაკა ქვე გამახქცევია' ის ღაბაჯად დაუყენებავა' მაუკლავ ლეკებს.

სოფ. შატილი

91. ჟურსიკა და ბერა

ანატორელთ სიმღერე:

ფიჭვჩიგი(თ) ბგელთა შახყუელეს: „ააქ გვიჭირეთ მჯარია!“
არიან ანატორელნი ომჩი ნაწურთნნი ყმანია.
ბერასა ანატორელსა დახვიეს თოფის ალია.
ბერას ვერ მახკლავთ, ძაღლებო, ლაშქართა წინამძღვარია,
ჯერ უშველს თავის ბატონი, მემრე ლაშარის ჯვარია.

ჟურსიკა მაუკლავ მაშინა' შვილ, ბერა ქვე დაბრუნდ. ბერას უცოცლავ ძალიენ დიდხანს, ლოგინთ დამჩალ. როგორც გადმაცემით ვიცით, ის ყოფილ უკვდავების წყალშასმულ.

მემრ ნიას უკითხავ, თქვენ პაპას (რომენ ნია იქნებოდ, ეგ კი არ ვიცი): „ბერაო, რა გაქვავ შასმულ-შაჰმულივ, რო ლოგინ-

ჩი დასჩივ?“ „სულივ ტკბილ ყოფილავ—უთქმავ ბერას—ტანისამოს გამამიცვალეთავ, გამამიცვალეთაო' მემრ გეტყვივ“. მართლაც გამაუცვლავ ტალავარ, გაუბანავა და მემრ უუბნავ ბერას: თუშე(ბ)მავ რო ძმა მამიკლესავ, აიქ, თუშეთს ჰიყოლაჩიგავ, ერთს გორზედავ ნადირ ეხვეოდავ, ძალიე(ნ) ბევრ ნადირიე. მე რო მივედივ, ნადირ ქვე გაიფანტაო' ქაფ რაიმ ამადიოდავ, არც წყალ იყვავ, თეთრ ქაფ ამადიოდავ. აის ქაფ შავლოკვე სამჯერაო' აიმის უკვნავ არცრა საქმეჩიავ ხიფართ აღარ დამემართავ“. დაათავ კიავ საუბარივ ბერამაო' ამახყვ კიდევაცავ, გათავდავ...

სოფ. შატილი

92. გიორგი და გადურიძა

ანატორელთ სიმღერე:

პორნილაობას დილასა ძმან წავლენ ჭალაისასა.
ტუტილის კიდურ გავიდეს, წრიაპ წინწელს შლის კლდისასა.
მითხოს-ჩდილ გადაუვიდეს მეშეშეს მითხოვლისასა.
გიორგი ბერაიშვილი ხედავს უტყუარს ლიშანსა.
ატატნებიჲბს ოროლთა, სულსაც აჴსენებს მკვდრისასა.
ბადურიკა ეუბნებოდა: „ჴმლი(თ) ვსცემ, შავსწირავ ბიძასა!“
გიორგი გაუჯავრდება: „ვერ ვიქამთ მტრის გულისასა!“

„ვითამ მტრის გულისან რაად დაჴდებოდეს?“—ვეკითხები მთხრობელს. „ზედ რო ჩავიდოდეს ჴმლით, სხვა ხალხ იძათ დახკრავდ თოფსა' მტრის გულისან დაჴდებოდეს, იმით ნათქვამ“—მიპასუხებს იგი (ალ. ჭ.).

სოფ. შატილი

93. ყანიას მოკვლა

ბულოურ-ჯალაბაურთ სიმღერე:

ხუთშაბათს გასვლას ამბობენ შატილით ორის მგლისასა,
მითხოს-ჩდილ გადასხდომასა მითხოლთ მთიბლებისადა.
ჭეხით გადენას ამბობენ წიქაის სიათისასა,
უდუმლად სრევას ამბობენ სვილაის ვაშკაცისასა.
ყანიას გააქანებენ, ქუშს გააწითებს მთისასა.

ჯალაბაურთასა' ბულოურთას მაუკლავ ყანია. ბულოურთის სახელ კი არ ვიცი·დ'. ჯალაბაურთა კი წიქა ყოფილ. ეს ახალ,

სხვა წიქა ვინამ-ა, ის კი არ-ა ჯონის-ორწყალჩი რომ მაუკლავ მშავლებს.

სოფ. შატილი

94. წიძა და მანგია

მანგიათ სიმღერე:

სულეთ ჩიოდა ბადაი აიმ ძმის წიქაისასა:
„ნუ უტევს უგძალავადა ძაღლებსა ჩვენის გზისასა!“
დედამ დაუცხვენ საგძალნი, მგელნ გაუტიენ მთისასა,
მალე მაგართმენ ამბავსა ბადაის მეკელისასა!

ბადა-მანაკლავა რო-ა ფიქვჩი, აიქ ბადა მაუკლავ ჯორუათოვლებს ციცქასა' ყანკიას. აიმაზედ მანგიათას წიქასა' მანგიას ყელ მაუჭრავ ქისტისად ჯორუათოს. ის ცხვარს სწოლივ ქავჩია' მიხპარებიანა' მაუჭრავ ყელჯ. ჯორუათოელთა' შატილივნებს რო ხქონივ, მაგოდენ შუღლ არც ვის ოქონი(ვ) ქისტებს ჩვენთან.

სოფ. შატილი

95. ოგოლათ ბათაკა

თიაყათ სიმღერე:

ბათაკა ობოლათაი ეეფხვია სალის კლდისაო:
„არცრას თოფს მივსცემ ძაღლებსა, არ ვიცი ზავის ქნისაო.
მამწონსავ აის მღერაივ, ჭალაით რო ამადისაო!“

მითხოს ლაშქარ მაუმწყვდევავ ქისტებს. ჩვენი' მშავლების ლაშქარ ყოფილ. სათაე მაუვლავ ბადუს ბაძიგათას [ბაძიგან ძალიე(ნ) მონან ხალხნ ყოფილან, მამაცნი!]. შამაუთვლავ ქისტებს: „ზავის ქნა თუ გინდათავ, თოფებ მაგვეციოთავ: ნიაის თოფივ, გიორგით ბათაკაისაივ, თაძიაისაივ (ჯალაბაურთ თაძია რო ყოფილ). ნიაიც დათანხმებულ, სხვებიც, მაგრემ ობოლათ ბათაკას, ნიაის სახლისკაცს, თქვენ პაპას უთქმავ: „ნიაის თოფსავ ერთ ნემსს არ მაგხვსნივ, რო კაცის კიაპ არ დარჩასავ!“ უთხოვავ ხალხს ბათაკაისად: „ვქნათავ ზავივ, მივსცათავ თოფებივ, ტყუილა(დ) ნუ დავიჭოცებითავ“. ბათაკას მაი(ნც) არ უქნავ, არ დაუჯერებავ.

ბადუ თუ იმღერს სათავეჩი, უხარის, მამწყვდეულ რო ხყავ ლაშქარი: „ათიან-თორმეტიანნ მასრანივ მზას მქონავ, მზეივ მაღლა დგასაო' ომის ხანიც მაქვავ, ნუ სწუხდებითავ“—ეძახდისავ ბადუივ ამხანიგებსავ“.

გაუგავ შატილ ბერ-ყმაწვილებს, ვინც შინ მამრჩლებ იყვნეს: ჩვენ ლაშქარ მაიძწყვდიესავ. მანგიაის ჯელმძღვანელობით წასულ აქით ბერ-ყმაწვილებრ, მაუვლავ ქისტებისად სათავეი' მიუთოფიან. რო უნახავ ქისტებს, რო კიდევ მავიდავ ჯევსურ-მშაველთ ჯარივ, გამაუშვიან ჩვენ ხალხი. „მამწონსავ აის ცღერაივ, ჰალაით რო ამადისაო“ ეს რააღაღ ნათქვამი?—ვეკითხები მთხრობელს. „იმაად ნათქვამი, რო ბოლოჩი ნამყოფებ ქისტებ ერთ ნიას მაუკლავ, ერთ მშაველს. ქვენით ტირილ-წკმუტუნ თუ ამადიოდისა' ბადუს ქვე არ მიზდიოდის, ბადუ „ილალა“-ს იძახდის. ნიას უძახებავ ბადუსად: „აის სიმღერა მამწონსავ, ქვენით რო ამადისავ, ბადუო, შენ სიმღერა კი არაიავ, ცოტაის ხნისაიავ“—მიპასუხებს მთხრობელი (ალ. ჭ.)

სოფ. შატილი

96. ნია

თიაყათ სიმღერე:

ჰირთამც დავხპარავ ნიასა, ნიაის ნიას, პირჩია.
გაუმართებავ ჯირიმი, ტყვიას აგრილებს ძვალჩია,
სახელს მათურლებს აძლევდა: „დაიკვეხნიდი(თ) ქალჩია“...

სოფ. შატილი

97. ნია და გოჩგი

კოკო-თიაყათ სიმღერენი:

ტერელოს-ჰალას, ყორანო, რაად ეთელებ ჩდილსაო?
არიან ნია-გორგინი, მაზდევენ თავის ჰირსაო.
ცგზავრულა(დ) ჩამაიარეს ჰალაი კერნატისაო.
კოხკიტეს სოფელს მაუსხდეს: „მდენელ გამავა ცხვრისაო“.
შენ დედამც ცხონდებ, გორგიო, ძებნა ეგრ უნდა მკვდრისაო!
შენ რაღა გითხრა, ნიაო, წკეპა ამადის ჯმლისაო.
დაბრუნდეს ნასახელარნი, მგელნ დეერივნეს ჩდილსაო.
შინ მასვლა მაუხაროდა, დაკვლა საკარგყმო ცხვრისაო.
ჰაბუკა მაუყვანავა, საქვაბის კარზე ძისაო.

მაგათ უშუღლავ კოხკიტეს. იქ ტყე არ-ა, სოფელი სრუ. კერნატეს ციხენ შენც იცნი, კოხკიტეს გამაკვითი(გ) რო დგან. იმათ უფიქრავ: „ამ ველჩი ვერცა(დ) წაუვალთავ, გამაგვიდგებიანაო' მაგვეწევიანავ, კერნატეს ციხეჩი 'მაეასწვრათაო' აიქ გაუმაგრდათავ. წვიმიან ყოფილ მაშინ. გორგის რო თოფ უსრევავ, დაუჭეხნებავ

ცასაცა' ერცხვაჩი გახვეულ ცის ჰეხაი' თოფის ჴმა. ჭისტებს ვერა გაუგავა' მშვიდობით წამასულან ნია-გორგინ ქვე.

სოფ. შატილი

98. ბადურიკანი

ბადურიკათ სიმღერე:

ტერელოს-ჰალას, ყვარანო, რაად ეთელებ ჩდილსაო?
არიან ბადურიკანი, მაზდევენ თავის ჰირსაო.
გაუყოლებავ გორგიი, მჭერელ არ ურჩევ მჴრისაო.
აბასა-დ' ნათელისძესა იმედ აქვ ერთუთისაო.
საღირათ თათარიშვილი საყუჩი იცინისაო.
ვაქე(ბ)მ დაისწვრეს თოფები, ჰალა აივსა მკვდრითაო.
შინ მასვლა მაუხაროდა, დაკვლა საკარგყმო ცხვრისაო.
ოთხ მაუკლავ მაშინ მაისტის წყალზე.

სოფ. შატილი

99. წიქია

ბადურიკათ სიმღერე:

უთხარით ბადურიკათა: დაკლან საღმერთო ცხვარია.
წიქია ნუმც მაგიკვდებათ, გყავთ შურის მაძებარია.
თოფს დაუმატნა წამალნი, ტყვიას ახვრია ძვალია.

„წიქიაის წყალანივ", რო ვიცით, აის წყალან აიმ წიქიაისად დალოცვილნი.

სოფ. შატილი

100. ჟანქია

შატილს ყანკია მახქადის: „მავალ, ლეკნ მამიდიანა!"
„მავიდან ცხენის-მჭამელნი, მავიდან, რას ელიანა?!"
ახლებმა შატილიენებმა ყურთ ფათვლად ჩაყარიანა.
ბევრა აქვ ტყვია-წამალი, მთას ყარაულა(დ) დიანა.
ზეთას-თვლის ბანზე შამაკდეს, ფერჴისულ ჩააბიანა.
კაცი ჴევსურეთ წალალეს, მეძალეს აწევდიანა.
ჴევსურნი ნახალიზარნი მთას ცხენით გადმადიანა.
წელთ—ჴმლები, თავზე—ჩაჩქნები, ქაის-ყარ მიდ-მადიანა.
მაუდის ბაგრატაულთა, მამით შვილამდე ცდიანა.

შამეეტანა ხახონი, მგელს ლეკნი მიურბიანა.
ჴმლის ხახონისის ნამტვრევნი ყანის სიმირგვალთ ხყრიანა.
ერთს ლეკსა ხუთნი ჴევსურნი აჩხატას ჩაუდიანა.
ქაჩუს-ძირ წყალსა გაყარნა, ათხირას გადუდიანა.
ამანდით დაქცეულებმა ჩაჩქნებიც მახკარგიანა.
ვეძაზე როსაც მავიდეს, ნიფხვები დარეცხიანა.
შინ ცოლებს მაატყუებენ (კარჩი სწორთ რას ეტყვიანა?):
„მაეკალით ორ-ოლ-სამ-სამი“...—მკვდარ თვალით არ ნახიანა.
აქ ჴევსურებ მასულან შატილიონთად მჯრის საპერლად, მაგრემ ვერ უშუღლავ, ლეკებს მაუშინებიანა' აიმაზე ნათქვამი ეეგ სიმღერე ჴევსურების სასენოდ.

სოფ. შატილი

101. ჯორუათოელი ზეითა

ერთ ჯორუათოელ კაც ყოფილ, ზეითა ხქვივნები(ვ). ძალიენ მავარ კაც ყოფილ ზეითა. ზეითა დაღმუქრებივ თუშთ, ჴევსურთა' მშაველთ. წაულალავის ჩვენის მამის კაც იმედა ზავის სათხოვლად. სუყველას ზავ უქნავის მითხოელთ: ჯარეგიონს, თერეთეგოელს, ჭამალაღოელსა' სხვაკნურს. ჯორუათოს მისულარის ის კაცი' იქ ზეითაისად უთქმავ: „ეესრავ, ზავს ვჩადითავ, შენ რას იტყვივ?“ ზეითას უთქომავის: „ეემ იდაყვჩიამდი დაბანილნ მჭონავ მკლ ავნივ ქრისტივნის სისხლითავ; მჭარჩიამდი რო დავიბანავ, მემრ გიქამთავ ზავსავ, სხვად არავ“.

ზეითას პურისად შაუყენებავ დიაც, პურ უნდა ეჭმივ. იმედას აღარ დაუცდავ, ამდგარ ქოოდა' გამასულარის, პურ აღარ უჭმავ. შამაუვლავ. სახანოს ძმობილ ხყვანივ, იმას დაუწყავ: „შამეედივ, პურ ჭამევ“. „არავ, აღარ მშივისავ—უთქომავის იმედას,—ზეითამავ წურვილიან ჯამ გადამაწურვიაო' ასუყვილ მავალივ“. ჩამაუვლავის, ერთ ღილღველ მჯდარ სახანოს ფეხონჩია' წყალზე რო მასულ [იმედა] დაუცავ შუბის ტარ წყალჩია' გამფრინდალ, წყალჩი არცრუ არ დაცემულ. „უურყანის მადლმავ—უთქომავის აი(მ) ღილღველს,—ეეგ ქრისტიანივ კაის საქნარად კი არ მივავ დღესავ შინავ“.

შაუვლავ იმედას ღამით, არც აქ [შატილში] გაუგებიებავისა' წასულ, ქოო ლაშარ მისულარის. დილა რო გამასულან, მშავლებს უნახავ ნაბდიან კაც შამაწოლილი' უფროსებისა(დ) უთქომავის: „კაც რაიმაევ შამაწოლილივ ნაბდიანიო' რა კაციავ, არ ვიცითავ“

ხახა ყოფილ იქ უფროსი, თავიან კაციც რაიმ ყოფილ ისი, ლაშქარჩი წინამძღვრობაიც ხქონივ იმას,—აიმას ჩაუხენებავა' უცნავ: „იმედაიავ ეესივ, შატილიონივ, ჩემ ძმობილივ"—უთქმავ. ' „ერთ რაიმ საქმე კი აქვისაე"—თქვაეო' დახურავ იქავავ აი(ს) ნაბადივ.

როსაც ამდგარ იმედა, უთქმავ: „ეესი-დ' ეეს მითხრავ ზეითამავ. სხვამავ ყველამ ზავის ქნა თქვაევ. ეეხლადავ იმასავ ლაშქარ უნდა დავსცათავ, სხვადავ ისივ ჩვენ დამნდო არ არსავ"...

წამაუსხმავ ჯარი. ჰევსურიც რეულ იმაჩი, თუშიც. სალაშქროს ჰალას დაულამებავ, ააქ არ მაუსხმავ: „ჯმა გამიეარდებავ". სიმღერენი:

სალაშქროს ჰალას დაგროედა მშაველ-ჰევსურთა ჯარია.
„გაგვიძეეღ, ბაგრატაულო, გწყალობს გუდანის ჯვარია!"
იმედა გამაუძღვების, მთის ქორმ გაბერტყა ნამია.
იმედას დაუჴელიან გოგოთურაის გზანია,—
ჯარ დასცა ჭორუათოსა, ძირით გადმაყარნეს ქვანია.
ხაიკა ჯალმექაური საფეხენოს დაწვა ჯარია.
ზეითას ჯალმექაურსა ბაზდეთ იჭერენ ცხრანია:
„აქით გამიშვით, ქალებო, შორით დამიგით თვალია".
ზეითაისამ ნიკორმა გამაახანნა გზანია.
რაად დატეხით, ლაშქარნო, რად შამაგედვათ ზარია?
გზას უძის ტურაიშვილი ყმა ყმისად შასადარია.
თოფმა, ზეითავ, დაგეეხნა, ტყვიამ დაგიძრა ტანია,
მამკლავ კი არ გემალება, გაგიყვა ნაკენჭარია.
თუში ჩიოდა ბუჩაი: „მგელს ვერ უჭირეთ მჯარია,
მარტო ზეითას ჩაუჯდა, ნანაისძისად ბრალია"...
ქალნ ზეზეგორას ატირდეს, ძირით დაიჯრნეს თმანია:
„დაგვლივნეს ტურაიშვილთა, ცეცხლზე დაგვისხეს წყალია"...

ნანაისძეი' ჩუა ძმან. ყოფილან, ამა(გ) ბულოურ-თან ყოფილან. ი ნანაისძე ძალიენ ბრიყვ-მამაც ყოფილ. მალულჩი წასელა იმათ მიღრგები(ვ) ორთავა' ჩუა წასულარისა' საფეხენოჩი მისჯდომივ: „ზეითა აგებ მავკლავ, თორე ნანაისძე რო შახვდასავ, ადვილა შაავკდებავ, ბრიყვ-მამაციავ". გამაჩენილ რაიმ საფეხენოჩიითა' ჩუას ზეითა ღგონებია' დაუკრავ იმისად თოფრ. ის ხაიკა ყოფილ ზეითაის ძმაი... გატეხილ ჯმაჩ.

ზეითა ბაზდეთ წასულ ყოფილა' აიქი(თ) გამაქცეულ. გამაქცეულს იმას ნანაისძე დახვედრი გზაჩი, დაუკრავ თოფი. მანამ ცხენზეით გადავარდებოდ, იქავ მაუსწვრავ, შამაუბრუნებავა' დაუ-

კრავ ნანაისძისად, შუბლზეი(თ) ტყავ აუღებიებავ, კინაღ მაუკლავ. გონ ახჴდივ ნანაისძესა' ჩატენებულ საყუჩჩი. თუშ მისულარისა' დაუწყავ ძახილრ: „რა სქენივ, ნანაისძეო, ქვე მახკვედიაევ?“ „არავ —მასულ ნანაისძეიც გონთ—არ მავკვედივ მე კიაო' ამა(გ) ძაღლმ რა ქნაევ?“ „ეეგ კი მაკვდავ, შენ ჰირ წაიღავ“—თუშს უთქომავ. ზეითას მუქარითა თავიც მაუკლავ, ძმაიც; საქონიც წამაუსხმავ მაშინ ლაშქარს.

ზეითაის მაკვლა თუშისად დაუბრალებავ, ბუჩაისად, იმისად მიუცავ სახელრ. სრუ ეეგრ უძლევავ წინავ სახელი: „ჩვენავ მეზობლებ ვართავ, ჰირს ნუ გავიჩენთავ“. ბუჩას თავის ჴმალ-იარაღ ნანაისძისად მიუცავ სახელის ფასად. ჴმალ აისიოდ არის ბულოურთ ნაქონი, თქვენ რო გაქვთ, მამაშენს რო აქვ.

ზეითა ეეხლადაც იქავ-ა ჯორუათოს, ეკალდანაჩი. ქისტებ სუდარსაც სადამ უცვლიდეს იმას, ძალიე(ნ) პატივს სცემდეს იმის გვამს. ააქ, ფეხონჩი ერთხან შუღლა(დ) გამაუვი(დ) კაცუსა' გიხუას [კაცუი' გიხუა ჯორუათოველებ იყვნეს, ჯარავანზე გვედგეს, შენა(ც) გეჴსონებიან, შენს ყმაწვილობაჩი იყვნიან აქ]: „ერთხან გამაუცვალეთავ სუდარივ“—გიხუა ამბობდ, „არავ, სამ-ოთხჯერაც გამაუცვალეთავ“—კაცუ ამბობდის.

გიხუა ამბობდის მაშინ: „წვერივ ეეხლადაც აისეთაივ ასხავავ. მე რო ეესთა ყვითელ წვერ ასხავავ“. მემრ ყარიმანსა(ც) ენახ შარშ-შარშასწინ სადა-მ, თუ გინდა, ჴკითხი(დი). ერთნ სიძღერენ კიდევაც არიან ტურაიშვილთაზედ:

აჴვათით მზირი გამავა, გამახყვ გულ-უკულმ ჯვარია.
შატილ პირდაპირ ჩამასხდეს, შატილვ, დაგავლეს თვალია.
გააღეს შუღამის დროსა ქავს-გარეთ ბოსლის კარია.
დედა შვილთობით იძახდა: „მაეიდეს კედის ჭკვანია,
შინით ხო არ გამაგვგვარეს სტუმრის ქორაი ჯარია?“
ადგიან ტურაიშვილნი, აისხეს საომარია,
ფეხვნის-ძირ ჩამამდინართა ქალ-ზალმ დასწერა ჯვარია.
გავიდეს ქუდ-საჯდელასა, პირ-წაღმ ილოცეს ჯვარია.
ტყემლოვან ამასაესა მაჴელეს ჯარის კვალია.
ტუტილის-კიდურ გავიდეს, როგორც დაუღვლილნ ჯარნია,
მითხოს-ჩდილ ჩამამდინართა ქორას მააბეს თვალია.
ქორიალამუს ვაჟებმა მარცხნივ აართვეს მჯარია.
ნაომარ ჩამეეწივნეს: „სა(დ) მიგყავთ სტუმრის ჯარია?“
ჯერ ხო შენ დაღლევ, ჩუაო, მემრ ნანაისძის ბრალია,—

თუ საშინებლად ესრიე, ტყეიამ რად დაუჭრ ტანია?
ძმათ სატუქსაად გაუჯდა, ახკრეს ერთმანეთს მჯარია [1].
„მკვდარი-ღ ჩავაგდათ წყალჩია, იქნებ დაღმალავდ წყალია;
წყალმა თუ არ დაგვიმალა, ზურგზე დავაკრნათ ქვანია“...
სრუამც გბავ, ნანაისძეო, რაიც ამანდ გებ ჯმალია!
გაღრეცხე ბაზდეთის ჯორჯა, წითელ გამადის წყალია...
აკაფეს ტურაიშვილთა სტუმრის ქორაი ჯარია.

მაშინ ჩუას უთქმავ: „საშინებლა(დ) მივაყართავ“. ნანაისძეს საშინებლა(დ) უსრევავ, ჩუას ქვე დაუკრავ. სწყენივ ნანაისძეს, დასწყრომიან ერკუაას. ჯჳლით უცავ მკვდრის ქისტისად ნანაისძეს. „ჯიბაჩიავ სალეს-სამართებელნ სხმიანავ აი ქისტსავ—იცოდიანა' —დაწყვეტილნ იყვნესავ აისენიცავ“. აი(მ) ჯარისად კაჩან შამაუჭრიან—„ნუღარ გამადგებაო'“—აისეთა გაუწირავ. აის ნანაისძის ჯმალ მემრ ნათელისძეთ გიგიათოოდ ხქონდის. „ე სამნ ჯმალნიავ —იცოდიან—ერთ-ჯურანივ, ერთ ქარქაშჩიაც ჩადიოდიანავ“.

სოფ. შატილი

102. ლაშქარი შატილში

შატილ მავიდა ლაშქარი, შატილ პირდაპირ აესხა.
ქალ-ზალი შატილიონთა უკუდურაჩი წაესხა.
ყაწმიანებს ვაჟებსა ქალ-ზალიჳხიზნად გაესხა,
ერთა წაელა ქვაბაი—ზისვრის დუღილჩი დაეწვა.

სოფ. შატილი

103. შატილს

ნისლი შავი(თ) ზღვით მასულა ადგილსა ნაპირისასა.
ვერ გაუტეხავ შატილი ლაშქარსა შამილისასა.
ქვიტკირნი კირით ნალესნი ქავს მაივლევენ ქვისასა,
შიგა სხავ მეთოფეები,—ფერს დაიდებენ მგლისასა;
დღისთავად ატირილებენ ქალ-ზალსა ქისტებისასა;
წამაველენ ნადირობადა—მუქარას ჯიქვებისასა...
მიხარის თქვენი სახელი, მასვლას მაველი ძმისასა.
მე კი გაგწირავ, შატილო, პრიხოტს ავირჩევ სხვისასა.

სოფ. შატილი

---

[1] „დასწყრომიან ერცხვას“ (მთხრობ. შენიშვნა).

104. ჯალაბაურთა დაკოცა ღალატით

საგინავ გიორწმიდელო, კაცი მასტყუევდი ჭკვიანი:
ყანა ხჭან, თესლი არ სთესე, ლუდი ადუღე სვიანი,
აწიენ ჯალაბაურნი ჱამით შვილამდე მტრიანნი,
არ წამაგივა წევითა საყურაისძე ჯმლიანი.
მშავლებიც დაგიბარებავ,—გიორგი გულდაღრიანი...

გადად-გადმადის მშავლები, ეძახან ვარდანასაო:
„ვარდანავ, კარჩი გამოდი, ნუ მაიმთვრალებ თავსაო.
თას თუ გიჭერავ ჯელჩია, ძმას მიე(ც) მგელურასაო,
ფანდურნ თუ გჭონა ჯელჩია, მისცენი ცოლისძმასაო“.
„გამავალ, მჭედლურის მზემა, გამავიყოლებ ჯმალსაო:
წალმაც დავიქნევ, უკუღმაც, რუსულ რო ჭრიდას ძვალსაო!
საკაცი(თ) წაგაღებიებთ გულდიდს ქალუნდის ქმარსაო,
მარჯილით გათრევიებთა დრუზაულასა მკვდარსაო!
ვა თქვენს ვარდანას, მშავლებო, ვერ გადმავედი ქავსაო,
ქავზე თუ გადმავსულიყავ, რიყედ დაგყრიდი(თ) მკვდარსაო“...
ქავშიგით აპრიალებდა ვაშკაც ტიტველას ჯმალსაო...

სოფ. ხახაბო

105. ფშავლებისა და ჯალაბაურთა ფულლი კონის ორწყალში

ავარდა ლაშარის ჯვარი გიორგი გულდაღრიანი;
ბოროლა ამაიარა მთანი ხქონ თვირთვილიანნი;
ჩაუდგა ჯელმოკლეზედა, ჭალა ჩაუდის წყლიანი...

მაღლა ნუ დახვალ, ყორანო, დაბლა დაუშვენ მჯარნია,
ჩახედენ ჯონის ორწყალთა: სისხლსა წვიმს, ზეთ ხო დარია.
ომობენ ჯალაბაურნი: წიქა, მჭედლურა ძმანია.
წიქას არ გაჯმარებიეს ჯორით ნაყიდი ჯმალია.
ჯმარებით რას არ იქმაებს?—ტყვიამ არ დასცა ხანია...
მჭედლურამ ძმათ უარემა ღება სიათის ტალია,
ცხრანივ იძებნა ძმა-შინშნი—მეათე თავის თავია.
ოზუამ კარგად უჭირა დისწულმ დედისძმათ მჯარია:
გადმაგიქნია, მშაველო, ქისტმა ნალესი პირითა,
გადაიშალა ქოჩორი გადაპოხილი ტვინითა;
დაგაგდა ჯონის ორწყალთა, ღამეთ ათენებ გმინითა.
პური თუ მაგშივდებოდა, ბუსნას მაღგლიჯე კბილითა,
წყალი თუ მაგწყურდებოდა, სისხლ შასვი ჩაჩქნის ჯამითა...
ბაიავ, სოფლელნ გშურობდეს, აწ დაძღან შენი პირითა!..

ბაია აეედრაული მთათ მენადირე ქორია,
უნადირებაე წიქაი, „თაეად შინ წაეალ“—ღგონია...

ჯალაბაურნ ხათაბალან ხალხნ ყოფილან. ბოლოს რო დარიგებულან მშავლებსთან (უფროსებმ თქვიან): „ერთ ტაერო კენჭა დაგროვდაე ჯალაბაურთ ნაჯოციასაიე სათვალავიე, მშაელებისად გადამეტებულიე“ (ანაბრივ კენჭ ჩააგდეს: ვითვითა ხყვანდ ნაჯოცი ერთუცისაი). ჯალაბაურთაზე სხვაიც ბეერა სიძღერეი.

სოფ. ხახაბო

106. თათართ ყამარისძე

შატილ თათარის ციხეო, წვერ ცამდი გამაღლებული,
შენ თათართ ყამარისძეო, სოფელ გაქე გამაგრებული.

სოფ. შატილი

107. თათარიშვილნი

შატილ თათარის ციხეო, წვერამდი ჩარდახიანო,
შიგ ნადგომნ თათარიშვილნო, წყრულიან-სახვიელიანნო...

სოფ. შატილი

108. თათარი და შშაგლები

თათარი ჯალაბაური საფეხვნოს იჯდა ტყავითა;
აიყრის ჯაჭე-მუზარადსა, დახკეცს, დაიწყობს თავითა;
ლაშქრად მასულთა მშაელთა ეკებებ სტუმართავითა;
გამააბრუნებს ქაჩუსა, აგორებს დათვებსავითა;
უკენ შეილთ გამაუყენებს ლეგის მგლის ლეკვებსავითა.

სოფ. შატილი

109. გარა თუგმანაული და ვარდანა ჯალაბაური

სულ-ცხონებულმა გარამა ჭმელეთი დაიარაო,
შაყარა მძიმე ლაშქარი, ბოროლა გადიარაო,
წითელ-ყვითელმა დროშამა წუბრო(ე)ან ჩაიარაო.
კისტანს ატირდა ბებერი: „ჯარით სად მიხვალ, გარაო?“
„შატილჩი მივალ, ბებერო, ვარდანამ დამიბარაო,
მე-დ' ვარდანმ უნდა ვიომათ, უნდა იქეხნას ცამაო,
ჭვერდ უნდა გადაიქციას ვარდანის ციხის ქვამაო,
ცრემლით პირ უნდა იბანას შუქომ ვარდანის ქალმაო“...

„ვაიმე, მენანებოდი, გზან ჩაგიდიან ტყიანნი,
ჩეეს რო ქვეც ჩაიარა, ამაელა გექნებ გვიანი.
თავა(დ) ძნელ(ნ) მეთოფენია, ჯვარი ხყავ დავლათიანი,
თავადა ნაყენ წამალსა, ბაკნითა უდგან ტყვიანი“.
„მუქარით როგორ დავბრუნდა, ქალ ხო არა ვარ თმიანი?
გარა ვარ თურმანაული, ბევრ-ბევრკან მიქნავ ზიანი,
მიწოცავ ლაშარის გორა ქისტის ჯარები რქიანი.
მეუბნებიან იმასა: „შატილ ქონებიანი,
ცხვარ-ძროხა შატილს ბევრია, ქალნ სხედან ოქროსთმიანნი“.
მივიდეს ქუდ-საჯდელასა ლაშ-ართიმულნ ცხენნი ტიალნი,
წინ ედგა ლაშარის ჯვარი, დროშაი საკადრიანი,
იკითხენ ჯალაბაურსა: „წიქაივ რომენს ხქვიანივ?“
„ეეწ მავიდა მითხოთა, შამაჯდა პირ-ოფლიანი“...
— ნუმც გაუზდივარ დედასა, მშაველნ(ვ), ვერ გიყვათ ზიანი!..

სოფ. ხაბაბო

110. ჯალაბაური თათარი

თათარო ჯალაბაურო, შვილს ყამარისძე ხქვიანა,
გიორგის რად აეკიდე, ჰკვა მაგას არ მიქვიანა.
წყლის პირჩი გიდგას ქვიტკირი, ზედ ირმის რქანი ხკრიანა,
კუთხზეით ქვანი დაღგლიჯნა, დღესაც სიმურჩი ხყრიანა.

სოფ. შატილი

111. აჯვანი და შატილიონნი

დაგვეცა სათენებოდა ჯარ მძიმე აჯვაისაო.
ჩოთათა გოგოთურამა აავსა ქავი მკვდრითაო,—
სანამდე სხვან გაიგებდეს, ერთ წინავ მაკლა ხითაო.
აცათ, დაიცადეთ, აჯვანო, კარი-ღ გაელას ცისაო,
გათენდას, გამაჩინდება თქვენი და ჩვენის ცდისაო!
დედა ვაჟისა ვაცხონე ბაჩაყაურის მგლისაო:
ქავს-გარეთ გაუმაგრებავ ეეგ ცალბანა ქვისაო.
ბულოთ ლაგაზამ ატირნა დედან აჯვაჩი ჯმითაო.
ჩიოდეს შატილიონნი: „ვალ ნაჯად გვქონდა ხთისაო“...
ბრალ თქვენი შატილიენებო, თავს არ ულევდი(თ) ჰირსაო,
დახყარეთ ჯალაიელთა ბეგარი ერთის ცხვრისაო.

ჯალაიელნ ეეგ'დიჩინნ ყოფილან, ჰანთნი; იმათად წელჩი ერთ.
ცხვარ უძლევავ შატილიონთ: „ახა ლაშქარ გვეცემოდასავ, შაგვა-

ტყობიიდითავ. ბეგარ აღარ მიუცავა' აღარც იმათა-ღ გაუგებიებავ. სადიჩინო ყოფილ ამა(გ) ჭანთეთ-ტერელოს, ისენ ღმეტებიან სრუ-ყველას, თავიანნ ხალხნ ყოფილან, ზარიანნი.

სოფ. შატილი

112. მითხოვლები და შატილიოწნი

მითხოველებ დადიდებულან, არ იყვნეს კაცის წარზედა,
ყრიან უდუმლა(დ) ლაშქარსა, ჭმას დაიგდებენ სხვაზედა.
აცეხ მუშას დაბრიყვებულსა ჩამაეხვივნეს სამზედა,
შამაეგება ახლები, სტუმართ რო მასპინძელ კარზედა.
თოფი დაღრიეს ერთუცსა, კვამლი დაღბადეს კვამლზედა.
კვირიკა გორგალათაი ურჩოდ დაკოდეს მჭარზედა.
ქურსიკათ ბადურიკამა არ ჩამაუშვნა მკვდარზედა.
ყმაწვილი თორელიშვილი აღარ-ა კაცის წარზედა.
თოთიამ თორელიშვილმა მაჟარ დაიბრუნ მკლავზედა.
დაგიკრათ შაკოროშვილსა: „ძაღლებვ, სადილ გინდათ გზაზედა!"
ცაჩი უძახეს ყორანთა: „ჩახყევით სისხლის კვალზედა,
ამბავ მალე მაგვიტანიდი(თ), მკვდარ ვის დაუწვებ კარზედა!"
მითხოს ატირდეს დედანი, ქალნ ქარსამაულთ კარზედა.
კვირიკას ნუ დაიცილებთ უფროსნ დარბასის კარზედა,
ამა(ნდ) ნამყოფებ ახლები სათაეს დასხი(თ) ჯარზედა.

სოფ. შატილი

113. გაძიგათ ბადუ

ბადუსა გაძიგათასა საქმე არ ხქონდა შინაო,
აწევდა მითხოელებსა: „მე გაგიძღვებით წინაო!"
ოროლთა მაჩურიშვილთა წუბროანს უძეს ბინაო.
არ ქნილა შუალამეი, ჭმაწმ იდამ დაიკივლაო.
„შარშანდებულად მაგინდავ!"—ლეგუამ გაიცინაო.
ჭელზეით შამაგიბრუნა თავისფერ ლურჯი რკინაო—
არ ვიცი დაგცდა, ბადუო, არ ვიცი—მაგიწვდინაო.
ეძახან აჭხანაგები: „ბადუვ, წავიდათ შინაო!"
ბადუ შინ ველარ წამავა, წუბროანს დადვა ბინაო,
თავადაც გვერდი(თ) დაუწვა, მაგარი დაიძინაო.
ლეგუამ გამაიწივა, ვაჟიკამ დაიჭირაო:
„ძმაო, ნუ დავიჯებით, ცოცხალნ წავიდათ შინაო".
მშაველებს მაუკლავ მაშინ ბადუ.

სოფ. ხახაბო

114. ძეჩან ძეთელაური

ქეჩან გუდანელთ სიძეჲ-ყოფილ, ბისოელჲ. გუდანელთ ორნ ძჳან დაუჴოციან იმისად. დაძინებულთ გუდანელთ მთიბლებს გამაღრევჲ ქეჩანი-დ' თერთმეტ კიცრ-მოუკლავ. მეთორმეტე ცოლის და შამახკვდომივ, უჩინჩი ვერ უცნავ.

ქეჩან ორ ქეთელაური, დანო, გამიღით კარია,
ვიძებნენ გუდანის-თავა გალოსთაურად ძმანია,
მეთორმეტესა ლელასა ცოლის დას შავსჭერ თავია,
ქალი ქალობით ვერ გავსცან, სანამ არ ვნახენ თმანია.
ჩამოვიარე გუდანი ცოლეულების კარია:
ზენ-უბან იდგა ლუდები, ქვენ-უბან ისხდა ჯარია...

სოფ. ბისო

115. ულაკაურის შვილნი

ერთი ავარდა სიკვდილი, გუროე, მაგიდგა კარზედა;
კარი დაუბვდა მაგარი, ძლივ შაუვიდეს ძალზედა.
ბრალია, ულაკაურო, ხანჯარ არ შაგჩა ტანზედა.
ხოლიგას დაინატრიდა, გულ მიერჩოდა ცდაზედა...
ხოლიგა მიუე ბათაკას: „შენ დამაყენე გზაზედა,
ნიასაც გავაგებიათ,—მტერსთან დაველათ აქვ ცდაზედა."
ვაჟე(ბ)მ ჩაიდვეს საგძალი ერთუთის პირობაზედა.
შაჴდიან ბნელების დროსა მაღალს შვინდეთის მთაზედა,
ჩაუსხდეს ოჴშმობის დროსა ითირათ დახკას კარზედა.
შინ შატანებას ამბობენ, სანთებ მაიღეს ბანზედა,
დააყარიან თოფები, ტყვია აასხეს ტანზედა.
შაგწირეს, ულაკაურო, მალ-მალ წაღლალი(დ) წყალზედა.
დაბრუნდეს ნასახელარნი, არას ამბობენ წარზედა.
ამა(გ) ქართულებს ვამბობდი, ქავის-კარ ვიჯე(დ) სკამზედა.
გამამიგზავნეთ მაშთაგი, ქუდ რო დავიხურ თავზედა.

ულაკაურ მაუკლავ ქისტებს, ყელ მაუჭრავ. ბათაკა ანატორელთაი' (ულაკაურის სიძე) ნია თიაყათა გახყოლიან ულაკაურიშვილს ხოლიგას. ქორწილჩი მიხპარებიანა' სანთებ რო გამაუღავ ბანზედა' ლხინ დაუწყავ, მაშინ მიუყრავა' მაუკლავ ერთ ქისტი.

მეორედ კიდევ წასულან ულაკაურიშვილნი იდუაი და ხოლიგა, ბაჩაყაურთ აპარეკა გაუყოლებავ. მეორედ იმი(თ) წასულან, რო უყვედრებავ ვისა-მ: „მამაივ უძებარ გყავთავ". ანაბრივ აი(მ)

ტერელოს მაკლულ კაცს არ უთვლიდიან შურის ძიებაჩი. დაჯავრებულნ ისენ კიდეე წასულან. მაშინ ორნივ დაჯოცილან ისენი:

აკნეხ აყეფდა ყვარანი: „ხანია ველობისაო!“
ველობა გაუბედავა ულაკაურიშვილთაო.
მაუელენ აპარეკასა: „მჭერელ სხვა არ გვი(ნდ) მჭრისაო“.
ბოსოხ ჯიდის-ყურს ჩაუსხდეს, ცას მასკვლავ გადადისაო,
ელიან გათენებასა, ბოსოხ გამასვლას ცხერისაო.
მაუ(ვ)ა კაის მაქმედი,—ალი ახვიეს პირსაო.
ჯიდნ გადაყარნეს წყალჩიგა,—იმედ აქვ მდიდრის ტყისაო.
მაგათ ის არ მაღგონდება, ქისტებს მცურავ ხყავ წყლისაო.
ქისტები ტიტველეები წყალს ცურვი(თ) გამადისაო.
თოფი ხოლიგას დაუკრეს, მუკლი მასტეხეს მგლისაო.
ანდრეზად არ მადი.ოდა საყუჩად დება ძმისაო.
ყელ-ჯრელი იდუაისა მზის-პირს უკმობდა, ჩდილსაო:
„ხოლიგაისადამც იქნებივ!“ (ცოცხალ, ყურთ მიზდისაო!).
„შინ წეედ, აპარეკაო, წასელა წესია მთლისაო,
მე ვერ გავსწირავ ხოლიგას, ძნელ გაწირვა ძმისაო.
უამბი(დ) ჩვენსა დედასა ჩვენი' ბოსოხელთ ცდისაო,
ბებერი ჩვენი დედაი ბუქნას გალმართებს, ლხინსაო“...

იდუაი' ხოლიგა ქერხოსანათან იყენეს, აპარეკა ბაჩაყაურთა იყვ. მამაშენს იმისაიოდ ხქვიან სახელი. ის მქისე ყოფილ ძალიენ. მამაშენს არ უუბნავა?—ის ნადირთად ფენდაფენ მიმყოლ ყოფილ. იდუაი' ხოლიგა ორნივ ჩაუჯოციან ბოსოხის-ძირ. იმათა(ც) ბევრ უკოცავ.

აპარეკამ თქვისავ: „უკენობასავ ხოლიგაზეით აყრიდავ იდუაივ თოფსავ: საყუჩ რო ველარ მაველავ, მკვდარს ძმას მაეფარაო' აისრ შუღლობდისაე“. აპარეკაისად დაუწყავ: „გაიქეცივ, შენ მაინც წაიღივ ამბავივ, ჭოდ ნუ მაეიკარგებითავ, მიავ ხოლიგას ვერ გავსწირავავ, ააქ სიკვდილ მირჩევავ“. წამასულ აპარეკა, ველარ მასწევიან, ტყეჩი შამაუსწვრავ.

„ერთს კვირაეს ვემალევ ხოლიგა-იდუათ დედასავ—თქვისავ აპარეკამავ—ცოდვით მნახავ არ ვიყვიდივ. მემრავ შინ გადმამიჩინდაო' ქოო(დ) ზედ გამებურავ, კოცნა დამიწყავ“... (ღმერთის მა(დლ)მ, წიქავ, ცრემლთ ეეხლადა(ც) ვერ მავიპივრებ, ახა ეეგ ამბავ მამგონდას —შენიშნავს მთხრობელი, ალ. ჭ.).

ერთნ სიმღერენ კიდევაც იყენიან იმ თაობაზე ლაშქროის შასახებ, ეეხლა კარგა(დ) აღარ მაქსონან.

თქვენს პაპას ნიას გაუბედავ ლაშქრობაზ. ბოციათ ბაბოსა ბულოურთას ბერდიათ ბაბოს შლა დაუწყავ: „არა ძალ გეტანავაე, გურუელთ გულისადავ ჩვენ რაა(დ) დავიკლებითაე?“... „შენ ვინ გკითხავსაე,—უთქმავ ნიას ბოციათ ბაბოსად—ბოზობ-ქურდობაჩი კიდეკ რაჩი დაუდგებივ კაცსავ გვერდიავ! შენიმც ნია მაგიკვდებავ თუავ ერთხან კი არ დავხჭალნავ ჩემის ჭირიმის ჴმანივ ბოსოხის ციხესავ!“ იმ ლაშქროაჩი მაგრა უზარალებიან ბოსოხელნი.

მემრ კი ბერდიათ ბაბო კარგადავ მაქცეულ: ჩაუვლავ ჯღნის ყელჩი ჯელ მაკლულის ქისტისად, გაუთრავ წყლისკესა' უთქმავ გუროელთად: „გუროელნო, თქვენ ხოლიგაიო-დ' იდუაივ ჩაკაფნესაო' წყალს წააღებივნესავ, ის გაჴსონსთაევ?“ დაუვლავ გუროელებსაც ჴმლებისად ჯელი' აუკაფავ მკვდარჽ. „მარტო ჯღნიან ფჩჯიღა დამჩავ ჯელჩიავ“—თქვისავ ბერდიათ ბაბომავ“. მაგ ლაშქრობაზედაც იყვნიან სიმღერენი' აღარ მაჴსონან, თითო-ოროლ სიტყვა რაი-მ მგონდების:

გაყინა მარტის ახალი, ველარ გავიდა ჭარია,
ახლებმა გუროელებმა ბოსოხ იძიეს ვალია...

სოფ. შატილი

116. ბლოელი ბერდია

ბლოელ ბერდია ჩიოდა: „არ მიამს პური, წყალია:
მტერმა მიჭამა ხალიზი, რო ჩამეჴოცნეს ძმანია.
სხვაკან კი ყველკან ვიძებნე, საფერშეს შაშჩა ვალია.“
გაიგეს ახალ-ვაჟებმა, ცელებს დახყარეს ტარია.
ადგეს, ჩაიდვეს საგძალი, გადაიარეს მთანია.
ლამით კვირიკას გაუღეს ბათაკაიშვილს კარია:
„გაგვიძეე, მამის-დედულო, ყმაწვილთ გვასწავლენ გზანია“.
გაჴუძღვა მგელიაური, გააბერტყია ნამია.
საფერშის-ღელეს გავიდეს, ცამ რო გააღა კარია.
საფერშით ამაემართა ჭარ-ცხენი, მძიმე ცხვარია.
აჩქარდეს ბლოელთ შვილები, მუჯლებს შაუჯდა ქარია.
კვირიკა ეტყვის: „ნუ ჩაოლთ, ზეზერ შამაჭდას ცხვარია“.
გავარდა იკაის თოფი, გალოს მაგიდეს ჭკვანია.
კვირიკაისა მაჟარსა რისხვით გამაბჭონდ ჴმანია.
ნებიერათას კურდღელას არწივს ხკლებიყვნეს მჭარნია—
სანამ კვამლნ გაიკრიფნიან, შიშველ თამაშობს ჴმალია;
კურდღელამა და იკამა აკაფეს, ი რო ჭარია.

სოფ. ბლო

117. ბათაკათ იმედა

ღმერთი გაუწყრა ჯევსურსა ფასიევარაის შვილსაო:—
დურბინ ქალაქით მაიღა, ცოდო დაიდვა სხვისაო;
გუროს ბათაკათ იყიდეს: „მიყოლა გვინდა მტრისაო“.
ბათაკათაი იმედა წინას მიხყვების ჭირსაო,
მალ-მალე ამაიგმინებს: ჯავრი სჭირს აჭოვლისაო.
პური მაუდის ბევრაი ჯაგირებს კარის-პირსაო,
ლუდ უდგა გაუთაოი ჯორულის ჩარათისაო.
ხუთშაბათ დილა გათენდა, სიზმარი ნახა ცდისაო,
თოფმაც იწივლა ბუჩამა: „ხანია ომობისაო!“
იმედა მეემზადება გაელა სწადიან გზისაო,
გამახყვა სანათისძეი—სხვა კაცი, სხვის მამისაო.
სასიპის-ღელეს მაეიდეს, თანდათან თენდებისაო,
ბარისაჭოელთ მთიბლები აჭოს-თავ ქუჩდებისაო,
ი მტერი იმედაისა ნამჭრევჩი ჩადგებისაო.
იმედა დურბინი(თ) ხედავს, გულ ცივ-ცივ დადგებისაო.
რაჭე(ლ) ვერ იცი, მთიბელო, დღეს მები გეცემისაო:
ბოლოჩი სასელესველი, მაღლა ცელ დაგჩებისაო.
იმედა ჩამეეპარა, ვეფხვ მწკალზე შადგებისაო.
დაპირისწამლა ბუჩაი და დაუპირა ტალია,
მემრ უთხრა სანათისძესა: „უფროს ხა(რ), მეცოდარია:
მე კი ვერ მავხკლავ ჩემს მტერსა, იქავ ემართას ვალია...
მაგას რო დავხკრა ბუჩაი, დაუნაგაბრას ძვალია,
მაგის დედა-დათ რა უყვა? ...დიაც ხყავ ახლზალია“...
ეს უთხრა სანათისძემა: „კაცო, ხო არ ხა(რ) მთვრალია?
კაც თუ ხა(რ) ჯილაგიანი, მამკლავი ვერ მახკალია.
ჩაჩანჩი, ურჯულოჩია არ შაგირჩენავ ვალია...
დაგაყვედრებენ ჯევსურნი: „აჭოს მიგიდევს ვალია!“
„მაყვედრან, თუ დამაყვედრებს გუროს ნასხდომი ჯარია“...
„გადმამაწკადე ბუჩაი, ჩემს თოფს წასვლია წყალია,
შენ თუ ვერ მახკლავ, მე მავხკლავ, ჩემს კისერს იყვას ვალია,
მაგის დედა-დათ ტირილი, მემრ მაგათ ცოდო-ბრალია!“
იმედა ეგრე გაჯავრდა, კინაღით ახჭდა გონია:
„ბათაკათ თოფი სხვას მისცან, მე კი არ გამიგონია!“
გადუდვა კლდის-თავზეითა, ვაშკაცს არ აკლავ ღონია,
დაჭერაც მაგრა სდობნიყვა, სტილს წამალს იყრის მგონია.
გაეარდა ბუჩასეული, გამაიშალა ბოლია...—

გულს დაზდგა დედისერთასა, მაგრა დაჯმუჯა მკვდარია...
გაიქცა სანათისძეი, ჭელჩი შიშველა ჭმალია—
მკვდარს პირზე ცემა დაუწყა: „ჩვენ მკვდრის უნცროსიმც ხარია!“

„ნუ აცვეთ, სანათისძეო, უკაცრაობა არია,
მკვდარს პირზე ცემა არ უნდა, არწივის ნაგაზარია“,
თან ეძახს: „სანათისძეო, ჩქარა გაიღენ გზანია,
ყველკან გაიგა მთიბელმა, ბუჩამ ჩაყარნა ჭმანია,
წავიდათ, სანათისძეო, არამც შაგვიკრნან გზანია!“
იმედა მთისკე წამავა არწივი მეომარია;
უძახა სანათისძემა: „კლდე დამხვდა გასავალია!“
იმედა ჩამეშველა, შავარდენივით მალია,
გაუდვა ბუჩასეული, ჯიდივი(თ) გასავალია.
გამაიყვანა ვაშკაცმა, მისცნა მშვიდობის გზანია.
ერთ რაი-ჩ ცხენით შამაჯდა, შამაანათნა ნალნია,
თოფ ჯირიმ ედვა მჯარზედა, ნათობდა სპილოს ძვალია.
მაღვედრავს ცხენის პატრონი: „მეც აპარეკა ვარია!
ველარ წახვ, გუროველაო, ყველკან შაგიკრენ გზანია!“
ცხენზეით გარმაიარა, დახვდეს საყუჩა(დ) ქვანია,
გავარდა ჯირიმის ბარტყი, იქნეს ძვალზეით ჭკვანია...
იმედა დაბლა დაეცა, არწივი მეომარია:
„ნეტავ ამხანიგ მამგვარა ჩემფერა მეომარია,
ან პირზე ჭელ დამაფარას, ან მამიტანას წყალია,
ანა მტერს ძალ შაუქციას, ჩამააწითნას მთანია!..“
შუადღის დრო რო მავიდა, დიდ დადგა ცოდო-ბრალია:
იმედამ სული დალია, გაწითდა მთა და ბარია...
გუდელას შამააწვინეს ჭევსურთ იმედა მკვდარია.
გვერდი(გ) დაუსხდეს იმედას თავის მაკლულის დანია;
შამაუწვინეს გვერდზედა ბუჩაი მეომარია;
ერთმა დაიწყა ტირილი: „ვაშკაცო, შენდ კი ბრალია.
გიტირა, როგორ გიტირა?—არ იყავ სატირალია:
ერთა ძმაი-გვყვანდ, მაგვიკალ, ცეცხლზე დაგვისხი წყალია...
დღეს კი ჩვენი ხარ სტუმარი, ჩვენი ხარ პატიმარია...“
მელექსეს თუ რას ხკითხულობთ, ბაჯაის ნაუბარია.

სოფ. შატილი

118. ვინ სჯობია

მითხოს კი ალდისძეი-ჯობ, ფშაველებს ჯობ კუკუმაური,
გუდამაყრელებს—დიდება. მეჭეეთ—ღუდუშაური.

თუშებს ლუის სჯობ ლუხუმი, ჭევსურებს—ხოშურაული.
— რახან გაჰირდას, ვინ სჯობის?—სამნაი ბურდვიაული!
— წინ საბაკეზე ვინ ჩავას?—გამახელ თემროზაული!
— ქისტებს ცხვრებულას ვინა ჯოცს?—ჯირჩლაი ბაბურაული!
ჯმლის ქნევით, ფარის ფარებით—ახალა ჭინანაური!
— მაჰმადის ლაშქართ ვინ ჩახჯოცს?—მარტია მისურაულ!
მთელთ ნახვად, მკვდართ სამარხავად დოლა სჯობ თაჩუაური.
სოფ. ბლო

119. ბესო ყამარაული

ბესო ორ ყამარაული არიარეზე გაზდილი.
ბევრჯერ ვაჭმიე ჩემს მტერსა სხამგარეული სადილი.
ჩამაევე გუდაურშია, შავაჟრიალე ბორკილი:
მშვიდობით, ცოლო და შვილო, ნუღარ გაჭვეთ ჩემი ლოდინი.
სოფ. ბლო

120. აბა ბალათაური

აბაო ბალათაურო, გმირო, აბუღას გძინაო,
გიბარებს ქალუნდაური: „უძებარს არ გაგწირაო,
თოკოლჩა-მარაისძეთა ორთავ კი შამაგწირაო!“
სოფ. შატილი

121. ბაჩით თამარი

სოფ. გუდანში ერთერთ ოჯახში იზრდებოდა იფნი. ორჯერ მოსპრეს. მესამეჯერ მოჰრილი იმდენად დიდი ხე იყო, რომ ვეღარ გაიტანეს. მოეხმარა მეზობელი ბაჩი. ბაჩი ამისთვის დაისაჯა: მის ლამაზ ქალიშვილს თამარს თმა და წარბ-წამწამი გასცვივდა. თამარი დანიშნული იყო ჭადუელ ღარიქაშთ ნანაისძეზე. ნანაისძეს დაგონჯების შემდეგაც უყვარდა თამარი და მოაკითხა სახლში. თამარმა სახლიდან გამოსძახა:

დაუთქვეს ბაჩით თამარსა,—ტყუილად არ ითქმებისა.
შინ წეედ, ნანაისძეო, შენ საფერ არ იქნებისა.
შენი ცხენი და აბჯარი სხვასაც ვის შახყვარდებისა.
სოფ. ბაცალიგო

112. ძოწარი და არწივი

კილდის თავ ქორი ნადირობს, კილდის ბოლოზე—არწივი.
„ჩამავალ!“—ქორი დახკივის, „არ ჩამაგიტევ!“—არწივი.
სოფ. შატილი

123. როსტომის ისარნი

(ფრაგმენტი)

როსტომის არყის ისართა, არ უნდან ქადაგ-მისანნი:
თუ როსტომისა არ იყვა, თბენ რად ხქონ ფასქუნჯისანი?

სოფ. თეთრწყლები.

124. სანაგის სანაგი

აჭოს სანაგის სანაგი, მშვილდო, ჩაგიდებს საბამსა,
ნასრევს კი არ გააცდენდა აქუათ სახლის საკვამსა.

სოფ. ჯაჭმატი

125. ტყვის დაჭერა ანატორ

დროება გადაირია, დიდება ძალსა ხთისასა!
მონად გადამბას ამბობენ ქისტისას, ჴევსურისასა,
გახკვირან თოფის სრევასა ანატორ პირსა წყლისასა.
ერცხვისად შამახეთქებას ბარისასა და მთისასა.
ჴევსურთ ტყვე დაუჭერავის გადაავლევენ მთისასა.
დაჯავრებულებ ქისტები კბილით ნაპირს ხვრენ ქვისასა:
ემუქრებიან შატილსა, ადგილსა ნაპირისასა,
ამბობენ, არ იჯერებენ, დაჭერას ჩვენის ტყვისასა...
ჩვენ ვერ დაგვიჭერთ, ძაღლებო, ვალს აიკიდებთ მგლისასა:
ჩვენ ვიცი(თ) გადასავალი მითხოს-ჩდილ ტუტილისასა,
გზა არცა(დ) არ აგვერევის ქორიალამუს მთისასა.
ტერელოს-ჭალას შაგიკრავთ ჩასავალს ჩვენის წყლისასა,
ჩაგისხამთ მალულ-მალულსა, როტო-როტოებს მგლისასა;
იმოდენს ტყვიას მაგაშლით, ღგვანდას კორკოტას ცისასა,
მიაწყდებოდათ ერცხვასა, მიაწითებდათ ქვიშასა,
ზოგებ დაჭრილებ სჩებოდა(თ), დუსთს იფიებდათ მჩვრისასა.
სახლნ მიდგან სალუქის-ქავთა მუქარას ქისტებისასა;
კარგებ მყავ ამხანიგები, თითო ვეფხვსა ღგავ კლდისასა:
ხო იცნობთ ბერაიშვილსა ლაღსა არწივსა მთისასა,
ჩალხიათ ყარიმანაი დაელნებას ღგავ ცისასა,
ხახუა სადარათაი ჰერას გვიპირობს მჭრისასა:—
მჭარ-იღლივ პატრონტაშები,—გულს ხყვება ვაშკაცისასა.

სოფ. შატილი

126. ხახონთ წიქაი

(ფრაგმენტი)

...ყმაწვილი ხახონთ წიქაი, თვალნ ჭალას მიუდიანა:
„რაჭლა ექნათ, მამავ ხახონო?— ლეკნი ჩვენს შად-გადიანა...
სოფ. შატილი

127. ტყვის დაბერა ვალზე

ჩვენებ წავიდეს პურობადა და მარილობა(დ). წაიყვანეს —ერთ ცამეტ იქნებოდა, თოთხმეტი,—ჯორ, ცხენი' ისეები. ჰოდა, რო წავიდეს გზაზედა' იქით რო დაბრუნებულიყვნეს, ქვეს დახვედრიყვნეს ქისტებ, რავი, ხუთი-ექვს კაც იქნებოდა, ვითა იქნებოდ, ისეებ დახვედრიყვნესა' დეეცვარც, წეერთე სრუ მთელი: ცხენებიც წეერთვა' ბარგ-ბინაიც, რაიც ხქო(ნდ) აკიდებული, თავის ხურჯინებით. მემრ სთხოეს, ულალეს კაცები' არ მისცეს არაფერი.

იმ დროს ჩვენ საბოსლოს ვიყვენი(თ) წასულებ გუროს-ჭალას —საზაფხულოდ. იქით წამაეედ მე, ის მქონდ წასატანი... საჯერო: ფქვილი და ისეებ უნდა წამეღ შატილით.

რო მავედ, ბანზე იჯდ ჩემ ძმა მიხაი-და თოფს წმედდ. დაუწუ მე კითხულ რო: „ხო არცად მიხვალივ, რაად ამზადებავ თოფიარაღსავ?“ არ მითხრ ჯერ ქვე: „ესიე გასაწმედ იყვაო-და უნდა გავწიდავე, გავასუფთაავე, რო ჯანგ არ მაეკიდასავ“. შავატყვ მე. „მიე სადამავ“—მამგონდ. უკენობას, რო მაინც ხვეწნა დაუწყი' შავსთხოვ: „მითხარივ, სად მიზდითავ, მიაც წაძიყვანეთავ“, მითხრ რომა: „იქ უნდა წავიდათავ, ჩვენ ხალხ რო დაცვარცესავ, ან უნდა კაც მავკლათავ, ან საქონ წამავასხათავ, ან ტყვე დავიჭირათავ, ერთ რა უნდა გაეკეთათავ“. „ამხანიგებ ვინ გყაო(ვ)“—უთხარ. „ვაეუნათ ხთისოიო-და ბეწიკურთ ხთისო მყვანავ“—მითხრ. „მაშ მია(ც) წამავალივ“—უთხარი. „არ შაიძლებავ, რო ორნი-ვ წავიდათავ—მითხრ—რო დაგვჭრცნანავ, ორნი-ვ ძმან დავიკრებითაო' ჩვენდა-ვ არაეე კაივ“—მითხრ. მე მაინც არ დავიშალე და დავემზადენი(თ) წუხრა-და ვაეუნათ ხთისოთას მივედით. ორნ ისენი და ორნ ჩვენ, ძმანრ,—ოთხ კაც ვიქენით.

იმ დროს წავედით მემრიადა, რო ხალხ დაწვ. იმ ღამეს მითხოს-ჩდილ გადავედით, გაგვითენდა-და იქ დავაღამეთ ის დღერ. რო დაბინდდ, დაღამდ, წავეით. თოთხმეტ სოფელ იყვ ბითხოი' იმ სოფლებს უნდა გავსცილებიყვენით ღამითა-ვ.

— რომნებ იყვ ის სოფლები?

— ჯარეგა იყვ ჯერ, პირველჩი, სახანო იყვ, კაკნიეხა იყვ, ქამალაღო იყვ, დოღუ იყვ, ბანეხ იყვ, იქეშლო იყვ, თერეთეგო იყვ, მიზუ, ბაზდეთი, ბონისტი, ნასორისტი, თოთუნთა იყვ, ჯორუათო იყვ...

ქორიალამუს მთას ეძახან, მემრ მთაჶ, ის მთა გექო(ნდ) გადასავალი, ის მთა გადავიარეთ. რა სოფელ იყვ აის, რამაღ დაბაცილ... ქვე! ქვეჶ! ქვეს გადაველდით მემრიადა. სოფლის ახლუაჩი, ქვეს ჩაუსხეითა' მემრ რო გათენდ, ცხვარ-ძროხა შამალალეს წყემსებმ, ისეებ წამავიდ ჩვენს დაბლა, ძირს. ცხვარ-ძროხისაი' ცხენების გამალალვა გაებედეთა' წყემსებ გვხედავდეს, ვერ გამავლალეთ. მავრჩით ტყუილად.

ის დღე იქ დაღამდა' მეორე დღე რო გათენდ, დილას ერთ კაც შამეემართ ჩვენკე, ტყისკე (ტყეჩი ეისხეით). დურბინი(თ) ხედვა დაუწყითა-და ერთ ცულ ხქო(ნდ), სხვა არა ხქო(ნდ) იმას. ჩვენს თავზე გზა გადმადიოდა' გზის ძირჩი ბალახებჩი ჩავიმალენით. მემრ, რო შაგვისწორულ, ჩვენს სწორად მავიდ, წამავიყარენითა' დავასხედით. წამავიღითა' ერთ ტყეთ უკენითი წამავდევით. საბელ გვქო(ნდ) ერთ წატანილი' აიმ საბლით ჭელებ შაუკარით. დაიწყ იმანაც ყვირილ, რო: „მიქერენავ, არიქათავ!“ ვაჟუნათ ხთისომ თოფ მიუბრუნ: „არ ასძრახდავ, თორე დაგკრავავ!“ მიხამ ხთისოს დახყვირნ ქისტურად: „თოფ მა თუახალ, ვირ ხილ ჰან ბაჲნარეშტ, თოფ მა თუახალ!“—იმათებურად დახყვირნ, რო: „გაიგონასაო' დაშინდასავ: „მკვლენაო' ე უფროს უშლისავ“—თქვასავ, ნუღარ დაიყვირნებსავ“.

შაუკარით ჭელები და საბლის პირ მე მამცეს ჭელჩი. მემრ, რო გამავაცილეთ იმ ადგილს, იმ სოფელს, მთაზე შავჭეით... ფეჭ-შიშველა ყოფილიყვა' თავის ჯღანნ ჩავაცვენ მე იმას, თავა(დ) ფეჭ-შიშველა დავრჩი. წამავიყვანე(თ) მიზუს-თავისას, სანადიროთას.

— არა თქვისა გზაზედ, არას ამბობდისა?

— თქვის: „მე რაა(დ) დამიჭირეთავ, მიავ ბრალ არ მიტანავავ, სხვა იყვავ გამცვარცავივ, იმას გაგაცვარცვიებთავ, თუ გამიტევთავ“. „ბიძაშვილ ხარივ იმათაივ,—ჩვენ უთხარით,—ჩვენდავ ბეწვ-ბედენა არ ასავ, თუნდა შენ იყვავ, თუნდა სხვა იყვასაე“.

მიზუს რო გამაესცდით სოფელს, პურ არ გვეჭამ იქამდია' პურის ჭამა დავიწყით ჭევჩი, წყალზედ. დაუწყით იმასა(ც): „პურჭამეო'“ არ გვიჭამ პურჶ, მშიერ იყვ იმ დღს.

წუხრ, საქონ-ყურების დროს მავიყვანეთ შატილ, სოფელჩი. მესამეს დღეს მავიდეს იქით კაცები. ჯერ იქ ეძი ტყეებჩია' იქეებთას, რო ვერ მეეკელ, შატილ წამასულიყვნეს. ჯარეგიონთ ეთქვ, რო: „დაქერილ ხყავისავ", იმათ გეეგებივ.

„არ მაგცემთავ—შატილიონთ უთხრეს—მანამდიავ ცხენებსავ, ცხენების საკიდვარსავ, ყველას არ მაგვიტანთავ კარზედავ". მემრ, თერეთეგოელთ ხყვანდ იშის მამა, იმ ასანის მაძა მაკლული, ისენ მავიდეს, თერეთგოელნრ, ერთ ჯარ-მაზვერ მაიყვანეს, ჯვარჩი შამაგვისხდეს.

— ჯვარჩი შამასხდომა რაიღ-ა. რაად ქნეს ისრ?

— ჯვარჩი იმით, რომა ჯვარს ჩვენ ვილოცავთ; ჯარ-მაზვერ რო მაიყვანეს, ვითამ ჯვარის ხათრით დავანებებდით ტყვეს. ასანმ ტირილ დაიწყ: ბანზე მივიდ-მავიდოდისა' თითის გულის ოდ-ოდენს აფრინდოლებდის აი(მ) ცრემლს. მიხას შეეხვეწ: „ნუ გამაყოლებთავ მაგათავ, მამის თავს დამიკარგვენაე, არ წავალივ".

გვყვანდ ისრ, სოფელ რიგით პურს ვაჭმევდით დღესაც, ღამესაც...

— იმის მარიგება-გაკვირაება რაადა-ღ გინდოდათ, განა ერთ ვერ შაინახავდით?

— ერთ კაც რას შაინახავდ, ვინ იცის, ვითას ხანს დარჩებოდ, ის იქნება დიდხანს დარჩებოდ.

დღისით ფეხონჩი გვყვანდ, ერთ კაც თოფიან ვედეით გვერდი(გ)..

— ღამითა?

— ღამით არას ვყარაულობდი(თ), სახლჩიით სა(დ) წაგვივიდოდ?

არ ვი(ცი) ვითას ხან იყვ იქ, აღარ მაჭსონს, ვითას ხან ვხყურეთ, იქნებო(დ) ერთ ორ-სამს კვირაეს. მემრ მთავრობამ კაც მაგვილალ. ეს მთავრობა იყვ მაშინისაეცა' ესროო(დ) დაქერილ ქვე ვერ ხქო(ნდ), იქავ იყვ თოფების ნებაიც. შაქრო ექვივნ, ჭგონევ ფალავანდიშვილ იყვ, ვინაც იქ მავიდ. გვითხრ იმან რო: „არ შაიძლებავ, უნდა გაუტიათავ, მთავრობა იწყენსავ; ჩვენ გადაგიჭდევთავ იმათავ, რაც წაღებულ აქვავ: ცხენ-ჯორებსაო' ბარგ-ბინასავ".

მავიდეს მემრ ქოელნი' წაიყვანეს, ერთ ჯარ დაუყენე(თ) წინ, ჯარ მიეეცით.

— ჯარ რაადა-ღ მიეცით თქვენს მევალეს?

— იმაად, რომა სირცხვილ იყვ ტყვისა ჭელ-ცალიაის გატევა.

— მემრა?

— აღარცრა მემრ, გადაგვიქდეეიეს ცხენებიც, ჯორებიცა' ბარგ-ბინაიც მთავრობამ.

— ლექსნ რო იყვნიან ისენ არ გაჯსონანა, ნიათ სამუკაის ნათქვამნ ლექსნი?

— მაჯსონან მგონევ.

-- აბა იამბენი(ღ).

ახალ ლექს უნდა გამაეთქვა ვაინისა და ცდისაო.
კამუნისტ-ბალშაიკები რარიგს იწყობენ პირსაო:
„არ გვინდა—თქვესა—ჭელმწიფე, იყვას ნიკალა ძირსაო,
არც გვინდა თავადობაი—ზედმეტ უჭერავ მიწაო...“
აღელდა ქისტის შვილები: „დროი—თქვეს—სისხლის-ღვრისაო!

შატილვ გრანიცას ნადგომო, მაგდის მუქარა მტრისაო.
ვეღარ-ვის ვაქებთ საქებსა, ქება ვისაიც ღირსაო,
ვერც-ვის საგინებს ვაგინებთ, ვეღარც-ვის კალთას ვშჩრითაო.
ქება-დიდება რად გინდა იჩინო ქალებისაო?
ქება უნდ აიმეებსა, მტერს ვინც არ არჩენს ჭირსაო.
ვაჟემ ჩაიდვეს საგძალი, ღგულავ შორს გაჯლა გზისაო,
ღგულავის გადალაჭვაი ქორიალამუს მთისაო.
უკენ გაწირეს ადგილი თოთხმეტ სოფელი მტრისაო.
მიხასა ნიაიშვილსა მსწავლე არ შჭირდებ გზისაო:
გადეეჩვია აჭვათა მგელი მჭაშელი ცხვრისაო.
წინავაც რა დღე აყარეს ბა(გ) ისლამაის შვილსაო.
ბეწიკურიშვილს ხთისოსა სწაის დაჭერა ტყვისაო,
არც ეპოების სიკვდილსა, გულ უძეს ხოხის ქვისაო;
ხთისოს არ დასცილებია გზაჩი დახვედრა მტრისაო...
ვაჟუნათაო ხთისოო, მჭერელ არც შენ გი(ნდ) მჭრისაო,
მეთოფეობით გათქმულო, ისპა ხარ ლეკეთისაო.
მიხას სტანავის ლეკოი, ძმას იმედი აქვ ძმისაო,
აის ვაჟარ ლეკოი, ქვეით რო ცხენთან რბისაო,
დასატიებლად მტრისადა არსა მინინო მთისაო...
ჩადიან ისანჭაესა, პირ ჩაიარეს წყლისაო,
დაბლა ჩაგიდგეს სანგალი, სოფელო ქვის-ჯორჯისაო.
გათენდა, გაჩნდა სოფელი, ჩახედვენ დურბინითაო.
„დიაღ ახლუას მავსულვართ,—თქვეს—მაგრემ არა გვიშაო“.
ერთ რაი-მ შამეემართა არსა მანძილა ტყისაო.
ის კი არ ღგონავ ასანსა, შამავეყრები მზირთაო;
გარმაგეშალნეს, ასანო, ეგრო როტონი მგლისაო,
ძლივ ჩამაგიგდეს ჭელადა, გაზდილო დაღისტნისაო,

უკენ დაგიკრეს ჯელები, ეგ წეს თუ იყვა ტყვისაო.
„იარ, წავიდათ, ასანო, შორს გაელა გვინდა გზისაო“...
მეორე დღე რო გათენდა, ასან შატილჩი ძისაო.
ვინ ხქენით ეგე სახელი, ცხონება თქვენის მკვდრისაო!
თქვენსა ნაქნარსა სახელსა არც ვისა ჯობის სბვისაო.

სოფ. შატილი

128. სოლომან გუკულაშვილი

სოლომან ბუკულაშვილი კარგა ხყურებს თავის ცხენსა:
დილასა და საღამოზე თითოს ლიტრას აჭმევს ქერსა,
ძუა-ფაფარს წყლით დაუბანს, გავას გადაუსომს ჯელსა:
„გამამადგებ—ეუბნების—ჩემის გაჭირების დღესა“...
ადგა, წავიდა სოლომან, დადგა სტამბოლის გზაზედა,
შვიდი დღე-ღამე იარა, ხონთქარს მიუდგა კარზედა.
შინ ვერ მაჯელა ხონთქარი, დახვდა ვაზირებ კარზედა:
„საისკე მიხვალ, სოლომან, მიხვალ რას თაობაზედა?“
„არაფერზედა, ბატონო, გახლავართ სამართალზედა“.
„სოლომან, კარგა გაქებენ ჯირითის ჭმარობაზედა“.
„მე ჯირითისა რა ვიცი, გაზდილ ვარ გურჩის ტანზედა“[1].
„ერთი ჩვენა გვყავ არაბი გათქმული ქვეყანაზედა,
არ გიჯერებენთ, სოლომან, გათამაშებენთ ხვალ-ზეგა“.
„აბა, თუ არ გვიჯერებენ, გაგვიშვნან მიადანზედა,
ეგეთა ცხენი გვიბოძან, არ იყვას დუნიაზედა,
ოქროს უნაგირ დაგვიდგან, ფას რო არ ედვას თავზედა,
სამი დახკიდან ჯირითი, ამლასებ ესხას ტანზედა“.
ცხენი აგეთა უშოეს, არ იყვა დუნიაზედა,
ოქროს უნაგირ დაუდგეს, ფასიც არ ედვა თავზედა,
სამ დუკიდეს ჯირითი, ამლასებ ესხა ტანზედა.
„აბა, გაიქე, სოლომან, არაბ წამაგყვებ კვალზედა“.
ადგა, გაიქცა სოლომან, არაბ გაუდგა კვალზედა.
ერთი ესრია არაბმა, გადააცდინა თავზედა,
ეხლა მეორეც ესრია, დახკრა ტახტაის თავზედა.
სოლომანმ გადმაიარა, ცალ დადგა უზანკაზედა,
გადეეხვია ლურჯასა, ორსავ აკოცა თვალზედა:

---

[1] „გურჩის ტანზედა“—გურჯისტანზე, ე. ი. საქართველოში. მთხრობელი ასე ანაწევრებდა ამ სიტყვას გარკვეული მიზეზით: გურჩი ხევსურულად „რიყის ქვა“-ს ეწოდება; როგორც ჩანს, მთხრობელს გამოთქმა სხვაგვარად ჰქონდა გააზრებული.

„შენი ჰირიმე, ლურჯაო, შენ მამარჩინე წამზედა!“
„ახლა შენ წადი, არაბო, მე გამაგიდგებ კვალზედა,
მე კი ერთის მეტს არ გესრევ, გესრევ ხთის ბძანებაზედა“...
ადგა, გაიქცა არაბი, სოლამან წახყვა კვალზედა,
ერთი ესრია სოლამანვ, მიასვა ბეჭის თავზედა.
გარმაიარა არაბმა, დაბლა დაეცა პყარზედა.
მოლაები და ფატვრები ქაღალდს აბერტყენ თავზედა.
რას ეშველების ქაღალდი, სულ რო არ ედგას ტანზედა?
კაცი მიუვა ბატონსა: „არაბ მაგიკლეს წამზედა“.
„ვინ მაკლა ჩემი არაბი გათქმული ქვეყანაზედა?
წადით, ააქა-ღ მამგვარეთ, დავხკვლევა კაცობაზედა,
თუ უკაცობო კაცია. თავს მაესჭრი იმავ წამზედა,
თუ კაცობიან კაცია, ხალათს ჩავაცომ ტანზედა!“
წინ წამაიგდეს სოლომან, ფეჯებს მიათრევს გზაზედა.
ესე ღგონავის ბეჩავსა: „თავს წამაცლიან წამზედა!..“
ის კი არ იცის საწყალმა, ხალათს ჩამაცმენ ტანზედა.

სოფ. შატილი

129. ღვედრია გუდამაყრელი

ოსმალჩი თათარს აქებენ, თარაქმანაის შვილსაო:
„სანამ აჯობნა მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო!“
ცხენსა უქებენ ტიალსა: „მუჯლი აქვ ნიავ-ქრისაო!..“
დილა დახკაზმეს ცხენები, შამაუყენეს ჩდილსაო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „დავხყვათ გრანიცის პირსაო“.
შირაქის-ყელჩი შამაჯდეს, შუქ დეეფინა მზისაო.
ჩახენეს შირაქის ველსა, გუნდ ნახეს მშავლის ცხვრისაო.
ღვედრიას გუდამაყრელსა ცხვარან ხყვან გორის პირსაო.
შამეყარა თათარი: „ბაჯ უნდა მამცა ცხვრისაო!“
„მე ბაჯს ვერ მაგცემ, თათარო, ცხვარი მბარავის სხვისაო!“
თათარ ჴმალდაჴმალ წავიდა, გულ კი ვერ გასცნა ყმისაო.
ბერდენკის ლიშან დაადვა მარცხენას გულისპირსაო—
ცხენს დაეკიდა თათარი, აღებს შაშვივი(თ) პირსაო...
„შარშან რო ჯოგებ გაღლალე, წელს აისრ ნუღარ გინდაო!
შარშ რო გვიჭოცე წყემსები, აიმათ წყალსამც ზიდაო!..“
ღვედრიავ გუდამაყრელო, შენ დედამც ცხონდებისაო,
შენ მახკალ თათრის ბელადი, რაგორ დასწონე გმირსაო?

სოფ. შატილი

ბანს ვერ მაყოლებ, ფანდურო, ვერა ხარ ჩემის ჰკვისაო
ბევრა იაბობს ბევრასა, ვინა(ც) სულ-ფონა(დ) ძისაო.
უუბნავ ჯევსურთ შვილებსა: „ჩქამ არ-ა არხვატისაო“.
თუ რას ვინ იტყვის ჯავრითა, ჯაყ რაზე ედებისაო?
ჯევსურ რაჩია-ღ ასტყდება, მეკვემურობას თვლისაო.
სატან-ერბოსა უამბეთ, ქალაქჩი წაღებისაო,
მემრ ყიდვა-გაყიდვისაი, შინ უნჯის მატანისაო,
ტყავ-საღამოსა უამბეთ, ფლასისა, ფარდაგისაო,
მემრია ქვაბებისაი, თუნგისა, თულუხისაო...
უთხრიდით არხოტიონთა ნადირისაი, მტრისაო:
ჭელა იციან ვაჟებმა ბალე გაბანდვა ჯღნისაო,
ამაყენება ფეკზედა, ჩამავლა ჭალაისაო.
წინიდგე არხოტიონთა ცდა ჯიშად მაუდისაო,
ქისტების მუქარაზედა არ იძინებენ ძილსაო.
ბევრ დედის გაზდილ გაწირეს, გულზე ნატყვიარ შჭირსაო;
თაო(დ) მშვიდობით დაბრუნდეს, შუქ გადმოხყვების მზისაო.
მასწყინდა ქისტიშვილებსა დღე-მუდამ ზიდვა მკვდრისაო:
„არ ისვენებენ,—ამბობენ—ჭირზე გვისართვენ ჭირსაო!“
ლაშქროა მაუგონებავ, ვინ-რა მაუყრის პირსაო?
წამავლენ საარხვატოდა, გარმავლა ღგულავ მთისაო,
არხვატის მუქარაზედა ჯარ ჯარზე მაუდისაო.
იმ დროს ჩავიდეს სოფლადა, ხანია თენებისაო,
შამაეხვივნეს ცეფადა: „ჯარი ორთ მთავროისაო!“
ნაპირის სოფლა(დ) ჩავიდეს, ბაღლა უვლიან ჩდილსაო.
ერთმანეთს ეუბნებიან: „სოფლა(დ) მიწონა ჭირსაო!“
ხალხს შუ-შუ ჩაიყენებენ, შაკვრა აწუხებს გზისაო.
თოფ დახკრეს დავითიშვილსა, შუქ დააბნელეს მზისაო.
ცოდოი დავითისადა, მიწას ეჭირას გრილსაო,
წვერებზე არ ბოინობდას ლაღი არწივი მთისაო.
გაწირა წუთისოფელი სამუქაროი მტრისაო.
აქ მაგზეს თავის სოფლელნი, იმედ თუ არ (გ)ქო(ნდ) ძმისაო.
ვინებ გავიდეს ველადა, თოფებ რო გამადისაო?
გაგწირეს გულ-სისხლიანი, ქისტო, გაჭმიეს მიწაო.
კიდევაც ბერდიშვილები არ დაგილევენთ ჭირსაო.
ამაგის მალექსებელთა ბევრი არა გვაქვ ჭკვისაო.
ნაკრელა გვეხალიზება, წერაი ქაღალდისაო.
ჯევსურას კიდევ ვაჯობნებთ, ჯარჩი გავიდა(თ) ჯმლითაო.

სოფ. შატილი

131. ეძიმი ჯაფარიძე

ყური დამიგდიო, გიამბობთ, რა მახვდა საკევრეშია:
თოფ დამკრეს, ასო მამტეხეს მიწაზე საბიჯებია;
ტირილით შამამეხვიენეს თავისები და სხვებია.
ჩვენ აბეშიკიც მავიდა, ჩანგალთ აბომდა ჭერშია.
მამიბნა საგუსტულანი, ვეცდები, ვერ მივსწვდებია.
ღონე რამ გამამილია, არ ვიცი, რას-რა ვშვრებია.
სოფელში კაცი წალალეს, რბოლი(თ) დალაჯა გზებია.
საჩქარო(ჳ) სადამ მავიდეს ე ჩემი დედულებია.
საკაცით წამამიყვანეს, მოკლედ ჩაკეცეს გზებია.
ერთი ღმერთი ას ზეცაში მთელ ქვეყნის შემომქმედია,
თელავში ჯაფარიძეი—ეგ ხო მეორე ღმერთია!
კაცთ სულის ჩამდგმელ-ამამრთმელ ბორწკალ უჭერავ ჭელშია.
მე მაგან გადამარჩინა, მადლობელ გაუჴდებია.

ს ო ფ. გ უ რ ო

132. ბერისძე

მინდორჩი აბმავ დავარდა: „ოჯრა(ლ) ვისა დგას ცხვარია?“
მათურელთ ბინას მიადგა, გააღებივის კარია.
ბერიძემ უთხრა მურღვასა: „ცხვარსა(ღ) ვასმიათ წყალია“.
„აცალე, შვილო ბერისძევ, ჯერ ხო ადრეი-ვ ხანია“.
არ დაუჯერა მამასა, თავისწვერისა არია,—
იარაღ წამლით დაავსნა, თოფს დაუპირა ტალია.
„თქვენ გამამიცხვით საგძალი, ორნი გამამყვან სხვანია“.
ჩალალა დუკის წყალზედა: „ცხვარო, დალიე წყალია“;
ჩახვია წყლის ნაპირზედა- „ეხლა მაძოე ხამია“.
ვისრა-რა მალოდინი აქვ?—სრუ გზისკე ხქონდა თვალჱა.
გამავა ბატარა ხანი, მადგა თათრების ჯარია.
თათრემ ცხვარს შამაუარეს, არ დაანებეს ცხვარია.
გაჯავრდა მურღვაის შვილი: „მე ხო ბერისძე ვარია!“
დაღრიჯა თოფის ჩახმახი, გულჩი არ ჰქონდა მწკარია.
დაგატრიალა, თათარო, როგორც თბე-ბორბალს წყალია;
მეორე ჩქარად მაისწვრა: „ტყვიავ, გამახარ ძვალია!“
შამაწვა მჯარ-თეძოზედა, შამააყოლნა თვალნია:
„ვა, თქვენს ბერისძეს, თათრებო, არ მქონდა ომის ხანია...
ორ ჭელით მიგყავთ დაჭრილი, ორ ცხენით მიგაქვთ მკვდარია“.

მურღვასა ძაღლიკათასა ეტყვის საწყენი მჯარია:

„ვა, თუ ბერისძე მამიკლეს, თათრე(ბ)მ თუ დამცნეს ცანია!“
წამადგა, წამეემზადა, ველარ გაიგნა კარნია.
ამანდით გამამართულმა გადმაიარნა მთანია,
მივიდა მათურაჩია, დიდი დგას ცოდო-ბრალია,
მათურელთ ჯალმა და ზალნა ყველამ ჩაიცვა შავია...
„ბალღსა რად მახკლავთ, თათრებო, ბალღი, განთ მეომარია?“
„მავხკლავდით, იმით მ›ვხკლავდით, ბალღიც ბერისძის მჯარია!“
ბალღო, შენ სახელ ვერ ვიცი, დედას რო დასცენ ცანია,
საწყალსა მამას მგელასა გამაუჯარე კარია.
დააგდი შუას გზაჩია, ცხვარს დაუნებე თავია..
ბერისძევ, შენი სიკვდილი ცით დარეკული ზარია,—
ღელეს დედუფალ ატირდა, ლაშარს—ლაშარის ჯვარია.
წინწინ რო შახვალ შავეთსა, თავა(დ) გააღი კარია,
წამაგეგებნეს უკლონი, ჭელთ მაგცეს კელაპტარია,
სათაეს გადაგაჭდინეს, დაგიდგეს ოქროს სკამია.
ბერისძევ, ლიშნებს მაგცემდეს, ქოროც ჩაგიდევეს ჯვარია,
ჯამაგირს გაგიმწესებენ, იქნები აფიცარია.
ამაგის მალექსებელი თავადაც ავად ვარია,
ლექსი ვერა ვთქვი საფერი, გონ-უგონთ ნაუბარია,
დედა გვერდს მიძის მტირალი, ცრემლი ზდის როგორც წყალია...

სოფ. ხაბაბო

133. ოგოლი

გარმაგიტანე, ქალალდო, თოფის კონდახზე დაგდება.
ლექსო, ამაგთქვამ, ოჭერო, ჩემ გულ ხო მაინც შავდება.
საქმეს სჭირდების კისერი, შერე სჭირდების გაგება,
უნდა ფიქრობდას ვაშკაცი, საქმე რო ჩამავარდება.
მშიშარა მეტის-მეტადა კაციმც ნუ დაიბადება,
შიში არ მახჭდის წერასა, წინწინ მშიშარა მაკვდება.
შე დალოცვილო უფალო, კაცი რო დაიბადება,
როგორ მოკვდების ბოლოსა, იმისაიმც ქნა გაგება.
სისხლი წყალივით იღვრება, ძვლებიც ხო დაიფანტება.
ტყვიავ დაგწყეველი, ოჭერო! გამჭედიმც გაგითავდება!
ჭელად დააფშენტს ვაშკაცსა, თუ რაობაში მახვდება.
ბრალია ვაშკაცისადა, რო უწადინოდ მაკვდება,
ნამეტნავ აისეთისად მძებნელ რო აღარ დაშჩება.
ხალხი აქ ორად იყრების, ეს ხო სწორია გაგება—
ზოგ რჩების ობოლ-მწარეი, ზოგს ჯალაფ გაუმრაელდება.

მე კი მენანის ობოლი, სრუყველა გაუჯავრდება.
უჯავრდან, აბა რა უყვათ, ზოგჯერ ეეგიც მახვდება.
დიდხანს არ უნდა ლოდინი, ობლის კვერებიც დაცხვება,
რა გაჭდას ოცის წლისაი, იხედებოდას მკლავზედა,
მალედ აურევს სოფლელთა დაქუჩებულთა ჯარზედა,
ეუბნებოდას იმასა: „მიჯავრდებოდით რაზედა?“
მაშინ კი ეფერებიან, ჭელს გადაუსმენ თავზედა.
ხალხიც კი ბევრნაირია, უნდა სრუყველას ფასება,
ზოგია უჯილაგოი, ჭელ რო მიესლას დაშმება.
შენს დედას, ჯილაგიანო, შორით გიცნობენ ჭაზედა,
ტანთ გასხავ იარაღები, თოფი გკიდავის მჯარზედა,
ბევრად არ ფიქრობს იმასა: „გზაზედ ვინ შამამვარდება“.
ჭელ თუ მაასწვრა ზატორსა, მერე ზედიზედ დახყვება;
საქმე თუ ცდაში ჩავარდა, ელვიანივით გაჭდება.
დაგწერ და წადი, წერილო, გადაიარე მთაზედა,
ჩემ დას უამბე ამბავი, ნუ ატირდების ძმაზედა,
სხვებსაც გულ მაუმაგრიდი, შასწუხდებიან რაზედა?
მამიდას უნდა ეესტუმრა, საგძალ რო გამითავდება...

სოფ. შატილი

134. გარიდებული

ლექსობა უნდა დავიწყა, გაგმართავ, სამლარიანო.
რად მტანჯავ, წუთისოფელო, გასაოჯრებო, ტიალო?
რად გინდა ბედის ბორბალი სრუ უკუღმ დამიტრიალო?
სიობლეს რად არ მაკმაებ? დედ-მამან დამითმიანო...
კაცი არა მყავ პატრონი, ძმაო, გინატრი, ტიალო!
მამწყინდი, სიმარტოეო, მუდამ მაგნატრი, ძმიანო.
არ გავალებ დუშმანსა, მანამდი სახელ მქვიანო,
ქვეყანა შამავიარე, კიდევაც უნდა ვიარო.
მაიორმ გამამიძახა, წვერო, დაგლაჭე, კლდიანო,
დაგლაჭე, ღილღოს ჭალაო, ქარაფიანო, ტყიანო.
მშვიდობით, ჩემო საშობლოვ, ჩვენო კლდენო და ღვიანო,
შენაც მშვიდობით, შატილო, ქვიტკირნო სიპერდიანნო.
ჩემზე ნურაფერს იდარდებ, დაო ნუ გეშინიანო,
იქავ მაგივალ მალედა, დიდხანს არ დავაგვიანო.
გასქდილა, გასაოჯრებო, გულო, ჯავრისგან, ტიალო
ჩვენისკე ჩემ სწორ და-ძმები ჩემთვი სამარეს თხრიანო,
მიწასა ფეჭქვეშაითა დანდობით გამაცლიანო,

შაანში გაღლესვენ ენასა, ხალხში თავს იმით მჭრიანო.
წამაეედ, გამავერიდე, „გაიქცა!"—იძახიანო.
რა გაკვირებით მიყურებ, მთაო ქუშ-ბალახიანო?
სარტყლად გბვევაყის კლდეები, ტყეებით ბალთაიანო.
შენაც მამწყინდი, ოქერო ღილღოო ფიჭვნარიანო;
ნეტარ როს მაბვალ, ზაფხულო, როს ახყვავდებით, იანო,
ასიამოვნა ვაშკაცი ტყეში ფოთლების შრიალო,
გვერდი ძმასავით დაუდგა გერმახის ზაკასიანო.
ჩემის საფლავის მთხრელები, მე ვიცი, დავაჭკვიანო,
ვალაპარაკა ძმობილი, ბალ-მალედ ავახშიანო...
მაგის მეტს აღარ ვიამბობ, კვეხნასაც არა ხქვიანო...
ჯარიეს უნდა წავიდა, დედიძმან მიმყლიანო.
დაო, შენ წერილ დასწერე, ჩქარა, არ დააგვიანო,
მაგას შენი ძმა გიბარებს, სახელად შოთა ხქვიანო.

სოფ. გიორწმიდა

135. რაგზარი უნდა ვაჟკაცი

ლექსს ვიტყვი ჩემებურადა, გავმართე სამლარიანი;
ყური დამიგდი, მსმენელო, სიტყვა თუ გინდა გზიანი:
ბევრას გვიყურებს დღისით მზე, ღამით—ცა ბასკვლავიანი,
ბევრა ვაჟია ამ ქვეყნად ლომივით გულ-ჯავრიანი.
ბევრა წინავაც ყოფილა ჯაჭვიან-პერანგიანი;
ძველებს არ სქონდა თოფები, ჰრიდა ფრანგული ფხიანი.
ვაჟას ადრევე უთქვამის: „კარგია მუდამ მტრიანი..."
იმან მალედავ ალექსა ქეთელაური ჯმლიანი...
შურის საძებრად ვაჟი ჯობ გუნება-ბოროტიანი,
ჯელჩი—შაუხლის ხანჯარი, მჭართ—თოფი ყვითელხიანი.
ბევრამ ვაჟობის გულისად დღე დააღამა მზიანი.
გრილს გაალაღებს მიწასა ვაშკაცი გულსისხლიანი,
ჯსოვნა სრუმუდამ იქნების, ჯსენება მრავალჟმიანი,
გველი წაართომს ნაწილსა, დალაღდებიან ჰიანი.
ვენაცვლე დედის გაზდილსა, ვინც მკლავთით იმედიანი,—
მჭართ თოფი გადაიკიდას, გადაიჯარნას ტყვიანი,
მტრებისად გულის ყინვარი, რო ციხე ჩარდახიანი.
სალი კლდეია ნადგომი, ზედ რო ხკიდიან ღვიანი.
მტერს ვერცრუ ვერას დააკლებს ვაჟი ქალებჩი დღიანი:
ახა ტყვრებოდას თოფები, ადგილ რჩებოდას მკვდრიანი,
აღარა გაიგებოდას, შუაკაცობდან ტყვიანი,

თუ გული მაშინ არ გულობს, თვალებ მაშჩების წყლიანი-
მაგის მეტს აღარ ვიამბობ, წვერი დავლაჯე ქლდიანი;
დაღალულს გადმამეყუდა ჯიქვი მანძილა რქიანი,
თოფი ვხკარ, გამოეტყერა თორმეტის ნაზარდიანი.
მელექსე შატილიონი, გვარად კი ბულოიანი...
ძმაო, გიგზავნი წერილსა, ისწავლე სიმართლიანი.

სოფ. გიორწმიდა

136 დარლახ მოკვლა

მითხოს დავარდა ამბავი, მიწას გახჭონდა ზანზარი,
ატირდა შავი ნისლები, ქორიალამოს მაღალი.
ამბობენ: „დარლა მაუკლავ. არწივ გრანიცას გამცდარი.
ციხეჩი გზირებ ჩაუსხდეს, დააღალატეს საწყალი.
მივიდა ციხის კარზედა, თოფებ ჰეხს, როგორც ცა-რვალი-
მახვდა ვიტონკის ტყეიაი, სისხლმ შაუღებნა კალთანი.
სიმირგვლივ შანაბრუნდების: „ვაიმე თოფი მართალი!"
შამააწვინეს დარლაი ალვის ხესავით მაღალი.
გვერდი(თ) თავის ცხენ დაუბეს, ჰყივის, ფეჯს უცემს საღარი.
გაიგეს მითხოელებმა, ყინჩად დასტირის ქალ-ზალი.
ცხენიც დაიწყებს ტირილსა, მაღგონდას თავის ამქარი.
ჯარეგის გაღმ რო გორია, სამარესავით შამწვარი,—
ტანს დაშლის დარლაისასა, დაილევიან მასრანი.
კარგ იყავ, ქუროყოს შვილო, ღმერთმა გაცხონას მამკვდარი-
იომე საკმაო ხანსა, სისხლით შაღებე მთა ბარი.
ძელიმხნის რაზმჩი ნამყოფო, იქ ხო ბევრ მახკალ თათარი,
შენ მახკალ ლეკის ბელადი, გროზნაჩი ბომბებ დახკარი...
გაიგა დარლაის შვილმა (თუ ხყვანდა შორად დამრჩალი),
საომრად მაემზადების, აიღა თოფი, ლაგანი.
მჯარს უჭერს ბიძაშვილები, ვინც არის თოფის ამტანი;
ამაგის მალექსობელი მაღლა მთის ძირჩი შამჯდარი.
სალექსოდ, დარლაის შვილო, გამამიტანე ხანჯარი.

სოფ. შატილი

137. თავის სოფლელთ

ლექსს იტყვის იწროკეველი, ლარს გართავს ჩონგურისასა.
თავის საშობლოს ალექსებს, თავს დაბლა დამხრელს
მტრისასა.
ვენაცვლე ჩვენებს ბერებსა უფროსებს დიდის ხნისასა,

რო დასხდებიან გვაცნობენ ამბავსა წინაჟმისასა.
თავადაც სიჯეილეში იმედსა არა იყვნეს სხვისასა.
მემრ ჩვენებ ახალგაზდები მფრინავს შაღგვანან ცისასა.
რო წავლენ ნადირობადა, სისხლით მასვრიან ბისნასა,
წითლად შაღებვენ კლდეებსა ბისნისას, ჩორეხისასა.
ავტომატურად ისრევენ, ტყვია რო ჯიდად იდვასა,
არ სცილდებოდას ნასრევი, ტყვია ტყვიაჩი სთხრიდასა.
აატირებენ დედასა იმ ჯიქვთა პატრონისასა.
არჩევენ დი-დიდ ჯიქვებსა, თორმე-ცამეტის წლისასა,
ჩვენის ხთიშვილის კარზედა ყონდს დაზდგმენ ჯიქვთა რქისასა.
ვენაცვალე მაგათ გამზდელსა ჩვენ სოფელ გიორწმიდასა.
წელზედ ორპირებს შაიმბენ, ძვალს რო მბილიეით ჭრიდასა.
მე ვიტყვი: ეგეთ ვაჟებსა კაცმ შორით უნდა ღრიდასა,—
ან მაეჭრების ჭელ-ფეჯი, ან კარ გაელებ მიწასა.
ეგ თქვენის გამარჯვებისა, ვინაც რო ხფიქრობთ ცდისასა.

სოფ. გიორწმიდა

138. ხიკვდილი

დაჯდა, დაფიქრდა ჰოეტი, ლექს უნდა ჩამათვალასა:
რას ხფიქრობ, ჯევსურიშვილო, ლექსებს რო ამბობ არასა.
ვაჟო, უბრალო ფიქრებმა ჭკვა კი არ გაგაცალასა.
სიკვდილი ჯევსურეთშია საბუდრად ჩამამდგარასა,
ჩაჭოცა ახალ-უხალი, სულეთ ჩამასხამს ჯარასა.
მაგელისთ, ველგუჯაურნო, პატიმარ მაიყვანათა.
იქნება გასუსტებული, სიკვდილს ვერ უქცევს ძალასა,
მაგიკლათ საიმედოი სოფლელთა, დედა-მამათა.
ბიძა რას ფიქრობს ბებერი, არვინ მეტყვითა ამასა?
როსაც თიბისკე წამოვა, საფლავს რა მოუარასა,
კარგა დახკვლიას საწოლსა, გუნება დაუმასა.
აღარ შორდება ოჯერი, ზაფხულ მა(ნდ) გაატარასა.
მოელის ზამთრის მოსვლასა, ნატრობს იანვრის ძალასა.
ამბობენ წინჯადუელები ბეგრების გამოლაღვასა.
მაეს შაუკრაეს ოჯერი მა ჯორიელის ჭალასა.
წინ-წინ ჩალხიას შამახკრავს, დიდხან არ დააცალასა...
მიუვა მახარობელი ბაბუას თმაჭაღარასა,
დედა მეტს რასაღ იხარებს შვილის სიკვდილისთანასა?
სიკვდილ სიმთვრალეს დაღბრალდა, ის თქვეს: „მაუკლავ არაყსა!“

ამაზე გაწყრა სიკვდილი, გამოუბრუნდა ჭალასა,
გაივლის ჭიშეხისასა, თოლ-ნაქარს გადახკვალავსა;
როშკას მოვიდა სოფლადა, ბევრს არას დაღლევს ხანასა,
შაგიკრავს, აბიკაშვილო, მაგ სოფლის შუა შარასა,
გეტყვის: „რა კარგ დროს მაგასწვერი!"—ჯელ რა წაგკიდას მჯარასა.

რა ან ძნელია, ვაჟებო, ძმას რო ძმა გაეყარასა!
ძმას რო ძმის იმედ აღარ აქვ, მტერს ვერ შაუქცევს ძალასა.
შენგან დაჩუმდა სოფელი, აღარ ვინ იძახს „ალა"-სა.
ტირის სრუ-ყველა ქალ-ზალი, სრუ-ყველამ შაგიბრალასა.
ახლა ზენ-უბან ესტუმრა, ზარალზე მისცემს ზარალსა;
ჯერ პატარიას მაუკლავს, მემრ დიდზე გაისარავსა,
დაუზიანებს გულ-ფირტვსა ჩუმ-ჩუმა(დ) მაიპარავსა.
ძმასა-ღ უთხრიდი(თ) გიორგის, ბატერი არ გაასარასა.
მტერს ტყვია უნდა და ჯმალი, დუშმანი გაამწარასა.
ამაგის მალექსებელი სრუ ლაღ-ნებიერთ თვალავსა,
შინით ჰირ-სირცხვილ არა მაქვ, ღმერთმა ნუც მამიტანასა!

სოფ. ჩხუბა

139. ვარამი

გულსა მამაწვა ვარამი, რო ნაგუბარი წყალიო;
რა მალე შავწუხებულვარ, გუნება მიძე მყრალიო.
გამაგრდი, გულო, გონებავ, როგორც ყინვარი სალიო.
მაშინაც ნუ შასწუხდები, კარზე რო გედვას მკვდარიო,
თორ მალე მავა სიკვდილი, ტუქსი, არ მაცინარიო,
სრუ დაგაცილებს ჯავრობას, იმნაირი აქვ ზარიო.

სოფ. თეთრწყლები

140. ხიბირგალთ ნიკოს ხსოვნას

მწარე ფიქრებში გავერთი მარტუა ჩამამჯდარია:
ზამთრის დრო არის, მთა-გორებს უბერავს ცივი ქარია.
ველებსა თელავს ნიავი, წურავს ქისტეთის კარია.
შუაზე მახყეფს ასაი—ჩემის სამშობლოს წყალია.
მთქმელი სჭირდება ბუნებას, ჩემის ლექსობის ხანია.
ჩემმა პატარა ფანდურმა დარეკა გლოვის ზარია.
გუნებას მიკვლენ ჭიუხნი, თოლმიფენილნი მთანია;
ჩუმი ჩორეხის ჩხერები მიუკარები, სალია.
მთას იქით შავი ღურბელი თვირთვილს ხყრის, მიზდის ნამია,

ქვითინით მიდის არღუნი, მიტირის მიმდინარია...
ცუდებს საქმეებს ეესწრობი, რო გითხრათ საწყინარია:
გუშინ გავიგი ამბავი, დღეს დღე მაქვ სატირალია—
გატყდა იმედის გირკალი, ვადა-შახრილი ჭმალია,
წაიქცა ჩარდახიანი დულაბით ანაყვანია... 5
სველდება დედათ ცრემლითა წითელი კუბოს ჯვარია,
მშვიდობას ეუბნებიან, ესალმებიან დანია,
ტირიან იმედ-მაშლილნი, ამამ გააყარა მჯარია,
ამას ძმასთან ყოფა მასწადდა, სულეთ შაალა ქარია...
ნეტავი გამაგებივა, რაი-გაქვთ სამართალია: 10
გაქვთა-ღა ერცხვის ცნობაი, ხართა-ღა ერცხვის ამანია?
სათავეს გადააქდინეს, დასხდა ქორების ჯარია,
გულ-დინჯად ხკითხეს ამბავი, დაიწყეს საუბარია...
ბაჭყია წამაეგება ურჯულოთ ნათოფარია,
თავდაბლად ხკითხა ამბავი, სალამი მისცა წუნარია, 15
სიცილით უთხრა: „სიძეო, შენი აქ მასელა ბრალია:
სამზეოს გასასწორები შამაიყოლე ვალია...
ბევრამ დაიწყა სიცილი, ბევრს გაუთენდა დარია,
გამაესალმე სოფლელთა, უკუღმ დაჟჯარე კარია,
გასწირე ორ-წყალაშია სახლ-კარი ნაოჯარია, 20
გასწირე მენაწილედა ვაჟის მაგივრად ქალია...“ ·
იმან დაფასა ამაგი და შენი ანაბარია,
რად არ გაცოცხლებს დიდხანა ცრემლ მაგის დანაღვარია?
ვაშკაცის მაგივრობას სწევს, მტერთგნივაც დასანანია...
შენსავით სიკეთეზედა ვერ დადგებიან სხვანია: 25
არ გყვანდა გაჯავრებული სოფლელთ ქალი და ზალია,
კაც-შუაკაცში დახყვანდი სიმართლის მაუბარია,
გიყვარდა პურადობაი, გეჯავრებოდა შარია,
საქმე თუ გაჭირდებოდა, ვერ დაგიჭერდეს ცხრანია!..
გამაგრდი, ბულოურთ ქალო, მაიგონნიდი სხვანია, 30
არ გაუცუდა სახელი, დააფასიდი მკვდარია:
მკვდარსა ზედამრჩო შჭირდება მარადჟამს ამტეხარია,
მკვდარს არას უშველს გატეხა, ცრემლების ნაგუბარია...
არ ჩაუჯოლა სახლ-კარი, შენ იცი, მაუარია;
კარგად უყურე ბან-კარი, არ ჩაუიდას წყალია, 35
არამც დაშალას ლიბუი, დალიას ტალავარია...
მელექსეს თუ რას იკითხავთ, მთვრალაის ნაუბარია,
წერილად მივსწერ ბიძასა, მთას-იქით წასატანია.

არც მე ორ გახარებული, დღე არ მაქვ სალხინარია...
სიკვდილმ გაგტეხა, ბიძაო, მიწას უქციე ძალია;
არ დაგიშალას ოჯერმა კაცთაზე მეტი ტანია,
არ მაგაშლივას კუბომა სიცილით საუბარია...
სანამდე იყავ ცოცხალი, ცხოვრება მაიკმარია,
ყველას მაგველის სიკვდილი, ყველა მანდ მამავალია...
სოფ. შატილი

141. სალდათი ძავთარი

არავის გადაგიყრავთა ქმრეულთ ნდობაი ქალსაო?
ბრალია, ღმერთის-წყენაი, ქავთარ გადავდა მთასაო.
რაი(თ) გაუძლა, ქავთარო, იმ დედიშენის ბრალსაო?
მახკოს ჩამავლენ ჯიქვები, იქერენ საძოვარსაო:
„ჩვენს მუხანათას ვაჟასა აღარ ამბობენ აქაო,
დაბლა ჩავიდა(თ), სთველია, აიქ შავსძოვდი(თ) ხამსაო...“
რას მიხვალ-მახვალ, ყორანო, რას იმრუდებდი მჯართაო?
მიაც რო გარმაგყვებოდი, გარმავივლიდი მთასაო,
ომჩი ნადგომსა ვაშკაცსა შამავავლებდი თვალსაო,
შორი(თ) გახედულ ვიცნობდი კუთხსა ქავთარის ტანსაო...
...ჩამავჯე ბოსლის კარჩია, ცრემლი მაიღებს ჩქაფსაო...
სოფ. შატილი

142. ჩალხიას მოკვლა

ჩემო ჩირახის ფანდურო, კიდევ ეჯობიხარ რვლისასა.
წამავე ნადირობადა, გადმავიარე მთისასა.
შამამეყარა სიკვდილი ჩამამავალსა გზისასა.
სიკვდილ რო ვნახე, შავშინდი: „თავს მამჭრის, რაგორც თიკანსა“.
გადმამიტრიხა სიკვდილმა: „ვინ მახკლავს შენფერ ციცასა?“
შატილისაკე წავიდა, ცხენსა გადაჯდა ნისლასა.
შატილ ხოლიგას მაუკლავს, ირემს ჩაუქცევს ტყისასა;
წიქათ ბეწიკას მაუკლავს, გამრიგებელსა მტრისასა;
გაგათ სამუკას მაუკლავს, სიმაგრეს შატილისასა.
ეკალდამაზე ჩაუსხდეს, ვეფხვს ჩააქცევენ კლდისასა.
მე ყველას სწორა(დ) ვიამბობ, ბტრისასა, მაკეთისასა:
სუხიათ ჩხუბრეს მაუკვლენ, შუქს უბნელებენ მზისასა,
ხაძეთ მაუკვლენ ბაბოსა, კულას დაშლიან ქვისასა.
მანგია-დაიაურნი თესლს ლევენ ერთუცისასა,

კეებს ვაშკაცებს არჩევენ, გულს ალალებენ მტრისასა.
ჩალხია წამაიყვანეს: „გამაგვყევ ცოლისძმისასა“.
ჭალუს-ძირ სადა-მ მავიდეს, ჯიდს გაუტეხენ ხისასა.
მავიდეს ჭინიჭალასა, ყანწს მიაწვდიან რქისასა.
შამეესვივნეს მირგველთა, ლეკვსა ვერ სწორნენ მგლისასა...
ბარტო ჩალხია რას იქამს? თავს დაინატრებს ძმისასა.
შატილ გახვერან ტირილსა ქალისასა და ზლისასა,
ყუყუნს კეირობენ ბევრასა ბერისა ბიძაისასა...

სოფ. შატილი

143. ჟურდების დაჭრა

ჯარეგი(თ) ქისტებ წამავლენ, ე რო მიდიან მშაეჩია.
ქისტმ უთხრა: „ცხენის პატრონი, ვიცნობ, ხაიბარ კაცია“.
ის კი არ იცის საწყალმა, მშაელ ჩაუჯდა გზაჩია.
შაუკრა მაღალ-სახვევი ორწყალჩი, ასავალჩია.
ჭმა გატყდა ზენას ლიქოკა გძელ-სადილობის ხანჩია,
ჩამაანახეს ჯირიმთა,—თითო ვაშკაცის ფასია...
ქისტებს მიზდიო(დ) ტყვიაი, ეგრ რო ხორბალი ცხავჩია.
ჩამაიტანნეს მდაბლადა, ჭალას დაღმარხნეს ლამჩია.
ერთ კიდევ გაუტიათ—თქვეს—იმ თავის ქვეყანაჩია,
კარგა უამბას ამბავი: „დაგვლივნეს ქურდობაჩია!..“
ციხეგორობა მგულაეის, ვიკაფიაებ ჯვარჩია;
მშაელს მაქვ ყაბალახაი გადახატული მჯარჩია.

სოფ. შატილი

144. მამუკა ძალუნდაურის მოკვლა

დაგციან, გიორგმიდაო, თუშებმა ბელანქარია:
საკვირაოთით თუშებმა მძოვარ დალალეს ცხვარია.
მახკიდა ქალუნდაურმა მგელმ სანადიროთ თვალია.
სამდევროდ გამამართულსა მუკლებს შაუჯდა ქარია.
ჩამავა თათლის გორასა, ჩამაბუბუნებს ჯარია,
წყალს ალერდაჩი გავარდა, ირემმ გაიღნა რქანია,
ჯევის გზას ამეემართა,—პირს მზერ, ბეჭთა ფარია,
შამაჯდა საფეხვნოჩია, მეშველნ მაუნდეს რვანია.
„აქით გამიშვით, ქალებო, შორით დამიგით თვალია!“
ბელელჩი შამეეწია: „თუშნო, დაყარეთ ცხვარია!“
„ნუ მაგვდევ, ქალუნდაურო, არ მიდის შენი ცხვარია!“
მამუკამ არ დაიჯერა: „არ ბრუნავს ჩემი გვარია!“

დაბრუნდეს მექობაურნი—შალვა, ივანე ძმანია.
ივანემ მექობაურმა პირზე დახვია ალია.
წაიქცა ქალუნდაური, ირეცმა დასხნა რქანია...
„ივანევ, ჯელსა ნუ მამჭრი,—სახელი მაინც შენია,
ნჯ-რზეით თოფსა ნუ ამჭდი,—ჭაუხჩი ნადირთ მტერია,
ჯელზეით ჯმალსა ნუ შაჰჯანი,—ჯევსურთად კაის მჭნელია,
ტანზეით ჯაჭვსა ნუ წამყრი,—ქერიგოს ქვიშათ ფერია,
ნუ ამყრი სამკლავეებსა,—მკლავის ფიცრების მჭერია“.

ინატრა ქალუნდაურმა: „სამ დღესამც გამამთელაო,
მასწავლა თუშეთის გზაი, ბორბალსამც შამიყენაო,
ივანე მექობაური გზაჩიამც შამამყარაო,
მეშველიმც დაგვიგვიანა, ერთ-ურთიმც დაგვაცდიაო,
მექობაურის ცოლ-დედათ შორითამც ახედნიაო“...

სოფ. ხახაბო

სანდუა გოგოჭურმა დაუმატა:

ქალუნდაურის ჯმალ თუშებს წაუღავ. მექობაურთ. „ეხლადაც იქ აქვავ, ბოძჩი აქვავ შანახულივ“,—ამბობდიან.

ერთ შვილ დაშჩომიე მამუკას; ისიც ღილღოს რაადა-მ წასულა' ღილღველთ მაუკლავ. აიმის საძებრა(დ) სხვა ვინა-მ წასულ, საველ აღარ მგონდების, ბაჩაყაურთ აპარეკა გაუყოლებავ. აიმაზედაც სიმღერენი ნათქვამნი' აღარ მგონდებისა-ღ.

ქალუნდაურთ ნასახლარ ამაგაჩი-ა, ამა(გ) ზეთკე, ბეწიკუათ სახლის გვერდ, ნაჯოლარა რაი-მ რო ას, თუ სა(დ) გულა(დ) გასვე(დ) გადასაე-გადმასაეს. მამუკაის სახლისკაცთ ქალ იყვ აი(ს) ხათელა, თქვენ თოთიას რომ ხყვანდ. აი(მ) ნათელასთან ორნ ქალნ ხყვანდეს თქვენ თოთიას—ლელუჩი' ხოშექაჩ.

145. ფუნჩათ ჯამრული

კახეთ ძის ფუნჩათ ჯამრული, შუბო, გაგითლის ტარსაო,
კითხულობს თუშურს ამბავსა, ბორბალ გადმასულს მთასაო:
„არ გამაგიდა ბორბალი? ცხენ ვერ მახკიდებს ნალსაო?
ჭარსამაულთა ცხვარ-წყემსსა ერთხან შავაელებდ თვალსაო.
დაღბრიყვებიან წყემსები, ჯამრულ მაასხამს ჰკვასაო!“
კაითა, ჭარსამის ქალო, ძმას ნუ უქარდავ ტყავთაო,—
მავალის თუში გულდიდი, მავა, მაგიჭრის თავსაო,
ქალას თან გამაგიყოლებს,—ბორბალ გასმევდას წყალსაო.
გავლევდა ფენჭიშველასა თვირთვილიანთა მთათაო,
ჩაგიყვანს ომალოჩია, შამაგხვევს თუშის ქალთაო.

სოფ. ხახაბო

V. აკვანთან სამღერი ლექსები

* * *

146. ცეცე, ნანო ქალასაო (‖ ვაჟასაო)
სამკალთ გაჩენილასაო,
ეკლის მშვილდ-ისარათაო,
ბამბის თხორის გულასაო.
ტრედნი ციხეს ღუღუნებენ:
„ანგელოზნი ქალასაო (‖ ვაჟასაო)!“
სოფ. შატილი

* * *

147. ბაბაარეო, ბაბაარეო,
შენ რო ცხენი მამპაარეო,
ქალაქ წამაგიყვანავის,
გაბარგული მამგვაარეო.
სოფ. შატილი

* * *

148. აჩო, აჩო, ცხენენო,
წყალსა გაგვასხენენო,
თუა გაგვასხენენო,
ოქროთ გაგლესვენენო,
თუ არ გაგვასხენენო,
ოჯრად დაგარჩენენო.

აჩო, აჩო, ცხენენო,
წყალსა გაგვასხენენო,
ალაზანი დიდია
შიგ ბებერი ხყუდია,
პური ვსთხოეთ, არ გვაქმია,
ჩვენი ცოდვამც ხკიდია.
სოფ. ბარისაკო.

* * *

149. ჩიტი ჩამატიროდა
ჩიკრიკისა მთაზედა:
„ვაი ჩემთა ბუდეთა,
თიბა-სამკლობისათა,
შიგ მამჩალთა წიწილთა,
სამის კვირაისათა!“
სოფ. შატილი

* * *

150. ჩიტი იძახს: „წიიო,
კალოს პირჩი ვძიიო,
ბარცვალაებს ვკრეეფო,
კუჭმეჭაჩი ვყრიიო.
წისქვილ მივალ, წისქვილს ვფქავა,
მავიღება, ვცრიიო,
ქალაებსა ქვე ვაჭმევა,
ვაჟებს კარჩი ვყრიიო“.
სოფ. შატილი

151. მტირალ გავშვსო

მტირალაო, მყვირალაო,
ვირი ჩამამილალაო,
ამოდ-ამოდ ჩამალალე,
ქოჩნი არ დამიტეხნაო.
სოფ. შატილი

152. ჩიტო-გვრიტო

ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო,
შენი დედა ჩვენსა იყო,
ერთა ფეჯა მასტეხიყო,
მეორითაც კოჭლა იყო,
ჰერჩი შავდეე—დამბალიყო,
ჩამავიღი—გამჭმარიყო.
დიდსა ქვაბჩი არ ჩავიდა,

ცოტინაში მალიკლიკდა,
ათმა კაცმა ვერ შაჰამა,
ჯინშველამა ლუკმად იგდა.
— ის ჯინშველი სა წავიდა?
— მთასა შაუჰამიაო.
— ისი მთაი სა წავიდა?
— თაგვსა დაუჰვრეტიაო.
— ისი თაგვი სა წავიდა?
— ციცას შაუჰამიაო.
— ისი ციცა სა წავიდა?
— ძაღლსა შაუჰამიაო.
— ისი ძაღლი სა წავიდა?
— მგელსა შაუჰამიაო.
— ისი მგელი სა წავიდა?
— დათვსა შაუჰამიაო.
— ისი დათვი სა წავიდა?
— ტყესა გამაღრევიაო.
— ისი ტყეი სა წავიდა?
— ცულსა მაუკვრეციაო.
— ისი ცული სა წავიდა?
— მჭედელს შაურევიაო.
— ისი მჭედელ სა წავიდა?
— კახეთსა და კურმუხეთსა,
ნიგოზთ უკენ ტრუხ-ტრუხებსა.
სოფ. ჭანჭატი

153. ღამურას

ღამურ-ღამურ ღატაკეშა,
თავჩი ნაჭეჩ გაგადვესა.
სოფ. შატილი

* * *

154 — სად იყავი?
— სადიყესა.
— თავი ორად გაგიყვესა.
ნახევარ მგელთ გადაუგდეს,
სხვა უბეჩი ჩაგიდვესა.
სოფ. შატილი

* * *

155. ქვაო, ქვაო, მამარჩინე,
შენმა ძაღლმა მიკბინაო[1].
სოფ. შატილი

* * *

156. ძილო, ნურას მეძინები, ხანს არ ორი ძილისასა,
ამაშინ დამეძინიდი, მკლავს რა ვიწვა ბიჭისასა.
სოფ. შატილი

* * *

157. ჩქარა მადი, მაისაო,
ცხვარმა ძუძუ აივსაო,
ბეწვიკუამ ბატკანამა
პირი ზისერით გაივსაო.
სოფ. შატილი

VI. ჯვით-ნატირლები

158. ძღა გავლმართ წითელაიანიო,
ძმისწული წითელაიანიო...
დაჩვეულია ეეს სახლიო
უნაწილოთა მართებასაო.
სოფ. გიორწმიდა

---

159. ღმერთმა ნუ თქვას, რო აგრ ქნილიყვაო.
ხოლიგათ აბა მთელ ქნილიყვაო:—
გუროს ერთკიმჯარ იქნებოდაო,
ბატონობას რას მაითხოვდაო.
სოფ. გიორწმიდა

---

[1] პინჯრით დასუსხულ ადგილზე ქვას ისვამენ და ამ სიტყვებს მდერიან. (ალ. ჭ.).

160. დასცილებია შაბურასაო
ბორბოწიაი მითხოს-ჩდილაო;
ვაშკაცის სახელს იდებდისაო,
მალულთ რო წინ უდგებოდისაო,
ჭისტის შვილას რო თელავდისაო,
ის ქუდით ეხვეწებოდისაო.
სოფ. გიორწმიდა

161. ქორო, ქარფთით გამახფრინდიო,
ირემო, დაიჯენენ რქანიო,
ბადიათ თამარ გაგვილეგეო;
კისტან მასკვლავ იყვ დედაშიგაო,
გუროს—ნარჩევი ქალებშიგაო.
სოფ. გიორწმიდა

162. ხოშექავ, შენნი მამ-ბიძანიო
ქისტეთით შამადიოდესაო,
ყელ-პრელი იდუაის თოფიო
ნელ-ნელა გამადიოდისაო.
სოფ. გიორწმიდა

163. აის დავითა არ ხარაეო,
რო გამაიქე ჰაუხითაო?
ყმაწვილიც თოფსა გააგდებდაო,—
ალამს დაღლალეს ჯარავანსაო.
პატრონ ხა(რ) კაის დიაცისიო—
ერთ ჩოჯა დაგჩა, ერთ პერანგიო.
სოფ. გიორწმიდა

164. ერთხან ტირილი მეც მეწადაო
გიგიათ დათვიაისაიო.
შენ თუ ხარ დევათ შიშიაიო,
მე ხო მქვიანა ცოლის-დაიო,
ეგრ მარჯვედ ვერცად წაბიხოლიო.
სოფ. გიორწმიდა

165. თქვენი პირიმეთ, დედროანოო,
გადამარიდეთ ყმაწვილებიო.
დღეს დღეჲ ქურსიკაისაიო,
მძებნელჲ ალუდაისაიო,
ჩემის ტრიხაის გამლალეიო.
სოფ. გიორწმიდა

166. შენ ჯურულ წიქა არა ხარიო
განაქცეული ჰაუხითაო,
შენ ხარი გაგათ სამუკაიო
ალვან მაქმედი სახელისიო.
სოფ. გიორწმიდა

167. მზეო, დაბრუნდი, დაგვიანდიო,
ძიოლათ კარჩი დატრიალდიო.
ძიოლათ ერთა იუქმებსაო,
ლამაზი მელიქაის შვილიო.
სოფ. გიორწმიდა

168. ბეწივ, ბერდედა შაგენაცვლაო,
უთხრიდით ჩემსა მირგვალასაო:
„შენი ყვითლაი გამიუფრდაო,
ლაგამიც აღარ უხრის თავსაო.
აქით მგლის შვილ ხარ, მგელიკათიო,
ხარი დისწული ჴმალთეთრთაიო.
სოფ. გიორწმიდა

169. შენ აის აბა არ ხარაეო,
კორნიეხის-ძირ ჩაუხვედიო,
ხოხით რო ღლესავდიდი ჴმალსაო,
რო არბოლებდი გუდანლებსაო.
სოფ. გიორწეიდა

170. გელ, ვენუკები ბურდუშასაო:
ნეტავ ძმათ არ მაგიტევდათაო!
არ მასავალი! არც მაგიდაო,

რას აწკნუტუნებს ყმაწვილებსაო?
არ ვი(ც) ჯარეგას დაგვიანდაო,
არ ვი(ც) იმ ნიამ დააბრუნაო.
სოფ. გიორწმიდა

---

171. აპარეკაო, მამეწონეო,
გავანცდი, გავაზარენ კაცნიო.
გამაგარჩიე სასიძოდაო.
დას მაგცემ, არ მაიყვანაეო
საყურიანსა, ვერცხლიანსაო?
შენ თვალთ ენაცვლას საძილაიო!
მთაჩი ჩივილით არ შახვდათაო,
მთის ქოჩნი „ამინ“-ს დაგიცემენთო.
რად ენდობოდით ურიათაო,
ქისტისპირელთა, ბუსურბანთაო?
სოფ. გიორწმიდა

---

172. ამუგას გადავიარათაო,
ჩალხიაის სახლნ ოქერნ დგანაო.
დავა ლურჯაი უმჭედროიო,
ფგრ იყვნან შენნი გულის-მდენიო...
სოფ. გიორწმიდა

---

173. წვიმა მავიდი, კორკოტაიო,
ბაჩაყაურებ ჩამასეტყვაო.
თუკათ მაუკლა თვირთვილაიო,
კარჩი დაუწვა მოკლიაიო,—
ამამავალა ბუბულაიო.
სოფ. გიორწმიდა

---

174. სტუმრები-გყავთა, მუშტარაო,
შინით რო გამაუდიოდა ქოთიო?
ან მაითარა ბესოთ ქალიო?
ბიძეებ ფანდურს დაუკვრენაო,
დიშვილ ხყავ მებუზიკანტეიო,
რაჭელ ხყუდავა აკრინტულიო.
სოფ. გიორწმიდა

175. ქალები შატილიონთებიო
ქოო ქურულა-ქურულანიო...
შენ ხარი ბაბღიაის შვილიო,
ცოლ-შვილი ცაში დაგიდისაო...
აცალე-ღ, ყუდიაის შვილო,
ყუნჭის დამგდეო მამისაო...
შინა-ღ წავიდათ, სანდუაო,
რაად გინდარის ნამაშვრალიო?
გიხარის, ნათულაილამაო...
სოფ. გიორწმიდა

176. გადაეილაჭებ, დედროანო,
გადავეკიდებ აბათ ქალსაო;
არა-ურაი-ღ არა მითხრაო,
თორე გაგიღებ კაცთ პირადაო.
თვალჭრელს მე მაგცემ მაიასაო,
თუ იქამ დედამთილობასაო,
ან დან იქმენა ქმრის-დობასაო?
აქ კარს დავსჯრ ულაკაურთასაო,
ჩაგიკაფვიებ ურჯულოთაო,
მაგიკარგვიებ ალაზანსაო.
იქაც კეზს გავსტეხ ტრიხაისსაო,
გავსხლეტ ურჯულოს ნიავ-ღვარსაო.
სოფ. გიორწმიდა

177. ახლა, თუ მახკვე! რა ყამიაო,
ე გვერდნ რო მაგჩან ლოგინზედაო,
დედ-მამათ არ მასაცილებნიო?
შენ ჩემს ვერ გასტეხ ბეწვიკასაო
ჰალას ქვიტკირად ნაყუდებსაო...
სოფ. გიორწმიდა

178. შენდ მაკვდას შენი ბერდედაიო,
ნეტა რაად ვის გვეწონებიო?
ვიცითა შენი სიობლეიო,
მემრ შენის დედის სიოვრეიო...
სოფ. გიორწმიდა

179. განძო, გუროს კი დარ დღეიაო,
მზე წითლად არ გიდგებისაეო?
ერთა შეილა გვყვანდ, მაგიკლესაო,
ეეხლა გიატკაზებენაო.
გუროელებისად რაჭელ იყვაო?—
ნარჩევ-ნარჩევებს ვაშკაცებსაო
რო ხკიდებდიან ულაყებსაო.
ჭელ-ფეკ მიწაზე მიდიოდაო,
უკენ სისხლის კვალ მიზდიოდაო...
სოფ. გიორწმიდა

180. შატილიონთამც ვენაცვლებიო
ლეგათ ჩოჯათა, წყემსის ქუდთაო,
ფარაგჩი ჩხირჩამაგდებულთაო.
სიკვდილო, დაგერღვივნეს გზანიო,
როსიდგ ეტოლე ფეხვნის გვერდსაო,
ვაჟების თვალით საჭერლადაო,
ნარჩევ-ნარჩევის საჯოცლადაო?
ზოგ მზორს ზიდავდეს ალაქოთაო,
ზოგსა ჭანთეთით, ტერელოთაო,
იქავ ყველაის სალანძაეთაო...
სოფ. შატილი

181. ეგ იცოდ შენმა ცხვრის ნდობამაო,
მაუშტაის-ძირ დვალებამაო,
ზენაუბანჩი ქუჩებამაო,
კარჩი ფარეხის ყენებამაო:
ცხვარი აქვაჩი ნაშენობსაო,
ცხენი შუ-მიჯხოს თამაშობსაო,
ელვენ ყაწიმნი სახანოსაო.
სოფ. შატილი

182. ტირილს მპატიჯებს შენ დედაიო,
მტირალს ტირილ ქვე რაად უნდაო?
ვიტირა, მამაყოლებ ბანსაო,
თამარს ვეგონებ გულის-მდეიო.

შინამც ნუ მაუხვ მშვიდობითაო,
ქალავ წასულო საქონჩიაო.
ჰირიმე შატილიონთაიო,
მამულნ ყინჩნია ქალისადაო.
მავიდეს თიბა-ცეცხლის დღენიო,
ცელ ბევრაისა დარჩა შინაო
სხვაკან, თემჩია' სოფელჩიაო.
სოფ. შატილი

---

183. დასეტყვა, დაისრია მეხიო,
ცა გატყვრა, მიწა გაიხიაო,
ორწყალაელნი ჩამასეტყვნაო,
უკაცურთ კაცი გაიხვიაო.
სოფ. გიორწმიდა

---

184. მტერს ბაქ არ უნდა მუქარაიო,
მტერს კაი უნდა გარეულიო.
რაჭლა მაგექცნეს მიცუელნიო,
ჩემ მამის-დედულნ „ტილიანნიო!“
სოფ. გიორწმიდა.

---

185. შატილ გავარდა ზარბაზანიო,
ცაზე გაიღა გურგუალიო.
ექნა კა გული მანგიათაო:
„კაც მაკლა ჩვენმა თვალდიდიდმაო!“
პირ-სწორადამც კი შამაგყრიყვარ,
შენ მაგექნია შენებურიო,
შენს წინა-ვ ეეგ დაწვებოდაო.
არცარას მზე ატირდებოდაო,
არცარას მთვარე დახყრიდ ნამსაო.
ბოციათ სამუკაის შვილოო,
შენ სიკვდილ დიდა(დ) შასწვდებოდაო.
სოფ. გიორწმიდა

---

186. შატილ ნარჩეო ქალებჩიაო,
გუროს—მასკვლაო დედაჩიაო.

ცელი(თ) მთიბელო, ყანათ მჭნაოო,
ნამჭრევჩი მეკაფიაეოო.
სოფ. შატილი

---

187. ათათაჰაე, ბალაჰაეო,
გადიდებულხარ ვაშკაცაიო.
შენ ეგიც არა იცოდიდიო,
ლეგას ჩოჭასაც იცომდიდიო,
ფარაგჩი ჩხირ ჩამაიგდიდიო...
სკლატის საკელი გაგიშვავაო,
ქუდაი გვერდზე გაგიგდავაო...
ადიდებულსა ღვანდი წყალსაო
ვერ გასატეხსა ცხენისასაო,
გამწარებულსა ღვანდი მთასაო,
ვერ დასაწონსა მგზაერისასაო,
პირ-კვამლიანსა ღვანდი თოფსაო,
ჭმა-ძალიანსა სიათასაო,
პირ-დაფხაულსა ღვანდი ჭმალსაო,
ფრანგულსა სისხლჩი დაფერულსაო,
მგორიალესა ღვანდი ქვასაო,
მთაჩიით ჭალასა გავარდნილსაო...
შენ გინდან შენფერნ მატირალნიო,
შენის კაცობის დამფასავნიო,
წვიმათოდენნი გინდან ცრემლნიო,
მასკვლავთოდენნი სათვალავნიო.
სოფ. გური

---

188. რა ხქენი, გაიაის ჭალო,
დევანი რაზე დაღუპენიო?
ხუთნ ოჭრა(დ) მაგჩეს ფაფანაგნიო,
ჩოჭანი ჩაქორთოშაულნიო,
მანდელნი ნაჭრელაიანნიო.

ბადა(თ) თორელის დიაც მაკვდ, წინა ცოლრ, გაიათ ბაბუაის დაი; აიმას ტიროდის ანატორელი. მზექალა (ბერდედა) ექვივნ, თიკუნად „ანატორელს“ ეძახდეს. გოგოპურთ ზალ იყვ, ჯინჭარაულთ ჭალრ, ბათაკაის ქალ იყვ (მთხრობელის შენიშვნა).
სოფ. შატილი

189. სიკვდილო, დაგიმადლა ღმერთმაო,
თუ მახკალ ბაბოთ გიორგიიო,
ჩუას მაარჩინ, ჩალხიასაო,
მაგათ ტაბლასა სხამიანსაო,
ლუკმას ნასრევსა ჯელ-უკულმაო.
სოფ. შატილი

190. მაკვდას, თუ მაკვდას გველეთელიო,
ორთავაც ქალთა ვაჟად მავზდიო
ნათელიკასა-დ' ხორიკასაო.
ორთავაც ვაჭმევ იფქლის პურსაო.
მთაში მთიბლებში წავღლალავაო,
ჭალასა ბეჭიდურებშიაო.
სოფ. ჭაჭმატ'ი

191. გადიდებულმა თუშიშვილმაო
შატილის ჭალა ჩაიარაო.
შატილ მაცნეი ჩაგივარდაო,
ქვეც გაგიგებენ მითხოელნიო!
ცუდად ხქენ, ცუდად მაგივიდაო,
კარგაი მაგას არ იქმოდაო:—
საურჯულოს წავიდოდაო,
სახელსა იქი(თ) მაიტანდაო.
მკვდრის საძებნა(დ) წასულ თუშ თავადა(ც) მაუკლავ. იმაზე ნატირალი ეგი (მთხრობ. შენიშვნა).
სოფ. თეთრწყლები

192. ქალო თამარო, საისკესაო,
ქალო, საისკე გაგიბედაო?
ლაშარ-ღელეს ხო არ მიხოლაო?
სახლი გიყვარდა(თ) დედა-შვილთაო.
გოგციოს გადაიარიდიო,
მანდ არი შენი ნათლიაიო.
ძმანი მაგიელენ მათურითაო—
გახუტელაი' დათვიაიო.
სოფ. ბაცალიგო

193. დედა გენაცვლას, ბერდიულო,
ჭელ გადახვიე ახალზალსაო,
მანდელ კი არ მააგდებიევო,
მაგას დიდ წყრული გვიჭირს თავსაო...
სოფ. ჩხუბა

194. აგიგო კოშკი ჯვარ(თ)-თავასაო
ოთხ-ოთხის ქალის საფიცრადაო,
მეხუთის ხოშექაისადაო.
მისხენ ჭერხოსა გუროელნიო.
დამისწავლიან ნატირალთაო:
„ქმარს ტირის ბათაკაის ქალიო“...
მთაჩი მთიბლები წაგიღებსაო,
ცელის ტარზედა გიქმენ გვრინსაო.
სოფ. გურო

195. რა კან რანი-მ ვართ, მატირლებოო,
დავსხდებით, დავიმწუხავთ თვალთაო,
დავიწყებთ ტანჩი ცხროობასაო.
იელ-ნაჭამსა ვღგვივართ თხასაო...
ჭირის პატრონს ეგ არ მიზდისაო,
დღეია, ღამე ღგონავისაო.
სოფ. შატილი

196. ...მაქმედნ ორთ სამერჯულეოსნიო,
მამკლავნ ორთ სადარაისანიო,
ხათრ მაქვა, თქვენმა გახარებამო...
სოფ. გიორწმიდა

197. ცოცხლის დატირება

ორნ ყოფილან: ერთ კოკოთა ყოფილ, ჯავახა ხქვივნებიე, მეორე ბადურიკათა ყოფილ, ამა(გ) ქვენათა ქვე ყოფილ, აძიკათ რო ეძახდეს, მაგათა, რაი-რა ექვიენ, ის კი არ მაჯსონს. ლაშქარ დასცემივ შატილს, მუშას დასცემია, არ ვიცი, ზულაეს კი დასცემი ლაშქარი. ი კოკოთა ჯავახაი' ბადურიკათ კაც ორნივ კეებ ვაშკაცებ ყოფილანა' ერთურთს დაღმუქრებიან: „მია-დ'-მე გაჯობნებავ ლაშქროაჩიაე“.

კოკოთ კაცს ჯარათეს გასტყდომი ჯმა, იქით გამაქცეულ-ბადურიკათ კაც კი არ ვიც, საით გაქცეულ. ღუბის-თავ ვისა-მ მაუკლავ ერთ ქისტი, გამარიკა ხქვივნები; არ ვი(ც), ვის მაუკლავ. ი კოკოთ კაცი' ბადურიკათ კაც დაქცეულან ერცხვის მემჯობიას, მაკლულის ასაკაფავად. ბადურიკათ კაცმ თქვაევ მემრავ: „ჩამავალ ჯმალ ჩემიო' ამამავალ ჯავახაისაივ ერთა(დ) შაიყარნესავ, იმოდნით მიმისწვრავ".

კოკოთ კაცს უცავ ჯმლითა' გამაქცეულ. ბადურიკათა' ცოტაად შაგვიანებულ. „სისხლიან ჯმალ წამაუწმედავავ ბალახთადავ—ქვე იცოდის ჩემ ძმამ მიხამა'—მაში(ნ) დაგვიანებულავ ცოტაადავ". აიმ დროს დაუკრავ ქისტებს ზურგჩი თოფი. მიბრუნვილ ჯავახაი' მაუკიდებავ ზურგთა(დ) დაჭრილი' გამაუქცევავ. გამაზდგომიან უკენ ქისტები. ჯავახას დაუსმავ ამხანიგი' მიუთოფიან. კიდევ გამაუქცევავ, ახლა კლო მიუთოფიანა' გამაუხწევავ.

შინ რო მაუყვანავ, ძალიე(ნ) მარჯე(დ) ყოფილ, სულის-ჭირვეულ ყოფილ ისი. კა ჯმითმატირალ ყოფილ ჩიათ თამარი, ის მისულ მასავლელად. დაუწყავ ხვეწნა [დაჭრილს]: „მე ხო ვკვდებიო' ეეხლა მიტირევ, მკვდარს ხო აღარა მამედინებისავ. რას მიტირებავ, მინდავ, რო გავიგონავ". უტირავ ჩიათ თამარს:

საყურიკათით მადის გმინიო,
წუხად ხყავ კმარუაის შვილიო,
ურჩო უჭირსა სატკივარიო,
მოკლიას აბაუდის სულიო.
მდევართ წინ რად მიღმეტდებოდიო?
„დედისერთა ვარ"—რად არ სთქვიდიო?
მეშველაობით ვინ იძახდაო?
ქალ-ზალიც არ მიუდიოდაო.
მე გიყავ ძაღლმა, კუდიანმაო,
მე გაგალვიძე მძინარეიო.

იმაად ნათქვამი, რო: „იმასაც არვინ იძახდავ, „მიშველეთავ", ქალ-ზალიც არავის მიუდიოდავ ტყვედავ, რაად მიზდევდივ ლაშქართავ?"

მემრ მამკვდარ ი კოკოთაიც—თათართ ჯავახა. ისიც უტირავ, აიმ ჩიათ თამარსა-ც უტირავა თუ სხვას ვის უტირავ, ის კი არ ვიცი:

ალე, შე თათართ ჯავახაო,
მე შენი უფრო მამდის გულსაო.

ჴმა რო გაგიტყდა ჯარათესაო,
ზულაის წეერი გადიარეო,
გადაიზინკლე ღუბის-თავაო,
ნასახელარი ამაღბრუნდიო.
ვენაცვლე შენთა სათაგვეთაო,
ზედა ნაკრავთა სამკლავეთაო,
გამარიკაის ამკაფავთაო.

სოფ. შატილი

198. ძალუნდაურთ აპარეკაზე ნატირალი მზეძალუასაგან

ჩემ დედამ ქვე იცოდის: „აი აპარეკა ექვივნაო' აისივ ქალაქის გზაზე მაკვდავ". ხოსიტათა იყვ.„შენა(ც) გეკსონებიან: ე ცაფცუფ(თ) თორელ რო იყვ, მაგათან ყოფილან ისენი. ჩემ დედულნ იყვნეს ეგენი. „აპარეკა ექვივნავ, კა ვაშკაც იყვისავ". ორნ სხვან ძმან ხყვანიან ი აპარეკას. აპარეკაის მაკვდომიდგე აი მამას დაუწყავ შვილთად: „თქვენ რაადა-ღ მასჩითავ: გამაუდეგნივ, აღარაად სამყოფონივ". გაჯავრებულ უფროს შვილი' დაუკრავ თოფი. აისი თოფდაკრულ შინ წოლილ სულამამდინარი, უფროს ძმა [აპარეკა] კარზე ხყვანივ შამაწვენილი. მიღმაჴეველთ დიაცა რაი-მ მასულა' აიმას უტირავ:

არც ჩვენ ვიყვენით მარტუანიო,
ჩვენი ჩამღელი გვედგა წინაო,
ცხენსა შავრასა მასთეზედაო...
ქალ თუ გინდოდათ, მაგცემთ ქალსაო,
ნათელიასა დაგრუშვილსაო,
ხუთს ქალჩი სანარჩიელოსაო...

მზეჭალუას სწყენივ: „ჩვენს მკვდარს თუ ტირისავ, ჩვენ მკვდარ იტირასავ, თუარადაევ რაღა თავის მკვდართ გვაკვეხნებსავ, ჩვენ რა შაგის დრო-ჟამ გვადგასავ"? ამდგარა' მზეჭალუას სასენო უტირავ:

არ ვიცით ჩამღელ-ჩუმღელთაიო,
ჩვენ არა გვეჩამღლებიანაო,
ცა-დახურვილნ ორთ, საკვირელნიო.
ჩამღელი აიქ იტირეთაო,
სადაც ვის გქონდასთ სატირელიო...
ერთ კარზე გვიწევს ფალავანიო,
მეორეს შინ ამუდის სულიო...

სამნ შვილნ ხყვანიან აიმას, აი მამასა' სამნი-ვ დახჭოციან. ეეხლა არც ერთის ბოლოი დამრჩალი. ქალუნდაურთებ იყვ ისეებრ, ეეხლა აღარავინ-ა იმათა.

სოფ. გურო

199. დის ნატირალი ძმაზე

გიორწმიდელთა, ბათირათ დიაც ვინა-მ წაუყვანავ ტყვედ. ბევრა საჴსარ შამაუთვლავ ლეკებსა' ბათირათ სახლჩიით ვერ ამასვლი საჴსარი. იმის საჴსარჩი მისაცემად ერთ ჯორ არხოტივნისად გამაურთმავ, სიძისად. ნასუკენ სიძე არაყით მასვლივ ბათირას, თავის ვაჟა სტანებივ. საყურა, ბათირაის მამა, მალედავ დაწოლილ წუხრ. ჯორის ფას მაუთხოვავ არხოტიონსა' აიმაზე გამასვლი შუღლად სიძე-ცოლისძმათ. საყურას ლოგინჩიით უძახებავ შვილისად: „მე კი არ ვაუბნებდივ მაგოდენსავ, ავჰუილევ, ბათირაო!“ ბათირას ქვე მაუჩხვერავ სიძერ. მემრ ი არხოტივნის სახლისკაცს, ახალას მაუკლაც ბათირარ, თოფ დაუკრავ საკვამჩიით. იმ არხოტიონზე არიან იმის დის ნატირალნრ:

გეებენ: „გუროს ნუ მიხოლიო,
არაყ ნუ მიგაქვ სასმელადაო,
გადასულნია ბათირანიო,
არა იციან სტუმრისაიო.
მაგკლეს სტუმარი თავისაიო,
სკამზე ნაჯდომი გულისაიო.
ბევრია შენი ამხანიგიო,
თავი ნუ გგონავ მერჯულეიო,
სიძე ბევრ მაკლეს ცოლეულთაო.
კლოამ(ც) ეგრ იქმენ გურუელნიო.

სოფ. ხახაბო

200. უთურგით გოგრგიზე ნატირალი

გორგი უთურგიშვილ იყვ, არდოტელრ. ის სამზირს ყოფილ ერთხანა-და ლეკის მგზავრს შახყრი. ლეკებს დაუსვენებავ, ზურმაზე თამაშობა დაუწყავ. გორგი ახლოს ხყვანრ მიმჯდარი. „აბა, კაის მამიშვილო, შენა-(ღ) გადმაჴედივ“—„უთხრესავ ერთსავ“—თქვისავ გორგიმავ. „ერთ მაღლის ტანის ვაშკაც გადმაჴდაო-და გამაუარავ...“ აიმისად დაუკრავ გორგის თოფი-და თავად ცოცხალივ გამახვეწებივ. იმაზედ-ა დის ნატირალი:

გორგისამც ენაცვლება დაიო
წვერთ,—ჯიქვის რქათვით დაგრეხილთაო,
მუქლთა,—შორის გზის მაარულთაო,
მჭართა,—ნაწყენთა საგძლისათაო...
გორგიო, ის დრო არ ჯობდაეო,
ლეკს რო ეჯედი გორის პირსაო.
ლეკი ზურმაზე თამაშობდაო,
შენ თოფის ლიშანს აყოლებდიო,
უქებდეს მამიშვილობასაო...

სოფ. ხახაბო

201. ჟამის ნაჯიც ქალებზე ნატირალი

ქალებო ჟამის ნაჯოცებო,
ქვიშისას არ იდინეთაეო?
ჰიშველსა არ გახენეთაეო?
ჰიშველ მთიბლები არ თიბდაეო?
ცელები არ უნათობდაეო?
სიმღერეს არ იძახდესაეო?

ერთ წელს ჟამს ბევრა ქალებ-უჯოცავ არხვატ. ჰიმღიონთ ქალებ უფრო ბევრ უჯოცავ. სრუ ერთის დროს ქალებ-ყოფილან. იმი(თ) ნატირალი, რო: „თქვენავ სწორფრებ-გყვანდესთავ მთიბლებშიავ, იმეებისად ხედვაჲ-გეწვადთაო-დ' ისეებიც მაგჩესთავ, დაიჯოცენითავ".

სოფ. შატილი

---

202. ნეტავ სიკვდილსამც მისცა შვილიო,
იმას სხვა სიკვდილ შამახყარაო,
დედასა, დასამც ახედვნიაო.
იქნება გაისვენებდ გულიო,
იქნებ წეს გამაიცვლებოდაო...

სოფ. შატილი

---

203. ...ორღობეშიამც დაგაწვინაო,
მეთაეთ თოფიმც დააკვრიეაო,
კისტნელთ ქალ-ზალიმც შამაგხვიეაო...

სოფ. გიორწმიდა

204. ...შე ბათაკიათ მეჯიქვეოო,
ჯიქვთ არ შაგასწვრან საყენშიგაო...
სოფ. გიორწმიდა

205. .. მაღალვ, დედიდა ჩამაგადნაო,
დისწულ ხარ ბატონიანთაიო...
სოფ. გიორწმიდა

206. ...ძმაო, კარგა კი გიტირებდიო,
ცრემლის ლოპო მაქვ დალეულიო...
სოფ. ჯაჯმატი

207. ...არა ვიც უსკა-ბუსკათაიო,
არა ორ მაგათ მაცნაურიო...
სოფ. ჯაჯმატი

208. ...მთას წოლ, მინდიაის მზემაო,
აიქ დავხვლავ საფარცხველთაო,
ნაქონთა მინდიაისათაო.
სოფ. გიორწმიდა

209. შამავიარე როშკისაკაო,
როშკა ნაროშკლად მამეჩვენაო:
აღარცად ისხდეს უფროსებიო,
არცად ფეხონი შაყრილიყვაო...
სოფ. როშკა

210. ჩამავიარე როშკის-გორიო,
როშკის-გორ მიწა აიმდგვლიეაო:—
ახალათ ბიძურაიშვილმაო
წამასადგომად აიწიეაო.
ციხე დაგვეჭცა ქალო-დ' ზალოო,
ჩაწვა როსტომი მიწაშიაო...
სოფ. როშკა

211. ვაჩინი

თივა მათიბე, შაიჭივრეო,
პირთეთრო ჩემო ცოლის დაო.

სიძე ჯარს მაგგვრის ნაელარსაო,
ქავთრის მთაზედა ნასუქარსაო.
სოფ. ბარისაჯო

---

212. ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზოო,
თიბაჩი ნამკრევ-შენიეროო,
არ ვიცი,—კარგად გიჯრის ცელიო,
არ ვიცი,—გიპატიებს ცოლიო...
მთიბელთ თავითაც გეხვეწებიო,
დედის-ჩემისა მანდელითაო:
ნამკრევის ტოტთა ნუ დამიჭრიო,
ნუ დამაბრუნებ ტირილითაო:
ყმაწვილ ორ, შამაკლდება გულსაო,
შინ ვეღარ მიოლ სირცხვილითაო...
სოფ. შატილი

---

213. ...ბრალია, თითბრის სამკლაეო,
ცუდას რო ეჯღრიალებოდაო,
არ ესხა ჩიკრიკაულასაო,
სისხლითა არ იღებებოდაო...
სოფ. ბარისაჯო

---

214. ...შენ დაგიოკრდეს, ცოლისდაო,
თეთრნი მანდელნი ნარმისანიო,
მე შენზე დამჩომია გულიო,—
ცელი კუდაი გამავთარეო...
სოფ. ჩხუბა

---

215. ...მამკალი რა მამკალი-ღ ასაო,
ვერ მამკას პირი ყანისაიო,
ვერ მამკას, ვერ ჩაიარასაო
ნაპირი ხოდაბურისაიო...
სოფ. შატილი

216. თვალვა

ვიტირათ უკენობისადა, ძილოო,
ძილო, პირიმე ძილოსაი, ძილოო,

მზიასაც წაგილალავთ შინა, ძილოო,
სახლჩიაც გაგიქრობთა ცეცხლსა, ძილოო,
შამამბრუნავჩი სატანებნო, ძილოო,
უნაწილოჩი სატანებნო, ძილოო...
სოფ. გიორწმიდა

---

217. შენ მე კი არას მენანებიო, სიძეოო,
და მენანება თავისაიო, სიძეოო,
ერთხანამც კიდევ აგაყენაო, სიძეოო,
ორწყალაჩიამც ჩაგავლვიაო, სიძეოო,
მირგვალთამც სოფელ შამაგსვიეაო, სიძეოო,
ბადათ იმედა მაგიკლესთაო, სიძეოო,
ოროლ ძაღლიკას დაგიკრესთაო, სიძეოო,
ჰიელნიც ქვე შაგიკრიფნესთაო, სიძეოო...
სოფ. გიორწმიდა

---

218. ჩვენს ნულარ ამაიარიდიო, მგელიაო ჩვენოო,
თვალსა-ვ რას ამაგაყოლებენო, მგელიაო ჩვენოო,
გულით ნაწყეო ქალ-ზლისაო, მგელიაო ჩვენოო...
სოფ. გიორწმიდა.

VII. ანდაზები, აფორიზმები

— ალალივ არამთ საფარივ.
— არ დააგდებს გვარი გვარსა, წყალი—თაეის ნამდინარსა.
— „არა ვიცი“ სთქვიდიო' გასვენებით ჟჯდიდივ.
— არმინდამა არ ჭამაო,—
ცხრა ხინკალი შაჭამაო.
— არაყს უთქვამ: „მეჩქარისადავ ჭელ გამამბიეთაო' მემრავ მე ვიცივ!“
— აქით დავსცდი მთიბელთაო,
იქით მესადილეთაო.
— აჩქარებულ წყალივ წყალს გასცდომიავ.
— ახალზალსავ ავდრიან დღეივ დილა ეგონისავ.

— ბურმის ქვეყანაჩიავ ცინთვალსავ ორთვალად ხედავდიანავ.
— ბერო კაცო, ნუ ახყვები ყმაწვილების ხუმარასა,
ძაღლებია ყმაწვილები, ჩაშაგაცმენ ტუმარასა.

— გაგამ თქვაევ: „კა ქალ მინდავ!“
კა ქალმ თქვაევ: „გაგა არ მინდავ!“
— გამასავალ წიწილაივ კვერცხჩიავ იწივლებსავ.
— გველის ნაკბენსავ იმო წამალივ,
იმოს ნაკბენსავ—მიწა წამალივ.

— დალევის წელსავ ჯინჭველასავ მჯარნ გამეემბნიანავ.
— დამავ დასავ საცერ აუფარავ: „რაჯელც შენ მხედავავ, აისრ მიავ“.
— დაჩვეულ მელაივ აიმ კვალზედა-ვ ჩარბოდისავ.
— დედის წინ მავალ კიცვსავ ფეჯ მასტეხიავ.
— დიაც-ყმაწვილის გაზდილივ საჯარე ჯბოიც არ ვარგავ.
— დიდ სვენებაივ დიდ ვირის ბარგიავ.

— ერთ კაცობდავ,—სხვა გაცოფდავ.
— ერთმ რო გითხრასავ,—არაიავ, ორმ რო გითხრასავ,—თვალთავ ჭელ აიფარევ.
— ეტყოდიან ქალასაო,
ასმენდიან ზალასაო,
— ეშმამავ ეშმას უთხრავ:—„კოპუკულმართო!“ „—რაად მითხარივ?“ „—წინ დამასწრობდივ“.

— ვაის გავექეცივ, უის შავექეცივ.
— ვინც ლოცავ,—იმან კოცნავ.
— ვინც ქალშიავ,—ის ჯმალშიავ.
— ვინც ჭამდავ,—ჭაბუკობდავ.
— ვირმა ნარნი დათხარნაო,
იქავ თავად დაჭამნაო.
— ვისაც უფროსისა არ ესმისავ, იმის ვენაჯს არ ესხმისავ.
— ზედ-მიმტანესაე სუდარივ ჯიბაჩი უნდა ედვასავ.

„— თავ ვინ ასავ?“ „—ადამივ!“
— თვალით ხედავდიანაო' კვალს იძევდიანავ.
— თუშთავ დიდო შააქიანავ,
შააქიანაო' შააკლიანავ.
— თხაივ თხის ბაზით გაიბოტნავ.
— თხის მამპარავსავ თავს ცეცხლ ივ.

— კას ქალსავ თავ სთხოევ:
არც·მაგცაო' არც გაგცავ.
— კაც ტყუოდაო' ჯორც არავ.
— კედივ სხვათ ნიეციო' თავად კართ უკენ დეეყუდევ-

— მამულბევრსავ ნეხვბეერმ აჯობნავ.
— მარიენობა დღესაო ქარი არ დაზძრავს ტყესაო.
„—მაპარვა იციაევ?“ „—ვიცივ!“
„—დამალვა იციაევ?“ „—ვერავ“.
— მატეხილსა-ვ მასტეხიანავ.
— მახათს მჯიღით არ ეცემის.
— მძახლოაიო' ვაჭროაივ ნებისაიავ.
— მელაისა' ვერძის დღენ ადგანავ.
„—მთვრალმ რა თქვაეო“'—„გულისაივ!“
— მგელსავ არიარეობა დაეთქვაო' „არი, არი“-ავ ეძახ-
დიანავ.
— მგლისად ვირის ყურნ ვის უწყალებიან?
— მუნიანმავ ჯერ ქვე არ მაიფხანავ, მაიფხანაო' მაიგლიჯავ.
— მთხილივ ოთხით გააბიანავ.
— მონას მჭედელსავ ნაჭირსაც თავისას აწვევდიანავ.

— ნაცვალივ — ნაცარივ.
— ნამივ ნამს ხკარიო' ალაზან იქნებავ.
— ნაწყალობივ—წყალთავ!

— ომაღლოს ორივ,—ომალოს ომივ.

— რაიც არ მამდისავ, არ ჩამდისავ.
— რას არ გაუდისავ?—დაბარებულსაო' გატანებულსავ.
— რასაც ერიდევ, იმას ეგანევ.
— რაც ცას ხფერავდავ, დედამიწამ შაუქციავ.
— რკინის კარივ ლასტის კარს მისვლიავ.

— სიკვდილსავ სიკვდილივით კაც უნდავ.
— სხვათ ნაშჯობ ისარივ ყუნჭს ეშვავ.
— სირცხვილ მაგადგაო' სიკვდილ განატრავ.
— საქმე არ აქვის დიდოსა,
დახევს, დახკერავს გუდასა.

— საქონივ თუ პატრონს არ ღვაევა, არაჭიავ.
— საფერჯედ ჯორი კრულია, საამხანიგოდ — დიაცი.
„—საქივარაო, რა გაჭიქინებსავ?“
„—მაჭირებსაო' მაქიქინებსავ!“
— სიბერეივ ლომს მაღრევიაე.
— სიბერეო, სიძნელეო, ჯოხო ჯოჯოხეთისაო.
— სხვათა ერბო-ყველაიო,
დედის ჴელა ჴმელაიო.
— სხვათა შვილი არ შვილობდა,
ვით ნაცარი არ ფქვილობდა.
— სხვანივ — სხვათავ,
დათვივ — სხალთაიავ.
— სიჩქარით წყალს წყალ არ გაურევავ.
— სოფლის უღურმ თუ გაგწირავ, კლდეთ გადაღვარდიდივ.

— ტაბლას — ახლოსავ, მტერს — შორსავ.

— უსამოდავ გველ არ კვდებავ.
— უქმივ მეუქძეთაიავ.

— ფეჴნო, თქვენ ერთუცს ეხვევითაო' მე წყალჩი მაგდებთავ.

— ქისტივ მთით ჩამაბრუნეილავ: „მასპინძელსავ ჴელ ვერ შაუქციევ“.

— ღარიბ — გათაებისკესავ, მდიდარ — სირცხვილისკესავ.
— ღორ უმძიმდაო' გოჭიც ზედ მიადვიანავ.

— ყმაწვილსავ ყმაწვილივ სოროჩიით გამაუთრავავ.
— ყვავსაც თავის გაკეკილაივ.
— ყვავსავ თვალნ არ ესხდიანაო' წამწამთ ითხოვდისავ.

— ჩიტმ თქვეევ: „ცხრა ენა ვიცოდივ. მინინო დამეტიაო' ცხრაი-ვ დამაცილავ“.
— ჩიტსავ ანე-განე უშინჯეო' სისხლივ მემრ უყარევ.

— ცეცხლსავ ცეცხლივით კაც უნდავ.

— ცეცხლთავ გულნ აწუხებენავ, კაცსავ—უგულობაივ.
— ცოლ-ქმრის უთქმელიო' ყორნის უქმელ არაიავ.
— ცოლის დამ წინდან დამპარნა, დაქსოვის მაგიერადა.
— ცის ჰეხით არ მავ ავდარი,
ჴმის გატეხითა—ლაშქარი.
— ძაღლისაივ ბატკან არ გაჩინდებავ.
— ძაღლის ნაკბენსავ—ძაღლის ბეწვივ.
—ძმამაე კარ ჩაიარავ, შვილმავ—გულივ.
— ძნა იწვებოდაო' ულო იცინოდავ.

— წავალ-წავალა სტუმარი მასპინძლის ამამგდებია.
— წინას—თასივ, უკენას—ფიცივ.
— წინ გაუტენ გუდაივ უკენ აღარ გაიტენებავ.
— წყალმაც დაბალზე გადაიარავ.
— წყალსავ პერ მახჭადეო' ვალ იქნებავ.
— წყევა—მწყევართავ, ლოცვა—ზიარიავ.

— ჰიელთავ ჭერხოსავ ჯარნ შაყარნიანაო' წინითი ქვე არა დაუდვიანავ.

— ხორნაულთასავ თაფლივ ბევრიაო' ძაღლის გუდაში ძესავ.

— ჯადელივ ფეჴმაქრიდგე ფარობდავ.
— ჯალი—ჯაჭამდი,
ფაფა—კართამდი,
ქერი—ცხრა მთამდი,
იფქლი—გადავლამდი.

— ჯერ ქვე არ დაიჭირავ ძერიკამავ, დაიჭირაო' ქვე აღარ გაუშვავ.
— ჯოხი ტყისა, ჯარი სხვისა,
დახკარ, რას გენანებისა.

ხევსურულ დარგობლიჭ ლექსიკაში აღნიშნულ ტერმინთა (და გამოთქმათა) საძიებელი

ა

აბაზეულის ჯარჯები 263, 18
აბრაშუნი 262, 21
აბუა 270, 26
აბჯარი 305, 35; 306, 4, 7; 308, 6
აგება: იხ. კულაის აგება; სახლის აგება
აგებული 279, 17
აგებულ ქვაბი 217, 21
აგერი 232, 20
ადგილის ათეგრება 233, 34
ადეე 232, 22
ადლი 265, 19; 279, 25; იხ. აგრეთვე: გაშლილ ადლი; მამჯუღეილ ადლი
ადოში 201, 23
ავარდნილი ძროხა 231, 38
ავარტი 205, 19
ავარტიანი საბელი 205, 19, 20
ავაჯისგანი 294, 1
ავდარი 285, 33, 34, 35, 37
ავდრის ჩამადენა 285, 27
ავეანტა 244, 12
ავსება: იხ. გულთ ავსება
ავსული პირუტყეი 233, 24
აზღოტნი 265, 5, 15
ათეგრება: იხ. ადგილის ათეგრება
აკავანნი 293, 29
აკავანთ ღერძი 293, 33
აკახმა 198, 2, 3
აკეცილა 253, 24, 30
აკო 207, 22; 292, 24
აკუშურა 262, 10
ალაგი: იხ. სასახლე ალაგი; საქარე ალაგი; ფურდობა ალაგი; ფურთ ალაგი; ცხენ-ჯორთ ალაგი; ჭართ ალაგი.
ალატი 209, 16
ალაჩა 243, 17
ალაჩუყი 273, 29
ალერდი 226, 26, 29, 30
ალღოჯი: იხ. ხის ალღოჯად დადება
ამაგება: იხ. ჭმლის ამაგება
ამადუღება: იხ. საარაყის ამადუღება
ამაკერებულ თათი 261, 20
ამაკინჩება: იხ. კუსის ამაკინჩება
ამამღერება: იხ. ჭმლის ამამღერება
ამასხმა: იხ. ჭალბუნების ამასხმა
ამაფხაება 307, 4; იხ. აგრეთვე: იარაღის ამაფხაება
ამაქრობა: იხ. ლუდის ამაქრობა
ამაღება: იხ. იარაღის ამაღება; ჭმლის ამაღება
ამაყრა: იხ. ჯორცის ამაყრა
ამაცვლილა თათი 261, 23
ამაწურვა: იხ. კუსის ამაწურვა
ამაწურვილ სატანი 268, 22
ამაპრა: იხ. ჩხიმთ ამაპრა
ამაპყორეა 274, 23
ამაჯსნა: იხ. თხორის ამაჯსნა; ტარის ამაჯსნა; ტარის ორწვერად ამაჯსნა; ტარის სამწვერად ამაჯსნა
ამბავა 252, 37
ამგე 279, 14
ამირღება: იხ. არაყის ამირღება
ამლა 194.2
ანაქვეტი 210, 1, 3
ანგელოზა 235, 17
ანდრეზი 252, 37
აპატინა ტყავი 246, 16
აპატინა ჯორცი 241, 18; 271, 25

აპაური (|| აპეური) 198, 8; 287, 9, 10; იხ. აგრეთვე: ძაგრის აპაური (|| აპეური)
აპირტყნიალება 290, 16
არაყი: იხ. ნამტუსრის სულიან არაყი; წვერის არაყი; წინწვრის არაყი; ხირხიტოს არაყი
არაყისად ფხის მაჭრა 217, 6—7
არაყის ამირღვება 217, 5
არაყის გამასვლა 216, 15
არაყის გამაწურვა 215, 16
არაყის გაწირვა (ერთზე, სამზე...) 218,18
არაყის კვეთა 218, 17
არდაბაგა 284, 18; 297, 26
არდოლაგ ლუდი 221, 6
არნავი 285, 28, 29
არყი 277, 14
არშავიანი 310, 9, 24
არშავის ტყვია 310, 9
არშინი 279, 29
არცისკანა 290, 27
არპინა 239, 29
არხოტულა 262, 10
ასაყარნი 290, 29; 291, 7
ასთე 281, 23
ასილა 215, 32
ასტამი: იხ. ვარცლის ასტამი; ღომლის ასტამი
ატია 268. 33
აფელკვა 241, 11
აფეშბვა 241, 11
აფთივით იარაღი 307, 5
აფიკა 296, 4
აქვიტი 225, 18
აქცევა: იხ. კალოსად გვერდის აქცევა
აღაჩა 217, 21
აშალი 213, 7, 11
აშალის მაჭრეხა 213, 39
აშენებული 279, 37
აშლა: იხ. ჯღნის აშლა
აშურა 214, 10, 11; იხ. აგრეთვე: ჭალის აშურა
აშურმანი 307, 30; 308, 4
აჩუა 243, 36; 244, 1
აწყული 216, 20
აჭა 205, 31
ახალდაფარებულა 273, 27; 298, 23
ახალი: იხ. მთვარის ახალი
ახალი თულუხი 296, 37
ახალი ქვაბი 296, 34
ახალუხი 264, 33
ახო 195, 11
აკვსება 237, 9
აკვსების შაბათი 212, 19

ბ

ბაბა 212, 1
ბაგა 286, 23
ბადლი 276, 28
ბადლი მიწა 196, 21; 285, 1—2
ბაკანი 267, 31; 295, 29, 30
ბაკნები: იხ. საზისვრე ბაკნები
ბალანი 252, 17—18
ბალახანი: იხ. უჯოყრუან ბალახანი; ჭყაპორტუან ბალახანი
ბალახი: იხ. მზისპირის ბალახი; ნემსაბალახი; ჩდილის ბალახი; წმიდა ბალახი; ჯოყრიან ბალახი;
ბალახნი: იხ. მონან სამპრელონ ბალახნი
ბალბა 225, 32
ბალთანი 307, 4, 29
ბალთა-ყაწიმი 308, 1
ბანდვა: იხ. ჯღნის ბანდვა
ბანი: იხ. დაბალ ბანი; ზეთა ბანი; ზეთას-თვლის ბანი; მაღალ ბანი; ქარიპნის ბანი; ქვეთა ბანი; ქვეთას-თვლის ბანი; წინგარდაის ბანი; ჭერხოს ბანი
ბანისად მიწის შაყრა 285, 25
ბანისგან წყლის დაჭერა 285, 2
ბანის გასიპვა 284, 37
ბანის დალიპყვა 284, 38
ბანის მაკისვრა 285, 17
ბანის შამიწვა 285, 25
ბარგი 227, 7; იხ. აგრეთვე: ყარტის ბარგი
ბარკალი 240, 38
ბარკლის გალო 240, 29, 33
ბარტყი: იხ. ჭირიმის ბარტყი
ბარული ქერი 200, 13
ბარული ყანა 195, 27
ბასრი ქვა 274, 15

ბასრის ჯმალი 306, 28
ბატები: იხ. ჯარათ ბატები
ბატკანი 237, 7, 9; იხ. აგრეთვე: ბროიან ბატკანი; ბრუტიან ბატკანი; დაბობვილი ბატკანი; დვალის ბატკანი; ნაზამთრევ ბატკანი; სავერძე ბატკანი; სატარიგე ბატკანი; ჭანის ბატკანი
ბაყალიკა (|| ბაყალწიკა) 246, 9
ბაყეი 240, 39
ბაყონი 252, 14
ბაჩაყურა 212, 10
ბაწარაული 307, 15, 23
ბაწარნი 247, 31; იხ. აგრეთვე: ჯღნის ბაწარნი
ბაჭიჭნი 261, 32; იხ. აგრეთვე: საბერონ ბაჭიჭნი; სამუკლენ ბაჭიჭნი; ქალის ბაჭიჭნი; შავნ ბაჭიჭნი
ბაჭკო 228, 29; 259, 20
ბაჭალიკა 246, 9—10
ბეგთარი 308, 17, 33
ბედისკვერა 212, 33, 35
ბერდენკა 309, 7; იხ. აგრეთვე: სტიკის ბერდენკა
ბერი: იხ. მთვარის ბერი
ბერწი 232, 11
ბექთარი 308, 17, 33
ბექი 197, 9
ბელელა 235, 33
ბელელი 300, 28
ბეჩავ წვრილფეხი 237, 28
ბეწვგარეთ: იხ. ტყავის ბეწვგარეთ ჩაცმა
ბეწვშიგათ: იხ. ტყავის ბეწვშიგათ ჩაცმა
ბეჭედა 235, 5; 263, 36
ბეჭი 239, 36; 258, 32
ბეჭის ყელი 239, 36
ბეჭნი 265, 4
ბეხვ თულუხი 296, 37
ბეხვი 295, 23
ბეხვ ქვაბი 296, 34
ბეჭენი 238, 15, 16, 18
ბზე 256, 26; იხ. აგრეთვე: ნამკუდის ბზე; ხვავის ბზე
ბზის დაყრა საქონისად 286, 29
ბიბკი 215, 10
ბიზიონი 252, 19
ბითლა 238, 14, 16
ბინა 298, 7, 13
ბირკინტი 278, 11
ბირნ 270, 11
ბირნელა 269, 32; 270, 11
ბიშინა 276, 26
ბიჭონი 214, 23
ბოლოთ საკერება 266, 21
ბოლონი 265, 4
ბომბი 309, 12—13, 36
ბორბალი 208, 28
ბორბლისებერა 291, 36
ბორბოლიჭყი 274, 33
ბორბოწია 206, 6
ბორტვი 195, 13, 16
ბორტვის დანაყა 195, 15
ბორტვის დაწერა 195, 22
ბორწკალი 290, 26
ბოსელი 272, 8; 273, 29; 286, 5, 7, 8; 288, 1; 297, 24; 298,1; იხ, აგრეთვე: გამაზღულ ბოსელი; გამაუზღავ ბოსელი; ქვიტკირის ბოსელი
ბოსლის კიბე 287, 36
ბოსლის ყურე 286, 8
ბოტი 236, 16
ბოტობა 236, 17; 238, 36
ბოტობის ნადირი 238, 11
ბოყვი 270, 17
ბოცორაგი 200, 19
ბოძი 277, 17; 298, 16; იხ. აგრეთვე: ერთობლივ ბოძი; ლაშყბიან ბოძი
ბოძის მიდგმა 298, 17
ბოძის შაგდება 287, 20—21
ბოძკინტი 277, 21
ბოჯი-ბოჯი 237, 2
ბრავნიკი 309, 12
ბროიანი ბატკანი 237, 33
ბროლი 274, 30
ბროლ-მარილა 275, 18, 19
ბრუტიან ბატკანი 237, 33
ბუბუნი 233, 5
ბუდენი: იხ. ფურის ბუდენი
ბუხალაყი 217, 2; 248, 25
ბუზვი: იხ. მემწერე ბუზვი
ბუზიკა 294, 9

ბუზიკანტი 294, 16
ბუთუთი მატყიერი 237, 34
ბუმბული სალოგინე 293, 9
ბუნაგი 218, 37; 268, 12; იხ. აგრეთვე: სარაჟელგანდო ბუნაგი
ბუნი 307, 1; იხ. აგრეთვე: ჭმლის ბუნი
ბურა 310, 7, 14, 16
ბურახი 225, 19
ბურკვი 214, 7; იხ. აგრეთვე: ჭალის ბურკვი
ბუღმა 262, 18
ბურჯღუმი 290, 15
ბუღაური 241, 33, 36
ბუჟაყი 225, 19
ბუყი 217, 2; 248, 25
ბუძუნძელი მატყიერი 237, 34
ბუჭულა 208, 36
ბუხრის ქუდი 249, 4
ბღავილი 238, 3

გ

გაასფითება 215, 4
გაბალვა 293, 1
გაბანდვა: იხ. ჯულჩაის გაბანდვა; ჯღნის გაბანდვა
გაბეჭიანება 197, 9
გაბორტვებული ყანა 195, 13
გაბოტვნა 236, 17
გაბუმბულება: იხ. ჩალის გაბუმბულება
გაბუმბულებული სალოგინე 293, 8—9
გაგდება: იხ. საკერჩხილის მი-და-მოღმ გაგდება
გაგდებიება: იხ. წვერის გაგდებიება მატყლისად
გაგოზა 277, 5
გადაკვართვა 260, 27
გადალაჭული 234, 12
გადალესული ცელი 223, 16
გადაოგნებული იარაღი 307, 6
გადაწურვა 216, 27, 30
გადაჯოჯმაჭებული იარაღი 307, 6
გადება: იხ. კეზის გადება
გადენა: იხ. თიბად გადენა
გადმატანა: იხ. პირობის გადმატანა
გადმაყრა: იხ ქართ გადმაყრა საყუნწურჩიით
გადმაჩქანჩქვლა 217, 34
გაე: იხ. საჭნავად გაე
გავა: იხ. ჭარის გავაის ჯღანი
გავაის ჯღანი 247, 23, 25
გავანი 240, 4
გავეღება 234, 9
გაზარვა 231, 27
გაზერჭნა 277, 6
გაზ-კვერი 245, 2
გათალა 240, 24
გათელვა: იხ. ტოლის გათელვა
გათლა: იხ. ფიცრის გათლა
გათხრა: იხ. ლიბუს გათხრა
გაკეთება 237, 19; იხ. აგრეთვე: ყანის გაკეთება; ჩრეკილაის გაკეთება
გაკეთებული ჭარი 234, 15
გაკეკა 253, 14
გაკეკილა 253, 13
გაკვირაულ წყემსი 228, 27—28
გაკვრა: იხ. იარაღისად ჭელის გაკვრა ჭმლისად ჭელის გაკვრა
გაკიდება: იხ. ქართ გაკიდება მამულისად
გაკოპიტებული 257, 7—8
გაკრეფა. იხ. თოფების გაკრეფა
გალა 262, 2; იხ. აგრეთვე: საბრაშუნია გალა
გალავანი 299, 23
გალალვა 232, 25
გალაუგი 224, 5
გალები: იხ. ორშიანთ გალები
გალი 278, 3; იხ. აგრეთვე: ფერცხლის; გალი; შეშის გალი
გალიბანდური ქუდი 249, 4
გალმეშა 240, 24
გალნი: იხ. ფარცხის გალნი
გალო: იხ. ბარკლის გალო; შუალა გალო; წვივის გალო
გალულუტება: იხ. ცომის გალულუტება
გამაგდება: იხ. ტოტჩიით გამაგდება
გამაგმობა 232, 27
გამადევნება: იხ. კარის გამადევნება
გამაზღული 286, 22
გამაზღულ ბოსელი 274, 19
გამათაფრვა 276, 33
გამათხევა: იხ. საარაყის გამათხევა
გამაკედლულო 297, 27

გამაკენება 224, 18
გამაკიწლება 256, 21, 22
გამალბობა: იხ. ცელის გამალბობა
გამანაწარბი 295, 19
გამართება: წისქვილის გამართება
გამარიდება: იხ. გულთ გამარიდება
გამასვლა: იხ. არაყის გამასვლა; ყანის გამასვლა; ჯეჯილის გამასვლა
გამაუვალ ყანა 203, 5
გამაუზღავი ბოსელი 286, 22—23
გამაფიცრულ-გამაკუდლული 287, 18—19
გამაღალული მიწა 196, 23
გამაყოლება: იხ. კარის გამაყოლება
გამაშხარება 290, 11
გამაჩუქება 213, 37; იხ. აგრეთვე: თხილის გამაჩუქება; კეცეულის გამაჩუქება
გამაჩხრეკა 290, 24
გამაძახა 256,6, 13; იხ. აგრეთვე: მბილად გამაძახა
გამაწარბული 291, 32
გამაწკეპა: იხ. ცელის გამაწკეპა
გამაწურვა: იხ. არაყის გამაწურვა
გამაპაჰეი 201, 13—19
გამაპრა: იხ. ჯორცის გამაპრა
გამაპყორება 274, 23
გამახიზნა: იხ. ძვლის გამახიზნა
გამაჯრა: იხ. კარის გამაჯრა
გამაჯურვა: იხ. ტკბილის გამაჯურვა
გამბა: იხ. გუთნის გამბა; საქონის გამბა
გამდინარ თულუხი 296, 37
გამდინარ ქვაბი 296, 34
გამერუყეება: იხ. საქონის გამერუყეება
გამოშიგნვა 241, 10
გამოცვარვა 256, 38
გამტკიცვა 210, 36
გამჩენი 236, 13
გამძგავება 246, 17
გამწვეტება 246, 20
გამხანე ცხენი 243, 12
განამტვნა 253, 27, 31
განაწვლული 297, 27
განიერ ლიბუ 280, 1
განიერ ჯამი 295, 34
გაპიმპალელი 216, 20
გარა 257, 34
გარეთა 277, 27; 298, 29
გარენგარ: იხ. ტყავის გარენგარ ჩაცმა
გართხმა: იხ. ტყავის გართხმა
გარისვა 252, 7
გარმუნი 294, 9, 19
გარსაკრი 244, 15
გარუყება 197, 3
გასაგნვა 304,26
გასაჩქელეთი: იხ. ლოდის გასაჩქელეთი
გასახელებელი 234, 23, 24
გასაჯლეჩი: იხ. უღელზე გასაჯლეჩი
გასვლა: იხ. თიბად გასვლა
გასთვა 254, 15, 16
გასთულ ნაჰერი 255, 11—12
გასიპვა: იხ. ბანის გასიპვა
გასკივებული 290, 1, 38
გასრეულ იორღა 243, 15—16
გასჭდომა: იხ. ხის გასჭდომა
გატანა: იხ. ცხვრობის შადგამ გატანა; ჰარავნობის შადგამ გატანა
გატეხა: იხ. კეხის გატეხა
გაუხელ ტყავი 246, 24
გაუკეთებ ვერძი 237, 21
გაუკეთებ ჯარი 234, 16
გაუწურთნავ ცხენი, 244, 29—30
გაუხანო ცხენი 243, 13
გაფელქვა 241, 14
გაფეშხვა 241, 14
გაფიცრული 297, 27
გაფოლვა 253, 20, 21, 31
გაფოლვილ მატყლი 253, 30
გაქანებულ იორღა 248, 15
გაქერქული ხე 278, 16
გაღება: იხ. საქონობის გაღება
გაღეერული ხე 278, 16
გაყიჯებულ ცოცხი 294, 31
გაყრა: იხ. გულთ გაყრა; ხე-ჰერის გაყრა; ჯღნის გაყრა; ქიცი-ქიც გაყრა
გაყრილ ჯღანი 247, 20—21
გაყრილი: იხ. ქიოი-ქირ გაყრილი; ქიცი-ქიც გაყრილი
გაშილვა 263, 23, 24
გაშლილ ადლი 279, 25
გაშლილ ჰელი 279, 24
გაშობილ საქონი 234, 23
გაჩენა: იხ. ჯბოს გაჩენა
გაჩქვლეთა 268, 35

გაცამცმული 216, 19, 21
გაცემა: იხ. ცხვარ-საქონის სამაზიაროდ გაცემა
გაცხავება 206, 18
გაცხრინვა 206, 25
გაძღომა: იხ. ყანის გაძღომა
გაწვართვა 234, 10, 11
გაწვედა: იხ. იარაღის გაწვედა; ჰმლის გაწვდა
გაწვრეთა 213, 33
გაწილება: იხ. საქონის გაწილება; ჭარავნის გაწილება
გაწილებულ საქონი 229, 24, 25
გაწირვა: იხ. არაყის გაწირვა (ერთზე, სამზე...)
გაწურვილ ხვავი 206, 18
გაწურთვნა 230, 19
გაპრა: იხ. ლიბუს გაპრა; სვის გაპრა
გახანებით თიბა 224, 10
გახეთქა: იხ. ხის გახეთქა
გახვევა: იხ. შიგიში გახვევა ტკბილ-სისწვენთა
გახვინიკებული 243, 34—35
გახლათვა 298, 15
გახოშვა 263, 23, 24
გახოშვილი 263, 33
გაჴდომა: იხ. მიგრივით გაჴდომა
გაჴეჩა 278, 17; იხ. აგრეთვე: ხის გაჴეჩა
გაჴვრეტილა ძვალა 240, 34
გაჴლეჩა 213, 26
გაჯი-გაჯი 238, 1
გელობა 223, 19, 21, 24
გემა (|| გემნა) 249, 8
გემაის საჴელურა 249, 11
გემაის შატი 249, 14, 15
გემაის ჯარჯი 249, 15
გენი 193, 31
გერი 193, 19, 20, 28
გერში 229, 20, 35, 36
გეჩი 232, 16
გეჯა 216, 7
გველთსალოკა 274, 35
გველი: იხ. ლიბუჩი გველის წივილი
გველის ნამსუნთი 226, 2—3
გვერდალი 224, 3; 274, 13
გვერდი 218, 33; იხ. აგრეთვე: კალოსად გვერდის აქცევა; სავარცხლის გვერდის ფიცარნი; ტოლის კიწლიან გვერდი; ტოლის წყრულიან გვერდი
გვერდითა 298, 24
გვერდნი: იხ. კიდობნის გვერდნი
გვრინი 227, 16, 18
გზის იორღა 243, 17
გზის მატაცება 283, 5, 7, 11
გინი 193, 32
გიჟი ცხენი 243, 14
გირგოლი: იხ. ფარის გირგოლი; ცელის გირგოლი
გირგოლნი: იხ. ჯარათ გირგრლნი
გირკალი 286, 4, 7
გირონჭა 294, 35
გლუვი 278, 12
გლუვ სათიბე 224, 1
გოდორი 207, 23
გოზა 304, 5; 305, 1, 3; იხ. აგრეთვე: უკენა გოზა; წინა გოზა
გოზა-წითელი მშვილდი 305, 1
გოზები: იხ. მშვილდის გოზები
გორდა 306, 24, 31
გოჯი 279, 24
გუგუნი 311, 14
გუდანური 251, 7, 11; 293, 3
გუდრუხელა 265, 27
გუთნის გამბა 199, 6, 7
გულიანი: იხ. ჴორცის გულიანი კეცეული; ჴორცის გულიანი ქადისკვერი
გულდატანთ ჴვნა 197, 10
გულება 203, 20; 226, 32
გულთ ავსება 209, 34
გულთ გამარიდება 290, 24
გულთ გაყრა 209, 32
გულის-ბადენი 239, 26
გულის ტარი 239, 26
გულის ყანა 195, 29
გულნი 209, 1
გულ-ფირტვნი 239, 21
გურგუჩელი 274, 6
გურჩი 274, 6, 8; 294, 33
გუსტულაობა 270, 3
გუჯაბი: იხ. სერკვის გუჯბად დგომა
გუჯაბ სერკვი 203, 18
გუჯინი 207, 3; იხ. აგრეთვე: ყარტის გუჯინი

დ

დაამლვა 194, 1; 233, 24, 25
დაამლული 194, 1—2; 233, 25, 27
დაბალ ბანი 285, 20; 286, 2
დაბობვა 237, 30
დაბობვილი ბატკანი 237, 31
დაბოყვება 270, 17
დაბღრაჯნილი 211, 12
დაგება 259, 8
დაგზება; იხ. ცეცხლის დაგზება
დაგმანვა 282, 29; იხ. აგრეთვე: კარების დაგმანვა
დაგმობა 232, 26, 28
დაგულვა 282, 29; იხ. აგრეთვე: კარების დაგულვა
დადება: იხ. კეზის დადება; საქონისად თივის დადება; საქონისად საბლის დადება; საქონისად ჩალის დადება; სახელის დადება; ცანდის დადება; ხის ალღოჯად დადება; ხის ზემცრედ დადება
დადევნება: იხ. კარის დადევნება
დადუმება 293, 35
დადღვება: იხ. ზისვართ დადღვება
დაეითფერული 306, 23
დაზიდება 304, 34
დაზინება 304, 30, 34
დათვა 235, 27
დათვი 278, 4
დათირება 293, 14
დაკავკაული 225, 31; 262, 7
დაკავკაულნ ნამკრევნი 224, 34
დაკარგული: იხ. უგერშ დაკარგული
დაკბილული 262, 6
დაკბილულნ ნამკრევნი 224, 34
დაკედვა: იხ. კართ დაკედვა
დაკედულნ კარნი 282, 2—3
დაკეული 231, 27
დაკვალვა 199, 17
დაკვალული ყანა 199, 18
დაკვართული 260, 22
დაკვლი 290, 19
დაკვლისფერი 290, 20
დაკიაპება 201, 9, 18
დაკონვა: იხ. თივათ დაკონვა
დაკრაწნილი მაშთაგი 249, 2—3
დაკრუშკვილი 260, 21
დალალვა 199, 21, 22, 23, 25
დალიკება 220, 17
დალიპყვა: იხ. ბანის დალიპყვა
დალიშნება 311, 12—13
დამაღის ჩამასვლა 245, 16
დამაჯნება 285, 16; იხ. აგრეთვე: ყორის დამაჯნება
დამდგარი საარაყე 215, 36—37
დამუხვა: იხ. ქინთის დამუხვა
დამუხვილი ქინთი 248, 34
დამშხალვა 211, 11
დამშხალული ცომი 211, 12
დამძაკება 271, 30; იხ. აგრეთვე: პურის დამძაკება
დამძიმება: იხ. პურის დამძიმება
დამძიმულ პური 215, 8
დამწერვა 271, 13; იხ. აგრეთვე: ჯორცის დამწერვა
დამწვდო: იხ. პირ-პირ დამწვდო კეზი
დამწყალობნება 213, 17
დამხვევრული 262, 6
დანა 305, 32; 306, 9
დანაბდულ მატყლი 252, 6
დანაგაბრება 286, 33
დანალვა 245, 3, 6
დანამვა 202, 10
დანა-სარტყელი 305, 34; 306, 2
დანაქარდაული 254, 27—28
დანაყა 195, 13; იხ. აგრეთვე: ბორტვის დანაყა; ყამირის დანაყა; ყანის დანაყა
დანაჩირჩნება 251, 14
დანდობა: იხ. ხის კეზზე დანდობა
დანიავება 205, 21: იხ. აგრეთვე: ნამკუდის დანიავება; ხვავის დანიავება
დაპობა 213, 31
დარანა (|| დარანი) 298, 31; 299, 1
დარბაზი (|| დარბასი) 273, 25; 300, 22—23, 25
დართვა: იხ. ზომის დართვა
დარი: იხ. მონა დარი; უფერ დარი
დარიფანი 298, 24
დაროშვა 210, 3
დარუყება 197, 3
დარუყებული 197, 6
დარუყვა 200, 10

დასაბიაება 277, 21, 37
დასაბღუჯება: იხ. ფარის დასაბღუჯება
დასალახვრავი 233, 8—9
დასილაგება: იხ. ტყავის დასილაგება
დასილაგებულ ტყავი 248, 27
დასურავება: იხ. კალოს დასურავება
დასხმა: იხ. ცეცხლზე წყლის დასხმა
დაფარება: იხ. სახლის დაფარება, სიპერდაით დაფარება
დაფარებული კალო 297, 16
დაფქვა: იხ. მბილად დაფქვა; მშრალად დაფქვა
დაფხაება 223, 8, 13
დაფხაებული 306, 33
დაქადლება 311, 13, 19
დაქოხება 301, 27
დაქსვა: იხ. ქსლის დაქსვა
დაქსულ ქსელი 257, 26
დაღერება 201, 19
დაღერღვა 210, 3
დაყივება 201, 17
დაყმედა 215, 2, 3
დაყმედილი 215, 3
დაყრა: იხ. ბზის დაყრა საქონისად ლაგმის დაყრა
დაშნა 306, 16
დაშნუა 306, 19
დაჩიგვა 234, 8
დაჩურთვა 282, 28; იხ. აგრეთვე: ქარების დაჩურთვა
დაცდა: იხ. ჭელის დაცდა
დაცვლა: იხ. ძნის დაცვლა
დაცხავება 206, 18
დაძახა 256, 17, 18; იხ. აგრეთვე: ნაპრის დაძახა
დაძირება: იხ. კარაქთ დაძირება
დაძირწვერება 220, 17—18
დაწერა: იხ. ბორტვის დაწერა
დაწერილი: იხ. წვერამდი დაწერილი ხანჯარი
დაწველებული 201, 31
დაწიგნული 260, 21
დაწურვა: იხ. ხვავის დაწურვა
დაწურვილ ხვავი 205, 33—34
დაწყობა: იხ. ჰერების მი-და-მოღმ დაწყობა. ჰერის-გლების მი-და-მოღმ დაწყობა; ხე-ჰერის მი-და-მოღმ დაწყობა; ჭელების დაწყობა
დაჭედა: იხ. ცხენის დაჭედა
დაჭერა: იხ. ბანისგან წყლის დაჭერა; მეჯარავნის დაჭერა
დაჭვრეთა 211, 34
დაჭკდევა 247, 5, 7
დაჭკდეული 247, 5
დაჭუნჭუხება 213, 31
დახორხნა 210, 3
დაჯალება 214, 25
დაჯეშჭილი 237, 28
დაჯშირება 200, 6
დაჯაბნება 280, 11; 285, 16; იხ. აგრეთვე: ყორის დაჯაბნება
დაჯაყვრება 234, 17, 18
დაჯაყვრებული 234, 18
დაჯირა 225, 32—33
დაჯრა: იხ. კარების დაჯრა
დბრუ-დბრუ 238,2
დგნალი 238, 2; 277, 15
დგომა 288, 26, 27; იხ. აგრეთვე: სერკვის. გუჯბად დგომა
დება: იხ. ჯორაი ტყავზე დებას
დედა-ბოძი 277, 19
დედალ თოხლი 237, 12, 13
დედალ რუსული 306, 24
დედე 232, 22
დედო 232, 21
დედოჯო 232, 21
დედულ-მამული 195, 7
დედუფალა 235, 23
დეკეული 231, 27; 234, 26—27
დენგნი 300, 17
დესთნი 263, 15
დვალები 255, 16
დვალი 237, 6
დვალის ბატკანი 237, 8, 9, 10, 11; 252, 4
დიაფრაგმა 239, 25
დიაცების ფეხონი 300, 20
დიაცის საბაკიე ნასთი 256, 4
დიაც-ყმაწვილი 298, 33, 38
დიდ ხუთშაბათი 212, 38
დირენი: იხ. კიდობნის დირენი
დიყი 225, 32
დიშლა 225, 33

დლაყეი 240, 39
დობილა 235, 17
დობილნი 235, 17
დობილ-ჯაჯალანი 235, 17—18
დოდაგი 269, 12
დოვი 271, 1; იხ. აგრეთვე: კოხ დოვი
დოლა 233, 18
დოლის ბატკანი 237, 8, 9, 10, 11
დორია 220, 9, 35; 236, 25
დოსმასი 233, 8
დოფსთი 295, 20
დოხანი 214, 16, 17, 22
დოხანჭრელი 214, 19
დუა 267, 28
დუგვა 290, 16
დუდურა: იხ. ცაცხვის დუდურა
დურა 251, 7
დუსთი (‖ დუსთურა) 282, 28, 30, 31
დუსხა 240, 25
ლუქარდი 251, 20
დუღება: იხ. ლუდის დუღება
დუღილება: იხ. ჯორცის დუღილება

ე

ეკალდამა 273, 26; 301, 10
ენა: იხ. ჯვართ ენა; ჯღნის ენა
ენა-ონა 300, 36
ენდრო 260, 6
ენის კუდი 239, 18
ენკენია 213, 8
ენწო-ენწო 232, 18
ენწუა 231, 18
ერაწი 296, 28
ერბოს ფაფა 270, 25
ერვე საბლი 281, 3
ერვე ყორე 281, 3
ერთ თვალ კიდობანი 292, 23
ერთობლივ ბოძი 277, 20
ერთ სათესი 200, 5
ერთ ჯორ პური 207, 14
ექვსნაოჰიანი ქუნთა 244, 18—19

ვ

ვადა 307, 1, 12
ვათაღრის ქუდი 249, 34, 35, 38
ვადა-ცერიანი ჰმალი 307, 10
ვარია 269, 30, 37
ვარიაის პირნი 269, 38, 39
ვარცლი 211, 5; 295, 28, 30
ვარცლის ასტამი 211, 30
ვაშლი: იხ. კონწარ ვაშლი; კოწახ ვაშლი
ვაშლის (ხის) ქერჩი 260, 7
ვაცი 214, 22
ვაცუნი 236, 13
ვერტარიგი 237, 17
ვერქვანი 198, 10
ვერქვნის ტოტნი 198, 11
ვერცხლის კოპობა 218, 10
ვერცხლის კუკუმა 263, 18—19
ვერძი 237, 20, 21; იხ. აგრეთვე: გაუკეთებ ვერძი
ვეფხვა 235, 27
ვეძა 215, 21
ვირი 242, 11; 246, 5
ვიტონკა 309, 8

ზ

ზალა ძმარი 269, 13
ზალტე 263, 36; 264, 7
ზალტე-სათითენი 264, 22
ზანდუკი 296, 25
ზანზალიკა 234, 22
ზარადი 308, 27, 31, 35
ზარფუში 216, 6
ზარფუშის ყელი 216, 7
ზატორი 310, 34
ზატყი ჯორცი 241, 16
ზაჭი 240, 23
ზგელფეკი 231, 2
ზედადგანი (‖ ზედადგარი) 291, 16, 18, 19
ზედგანი 211, 19; 214, 14; 291, 9, 15
ზეზეურად ნაჯნავი 199, 31—32
ზეზეურ ლიბუ 280, 1
ზეთა ბანი 286, 1—2
ზეთას-თვალი 279, 9; 288, 2

ზეთას-თვლის ბანი 285, 1; 286, 2
ზეთას-თვლის კიბე 287, 36
ზელა: იხ. მაშთაგის ზელა; ტყავის ზელა; უსაფუძვლოდ ზელა ცომისა; ცომის ზელა
ზემცრე: იხ. ხის ზემცრედ დადება
ზენა-უბანი 279, 5
ზერდაგი 243, 18—19, 30, 32
ზვარა 231, 21, 22
ზვება 232, 6
ზვინი 226, 16
ზიდვა: იხ. ცხვრობის შადგამ ზიდვა
ზიკი 263, 7
ზინზილიან საყური 264, 3
ზისვარი (|| ზისცვარი) 232, 32; 267, 9 10, 14; 276, 3
ზისვართ დადღება 269, 28, 29
ზისვრის ჩაწურვა 267, 32
ზმუილი 233, 6, 7
ზომიერ ნიავი 205, 29
ზომის დართვა 209, 27—28
ზრო 304, 11, 36; 305, 10; იხ. აგრეთვე: ისრის ზრო; შუბის ზრო
ზროიანი: იხ. მაკრატელა ზროიან ისარი
ზრუნი 233, 5
ზურაბი 235, 33
ზურგანი 265, 4; 278, 14
ზურგი: იხ. ფონ ზურგი
ზურგის კკდე 240, 2
ზურგნი 265, 8
ზღავი (|| ზღვა || ზღვე) 274, 17
ზღვენი 241, 3; იხ. აგრეთვე: ჯვართ ზღვენი
ზღუბლი: იხ. კარის ზღუბლი; უკნა ზღუბლი; წინა ზღუბლი; ჯვართ ზღუბლი
ზღუბლნი 281, 16

თ

თაგვია 235, 8, 11
თავი: იხ. კერაის თავი; კიდობნის თავი; ორხლის თავი; სათქამურის თავი; ყანისად თავის მიდენა
თავგრაგნილი 262, 6
თავითი 293, 5, 10
თავკირკოტა 202, 13
თავ-კისერი 239, 34
თავნახარა 262, 6—7
თავნი 230, 19
თავრიელა 238, 27
თავ-რქანი 238, 29, 30
თავსვილა 225, 33
თაღორ ცხენი 244, 29
თავშავა 260, 6
თათი 261, 16; 264, 30; იხ. აგრეთვე: ამაკერებულ თათი; ამაცვლილა თათი; კვირტის თათი; საქალბნე თათი; შიბაიან თათი
თათნი 265, 22
თათრის თოფი 309, 9
თათ-საფუჭარი 261, 15—16, 18
თამაშა 245, 25
თასი 218, 2, 7; იხ. აგრეთვე: სახუცო თასი; უფროს თასი
თასნი: იხ. წვრილნ თასნი
თაფორი 276, 32
თაში 246, 11
თბე: იხ. კლდის თბე
თბეები 208, 29; 304, 14; იხ. აგრეთვე: ისრის თბეები
თბენი 304, 14
თბე-წვრილ ისარი 305, 3
თეთრა 214, 31, 32; 245, 24
თეთრერბო 214, 32
თეთრ-ლეგით ჭრელი 233, 11
თეთრონა 260, 16
თეთრონა ყვითელი 260, 16
თეთრტარა 308, 13
თეთრუა 235, 4
თეთრ-წითლით ჭრელი 233, 11
თემლაკი 307, 30; 308, 6
თესვა: იხ. თხლად თესვა; ჭშირად თესვა
თექალთო 244, 25, 26
თვალი: იხ. ერთ თვალ კიდობანი; კიდობნის თვალი; კოჭის თვალი; საიფქლე თვალი; სასვილე თვალი; საქერე თვალი
თვალის მაკილვა 202, 1
თვალის შაგდება 234, 11, 13

თვალის ცეცხლა 234, 13
თიბა: იხ. გაბანებით თიბა; ღულით თიბა; ჭენცლით თიბა
თიბად გადენა 222, 9
თიბად გასვლა 222, 10
თიბის შამშაბათი 222, 9, 13
თივა 222, 7; 226, 29; იხ. აგრეთვე: საქონისად თივის დადება; სისე თივა; უწვიმარ თივა; უწვიმისცერო თივა
თივათ დაკონვა 227, 3
თივანი 225, 27
თივიან სათიბე 224, 3
თივის თრა 226, 31; 227, 1
თივის კრეფა 226, 5, 6—7, 8
თითბერა 235, 31
თიკანი 236, 6, 7, 11, 12; 238, 8; იხ. აგრეთვე: თიკნიაის თიკანი
თიკვი 266, 17
თიკნია 236, 14; 237, 16
თიკნიაის თიკანი 236, 15
თიკნის-ყურა 292, 1
თიკრუნი 210, 33; 248, 24
თირკმელათ ქონი 242, 8
თიჭა 276, 30
თოთო ხარშო 271, 18
თორმეტნაოჭიანი ქუნთა 244, 19
თორნი 271, 17, 21
თოჩარპილი 239, 13, 16
თოფანჩა 309, 10
თოფების გაკრეფა 311, 15, 26
თოფი: იხ. თათრის თოფი; თურქის თოფი; ტალიან თოფი; უპირო თოფი
თოფის ჩული 310, 1, 3
თოფრა 259, 15, 17
თოფ-ჩახმახი 310, 30
თოქალთო 244, 25
თოხლი 237, 11—12; იხ. აგრეთვე: დედალ თოხლი
თოხლია 237, 14, 15
თოკი 208, 33; 277, 12
თრა: იხ. თივის თრა
თულუხი 296, 37; იხ. აგრეთვე: ახალ თულუხი; ბეხე თულუხი; გამდინარ თულუხი; მაკალულ თულუხი; მაუკალავ თულუხი; მსინავ თულუხი; საკრაყე თულუხი; საწყლე თულუხი
თუნგი (‖ თუნგურა) 297, 1; იხ. აგრეთვე: საარაყე თუნგი; სალუდე თუნგი; საწყლე თუნგი
თურქის თოფი 309, 9
თუშურა 296, 6
თხა-ვაცი 236, 19, 21, 32
თხა-თხა 236, 35
თხა-თხა-შენი 236, 35
თხა-ცხვარი 236, 27
თხელ ლუდი 220, 38
თხელ ყანა 202, 12
თხილის გამაჩუქვა 213, 37
თხის ტყავანი 250, 18
თხლად თესვა 200, 5
თხლაფუნი 220, 9, 36
თხლე 220, 16, 23
თხლიანი 220, 27
თხორი 255, 31; იხ. აგრეთვე: ულოიან თხორი; შეებურა თხორი; შიგამამდინარა თხორი
თხორის ამაკვნა 236, 12

ი

იამანი 305, 17
იარაღი იხ. აფთიეით იარაღი; გადაოგნებულ იარაღი; გადაჯოკმაკებული იარაღი; სამსალასავით იარაღი; ყდათ იარაღი; ჯაჭის იარაღი
იარაღისად ჭელის გაკერა 306, 26—27
იარაღის ამაფხაება 307, 4
იარაღის ამაღება 306, 26
იარაღის გაწვდა 306, 26
იოგი 240, 34. 36
იორეშა 195. 25
იორღა 243, 9; იხ. აგრეთვე: გასრეულ იორღა; გაქანებულ იორღა; გზის იორღა; წყალივით იორღა
ირემა 225, 12
ისარი 304, 10, 32; იხ. აგრეთვე: თბეწერილ ისარი; მაკრატელა ხროიან ისარი; ჯარათ ისარი
ისარნა 287, 28
ისკორტა 292, 4
ისრები: იხ. სკამის ისრები
ისრის ხრო 304, 11, 36

ისრის თბეები 304, 14
ისრის კილო (|| კილონი) 202, 1—2; 304, 15
ისრის ყია(|| ყიანი) 304, 14
ისრის წვერი 304, 10
ისტამული 309, 6
ისტონკა 309, 7—8
იფნი 277, 15
იფქლი 200, 16; 205, 3
იწრო ლიბუ 280, 1
იწრო ჯამი 295, 34
იჯბორია 232, 10, 11
იჯნივი 230, 16

კ

კაბარჯა 235, 7
კაბდო 199, 1
კავი 191, 8; 195, 19
კათხა 218, 7, 24
კაკოლი 234, 4
კალაპოტი: იხ. ქალბნის კალაპოტი
კალდიმი 307, 32; 308, 8
კალთა (|| კალთანი) 264, 3; 265, 12
კალო 204, 19, 20, 22, 23; 297, 22; იხ. აგრეთვე: დაფარებულ კალო; მაუწყლავი კალო; მიწის კალო; სვილის კალო; სიპის კალო
კალოიან სახლი 297, 12
კალოობა 204, 18
კალოსად გვერდის აქცევა 204, 37
კალოს დასურაება 205, 11
კალოს მაგალვა 205, 1
კალოს მამარცვლა 205, 15
კალოს მასურაება 205, 10
კალოს მაჩალება 205, 2
კალოს მაწყლა 204, 16
კალოს მაჯდა 205, 5—6
კალოს ჩადება 204, 27
კალტ-ერბო 271, 12—13
კალტი 271, 2, 6, 7, 8
კალტიან კეცეული 271, 14
კალტიან ქადისკვერი 271, 16
კალტისკვერა 271, 9
კამალა 293, 31
კანტალ კაცა 240, 14
კაპარი 214, 25
კაპარპი 309, 1
კაპარპის წილი 309, 3
კაპარაშა 260, 14
კაპსული 309, 13, 36
კარავი 300, 5, 7, 9, 10
კარასტე 281, 22, 23
კარაქთ დაძირება 270, 19
კარაქისძირი 370, 25
კარაქის წილნი 270, 7
კარაქმდნარი 270, 22
კარების დაგმანება 282, 29
კარების დაგულება 282, 29
კარების დაჩურთვა 282, 28
კარების დაჯრა 282, 17
კართად კედის მიგდება 282, 5
კართანულა 292, 25
კართ გადმაყრა საყუჩწურჩიით 282, 3—4
კართ დაკედვა 281, 2
კართი 240, 32—33
კართკედურ მჭარი 291, 28
კარი 279, 1, 4; 281, 13, 15; იხ. აგრეთვე: ლასტის კარი; ქავის კარი; წნელის კარი
კარი-კური 283, 5; 284, 1
კარის გამადევნება 282, 8
კარის გამაყოლება 282, 9
კარის გამაჯრა 282, 8, 13; 284, 23
კარის დადევნება 282, 20
კარის ზღუდლი 281, 16
კარის თავი 281, 25, 29, 31
კარის კოპი 281, 17, 19, 21
კარის მიჯრა 282, 11
კარის-პირული მამული 195, 30; 202, 17
კარის საყუნწური 281, 21
კარის ყუნწი 281, 17, 19, 21
კარ-კედი 282, 15
კარნი: იხ. დაკედულნ კარნი; ნაწვლის კარნი; სამყოფოს კარნი; სასწორფრო კარნი
კარსნამყოფი 301, 16
კარშიკი 244, 16
კარჩხა 290, 36; 291, 4
კასრი 217, 19; იხ. აგრეთვე: სათანთაო კასრი; სასატნე კასრი; საჯორცე კასრი; უძრავი კასრი
კასრუნა (|| კასრუნუა) 295, 12

კატაში 271, 5
კაფია 227, 16, 20
კაჩანი 240, 16
კაცი: იხ. კოხ კაცი
კაცის ტყავნი 249, 21
კაწახი 260, 7
კბილა 253, 22, 24; 262, 9
კბილიანნ ნამკრევნი 225, 3
კბილნი: იხ. სავარცხლის კბილნი
კედელა 235, 33
კედი 281, 38; 282, 6, 7; იხ. აგრეთვე: კართად კედის მიგდება; რკინის კედი
კეზი 277, 17; იხ. აგრეთვე: პირიპირ დამწვდო კეზი; ხის კეზზე დანდობა
კეზი-კეზა ხეები 277, 30
კეზის გადება 284, 18
კეზის გატეხა 284, 22, 25, 28
კეზის დადება 284, 18
კეთილობა 231, 37
კეკა 253, 3, 12
კეკია 294, 25
კელობა 245, 10
კელფი 226, 22
კემუხტი 308, 15
კენჭა 274, 25
კერა 289, 2, 15, 34; იხ. აგრეთვე: მარცხენა კერა; უკენა კერა; წინა კერა
კერაის თავი 290, 6
კერაის პირი 290, 8
კეტ უშვინდი 304, 7—8
კეცეული 213, 14; 271, 13; იხ. აგრეთვე: კალტიან კეცეული; ჰორცის გულიან კეცეული
კეცეულის გამაჩუქვა 213, 37
კეცი 211, 18
კეჭა 253, 4
კეხა 262, 8
კვალა 287, 9
კვალი 199, 9
კვერა 262, 8; იხ. აგრეთვე: წერის კვერა
კვერი 212, 4, 9; 239, 7; იხ. აგრეთვე: ჭვის სამტვრევ კვერი
კვიმსი სატანი 268, 34
კვირაე 218, 14
კვირისა 235, 32—33
კვირტი 254, 7, 8
კვირტის თათი 261, 21
კვირტის საფუჯარნი 261, 16—17
კვიშტავი: იხ. მუჯლის კვიშტავი
კიაპი 201, 9, 13, 15
კიბე: იხ. ბოსლის კიბე; ზითას-თვლის კიბე; საცხვრის კიბე
კიდობანი 292, 17; იხ. აგრეთვე: ერთ თვალ კიდობანი; ჯვაროის საპურე კიდობანი
კიდობნის გვერდნი 292, 27—28
კიდობნის დირენი 292, 26
კიდობნის თავი 292, 29
კიდობნის თვალი 292, 20
კიკინი 236, 32
კიკინ-მაღალი 241, 34, 37
კილდე 275, 9, 10
კილი 201, 33, 34; 205, 3
კილო (॥ კილონი): 258, 26—27; 304, 16, 23, 24; იხ. აგრეთვე: ისრის კილონი; ცხემლის კილონი
კილოს მისელა 304, 18, 21
კილტე 201, 35
კიმხა 262, 10
კინდოლა 235, 27, 35; 245, 1, 20
კინჩხი 268, 30
კინჭლე 267, 16
კირკილი 251, 13
კიტა 272, 7
კიში 276, 25
კიცევი 244, 8
კიწვი 240, 27
კიწლი 256, 22, 24, 26
კიწლიანი: იხ. ტოლის კიწლიან გვერდი
კლდე 275, 7
კლდის თბე 275, 13
კლდის ფიცარი 274, 26, 28
კლიტე 201, 35
კმახულობა 244, 10; იხ. აგრეთვე: საბარგე კმახულობა; საჯდომი კმახულობა
კმეჭა 215, 7
კოდი 215, 32; 217, 18
კოდის სახური 220, 8
კოხი 296, 4, 6; იხ. აგრეთვე: ჭვაფ კოხი
კოთხრო 238, 27

კოკობზინა 255, 21; 294, 22—23
კოკობზინაივით ტარი 254, 32
კოკოშა 218, 10, 21
კოლო 193, 11
კოლოფა 296, 21
კომალა 262, 34
კომბული: იხ. მარილის კომბული
კომიში 269, 1, 2; იხ. აგრეთვე: მარილის კომიში
კომოშტო 295, 14
კონდახი 310, 26, 28
კონიჩა 295, 14
კონჩხა 218, 7
კონწარი 193, 9, 11; 270, 30, 31
კონწარ ვაშლი 270, 34
კოპი 246, 27
კოჟრიანი ხე 278, 13
კოტვა 232, 38
კოტორა 196, 13
კოფა 267, 16
კოფხაჭი 246, 29
კოში 217, 35—36; იხ. აგრეთვე: რვლის კოში
კოშკები: იხ. ჯვართ კოშკები
კოშკი 273, 25; იხ. აგრეთვე: საფლავის კოშკი
კოწახი 193, 14
კოწახ ვაშლი 270, 34
კოწლისა 215, 1
კოჭა 240, 17
კოჭაობა 240, 20
კოჭი 208, 28; იხ. აგრეთვე: კარის კოჭი
კოჭის თვალი 208, 28
კოჭობა: იხ. ვერცხლის კოჭობა
კოჭობნი 218, 26, 28, 30
კოჭობ ჯამი 295, 34
კოხ დოვი 275, 30
კოხვა 275, 30
კოხი 275, 30, 32
კოხ კაცი 275, 32
კოხრო (‖ კოხროლია) 238, 27
კოხ სხალი 275, 32
კოხტა 245, 25
კრაველი 251, 24, 29, 32; 252, 8, 13
კრავი 251, 26
კრეფა: იხ. თივის კრეფა
კროპა 292, 18
კრუმა 201, 1
„კრუშკა“ 218, 10—11
კრუშკვა 260, 21
კუბატი 213, 17
კუდა 235, 34
კუდი: იხ. ენის კუდი; სამკლის კუდი; ღარის კუდი
კუდიანთ წუხრა 212, 37; 213, 1
კუდივნები 213, 3
კუდ-შანასკული ცხენი 244, 34, 36
კუთი ჯორი 241, 17; 271, 25
კუთხანი 263, 5
კუკუმა 266, 24; იხ. აგრეთვე: ვერცხლის კუკუმა
კულა 277, 17, 36; 281, 20
კულაის აგება 284, 20; 298, 17
კუროიან სათიბე 224, 2
კუს-ერბო 268, 28
კუსი 268, 6, 22, 25, 26, 27; იხ. აგრეთვე: ძღაბი კუსი
კუსის ამაკინჩხვა 268, 31
კუსის ამაწურვა 268, 9, 31
კუსის საწურავა 269, 5
კუსის წაჭდა 268, 9—10
კუშუშველა (‖ კუშუშვილა) 268, 22, 24
კუჭი 239, 1
კუჭულა 238, 32, 34; 239, 1, 2

ლ

ლაბარი 207, 4
ლაბუჯი 286, 31
ლაბჯა 202, 31
ლაგამი 244, 28; იხ. აგრეთვე: საჯორკე ლაგამი
ლაგატკა 255, 35
ლაგატკაის ხე 255, 17
ლაგმის დაყრა 244, 31, 32
ლაგმის ჩადება 244, 30—31
ლაგმის წამაყრა 244, 31
ლათბა 219, 4, 8, 19
ლამი 277, 1
ლამ-კირი 277, 1, 2
ლანგარი 295, 31
ლანჭანი 293, 7

ლაოში 212, 10; 214, 22
ლარები: იხ. საშიბის ლარები
ლასტი 278, 23
ლასტის კარი 297, 33, 34
ლატანი 278, 2
ლაფი 276, 35, 36
ლაღი 260, 17
ლაღ ფერი 262, 15
ლაღ ყვითელი 260, 18
ლაღ წითელი 260, 14, 17
ლაშყბა 239, 17
ლაშყბიან ბოძი 277, 19—20
ლაწნი 311, 14
ლაჰანნი 192, 37; 293, 7
ლები 260, 8
ლეგა 233, 11; 243, 3
ლეგან ტალავარნი 265, 7
ლეგნია 235, 3
ლეკი 277, 15
ლეკური 308, 13
ლემადის ნიავი 206, 2
ლესულა 305, 20—21
ლეწვა: იხ. ცასქვეთ ლეწვა
ლვილი 257, 11, 12, 13
ლიბუ 279, 32; 280, 2, 5; იხ. აგრეთვე: განიერ ლიბუ; ზეზეურ ლიბუ; იწრო ლიბუ; მტყელ ლიბუ; ღირმა ლიბუ
ლიბუს გათხრა 279, 32
ლიბუს გაჭრა 279, 31—32
ლიბუჩი გველის წივილი 284, 23, 27
ლიგანა 301, 7
ლიკვი ჯორცი 241, 17; 271, 25
ლილა 260, 10
ლილია 263, 19
ლიპყი 274, 34
ლისკი 211, 28
ლიტრა 294, 36; 295, 5
ლიურელი 309, 11, 32
ლიშაბახურა 262, 8
ლიშანა 235, 5
ლიშანი 310, 27
ლოდი 274, 9
ლოდის გასაჩქვლეთი 268, 3
ლომა 235, 27
ლოპო 278, 36
ლოპოიანი ხე 278, 17
ლოშნ ყანა 201, 23
ლუბი შუნ-ჯიევი 238, 36
ლუბ-ლუმწი 241, 18—19
ლუდი: იხ. არდოლაგ ლუდი; თხელ ლუდი; მირღვა ლუდი; მკვდრის რიგის ლუდი; საჭორწილო ლუდი; საჯვარო ლუდი; სვიან ლუდი; ტკბისველასავით ლუდი; ყვითელი ლუდი; შავი ლუდი; ჭშირ ლუდი
ლუდის ამაჭრობა 220, 5
ლუდის დუღება 215, 15
ლუდის მაჭიქვა 220, 15
ლუდის მდუღე 219, 30—31
ლუდის ფუილი 220, 12
ლულა 216, 7
ლულუანი 263, 20, 21 .
ლულუტი 211, 36
ლურჯა 244, 36; 245, 25
ლურჯონა 260, 16
ლუტ-ლუტი 268, 7, 8
ლღეევა 224, 16, 37

მ

მაგალვა: იხ. კალოს მაგალვა
მაგდება: იხ. ნალბის მაგდება
მაგეჩი 232, 17
მაგლოთნება 232, 31, 32
მაგოზა: იხ. პირთ მაგოზა; ცომით მაგოზა
მადეე 232, 22
მახელილი: იხ. საფუვრით მახელილი ცომი
მახელილ ჯალი 214, 4
მახვერი 231, 19
მახიდება (|| მახინება) 304, 34, 37
მთვალმება 229, 28
მაისტელა 235, 33, 35
მაკალულ თულუხი 296, 38
მაკალულ ქვაბი 296, 32
მაკატი 206, 20, 21
მაკილვა: იხ. თვალის მაკილვა
მაკისვრა: იხ. ბანის მაკისვრა
მაკოდვა 209, 38
მაკრატელა ზროიან ისარი 300, 26

შაკრატელი 304, 2, 12; 305, 5
შამარცვლა: იხ. კალოს შამარცვლა
შამკალი 202, 13
შამო 232, 23
შამული 195, 4, 5; იხ. აგრეთვე კარის-პირული შამული; მთური შამული; ჯართ გაკიდება შამულისად
შამცდარ ყანა 202, 12
შამძგავება: იხ. ქსლის შამძგავება
შამწაული: იხ. ორზე შამწაული ტყავი
შამწაულნ ტყავნი 249, 26
შამჯუღვილ ადლი 279, 26
შანდელი 264, 10; 265, 22—23
შანთება 213, 16
შანქანათ ხე 209, 18
შანქანანი 209, 17
შანძილა 197, 30, 32; 230, 15
შანძილა ჯარი 230, 15
შანძილიანი ცხენი 243, 11
შაჟარი 309, 5, 14, 16
შაჟაური 242, 36
შარბოლ ცხენი 243, 9
შართალ ხე 278, 15
შართული 260, 22
შარიანობა-ჭარის-უქმი 251, 21
შარილის კომბული 287, 31
შარილის კომიჟი 287, 32
შარილის ნაყა 294, 33
შარტივი ქერი 200, 14
შარტუღელი 204, 7
შარღი 233, 20
შარცხენა კერა 289, 16
შარჯვე სათიბი 225, 16
შარჯე სათიბი 225, 15
შასაკითხნი 213, 18
შასანთონი 213, 15
შასაქედურება 197, 38
შასევადული ჴმალი 307, 2
შასვენებულ მიწა 196, 21
შასვლა: იხ. ყანის სამწევრვალთ მასვლა
შასკვლია 235, 2
შასმა: იხ. ქელის მასმა ჴმლისად
შასრა 311, 3
შასურაება: იხ. კალოს მასურაება
შატაცება: იხ. გზის მატაცება
მატეხა: იხ. წელის მატეხა
მატუსვა 211, 23
მატუსვილი 211, 26
მატყიერი 237, 5; იხ. აგრეთვე: ბუთუთი მატყიერი; ბუძუნძელი მატყიერი
მატყლი 252, 9; იხ. აგრეთვე: გაფოლვილ მატყლი; დანაბდულ მატყლი; ნერბის მატყლი; წვერის გაგდებიება მატყლისად
მატყლის წურვა 253, 36
მაუზერი 309, 11
მაუკალავ თულუბი 296, 38
მაუკალავ ქვაბი 296, 32
მაუწყლავი კალო 204, 17
მაფონება: იხ. ქსლის მაფონება
მაფშრუკვა 214, 3
მაქალოზი 296, 19
მაღალა 218, 8
მაღალ ბანი 286, 2
მაყო 204, 30
მაშთაგი 249, 24; იხ. აგრეთვე: დაკრაწნილი მაშთაგი; მჭვარდლისფერი მაშთაგი
მაშთაგის ზელა 249, 9
მაშთაგურნ ტყავნი 249, 21
მაჩალება: იხ. კალოს მაჩალება
მაჩხრეკა: იხ. ჭალის მაჩხრეკა
მაცდომა: იხ. ყანის მაცდომა
მაცვერცული 233, 13
მაწამლული: იხ. სურიელის მაწამლული
მაწვერვა: იხ. სერკვის მაწვერვა
მაწვერულ სერკვი 203, 17
მაწული: იხ. მშრალად მაწული ჴორცი
მაწუყვა 240, 21
მაწყვლა: იხ. კალოს მაწყვლა
მაჭირთება 211, 20, 22
მაჭიჭვა: იხ. ლუდის მაჭიჭვა
მაჭკატი 214, 15
მაჭრა: იხ. არაყისად ფხის მაჭრა; ტოტის მაჭრა
მაჭრება 213, 38—39; იხ. აგრეთვე: აშალის მაჭრება; ხინკლის მაჭრება
მახამება 202, 10; იხ. აგრეთვე: ტყავის მახამება

მახვილი 305, 18, 19
მახორიკა 240, 15
მაჯარობელი 231, 38
მაკაკვლა: იხ. საარაყის მაკაკვლა
მაკდა: იხ. კალოს მაკდა
მბილად გამაძახა 256, 34
მბილად დაფქული 210, 1—2
მბრუნე: იხ. ტყავის მბრუნე
მგელთ უქმი 214, 24
მგზავრა 262, 9
მდგმური 288, 28, 31
მდიდარ მიწა 196, 21
მდუღე: იხ. ლუდის მდუღე
მეანდრეზე 303, 17
მებარგენი 227, 8
მებოსლე 298, 6, 12
მეზღვნე 300, 28
მეკეთილე 231, 38
მეკვლე 212, 27
მელანქრიანი ქმალი 307, 2, 12
მელიკუდა 262, 9
მემწერე ბუზი 271, 33
მენიავე 206, 5, 12
მეოთხე: იხ. საკლავის მეოთხე; ცხვრის მეოთხე; ქარის მეოთხე
მეორახე 241, 6
მეორე შაბრუნვილი 217, 10
მერუყე 233, 30, 31
მერცხალა 235, 25—26
მესადილენი 202, 15
მესამე შაბრუნვილი 217, 10
მესამრელოე 296, 13; 301, 16
მესაქონე 229, 27
მესახლენი 279, 15
მესმენიე 213, 3
მექოხე 301, 18
მეჩვევი 197, 36
მეჩვევი ქარი 197, 36; 230, 10
მეცხვრე 229, 19
მეხანიე 199, 12
მეხივით იარაღი 307, 5
მეჯარავნის დაჭერა 230, 2
მზისპირის ბალახი 225, 11
მზისპირის ყანა 195, 28
მთვარია 235, 3—4
მთვარის ახალი 285, 31
მთვარის ბერი 285, 32;
მთიბელ-მამკალი 202, 15
მთრელი 203, 35—36
მთუთქარი 215, 1
მთურ მამული 195, 27
მთურ ქერი 200, 13
მიადან სათიბე 224, 3—4
მიადან სასახლე 279, 13
მიგდება: იხ. კართად კედის მიგდება
მიგრი 248, 2, 3
მიგრიევით გაკდომა 248, 5
მიგრის ტყავი 248, 1, 6, 22
მი-და-მოღმ: იხ. საკერჩხილის მი-და-მოღმ გაგდება; ჭერების მი-და-მოღმ დაწყობა; ჭერის-გლების მი-და-მოღმ დაწყობა; ხე-ჭერის მი-და-მოღმ დაწყობა
მიდგმა: იხ. ბოძის მიდგმა
მიდენა: იხ. ყანისად თავის მიდენა
მიკვერება: იხ. ნალის მიკვერება
მინა 218, 11
მინინო 235, 6—7; 245, 25
მირგვალა 235, 23
მირდლი 215, 10
მირეული 301, 35
მირღვა ლუდი 221, 5—6
მისვლა: იხ. კილოს მისვლა; შიგიში მისვლა ტკბილ-სისწვენთა
მიტალა 215, 22
მიუჩინება: იხ. სახლის მიუჩინება
მიცემა: იხ. სანაშენხიაროდ მიცემა ცხვრისა; ქარის მიცემა სათავკვებოდ
მიწა: იხ. ბანისად მიწის შაყრა; გამაღალულ მიწა; მასვენებულ მიწა; მდიდარ მიწა; მსუქან მიწა; მშიერ მიწა; მშლილ მიწა; ნაძრაგ მიწა; ნივთიან მიწა; პოხიერ მიწა; საპირე მიწა
მიწის კალო 204, 14
მიჭვრიტა 294, 37
მიხვეულ ტარი 255, 6
მიხურხელა: იხ. სახლის მიხურხელა
მიჯმუჯვილი 260, 37
მიჯრა: იხ. კარის მიჯრა
მიჯუნჯვილი 260, 37

მკა: იხ. ღულით მკა; კენცლით მკა
მკვდრის რიგის ლუდი 217, 14
მნამტნავი 253, 33
მონა დარი 280, 34, 35
მონან სამჯრელონ ბალახნი 225, 15
მონდავი 197, 28
მონდვით ჴვნა 197, 27
მონდვის ჴარნი 197, 27
მოსართავი 244, 15—16
მოში 227, 6
მრუდი ხე 278, 15
მსინავ თულუხი 296, 38
მსინავ ქვაბი 296, 33
მსუქან მიწა 196, 21
მტკაველი 279, 25
მტკიცე საცერი 210, 35—36
მტყელ ლიბუ 280, 1
მტყელ შიბა 262, 6
მტყლებურანი 263, 5
მუზარადი 308, 27
მუქრიანი 278, 13
მურყნის ქერქი 260, 6—7
მუსრი 305, 35; 306, 13
მუქასარნი 265, 17
მუშათ შაყრა 227, 7—8
მუშანი 202, 13, 16
მუხა 277, 14
მუხის წვენი 248, 33
მუჴლი 240, 28
მუჴლის კვიშტავი 240, 31
მუჴლის საჴსარი 240, 31
მუჴლის ფარდა 240, 31
მუჴა 215, 21, 28
მფოლავნი 253, 33, 35
მყურე: იხ. საქონის მყურე
მშვილდი 305, 1; იხ. აგრეთვე: გოზაწითელი მშვილდი; რქიანი მშვილდი
მშვილდ-ისარნი 304, 29
მშვილდის გოზები 305, 3
მშიერ მიწა 196, 23
მშლივ მიწა 196, 20
მშრალად დაფქული 210, 20
მშრალად მაწული ჴორცი 271, 29
მშრალათ ქონი 242, 8
მჩეჩელთ შაყრა 252, 31
მჩეჩელნი 252, 32; 253, 3
მჩვარი 260, 31, 35
მჩიგავი 234, 7
მჩნევიარე 232, 1
მჩქვალვა 270, 5
მჩქვლთარი 268, 35
მცქვეთი 215, 6
მძივ-ძვალისღილა 263, 19, 28
მძღვარი 196, 22
მწახე 193, 22
მწვავი 215, 1
მწიგნარი 260, 25
მწიხლავი 232, 33; 242, 26
მწკეპარა 262, 5
მწკერი 295, 25, 26
მწკიმაროთ ძმარი 269, 13
მწკირტოთ ძმარი 269, 13
მწურე 260, 8
მწყურიელა (|| მწყურიელი) 216, 25, 28
მჭახე 193, 19
მჭახი 193, 21
მჭვარდლისფერ მაშთაგი 249, 4; 259, 26
მჯიღი 200, 2
მჭარი 239, 35; 279, 27; იხ. აგრეთვე: კართკედურ მჭარი; საჴვნივლის მჭარი
მჭარმაღალნი 239, 34
მჭარ-საჴლისთავნი 265, 4

ნ

ნაბერძღალი 260, 38; 261, 1—2
ნაბერწალი 232, 12
ნაბდის ქუდი 249, 7
ნაბინავარი 298, 9
ნაბიჯი 279, 27
ნაბუერა 293, 38
ნაბურდღვენა 293, 38
ნაბჯა 202, 31
ნაგაბარი 286, 31
ნაგები 279, 17, 19, 21
ნაგულა 254, 2, 4; 258, 29
ნადირი: იხ. ბოტობის ნადირი
ნადირის საყელო 250, 2
ნადირის ტყავნი 250, 6, 13
ნავთის წყალი 218, 28, 31
ნაზამთრევ ბატკანი 237, 10—11
ნაზამთრევ ჴბო 231, 15, 16

ნათავთური 206, 21
ნათავძირალი 206, 20, 22
ნათოსი 260, 38; 276, 6, 9
ნათრიელი 289, 5
ნაკერი 222, 7; 261, 37
ნაკერკატალი 252, 21; იხ. აგრეთვე: ტყავის ნაკერკატალი
ნაკლებ წვრილფეხი 237, 28
ნაკრაული 202, 27
ნალევი 223, 15, 17; იხ. აგრეთვე: ცელის ნალევი
ნალეწი 206, 11
ნალის მიკვერება 245, 13, 14
ნალ-უსმარი 245, 1
ნამბილი 196, 18
ნამგოლი 202, 20; 220, 1
ნამზეებლავი 232, 8
ნამზეელი 232, 3, 4
ნამკუდი 205, 8, 9
ნამკუდის ბზე 206, 14
ნამკუდის დანიავება 205, 22
ნამსუნთი: იხ. გველის ნამსუნთი
ნამტენა 253, 28, 31
ნამტუსრის სულიან არაყი 216, 2
ნამყოფლავი 289, 3; 302, 6
ნამწვარევი 289, 31
ნამჯრევნი 224, 28, 33; 225, 1, 2; იხ. აგრეთვე: დაკბილულნ ნამჯრევნი; დაკავკაულნ ნამჯრევნი; კბილიანნ ნამჯრევნი
ნანეხვ ყანა 197, 21
ნანო 293, 16, 18
ნაოთხალი 295, 32
ნაპირ-ყური 197, 8; იხ აგრეთვე: ტყავის ნაპირ-ყური
ნარცხი 271, 20, 21
ნასათარი 203, 37
ნასამალი 218, 33, 34
ნასევდიანი სათითე 164, 1
ნასეტი 269, 2
ნასთი 256, 31, 32; იხ. აგრეთვე: სათათე ნასთი; სანიფხვე ნასთი; საპერანგე ნასთი; სასაფუკრე ნასთი; საქსლე ნასთი; საჩოკე ნასთი
ნასთის ჩახვევა 256, 17
ნაუღელი 239, 27
ნაფთული 249, 31; 263, 7, 8, 11, 12
ნაფხენტალი 278, 10; 289, 28
ნაფხვერი 215, 5—6
ნაჭარდა 292, 1
ნაქცი 252, 1, 2, 10
ნაღბის მაგდება 267, 38
ნაღერღალა 215, 14
ნაყა: იხ. მარილის ნაყა
ნაყრი 215, 26
ნაშალი 298, 27, 29
ნაშენგამადენა 237, 6
ნაშენი 230, 18
ნაჩაფხი 266, 21
ნაჩირჩენა 251, 15
ნაჩხატი 196, 12
ნაცარა 235, 3
ნაცელავი 224, 8
ნაცრისფერი 290, 19
ნაძრავ მიწა 276, 24
ნაწვეთი 285, 20
ნაწველ-ნადღევები 267, 26
ნაწვლის კარნი 297, 29, 31
ნაწვრეთი 213, 32
ნაწლევი: იხ. ყუიან ნაწლევი
ნაწლევნი: იხ. წვრილნ ნაწლევნი
ნაწური 217, 2
ნაჯაპანი 264, 15, 16
ნაჯერი 257, 23; 262, 20; იხ. აგრეთვე: გასთულ ნაჯერი
ნაჯლიკა 209, 5
ნაჯოკი 241, 25, 28
ნაჯრელა 261, 38; 262, 1; 263, 16; 265, 11; იხ. აგრეთვე: პერანგის ნაჯრელა
ნაჯრის დაძახა 255, 12
ნახევლიტრა 218, 11—12
ნახირი 231, 10, 12
ნახორი 215, 6
ნაჯენცლავი 224, 9
ნაჯეჩი 278, 8; 289, 29
ნაჯერეტი 287, 1
ნაჯნავი: იხ. ზეზეურად ნაჯნავი; ღირმით ნაჯნავი
ნეთბა 239, 9
ნემსა ბალახი 225, 17
ნერბვა 232, 3, 4

ნერბი 237, 4, 5, 21
ნერბის მატყლი 237, 23
ნეხვი 197, 14
ნეხვ-მიწა 277, 5
ნიავი: იხ. ზომიერ ნიავი; ლემადის ნიავი; ნისლის ნიავი; რაჟელგანდ ნიავი; სანამკუდე ნიავი; საპურე ნიავი; საწურავ ნიავი; სახვავე ნიავი; სუსტ ნიავი; ჩლინგიან ნიავი; ძრიელ ნიავი
ნიგზურა 289, 29, 31
ნიგუზი 289, 29, 31, 34; 290, 1
ნივთიან მიწა 196, 22
ნიკორა 233, 13; 235, 31—32
ნიკორი 245, 24
ნისლა 235, 30
ნისლის ნიავი 206, 1
ნიფხავნი 264, 31; 265, 16
ნიშა 233, 13; 235, 32; 245, 24
ნიჩაფი 246, 3; 277, 13; 285, 28, 29
ნიხრი 234, 3, 4
ნუტრიანი 278, 13
ნწა 215, 20
ნწა-გერო 232, 19
ნწადეე 232, 21
ნწა-დედო 232, 21
ნწა-დედოჭო 232, 21
ნწე-გამო 232, 23
ნჯენი 193, 31

ო

ოთხატაჟიანი ქვიტკირი 279, 7
ოთხთვალი ქვიტკირი 279, 7
ოთხ-რქა 236, 26
ოთხსართულიანი ქვიტკირი 279, 7
ოთხ-ყურა 236, 27
ოლქაფი 243, 18
ორბა 235, 26
ორხაპი 277, 12
ორხე მამწაულ ტყავი 249, 28
ორის წლის სვილი 200, 18—19
ორმაგი 262, 10
ორნატი 199, 10, 16
ორპირი 308, 15
ორქაფი 243, 18, 26
ორ-ღარი 308, 12
ორშიანთ გალები 258, 38
ორშიან ტოლი 257, 29
ორშიან ჩოჯა 163, 1
ორძირა 295, 16
ორწვერი: იხ. ტარის ორწვერად ამაჯსნა
ორწყე წამალი 311, 2, 8
ორხალანი 203, 33; 226, 26, 28
ორხლის თავი 203, 27
ორჯერ ცა-გამაბრუნვილი 299, 15
ოქრუა 235, 4
ოხაყნი 291, 17
ოხოჩა 242, 4
ოცისთავზე ცხვრობა 229, 10—11
ოცისთავზე წყემსობა 229. 10—11
ოცობა 237, 8, 9
ოჯახი 288, 5—6

პ

პალტო 264, 3
პალტუში 244, 13
პარაბელი 309, 11, 34
პეპელა 262, 9
პერანგი 264, 32; 265, 5; იხ. აგრეთვე ჯაჰვის პერანგი
პერანგის ნაპრელა 249, 27
პერი 220, 18, 19, 21
პირთ მაგოზა 216, 13
პირი: იხ. ტოლის წყრულიან პირი
პირიმზე 235, 5; 242, 24
პირიპირ დამწვდო კეზი 284, 21—22
პირის საბანი 241, 34, 36
პირის-წამალი 310, 38—311, 1
პირ-კვამლიანი 310, 8, 20
პირნი: იხ. ვარიაის პირნი; ქინთის პირნი
პირობის გადმატანა 209, 30
პირუტყვი: იხ. ავსული პირუტყვი
პირფხინა 258, 19, 20
პირქუშა 235, 34
პირში წყლის ჴერა ტკბილ-სისწვენთაგან 219, 31—32
პირწამბული: იხ. ბალახის პირწამბული
პიტალო პური 211, 28

პლახი 278, 9
პოხიერ მიწა 196, 22
პრიშოკი 223, 7
პრიჭკა 286, 20
პური 297, 16; იხ. აგრეთვე: დამძიმებულ პური; ერთ ჯორ პური; პიტალო პური
პურის დამძაკება 271, 30
პურის დამძიმება 215, 8
პურისკვერი 212, 4
პურ-ძმარი 269, 20
პყარი 276, 23, 24; 286, 22

ჟ

ჟანტი 203, 4
ჟიშტი 269, 12
ჟოკონი 294, 21—22

რ

რახა 282, 22
რაფი 296, 29
რაჭელგანდ ნიავი 206, 5
რემა 243, 18, 20, 22, 24
რვალი 231, 35
რვლის კოში 218, 4
რვლის ქვაბი 296, 26
რიგი: იხ. მკვდრის რიგის ლუდი
რიკი 278, 5, 6
რიკნა 294, 24—25
რისვი 252, 5, 7, 9, 14
რიყის ქვა 274, 7, 8
რკინის კედი 276, 17
რკინის ქვაბი 296, 26
როსტომი 235, 33—34
როჩი (|| როჩიკა) 295, 27; 296, 12
რუსული: იხ. დედალ რუსული
რუსულ ცელი 222, 16
რუსულ ჭმალი 306, 24
რუყი 197, 2
რჭა-მარწუბა 236, 25
რჭა-ფიელი 233, 19
რჭა-ფიწალა 236, 26
რჭა-წიწანა 233, 18
რჭა-ჯანგიანი 241, 33, 37
რჭიან მშვილდი 305, 1

ს

საბრაშუნე 262, 24, 30
საბრაშუნია გალა 262, 24—25
საალაჯე: იხ. ჯღნის საალაჯე
საალე 290, 29
საარაყე 215, 26; იხ. აგრეთვე: დამდგარი საარაყე; შერიაის საარაყე
საარაყე თულუხი 296, 38
საარაყე თუნგი 297, 2
საარაყე ფქვილი 215, 28
საარაყე ქვაბი 215, 37
საარაყე ქინთი 248, 31
საარაყე ჭურჭელი 218, 11
საარაყის ამადუღება 215, 31
საარაყის გამათხევა 217, 14
საარაყის მაჭაჭვლა 216, 1
საარაყის ფუილი 215, 35
საარაყის შაყრა 215, 34
საარაყის ჩალბობა 215, 31
საარაყის ჩაფორწყლა 215, 30
საბალავი 255, 23; 293, 1
საბამი 304, 7
საბანდი 247, 15; 303, 22; იხ. აგრეთვე: ფურ-ბერწის საბანდი
საბანი: იხ. პირის საბანი
საბარგე კმაზულობა 244, 11
საბარგე ცხენი 243, 8
საბარკულნი 308, 29
საბაჭიჭე 261, 29; იხ. აგრეთვე: დიაცის საბაჭიჭე
საბელი 205, 16; 279, 29; 292, 38; იხ. აგრეთვე: ავარტიან საბელი; საწინაო საბელი
საბელნი: იხ. ფარცხის საბელნი
საბერონ ბაჭიჭნი 261, 27
საბერონ ტყავნი 249, 2
საბეწვე 198, 21
საბეჭური 265, 10
საბზე 206, 15
საბნელო 299, 4
საბნელოს ჯდომა 299, 6, 9
საბოსლო 297, 37; 298, 10; 301, 25
საბურნითენი 294, 28
საბღუჯი 308, 18

საგდოლა 282, 6, 7
საგებელი 259, 8, 261, 16
საგები 203, 15
საგერები 193, 30; 267, 18, 19
საგერებიან წიწანი 267, 24
საგოგანი 293, 35
საგრეხელა 254, 26, 37
საგულები 204, 2
საგუსტულანი 270, 3
საგძალი 228, 28
სადბის ხე 209, 18
სადგამი წვრილფენი 237, 26
სადგომი 288, 24, 35, 37
სადგური 288, 24—25
სადები; იხ. ჯღანჩი სადები
სადედროვნო 291, 25
სადედროვნო სკამი 291, 25
სადიაცო 257, 22; 265, 21, 26; 266, 10; 291, 27
სადიაცო სკამი 291, 25; 292, 18
სადობილო 213, 39
სადოე ქვაბი 296, 35
სადოფსთე 295, 20
სადობნე 201, 2
სადუმები 293, 34
სადღვებელი 269, 29—30; 270, 9
სავარცხალთ გვერდის ფიცარნი 253, 15
სავარცხალთ ძირის ფიცარი 253, 15
სავარცხალნი 253, 14
სავარცხლის კბილნი 253, 16
სავერძე ბატკანი 237, 7
საზდელად შადგომა 234, 25
საზედო 258, 29
საზეო წისქვილი 208, 33
საზეური 268, 12
საზვბად შამდგარი 232, 1
საზვები 232, 2; 236, 6
საზიდა 203, 35
საზისვრე ბაკნები 267, 35
საზისვრე ქვაბი 296, 35
საზომა 219, 20
საზურგე 217, 32, 33
საზურგე ფიცარი 291, 35
სათავე 203, 17—18
სათავითური 293, 4—5, 30
სათავკვებო: იხ. ჭარის მიცემა სათავკვებოდ
სათათე ნასთი 256, 4; 261, 17
სათანთანაო კასრი 269, 7
სათაურა 264, 12; 265, 23
სათიბე 223, 26; იხ. აგრეთვე: ბალახიან სათიბე; გლუვი სათიბე; თივიან სათიბე; კუროიან სათიბე; მიადან სათიბე; საკუთარ სათიბე; საონავრო სათიბე; სასოფლო სათიბე; ქოჩიან სათიბე; ღორღიან სათიბე; ჯინჭველათგორაიან სათიბე
სათიბი: იხ. მარჯე სათიბი; მარჯვე სათიბი
სათითე 262, 31; 263, 36; იხ. აგრეთვე: ნასევდიან სათითე
სათითენი 305, 20, 24
სათითურა 262, 27
სათიკან-ბატკნე 278, 22—23; 297, 25
სათირები 293, 34
სათმენი 264, 14, 16, 23
სათოფე 280, 30; 284, 13
სათქამურის თავი 208, 24
სათხორე 258, 4—5
საინი 218, 8
საისრე 292, 32
საიფქლე თვალი 292, 22
საიფქლე ყანა 196, 17
საკალოე 204, 19
საკალოეზე წასვლა 204, 19
საკედურა 281, 35—36
საკეზე 280, 14—15; 284, 17
საკერავი 262, 29
საკერება: იხ. საკელთ საკერება; ბოლოთ საკერება
საკერჩხილე 282, 23
საკერჩხილის მი-და-მოღმ გაგდება 282, 26
საკვამი 280, 16, 18, 20; 283, 17; 286, 20; 298, 35; იხ. აგრეთვე: საკვამლე საკვამი; სანეხვ-მწურე საკვამი; სასინათლო საკვამი
საკვამლე საკვამი 280, 25
საკვეთელი 198, 19
საკიდელი 211, 20; 291, 7
საკლავის მეოთხე 241, 13
საკლავი: იხ. სამარილე საკლავი; საკორცე საკლავი

საკლებ-სამატება 209, 13
საკოდელა 210, 1
საკოტარი 232, 38; 233, 2
საკოჭაენი 240, 15
საკრავა: იხ. ქიჩთ საკრავა
საკუდე 295, 22
საკუდური 244, 12—13
საკუთარ სათიბე 223, 34
საკუსე 268, 5; იხ. აგრეთვე: წამალა ჩაწურებული საკუსე
საკუსე ქვაბი 268, 13
საკუსის შაგდება 268, 21
სალი 245, 11
სალოგინე 293, 7; იხ. აგრეთვე: ბუმბული სალოგინე; გაბუმბულებული სალოგინე
სალოდე 274, 12—13
სალოდისძირე 274, 13
სალოცვიებლად წასვლა 234, 13
სალუდე 217, 12; 300, 29
სალუდე თუნგი 296, 2
სამაზიარო 230, 22; იხ. აგრეთვე: ქისტური სმაზიარო; ცხვარ-საქონის სამაზიაროდ გაცემა; ჴევსურული სამაზიარო
სამამაცო 291, 25—26; 303, 12
სამამაცო სკამი 291, 24—25; 299, 15
სამანდლე ტოლი 257, 21; 261, 30—31
სამანი 196, 25, 35
სამან-სამძღვარი 196, 31
სამან-სამძღვრის შარევა 196, 31
სამართებელი 305, 26, 30
სამარილე 230, 36
სამარილე საკლავი 230, 36
სამასრაენი 265, 5
სამბური 287, 1, 5
სამეკვლეო 212, 24
სამეული 202, 28
სამზეური 279, 12
სამზველი 232, 2
სამირგვლია 266, 17
სამკაულნი 266, 25, 26
სამკერდული 244, 13
სამკვებაო 230, 7
სამკლავენი 308, 28
სამკლის კუდი 202, 33
სამრელო 273, 26; 301, 15, 22
სამსატენიანი 309, 8
სამსალასავით იარაღი 307, 5
სამტვრევი: იხ. ქვის სამტვრევი კვერი
სამუკლენ ბაჭიკნი 261, 28
სამღარი 308, 12
სამყვრე 245, 11—12
სამყოფო 279, 9; 288, 1, 3, 23—24; 289, 1; 297, 15, 24
სამყოფოს კარნი 297, 30
სამშრალე 295, 23—24
სამჩხირავი 198, 33; 226, 15
სამწაე 249, 24
სამწევრვალი: იხ. ყანის სამწევრვალთ მასვლა
სამწევრი: იხ. ტარის სამწევრად ამაკსნა
სამწყვეტლო 266, 15
სამწყვეტური 244, 20
სამკედლო 298, 24
სამკრელო: იხ. მონან სამკრელონ ბალახნი
სამხარა 235, 23
სამკარიღლიო 307, 27
სამკედრო 265, 14
სამკრე 292, 31, 32; იხ. აგრეთვე: სასაგძლის სამკრე; ქეშლურაის სამკრე
სამჯერ ცა-გამაბრუნვილი 299, 15
სანაგრამოე 209, 25
სანაკვეთო ყანწი 218, 15—16, 20
სანამგელე 219, 36
სანამკუდე ნიავი 206, 4
სანაპირონი 285, 14
სანაშენზიაროდ მიცემა ცხვრისა 230, 17
სანაწვეთონი 285, 21
სანგალი (‖ სანაგარი) 273, 30; 299, 34
სანერბიელო 213, 20
სანეხვ-მწურეე საკვამი 283, 19
სანთები 286, 20; 292, 14
სანთბის ყუნკი 284, 6—7
სანიაონი 205, 23; 259, 9, 13
სანიგუზე 289, 30; 292, 7
სანიფხვე ნასთი 261, 30
საომარი 279, 10; 288, 2
საონავრო სათიბე 223, 33
საორახო 241, 8

საოფლე 244, 24
საპარსველი 251, 20
საპერანგე ნასთი 261, 30
საპირბეწვე 252, 34
საპირე 204, 34; იხ. აგრეთვე: ქუდის საპირე; ცელის საპირე
საპირე მიწა 285, 8
საპირიან ქუდი 249, 6
საპირის ჩადება 204, 34
საპირისწამლე 310, 36; 311, 6
საპოხი 253, 29; 270, 25
საპურე: იხ. ჯვარის საპურე კიდობანი
საპურე ნიავი 206, 8
საპურსატნე ხომიკა 214, 35
სარაჯელგანდო ბუნაგი 295, 24
სარევა 215, 38
სარევანი 296, 3
სარეკელა 209. 8; 210, 26
სარეტბელი 238, 32
სართულა 298, 5
სარკე-საორცხალნი 294, 29
სარტყელი 266, 15
სარტყელნი 265, 23
სარტყლის უბე 266, 16; 267, 7
სარუე 208, 23
სარქენი 239, 6; 269, 16
სარქველი 269, 21
სასაარაყეე 298, 23
სასაგერებე 267, 20
სასაგერებე ჯამ-წიწანი 286, 21
სასაგძლე 199, 33; 250, 27, 35
სასაგძლის სამჯრე 251, 1, 2—3
სასადიაცოე ტოლი 257, 25
სასაკლაე 292, 33
სასამბურე 287, 1
სასანთბენი 292, 12—13
სასატნე კასრი 269, 6
სასაფუჯრე ნასთი 261, 17
სასაფქვე ჭელვარცლი 208, 7—8
სასაწელეე 265, 18
სასახლე 279, 33, 34; იხ. აგრეთვე: მიადან სასახლე
სასახლე ალაგი 279, 11
სასვილე თვალი 292, 22
სასვილე ყანა 196, 17
სასვილიფქლე ცხავი 206, 32—33
სასვილიფქლე ცხრილი 206, 32—33
სასინათლო საკვამი 280, 25
სასოფლო სათიბე 223, 26
სასულა 238, 2; 239, 28
სასურაო ცოცხი 205, 9
სასწორფრო კარნი 282, 33
სასწრაფოები 311, 4, 10
სასხიპი 254, 12
სასხოთო 233, 8
სატალავრო ყუთი 296, 25
სატანი 268, 2, 4; იხ. აგრეთვე: ამაწურვილ სატანი; კვიმს სატანი
სატან-ერბო 268, 29; 297, 14
სატარე 255, 2
სატარიგე ბატკანი 237, 7, 17
სატეხე 278, 27
სატვინიხე 239, 19—20, 24
სატკბისვლე ქვაბი 296, 34—35
სატკეპნა 285, 9
სატოკარი 233, 1
სატომრე ტოლი 257, 22
საუნცროსო 291, 29
საუფროსო 291, 28
საუღლე 198, 23
საფანდრე 226, 18
საფანელი 211, 6, 8
საფართი 261, 23
საფართხელა 212, 6
საფარცხველი 226, 10, 11
საფაფენი 296, 3
საფაფე ქვაბი 296, 35
საფერჭე ცხენი 242, 10; 243, 38; 246, 8
საფეხვნო 273, 30; 300, 12
საფლავის კოშკი 301, 9
საფუარი 211, 10; 215, 33
საფუვრით მახელილ ცომი 211, 10
საფურე 231, 9
საფურე ჯბო 231, 26
საფუჯარნი 261, 16—17; 308, 37; იხ. აგრეთვე: კვირტის საფუჯარნი; ჯაჭვის საფუჯარნი
საფქავი 209, 27
საფქავის ჩაყრა წისქვილისად 209, 27
საფქვის ჩამასვლა 210, 11

საფხეკა 246, 36
საჭალბნე თათი 216, 20
საჭარე ალაგი 279, 12
საქედური 198, 5
საქერე თვალი 292, 22
საქერე ყანა 196, 17
საქერე ცხავი 206, 32, 33
საქვაბე 217, 12; 273, 25; 300, 29; 301, 33
საქვეო წისქვილი 208, 34
საქინთე 248, 32
საქიჩურა 258, 8
საქო 217, 31
საქონი 231, 3, 10; იხ. აგრეთვე: ბზის დაყრა საქონისად; გაშობილ საქონი; გაწილებულ საქონი; უკმა საქონი; წილის საქონი
საქონისად თავის დადება 286, 28
საქონისად საქმლის დადება 286, 27—28
საქონისად ჩალის დადება 286, 28, 29
საქონის გამბა 203, 6
საქონის გამერუყევება 233, 30
საქონის გაწილება 229, 24
საქონის მყურე 229, 30
საქონის საქმელი 230, 5; 286, 26
საქონობის გაღება 229, 29
საქორწილო ლუდი 217, 14—15
საქსლე 298, 24
საქსლე ნასთი 256, 31—32; 257, 2
საღასო 251, 5; 293, 4
საღარი 245, 24, 32, 34
საღებულო 260, 5
საღომლია 298, 23
საღორე 210, 28
საყელო 265, 4; იხ. აგრეთვე: ნადირის საყელო; ტყავთ საყელო
საყუდა 292, 29
საყუნწური: იხ. კართ გადმაყრა საყუნწურჩიით; კარის საყუნწური
საყური: იხ. ზინზილიანი საყური
საყურნი 263, 36
საყურ-ბეჭედი 264, 5
საყუჩი 299, 36; 300, 1, 3
საშევარი 258, 4
საშეშენი 292, 9
საშვრიე 198, 14
საშიბის ლარები 294, 5. 14
საშიბის ძალები 294, 5, 12
საჩადღი 204, 2
საჩაჩიქულე ჯამი 215, 35
საჩერნენი 308, 29
საჩეხი 301, 19
საჩოქე ნაჭთი 261, 30
საჩოჭისძვლე ტოლი 252, 22
საჩხუნავი 234, 2—3
საცალპირაე ქსელი 257; 35
საცერი: იხ. მტკიცე საცერი; ფხალა საცერი; ყაპყატოს საცერი; ძუის საცერი
საცერული 305, 21
საცეხვლნი 294, 32
საცმელა 310, 1, 5
საცნაურა 255, 37
საცხვარე 296, 31
საცხვარის ქვაბი 296, 31
საცხვრე 212, 31; 279, 8; 287, 27; 288, 1; 297, 24—25; იხ. აგრეთვე: ქვიტკირის საცხვრე
საცხვრის კიბე 287, 36
საცხვრის ყურე 286, 12
საძირკველი 279, 31
საძმობის პორცი 242, 2; 271, 27
საძროხე 279, 8; 286, 8
საძროხის ყურე 286, 15
საძუე 244, 12
საწალმ-უკუღმართაე ქსელი 257, 35
საწდე 217, 21, 23
საწელე 265, 17
საწველელი 267, 17, 22
საწვიენი 264, 31
საწვირთო 226, 14, 19
საწინაო საბელი 203, 34
საწოლნი 293, 8, 14
საწონი: იხ. ხის უღლიანნ საწონნი
საწონ-ჩარეკნი 294; 295, 1
საწურავა: იხ. კუსის საწურავა
საწურავ ნიავი 205, 29; 206, 4
საწურაში 267, 33
საწური 272, 4
საწყავი 218, 33
საწყევარა 300, 33
საწყლე თულუბი 296, 38

საწყლე თუნგი 297, 2
საწყლე ქინთი 248, 32
საწყობნი 239, 4
საჭამადი 214, 28, 33
საჭერეთა 211, 31
საჭიროებელი 242, 29; 244, 15; 259. 10
საჭმელი: იხ. საქონისად საჭმლის დადება; საქონის საჭმელი
სახარშოე ქვაბი 296, 35
სახარჯი წყრილფეჩი 237, 27
სახე 261, 38—39
სახელის დადება 212, 14, 21
სახელსადები 212, 12
სახვავე ნივი 206, 4
სახინკლე 296, 2
სახინკლე ქვაბი 296, 35
სახიჩნე 259. 11; 288, 4
სახლი იხ. ერთ სახლი; კალოიან სახლი; უმყოფლავი სახლი; უჩინი სახლი
სახლის აგება 279. 14
სახლის დაფარება 285, 5
სახლის მიუჩინება 285, 7
სახლის მიხურვლა 285, 7
სახლის ჩაფარება 285, 5
სახლის წმედა 294, 30
სახლ-კარი 278, 33, 34
სახლ-ჯალაფობა 288, 8
სახოზდაგე 287, 21: 297, 26
სახრელი 254, 25, 35
სახური: იხ. კოდის სახური
სახუცო თასი 218, 14
საჯარავნო 230, 3
საჯარე 226, 20; 131, 8
საჯარე ჯბო 231, 14
საჯბოე 297. 25
საჯელთ საკერება 266, 22
საჯელნი 265, 3
საჯელურა: იხ. გემაის საჯელურა; ფშვინდის საჯელურა; ჯარათ საჯელურა
საჯვნიელი 198, 9
საჯვნივლის მჯარი 198, 16, 19
საჯვრეტა 246, 27
საჯმითმატირლო 213, 21
საჯნავად გადენა 199, 3, 4
საჯნავად გაე 199, 3, 4, 6
საჯნაურა 199, 12
საჯნისი 198, 15
საჯორცე კასრი 271, 26
საჯორცე საკლავი 241, 1
საჯორჯე ლაგაში 244, 29
საჯსარი: იხ. მუელის საჯსარი
საჯამე 296, 9
საჯარე 273, 25; 300, 27
საჯარჯგირკლე 287, 14
საჯდომი კმაზულობა 244, 11
საჯვარო ლუდი 217, 14—15
საჯღნე ტყავი 246, 31; 247, 14
სეე 267, 29
სერა 270, 1—2
სერკვი 203, 2; იხ. აგრეთვე: გუჯაბ სერკვი; მაწვერულ სერკვი
სერკვის გუჯბად დგომა 203, 19
სერკვის მაწვერვა 203, 17
სვე 219, 25, 34
სველი 268, 33
სვიან ლუდი 220, 29, 30; 221, 3
სვის გაპრა 219, 29—30
სვილი 200, 18; იხ. აგრეთვე: ორის წლის სვილი; სთვლის სვილი
სვილის კალო 204, 21
სვლება 202, 6
სთვა 254, 21
სთვა-ჩეჩა 254, 18
სთველი 200, 19
სთვლის სვილი 200, 18
სიათა 309, 6, 20, 23
სიარული: იხ. ქევ-ქევთ სიარული
სივილ-ტლიკვილი 271, 16
სიმური 215, 20
სინა 296, 33
სიპერდა 301, 29, 30
სიპერდაით დაფარება 273, 10, 30; 301, 32
სიპერდიანი 302, 4, 6
სიპი 274, 4
სიპის კალო 204, 15
სიპის ღომელი 211, 17
სიპრიელა 274, 37; 275, 2
სირა: იხ. ქინთის სირა
სისვი 260, 14

სისვ თივა 226, 4
სისწვენი 219, 27
სისწვენთ შაყრა 220, 11—12
სოჭშო 220, 38
სკა 239, 5
სკამი: იხ. სადედროენო სკამი; სადიაცო სკამი; სამამაცო სკამი; ყურის სკამი
სკამის ისრები 291, 31
სკამის ფეჯი 291, 30
სკამის ფიცრები 291, 34
სკივი 290, 14, 31
სკლატი 263, 6
სკლატის ჩოჯა 265, 8
სმენაობა 213, 2, 5
სნეული 233, 21
სოლები: იხ. ყდათ სოლები
სოლი 198, 20; 222, 27; 27; 257, 17
სრევა 311, 12, 16
სრეკალი 207, 34, 35
სრელი 196, 14
სტარი 239, 26
სტამბოლი 309, 5, 18
სტიკის ბერდენკა 309, 30
სტილი 294, 35; 295, 3
სუკიანი ხე 278, 14
სუკიანი ხანჯარი 308, 13
სულთაკრეფა 214, 19
სულიანი: იხ. ნამტუსრის სულიანი არაყი
სულწუხი ცხენი 243, 14
სურა 218, 11
სუროველის მაწამლული 226, 3
სურუხი 228, 26
სუსტ ნიავი 205, 37
სუსტ ჯარი 234, 15
სქელფეჯი 231, 2
სხალი: იხ. კოხ სხალი

ტ

ტაბარზენი 261, 5
ტაბარუკი 261, 6, 7
ტაბიკი 198, 7
ტაბლა 212, 13
ტაგრუცი 296, 17
ტაიპი 243, 18, 28
ტალავარი 228, 29; 260, 23, 25
ტალავარნი: იხ. ლეგან ტალავარნი
ტალავრის წაყრა 261, 11—12
ტალი 275, 26
ტალიან თოფი 275, 29; 308, 5
ტალიან კვა 275, 27
ტალიკანა 261, 7, 9
ტამფა 294, 23
ტამფაობა 294, 24
ტანისაცმელნი 264, 31; 265, 16
ტანტარუზი 261, 6
ტარების ამაკსნა 255, 32
ტარი 254, 21, 24, 25; იხ. აგრეთვე: გულის ტარი; კოკობზინაივით ტარი; მიხვეულ ტარი; შუბის ტარი: ცელის ტარი
ტარიჯი 237, 4, 16, 17
ტარის ორწვერად ამაკსნა 256, 5
ტარის სამწვერად ამაკსნა 256, 5
ტარკომა 217, 36
ტარბოკლია 217, 37
ტარ-ნამტენი 290, 8
ტარ-სახრელი 254, 30
ტახტა 244, 12
ტელიგრამა 245, 25
ტეკია 294, 25
ტილაპი 275, 15
ტკბილი 219, 2
ტკბილის გამაჯურვა 219, 14
ტკბილ-სისწვენი: იხ. ტკბილ-სისწვენთაგან პირში წყლის კერა; ტკბილ-სისწვენთ შიგიში გახვევა; ტკბილ-სისწვენთ შიგიში მისვლა
ტკბისველა 208, 32
ტკბისველასავით ლუდი 221, 5
ტმუკიანი ჯორი 242, 26
ტოკვა 232, 38
ტოლი 257, 14; იხ. აგრეთვე: ორშიან ტოლი; სამანდლე ტოლი; სასადიაცოე ტოლი; სატომრე ტოლი; საჩოკისძვლე ტოლი; ცალპირა ტოლი; წალმუკუღმართა ტოლი; წვერთითა ტოლი
ტოლის გათელვა 259, 5
ტოლის კიწლიან გვერდი 259, 3

ტოლის წყრულიან გვერდი 259, 3
ტოლის წყრულიან პირი 259, 4
ტომარა 207, 23; იხ. აგრეთვე: ჯოტიანის ტომარაის გაწურვა
ტომრის შიბა 262, 5
ტორზო 261, 5, 8
ტოტი 224, 19
ტოტის მაჯრა 224, 25, 28
ტოტნი 265, 17: იხ. აგრეთვე: ვერაქვის ტოტები
ტოტებით განაგდება 224, 25
ტრედისყელა 260, 15
ტრუპკა 201, 1, 2, 7
ტუმნა 196, 21
ტუნტული 268, 34
ტუტანი 260, 10
ტყავ-ხიკა 249, 31
ტყავთ საყელო 249, 32
ტყავი: იხ. აპატინა ტყავი; გაზელილ ტყავი; დასილაგებულ ტყავი; მიგრის ტყავი; ორზე მამწვაულ ტყავი; საჯღნე ტყავი; შახვეულ ტყავი; ჯორცი ტყავზე დებას
ტყავის ბეწვგარეთ ჩაცმა 250, 13, 20
ტყავის ბეწვშიგათი ჩაცმა 250, 12
ტყავის გართხმა 246, 23
ტყავის დასილაგება 248, 26
ტყავის ზელა 246, 32
ტყავის მახამება 246, 57
ტყავის მბრუნე 247, 11
ტყაეის ნაკერკატალი 247, 15
ტყავის ნაპირ-ყური 247, 15
ტყავის შინგანგარ ჩაცმა 250, 13
ტყავ-კაბა 249, 38; 250, 14—15
ტყავნი: იხ. თხის ტყავნი; კაცის ტყავნი; მამწვაულნ ტყავნი; მაშთაგურნ ტყავნი; ნადირის ტყავნი; საბერონ ტყავნი; ცხვრის ტყავნი; ჯიჯვის ტყავნი
ტყავ-საღამო 293, 27; 297, 14
ტყვია: იხ. არშავის ტყვია
ტყლაპი 260, 31
ტყლაპ-ტყლუპი 260, 33
ტყრიალი 311, 14
ტყრუშვა 216, 27, 36

უ

უბანი 279, 5
უბე: იხ. სარტყლის უბე
უბეთსაკერება 266, 14
უბენი 265, 5; 266, 34
უბის ფარი 308, 21
უგერშ დაკარგული 229, 21
უდა 216, 18
უდგამი ფური 233, 37
უკავატო 233, 22
უკენა გოზა 304, 5
უკენა ზღუბლი 255, 14
უკენა კერა 289, 15
ულაყები 242, 11; 255, 24
ულიგმოტო 269, 12
ულო 202, 24, 52, 26
ულოიან თხორი 256, 9
უმანძილო ცხენი 243, 12
უმყოფლავი სახლი 289, 5
უნაგირა 262, 8
უნასი 233, 8
უნეხვავ ყანა 193, 22
უნივთო ყანა 196, 23
უნჯ-მანჯი 294, 1
უპე 240, 11
უპირო თოფი 311, 5
ურნატა 199, 11, 14
ურსა 305, 26
ურწმანი 232, 13, 14
უსაპირეო ცელი 222, 22
უსაფუვრო: იხ. ცომის ზელა უსაფუვროდ
უსურმაგები 242, 11; 301, 1
უფერ დარი 285, 35
უფროსი თასი 218, 13
უქვო ყანა 196, 19
უქმი: იხ. მგელთ უქმი
უღელზე გასაკლეჩი 213, 24
უღელი 198, 4; იხ. აგრეთვე: ხის უღლიანნ საწონნი
უჩინი სახლი 285, 30; 289, 6
უძრავ კასრი 269, 8
უწვიმარ თივა 226, 6
უწვიმისცვრო თივა 226, 6
უჭმა საქონი 233, 23

უჯი 3, 8 19
უჯოყრუან ბალახანი 225, 14

ფ

ფანდური 294, 4, 11, 14; იხ. აგრეთვე: ძალების ჩასხმა ფანდურისად
ფარაგი 266, 11, 37; 267, 1, 4
ფარდა: იხ. მუქლის ფარდა
ფარვა 200, 8
ფარი 308, 16; იხ. აგრეთვე: უბის ფარი; ჭუჩუმიანი ფარი
ფარის გირგოლი 308, 17, 22
ფარის დასაბღუჯება 308, 19
ფარცხი 198, 36
ფარცხის გალნი 198, 29
ფარცხის საბელნი 198, 36
ფატორი 257, 6, 15, 16
ფაფა 200, 31; 214, 5; იხ. აგრეთვე: ერბოს ფაფა
ფაფანაგი 265, 14, 22; 266, 5
ფაში 239, 24
ფაშლაჯა 259, 33
ფაშ-ნაწლევი 239, 25
ფაშ-შიგაური 242, 5
ფევსები 256, 24—25
ფელკი 241, 12
ფერდობა ალაგი 279, 13
ფერი 212, 25; 240, 21; იხ. აგრეთვე: ლაღ ფერი
ფერცხალნი 240, 5—6, 8
ფერცხლის გალი 240, 6—7
ფეჩი 211, 17
ფეხვნობა 300, 19
ფეხონი 300, 13; იხ. აგრეთვე: დიაცების ფეხონი
ფეჯები: იხ. ჯარათ ფეჯები
ფეჯი: იხ. სკამის ფეჯი; ყანის ფეჯი
ფეჯითი 293, 6
ფეჯით ძროხა 231, 33
ფეჯისაცმლის წაყრა 261, 12
ფეჯშიშველი ცხენი 244, 37
ფიელ ჯამი 295, 34
ფირჩვლი 255, 9
ფიცარა ქერი 200, 14
ფიცარი: იხ. კლდის ფიცარი; სავარცხლის ძირის ფიცარი; საბურგე ფიცარი
ფიცარნი: იხ. სავარცხალთ გვერდის ფიცარნი
ფიცრები: იხ. სკამის ფიცრები; შასაყარ ფიცრები
ფიცრის გათლა 278, 20
ფიცრული 298, 23
ფიცხ ცხენი 244, 24
ფიწალი 205, 5
ფიჭვი 277, 15
ფლასი 293, 2
ფოლი 253, 26, 30
ფოლიკა 253, 22
ფონ ზურგი 240, 1
ფონ ფშვინდი 304, 8
ფორი 215, 26, 33; 219, 1
ფორ-ნაყრი 217, 7
ფოფხალი 233, 22
ფოცხ-მაკრატელა 304, 13
ფრანგული 306, 23—24, 34, 36; 308, 8
ფრანცუზული (‖ ფრანციცული) 309, 8
ფსიტი 290, 32
ფსრე 198, 23
ფუა 290, 10
ფუთი 294, 36; 295, 5
ფუილი: იხ. ლუდის ფუილი; საარაყის ფუილი
ფული 263, 18
ფუმფულ ფშვინდი 304, 8
ფურ-ბერწის საბანდი 247, 33
ფუოთ ალაგი 287, 25
ფურთუმატე 235, 23—24
ფური 231, 30, 31; 242, 24; იხ. აგრეთვე: უდგამი ფური
ფურის ბუდენი 232, 8
ფურ-საფურე 231, 9
ფუშვნიერი 239, 30
ფუხურა 239, 32
ფქვილი: იხ. საარაყე ფქვილი
ფშვინდი 304, 7; იხ. აგრეთვე: კეტ ფშვინდი; ფონ ფშვინდი; ფუმფულ ფშვინდი
ფშვინდ-ისარი 303, 14, 15
ფშვინდ-ისრობა 303, 16
ფშვინდის საკელურა 304, 6

ფხა: იხ. არაყისად ფხის მაპრა
ფხალა საცერი 210, 34
ფხალა ცხავი 206, 30
ფხალა ცხრილი 206, 30
ფხასისხლიანი 307, 15, 25
ფხვრა 215, 5
ცხვრიალი 245, 18, 20
ფხინი 258, 17
ფხრე 261, 1
ფხუტუნი 236, 32

ჭ

ჭაბილა 253, 23
ჭადა 213, 13
ჭადისკვერი 213, 29, 30; 271, 14—15; იხ. აგრეთვე: კალტიან ჭადისკვერი; ჯორ-ცის გულიან ჭადისკვერი
ჭავი 273, 30; 299, 22, 31
ჭავის კარი 299, 28
ჭახდარი 289, 6, 9
ჭათიბა 235, 1
ჭათიბი 265, 14. 22; 266, 8
ჭათორი 268, 38
ჭაი 237, 1
ჭალბან-ბანდული 261, 12
ჭალბანნი 264, 31
ჭალბნების ამაჩხმა 246, 24
ჭალბნის კალაპოტი 246, 25
ჭალის ბაპიპები 261, 24, 32; 264, 31; 265, 20
ჭალიწი 225, 6
ჭანდარა 293, 26
ჭანჭარუში 290, 12
ჭარაფი 276, 8
ჭართულ ცელი 222, 16
ჭარიპანი 283, 22
ჭარიპნის ბანი 286, 3
ჭარმიჯი 213, 34
ჭარჭაში 306, 25
ჭარშატეული 231, 39
ჭარხი 276, 17
ჭარხინკა 262, 22—23
ჭასური 223, 7
ჭაფქირი 296, 2
ჭაჭაჩი 240, 13
ჭაჭეში 290, 12, 21
ჭაჩალი 276, 17, 20
ჭაჩი 240, 13
ჭაცაბანი 224, 3
ჭედი 239, 34
ჭევ-ჭევთ სიარული 245, 10
ჭემბა 262, 10—11, 13
ჭერი 219, 34; იხ. აგრეთვე: ბარული ჭე-რი; მარტივი ჭერი; მთური ჭერი; ფიცარა ჭერი
ჭერ-იფქლი 206, 35
ჭერქი: იხ. ეაშლის (ხის) ჭერქი; მურყ-ნის ჭერქი
ჭერშველი 200, 26; 214, 1
ჭეშელა 250, 25—26
ჭეშლო 214, 3; 250, 25
ჭეშლურა 250, 25, 33
ჭეშლურაის სამჯრე 251, 1
ჭეჩელ-ყურე 286, 9
ჭვა: იხ. ბასრი ჭვა; რიყის ჭვა; ტალიან ჭვა; ხოხის ჭვა
ჭვაბი: 296, 26 იხ. აგრეთვე: აგებულ ჭვა-ბი; ახალ ჭვაბი; ბეხე ჭვაბი; გამდინარ ჭვაბი; მაკალულ ჭვაბი; ძაუკალავ ჭვა-ბი; მსინავ ჭვაბი; რვლის ჭვაბი; რკი-ნის ჭვაბი; საარაყე ჭვაბი; სადღე ჭვა-ბი; საზისვრე ჭვაბი; საკუსე ჭვაბი; სა-ტკბისელე ჭვაბი; საფაფე ჭვაბი; საც-ხვარის ჭვაბი; სახარშოე ჭვაბი; სახინ-კლე ჭვაბი; ყურ-შატიან ჭვაბი; ძირ-კოპობ ჭვაბი
ჭვაბის ყურ-შატი 296, 29
ჭვაბის ველი 296, 29
ჭვამბილა 275, 4, 5
ჭვეთა ბანი 286, 2
ჭვეთას-თვალი 279, 9; 288, 1, 23
ჭვეთას-თვლის ბანი 286, 3
ჭვენა-უბანი 279, 5
ჭვირო-ჭვირო 244, 8—9
ჭვისნაცემი 208, 9
ჭვის სამტვრევ კვერი 276, 18, 20
ჭვიტკირი 273, 21; 278, 28, 29; იხ. აგ-რეთვე: ოთხტაჟიანი ჭვიტკირი; ოთხ-თვალი ჭვიტკირი; ოთხსართულიანი ჭვიტკირი

ქვიტკირის ბოსელი 286, 7
ქვიტკირის საცხვრე 286, 7
ქვიშა 275, 35, 36; 276, 2
ქინთელა 239, 33
ქინთი 248, 30; იხ. აგრეთვე: დაბუხვილ ქინთი; საარაყე ქინთი; საწყლე ქინთი
ქინთის დაბუხვა 248, 34
ქინთის პირნი 248, 35
ქინთის სირა 248, 35
ქინტონი 239, 11; იხ. აგრეთვე: ცხვირის ქინტონი
ქირი-ქირ გაყრილი 260, 30—261, 1
ქირცა 225, 29, 30; 247, 19
ქირჯო 290, 34; 291, 1; 292, 5, 33, 34
ქისტურა 252, 8
ქისტური სამახიარო 230, 22
ქიტი 296, 7
ქიტურა 296, 6
ქიქი 240, 22
ქიჩაობა 238, 21
ქიჩთ საკრავა 251, 3; 258, 11, 12
ქიჩი 258, 9
ქიჩილა 264, 13, 20, 25, 28; 265, 23
ქიცი-ქიც გაყრა 261, 3
ქიცი-ქიც გაყრილი 261, 1
ქნა: იხ. ყავლად ქნა; ჰკდის ქნა
ქოთანა 235, 23
ქონი: იხ. თირკმელათ ქონი; მშრალათ ქონი
ქორა 235, 26, 37; 242, 23
ქორაკი 242, 31, 33
ქორაფი 277, 15
ქოქა 266, 28
ქოქლო 265, 14, 22
ქოქომო 266, 18
ქოჩი 225, 20, 26, 27
ქოჩიან სათიბე 225, 21
ქოჯი 205, 17; 242, 28; 246, 7
ქოხი 273, 29; 301, 14, 16
ქრიჯი 209, 22; 226, 1
ქსაი 238, 9
ქსელი 257, 25—26; იხ. აგრეთვე: დაქსულ ქსელი; საცალპირაე ქსელი; საწაღმ-უკუღმართაე ქსელი; წვერთისძირა ქსელი
ქსლის დაქსვა 257, 25, 26
ქსლის ბამძგავება 258, 13—14
ქსლის მაფონება 258, 13—14
ქუბდე 296, 15
ქუდა 216, 6
ქუდი: იხ. ბუხრის ქუდი; გალიბანდურ ქუდი; ვათალრის ქუდი; ნაბდის ქუდი; საპიოან ქუდი; შიგანგარა ქუდი; ძაბრა ქუდი
ქუდის საპირე 249, 1
ქუნთა 214, 17; იხ. აგრეთვე: ეკვსნაოპიანი ქუნთა; თორმეტნაოპიანი ქუნთა; ცხრანაოპიანი ქენთა; ხუთნეტნაოპიანი ქუნთა
ქურთემული 225, 25
ქურთი 277, 10
ქურსლი 198, 12, 13, 14, 15
ქურსლის ყურნი 198, 13
ქუქუნაკა 264, 33, 34, 36
ქურალა 226, 24
ქუში 225, 20, 23, 24
ქუჩუმი 308, 20
ქუჩუმიანი ფარი 308, 24
ქუხილი 311, 13

ღ

ღადარი 290, 12
ღადრუმი 290, 13
ღარი 247, 1; 285, 24
ღარის კუდი 285, 24
ღაჯია 305, 20
ღებილა 235, 4
ღენვა 252, 16, 17
ღერაგძელა 262, 10
ღერძი 255, 22; იხ. აგრეთვე: აკავანთ ღერძი; ჯარათ ღერძი
ღვარძლი 205, 31
ღვედნი: იხ. ჯარათ ღვედნი
ღვერა 224, 20
ღვინა 235, 28
ღვინო ჭაჭანაისძე 221, 17
ღილა 235, 31; 236, 1
ღილი 239, 36—37
ღილ-კეილო 201, 35
ღილ-შატი 259, 22—23; 266, 12
ღირმა ლიბუ 280, 1

ღირმით ნაჯნავი 199, 32
ღირძილი 239, 18
ღობე: იხ. წნელის ღობე
ღოლი 255, 6, 11
ღოლო 295, 13
ღომელი: იხ. სიპის ღომელი; ჩუგუნის ღომელი
ღოჭლის ასტამი 211, 30; 290, 26
ღონკრიანი 234, 15
ღორნიკა 205, 31
ღორღვა 197, 12, 13
ღორღი 276, 4
ღორღიან ყანა 196, 18
ღორღიან სათიბე 224, 2
ღული 202, 19
ღულით თიბა 224, 8
ღულით მკა 202, 21
ღუმფელი 290, 14
ღუნ 193, 32
ღურბელა 235, 30—31

ყ

ყავლი 229, 6, 7, 32
ყავლად ქნა 229, 34
ყამირი 195, 26
ყამირის დანაყა 295, 15
ყამირის ყამირი 195, 26
ყანა: იხ. ბარული ყანა; გაბორტვებული ყანა; გამაუვალ ყანა; გულის ყანა; დაქვალული ყანა; თხელ ყანა; ლოშნ ყანა; მამცდარ ყანა; მზისპირის ყანა; ნანებვ ყანა; საიფქლე ყანა; სასვილე ყანა; საქერე ყანა; უნეხვავ ყანა; უნივთო ყანა; უქვო ყანა; ღორღიან ყანა; ჩდილის ყანა; ცალია ყანა; წამგლისფერებული ყანა; ჯვარის ყანა
ყანისად თავის მიდენა 202, 8—9, 24, 29, 30
ყანის გაძღომა 202, 12
ყანის გაკეთება 202, 11
ყანის გამასვლა 201, 21
ყანის დანაყა 195, 15
ყანის მაცდომა 202, 11
ყანის სამწვერვალთ მასვლა 201, 24
ანის ფეკი 201, 28
ყანის შანეხვა 197, 15, 20
ყანწი 218, 10; იხ. აგრეთვე: იანაკეეთო ყანწი
ყაპყატო 295, 21—22
ყაპყატოს საცერი 210, 34
ყარტი 207, 2; 219, 37; 293, 2
ყარტის ბარგი 207, 4
ყარტის გუჯინი 207, 3
ყარწიკანი 259, 21, 28, 30
ყაურმა 271, 29
ყაწიმი 307, 28, 29, 35, 37
ყაჭი 262, 33; 263, 2
ყდათ იარაღი 257, 15
ყდათ სოლები 257, 20
ყდანი 257, 2, 3, 4
ყელგძელა 262, 7—8
ყელი: იხ. ბეჭის ყელი; ზარფუშის ყელი წისქვილის ყელი; ჯღნის ყელი
ყელსასხამნი 266, 27
ყელ-ყინჭარე 239, 20
ყელ-ყირანჭა 239, 20
ყელ-ჭრელი 310, 7—8, 18
ყვაეჭი 270, 37
ყვავილა 235, 1—2
ყვავა 270, 36
ყვარანა 235, 7, 10; 245, 25
ყველ-ერბო 268, 29
ყველი 268, 3
ყვერფი 239, 38; 289, 18
ყვერფ-კერანი 289, 11, 12, 19, 21; 291, 24; 292, 15, 16
ყვითელი: იხ. თეთრონა ყვითელი; ლაღ ყვითელი
ყვითელ ლუდი 221, 5
ყვირილი 233, 4
ყია (‖ ყიანი) 304, 32; იხ. აგრეთვე: ისრის ყიანი
ყივი 201, 17
ყივილი: იხ. წისქვილის ყივილი
ყინტრაობა 234, 5, 6
ყიოში 215, 2
ყიში 276, 25
ყიჭალა 255, 26
ყოჯი ცოცხი 294, 31
ყორე 216, 4; 280, 7, 8; იხ. აგრეთვე: ერვე ყორე

ყორის დამაჯნება 280, 11; 285, 16
ყორის დაჯაბნება 280, 11, 12
ყოჩი 237, 22
ყრა: იხ. წილის ყრა
ყრუწწე 286, 9
ყუდრო-ჯალაფობა 288, 9, 11
ყუვი 246, 17
ყუთი: იხ. სატალავრო ყუთი
ყუიან ნაწლევი 239, 31
ყუიკა 269, 29, 31; 270, 9
ყუნწი: იხ. კარის ყუნწი
ყუნჭი: იხ. სანთბის ყუნჭი; ჩირახის ყუნჭი
ყუჯქ 270, 10
ყურდაკვრეცილი 237, 31
ყურე 292, 9, 10; იხ. აგრეთვე: ბოსლის ყურე; საცხვრის ყურე; საძროხის ყურე
ყურისთვალა 262, 7
ყურნი: იხ. ჭურსლის ყურნი
ყურულა 236, 24—25
ყურის სკამი 292, 7
ყურ-შატი: იხ. ქვაბის ყურ-შატი
ყურ-შატიან ქვაბი 216, 4—5
ყურწუმი 286, 9
ყუწია 237, 32
ყუჯა 193, 7; 236, 24
ყუჯი 193, 8

შ

შაბათი: იხ. აჴვსების შაბათი
შაბი 260, 8
შაბოწიწკება 277, 22, 26
შაბრუნვილი 217, 9; იხ. აგრეთვე: მეორე შაბრუნვილი; მესამე შაბრუნვილი
შაბურკვა 271, 9—10; იხ. აგრეთვე: ჯალის შაბურკვა
შაგამი 294, 26
შაგდება: იხ. ბოძის შაგდება; თვალის შაგდება; საკუსის შაგდება; კარის შაგდება
შაგმობა 232, 26, 29
შადგამ: იხ. ცხვრობის შადგამ გატანა; ცხვრობის შადგამ ხიდვა
შადგამ ცხვრობა 229, 14
შადგამ წყემსობა 228, 14—15
შადგომა: იხ საზდელად შადგომა
შავარდენა 235, 26
შავ-თეთრით ჭრელი 233, 12
შავკაბა 235, 2
შავ-ლეგით ჭრელი 233, 12
შავ ლუდი 220, 29, 31
შავნ ბაჭიჭნი 261, 25
შავრა 245, 23—24, 28
შაეტარა 308, 12—13
შავფურა 235, 2—3
შავხალი 308, 13—14
შავხლის ხანჯარი 308, 14
შალანი 225, 32
შალაფი 278, 27
შამანი 216, 17
შამაყრილი: იხ. ჩირთად შამაყრილი
შამდგარი 232, 1; იხ. აგრეთვე: საჴვბად შამდგარი
შამიწვა: იხ. ბანის შამიწვა
შამონდევება: იხ. ჯართ შამონდევება
შამშაბათი: იხ. თიბის შამშაბათი
შანეხვა: იხ. ყანის შანეხვა
შაონა 260, 17
შარევა: იხ. სამან-სამძღვრის შარევა
შარუმი 235, 30
შასაყარ ფიცრები 292, 28
შასახვრეტი 267, 27
შატი 287, 9, 12; იხ. აგრეთვე: გემაის შატი
შაფართხელა 212, 7
შაყრა: იხ. ბანისად მიწის შაყრა; ჩუმათ შაყრა; მჩეჩელთ შაყრა; საარაყის შაყრა; სისწვენთ შაყრა; ძნის შაყრა; ჯართ შაყრა
შე 258, 1
შეებურა თხორი 256, 10
შე'მის გალი 289, 28
შეელია 235, 8
შვინდა 235, 28
შვრიაის საარაყე 200, 36
შვრივა 200, 33
შიბა 261, 37; 263, 16; 265, 11; იხ. აგრეთვე: მტყელ შიბა; ტოშრის შიბა

შაბაიან თათი 261, 21; 262, 3
შიბი 276, 7, 11, 13, 15
შიბუ 295, 13
შიგაური 272, 6
შიგამადებულანი 263, 5
შიგამამდინარა თხორი 256, 7
შიგანგარ: იხ. ტყავის შიგანგარ ჩაცმა
შიგანგარა კუდი 249, 7
შიგნიდან გახვევა ტკბილ-სისწვენთა 219, 31—32
შიგნით მისვლა ტკბილ-სისწვენთა 219, 31
შილა 263, 14
შილტყა 264, 32; 265, 1
შილიფანი 263, 4—5
შინა 288, 1, 3, 13, 15, 17, 20, 23
შინგადებულ ჯარი 230, 15
შის ჩადება 258, 3—4
შიშველმარცვალი 200, 17
შუალა გალო 240, 33
შუბი 305, 9, 15
შუბის ხრო 305, 10
შუბის ტარი 305, 10, 11
შუბის წვერი 305, 10
შუკუნი 281, 5, 6, 10; 286, 20
შუნი 290, 32
შუნ-ჯიკვი 236, 21—22; 238, 4, 5; იხ. აგრეთვე: ლუბი შუნ-ჯიკვი
შუპკა 225, 32
შუშუტნი 239, 11
შუშუჩაყრილა 262, 8—9

ჩ

ჩაგებული 293, 6, 29
ჩადგმა: იხ. ჯორცის ჩადგმა
ჩადება: იხ. კალოს ჩადება; ლაგმის ჩადება; საპირის ჩადება; შის ჩადება; წილის ჩადება
ჩაკიწლვა: იხ. წყალთ ჩაკიწლვა
ჩაკრ 229, 3
ჩალა 222, 7; იხ. აგრეთვე: საქონისად ჩალის დადება
ჩალბობა: იხ. საარაყის ჩალბობა
ჩალ-თივა 286, 26
ჩალის გაბუმბულება 293, 12
ჩალისფერა 245, 26, 28
ჩამა 218, 10
ჩამადენა: იხ. ავდრის ჩამადენა
ჩამასვლა: იხ. დამაღის ჩამასვლა; საფქვის ჩამასვლა; ჩხიმთ ჩამასვლა; ცის ჩამასვლა
ჩამაშილვა 263, 31
ჩამძმარ ჯორცი 242, 2
ჩარათი 200, 14, 15
ჩარდახი 283, 28
ჩარექი 241, 8; 294, 36; 295, 3
ჩასხმა: იხ. ძალების ჩასხმა ფანდურისად
ჩატანება: იხ. წისქვილჩი ჩატანება
ჩაფარება: იხ. სახლის ჩაფარება
ჩაფი 293, 23
ჩაფორწყვლა: იხ. საარაყის ჩაფორწყვლა
ჩაფურასტი 166, 24
ჩაქორთოშაულნი 266, 6
ჩაყრა: იხ. საფქვის ჩაყრა წისქვილისად
ჩაჩა 201, 25, 26
ჩაჩიქვა 214, 37
ჩაჩიქული 214, 34
ჩაჩკანი 308, 26, 32
ჩაცმა: იხ. ტყავის ბეწვგარეთ ჩაცმა; ტყავის ბეწვშიგათი ჩაცმა; ტყავის გარენგარ ჩაცმა
ჩაძმობა: იხ. ჯორცის ჩაძმობა
ჩაწურებული: იხ. წამალა ჩაწურებული საკუსე
ჩაწურვა: იხ. ხისვრის ჩაწურვა
ჩაბვევა: იხ. ნასთის ჩაბვევა
ჩახმახი 310, 26
ჩდილის ყანა 195, 28
ჩდილის ბალახი 225, 11
ჩეჩა 252, 28
ჩერანი 240, 12; 291, 37
ჩვევა: იხ. ჯარის ჩვევა
ჩვინჩვირანი 239, 10
ჩვიჩვილ ჯორცი 241, 17
ჩიგვა 234, 7
ჩითა 262, 9
ჩიკა 292, 3
ჩირახი 286, 20; 292, 14
ჩირახის ყუნჭი 284, 7
ჩირბე 239, 11
ჩირთად შამაყრილი 299, 13

ჩიქორთაულა 212, 14, 19
ჩიჩქი ჯორცი 241, 17
ჩლინგიან ნიავი 205, 37
ჩობალი 242, 7
ჩორბე 204, 33; 239, 11
ჩორჩი 222, 26; 223, 2, 35
ჩოჩი-ჩოჩი 246, 10
ჩოჩუანი 249, 30
ჩოჯა 264, 32; 265, 6, 14, 21; 266, 10; იხ. აგრეთვე: ორშიან ჩოჯა; სკლატის ჩოჯა
ჩოჯისძეელნი 265, 21; 266, 10, 31
ჩუგუნის ღომელი 211, 17
ჩული 222, 17; 310, 1, 3; იხ. აგრეთვე: თოფის ჩული; ცელის ჩული
ჩურჩი 254, 6
ჩქანჩქვლა 270, 5
ჩხანჩხი 220, 2
ჩხიმთ ამაჰრა 245, 16
ჩხიმთ ჩამასვლა 245, 15
ჩხიმნი 239, 12
ჩხირი 198, 26
ჩხრეკილა 214, 9
ჩხრეკილაის გაკეთება 214, 9—10
ჩხუნია 234, 2
ჩხუტი 217, 28; 218, 2; 219, 6, 7

ც

ცა-გამაბრუნვილი 299, 13; იხ. აგრეთვე: ორჯერ ცა-გამაბრუნვილი; სამჯერ ცა-გამაბრუნვილი
ცალა-რქა 233, 15, 16, 17
ცალბანა 273, 27
ცალი 207, 11, 13, 15
ცალია ყანა 202, 12
ცალპირა ტოლი 257, 28
ცალღარი ხანჯარი 308, 12
ცალ-ყუა 278, 26; 306, 16, 17
ცამცამი 216, 20, 21
ცანდის დადება 199, 31
ცაქვეთ ლეწვა 204, 13
ცაცხვის დუდურა 296, 22
ცელი: იხ. გადალესული ცელი; რუსული ცელი; უსაპირეო ცელი; ქართული ცელი
ცელის გამალბობა 222, 19
ცელის გამაწკეპა 222, 25
ცელის გირგოლი 222, 27
ცელის ნალეკი 223, 15
ცელის საპირე 222, 17
ცელის ტარი 222, 26—27; 223, 5
ცელის ჩული 222, 17
ცერა 291, 36
ცეცხლა: იხ. თვალის ცეცხლა
ცეცხლზე წყლის დასხმა 284, 23
ცეცხლის დაგზება 289, 25; 26
ცეცხლმგზენი 253, 11
ცვერცა 262, 7
ცვერცი 201, 1, 5
ციგი 236, 34
ციგო-ციგო 236, 33
ციდა 279, 25
ცინკალაობა 245, 10
ცირცელი 277, 15
ცის ჩამასვლა 245, 17
ციხე 273, 23; 298, 31
ციხიონნი 298, 33
ცომი: იხ. დამშვალული ცომი; საფუვრით მაზელილ ცომი
ცომის გალულუტება 211, 15
ცომის ზელა 211, 15
ცომის ზელა უსაფუვროდ 211, 10
ცომით მაგოზა 216, 14—15
ცოცხი: იხ. გაყიჯებულ ცოცხი; სასეირაო ცოცხი; ყიჯი ცოცხი
ცრუვი 245, 8
ცული 275, 23; 278, 25
ცურთიკრუნა 234, 2
ცურცუმელა 206, 34
ცურ-ძუძუ 242, 24
ცუცუნა 206, 34
ცხავი 206, 18; იხ. აგრეთვე: სასვილიწკლე ცხავი; საქერე ცხავი; ფხვალა ცხავი
ცხემლა 233, 12
ცხემლი 258, 26
ცხემლია 235, 1
ცხემლია კილონი 258, 26—28
ცხენი 242, 11; იხ. აგრეთვე: გაბზანე ცხენი; გაუწურთნავ ცხენი; გაუხეთნო ცხენი; გიქ ცხენი; თავღორ ცხენი; კუდ-შანასკული ცხენი; ბანძილიანი

ცხენი; მარბოლ ცხენი; საბარგე ცხენი; საფერკე ცხენი; სულწუხი ცხენი; უმანძილო ცხენი; ფეკშიშველ ცხენი; ფიცხ ცხენი; ჰკვიან ცხენი
ცხენის დაჰედა 244, 38
ცხენ-ჯორთ ალაგი 287, 25—26
ცხვარ-ვერძი 236, 22—23
ცხვარი 237, 18; იხ. აგრეთვე: სანაშენ-ზიაროდ მიცემა ცხვრისა
ცხვარ-საქონი 231, 4
ცხვარ-საქონის სამაზიაროდ გაცემა 230, 19—20
ცხვირ-თეთრი 243, 5, 6
ცხვირის ქინტონი 239, 11
ცხვრის მეოთხე 241, 13
ცხვრის ტყავნი 249, 21
ცხვრობა 229, 12; იხ. აგრეთვე: ოცის თავზე ცხვრობა; შადგამ ცხვრობა
ცხვრობის შადგამ გატანა 229, 15—16
ცხვრობის შადგამ ზიდვა 229, 15
ცხრანაოჭიანი ქუნთა 244, 19
ცხრაფურცელა 239, 30
ცხრილი 206, 25; იხ. აგრეთვე: სასვი-ლიფქლე ცხრილი; საქერე ცხრილი; ფხალა ცხრილი

ძ

ძაბვა 268, 12
ძაბი 257, 24
ძაბრა ქუდი 249, 7
ძაგრის აპაური (|| აპეური) 198, 8
ძალები: იხ. საშიბის ძალები
ძალების ჩასხმა ფანდურისად 294, 12
ძარდარი 293, 16, 20
ძარღვ-ბანდი 241, 16
ძაღა 260, 8
ძაღლის ჯერი 208, 19
ძვალა: იხ. გაკვრეტილა ძვალა
ძველის ძმარი 269, 19
ძვლის გამახიზვნა 271, 37
ძირა: იხ. წეერთის ძირა ქსელი
ძირი: იხ. სავარცხალთ ძირის ფიცარი; ჯღნის ძირი
ძირკოჭობ ქვაბი 217, 15—16
ძირნი 270, 28
ძმარი 269, 10, 25; იხ. აგრეთვე: ხალა ძმარი; მწკიპაროთ ძმარი; მწკირტო ძმარი; ძველის ძმარი
ძნის დაცვლა 203, 8
ძნის შაყრა 202, 29
ძონძი 260, 31
ძრიელ ნიავი 205, 37
ძროხა 231, 30, 31; იხ. აგრეთვე: ავარდ-ნილ ძროხა; ფეკითი ძროხა; ჴელითი ძროხა
ძუის საცერი 210, 35
ძღაბი კუსი 268, 7, 8

წ

წაბლია 235, 4
წაკანჭული 221, 7
წალდი 278, 26
წალი 194, 4; 236, 12; 238, 9
წამალა 268, 14, 20
წამალა ჩაწურებული საკუსე 268, 21
წამალი: იხ. ორწყე წამალი
წამაყრა: იხ. ლაგმის წამაყრა
წამგლისფერებული ყანა 201, 27
წარბია 235, 2
წასვლა: იხ. საკალოეზე წასვლა; სალოც-ვიებლად წასვლა
წაღმ-უკუღმართა ტოლი 257, 29
წაყრა 261, 11, 13. იხ. აგრეთვე: ტალავ-რის წაყრა; ფეკისაცმლის წაყრა
წაჰპორღვა 205, 35
წახმუწვილი 250, 15, 30
წაჴდა: იხ. კუსის წაჴდა
წელი 240, 3
წელი: იხ. ორი წლილის სვილი
წელის მატეხა 240, 4
წელნი 265, 4
წელწადი 237, 8
წერა-კავა 195, 19
წერაქვი 277, 12
წერთხალა 260, 6
წერი 203, 2
წერილა 203, 2
წერის კვერა 212, 37
წვა-დუგვა 290, 17
წვენი: იხ. მუხის წვენი

წვერამდი დაწერილი ხანჯარი 308, 13
წვერთითა ტოლი 257, 18—19
წვერთის ძირა ჭისელი 257, 21
წვერი: იხ. ისრის წვერი; შუბის წვერი, ჯღნის წვერი
წვერის გაგდებიება მატყლისად 254, 3
წვერის არაყი 216, 16
წვივი 240, 27
წვივის გალო 240, 27—28
წვრილა 307, 15, 17
წვრილნ თასნი 218. 15
წვრილნ ნაწლევნი 239, 31
წვრილფეჯი: იხ. ბეჩავ წვრილფეჯი; ნაკლებ წვრილფეჯი; სადგამ წვრილფეჯი; საჯარჯი წვრილფეჯი
წიბა 225, 8
წიდა 252, 23
წივილი: იხ. ლიბეჩი გველის წივილი
წითელი: იხ. ლაღ წითელი
წითლა 245, 24, 30
წილი: იხ. კაპარჭის წილი
წილნი: იხ. კარაკის წილნი
წილის საქონი 229, 26
წილის ყრა 223, 27; 229, 8
წილის ჩადება 223, 28, 30
წინა გოზა 304, 5
წინა ხღუბლი 255, 14
წინა კერა 289, 16
წინამძღვარი 197, 36
წინგარდა 273, 26; 298, 23, 25
წინგარდაის ბანი 286, 3
წინწარაჭალი 216, 16—17
წინწვერი 216, 16
წიხწვრის არაყი 216, 16
წიპტარა 255, 4, 5
წირტა 241, 27, 30
წისქვილი: იხ. სახეო წისქვილი; საფქვის ჩაყრა წისქვილისად; საქვეო წისქვილი
წისქვილის განართება 210, 19, 25
წისქვილის ყელი 209, 23; 210, 32
წისქვილის ყივილი 209, 36
წისქვილჩი ჩატანება 210, 6
წიქარა 235, 28, 29
წიწანი 267, 18; 295, 37; იხ. აგრეთვე: საგერბიან წიწანი
წიწუ 258, 22, 24
წკენტვა 234, 1
წკმოლვა 216, 26, 32
წნახე 193, 20. 22
წმახი 193, 35
წმედა: იხ. სახლის წმედა
წმიდა ბალახი 224, 6
წნე 240, 10
წნელი 278, 22; 295, 13
წნელის კარი 278. 23
წნელის ღობე 278, 23
წნელის ჯარჯი 249, 14
წრუნვა 216, 26, 33
წუელი 201, 29
წურვა: იხ. მატყლის წურვა
წურველი 270, 26
წუხრა: იხ. კუდიანთ წუხრა
წუხრეულანი 202, 18
წუხრიელანი 202, 18
წყალთ ჩაკიწვლა 256, 29
წყალი: იხ. ბანისაგან წყლის დაპერა; ნავთის წყალი; პირში წყლის პერა ტკბილ სისწვენთაგან; ცეცხლზე წყლის დასხმა
წყალივით იორღა 243, 16
წყემსი 228, 23; იხ. აგრეთვე: გაკვირაულ წყემსი
წყემსობა 229, 12; იხ. აგრეთვე: ოცისთავზე წყემსობა; შადგამ წყემსობა
წყემს-წარახუა 228, 23
წყრულიანი: იხ. ტოლის წყრულიან გველდი; ტოლის წყრულიან პირი
წჯე 194, 5

ჯ

ჯანის ბატკანი 237, 28
ჯანჯახი 225, 14, 15
ჯანჯიკის ჭელისაკოცი 264. 17
ჯაჯანი 279. 29
ჯარღლი 306, 24
ჯაჯანაისძე: იხ. ღვინო ჯაჯანაისძე
ჯაჯი 265, 19
ჯაჯუნა 217, 30
ჯედილა 237, 22
ჯეკარა 260, 6

პერები 277, 31
პერების მი-და-მოღმ დაწყობა 284, 30—31
პერემა 232, 32; 235, 2
პერის-გლები 277, 31
პერის-გლების მი-და-მოღმ დაწყობა 284, 30—31
პერხო 297, 13, 15, 20; 298, 4
პერხოს ბანი 297, 16
პეხა 311, 14
პვრიტი 281, 1; 284, 12, 13
პიაბური 294, 9
პიაფური 260, 9
პიბღი 208, 9
პიკუ 291, 10, 12
პილპანი 219, 13
პინპყილაობა 197, 37
პიტი 212, 25; 240, 22
პიქუნი 238, 4
პიშკენი 200, 33—34
პიპი 220, 14
პიპვინი 245, 19
პკდე 258, 10; 287, 12; იხ. აგრეთვე ზურგის პკდე
პკდის კნა 219, 21, 24
პკვიან ცხენი 243, 13
პლიკი 240, 12
პლიმბული 231, 5, 7
პმახე 193, 22
პმახვა 193, 25
პმახი 193, 23
პორღი 205, 33, 36
პოპყი 231, 19; 234, 18, 24
პრელა 266, 14
პრელი: იხ. თეთრ-ლეგით პრელი; თეთრწითლით პრელი, შავ-თეთრით პრელი; შავ-ლეგით პრელი
პრელნ ბაპიჭნი 261, 25
პროღა 233, 11
პუნპუხი 213, 31
პურპელი 218, 36; იხ. აგრეთვე: საარაყე პურპელი
პუპუნა 235, 20, 22
პყაპორტუან ბალახანი 225, 13
პყერი 274, 21, 36
პყეტი 262, 16
პყინპყილაობა 197, 37
პყირი 274, 21
პყიტინი 238, 5—6
პყორი 274, 21

ხ

ხაჱი 202, 10
ხანშალი 233, 22; 237, 28
ხანჯარი 275, 23; 308, 12; იხ. აგრეთვე: სუკიან ხანჯარი; შავხლის ხანჯარი; ცალღარი ხანჯარი; წვეროსმდი დაწვერილი ხანჯარი
ხარატული 248, 36
ხარშო 214, 33; 271, 3; იხ. აგრეთვე: თოთო ხარშო
ხასუნა 250, 24, 30
ხასუქა 250, 24
ხატი 263, 19
ხატიანა 262, 9
ხაშმი 233, 21
ხე: იხ. გაქერქული ხე; გაღვერული ხე; კოჟრიანი ხე; ლაგატკაის ხე; ლიპოიანი ხე; მანქანათ ხე; მართალ ხე; მრუდ ხე; სადბის ხე; სუკიანი ხე; ჯირკლიანი ხე
ხეები 277, 31, 32; იხ. აგრეთვე: კეხიკეზა ხეები
ხეტარი 307, 8; იხ. აგრეთვე: ჯღლის ხეტარი
ხეშატარი 294, 28
ხეცრონი 240, 4—5
ხე-ჯერი 277, 30 278, 1
ხე-ჯერის გაყრა 284, 33
ხე-ჯერის მი-და-მოღმ დაწყობა 284, 30
ხვადი 243, 8
ხვავი 205, 9, 12; იხ. აგრეთვე: გაწურვილ ხვავი; დაწურვილ ხვავი
ხვავის ბზე 206, 14
ხვავის დანიავება 205, 21
ხვავის დაწურვა 205, 28
ხვეწილი 278, 7
ხთიშობელა 235, 33
ხი-მამო 232, 23
ხინდახორი 287, 20; 297, 26

ბინკალი 213, 30; 214, 6
ბინკლის მაჭრება 213, 39
ბირხალი 196, 20
ბირხიტოს არაყი 221, 14
ბის ალღოჯად დადება 284, 36
ბის გასქდომა 278, 18
ბის გახეთქა 278, 17
ბის გაჩეჩა 278, 17
ბის ზემცრედ დადება 284, 36
ბის კეზზე დანდობა 284, 35
ბის უღლიანნ საწონი 294, 34
ბიფი 256, 36
ბიჩონი 259, 36, 37; 293, 30, 31
ბოდაბუნი 196, 10
ბოლაბური 196, 7
ბოკერი 204, 34; 254, 9
ბომა 295, 33
ბოძიკა 295, 33; იხ. აგრეთვე: საპურსატნე ბოძიკა
ბოთკარა 235, 23
ბონჩა 295, 33
ბორამი 226, 27
ბორონი: იხ. ჯიკვების ბორონი
ბოჩინი 259, 37
ბოხი 275, 22
ბოხის ქვა 275, 22, 24
ბრინკანი 307, 31; იხ. აგრეთვე: ქმლის ბრინკანი
ბუდაბუნი 196, 10
ბუთა 292, 1
ბუთმეტნაოჭიანი ქუნთა 244, 19
ბუთსატენიანი 309, 7
ბუთშაბათი: იხ. დიდ ბუთშაბათი
ბუილი 311, 14
ბულა 237, 32
ბურო 279, 15, 21
ბუტარ 214, 30
ბუტარა 214, 28—29

ჯ

ჯაგირი 195, 31; 196, 3
ჯადუგრა 262, 10
ჯალი 214, 2, 5; იხ. აგრეთვე: მაზელილ ჯალი
ჯალის აშურა 214, 10
ჯალის ბერკეტი 214, 7
ჯალის მაჭხრეკა 214, 9
ჯალის შაბურკვა 214, 7
ჯარა 309, 6, 24, 28
ჯარავანი 230, 1
ჯარავნის გაწილება 230, 1
ჯარავნობის გატანა 230, 2
ჯართ ალაგი 287, 25
ჯართ გაკიდება მამულისად 199, 19
ჯართ შეონდეება 197, 26
ჯართ შაყრა 204, 31, 32
ჯარი 195, 31; 196, 3; 231, 25; 242, 23; იხ. აგრეთვე: გაკეთებულ ჯარი: გაუკეთებ ჯარი; მანძილა ჯარი; მეჩვეც ჯარი; სუსტ ჯარი; შინგაკეებულ ჯარი
ჯარის გავაის ჯღანი 247, 23, 25
ჯარის იარაღი 198, 2, 3
ჯარის მეოთხე 241, 13
ჯარის მიცემა სათავკვებოდ 230, 11
ჯარის შაგდება 204, 32
ჯარის ჩვევა 230, 12
ჯარ-მაზერი 231, 20
ჯარნი: იხ. მონდვის ჯარნი
ჯარ-საჯარე 231, 18, 25
ჯაჯმატა 235, 19
ჯაკუში 240, 12; 272, 1, 3
ჯბო: იხ. ნაზამთრევ ჯბო; საფურე ჯბო; საჯარე ჯბო
ჯბოს გაჩენა 232, 9
ჯბოსაღუჯა 225, 32
ჯდალი 243, 9—10
ჯევსურული სამაზიარო 230, 22
ჯელდაუცდელი 221, 9
ჯელების დაწყობა 203, 31
ჯელეული 202, 25, 26.
ჯელვარცლი 205, 24; იხ. აგრეთვე: სასხეფქვე ჯელვარცლი
ჯელთქვაბი 296, 27
ჯელი 203, 12, 13, 14; 279, 24; იხ. აგრეთვე: გაშლილ ჯელი; იარაღისად ჯელის მასმა; ქვაბის ჯელი; ჯიგვიან ჯელი
ჯელითი ძროხა 231, 33, 34
ჯელისაჭოცი: იხ. ჰანჯიკის ჯელისაჭოცი
ჯელის დაცდა 221, 8
ჯელკეერი 222, 24

ჯელშაქცეული 217, 9
ჯელცოცხა 205, 15, 34; 294, 30
ჯელცულა 278, 25
ჯენცულა 278, 25—26
ჯენცლით თიბა 224, 8
ჯენცლით შკა 202, 22
ჯეტა 211, 31
ჯვაფ კოზი 296, 5
ჯვედა 278, 26
ჯვედვა: იხ. ჯირითის ჯველვა
ჯვიჯვინი 245, 19
ჯვლიმა 244, 26
ჯვნა: იხ. გულდატანთ ჯვნა; მონდვით ჯვნა
ჯვრელი 283, 17
ჯიმუნი 246, 39; 300, 16
ჯიმუსენა 247, 2
ჯინჩიანი 233, 22: 237, 28
ჯირითი 309, 5, 28: 311, 16
ჯირითის ბარტყი 310, 7, 11
ჯირითის ჯველვა 311, 13, 22, 24
ჯლა 311, 12
ჯმალი 306, 21: იხ. აგრეთვე: ბასრის ჯმალი; ვადაცვრიანი ჯმალი; მასვევადელი ჯმალი; მელანქრიანი ჯმალი; რუსულ ჯმალი; ჯმლისად ჯელის გაკვრა; ჯმლისად ჯელის მასმა
ჯმა-ძალიანი 310, 8, 22
ჯმიადი 212, 5
ჯმითმატირალი 213, 22
ჯმით ნატირალი 227, 13
ჯმლისად ჯელის გაკვრა 306, 26—27, 36
ჯმლისად ჯელის მასმა 306, 26
ჯმლის ამაგება 306, 26
ჯმლის ამამღერება 306, 27; 307, 12
ჯმლის ამაღება 306, 26
ჯმლის ბუნი 307, 1
ჯმლის გაწვდა 306, 26
ჯმლის ხეტარი 307, 1
ჯმლის ხრინჯანი 308, 10
ჯოლი 226, 19; 295, 28
ჯოლვაბო 226, 16
ჯორცი: იხ. აპატინა ჯორცი; ზატყი ჯორცი; კუთი ჯორცი; ლიკვ ჯორცი; საძმობის ჯორცი; ჩამძვარ ჯორცი; ჩვიჩვილ ჯორცი; ჩიჩქი ჯორცი
ჯორცის ამაყრა 271, 36
ჯორცის გამაჯრა 271, 25
ჯორცის გულიან კეცეული 271, 28
ჯორცის გულიან ქადისკვერი 271, 28
ჯორცის დამწერვა 271, 33
ჯორცის დუღილება 271, 34—35
ჯორცის ჩადგმა 271, 35
ჯორცის ჩაძმობა 271, 26; 295, 15
ჯორცი ტყავზე დებას 241, 19, 22
ჯორჯი 230, 4
ჯოტი 219, 8, 9, 10
ჯოტიანის ტომრის გაწურვა 219, 14
ჯოჯობა 235, 7
ჯრილი 210, 38, 40
ჯრომლი 271, 31
ჯულჩა 246, 30
ჯულჩაის გაბანდვა 247, 29
ჯუმბური 209, 4
ჯენდი 253, 17, 18
ჯუჩუა 231, 18
ჯშირად თესვა 200, 5—6
ჯშირ ლუდი 220, 29, 37
ჯჩოლი 290, 18

ჯ

ჯავარი 305, 35; 306, 9
ჯამაგირი 228, 25
ჯამ-ბუნაგი 295, 7, 10; 297, 3
ჯამი 267, 18; 295, 34; იხ. აგრეთვე: განიერ ჯამი; იწრო ჯამი; კოპობ ჯამი; საჩაჩიქულე ჯამი; ფიელ ჯამი
ჯამ-წიწანი: იხ. სასაგერებე ჯამ-წიწანი
ჯარათ ბატები 255, 19, 20
ჯარათ გირგოლნი 255, 22
ჯარათ ზღუბლი 255, 14
ჯარათ ისარი 255, 18
ჯარათ საკელერა 255, 26
ჯარათ ფეკეები 255, 15
ჯარათ ღერძი 255, 24
ჯარათ ღვედნი 255, 21, 22
ჯარანი 255, 13
ჯარატარი 255, 19: 256, 19, 20
ჯარი 300, 28
ჯარჯ-გირკლიანი 287, 14, 15
ჯარჯები: იხ. აბაზეულის ჯარჯები

ჯარჯი 198. 35; 204, 33; 219, 17; 287, 13; იხ. აგრეთვე: გემაის ჯარჯი; წნელის ჯარჯი
ჯაყვა 305, 27
ჯაყვერი 234, 18
ჯაჭვის პერანგი 308, 28
ჯაჭვის საფუარნი 308, 28, 37
ჯაჭვ-მუზარადი 308, 16—17
ჯდომა: იხ. საბნელოს ჯდომა
ჯენი 193, 31
ჯერი: იხ. ძაღლის ჯერი
ჯერისთავი 208, 20
ჯეჯილის გამასვლა 201, 21
ჯვართ ენა 241, 32
ჯვართ ხღვენი 241, 2
ჯვარის კოშკები 300, 31
ჯვარის საპურე კიდობანი 217, 17
ჯვარის ყანა 196, 5; 217, 17—18
ჯვარნი 273, 25; 300, 22; 301, 33
ჯვრები 266, 24
ჯიბანი 265, 9
ჯიგვიან ქელი 219, 23; 279, 24
ჯიმური 217, 30; 219, 5
ჯინი 197, 15, 16; 293, 24
ჯინჭველათგორაიან სათიბე 224, 2
ჯირკლიანი ხე 278, 12
ჯიქვების ხორონი 238, 17
ჯიქვის ტყავნი 250, 10
ჯიქვმაბვერი 238, 9, 12
ჯორელა 235, 31, 37; 236, 1—2
ჯორი 242, 11, 22; 243, 1; იხ. აგრეთვე: ერთ ჯორ პური; ტმუკიანი ჯორი
ჯორიკა 243, 1
ჯოყარი 225, 9
ჯოყრიან ბალახი 224, 7—8
ჯღანი: იხ. გავაის ჯღანი; გაყრილ ჯღანი; ქარის გავაის ჯღანი
ჯღანნი 246, 30; 247, 29, 31; 264, 31; 303, 21
ჯღან-ფეჯი 228, 29
ჯღან-ქალბანნი 265, 22
ჯღანჩი სადები 225, 30—31
ჯღანჯღი 241, 16
ჯღნის აშლა 247, 21
ჯღნის ბანდვა 247, 27
ჯღნის ბაწარნი 247, 18
ჯღნის გაბანდვა 247, 21
ჯღნის გაყრა 247, 20
ჯღნის ენა 247, 18
ჯღნის საალაჯე 247, 17
ჯღნის ყელი 247, 17
ჯღნის ძირი 247, 17
ჯღნის წვერი 247, 17

ჰ

ჰერწკ 296, 28

ც

ცეცია 293, 16, 18
ცუკი 193, 8
ცუცუნა 208, 5

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲚᲔᲑᲘ

ალუდაური დედიკა გაგას ასული, 73 წლისა, ბარისაჯოდან ჯაჭმატში გათხოვილი, ამჟამად ცხოვრობს ბარისაჯოში: 1, 2, 3, 16, 32, 50, 211, 213

ალუდაური ჭირჩლა, 60 წლისა, ჯაჭმატელი: 13, 14, 124

ალუდაური თევდორე გოთუას ძე, 33 წლისა, ჯაჭმატელი: 183, 190, 199, 206, 207

ალუდაური გიორგი ჩალხისძე 57 წლისა, ჯაჭმატელი: 12

არაბული იმედა საყურას ძე, 40 წლისა, ბაცალიგოელი: 165, 192, 217

არაბული ძილააბიკას ასული, 50 წლისა, ჩხუბელი: 193

არაბული ნინო მინდიას ასული, 24 წლისა, ჩხუბელი: 138

არაბული ბაღათერა (ბათურა) აფშინას ძე, 55 წლისა, ბაცალიგოელი: 121

გიგაური ხთისო გიორგის ძე 65 წლისა, ბლოელი: 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 38, 39, 40, 45, 46, 47, 48, 116, 118, 119

გოგოჭური ჩუა აბასძე, 25 წლისა, გუროელი: 131

გოგოჭური ადუდანიკოს ასული, 25 წლისა, გიორწმიდელი: 134, 135, 137

გოგოჭური ძაღლიკა, გიორწმიდელი, ამჟამად ცხოვრობს თელავის რ-ნში სოფ. თეთრწყლებში: 330

გოგოჭური მუშტარა ჰიელის ასული, 72 წლისა, გიორწმიდელი: 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 178, 179, 183, 184, 196, 203, 204, 205, 208, 216, 217, 218

გოგოჭური მზექალი ჩუას ასული, 45 წლისა, გიორწმიდელი, შატილიდან გათხოვილი: 180, 182

გოგოჭური სანდუა ჰიელის ასული, 96 წლისა, გუროელი: 120, 187, 194, 198

მინდიკაური ლეკო ტურასძე, 84 წლისა, ხახაბოელი: 44, 63, 66, 67, 72, 73, 74, 75, 77, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 104, 105, 109, 113, 132, 338, 200

ქეთელაური ხვთისო თორელისძე, 60 წლისა, თეთრწყლებელი, გადმოსახლებული სოფ. სახილედან (ბარისახოს საბჭო, დუშეთის რ-ნი) 33, 57

ქეთელაური სულხან ხვთისოსძე, 33 წლისა, თეთრწყლებელი: 123

ქეთელაური ბესო ნანაიძეს ძე, 45 წლისა, ბისოელი: 114

წიკლაური გიორგი (ჩუა) თორელის ძე, 20 წლისა, არხოტელი: 37, 49

წიკლაური ალექსი (ომა) მგელასძე, როშკელი, ამჟამად ცხოვრობს წითელ-წყაროს რაიონში, სოფ. არხილოს-კალოზე 212, 213

ჰინჰარაული აშექალ კოტეს ასული, 55 წლისა, შატილელი, არხოტიდან გამოთხოვილი: 201

ჰინჰარაული გიგია საყურასძე, 55 წლისა, შატილელი, ამჟამად ცხოვრობს წითელ-წყაროს რა-

იონში, სოფ. გამარჯვებაში; 65, 69, 70, 76, 78, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94. 95, 96, 97, 98, 99, 100, 102, 106, 107, 108, 110, 111, 115

პინპარაული საყურა გორგალას ძე, 70 წლისა, შატილელი: 101 112

პინპარაული ბებერა აბასასული, 27 წლისა, შატილელი, გუროდან გამოთხოვილი: 120, 130, 136, 177, 185

პინპარაული სადარა ალუდიას ძე, 47 წლისა, შატილელი: 117

პინპარაული მიხეილ გიორგისძე, 31 წლისა, შატილელი: 125

პინპარაული მიხეილ ლეკოს ძე, 20 წლისა, შატილელი: 133, 140, 414

პინპარაული მინო თოთიას ასული, 62 წლისა, შატილელი: 103, 141, 143, 168, 218

პინპარაული ნანაისძე თოთიას ძე, 49 წლისა, შატილელი: 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11

პინპარაული ლეკო ნიას ძე, 61 წლისა, შატილელი, 17, 21, 34, 35, 36, 43, 55. 68, 71, 122, 126, 127, 128, 129, 197

პინპარაული მეკია უთურგას, ასული, 55 წლისა, შატილელი, გიორწმიდიდან გამოთხოვილი: 22, 51, 52. 53, 54, 56, 58. 188, 189, 195, 208 212

პინპარაული იოსებ ნანაიძესძე, 18 წლისა, შატილელი: 60

პინპარაული თათარი ხოლიგასძე, 60 წლისა, შატილელი: 61, 62, 64, 142

პინპარაული ძილო ნიასასული, 68 წლისა, შატილელი: 181

პინპარაული სუმბატა გიორგისძე, 75 წლისა, ლებაისკარელი: 15, 18, 19, 145

ავტორები

არაბული ნიკო გიორგისძე, 25 წლისა, ჩხუბელი: 138

გაბუური აშეკალი ადუასასული, არხოტელი: 130

გაბუური ბერდედულა, არხოტელი: 130

გოგოჭური ნიკო ტუჩას ძე, გიორწმიდელი: 136

გოგოჭური თოთია ბიძურას ძე (თიკუნი: კამბეჩა), 137

გოგოჭური გუგო ბაბუას ძე (კანეშათ გუგო), გიორწმიდელი 142

გოგოჭური მზექალუა, გუროელი: 179, 188

ლიქოკელი ჩონია ნანაიძეს ძე, აპელი: 145

ლიქოკელი აბულეთი: 141

ოჩიაური ბაჯა (იოსებ) თუშის ძე, არხოტელი: 117

წიკლაური ივანე მამუკას ძე, როშკელი, ამჟამად ცხოვრობს წითელწყაროს რაიონში, სოფ. არხილოს კალოში: 60

წიკლაური გიორგი მიხეილის ძე (თიკუნები: თათარი, უბედური), არხოტელი: 140

პინპარაული სამუკა ნიას ძე, შატილელი: 125, 127

პინპარაული შოთა ჩუას ძე, შატილელი: 133, 134, 135

პინპარაული (ჯალაბაური) ნისლაურ ლევანის ძე, შატილელი: 144

დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა

ალავიძე მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, კრებულში: „ქართველურ ენათა ლექსიკა", I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.

„ანალები", ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. შრ., I, 1947.

არილი, ტფილისის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ივანე ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე (1900—1925) მიძღვნილი კრებული, თბ., 1925.

ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა IX სამეცნიერო კონფერენცია, 1958 წლის 14—21 აპრილს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1958.

ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1955.

ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

ბატონიშვილი ე., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

ბაჩანა, ლექსები, პოემები, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბ. 1938.

ბედუკაძე ს., საცხოვრებელი ნაგებობანი ქართული ხალხური პოეზიის ნაბეჭდი მასალების მიხედვით, თბ., 1950.

ბერიძე ვუკ., სიტყვის-კონა იმერულ-რაჭულ თქმათა,—Материалы по яфетическому языкознанию, VI, СП., 1912.

გაგუარ., ნამყო უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის წარმოება ძველს ქართულში, თსუ. სტუდენტთა შრ., ტ. I, 1941.

გომიაშვილი ალ., ერთტომეული, თბ., 1955.

გურამიშვილი დ., დავითიანი, თბ., 1931.

ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, X, თბ., 1941.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1930.

ვაჟა-ფშაველა, რჩეული ლექსები და პოემები, თბ., 1936.

ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., 1953.

თოფურია ე., დ-თავსართიანი ზმნები ქართულში, თსუ შრომები, ტ. I, 1946.

თოფურია ე., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბ., 1946.

თოფურია ვ., ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, V, თბ., 1953.

იმნაიშვილი ივ., საბელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კალანდაძე გ., ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957.

კიკნაძე ლ., პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ შრომები, XXX—XXXв 1947.

ქიმენი, ტ. I, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, თბ., 1918.
Кипшидзе И., Грамматика мингрельского (иверского) языка, хрестоматия и мингрельско-русский словарь, СП., 1914.
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვეთი I, თბ., 1938.
მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. III, თბ., 1940.
Марр Н. Я., Физиолог, Т. Р., VI, СП., 1904.
Марр Н. Я., Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, СП, 1910.
მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
მენთეშაშვილისტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
Мерчул Г. Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с Дневником поездки в Шавшию и Кларджию, Т. Р. кн. VII, СП., 1911.
მთაწმიდელი გიორგი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმინდელის ენა იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946.
მოხსენებათა კრებული, № 1, თსუ გამომცემლობა, 1947.
ნათაძე ნ., მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, თბ., 1955.
ნატროშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1956.
როგავა გ., აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 8, 1945.
რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951.
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილების ხელნაწერი მასალები.
სტალინი ი., მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1951.
სტალინის სახელობის თსუ სამეცნიერო სესია მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 30-ე წლისთავისათვის, თბ., 1947.
სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.
Услар П., Этнография Кавказа, Языкознание, III, Аварский язык, Тифлис, 1889.
ქავთარაძე ივ., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.
ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, და 973 წწ.); გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, V—X საუკუნეების ძეგლები, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1953.
შანიძე ა., ქართული კილოები მთაში, „კრებული", ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის" გამოცემა, თბ., 1915.
შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თბ., 1920.

შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, თბ., 1931.
შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, კრებულში: „ქართველურ ენათა ლექსიკა", I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.
ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.
ჩიქობავა არნ., ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ. 1938.
ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბ., 1948.
ჩიქობავა არნ., მესამე სუბიექტური პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, „ენიმკის მოამბე", V—VI, თბ., 1940.
ჩიქობავა არნ., გრამატიკული კლას-კატეგორია და ხმის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.
ჩიქობავა არნ., მიმართულებითი (გარდაქცევითი) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, „ენიმკის მოამბე", ტ. I, 1937.
ჩიტაია გ., ხევსურული სახლის სენე, კრებ. „ანალები", თბ., 1947.
ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954.
ძიძიგური შ., ქართული დიალექტების კრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956.
წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი, კრებულში: „ქართველურ ენათა ლექსიკა", I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938.
ჭყონია ი., სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ს.-პეტერბურგი, 1910.
ხალხური სიტყვიერება, III, ხალხური ლექსები თედო რახიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, თბ., 1953.
ხევსურული მასალები ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I—II, 1923—1924 წ. თბ., 1925.
ჯანაშვილი მ., საინგილო, III, ლექსიკონი, ძველი საქართველო, ტ. II. თბ., 1913.
ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონ. ისტორია, წიგნი I, თბ., 1930.
ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კოლტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
კორექტორი ქ. წ ე რ ე თ ე ლ ი

გადაეცა წარმოებას 10.8.59; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.6.1960; ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆;
ქაღალდის ფურცელი 15,75; საბეჭდი ფურცელი 31,5; საავტორო
ფურცელი 27,66; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 28,05;
შეკვეთა 1326; უე 08687; ტირაჟი 1000
ფასი 20 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ 3/5

შემჩნეული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი ზევ.	ქვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1		7	გაიგონო-	გაიგონოს
2	7		(გაბ., 176, 28);	(გაბ., 176, 28;
17	1		ეკორწილე	მეკორწილე
17	19		ხმომ	ხმო-
17	21—22		სუფიქსი სეული-ა	სუფიქსისეული -ა
28		18	კრკალი	კრკალი(
29	3		—კრკალ?)	—კრკალ?)
44	17		იხ. ზემოთ	იხ. ქვემოთ
55	19		ჩვენმ	ჩვენ-
55		13	ოხველ	მოხველ
64	5		აბალე)	აბალე(
64		9	ხმოვანს	თანხმოვანს
69		17	საქმე ი	საქმე ის
77		18	ბელ-	ხელა
78		11	ჩამადან	ჩამადან-
86		9	და-მ-რჩ-ო-:	დ ა-მ-რჩ-ო:
94	3		წა მა..	წამა...
102	5		ქვანიო	ქვანიო!
132	6		|| უხვევ-ავ	|| უხვევ-ავ-
138	2		წაომოებს	აწარმოებს
138	7		აქართულში	ქართულში
148	8		არგ-ენის	არგ-ენ-ს
159		11	გრგვ-ინ:	გრგვ-ინ-
159		2	კრუტ-ჰვრ-უტ-ან-ა	ჰვრ-უტ-ჰვრ-უტ-ან ა
176		3	ეკალუნს	ვალუნს
177	15		—ვაჯობნე	ვაჯობნე
177		8	მერე	მეორე
239	2		ჯიუხის	ჰიუხის
245	3		მიკვრება	მიკვერება
251	8		გახეზილ	გახელილ
253	1		ამბავა-ებს)	(ამბავა-ებს)
253	3		(მჩეჩლებზე	მჩეჩლებზე
257	6		(=ყდანი)	(|| ყდანი)
263		4	ჩამაგიშალა	ჩამაგიშილა
301	1		უხურაგიხ	უხურჭაგის
317	12		Выпадает	Отпадает